ფიოდორ დოსტოევსკი



იდიოტი

ფიოდორ დოსტოევსკი

იდიოტი

ნაწილი პირველი

I

ნოემბრის მიწურულს, დილის ცხრა საათზე, პეტერბურგ-ვარშავის მატარებელი მთელი სისწრაფით უახლოვდებოდა პეტერბურგს. ჯანღი და ნესტი იდგა, რის ვაი-ვაგლახით გამოატანა რიჟრაჟმა. ვაგონის სარკმლიდან გზის მარცხნივ თუ მარჯვნივ ათიოდე ნაბიჯზე კაცი ძნელად გაარჩევდა რასმე. მგზავრებში საზღვარგარეთიდან დაბრუნებულნიც იყვნენ ყველაზე მეტად მესამე კლასის განყოფილება იყო სავსე, მეტწილად წვრილფეხა, მოსაქმე ხალხით; ისინი არცთუ შორიდან მოემგზავრებოდნენ. ჩვეულებისამებრ, ყველა მოთენთილი ჩანდა, ყველას დასიებოდა ღამის თევისაგან თვალები, ყველა გათოშილიყო, ყველას გასცრეცოდა და გაყვითლებოდა სახე ამ ნისლის დარად.

მესამე კლასის ერთ-ერთ ვაგონში დილაუთენია პირისპირ აღმოჩნდა სარკმელთან ორი მგზავრი – ორივე ახალგაზრდა, ორივე თითქმის მსუბუქად, არცთუ კოხტად ჩაცმული, ორივე შესამჩნევი სახის და ბოლოს ორივე ერთმანეთთან გამოლაპარაკების მოსურნე. ამ ორ ყმაწვილს რომ სცოდნოდა, რით გამოირჩეოდნენ ისინი ამ წუთს, რა თქმა უნდა, გაოცდებოდნენ, რომ განგებამ აგრე უცნაურად შეჰყარა ისინი პეტერბურგ-ვარშავის მატარებლის მესამე კლასის ვაგონში და ერთმანეთის პირისპირ მოათავსა. ერთი მათგანი, ტანმორჩილი, ოცდაშვიდიოდე წლის იქნებოდა. ხუჭუჭი, თითქმის შავი თმა ჰქონდა, წვრილი, ჭროღა, მაგრამ ცეცხლიანი თვალები. ძვალმსხვილ სახეზე ჩაჭყლეტილი, განიერი ცხვირი მოუჩანდა, თხელ ტუჩებზე წარამარა რაღაც თავხედური, დამცინავი, ასე გასინჯეთ, ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა. მაგრამ მაღალი, ნატიფი შუბლი სახის ქვედა ნაწილის სიტლანქეს უფარავდა. კაცს მაშინვე ეცემოდა თვალში მისი ჩათეთქილი ფერი, რაც, საკმაოდ ჩასკვნილი გარეგნობის მიუხედავად, ავადმყოფურს და ამასთან ერთად, რაღაც გაწამებულ იერს აძლევდა, რომელიც მის თავხედურ ღიმილს და უკმეხ გულზვიად გამოხედვას დიახაც, არ ეხამებოდა. ეცვა თბილად, შავი კრაველის განიერი, სარჩულგამოდებული ტყაპუჭი და ამიტომაც ღამით არ შესცივნოდა, სამაგიეროდ, მის მეზობელს თავის ზურგზე გამოეცადა ნოემბრის ნესტიანი ღამის მთელი სიტკბოება რუსეთში, რისთვისაც, ეტყობა, შემზადებული არ იყო. მას საკმაოდ განიერი, სქელი ნაჭრის უსახელო ლაბადა ეცვა, ვეება კაპიუშონით, როგორსაც ხშირად ატარებენ ხოლმე მგზავრები ზამთრობით სადმე საზღვარგარეთ, შვეიცარიაში ან, მაგალითად, ჩრდილოეთ იტალიაში და, რა თქმა უნდა, არა ისეთ გზაზე, ეიდკუნენიდან[1] პეტერბურგამდე რომაა გაჭიმული. მაგრამ რაც იტალიაში გამოსადეგი და სრულიად საკმარისი იყო, ის რუსეთში არცთუ დიდად მოსახმარისი აღმოჩნდა. კაპიუშონიანი ლაბადის პატრონი ახალგაზრდა კაცი იყო, ისიც ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა, საშუალოზე მომაღლო, მეტად ქერა, გრუზათმიანი, ჩაცვივნული ლოყებითა და პატარა, ცანცარა, თითქმის სრულიად ჟღალი წვერით. მისი დიდრონი, ცისფერი თვალები მოსაუბრეს ჩაციებით უმზერდნენ. გამოხედვა რაღაც მშვიდი, მაგრამ დანისლული ჰქონდა, რაღაც უცნაური მეტყველებით სავსე. სწორედ ამ გამოხედვით სცნობენ ზოგიერთები ერთი შეხედვით ბნედით ავადმყოფებს. თუმცა სახე ამ ყმაწვილი კაცისა სასიამოვნო, ნაზი, გამხდარი ჩანდა, ოღონდ ფერფურის ნატამალი არ ეცხო, სიცივეს კი ახლა მთლად გაელურჯებინა. ხელზე ერთი პატარა, ძველი, გახუნებული ფულიარის ბოხჩა უკონწიალებდა, როგორც ჩანს, მთელი მისი ავლადიდება გზაში. ფეხზე შტიბლეტებიანი

სქელძირა ფეხსაცმელი ეცვა – რუსული ყაიდისა არც ის იყო. შავთმიანმა, ტყაპუჭიანმა მეზობელმა ეს ყოველივე კარგად შეუთვალიერა, რაკი სხვა საქმე მაინც არ ჰქონდა, და ბოლოს იმ უზრდელი ღიმილით ჰკითხა, რომელშიც ზოგჯერ მოყვასის უბედურებით გამოწვეული სიამე აგრე უბოდიშოდ იგრძნობა.

– გცივათ განა? – და თან მხრები შეათამაშა.

– ძალიან, – მყის მიაგება მეზობელმა პასუხი, – ზამთარი მაინც იყოს. ყინვებში რაღა იქნება არც მეგონა, თუ ჩვენში ასე ეციებოდა. გადავეჩვიე.

– მაშ საზღვარგარეთიდან მოდიხართ?

– დიახ, შვეიცარიიდან.

– ეჰეი, საიდან სადაო!..

შავთმიანმა დაუსტვინა და გადაიხარხარა.

საუბარი გაიბა. ქერა ყმაწვილი, შვეიცარული ლაბადის პატრონი, საოცარი სიხალისით აძლევდა პასუხს შავტუხა მეზობლის ყოველ კითხვას და ზოგი შეკითხვის აგდებულ კილოსა და უადგილობას ვერც ამჩნევდა. სხვათა შორის, ისიც აუწყა, რომ მართლაც, თითქმის ოთხ წელზე მეტია აღარ ყოფილა რუსეთში, რომ საზღვარგარეთ იმიტომ გაგზავნეს, რაღაც სენი სჭირებოდა, ბნედის თუ ფილენჯის ქარის მსგავსი, რაღაც ცახცახი და კრუნჩხვები დასჩემებოდა. შავტუხამ ამის მოსმენისას რამდენჯერმე ჩაიღიმა, განსაკუთრებით იმაზე გაეცინა, როცა მის კითხვაზე – მერე და, მოგარჩინესო? – ქერათმიანმა უპასუხა – ვერა, ვერ მომარჩინესო.

– ჰე-ჰე! ვინ იცის, რამდენი ფული დაგახარჯინეს ტყუილად, ჩვენ კი აქ როგორ გვჯერა მაგათი, – გესლიანად დაურთო შავტუხამ.

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ! – ჩაერია საუბარში ერთი გვერდით მჯდომი, უხეიროდ ჩაცმული ჯმუხი ვაჟბატონი, ასე ორმოციოდე წლისა, წითელი ცხვირისა და ფერიმჭამელებიანი სახის პატრონი. ზედ ეტყობოდა, კანცელარიებში გამოქექილი მოხელე უნდა ყოფილიყო, – სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაშა, ყოველივე სიკეთეს ტყუილად გვცანცლიან!

– ჰო, რარიგ სცდებით ამ ჩემს ამბავში, – მიუგო ამაზე შვეიცარიელმა პაციენტმა მშვიდად და ნელა, – რა თქმა უნდა, გამოდავება არ შემიძლია, სხვებისა არ ვიცი, მაგრამ ჩემმა ექიმმა უკანასკნელი ფულიც მე გამინაწილა სამგზავროდ და იქ კიდევ თითქმის ორი წელი თავის ხარჯზე მაცხოვრა.

– არავინ გყავდათ ფულის გამომგზავნი? – ჰკითხა შავტუხამ.

– ბატონი პავლიშჩევი, ვინც იქ მინახავდა, ორი წლის წინ გარდაიცვალა. შემდეგ მოვწერე გენერალ ეპანჩინის მეუღლეს, ჩემს შორეულ ნათესავს, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. მეც ავდექი და ჩამოვედი.

– სად ჩამოხვედით მაინც?

– მაშასადამე, სად გავჩერდები, არა.. ჯერ არ ვიცი მართლაც... ალბათ სადმე...

– ჯერ არ გადაგიწყვეტიათ?

ორივე მსმენელმა ხარხარი ატეხა.

– მგონი ეგ ბოხჩა მთელ თქვენს ავლადიდებას შეადგენს – ჩაჰკითხა შავტუხამ.

– სანაძლეოს დავდებ, რომ ეგრეა, – მეტისმეტი ნაამები სახით დაუკრა კვერი წითელცხვირა მოხელემ, – და რომ საბაჟო ვაგონებს მაგის სხვა ბარგი არ მოსდევს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ სიღარიბე ცოდვად არ ჩაითვლება.

მართლაც, ასე გამოდგა. ქერა ყმაწვილი კაცი მაშინვე გამოტყდა ამაში.

– მაგ თქვენს ბოხჩას წონა მაინც არ უნდა აკლდეს, – განაგრძო მოხელემ, როცა ხარხარით გული იჯერეს (საოცარი ის იყო, რომ ბოხჩის პატრონსაც აუტყდა ბოლოს სიცილი მათ შემხედვარეს, რამაც უფრო მეტად გაამხიარულა მსმენელნი), – მართალია, სანაძლეოს ჩამოვალ, რომ შიგ არც ოქრო, არც ნაპოლეონდორებისა და ფრიდრიჰდორების საზღვარგარეთული დასტები გიწყვიათ, არც ჰოლანდიური არაბულები, რაც მაგ საზღვარგარეთულ შტიბლეტებითაც შეიტყობა, მაგრამ... თუ მაგ ბოხჩას ისეთ ნათესავს დავუმატებთ, როგორიც, მაგალითად, გენერალ ეპანჩინის მეუღლე გახლავთ, მაშინ ბოხჩასაც სხვა წონა მიეცემა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ გენერალ ეპანჩინის მეუღლე მართლაც ნათესავად გერგებათ და დაუდევრობას შეცდომაში არ შეუყვანიხართ... რაც ყოველ კაცს ძალიანაც სჩვევია, თუნდაც... გადაჭარბებული წარმოდგენის წყალობით.

– ოჰ, ეგეც გამოიცანით, – ჩამოართვა სიტყვა ქერა ყმაწვილმა, – მართლაც, თითქმის ვცდები, ესე იგი ნათესავად თითქმის არც მომხვდება, იმდენად, რომ, მართალი გითხრათ, სულაც არ გამკვირვებია, როცა არ მიპასუხეს. ეგრეც ველოდი.

– მაშ, ტყუილად დაგიხარჯავთ ფული წერილის ფრანკირებაზე[2]. ჰმ... ყოველ შემთხვევაში, მიამიტობა და გულწრფელობა გჩვევიათ, რაც მოსაწონ არს! ჰმ... გენერალ ეპანჩინს ვიცნობთ, როგორ არა, თუნდაც იმიტომ, რომ საყოველთაოდ ცნობილი კაცი გახლავთ. განსვენებული ბატონი პავლიშჩევიც ვიცით, თქვენ რომ შვეიცარიაში ხელს გიმართავდათ, თუ ის ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევია, ისინი ბიძაშვილები იყვნენ. მეორე აქამდე ყირიმში ცხოვრობს. განსვენებული ნიკოლაი ანდრეევიჩი დარბაისელი კაცი იყო, კარგი ნაცნობობა ჰქონდა, ოთხი ათასი სული ყმა ჰყავდა თავის დროზე...

– სწორედ ეგრეა, ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევი ერქვა, – მიუგო ყმაწვილკაცმა და დაკვირვებით შეათვალიერა ყოვლისმცოდნე ბატონი.

ასეთი ყოვლისმცოდნე ბატონები ხანდისხან, წარმოიდგინეთ, საკმაოდ ხშირადაც კი, გარკვეულ საზოგადოებრივ ფენაში შეგხვდებიან კაცს. მათ ყოველივე იციან, მათი ჭკუისა და ნიჭის მოუსვენარი, მცდელი თვალი შეუკავებლივ მიიღტვის ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, უფრო ყურადსაღები სასიცოცხლო ინტერესებისა და შეხედულებათა უქონლობის გამოო, როგორც იტყოდა თანამედროვე მოაზროვნე. თუმცა სიტყვა „ყოვლის მცოდნეობაში“ საკმაოდ შეზღუდული არე უნდა იგულისხმო. მაგალითად მავანი და მავანი კაცი სად მსახურობს, ვის იცნობს, რა შეძლების პატრონია, სად იყო გუბერნატორად, ვინ ჰყავს ცოლად, ცოლს რა მზითევი მოჰყვა, ბიძაშვილად თუ ბიძაშვილიშვილად ვინ ერგება, ერთი სიტყვით, სულ ასე და ამგვარად. მეტწილად, ეს ყოვლისმცოდნენი იდაყვგამოყრილები დადიან და თვეში ჯამაგირი ჩვიდმეტი მანეთი აქვთ. ისინი კი, ვისი ასავალ-დასავალიც მათ ასე წვრილად იციან, ცხადია, ვერც მოიფიქრებენ, რა ინტერესი ამოძრავებთ მათ, თუმცა ბევრ მათგანს ეს ცოდნა, ცოდნა კი არა, მთელი მეცნიერება, დიახაც, ნუგეშს აძლევს, საკუთარ პატივისცემას უღვივებს და უდიდეს სულიერ სიამოვნებასაც ანიჭებს. თან ფრიად მაცდური მეცნიერებაც გახლავთ. ბევრი მეცნიერი, ლიტერატორი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე მინახავს, ამ მეცნიერების წყალობით რომ ჰპოვეს თუ ჰპოვებენ უდიდეს სულიერ სიმშვიდესა და მიზანს. ასე გასინჯეთ, გადაჭრით ამის მეოხებითაც შეიქმნეს კარიერა. მთელი ამ საუბრის მანძილზე შავტუხა ყმაწვილი ხან ამთქნარებდა, ხან, უმიზნოდ იყურებოდა სარკმელში და მოუთმენლად ელოდა მგზავრობის დასასრულს. რაღაც უგულისყურობა, რაღაც მეტისმეტი გონებადაფანტულობა, ლამის შეშფოთება ეტყობოდა. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა ხან უსმენდა და არც უსმენდა, ხან უყურებდა და არც უყურებდა, იცინოდა და თვითონაც არ იცოდა ზოგჯერ, რაზე იცინოდა.

– მაპატიეთ, ვისთან მაქვს პატივი... – მიუტრიალდა ანაზდად ფერიმჭამელებიანი ვაჟბატონი ქერა ყმაწვილს, ბოხჩა რომ ეკავა.

– თავადი ლევ ნიკოლაევიჩ მიშკინი გახლავართ – მიუგო დიდის ხალისით მყისვე.

– თავადი მიშკინი ლევ ნიკოლაევიჩი არ ვიცი და არც გამიგია, – მიუგო ჩაფიქრებით მოხელემ. – ესე იგი, გვარზე არ მოგახსენებთ, გვარი ისტორიული გახლავთ. კარამზინის ისტორიაში შეგიძლიათ ნახოთ და ნახავთ კიდეც[3]. მე პიროვნებაზე მოგახსენებთ. ესეც კია, თავადი მიშკინები რაღაც აღარ ჩანან, მათი ხსენებაც მიწყდა.

– ოჰ, დიახაც ეგრეა, – მაშინვე მიაგება თავადმა, – თავადი მიშკინები ახლა აღარ არიან, მე დავრჩი მხოლოდ, მგონი, უკანასკნელი მე უნდა ვიყო. ჩვენს მამა-პაპას რაც შეეხება, მეკომური გლეხებიც[4] ერივნენ მათში. მამაჩემი პოდპორუჩიკი იყო, იუნკერთა სკოლიდან. მაგრამ გენერალ ეპანჩინის მეუღლე საიდან არის მიშკინთა ასული, ეს კი არ ვიცი, ალბათ ისიც უკანასკნელი...

– ჰი-ჰი-ჰი! უკანასკნელიო! ჰი-ჰი! ეგ როგორ შეატრიალეთ, – ახითხითდა მოხელე.

ღიმი მოერია შავტუხასაც. ქერა ყმაწვილი, ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა, კალამბური რომ გამოუვიდა, თუმცა საკმაოდ უკბილო.

– წარმოიდგინეთ, სავსებით დაუფიქრებლად მომივიდა, – განმარტა ბოლოს გაკვირვებულმა.

– გასაგებია, გასაგებია, – მხიარულად დაემოწმა მოხელე.

– განა სწავლითაც იქ სწავლობდით, თავადო, პროფესორთან – იკითხა უეცრად შავტუხამ.

– დიახ... ვსწავლობდი...

– აგერ, მე თავის დღეში არაფერი მისწავლია.

– მეც ხომ ისე, ზოგი რამ მხოლოდ, – ლამის მოიბოდიშა თავადმა, – ავადმყოფობის გამო ჩემს სისტემატურ სწავლას არ თვლიდნენ აუცილებლად.

– როგოჟინებს იცნობთ? – უეცრად შეეკითხა შავტუხა.

– არა, არ ვიცნობ, რუსეთში მე ხომ ბევრს არ ვიცნობ, როგოჟინი თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, მე, პარფენ როგოჟინი.

– პარფენიო ოო, იმ როგოჟინების ხომ არა... – წამოიწყო მოხელემ მრავლისმეტყველად.

– დიახ, დიახ, იმ როგოჟინების, – უბოდიშოდ გააწყვეტინა შავტუხამ, რომელსაც ერთხელაც არ მიუმართავს ამ ფერისმჭამელებიანი ვაჟბატონისათვის, თავიდანვე მხოლოდ თავადს ელაპარაკებოდა.

– ეგ... ეგ როგორ? – გაოცებისაგან სახტად დარჩა მოხელე და ლამის თვალები წამოსცვივდა, სახეზე მყის რაღაც მოწიწებისა და პირმოთნეობის, თითქოს შიშის იერი გამოეხატა, – მაშ იმ სემიონ პარფენოვიჩ როგოჟინის, ჩამომავლობით, საპატიო მოქალაქისა, ვინც ამ ერთი თვის წინათ გარდაიცვალა და ორ მილიონ-ნახევარი ფული დარჩა?

– შენ საიდან იცი, რომ ორ მილიონ-ნახევარი ნაღდი ფული დარჩა? – გააწყვეტინა შავტუხამ, რომელმაც არც ამჯერად სცნო მოხელე შეხედვის ღირსად, – ამას უყურე?! – თვალი ჩაუკრა მოხელეზე თავადს, – ნეტა რას გამოელიან, ხელდახელ კუდში რომ გამოგებმევიან? თუმცა მართალი კია, რომ მამაჩემი გარდაიცვალა და მეც აგერ, ფსკოვიდან ერთი თვის შემდეგ თითქმის ფეხშიშველი ვბრუნდები შინ. არც ჩემმა არამზადა ძმამ, არც დედამ კაპიკი არ გამომიგზავნეს და არც არაფერი მაცნობეს. ძაღლადაც არ ჩამაგდეს. ფსკოვში ერთი თვე ხურვებით ვეგდე!..

– ახლა კი ერთ კოხტა მილიონსა და მეტსაც მიიღებთ, სულ ცოტა, ამდენი მაინც იქნება. ოჰ, ღმერთო ჩემო! – ხელები გაასავსავა მოხელემ.

– მერე და, ამას რა, ერთი მითხარით!.. – გაგულისებით გაიქნია მისკენ თავი როგოჟინმა, – შენ ხომ ერთ კაპიკს არ მოგცემ, თუნდაც ყირაზე იარო ჩემ წინ.

– ვივლი, დიახაც ვივლი.

– შეხე! ხომ მაინც არ მოგცემ, არ მოგცემ, გინდ ერთი კვირა იხტუნო!

– ნუ მომცემ! ახია ჩემზე ნუ მომცემ! მე კი ვიხტუნებ. ცოლს, წვრილშვილს დავყრი, შენ წინ კი ვიხტუნებ! მოუქონე და მოგექონების!

– ფუჰ, შენს კაცობას! – გადააპურჭყა შავტუხამ და თავადს მიუტრიალდა, – ხუთი კვირის წინ მეც თქვენსავით ერთი ბოხჩის ამარა გავექეცი მამაჩემს, ფსკოვში წავედი დეიდასთან, იქ ხურვებამ ჩამაგდო, მამა კი უჩემოდ მოკვდა. სისხლი ჩაექცა. ღმერთმა აცხონოს, მე კი მაშინ კინაღამ არ შემოვაკვდი! დამიჯერებთ, თავადო, ღმერთმანი, მაშინ რომ არ გავქცეოდი, მართლა მომკლავდა.

– გააბრაზეთ რამეზე? – გაეხუმრა თავადი და რაღაც მეტისმეტი გულისყურით შეათვალიერა ტყაპუჭიანი მილიონერი. მილიონისა და მემკვიდრეობის მიღების ამბავში თუმცა კი იყო რაღაც ღირსშესანიშნავი, მაგრამ თავადი უფრო მეტად სხვამ გააკვირვა და დააინტერესა. თვითონ როგოჟინმაც რატომღაც განსაკუთრებული ხალისით აირჩია მოსაუბრედ თავადი, თუმცა მოსაუბრეს, როგორც ჩანს, მექანიკურად უფრო საჭიროებდა, ვინემ გული სთხოვდა, უფრო გონებადაფანტულობის წყალობით, ვინემ მიამიტობით; რაღაც მოუსვენრობა და მღელვარება უფრო ალაპარაკებდა, რა არის, ვინმესთვის ეცქირა და ენა მოექავებინა. თითქოს მთლიანად არ იყო მორჩენილი ხურვებისგან, ყოველ შემთხვევაში, აგზნებული სჩანდა. რაც შეეხება მოხელეს, ისე გადაფოფრებოდა და დაჰკანკალებდა როგოჟინს, ისე შესციცინებდა პირში და სუნთქვაშეკრული იჭერდა მის ყოველ სიტყვას, თითქოს მარგალიტები სცვიოდა პირიდან და ეშინოდა, არ დამეკარგოსო.

– გაბრაზებით კი გავაბრაზე! – მიუგო როგოჟინმა, – მხოლოდ ყველაზე მეტად ძმამ გამიჭირა საქმე. დედაჩემზე რა მეთქმის, მოხუცი ქალია, მთელი დღე თთუენს[5] კითხულობს, ერთთავად ბებრუხანები ახვევია ირგვლივ. რასაც ჩემი ძმა სენკა გადაწყვეტს, კანონად მიაჩნია. რატომაც! ეს კია, მაშინ უგონოდ ვიყავ. ამბობენ, დეპეშა გამოგზავნესო. მაგრამ დეპეშა დეიდაჩემს მოუვიდა. ის კი აგერ ოცდაათი წელია ქვრივია, სულ სალოსები უზის დღედაღამ შინ. მონაზონი არაა, მაგრამ არც არაფერი უკლია. დეპეშამ ისე დააფრთხო, არც გაუხსნია, პირდაპირ პოლიციაში წარადგინა, ჰოდა, აქამდე იქ გდია თურმე. კიდევ კარგი, კონევმა, ვასილი ვასილიჩმა, მიშველა, თურმე ჩემს ძმას ღამით ოქროს ფუნჯები ჩამოუჭრია „აქაოდა, დიდი ფული ღირსო“. თუ მოვინდომე, მარტო ამისთვის ციმბირს შემიძლია გავუყენო, მკრეხელობაა და იმიტომ. ჰეი, შენ, საფრთხობელავ! – მიუტრიალდა როგოჟინი მოხელეს, – კანონი რას ამბობს ხომ მკრეხელობაა?

– მკრეხელობაა, მკრეხელობა, მაშ! – მყისვე დაუკრა კვერი მოხელემ.

– ციმბირში უკრავენ ხომ თავს?

– ციმბირში, ციმბირში, მაშინვე ციმბირში!

– იმათ ისევ ავად ვგონივარ! – კვლავ მიუბრუნდა როგოჟინი თავადს, – მე კი, სიტყვაც არ მითქვამს, ისე, ჩუმად, ისევ ავადმყოფი, ვაგონში ჩავჯექი და, აგერ, მოვდივარ. აბა, კარი გახსენ, ძმაო სემიონ სემიონიჩ! ცხონებულ მამაჩემს, ვიცი, სულ ჩემზე აქეზებდა, მე კი მაშინ მამაჩემი ნასტასია ფილიპოვნას გულისთვის რომ გავაგულისე, ეგეც მართალია. ამაში ბრალი მარტო მე მიდევს. ეშმაკმა მძლია.

– ნასტასია ფილიპოვნას გულისთვის? – მლიქვნელურად წარმოთქვა მოხელემ, თითქოს რაღაცას იგონებსო.

– ხომ არ იცნობ?! – მოუთმენლად შეუყვირა როგოჟინმა.

– რომ ვიცნობდე?! – ნიშნისმოგებით უპასუხა მოხელემ.

– აბა, უყურე! ნასტასია ფილიპოვნა ამქვეყნად ერთი კი არ არის?! არა, რა უტიფარი ვინმე ყოფილხარ მაინც! ასეც ვიცოდი თავიდანვე, ამისთანა უტიფარი რომ მაშინვე ამეკიდებოდა! – გაუგრძელა მან თავადს.

– რომ ვიცნობდე?! – ქოთქოთებდა მოხელე, – ლებედევი რომ იცნობდეს?! თქვენ, აგერ, მაყვედრით, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ რომ მართლა დაგიმტკიცოთ ნასტასია ფილიპოვნას გულისთვის არ იყო, მამათქვენმა ძახველის კეტით რომ ჭკუაზე მოყვანა ინება თქვენი, დიახ, ნასტასია ფილიპოვნა ბარაშკოვასი, ასე ვთქვათ, თავის მხრივ ლამის თავადის ქალის, რომელიც ვინმე ტოცკის, აფანასი ივანოვიჩის ახლობელია, მარტოდმარტო მისი. ის ტოცკი კი მემამულე და დიდზე დიდი კაპიტალისტია, კომპანიების და საზოგადოებების წევრი. ამიტომაცაა გენერალ ეპანჩინთან კუდი კუდსა აქვს გადაბმული...

– ეჰეი, ამას უყურე! – მართლაც გაოცდა როგოჟინი, – ფუი, ეშმაკმა იცის მაგისი თავი, მართლა არ სცოდნია?!

– მაშ, ყველაფერი იცის ლებედევმა. მე, თქვენო ბრწყინვალებავ, ორი თვე დავდევდი კუდში ალექსაშკა ლიხაჩევს, მამა რომ მოუკვდა, მერე. მისი ასავალ-დასავალი ყველაფერი ვიცი, უჩემოდ ბოლოს ნაბიჯსაც ვერ დგამდა. ამჟამად ვალებისთვის გახლავთ ჩაყუდებული, მაშინ კი მისი მეოხებით მომეცა შემთხვევა არმანსს, კორალიას, თავადის ქალ პაცკაიას და ნასტასია ფილიპოვნას გავცნობოდი და სხვაც ბევრი გამეგო.

– ნასტასია ფილიპოვნას განა ის ლიხაჩევთან... – ავი თვალი ჰკრა როგოჟინს, ტუჩებიც კი გადაუფითრდა და აუკანკალდა.

– აპა-პა, არაფერი! სულ არაფერი! – ენაზე იკბინა მოხელემ და ჰაიჰარად მოაყოლა, – ვერა ფულით ვერა გააწყო რა ლიხაჩევმა! არა, ეგ არმანსი არ გახლავთ. მარტო ტოცკია გარეული. საღამოობით დიდსა თუ ფრანგულ თეატრში საკუთარ ლოჟაში ბრძანდება გამოჭიმული. ოფიცრები რას არ უმტკიცებენ „აგერ, ის არისო ნასტასია ფილიპოვნა“, და მეტი არაფერი. სხვა ვეღარას ამატებენ, ვეღარას. იმიტომ რომ არც არაფერი აქვთ სათქმელი.

– ეგრეც არის, – წარბი შეიკრა როგოჟინმა, – ზალიოჟევმაც მაშინ ეგრევე მითხრა ერთხელ, თავადო, მამაჩემის სამი წლის ნათრევი ბეკეშით ნევსკიზე გადავრბოდი, ის კი ამ დროს მაღაზიიდან გამოვიდა. კარეტაში ჩაჯდა. იქვე დამეცა მეხი. ზალიოჟევი შემხვდა სწორედ. აბა, სად მე და სად ის! პარიკმახერის შეგირდივით იყო გამოწყობილი, ლორნეტი ეკეთა თვალზე, მამაჩემს კი გაპოხილი ჩექმების გარდა სხვა არ უღირსებია ჩვენთვის, უხორცო შჩიზე გადავდიოდით. მითხრა, ეგ შენი ტოლი არ გეგონოს, თავადის ქალია, ნასტასია ფილიპოვნა ჰქვია, გვარად ბარაშკოვაა და ტოცკისთან ცხოვრობსო. ტოცკიმ კი ახლა აღარ იცის როგორ მოიშოროს თავიდან, იმიტომ, რომ უკვე კარგა ხნის არის, ორმოცდათხუთმეტისა, და მთელ პეტერბურგში ულამაზესი ქალის თხოვნას აპირებსო. მანვე ჩამაგონა მაშინ, დღესვე შეგიძლია ნასტასია ფილიპოვნას ხილვა, დიდ თეატრში იქნება, ბალეტს დაესწრება, თავის ლოჟაში, ბენუარში იჯდებაო. მამაჩემის ხელში კი კაი ბიჭი იყავ, ბალეტზე წასვლა გაგებედა, იქვე გაგათავებდა! მე მაინც ერთი საათით უჩუმრად გავიპარე და ნასტასია ფილიპოვნა ისევ ვნახე. მთელი ის ღამე თეთრად გავათენე. დილას ცხონებულმა ორი ხუთპროცენტიანი ბილეთი მომცა, ხუთ-ხუთ ათასიანი თითო. წადიო, მითხრა, გაყიდე, შვიდი ათას ხუთასი ანდრეევების კანტორაში წაიღე, გადაიხადე, დანარჩენი კი მომიტანე, არსად გაუხვიო, იცოდე, აქ დაგელოდებიო. ბილეთები კი გავყიდე, ფულიც ავიღე, მაგრამ ანდრეევის კანტორის ნაცვლად

პირდაპირ ინგლისური მაღაზიისკენ გავწიე და მთელი ეს ფული წყვილ საყურეში მივეცი. თითქმის თხილისტოლა ბრილიანტი ჰქონდა თითოს, ოთხასი მანეთი დამაკლდა კიდევ, მაგრამ ჩემი გვარი რომ ვუთხარი, მენდნენ. საყურიანად პირდაპირ ზალიოჟევს მივადექი ასეა და ასეა, ძმაო, ნასტასია ფილიპოვნასთან უნდა გამომყვე-თქო. წავედით. სად მივდიოდი, რას ვუყურებდი, აქეთ-იქით რა იყო, ვერაფერს ვამჩნევდი და არაფერი მახსოვს. პირდაპირ დარბაზში შეგვიყვანეს. თვითონ გამოვიდა ჩვენთან. მაშინ არ მითქვამს, ვინც ვიყავ, რომ პირის სანახავი ჩემგან იყო „პარფენ როგოჟინმა მოგართვათო, – უთხრა ზალიოჟევმა, – გუშინდელი შეხვედრის სახსოვრად, უარი არ ბრძანოთო“. გახსნა, დახედა და ჩაიცინა „მადლობა მოახსენეთ თქვენს მეგობარ უფალ როგოჟინს ასეთი თავაზიანობის გამოჩენისთვისო“, თავი დაგვიკრა და გავიდა. ნეტავ მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე მაშინ! წასვლითაც იმიტომ წავედი, რომ გადაწყვეტილი მქონდა, სულ ერთია, ცოცხალი არ დავბრუნდები-მეთქი! ყველაზე მეტად ის მეწყინა, რომ იმ თაღლითმა ზალიოჟევმა თვითონ მიიწერა ყველაფერი. მე ტანითაც მორჩილი ვიყავი, ცუდი ჩაცმული, ენასაც ვერ ვძრავდი, მარტო ლენჩივით მივშტერებოდი, მრცხვენოდა და იმიტომ, ლოყებღაჟღაჟა ზალიოჟევი კი, მოდაზე გამოწკეპილი, თმა გაპომადებული და დახვეული, კუბოკრული ჰალსტუხითაც ყელზე, – ენას არ აჩერებდა, წარამარა თავს უკრავდა, ფეხს ფეხზე ურტყამდა. ვინ იცის, მე ვეგონე! „აბა, გულში არაფერი ჩაიდო, იცოდე“, – ვუთხარი გამოსვლისას. გაეცინა „ნეტავ სემიონ პარფენოვიჩს რა პასუხს აძლევთო“ გულში მართლაც გადაწყვეტილი მქონდა, შინ აღარ მივსულიყავი და პირდაპირ წყალში გადავვარდნილიყავ, მაგრამ ვიფიქრე, იქაც ის დღე მელის-მეთქი, და გულმკვდარი წამოვეხეტე შინ.

– უჰ! უჰ! – იგრიხებოდა მოხელე და მთელი სხეული უკანკალებდა, – მერედა, ცხონებული ათი ათასის კი არა, ათი მანეთის გულისთვის საიქიოში გაისტუმრებდა კაცს, – დაუქნია თავი თავადს. თავადი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა როგოჟინს;

ის კი თითქოს უფრო გადაფითრებულიყო იმ წუთს.

– გაისტუმრებდა! – გაიმეორა როგოჟინმა, – შენ რა იცი მერე? მაშინვე, – მიუბრუნდა იგი თავადს, – შეიტყო ყოველივე. ზალიოჟევმაც, ვინც კი შეხვდა, ყველასთან მოხსნა გუდას პირი. ჰოდა, მამაჩემიც ადგა და ზემოთ ამიყვანა, ჩამკეტა, მთელი საათი მასწავლიდა ჭკუას. „ესაო, მითხრა, ჯერ შესავალიაო, ღამით კიდევ შემოგივლი ძილი ნების სათქმელადო“. და რა გგონია ეს ჭაღარა კაცი ნასტასია ფილიპოვნას მიადგა, სულ იატაკს ურტყა თურმე თავი, ემუდარა და ცრემლები ღვარა, გამოუტანა იმანაც ბოლოს კოლოფი და თავში ახალა „აჰა, საყურე, შე ბეხრეკო, ახლა ათჯერ უფრო ძვირად მიღირს ეგენი, რაკი ასეთი ღვთის რისხვით მოუპოვებია პარფენსო. მოიკითხე და მადლობა მოახსენე ჩემგან პარფენ სემიონოვიჩსო!“ მე კი ამასობაში, დედაჩემის ნებართვით, სერიოჟკა პროტუშინს ორი თუმანი ვესესხე, მატარებელს დავაჯექი და ფსკოვს გავსწიე. ჩავედი, უკვე ციება მქონდა შეყრილი. იქ გახეთქილ მთვრალს ბებრუხუნებმა შელოცვა დამიწყეს. მერე ავდექი და დუქან-დუქან ვიხეტიალე დარჩენილი ფულით. მთელი ღამე უგრძნობლად ვეგდე ქუჩაში, დილას კი ხურვება დამეწყო, თანაც ღამით თურმე ძაღლებს დავუკბენივარ. ძლივ-ძლივობით მოვეგე გონს.

– ვაჰ, ახლა რა სხვანაირად აგვიმღერდა ნასტასია ფილიპოვნა?! – ხითხითებდა და ხელებს იფშვნეტდა მოხელე, – ახლა, ბატონო ჩემო, საყურე რაა! ახლა ისეთ საყურეს ვუბოძებთ...

– იცი, ერთი სიტყვა თუ კიდევ დაგცდენია ნასტასია ფილიპოვნაზე, აგერ, ღმერთია მოწამე, სულ აგაჭრელებ, ლიხაჩევთან ქრიალი აღარ გიშველის! – ხელი სტაცა და დაუტია როგოჟინმა.

– თუ ამაჭრელებ, მაშ არც გამაგდებ! ამაჭრელე! ამაჭრელებ და მაშ ბეჭედსაც დამასვამ... ვაჰ, ჩამოვსულვართ კიდეც!

მატარებელი, მართლაც, სადგურში შედიოდა. როგოჟინმა თუმცა თქვა, ჩუმად გამოვიპარეო, მაგრამ აქ უკვე რამდენიმე კაცი ელოდებოდა. ქუდებს უქნევდნენ და კიჟინებდნენ.

– შეხე, ზალიოჟევიც აქ ბრძანებულა! – ჩაიბუტბუტა როგოჟინმა და ნიშნისმოგებით, ღვარძლიანი ღიმილით გახედა მათ. მერე უცებ თავადს მიუტრიალდა – არ ვიცი, თავადო, რატომ შემივარდა შენზე გული. ეგებ იმიტომ, რომ ასეთ დროს შემხვდი, მაგრამ აგერ ესეც ხომ შემხვდა, მიუთითა ლებედევზე, მაგაზე ხომ არ შემვარდნია გული. მეწვიე, თავადო. ჩვენ მაგ შტიბლეტებს გაგხდით, კვერნის ქურქში გამოგაწყობთ საუკეთესოში, ფრაკს შეგიკერავთ მშვენიერს, თეთრ ჟილეტს ანდა როგორსაც მოისურვებთ, ჯიბეებს ფულით აგივსებთ და... ნასტასია ფილიპოვნასთან გავწიოთ! მოხვალ თუ არა

– უსმინეთ, თავადო ლევ ნიკოლაევიჩ! – რიხიანად დასძინა ლებედევმა, – არ გაუშვათ შემთხვევა! არ გაუშვათ!..

თავადი მიშკინი წამოიწია, ზრდილობიანად გაუწოდა ხელი როგოჟინს და უთხრა

– დიდი სიამოვნებით გეწვევით და დიდ მადლობასაც მოგახსენებთ, რომ შემიყვარეთ. თუ მოვასწარი, იქნებ დღესაც გეწვიოთ. იმიტომ, რომ გულახდილად გეტყვით, მეც ძალზე მომეწონეთ, განსაკუთრებით, როცა ბრილიანტის საყურეების ამბავი მიამბეთ. იცით, საყურეებზე ადრეც მომეწონეთ, თუმცა მოღუშული სახე გაქვთ. მადლობას მოგახსენებთ იმაზეც, რომ ტანსაცმელსა და ქურქს შემპირდით, რადგან ტანსაცმელი და ქურქი მართლაც მალე დამჭირდება. ამ წუთში თითქმის უკაპიკოდ ვარ.

– ფული მექნება, საღამოს მექნება, მოდი!

– ექნება, ექნება, – კვერი დაუკრა მოხელემ, – საღამოს ექნება, მზის ჩასვლამდე!

– ქალები თუ გიყვართ, თავადო ჯერ ეგ მითხარით!

– მე. არა! მე ხომ... თქვენ ალბათ არ იცით, მე ხომ ჩემი თანდაყოლილი სენის გამო, ქალებისა სულ არაფერი ვიცი.

– ჰო, თუ ეგრეა, სალოსი ყოფილხარ და ეგაა, თავადო, – შესძახა როგოჟინმა, – შენისთანებს კი ღმერთი სწყალობს!

– შენისთანებს კი ღმერთი სწყალობს, – მხარი აუბა მოხელემაც.

– შენ მე მომყევი, ქაღალდის ჭიავ! – უთხრა როგოჟინმა ლებედევს და ყველანი გავიდნენ ვაგონიდან.

ლებედევმა მაინც თავისას მიაღწია ბოლოს. მალე მთელი ეს ხროვა ერთი ღრიანცელით გაემართა ვოზნესენსკის პროსპექტისაკენ. თავადს ლიტეინაიაზე უნდა შეეხვია. ნაწვიმარი იყო. მან გამვლელებში მოიკითხა, – თურმე სამიოდე ვერსი კიდევ იქნებოდა იქამდე, სადაც მისვლას აპირებდა, ამიტომაც ეტლის აყვანა ირჩია.

II

გენერალი ეპანჩინი საკუთარ სახლში ცხოვრობდა ლიტეინაიას ცოტა მოშორებით, ფერისცვალების ტაძრისკენ. ამ მშვენიერი სახლის გარდა, რომლის ხუთი-მეექვსედი გაქირავებული იყო, გენერალ ეპანჩინს კიდევ კარგა დიდი სახლი ედგა სადოვაიაზე და ისიც დიდ შემოსავალს აძლევდა. ამ ორი სახლის გარდა ზედ პეტერბურგთან ფრიად შემოსავლიანი და კარგა დიდი მამულიც ჰქონდა. პეტერბურგის მაზრაში კიდევ რაღაც ფაბრიკა ეკუთვნოდა. როგორც საყოველთაოდ ცნობილი იყო, გენერალი ეპანჩინი ძველად მოიჯარადეობას ეწეოდა

თურმე. ამჟამად კი ზოგიერთ ფრიად საიმედო სააქციონერო კომპანიებში მონაწილეობდა და დიდი გავლენითაც სარგებლობდა იქ. მას ფულიანი, საქმიანი და დიდი ნაცნობობის მქონე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ისიც მოახერხა, რომ აქა-იქ ყოვლად საჭირო კაცი შეიქმნა, სხვათა შორის, საკუთარ სამსახურშიც. თუმცა ისიც ცნობილი იყო, რომ ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინს სწავლა-განათლება არ ჰქონდა მიღებული და წარმოშობით ჯარისკაცის შვილი იყო. ეს უკანასკნელი გარემოება, უეჭველია, საამაყოდაც უნდა დარჩენოდა, მაგრამ გენერალს, ჭკუის მიუხედავად, პატარა, ფრიად საპატიო ცოდვები სჩვეოდა, გადაკრულები არ უყვარდა. მაგრამ მოხერხებული და ჭკვიანი კაცი რომ იყო, ეს უდავოა. მაგალითად, წესად ჰქონდა შემოღებული, არასოდეს წამოჩრილიყო წინ, თუ საჭიროება შეიქნებოდა, ჩრდილში გამდგარიყო. ჰოდა, ბევრნი კიდევ აფასებდნენ სწორედ ამ თავმდაბლობისთვის, სწორედ იმიტომ, რომ თავისი ადგილი მუდამ იცოდა. მაგრამ ამ მსაჯულთ რომ სცოდნოდათ, რა ხდებოდა ხანდახან ამ თავისი ადგილის მშვენივრად მცოდნე ივან ფიოდოროვიჩის გულში! მართალია, ცხოვრების პრაქტიკა და გამოცდილება ჰქონდა, შესანიშნავი ნიჭიც აღმოაჩნდა. ზოგ რამეში, მაგრამ თავს უფრო მეტად სხვისი იდეის შემსრულებლად ასაღებდა, ვიდრე თავის ჭკუის მქონედ, „ულიქნო ერთგულად“[6] და ვაჰ, დრონი, დრონი! ასე გასინჯეთ, რუსად და გულითად კაცად მოჰქონდა თავი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ რამდენიმე სასაცილო ანეგდოტიც კი შეამთხვია, მაგრამ გენერალს იხტიბარი არასოდეს გაუტეხია, თუნდაც სასაცილოზე სასაცილო ანეგდოტი დამართნოდეს. თან ბედიც ყველაფერში სწყალობდა, წარმოიდგინეთ, ბანქოშიც კი, თუმცა დიდ ფულზე თამაშობდა და განზრახ არათუ ჩქმალავდა ამ თავის ვითომდა პატარა ცოდვას – ბანქოს ტრფიალს, სააშკარაოდაც ხდიდა, რამეთუ ამ ამბავმა ბევრ შემთხვევაში არსებითი სიკეთე მოუტანა. საზოგადოება ჭრელი ეხვია ირგვლივ, ყოველ შემთხვევაში, „ბობოლებიდან“ შემდგარი. მაგრამ ცხოვრებას ხომ ახლა არ ათავებდა, დრო ითმენდა, დრო ყველაფერს ითმენდა, ასე რომ თავის დროზე და რიგზე ყველაფერი მოესწრებოდა. ასაკითაც გენერალი ეპანჩინი, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ დაღვინების ასაკში იყო, მაშასადამე, ასე ორმოცდათექვსმეტი წლისა, არამც და არამც მეტის. ეს კი გაფურჩქვნის ასაკს წარმოადგენს, მამაკაცისთვის ჭეშმარიტი ცხოვრება სწორედ ამ ასკიდან იწყება ხოლმე. ჯანი, სახის ფერი, მაგარი, თუმცა ჩაჟანგული კბილები, ჩასკვნილი ტანადობა, შეფიქრიანებული გამომეტყველება დილდილაობით სამსახურში, საღამოს ბანქოს თამაშისას თუ მის ბრწყინვალებასთან ყოფნისას კი მხიარული – ყოველივე ეს ხელს უწყობდა ახლანდელ თუ მომავალ წარმატებებს და მის აღმატებულებას ფიანდაზად უშლიდა ცხოვრებას.

გენერალს ოჯახიც დიდებული ჰყავდა. მართალია, არც მთლად უეკლოდ ჰქონდა აქ საქმე, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი ისეთი რამ გააჩნდა, რასაც დიდი ხანია უკვე სერიოზულად და გულითადად ემყარებოდა მისი აღმატებულების უმთავრესი იმედები და მიზნები. თანაც მშობლის მიზანზე უფრო წმინდა და მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს ამ ცხოვრებაში ვის უნდა დაენდო, თუ არა შენს ოჯახს გენერლის ოჯახს მისი ცოლი და სამი მოწიფული ქალი შეადგენდა. ცოლი გენერალს კარგა დიდი ხანია, რაც შეერთო, ჯერ კიდევ პორუჩიკის ჩინი რომ ჰქონდა; შეირთო თითქმის თავისი კბილა არც დიდი სილამაზისა და არც დიდი განათლების პატრონი, რომელსაც მზითვად მხოლოდ ორმოცდაათიოდე სული მოჰყვა; თუმცა სწორედ ამან ჩაუყარა საძირკველი მის შემდგომ კეთილდღეობას. მაგრამ გენერალს შემდეგში არასოდეს გამოუთქვამს სამდურავი ამ თავის ნაადრევ ქორწინებაზე, არასოდეს მოუხსენებია აბუჩად, ვითარცა წინდაუხედავი სიყმაწვილის გატაცება. ცოლს ესოდენ პატივს სცემდა და ხანდახან ესოდენ ეშინოდა მისი, რომ კიდეც უყვარდა. გენერლის ცოლი თავად მიშკინთა ჩამომავლობას

ეკუთვნოდა. მართალია, დიდად ბრწყინვალე გვარს ისინი არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ძველისძველი ჩამომავლობა კი ჰქონდათ და გენერლის ცოლსაც ამით ფრიად მოჰქონდა თავი. ერთმა იმხანად გავლენიანმა პირმა რატომღაც ინება ახალგაზრდა თავადის ასულის ქორწინებისთვის ყურადღება მიექცია, თუმცა იმ მექომაგეთა რიცხვს კი ეკუთვნოდა, რომელთაც თავიანთი ქომაგობა არაფრად უჯდებათ. მან კარი გაუხსნა ახალგაზრდა ოფიცერს და ბიძგი მისცა, ხოლო ამ ყმაწვილს ბიძგი კი არა, ერთი გამოხედვაც ეყოფოდა, რომ ცხოვრებაში არ დაკარგულიყო! თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, თავიანთი კარგა გრძელი იუბილის მთელი ხანი ცოლ-ქმარმა შეხმატკბილებით გაატარა. ჯერ კიდევ ყმაწვილობის წლებში გენერლის ცოლმა, ვითარცა დაბადებით თავადის ასულმა და თავისი გვარის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, ან ეგებ საკუთარი ზნე-ნირის წყალობით, შეძლო ზოგიერთ დიდად წარჩინებულ მანდილოსანთა მფარველობა დაემსახურებინა. შემდეგში, როცა მისმა მეუღლემ სიმდიდრე და სამსახურებრივი გავლენა მოიპოვა, ამ მაღალ წრეში ცოტა არ იყოს კიდეც გაშინაურდა.

ამ უკანასკნელ წლებში წამოიზარდა და მოიწიფა გენერლის სამივე ქალი – ალექსანდრა, ადელაიდა და აგლაია. მართალია, სამივე მხოლოდ ეპანჩინები იყვნენ, მაგრამ დედის მხრივ თავადიშვილური ჩამომავლობა ჰქონდათ, არც მზითევი მიჰყვებოდათ ცოტა, მამასაც შემდეგში შეიძლება ფრიად დიდი ადგილი დაეკავებინა, და, რაც არანაკლებ სათვალავში ჩასაგდები იყო, სამივე, უფროსი ქალის ალექსანდრას ჩათვლით, უკვე ოცდახუთი წელი რომ შესრულებოდა, შესახედავად იშვიათი ლამაზები გახლდნენ. შუათანა ოცდასამი წლისა იყო, პატარა, აგლაია კი, ახლახან გამხდარიყო ოცისა. ეს უმცროსი ქალი, მართლაც, კალმით ნახატი იყო და საზოგადოებაში უკვე დიდ ყურადღებას იმსახურებდა. მაგრამ ეს კიდევ რა სამივენი განათლებით, ჭკუითა და ნიჭითაც გამოირჩეოდნენ. ისიც ცნობილი იყო, რომ ერთმანეთის საოცარი სიყვარული და ერთგულება ჰქონდათ. ხმები დადიოდა, ვითომდა ორ დას თავიანთი მზითვის წილი მთელი ოჯახის სათაყვანო უმცროსი ქალისთვის დაეთმო. საზოგადოებაში არათუ თავის გამოჩინება სჩვეოდათ, მეტისმეტი მორიდებით ეჭირათ თავი. ქედმაღლობასა და მედიდურობას ვერავინ შესწამებდათ, თუმცა კი ყველამ იცოდა, არც სიამაყე აკლდათ და თავისი ყადრიც მშვენივრად იცოდნენ. უფროსი მუსიკოსი იყო, შუათანა - შესანიშნავი მხატვარი, მაგრამ ეს ამბავი წლების მანძილზე არავის შეუტყვია, მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში გამომჟღავნდა და ისიც შემთხვევით. ერთი სიტყვით, ეპანჩინის ქალებზე მეტისმეტი ქება-დიდება დადიოდა. მაგრამ გამკილავებიც არ აკლდათ. შეძრწუნებით ამბობდნენ, რომ რამდენიმე წიგნი ჰქონდათ წაკითხული, რომ გათხოვებას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ, საზოგადოების გარკვეულ წრეს, მართალია, აფასებდნენ, მაგრამ არცთუ დიდად. ეს ამბავი კი მით უფრო გასაოცრად რჩებოდა, რომ მამის მიდრეკილება, ზნე, მიზნები და სურვილები ყველამ იცოდა. თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა თავადმა გენერლის ბინაზე დარეკა ზარი. გენერალი მეორე სართულზე ცხოვრობდა. დიდი მდიდრული ბინა, მართალია, არ ჰქონდა, მაგრამ მისი მდგომარეობის შესაფერისი კი იყო. კარი ლივრეაში გამოწყობილმა ლაქიამ გაუღო. თავადს კარგა ბევრი ახსნა-განმარტება დასჭირდა ამ კაცთან, რომელმაც თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედა მასა და მის ბოხჩას. ბოლოს, არა ერთი განცხადების შემდეგ, რომ მართლაც თავადი მიშკინია და აუცილებლად სჭირდება გენერლის ხილვა გადაუდებელი საქმის გამო, შეცბუნებულმა მსახურმა ის იქვე, გვერდით, პატარა დერეფანში მიაბრძანა, კაბინეტთან მდებარე მისაღების წინ, და მეორე მსახურს გადაულოცა, რომელიც დილ-დილაობით მორიგეობდა ხოლმე ამ დერეფანში და გენერალს ნახვის მსურველებზე მოახსენებდა. ეს მეორე მსახური,

რომელსაც ფრაკი ეცვა, ორმოც წელს იქნებოდა გადაცილებული, შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა, მისი აღმატებულების კაბინეტის სპეციალური მსახური და მომხსენებელი გახლდათ და თავსაც დიდად იფასებდა.

– მოსაცდელში წაბრძანდით, ეგ ბოხჩა კი აქ დატოვეთ, – წარმოთქვა მან, მერე დინჯად ჩაჯდა თავის სავარძელში და გოროზი გაკვირვებით შეაცქერდა თავადს, რომელიც გვერდით მოუჯდა სკამზე თავის ბოხჩიანად.

– თუ ნებას დამრთავთ, აქ მირჩევნია, თქვენთან, იქ მარტომ რა ვაკეთო?

– დერეფანში ჯდომა არ შეგფერით, მნახველი ბრძანდებით, მაშასადამე, სტუმარი. პირადად გენერლის ნახვა გსურთ?

როგორც ჩანს, ლაქიას ვერასგზით გადაეწყვიტა ასეთი მთხოვნელის შეშვება და კიდევ ერთხელ იფიქრა გამოძიება.

– ჰო, საქმე მაქვს...

– რა საქმე გაქვთ, რას გეკითხებით, მე მხოლოდ თქვენი მოსვლა უნდა ვაუწყო. მდივნის გარეშე კი, მითქვამს, თქვენზე ვერ მოვახსენებ.

მსახურს თითქოს უფრო და უფრო უძლიერდებოდა ეჭვი. ეს თავადი რაღაც მეტისმეტად გამოირჩეოდა ყოველდღიურ მთხოვნელთაგან. გენერალს საკმაოდ ხშირად, თითქმის ყოველდღე უხდებოდა გარკვეულ საათებში ზოგჯერ ფრიად ჭრელი ხალხის მიღება, განსაკუთრებით, საქმეების თაობაზე, და კამერდინერიც გაწაფული გახლდათ ამაში, ინსტრუქციაც საკმაოდ ფართო ჰქონდა მიცემული, მაგრამ ეჭვი ვერ დაეძლია, მდივნის შუამავლობა აუცილებლად მიაჩნდა.

– თქვენ მართლაც... საზღვარგარეთიდან მობრძანდებით – უნებლიეთ წამოსცდა მას ბოლოს და უცბად შეცბა. შესაძლოა, იმის კითხვა უნდოდა „მართლა თავადი მიშკინი ბრძანდებითო“

– დიახ, პირდაპირ მატარებლიდან მოვდივარ. მგონი, ის გინდოდათ გეკითხათ მართლა თავადი მიშკინი ვარ თუ არა ოღონდ ვერ მკადრეთ.

– ჰმ... – ჩაიბურტყუნა განცვიფრებულმა ლაქიამ.

– მერწმუნეთ, არ გატყუებთ, ჩემი გულისთვის პასუხს არავინ მოგთხოვთ. ჩემი შეხედულება და ბოხჩა კი ნუ გაგაკვირვებთ, ჩემი მდგომარეობა ამჟამად ვერაფერი ბრწყინვალეა.

– ჰმ! მაგისი არ მეშინია. ჩემი ვალია, მოვახსენო და თქვენთან მდივანი გამოვა, თუკი... სწორედ ეგაა, რომ თუკი... გენერალს, თუ შეიძლება გავიგო, გაჭირვების თაობაზე ხომ არ ეახელით სათხოვნად

– ო, არა, ამაში სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მე სხვა საქმე მაქვს.

– მაპატიეთ, თქვენმა შესახედაობამ დამაეჭვა. მდივანს მოუცადეთ, თვით გენერალი ახლა პოლკოვნიკს ებაასება, მერე მდივანიც მოვა...

– კარგი, მაგრამ თუ დიდხანს მომიხდება ცდა, ეს მაინც მითხარით, გეთაყვა, აქ სად შეიძლება მოვწიო ჩიბუხი და თამბაქო თანა მაქვს.

– მო-წი-ოთ – რაღაც ზიზღითა და გაოცებით ამოხედა კამერდინერმა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო, – მოწიოთ არა, აქ ვერ მოწევთ, ან რამ გაფიქრებინათ. ჰე... საოცრებაა პირდაპირ!

– ო, მე ამ ოთახში არც მიფიქრია; ვიცი, ვიცი. სადაც მეტყოდით, იქ გავიდოდი. აგერ სამი საათია არ მომიწევია და მიჩვეულს მიჭირს, თუმცა, როგორც გენებოთ, ხომ იცით ანდაზა; რა ქვეყანაშიც მიხვალ...

– აბა, თქვენისთანა კაცზე როგორ მოვახსენო – ჩაიბურტყუნა თითქმის უნებლიეთ კამერდინერმა. – ჯერ ერთი, რომ აქ დიახაც არ შეგფერით ყოფნა, თქვენი ადგილი

მოსაცდელშია, მნახველი ხართ, მაშასადამე, სტუმარი ბრძანდებით, პასუხი მე მომეკითხება... ჩვენთან ხომ არ აპირებთ გაჩერებას – დაუმატა მან და ალმაცერად გადახედა თავადის ბოხჩას, რომელიც, ეტყობოდა, მოსვენებას არ აძლევდა.

– არა მგონია. კიდევ რომ მომიპატიჟონ, არ დავრჩები. გასაცნობად მოვედი მხოლოდ, სხვა არაფერი.

– რაო გასაცნობადო – განცვიფრებით აღმოხდა კამერდინერს და ეჭვები გაუსამკეცდა, – აკი პირველად თქვით, საქმეზეო

– ო, საქმე თითქმის არაფერი მაქვს! თუმცა, თუ გნებავთ, ერთი საქმე კი მაქვს, მხოლოდ რჩევის კითხვა მინდა, მაგრამ გასაცნობად უფრო ვეახელი, რადგან თავადი მიშკინი გახლავართ, გენერალ ეპანჩინის მეუღლეც უკანასკნელია მიშკინის გვარში, ჩვენ ორის გარდა მიშკინები აღარც არიან.

– მაშ ნათესავი ყოფილხართ – სულ მთლად დაფრთხა ლაქია.

– არც სულ ასეა, თუმცა თუ ძალიან გამოვჩხრიკეთ, შეიძლება ნათესავებადაც მოვხვდეთ ერთმანეთს, ოღონდ იმდენად შორეულად, რომ სათვალავში არ ჩაიგდება. ერთხელ გენერლის ცოლს წერილით მოვმართე საზღვარგარეთიდან, პასუხი კი არ გამომიგზავნა. მაგრამ რომ ჩამოვედი, მაინც საჭიროდ მივიჩნიე გამოცნაურება. ახლა იმიტომ გიხსნით ამას, რომ ეჭვი გაგიქარწყლოთ, გატყობთ, კიდევ გაწუხებთ ეს ამბავი მოახსენეთ, რომ თავადი მიშკინია-თქო, ასე რომ ჩემი მოსვლის მიზეზს ეგ თქვენი მოხსენება ახსნის. მიმიღებს – კარგია, არ მიმიღებს და – იქნებ არც ეს იყო ურიგო, ოღონდ, მგონია, მიღებაზე უარი არ მითხრან გენერლის ცოლი, რა თქმა უნდა, მოისურვებს თავისი გვარის უფროსი და ერთადერთი ჩამომავალი ნახოს. როგორც დანამდვილებით გადმომცეს, ის თავის ჩამომავლობას დიდად აფასებს.

უჩვეულოს თითქოს არას ლაპარაკობდა თავადი, მაგრამ რაც უფრო ჩვეულებრივი იყო მისი საუბარი, მით უფრო შეუფერებელი ჩანდა ამ შემთხვევაში. გამოცდილ კამერდინერსაც არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ რაც სრულიად ჩვეულებრივად ჩაითვლებოდა ერთი კაცის მეორე კაცთან საუბრის დროს, დიახაც უკადრისი იყო სტუმრის მსახურთან ლაპარაკისას. ხოლო რაკი მსახურებს გაცილებით მეტი ჭკუა გააჩნიათ, ვინემ მათ ბატონებს ჰგონიათ, კამერდინერსაც თავში აზრად დაებადა, აქ ორი გარემოება უნდა იყოსო ან თავადი ერთი ვიღაც ვიგინდარაა და უთუოდ დახმარების სათხოვნელად მოსულა, ანდა ერთი ტუტუცი ვინმეა, რომელმაც თავისი ყადრი არ იცის. აბა რომელი ჭკვიანი და თავისი ყადრის მცოდნე თავადი მოიკალათებს დერეფანში და ლაქიას თავის ამბებს გადმოულაგებს მაშასადამე, ერთსა და მეორე შემთხვევაშიც შეიძლება პასუხი მას აგებინონ.

– მაინც სჯობდა, მოსაცდელში გაბრძანებულიყავით, – შენიშნა კამერდინერმა დაჟინებით.

– იქ რომ ვყოფილიყავ, ამას ყველაფერს ხომ ვერ აგიხსნიდით, – გულიანად გაეცინა თავადს, – მაშასადამე, ჩემი ლაბადისა და ბოხჩის შემხედვარეს გულში მაინც შიში გექნებოდათ. ახლა კი იქნებ მდივნის მოცდა არ დაგჭირდეთ და პირდაპირ თქვენ მოახსენოთ.

– მე თქვენისთანა მნახველზე მდივნის გარეშე ვერ მოვახსენებ, თანაც თვით გენერალმა, განსაკუთრებით წეღან, ბრძანა, სანამ იქ პოლკოვნიკია, არავინ გაბედოს მისი შეწუხება, გავრილა არდალიონოვიჩს კი მოხსენების გარეშეც შეუძლია შესვლა.

– მისი მოხელეა?

– გავრილა არდალიონოვიჩი არა, ის კომპანიაში მსახურობს. ბოხჩა კი აგერ აქ მაინც დადეთ.

– უკვე ვიფიქრე, ეგ, თუ ნებას მომცემთ. იცით, ლაბადასაც გავიხდი.

– რა თქმა უნდა, ლაბადიანად ხომ არ ეახლებით გენერალს.

თავადი წამოდგა, საჩქაროდ გაიხადა ლაბადა და საკმაოდ წესიერ, კოხტად შეკერილ, თუმცა კი კარგა ნახმარი პიჯაკის ამარა დარჩა. ჟილეტზე ფოლადის ძეწკვი ეკიდა, ძეწკვზე კი ჟენევის ვერცხლის საათი. თავადი რომ მოიშტერებდა, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა ლაქიას, მაგრამ გენერლის კამერდინერს მაინც ეჩოთირა ამ მნახველთან თავის მხრივ საუბრის გაგრძელება, მიუხედავად იმისა, რომ თავადი რაღაცით მოსწონდა, რა თქმა უნდა, თავისებურად. მაგრამ მეორეს მხრივ, მაინც აღაშფოთებდა იგი.

– გენერლის ცოლი რა დროს იღებს – ჰკითხა თავადმა, როცა თავის ძველ ადგილზე დაჯდა.

– ეგ უკვე ჩემი საქმე არ გახლავთ. სხვადასხვა დროს იღებს, დამოკიდებულია ვის, მკერავს მეთერთმეტეზეც შეუშვებს, გავრილა არდალიონოვიჩსაც სხვებზე ადრე იღებს, პირველი საუზმის დროს შეუძლია შესვლა.

– ამ თქვენს ოთახებში უფრო თბილა, ვინემ საზღვარგარეთ ზამთრობით, – შენიშნა თავადმა, – სამაგიეროდ, იქ ქუჩებში მეტი სითბო დგას, სახლებში კი მიჩვევის გარეშე რუს კაცს ზამთარში გაუჭირდება გაძლება.

– არ ათბობენ?

– კი, ოღონდ სახლები იქ სხვანაირადაა აგებული, ე.ი. ღუმელები და ფანჯრები სხვანაირი აქვთ.

– ჰმ! დიდხანს ბრძანდებოდით საზღვარგარეთ?

– ოთხი წელი. თუმცა მე სულ ერთ ადგილზე ვიყავი, სოფელში.

– ჩვენებურებს გადაეჩვიეთ, არა?

– ეგეც მართალია. დამიჯერებთ, ისიც კი მიკვირს, რუსული როგორ არ დამავიწყდა-მეთქი. აგერ თქვენ რომ გელაპარაკებით, გულში ვფიქრობ ურიგოდ არ უნდა ვლაპარაკობდე-მეთქი. იქნებ ამდენს იმიტომაც ვლაპარაკობ. გუშინდელს აქეთ სულ რუსულად მინდა ლაპარაკი.

- ჰოო! პეტერბურგში წინათ გიცხოვრიათ (დიდხანს იკავა თავი ლაქიამ, მაგრამ ამ თავაზიან, ზრდილ საუბარს მაინც აჰყვა).

– პეტერბურგში თითქმის სულ არა, მხოლოდ გავლით. წინათაც აქაურობის არაფერი ვიცოდი, ახლა კი, როგორც ამბობენ, იმდენი რამ შეიცვალა, ვინც იცნობდა ამ ქალაქს, იმასაც ხელახლა უხდება თურმე გაცნობა. ახლა ბევრს რასმე ლაპარაკობენ აქაურ სასამართლოებზე[7]

– ჰმ!.. სასამართლოებზე. სასამართლოებზე მართლაც, შეიძლება. იქ როგორაა, იქაური სამართალი უკეთესია?

– ვერაფერს გეტყვით. მე ჩვენებურზე ბევრი კარგი მსმენია. აგერ ჩვენში ისევ გადავარდნილია სიკვდილით დასჯა.[8]

– იქ კი არის?

– დიახ. საფრანგეთში, ლიონში ვნახე.[9] შნეიდერს ვახლდი მაშინ იქა.

– სახრჩობელაზე აჰყავთ?

– არა, საფრანგეთში თავს ჰკვეთენ.

– მერე, ყვირიან?

– გაგიგონიათ?! თვალის დახამხამება და მორჩა ყველაფერი. გააწვენენ კაცს, ზემოდან განიერი დანა ჩამოჰყვება მანქანას, რომელსაც გილიოტინა ჰქვია. მძიმედ, მთელი ძალით ეცემა... თავს წამში წააცლის. აუტანელი წინასწარ მზადების პროცესია. ჯერ როცა განაჩენს აცხადებენ, მერე გამოაწყობენ, ხელებს შეუკრავენ და ეშაფოტზე აიყვანენ. საშინელება ეგ არის! ხალხი მყის მოაწყდება, ქალებიც კი იკრიბებიან, თუმცა იქ არ უყვართ, ქალებმა რომ უყურონ.

– მათი საქმე არაა და იმიტომ.

– ცხადია! რა საყურებელია!.. ის დამნაშავე ჭკვიანი კაცი იყო, უშიშარი, გულმაგარი, ხანში შესული, გვარად ლეგრო. ჰოდა, გინდ დამიჯერეთ გინდ არა, ეშაფოტზე რომ ადიოდა, ტიროდა, მიტკალივით ჰქონდა სახე. განა ეს შეიძლება? განა საშინელება არ არის? აბა, შიშს ვინ აუტირებია? არ მეგონა, თუ შიში ბალღის გარდა კაცსაც აატირებდა, ისიც ორმოცდახუთი წლის კაცს, ვისაც თავის დღეში ცრემლი არ გადმოუგდია. რა ჯოჯოხეთი უნდა ტრიალებდეს იმ წუთში მის გულში, როგორ უნდა ეწამებოდეს ადამიანის სულის შებღალვაა და მეტი არაფერი. ნათქვამია – „არა კაც ჰკლაო“. მაშ იმისთვის, რომ კაცი მოჰკლა, თვითონაც უნდა მოჰკლან არა, ეგ არ შეიძლება, აგერ, ერთი თვეა, რაც ვნახე, და აქამდე თვალიდან არ მშორდება. ხუთჯერ მაინც დამესიზმრა.

დიდი აღტყინებით ჰყვებოდა თავადი. უფერული სახე ოდნავ წამოუფაკლდა, თუმცა ხმა არც ახლა აუმაღლებია. კამერდინერი თანაგრძნობითა და ინტერესით უსმენდა, ისე ჩანდა, ყური ვერ მოეწყვიტა. ვინ იცის, ეგებ თვითონაც ოცნების კაცი იყო და ფიქრი უყვარდა.

– კიდევ კარგი, დიდხანს მაინც არ ეწვალება კაცი, როცა თავს ჰკვეთენ, – შენიშნა მან.

– იცით, რას გეტყვით – ფიცხად დასძინა თავადმა, – აგერ, რაც თქვენ შენიშნეთ, სხვებიც ზუსტად ამასვე გაიძახიან, ის მანქანა – გილიოტინაც სწორედ ამიტომაა მოგონილი. მე კი ერთი აზრი დამებადა ვაითუ ეს კიდევ უარესი იყოს თქვენ გაგეცინებათ, საოცრებად მიიჩნევთ, ხოლო თუ დაუკვირდა კაცი ამ ამბავს, ასეთი რამ შეიძლება მოუვიდეს აზრად. აბა, განსაჯეთ ვთქვათ, კაცს აწამებენ; ამ დროს ტანჯვა, ჭრილობები, ხორციელი ტკივილი აწუხებს, ეს ყველაფერი კი სულიერ ტანჯვას ავიწყებს, ასე რომ სულის ამოხდამდე მხოლოდ ჭრილობები ტანჯავს. მაგრამ ყველაზე დიდი, ყველაზე გაუსაძლისი ტკივილი იქნებ ჭრილობა არც იყოს, იქნებ ის არის, რომ დანამდვილებით იცი, აგერ ერთი საათის, მერე ათი წუთის, მერე ნახევარი წუთის, მერე, აი, ამ წუთს სიცოცხლეს გამოესალმები, ადამიანი აღარ იქნები და ეს უეჭველია. სწორედ ესაა მთავარი, რომ უეჭველია. აი, თავს რომ დადებ დანის ქვეშ, გესმის, როგორ დაცურდება ის შენს თავზე, სწორედ ეს მეოთხედი წამია ყველაზე საშინელი. მაგრამ იცით, რომ ეს მარტო ჩემი ფანტაზია არ არის და ბევრი იძახის ამას იმდენად მწამს ეს, რომ პირდაპირ გეტყვით ჩემს აზრს. მკვლელობისთვის კაცის მოკვლა დანაშაულს აჭარბებს სისასტიკით. კანონიერი სიკვდილით დასჯა უფრო საშინელია, ვინემ ყაჩაღურად კაცის მოკვლა. ის, ვისაც ყაჩაღები ღამით ჭრიან ყელს ტყეში, ანდა სადმე, გადარჩენის იმედს მაინც არ ჰკარგავს სულ უკანასკნელ წუთამდე. მაგალითები ყოფილა იმისი, რომ ყელგამოღადრულ კაცს მაინც იმედი აქვს, ან გარბის სადმე, ან იხვეწება და ივედრება. აქ კი ამ უკანასკნელ იმედს, რაც ათჯერ უფრო აიოლებს სიკვდილს, გადაჭრით უსპობენ. აქ განაჩენი გამოტანილი გაქვს. ჰოდა, ყველაზე საშინელი საწამებელიც ის არის, რომ იცი, ამას ნამდვილად ვერ ასცდები. ამაზე მეტი ტანჯვა კი რა უნდა იყოს ამქვეყნად. მოიყვანეთ ჯარისკაცი და ბრძოლის ველზე ზედ ზარბაზანს დაუყენეთ პირდაპირ, გინდაც ესროლეთ, იმას მაინც იმედი ექნება გადარჩენის, მაგრამ ამავე ჯარისკაცს რომ სიკვდილის მისჯის განაჩენი წაუკითხოთ, ის ან ჭკუაზე შეცდება, ან ატირდება. ვინ თქვა, რომ ადამიანის ბუნებას შეუძლია ეს აიტანოს და ჭკუაზე არ შეცდეს რა საჭიროა ადამიანის სულის ასეთი შებღალვა, ასე უგვანოდ, ასე ტყუილ-უბრალოდ იქნებ იყოს ისეთი კაცი, ვისაც განაჩენი გამოუტანეს, დატანჯეს, გააწამეს და მერე უთხრეს „წადი, გეპატიოს ბრალიო“[10]. აი ამ კაცს იქნებ ეამბნა მართალი. ამ წამებასა და საშინელებაზე გვეუბნება ქრისტეც. არა, ადამიანს არ შეიძლება ასე მოექცე!

კამერდინერს ეს ყოველივე თავადივით შეიძლება ვერ გამოეთქვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ ყველაფერი არა, მთავარი აზრი მაინც გაიგო და შეიტყო, და გულიც მოულბა.

– თუკი აგრე გსურთ მოწევა, – თქვა მან, – კი შეიძლება, ოღონდ იჩქარეთ. შეიძლება უცბათ გიკითხონ და თქვენ არ იყოთ. აგერ აქ, კიბის ძირში, ხედავთ, კარია. რომ გახვალთ, მარჯვნივ პატარა სენაკი იქნება იქ შეგიძლიათ, ოღონდ სარკმელი გამოაღეთ, რადგან წესი არაა...

მაგრამ თავადმა ვერ მოასწრო ჩიბუხის მოსაწევად გასვლა. დერეფანში უეცრივ ერთი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, ხელში ქაღალდები ეჭირა. კამერდინერმა ქურქი გახადა. ყმაწვილმა კაცმა ცერად გახედა თავადს.

– ეგ, გავრილა არდალიონოვიჩ, – დაიწყო კონფიდენციალურად და თითქმის ფამილიარულად კამერდინერმა, – ბრძანებს, თავადი მიშკინი გახლავართო, ქალბატონის ნათესავი, მატარებელს ჩამოჰყოლია საზღვარგარეთიდან, ბოხჩაც ხელში აქვს, ოღონდ...

თავადს სხვა აღარაფერი გაუგონია, რადგან კამერდინერმა ყმაწვილ კაცს ჩურჩული გაუბა. გავრილა არდალიონოვიჩი ყურადღებით უსმენდა და შიგადაშიგ ცნობისმოყვარეობით გამოხედავდა თავადს. მერე ყური აღარ ათხოვა კამერდინერს და მოუთმენლად მიუახლოვდა თავადს.

– თავადი მიშკინი ბრძანდებით? – ჰკითხა მეტისმეტი თავაზითა და ზრდილობით. ეს ძალზე ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო, ასე ოცდარვა წლისა, საშუალო ტანის, კარგად მოყვანილი და ქერა. პატარა ნაპოლეონისებური წვერი დაეყენებინა[11], სახე ჭკვიანი და მეტად ლამაზი ჰქონდა. ოღონდაც ღიმილში რაღაც მეტისმეტი თავაზიანობა გამოუკრთოდა; კბილებიც ამ დროს რაღაც მეტისმეტად ჩაწიკწიკებული მოუჩანდა; გამოხედვაც მეტისმეტად დაკვირვებული და მცდელი ჰქონდა, თუმცა მხიარულად და თითქოს მიამიტად იყურებოდა.

„ალბათ, მარტო რომაა, ასე არ იყურება და არც არასოდეს იცინის“, – რატომღაც იგრძნო თავადმა.

თავადმა საჩქაროდ აუხსნა ყველაფერი, რაც შეეძლო, რაც მანამდე კამერდინერს უამბო და კამერდინერზე ადრე კი როგოჟინს. გავრილა არდალიონოვიჩი ამასობაში თითქოს რაღაცას იგონებდა.

– ეს თქვენ მოსწერეთ წერილი ელიზავეტა პროკოფიევნას ამ ერთი წლის წინ თუ უფრო ადრეც, შვეიცარიიდან?

– ეგრე გახლავთ.

– მაშ თქვენ აქ გიცნობენ და ალბათ ახსოვხართ. მისი აღმატებულების ნახვა გნებავთ ახლავე მოვახსენებ... მალე გათავისუფლდება. ოღონდ... ოღონდ ჯერჯერობით მოსაცდელში წამობრძანდით... აქ რატომ გააჩერე? – მკაცრად მიუბრუნდა ის კამერდინერს.

– აკი მოგახსენეთ, თვითონ არ მოისურვა-მეთქი...

სწორედ ამ დროს კაბინეტის კარი უეცრივ გაიღო და ვიღაც პორტფელიანი სამხედრო კაცი გამოვიდა, რომელიც ხმამაღლა ელაპარაკებოდა და ემშვიდობებოდა სახლის პატრონს.

– აქ ხარ, განია? – გაისმა კაბინეტიდან, – ერთი აქეთ მობრძანდი!

გავრილა არდალიონოვიჩმა თავი დაუქნია თავადს და საჩქაროდ შევიდა კაბინეტში. ორიოდე წუთის შემდეგ კარი ისევ გაიღო და გავრილა არდალიონოვიჩმა ტკბილი ხმით დაიძახა:

– თავადო, გთხოვთ!

III

გენერალი ივან ფეოდოროვიჩ ეპანჩინი შუა კაბინეტში იდგა, მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა შემოსულ თავადს და ორი ნაბიჯიც კი გადადგა მისკენ. თავადი მიეახლა და თავი წარუდგინა.

– მაშ ასე, რით შემიძლია გემსახუროთ? – ჰკითხა გენერალმა.

– გადაუდებელი საქმე არაფერი მაქვს, ჩემი მიზანი მხოლოდ თქვენი გაცნობა იყო. არ მინდა შეგაწუხოთ, თქვენი დღის განრიგი რაკი არ ვიცი... მაგრამ ეს-ესაა მატარებელს ჩამოვყევი... შვეიცარიიდან მოვდივარ...

გენერალს კინაღამ გაეღიმა, მაგრამ ჩაფიქრდა და თავი შეიკავა. მერე ისევ ჩაფიქრდა, თვალები მოჭუტა, სტუმარს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი თავით ფეხამდე და სწრაფად მიუთითა სკამზე, შემდეგ თვითონაც იქვე ცერად ჩამოჯდა და მოუთმენლად მოუტრიალდა თავადს. განია კუთხეში იდგა ბიუროსთან და ქაღალდებს არჩევდა.

– ხალხის გასაცნობად საერთოდ დრო ცოტა მრჩება, – თქვა გენერალმა, – მაგრამ, ალბათ, რაღაც მიზანი გაქვთ და...

– ასეც ვიცოდი, რომ ჩემ მოსვლას რაღაც განსაკუთრებულ მიზანს მიაწერდით უთუოდ. ღმერთმანი, მარტო გაცნობა მინდოდა თქვენი; სხვა არავითარი კერძო ინტერესი არ მამოძრავებდა.

– რა თქმა უნდა, მეც ფრიად მეამა, მაგრამ სულ სიამოვნებაზე ხომ არ ვიფიქრებთ, ზოგჯერ საქმეებიც აქვს კაცს... თანაც აქამდე ვერ გამომირკვევია ჩვენ შორის რაა საერთო, ასე ვთქვათ... რა მიზეზს მივაწერო...

– მიზეზი, უდავოდ, არ გახლავთ და საერთოც, ცხადია, ცოტაა. ვინაიდან, თუ მე თავადი მიშკინი ვარ და თქვენი მეუღლეც ჩვენი გვარისაა, ეს, რა თქმა უნდა, მიზეზად არ ჩაითვლება. კარგად მესმის ეს ამბავი. თუმცა ჩემი მოსვლის საბაბი მხოლოდ ამაში მდგომარეობს. ოთხი წელია, უფრო მეტიც, რუსეთში არ ვყოფილვარ. ან ჩემი წასვლა რა იყო, თითქმის ჭკუაზე არ ვიყავ! მაშინაც არაფერი ვიცოდი, ახლა ხომ უფრო მეტად. ხალხის გაცნობა მინდა. აგერ ერთი საქმე მაქვს და ვის მივადგე, არ ვიცი. ჯერ კიდევ ბერლინში ვიფიქრე „ისინი თითქმის ნათესავები არიან, ისინი მე, მე იმათ, – თუ კარგი ხალხია-მეთქი“. გამიგონია კი, რომ კარგი ხალხი ყოფილხართ...

– დიდად გმადლობთ, – უფრო და უფრო განცვიფრებაში მოდიოდა გენერალი, – უკაცრავად, სად გაჩერდით?

– ჯერ არსად გავჩერებულვარ.

– მაშ პირდაპირ მე მომაკითხეთ თან... ბარგით?

– ჩემ ბარგს ერთი საცვლების ბოხჩა შეადგენს, სხვა არაფერი ჩვეულებრივ, ხელით დამაქვს ხოლმე. ნომრის დაჭერას საღამოსაც მოვასწრებ.

– ასე რომ, მაინც გადაწყვეტილი გაქვთ ნომრის დაკავება?

– ო, რა თქმა უნდა.

– თქვენი სიტყვებით, ლამის ვიფიქრე, რომ პირდაპირ მე მომადექით.

– ეს კი შეიძლებოდა, რომ დაგეპატიჟეთ. თუმცა მართალი გითხრათ, დაპატიჟებითაც არ დავრჩებოდი, განა სხვა რამ მიზეზით, უბრალოდ... ხასიათი მაქვს ასეთი.

– მაშასადამე, კიდევ კარგი, რომ არ მოგიპატიჟეთ და არც გეპატიჟებით. ნება მიბოძეთ, თავადო, კიდევ ერთი რამ გითხრათ, ბარემ ყველაფერი გავარკვიოთ; რაკი ახლა დავთქვით, რომ ჩვენ შორის ნათესაობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, თუმცა ჩემთვის, რასაკვირველია, ფრიად საამო იქნებოდა, მაშასადამე...

– მაშასადამე, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, არა? – წამოიწია თავადი და, საჩოთირო მდგომარეობის მიუხედავად, რაღაც გულიანად გადაიხარხარა, – ღმერთმანი, იცით, გენერალო, მართალია, პრაქტიკულად სულ არაფერი გამეგება აქაური წესებისა და აქაური ხალხის ადათისა, მაგრამ ეგრეც მეგონა, რომ უთუოდ ეს მოხდებოდა ჩვენ შორის, რაც ახლა მოხდა. რა გაეწყობა, იქნებ ასეცაა საჭირო... თან არც წერილზე მიპასუხეთ მაშინ... მაშ მშვიდობით და მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

თავადის თვალები ისეთი ალერსით იყურებოდნენ იმ წუთს, მის ღიმილს იმდენად არ ეცხო გულში ჩადებული წყენის ნატამალიც კი, რომ გენერალი ერთბაშად შედგა და თითქოს ერთბაშად სულ სხვა თვალით შეხედა სტუმარს. ეს ცვლილება სულ ერთ წამში მოხდა.

– იცით, თავადო, - უთხრა თითქმის სულ სხვა კილოთი, – მე ხომ თქვენ არ გიცნობთ, ამასთან, ელიზავეტა პროკოფიევნამაც შესაძლოა თავისი მოგვარის ნახვა ისურვოს... თუ გნებავთ, მოითმინეთ, დრო თუ გაქვთ.

– ო, დრო მაქვს, ჩემი დრო სავსებით მე მეკუთვნის (თავადმა მყისვე დადო თავისი რბილი, მრგვალი ქუდი მაგიდაზე). გამოგიტყდებით, იმედი კი მქონდა, იქნებ ელიზავეტა პროკოფიევნამ გამიხსენოს-მეთქი, წერილი რომ მოვწერე. წეღან რომ გიცდიდით, თქვენს მსახურს შევამჩნიე, ეჭვი შეეპარა, რომ დახმარების სათხოვნელად გეახელით. ალბათ, საამისოდ მკაცრი ინსტრუქციები გაქვთ მიცემული. მაგრამ დამიჯერეთ, ამისთვის არ მოვსულვარ, გარწმუნებთ, მხოლოდ ადამიანების დაახლოება მწადია. ოღონდ, მგონია, ხელი შეგიშალეთ და ეს მაწუხებს.

– იცით, რას გეტყვით, თავადო, – უთხრა გენერალმა მხიარული ღიმილით, – თუ მართლაც ისეთი ხართ, როგორიც ჩანხართ, მგონი, თქვენი გაცნობა სასიამოვნოდ დაგვრჩება. ოღონდ იცით, მე წუთის მოცლა არა მაქვს. აგერ ახლავე ისევ უნდა ჩავუჯდე საქმეებს, ზოგი რამ გადავათვალიერო და ხელი მოვაწერო, მერე მის ბრწყინვალებას ვეახლო, მერე სამსახურში, ასე რომ, თუმცა კი მიხარია ხალხის... კარგი ხალხის სტუმრობა, ესე იგი... მაგრამ... თუმცა, იმდენად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ჩინებული აღზრდა გაგაჩნიათ... რამდენი წლის ხართ, თავადო?

– ოცდაექვსის.

– ოჰო, მე ნაკლების მეგონეთ.

– დიახ, ამბობენ, ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებიო, იმას კი, რომ ხელი არ შეგიშალოთ, მალე ვისწავლი და მალე მივხვდები, თვითონაც ძალიან არ მიყვარს ხელის შეშლა... ბოლოს, მე მგონი, ჩვენ იმდენად სხვადასხვანაირი ხალხი ვართ... მდგომარეობითა თუ გარემოების მიხედვით, რომ შესაძლოა საერთო ბევრი არ აღმოგვაჩნდეს. თუმცა, იცით, ამ უკანასკნელი იდეის დიდად მაინც არა მწამს, იმიტომ რომ ძალიან ხშირად მხოლოდ გვეჩვენება, საერთო თითქოს არაფერი გვაქვს, სინამდვილეში კი დიახაც არის... ადამიანებს ეს სიზარმაცით მოსდით, ერთმანეთს რომ ერთი შემთხვევით ახარისხებენ და ვერაფერს პოულობენ საერთოს... თუმცა, იქნებ მოგაწყინეთ თავი თქვენ, მგონი...

– ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ცოტაოდენი შემოსავალი მაინც თუ გაქვთ ან იქნებ აპირებთ რაიმე საქმეს მოჰკიდოთ ხელი მაპატიეთ, ასე რომ...

– რას ბრძანებთ, მაგ თქვენს კითხვას ფრიად ვაფასებ და მესმის. ჯერჯერობით არც შემოსავალი მაქვს და არც არავითარი საქმე, – მჭირდება კი. ფულიც სხვისა მქონდა, ჩემმა პროფესორმა შნეიდერმა მომცა, ვისთანაც ვმკურნალობდი და ვსწავლობდი შვეიცარიაში. მომცა სწორედ იმდენი, რომ სამგზავროდ მყოფნოდა, ასე რომ, ახლა, მაგალითად, რამდენიმე კაპიკიღა დამრჩა. მართალია, ერთი საქმე კი მაქვს და რჩევაც მჭირდება, მაგრამ...

– ერთი ეს მითხარით, რით აპირებთ ამ ხანში ცხოვრებას და რა გაქვთ გადაწყვეტილი? – გააწყვეტინა გენერალმა.

– მინდოდა მემუშავა.

– ოჰო, ფილოსოფოსი ყოფილხართ. თუმცა... ნიჭი ან უნარი თუ გაგაჩნიათ რამის, რომ თავის შენახვა შეძლოთ მაპატიეთ ისევ...

– ო, ნუ მებოდიშებით! არა, მგონი, არაფრის ნიჭი და უნარი არა მაქვს. პირიქით. ავადმყოფი კაცი ვარ და რიგიანად არც მისწავლია. რაც შეეხება თავის შენახვას, ვფიქრობ...

გენერალმა კვლავ გააწყვეტინა და გამოკითხვა დაიწყო. თავადმა კვლავ უამბო თავისი ამბავი, რაც უკვე მოყოლილი ჰქონდა. თურმე გენერალსაც სმენოდა განსვენებულ პავლიშჩევზე და პირადად იცნობდა. რატომ იყო პავლიშჩევი დაინტერესებული მისი აღზრდით, თავადს თვითონაც ვერ აეხსნა, – იქნებ იმიტომ, რომ განსვენებული მამამისის ძველი მეგობარი იყო. მშობლების სიკვდილის შემდეგ თავადი სულ პატარა დარჩენილა და სოფელში იზრდებოდა, მისი ჯანიც სოფლის ჰაერს საჭიროებდა, პავლიშჩევს ის ვიღაც თავისი ნათესავი მოხუცი მემამულე ქალებისთვის ჩაუბარებია. ჯერ თურმე გუვერნანტი ქალი აუყვანეს, მერე გუვერნიორი. თუმცა ისიც თქვა, რომ, მართალია, ყველაფერი ახსოვს, მაგრამ დალაგებით მოყოლა არ შეუძლია, რადგან ბევრ რამეში თავს ანგარიშს ვერ აძლევდა.

ავადმყოფობა მალიმალ შემოუტევდა ხოლმე და თითქმის იდიოტად გადააქცია (თავადმა ასეც თქვა, იდიოტადო). ბოლოს ისიც უამბო, რომ პავლიშჩევი ბერლინში შეხვდა თურმე პროფესორ შნეიდერს, შვეიცარიაში, რომელიც სწორედ ამ ავადმყოფობას მკურნალობდა. სახლი, თავისი მეთოდით ექიმობდა, – ცივი წყლითა და სამკურნალო ტიკით, ექიმობდა იდიოტებს და ჭკუაზე შერყეულებს, თანაც ასწავლიდა და, საერთოდ, სულიერად ანვითარებდა. პავლიშჩევმა თავადი ამ ხუთიოდე წლის წინ გაამგზავრა შვეიცარიაში, მაგრამ თვითონ ორი წლის წინ გარდაიცვალა უეცრივ და არავითარი განკარგულება არ დაუტოვებია. შნეიდერმა კიდევ ორი წელი გააჩერა თავისთან სამკურნალოდ. მართალია, სულ ვერ მოარჩინა, მაგრამ შველით კი ბევრი უშველა. ბოლოს, თავადის სურვილითა და ერთი მოულოდნელი გარემოების გამო ახლა რუსეთში გამოაგზავნა. გენერალი საოცრად გაკვირვებული დარჩა.

– მაშ, არავინ გყავთ რუსეთში, სულ არავინ?

– ახლა აღარავინ დამრჩა, მაგრამ იმედი მაქვს... თანაც წერილი მივიღე...

– ასეა თუ ისე, – გააწყვეტინა გენერალმა, წერილის ამბავი არც გაუგონია, – რაღაც გისწავლიათ და თქვენი სენი ხელს არ შეგიშლით, მაგალითად, არც ისე ძნელ ადგილზე იმუშაოთ სადმე სამსახურში?

- ო, ალბათ არ შემიშლის. რაც შეეხება ადგილს, ძალიანაც გამიხარდებოდა, მინდა ვსინჯო, რა შემიძლია. მთელი ოთხი წელი სწავლა არ შემიწყვეტია, თუმცა მთლად სისტემატური განათლება არა მაქვს მიღებული. შნეიდერს თავისი სისტემა ჰქონდა სწავლების; ამავე დროს, ბევრი რუსული წიგნის წაკითხვაც მოვახერხე.

– რუსული წიგნების მაშასადამე, წერა-კითხვა იცით და შეუცდომლად წერას შეძლებთ?

– ო, კარგადაც შემიძლია.

– ჩინებულია; ხელი როგორი გაქვთ?

– მშვენიერი. მგონი, ამის ნიჭი კი მოუცია ღმერთს; ამაში პირდაპირ კალიგრაფი გახლავართ. მომეცით ერთი, ახლავე დაგიწერთ რასმე საცდელად, – წარმოთქვა თავადმა.

– ო, ძალიან კარგიც იქნება... მომწონს ეგ თქვენი სიხალისე, თავადო, მართლაც ძალზე საამური კაცი ყოფილხართ.

– რა მშვენიერი საწერი მოწყობილობა გქონიათ, რამდენი ფანქარი, კალამი, რა სქელი, დიდებული ქაღალდია... რა კარგი კაბინეტი გაქვთ! აი, ამ პეიზაჟს ვიცნობ, შვეიცარიის ხედი გახლავთ. დარწმუნებული ვარ, მხატვარს ნატურიდან დაუხატია, მგონი კიდეც მინახავს ეს ადგილი ურის კანტონში უნდა იყოს.

– ადვილი შესაძლებელია, თუმცა აქ კია ნაყიდი. განია, ერთი თავადს ქაღალდი მიეცით. აგერ კალამი და ფურცელი. აი, ამ პატარა მაგიდასთან მობრძანდით. ეგ რაა – მიუბრუნდა გენერალი განიას, რომელმაც ამასობაში თავისი პორტფელიდან კარგა დიდი ზომის ფოტოგრაფიული სურათი ამოიღო და გენერალს მიაწოდა, – ვა, ნასტასია ფილიპოვნა! ეს თვითონ გამოგიგზავნა, თავისი სურვილით – გამოცოცხლდა და დიდად დაინტერესდა გენერალი.

– აი, ახლა მომცა, მისალოცად რომ მივედი. კარგა ხანია, ნათხოვნი მაქვს. არ ვიცი, იქნებ გადმომიკრა ამით, რომ ხელცარიელი, უსაჩუქროდ ვეახლე ასეთ დღეს, – დასძინა განიამ და უსიამოდ გაიღრიჯა.

– აბა, რას ამბობ, – დარწმუნებით გააწყვეტინა გენერალმა, – რა უცნაურად მოწყობილი ტვინი გაქვს. გადმოკრულებს იკადრებს სწორედ... ანგარების სულაც არა სცხია რა! თან შენ რა შეგიძლია მიართვა აქ ათასებია საჭირო! იქნებ, შენი სურათი ჰო, ჯერ არ უთხოვნია შენთვის სურათი?

– არა, არ უთხოვნია ვინ იცის, იქნებ არც არასოდეს მთხოვოს. ივან ფიოდოროვიჩ, დღევანდელი საღამოს ამბავი, ვფიქრობ, გახსოვთ თქვენ ხომ საგანგებოდ დაპატიჟებული ბრძანდებით.

– მახსოვს, მახსოვს, უთუოდ მოვალ. აბა, რა, დაბადების დღეა, ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ჰმ... იცი, განია, ბარემ მოდი, გაგიმხელ, მოემზადე. აფანასი ივანოვიჩსა და მე მან პირობა მოგვცა, რომ დღეს საღამოს იტყვის თავის საბოლოო სიტყვას ან ჰოს, ან არას! ასე რომ იცოდე.

განია უეცრად შეკრთა, ფერმაც გადაჰკრა.

– ეგ გადაწყვეტით თქვა – იკითხა და თითქოს ხმა აუკანკალდა.

– სამი დღის უკან მოგვცა სიტყვა, ისე ჩავაცივდით ორივე, იძულებული გავხადეთ. ოღონდ გვთხოვა, შენთვის ჯერჯერობით არ გაგვემხილა.

გენერალი დაკვირვებით მისჩერებოდა განიას. მისი შეკრთომა, ეტყობა, არ მოეწონა.

– გაიხსენეთ, ივან ფიოდოროვიჩ, – შეშფოთებითა და ყოყმანით დაიწყო განიამ, – ხომ თვითონ თქვა, არჩევანი ჩემს ნებაზე იქნებოდა, ვიდრე თვითონ არ გადაწყვეტდა საქმეს, მაშინაც კი სიტყვა ისევ ჩემზე დარჩებოდა...

– განა... განა შენ... – შეშინდა უცებ გენერალი.

– მე არაფერი.

– რას ამბობ, ჩვენ რას გვიპირებ მერე?

– მე ხომ უარს არ ვამბობ. იქნებ ისე ვერ გამოვთქვი...

– ეგ გაკლია, უარი თქვა! – გული მოუვიდა გენერალს და არც ცდილა გაბრაზება დაემალა, – აქ, ძმაო, საქმე ის კი არაა, უარს რომ არ იტყვი, საქმე შენი მზად ყოფნაა, ის სიამოვნება, ის სიხარული, მის სიტყვებს რითაც შეხვდები... თქვენსა რა ამბავია?

– რა უნდა იყოს ჩვენსა ყველაფერი ჩემს ნებაზეა დამოკიდებული, ოღონდ მამაჩემი, ჩვეულებისამებრ, ტაკიმასხარაობს, პირდაპირ უსაქციელო გახდა. მე აღარც ველაპარაკები, მაგრამ მუხრუჭში კი მყავს. დედაჩემი რომ არა, გარეთ გავაგდებდი. დედაჩემი სულ ტირის, დაია ბრაზობს, მეც ავდექი და ბოლოს პირდაპირ გამოვუცხადე, რომ ჩემი ბედის ბატონ-

პატრონი მე ვარ. ასე რომ, მწადია შინაც... მორჩილები მყავდეს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, ასე მოვუჭერი ჩემს დაიას, დედის თანდასწრებით.

– მე კი, ძმაო, ვერ გამიგია... – ჩაფიქრებულმა გენერალმა მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა, – გახსოვს, ამას წინათ ნინა ალექსანდროვნა რომ მოვიდა კვნესის და ოხრავს. „რა იყო-მეთქი?“ – ვკითხე. გამოდის. თითქოს ამით თავი გეჭრებათ. ერთი მიბრძანეთ, ნეტავ აქ რა არის თავმოსაჭრელი ნასტასია ფილიპოვნას რა აქვს დასაყვედრებელი, ან ვის რა ეთქმის მასზე ნუთუ ის, რომ ტოცკისთან იყო ეს ხომ სისულელეა, მით უფრო, ასეთ მდგომარეობაში. მერე მითხრა „თქვენს ქალებს ხომ არ მიაკარებთო“ აბა! ნინა ალექსანდროვნას უყურეთ ერთი! ნეტავ როგორ არ უნდა ესმოდეს კაცს, როგორ არ უნდა ესმოდეს...

– საკუთარი მდგომარეობა, არა – მიაშველა სიტყვა განიამ გაჭირვებაში ჩავარდნილ გენერალს, – ესმის, კი ესმის, თქვენ გული ნუ მოგივათ მასზე. თუმცა მაშინვე დავტუქსე, სხვის საქმეში ნუ ერევით-მეთქი. მაგრამ აქამდე ჩვენებს ჯერ კიდევ ის აკავებთ, რომ საბოლოო სიტყვა არ თქმულა. მერე კი ატყდება ვაი-უშველებელი. თუ დღეს ითქვა საბოლოო სიტყვა, მაშასადამე, ყველაფერიც გამოაშკარავდება.

თავადი კუთხეში მიჯდომოდა თავის კალიგრაფიულ საწერს და ეს საუბარი ესმოდა. რომ დაამთავრა, მაგიდას მიუახლოვდა და ფურცელი მიაწოდა.

– მაშ ესაა ნასტასია ფილიპოვნა – წაილაპარაკა და დაკვირვებით, ცნობისმოყვარედ დააცქერდა სურათს, – რა გასაოცარი სილამაზის ყოფილა! – დაუმატა მაშინვე გატაცებით. სურათზე მართლაც გასაოცარი სილამაზის ქალი იყო, შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, მეტად სადად და მოხდენილად შეკერილი; მუქი ქერა თმა, სადად გადავარცხნილი, ღრმა, მოშავო თვალები, დაფიქრებული შუბლი, ფიცხი, თითქოს ამპარტავნული გამომეტყველება, ოდნავ გამხდარი სახე, იქნებ ფერმკრთალიც... განია და გენერალი განცვიფრებით შეაცქერდნენ თავადს...

– რაო, ნასტასია ფილიპოვნაო! განა ნასტასია ფილიპოვნასაც იცნობთ უკვე – ჰკითხა გენერალმა.

– დიახ, ეს ერთი დღეა რუსეთში ვარ და ამ მზეთუნახავის ამბავი კი ვიცი, – მიუგო თავადმა და იქვე გადმოალაგა როგოჟინთან შეხვედრა და მისი ნაამბობი.

– ესეც შენ ახალი ამბავი! – კვლავ შფოთმა აიტანა გენერალი, რომელმაც მეტისმეტი ყურადღებით მოუსმინა თავადს. მერე განიას შეავლო მცდელი თვალი.

– ალბათ, რაიმე უგვანობა იქნება მხოლოდ, – წაიბურტყუნა ცოტა არ იყოს დაბნეულმა განიამაც, – ვაჭრის ვაჟმა აღვირი აიწყვიტა და ესაა. მაგაზე უკვე გამიგია რაღაცები.

– მეც გამიგია, ძმაო, – დასძინა გენერალმა, – იმ საყურეების ამბის მერე ნასტასია ფილიპოვნამ მთელი ეს ანეგდოტი მაშინვე გვიამბო. მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარად შეტრიალდა საქმე. აქ შეიძლება მართლაც მილიონის ამბავია და... თან ვნებაც, თუმცა უგვანო, მაგრამ მაინც ვნება. განა არ იცი, ეს ვაჟბატონები რისი მაქნისნი არიან, თუ ღვინო აუვარდათ თავში!.. ჰმ!.. ანეგდოტი არაფერი მოხდეს! – დააბოლოვა გენერალმა ჩაფიქრებით.

– მილიონისა გეშინიათ? – გაიღრიჯა განია.

– შენ, რასაკვირველია, არა?

– როგორ შენიშნეთ, თავადო, - მოუბრუნდა მოულოდნელად განია თავადს, – ეგ კაცი დინჯი კაცია თუ ისე, ერთი ტუტუცი ვინმე პირადად თქვენ რას იტყვით?

განიას რაღაც უცნაური რამ ემართებოდა, როცა ეს კითხვა მისცა. თითქოს რაღაც ახალი, განსაკუთრებული იდეა წამოეჭრა იმ წუთას თავში და მან მოუთმენლად გამოკვესა მის

თვალებში. გენერალმაც, რომელიც გულწრფელად იყო შეშფოთებული, ცალი თვალით გადახედა თავადს, თუმცა მისი პასუხიდან თითქოს ბევრს არას გამოელოდა.

– არ ვიცი, როგორ გითხრათ, ისე მომეჩვენა, თითქოს ძალზე დიდი გატაცება უნდა ჰქონდეს, რაღაც ავადმყოფურიც კი. თუმცა თვითონაც თითქოს ავად უნდა იყოს. შესაძლოა, პეტერბურგში ჩამოსვლის პირველივე დღეებში ჩავარდეს ისევ, მით უფრო, თუ ქეიფს მიჰყვა.

– მაშ აგრეა აგრე მოგეჩვენათ? - ჩაეჭიდა გენერალი ამ აზრს.

– დიახ, მომეჩვენა.

– მაგრამ ამგვარ ანეგდოტებს შეიძლება რამდენიმე დღე არც დასჭირდეს, ამ საღამოსვე, დღესვე იქნებ რაიმე დატრიალდეს, – პირში შესცინა გენერალს განიამ.

– ჰმ!.. რა თქმა უნდა... შესაძლოა. მაშინ კი ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, მაგას რა მოეპრიანება, – თქვა გენერალმა.

– ხომ იცით ზოგჯერ მისი ოფოფების ამბავი?

– რა ოფოფები? – ეცა ისევ გენერალი, რომელსაც მეტისმეტად აშლოდა ნერვები, – გამიგონე, განია, შენ დღეს თუ შეიძლება ძალიან ნუ შეებმები პირში, ეცადე, ხომ იცი, ისე... ერთი სიტყვით, დაუტკბე... ჰმ!. ეგრე რად იღმიჭები გამიგონე, გავრილა არდალიონოვიჩ, ბარემ მოდი და ვთქვათ ახლა ნეტავ თავს რად ვიტეხთ ჩემს საკუთარ გამორჩენას რაც შეეხება, დიდი ხანია განაღდებული მაქვს, ასე იქნება თუ ისე, საქმეს ჩემს სასარგებლოდ მოვატრიალებ. ტოცკის გადაწყვეტილება მიღებული აქვს და ვერა ძალა ვერ შეაცვლევინებს, მაშასადამე, მეც სრული დარწმუნებული ვარ. ამიტომ, თუკი რამ მწადია ახლა, მხოლოდ და მხოლოდ შენი სიკეთე. თვითონ განსაჯე. განა ჩემი ნდობა არა გაქვს. თან შენ... შენ... ერთი სიტყვით, ჭკვიანი კაცი ხარ, მე შენ დაგენდე... ეს კი, ეს კი, ამ შემთხვევაში...

– მთავარია, – მიეშველა ისევ გაჭირვებაში ჩავარდნილ გენერალს განია და მისი სათქმელი თვითონ დაამთავრა. პირზე კი გესლიანზე გესლიანი ღიმილი აეგრიხა, რის დამალვასაც უკვე აღარც ცდილა. თავისი წამონთებული თვალები პირდაპირ თვალებში გაუყარა გენერალს, თითქოს კიდეც უნდოდა, რომ მთელი მისი გულისნადები ამოეკითხა. გენერალი წამოჭარხლდა და აპილპილდა.

– დიახ, ჭკუაა მთავარი! – დაემოწმა ის და მწყრალად შეაცქერდა განიას, – რა სასაცილო ვინმე ხარ, გავრილა არდალიონიჩ! გატყობ, დიახაც გაგეხარდა ამ ვაჭრის გამოჩენა, გამოსავალი გგონია შენთვის. სწორედ აქ იყო თავიდანვე ჭკუის დატანება საჭირო, სწორედ აქ იყო საჭირო გაგება და... ორივე მხარესთან პატიოსნად მოქცევა, ანდა... წინასწარ გაფრთხილება, რა არის სხვები ამ საჩოთირო დღეში არ ჩაგეგდო. მით უმეტეს, დროც საკმაოდ იყო და ახლაც საკმაო არის კიდევ (გენერალმა მედიდურად აჭიმა წარბები). თუმცა სულ რაღაც რამდენიმე საათი დარჩენილა... გამიგე გამიგე ბოლოს და ბოლოს, გინდა თუ არ გინდა თუ არ გინდა, თქვი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თქვენ არავინ გიჭერთ, გავრილა არდალიონიჩ, არავინ გაყოფინებთ ძალით ხაფანგში თავს, თუ რომ აქ ხაფანგი გეგულებათ.

– მე მინდა, – ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა განიამ, თვალები დახარა და მოღუშული დადუმდა.

გენერალი დაკმაყოფილდა. ეტყობა, უკვე ნანობდა, ასე რომ გადაამლაშა. უეცრივ თავადს მიუტრიალდა და სახეზე თითქოს შიშმა გადაურბინა, თავადი ხომ აქვე იდგა და მოისმენდაო. მაგრამ მყისვე დაუმშვიდდა გული თავადის შეხედვა სრულიად დაუმშვიდებდა კაცს გულს.

– ოჰო! – შესძახა გენერალმა, თავადის წარმოდგენილ კალიგრაფიის ნიმუშს რომ დახედა, – ეს ხომ ხელნაწერია! და რა იშვიათი ხელნაწერი! ერთი შეხედე, განია, რა ნიჭი ჰქონია.

ატლასის ქაღალდზე თავადს საშუალო საუკუნეების რუსული შრიფტით დაეწერა წინადადება „მონა-მორჩილმა წინამძღვარმა პაფნუტიმ[12] ხელი მოაწერა“.

– აი, ეს წინამძღვარ პაფნუტის საკუთარი ხელმოწერა გახლავთ, – უხსნიდა თავადი მეტისმეტი სიამოვნებითა და გატაცებით, – მეთოთხმეტე საუკუნის ანაბეჭდიდან გადმოღებული. იმათ, იმ ჩვენ ძველ წინამძღვრებსა და მიტროპოლიტებს დიდებული ხელწერა ჰქონდათ, მერე რა გემოვნებითა და რა გულმოდგინებით გაკეთებული. ნუთუ პოგოდინის[13] გამოცემა მაინც არ გაქვთ, გენერალო შემდეგ აგერ აქ, მეორე შრიფტით დავწერე ეს გასული საუკუნის მრგვალი, მსხვილი ფრანგული შრიფტია, ზოგი ასო სხვანაირადაც კი იწერებოდა. ეს მაიდნების შრიფტი გახლავთ, საჯარო მწერალთა შრიფტი, მათი ნიმუშებიდან გადმოღებული (მე მქონდა ერთი). დამეთანხმეთ, რომ აცრთუ დასაწუნია. შეხეთ ამ მრგვლად დ-ს, ა-ს. ფრანგული ხასიათი რუსულ ასოებში გადმოვიღე და რა კარგი გამოვიდა, თუმცა ძალზე ძნელი კი იყო. აგერ კიდევ მშვენიერი და ორიგინალური შრიფტი, აი, ეს წინადადებაც „მუყაითობა ყოველივეს სძლევს“. ეს შრიფტი რუსულია, მწერლების ან, თუ გნებავთ, სამხედრო მწერლების. ასე იწერებოდა სახაზინო ქაღალდი ვინმე დიდი პიროვნების სახელზე. ესეც მრგვალი შრიფტია, მშვენიერი შავი შრიფტი, შავადაა დაწერილი, მაგრამ საოცარი გემოვნებით კი. კალიგრაფი ასეთ კალმის ჩამოსმას, უფრო სწორად, ამ ჩამოსმის ცდებს, აგერ ამ დაუმთავრებელ ჯოხებს ხომ ამჩნევთ, – არ დაუშვებდა, მთლიანად კი შეხეთ, აკი ხასიათი შეუქმნია, სამხედრო მწერლის მთელ ბუნებას მართლაც აქ უჩენია თავი ფრთების გაშლა კი უნდა, ნიჭიც აქვს საამისო, ოღონდ სამხედრო საყელო ახრჩობს, დისციპლინა ნაწერსაც დამჩნევია. საუცხოოა პირდაპირ! ამას წინათ იყო, ერთმა ასეთმა ნიმუშმა განმაცვიფრა, შემთხვევით მივაგენი, და მერე იცით, სად შვეიცარიაში! აი ეს უბრალო, ჩვეულებრივი, წმინდა წყლის ინგლისური შრიფტია ამაზე მეტი დახვეწილობა შეუძლებელია, აქ ყველაფერი საუცხოოა, მძივებივითაა ასხმული; ეს დასრულებულია, მაგრამ აგერ ვარიაციაც, ესეც ფრანგული, ერთი ფრანგი მოგზაური კომმისგან გადმოვიღე. იგივე ინგლისური შრიფტია, მაგრამ შავი ხაზი რაღაც ერთი ბეწოთი უფრო შავი და მსხვილია, ვიდრე ინგლისურში. ჰოდა, სინათლის პროპორციაც დარღვეულია. იმასაც დააკვირდით თვალი შეცვლილია, ერთი ბეწოთი გამსხვილებული და თანაც რა თავისუფლადაა მოსმული კალამი, ეს კი ყველაზე სახიფათოა! კალმის მოსმას საოცარი გემოვნება სჭირია, მაგრამ თუ გამოგივიდა, თუ პროპორციას მიაგენი, ამგვარ შრიფტს არაფერი შეედრება, იმდენად კარგია, მოგხიბლავს პირდაპირ.

– ოჰო! რა დაწვრილებით გცოდნიათ საქმე, – იცინოდა გენერალი, – თქვენ, შვილოსა, მარტო კალიგრაფი კი არა, არტისტი ყოფილხართ, ჰა, განია?

– საკვირველია, – თქვა განიამ, და დაცინვით დაუმატა, – მერე და რა შეგნებაა საკუთარი ნიჭის!

– შენ იცინე და, ამით იცი, რა კარიერას შეიქმნის! იცით, თავადო, რა ხალხთან მიგაწერინებთ ახლა ქაღალდებს პირდაპირ შეიძლება თვეში სამ-ნახევარი თუმანი დაგიდოთ დაწყებისთანავე. მაგრამ უკვე პირველის ნახევარი ყოფილა, – დააბოლოვა გენერალმა, საათს რომ დახედა, – საქმეზე გადავიდეთ, თავადო, მეჩქარება და დღეს იქნებ ვეღარც გნახოთ! ერთი წუთით ჩამოჯექით. უკვე აგიხსენით, რომ ხშირ-ხშირად ვერ მიგიღებთ, ამის საშუალება არა მაქვს, მაგრამ მცირედით კი გულწრფელად მინდა დაგეხმაროთ, სულ მცირედით, რა თქმა უნდა, მაშასადამე, რაც აუცილებელი გახლავთ, მერე კი როგორც გენებოთ. კანცელარიაში პატარა ადგილს გამოგინახავთ, ძნელი საქმე არ იქნება, მაგრამ მუყაითობას კი მოითხოვს. ახლა, რაც შეეხება შემდეგს აგერ, ამ ჩემი ახალგაზრდა მეგობრის, გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინის, გთხოვთ იცნობდეთ, ოჯახში მისმა დედამ და დამ ორი-სამი ოთახი გაანთავისუფლეს გასაქირავებლად და ჩინებული რეკომენდაციის მქონე მდგმურებს აძლევენ, საჭმელი და

მომსახურებაც მათი იქნება. ჩემს რეკომენდაციას, დარწმუნებული ვარ, ნინა ალექსანდროვნა ანგარიშს გაუწევს. თქვენთვის ეს, თავადო, პირდაპირ მისწრებაა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იქ მარტო არ იქნებით, ასე ვთქვათ, ოჯახურ გარემოში იცხოვრებთ, ჩემის ფიქრით კი პეტერბურგისთანა ქალაქში პირველ ხანებში თქვენთვის მარტო დარჩენა არ შეიძლება. გავრილა არდალიონიჩის დედა, ნინა ალექსანდროვნა და დაია, ვარვარა არდალიონოვნა ისეთი მანდილოსნები არიან, რომელთაც მე დიდ პატივს ვცემ. ნინა ალექსანდროვნა არდალიონ ალექსანდროვიჩის მეუღლეა, გადამდგარი გენერლისა და ჩემი ყოფილი ამხანაგისა პირვანდელ სამსახურში. მართალია, ზოგიერთ გარემოებათა გამო ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ ეს როდი მიშლის ხელს, თავისებურად მასაც პატივი ვცე, ყოველივე ამას იმიტომ გიხსნით, თავადო, რათა გაიგოთ, ასე ვთქვათ, რომ პირადად მე გაძლევთ რეკომენდაციას, მაშასადამე, ამით თითქოს თავდებობას ვკისრულობ. ქირა სავსებით ზომიერია. იმედი მაქვს, ამ მოკლე ხანში თქვენი ჯამაგირი სრულიად საკმარისი იქნება საამისოდ. მართალია, კაცს ჯიბის ფულიც სჭირდება, თუნდაც ცოტაოდენი, მაგრამ ნუ გამიწყრებით, თავადო, თუკი გეტყვით, რომ თქვენთვის სჯობია, ჯიბის ფული არ იქონიოთ, საერთოდ, ჯიბეში ფული არ გქონდეთ. ამას ჩემი შეხედულება მალაპარაკებს თქვენზე. რაკი ახლა ქისა სულ ცარიელი გაქვთ, ამ პირველ ჯერზე ნება მიბოძეთ აგერ ეს ოცდახუთი მანეთი შემოგთავაზოთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავსწორდებით. თუ თქვენ ისეთი წრფელი და გულითადი კაცი ხართ, როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, არც ამ ამბავში მოგვივა უთანხმოება. თუ რომ თქვენით აგრე დავინტერესდი, ეს იმიტომ, რომ რაღაც მაქვს გამიზნული თქვენთვის. ამას შემდეგში შეიტყობთ. ხომ ხედავთ, რა შინაურულად გექცევით. იმედია, განია, შენ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, თავადი თქვენსა რომ დაბინავდეს

– ო, პირიქით! დედაჩემიც ფრიად მოხარული იქნება... – თავაზიანად დაუკრა კვერი განიამ.

– მგონი, თქვენსა მხოლოდ ერთი ოთახია დაკავებული. იმ, რა ჰქვია, ფერ... ფერ...

– ფერდიშჩენკო.

– ჰო, ჰო, რაღაც არ მომდის თვალში ეგ თქვენი ფერდიშჩენკო. ერთი ბინძური ენის პატრონი პამპულაა. არ მესმის პირდაპირ, რას უწონებს ნასტასია ფილიპოვნა მართლა ნათესავი ხომ არაა

– ო, არა, იხუმრა მხოლოდ! ნათესაობის არა სცხია რა.

– ჰოდა, ჯანდაბას მაგისი თავი! აბა, რას იტყვით, თავადო, კმაყოფილი ხართ თუ არა?

– მადლობას მოგახსენებთ, გენერალო, მეტისმეტი სიკეთე გამოიჩინეთ ჩემდამი, მით უმეტეს, რომ არც მითხოვია. სიამაყეში არ ჩამომართვათ ეს ნათქვამი და, მართლაც არ ვიცოდი, სად შემეფარებინა თავი. თუმცა როგოჟინმაც მიმიპატიჟა წეღან.

– როგოჟინმა? ოჰ, არა, მამაშვილურად, ან თუ უფრო მოგწონთ, მეგობრულად გირჩევთ, უფალი როგოჟინი დავიწყებას მისცეთ.

– რაკი ამდენი სიკეთე მიყავით, – დაიწყო ისევ თავადმა, – აგერ ერთი საქმეც მაქვს. ცნობა მივიღე...

– ო, მაპატიეთ, – შეაწყვეტინა გენერალმა, – ახლა წუთი დრო აღარ დამრჩა. თქვენს ამბავს ლიზავეტა პროკოფიევნას ვეტყვი თუ თქვენს მიღებას ახლავე მოინდომებს (ვეცდები, ისე რიგად კი გავაცნო თქვენი თავი), გირჩევთ შემთხვევით ისარგებლოთ და თავი მოაწონოთ, რადგან ლიზავეტა პროკოფიევნა შეიძლება ფრიად გამოგადგეთ. თქვენ ხომ მისი მოგვარე ხართ. თუ არ მოისურვებს და, ნუ გვიწყენთ, როგორმე სხვა დროს იყოს. შენ კი, განია, ჯერჯერობით ამ ანგარიშებს გადამიხედე, მე და ფედოსეევმა წეღან თავი ვიმტვრიეთ. არ დაგავიწყდეს მათი შეტანა...

გენერალი გავიდა, ისე რომ თავადმა მაინც ვერა და ვერ მოასწრო იმ თავის საქმეზე ეამბნა, თუმცა ლამის მეოთხედ წამოიწყო ლაპარაკი. განიამ პაპიროსი გააბოლა და თავადსაც მიაწოდა. თავადმა ჩამოართვა, მაგრამ ხელი რომ არ შეეშალა, ლაპარაკი აღარ გაუბა, კაბინეტის დათვალიერებას შეუდგა. განიას თითქმის არც დაუხედია ციფრებით აჭრელებული ფურცლისთვის, გენერალმა რომ მიუთითა. ფიქრი სხვაგან გაქცეოდა ღიმილი, გამოხედვა, ჩაფიქრება, თავადის აზრით, უფრო დაუმძიმდა, მარტო რომ დარჩნენ. უეცრივ ის თავადს მიუახლოვდა. თავადი კი ამ წუთს ისევ ნასტასია ფილიპოვნას სურათს დაჰყურებდა.

– მაშ თქვენ მოგწონთ ეგეთი ქალი, თავადო? – ჰკითხა უეცრივ და თვალებში ჩააშტერდა, თითქოს რაღაც უჩვეულო ზრახვა აღძვროდა გულში.

– საკვირველი სახეა! – მიუგო თავადმა, – დარწმუნებული ვარ, რომ უცნაური ბედი უნდა ჰქონდეს. მხიარულად იყურება, მაგრამ საშინლად ნატანჯი კია, არა თვალები მოწმობენ ამას, აგერ ეს ორი პატარა ხაზი თვალებქვეშ, ლოყების თავზე. ამაყი სახე აქვს, უზომოდ ამაყი, ოღონდ არ ვიცი, კეთილი თუა ოჰ, ნეტამც კეთილი იყოს! მაშინ ყველაფერს ეშველებოდა!

– ითხოვდით ამისთანა ქალს – განაგრძო განიამ, თან კვლავ თვალებანთებული მიშტერებოდა.

– მე ვერავის ვითხოვ, ავადმყოფი ვარ.

– როგოჟინი კი ითხოვდა როგორ გგონიათ?

– მერე რა, თხოვნით იქნებ ხვალაც ითხოვოს, ერთი კვირის მერე კი ყელი გამოჭრას.

ამის თქმა და განია ერთბაშად ისე შეკრთა, რომ თავადმა ლამის შეჰყვირა.

– რა დაგემართათ? – უთხრა და ხელზე წაავლო ხელი.

– თქვენო ბრწყინვალებავ! მისი აღმატებულება გთხოვთ გენერლის მეუღლესთან მობრძანდეთ, – აუწყა კარებში გამოჩენილმა ლაქიამ. თავადი უკან მიჰყვა.

IV

ეპანჩინების სამივე ასული ჯანიანი, მოსული, თეთრყირმიზა ქალები იყვნენ, განსაცვიფრებელი მხრების, სავსე გულმკერდის, თითქმის ვაჟკაცური მკლავების პატრონები. ამ თავისი ღონისა და ჯანის წყალობით, რა თქმა უნდა, ხანდახან გემრიელი სმა-ჭამაც უყვარდათ, რასაც დიახაც არ თაკილობდნენ. მათი დედა, გენერლის მეუღლე ლიზავეტა პროკოფიევნა ზოგჯერ აღშფოთებით უცქერდა თავისი ქალების ესოდენ აშკარა მადას, მაგრამ მის ზოგიერთ შეხედულებას პირვანდელი და უდავო ავტორიტეტი სინამდვილეში იმდენად დაჰკარგვოდა ქალიშვილებში, რომ სამივე ასულის ერთსულოვანი კინკლავი ყოველ ნაბიჯზე სწონიდა კიდეც მის დედურ სიტყვას, თუმცა გარეგნულად დიდი მორჩილებითა და პატივით უსმენდნენ. ამიტომაც გენერლის მეუღლემ საკუთარი ღირსების დასაცავად საჭიროდ მიიჩნია, დავა აღარ გაემართა მათთვის და დათმობაზე წასულიყო. ეს კია, ხასიათი ხშირად ეურჩებოდა და ვერ ჰმორჩილებდა ამ კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას. ლიზავეტა პროკოფიევნა წლითიწლობით უფრო ჭირვეული ბუნების ხდებოდა; რაღაც ახირებულ ქალადაც კი იქცა. მაგრამ რაკი ფრიად მორჩილი და გამოწვრთნილი მეუღლე გვერდით ეგულებოდა, გულში ჩახვეული და ზედმეტი ბოღმა, ჩვეულებრივ, მას ატყდებოდა თავზე, მერე ჰარმონია კვლავ ისადგურებდა ოჯახში და ყოველივე ჩინებულზე ჩინებულად აეწყობოდა.

თუმცა ვერც გენერლის მეუღლე დაემდურებოდა მადას. ჩვეულებისამებრ, პირველის ნახევარზე საუზმისთვის გაწყობილ სავსე სუფრას, კაცს რომ სადილი ეგონებოდა, თავის

ქალებიანად მიუჯდებოდა ხოლმე. უფრო ადრე, ზუსტად ათ საათზე, რა წამს თვალს გაახელდნენ, ქალიშვილები თითო ფინჯან ყავას მიირთმევდნენ ლოგინში. ასე მოსწონდათ მათ და ასეც შემოიღეს წესად. პირველის ნახევარზე კი სუფრა პატარა სასტუმროში, დედის სამყოფის ახლოს იშლებოდა და ამ ოჯახურ, ინტიმურ საუზმეს, თუ დრო დარჩებოდა, ხანდახან გენერალიც დაეწვეოდა ხოლმე. ჩაის, ყავის, ყველის, თაფლის, კარაქის, თვით გენერლის მეუღლის საყვარელი ალადების, კატლეტებისა და მისთანების გარდა, სქელ, ცხელ ბულიონსაც მიაყოლებდნენ. იმ დილას, როდესაც ჩვენი ამბავი დაიწყო, მთელ ოჯახს უკვე თავი მოეყარა სასადილოში და გენერალს ელოდებოდნენ, რომელსაც აღეთქვა, პირველის ნახევარზე გეახლებითო. ერთი წუთიც რომ დაგვიანებოდა, მოსაყვანად მყის მსახურს გაგზავნიდნენ; მაგრამ იგი დათქმულ დროზე გამოცხადდა. თავის მეუღლეს რომ მიეახლა მისასალმებლად და ხელზე საამბორად, გენერალმა სახეზე ამჯერად რაღაც მეტისმეტად უჩვეულო გამომეტყველება შეამჩნია. მართალია, წუხელაც გრძნობდა, რომ დღეს სწორედ ასე იქნებოდა ერთი „ანეგტოდის“ მიზეზით (ჩვეულებისდა მიხედვით, ასე სჩვეოდა გამოთქმა), და დაძინებამდე კიდეც წუხდა ამაზე, მაგრამ ახლა ისევ აიტანა შიშმა. შემდეგ ქალიშვილები მიუახლოვდნენ საკოცნელად. თუმცა მათ გაბრაზება არ ეტყობოდათ, მაგრამ აქაც თითქოს რაღაც უჩვეულო იგრძნობოდა. ესეც კია, გენერალი ზოგიერთი გარემოების წყალობით მეტისმეტად ეჭვიანი შეიქმნა. მაგრამ რაკი გამოცდილი და მოხერხებული მამა და ქმარი ბრძანდებოდა, ახლაც მაშინვე მიიღო ზომები.

ვფიქრობთ, ჩვენი მოთხრობის თვალსაჩინოებას დიდად არ ავნებს, თუკი აქ შევჩერდებით და ზოგიერთ ახსნა-განმარტებას მოვიშველიებთ იმ დამოკიდებულებათა და გარემოებათა პირდაპირ და ზუსტად დასადგენად, რაც გენერალ ეპანჩინის ოჯახში შექმნილიყო ჩვენი ამბის დასაწყისში. უკვე მოგახსენეთ, რომ გენერალი, მართალია, დიდად განათლებული კაცი არ გახლდათ, როგორც თვითონ ამბობდა, „ჩემით ნასწავლი ვარო“, მაგრამ გამოცდილი ქმარი და მარჯვე მამა კი იყო. სხვათა შორის, სისტემად შემოეღო, თავისი ქალებისთვის გათხოვება არ დაეჩქარებინა, ან, „სული არ ამოერთვა მათთვის“ და მშობლიური სიყვარულის მეტისმეტი გამოჩენით გული არ გაეწყალებინა მათ გაბედნიერებაზე ზრუნვით, რაც უნებურად და ბუნებრივად ხდება ყველგან, ასე გასინჯეთ, უჭკვიანეს და განათლებულ ოჯახშიც, თუკი იქ მოწიფული ქალები ბლომად მოიყრიან თავს. წარმოიდგინეთ, გენერალმა იმდენი ქნა, რომ ლიზავეტა პროკოფიევნაც გადმოიბირა და აზიარა თავის სისტემას, თუმცა დიდ საძნელო საქმეს კი წარმოადგენდა. საძნელოს-მეთქი იმიტომ, რომ არაბუნებრივი გახლდათ. მაგრამ გენერლის საბუთები მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო და ხელშესახებ ფაქტებს ეყრდნობოდა. თანაც საკუთარ ნებასა და გადაწყვეტას მინდობილი საპატარძლოები, ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს გონს მოეგებოდნენ და საქმეც მაშინ ხელად გაიჩარხებოდა, ვინაიდან ხალისით მოეკიდებოდნენ და კაპრიზებსა და წუნიანობას განზე გადადებდნენ.

მშობლებსაც სხვა არა დარჩენოდათ რა, თუ არ გაფაციცებით და რაც შეიძლება შეუმჩნევლად ედევნებინათ თვალი, რომ უცნაური არჩევანი ანდა არაბუნებრივი გადახრა არ მომხდარიყო, მერე კი ხელსაყრელი წუთი მოეხელთებინათ და მთელი ძალა და გავლენა მოეხმარათ საქმის მოსაგვარებლად. ბოლოს, ისიც იყო მხედველობაში მისაღები, რომ ყოველწლიურად გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა მათი ქონება და საზოგადოებრივი წონა, მაშასადამე, რაც მეტი დრო გადიოდა, ქალებიც უფრო მოგებულნი რჩებოდნენ, ვითარცა საპატარძლოები. მაგრამ ამასობაში, ამ უდავო ფაქტებს შორის ერთი ფაქტიც გახდა საგულისხმო უფროს ქალს, ალექსანდრას, ერთბაშად და ყოვლად მოულოდნელად, როგორც ნიადაგ ხდება ხოლმე, ოცდახუთი წელი შეუსრულდა. თითქმის ამავე დროს, აფანას ივანოვიჩ ტოცკის, მაღალი წრის

კაცს, გავლენიანს, დიდი ნაცნობობის მქონესა და დიდძალი ქონების პატრონს, კვლავ აღეძრა ქორწინების დიდი ხნის სურვილი და წადილი. ტოცკი იყო ორმოცდათხუთმეტიოდე წლის, მეტად სალუქი ზნისა და საოცრად დახვეწილი გემოვნების კაცი. საპატარძლოს საგანგებოდ არჩევდა. სილამაზის დიდი მოტრფიალე და დამფასებელი გახლდათ. ჰოდა, რაკი ეს რამდენიმე ხანი გენერალ ეპანჩინს საოცრად დაუმეგობრდა და, განსაკუთრებით, ზოგიერთ ფინანსურ საქმიანობაში ერთად მონაწილეობამ გააძლიერა ეს დაახლოება, ამიტომაც აუწყა, ასე ვთქვათ, მეგობრული რჩევისა და ხელმძღვანელობის თხოვნის მიზნით შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მის ერთ-ერთ ქალზე დაქორწინების ვარაუდი გენერალ ეპანჩინის ბედნიერსა და წყნარ ოჯახში აშკარა გარდატეხის ხანა დგებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველაზე ლამაზად ოჯახში უმცროსი ქალი აგლაია ითვლებოდა. თვით ტოცკიც, თავისი მეტისმეტი ეგოიზმის მიუხედავად, მიხვდა, რომ აქ მას არაფერი გამოუვიდოდა და აგლაია მისთვის არ იყო განკუთვნილი. დების რამდენადმე ბრმა სიყვარული და საოცრად თავდადებული მეგობრობა ეგებ კიდეც აზვიადებდა საქმეს, ეს კია, მათი გულწრფელი გადაწყვეტილებით აგლაიას ბედი ჩვეულებრივი ბედი კი არა, ამქვეყნიური სამოთხის შესაძლებელი იდეალი უნდა ყოფილიყო. სიმდიდრეზე რომ არაფერი ვთქვათ, ღმერთს აგლაიას ქმრისთვის ყოველივე სიკეთე და სათნოება არ უნდა დაეკლო. დებმა კიდეც გადაწყვიტეს ერთმანეთში, თუ საჭირო იქნებოდა, აგლაიას სასარგებლოდ მსხვერპლიც გაეღოთ და კოლოსალური, წარმოუდგენელი მზითვი გაეტანებინათ მისთვის. მშობლებმა იცოდნენ ორი უფროსი დის შეთანხმების ამბავი. ასე რომ, როცა ტოცკიმ რჩევა იკითხა, ეჭვიც არ შეჰპარვიათ, ერთ-ერთი უფროსი და რომ უარს არ იტყოდა მათი სურვილების დასაგვირგვინებლად, მით უმეტეს, რომ აფანასი ივანოვიჩს მზითვის ამბავი არ დააბრკოლებდა. ტოცკის წინადადება თავად გენერალმა მყისვე ფრიად დააფასა, რამეთუ ცხოვრების ავანჩავანი მშვენივრად ესმოდა. რაკი თვითონ ტოცკი განსაკუთრებული მიზნების გამო ჯერჯერობით მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენდა და მხოლოდ ნიადაგს სინჯავდა, მშობლებმაც თავიანთ ქალებს მხოლოდ მოიარებით გადაუკრეს სიტყვა. პასუხიც ასევე გაურკვეველი, თუმცა კი დამამშვიდებელი მიიღეს, რომ უფროსი, ალექსანდრა, შესაძლოა, უარზე არ დამდგარიყო. ალექსანდრა მტკიცე ხასიათის, მაგრამ კეთილგონიერი და მეტისმეტად თვინიერი იყო. ტოცკის სიამოვნებით გაჰყვებოდა ცოლად და, თუ სიტყვას მისცემდა, პატიოსნად აღასრულებდა კიდეც. ფუფუნება და ბრწყინვალება არ იტაცებდა, თავის ქმარს არათუ დავიდარაბასა და უსიამოვნებას შეამთხვევდა, არამედ წუთისოფლის დღეებს ტკბილად და მშვიდად გაატარებინებდა. შესახედავადაც მშვენიერი იყო, თუმცა კაცს თვალს არ მოჭრიდა. ტოცკი უკეთესს რას ინატრებდა?

და მაინც, საქმე კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. ტოცკი და გენერალი ერთხმად და მეგობრულად შეთანხმდნენ, რომ ჯერჯეროზით ფორმალური და გადამწყვეტი ნაბიჯი არც ერთს არ გადაედგა. მშობლებსაც აშკარად და გადაწყვეტით ჯერ არაფერი განეცხადებინათ ქალებისთვის; თითქოს რაღაც დისონანსიც ჩამოვარდნილიყო გენერალ ეპანჩინის მეუღლე, ოჯახის დედა, რატომღაც უკმაყოფილებას იჩენდა, ეს კი მეტად საგულისხმო ამბავი იყო. ყველას ერთი გარემოება უშლიდა ხელს, ერთი თავსატეხი და საგაწამაწიო ამბავი, რასაც შეიძლებოდა ყველაფერი საბოლოოდ ჩაეფუშა.

ამ თავსატეხსა და საგაწამაწიო „ამბავის“ (თვით ტოცკის გამოთქმით) ძალიან დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, თვრამეტი წლის მაინც. აფანასი ივანოვიჩის ერთ-ერთი უმდიდრესი მამულის მეზობლად, შუა გუბერნიაში, ცხოვრობდა ერთი ხელმოკლე მემამულე, გადამდგარი ოფიცერი და კარგი გვარიშვილი, ამ მხრივ ტოცკიც კი ტოლობას ვერ გაუწევდა, გვარად ფილიპ

ალექსანდროვიჩ ბარაშკოვი, ანეგდოტურად უიღბლო, ყველგან საოცრად ხელმოცარული კაცი. ვალებით კისრამდე სავსეს ყველაფერი დაგირავებული ჰქონდა. ბოლოს, დიდი ჯაფითა და თითქმის გლეხური ჭაპან-წყვეტით, როგორც იქნა, თავისი პატარა მამული მოაწყო და მოაგვარა. პატარა წარმატებაც კი საოცრად გაამხნევებდა ხოლმე. იმედებით სავსე და გულგანათებული ბარაშკოვი რამდენიმე დღით სამაზრო ქალაქში გაემგზავრა, რომ თავისი ყველაზე დიდი მევალე ენახა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, საბოლოოდ მორიგებოდა. ქალაქში ჩასვლის მესამე დღეს თავისი სოფლის მამასახლისი მოადგა ცხენით, ლოყებდამწვარი, წვერშეტრუსული და აუწყა, გუშინ შუადღისას სახლი დაგეწვათ, თქვენი მეუღლეც შიგ ამოიბუგა, შვილები კი გადარჩნენო. „ბედის მუჯლუგუნებს“ ნაჩვევმა ბარაშკოვმაც კი ვერ აიტანა ეს სიურპრიზი. ჭკუაზე შეცდა და ერთი თვის შემდეგ კიდეც გადაჰყვა ხურვებას. გადაბუგული მამული და სამათხოვროდ აღოღებული გლეხები ვალებში გაიყიდა; მისი ორი პატარა ქალი კი, ერთი ექვსისა და მეორე შვიდი წლის, აფანას ივანოვიჩ ტოცკიმ სამადლოდ წამოიყვანა აღსაზრდელად. ისინი აფანას ივანოვიჩის მოურავის, ერთი გადამდგარი წვრილშვილის პატრონ მოხელისა და თანაც გერმანელის შვილებთან ერთად იზრდებოდნენ. მალე მხოლოდ ერთი ქალიღა დარჩა, ნასტასია. უმცროსი ხველა-ბატონებმა იმსხვერპლა. ტოცკი იმხანად საზღვარგარეთ ცხოვრობდა და მალე სულაც გადაავიწყდა ისინი. ხუთი წლის შემდეგ აფანას ივანოვიჩმა გზად საკუთარ მამულში მოიგუნება შევლა და მოულოდნელად თავის სოფლურ სახლში, გერმანელი მოურავის ოჯახში მშვენიერი ბავშვი დაინახა, თორმეტიოდე წლის მკვირცხლი, საყვარელი, ჭკვიანი გოგონა, რომელსაც ახლავე ეტყობოდა, რომ განსაცვიფრებელი სილამაზის ქალი დადგებოდა. ამაში აფანასი ივანოვიჩი არასოდეს შემცდარა. ამჯერად მამულში მხოლოდ რამდენიმე დღე დაჰყო, მაგრამ თადარიგი კი მოასწრო და დაიჭირა; გოგონას აღზრდაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა; მოიწვიეს დარბაისელი და ხნიერი გუვერნანტი ქალი, ქალიშვილების დიდკაცურ აღზრდაში გაწაფული, წარმოშობით შვეიცარიელი, განათლებული, რომელიც ფრანგული ენის გარდა კიდევ სხვა საგნებსაც ასწავლიდა. გუვერნანტი ქალი სოფლურ სახლში დაბინავდა და პატარა ნასტასიას გულდაგულ გაწაფვას შეუდგა.

ოთხი წლის სწორზე აღზრდა-განათლება დამთავრდა გუვერნანტი ქალი გზას გაუდგა, ნასტასიას წასაყვანად კი ერთი მემამულე ქალი ჩამოვიდა, უფალი ტოცკის მამულის მეზობელი, ოღონდ უკვე სხვა, შორეულ გუბერნიაში. აფანასი ივანოვიჩის ინსტრუქციებისა და დავალების შედეგად მან ნასტია თან წაიყვანა. ამ პატარა მამულში ერთი მომცრო, ახლადაგებული ხის სახლი აღმოჩნდა, საოცრად კოხტად მორთული, იმ პატარა სოფელსაც თითქოსდა განზრახ ოტრადნოე ერქვა. მემამულე ქალმა ნასტია პირდაპირ ამ მყუდრო სახლში ჩამოიყვანა და რაკი თვითონ უშვილო ქვრივი იყო, ხოლო მისი სახლი აქედან ერთ ვერსზე იდგა, ნასტასიასთან ერთად დაბინავდა. ნასტასიას იქ ბებერი მეკუჭნავე და ყმაწვილი, გამოცდილი მოახლე დაუხვდა. სახლში მუსიკალური ინსტრუმენტები, გემოვნებით შერჩეული ქალიშვილის შესაფერი ბიბლიოთეკა, სურათები, ესტამპები, ფანქრები, ფუნჯები, საღებავები, განსაცვიფრებელი ლევრეტკა-ძაღლიც აღმოჩნდა.

ორიოდე კვირის შემდეგ კი თავად აფანასი ივანოვიჩიც ჩამობრძანდა... მას აქეთ რაღაც განსაკუთრებით შეიყვარა ეს მიყრუებული, ტრამალებში მიკარგული თავისი პატარა სოფელი, ყოველ ზაფხულს ეწვეოდა ხოლმე იქაურობას და ხანდახან ორი-სამი თვეობითაც რჩებოდა. ასე განვლო საკმაოდ დიდმა ხანმა, ოთხიოდე წელმა, განვლო მშვიდად და ბედნიერად, გემოვნებითა და მოხდენით.

ერთ ზაფხულს აფანასი ივანოვიჩი ოტრადნოეს მხოლოდ ორი კვირით ესტუმრა. ამ საზაფხულო სტუმრობის შემდეგ ოთხი თვე იქნებოდა გასული, რომ ხმა დაირხა, უფრო სწორად, ნასტასია ფილიპოვნას ყურს როგორღაც ჩასწვდა, აფანასი ივანოვიჩი პეტერბურგში ერთ მეტად ლამაზ, მდიდარსა და დიდგვაროვან ქალს ირთავსო, ერთი სიტყვით, დიდებული, ბრწყინვალე ქორწინება ელისო. შემდგომში ეს ხმა არცთუ მთლიანად სწორი გამოდგა ქორწილი მაშინაც ჯერ მხოლოდ სავარაუდო იყო და გადაწყვეტით არაფერი თქმულა, მაგრამ მოხდა. მან უეცრად საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა და სრულიად მოულოდნელი ხასიათი გამოამჟღავნა. დაჰკრა ფეხი, მიატოვა ის თავისი სოფლური სახლი, ხელდახელ პეტერბურგში გაჩნდა და პირდაპირ, მარტოდმარტო მიადგა ტოცკის. ტოცკი განცვიფრებული დარჩა, მოლაპარაკებას შეეცადა, მაგრამ პირველსავე სიტყვებიდან აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო სრულიად შეეცვალა კილო, ხმის დიაპაზონი, საამო და მოხდენილი საუბრების ნაცადი თემები, აქამდე რომ ასეთი წარმატებით ხმარობდა, ლოგიკა, მოკლედ, ყველაფერი! ახლა მის წინ სულ სხვა ქალი იჯდა, რომელიც იოტის ოდენად აღარ ჰგავდა იმ არსებას, ვისაც აქამდე იცნობდა და ვინც სულ ახლახან, ივლისის თვეში დატოვა სოფელ ოტრადნოეში.

ამ ახალ არსებას თურმე, ჯერ ერთი, საოცრად ბევრი რამ სცოდნოდა და გაეგებოდა, – იმდენად ბევრი, რომ პირდაპირ გასაკვირი იყო, საიდან უნდა მიეღო ასეთი ცნობები, გამოემუშავებინა ასეთი სწორი შეხედულებანი (ნუთუ თავის საყმაწვილო ბიბლიოთეკიდან). ეს კიდევ არაფერი, იურიდიულადაც მეტისმეტად გარკვეული აღმოჩნდა და მშვენივრად ესმოდა თუ ამ ქვეყნის ასავალ-დასავალი არა, ყოველ შემთხვევაში, ზოგი საქმე როგორ იჩარხებოდა ამქვეყნად. მეორეც, ეს ის არსება აღარ იყო, რაც წინათ, ანუ მფრთხალი და მორცხვი, პანსიონის მოსწავლის ჩამოუყალიბებელი ხასიათისა, ხან თავისი ორიგინალური სიგიჟმაჟითა და მიამიტობით მომხიბლავი, ხან დაღონებული და ჩაფიქრებული, გაკვირვებული, უნდო, მტირალა და მშფოთვარე.

არა, აქ მის წინ ხარხარებდა და გესლიანზე გესლიანი სარკაზმებით იკბინებოდა საოცარი და მოულოდნელი არსება, რომელმაც პირდაპირ განუცხადა, რომ უდიდესი, გულისამრევი ზიზღის გარდა დღეში არა ჰქონია რა გულში მისდამი პირველი გაკვირვების შემდეგ. ამ ახალმა არსებამ აუწყა აფანასი ივანოვიჩს, რომ მისთვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სულერთი იქნება, თუნდაც ახლავე ითხოვოს ვინც უნდა, მაგრამ მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი ის არის, ამ ქორწინების ნება არ მისცეს და არ მისცეს ჯიბრზე, მხოლო და მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასე სურს, მაშასადამე, ასეც უნდა მოხდეს თუნდაც იმიტომ, რომ მინდა შენი დაცინვით გული ვიჯერო, რადგან ახლა ბოლოს და ბოლოს მე მინდა ვიცინოო.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა ნასტასია ფილიპოვნა, ხოლო რასაც ფიქრობდა, ეგებ ის მთლიანად არც თქვა. მაგრამ ვიდრე ეს ახალი ნასტასია ფილიპოვნა ხარხარებდა და ყოველივე ამას გამოთქვამდა, აფანასი ივანოვიჩი გულში სჯიდა ამ საქმეს და შეძლებისდაგვარად ალაგებდა თავის რამდენადმე დაბნეულ აზრებს. ამ განსჯას ცოტა ხანი როდი დასჭირდა. თითქმის ორი კვირა მოანდომა ჩახვედრას და საბოლოო გადაწყვეტას. მაგრამ ორი კვირის შემდეგ კი გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ აფანასი ივანოვიჩი იმხანად უკვე ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა და მეტისმეტად დარბაისელი და ჩამოყალიბებული კაცი ბრძანდებოდა. საზოგადოებაში დიდი ხანია მყარად მოეკიდა ფეხი, როგორც უაღრესად რიგიან კაცს შეშვენის, მასაც საკუთარი თავი, საკუთარი სიმშვიდე და კომფორტი ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა. წლების მანძილზე ასე მშვენივრად ჩამოყალიბებული ცხოვრების კალაპოტის ოდნავი გამრუდება თუ შეცვლა ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა. მეორეს მხრივ,

გამოცდილმა და ცხოვრებაში კარგად ჩახედულმა ტოცკიმ უტყუარი ალღოთი მალე იგრძნო, რომ საქმე ახლა სულ სხვა არსებასთან აქვს, რომ ეს არსება მარტო მუქარით არ დაკმაყოფილდება, უთუოდ შეუსრულებს კიდეც დანაქადს და არც არაფერზე დაიხევს უკან, თან ვერც ვერაფრით მოხიბლავს და აუბამს თვალს, რადგან ამქვეყნად ყველაფერი ჩალის ფასად უღირს. როგორც ეტყობოდა, აქ რაღაც სხვა, რაღაც სულიერი აბდაუბდა, რაღაც რომანტიკული აღშფოთება იმალებოდა, ღმერთმა უწყის, ვისზე და რისი გულისთვის, ზიზღის რაღაც დაუცხრომელი გრძნობა, საზღვარს გადაცილებული, - ერთი სიტყვით, ის უაღრესად სასაცილო და რიგიან საზოგადოებაში მიუღებელი რამ, რაც ყოველი რიგიანი კაცისთვის სწორედ ღვთის რისხვას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ტოცკის სიმდიდრისა და გავლენის პატრონს მაშინვე შეეძლო ერთი პატარა ნაბიჯი გადაედგა, რასაც დიდ ბოროტებად არავინ ჩაუთვლიდა, და უსიამოვნებაც თავიდან აეცილებინა. მეორე მხრივ, ისიც აშკარა იყო, რომ არც ნასტასია ფილიპოვნას ძალუძდა თუნდაც, მაგალითად, იურიდიულად ვნების მიყენება; სკანდალსაც ვერ მოახდენდა დიდს, რადგან ყოველთვის ადვილად შეიძლებოდა მისი ალაგმვა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, თუკი ნასტასია ფილიპოვნა გადაწყვეტდა სხვებივით ემოქმედა, როგორც საერთოდ ყველა მოქმედებს ასეთ შემთხვევებში, ანუ მეტისმეტად არ გამოიჭენებდა თავს. სწორედ აქ გამოადგა ტოცკის მისი უტყუარი ალღო ის მიხვდა, რომ ნასტასია ფილიპოვნამ თავადაც შესანიშნავად იცოდა, რომ იურიდიულად არაფრის დაშვება არ შეეძლო, რომ მას სულ სხვა რამ ედო გულში და... სულ სხვა რამ გამოუკრთოდა მოელვარე თვალებში. რაკი ამქვეყნად ყველაფერი ჩალის ფასად უღირდა და ყველაზე ნაკლებ საკუთარი თავი ედარდებოდა (დიდი ჭკუა და განჭვრეტის უნარი არ იყო საჭირო ამ წუთში იმის მისახვედრად, რომ ქალს კარგა ხანია საკუთარი სიცოცხლე არაფრად უღირდა, და მეორეც, ტოცკისთანა სკეპტიკოსსა და მაღალი წრის ცინიკოსს ეს მართლა ეწამა), ნასტასია ფილიპოვნა დიახაც დაიღუპავდა თავს, უკანმოუხედავად და ყოვლად უბედურად, ციმბირსა და კატორღასაც არ შეუშინდებოდა, ოღონდაც იმ კაცის ოხტში ამოსულიყო და ის დაემცირებინა, ვინც ასე არაადამიანურად სძაგდა. აფანასი ივანოვიჩს არასოდეს დაუმალავს, რომ, ცოტა არ იყოს, სიმხდალე სჩვეოდა, უფრო სწორად, უაღრესად კონსერვატული იყო. რომ სცოდნოდა, მაგალითად, ჯვრისწერის დღეს მოკლავდნენ ან მსგავსი რამ საოცრად უწესო, სასაცილო და საზოგადოებაში მიუღებელი დაემართებოდა, რა თქმა უნდა, დაფრთხებოდა, ოღონდ სიკვდილზე, დაჭრაზე ან სახეში საქვეყნოდ ჩაფურთხებაზე თუ სხვაზე მეტად არაბუნებრივი და მიუღებელი გამოვლინება შეაშინებდა. ნასტასია ფილიპოვნა კი სწორედ ამას უწინასწარმეტყველებდა, თუმც ჯერჯერობით კრინტსაც არ სძრავდა. ტოცკიმ იცოდა, რომ ქალს დიდებულად ჰყავდა გამოცნობილი და შესწავლილი იგი, მაშასადამე, იცოდა კიდეც, სად ჩაეცა ლახვარი. ჰოდა, რაკი ქორწინების ამბავი სინამდვილეში ჯერ მხოლოდ გამიზნული ჰქონდა და არა გადაწყვეტილი, ამიტომაც დაჰყვა ნასტასია ფილიპოვნას ნებას და დამორჩილდა.

ამ გადაწყვეტას კიდევ ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი კაცი ვერ წარმოიდგენდა, რარიგ არ ჰგავდა ეს ახალი ნასტასია ფილიპოვნა წინანდელს. წინათ ის ლამაზი გოგონა იყო და სხვა არაფერი. ახლა კი... ტოცკის ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის, რომ მთელი ოთხი წლის მანძილზე უყურა და ვერა დაინახა რა.

მართალია, ბევრს ნიშნავს ის ამბავიც, როცა უეცრივ შინაგანად ორივე მხარეში მოხდება ცვლილება. თუმცა ტოცკის ახსენდებოდა, რომ ადრევეც იყო წუთები, როცა უცნაური ფიქრები ებადებოდა, მაგალითად, ამ თვალებში ჩახედვისას, შიგ თითქოს რაღაც ღრმა, იდუმალი, უძირო იგრძნობოდა. შემოგხედავდა და თითქოს გამოცანას გეტყოდა. უკანასკნელ ორ წელს ხშირად

აოცებდა ნასტასია ფილიპოვნას სახის ფერიც; საოცრად გაეცრიცა პირისკანი. საკვირველი ის იყო, რომ ამან თითქოს უფრო დაამშვენა. როგორც თავის დროზე კარგა დრონატარები ჯენტლმენები, ტოცკიც თავდაპირველად გულაყრით ეკიდებოდა ამ ცხოვრებაში გამოუცდელ უბირ სულს, რომელიც ასე იოლად მოიგდო ხელთ, მაგრამ უკანასკნელ დროს, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა თავის შეხედულებაში. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულს ჰქონდა გადაწყვეტილი, რაც შეიძლება მალე გაეთხოვებინა ნასტასია ფილიპოვნა ვინმე კეთილგონიერ, რიგიან ვაჟბატონზე, რომელიც სხვა გუბერნიაში იმსახურებდა, ჩინებულად მოეწყო მისი ცხოვრება და შეძლებაც კარგი მიეცა (ოჰ, რა ნიშნისმოგებით, რა გესლიანად დასცინოდა ამაზე ნასტასია ფილიპოვნა). მაგრამ ახლა ამ სიახლით მოხიბლულმა აფანასი ივანოვიჩმა ისიც კი გაიფიქრა, რომ ურიგო არ იქნებოდა ხელახლა გამოეყენებინა თავისი სიამოვნებისათვის ეს ქალი. მან გადაწყვიტა, ნასტასია ფილიპოვნა პეტერბურგში დაებინავებინა და ფუფუნება და კომფორტი არ დაეკლო მისთვის. თუ ასე არა, ისე მაინც ესარგებლა. ნასტასია ფილიპოვნათი დიახაც შეიძლებოდა გარკვეულ წრეში თავის მოწონება და დატრაბახება. აფანასი ივანოვიჩს კი მერე როგორ ესახელებოდა ამნაირ საქმეებში თავის გამოჩენა.

პეტერბურგში ცხოვრების ხუთმა წელმა რომ განვლო, ამ ხანში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გამოირკვა. აფანასი ივანოვიჩის მდგომარეობა ვერაფერი სახარბიელო აღმოჩნდა. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ, რაკი ერთხელვე დაფრთხა, მერე ვერა ძალით ვერ გაიმაგრა გული. თვითონაც არ იცოდა, რატომ ეშინოდა ასე ნასტასია ფილიპოვნასი, მაგრამ ეშინოდა კი, მორჩა და გათავდა. რამდენიმე ხანს, პირველ ორ წელს ეჭვი შეეპარა კიდეც, საოცარი თავმოყვარეობა არ აღებინებდა ხმას და მის წინადადებას დაჟინებით ელოდა. პრეტენზია, მართლაც უცნაური იქნებოდა. აფანასი ივანოვიჩი წარბს შეჭმუხნიდა ხოლმე და მძიმედ ჩაფიქრდებოდა, მაგრამ რა დიდად გაოცდა და ცოტა არ იყოს იტკიცა კიდეც (რას იზამ, ასეა კაცის გული მოწყობილი), როცა ერთი შემთხვევის წყალობით უეცრად დარწმუნდა, კიდევაც რომ ეთხოვა ცოლობა, მის წინადადებას არავინ მიიღებდა. კარგა ხანს ვერა და ვერ ჩახვდა ამ ამბავს. ერთადერთ შესაძლებელ მიზეზად მარტო ის ჩათვალა, რომ „შეურაცხყოფილი და ფანტასტიკური ქალის“ სიამაყე ისეთ გააფთრებამდე მისულა, რომ ურჩევნია ერთხელვე უარი თქვას და თავისი ზიზღი გამოააშკარავოს, ვინემ სამუდამოდ გაიმტკიცოს მდგომარეობა და მიუღწეველს მიაღწიოს. სამწუხაროდ, ნასტასია ფილიპოვნას ბევრ რამეში საოცრად გაუვიდა თავს. ვერც ვერაფერმა მოხიბლა, საკმაოდ დიდმა ფულმაც კი. მართალია, კომფორტულ ცხოვრებაზე დათანხმდა, მაგრამ მეტად სადა ცხოვრებას ეწეოდა და ამ ხუთი წლის მანძილზე თითქმის არაფერი მოუნაგრებია. აფანასი ივანოვიჩმა თავისი კირთების დასამსხვრევად ერთ ეშმაკურ ფანდსაც მიმართა შეუმჩნევლად და ოსტატურად, გაქნილი პირების დახმარებით, სხვადასხვა იდეალური ცდუნებით დაუპირა შეცდენა, მაგრამ ხორცშესხმულმა ცდუნებებმა – თავადების, გუსარების, საელჩოების მდივნების, პოეტების, რომანისტების, ასე გასინჯეთ, სოციალისტების სახითაც კი – ნასტასია ფილიპოვნაზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს, თითქოს გულის მაგივრად ქვა ედო მკერდში, გრძნობები კი ერთხელ და სამუდამოდ გადასწვოდა და გადაბუგვოდა. მეტწილად განმარტოებით ცხოვრობდა, დროს კითხვაში ატარებდა, სწავლობდა კიდეც, მუსიკაც უყვარდა. ნაცნობები ცოტა ჰყავდა, ვიღაც სასაცილო და ღარიბი მოხელეების ცოლებს ემეგობრებოდა, ვიღაც ორ მსახიობ ქალს იცნობდა, კიდევ ბებრუხუნებს, ძალიან უყვარდა ერთი დარბაისელი მასწავლებლის წვრილშვილიანი ოჯახი. ამ ოჯახში ისიც ძალიან უყვარდათ და მისი სტუმრობა დიდად სიამოვნებდათ. თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდა ხოლმე მასთან ხუთი-ექვსი ნაცნობი, მეტი არა. ტოცკიც ძალიან

ხშირი სტუმარი იყო მისი. უკანასკნელ ხანებში ნასტასია ფილიპოვნას გენერალ ეპანჩინიც გაეცნო, თუმცა ცოტა გაჭირვებით კი. იმავე დროს ყოვლად ადვილად და გაუჭირვებლად გაეცნო ერთი ახალგაზრდა მოხელე, ვინმე ფერდიშჩენკო, მეტად უწესო და ბილწი ენის პატრონი, რომელიც ენამწარობაზე დებდა თავს და გადაკვრის მოყვარულიც იყო. ნასტასია ფილიპოვნას ნაცნობებში ერთი უცნაური ყმაწვილიც ერია, გვარად პტიცინი, თავმდაბალი, დიდად წესიერი, მშვენივრად ჩაცმულ-დახურული კაცი, რომელიც ღატაკების წრიდან იყო გამოსული და ახლა მევახშეობას მისდევდა. ბოლოს გავრილა არდალიონოვიჩიც დაუახლოვდა... ერთი სიტყვით, ყოველივე იმით დაბოლოვდა, რომ ნასტასია ფილიპოვნას უცნაური სახელი დაუვარდა მისი სილამაზის ამბავი ყველას სმენოდა, მაგრამ კაციშვილი ვერაფერს დაიტრაბახებდა, ვერაფერს იტყოდა მასზე. ასეთმა სახელმა, განათლებამ, მოხდენილმა თავდაჭერამ, მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა აფანასი ივანოვიჩს საბოლოოდ განუმტკიცა მისი გეგმა. სწორედ ამ მომენტიდან იყო, ესოდენ საქმიანად და თავდადებით რომ ჩაერია თვით გენერალი ეპანჩინი ამ ამბავში.

როცა ტოცკიმ თავაზიანად სთხოვა მეგობრული რჩევა მისი ერთ-ერთი ქალიშვილის თაობაზე, ამასთან, კეთილშობილურად გულიც გადაუშალა და ყველაფერი გულახდით უამბო; არ დაუმალა, რომ გადაწყვეტილება აქვს, არავითარ საშუალებას არ დაერიდოს, ოღონდაც თავისუფლება დაიბრუნოს, რომ არ დამშვიდდება, თუნდაც ნასტასია ფილიპოვნამ თვითონ განუცხადოს, ამის შემდეგ აღარ შეგაწუხებო, რომ ლიტონ სიტყვებს არ დასჯერდება, თუ სრული გარანტია არ მიიღო. ასე რომ, პირი შეკრეს და გადაწყვიტეს, ერთად ემოქმედათ. თავდაპირველად დათქვეს, რომ ჯერ ლმობიერი საშუალება ეხმარათ, ასე ვთქვათ, „გულის კეთილშობილურ სიმებს“ შეხებოდნენ მხოლოდ. ჰოდა, ორთავე ერთად ეახლა ნასტასია ფილიპოვნას. ტოცკიმ პირდაპირ გამოუცხადა ქალს, რა საშინელ, აუტანელ დღეში იმყოფებოდა. ყველაფერში თავისი თავი გაამტყუნა. გულახდით უთხრა, რომ თავის სულ პირვანდელ საქციელს არ ნანობს, რა ქნას, მოურჯულებელი მუსუსია და თავს ვერ ერევა, მაგრამ ახლა დაქორწინება აქვს გადაწყვეტილი და ამ ყოვლად საკადრის, დიდკაცური ჯვრისწერის ბედი მის ხელთაა; ერთი სიტყვით, ნასტასია ფილიპოვნას კეთილშობილი გულის იმედი აქვს. შემდეგ, ვითარცა მამა, გენერალი ეპანჩინი წამოდგა წინ, ილაპარაკა საფუძვლიანად, გულის ამაჩვილებელი სიტყვების გარეშე, მხოლოდ ის თქვა, რომ აფანასი ივანოვიჩის ბედის გადაწყვეტაში სრულიად სამართლიანად სცნობს ნასტასია ფილიპოვნას უფლებას, თან მარჯვედ დაიმდაბლა თავი და გამოუტყდა, რომ მისი ქალისა თუ ეგებ დანარჩენი ორი ქალიშვილის ბედიც ამ მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ნასტასია ფილიპოვნა რომ შეეკითხა „ჩემგან რას მოითხოვთო“ – ტოცკიმ ასევე გულახდითა და პირდაპირობით აღიარა, რომ ხუთი წლის წინ ისე დაშინდა, ახლაც კი ვერ გაიმაგრა გული და მანამდე ვერც დამშვიდდება, ვიდრე ნასტასია ფილიპოვნა არ გათხოვდება ვისმეზე. ისიც დაატანა მაშინვე, რომ ეს თხოვნა მისი მხრივ დიახაც სულელური იქნებოდა, თუ რომ საამისო საფუძველი ცოტაოდენ არ გააჩნდეს. მან მშვენივრად შეამჩნია და გადაჭრითაც გაიგო, რომ ერთი ყმაწვილი კაცი, კარგი გვარის პატრონი და ყოვლად რიგიანი ოჯახის შვილი, კერძოდ, გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინი, რომელსაც ნასტასია ფილიპოვნა იცნობს და სახლშიც იღებს, დიდი ხანია თავდავიწყებით შეყვარებულია მასზე და ნახევარ სიცოცხლეს არ დაიშურებს, ოღონდ მისი თანაგრძნობის იმედი იქონიოს. გავრილა არდალიონოვიჩი კარგა ხანია უკვე თავისი პირით გამოუტყდა მას, აფანასი ივანოვიჩს, მეგობრულად, ყმაწვილური სიალალით და ამ ყმაწვილი კაცის მფარველმა ივან ფიოდოროვიჩმაც კარგა ხანია იცის უკვე ეს ამბავი. დაბოლოს, თუ აფანასი ივანოვიჩი არ ცდება, ყმაწვილი კაცის სიყვარულის ამბავი ნასტასია ფილიპოვნასაც კარგა ხანია გაგებული აქვს და,

როგორც მას მოეჩვენა, ამ სიყვარულს მოწყალე თვალით უცქერის. რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკი აფანასი ივანოვიჩისთვის ყველაზე უფრო საჩოთიროა. მაგრამ თუკი ნასტასია ფილიპოვნა იმასაც დაუშვებს, რომ ეგოიზმისა და საკუთარი ბედის მოწყობის სურვილის გარდა ტოცკის ცოტაოდენ მისი სიკეთის სურვილიც ამოძრავებს, მიხვდება, რომ დიდი ხანია უკვე უცნაურად ეჩვენება და უმძიმს კიდეც ქალის მარტოობის ცქერა რომ მის ირგვლივ ყველაფერი გაურკვეველ ბნელს, ცხოვრების განახლების სრულ უნდობლობას მოუცავს, თუმცა კი სიყვარული და ოჯახი მის სიცოცხლეს კვლავ ეშხს მისცემს და ახალ მიზანს დაუსახავს, რომ ტყუილად ღუპავს ამდენ ნიჭსა და უნარს, ვინ იცის, რაოდენ ბრწყინვალეს, რომ საკუთარი ტანჯვის წარმოდგენით იღიზიანებს თავს და ამაში ნეტარებას პოულობს, რაც ცოტაოდენ რომანტიზმს ჩამოჰგავს და რაც ნასტასია ფილიპოვნას ფხიზელ გონებას და კეთილშობილ გულს არ შეშვენის. შემდეგ აფანასი ივანოვიჩმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ამაზე ლაპარაკი მისთვის ყველაზე უფრო სამძიმოა, და იმით დააბოლოვა, რომ მაინც აქვს იმედი, ნასტასია ფილიპოვნა ზიზღით არ შეხედავს, თუკი ის თავის წრფელ სურვილს გამოთქვამს მისი მომავლის უზრუნველყოფისათვის და სამოცდათხუთმეტ ათას მანეთს შესთავაზებს. ისიც დაუმატა, რომ ეს თანხა, სულერთია, ანდერძში აქვს უკვე ჩაწერილი მის სახელზე, ერთი სიტყვით, სულაც არ წარმოადგენს საზღაურს... და რომ ბოლოს, რატომ არ შეიძლება მასაც ეპატიოს სურვილი, რითიმე მაინც შეიმსუბუქოს სინდისის ქენჯნა და ა.შ. და ა.შ. მოკლედ, რაც მსგავს შემთხვევებში ითქმება ხოლმე ამ თემაზე. აფანასი ივანოვიჩმა დიდხანს ილაპარაკა დიდის ენამზეობით და ისიც ჩაურთო გაკვრით, რომ ამ სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ამბავი პირველად ახლა დასცდა მხოლოდ (ფრიად საგულისხმო ცნობა), რომ ივან ფიოდოროვიჩმაც კი, რომელიც აგერ აქა ზის, არაფერი იცის ამის თაობაზე, ერთი სიტყვით, არც არავინ იცის. ნასტასია ფილიპოვნას პასუხმა ორივე მეგობარი განაცვიფრა.

ნასტასია ფილიპოვნას არც წინანდელი დაცინვის სურვილი გამოუმჟღავნებია, არც წინანდელი მტრობა და სიძულვილი, არც ხარხარი დაუწყია, რომლის მარტო გახსენებაც კი ტოცკის დღემდე ჟრუანტელს ჰგვრიდა. პირიქით, თითქოს გაეხარდა კიდეც, რომ შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას გული გადაუშალოს და მეგობრულად ელაპარაკოს. გამოტყდა, რომ დიდი ხანია თავადაც ეწადა მეგობრული რჩევის კითხვა, მხოლოდ სიამაყე უშლიდა ხელს, მაგრამ ახლა, რაკი ნავსი გატყდა, ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს. თავდაპირველად სევდიანი ღიმილით აღიარა, მერე კი მხიარული და ცელქი სიცილითაც მოაყოლა, რომ ყოველ შემთხვევაში წინანდელ ვაი-უშველებელს აღარ ატეხს, რომ დიდი ხანია უკვე ნაწილობრივ გადაუსხვაფერდა შეხედულებანი, მართალია, გული არ შეეცვალა, მაგრამ მაინც სცნობს, რომ მომხდარ ამბებს აღარაფერი ეშველება, რომ რაც წარსულს ჩაბარდა, ჩაბარდა. ასე რომ, კიდეც უკვირს, აფანასი ივანოვიჩი ისევ დამფრთხალი რომ არის.

მერე ივან ფიოდოროვიჩს მიუტრიალდა და უდიდესი პატივისცემით აუწყა, რომ მის ქალებზე დიდი ხანია ბევრი რამ აქვს გაგებული და დიდი ხანია ღრმა და გულწრფელ პატივისცემას გრძნობს მათდამი. თუკი მათ რამეში გამოადგება, ეს ამბავი ბედნიერებით და სიამაყით აავსებს. ისიც მართალია, რომ ახლა დამძიმებული აქვს გული და მეტად ეულად გრძნობს თავს. აფანასი ივანოვიჩი მიუხვდა გულისნადებს; თუ სიყვარულმა არა, ეგებ ოჯახმა მაინც გამოაცოცხლოს და ახალი მიზანი დაუსახოს, ოღონდ გავრილა არდალიონოვიჩზე თითქმის ვერაფერს იტყვის. მგონი, მას მართლაც უნდა უყვარდეს. იმასაც გრძნობს, რომ ეგებ თვითონაც შეძლოს შეყვარება, თუკი მისი გრძნობის სიმტკიცეში დარწმუნდება. გავრილა არდალიონოვიჩი გულწრფელიც რომ იყოს, მაინც მეტად ყმაწვილია და ამიტომ ძნელი გადასაწყვეტია ჯერჯერობით ეს საკითხი.

თუმცა ყველაზე მეტად ის მოსწონს მისი, რომ მუშაობა უყვარს, თავს არ იზოგავს და მთელ ოჯახს მარტო თვითონ არჩენს. გაგონილი აქვს, რომ ენერგიული კაცია, ამაყი ბუნების, კარიერისა და წარჩინების მაძიებელი. იმასაც მოჰკრა ყური, რომ გავრილა არდალიონოვიჩის დედა, ნინა ალექსანდროვნა ივოლგინა, ჩინებული და უაღრესად პატივსაცემი ქალია, რომ მისი და, ვარვარა არდალიონოვნა კი ფრიად შესანიშნავი და ენერგიული ყმაწვილი ქალი. პტიცინისგან ბევრი რამ სმენია მასზე. გაგებული აქვს, რომ ისინი ვაჟკაცურად იტანენ თავიანთ გაჭირვებასა და უბედურებას; დიდი სიამოვნებით გაეცნობოდა მათ, მაგრამ საკითხავია, ისინი კი მიიღებენ მას გულღიად ოჯახში ერთი სიტყვით, ამ ქორწინების საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვის, ოღონდ ჯერ კიდევ კარგა დიდი დაფიქრება სჭირდება. ამიტომ ნურც დააჩქარებენ. რაც შეეხება სამოცდათხუთმეტ ათასს, აფანასი ივანოვიჩს ტყუილად გაუჭირდა ასე ამის თქმა. ფულის ყადრი კარგად იცის და, რა თქმა უნდა, მიიღებს კიდეც. აფანასი ივანოვიჩის დიდი მადლიერია, ეგზომ გულისხმიერება რომ გამოიჩინა და არათუ გავრილა არდალიონოვიჩს, გენერალსაც არაფერი უთხრა ამის თაობაზე, თუმცა კი ვითომ რატომ არ უნდა იცოდეს წინდაწინ იმ ყმაწვილმა კაცმაც ეს ფული დიახაც სასირცხვილოდ არ მიაჩნია, თუკი მათ ოჯახში შევა. ასეა თუ ისე, შენდობის გამოთხოვას არავისთან აპირებს და სწადია, ეს ამბავი ყველამ შეიტყოს. გავრილა არდალიონოვიჩს მანამ არ გაჰყვება, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ არც მას, არც მის ოჯახს გულში ხინჯი არ უდევთ მისდამი. ყოველ შემთხვევაში თავს დამნაშავედ არაფერში სცნობს. ჰოდა, სჯობს კიდეც, გავრილა არდალიონოვიჩმა შეიტყოს, ეს ხუთი წელი პეტერბურგში როგორ გაატარა, რა დამოკიდებულებაში იყო აფანასი ივანოვიჩთან და რა ქონება დააგროვა. და ბოლოს, თუ ახლა უარს არ ამბობს ამ ფულზე, სულაც არ თვლის ამას შებღალული უმანკოების საფასურად, რაშიც თავად ბრალი არ უდევს, და მხოლოდ თავისი გამრუდებული ცხოვრების საზღაურად მიაჩნია.

დასასრულ, ნასტასია ფილიპოვნა ისე გაცხარდა და გაგულისდა, როცა ეს ყოველივე გადმოალაგა (ან რა გასაკვირი იყო), რომ გენერალი ეპანჩინი ფრიად კმაყოფილი დარჩა და საქმე გაჩარხულად ჩათვალა. მაგრამ ერთხელვე გულდაშინებულმა ტოცკიმ ახლაც ვერ იწამა სავსებით და დიდხანს ეჭვობდა, აქ სადმე ეშმაკი არ იმალებოდესო. თუმცა მოლაპარაკება მაინც დაიწყო. ორივე მეგობრის მთელი იმედებისა და ფანდების დასაყრდენი, კერძოდ, ის ამბავი, რომ ნასტასია ფილიპოვნას შეიძლება გული შევარდნოდა განიაზე, ნელ-ნელა ნათელი გახდა და გამართლდა. ასე რომ ტოცკისაც კი ხანდახან სჯეროდა წარმატების შესაძლებლობა. ამასობაში ნასტასია ფილიპოვნა განიას მოელაპარაკა ბევრი არაფერი უთქვამს, თითქოს კდემამოსილება არ აძლევდა ამის ნებას. ოღონდაც განიას სიყვარული დასაშვებად მიიჩნია და არც აუკრძალავს, ეს კია, გადაჭრით განუცხადა, რომ თავს არაფრით შეიზღუდავს, რომ ქორწინებამდე (თუკი ქორწინება შედგა) უფლებას იტოვებს, უკანასკნელ წუთშიც კი თქვას „არა“, ასეთივე უფლება ეძლევა განიასაც. მალე განიამ, ერთი მარჯვე შემთხვევის წყალობით, დანამდვილებით შეიტყო, რომ მთელი მისი ოჯახის მტრული განწყობილება ამ ქორწინებისადმი და პირადად ნასტასია ფილიპოვნასადმი ქალის ყურამდე დაწვრილებით არის მიტანილი. თვითონ ქალი ამაზე კრინტს არ სძრავდა, თუმცა განია ყოველდღე ელოდა, აი, ახლა იტყვისო. ერთი სიტყვით, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ამ მაჭანკლობა-მოლაპარაკებათა მიზეზით გამომჟღავნებულ ამბებსა და ვითარებაზე, მაგრამ ჩვენ ისედაც გავიჭერით წინ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი გარემოება ჯერჯერობით მხოლოდ ყრუ მითქმა-მოთქმას წარმოადგენდა. მაგალითად, ტოცკის თითქოს საიდანღაც შეეტყო, რომ ნასტასია ფილიპოვნას რაღაც გაურკვეველი, იდუმალი ძაფები გაება ეპანჩინის ქალებთან – დიახაც ყოვლად დაუჯერებელი ჭორი. სამაგიეროდ, მეორე ამბისა

უნებლიეთ სჯეროდა და კოშმარივით აფრთხობდა მან სარწმუნო წყაროდან გაიგო, თითქოს ნასტასია ფილიპოვნას მშვენივრად სცოდნოდა, რომ განია მხოლოდ ფულის გულისთვის ირთავს მას; რომ განია გულშავია, ხარბი, სულსწრაფი, შურიანი და წარმოუდგენლად, ყოვლად შეუფერებლად პატივმოყვარე; რომ განია, მართალია, წინათ თავგამოდებით ცდილობდა ნასტასია ფილიპოვნას გულის მონადირებას, მაგრამ როცა ორივე მეგობარმა გადაწყვიტა ეს ორივ მხრივ აღძრული გრძნობა თავისდა სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ნასტასია ფილიპოვნას კანონიერ ცოლად მიყიდვით განია მოესყიდათ, კოშმარივით შეიძულა ქალი. მის გულში თითქოს უცნაურად შერწყმულიყო ვნებაცა და სიძულვილიც. და თუმცა დიდი მტანჯველი ყოყმანის შემდეგ ბოლოს და ბოლოს კი დაყაბულდა ამ „ბილწ დედაკაცის“ შერთვაზე, მაგრამ გულში ფიცი დაედო, მწარედ ეზღვევინებინა მისთვის და „ძმრად ამოედინა“ ყველაფერი, როგორც თვითონ ეთქვა თურმე. ყოველივე ეს ნასტასია ფილიპოვნამაც იცოდა თითქოს და რაღაცას ფარულად ამზადებდა. ტოცკი იმდენად დააფრთხო ამ ამბებმა, ეპანჩინისთვისაც აღარ გაუზიარებია თავისი შიში და წუხილი. მაგრამ გამოერეოდა წუთები, როცა მას, როგორც ბუნებით ლაჩარ კაცს სჩვევია, კვლავ აღეძრებოდა იმედი და გამხნევდებოდა; მაგალითად, მეტისმეტად გული მოეცა, როცა ნასტასია ფილიპოვნამ ორივე მეგობარს სიტყვა მისცა, რომ საღამოს, თავის დაბადების დღეს, გადაჭრილ პასუხს იტყოდა. სამაგიეროდ, ყველაზე უცნაური და დაუჯერებელი ამბავი, რაც თვით პატივცემულ ივან ფიოდოროვიჩს ეხებოდა, ვაი, რომ თანდათან სარწმუნო ხდებოდა.

აქ ერთი შეხედვით ყველაფერი წარმოუდგენელი ჩანდა. აბა ვინ დაიჯერებდა, რომ ივან ფიოდოროვიჩს, ამ დარბაისელ კაცს, ჩინებული ჭკუა-გონების, ცხოვრების ავ-კარგის მშვენიერ მცოდნესა და ა.შ. და ა.შ., სიბერეში ნასტასია ფილიპოვნა ააცუნცრუკებდა, და თითქოს იმ ზომამდეც კი, რომ ეს ახირება ლამის ვნებად გადაქცეოდა. რისი იმედი ჰქონდა ამ შემთხვევაში – ძნელი წარმოსადგენია. იქნებ თვით განიას ხელშეწყობისა. ყოველ შემთხვევაში, ტოცკის ეჭვი ჰქონდა, რაღაც ამდაგვარი უნდა ყოფილიყო, ეჭვი ჰქონდა, რაღაც თითქმის უსიტყვო შეთანხმება უნდა არსებულიყო, რაც ერთმანეთის ხვაშიადის ჩაწვდენას ეფუძნებოდა გენერალსა და განიას შორის, თუმცა ვინ არ იცის, რომ ვნებით თავბრუდახვეული კაცი, ისიც ხანში შესული, პირწმინდად ბრმავდება და, საიმედო რომც არაფერი ჰქონდეს, იმედს მაინც არ ეშვება. კიდევ მეტი, გონებას ჰკარგავს და რა ჭკუის კოლოფიც უნდა იყოს, ბრიყვი ბალღივით იქცევა. ცნობილი იყო, რომ გენერალმა ნასტასია ფილიპოვნას დაბადების დღისთვის თავის მხრივ განსაცვიფრებელი მარგალიტი მოუმზადა, რაც უამრავი ფული დაუჯდა. თანაც ამ საჩუქრით დიდად გახლდათ დაინტერესებული, თუმცა იცოდა, ნასტასია ფილიპოვნა ანგარებიანი ქალი იყო. ნასტასია ფილიპოვნას დაბადების წინადღეს ის ციებ-ცხელებიანივით იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოსტატურად მალავდა ამას. სწორედ ამ მარგალიტის ამბავი ჩასწვდომოდა ყურში გენერალ ეპანჩინის მეუღლეს. მართალია, ლიზავეტა პროკოფიევნამ რა ხანია უკვე შეატყო თავის ქმარს ამჩატება, ნაწილობრივ კიდეც მიჩვეოდა ამას, მაგრამ ასეთი შემთხვევა სწორედ არ შეიძლებოდა გაეშვა ხელიდან მარგალიტის ამბავმა ქალი ფრიად დააინტერესა. გენერალმა დროზე მიაკვლია ამას. ჯერ კიდევ წინა დღეს რაღაცები გადაუკრეს კიდეც, გრძნობდა, რომ დიდი ლაპარაკი ელოდა და დიახაც შიშობდა. სწორედ ამიტომ საოცრად არ უნდოდა იმ ჩვენი ამბის დაწყების დილას ოჯახურ საუზმეზე დასწრება. თავადის მოსვლამდე ჰქონდა გადაწყვეტილი, საქმეები მოემიზეზებინა და თავი დაეძვრინა, თავის დაძვრენა კი გენერლისთვის ხანდახან უბრალოდ გაქცევას ნიშნავდა. თუნდაც ამ ერთ დღეს, და რაც მთავარია, დღევანდელ საღამოს გადარჩენოდა უსიამოვნებას, სხვას არაფერს ნატრობდა.

სწორედ ამ დროს მოევლინა თავადი მხსნელად. „თითქოს განგებამ გამომიგზავნაო!“ - გაიფიქრა გენერალმა, მეუღლესთან რომ შედიოდა.

V

გენერლის მეუღლე თავის ჩამომავლობაზე აუგს არავის ათქმევინებდა. ჰოდა, რა გუნებაზე უნდა დამდგარიყო, როცა პირდაპირ და შეუმზადებლად გამოუცხადეს, რომ მისი გვარის ეს უკანასკნელი წარმომადგენელი, თავადი მიშკინი, რომელსაც უკვე გაეგო რაღაც, ერთი საცოდავი იდიოტია, თითქმის მათხოვარი და მოწყალებას არ თაკილობსო. გენერალს სწორედ ეფექტის მოხდენა ეწადა, რა არის დაეინტერესებინა მეუღლე და როგორმე ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. ზოგ უჩვეულო შემთხვევებში გენერლის მეუღლე მეტისმეტად გადმოქაჩავდა ხოლმე თვალებს, ტანს ცოტაოდენ უკან გადასწევდა, გაურკვევლად მიაშტერდებოდა რასმე და პირში წყალს ჩაიგუბებდა. ეს იყო მაღალი, ხმელ-ხმელი ქალი, თავისი ქმრის კბილა, გრუზა თმაში კარგა ბლომად გარეოდა ჭაღარა; კეხიანი ცხვირი ჰქონდა, მოყვითალო, ჩავარდნილი ლოყები, თხელი, შეწეული ტუჩები და მაღალი, ვიწრო შუბლი. ჭროღა, საკმაოდ დიდრონი თვალები შიგადაშიგ უცნაურად იცქირებოდნენ. ოდესღაც ვიღაცას დაეჯერებინა, გამოხედვა საოცრად ეფექტური გაქვთო, და ეს რწმენა წარუშლელად ჩარჩენოდა გულში.

– მივიღო თქვენ მეუბნებით ახლავე, ამ წუთას მივიღო – მთელი ძალით უქაჩავდა გენერლის მეუღლე თვალებს მის წინ მოცუნცრუკე ივან ფიოდოროვიჩს.

– ო, თუ მის ნახვას მოისურვებ, ჩემო კარგო, ყოვლად უცერემონიოდ შეგიძლია მიიღო, – სხაპასხუპით უხსნიდა გენერალი, – წმინდა წყლის ბალღია და მერე რა საცოდავი. რაღაც ავადმყოფური ზნე სჭირვებია, ეს-ესაა შვეიცარიიდან ჩამოვიდა, პირდაპირ მატარებლიდან მოგვადგა. უცნაურად აცვია, გერმანულ ყაიდაზე. თანაც კაპიკი არ გააჩნია; ლამის იტიროს. ოცდახუთი მანეთი ვაჩუქე და ჩვენს კანცელარიაშიც მინდა რამე პატარა, მწერლის ადგილი გამოვუნახო. თქვენ კი, mesdames გთხოვთ გაუმასპინძლდეთ, მგონი, მშიერიც უნდა იყოს...

– პირდაპირ მაკვირვებთ, – განაგრძობდა ძველებურად გენერლის მეუღლე, – მშიერი და ზნიანიო! მაინც რა ზნე?

– ო, არც ისე ხშირად მოსდის, თანაც პატარა ბავშვივითაა, თუმცა განათლებული კია, – მერე თავის ქალებს მიუბრუნდა, – თქვენთვის კი მინდოდა მეთხოვა, Mesdames, გამოგეცადათ, ურიგო არ იქნებოდა გაგვეგო, რა შეუძლია.

– გა-მო-ეცა-დათ – გააგრძელა სიტყვა გენერლის მეუღლემ და უდიდესი განცვიფრებით ხან ქალებისკენ, ხან ქმრისკენ გადაქაჩა თვალები.

– ო, ჩემო კარგო, ეგრე ნუ მიიღებ... თუმცა, როგორც გენებოს, მინდოდა დაგვეყვავებინა და სახლში შემოგვეყვანა, სწორედ სამადლო საქმე იქნებოდა.

– სახლში შემოვიყვანოთ შვეიცარიიდან?

– შვეიცარია აქ არაფერს დაუშავებს. თუმცა კიდევ გეტყვი, როგორც გენებოს, მე ხომ იმიტომ გითხარი, ჯერ ერთი, მოგვარეა, და იქნებ ნათესავიც იყოს, მეორეც ის, რომ თავის შესაფარებელი არსად აქვს. მეგონა, შენ ცოტა მაინც დაინტერესდებოდი, რაც უნდა იყოს, ჩვენს გვარს ეკუთვნის.

– რა თქმა უნდა, maman, თუკი მასთან დიდი ცერემონიები არ დაგვჭირდება, თანაც ნამგზავრი ყოფილა და მშიერი, რატომაც არ უნდა გავუმასპინძლდეთ, მით უფრო, თავშესაფარი არსად ჰქონია, – თქვა უფროსმა ქალმა ალექსანდრამ.

– თანაც წმინდა წყლის ბალღია, თვალხუჭობანასაც კი ეთამაშება კაცი.

– თვალხუჭობანას რანაირად

– ოჰ, maman, თუ შეიძლება თავს ნუ იკატუნებთ, – გული მოუვიდა აგლაიას და გააწყვეტინა. შუათანა დამ, ადელაიდამ, ცოტა რამ ჰყოფნიდა გასაცინებლად, ახლაც ვერ მოითმინა და გადაიკისკისა.

– დაუძახეთ, papa, maman, ნებას გრთავთ, – გადაწყვიტა აგლაიამ. გენერალმა დარეკა და თავადის შემოყვანა ბრძანა.

– მაგრამ იმ პირობით კი, ხელსაწმენდი ააფარეთ გულზე, სუფრას რომ მოუჯდება, – გადაწყვიტა გენერლის მეუღლემ, – ფიოდორს დაუძახეთ, თუმცა მავრა აჯობებს... უკან მოუდგეს და თვალი ეჭიროს ჭამის დროს. როცა ზნე უვლის, მშვიდი თუ არის მაინც ხელებს არ აქნევს?

– პირიქით, წარმოიდგინეთ, ჩინებულადაა აღზრდილი და თავდაჭერაც მშვენიერი აქვს. ოღონდ შიგადაშიგ ცოტა მოიშტერებს... აგერ, თვითონაც! მაშ, გთხოვთ, იცნობდეთ, უკანასკნელი თავადი მიშკინი გახლავთ, ჩვენი მოგვარე და თითქმის ნათესავიც. დაუტკბით და დაუყვავეთ. ახლავე საუზმეც იქნება, თავადო, ასე რომ, პატივი გვეცით და... მე კი, მაპატიეთ, მაგვიანდება, მეჩქარება...

– ვიცით, ვიცით, სადაც გეჩქარებათ, – ხაზგასმით წარმოთქვა გენერლის მეუღლემ.

– მეჩქარება, ჩემო კარგო, მეჩქარება, დამაგვიანდა! თქვენი ალბომები მიეცით, mesdames, ერთი დაგიწეროთ შიგ, ნახავთ, რა კალიგრაფიაა, პირდაპირ იშვიათი ნიჭია! ჩემთან ისე გააჭრელა ძველებური ხელით წინამძღვარმა პაფნუტიმ ხელი მოაწერაო!.. აბა, ნახვამდის.

– პაფნუტი წინამძღვარი დაიცათ, სად მიდიხართ, რომელი პაფნუტია კიდევ – დაჟინებითა და ლამის შეშფოთებით მიაძახა გულმოსულმა გენერლის მეუღლემ გაქცეულ ქმარს.

– ჰო, ჰო, ჩემო კარგო, ძველად ყოფილა ერთი ასეთი წინამძღვარი... მე კი გრაფთან უნდა წავიდე, მელოდება რა ხანია, რაც მთავარია, თვითონ დამიბარა... ნახვამდის, თავადო!

გენერალი სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

– ვიცით, რომელ გრაფთანაც მიბრძანდებით! – მკვახედ წაილაპარაკა ლიზავეტა პროკოფიევნამ და გაბრაზებული თვალი თავადზე გადაიტანა, – ჰო, რას ვამბობდი!

რაზე იყო ლაპარაკი! აჰ, ჰო ვინ წინამძღვარიო

– Maman, – დააპირა რაღაცის თქმა ალექსანდრამ, აგლაიამ კი ფეხიც დააბაკუნა.

– ნუ მიშლით ხელს, ალექსანდრა ივანოვნა, – მოუჭრა გენერლის მეუღლემ, – მეც მინდა ვიცოდე. აგერ აქ დაჯექით, თავადო, ამ სავარძელში, ჩემს პირდაპირ, თუმცა არა, აგერ აქ, მზისკენ, სინათლის ახლოს მიიწიეთ, კარგად დაგინახოთ. ჰო, ვინ წინამძღვარი?

– წინამძღვარი პაფნუტი, – მიუგო თავადმა დაკვირვებითა და დინჯად.

– პაფნუტი საინტერესოა. ჰოდა, მერე რა?

გენერლის მეუღლე მოუთმენლად, მკვახედ, ზედიზედ აყრიდა კითხვებს და თავადს თვალს არ აცილებდა, ხოლო როცა თავადი უპასუხებდა, ყოველ მის სიტყვაზე თავს აქნევდა.

– წინამძღვარი პაფნუტი მეთოთხმეტე საუკუნეში ცხოვრობდა თურმე, – დაიწყო თავადმა, – ვოლგაზე, ჩვენს ახლანდელ კოსტრომის გუბერნიაში სავანის წინამძღვარი ყოფილა. ცნობილი იყო თავისი წმინდანობით, არაერთხელ გახლდათ ნავალი თათართა ურდოში, მაშინდელ მოლაპარაკებებში იღებდა მონაწილეობას, ერთ გუჯარზე ხელიც აქვს მოწერილი. მისი ანაბეჭდი რომ ვნახე, ძალიან მომეწონა და დავისწავლე. როცა წეღან გენერალმა მოისურვა ჩემი ნაწერის შემოწმება, რა არის ჩემთვის რაიმე ადგილი შეერჩია, რამდენიმე წინადადება დავუწერე

სხვადასხვა შრიფტით, სხვათა შორის „წინამძღვარმა პაფნუტიმ ხელი მოაწერა“-თქო თვით წინამძღვარ პაფნუტის ხელწერით. გენერალს ძალზე მოეწონა, ჰოდა, ეს გაახსენდა ახლა.

– აგლაია, დაიმახსოვრე პაფნუტის სახელი, თუმცა სჯობს, ჩამიწერო, სულ მავიწყდება ხოლმე. უფრო საინტერესო კი მეგონა. ნაწერი სადღაა?

– მგონი, გენერლის კაბინეტში დარჩა, მაგიდაზე.

– ახლავე მოიტანეთ.

– თუ გნებავთ, ხელმეორედ დაგიწერთ.

– რასაკვირველია, maman, – უთხრა ალექსანდრამ, – ახლა კი წავიდეთ, ვისაუზმოთ. ჩვენ გვშია.

– ეგეც მართალია, – გადაწყვიტა გენერლის მეუღლემ, – წამოდით, თავადო, ძალიან გშიათ?

– დიახ, ახლა ძალზე მომშივდა და ძალზე მადლობელიც ვიქნები.

– ეგ კარგია, რომ ზრდილი ბრძანებულხართ. როგორც გატყობთ, არც ისეთი... ახირებული ყოფილხართ, როგორც თქვენი თავი წარმომიდგინეს. წამოდით. აგერ აქ დაჯექით, ჩემ პირდაპირ, – აფუსფუსდა გენერლის მეუღლე სასადილოში შესვლისას, – მინდა გიყუროთ. ალექსანდრა, ადელაიდა, თავადს გაუმასპინძლდით. ხომ მართალია, სულაც არაა ისეთი... ავადმყოფი იქნებ, ხელსაწმენდიც არ იყოს საჭირო. თავადო, ჭამის დროს ხელსაწმენდს თუ გაფარებდნენ გულზე?

– შვიდი წლის რომ ვიყავი, მაშინ მგონი კი, ახლა, ჩვეულებისამებრ, მუხლებზე გავიშლი ხოლმე.

– ეგრეც უნდა. მერედა ზნე?

– ზნე? – გაიკვირა ცოტა თავადმა, – ზნე ახლა საკმაოდ იშვიათად მივლის. თუმცა, ვერ გეტყვით. მითხრეს, აქაური ჰავა გავნებსო.

– მშვენივრად ლაპარაკობს, – მიუტრიალდა თავის ქალებს გენერლის მეუღლე, რომელიც თავადის ყოველ სიტყვაზე ისევ აქნევდა თავს, – არც მოველოდი. მაშასადამე, ყოველივე სისულელე და ტყუილი გამოდგა, ჩვეულებისამებრ, მიირთვით, თავადო, და თან მოგვიყევით სად დაიბადეთ, სად იზრდებოდით? მინდა, ყოველივე შევიტყო; მეტისმეტად მაინტერესებს თქვენი ამბავი.

თავადმა მადლობა მოახსენა და ხელახლა მოჰყვა იმას, რისი მოყოლაც ამ დილას არა ერთხელ და ორჯერ მოუხდა. თან საჭმელსაც მადიანად შეექცეოდა. გენერლის მეუღლეს მეტი და მეტი კმაყოფილება ეტყობოდა. გენერლის ასულებიც ყურადღებით უსმენდნენ. ნათესაობაც მოიძიეს. თავადს თავისი საგვარტომოს ამბავი საკმაოდ კარგად სცოდნოდა, მაგრამ რამდენიც არ ეძიეს, თავადსა და გენერლის მეუღლეს შორის თითქმის ვერავითარი ნათესაობა ვერ გამოჩხრიკეს. პეპერები და ბებიები ჰა და ჰა, შორეულ ნათესავებად კიდევ შეიძლება მოხვედროდნენ ერთმანეთს. ამ მოსაწყენ საგანზე საუბარი განსაკუთრებით ეამა გენერლის მეუღლეს, მას ხომ თითქმის არასოდეს უხდებოდა თავის გვარზე ბაასი, თუმცა კი ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა. ასე რომ, გენერლის მეუღლე ნასიამოვნები ადგა სუფრიდან.

– წამოდით, ჩვენს საკრებულოში წავიდეთ ყველა, ყავასაც იქ მოგვიტანენ. ეგ ჩვენი საერთო ოთახია, – მიუბრუნდა ის თავადს და ოთახიდან გაიყვანა, – უბრალოდ, ჩემი პატარა სასტუმრო გახლავთ, მარტო რომ ვართ, იქ ვიკრიბებით და ჩვენ-ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. ალექსანდრა, აგერ ეს ჩემი უფროსი ქალი, ფორტეპიანოზე უკრავს ხოლმე, ან კითხულობს თუ ქარგავს, ადელაიდა პეიზაჟებსა და პორტრეტებს ხატავს (თუმცა მისი დამთავრებული არაფერი მინახავს), აგლაია კი უქმად ზის, არაფერს აკეთებს. მეც ვერაფრისთვის მომიბია თავი. საქმე ხელიდან მივარდება. აგერ, მოვედით კიდეც. აი, აქ დაბრძანდით, თავადო, ღუმელთან, და გვიამბეთ რამე.

საინტერესოა, როგორი მოყოლა იცით. მინდა, კარგად დავრწმუნდე. როცა ბებერ თავადის ქალ ბელოკონსკაიას ვნახავ, თქვენს ამბავს წვრილად გადავცემ, მინდა, ისიც დავაინტერესო. აბა, გვიამბეთ.

– maman რა უცნაურია, ასე როგორ მოჰყვება, – შენიშნა ადელაიდამ, რომელსაც ამასობაში თავისი მოლბერტი გაესწორებინა, ფუნჯები, პალიტრა აეღო და ესტამპიდან უკვე დიდი ხნის დაწყებული პეიზაჟის გადმოღებას შესდგომოდა.

ალექსანდრა და აგლაია ერთად დასხდნენ პატარა დივანზე, გულხელი დაიკრიფეს და სმენად იქცნენ. თავადმა დაინახა, რომ ყველას ყურადღება მისკენ იყო მიქცეული.

– ასე რომ მიბრძანონ, ვერაფერსაც ვერ მოვყვები, – შენიშნა აგლაიამ.

– ვითომ რატომ? უცნაური რა არის? რად არ უნდა მოგვიყვეს ენა არა აქვს თუ. მინდა ვიცოდე, როგორი მოყოლა იცის. აბა, რამე მოჰყევით. როგორ მოგეწონათ შვეიცარია, როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება. აი, ნახავთ, თუ არ დაიწყოს, და მშვენივრადაც არ დაიწყოს...

– შთაბეჭდილება ძლიერი კი იყო... – დაიწყო თავადმა.

– ნახეთ, ნახეთ, – მოუბრუნდა მოუთმენელი ლიზავეტა პროკოფიევნა თავის ქალებს, – აკი დაიწყო.

– maman, მოყოლა მაინც დააცალეთ, – შეაჩერა ალექსანდრამ და მერე აგლაიას გადაუჩურჩულა, – რაღაც თაღლითს უფრო ჰგავს ეგ თავადი, ვინემ იდიოტს.

– მეც დიდი ხანია ეგ შევამჩნიე, – მიუგო აგლაიამ, – მერე რა საზიზღრობაა მისი მხრივ ასეთი თვალთმაქცობა. ან რას გამოელის ვითომ

– პირველი შთაბეჭდილება ძალზე ძლიერი გახლდათ, – გაიმეორა თავადმა, – როცა რუსეთიდან წამიყვანეს და სხვადასხვა გერმანული ქალაქები გავიარე, მახსოვს, ხმაამოუღებლად ვუყურებდი ყველაფერს, არაფერს არ ვეკითხებოდი. მანამდე რამდენიმეჯერ მომიარა იმ ჩემმა ავადმყოფობამ, საოცრად ძლიერი შეტევები მქონდა, ხოლო როცა სენი გამიძლიერდებოდა და ზედიზედ რამდენიმეჯერ მომივლიდა ხოლმე, სრულიად მალენჩებდა და მეხსიერებას სულ მიკარგავდა. მართალია, გონება კი მუშაობდა, მაგრამ აზრის ლოგიკური მსვლელობა თითქოს მიწყდებოდა. ორ ან სამ აზრზე მეტს მიყოლებით ვერ ვაბამდი. მგონი, ასე მომდიოდა. ზნის მოვლის მერე კი კვლავ ჯანმრთელად და ღონივრად ვგრძნობდი თავს, როგორც ახლა. მახსოვს აუტანელმა ნაღველმა შემიპყრო მაშინ. ტირილიც კი მერეოდა. ყველაფერი მაკვირვებდა და მაშფოთებდა საოცრად იმოქმედა ჩემზე, რომ ყველაფერი უცხო იყო; ამას კი მივხვდი, უცხოობა მკლავდა. მახსოვს, ამ საშინელ ნაღველს საღამოს, ბაზელში, შვეიცარიაში შესვლისას დავაღწიე მხოლოდ თავი. ქალაქის ბაზარზე ვირის ყროყინმა გამაღვიძა. ვირმა საოცრად განმაცვიფრა და რატომღაც არაჩვეულებრივად მომეწონა, თითქოს პირველად მაშინ გამოვიხედე თვალში.

– ვირმა? რა საოცარია. თუმცა რა, ვირმა იქნებ ჩვენც აგვიბას ოდესმე თვალები, – და გენერლის მეუღლემ რისხვით გადახედა თავის აკისკისებულ ქალებს, – მითოლოგიაშიც ყოფილა ამის მაგალითები. განაგრძეთ, თავადო.

– მას აქეთ საოცრად შემიყვარდა ვირები. პირდაპირ რაღაც სიმპათია გამიჩნდა მათ მიმართ. გავიკითხ-გამოვიკითხე მათი ამბავი. წინათ, აბა, სად ვნახავდი იმათ, და დავრწმუნდი, რომ მეტად სასარგებლო პირუტყვია[14], მუშა, ღონიერი, მომთმენი, ადვილად შესანახი, ამტანი. ჰოდა, ამ ვირის წყალობით მთელი შვეიცარიაც უცბად შემიყვარდა და წინანდელმა ნაღველმა სულ გამიარა.

– ეგ ყველაფერი ძალზე უცნაურია, თუმცა კი ვირის ამბავი შეიძლება გამოვტოვოთ, სხვა თემაზე გადავიდეთ. ნეტა რა გაცინებს, აგლაია? ან შენ, ადელაიდა? თავადმა მშვენივრად

გვიამბო ვირზე. მან საკუთარი თვალით ნახა, შენ კი რა გინახავს ხომ არ ყოფილხარ საზღვარგარეთ?

– ვირი მინახავს, maman, – თქვა ადელაიდამ.

– მე კი მსმენია, – მაშინვე აუბა მხარი აგლაიამ. სამთავემ ისევ გადაიკისკისა. თავადიც ქალებს აჰყვა.

– ძალზე ცუდად ირჯებით, აპატიეთ, თავადო, გული კეთილი აქვთ. მე სულ ვეჩხუბები, მაგრამ მიყვარან კი. თავქარიანი, ქარაფშუტა, გიჟი ქალები მყავს.

– რას ბრძანებთ! – იცინოდა თავადი, – მათ ადგილზე მეც გავიცინებდი. მე მაინც ვირის მხარეს ვიცავ კეთილი და სასარგებლო სულიერია.

– თქვენც კეთილი ხართ, თავადო? მაინტერესებს და იმიტომ გეკითხებით, – ჰკითხა გენერლის მეუღლემ.

ისევ გაეცინა ყველას.

– ამ წყეულმა ვირმა არ გააჭირა საქმე, დამიჯერეთ, თავადო, – შესძახა გენერლის მეუღლემ, – არც მიფიქრია...

– გადაკვრა ო, მჯერა, მჯერა!

თავადს სიცილი არ შეუწყვეტია.

– კარგია, რომ იცინით. გეტყობათ, მეტად კეთილი ყმაწვილი ხართ, – თქვა გენერლის მეუღლემ.

– ყოველთვის არა, – მიუგო თავადმა.

– მე კი კეთილი ვარ, – მოულოდნელად ჩაურთო ლიზავეტა პროკოფიევნამ, – და თუ გნებავთ, იცოდეთ, მუდამ კეთილიც. ჩემი ერთადერთი ნაკლი სწორედ ეს არის, არაფერი საჭიროა ეს შენი სიკეთე. ხშირად კი მომდის ბრაზი, აი, ამათზე, განსაკუთრებით ივან ფიოდოროვიჩზე, მაგრამ ვაი რომ, რაც უფრო ვბრაზობ, უფრო მილბება გული. წეღან, თქვენ შემოსვლამდე, გავბრაზდი და ვიმაქციე, თითქოს არაფერი მესმის და გამეგება. ეგრე გაბავშვება ხშირად მჩვევია. აგლაიამ მასწავლა ჭკუა. მადლობელი ვარ, აგლაია, თუმცა რა სისულელეს ვჩმახავ. მე ჯერ ისე არ გავსულელებულვარ, როგორც ხანდახან ვჩანვარ და როგორც ჩემს ქალებს უნდათ წარმომადგინონ. ჩემი გუნების ქალი ვარ და მორცხვობა მაინცდამაინც არ მჩვევია. თუმცა, ბრაზით არ ვამბობ ამას, აქ მო, აგლაია, ერთი მაკოცე, ჰო... გეყოფა ტლეკა, – უთხრა მან, როცა აგლაიამ გრძნობით დაუკოცნა ტუჩები და ხელი, – განაგრძეთ, თავადო, იქნებ, ვირზე უფრო საინტერესო რამე გაიხსენოთ.

– მაინც არ მესმის, როგორ შეიძლება ასე ადგე და მოჰყვე პირდაპირ, – შენიშნა ისევ ადელაიდამ, – მე ვერაფრით ვერ მოვახერხებდი.

– თავადი კი მოახერხებს იმიტომ, რომ თავადი ჭკვიანია, ყოველ შემთხვევაში, ათჯერ მაინც შენზე ჭკვიანი, შესაძლოა, თორმეტჯერაც. იმედია, ამის შემდეგ მაინც იგრძნობ. ერთი დაუმტკიცეთ ამათ, თავადო. ვირი, მართლაც შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, გამოტოვოთ, აბა, ვირის გარდა რა ნახეთ კიდევ საზღვარგარეთ

– ვირზეც ჭკვიანურად იყო ნათქვამი, – შენიშნა ალექსანდრამ, – თავადმა მეტად საინტერესოდ გვიამბო თავისი ავადმყოფობის ამბავი, როგორ მოაწყო ყველაფერი ერთმა გარე შემთხვევამ. მუდამ მაინტერესებდა, როგორ იშლებიან ადამიანები ჭკუაზე და მერე ისევ როგორ უბრუნდებათ გონი. განსაკუთრებით, თუ უეცრივ ხდება.

– ხომ მართალია ხომ მართალია – შეჩოჩქოლდა გენერლის მეუღლე, – ხანდახან შენც გემჩნევა ჭკუა. აბა, კმარა სიცილი! მგონი, შვეიცარიის ბუნებაზე შეჩერდით, თავადო, აბა, გისმენთ!

– ლიუცერნში რომ ჩამოვედით, ტბაზე წამიყვანეს. ვგრძნობდი, ძალზე ლამაზი იყო, მაგრამ გული კი დამიმძიმდა.

– რატომ? – ჰკითხა ალექსანდრამ.

– ვერ გეტყვით. პირველად მუდამ მიმძიმს და მაფორიაქებს ასეთი ბუნების ნახვა. მახარებს და თან მაშფოთებს კიდეც, თუმცა მაშინ ისევ ავადმყოფი ვიყავი.

– მე კი სიამოვნებით ვნახავდი, – თქვა ადელაიდამ, – მაინც არ მესმის, როდის გველირსება საზღვარგარეთ წასვლა ორი წელია სურათის სიუჟეტი ვერ მომიძებნია აღწერილია დიდი ხანია აღმოსავლეთი და დასავლეთი...[15]

– მომინახეთ, თავადო, სურათის სიუჟეტი.

– მაგის მე არაფერი გამეგება. ჩემის აზრით, უნდა შეხედო და დახატო.

– შეხედვა არ შემიძლია.

– ნეტა რა გამოცანებით ლაპარაკობთ? არაფერი მესმის! – გააწყვეტინა გენერლის მეუღლემ, - რას ჰქვია, შეხედვა არ შეგიძლია თვალები ხომ გაქვს, ადექი და შეხედე. აქ თუ არ შეგიძლია, ვერც საზღვარგარეთ შეძლებ. ისა სჯობს, გვიამბოთ, თავადო, თქვენ თვითონ როგორ უყურებდით.

– ეგ მართლაც აჯობებს, – დასძინა ადელაიდამაც, – თავადს ხომ საზღვარგარეთ აეხილა თვალი.

– არ ვიცი. იქ მხოლოდ ჯანზე მოვმაგრდი, თვალი ამეხილა თუ არა, ვერ გეტყვით. თუმცა მთელი ის ხანი თითქმის ძალზე ბედნიერი ვიყავი.

– ბედნიერიო! თქვენ შეგიძლიათ ბედნიერი იყოთ – შესძახა აგლაიამ, – მაშ, რადა თქვით, თვალი არ ამეხილაო აქეთ ჩვენ აგვიხელთ თვალს.

– აგვიხილეთ, თუ შეიძლება, – კისკისებდა ადელაიდა.

– ვერაფერსაც ვერ აგიხელთ, – ხარხარებდა თავადიც, – საზღვარგარეთ ყოფნის ხანი სულ იმ შვეიცარიულ სოფელში გავატარე. ახლომახლოც იშვიათად გავსულვარ. როგორ აგიხილოთ თავდაპირველად ის იყო მხოლოდ, მოწყენას არ ვგრძნობდი. მალე მოვმჯობინდი კიდეც. მერე ყოველი დღე ძვირფასი შეიქნა ჩემთვის, მერე უფრო და უფრო ძვირფასი გახდა. ასე რომ, კიდეც შევამჩნიე ეს ამბავი. მეტად კმაყოფილი ვწვებოდი დასაძინებლად და უფრო ბედნიერი ვიღვიძებდი. მაგრამ მიზეზი რა იყო, მართალი გითხრათ, გამიჭირდება თქმა.

– მაშ, წასვლა უკვე აღარსად გინდოდათ, გული არსად გეწვეოდათ – ჰკითხა ალექსანდრამ.

– პირველად, სულ თავდაპირველად, დიახ, მეწეოდა და ძალზეც ვშფოთავდი. სულ ის მაფიქრებდა, როგორ ვიცხოვრებდი. ჩემი ბედი მინდოდა გამომეცადა. განსაკუთრებით ზოგ წუთებში შემიპყრობდა ხოლმე მოუსვენრობა; ალბათ, გამოგიცდიათ ამისთანა წუთები, მით უმეტეს, როცა მარტო ხარ. იქ ერთი პატარა ჩანჩქერი იყო, მაღლა მთიდან გადმოჰქუხდა მაფივით წვრილად და პერპენედიკულარულად, – თეთრი, ჩხრიალა და ქაფქაფა; მაღლიდან ეცემოდა, მაგრამ გეგონებოდა დაბალზეაო, ნახევარ ვერსზე იქნებოდა, ორმოცდაათ ნაბიჯზე კი ჩანდა. საღამოობით მიყვარდა მისი ჩხრიალის მოსმენა; სწორედ ამ წუთებში ყველაზე მეტად ამიტანდა ხოლმე ზოგჯერ მოუსვენრობა. ხანდახან იგივე მემართებოდა შუადღისას, თუ მთებში წავიდოდი. დავდგებოდი და ვიდექი იქ შუა მთაზე. ირგვლივ ბებერი, დიდრონი, ფისიანი ფიჭვები იყო. კლდის თავზე ძველი, შუასაუკუნეების დანგრეული კოშკი იდგა. ჩვენი სოფელი შორს, ქვევით ძლივძლივობით მოჩანდა. მზე კაშკაშებდა, ცა ლურჯად ლივლივებდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. აი, სწორედ მაშინ რაღაც იდუმალი ხმა მეძახდა სადღაც. მეგონა, სულ პირდაპირ რომ მევლო და დიდხანს მევლო, აი, იმ ხაზს რომ გავცდენოდი, სადაც ცა

დედამიწას უერთდებოდა, იქ შევიტყობდი გამოსაცნობს, იქ ვნახავდი ახალ ცხოვრებას, ჩვენს ცხოვრებაზე ათჯერ უფრო ძლიერსა და ხმაურიანს. სულ ნეაპოლივით დიდი ქალაქი მეხატებოდა ოცნებაში. იქ სულ სასახლეები იქნებოდა, ერთი ორომტრიალი, ერთი დგანდგარი, მჩქეფარე სიცოცხლე... ეჰ, რას არ მიხატავდა ოცნება! მაგრამ მერე კი ისიც ვიფიქრე, კაცმა ციხეშიც შეიძლება იცხოვროს-მეთქი დიდი ცხოვრებით.

– ეს სანაქებო აზრი ჩემს „ქრესტომათიაში“ წავიკითხე, როცა თორმეტი წლის ვიყავი, – თქვა აგლაიამ.

– ეგ სულ ფილოსოფიაა, – შენიშნა ადელაიდამ, – თქვენ ფილოსოფოსი ყოფილხართ, ჩვენს საქადაგებლად ჩამოსული.

– იქნებ არც სცდებით, – გაეღიმა თავადს, – მართლაც, მგონი, ფილოსოფოსი უნდა ვიყო და ვინ იცის, ფიქრად იქნებ ქადაგებაც მაქვს... ეგ შეიძლება, მართლაც შეიძლება.

– ეგ თქვენი ფილოსოფია ზუსტად ევლამპია ნიკოლაევნას ფილოსოფიას მოგავს, – დასძინა ისევ აგლაიამ, – ეგ ერთი მოხელის ქვრივია, ჩვენსა დაიარება. მთელი მისი ცხოვრების ამოცანა თავის იაფად გატანაა. ოღონდაც ბევრი არ დაეხარჯოს. სულ კაპიკები აკერია პირზე, მაგრამ სტყუის კი, ფული აქვს გადანახული. ეშმაკია. ჰოდა, რომ თქვით, ციხეშიც შეიძლება კაცმა დიდი ცხოვრებით იცხოვროს და სოფელში ოთხი წელი ბედნიერად გავატარეო, ეგეც სწორედ ევლამპია ნიკოლაევნასავით გამოგივიდათ; მაგას შესწირეთ კიდეც თქვენი ქალაქი ნეაპოლი, რაღაც კაპიკი მოგებისათვის.

– ციხეში ცხოვრებას რაც შეეხება, შეიძლება არ დაგეთანხმოთ. მე მომისმენია ერთი კაცის მონაყოლი, რომელმაც თორმეტი წელი ციხეში დაჰყო. ჩემი პროფესორის ავადმყოფი იყო, მასთან მკურნალობდა. ზნე მოდიოდა, ზოგჯერ მოუსვენრობა აიტანდა და ტირილს მოჰყვებოდა. ერთხელ კინაღამ თავი მოიკლა. ციხეში, გარწმუნებთ, ბედნიერი ცხოვრება არ ჰქონდა, მაგრამ ვერც იმას იტყოდი, კაპიკად არ ღირდაო, თუმცა ერთი ობობა და სარკმლის ძირას ერთი პატარა ხე, ეს იყო და ეს მისი ნაცნობები. მაგრამ არა, სჯობს, მეორე ამბავი გიამბოთ. შარშან მე ერთ კაცს შევხვდი. აქ ერთ უცნაურ გარემოებას ჰქონდა ადგილი, უცნაურს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათად ხდება. ეს კაცი ერთხელ სხვებთან ერთად ეშაფოტზე აიყვანეს[16] და პოლიტიკური დანაშაულისათვის სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს. ოციოდე წუთის შემდეგ კი შეწყალება გამოუცხადეს და სასჯელი შეუცვალეს. მაგრამ ამ ორი განაჩენის შუალედში, მთელი ოცი თუ, ყოველ შემთხვევაში, თხუთმეტი წუთი იმ უეჭველი რწმენით გაატარა, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა მომკვდარიყო. იმდენად დამაინტერესა ამ ამბავმა, რომ რამდენჯერმე გავამეორებინე ის თავისი შთაბეჭდილებანი. საოცარი სიცხადით ახსოვდა ყველაფერი და კიდეც ამბობდა, იმ წუთებიდან თავის დღეში არაფერი დამავიწყდებაო. ეშაფოტიდან ოციოდე ნაბიჯზე, სადაც ხალხი და ჯარისკაცები იდგნენ, თურმე სამი ბოძი ერჭო, რადგან დასასჯელი რამდენიმე კაცი ყოფილა. პირველი სამი კაცი ამ ბოძებთან მიუყვანიათ. თოკებით მიუბამთ. სასიკვდილო ტანსაცმელი (თეთრი გრძელი ხალათები) გადაუცვამთ, თვალებზე კი თეთრი ჩაჩი ჩამოუფხატავთ, რომ თოფები არ დაენახათ. შემდეგ ყოველი ბოძის წინ რამდენიმე ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი ჩამწკრივებულა. ჩემი ნაცნობი რიგში მერვე ყოფილა და ბოძებთან მესამე წყებაში მოუხდებოდა გასვლა. მღვდელმა თურმე ყველას ჯვრით ჩამოუარა. ასე რომ, ხუთიოდე წუთზე მეტი სიცოცხლე არ დარჩენოდა. ჰოდა, მითხრა, რომ ეს ხუთი წუთი უსაზღვრო დროდ, წარმოუდგენელ სიმდიდრედ მეჩვენა, ამ ხუთი წუთის მანძილზე იმდენ სიცოცხლეს განვიცდი, რომ ახლა უკანასკნელ წამზე ფიქრი არც ღირს-მეთქი. ამიტომაც სხვადასხვა თადარიგი დავიჭირე გამოვიანგარიშე, რამდენი დრო

დამჭირდებოდა ამხანაგებთან გამოთხოვებაზე, და საამისოდ ორი წუთი გადავდე, მერე ორი წუთი ჩემს უკანასკნელ ფიქრებზე შემოვინახე, ერთ წუთს კიდევ ირგვლივ მოთვალიერებას მოვანდომებდიო. ძალიან კარგად მახსოვს, რომ სწორედ ეს სამი თადარიგი დავიჭირე და სწორედ ასე გამოვიანგარიშეო. ოცდაშვიდი წლის, საღ-სალამათი, ჯან-ღონით სავსე კაცი ესალმებოდა სიცოცხლეს.[17] როცა ამხანაგებს ვეთხოვებოდიო, მახსოვს, ერთ-ერთს რაღაც საკმაოდ გარეშე კითხვა მივეცი და პასუხმაც ფრიად დამაინტერესაო. მერე, ამხანაგებთან დამშვიდობების შემდეგ ის ორი წუთი დადგა, რომელიც ჩემს ფიქრებზე შემოვინახეო. ისიც წინასწარ ვიცოდი, რაზე ვიფიქრებდიო მინდოდა, რაც შეიძლება მალე წარმომედგინა, ეს როგორ იქნება, ახლა ვარსებობ და სული მიდგას, სამიოდე წუთის შემდეგ კი არარაობად ვიქცევი. მაშ, ნეტავ რა დარჩება ჩემგან ან სად წავალო იმ ორ წუთში სურდა ეს ყველაფერი გადაეწყვიტა! შორიახლოს თურმე ტაძარი იდგა. ტაძრის მოოქროვილ გუმბათს მზე აბრჭყვიალებდა. მახსოვს, დაჟინებით მივჩერებოდიო სახურავსა და მასზე აციალებულ სხივებს. თვალი ვერ მომეწყვიტა სხივებისთვისო. მეჩვენებოდა, თითქოს სხივები იყო ჩემი ახალი ბუნებაო, სამიოდე წუთის შემდეგ როგორღაც მათ შევერწყმებოდიო... ის ახალი, რაც მას მოელოდა და რაც უცნობი იყო, საოცარი ზიზღით ავსებდა თურმე, მაგრამ იმ წუთშიო, ამბობდა, ყველაზე მძიმე მაინც ეს აკვიატებული ფიქრი იყო რა იქნება, არ მოვკვდე! რა იქნება ცოცხალი დავრჩე! ო, რა უსასრულო სიცოცხლე მელის! ეს ყველაფერი ჩემი იქნება! მაშინ ყოველ წუთს მთელ საუკუნედ ვაქცევ, არაფერს დავკარგავ, ყოველი წუთის ანგარიშს ვიქონიებ, ერთ წუთს ტყუილად არ გავაცდენო! ისიც თქვა, ამ ფიქრმა ბოლოს ისე გამაბოროტა, უკვე ვნატრობდი, მალე მესროლონო ტყვია.

თავადმა უცბად გაწყვიტა სიტყვა. მის მსმენელთ ეგონათ, ალბათ, განაგძობს და დასკვნას გამოიტანსო.

– მორჩით? – ჰკითხა აგლაიამ.

– რაო? დიახ, მოვრჩი, – გამოერკვა თავადი წუთიერი ჩაფიქრებიდან.

– მაშ, რისთვის მოჰყევით ეს?

– ისე... გამახსენდა... სიტყვამ მოიტანა და...

– ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოყოლა გცოდნიათ, – შენიშნა ალექსანდრამ, – ალბათ, ის გინდოდათ გეთქვათ, თავადო, რომ ერთ წამსაც ფულად ვერ შეაფასებ, და ხანდახან ხუთი წუთი კაცს მთელ საუნჯეს ურჩევნია. ეგ ყველაფერი მოსაწონია, მაგრამ ერთი ეს გვითხარით, იმ თქვენს ნაცნობს, ასეთი საშინელებანი რომ გიამბოთ, სასჯელი ხომ შეუცვალეს, მაშასადამე, ეს „უსასრულო სიცოცხლე“ აჩუქეს. ხოდა, ამ სიმდიდრეს რა უყო მერე ყოველი წუთი „ანგარიშზე“ ჰქონდა?

– ო, არა, თვითონვე მითხრა, მე ეგეც ვკითხე. სულაც ეგრე არ მოვქცეულვარ და ბევრი, ბევრი წუთი დავკარგეო.

– მაშასადამე, ესეც თქვენი გამოცდილება, მაშასადამე მართლაც არ შეიძლება „წუთების ანგარიშით“ ცხოვრება. რატომღაც, ალბათ, არ შეიძლება.

– დიახ, რატომღაც, ალბათ, არ შეიძლება, – გაიმეორა თავადმაც, – მეც ეგრე მომეჩვენა... და მაინც, რაღაც არ მჯერა...

– ესე იგი, გგონიათ, ყველაზე ჭკვიანურად იცხოვრებთ? – თქვა აგლაიამ.

– დიახ, ხანდახან ეგეც მგონია.

– ახლაც გგონიათ?

– ახლაც... მგონია, – მიუგო თავადმა და კვლავ წყნარი, თითქოს დამორცხვებული ღიმილით შეხედა აგლაიას, მაგრამ მაშინვე გაიცინა და მხიარულად შეაცქერდა ქალს.

– თავმდაბლობაც ამას მიქვია! – გული მოუვიდა აგლაიას.

– მაინც რა მაგარი გული გქონიათ, იცინით კიდეც, მე კი ეს ამბავი სიზმრადაც ჩამყვა, სწორედ ეს ხუთი წუთი ვნახე...

თავადმა ისევ დაკვირვებით და დინჯად გადახედა თავის მსმენელებს.

– ხომ არ მიჯავრდებით? – იკითხა უეცრივ თითქოს დაბნეულმა, მაგრამ თვალი კი არ მოუშორებია ქალებისთვის.

– რაზე? – შეჰყვირა სამივემ გაკვირვებით.

– იმიტომ, რომ თითქოს სულ ჭკუას გასწავლით...

ყველას გაეცინა.

– თუ გული მოგივათ, ნუ გამიჯავრდებით, მეც ვიცი, რომ სხვებზე ნაკლებ მიცხოვრია და სხვებზე ნაკლებ მესმის ცხოვრება. იქნებ ზოგჯერ მეტად უცნაურად ვლაპარაკობ...

თავადმა მართლაც დაირცხვინა.

– რაკი იძახით, ბედნიერი ვიყავიო, მაშასადამე, სხვებზე ნაკლები კი არა, მეტი გინახავთ, მაშ რაღას მაქციობთ და ბოდიშობთ? – მკვახედ მიახალა აგლაიამ, – ნურც იმის გეშინიათ, რომ ჭკუას გვასწავლით, საამაყო აქ არაფერი გაქვთ. თქვენი კვიეტიზმის წყალობით კაცი ას წელსაც არ გამოილევს ბედნიერებას. თქვენ კაცმა აქეთ სიკვდილით დასჯა გაჩვენოთ და იქით თითი დაგანახოთ, ორივედან ერთნაირ საქებურ შეგონებას გამოიტანთ და ნასიამოვნებიც დარჩებით. ეგრე იოლას გახვალთ.

– ვერ გამიგია, რა გაგულისებს, – ჩაერია გენერლის მეუღლე, რომელიც დიდი ხანია მოსაუბრეებს აკვირდებოდა, – ან რაზე ლაპარაკობთ. ცოტა ნაღვლიან ამბებს ჰყვება. თავგზას ნეტავ რად უბნევ სიცილით დაიწყო, ახლა კი შეხე, რა გაოგნებულია.

– არა უშავს, maman, აფსუს, თავადო, სიკვდილით დასჯა არ გინახავთ, თორემ ერთ რამესაც გკითხავდით.

– მინახავს, – მიუგო თავადმა.

– გინახავთ? – შეჰყვირა აგლაიამ, – როგორ ვერ მივხვდი აქამდე. ეგ აგვირგვინებს ყველაფერს. თუ ნახეთ, როგორღა ამბობთ, მთელი ეს ხანი ბედნიერი ვიყავიო რა, ტყუილს გვეუბნებით?

– განა იმ თქვენს სოფელში დასაჯეს ვინმე? – ჰკითხა ადელაიდამ.

– ლიონში დავესწარი, შნეიდერმა წამიყვანა იქ. ჩავედი და მაშინვე იმ ამბავზე მოვხვდი.

– მერე ძალიან მოგეწონათ ჭკუის სასწავლი ნახეთ რამე ან გამოსადეგი? – ეკითხებოდა აგლაია.

– სულაც არ მომეწონა, იმის შემდეგ ცოტა უქეიფოდაც გავხდი, მაგრამ, გამოგიტყდებით, მონუსხულივით ვუყურებდი, თვალს ვერ ვაშორებდი.

– ვერც მე მოვაშორებდი, – განაცხადა აგლაიამ.

– იქ არ უყვართ ქალების დასწრება. გაზეთებშიც კი გამოსწერენ ხოლმე ასეთ ქალებს.

– მაშასადამე, რაკი მიაჩნიათ, ქალების საქმე არააო, ამით იმის თქმა უნდათ (და, მაშასადამე, გამართლებაც), რომ ეს მამაკაცების საქმეა. მომილოცავს ლოგიკა. ცხადია, თქვენც ეგრე ფიქრობთ

– გვიამბეთ სიკვდილით დასჯის ამბავი, – გააწყვეტინა ადელაიდამ.

– ახლა სწორედ არ შემიძლია... – აირია და თითქოს მოიღუშა თავადი.

– ალბათ გენანებათ, რომ მოგვიყვეთ, – დაგესლა აგლაიამ.

– არა, ოღონდ სწორედ მაგ დასჯის ამბავი წეღან უკვე მოვყევი.

– ვის მოუყევით?

– თქვენს კამერდინერს, როცა ვიცდიდი...

– რომელ კამერდინერს? – მიაძახეს აქეთ-იქიდან.

– აი, დერეფანში რომ ჭაღარა, მოწითალო სახის კაცი ზის. ივან ფიოდოროვიჩთან შესვლა რომ მინდოდა, დერეფანში ვიჯექი და...

– საკვირველია, – შენიშნა გენერლის მეუღლემ.

– თავადი დემოკრატი გახლავთ, – მოუჭრა აგლაიამ, – ჰოდა, თუ ალექსეის მოუყევით, ჩვენ უკვე უარს ვერ გვეტყვით.

– უთუოდ მინდა მოვისმინო, – გაიმეორა ადელაიდამ.

– როცა წეღან სურათის სიუჟეტზე მკითხეთ, – მიუბრუნდა მას ცოტა გამხნევებული თავადი (როგორც ჩანს, ძალზე ადვილად და მიამიტად სჩვეოდა გამხნევება), – მართლაც, ფიქრად მომივიდა სიუჟეტად მისჯილის სახე მომეცა, დანის დაცემამდე ერთი წუთით ადრე, როცა ისევ ეშაფოტზე დგას და ფიცარზე გაწოლილი არაა.

– სახე? მარტო სახე? – ჰკითხა ადელაიდამ, – უცნაური სიუჟეტი იქნება. ან რა სურათი გამოვა

– არ ვიცი, მაგრამ ვითომ რატომ არა? – გულფიცხად დაიჩემა თავადმა, – ბაზელში ამას წინათ ერთი ასეთი სურათი ვნახე.[18] ძალიან მინდა გიამბოთ... როდისმე გიამბობთ ალბათ... ძალზე განმაცვიფრა.

– ბაზელის სურათზე უთუოდ მომიყევით მერე, – თქვა ადელაიდამ, – ახლა კი ამ დასჯის სურათი ამიხსენით კარგად. შეგიძლიათ ისე გადმომცეთ, როგორც გინახავთ?

– ის სახე როგორ დავხატო მარტო სახე განა ეგ რა სახე გამოვა მერე?

– ზუსტად ერთი წუთით ადრე იქნება დასჯამდე, – მყის მიაგება მოგონებებით გატაცებულმა თავადმა, ეტყობა, სხვა ყველაფერი მაშინვე გადაავიწყდა, – სწორედ ის მომენტი, როცა კიბეზე ავიდა და ეშაფოტზე ფეხი შედგა. ამ წუთს იყო, ჩემკენ რომ გამოიხედა. სახეში შევხედე და ყველაფერს მივხვდი... თუმცა როგორ გიამბოთ, არ ვიცი! მე ძალიან, ძალიან მინდა, თქვენ ან სხვა ვინმემ დახატოს ეს! სჯობს კი თქვენ! მაშინვე ვიფიქრე, ეს სურათი კარგი იქნება-მეთქი. იცით, აქ უნდა ყველაფერი წარმოიდგინოთ, რაც წინასწარ მოხდა, ყველაფერი. ის ციხეში იყო და სიკვდილს, ყოველ შემთხვევაში, ერთ კვირამდე ადრე არ ელოდა. რატომღაც ჩვეულებრივი ფორმალობის იმედი ჰქონდა, რომ განაჩენის ქაღალდს ჯერ სადღაც გააგზავნიდნენ და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მობრუნდებოდა უკან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. უცბად, რაღაც შემთხვევის წყალობით, საქმე მალე დაასრულეს. დილის ხუთ საათზე პატიმარს ეძინა. ოქტომბრის მიწურული იყო; ხუთზე ჯერ კიდევ ცივა და ბნელა. ციხის ბოქაული ჩუმად შემოვიდა, ყარაული შემოიყვანა და მისჯილს ფრთხილად შეახო მხარზე ხელი. იგი წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო, სინათლე დაინახა და იკითხა რა ამბავიაო? – დასჯა ათ საათზეაო. ახალ ნამძინარევზე არ დაიჯერა, შეედავა, ქაღალდი ერთი კვირის მერე მოვაო, მაგრამ როცა სულ გამოფხიზლდა, კამათი შეწყვიტა და დადუმდა, ასე ჰყვებოდნენ. მერე უთქვამს, მაინც მძიმეა და უცებო... – და ისევ დადუმებულა, არც ამოუღია შემდეგ ხმა. აქ სამი-ოთხი საათი, მოგეხსენებათ, რასაც უნდება. მღვდელი, საუზმე, ღვინო, ყავა, ძროხის ხორცითაც უმასპინძლდებიან. განა დაცინვა არაა იტყვი, რა სიმხეცეაო, მაგრამ მეორე მხრივ, ღმერთმანი, ეს აჯამი ხალხი წმინდა გულით ჩადის ამას და სწამთ კიდეც, კაცთმოყვარეობას ვიჩენთო. მერე ტუალეტიც (მოგეხსენებათ, მისჯილის ტუალეტს რა წარმოადგენს), ბოლოს ქალაქში გამოატარებენ ეშაფოტზე წასაყვანად... მე მგონი, გზაშიც უთუოდ ამას ფიქრობდა „ჯერ კიდევ დიდი დრო მაქვს, ჯერ კიდევ სამი ქუჩა დამრჩენია, აგერ ამას გავივლი, მერე კიდევ ის დამრჩება, მერე კიდევ ის, იქ მარჯვნივ მეფუნთუშეა... იმ მეფუნთუშემდე კიდევ კარგა შორსაა!“ ირგვლივ ხალხი ირევა, ერთი ღრიანცელი და ხმაურია, ათი ათასი სახეა, ათი ათასი თვალი, – ყოველივე ეს უნდა გადაიტანოს. რაც მთავარია, იმ ფიქრს გაუძლოს „აგერ, ესენი ათი ათასნი არიან, ამათ არავინ

კლავს, მე კი უნდა მომკლან!“ აი რა უძღვის წინ უკანასკნელ წუთებს. ეშაფოტზე კიბე ადის, სწორედ ამ კიბის წინ აუვარდა უეცრად ტირილი. მერე რა მაგარი ვაჟკაცი იყო, რა დიდი ავაზაკი, როგორც ამბობდნენ. მღვდელი გვერდიდან არ შორდებოდა, სულ ელაპარაკებოდა, – იმას კი, არა მგონია, ერთი სიტყვა გაეგონოს. ყურს დაუგდებდა და მესამე სიტყვიდან, ალბათ, აღარაფერი ესმოდა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბოლოს, კიბეს აუყვა. ფეხები დაბორკილი ჰქონდა და პატარ-პატარა ნაბიჯებს ადგამდა. მღვდელმა, ეტყობა, ჭკვიანი კაცი იყო, ლაპარაკს თავი ანება, ჯვარს წარამარა აჩრიდა საკოცნელად. კიბეზე ასვლამდე ხომ ფერმიხდილი იყო, ეშაფოტზე რომ ავიდა და დადგა, მიტკალივით გაუხდა სახე, ალბათ ფეხებიც ეკეცებოდა, გულიც ერეოდა ეგებ – თითქო ყელში უჭერდნენ ხელს და უღიტინებდნენ – არ გამოგიცდიათ განა ასეთი რამ შიშისა თუ საშინელების წუთებში, როცა გონი გაქვთ, მაგრამ თავის დამორჩილება არ ძალგიძთ ვთქვათ, მაგალითად, თუ დაღუპვა გელის, ვთქვათ, სახლი გენგრევა თავზე, უცბად საოცრად მოგინდება, ალბათ, დაჯდე, თვალები დახუჭო და, დაე, რაც მოსახდენია მოხდეს!.. სწორედ ამ დროს, როცა ეს სიძაბუნე დაეტყობოდა, მღვდელი კვლავ საჩქაროდ, უსიტყვოდ მიაჩეჩებდა ხოლმე ვერცხლის პატარა ოთხბოლოიან ჯვარს, მალი-მალ ყოველ წუთს აჩრიდა. როგორც კი ჯვარი ტუჩზე მოხვდებოდა, ისიც თვალებს გაახელდა, რამდენიმე წამს თითქოს მოცოცხლდებოდა და ფეხსაც გადადგამდა. ჯვარს ხარბად ჰკოცნიდა, პირდაპირ ეწაფებოდა, თითქოს ეშურებოდა რაიმე თან წაეღო საგზლად, ყოველი შემთხვევისთვის მაინც. თუმცა იმ წუთს, არა მგონია, რელიგიური რამე გრძნობა ჰქონოდა. ფიცარზე დაწოლამდე სულ ასე იყო... საოცარია, რომ ამ უკანასკნელ წამებში იშვიათად მისდით ხოლმე გული! პირიქით, თავი საოცარი სიძლიერით, მანქანასავით უმუშავებთ, ალბათ, სხვადასხვა ფიქრები ჩაქუჩივით ურტყამს თავს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, იქნებ სასაცილოც „აგერ ის კაცი მიყურებს – შუბლზე მეჭეჭი აზის, აგერ ჯალათს ერთი, ბოლო ღილი დაჟანგებია“... ფიქრობ ასეთ რამეებზე და მაინც ყველაფერი იცი და ყველაფერი გახსოვს. ერთი წერტილი ჩაგჭედვია თავში, რომელსაც ვერასგზით ვერ დაივიწყებ, არც გული მიგდის, ყველაფერი ამ წერტილს უვლის ირგვლივ და უტრიალებს. ალბათ, წამის უკანასკნელ მეოთხედამდე სულ ასეა, თავი უკვე კუნძზე უდევს, ელის.... იცის... და უეცრივ გაიჟღრიალებს რკინა! ამას უთუოდ გაიგონებს! მეც რომ ვწოლილიყავ, განგებ მივაყურადებდი და გავიგონებდი... იქნებ ეს მეათედი წუთიც არ გაგრძელდეს, მაგრამ უთუოდ გაიგონებ! იცით კი, რომ აქამდე საკამათოდ აქვთ, თავი რომ წაეცლება, ერთი წამი კიდევ რჩება შეგნება, თავი წამეცალაო – თუმცა იქნებ ხუთ წამსაც რჩება!.. დახატეთ ეშაფოტი ისე, რომ მხოლოდ უკანასკნელი საფეხური ჩანდეს მკაფიოდ. მისჯილს ფეხი უკვე შეუდგამს ზედ, სახე მიტკალივით გახდომია, მღვდელი ჯვარს აჩრის, ის ხარბად უწვდის თავის გალურჯებულ ტუჩებს, უყურებს და ყველაფერი იცის, ჯვარი და თავი – აი, სურათი, მღვდლის, ჯალათის, მისი ორი თანაშემწის სახე და ქვემოთ რამდენიმე თავი და თვალები – ეს შეიძლება მესამე პლანზე დაიხატოს, თითქოს ბურუსში, აქსესუარისთვის... აი, რა სურათი უნდა იყოს.

თავადი დადუმდა და თვალი მოავლო იქ მყოფთ.

– ეს რა თქმა უნდა, კვიეტიზმს აღარ ჰგავს, – ჩაილაპარაკა თავისთვის ალექსანდრამ.

–მაშ, ახლა ისიც გვიამბეთ, როგორ იყავით შეყვარებული, -–თქვა ადელაიდამ.

თავადმა განცვიფრებით შეხედა.

– იცით, – თითქოს ჩქარობდა ადელაიდა, – თქვენზე ბაზელის სურათის ამბავია კიდევ, მაგრამ ახლა მინდა მოვისმინო, როგორ იყავით შეყვარებული. არ გადათქვათ, იყავით. როცა ჰყვებით, აღარ ფილოსოფოსობთ.

– ხოლო როგორც კი მოყოლას ამთავრებთ, მაშინვე დაირცხვენთ ხოლმე, რატომ? – შენიშნა უეცრივ აგლაიამ.

– რა სისულელეა, ბოლოს და ბოლოს, – ვეღარ მოითმინა გენერლის მეუღლემ და აღშფოთებით შეაცქერდა აგლაიას.

– არაა ჭკვიანური საქციელი, – დაემოწმა ალექსანდრაც.

– ნუ დაუჯერებთ, თავადო, – მიუბრუნდა გენერლის მეუღლე, – ეგ განზრახ, რაღაც სიბრაზით მოსდის. არც ისე ტუტუცურად არიან აღზრდილნი, ასე რომ თავს გაბეზრებენ, ცუდს ნუ გაივლებთ გულში. ალბათ, რაღაც აქვთ განზრახული, მაგრამ უკვე უყვარხართ კი. სახეზე ვატყობ.

– მეც ვატყობ, – განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა თავადმა.

– რაო? – ყურები აცქვიტა ადელაიდამ.

– რას გვატყობთ სახეებზე? – დაინტერესდნენ დანარჩენებიც.

მაგრამ თავადი დინჯად დუმდა. ყველა მის პასუხს ელოდა.

– მერე გეტყვით, – თქვა ნელი ხმით.

– ჩვენი დაინტერესება გწადიათ და მეტი არაფერი, – შესძახა აგლაიამ, – მერე რა ამბით გამოაცხადა!

– ჰო, ჰო! – აჩქარდა ისევ ადელაიდა, – მაგრამ რაკი სახეების ამოცნობის ასეთი ოსტატი ყოფილხართ, მაშ შეყვარებულიც იქნებოდით. მაშასადამე, გამომიცვნია. აბა, მოყევით.

– შეყვარებული არ ვიყავ, მე... მე სხვანაირად გახლდით ბედნიერი, – მიუგო თავადმა ისევ ნელი ხმით.

– რა გზით, როგორ?

– ეგრე იყოს, გიამბობთ, – წარმოთქვა თავადმა და წამით ჩაფიქრდა.

VI

– რა ინტერესით მიყურებთ ყველა, არ გაგიმართლოთ და იქნებ შემიწყრეთ კიდეც. არა, ვიხუმრე, ვიხუმრე, – საჩქაროდ გაიღიმა თავადმა, – იქ... იქ სულ ბავშვები მეხვივნენ ირგვლივ და სულ ბავშვებში ვტრიალებდი; იმ სოფლის გოგო-ბიჭები იყვნენ, სკოლაში სულ ერთად დადიოდნენ. ვერ ვიტყვი, ვასწავლიდი-მეთქი; ო, არა, საამისოდ მასწავლებელი ჰყავდათ, ჟიულ ტიბო; თუმცა ვასწავლიდი კიდეც, ოღონდ უფრო კი ისე ვიყავი. მთელი ოთხი წელი მათთან გავატარე. სხვა არც არაფერი მინატრია. ყველაფერს ვეუბნებოდი, არაფერი დამიმალავს მათთვის. ბავშვებს უჩემოდ ბოლოს გაძლება აღარ შეეძლოთ და სულ მე მეხვეოდნენ, ასე რომ მამებმა და ნათესავებმა ყველამ ამითვალისწუნა. სკოლის მასწავლებელი პირველი გადამეკიდა მტრად. სხვა მტრებიც ბლომად გამიჩნდა, სულ ბავშვების გამო კი. წარმოიდგინეთ, შნეიდერმაც ბევრჯერ მისაყვედურა. ნეტავ რამ შეაშინათ ასე ბავშვებს ყველაფერი შეგიძლია უამბო. სულ მიკვირდა, მოზრდილები რა ცუდად სცნობენ-მეთქი ბავშვებს. არც დედ-მამამ იცის თავისი შვილების ამბავი. ბავშვებს კაცმა არაფერი არ უნდა დაუმალოს; ვითომც პატარები არიან და მათთვის ადრეა ყველაფრის ცოდნაო. რა უბადრუკი მოსაზრებაა! იცით, ბავშვები მშვენივრად ამჩნევენ მშობლებს, პატარები ვგონივართ და ისე ფიქრობენ, ვერაფერს მივხვდებითო. სინამდვილეში კი ძნელად გამოაპარებთ რასმე. აბა, ვინ წარმოიდგენს, რომ, რა თავსამტვრევი საქმეც არ უნდა იყოს, ბალღი საოცრად გონივრულ რჩევას მოგცემს. ღმერთო ჩემო! როცა ეს

პატარა ჩიტუნები მიამიტად მოგაპყრობენ გაბრწყინებულ თვალებს, რა სინდისით უნდა მოატყუო ისინი! ჩიტუნები-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ჩიტზე წმინდა ამ ქვეყნად არა არის რა. თუმცა სოფელში უფრო ერთი ამბის გამო შემიწყრნენ... ტიბო კი, ტიბოს, უბრალოდ, შური ამოძრავებდა; თავდაპირველად სულ თავს აქნევდა, სულ უკვირდა, ბავშვებს შენი როგორ ესმით და ჩემი არაო. მაგრამ რომ ვუთხარი, ჩვენ რა უნდა ვასწავლოთ, იქით გვასწავლიან-მეთქი ეგენი ჭკუას, სასაცილოდ ამიგდო. რა ჰქონდა ნეტა ჩემი საშური, ანდა რა გულით მწამებდა ცილს, ბავშვებში მაინც არ ეტრიალა თვითონ! ბავშვები ხომ სულის სალბუნია... შნეიდერის სახლში ერთი ავადმყოფი იყო, საოცარი უბედური კაცი. იმაზე მეტად უბედური ვერ წარმომიდგენია ამქვეყნად. ჭკუაზე იყო შემცდარი და სამკურნალოდ ჩამოუყვანეს შნეიდერს; მაგრამ ჭკუაზე შეშლილი არ უნდა ყოფილიყო, უბრალოდ, საოცრად იტანჯებოდა და მისი ავადმყოფობაც სწორედ ეს იყო. რომ იცოდეთ, რა ნუგეში გახდა ბოლოს მისთვის ჩვენი ბავშვები... მაგრამ ამ ავადმყოფის ამბავი სჯობს მერე მოგიყვეთ; ახლა გიამბობთ, როგორც დაიწყო ყველაფერი. თავდაპირველად ბავშვები ახლოს არ მიკარებდნენ. ჯერ ერთი, უფროსი ვიყავი მათზე, მერე მუდამ მოუქნელი გახლდით ყველაფერში, არც შესახედაობა მოეცა ჩემთვის ღმერთს... თან უცხოელიც ვიყავი. ბავშვები ჯერ დამცინოდნენ, მერე ქვის სროლაც დამიწყეს, დაინახეს თურმე, მარის რომ ვაკოცე. მე კი მხოლოდ ერთხელ ვაკოცე... ნუ, ნუ იცინით, – საჩქაროდ შეაჩერა თავადმა თავისი გაღიმებული მსმენელები, – სიყვარული აქ არაფერ შუაშია. რომ გენახათ, რა უბედური არსება იყო ის საცოდავი, თქვენც ჩემებრ შეიბრალებდით. ჩვენი სოფლელი იყო, ერთი დავარდნილი მოხუცი დედა ჰყავდა. დედამისს პატარა, ძველისძველი სახლი ედგა, რომელსაც ორი ფანჯარა ჰქონდა. სოფლის უფროსების ნებართვით, ერთი ფანჯარა შემოღობა და იქიდან ზონრებს, ძაფებს, თამბაქოს, საპონს ჰყიდდა რაღაც კაპიკებზე და თავი ასე გაჰქონდა. ავადმყოფი ქალი იყო, ფეხები უსივდებოდა და სულ ერთ ადგილზე იჯდა. მისი შვილი მარი ერთი სუსტი, გამხდარი არსება იყო, ოციოდე წლის; დიდი ხანია, ჭლექი შეჰყროდა, მაგრამ მაინც ქირაზე დადიოდა, ვის იატაკსა და საცვლებს ურეცხავდა, ვის ეზოს უგვიდა და საქონელს უვლიდა. ერთმა გზად ჩავლილმა ფრანგმა კომიმ[19] შეაცდინა იგი და თან წაიყვანა, ერთი კვირის მერე კი გზაში დააგდო და ჩუმად გაეპარა. მარი შინ დაბრუნდა, სულ ტალახში ამოსვრილი, ძონძებსა და თითებგამოყრილ ფეხსაცმელებში. მთელი კვირა ფეხით ევლო, გზადაგზა ემათხოვრა, ღამეს ცისქვეშ ათევდა და ძალზე გაცივებულიყო; ფეხებიდან სისხლი სდიოდა. ხელები დასიებოდა და დახეთქოდა. ლამაზი არც წინათ იყო; ოღონდაც კეთილი, უწყინარი, მიამიტი თვალები ჰქონდა. ხმასაც იშვიათად იღებდა. ერთხელ, ჯერ წინათ, მუშაობის დროს უცბად ამღერდა; მახსოვს, როგორ გაუკვირდა ყველას, სიცილი ატეხეს „მარი ამღერდა! ერთი უყურეთ; მარი ამღერდაო!“ – საოცრად შერცხვა და მერე სამუდამოდ ჩაიგდო ენა. მაშინ კიდევ ეფერებოდნენ, ხოლო სნეული და გაწამებული რომ მობრუნდა, კაციშვილმა არ შეიბრალა და არ დაინდო! რა გულქვაა ხალხი! რა მძიმე ცოდვად მიაჩნიათ ეს! დედა პირველი გაუბოროტდა და ამხილა საქვეყნოდ. როცა სოფელში გაიგეს, მარი მობრუნდაო, ყველა მის სანახავად მოიჭრა, ღამის მთელი სოფელი შეიყარა დედაბრის სახლში მოხუცები, ბალღები, ქალები, ქალიშვილები, ყველანი რაღაც დახარბებული მოცვივდნენ. მარი იატაკზე ეგდო, დედაბრის ფერხთით, მშიერი, ჩამობრანძული და ცრემლად იღვრებოდა. სოფელი რომ შეიყარა, გაწეწილ თმებში ჩამალა სახე და იატაკს დააკვდა. ყველა ისე დასცქეროდა, თითქოს ქვეწარმავალი ეგდო მათ წინ; ბებრები კიცხავდნენ და ლანძღავდნენ, ახალგაზრდები, წარმოიდგინეთ, დასცინოდნენ, ქალები თათხავდნენ და ქოქოლას აყრიდნენ, ისეთი ზიზღით უყურებდნენ, როგორც ობობას. დედამისი კი იქვე იჯდა, თავს უქნევდა და უწონებდა. იმ დროს იგი უკვე თითქმის მომაკვდავი ავადმყოფი

იყო. ორი თვის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. იცოდა, რომ კვდებოდა, მაგრამ თავის ქალს მაინც არ შეურიგდა, სულის ამოხდომამდე ხმა არ გასცა, გარეთ, დერეფანში გააგდო, არც საჭმელ-სასმელი მისცა. დასიებული ფეხები ხშირად თბილ წყალში უნდა ჩაედგა. მარი ყოველ ცისმარე დღე ჰბანდა ფეხებს, უვლიდა; დედა უხმოდ იმსახურებდა შვილს და ერთ ტკბილ სიტყვას არ იმეტებდა მისთვის. მარი ყველაფერს ითმენდა. რომ გავეცანი, ისიც შევამჩნიე, თვითონაც ასე სჯეროდა, ყველაფრის ღირსი ვარო და თავი ყოვლად მდაბალ არსებად მიაჩნდა. შემდეგ დედაბერი საბოლოოდ ჩავარდა ლოგინში და მოხუცი ქალები რიგრიგობით დადიოდნენ მის მოსავლელად. ადათად ასე ჰქონდათ იქ. მარისთვის უკვე აღარავინ იმეტებდა საჭმელს სოფელში, არავინ იკარებდა ახლოს, სამუშაოსაც აღარ აძლევდნენ წინანდელივით. ყველა აფურთხებდა, კაცები ქალადაც აღარ აგდებდნენ და სულ ბინძურ სიტყვებს ეუბნებოდნენ. ხანდახან, კვირადღეობით, როცა გამოთვრებოდნენ, სამასხროდ რამდენიმე გროშს დაუყრიდნენ პირდაპირ მიწაზე, ისიც იშვიათად; მარი უხმოდ აკრეფდა ხოლმე ფულს. მაშინ უკვე სისხლიანი ნახველი ამოჰქონდა. ბოლოს ის ძონძებიც ისე შემოეფლითა ტანზე, სოფელში თავის გამოყოფის რცხვენოდა. დაბრუნების დღიდან ხომ სულ ფეხშიშველი დადიოდა. სწორედ ამ დროიდან იყო, ყმაწვილებმა რომ აიგდეს მასხრად, – ორმოცამდე ყმაწვილი იქნებოდა, – ტალახსაც კი ესროდნენ ხშირად. მარიმ ერთ მწყემსს სთხოვა, ძროხებს მე მოვმწყემსავო, მაგრამ მწყემსმაც გააგდო. მაშინ მის ნებადაურთველად მთელი დღით მიჰყვებოდა ხოლმე ნახირს შინიდან. მწყემსმა რომ დაინახა, რა სარგებლობაც მოჰქონდა მისთვის მარის, აღარაფერი უთხრა და ზოგჯერ სადილის ნარჩენებს, ყველსა და პურს მიუგდებდა ხოლმე. ეგონა, ამით დიდ მადლს ვშვებიო. ამასობაში დედაბერიც გარდაიცვალა, მაშინ კი პასტორმა საქვეყნოდ მოსჭრა თავი მარის საყდარში. მარი კუბოს უკან იდგა იმ თავის ძონძებში და ტიროდა. ხალხი ბლომად შეიკრიბა იმის სანახავად, როგორ იტირებს მარი და კუბოს როგორ გამოჰყვებაო; პასტორი ახალგზარდა კაცი იყო, მთელ მის პატივმოყვარეობას დიდ მქადაგებლად გახდომა შეადგენდა. „აი, ვინ მოჰკლა ეს პატიოსანი დედაკაცი, – განაცხადა ამ ხალხში და მარიზე მიათითა (სტყუოდა კი, ვინაიდან მარის დედა უკვე ორი წელია ავადმყოფობდა). – შეხეთ, ახლა თქვენ წინაშე დგას და თვალის გასწორებას ვერ ბედავს, რამეთუ ღვთისგანაა შერისხული; შეხეთ მის შიშველ ფეხებსა და ძონძებს, აი, მაგალითი იმისა, პატიოსნების დაკარგვას რაც მოსდევს! ვინ არის იგი ვინ და შვილი ამ ქალისა!“ ერთი სიტყვით, მოჰყვა და მოჰყვა. წარმოიდგინეთ, ყველამ მოუწონა ეს სიმდაბლე. მაგრამ... მაგრამ სულ სხვა ამბავი კი დატრიალდა; ახლა ბავშვები გამოესარჩლნენ მარის, ისინი უკვე ჩემ მხარეზე იყვნენ და მარი შეუყვარდათ. აი, როგორ იყო ეს ამბავი. მინდოდა მარის რითიმე მაინც დავხმარებოდი. მაშინ მას ფული ძალიან უჭირდა. მე ფული იქ საიდან მექნებოდა. ოღონდაც ერთი პატარა ალმასის ქინძისთავი მქონდა და ის ერთ გადამყიდველს მივყიდე, რომელიც სოფელ-სოფელ დადიოდა და გამონაცვალით ვაჭრობდა. რვა ფრანკი მომცა, თუმცა ორმოცი კი ღირდა. დიდხანს ვერ დავიმარტოხელე მარი; ბოლოს სოფლის განაპირას ღობესთან მოვიხელთე, მთის პატარა ბილიკზე, ხესთან, მივეცი ის რვა ფრანკი, გამოიზოგე, მეტს ვეღარ გიშოვი-მეთქი. მერე ვაკოცე და ვუთხარი, ცუდი არ გაივლო ფიქრად, იმიტომ კი არ გაკოცე, შეყვარებული ვიყო, უბრალოდ, ძალზე მეცოდები და არც ცოდვილად მიმაჩნიხარ, მხოლოდ უბედურად გთვლი-მეთქი. მინდოდა მენუგეშებინა და იმაშიც დამერწმუნებინა, დამნაშავე არა ხარ და თავს ასე ნუ იმდაბლებ-მეთქი. მაგრამ მაშინვე შევატყვე, ვერ მიმიხვდა, თუმცა თითქმის ხმა არ ამოუღია და თვალებდახრილი, დარცხვენილი იდგა. მერე მარიმ ხელზე მაკოცა, მეც მინდოდა ხელზე მეკოცნა, მაგრამ მყისვე გამომგლიჯა თავისი ხელი. სწორედ ამ დროს შეგვისწრეს ბავშვებმა. მერე გავიგე, თურმე დიდი ხანია მითვალთვალებდნენ. ატეხეს ერთი

სტვენა, ერთი ტაშისკვრა, სიცილი, მარი გაიქცა. მინდოდა ამეხსნა მათთვის ყველაფერი, მაგრამ ქვები დამიშინეს. იმავე დღეს მთელმა სოფელმა შეიტყო ეს ამბავი. ისევ მარის დაატყდა ყველაფერი უფრო მეტად ამოიძულეს. ყურიც კი მოვკარი, თითქოს დასჯაც დაუპირეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, გადარჩა. სამაგიეროდ, ბავშვები აღარ აძლევდნენ გასაქანს, უარესად დაუწყეს გამოჯავრება, ტალახს ესროდნენ, გამოედევნებოდნენ ხოლმე. ისევ გაექცეოდა, სნეულს ქოშინი აუვარდებოდა, ბავშვები კი ყვირილითა და ლანძღვა-გინებით მისდევდნენ უკან. ერთხელ საცემრადაც დაერიე მათ. მერე ლაპარაკი ვცადე, ყოველდღე ველაპარაკებოდი, თუ შემთხვევა მომეცემოდა. ხანდახან გამიჩერდებოდნენ და ყურს მიგდებდნენ, თუმცა კი მაინც მლანძღავდნენ. ვუამბე, რა უბედური იყო მარი; მალე ლანძღვა შეწყვიტეს და მხოლოდ უხმოდ გამეცლებოდნენ. თანდათან ლაპარაკშიც ჩავითრიე ისინი, არაფერს ვუმალავდი. ყველაფერი მოვუყევი. ბავშვები ცნობისმოყვარეობით მისმენდნენ, მალე მარისადმი სიბრალულიც აღეძრათ. გზაზე თუ შეხვდებოდათ, ზოგიერთები უკვე ტკბილად ესალმებოდნენ ხოლმე. იქ ასეთი ადათია, ნაცნობებმა თუ უცნობებმა შეხვედრისას „გამარჯობა“ უნდა უთხრან ერთმანეთს. წარმომიდგენია, ალბათ, როგორ უკვირდა მარის. ერთხელ ორმა გოგომ საჭმელი წაუღო მას, მერე მოვიდნენ და მითხრეს მარიმ იტირაო, ახლა მარი ძალიან გვიყვარსო. მალე ყველა ბავშვმა შეიყვარა მარი და ამასთან, მეც შემიყვარეს. ხშირ-ხშირად დარბოდნენ ჩემთან და მეხვეწებოდნენ, რამე გვიამბეო. მგონი კარგად ვყვებოდი, ვინაიდან ჩემს მოსმენას არაფერი ერჩივნათ. შემდეგში კი, თუ ვსწავლობდი და ვკითხულობდი, მხოლოდ იმიტომ, იმათთვის მეამბნა. მთელი სამი წელი ასე გავატარე. როცა შემდეგ ყველამ ბრალი დამდო, შნეიდერმაც კი, – დიდებივით რატომ ელაპარაკები და არაფერს უმალავო, ასე ვუთხარი, მათი მოტყუების მრცხვენია, ისედაც ყველაფერი იციან, როგორც არ უნდა დავუმალო, და შეიძლება ცუდადაც გაიგონ, ჩემგან კი ცუდად არ გაიგებენ-მეთქი. საკუთარი ბავშვობა მაინც მოეგონებინათ! ისინი არ დამეთანხმნენ ამაში. მარის რომ ვაკოცე, ორი კვირის სწორზე დედაც გარდაეცვალა; პასტორის იმ ქადაგების დროს ყველა ბავშვი უკვე ჩემს მხარეზე იყო. მე მყისვე ვუამბე და ავუხსენი მათ პასტორის საქციელი. ყველას გული მოუვიდა პასტორზე, ზოგიერთებმა ფანჯრებიც კი ჩაულეწეს ქვებით. მაშინვე დავტუქსე ბავშვები, ცუდი საქციელია-მეთქი, მაგრამ სოფელს უკვე მოედო ეს ამბავი და ბრალად დამდეს, ბავშვები გაგვირყვნაო. მერე ისიც გაიგეს, ბავშვებს მარი უყვართო, და საოცრად დაფრთხნენ. მაგრამ მარი უკვე ბედნიერი იყო. ბავშვებს აუკრძალეს მისი ნახვა, ისინი კი უჩუმრად მირბოდნენ მარისთან სამწყემსურში, კარგა შორ მანძილზე, სოფლიდან თითქმის ნახევარ ვერსზე; მიჰქონდათ მისთვის ტკბილეული, ზოგი კი მარტო იმიტომ მიირბენდა, მარის გადახვეოდა, ეკოცნა, ეთქვა „Je vous aime, Marie![20]“ და მერე კისრისტეხით გამოქცეულიყო უკან. ამ უეცარმა ბედნიერებამ ლამის შეშალა მარი. განა წარმოიდგენდა ამას ოდესმე! თან რცხვენოდა და თან უხაროდა. რაც მთავარია, ბავშვებს, მეტწილად გოგონებს უფრო ის მიარბენინებდათ, რომ ეთქვათ მისთვის, რარიგ მიყვარს მე მარი და რამდენს ვესაუბრები მათ მარიზე. უამბეს, რომ ეს მე მოვუყევი მისი ამბავი, რომ ახლა უყვართ და ებრალებათ იგი და სულ ასე იქნება შემდეგშიც. მერე ჩემთან მოირბენდნენ გაბრწყინებული, საქმიანი სახეებით და მეუბნებოდნენ, ესაა მარი ვნახეთ და მარიმ სალამი შემოგითვალათო. საღამოობით ჩანჩქერზე დავდიოდი. იქ ერთი ადგილი იყო, ალვებით შემორაგული და სოფლიდან ყოველი მხრივ დაფარული. სწორედ იქ მხვდებოდნენ ხოლმე ბავშვები, ზოგი სახლიდან უჩუმრადაც მოიპარებოდა. მე მგონი, საოცრად სიამოვნებდათ ფიქრი, ვითომც მე მარი მიყვარს. მთელი ჩემი იქ ყოფნის ხანს მარტო ამ ერთში მოვატყუე ისინი. აღარ გადამირწმუნებია, რომ მარი არ მიყვარს, ანუ შეყვარებული არა ვარ და მხოლოდ უზომოდ

მებრალება. ვატყობდი, როგორც იფიქრეს და ერთმანეთში გადაწყვიტეს, ასე უფრო მოსწონდათ, ამიტომ ჩუმად ვიყავი და ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს მიმიხვდნენ საიდუმლოს. მერე რა სათუთი, რა ნაზი გამოდგა ეს პატარა გულები ვერ შერიგებოდნენ იმ ფიქრს, რომ მათ კეთილ Leon-ს ასე უყვარს მარი, ის კი ცუდად ჩაცმული, ფეხშიშველი დადის. წარმოიდგინეთ, უშოვეს ფეხსაცმელი, წინდები, საცვლები, რაღაც კაბაც კი. არ მესმის პირდაპირ, საიდან, რა საშუალებით მოუხერხეს. ყველა კი იყო ჩაბმული საქმეში. რომ ჩავეკითხებოდი, მხოლოდ მხიარულად კისკისებდნენ, გოგონები ტაშს უკრავდნენ დამკოცნიდნენ. ზოგჯერ მეც უჩუმრად მივდიოდი მარის სანახავად. მარის უკვე მორეოდა სენი და ძლივს დალასლასებდა. ბოლოს, მწყემსთან სამსახურიც ვეღარ შეძლო, ოღონდ ყოველ დილით მაინც მიყვებოდა ხოლმე ნახირს. იქ, ერთ ფრიალო ციცაბო კლდეზე პატარა შვერილი იყო; მარიც ამ ლოდზე მოიკალათებდა მოფარებულში და მთელი დღე თითქმის გაუნძრევლად იჯდა დილიდან საღამომდე, ვიდრე ნახირი არ წავიდოდა. ჭლექმა იმდენად დარია ხელი, თვალის გახელის ძალაც არ ჰქონდა, თავით კლდეს მიეყრდნობოდა და თვლემდა. სუნთქვაც უჭირდა. სახეზე მარტო ძვლებიღა დარჩა, შუბლზე და საფეთქლებზე ოფლი ასხამდა. როცა კი არ მივიდოდი, სულ ამ მდგომარეობაში მხვდებოდა. არ მინდოდა, ვისმე დავენახე და მხოლოდ წუთით თუ მივიდოდი. ჩემს მიახლოებაზე მარი მყისვე შეკრთებოდა, თვალებს გაახელდა და ხელების საკოცნელად გამოიწევდა. როგორ უნდა წამერთმია ხელები, თუკი მისთვის ესოდენ ბედნიერებას წარმოადგენდა. ჩემს იქ ყოფნაში სულ კანკალებდა და ტიროდა. მართალია, რამდენჯერმე კი შეეცადა ლაპარაკს, მაგრამ მისი გაგება არ იყო ადვილი, გიჟივით იყო, საოცრად აღელვებული და აღფრთოვანებული. ზოგჯერ ბავშვებიც მომყვებოდნენ. ჩვეულებრივ, შორიახლოს გაჩერდებოდნენ, რა არის ედარაჯათ, არავის მოეკრა ჩვენთვის თვალი და დიდადაც სიამოვნებდათ ეს ამბავი. ჩვენ რომ წავიდოდით, მარი ისევ მარტო რჩებოდა, თვალებს მილულავდა, კლდეს თავს მიაყრდნობდა და უმოძრაოდ გაირინდებოდა; იქნებ ოცნებობდა კიდეც. ერთ დილას მარიმ ვეღარ შეძლო ნახირის გაყოლა და იმ თავის ცარიელ სახლში დარჩა. ბავშვებმა მყის შეიტყვეს ეს და თითქმის ყველამ მოინახულა იმ დღეს. საწოლში იწვა. ორი დღე უვლიდნენ ბავშვები, რიგრიგობით მიდიოდნენ. მერე სოფელმაც გაიგო, მარი კვდებაო, და დედაბრებიც მოადგნენ ღამის სათევად. სოფელს, ეტყობა, შეეცოდა მარი, ყოველ შემთხვევაში, ბავშვებს აღარ უკრძალავდნენ მისვლას და აღარ უჯავრდებოდნენ ამისთვის. მარი სულ მიგდებული იყო, სულ თვლემდა, ძილშიც შფოთავდა ხველება ახრჩობდა. დედაბრები ბავშვებს შიგნით არ უშვებდნენ, მაგრამ ისინი ერთი წუთით მაინც მიირბენდნენ სარკმელთან, რომ დაეძახათ „Bonjour norte bonne Marie!“[21] მარიც თვალს მოჰკრავდა თუ არა, ან მათ ხმას გაიგონებდა, წამით გამოცოცხლდებოდა და მაშინვე იდაყვებზე წამოწევას შეეცდებოდა; თავს უქნევდა და მადლობას ეუბნებოდა, თუმცა ბებრები უშლიდნენ. ბავშვებს ძველებურად მოჰქონდათ მისთვის ტკბილეული, მაგრამ მარის აღარც ჭამის თავი ჰქონდა. გარწმუნებთ, მათი წყალობით მარიმ ბედნიერად დალია სული. მათი წყალობით დაივიწყა თავისი უბედური წუთისოფელი, მათგან მიიღო თითქოს შენდობა, ვინაიდან უკანასკნელ წუთამდე თავს უდიდეს ცოდვილად თვლიდა. ისინი ჩიტუნებივით უფათქუნებდნენ ფრთებს მისი სარკმელს და ყოველ დილას „Nous lamons Marie“[22] ეძახდნენ. მარი მალე გარდაიცვალა. მეგონა, უფრო მეტ ხანს იცოცხლებდა. სიკვდილის წინ, მზის ჩასვლისას, მოვინახულე; მგონი, მიცნო, ხელი უკანასკნელად ჩამოვართვი. როგორ გალეოდა საცოდავს ხელი! მეორე დილას კი უეცრად მოვიდნენ და მითხრეს, მარი გარდაიცვალაო. მაშინ კი ვეღარავინ შეაკავა ბავშვები მისი კუბო სულ ყვავილებით მორთეს და თავზე გვირგვინი დაადგეს. პასტორს საყდარში აღარ გაუკიცხავს

მკვდარი, ხალხიც ცოტა იყო, მარტო რამდენიმე ცნობისმოყვარე დაესწრო. როცა კუბოს გამოტანის დრო დადგა, ბავშვები ერთად მიცვივდნენ, ჩვენ წავიღებთო. მაგრამ აბა როგორ წაიღებდნენ, ცოტ-ცოტას კი შველოდნენ, კუბოს უკან მისდევდნენ და ტიროდნენ. მას აქეთ მარის საფლავს სულითა და გულით უვლიან ბავშვები ყოველ წელს ყვავილებით რთავენ, ირგვლივ ვარდები ჩაურგეს. მაგრამ მარის დასაფლავების შემდეგ მთელმა სოფელმა ამომიჩემა ბავშვების გამო. ყველაფერი პასტორისა და სკოლის მასწავლებლის ბრალი იყო. ბავშვებს გადაჭრით აუკრძალეს ჩემთან შეხვედრაც კი. შნეიდერმა პირობა მისცა სოფელს, აღარ შევახვედრებო. მაგრამ ჩვენ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს, შორიდან ხელებით ველაპარაკებოდით. თავიანთ პატარა წერილებსაც მიგზავნიდნენ. ბოლოს მოგვარდა ყველაფერი, მაგრამ ამ აკრძალვამ მაშინ ბავშვებს უფრო დამაახლოვა. უკანასკნელ წელს თითქმის შევურიგდი ტიბოსა და პასტორს. შნეიდერი ბევრი მელაპარაკა და მედავა, ეგ შენი „სისტემა“ ბავშვებისთვის საზიანოაო. ნეტა რა სისტემა მქონდა! ბოლოს შნეიდერმა ერთი უცნაური აზრი გამოთქვა, – ეს უკვე ჩემი წამოსვლის წინ იყო, – ასე მითხრა, სრულიად დავრწმუნდი, რომ წმინდა წყლის ბავშვი ხარ, მხოლოდ ტანით და სახით ჰგავხარ დიდს, თორემ განვითარებით, სულით, ხასიათით, იქნებ ჭკუითაც ბავშვი ხარ და ასეც დარჩები, თუნდაც სამოც წელს მიაღწიოო. ბევრი ვიცინე ამაზე. რა თქმა უნდა, მართალი არ არის, აბა, სადაური ბავშვი ვარ მაგრამ ის კი მართალია, რომ დიდებში, ხალხში ტრიალი არ მიყვარს – ეს დიდი ხანია შევამჩნიე ჩემს თავს, – არ მიყვარს, იმიტომ, რომ არ მეხერხება. რაზეც არ უნდა მელაპარაკონ, რა სიკეთეც არ უნდა გამოიჩინონ ჩემდამი, რატომღაც მუდამ მიმძიმს მათთან ყოფნა და საოცრად მიხარია, როცა შემიძლია, ჩემს ამხანაგებს მივაშურო. ამხანაგებად კი მუდამ ბავშვები მეგულება, განა იმიტომ, რომ ბავშვი ვარ, არა, უბრალოდ, მათკენ უფრო მიმიწევს გული. როცა პირველად ჩავედი სოფელში და გულის გადასაყოლებლად მთებში დავდიოდი, როცა მარტო დავეხეტებოდი და ზოგჯერ, მეტწილად შუადღის ხანს, სკოლიდან დაბრუნებული ბავშვების მთელ გუნდს შევეჩეხებოდი, პარკები და გრიფელის დაფები რომ ეკავათ ხელში და ერთი ჟრიამულითა და კისრისტეხით მორბოდნენ, გული მაშინვე მათკენ გამიწევდა ხოლმე. არ ვიცი, რა იყო მიზეზი, მაგრამ მათი ყოველი შეხვედრა რაღაც მეტისმეტად ძლიერი და ნეტარი შეგრძნებით მავსებდა. გავჩერდებოდი და ბედნიერი სიცილი ამიტყდებოდა, როცა მათ პატარა, მარდ ფეხებს ვუცქერდი, რომელთაც წუთით გაჩერებულს ვერ ნახავთ. როცა სირბილით მომავალ გოგო-ბიჭებს ვუყურებდი, ხან მოკისკისეთ და ხან აღრიალებულებს (ვიდრე სკოლიდან სახლამდე მიირბენდნენ, ჩხუბსაც ასწრებდნენ, ტირილსაც, ისევ შერიგებასა და ისევ ერთად თამაშს), მაშინ მთელი ჩემი ნაღველი მავიწყდებოდა. ასე რომ, მთელი ის სამი წელი ჩემთვის უცხო და გაუგებარი იყო, რა აქვთ სანაღვლო ან სადარდებელი ადამიანებს მთელი ჩემი ბედი მათ გადაეგო. არასოდეს მიფიქრია, თუ სოფლის დატოვება და აქ, რუსეთში დაბრუნება მომიხდებოდა ოდესმე. მეგონა, სულ იქ დავრჩებოდი. მაგრამ ბოლოს დავინახე, რომ არც შნეიდერის კმაყოფაზე შეიძლებოდა სულ ცხოვრება. თან ისეთი დიდი საქმე გამომიჩნდა, რომ შნეიდერმა თვითონ დამაჩქარა წამოსვლა და ჩემს მაგივრად აქ მოიწერა პასუხი. ჰოდა, ვნახავ ახლა, რა საქმეა, ვისმე რჩევას ვკითხავ. იქნება, ჩემი ბედი სულ შეიცვალოს, მაგრამ ეს არაა კიდევ მთავარი. მთავარი ისაა, რომ ჩემი ცხოვრება სულ შეტრიალდა. იქ მე ბევრი, ძალზე ბევრი რამ დავტოვე და დავკარგე. ვაგონში სულ ამას ვფიქრობდი „ახლა ხალხში უნდა გავერიო; იქნებ ბევრი არაფერი ვიცი და გამეგება, მაგრამ ახალი ხანა კი დამიდგა“. გადავწყვიტე, პატიოსნად და პირნათლად შევასრულო ჩემი საქმე. ადამიანებთან, შესაძლოა, მომწყინდეს და გამიჭირდეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, გადავწყვიტე, ყველას ზრდილობით მოვექცე და არაფერი

დავუმალო; მეტს ხომ არავინ მომთხოვს. იქნებ აქაც ბალღად ჩამთვალონ, – რა ვუყოთ მერე! რატომღაც ყველა იდიოტად მნათლავს, მართალია, ოდესღაც კი ვიყავი ისე ავად, რომ იდიოტს ვგავდი; მაგრამ ახლა სადაური იდიოტი ვარ, თუკი ვამჩნევ, რომ იდიოტად მთვლიან. სადმე რომ შევდივარ, ვფიქრობ „ამათ იდიოტი ვგონივარ, მე კი ჭკვიანი ვარ, მხოლოდ ესენი ვერ ხვდებიან...“ არა ერთხელ მიფიქრია ასე. როცა ბერლინში იქიდან გამოგზავნილი რამდენიმე პატარა ბარათი მივიღე, მაშინღა მივხვდი, როგორ მყვარებია ისინი! ძალზე მძიმეა პირველი წერილის მიღება! როგორ იდარდეს ჩემი წამოსვლა! ერთი თვით ადრე დამიწყეს გაცილება „Leon s'en va, Leon s'en va pour toujours!“[23] ყოველ საღამოს იკრიბებოდით ხოლმე ძველებურად ჩანჩქერთან და სულ ჩვენს დაშორებაზე ვლაპარაკობდით. ზოგჯერ წინანდელივით მხიარულ გუნებაზე ვდგებოდით; მხოლოდ ღამით, დაშორებისას, მაგრად, მხურვალედ გადამეხვეოდნენ, რაც წინათ არ უქნიათ. ზოგიერთები უჩუმრად, ცალ-ცალკე მორბოდნენ ჩემთან, რა არის, სხვების დაუსწრებლად მარტო გადამხვეოდნენ და გადავეკოცნე. ყველა მაცილებდა სადგურამდე. რკინიგზის სადგური ჩვენი სოფლიდან ერთ ვერსზე იქნებოდა. თავს კი იმაგრებდნენ, რომ არ ეტირათ, მაგრამ ბევრი ვერ ითმენდა და ხმამაღლა ღრიალებდა, განსაკუთრებით გოგონები. ვჩქარობდით, რომ სადგურზე არ დაგვგვიანებოდა, თუმცა შიგადაშიგ შუაგზაზე რომელიმე მომვარდებოდა, მომხვევდა თავის პაწია მკლავებს და მკოცნიდა, ყველას ამისთვის აჩერებდა; ჰოდა, რარიგად არ ვჩქარობდით, მაინც ვჩერდებოდით და ვუცდიდით, როდის მოათავებდა გამოთხოვებას. ვაგონი რომ დაიძრა, ვაშაო, ყველამ ერთხმად მომაყვირა. ვიდრე ვაგონი თვალს არ მიეფარა, არავინ მოიცვალა ფეხი. მეც ვუყურებდი... იცით, როცა წელან აქ შემოვედი, თქვენს საყვარელ სახეებს შევხედე, – ახლა ძალზე ვაკვირდები სახეებს, – და თქვენი პირველი სიტყვები გავიგონე, პირველად ვიგრძენი შვება მას შემდეგ. წელან კიდეც ვიფიქრე, ალბათ, იღბლიანი კაცი ვარ-მეთქი განა მე არ ვიცი, პირველი შეხედვითვე გული რომ შეგივარდეს, არც ეგრე იოლად შეხვდები ამისთანა ადამიანებს. მე კი, ვაგონიდან გადმოვედი თუ არა, მაშინვე შეგხვდით. ისიც ვიცი, რომ შენს საკუთრ გრძნობებზე ლაპარაკი სირცხვილია, მაგრამ აგერ გელაპარაკებით და არ მრცხვენია. მე მარტოობის მოყვარული კაცი ვარ და იქნებ დიდხანს აღარც მოგეკაროთ. ოღონდ ცუდად ნუ ჩამომართმევთ ამ ნათქვამს იმიტომ კი არ ვთქვი, რომ არ გაფასებთ, არც ის გაივლოთ გულში, თითქოს რამე მეწყინა. წელან მკითხეთ, რა სახეები გვაქვს და რა ამოიკითხეთ ჩვენს სახეებზეო. დიდი სიამოვნებით გეტყვით. თქვენ, ადელაიდა ივანოვნა, ბედნიერი სახე გაქვთ. სამ დაში ყველაზე სანდომიანი. თანაც მეტად ლამაზი ბრძანდებით. კაცი შემოგხედავთ და იტყვის „დასავით მიყურებსო“. ადამიანებს უბრალოდ, გულგაშლით უდგებით, მაგრამ კაცის ამოცნობაც მალე შეგიძლიათ. აი, რას ვიტყოდი თქვენზე. თქვენც მშვენიერი სახე გაქვთ, ალექსანდრა ივანოვნა, მეტად საყვარელი, მაგრამ თითქოს რაღაც უთქმელი კაეშანი კი უნდა გაწუხებდეთ; გული, უეჭველია, კეთილზე კეთილი გაქვთ, მაგრამ ხალისი გაკლიათ. რაღაც უცნაური იერი გადაგკრავთ სახეზე, ჰოლბეინის მადონას მაგონებთ, დრეზდენში რომ მინახავს.[24] აი, რაც თქვენს სახეზე შემიძლია ვთქვა. კარგი გამომცნობი ვყოფილვარ აკი, გამომცნობად მიგაჩნივართ. მაგრამ თქვენ რომ გიცქერით, ლიზავეტა პროკოფიევნა, – მიუტრიალდა უეცრივ გენერლის მეუღლეს, – არათუ მეჩვენება, დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად თქვენი წლოვანებისა, წმინდა წყლის ბალღი ბრძანდებით, ყველაფერში, ცუდი იქნება ეს თუ კარგი. ხომ არ გამიწყრებით ამაზე ხომ იცით, ჩემთვის რანი არიან ბალღები ნურც იმას იფიქრებთ, თითქოს გულუბრყვილობამ მათქმევინა ეს ყველაფერი თქვენს სახეებზე; ო, არა, სულაც არა! იქნებ რაღაც ზრახვა მაქვს და ეს მალაპარაკებს.

VII

თავადი გაჩუმდა, ყველა მხიარულად შეაცქერდა მას, აგლაიაც კი, მაგრამ ყველაზე მეტად ლიზავეტა პროკოფიევნას გაბრწყინებოდა სახე.

– გამოცდაც ამას ჰქვია! – შესძახა მან. – რაო, ქალბატონებო, გეგონათ, ამ საწყალს კალთას გადავაფარებთ და მფარველობას გავუწევთ, მან კი ძლივს გცნოთ თავისი წყალობის ღირსად, ისიც დათქვა, იშვიათად მოვალ სანახავადო. რა მიხარია, რომ ყველა გაგვასულელა, ყველაზე მეტად კი ივან ფიოდოროვიჩი. ყოჩაღ, თავადო! განა არა, წეღან თქვენი გამოცდა დაგვავალეს. რაც ჩემს სახეზე თქვით, წმინდა წყლის სიმართლეა ვიცი, ბავშვი ვარ, თქვენზე ადრეც ვიცოდი; სწორედ ჩემი ნაფიქრი გამოთქვით ერთი სიტყვით. თქვენი ხასიათი მართლაც ჰგავს ჩემსას და ძალიანაც მიხარია; ოღონდ თქვენ კაცი ხართ, მე კი ქალი და არც შვეიცარიაში ვარ ნამყოფი; მარტო ესაა განსხვავება.

– ნუ ჩქარობთ, maman, – შესძახა აგლაიამ, – თავადმა ხომ თქვა, გულახდილად რომ ვაღიარე, ჩემი ზრახვა მქონდაო და იმიტომ. ალბათ, არც სტყუის.

– ჰო, ჰო, – იცინოდნენ სხვებიც.

– ნუ ქირქილებთ, ჩემო კარგებო, იქნებ ეშმაკობითაც სამივეს ერთად გაჯობოთ. აი, ნახავთ თუ არა! ოღონდ აგლაიაზე რატომ არაფერი თქვით, თავადო მე და აგლაია მოლოდინში ვართ.

– ახლა ვერაფერს ვიტყვი; მერე გეტყვით.

– რატომ მგონი, გამოირჩევა, არა?

– ო, დიახ, გამოირჩევა; თქვენ მეტისმეტად ლამაზი ბრძანდებით, აგლაია ივანოვნა. იმდენად ლამაზი, კაცი თვალს ვერ გაგისწორებთ.

– ესაა სულ? ხასიათზე რას იტყვით? – არ ეშვებოდა გენერლის მეუღლე.

– სილამაზის განსჯა ძნელია; მე ჯერ მზად არ გახლავართ. სილამაზე გამოცანაა.

– ეს იმას ნიშნავს, აგლაიას გამოცანა მიეცით, – თქვა ადელაიდამ, – აბა, ამოხსენი, აგლაია ხომ ლამაზია, თავადო

– მეტისმეტად! – გულმხურვალედ წარმოთქვა თავადმა და აღტაცებით შეავლო თვალი აგლაიას. – თითქმის ნასტასია ფილიპოვნასავით, ოღონდაც სახე სულ სხვა აქვს!..

ყველამ განცვიფრებით გადახედა ერთმანეთს.

– ვისავითო? – გააგრძელა გენერლის მეუღლემ, – ნასტასია ფილიპოვნასავითო? მერე სად გინახავთ ნასტასია ფილიპოვნა? რომელი ნასტასია ფილიპოვნა?

– წეღან გავრილა არდალიონოვიჩმა მისი სურათი ივან ფიოდოროვიჩს აჩვენა.

– რაო, ივან ფიოდოროვიჩს სურათი მოუტანა?

– საჩვენებლად. ნასტასია ფილიპოვნას დღეს გავრილა არდალიონოვიჩისათვის თავისი სურათი უჩუქებია, მან კი გენერალს აჩვენა.

– მეც მინდა ვნახო! – შეხტა გენერლის მეუღლე, – სადაა სურათი? რაკი მას აჩუქა, მაშასადამე, მასვე ექნება, ის კი ალბათ ჯერაც კაბინეტშია. ოთხშაბათობით მუდამ სამუშაოდ მოდის და ოთხ საათზე ადრე ვერ ათავებს. ახლავე გავრილა არდალიონოვიჩს დამიძახეთ! თუმცა არა, მისი ნახვის სურვილი არ მკლავს. ქენით სიკეთე, თავადო, გეთაყვა, კაბინეტში წადით, სურათი გამოართვით და აქ მომიტანეთ. უთხარით, სანახავად უნდათ-თქო, გთხოვთ.

– კარგი ვინმეა, ოღონდაც მეტისმეტად მიამიტი ჩანს, – თქვა ადელაიდამ, როცა თავადი გავიდა.

– ჰო, მეტისმეტად, – დაუკრა კვერი ალექსანდრამ, – იმდენად, რომ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ერთიც და მეორეც თითქოს მთლიანად არ გამოთქვამდნენ, რასაც ფიქრობდნენ.

– თუმცა ჩვენი სახეების ამოხსნისას კოხტად დაიძვრინა თავი, – თქვა აგლაიამ, – ყველას თავი მოგვიქონა, maman-საც კი.

– ნუ ენამწარობ, გეთაყვა! – შეუტია ლიზავეტა პროკოფიევნამ, – კი არ მომიქონა, მასიამოვნა.

– შენი ფიქრით, თავის დაძვრენა უნდოდა – ჰკითხა ადელაიდამ.

– მე მგონი, არც ისე მიამიტი უნდა იყოს.

– ოჰო, დაიწყეს ახლა! – გული მოუვიდა გენერლის მეუღლეს, – მე კი მგონია, თქვენ უფრო სასაცილოები ხართ. მიამიტია, მაგრამ ჭკუას, ნუ გეშინიათ, არ წააგებს, რა თქმა უნდა, ყველაზე კეთილშობილური გაგებით. სწორედ ჩემსავითაა.

„ცუდი კია, სურათის ამბავი რომ წამომცდა, – ფიქრობდა გულში კაბინეტისკენ მიმავალი თავადი და ცოტაოდენ ქენჯნიდა სინდისი, – მაგრამ... იქნებ კარგიც იყოს, რომ წამომცდა...“ ერთი უცნაური ფიქრი უტრიალებდა თავში, თუმცა ჯერ ბუნდოვნად.

გავრილა არდალიონოვიჩი ისევ კაბინეტში იჯდა და თავის ქაღალდებში იყო ჩაფლული. როგორც ეტყობოდა, სულ მუქთად არ იღებდა ჯამაგირს სააქციონერო საზოგადოებიდან. საოცრად დაიბნა, თავადმა რომ სურათი მოჰკითხა და უამბო, რა გზითაც შეიტყვეს სურათის ამბავი სასტუმროში.

– ეეჰ! ნეტა რა გაყბედებდათ! – შესძახა მან გაბოროტებით, – რა იცით საქმის... იდიოტო! – ჩაიბურტყუნა მერე თავისთვის.

– მაპატიეთ, დაუფიქრებლად წამომცდა; სიტყვამ მოიტანა. მე ვთქვი, აგლაია ივანოვნა თითქმის ნასტასია ფილიპოვნასავით ლამაზია-მეთქი.

განიამ სთხოვა, რომ დაწვრილებით ეამბნა; თავადმა უამბო. განიამ ისევ დაცინვით შეხედა.

– ნეტავ რას აიჩემეთ ნასტასია ფილიპოვნა... – წაიბურტყუნა ისევ, მაგრამ აღარ დაამთავრა და გაჩუმდა, ფიქრებს მიეცა.

ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა. თავადმა სურათი მოაგონა.

– გამიგონეთ, თავადო, – წარმოთქვა უეცრივ განიამ, თითქოს რაღაც აზრი მოუვიდა ანაზდად თავში, – თქვენთან უდიდესი სათხოვარი მაქვს... ოღონდ, მართალი გითხრათ, აღარ ვიცი...

განია დაიბნა და აღარ დაასრულა; რაღაც უნდოდა ეთქვა და თითქოს თავს ებრძოდა. თავადი უხმოდ ელოდა. განიამ ერთხელ კიდევ მცდელად, დაკვირვებით შეავლო თვალი.

– თავადო, – დაიწყო ისევ, – იქ ახლა ჩემზე... ერთი სრულიად უცნაური გარემოების წყალობით... სასაცილოც კია... თუმცა დამნაშავე არა ვარ... ერთი სიტყვით, თქმა რა საჭიროა, – იქ ჩემზე, მგონი, ცოტა შემწყრალნი არიან. ასე რომ, რამდენიმე ხანს თუ არ დამიძახეს, შესვლა არ მინდა. საოცრად კი მჭირდება ახლა აგლაია ივანოვნასთან ლაპარაკი. ყოველი შემთხვევისათვის, რამდენიმე სიტყვა დავწერე (მის ხელში პატარა დაკეცილი ბარათი გაჩნდა) და აღარ ვიცი, როგორ გადავცე. ხომ არ შეგიძლიათ, თავადო, გადასცეთ ეს აგლაია ივანოვნას ახლავე, ოღონდ მარტო აგლაია ივანოვნას, ესე იგი, სხვამ არ დაგინახოთ ისე, გამიგეთ ეს მაინცდამაინც დიდი საიდუმლო არ გახლავთ, აქ ისეთი არაფერია... მაგრამ... გადასცემთ?

– ეგ არცთუ დიდად მსიამოვნებს, – მიუგო თავადმა.

– ოჰ, თავადო, დიდ გაჭირვებაში ვარ! – დაუწყო ხვეწნა განიამ, – იქნებ მიპასუხოს... მერწმუნეთ, თუ დიდი გასაჭირი არა, არ შეგაწუხებდით... ვის გავატანო აბა.. ამაზე ბევრია დამოკიდებული... ძალზე ბევრი ჩემთვის...

განიას საოცრად ეშინოდა, ვაითუ თავადი არ დამთანხმდესო, და ლაჩრული მუდარით შესციცინებდა თვალებში.

– კარგით, გადავცემ.

– ოღონდ არავინ შეამჩნიოს, – შეეხვეწა გახარებული განია, – იცით, თავადო, თქვენი პატიოსანი სიტყვის იმედი მაქვს, ხომ?

– არავის ვაჩვენებ.

– ბარათი არ დამიბეჭდია, მაგრამ... წამოცდა მეტისმეტად აფუსფუსებულ განიას და დარცხვენილი გაჩერდა.

– ო, არ წავიკითხავ, – სრულიად გულღიად მიუგო თავადმა, სურათი აიღო და კაბინეტიდან გავიდა.

მარტო დარჩენილმა განიამ თავში იტაცა ხელები.

– მისი ერთი სიტყვა და მე... მე, მართლაც ყველაფერს გავწყვეტ!

მოლოდინით აფორიაქებულმა ვეღარ შეძლო ისევ ქაღალდებს, ჩაჯდომოდა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა.

თავადი ჩაფიქრებული მიდიოდა. ეს დავალება უსიამოდ მოხვდა გულს, უსიამოდ გაჰკენწლა იმ ფიქრმაც, განია წერილს უგზავნისო აგლაიას. სასტუმრომდე კიდევ ორი ოთახი დარჩენოდა, რომ უეცრივ შედგა, თითქოს რაღაც მოაგონდა, მიიხედ-მოიხედა, ფანჯრისკენ, სინათლეზე წავიდა და ნასტასია ფილიპოვნას სურათს დააცქერდა. რაღაც იდუმალს მეტყველებდა ეს სახე, რამაც ესოდენ შეაცბუნა წეღან და რისი ამოხსნაც ეწადა ახლა. ამდილანდელი შთაბეჭდილება თითქმის ვერა და ვერ დაევიწყებინა და თითქოს მის შემოწმებას ესწრებოდა ხელახლა. უჩვეულოდ მშვენიერმა და რაღაც უჩვეულოდ მეტყველმა სახემ კიდევ უფრო ძლიერ გააოცა იგი. თითქოს უსაზღვრო სიამაყე და ზიზღი, ლამის სიძულვილი ეწერა ზედ და რაღაც მიმნდობად, რაღაც საოცრად მიამიტად იყურებოდა, ხოლო ეს ორი კონტრასტი რაღაც სიბრალულსაც აღუძრავდა ამ სახის მნახველს. აუტანელი იყო ფერმიხდილი სახის, ლამის შევარდნილი ლოყებისა და მოელვარე თვალების ეს დამაბრმავებელი უცნაური მშვენიერება! თავადმა ერთი წუთი უყურა კიდევ, მერე უეცრივ გონს მოეგო, ირგვლივ მიმოიხედა, სწრაფად მიიტანა სურათი ტუჩებთან და ეამბორა. როცა ერთი წუთის შემდეგ სასტუმროში შევიდა, სახე დამშვიდებული ჰქონდა. მაგრამ შედგა თუ არა ფეხი სასადილოში (სასტუმროდან ის ერთი ოთახით იყო დაშორებული), კარებში ლამის აგლაიას დაეჯახა. აგლაია მარტო მოდიოდა.

– გავრილა არდალიონოვიჩმა მთხოვა გადმომეცა, – უთხრა თავადმა და ბარათი მიაწოდა.

აგლაია შედგა, ბარათი გამოართვა და რაღაც უცნაურად შეხედა თავადს. დარცხვენა სულაც არ ეტყობოდა. ეს კია, ცოტაოდენი გაკვირვება გამოეხატა თვალებში, ისიც თითქოს მხოლოდ თავადის მიმართ. ამ გამოხედვით თითქოს ანგარიშს თხოვდა თავადს – როგორ მოხდა, რომ ამ საქმეში განიას შუამავალი აღმოჩნდა – თხოვდა მშვიდად და ზვიადად. ორი-სამი წუთი ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ბოლოს რაღაც დაცინვის მსგავსი გამოეხატა აგლაიას სახეზე, ოდნავ გაიღიმა და გაშორდა.

გენერლის მეუღლე რამდენიმე ხანს უსიტყვოდ, რაღაც ზიზღნარევი გამომეტყველებით სინჯავდა ნასტასია ფილიპოვნას სურათს, რომელიც თვალებიდან კარგა მოშორებით მეტისმეტად ეფექტურად დაეკავებინა.

– კარგი ყოფილა, – წარმოთქვა ბოლოს, – ძალზე კარგიც. ერთი-ორჯერ კი მომიკრავს თვალი, ოღონდ შორიდან. მაშ, ეგეთი სილამაზე მოგწონთ? – მიუბრუნდა ერთბაშად თავადს.

– დიახ... ეგეთი.... – თითქოს ეძნელა თავადს პასუხი.

– ესე იგი სწორედ ეგეთი?

– სწორედ ეგეთი.

– რა მიზეზით?

– ამ სახეში... ტანჯვაა ბევრი... – წარმოთქვა თითქოს უნებლიეთ თავადმა, თითქოს თავის თავს უფრო უთხრა, ვინემ კითხვას უპასუხა.

– მგონი, გაბოდებთ, – გადაწყვიტა გენერლის მეუღლემ და მედიდურად მოისროლა სურათი მაგიდაზე.

სურათი ალექსანდრამ აიღო ხელში, ადელაიდაც მიუახლოვდა და ორივენი დააცქერდნენ. ამ წუთს აგლაია ისევ შემობრუნდა სასტუმროში.

– რა ძალაა! – შესძახა უეცრივ ადელაიდამ, რომელიც დას უკან ამოსდგომოდა და იქიდან დახარბებით დასცქეროდა სურათს.

– სადა რა ძალაზე ამბობ? – მკვახედ ჰკითხა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ასეთი სილამაზე დიდი ძალაა, – გატაცებით თქვა ადელაიდამ, – ამ სილამაზით კაცი ქვეყანას გადააბრუნებს!

ის ჩაფიქრებული გაემართა თავისი მოლბერტისაკენ. აგლაიამ ერთი გადახედა სურათს, თვალები მოჭუტა, ტუჩი აიბზუა, მერე გაშორდა, განზე დაჯდა და გულხელი დაიკრიფა. გენერლის მეუღლემ ზარი დარეკა.

– გავრილა არდალიონოვიჩს მიხმეთ, კაბინეტშია, – უბრძანა შემოსულ მსახურს.

– Mamam! – მრავლისმეტყველად შესძახა ალექსანდრამ.

– ორი სიტყვა მინდა ვუთხრა. მორჩა და გათავდა! – მოუჭრა გენერლის მეუღლემ. ეტყობოდა, გაგულისებული იყო. – იცით, თავადო, ჩვენსა ახლა ყველაფერი საიდუმლოა, სულ ყველაფერი! თურმე ასეა მიღებული, ეტიკეტი ასე ითხოვსო, სისულელეა. ისიც ისეთ საქმეში, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს გულახდილობას, სიცხადეს, პატიოსნებას, ეწყობა ქორწინებანი, არ მომწონს მე ეს ქორწინებანი...

– Maman! რას ამბობთ? – ისევ შეაჩერა ალექსანდრამ.

– შენ რა გინდა, ჩემო კარგო განა შენ კი მოგწონს თავადი თუ გვისმენს, მერე რა, ჩვენ მეგობრები ვართ. ყოველ შემთხვევაში, მე და ის მაინც. ღმერთი ადამიანებს ეძებს, რა თქმა უნდა, კარგებს, ბოროტი და ჟინიანები მას არ უყვარს, განსაკუთრებით ჟინიანები, რომლებიც დღეს ერთს გადაწყვეტენ, ხვალ სხვას გაიძახიან. გესმით, ალექსანდრა ივანოვნა ეგენი, თავადო, ახირებულ ქალად მნათლავენ, მე კი ვიცი ხალხის ცნობა. ვინაიდან გულია მთავარი, სხვა დანარჩენი სისულელეა. ჭკუაც საჭიროა, ცხადია... შეიძლება ჭკუა იყოს ყველაზე მთავარი. ნუ ჩაიცინე, აგლაია, წინააღმდეგობაში არ ვვარდები სულელს თუ გული აქვს და ჭკუა არა, ისეთივე საცოდავია, როგორც ჭკვიანი, მაგრამ უგულო სულელი. ძველთაძველი ჭეშმარიტებაა. აი მე სულელი ვარ, გული მაქვს და ჭკუა არა, შენ კი ჭკვიანი, უგულო სულელი ბრძანდები; ორივენი უბედურები ვართ, ორივენი ვეწამებით.

– ნეტავ რამ გაგაუბედურათ, maman – ვერ მოითმინა ადელაიდამ. იქ მყოფთა შორის მარტო მას ერთს შერჩენოდა კარგი გუნება.

– ჯერ ერთი, ჩემმა ნასწავლმა ქალებმა, – მოუჭრა გენერლის მეუღლემ, – ჰოდა, რაკი ეს ერთიც კმარა საამისოდ, სხვას აღარ გამოვუდგები. საკმარისია, რაც ვთქვი, ვნახოთ, თქვენ ორს (აგლაიას არ ვთვლი) ეგ თქვენი ჭკუა და ენამზეობა რას მოგიტანთ, ან ბედნიერი თუ იქნებით, დიდად პატივცემულო ალექსანდრა ივანოვნა, იმ თქვენი პატივცემული ვაჟბატონის ხელში.. ოჰო! – შესძახა მან, შემოსული განია რომ დაინახა, – აგერ, ერთი საქორწინო წყვილიც მოდის. გამარჯობათ! – მიუგო განიას თავის დაკვრაზე, დაჯექითო, არ შესთავაზა. – თქვენ დაქორწინებას აპირებთ?

– დაქორწინებას.. საიდან.. რა დაქორწინებას.. – ლუღლუღებდა რეტდასხმული, გაოგნებული განია.

– ცოლს თხოულობთ-მეთქი, თუკი ასეთი გამოთქმა უფრო მოგწონს.

– არა... მე... არა, – იცრუა გავრილა არდალიონოვიჩმა და სახეზე აილეწა. მერე განზე მჯდარ აგლაიას ერთი გადახედა და მაშინვე თვალი აარიდა. აგლაია ცივად, დაჟინებით და მშვიდად შესჩერებოდა, მის დარცხვენას უთვალთვალებდა.

– არა? თქვენ თქვით არაო? – არ ეშვებოდა შეუბრალებელი ლიზავეტა პროკოფიევნა, – საკმარისი გახლავთ. დავიმახსოვრებ, რომ დღეს, ოთხშაბათ დილას, ჩემს კითხვაზე „არაო“ მიპასუხეთ. დღეს ოთხშაბათია?

– მგონი, ოთხშაბათია, maman, – მიუგო ადელაიდამ.

– არასდროს არ იციან, რა დღეა ხოლმე. რა რიცხვია?

– ოცდაშვიდი გახლავთ, – მიუგო განიამ.

– ოცდაშვიდი? ეგ კარგია სხვადასხვა მიზეზის გამო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მგონი, ბევრი საქმე გაქვთ, მე კი უნდა ჩავიცვა და წავიდე; წაიღეთ თქვენი სურათი. უბედურ ნინა ალექსანდროვნას ჩემგან მოკითხვა გადაეცით. ნახვამდის, თავადო, გეთაყვა! ხშირ-ხშირად მობრძანდი ჩვენსა, ბებერ ბელოკონსკაიას კი განზრახ ვეწვევი შენი ამბის სათქმელად. იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო მწამს, რომ ღმერთმა ჩემს ბედად მოგავლინათ პეტერბურგში შვეიცარიიდან. ვინ იცის, სხვა საქმეებიც გამოგიჩინოს, მაგრამ უფრო კი ჩემს ბედად, ღმერთს სწორედ ეგრე უნებებია. ნახვამდის, ძვირფასებო. ალექსანდრა, წამოდი, ჩემო მეგობარო.

გენერლის მეუღლე გავიდა. საქციელწამხდარმა, დაბნეულმა, გაბოროტებულმა განიამ სურათი მაგიდიდან აიღო და ცალყბა ღიმილით მიუბრუნდა თავადს.

– თავადო, მე შინ მივდივარ. თუ განზრახვა არ შეგიცვლიათ და ჩვენს მდგმურობას აპირებთ, წამოდით და წაგიყვანთ, თორემ თქვენ მისამართიც არ იცით.

– მოიცათ, თავადო, – თქვა აგლაიამ და უეცრივ წამოდგა სავარძლიდან, – ალბომში მინდა ჩაგაწერინოთ. მამამ თქვა, კალიგრაფი ყოფილხართ თურმე. ახლავე მოგიტანთ...

აგლაია გავიდა.

– ნახვამდის, თავადო, მეც წავალ, – თქვა ადელაიდამ, მაგრად ჩამოართვა ხელი თავადს, ტკბილად გაუღიმა და გავიდა. განიას ზედაც არ მიხედა.

– თქვენი ბრალია, – კბილების ღრჭიალით ეცა თავადს განია, როცა ყველანი გავიდნენ,

– თქვენ გამოთქვით ალბათ, ცოლს თხოულობსო! – ხმადაბლა ბურტყუნებდა გაცოფებული და ბრაზისგან თვალებგადმოკარკლული, – უსირცხვილო ენატარტარავ!

– გარწმუნებთ, სცდებით, – მშვიდად უპასუხა თავადმა, – მე არც ვიცოდი, ცოლს თუ თხოულობდით.

– წეღან ალბათ ყური მოჰკარით, ივან ფიოდოროვიჩმა რომ მითხრა, დღეს საღამოს ყველაფერი გადაწყდებაო ნასტასია ფილიპოვნასთან, ჰოდა, უთხარით! სტყუიხართ! აბა, ამას საიდან უნდა გაეგო თქვენს მეტს, ეშმაკმა დალახვროს, ვის უნდა ეთქვა განა დედაბერმა არ გადმომიკრა

– თქვენ უკეთ გეცოდინებათ, ვინც უთხრა, თუკი გგონიათ, რომ გადმოგიკრეს. მე კი ერთი სიტყვაც არ დამცდენია ამაზე.

– ბარათი გადაეცით? პასუხი სადაა? – ციებ-ცხელებაატანილივით გააწყვეტინა განიამ მოუთმენლად. მაგრამ სწორედ ამ წუთს აგლაია შემოვიდა და თავადმა პასუხი ვეღარ მოასწრო.

– აი, თავადო, ამოირჩიეთ გვერდი და რამე დამიწერეთ, – უთხრა აგლაიამ და მაგიდაზე დადო თავისი ალბომი. – აგერ, კალამი, სულ უხმარია. ფოლადის რომაა, ხომ არ დაიწუნებთ როგორც გამიგია, კალიგრაფები ფოლადის კალმით არ წერენ.

აგლაია თავადს ელაპარაკებოდა და განიას იქ ყოფნას თითქოს ვერ ამჩნევდა, მაგრამ ვიდრე თავადი კალამს შეასწორებდა, ფურცელს მოძებნიდა და მოემზადებოდა, განია ბუხართან მივიდა, სადაც აგლაია იდგა, თავადის მარჯვენა მხარეს, და აკანკალებული, ჩამწყდარი ხმით თითქმის ყურში ჩასჩურჩულა:

– ერთი სიტყვა, მხოლოდ თქვენი ერთი სიტყვა, და გადარჩენილი ვიქნები.

თავადი სწრაფად მოტრიალდა და ორივეს შეხედა. განიას სახეზე ნამდვილი სასოწარკვეთილება ეხატა; თითქოს ეს სიტყვები როგორღაც დაუფიქრებლად აღმოხდა. აგლაია რამდენიმე წამს ზუსტად ისეთივე დინჯი გაკვირვებით შეაცქერდა, როგორც წეღან თავადს უყურებდა. ეს დინჯი გაკვირვება, ეს გაოცება, ვითომდა სულ არაფერი მესმის, რას მეუბნებითო, განიასთვის იმ წუთს უდიდეს ზიზღზე უფრო საშინელი იყო...

– რა დავწერო? – იკითხა თავადმა.

– ახლავე გიკარნახებთ, – მოუბრუნდა აგლაია, – მზადა ხართ მაშ დაწერეთ „მე ვაჭრობა არა მსურს“. ახლა რიცხვი და თვე მოაწერეთ. მაჩვენეთ.

თავადმა ალბომი მიაწოდა.

– ჩინებულია! საკვირველად დაგიწერიათ; მშვენიერი ხელი გქონიათ! მადლობელი ვარ, ნახვამდის, თავადო... მოიცათ, – დაუმატა მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, – წამობრძანდით, მინდა რაღაც გაჩუქოთ სამახსოვროდ.

თავადი უკან გაჰყვა; აგლაია სასადილო ოთახში შეჩერდა.

– წაიკითხეთ, – გაუწოდა თავადს განიას ბარათი.

თავადმა ბარათი გამოართვა და გაკვირვებით შეხედა ქალს.

– მე ხომ ვიცი, რომ წაკითხული არ გაქვთ და არც იმ კაცის შუამავალი შეგიძლიათ იყოთ. წაიკითხეთ, მე მინდა, რომ წაიკითხოთ.

ბარათი, ეტყობა, ნაჩქარევად იყო დაწერილი

„დღეს წყდება ჩემი ბედი, თქვენ იცით, რა გზითაც. დღეს უნდა მივცე საბოლოო სიტყვა. ვიცი, არავითარი უფლება არ მაქვს თქვენი თანაგრძნობისა და არც არავითარი იმედი შემიძლია ვიქონიო; მაგრამ ოდესღაც თქვენ ერთი სიტყვა დაგცდათ, ერთადერთი სიტყვა, რომელმაც გამინათა ჩემი ცხოვრების ბნელი ღამე და შუქურად იქცა ჩემთვის. მითხარით ახლაც ერთი ასეთი სიტყვა კიდევ და დაღუპვისაგან მიხსნით! მითხარით მხოლოდ გაწყვიტე ყველაფერი, და დღესვე გავწყვეტ ყველაფერს. ო, თქვენთვის ეს სიტყვა არაფრად არ ღირს! ეს სიტყვა ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ! სხვა არაფერი, არაფერი! გულში ვერავითარ იმედს ვერ ჩავიდებ, ვინაიდან უღირსი ვარ. მაგრამ თქვენი სიტყვის შემდეგ ხელახლა შევურიგდები ჩემს სიღარიბეს. მე სიხარულით შევებმები ბედს, ეს ახალ ძალას მომცემს და მკვდრეთით აღმადგენს! მაშ, მაჩუქეთ სიბრალულის ეგ სიტყვა (გეფიცებით, მხოლოდ და მხოლოდ სიბრალულის!), ნუ განურისხდებით სასოწარკვეთილ, წყალწაღებულ ადამიანს იმისთვის, რომ უკანასკნელ იმედს ებღაუჭება თავის გადასარჩენად.

გ.ი.“

– ეს კაცი ირწმუნება, – მკვახედ წარმოთქვა აგლაიამ, თავადმა კითხვა რომ ჩაათავა, – იმის თქმა „ყველაფერი გაწყვიტეო“ ჩრდილს არ მომაყენებს და არაფერში დამავალდებულებს. ხომ ხედავთ, საამისოდ წერილობით გარანტიასაც მაძლევს ამ ბარათით. ნახეთ, რა მიამიტად

დაშურებია ზოგიერთი სიტყვისათვის ხაზი გაესვა და რა უხეშად იჩენს თავს მისი იდუმალი ზრახვა. თუმცა კი იცის, ჩემი სიტყვის გარეშე, ჩემი იმედის უქონლად თავისით რომ გაეწყვიტა ყველაფერი, მაშინ გული შემეცვლებოდა და იქნებ მეგობრადაც გავხდომოდი. მან ეს დანამდვილებით იცის! მაგრამ ბინძური სული აქვს იცის და ვერ გადაუწყვეტია; იცის და მაინც გარანტიას მთხოვს. სასწორზე არ უნდა ბედი შეაგდოს. უნდა, ასი ათასის ნაცვლად ჩემგან იმედი იქონიოს. ხოლო იმ წინათ თქმულ სიტყვებზე, ბარათში რომ ამბობს, თითქოს სიცოცხლე გამინათაო, უსირცხვილოდ სტყუის. უბრალოდ, ერთხელ შევიცოდე, სხვა არაფერი. მაგრამ ეგ თავხედი და უსინდისოა მაშინვე გაუელვა თავში, იმედი შესაძლებელიაო; ამას მყისვე მივუხვდი. მას აქეთ სულ ჩემ გამოჭერას ლამობს; ახლაც ეს უნდა. მაგრამ კმარა წაიღეთ და ეს ბარათი უკანვე დაუბრუნეთ, როგორც კი ჩვენი სახლიდან გახვალთ.

– პასუხად რა ვუთხრა?

– ცხადია, არაფერი. ეს ყველა პასუხს აჯობებს. მაშასადამე, მის სახლში აპირებთ დადგომას?

– წეღან თვითონ ივან ფიოდოროვიჩმა მირჩია.

– მაშ, უფრთხილდით. იცოდეთ, წერილის დაბრუნებას არ გაპატიებთ.

აგლაიამ ნელა ჩამოართვა ხელი თავადს და გავიდა. სახე შეჭმუხნილი, სერიოზული ჰქონდა. თავადს გამოსამშვიდობებლად თავი რომ დაუქნია, არც კი გაუღიმია.

– ერთი წუთი მომითმინეთ, ბოხჩას წამოვიღებ და წავიდეთ, – უთხრა თავადმა განიას.

განიამ მოუთმენლად დააბაკუნა ფეხები. ბრაზისაგან სახე გაუშავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ქუჩაში გამოვიდნენ. თავადს თავისი ბოხჩა ეკავა ხელში.

– პასუხი! პასუხი სადაა – ეცა განია, – რა გითხრათ წერილი გადაეცით?

თავადმა უხმოდ მიაწოდა მისი წერილი. განია სახტად დარჩა.

– რაო? ჩემი წერილი! – შესძახა მან, – არც გადაუცია! ო, როგორ ვერ მივხვდი! ო, წყე-ეუ-ლო... გასაგებია, რატომაც ვერაფერს მიმიხვდა წეღან! აბა, როგორ, როგორ, როგორ არ გადაეცით, ო, წყე-ეუ-ლო...

– მაპატიეთ, პირიქით, მაშინვე მოვახერხე წერილის გადაცემა, იმ წუთშივე, როგორც კი მომეცით და როგორც მთხოვეთ, ისე. აგლაია ივანოვნამ ახლა უკანვე დამიბრუნა და ამიტომ გაჩნდა ისევ ჩემს ხელში.

– როდის? როდის?

– როცა ალბომში წერას მოვრჩი და მითხრა, ჩემთან წამოდითო (ხომ გაიგონეთ). სასადილოში შევედით თუ არა, წერილი მომცა, მიბრძანა, წაიკითხეთო და მერე უკან გადაეციო.

– წაი-კით-ხე-ო! – ლამის მთელი ხმით შეჰღრიალა განიამ, – წაიკითხეო! მერე წაიკითხეთ?

განია შუა ტროტუარზე გაქვავდა; იმდენად განცვიფრებული იყო, პირიც კი დააღო.

– დიახ, ეს-ესაა წავიკითხე.

– თვითონ, თვითონ მოგცათ წასაკითხად? თვითონ?

– თვითონ, თუ მისი ნებართვა არა, მერწმუნეთ, არც წავიკითხავდი.

განია წუთით დადუმებული იდგა, რაღაცას გამწარებული ფიქრობდა, ბოლოს შეჰყვირა:

– ყოვლად შეუძლებელია! წაკითხვას არ გიბრძანებდათ. სტყუიხართ! თქვენით წაიკითხეთ!

– მართალს გეუბნებით, – მიუგო თავადმა წინანდელი აუმღვრეველი კილოთი, – ღმერთმანი ძალიან მწყინს, რომ ეს ამბავი ასე მოგხვდათ გულზე.

– ყოველ შემთხვევაში, რაღაც მაინც ხომ გითხრათ ამ დროს, თქვე უბედურო რაღაც ხომ გიპასუხათ?

– რა თქმა უნდა.

– მაშ თქვით, თქვით, ეშმაკმა დალახვროს!.. – და განიამ ორჯერ დაარტყა კალოშიანი მარჯვენა ფეხი ტროტუარზე.

– როგორც კი წავიკითხე, მითხრა, რომ გამოსაჭერად დასდევთ; რომ გინდათ ჩრდილი მიაყენოთ, რა არის იმედი მოგცეთ, და მერე, ამ იმედზე დაყრდნობით, სხვა ასი ათასის იმედი გაწყვიტოთ და არ დაზარალდეთ. თუ რომ შეუვაჭრებლად ჩაგედინათ ეს, თუ რომ თქვენით გაგეწყვიტათ ყველაფერი და მისთვის გარანტია წინასწარ არ მოგეთხოვათ, შესაძლოა, მაშინ მეგობრად გაგხდომოდათ. მგონი ეს იყო სულ. ჰო, კიდევ აი რა როცა ბარათი გამოვართვი და ვკითხე, რა პასუხი იქნება-მეთქი მან მითხრა, თუ ზუსტად მისი სიტყვებით ვერ გადმოგეცით, რაც დამახსომდა, იმას გეუბნებით.

უზომოდ გაავდა განია. მისმა გააფთრებამ ყოველგვარ საზღვრებს გადმოხეთქა.

– აა! მაშ ასე! – კბილებს აღრჭიალებდა ის, – მაშ ჩემს წერილებს ფანჯარაში ისვრიან! აა! მას ვაჭრობა არა სურს, მაშ, მე მსურს! ვნახოთ, აბა! დამაცადეთ... ვნახოთ!.. ნალივით მოვკაკვავ!..

განია იმანჭებოდა, დორბლებს ჰყრიდა; მუშტებით იმუქრებოდა. ასე გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. თავადს სულაც არ მორიდებია, თითქოს მარტო ყოფილიყო თავის ოთახში, რადგან არც არაფრად თვლიდა. მაგრამ უეცრივ რაღაც მოაფიქრდა, გონს მოეგო და თავადს მოუტრიალდა:

– ნეტავ რა გზით მოახერხეთ, რა გზით (ასეთმა იდიოტმა! - დააყოლა გუნებაში), ერთბაშად ამდენი ნდობის მოხვეჭა, პირველი გაცნობიდან ორი საათის შემდეგ რა საშუალებით?

მის გამწარებას ისღა აკლდა, შური დამატებოდა. შურმა უეცრივ შიგ გულში უკბინა.

– ამას უკვე ვეღარ აგიხსნით, – მიუგო თავადმა.

განიამ ბოროტად შეხედა.

– თავისი ნდობის საბოძებლად ხომ არ გაგიწვიათ სასადილოში? აკი რაღაცის ჩუქებას დაგპირდათ?

– სხვაგვარად არც გამიგია, თუ არა ასე.

– ჰოდა, რისთვის მერე, ეშმაკმა დალახვროს! რა ჰქენით იქ ისეთი, რით მოაწონეთ თავი გამიგონეთ, – ბრაზობდა ის. (იმ წუთს ყველაფერი არეოდა, ბოღმა ახრჩობდა და გონი ვერ მოეკრიბა) – გამიგონეთ, ნუთუ არ შეგიძლიათ როგორმე მოიგონოთ და მოისაზროთ დალაგებით, კერძოდ, რაზე ილაპარაკეთ იქ, რა თქვით, თავიდან მოყოლებული ხომ არ შეამჩნიეთ რამე, იქნებ მოიგონოთ ახლა?

– ო, კარგადაც შემიძლია. სულ თავიდან, როცა შევედი და გავეცანი, შვეიცარიაზე ვილაპარაკეთ.

– ჯანდაბას შვეიცარია!

– მერე სიკვდილით დასჯაზე...

-–სიკვდილით დასჯაზე?

– დიახ; ერთი მიზეზის გამო... მერე ვუამბე, როგორ გავატარე იქ სამი წელი, ერთი საწყალი სოფლელი ქალის ამბავიც მოვყევი...

– ჯანდაბას საწყალი სოფლელი ქალი! მერე! – გული აღარ უთმენდა განიას.

– მერე ვუამბე, შნეიდერმა თავისი შეხედულება რომ მითხრა ჩემს ხასიათზე და მაიძულა...

– ჯანდაბამდე გზა ჰქონია შნეიდერს და მიმიფურთხებია მის შეხედულებაზე! შემდეგ!

– შემდეგ ერთი მიზეზის გამო სახეებზე, ანუ სახეების გამომეტყველებაზე ვილაპარაკე და ვთქვი, რომ აგლაია ივანოვნა თითქმის ნასტასია ფილიპოვნასავით ლამაზია-მეთქი. აი, სწორედ მაშინ წამომცდა სურათის ამბავი...

– მაგრამ ხომ არ ჩაუყაჭეთ, რაც წეღან კაბინეტში გაიგონეთ არა? არა, ხომ?

– კიდევ გიმეორებთ, არა-მეთქი.

– მაშ საიდან, ეშმაკმა წაიღოს... ვაჰ! ნუთუ აგლაიამ დედაბერს აჩვენა წერილი?

– ამის გარანტიას მოგცემთ, რომ არა. მე სულ იქ ვიყავი, თან დროც არ ჰქონდა საამისო.

– იქნებ თქვენ ვერ შენიშნეთ... ო! წყეული იდიოტი, – შესძახა უკვე სრულიად გონსგადასულმა, – მოყოლაც რომ არ შეუძლია ხეირიანად!

რაკი ერთი-ორჯერ უკვე შემოელანძღა და თავადმა არ იწყინა, განიამაც ნელ-ნელა სულ აიწყვიტა, როგორც ეს სჩვევია ხოლმე ზოგი ჯურის ხალხს. იმდენად იყო გახელებული, კიდევ ცოტა და ეგებ ფურთხებაც დაეწყო. მაგრამ სწორედ ამ გახელებამ დააბრმავა იგი, თორემ დიდი ხანია შეამჩნევდა, მისგან ასე აბუჩად აგდებული „იდიოტი“ რაღაც მეტისმეტად სწრაფად და მახვილად აზროვნებდა ხანდახან და მეტისმეტად დამაკმაყოფილებლადაც გადმოსცემდა ამბებს. ჰოდა, უეცრად სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა.

– უნდა გითხრათ, გავრილა არდალიონოვიჩ, – გამოუცხადა ერთბაშად თავადმა, – წინათ კი ვიყავი ავად და ჩემმა სენმა თითქმის გამომაიდიოტა, მაგრამ ახლა დიდი ხანია გამოვჯანსაღდი, ამიტომაც ცოტა არ იყოს, მეხამუშება, იდიოტს რომ პირში მომახლიან. ესეც კია, უსიამოვნება შეგემთხვათ და შეიძლება კაცმა გაპატიოთ, მაგრამ გაბრაზებულ გულზე უკვე ორჯერ შემოგელანძღეთ. მე ეს დიახაც არ მეამება, მით უმეტეს თქვენებრ ახლად გაცნობილისგან. ჰოდა, რაკი ახლა გზაჯვარედინზე ვდგავართ, განა არა სჯობს, დავცილდეთ ერთმანეთს თქვენ მარჯვნივ წადით, თქვენი სახლისკენ, მე კი აქეთ წავალ, მარცხნივ. ოცდახუთი მანეთი მაქვს, ასე რომ, სადმე მოვძებნი ოტელ-გარნის[25].

განია საოცრად შეცბა და სირცხვილით გაწითლდა კიდეც.

– მაპატიეთ, თავადო, – გულმხურვალედ შესძახა და ლანძღვის კილო მყის დაუტია, – ღვთის გულისთვის, მაპატიეთ! ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ! თქვენ ჯერ თითქმის არაფერი იცით, მაგრამ ყველაფერი რომ იცოდეთ, უთუოდ მაპატიებდით; თუმცა, ცხადია, ჩემი საქციელი მიუტევებელია...

– ო, ეგეთ ბოდიშებს ნუ მიხდით, – დაეშურა პასუხს თავადი, – მესმის, რომ დიდი უსიამოვნება შეგხვდათ და იმიტომაც ილანძღებით. ბატონი ბრძანდებით, წავიდეთ თქვენსა...

„არა, ახლა მაგის ასე გაშვება შეუძლებელია, – ფიქრობდა გულში განია და შიგადაშიგ თავადს ავი თვალით გადახედავდა ხოლმე, – ამ გაიძვერამ ყველაფერი დამტყუა, მერე კი ერთბაშად მოიხსნა ნიღაბი... აქ რაღაც იმალება. ვნახოთ, ვნახოთ ერთი! ყველაფერი გამოაშკარავდება, ყველაფერი! დღესვე!“

ისინი უკვე სახლთან იყვნენ.

VIII

განეჩკას ბინა მესამე სართულზე იყო, კიბეც განიერი, ნათელი და სუფთა აუდიოდა. შიგ ექვსი თუ შვიდი ჩვეულებრივი, დიდი და პატარა ოთახი იქნებოდა, რაც ოჯახის პატრონ-მოხელის ჯიბისთვის, თუნდაც ჯამაგირი ორი ათასი მანეთი ჰქონოდა, მაინც შეუფერებელი იყო. მაგრამ ეს ბინა განიამ და მისმა ოჯახმა რაღაც ორი თვის წინათ დაიჭირეს, იმ განზრახვით, რომ მდგმურები აეყვანათ და სმა-ჭამა და მომსახურეობაც მათი ყოფილიყო. განია დიდი წინააღმდეგი იყო ამ ამბის, ყოველივე ნინა ალექსანდროვნას და ვარვარა არდალიონოვნას დაჟინებული თხოვნით მოხდა, რომელთაც გადაეწყვიტათ თავის მხრივ ოჯახს რამეში

გამოდგომოდნენ და შემოსავალი ცოტა მაინც გაეზარდათ. განია იღუშებოდა და მდგმურების აყვანას უგვანობად ნათლავდა; საზოგადოებაში, ცოტა არ იყოს, თავის გამოჩენა უყვარდა, ვითარცა კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდას, ამ ამბის შემდეგ კი თვალი ველარაფრისთვის გაესწორებინა. ბედის ამდენი დათმობანი და ასეთი მათხოვრული ცხოვრება გულს უკლავდა. ეს რამდენიმე ხანია ყოველი წვრილმანი უზომოდ აგულისებდა. ხოლო თუ კიდევ მაინც დათმობაზე მიდიოდა და ეგუებოდა, მარტო იმიტომ, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოველივე შეეცვალა და გარდაექმნა სულ მოკლე ხანში. მაგრამ სწორედ ეს ცვლილებანი, ის გამოსავალი, რომელიც მას ამოერჩია, ისეთ დიდ ამოცანას წარმოადგენდა, რომლის გადაწყვეტას წინანდელ უბედურებებზე მეტი თავის მტვრევა სჭირდებოდა და უფრო მტანჯველი იქნებოდა. ბინას დერეფანი ჰყოფდა, რომელიც შესასვლელიდანვე იწყებოდა. დერეფნის ერთ მხარეს ის სამი ოთახი იყო ჩამწკრივებული, რომელიც გასაქირავებლად, „განსაკუთრებული რეკომენდაციის მქონე“ მდგმურებისთვის იყო განკუთვნილი; გარდა ამისა, დერეფნის ამავე მხარეზე, სულ ბოლოში, სამზარეულოსთან, კიდევ მეოთხე, ყველაზე ვიწრო და პატარა ოთახი მდებარეობდა, რომელიც თვით გადამდგარ გენერალ ივოლგინს, ოჯახის მამას ეჭირა. იქ იძინებდა იგი ერთ განიერ დივანზე და შესვლა-გამოსვლაც ბინიდან სამზარეულოს უკანა კიბით შეეძლო მხოლოდ. იმავე ოთახში გავრილა არდალიონოვიჩის ცამეტი წლის ძმა, გიმნაზიელი კოლიაც ცხოვრობდა, რომელსაც აქ უნდა ემეცადინა, მეორე, ვიწრო, მოკლე და ფრიად ძველ ტახტზე დაეძინა, დაფხრეწილ ზეწარზე და, რაც მთავარია, მამის მომვლელი და მეთვალყურე ყოფილიყო, რამეთუ გენერალი, რაც ხანი გადიოდა, მეტად და მეტად საჭიროებდა ამას. თავადს ამ სამიდან შუა ოთახში მიუჩინეს ბინა. მარჯვნივ, პირველი ოთახი ფერდიშჩენკოს ეკავა, მარცხნივ კი, მესამეში, არავინ იდგა. განიამ, პირველ ყოვლისა, თავადი თავიანთ სამყოფელში გაიყვანა, რომელიც დარბაზს წარმოადგენდა და საჭიროების შემთხვევაში სასადილოდ იქცეოდა. შემდეგ სასტუმრო ოთახი მოსდევდა, თუმცა სასტუმროდ მხოლოდ დილაობით ირიცხებოდა, საღამოს განიას კაბინეტსა და საძინებელს წარმოადგენდა, სულ ბოლოს კი, მესამე, ვიწრო, მუდამ კარგამოკეტილ ოთახში ნინა ალექსანდროვნასა და ვარვარა არდალიონოვნას საწოლი იყო. ერთი სიტყვით, ამ ბინაში თავისუფლად ვერავინ გაშლილიყო და ლამის ერთმანეთს ასხდნენ თავზე. განია კბილების კრაჭუნით ითმენდა ყოველივეს. მართალია, დედას პატივისცემით ექცეოდა, მაგრამ პირველად შესული სტუმარიც კი შეამჩნევდა, რა მტარვალიც ბრძანდებოდა ოჯახში.

ნინა ალექსანდროვნა სასტუმროში მარტო არ იჯდა, მასთან ვარვარა არდალიონოვნაც იყო; რაღაცას ქსოვდნენ და თან სტუმარს, ივან პეტროვიჩ პტიცინს ებაასებოდნენ. ნინა ალექსანდროვნა ორმოცდაათი წლის ქალი იქნებოდა, გამხდარი, ჩამომჭკნარი სახითა და ძალზე ამოღამებული თვალებით. ავადმყოფური და სევდიანი იერი დაჰკრავდა, მაგრამ სახე და გამოხედვა საკმაოდ სანდომიანი ჰქონდა. პირველ სიტყვაზეც შეამჩნევდა კაცი მის დარბაისლურ და ჭეშმარიტი ღირსებით სავსე ბუნებას. ნაღვლიანი სახის მიუხედავად, მტკიცე და გამბედავი ხასიათი ეტყობოდა. ეცვა სადად, რაღაც თალხი, თითქმის ბებრული კაბა, მაგრამ თავდაჭერაზე, ლაპარაკსა და მოქცევაში ემჩნეოდა, რომ რიგიანი საზოგადოებაც ენახა წინათ. ვარვარა არდალიონოვნა ოცდასამი წლის ყმაწვილი ქალი იყო, საშუალი ტანის, საკმაოდ გამხდარი; ლამაზიაო, ვერ იტყოდით, მაგრამ იმდენი ეშხი ჰქონდა, უამისოდაც მოაწონებდა კაცს თავს და მიიზიდავდა. დედას ძალიან ჩამოჰგავდა, თანაც თითქმის მასავით იყო ჩაცმული, ვინაიდან მორთვა-მოკაზმვას არ დაგიდევდათ; მისი ნაცრისფერი თვალები ხანდახან მხიარულად, ალერსით იცქირებოდა, მაგრამ მეტწილად უფრო დინჯი, ჩაფიქრებული მეტყველება სჩვეოდათ, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანში. სიმტკიცე და გამბედაობა მასაც ეტყობოდა სახეზე, თუმცა ისიც

იგრძნობოდა, რომ დედაზე მეტად ენერგიულად და თავიანად შეეძლო ამ სიმტკიცის გამოჩენა. ვარვარა არდალიონოვნა საკმაოდ გულფიცხი გახლდათ და მის ძამიას ცოტა არ იყოს ზოგჯერ ეშინოდა კიდეც ამ სიფიცხის. ამასვე უფრთხოდა ახლა მათთან მყოფი სტუმარიც, ივან პეტროვიჩ პტიცინი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაათიოდე წლის კაცი, სადად, მაგრამ კოხტად ჩაცმული, რომელსაც სასიამოვნოდ, ოღონდაც მეტისმეტად დარბაისლურად ეჭირა თავი. მუქი ქერა წვერი აშკარას ხდიდა, სამსახურის კაცი არ უნდა ყოფილიყო. ლაპარაკიც ჭკვიანური და საინტერესო ჰქონდა, ოღონდ უფრო მეტად დუმილს არჩევდა. საერთოდ კი სასიამოვნო შთაბეჭდილებასაც ახდენდა. როგორც ჩანს, ვარვარა არდალიონოვნა მოსწონდა და თავის გრძნობებს არც მალავდა. ვარვარა არდალიონოვნაც მეგობრულად ექცეოდა, მაგრამ ზოგიერთი მისი კითხვა არ სიამოვნებდა, პასუხზე თავს იკავებდა; თუმცა პტიცინი იმედს მაინც არ ჰკარგავდა. ნინა ალექსანდროვნა ტკბილად ხვდებოდა, ხოლო უკანასკნელ ხანს ბევრ თავის გულისნადებსაც უზიარებდა. ცნობილი იყო, რომ იგი სპეციალურად აწარმოებდა ფულის ვახშით გაცემას მეტნაკლებად სანდო გირაოზე. ამავე დროს, განიას დიდი მეგობარიც იყო.

განიას დაწვრილებით, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქმულ რეკომენდაციაზე (ის ფრიად ცივად მიესალმა დედას, დას სულაც არ მისალმებია, პტიცინი კი მაშინვე სადღაც გაიყვანა ოთახიდან) ნინა ალექსანდროვნამ რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა თავადს და კარებში თავშემოყოფილ კოლიას დაავალა, შუა ოთახში წაეყვანა თავადი. კოლია მხიარული, საკმაოდ საამური გარეგნობის ბიჭი იყო, მიმნდობი და გულუბრყვილო საქციელის.

– ბარგი სადა გაქვთ? – ჰკითხა მან, თავადი რომ ოთახში შეიყვანა.

– ფუთა მაქვს ერთი, დერეფანში დავტოვე.

– ახლავე მოგიტანთ. მსახურებიდან მარტო მზარეული და მატრიონა გვყავს, ამიტომ მეც ვეხმარები. ვარიას ყველაფერზე თვალი უჭირავს და ყველას გვიბრაზდება. განიამ თქვა, რომ დღეს შვეიცარიიდან ჩამოსულხართ, არა?

– დიახ.

– კარგია შვეიცარია?

– ძალიან.

– მთებია?

– ჰო.

– ახლავე მოგითრევთ ფუთებს.

ვარვარა არდალიონოვნა შემოვიდა.

– მატრიონა ახლავე გაგიწყობთ ლოგინს. ჩემოდანი გაქვთ?

– არა, ფუთა. თქვენი ძმა წავიდა მოსატანად. დერეფანში დავტოვე.

– ფუთა იქ ვერ ვნახე, მარტო ეს პატარა ბოხჩა; სად დადეთ? – ისევ შემოაკითხა კოლიამ.

– მაგის მეტი სხვა არცა მქონია, – უთხრა თავადმა და ბოხჩა ჩამოართვა.

– ა-ა! მე კი მეგონა, ფერდიშჩენკომ აწაპნა-მეთქი.

– სისულელეებს ნუ ყბედობ, – დაუტატანა ვარიამ, რომელიც თავადსაც ცივად ელაპარაკებოდა, თუმცა ზრდილობის საზღვრებში კი.

– Chere Babette[26], მე ხომ პტიცინი არა ვარ, შეგიძლია უფრო ნაზად მელაპარაკო.

– ჯერ კიდევ კაი სულელი ხარ, კოლია, და არც ჯოხი გაწყენს. თუ რამე დაგჭირდეთ, შეგიძლიათ მატრიონას მიმართოთ. ხუთის ნახევარზე ვსადილობთ. ისურვებთ, ჩვენთან ერთად ისადილეთ, არადა ოთახში მოგართმევენ, როგორც ინებებთ. წამო, კოლია, ხელი არ შეუშალო.

– წამო, სალო კლდევ!

გასვლისას განიას შეეჩეხნენ კარებში.

– მამა შინაა? – ჰკითხა განიამ კოლიას. როცა კოლიამ დაუდასტურა, რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ბიჭმა თავი დაუქნია და ვარვარა არდალიონოვნას გაჰყვა უკან.

– ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ, თავადო, ამ... ამ ამბებმა სულ დამავიწყა. პატარა თხოვნა მაქვს მოიღეთ სიკეთე, – თუკი ძალიან არ გაგიჭირდებათ, – ნურც აქ დაფქვავთ, რაც ახლა აგლაიასთან მოხდა, ნურც იქ, რასაც აქ დაინახავთ; ვინაიდან აქაც საკმაოდ ბევრი სამაგლობა დაგხვდებათ. თუმცა, ჯანდაბას... ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც შეიკავეთ თავი.

– გარწმუნებთ, იმდენი არაფერი მითქვამს, როგორც გგონიათ, – ცოტა არ იყოს გააბრაზა თავადი განიას საყვედურებმა. მათი დამოკიდებულება, ეტყობა, თანდათან მწვავდებოდა.

– დიახ, თქვენი წყალობით საკმაოდ გადავიტანე დღეს. ერთი სიტყვით, გთხოვთ.

– ისიც იგულისხმეთ, გავრილა არდალიონოვიჩ, წეღან რა ვიცოდი, რომ სურათი არ უნდა მეხსენებინა? თქვენ არაფერი გითხოვიათ.

– ფუჰ, რა საძაგელი ოთახია, – თქვა განიამ და ზიზღით მიმოიხედა, – ბნელა, თან ფანჯრებიც ეზოში გადის. სწორედ უდროო დროს მოხვედით ჩვენთან ყოველ მხრივ... თუმცა ეს მე არ მეხება, ოთახებს მე არ ვაქირავებ.

ამ დროს პტიცინმა შემოიხედა და განია გაიხმო. განიამ სასწრაფოდ მიანება თავი თავადს და გავიდა. ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა და თითქოს ვერ გაებედა დაწყება; ოთახიც თითქოს საქციელწამხდარს შემოელანძღა.

თავადმა ძლივს მოასწრო პირის დაბანა და ცოტაოდენ გამოკოხტავება, რომ კარი ისევ გაიღო და ახალმა პიროვნებამ შემოიჭყიტა. ეს იყო ოცდაათიოდე წლის ვაჟბატონი, საკმაოდ მაღალი, მხარბეჭიანი, გოგრა თავი და ხუჭუჭა, წითური თმა ჰქონდა. ხორციან, ღაჟღაჟა სახეზე სქელი ტუჩები, ჩაჭყლეტილი ცხვირი და პატარა, სიმსუქნისაგან ჩამძვრალი, დამცინავი თვალები მოუჩანდა, რომლებიც თითქოს წარამარა გიპაჭუნებდნენ. ერთი შეხედვით საკმაოდ თავხედური იერი ჰქონდა და საკმაოდ ბინძურად იყო ჩაცმული. ჯერ კარი შემოაღო და თავი შემოჰყო, ხუთი წამი მაინც ათვალიერა ოთახი, მერე კარი ნელ-ნელა გამოაღო და მთელი ტანით გადმოდგა ზღურბლზე, თუმცა შემოსვლით არც ახლა შემოსულა და იქიდან სინჯავდა თვალმოჭუტული თავადს. ბოლოს კარი მოიხურა, თავადს მიუახლოვდა, სკამზე დაჯდა, თავადს ღონივრად ჩაავლო ხელი და წინ დაისვა დივანზე.

– ფერდიშჩენკო გახლავართ, – წარმოთქვა შემდეგ და თავადს დაჟინებით ჩააცქერდა სახეში.

– მერე და რა – უპასუხა თავადმა და კინაღამ გაეცინა.

– მდგმური ვარ, – დაუმატა ფერდიშჩენკომ და წინანდელივით შეაჩერდა.

– გაცნობა გნებავთ?

– ეეჰ! – აღმოხდა სტუმარს, თმა აიჩეჩა, ამოიხრა და მოპირდაპირე კუთხეს მიაშტერდა.

– ფული გაქვთ? – ჰკითხა უეცრივ თავადს.

– ცოტაოდენი.

– მაინც რამდენი?

– ოცდახუთი მანეთი.

– აბა, მაჩვენეთ.

თავადმა ამოიღო ოცდახუთმანეთიანი ჟილეტის ჯიბიდან და ფერდიშჩენკოს გაუწოდა. იმან გაშალა, დახედა, მეორე მხარეს გადააბრუნა, მერე სინათლეზე გახედა.

– დიდი უცნაური ამბავია, – ჩაილაპარაკა თითქოს დიდი ფიქრის შემდეგ – რატომ ედებათ მუქი ფერი ეს ოცდახუთმანეთიანები ზოგჯერ საოცრად მუქდება, სხვები კი, პირიქით, ხუნდება. ინებეთ.

თავადმა უკანვე ჩაიდო ფული. ფერდიშჩენკო სკამიდან წამოდგა.

– მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ ჯერ ერთი, ნურასოდეს მასესხებთ ფულს, რამეთუ უთუოდ გთხოვთ.

– ბატონი ბრძანდებით.

– ქირის გადახდას აპირებთ?

– ვაპირებ.

– მე კი არა; მადლობას მოგახსენებთ. თქვენგან მარჯვნივ, პირველი კარი რომაა, მე იქ ვდგავარ, შენიშნეთ ჩემთან მობრძანებით მაინცდამაინც ნუ შეიწუხებთ თავს, მე კი გეახლებით, დარდი ნუ გაქვთ. გენერალი ნახეთ?

– არა.

– არც გაგიგონიათ?

– რა თქმა უნდა, არა.

– მაშ, ნახავთ და გაიგონებთ; ისიც იცოდეთ, რომ ფულს მეც მთხოვს ხოლმე! Avis au lecteur[27] მშვიდობით. როგორ გგონიათ, ფერდიშჩენკოს გვარის პატრონს ამ ქვეყნად ებოგინება?

– რატომაც არა?

– კარგად მენახეთ, – და სტუმარი კარისკენ გაემართა.

ამ ვაჟბატონს რომ თითქოს მიზნად დაესახა ყველა გაეოცებინა ორიგინალობით და მხიარულებით, თუმცა კი თავის დღეში არაფერი გამოსდიოდა, ეს ამბავი შემდეგ შეიტყო თავადმა. ზოგიერთებზე მისი საქციელი უსიამო შთაბეჭდილებასაც ახდენდა, რაც მას გულწრფელად აღონებდა, მაგრამ ამ თავის გადაწყვეტილებას არ ეშვებოდა. გასვლისას კარებში ერთ ვაჟბატონს შეეჩეხა და თითქო ამან უშველა, მთლად იხტიბარი არ გაეტეხა; ეს ახალი, თავადისთვის უცნობი სტუმარი რომ გამოატარა, რამდენჯერმე გაფრთხილების ნიშნად სტუმრის უკნიდან თვალი ჩაუკრა თავადს და ამგვარად მაინც რიხიანი წასვლა გამოუვიდა.

ეს უცხო ვაჟბატონი მაღალი ტანის, ორმოცდათხუთმეტი თუ უფრო მეტი ხნის კაცი გახლდათ, საკმაოდ ჩასქელებული, ჭარხალივით წითელი. ხორციან, გაფიჟვინებულ სახეს სქელი, ჭაღარა ქილვაშები, ულვაშები და დიდრონი გადმოკარკლული თვალები უმშვენებდა. დიახაც, წარმოსადეგი შესახედაობა ექნებოდა, რაღაც მოშვებული, დაჩაჩანაკებული, ასე გასინჯეთ, ჩაბინძურებული რომ არ ყოფილიყო. ეცვა შინაურულად, თითქმის იდაყვებგამოყრილი დაძველებული სერთუკი, საცვლებიც გაზინთული მოუჩანდა. ახლოდან, ცოტა არ იყოს, არყის სუნი ასდიოდა, მაგრამ თავდაჭერა კი ეფექტური ჰქონდა რამდენადმე დასწავლილი და ისიც ეტყობოდა, რომ თავს იდებდა, რათა თავისი ღირსებით გაეკვირვებინა ხალხი. ეს ვაჟბატონი დინჯად, ტკბილი ღიმილით მიუახლოვდა თავადს, უხმოდ დაუჭირა ხელი და ერთ ხანს ისე ჩააშტერდა, თითქოს ნაცნობ სახეს იგონებსო.

– ისაა! ის!–- წაილაპარაკა დიდის რიხით, – პირწავარდნილი მამაა! ყური მოვკარი ამ ნაცნობ და ძვირფას გვარს და უკვალოდ გამქრალი წარსული მომაგონდა... თავადი მიშკინი ბრძანდებით?

– დიახ.

– გენერალი ივოლგინი გახლავართ, ერთი გადამდგარი, გაუბედურებული კაცი. მაპატიეთ, თქვენი სახელი და მამის სახელი?

– ლევ ნიკოლაევიჩი.

– ეგრეა, ეგრე! ჩემი მეგობრის, შეიძლება ვთქვა, ჩემი სიყრმის ამხანაგის ნიკოლაი პეტროვიჩის ვაჟი, არა?

– მამაჩემს ნიკოლაი ლვოვიჩს ეძახდნენ.

– დიახ, ლვოვიჩი, – გამოასწორა სიტყვა გენერალმა, ოღონდ ისე დინჯად და ისეთი ღრმა დარწმუნებით, თითქოს კი არ დაავიწყდა, შემთხვევით შეეშალაო. გენერალი დაჯდა და თავადიც გვერდით მოისვა. – მე თქვენ ამ მკლავებით მიტარებიხართ.

– მართლა? მამაჩემი უკვე ოცი წელია გარდაიცვალა.

– დიახ, ოცი წელია; ოცი წელი და სამი თვე. ერთად ვსწავლობდით, მე პირდაპირ სამხედროში.

– მამაჩემიც სამხედროში იყო, ვასილკოვსკის პოლკში, პოდპორუჩიკად.

– ბელომირსკისაში, ბატონო ჩემო, სწორედ სიკვდილის წინ გადაიყვანეს ბელომირსკის პოლკში. ჩემს ხელში დალია სული, დედათქვენი...

გენერალი შეჩერდა, თითქოს ნაღვლიანი რამ მოგონებანი აღეძრაო.

– ისიც ნახევარი წლის მერე გარდაიცვალა, გაცივებულა.

– არა. დამიჯერეთ მოხუცს, მიზეზი გაცივება არ იყო. ისიც ჩემს ხელში გარდაიცვალა. ისიც მე დავმარხე. ქმრის ჯავრს გადაჰყვა, და არა გაცივებას. დიახ, კნეინაც მახსოვს! სიყმაწვილეს რა ვუთხრა! მისი გულისთვის მე და თავადს, სიყრმის მეგობრებს, ლამის ერთმანეთი შემოგვაკვდა.

თავადი, ცოტა არ იყოს, უკვე დაეჭვებული უსმენდა.

– მე გაგიჟებით მიყვარდა დედათქვენი, მაშინ ის ჩემი მეგობრის საცოლედ ითვლებოდა. თავადმა შემამჩნია და ფრაპირებული[28] დარჩა. ერთ დღეს დილის შვიდ საათზე დამადგა თავს და გამაღვიძა. განცვიფრებულმა დავიწყე ჩაცმა; არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ყველაფერს მივხვდი. ჯიბიდან ორი დამბაჩა ამოიღო, დუელი უნდა შემდგარიყო. მოწმეების გარეშე. ან რა მოწმეები გვჭირდებოდა, როცა ხუთი წუთის შემდეგ ერთმანეთს საიქიოს ვისტუმრებდით? ჩავაწყვეთ ტყვიები, გავიშალეთ წინ ცხვირსახოცი, აქეთ-იქით დავდექით, გულზე მივადეთ ერთმანეთს დამბაჩები და თვალი თვალში გავუყარეთ. უცბად ცრემლები წაგვსკდა ორთავეს, ხელები აგვიკანკალდა. დიახ, ორთავეს ერთად! ჰოდა, ბუნებრივია, გადავეხვიეთ ერთმანეთს, სულგრძელობაში გავეჯიბრეთ. თავადი მიყვირის შენია! მე ვუყვირი არა, შენია! ერთი სიტყვით... ერთი სიტყვით... ჩვენთან იცხოვრებთ?

– დიახ, რამდენიმე ხანს, – წარმოთქვა თავადმა ენის ბორძიკით.

– თავადო, დედა გთხოვთ, მობრძანდით, – თავი შემოჰყო კოლიამ. თავადმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ გენერალმა მარჯვენა ხელისგული დაადო მხარზე და მეგობრულად დასწია ისევ დივნისკენ.

– ვითარცა მამათქვენის ჭეშმარიტ მეგობარს, გაფრთხილება მინდა თქვენი. ხომ ხედავთ, რარიგ გამანადგურა ტრაგიკულმა კატასტროფამ! ღვთის წყალობით, სასამართლო ამცდა, დიახ, ამცდა! ნინა ალექსანდროვნა იშვიათი ქალია. ვარვარა არდალიონოვნაც, ჩემი ასული, იშვიათი შვილია, გარემოებამ გვაიძულა ბინის გაქირავება – წარმოუდგენელი სირცხვილი და თავსლაფი იმ კაცისთვის, ვისაც გენერალ-გუბერნატორობა ელოდა!.. მაგრამ თქვენი მუდამ მოხარული ვიქნებით. თუმცა, შინ კი ტრაგედია მაქვს!

თავადი გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შესჩერებოდა.

– ეტყობა, ქორწინება, საკვირველი ქორწინება. ორჭოფული მდგომარეობის მქონე ქალისა და ყმაწვილი კაცის ქორწინება, რომელსაც კამერ-იუნკრობა ელოდა. დიახ. ამ ქალს შემოიყვანენ ჩემს სახლში, სადაც ჩემი ასული და ჩემი მეუღლე ცხოვრობს! მაგრამ ვიდრე მე პირში სული მიდგას, ის აქ ვერ შემოვა! ზღურბლზე დავწვები და ცოცხალი თავით არ შემოვუშვებ!.. განიას

ახლა თითქმის აღარ ველაპარაკები, პირსაც ვარიდებ. განზრახ გაფრთხილებთ; თუკი ჩვენთან იცხოვრებთ, სულ ერთია, მაინც მოწმე იქნებით ყველაფრის. მაგრამ ჩემი მეგობრის ვაჟი ხართ და უფლება მაქვს, იმედი ვიქონიო...

– თავადო, თუ შეიძლება, სასტუმროში მობრძანდით, – დაიძახა ნინა ალექსანდროვნამ და ახლა უკვე თვითონ მოადგა კარს.

– წარმოიდგინე, ჩემო მეგობარო, – შესძახა გენერალმა, – თავადი თურმე ამ მკლავებით მიტარებია!

ნინა ალექსანდროვნამ საყვედურით შეხედა გენერალს, მერე მცდელი თვალი შეავლო თავადს, მაგრამ კრინტი არ დაძრა. თავადი უკან გაჰყვა. მაგრამ ის იყო სასტუმროში დასხდნენ, ის იყო ნინა ალექსანდროვნამ აჩქარებით და ხმადაბლა რაღაცის მოყოლა დაუწყო თავადს, რომ გენერალი თვითონ გამობრძანდა სასტუმროში. ნინა ალექსანდროვნამ მაშინვე ჩაიკმინდა ხმა და აშკარად განაწყენებულმა დახარა თავი თავის საქსოვზე. გენერალმა იქნებ კიდეც შეამჩნია ეს განაწყენება, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

– დიახ, მეგობრის ვაჟი! – შესძახა მან და ნინა ალექსანდროვნას მიუბრუნდა, – მერე რა მოულოდნელად გამოგვეცხადა. არ მეგონა, თუ მაგის ნახვას მოვესწრებოდი კიდევ. ჩემო მეგობარო, ნუთუ არ გახსოვს განსვენებული ნიკოლაი ლვოვიჩი შენ ხომ ჩამოუსწარი მას... ტვერში...

– არა, არ მახსოვს... მამა იყო თქვენი? – ჰკითხა ქალმა თავადს.

– მამა, ოღონდ ტვერში კი არა, მგონი, ელიზავეტგრადში გარდაიცვალა, - მორიდებით შენიშნა თავადმა გენერალს, – პავლიშჩევისგან გამიგონია...

– დიახ, ტვერში, – ბეჭედი დაუსვა გენერალმა, – სიკვდილის წინ გადმოიყვანეს ტვერში, მაშინ კიდევ კარგად იყო. იმ დროს ძალზე პატარა იყავით და არც გადაყვანა, არც გზა გემახსოვრებათ; პავლოშჩევი ჩინებული კაცი იყო, მაგრამ ამაში კი შეცდა.

– პავლოშჩევსაც სცნობდით?

– იშვიათი კაცი გახლდათ, მაგრამ უშუალო მოწმე მე ვიყავი, მე დავუხუჭე თვალები სიკვდილის სარეცელზე...

– მამაჩემი სამართალში იყო მიცემული, – შენიშნა ხელახლა თავადმა, – ოღონდაც ვერა და ვერ შევიტყვე, რისი გულისთვის. ის ჰოსპიტალში გარდაცვლილა.

– ო, ეგ მერიგე კოლპაკოვის საქმეზე იყო. ეჭვს გარეშეა, თავადი გამართლდებოდა ბოლოს.

– ეგრეა! დანამდვილებით იცით? – ჩაჰკითხა თავადმა მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით.

– მაშ არადა! – შესძახა გენერალმა, – სასამართლო დაიშალა, ისე რომ გადაწყვეტილება არ გამოუტანია. წარმოუდგენელი საქმე კი იყო! ასე ვთქვათ, საიდუმლოებით მოცული; გარდაიცვალა შტაბსკაპიტანი ლარიონოვი, ასისთავი; თავადი დროებით მის ადგილზე დანიშნეს; კეთილი და პატიოსანი. მერიგე კოლპაკოვი ქურდობაზე დაიჭირეს. – ამხანაგისთვის სახარაზო საქონელი მოეპარა და სამიკიტნოებში გაეფლანგა. კეთილი და პატიოსანი. თავადმა, – არ დაივიწყოთ, ფელდფებელი და კაპრალიც ესწრებოდა ამ ამბავს, – კოლპაკოვი დატუქსა, გაწკეპვლით დაემუქრა. კეთილი და პატიოსანი. კოლპაკოვი ყაზარმაში დაბრუნდა, ტახტზე დაწვა და თხუთმეტი წუთის შემდეგ სული დალია. აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა! ასეა თუ ისე, კოლპაკოვი დაასაფლავეს; თავადმა მოხსენებითი ბარათი გაგზავნა და კოლპაკოვიც სიიდან ამოშალეს. თითქოს ყველაფერი მორჩა, არა მაგრამ ზუსტად ნახევარი წლის შემდეგ, ბრიგადის შემოწმებისას, მერიგე კოლპაკოვი, ვითომდა აქაც არაფერიაო, ნოვოზემლიანსკის ქვეითი

პოლკის[29] მეორე ბატალიონის მესამე ასეულში გამოჩნდა, იმავე ბრიგადისა და იმავე დივიზიისა!

– რას ბრძანებთ! – შეჰყვირა უზომოდ განცვიფრებულმა თავადმა.

– ეგრე არ ყოფილა, ეგ შეცდომაა! – გაწამებული სახით მიუბრუნდა უეცრად ნინა ალექსანდროვნა, – Mon mari se trompe[30] – არა, ჩემო მეგობარო, სე ტრომპე-ო, ადვილი სათქმელია, აბა ერთი თვითონ გაარკვიე ასეთი შემთხვევა! ყველა საგონებელში ჩავარდა. მე პირველი ვიტყოდი, gu'on se trompe[31], მაგრამ, საუბედუროდ, მოწმე ვიყავი და კომისიაშიც ვიღებდი მონაწილეობას. ვინც კი წაუყენეს პირზე, ყველამ დაამოწმა, რომ ეს სწორედ ის მერიგე კოლპაკოვია, რომელიც ნახევარი წლის წინ ჩვეულებრივი წესითა და დაფდაფებით დაასაფლავეს. მართლაც იშვიათი შემთხვევაა, თითქმის შეუძლებელი, მეც გეთანხმებით, მაგრამ...

– მამილო, სადილი მოგართვეს, – აუწყა ოთახში შემოსულმა ვარვარა არდალიონოვნამ.

– ო, მშვენიერია, ჩინებულია! მომშივდა კიდეც... მაგრამ ეს ამბავი, შეიძლება ვთქვათ, ფსიქოლოგიურიც...

– წვნიანი ისევ გაცივდება, – მოუთმენლად დასძინა ვარიამ.

– ახლავე, ახლავე, – ბურტყუნით გავიდა ოთახიდან გენერალი, – ჰოდა, მიუხედავად ყოველგვარი ცნობებისა, – ისმოდა ისევ დერეფანში.

– უთუოდ ბევრი რამ უნდა მიუტევოთ არდალიონ ალექსანდროვიჩს, თუკი ჩვენსა დარჩებით, – უთხრა ნინა ალექსანდროვნამ თავადს, – თუმცა ის დიდად არ შეგაწუხებთ; სადილობითაც ცალკე სადილობს. ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი ნაკლი და ჩვენ-ჩვენი დამახასიათებელი რამ, სხვებს იქნებ იმათზე მეტიც, ვინც თითით საჩვენებლად ჰყავთ გამხდარი. ოღონდ ერთს კი შეგეხვეწებით თუ ჩემმა მეუღლემ, ვთქვათ და, ბინის ქირის თაობაზე მოგმართოთ, უთხარით, რომ უკვე მომეცით. ესე იგი, არდალიონ ალექსანდროვიჩსაც რომ მისცეთ, ანგარიშში მაინც ჩაგეთვლებათ, მაგრამ, გაუგებრობა რომ არ მოხდეს, მხოლოდ ამიტომ გთხოვთ... ეგ რა არის, ვარია?

ვარია ოთახში შემობრუნდა და დედას უხმოდ მიაწოდა ნასტასია ფილიპოვნას სურათი. ნინა ალექსანდროვნა შეკრთა, ჯერ თითქოს შიშით, მერე რაღაც მწარე გრძნობით სინჯავდა რამდენიმე ხანს. ბოლოს კითხვის თვალით შეხედა ვარიას.

– დღეს თვითონ უბოძებია, – უთხრა ვარიამ. – ამ საღამოს გადაწყდება ყველაფერიო.

– ამ საღამოს, – თითქოს სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა ნინა ალექსანდროვნამ. – რას იზამ საეჭვო უკვე აქ აღარაფერია, აღარც არავითარი იმედი შეიძლება ვიქონიოთ. სურათით ყველაფერი განაცხადა... განა თვითონ გაჩვენა? – დაუმატა მერე გაკვირვებით.

– ხომ იცით, ერთი თვეა უკვე თითქმის უბრად ვართ. პტიცინმა მიამბო ყველაფერი, სურათი კი იქვე, მაგიდასთან ვნახე, იატაკზე ეგდო.

– თავადო, – მიუბრუნდა უცბად ნინა ალექსანდროვნა, – მინდოდა მეკითხა (სწორედ ამისთვის გამოგიხმეთ), ჩემს ვაჟს დიდი ხანია იცნობთ თუ არ ვცდები, თქვა, დღეს საიდანღაც ჩამოვიდაო, არა?

თავადმა მოკლედ უამბო თავისი ამბავი, ნახევარზე მეტი გამოტოვა. ნინა ალექსანდროვნა და ვარია უსმენდნენ.

– არ იფიქროთ, რომ გავრილა ალექსანდროვიჩის ამბების გამოტყუება მინდა და იმიტომ გეკითხებით, – შენიშნა ნინა ალექსანდროვნამ. – თუ ისეთი რამ არსებობს, რისი გამხელაც ჩემს ვაჟს არ სწადია ჩემთვის, არც მინდა მის უნებლიეთ გამოვიძიო. მხოლოდ იმიტომ გითხარით,

წელან აქ რომ იყავით და მერეც, როცა გახვედით, განიას თქვენზე შევეკითხე და ასე მითხრა „მან ყველაფერი იცის, საბოდიშო არაფერიაო!“ რას ნიშნავს ეს? ესე იგი, მინდა ვიცოდე, მაინც რა...

მოულოდნელად განია და პტიცინი შემოვიდნენ; ნინა ალექსანდროვნა მყის გაჩუმდა. თავადი მის გვერდით სკამზე დარჩა, ვარია განზე გადგა; ნასტასია ფილიპოვნას სურათი გამოსაჩენ ადგილზე, ნინა ალექსანდროვნას წინ, მის პატარა სამუშაო მაგიდაზე იდო. განიამ სურათი რომ დაინახა, წარბები შეიკრა, გულმოსულმა დაავლო ხელი და ოთახის მეორე ბოლოში მდგარ თავის საწერ მაგიდაზე გადაისროლა.

– დღეს, განია? – ჰკითხა უეცრივ ნინა ალექსანდროვნამ.

– რა დღეს? – შეკრთა განია და უეცრივ თავადს ეცა. – ო, მივხვდი, აქაც გამოიჩინეთ ხომ თავი!.. ბოლოს და ბოლოს, რა სენი გჭირთ ენას კბილი ვერ უნდა დააჭიროთ? ის მაინც როგორ არ გესმით, თქვენო ბრწყინვალებავ...

–ბრალი ჩემია, განია, სხვა არავისი, – გააწყვეტინა პტიცინმა.

განიამ გაკვირვებით შეხედა.

– განა ასე არა სჯობს, განია, მით უმეტეს, ერთი მხრივ საქმე უკვე გადაწყვეტილია, – წაიბურტყუნა პტიცინმა, მერე განზე გადგა, მაგიდას მიუჯდა, ჯიბიდან რაღაც ფანქრით ნაწერი ქაღალდი ამოიღო და იმას დააშტერდა. განია მოღუშული იდგა და შეშფოთებით ელოდა, ჩემები ახლა ერთ ამბავს დამაწევენო. თავადთან ბოდიშის მოხდა არც უფიქრია.

– თუ ყველაფერი გადაწყვეტილია, მაშინ ივან პეტროვიჩი, რა თქმა უნდა, მართალი არის, – თქვა ნინა ალექსანდროვნამ, – წარბს ნუ ჭმუხნი და ნუ ბრაზობ, განია, რაც შენ არ გინდა თქვა, იმაზე არას შეგეკითხები, დამიჯერე, მე სავსებით შევეგუე და ნურც შენ შეწუხდები. ნინა ალექსანდროვნას ამის თქმისას თავი არ წამოუწევია საქსოვიდან და თითქოს მართლაც დამშვიდებული ლაპარაკობდა. განია გაკვირვებული იყო, მაგრამ სიფრთხილის გამო მაინც კრინტი არ დაძრა და დედას შეჰყურებდა, რომ უფრო გარკვევით ეთქვა, რა უნდოდა. ოჯახური უსიამოვნებანი მეტისმეტად ძვირად უღირდა. ნინა ალექსანდროვნამ შეატყო ეს სიფრთხილე და მწარე ღიმილით დასძინა

– შენ მაინც ეჭვით მიყურებ და არ გჯერა ჩემი; ნუ გეშინია, წინანდებურად ტირილსა და ხვეწნა-მუდარას აღარ დაგიწყებ. ხომ იცი, ჩემი ნატვრა და სურვილი მხოლოდ ისაა, შენ იყო ბედნიერი. ბედს დავმორჩილდი, მაგრამ გულით, რა თქმა უნდა, ამას მხოლოდ ჩემს თავზე ვამბობ, შენს დას იგივეს ვერ მოთხოვ...

– ოჰ, ისევ ეგ უნდა გაეჩხიროს, – შესძახა განიამ და დაცინვითა და სიძულვილით შეაცქერდა დას. – დედილო! კიდევ ერთხელ შემოგფიცავთ, რაც უკვე აღგითქვით ვიდრე მე აქ ვარ, ვიდრე პირში სული მიდგას, ვერავინ გაბედავს ოდესმე უპატიოდ მოგექცეთ. ვინც არ უნდა იყოს, ვინც არ უნდა გადმოაბიჯოს ჩვენს ზღურბლს, მოვალეს გავხდი, სრული პატივისცემა გამოიჩინოს...

განია ისე იყო გახარებული, ლამის სინაზითაც შეჰყურებდა დედას.

– ჩემს თავზე არ მიდარდია, განია, ხომ იცი, არც ჩემი ამბავი მაწუხებდა და მტანჯავდა მთელი ეს ხანი. ამბობენ, დღეს გადაწყდება ყველაფერიო რა გადაწყდება?

– მან პირობა დადო, რომ დღეს საღამოს იტყვის, თანახმაა თუ არა, – მიუგო განიამ.

– აგერ თითქმის სამი კვირაა, ამაზე ლაპარაკს ვერიდებოდით, და ასეც სჯობდა. მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ნება მომეცი მხოლოდ ეს შეგეკითხო ნეტავ როგორ დაგთანხმდა და თავისი სურათიც გაჩუქა, როცა შენ არ გიყვარს იგი ნუთუ შენ ეგეთი... ეგეთი...

– ჰო, გამოქექილი ქალი ხომ?

– მაგის თქმა არ მინდოდა. ნეტა ეგრე როგორ აუბი-მეთქი თვალები?

ისეთი საოცარი გაგულისება გამოიხატა უცებ ამ კითხვაში, რომ განია შეჩერდა, წუთით ჩაფიქრდა და უკვე აშკარა დაცინვით წარმოთქვა:

– გულს აჰყევით, დედილო, და თავი ვეღარ დაიმორჩილეთ, აი, მუდამ ასე იწყება ხოლმე ჩვენსას უსიამოვნება. აკი თქვით არც შეკითხვებით და არც საყვედურებით შეგაწუხებთო მაგრამ დაიწყეთ ისევ! სჯობს თავი დავანებოთ; დიახ, სჯობს. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ასე აპირებდით... არასოდეს, არაფრის გულისთვის არ მიგატოვებთ; სხვა ჩემ ადგილზე ასეთ დაიას გაექცეოდა ალბათ, – შეხეთ ერთი, რა თვალებით მიყურებს! ჰოდა, მოვრჩეთ ამით! მე კი ისე გამეხარდა... ან საიდან მოიტანეთ, რომ ნასტასია ფილიპოვნას ვატყუებ ვარიას კი, როგორც ენებოს, ჰოდა, მოვრჩეთ და გავათავოთ!

განიას ყოველ სიტყვაზე უფრო მეტად ერეოდა სიანჩხლე და უაზროდ დააბიჯებდა ოთახში. ასეთი საუბრები მყისვე საწამლავივით მოქმედებდა ოჯახის ყველა წევრზე.

– უკვე ვთქვი, თუ ის აქ შემოვიდა, აქედან წავალ-მეთქი და კიდეც შევასრულებ სიტყვას, – წარმოთქვა ვარიამ.

– კერპი ხარ და იმიტომ! – შეუტია განიამ. – მაგ სიკერპის გამოა, რომ არც თხოვდები! რას ფრუტუნებ! მე კი ფეხებზე მკიდია, ვარვარა არდალიონოვნა; გნებავთ? – თუნდ ახლავე შეასრულეთ თქვენი განზრახვა; სწორედ მეტისმეტად მომაბეზრეთ თავი. მადლობა ღმერთს, თავადო! ძლივს არ გადაწყვიტეთ, თავი დაგვანებოთ, – შეუყვირა თავადს განიამ, რა დაინახა, იგი ადგილიდან წამოდგა.

განიას ხმაში უკვე იმ ზომამდე მისული გაანჩხლება იგრძნობოდა, როცა კაცს თითქოს თვითონაც სიამოვნებს ეს გაანჩხლება, თავშეუკავებლივ ეძლევა და აღარ დაეძებს, სანამდე მიიყვანს იგი. თავადმა ერთი კი მოიხედა კარებში, რა არის, პასუხი ეთქვა, მაგრამ თავისი შეურაცხმყოფელის გაწამებულ სახეს რა შეატყო, კიდევ ერთი წვეთიც და ფიალა მთლად აივსებაო, პირი იბრუნა და უხმოდ გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სასტუმროდან ისეთი ხმები მოესმა, რომ მიხვდა, მისი წასვლის შემდეგ ლაპარაკი უფრო შეუკავებელი გამხდარიყო.

თავადი დარბაზიდან შესასვლელში გავიდა, რომ შემდეგ დერეფანში გასულიყო და იქიდან კი თავის ოთახში. კიბეზე გამავალ კარს რომ ჩაუარა, გაიგონა და თანაც შეამჩნია, კარს უკან ვიღაც მთელი ძალით ექაჩებოდა ზარს დასარეკად; მაგრამ, ეტყობა, ზარს რაღაც გაფუჭებოდა, ოდნავ ინძრეოდა და ხმას კი არ იღებდა. თავადმა რაზმა გახსნა, კარი გააღო და განცვიფრებულმა უკან დაიხია. მის წინ ნასტასია ფილიპოვნა იდგა. თავადმა მაშინვე იცნო იგი სურათით. ქალს სიბრაზის ნაპერწკლები წამოსცვივდა თვალებიდან მის დანახვაზე; მერე მხარი ჰკრა, სწრაფად შემოვიდა შესასვლელში, ქურქი გაიხადა და გულმოსულმა უთხრა:

– თუ ზარის გასწორება გეზარება, შესასვლელში მაინც იჯექი, ზარის ხმა რომ გაიგო. აი, ქურქიც დამიგდე, შე დოყლაპიავ.

ქურქი მართლაც იატაკზე ეგდო; ნასტასია ფილიპოვნამ არ დაუცადა, ვინემ თავადი მოხდიდა, არც მოუხედავს, ისე მიუგდო ხელებში და თავადმა ვერ მოასწრო აღება.

– გასაგდები ხარ აქედან. გასწი, მოახსენე.

თავადმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იმდენად დაბნეოდა თავგზა, ხმის ამოღება ვერ შეძლო და სასტუმროსკენ გაემართა ქურქით ხელში, რომელიც იატაკიდან აეღო.

– ოჰ, ახლა ქურქიანად მიდის! მაგ ქურქს რაღას მიათრევ ჰა-ჰა-ჰა! შენ რა, გიჟი ხომ არა ხარ?

თავადი მობრუნდა და გამოშტერებული ისევ ნასტასია ფილიპოვნას შეაჩერდა. ქალის კისკისზე მასაც გაეღიმა, მაგრამ ენა ვერც ახლა მოაბრუნა. როცა კარი გაუღო, იმ წუთს სულ გადაუფითრდა სახე, ახლა კი უეცრივ წამოაწვა სიწითლე.

– ეს რა იდიოტს გადავეყარე – აღშფოთებით დაუყვირა და ფეხი დაუბაკუნა ნასტასია ფილიპოვნამ. – აბა, სად მიდიხარ რა უნდა მოახსენო?

– ნასტასია ფილიპოვნა გეახლათ-მეთქი, – წაილუღლუღა თავადმა.

– შენ საიდან მიცნობ? – სწრაფად ჰკითხა ქალმა. – თავის დღეში არ მინახიხარ! წადი, მოახსენე... ეს რა ყვირილია იქ!

– ჩხუბობენ, – მიუგო თავადმა და სასტუმროსაკენ გასწია.

მისი შესვლისას საკმაოდ გადამწყვეტი წუთი დამდგარიყო ნინა ალექსანდროვნას ლამის უკვე სავსებით დაევიწყა თავისი სიტყვები „ბედს დავმორჩილდიო“, თუმცა ის ახლა უფრო ვარიას ექომაგებოდა. პტიცინიც ვარიას ამოდგომოდა გვერდში და იმ ციფრებით აჭრელებული ქაღალდისთვის თავი მიეენებებინა. ვარია თვითონაც გულმაგრად იყო, განა ისეთი ასული ბრძანდებოდა, ვისმე შეპუებოდა. მაგრამ მისი ძმის უხეშობა უფრო და უფრო უზრდელი და აუტანელი ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში ის, ჩვეულებრივ, გაჩუმდებოდა და ძმას დაცინვით შეაცქერდებოდა ხოლმე უხმოდ. იცოდა, ეს ხერხი ჭკუაზე რომ შლიდა მის ძმას. სწორედ ამ წუთს იყო, შემოაბიჯა ოთახში თავადმა და აუწყათ

– ნასტასია ფილიპოვნა გეახლათ!

IX

ყველას ენას ჩაუვარდა. ყველა თავადს შეაცქერდა, თითქოს მისი ვერ გაიგეს და არც უნდათ გაიგონო. განია შიშით გახევდა.

ნასტასია ფილიპოვნას მოვლინება, ისიც ამ წუთში, ყველასათვის მეტისმეტად უცნაურ და თავსატეხ მოულოდნელობას წარმოადგენდა. ჯერ თუნდაც ის, რომ ნასტასია ფილიპოვნამ პირველად ინება მობრძანება. აქამდე ისე ქედმაღლურად ეჭირა თავი, რომ განიასთან მისი შინაურების გაცნობის სურვილიც არ გამოუთქვამს. უკანასკნელ ხანს კი სულაც აღარ ახსენებდა მათ, თითქოს ამქვეყნად არც არსებობდნენ. განიას, მართალია, ნაწილობრივ კი უხაროდა ასეთ სადავიდარაბო საგანზე ლაპარაკის დროებით თავიდან აცილება, ოღონდ გულის სიღრმეში ამ ქედმაღლობისთვის სამაგიეროს გადახდა მაინც აღუთქვა. ასე თუ ისე, იმას უფრო ელოდა, რომ ნასტასია ფილიპოვნა მის ოჯახს მასხარად აიგდებდა და მწარე-მწარეს არ დააკლებდა, ვინემ ვიზიტით ესტუმრებოდა. დანამდვილებით იცოდა, რომ ქალისთვის უკვე ცნობილი იყო, რა ამბავიც ტრიალებდა მის ოჯახში ამ გარიგების თაობაზე და რა თვალით უყურებდნენ ნასტასია ფილიპოვნას მისი შინაურები. მისი ვიზიტი კი არა, ისიც სურათის ჩუქების შემდეგ, თავის დაბადების დღეს, რა დღესაც მან პირობა დაუთქვა განიას ბედის გადაწყვეტისა, ლამის ამ გადაწყვეტილებას ნიშნავდა უკვე.

ყველა შეცბუნებული შესჩერებოდა თავადს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა ნასტასია ფილიპოვნა თვითონვე მოადგა სასტუმროს კარს და ოჯახში შესვლისას კვლავ ოდნავ გაჰკრა გვერდი თავადს.

– ძლივს არ მეღირსა შემოსვლა... ზარი რატომ დაგიბამთ? – მხიარულად წარმოთქვა მან და მისკენ კისრისტეხით გამოქცეულ განიას ხელი გაუწოდა. – რა დაგემართათ, რა სახე გაქვთ? თუ შეიძლება, გამაცანით...

დაბნეულმა განიამ ის ჯერ ვარიას წარუდგინა. ხელის ჩამორთმევამდე ორივე ქალმა თავდაპირველად უცნაურად შეხედა ერთმანეთს; თუმცა ნასტასია ფილიპოვნა იცინოდა,

ვითომდა მხიარულ გუნებაზე ვარო, მაგრამ ვარიამ თავის მოკატუნება არ ინდომა და კუშტად შეაცქერდა. ღიმილის ნატამალიც კი არ გამოეხატა სახეზე, თუნდაც უბრალო ზრდილობის გულისთვის. განიას გულს შემოეყარა; ხვეწნის საშუალება უკვე არც იყო და არც აზრი ჰქონდა. მხოლოდ ისეთი რისხვით კი გადახედა ვარიას, რომ ქალი ამ გამოხედვით მიხვდა, რას ნიშნავდა მისი ძმისთვის ეს წუთი. მაშინ, ეტყობა, გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო და ოდნავ შეჰღიმა ნასტასია ფილიპოვნას (ოჯახში ჯერ კიდევ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი). ისევ ნინა ალექსანდროვნამ გამოასწორა საქმე, როცა საბოლოოდ დავთარდაბნეულმა განიამ ის ვარიას შემდეგ გააცნო და დედა იქით მიჰგვარა პირველი ნასტასია ფილიპოვნას. ის იყო ნინა ალექსანდროვნამ დაიწყო ჩვეულებისამებრ, ძალიან სასიამოვნოა, რომ ნასტასია ფილიპოვნამ ბოლომდე არ მოუსმინა, სწრაფად მოატრიალა სახე განიასაკენ და ფანჯრის კუთხეში, პატარა დივანზე დაჯდა (თუმცა დაბრძანდითო, არავის შეუთავაზნია).

– თქვენი კაბინეტი რომელია? ან... ან მდგმურები სად არიან? აკი მდგმურები ჰყავთო? – წამოიძახა ეს.

განია საშინლად გაწითლდა და ის იყო პასუხი დააპირა, რომ ნასტასია ფილიპოვნამ იქვე გააწყვეტინა

– აქ მდგმურები სად უნდა იყოლიოთ კაბინეტიც კი არ გქონიათ. თუ გრჩებათ რაიმე მოგება? – მიუტრიალდა უეცრივ ნინა ალექსანდროვნას.

– ცოტა ვწუხდებით კია, – დაიწყო მან, – მოგებაც, რა თქმა უნდა, იქნება, თუმცა არც ისე დიდი ხანია...

მაგრამ ვინღა უსმენდა, ნასტასია ფილიპოვნა განიას შეჰყურებდა და კისკისით უყვიროდა:

– რას გავხართ, ღმერთო ჩემო, რა შეშლილი სახე გაქვთ!

კისკისი რამდენიმე ხანს გაგრძელდა. განიას, მართლაც, მოქცეოდა სახე იმ პირველმა გახევებამ, სასაცილო, ლაჩრულმა დაბნეულობამ უეცრივ გაუარა, ოღონდ საშინლად კი გადაფითრდა; ტუჩები მოეღრიცა; უხმოდ, ჩაციებით და ავი თვალით შეჰყურებდა თავის სტუმარს სახეში, რომელიც კისკისს არ ათავებდა.

ამ ამბავს ერთი მოთვალთვალე ჰყავდა, რომელიც ლამის დაამუნჯა ნასტასია ფილიპოვნას დანახვამ და ჯერაც ვერ ამოედგა ენა. ის ახლაც „ბოძივით“ ერჭო თავის ძველ ადგილზე, სასტუმროს კარებში, თუმცა განიას გადაფითრება და სახის შეცვლა მაინც არ გამოეპარა. ეს მოთვალთვალე თავადი გახლდათ. შეშინებულმა მექანიკურად გადმოდგა წინ ნაბიჯი და განიას ჩასჩურჩულა:

– წყალი დალიეთ და ეგრე ნუ იცქირებით...

ეტყობოდა, ანგარიშმიუცემლად, ყოვლად დაუფიქრებლად, მხოლოდ პირველ გულისთქმას აყოლილს წამოსცდა ეს სიტყვები; მაგრამ მისმა სიტყვებმა საოცარი გავლენა იქონია. განიას მთელი გაბოროტება უეცრივ თავადს დაატყდა თავზე მხარში დასტაცა ხელი და შურისძიებითა და სიძულვილით უხმოდ ჩააშტერდა სახეში, თითქოს კრიჭა შეეკრა. ყველა შეჩოჩქოლდა. ნინა ალექსანდროვნამ კარებში კიდეც შეჰყვირა, პტიცინმა შეშფოთებით გადმოდგა ნაბიჯი, კარებში გამოჩენილი კოლია და ფერდიშჩენკო განცვიფრებული გახევდნენ ადგილზე, მარტო ვარია იყურებოდა ძველებურად ქვეშქვეშ, მაგრამ დაკვირვებითა და ყურადღებით. ის დედას ამოდგომოდა გვერდით და გულხელი დაეკრიფა. მაგრამ განია იმ წუთსავე მოეგო გონს, ნერვიულად გადაიხარხარა და რაც შეიძლება მხიარულად შესძახა:

– ექიმი ხომ არა ხართ, თავადო შემაშინეთ კიდეც; ნასტასია ფილიპოვნა, შემიძლია წარმოგიდგინოთ ეს უძვირფასესი სუბიექტი, თუმცა მეც მხოლოდ ამ დილას აქეთ ვიცნობ.

ნასტასია ფილიპოვნა გაოცებული შეჰყურებდა თავადს.

– თავადიო ეგ თავადია წარმოგიდგენიათ, წეღან შესასვლელში ლაქია მეგონა და აქ გამოვგზავნე, ჩემი მოსვლა აუწყეთ-მეთქი! ჰა-ჰა-ჰა!

– მერე რა, მერე! – გაუხარდა ფერდიშჩენკოს, აქაოდა ხალხმა გაიცინაო, და წინ წამოდგა, – მერე რა უშავს se non e vero[32]...

– ლამის გაგლანძღეთ კიდეც, თავადო. მაპატიეთ, თუ შეიძლება. აქ რა გინდათ, ფერდიშჩენკო, ისიც ამ დროს თქვენ მაინც არ მეგონა, თუ დამხვდებოდით. ვინ რომელი თავადი მიშკინი? – ჩაეკითხა განიას, რომელსაც ამასობაში თავადის წარდგენა მოესწრო და ჯერ ისევ მხარზე ედო ხელი.

– ჩვენი მდგმურია, – გაუმეორა განიამ.

ეტყობა, თავადი რაღაც საოცრებად გამოჰყავდათ (ამ ყალბი მდგომარეობიდან ვითარცა ყველასთვის ფრიად ხელსაყრელი გამოსავალი) და ლამის ცხვირში ჩრიდნენ ნასტასია ფილიპოვნას; თავადმა იმასაც მოჰკრა ყური, ფერდიშჩენკომ რომ ნასტასია ფილიპოვნას მის ზურგსუკან გადაუჩურჩულა „იდიოტიაო“.

– მაშ, რატომ არ მითხარით წეღან, როცა ასეთი საშინელი... შეცდომა მომივიდა? – განაგრძობდა ნასტასია ფილიპოვნა და თავადს თავით ფეხებამდე უბოდიშოდ ათვალიერებდა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ პასუხი უთუოდ სულელური და სასაცილო იქნებოდა.

– გამიკვირდა, ასე უეცრივ რომ დაგინახეთ... – წამოილუღლუღა თავადმა.

– კი მაგრამ, როგორ მიცანით წინათ სად გინახივართ მეჩვენება, თუ რა არის, თითქოს სადღაც მინახავს მისი სახე ნება მომეცით გკითხოთ, წეღან რატომ გახევდით ასე რა მჭირს გასახევებელი?

– აბა, ჰე! – კვლავ იმანჭებოდა ფერდიშჩენკო. – აბა, ჰე! ო, ღმერთო ჩემო, თქვენს ადგილზე რას არ ვიტყოდი ამის პასუხად! ბაიყუში ყოფილხარ, თავადო, ამის შემდეგ და მეტი არაფერი!

– თქვენს ადგილზე მეც კი ვიტყოდი, – გაუცინა თავადმა ფერდიშჩენკოს, – წეღან თქვენმა სურათმა ძალიან განმაცვიფრა, – მიუბრუნდა იგი ნასტასია ფილიპოვნას. – მერე ეპანჩინებთან ვილაპარაკეთ თქვენზე... დილაადრიან კი, პეტერბურგში ჩამოსვლამდე, მატარებელში, ბევრი რამ მიამბო თქვენზე პარფენ როგოჟინმა... იმ წუთშიაც, კარი რომ გაგიღეთ, სწორედ თქვენზე ვფიქრობდი და უეცრივ დაგინახეთ.

– მერე საიდან მიხვდით, რომ მე ვიყავი?

– სურათით და...

– და კიდევ?

– კიდევ იმით, რომ სწორედ ასეთი წარმომედგინეთ... თითქოს მეც სადღაც მინახიხართ.

– სად? სად?

– თქვენი თვალები თითქოს სადღაც მინახავს... თუმცა ყოვლად შეუძლებელია! ამას ისე ვამბობ... აქ თავის დღეში არ ვყოფილვარ. იქნებ სიზმრად...

– თავადს ვერ უყურებთ! – შესძახა ფერდიშჩენკომ. – არა, მე ჩემი se non e vero უკან მიმაქვს. თუმცა... თუმცა ეს სულ თავისი მიამიტობით მოსდის! – დააყოლა მერე გულდაწყვეტით.

ეს რამდენიმე წინადადება აღელვებით წარმოთქვა თავადმა, ხმა მალიმალ უწყდებოდა და სულსაც მალიმალ ითქვამდა. მეტისმეტ მღელვარებას შეეპყრო. ნასტასია ფილიპოვნა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, მაგრამ აღარ კისკისებდა. ამ დროს ნასტასია ფილიპოვნასა და თავადის ირგვლივ მჭიდროდ შემოჯარული ხალხიდან უეცრივ სულ სხვა ხმა გაისმა, რომელმაც, ასე ვთქვათ, გაარღვია და ორად გაჰყო ეს ხალხი. ნასტასია ფილიპოვნას წინ თვით

ოჯახის მამა, გენერალი ივოლგინი იდგა, ფრაკსა და სუფთა გულისპირში გამოწკეპილი. შეღებილი ულვაშები შავად უბზინავდა... განიასთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო.

უზომოდ, თითქმის იპოხონდრიულად თავმოყვარესა და თავმომწონე კაცს, რომელიც მთელი ამ ორი თვის განმავლობაში რაიმე, თუნდაც სულ პატარა დასაყრდენს ეძიებდა, რა რომ თავი უფრო რიგიან, კეთილშობილ კაცად გამოეყვანა, რომელიც გულში გრძნობდა, ამ არჩეულ გზაზე მაინც ახალბედა ვარ და შესაძლოა, ბოლომდე ვერც გავძლოო, კაცს, რომელიც თავისი შინაურების მტარვალი იყო და ახლა არავითარ თავხედობას არ ერიდებოდა, თუმც ნასტასია ფილიპოვნასთან და დიახაც ვერ გაებედა, რადგან ქალი დღემდე უბნევდა დავთრებს და შეუბრალებლად სჯაბნიდა მას; „სულწასულ მათხოვარს“, ნასტასია ფილიპოვნასავე გამოთქმით, ვისაც ეს უკვე ყურში ჩასწვეთოდა და ვისაც ყველანაირი ფიცით დაეფიცა, ძმრად ამოედინა შემდეგში ეს ყველაფერი მისთვის და ამავე დროს ხანდახან მაინც ბალღურად ოცნებობდა, შეუძლებელი გაეკეთებინა და შეუძლებელი მოერიგებინა, – ამ კაცს ახლა კიდევ ეს უმწარესი ფიალაც უნდა შეესვა და, რაც მთავარია, ასეთ წუთს! თან ბედმა თავმომწონე კაცისთვის ყველაზე საშინელი სატანჯველი – საკუთარი მშობლების დამცირება არ დააკლო და ისიც სად, საკუთარ სახლში. „განა ღირს კი ამად ეს საზღაური!“ – გაუელვა იმ წუთს თავში განიას.

სწორედ ახლა მოხდა ის, რაც ამ ორი თვის მანძილზე ღამღამობით კოშმარივით ესიზმრებოდა, სისხლს უყინავდა და სირცხვილით სწვავდა ბოლოს და ბოლოს შეხვდნენ ნასტასია ფილიპოვნა და მამამისი ერთმანეთს. როცა ზოგჯერ საკუთარი თავის გასაღიზიანებლად შეეცდებოდა ხოლმე ქორწინების ცერემონიის დროს გენერლის წარმოდგენას, ბოლომდე მაინც ვერ უძლებდა ამ სატანჯველ სურათს და სასწრაფოდ მოეშვებოდა. იქნებ უზომოდ აზვიადებდა განსაცდელს; მაგრამ თავმომწონე ხალხს ხომ მუდამ ასე სჩვევია. ამ ორი თვის მანძილზე უკვე მოფიქრებული, გადაწყვეტილი და სიტყვაც ჰქონდა თავისთავზე მიცემული, რადაც უნდა დამიჯდეს, თუნდაც დროებით, მამაჩემის ფარფაში უნდა მოვსპო და, თუ შესაძლებელი იქნა, პეტერბურგიდანაც გავისტუმრო, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა დედა თანახმაო. ათიოდე წუთის წინ, როცა ნასტასია ფილიპოვნა შემოვიდა, განია იმდენად განცვიფრდა და სახტად დარჩა, რომ სრულიად დაავიწყდა არდალიონ ალექსანდროვიჩის სცენაზე გმობრძანების შესაძლებლობა და არავითარი თადარიგი არ დაიჭირა. არ დაიჭირა და გენერალიც აგერ აქ, გამოეჭიმა ერთის ამბით, ფრაკში გამოწყობილი, მერედა, რა დროს, როცა ნასტასია ფილიპოვნა „მხოლოდ შემთხვევას ეძებს, რათა ისა და მისი შინაურები მასხრად აიგდოს“ (ამაში განიას ეჭვი აღარ ეპარებოდა). მისი ახლანდელი ვიზიტი მართლაც რას ნიშნავს, თუ არა ამას რისთვის მოვიდა, მის დედასა და დასთან დასაახლოებლად თუ მის სახლშივე მათთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ განლაგდა ორივე მხარე, ეჭვის შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა დედამისი და მისი და განზე ისხდნენ თავლაფდასხმულებივით, ნასტასია ფილიპოვნას კი თითქოს სულაც დავიწყებოდა მათი არსებობა... ხოლო რაკი ასე ეჭირა თავი, მაშასადამე, მიზანიც ჰქონდა თავისი!

ფერდიშჩენკომ გენერალს ხელი სტაცა და წარსადგენად მიიყვანა.

– არდალიონ ალექსანდროვიჩ ივოლგინი გახლავართ, – ღირსეულად წარმოთქვა თავმოდრეკილმა და მოღიმარე გენერალმა, – ბებერი, გაუბედურებული ჯარისკაცი და იმ ოჯახის მამა, რომელსაც იმედი აქვს, გაბედნიერდეს ესოდენ ტურფა... გენერალმა ვერ დაამთავრა ფერდიშჩენკომ სასწრაფოდ მიუდგა სკამი უკნიდან და გენერალიც ზედ დაებერტყა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სკამზე დაეცა, ვინაიდან ნასადილევი გახლდათ და ფეხებმა, ცოტა არ იყოს, უმტყუნა ამ წუთს. თუმცა ამან იხტიბარი როდი გაუტეხა. ნასტასია ფილიპოვნას

პირდაპირ ჩამოჯდა და საამური ღიმილით ქალის თითები ნელა, ეფექტურად მიიტანა ტუჩებთან. ისიც უნდა ითქვას, რომ გენერლის ნირის გატეხვა არც ისე იოლი იყო. გარეგნობა ჯერ კიდევ საკმაოდ რიგიანი შერჩენოდა, თუ ცოტაოდენ დაუდევრობას არ ვიგულისხმებთ ჩაცმულობაში, რაც თვითონაც მშვენივრად უწყოდა. წინათ ფრიად კარგ საზოგადოებაში უხდებოდა ხოლმე ტრიალი. საბოლოოდ მხოლოდ ამ ორი-სამი წლის წინ გამოაძევეს იქიდან. სწორედ ამ ხნიდან იყო, რომ მეტისმეტად აიშვა თავი და ზოგ თავის ცოდვათ შეუკავებლად აჰყვა; მაგრამ ვაჟკაცური და საამო თავდაჭერა მაინც დღემდე შერჩენოდა. ნასტასია ფილიპოვნას თითქმის საოცრად გაეხარდა არდალიონ ალექსანდროვიჩის გამოჩენა. რა თქმა უნდა, უკვე ყურმოკრული ჰქონდა მისი ამბები.

– გავიგე, რომ ჩემი ვაჟიშვილი... – დაიწყო არდალიონ ალექსანდროვიჩმა.

– დიახ, თქვენი ვაჟიშვილი! მაგრამ მამაც კაი ჰყოლია! აქამდე რატომ არ მინახულეთ? რაო, თქვენ მემალებით, თუ ვაჟიშვილი გმალავთ? თქვენ მაინც არ მოგეჭრებათ ჩემთან მოსვლით თავი.

– მეცხრამეტე საუკუნის მამები და შვილები... – დაიწყო ისევ გენერალმა.

– ნასტასია ფილიპოვნა! თუ შეიძლება, ერთი წუთით გამოუშვით არდალიონ ალექსანდროვიჩი, კითხულობენ, – დაუძახა ნინა ალექსანდროვნამ.

– გამოუშვა! რას ბრძანებთ, იმდენი მსმენია თქვენს მეუღლეზე, იმდენი ხანია, მინდა მისი ნახვა! ან რა საქმეები აქვს ასეთი აკი აღარ მსახურობს ხომ არ დამტოვებთ, გენერალო, ხომ არ წახვალთ

– სიტყვას გაძლევთ, თვითონ გეახლებათ შინ, ოღონდ ახლა უნდა მოისვენოს.

– მოისვენოსო, გესმით, არდალიონ ალექსანდროვიჩ! – ისე უკმაყოფილოდ დაიმანჭა ნასტასია ფილიპოვნა, თითქოს ერთი ცერცეტი გოგო იყო, რომელსაც სათამაშოს ართმევენ და სწყინს. გენერალმაც ჩინებულად მოახერხა საკუთარი თავის უფრო გამასხარავება.

– ჩემო კარგო! ჩემო კარგო! – ყვედრებით მიმართა ცოლს და გულზე მიიდო ხელი.

– დედილო, არ წამოხვალთ აქედან? – ხმამაღლა ჰკითხა ვარიამ.

– არა, ვარია, ბოლომდე დავიცდი.

ნასტასია ფილიპოვნას არ შეეძლო ეს კითხვა-პასუხი არ გაეგონა, მაგრამ ამან თითქოს უფრო მეტად გაამხიარულა. მან მყისვე ისევ მიაყარა კითხვები გენერალს, ასე რომ ხუთიოდე წუთის შემდეგ ფრიად საზეიმო გუნებაზე დამდგარი გენერალი ქადაგად იქცა და მსმენელებიც ხმამაღლა ხარხარებდნენ. კოლიამ კალთაზე ჩამოქაჩა თავადს.

– არ შეიძლება, თქვენ მაინც გაიყვანოთ აქედან გემუდარებით! – საწყალ ბიჭს აღშფოთების ცრემლები მოსდგომოდა თვალებზე. – ო, წყეულო განკა! – ჩაიბურდღუნა მერე თავისთვის.

– ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინის მართლაც დიდი მეგობარი გახლდით, – ქაქანებდა გენერალი ნასტასია ფილიპოვნას კითხვებზე, – მე, ის და აწ განსვენებული თავადი ლევ ნიკოლაევიჩ მიშკინი, ვის ვაჟსაც ოცი წლის განშორების შემდეგ დღეს გადავეხვიე, სამი განუყრელი, ასე ვთქვათ, კავალკადა ვიყავით ათოსი, პორთოსი და არამისი.[33] მაგრამ, ვაი რომ, ერთი უკვე სამარეში წევს ცილისწამებითა და ტყვიით განგმირული, მეორე თქვენ წინ დგას და ჯერ ისევ უმაგრდება ცილისწამებასა და ტყვიებს...

– ტყვიებსო!. – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ.

– აგერ, აქ, მკერდში მიზის, ყარსის ბრძოლაში მიღებული, ცუდ ამინდში მუდამ თავს მახსენებს. სხვა მხრივ კი, ვითარცა ფილოსოფოსი, ისე ვცხოვრობ, დავდივარ, ვსეირნობ, როგორც საქმეებს თავდანებებული ბურჟუა, ჩემს კაფეში შაშს ვთამაშობ და „Indeependance“[34]-ს ვკითხულობ.

ჩვენს პორთოსს – ეპანჩინს კი ამ სამი წლის წინ დავშორდი საბოლოოდ, როცა მატარებელში ბალონკა-ძაღლის თაობაზე უსიამოვნება მოგვივიდა.

– ბალონკა-ძაღლისო! ეს რა ამბავი იყო? – განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ჩაჰკითხა ნასტასია ფილიპოვნამ. – ბალონკა-ძაღლისო მოიცათ, მოიცათ, ისიც მატარებელში!.. – თითქოს იგონებსო რაღაცას.

– ო, სულელური ამბავია, გამეორებად არ ღირს კნეინა ბელოკონსკაიას გუვერნანტი ქალის, მისტრის შმიდტის მიზეზით კი; მაგრამ... გამეორებად არა ღირს-მეთქი.

– უთუოდ უნდა მომიყვეთ! – მხიარულად შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ.

– არც მე მომისმენია ჯერ! – შენიშნა ფერდიშჩენკომ, – c'est du nouveau[35].

– არდალიონ ალექსანდროვიჩ! – გაისმა ისევ ნინა ალექსანდროვნას მუდარა.

– მამილო, გკითხულობენ! – დაუყვირა კოლიამ.

– სულელური ამბავი გახლავთ და ორიოდე სიტყვით მოვრჩები, – დაიწყო დიდის რიხით გენერალმა. – ამ ორი წლის წინ, დიახ! ბევრი არაფერი უკლია, როცა ახალი – სკის რკინიგზა გაიხსნა, მე ჩემი მეტად მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად, – სამსახურისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, – პირველი კლასის ბილეთი ავიღე (მაშინ უკვე სამოქალაქო ტანსაცმელი მეცვა) შევედი, დავჯექი, გავაბოლე. თუმცა სიგარას შესვლამდე ვეწეოდი. კუპეში მარტო აღმოვჩნდი. გაბოლება აკრძალული არ გახლდათ, მაგრამ არც ნებადართული იყო; ისე, ნახევრად ნებადართული, ჩვეულებისამებრ, იმის მიხედვით, რა კაცი ბრძანდებოდი. ფანჯარა გახსნილი მქონდა. უცბად, სანამ სასტვენი იქნებოდა, ორი ქალბატონი ამოვიდა, თან ბალონკა-ძაღლი ახლდათ. პირდაპირ წინ დამისხდნენ; შეგვიანებოდათ; ერთი ქალბატონი მდიდრულად იყო გამოპრანჭული, ღია ცისფერები ეცვა; მეორე – უფრო უბრალოდ ჩაცმული, შავი აბრეშუმის პერელინკიან კაბაში. შესახედავად, დიახაც არა უშავდათ, მედიდურად ეჭირათ თავი, ინგლისურად ბაასობდნენ. რა თქმა უნდა, მე ვზივარ და ვაბოლებ. არა, ერთი პირობა კი ვიფიქრე, მაგრამ სიგარა მაინც არ ჩავაქრე, ფანჯარა ღიაა და ფანჯარაში გავა-მეთქი ბოლი. ღია ცისფერებში გამოწყობილ ქალბატონს ბალონკა მუხლებზე ეჯდა, ჩემი მუჭისხელა ფინია, შავბეწვიანი, თეთრთათება, სწორედ იშვიათი რამ ჯიშის. ვერცხლის საყელური ეკეთა და ინიციალებიც ჰქონდა ზედ. ვზივარ ჩემთვის და ხმას არ ვიღებ. ვამჩნევ კი, რომ ქალბატონებს ბრაზი მოსდით, რა თქმა უნდა, ჩემს სიგარაზე. ერთმა აიღო თავისი კუს ლორნეტი და მომაშტერდა, მეც, ვითომ არაფერი, არ ვიმჩნევ არაფერს მეუბნებიან და იმიტომ! რომ ვთქვათ, გავეფრთხილებინეთ, ეთხოვათ, კიდევ ჰო, ბოლოს და ბოლოს რისთვის მოგვცა ღმერთმა ენა! ისინი კი სხედან და იბერებიან. ერთიც ვნახოთ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ანუ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ისე, თითქოს რაღაცამ მოუარაო, ცისფრებში გამოწყობილმა ქალბატონმა სტაცა იმ ჩემს სიგარას ხელი და ფანჯარაში ისროლა. ვაგონი მიქრის, მე გაოგნებული ვზივარ, ქალი გააფთრებული, – დიახ, გააფთრებული! მერე რა მოსული, ჩასუქებული, ქერათმიანი და ღაჟღაჟა (მეტისმეტად ღაჟღაჟაც), თვალებსაც რომ მიბრიალებს. ავდექი ასევე უხმოდ, საოცარი თავაზით, ასე ვთქვათ, დახვეწილი თავაზით, ორი თითი მივუახლოვე ფინიას, ნაზად მივწვდი ქეჩოში და ფანჯარაში სიგარას მივაყოლე! ერთი დაიწკავწკავა მხოლოდ! ვაგონი კი მიქრის...

– რა გულქვა ყოფილხართ! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ, პატარა გოგოსავით აკისკისდა და ტაში შემოჰკრა.

– ყოჩაღ, ყოჩაღ! – ყვიროდა ფერდიშჩენკო. გაეღიმა პტიცინსაც, თუმცა გენერლის მოსვლა მასაც მეტისმეტად უსიამოდ დაურჩა; გაიცინა კოლიამაც და, ყოჩაღო! – შესძახა.

– მართალიც ვიყავი; მართალი, სამგზის მართალი! – ფიცხად განაგრძობდა მოზეიმე გენერალი, – ვინაიდან თუ ვაგონებში სიგარა აკრძალულია, ძაღლს, მით უმეტეს, რა უნდა.

– ყოჩაღ, მამილო! – აღტაცებით შეჰყვირა კოლიამ, – დიდებულია! მეც უთუოდ ეგრე მოვიქცეოდი!

– იმ ქალბატონმა რაღა ქნა მერე? – მოუთმენლად ჩაჰკითხა ნასტასია ფილიპოვნამ.

– ქალბატონმაო? საქმეც ეგაა და! – წარბი შეიკრა გენერალმა, – სიტყვაც არ უთქვამს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თხლაშ, სილა გამაწნა! აფთარი ქალი; დიახ, სრულიად გააფთრებულ მდგომარეობაში!

– თქვენ რა ჰქენით?

გენერალმა თავი დაიღო, წარბები ასჭიმა, მხრები აიჩეჩა, ტუჩები მოკუმა, ხელები გაშალა, წუთით იყუჩა და მერე უეცრივ დაახალა

– მეც გავფიცხდი!

– მერე ატკინეთ? ატკინეთ?

– ღმერთმანი, არა! სწორედ არ ღირდა იმ ალიაქოთად, რაც მოჰყვა. მხოლოდ ერთხელ მოვიქნიე ხელი, ისიც იმიტომ, რომ ხელი მომექნია. მაგრამ ბედი არ გინდა ჩემდა ეშმაკად, ღია ცისფერებში გამოწყობილი ქალბატონი თურმე ინგლისელი ყოფილა, კნეინა ბელოკონსკაიას გუვერნანტი ქალი თუ დაახლოებული პირი, ხოლო შავი კაბა რომ ეცვა, ის უფროსი ბელოკონსკაია გამოდგა, ასე ოცდათხუთმეტიოდე წლის შინაბერა ქალი. გენერალ ეპანჩინის მეუღლის დამოკიდებულება ბელკონსკების ოჯახთან ხომ ყველას მოგეხსენებათ. თავადის ასულები მოსაბრუნებლები გახდნენ, ერთი ტირილი და გლოვა შექმნეს საყვარელი ბალონკას თაობაზე; თავადის ექვსივე ქალი მოთქვამს, ინგლისელი მოთქვამს, – ერთი სიტყვით, მეორედ მოსვლა იყო! რა თქმა უნდა, ვეახელი ჩემი სინანულის გამოსათქმელად. პატიება ვთხოვე, წერილიც მივწერე, მაგრამ არ მიმიღეს, არც წერილი წაიკითხეს, ეპანჩინებმაც ზურგი მაქციეს, კარი მომიკეტეს, განმდევნეს!

– მოიცათ, ეგ როგორ იქნება? – იკითხა უეცრივ ნასტასია ფილიპოვნამ, – ხუთი თუ ექვსი დღის წინათ „Independance“ -ში, მე მუდამ „Independance“ -ს ვკითხულობ, ზუსტად ასეთი ამბავი წავიკითხე! ზუსტად ასეთი! ეს ამბავი რეინისპირა რკინიგზაზე მომხდარა, ვაგონში, ერთ ფრანგ კაცსა და ინგლისელ ქალს შორის სწორედ ასევე გამოგლიჯეს თურმე სიგარა, სწორედ ასევე გადაისროლეს ფანჯარაში ბალონკა, ბოლოს სწორედ ისევე დასრულდა, როგორც თქვენ გვიამბეთ. კაბაც კი ღია ცისფერი ეცვა!

გენერალს ცეცხლი მოედო სახეზე, გაწითლდა კოლიაც და თავში იტაცა ხელები. პტიცინმა სწრაფად იბრუნა პირი. მარტო ფერდიშჩენკო ხარხარებდა ძველებურად. განია ხომ, რა სალაპარაკო იყო იდგა და გამოუთქმელ, აუტანელ წამებას იტანდა ამ ხნის მანძილზე.

– გარწმუნებთ, – ლუღლუღებდა გენერალი, – მეც სწორედ ეგ ამბავი შემემთხვა...

– მამაჩემს მართლაც უსიამოვნება მოუხდა მისტერ შმიდტთან, ბელოკონსკების გუვერნანტ ქალთან, – შესძახა კოლიამ, – მე მახსოვს.

– როგორ ზუსტად ასეთი; ერთი და იგივე ამბავი ევროპის სხვადასხვა კუთხეში, ზუსტად ისეთი წვრილმანებით, ღია ცისფერი კაბის ჩათვლით! – ჩასციებოდა შეუბრალებელი ნასტასია ფილიპოვნა. – „Independance Belge“-ს გამოგიგზავნით.

– არ დაივიწყოთ, რომ ეს ამბავი, – იხტიბარს მაინც არ იტეხდა გენერალი, – მე ორი წლით ადრე შემემთხვა.....

– ო, აი ეგ თუა!

ნასტასია ფილიპოვნა ისტერიულად კისკისებდა.

– მამილო, რაღაც მინდა გითხრათ, გთხოვთ გამომყვეთ, – აკანკალებული, გაწამებული ხმით წარმოთქვა განიამ და მამას ანგარიშმიუცემლად მხარში ჩასჭიდა ხელი. წარმოუდგენელი სიძულვილი ენთო თვალებში.

სწორედ ამ წუთს შესასვლელში საოცრად მაგრად დარეკა ზარმა. ასეთი დარეკვით ზარის ჩამოგლეჯა შეიძლებოდა. ეს ამბავი უჩვეულო ვიზიტს მოასწავებდა. კოლია კარის გასაღებად გაიქცა.

X

შემოსასვლელში უეცრივ ისეთი ხმაური და ღრიანცელი შეიქმნა, თითქოს გარედან რამდენიმე კაცი შემოვარდა და კიდევ ბევრი აპირებსო შემოჭრას. რამდენიმე ხმა ერთად ლაპარაკობდა და ყვიროდა; ლაპარაკი და ყვირილი კიბეზეც ისმოდა. შემოსასვლელი კარი, როგორც ეტყობა, არ დაეკეტათ. ვიზიტს საოცრად უცნაური პირი უჩანდა. ყველამ ერთმანეთს გადახედა; განია დარბაზისკენ გაიჭრა, მაგრამ დარბაზშიც უკვე შემოსულიყო რამდენიმე კაცი.

– ოჰო, აგერ ეს იუდაც! – გაისმა თავადისთვის ნაცნობი ხმა, – გამარჯობა, განკა არამზადავ!

– ეგაა, სწორედ ეგაა! – კვერი დაუკრა მეორე ხმამ.

თავადს ეჭვი აღარ შეჰპარვია ერთი ხმა როგოჟინს ეკუთვნოდა, მეორე – ლებედევს. განია გამოშტერებული იდგა დარბაზის კართან და უსიტყვოდ უცქერდა, ათი-თორმეტიოდე კაცი რომ შემოლაგდა პარფენ როგოჟინის კვალდაკვალ დარბაზში. როგოჟინის ამფსონები მეტისმეტად ჭრელი ხალხისგან შედგებოდა და არათუ სიჭრელით, უგვანობითაც გამოირჩეოდნენ. ზოგიერთები, როგორც გარეთ იყვნენ ჩაცმულნი, პალტოებითა და ქურქებით შემოცვივდნენ, თუმცა გახეთქილი მთვრალი არც ერთი არ იყო. სამაგიეროდ, კარგა შეზარხოშებულნი ჩანდნენ. ეტყობოდა, ერთმანეთის იმედით მოდიოდნენ; ცალ-ცალკე არც ერთს არ ეყოფოდა გამბედაობა, მაგრამ ყველა კი ერთმანეთს აგულიანებდა. თავად როგოჟინი ფრთხილი ნაბიჯით მოუძღოდა ბრბოს, მაგრამ რაღაც განზრახვა ჰქონდა და კუშტად, გაგულისებით იმზირებოდა, ჩაფიქრებული ჩანდა. ლებედევის გარდა აქ იყო თმადახუჭუჭებული ზალიოჟევი, რომელსაც შემოსასვლელში გაეხადა ქურდი და თამამად, თავმომწონედ მოაბიჯებდა, კიდევ ორი-სამი მისი მსგავსი ვაჟბატონი, როგორც ეტყობა, ვაჭართა წრიდან. ჩანდა ერთი პიროვნებაც, ნახევრად სამხედრო პალტოში გამოწყობილი; შემდეგ ერთი დაბალი, მეტისმეტად ჩასუქებული კაცი, წამდაუწუმ რომ ხვიხვინებდა; კიდევ ერთი ვიღაც ვეება, თორმეტიოდე მტკაველის სიგრძე ვაჟბატონი, ისიც საოცრად სქელი, საოცრად კუშტი სახისა და სიტყვაძვირი, ეტყობა, თავისი მუშტების დიდი იმედის მქონე. შემდეგ ერთი სამედიცინოს სტუდენტი. კიდევ ერთი ცმუტია პოლონელი. კიბიდან შემოსასვლელში ვიღაც ორი ქალბატონიც იჭყიტებოდა, თუმცა შემოსვლა ვერ გაებედათ. კოლიამ ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა იმათ კარი და რაზით ჩაკეტა.

– გამარჯობა, განკა არამზადავ! რაო, პარფენ როგოჟინს არ მოელოდი? – გაიმეორა როგოჟინმა, სასტუმრო ოთახს მიუახლოვდა და განიას პირისპირ აესვეტა კუთხეში. უეცრივ სასტუმროში ნასტასია ფილიპოვნას მოჰკრა თვალი და ელდა ეცა. როგორც ჩანს, მის აქ ყოფნას არ მოელოდა. სახეზე გადაფითრდა და ტუჩები გაულურჯდა. – მაშასადამე, მართალი ყოფილა! – ჩაილაპარაკა ჩუმად, თითქოს თავისთვის, სრულიად გაოგნებული სახით. – მორჩა!.. მაშ... ახლა პასუხი გამეცი! – დააღრჭიალა უცბად კბილები და საშინელი ღვარძლით მიაჩერდა განიას. – უჰ... შენი!..

როგოჟინს სული ეგუბებოდა, სიმწრით ლაპარაკობდა. ანგარიშმიუცემლად გაიწია სასტუმროსაკენ, მაგრამ ზღურბლს რომ გადააბიჯა, უეცრივ ნინა ალექსანდროვნასა და ვარიას მოჰკრა თვალი და ცოტაოდენ ნირწამხდარი შედგა. როგოჟინს ლებედევი შემოჰყვა, რომელიც უკვე კარგა გამობრუჟულიყო და ჩრდილივით დასდევდა ფეხდაფეხ, შემდეგ სტუდენტი, მუშტი-კრივის ვაჟბატონი, ზალიოჟევი, მარჯვნივ და მარცხნივ რომ თავს უკრავდა ყველას, და ბოლოს ვიღაც ტანდაბალი სქელი კაციც შემოგორდა. ქალების იქ ყოფნა ჯერჯერობით რამდენადმე ლაგამს სდებდა ყველას და როგორც ჩანს, ფრიად უშლიდათ ხელს, რა თქმა უნდა, ვიდრე ალიაქოთი დაიწყებოდა, ვიდრე პირველი საბაბი ექნებოდათ აყვირებისა და ალიაქოთის შექმნისა... შემდეგ კი რის ქალები, რა ქალები, აღარაფერი შეაკავებდათ.

– როგორ, შენც აქა ხარ, თავადო? – დაბნეულად წაილაპარაკა როგოჟინმა, თავადის ნახვით გაკვირვებულმა, – ისევ ეგ შტიბლეტები გაცვია ხომ, ეეჰ! – ამოიხვნეშა მან,თვალი კვლავ ნასტასია ფილიპოვნაზე გაუშტერდა და, თითქოს ანდამატი ეზიდებაო, ნელ-ნელა მისკენ გაიწია. თავადი ვიღას ახსოვდა. ნასტასია ფილიპოვნაც შეშფოთებული ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდა სტუმრებს.

განია ბოლოს გონს მოვიდა.

– მითხარით, ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს? – მკაცრად გადახედა შემოსულებს განიამ და უფრო როგოჟინის მისამართით ხმამაღლა წარმოთქვა, – თავლა ხომ არ გგონიათ აქ, ბატონებო, დედაჩემსა და დას ვერ ხედავთ...

– ჰაი-ჰაი, რომ ვხედავთ, – გამოსცრა კბილებში როგოჟინმა.

– ჰაი-ჰაი, რომ დედა და და, – დასძინა ლებედევმა კონტენანსის[36] დასამტკიცებლად.

მუშტი-კრივის ვაჟბატონმა ალბათ იფიქრა, ჩხუბის დროაო და აბუზღუნდა.

– ეს რასა ჰგავს! – როგორღაც მოუზომავად ხმას აუწია ერთბაშად განიამ, – ჯერ ერთი, გთხოვთ ყველას, დარბაზში გაბრძანდეთ, მერე კი ნება მომეცით, გავიგო...

– შეხე, ვერცა მცნობს, – ბოროტად გაიღრიჭა როგოჟინი, ადგილიდან არც დაძრულა, – როგოჟინი ვერ იცანი

– მგონი, სადღაც კი მინახიხართ, მაგრამ...

– შეხე, სადღაც კი მინახიხართ, მაგრამ...

– შეხე, სადღაც მინახიხარო! ამ სამი თვის წინ არ იყო, მამაჩემის ფული ორასი მანეთი რომ მომიგე. ისე ჩავიდა სამარეში ბერიკაცი, არც შეუტყვია ეს ამბავი! შენ არ შემათრიე, კნიფმა კი ბანქოში მითაღლითა. ვერ მიცანი აგერ, პტიცინია მოწმე! ახლა ჯიბიდან სამმანეთიანი რომ ამოვიღო და დაგანახო, იმის გულისთვის ვასილევსკის კუნძულამდე ხოხვით მომყვები – აი, როგორი კაცი ბრძანდები! აი, რა სული გიდგას! აი, ახლაც იმიტომ ვარ მოსული, რომ ფული მოგცე და თავ-ფეხიანად გიყიდო. ამ ჩემს ჩექმებს ნუ უყურებ, ფული, ძმაო, ახლა ჩეჩქივით მაქვს, შენც გიყიდი და ამ შენ საბადებელსაც... თუ მოვინდომებ, ყველას გიყიდით! ყველაფერს ვიყიდი! – გაცხარდა და თითქოს აზარტში შევიდა როგოჟინი, – ეეეჰ! – შესძახა მან, – ნასტასია ფილიპოვნა, ნუ მომკლავთ, ერთი სიტყვა მითხარით მიჰყვებით თუ არა ამას ცოლად? წყალწაღებულის განწირულებით, ვისაც დასაკარგი და დასანანი უკვე აღარა დარჩენია რა ამქვეყნად, – ჰკითხა ეს როგოჟინმა, ჰკითხა ვითარცა თავის ღვთაებას და პასუხსაც განწირული კაცის გულის ღელვით ელოდა.

ნასტასია ფილიპოვნამ დაცინვითა და მედიდურობით შეათვალიერა იგი თავით ფეხამდე, მაგრამ ვარიასა და ნინა ალექსანდროვნას რომ შეხედა და განიასაც გადაჰკრა თვალი, უეცრივ შეცვალა კილო.

– სულაც არა, რას ამბობთ? ან რამ მოგაფიქრათ ეგ კითხვა? – წყნარად და დინჯად, თითქოს გაკვირვებით ჰკითხა მან.

– მაშ არა არა! – შეჰყვირა როგოჟინმა და სიხარულისაგან ლამის გონი დაკარგა, – მაშ არა! ამათ კი მითხრეს... უჰ, თქვენი! ნასტასია ფილიპოვნა! ესენი მეუბნებიან, განკაზე დაინიშნაო! მერე და ეს შეიძლება ყველას ამას არ ვეუბნები! მე ხომ მაგას ას მანეთად ვიყიდი, ათასი, ჰა, სამი ათასი რომ მივცე, უარი თქვი-მეთქი, გვირგვინის წინ გაიქცევა და საპატარძლოს მე დამიტოვებს. განა ასე არაა, განკა არამზადავ! სამ ათასს ხომ აიღებდი აგერ აქა მაქვს, აგერ! იმიტომაც მოვედი, რომ შენთვის ეგეთი ხელწერილი ჩამომერთმია; ვთქვი, გიყიდი-მეთქი და გიყიდე კიდეც!

– აქედან გაეთრიე, შე ლოთო შენა! – დაუყვირა განიამ, რომელიც ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა.

განიას ამის თქმა და რამდენიმე კაცის აღრიალება ერთი იყო; როგოჟინის ამფსონები რა ხანია ელოდნენ, როდის მიეცემოდათ ჩხუბის საბაბი. ლებედევი მეტისმეტი თავგამოდებით რაღაცას ეტუტუნებოდა ყურში როგოჟინს.

– მართალი ხარ, ჩინოვნიკო! – მიუგო როგოჟინმა. – მართალი ხარ, შე ლოთიბაშო! ეჰ, რაც იყოს, იყოს. ნასტასია ფილიპოვნა! – შესძახა მან და შეშლილივით შეაცქერდა, ჯერ გაუბედაობამ აიტანა, მერე კი უცბად სითავხედემდე გათამამდა, – აგერ, თვრამეტი ათასი! – და როგოჟინმა თეთრ ქაღალდში შეხვეული, ზონრებით ჯვარედინად შეკრული დასტა დაუგდო წინ. – აგერა! და კიდევ... კიდევ სხვაც იქნება!

მაგრამ სათქმელის დამთავრება ვეღარ გაბედა.

– ააპა-პა-პა! – ისევ ყურში ჩასჩურჩულა საოცრად დამფრთხალმა ლებედევმა, რომელსაც, ეტყობა, ფული ებევრა და ურჩევდა, გაცილებით ნაკლებიდან მოესინჯა.

– არა, ძმაო, ამაში რეგვენი ხარ, არ იცი, რაებს ბოდავ... თუმცა შენზე ნაკლები რეგვენი არც მე ვყოფილვარ! – ერთბაშად გონს მოეგო და შეკრთა როგოჟინი, როცა ნასტასია ფილიპოვნას აბრიალებულ თვალებს წააწყდა. – ეეჰ! მოვტყუვდი, შენ რომ დაგიჯერე, – დააყოლა ღრმა სინანულით.

ნასტასია ფილიპოვნამ როგოჟინის ნირწამხდარი სახე რომ დაინახა, უეცრივ გადაიკისკისა.

– ეს მე თვრამეტი ათასი? აი, სად გამოგაჩნდა ხეპრეობა! – დასძინა ერთბაშად თავხედური ფამილიაროზითა და დივანიდან წამოიწია, თითქოს წასვლა დააპირა.

განია სუნთქვაშეკრული უმზერდა ამ სცენას.

– მაშ ორმოცი ათასი იყოს, ორმოცი და არა თვრამეტი! – შეჰღრიალა როგოჟინმა, – ვანკა პტიცინმა და ბისკუპმა შვიდი საათისთვის ორმოცი ათასი აღმითქვეს. ორმოცი ათასი, მაშ! ყველას წინ დაგილაგებ!

სურათი მეტისმეტად საზიზღარი ხდებოდა. ნასტასია ფილიპოვნა მაინც კისკისებდა და წასვლაზე ფეხს ითრევდა, თითქოს მართლაც განზრახ ეწადა ამ სურათის გაჭიანურება. ნინა ალექსანდროვნა და ვარიაც ადგილიდან წამოდგნენ და შეშინებულები უხმოდ ელოდნენ, რით დასრულდება ეს ყველაფერიო; ვარიას თვალები წამონთებოდა, ნინა ალექსანდროვნაზე კი ყოველივე ამას ავადმყოფურად ემოქმედა; ისე ცახცახებდა, თითქოს საცაა გული წაუვაო.

– მაშ, რაკი ასეა, ასი იყოს! დღესვე ასი ათასს დაგილაგებ! პტიცინ, დამეხმარე, ხელს მოითბობ!

პტიცინი უცბად მიუახლოვდა და ხელი სტაცა.

– ხომ არ გაგიჟდი! – ჩაუჩურჩულა ყურში, – გამობრუჟულხარ და არ იცი, რომ ყარაულს მოაყვანინებენ. თავი სად გგონია?

– მთვრალია და ტყუის, – თითქოს აღიზიანებდა ნასტასია ფილიპოვნა.

– არა ვტყუი, არა, მექნება! საღამოს მექნება. პტიცინ, დამეხმარე, შე პროცენტის ჭიავ, რაც გინდა გამომართვი, ოღონდ საღამოსთვის ასი ათასი მიშოვნე; დავამტკიცებ, რომ არაფერზე დავიხევ უკან! – ერთბაშად აღფრთოვანდა როგოჟინი.

– ეს რა ამბებია, ბატონებო? – უეცრივ იყვირა გულმოსულმა არდალიონ ალექსანდროვიჩმა და როგოჟინისკენ გაიწია. აქამდე გაჩუმებული მოხუცის ეს საქციელი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ფრიად სასაცილოც გამოვიდა.

აქა-იქ ფრუტუნი შეიქნა.

– ეს საიდანღა გამოტყვრა – გადაიხარხარა როგოჟინმა, – წამო, ბებერო, ერთი გემოზე გამოგათრობ!

– ო, რა საძაგლობაა! – სირცხვილისა სიბრაზისაგან ლამის ცრემლები მოადგა კოლიას.

– ნუთუ კაცი არაა, ეს უნამუსო აქედან გაიყვანოს! – შეჰკივლა უეცრივ სიბრაზისაგან მთლად აცახცახებულმა ვარიამაც.

– უნამუსოს მე მეძახიან! – ზიზღნარევი სიცილით მოუჭრა პასუხი ნასტასია ფილიპოვნამ, – მე სულელი კი ამათ დასაპატიჟებლად მოვედი! აი, რა აბუჩად მიგდებს, გავრილა არდალიონოვიჩ, თქვენი დაია!

დის საქციელმა განია რამდენიმე ხანს მეხდაცემულივით გაახევა ადგილზე; მაგრამ რა დაინახა, ნასტასია ფილიპოვნა ამჯერად მართლა აპირებს წასვლასო, შეშლილივით ეცა ვარიას და გაცოფებულმა ხელში წაავლო ხელი.

– ეგ რა ჰქენი? – დაუღრიალა მან და ისეთი თვალით შეაცქერდა, თითქოს უნდა იქვე გააქროსო. განიას საბოლოოდ აბნეოდა თავგზა და განსჯის უნარი წართმეოდა.

– რა ვქენი? სად მიმათრევ? ხომ არ გინდა, ბოდიში მოვუხადო, დედაშენს რომ შეურაცხყოფა მიაყენა და შენი ოჯახის თავლაფის დასასხმელად მობრძანდა. შე სულმდაბალო შენა! – უყვირა ისევ ვარიამ და გამომწვევად, გამარჯვებული სახით შეაცქერდა ძმას.

რამდენიმე წამს ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. განიას მისი ხელი კვლავ ხელში ეჭირა. ვარიამ ერთხელ სცადა გამოგლეჯა, მეორედ, ბოლოს ვერ მოითმინა და წონასწორობა დაკარგულმა ერთბაშად სახეში შეაფურთხა ძმას.

– ქალიც ამას ჰქვია! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ, – მომილოცნია, პტიცინ!

განიას თვალთ დაუბნელდა, მთლად დაკარგა გონი, დას მთელი ღონით მოუქნია ხელი და უთუოდ სახეში გაარტყამდა, რომ ვიღაცას უცბად ჰაერში არ გაეჩერებინა მისი ხელი.

განიასა და ვარიას შუა თავადი იდგა.

– კმარა, გეყოფათ! – უთხრა მტკიცედ, მაგრამ მთელი ტანით კი ისე კანკალებდა, როგორც მეტისმეტი ძლიერი აღელვება ააკანკალებს ხოლმე კაცს.

– სულ შენ ხომ არ უნდა მეჩხირებოდე გზაზე, – იბღავლა განიამ, ვარიას ხელი უშვა და იმ განთავისუფლებული ხელით უკიდურესად გაცოფებულმა მთელი ძალით სთხლიშა თავადს სილა.

– ვაიმე, ღმერთო! – ხელები გაასავსავა კოლიამ.

ყოველი მხრივ შემახილები გაისმა. თავადს ფერი დაეკარგა. უცნაური, მოსაყვედურე მზერით შეხედა განიას პირდაპირ თვალებში; ათრთოლებული ტუჩები, რომლებიც რაღაცის თქმას ცდილობდნენ, უცნაურ და სრულიად შეუსაბამო ღიმილს მოეღრიცა.

– ასე იყოს... მის თავს მაინც არ დაგითმობთ!.. – ხმადაბლა წაილაპარაკა ბოლოს; მაგრამ გულმა მაინც ვეღარ გაუძლო, განიას თავი ანება, სახეზე ხელები აიფარა, კუთხეში მიდგა და ათრთოლებული ხმით წარმოთქვა

– ო, როგორ შეგრცხვებათ მაგ საქციელის!

განია მართლაც განადგურებული იდგა. კოლია თავადს მივარდა, გადაეხვია და კოცნა დაუწყო; უკან როგოჟინი, ვარია, პტიცინი, ნინა ალექსანდროვნა, ერთი სიტყვით, ყველანი, ბებერი არდალიონ ალექსანდროვიჩიც კი მიჰყვნენ.

– არა უშავს, არა უშავს! – ლუღლუღებდა თავადი კვლავ უადგილო ღიმილით.

– ინანებს კიდეც! – დაიყვირა როგოჟინმა, – იცოდე, შეგრცხვება, განია, რომ ამისთანა... ამისთანა ცხვარს (სხვა სიტყვა ვეღარ მონახა) აწყენინე! თავადო, გენაცვალოს ჩემი თავი, მიატოვე ეგენი; მიაფურთხე, ჩემთან წამოდი! შეიტყობ, რა სიყვარული იცის როგოჟინმა!

ნასტასია ფილიპოვნაც ძალზე შეაცბუნა განიას საქციელმა და თავადის პასუხმა. ფერმკრთალი, ფიქრიანი სახე, რასაც წეღანდელი ნაძალადევი სიცილი ესოდენ არ უხდებოდა, როგორც ეტყობა, სულ სხვა გრძნობას აეღელვებინა ახლა; მაგრამ მისი დამჩნევა თითქოს მაინც არ უნდოდა და დაცინვა თითქოს მაინც ეძალებოდა სახეზე.

– მართლაც, სადღაც მინახავს მისი სახე! – ამჯერად უკვე დაბეჯითებით ჩაილაპარაკა მან, თავისი წეღანდელი კითხვა მოაგონდა.

– თქვენ კი ვითომ არა გრცხვენიათ! თავს რად იკატუნებთ, განა ეგეთი ხართ! – საყვედურით აღმოხდა უეცრივ თავადს.

ნასტასია ფილიპოვნა ჯერ გაოცდა, მერე ჩაიცინა, მერე თითქოს ამ ჩაცინებით რაღაცას ფარავსო, ცოტა არ იყოს დაბნეულმა შეხედა განიას და სასტუმროდან გავიდა. მაგრამ შესასვლელამდე არც იყო მისული, რომ უცებ გამოტრიალდა, სწრაფად მიუახლოვდა ნინა ალექსანდროვნას, ხელი გამოართვა და ტუჩებთან მიიტანა.

– მე ხომ მართლაც ეგეთი არ ვარ, ეგ მიმიხვდა, – წასჩურჩულა სწრაფად, მხურვალედ, სახე ერთბაშად წამოელანძა, მერე გატრიალდა და ამჯერად ისე სწრაფად გავიდა, რომ ვერავინ მოვიდა აზრზე, რისთვის მობრუნდა უკან. ეს კი დაინახეს, რომ ნინა ალექსანდროვნას რაღაც უჩურჩულა და, მგონი, ხელზეც აკოცა. მაგრამ ვარიამ ყველაფერი დაინახა, გაიგონა და გაკვირვებულმა გააყოლა თვალი. განია გონს მოეგო და გასაცილებლად გაეკიდა ნასტასია ფილიპოვნას, მაგრამ ქალი გასული დაუხვდა; კიბეზე დაეწია მხოლოდ.

– ნუ მაცილებთ! – ამოსძახა ქალმა. – ნახვამდის, საღამოს გელით! გესმით, აუცილებლად!

განია შეცბუნებული, ჩაფიქრებული გამობრუნდა. მძიმე გამოცანა დასწოლოდა გულზე ლოდად, წინანდელზე მეტად მძიმე. თავადიც თვალწინ ედგა... იმდენად იყო გაოგნებული, ისიც კი ძლივს შეამჩნია, როგოჟინის ამფსონებმა რომ ჯგროდ ჩაუარეს გვერდით და ლამის კარებს მიაჭეჭყეს. ისინი როგოჟინს გამოჰყოლოდნენ საჩქაროდ უკან. ყველანი ხმამაღლა ყაყანებდნენ და მსჯელობდნენ რაღაცაზე. თვითონ როგოჟინი პტიცინს მოსდევდა გვერდით და რაღაც მნიშვნელოვან, როგორც ჩანს, გადაუდებელ საქმეზე ეჩიჩინებოდა.

– წააგე, განკა! – გამოსძახა გვერდით ჩავლისას.

განიამ შეშფოთებული მზერა გააყოლა უკან.

XI

თავადმა სასტუმრო დასტოვა და თავის ოთახში ჩაიკეტა. კოლიამ მაშინვე მიაკითხა ნუგეშის საცემად. საწყალ ბიჭს, როგორც ჩანს, უიმისოდ ვეღარ გაეძლო.

– კარგი ჰქენით, რომ წამოხვედით. იქ ახლა წეღანდელზე მეტი ალიაქოთი შეიქნება. ყოველდღე ამ უბედურებაში ვართ, სულ იმ ნასტასია ფილიპოვნას გულისთვის კი.

– აქ ბევრი სხვა რამ სატკივარი და სადარდელი მოგმწიფებიათ, კოლია.

– დიახ, სადარდებელი ბევრია. ჩვენზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ახია ჩვენს თავზე. აი, მე ერთი დიდი მეგობარი მყავს, ის უარეს დღეშია. გინდათ გაგაცნოთ

– ძალიან მინდა. ამხანაგია?

– ჰო, თითქმის ამხანაგია. შემდეგ აგიხსნით ყველაფერს... რა ლამაზია, არა, ნასტასია ფილიპოვნა? აქამდე არ მენახა, თუმცა ძალიან ვცდილობდი კი. პირდაპირ თვალი მომჭრა. განკას ყველაფერს ვაპატიებდი, სიყვარულით რომ მოსდიოდეს; ცუდი ისაა, ფულს რომ იღებს.

– ჰო, თქვენი ძმა მაინცდამაინც არ მომდის თვალში.

– მაშ არა და! მეტადრე იმის შემდეგ... იცით, პირდაპირ ვერ ამიტანია ეს შეხედულებანი. ვიღაც გიჟი ან ჩურჩუტი, ან ჭკუაგადასული არამზადა სილას გაგაწნავს და მერე მთელი შენი დღე და მოსწრება თავმოჭრილმა უნდა იარო, თუ სისხლით არ ჩამოირეცხე, ან მუხლებზე დაჩოქილმა პატიება არ გამოგთხოვა... მე მგონი, ეს უაზრობა და დესპოტიზმია. ლერმონტოვის „მასკარადი“ ამაზეა აგებული, ჩემი აზრით, სისულელეა, ესე იგი, მინდა ვთქვა, რომ ბუნებრივი არაა. მაგრამ მან ხომ თითქმის პატარაობაში დაწერა.

– მე თქვენი დაია მომეწონა ძალიან.

– როგორ მიაფურთხა განკას სახეში, არა ვარია დიდი გამბედავია! თქვენ ხომ არ შეაფურთხეთ, მაგრამ მჯერა, ლაჩრობით არ მოგსვლიათ. აგერ ვახსენეთ და ისიც მოვიდა. ვიცოდი, მოვიდოდა კეთილშობილი გულისაა, თუმცა ნაკლიც აქვს.

– შენ აქ არაფერი გესაქმება, – პირველ ყოვლისა კოლიას დაუტია ვარიამ. – მამასთან გასწი. თავი მოგაბეზრათ ხომ, თავადო?

– სულაც არა, პირიქით.

– ოჰო, დაიწყო ჭკუის სწავლება! სწორედ ეგაა მისი ნაკლი. მე კი მეგონა, მამა უთუოდ როგოჟინს გაჰყვებოდა. ვინ იცის, ნანობს ახლა. წავიდე ერთი, ვნახო, რა დღეშია, – დაუმატა კოლიამ და გავიდა.

– მადლობა ღმერთს, დედაჩემი გავიყვანე და დავაწვინე, ჩხუბი აღარ დაწყებულა. განია შერცხვენილია და ძალზე ჩაფიქრებული განა არა. რა გაკვეთილი მიიღო!.. იმიტომ მოვედი, თავადო, ერთხელ კიდევ მინდა მადლობა მოგახსენოთ და გკითხოთ ნასტასია ფილიპოვნას დღემდე არ იცნობდით?

– არა, არ ვიცნობდი.

– მაშ, რატომ უთხარით პირში, ეგეთი არა ხართო, მგონი, მართლაც კი გამოიცანით, რომ ეგეთი არ უნდა იყოს. თუმცა, მისი ვერაფერი გავიგე! ცხადია, მიზნად შეურაცხყოფა ჰქონდა. წინათაც ბევრი უცნაური გამიგია მასზე. მაგრამ თუ ჩვენს დასაპატიჟებლად მოვიდა, დედას რატომ მოექცა თავიდან ასე? პტიცინი მას კარგად იცნობს, მითხრა, წეღან ვერაფერი გავუგეო. ან როგოჟინის ამბავი რა იყო თუ შენს თავს პატივს სცემ, ასე როგორ უნდა მოიქცე იმის ოჯახში, ვისაც... დედაც ძალიან სწუხს თქვენზე.

– ეგ არაფერია! – ხელი ჩაიქნია თავადმა.

– ან როგორ დაგიჯერათ...

– რაზე ამბობთ?

– რაზე და რომ უთხარით, როგორ არა გრცხვენიათო, უცბად სულ შეიცვალა. მასზე გავლენა გქონიათ, თავადო, – დაუმატა ვარიამ და ოდნავ ჩაიღიმა.

გაიღო კარი და სრულიად მოულოდნელად განიამ შემოაბიჯა. ვარიას დანახვას არც შეუყოყმანებია; ცოტა ხნით კართან შედგა და უეცრივ ჯიქურ მიუახლოვდა თავადს.

– თავადო, საძაგლად მოვიქეცი, მაპატიეთ, გეთაყვა, – უთხრა აღელვებით. მისი სახე ღრმა გულისტკივილს გამოხატავდა. თავადი განცვიფრებით შესჩერებოდა და მაშინვე არ უპასუხა. – ჰო, მაპატიეთ, მაპატიეთ, რაღა! – გაიძახოდა თავისას განია, – გინდათ, ახლავე ხელზე გაკოცებთ. ჯერ მეტისმეტად განცვიფრდა თავადი, მერე უხმოდ მოხვია მკლავები განიას და გულწრფელად გადაკოცნეს ერთმანეთი.

– არ მეგონა, თუ ეგეთი იყავით, – ძლივს მოითქვა ბოლოს თავადმა სული, – მეგონა...

– არ მოვინანიებდი... არა, მაინც საიდან მოვიტანე წეღან, რომ იდიოტი ხართ! იმას ამჩნევთ, რასაც სხვები თავის დღეში ვერ შეამჩნევენ. კაცმა შეიძლება თავისი ყველაფერი გითხრათ, მაგრამ... მაგრამ სჯობს არაფერი ვთქვა!

– აი, ვისთან გაქვთ კიდევ მოსანანიებელი, – მიუთითა თავადმა ვარიაზე.

– არა, აქ ყველა ჩემი მტერია. თავადო, არაერთხელ მიცდია, მაგრამ გულწრფელ პატიებას აქ ნურავისგან ელი! – მხურვალედ წამოსცდა განიას და ვარიას ზურგი აქცია.

– გაპატიებ! – წამოსცდა უცბად ვარიას.

– მაშ, ნასტასია ფილიპოვნასთანაც წამოხვალ ამ საღამოს?

– თუ შენ გინდა, წამოვალ, ოღონდ თვითონ განსაჯე შეიძლება კი ახლა იქ ჩემი მისვლა?

– განა ის ეგეთია. ვერა ხედავ, რა ფოკუსებს გვიწყობს! – ბოროტად გაეცინა განიას.

– მეც ვიცი, რომ ეგეთი არაა და ფოკუსები სჩვევია, მერე და როგორი! ისიც იცოდე, განია, რა თვალით გიყურებს და რად მიაჩნიხარ ვთქვათ, დედას ხელზე აკოცა. ვთქვათ, რაღაც ფოკუსებს აწყობს, მაგრამ შენ ხომ მასხრად აგიგდო! არა, ძმაო, ღმერთმანი, ეგ სამოცდათხუთმეტი ათასი არა ღირს! იმიტომ გეუბნება, ვიცი, მაინც კეთილშობილი გული გაქვს. დამიჯერე, შენც ნუ წახვალ! ფრთხილად, ძმაო! ეგ ამბავი არ შეიძლება კარგად დამთავრდეს!

აღელვებული ვარია ამ სიტყვებით გავიდა გარეთ.

– აი, სულ ასე იციან! – ჩაეცინა განიას, – ნეტა თუ ჰგონიათ, თავად არ მესმის განა მაგათზე მეტი არ ვიცი?

განია დივანზე ჩამოჯდა, ეტყობოდა, ვიზიტის გაგრძელება სურდა.

– თუკი იცით, რომ სამოცდათხუთმეტი ათასი მართლაც არა ღირს, – საკმაოდ გაუბედავად ჰკითხა თავადმა, – მაშ, ასეთი წამება რაზე ირჩიეთ?

– მაგაზე არ მითქვამს, – წაიბურტყუნა განიამ, – მაგრამ ბარემ მითხარით, სწორედ თქვენი აზრი მინდა გავიგო ღირს ეს „წამება“ სამოცდათხუთმეტი ათასი თუ არა?

– მგონია, არა.

– ჰო, რა თქმა უნდა. ასეთი ქორწინებაც სირცხვილია, არა?

– დიდი სირცხვილია.

– ჰოდა, მაშ იცოდეთ, რომ დავქორწინდები, ახლა უსიკვდილოდ დავქორწინდები. წეღან მაინც ვყოყმანობდი, ახლა კი აღარ! ნუღარაფერს მეტყვით! ვიცი, რაც უნდა მითხრათ...

– რაზეც თქვენ ფიქრობთ, იმაზე არ მოგახსენებთ, ოღონდ ეგ თქვენი მეტისმეტი დარწმუნება კი საოცრად მაკვირვებს...

– რა დარწმუნება?

– რომ ნასტასია ფილიპოვნა უთუოდ გამოგყვებათ, რომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ანდა კიდეც რომ გამოგყვეთ, სამოცდათხუთმეტ ათასს მაშინვე ჩაგიჯიბავთ. თუმცა, რასაკვირველია, მე ბევრი რამ არ ვიცი. განია ანაზდად შებრუნდა თავადისკენ.

– რასაკვირველია, არ იცით. აბა, ამოდენა ტვირთს რაზე ავიკიდებდი?

– მგონი, ხშირად ხდება ასე ფულისთვის ირთავენ, ფული კი ცოლს რჩება.

– არა, არა, ჩვენ შორის ეგრე არ მოხდება... აქ... აქ სხვა ამბავია, – წაილუღლუღა შეშფოთებულმა და ჩაფიქრებულმა განიამ და მსწრაფლ დააყოლა – რაც შეეხება მის პასუხს, უკვე ეჭვი არ შეიძლება. საიდან მოიტანეთ, რომ უარს მეტყვის?

– რაც ვნახე, ამის გარდა სხვ არაფერი ვიცი; ვარვარა არდალიონოვნამაც კი ასევე გითხრათ...

– ერთი თქვენც! მაგას იმიტომ ამბობს, რა თქვას, არ იცის, როგოჟინი კი, მერწმუნეთ, მასხრად აიგდო, კარგად შევამჩნიე. ზედვე ეტყობოდა. წეღან შემეშინდა, მერე კი გავერკვიე. ან ის ხომ არა, დედას, მამასა და ვარიას რომ ეგრე მოექცა?

– არც თქვენ მოგექცათ ნაკლებად.

– გეთანხმებით; ოღონდ ეგ დედაკაცური შუღლია და მეტი არაფერი. ეგ ერთი ბღიზიანი, ეჭვიანი და თავმოყვარე ქალია. უჩინოდ დარჩენილი ჩინოვნიკივით ყველაფერზე გამწარებული! ჯერ ერთი, თავის გამოჩენა უნდოდა, მეორეც, ამათთვის დაემტკიცებინა, არაფრად გაგდებთო... რა თქმა უნდა, ჩემთვისაც, რაც მართალია, მართალია, არ უარვყოფ... ოღონდ ცოლად მაინც გამომყვება. თქვენ რა იცით, რას არ ჩაადენინებს კაცს თავმოყვარეობა ეგ მე ახლა უნამუსოდ და ფლიდად მთვლის, რადგან სხვის ხასას ეგრე აშკარად ფულის გულისთვის ვირთავ. მაგან რა იცის, რომ სხვა უფრო უნამუსოდ მოტყუვდება ჩააცივდებოდა და ლიბერალურ-პროგრესულ შეხედულებებს დაუფქვავდა, ნაირ-ნაირ ქალთა საკითხებს გადმოულაგებდა. ჰოდა, ნემსის ყუნწში ძაფივით გააძვრენდა. დააჯერებდა თავმოყვარე ჩურჩუტს (მერე რა იოლად!), რომ „კეთილშობილი, გაუბედურებული ხარ“ და იმიტომ გირთავო, სინამდვილეში კი მაინც ფულის გამო შეირთავდა. იმიტომ არ მოვწონვარ ახლა, რომ კუდს არ ვუქიცინებ; უნდა მექიცინა კი. თვითონ როგორღა იქცევა განა ამასვე არ სჩადის მაშ აბუჩად რაღაც მიგდებს და ამ ფოკუსებს რაღად მიწყობს იმიტომ, რომ ქედს არ ვუხრი და სიამაყეს ვიჩენ. ვნახოთ, ბატონო!

– ნუთუ აქამდე გიყვარდათ?

– კი, მიყვარდა. თუმცა, კმარა... ზოგიერთი ქალი მხოლოდ საყვარლად ვარგა, სხვა არაფრად. იმას არ ვამბობ, ჩემი სიყვარულია-მეთქი. თუ ჭკვიანად იქნება, მეც ჭკვიანად ვიქნები; თუ ყალყზე დადგა, მაშინვე მივატოვებ, ფულს კი წავიღებ. სასაცილოდ არ გავიხდი თავს. ყველაზე მეტად ქვეყნის სასაცილო არ მინდა გავხდე.

– მე კი მგონია, ნასტასია ფილიპოვნა ჭკვიანი უნდა იყოს, – ფრთხილად შეაპარა თავადმა. – თუკი იცის, რა საწამებელიც ელის, მახეში რად ყოფს თავს განა არ შეუძლია, სხვა გამონახოს. აი, რა ვერ გამიგია!

– სწორედ მანდ მარხია ძაღლის თავი! თქვენ ყველაფერი არ იცით, თავადო... ჯერ ერთი, დარწმუნებულია, რომ გაგიჟებით მიყვარს. ღმერთმანი, და, იცით, ეჭვიც მაქვს, რომ თვითონაც ვუყვარვარ; რა თქმა უნდა, თავისებურად. ხომ გაგიგონიათ „რადა ვცემ? მიყვარს და იმიტომო“. შეიძლება მთელი ცხოვრება წკენტის ვალეტად[37] მიგულოს (ვინ იცის, სწორედ ეს სწადია) და მაინც თავისებურად ვუყვარდე, ეგ სამაგისოდ ემზადება, ეგეთი ბუნებისაა, ჩემი მხრივ სიურპრიზს ვუმზადებ. წეღანაც რაც ვარიასთან მომიხდა, შემთხვევით მოხდა, მაგრამ ჩემთვის ხელსაყრელი კია: ახლა დაინახა და დარწმუნდა ჩემს ერთგულებაში, რომ მისი გულისთვის არავის დავინდობ. მაშასადამე, არც ჩვენ ვართ სულელები, ჩემო ბატონო. მართლა ასეთი ყბედი ხომ არ გგონივართ? იქნებ ცუდს ვშვები, გეთაყვა, თავადო, რომ გენდობით; მაგრამ კეთილშობილი პირველი თქვენ შემხვდით და სწორედ იმიტომ მოგაფრინდით, რა თქმა უნდა „მოგაფრინდით-მეთქი“ კალამბურად არ ჩამითვალოთ. წეღანდელზე ხომ აღარ მიწყრებით, ჰა ამ

ორი წლის მანძილზე იქნებ პირველად გადავუშალე სხვას გული, პატიოსან ხალხს აქ ნაკლებად შეხვდებით. პტიცინზე პატიოსანს ვერავის ნახავთ. მგონი, დამცინით, არა განა არ იცით, გაიძვერას რომ პატიოსანი უყვარს მე ხომ... თუმცა სადაური გაიძვერა ვარ, თუ ღმერთი გწამთ ყველა გაიძვერად რატომ მნათლავს ნასტასია ფილიპოვნასავით იცით, რაკი ისინი ასე ამბობენ, მეც გაიძვერას ვემახი თავს! გაიძვეროზაც ეგ იქნება სწორედ!

– გაიძვერად ამას იქით არ ჩაგთვლით, წეღან მართლაც მთლად არაკაცი მეგონეთ, მერე კი უცბად როგორ გამახარეთ, – კარგი გაკვეთილი მომეცით კაცი გამოსცადე და მერე შეაფასე. ახლა ვხედავ, რომ არათუ გაიძვერას, მთლად გაფუჭებულსაც ვერ დაგიძახებთ კაცი. ჩემის აზრით, ერთი ჩვეულებრივი, სუსტი კაცი ხართ, და არც ორიგინალობისა გცხიათ რამე.

განიას გესლიანად ჩაეცინა, მაგრამ კრინტი არ დასძრა. თავადმა შეამჩნია, მისი პასუხი რომ არ ეპრიანა, და ისიც შეცბუნებული დადუმდა.

– მამაჩემმა ფული თუ გთხოვათ? – ჰკითხა ანაზდად განიამ.

– არა.

– თუ გთხოვოთ, არ მისცეთ. მერედა, რა რიგიანი კაცი იყო თავის დროზე; კარგ ხალხშიც ტრიალებდა. არა, რა მალე იჩუტება მაინც ყველა ეს რიგიანი ხალხი სიბერეში! ცოტა თუ შეუტრიალდა მდგომარეობა, მორჩა, ჩამოერეცხა ყველაფერი, მოისპო კაცი. წინათ ასეთი ტყუილები არ იცოდა, მერწმუნეთ; წინათ მხოლოდ მეტისმეტი აღტყინება სჩვეოდა, – ჰოდა, აი, რით დამთავრდა ყველაფერი! ცხადია, ლოთობის ბრალია. იცით კი, რომ საყვარელიც ჰყავს ახლა მარტო უწყინარი ცრუპენტელა არ გეგონოთ. ნეტა დედაჩემს რის მოთმინება აქვს. მამაჩემმა არ გიამბოთ ყარსის აღების შესახებ ან მისმა ტრედანა ცხენმა ენა როგორ ამოიდგა აი, სადამდე მიდის ხანდახან.

განია უეცრივ ლამის სიცილისაგან გადაბჟირდა.

– ეგრე რად მიყურებთ? – ჰკითხა მერე თავადს.

– გამიკვირდა, ასე გულიანად რომ გაიცინეთ. რა ბალღური სიცილი შეგრჩენიათ ისევ. წეღან რომ შემოხვედით შესარიგებლად და მითხარით გინდათ ხელზე გაკოცებთო, სწორედ ბავშვებმა იციან ასე. მაშასადამე, კიდევ შეგძლებიათ ასეთი ლაპარაკი და მოქცევა. უცბად კი მთელი ლექცია გამიბით ამ ბნელ საკითხებზე და ამ სამოცდათხუთმეტ ათასზე. გამოგიტყდებით და რაღაც არ ებმის ერთმანეთს.

– ამით, რა გინდათ თქვათ?

– ის, რომ მეტისმეტად მოუფიქრებლად ხომ არ იქცევით, ხომ არ სჯობია, ჯერ აწონ-დაწონოთ ვარვარა არდალიონოვნა იქნებ მართალიც იყოს.

– ოჰო, ზნეობაზე დამიწყეთ ახლა! ჯერ რომ ლაწირაკი ვარ, ეგ მეც ვიცი, – ფიცხად გააწყვეტინა განიამ, – თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი საუბარი გაგიბათ. იცით, თავადო, ანგარიშით არ დავდგომივარ ამ ბნელეთის გზას, – წამოსცდა მას, როგორც თავმოყვარეობაშელახულ ყმაწვილებს სჩვევიათ ხოლმე, – ანგარიშით რომ იყოს, უთუოდ შევცდებოდი, რადგან არც ხასიათი მაქვს ჯერ დიდი მაგარი და ვერც ჭკუით დავიტრაბახებ. მე ჩემს გატაცებას, ჩემს გულისთქმას მივსდევ, ვინაიდან კაპიტალური მიზანი მაქვს დასახული. თქვენ გგონიათ, როგორც კი სამოცდათხუთმეტ ათასს მივიღებ, მაშინვე კარეტას ვიყიდი. არა, მე მაშინ სამი წლის ნახმარ სერთუკს ჩავიცვამ და ყველა ჩემს კლუბის ნაცნობს ჩამოვეცლები. საქმე ბოლომდე რომ მიიყვანოს, ისეთ კაცს ნაკლებად ნახავ ჩვენში, თუმცა ყველა მევახშეობს, მე კი მინდა ბოლომდე მივიყვანო. აქ მთავარია, ბოლომდე მისდიო – მთელი ამოცანა ესაა! პტიცინი ჩვიდმეტი წლის რომ იყო, ქუჩაში ეძინა, ჯაყვებით ვაჭრობდა, კაპიკიდან დაიწყო; ახლა კი სამოცი ათასის

პატრონია, მაგრამ რა ვარჯიშის შედეგად! სწორედ ამ ვარჯიშს მინდა გადავახტე და პირდაპირ კაპიტალით დავიწყო; გავა თხუთმეტი წელი და იცით, რას იტყვიან! „აგერ ივოლგინი, მეუფე ჰურიათაი[38] მობრძანდებაო“. თქვენ მითხარით, ორიგინალური კაცი არ ხარო. იცით, ჩემო კარგო, ჩვენი დროისა და ჩვენი ჯილაგის ხალხს იმაზე მეტად არაფერი შეურაცხყოფს, როგორც იმის თქმა, ორიგინალური კი არა, ერთი სუსტი, ჩვეულებრივი ნიჭის კაცი ხარო. წეღან ლაზათიან არამზადადაც არ ჩამთვალეთ, იცით კი, ამის გულისთვის ცოტა გაწყდა არ შეგჭამეთ. თქვენ მე ეპანჩინზე მეტი შეურაცხყოფა მომაყენეთ, რომელსაც ჰგონია (არ დაივიწყოთ, ამაზე არც ლაპარაკი გვქონია, არცთუ ვუცთუნებივარ, თავისი გულუბრყვილობით მოსდის), მე შემიძლია ცოლი მივყიდო! ეს უკვე დიდი ხანია ჭკუაზე მშლის, და ფულიც ამიტომ მინდა. ფული თუ მექნა, იცოდეთ, ყველაზე მეტად ორიგინალური ვიქნები. ფულია ყველაფერზე საზიზღარი და საძულველი, რომ ის ნიჭსაც აძლევს ადამიანს და მისცემს კიდეც, ვიდრე ეს ქვეყანა იარსებებს. იტყვით, ეგ სულ ბალღობააო, ან ეგებ პოეზიადაც მონათლოთ, – მერე რა, მაშ, ბარაქალა მე! საქმე მაინც გაიჩარხება. გავჩარხავ და დავაგვირგვინებ კიდეც, rira bien qui rira le dernier![39] ეპანჩინი რატომ მექცევა ასე აგდებით ბოროტებით მოსდის ვითომ არა, ბატონო, არარაობას წარმოვადგენ და იმიტომ. ჰოდა, მაშინ კი... თუმცა, კმარა, მოვრჩეთ უკვე. კოლიამ აგერ ორჯერ შემოჰყო ცხვირი სადილად გიწვევთ ალბათ. მე კი წასასვლელი ვარ. ხანდახან შემოგივლით ხოლმე. ჩვენსა კარგად იგრძნობთ თავს; ახლა პირდაპირ ნათესავებში ჩაგწერენ. არ გამთქვათ, იცოდეთ. მგონი, ჩვენ ან მეგობრები, ან მტრები ვიქნებით. როგორ ფიქრობთ, თავადო, წეღან რომ თქვენთვის ხელზე მეკოცნა (გულწრფელად კი გითხარით) შემდეგში მტრად გაგიხდებოდით?

– უთუოდ გამიხდებოდით, ოღონდ მერე გული ვერ გაგიძლებდათ და შემინდობდით, – გადაწყვიტა მცირე ჩაფიქრების შემდეგ თავადმა და გაიცინა.

– ოჰო! თურმე თქვენთან ფრთხილად უნდა იყოს კაცი. ეშმაკმა იცის, აქაც რა შხამი ჩააწვეთეთ. თუმცა, ვინ იცის, ეგებ ჩემი მტერი იყოთ ჰო, ბარემ, ჰა-ჰა-ჰა! დამავიწყდა მეკითხა მართლა მოგწონთ ნასტასია ფილიპოვნა, თუ მომეჩვენა?

– დიახ... მომწონს...

– გულიც შეგივარდათ?

– აა-რა.

– გაწითლდით კი და შეწუხდით. არაფერია, არაფერი, აღარ დაგცინებთ; ნახვამდის. იცით კი, რომ ის პატიოსანი ქალია, დაიჯერებთ ამას? გგონიათ, იმ ტოცკისთან ცხოვრობს? აპაპა! უკვე რა ხანია – არა. ისიც თუ შეამჩნიეთ, ზოგჯერ რა დაბნევა იცის, ან წეღან რამდენჯერმე რომ დაირცხვინა მართლა, მართლა! აი, სწორედ ეგეთებს უყვართ ბატონობა. აბა, კარგად მენახეთ!

ახლა უკვე დაარხეინებული გავიდა განეჩკა და გუნებაც გამოუკეთდა. ათიოდე წუთს თავადი გაუნძრევლად იჯდა, ფიქრებს წაეღო.

კოლიამ ისევ შემოჰყო თავი.

– სადილი არ მინდა, კოლია. წეღან ეპანჩინებთან კარგად ვისაუზმე.

კოლია შემოვიდა და თავადს დაბეჭდილი ბარათი გადასცა, რომელიც გენერალს გამოეგზავნა. სახეზე ეწერა, რაოდენ უმძიმდა მისი მოცემა. თავადმა წაიკითხა, წამოდგა და ქუდი აიღო.

– ორ ნაბიჯზეა, – აწრიალდა კოლია. ახლა იქ უზის ღვინოს. არ ვიცი პირდაპირ, რისი იმედით აძლევენ ნისიად თავადო, გეთაყვა, ნუ ეტყვით ჩვენებს, რომ ბარათი გადმოგეცათ. ათასჯერ დავიფიცე, ამ ბარათებს აღარ წამოვიღებ-მეთქი, მაგრამ მეცოდება; იცით, დიდად ნუ მოებოდიშებით, გეთაყვა; ერთი-ორი კაპიკი მიეცით და კმარა.

– სწორედ მაგას ვფიქრობდი, კოლია, მამათქვენის ნახვა მჭირდება... ერთი ამბის გამო... მაშ, წავიდეთ...

XII

კოლიამ იქვე ახლოს, ლიტეინაიას ქუჩაზე მიიყვანა თავადი, ერთ კაფე-საბილიარდოში, რომელიც ქვედა სართულში იყო მოთავსებული და შესასვლელი ქუჩიდან ჰქონდა. იქ, მარჯვნივ, ცალკე ოთახის კუთხეში დიდი ხნის მუშტრის კვალობაზე გამოჭიმულიყო არდალიონ ალექანდროვიჩი, წინ მაგიდაზე ბოთლი ედგა და მართლაც „Independance Belge“ ეჭირა ხელში. თავადს უცდიდა. მის დანახვაზე გაზეთი მყისვე გადადო და გაცხარებით მოუყვა თავისი ამბები, თუმცა თავადმა მისი თითქმის ვერაფერი გაიგო, რამეთუ გენერალი უკვე მიეღო უფალს.

– ათი მანეთი არა მაქვს, – გააწყვეტინა თავადმა, – აგერ ოცდახუთმანეთიანი ინებეთ, გადაახურდავებინეთ და თხუთმეტი მანეთი დამიბრუნეთ. მეც უკაპიკოდ ვრჩები.

– ო, უეჭველად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ საათშივე...

– გარდა ამისა, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, გენერალო, ნასტასია ფილიპოვნასთან თუ ყოფილხართ?

– მე მე თუ ვყოფილვარ? ამას მე მეუბნებით არაერთგზის, ჩემო კარგო, არაერთგზის! – შესძახა გენერალმა გულზვიადად და ირონიულად, – მაგრამ ბოლოს თვითონვე ავიკვეთე ფეხი, რადგან არ მსურს უწესო ქორწინებას შევუწყო ხელი. ხომ ნახეთ თქვენი თვალით, ხომ მოწმე იყავით ამ დილას მე ყველაფერი ვცადე, რაც მამას ძალუძს, კეთილსა და შემწყნარე მამას; ახლა სხვა მამა გამოვა სცენაზე და მაშინ ვნახოთ ბებერი, ღვაწლმოსილი მეომარი დასძლევს ინტრიგას, თუ უნამუსო კამელია შემოაბიჯებს უკეთილშობილეს ოჯახში.

– მე კი სწორედ იმის თხოვნა მინდოდა, ამ საღამოს ნასტასია ფილიპოვნასთან ხომ არ გამყვებით-მეთქი, აუცილებელი საქმე მაქვს; ოღონდ არ ვიცი, როგორ მივიდე. წეღან გამაცნეს, მაგრამ დაპატიჟებული არა ვარ დღეს კი წვეულება ჰქონია, თუმცა, ოღონდაც იქ მოვხვდე და წესებს აღარ დავეძებ, სასაცილოდაც რომ ამიგდონ.

– სწორედ მიმიხვდით გულისთქმას, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, – შესძახა აღტაცებით გენერალმა, – განა მართლა ამ ხურდის გულისთვის მოგიხმეთ! – განაგრძო მან, თუმცა ფულს ხელი სტაცა და ჯიბისკენ გააქანა, – სწორედ იმიტომ გიხმეთ, ერთად გაგვეწია ნასტასია ფილიპოვნასაკენ სალაშქროდ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ნასტასია ფილიპოვნაზე სალაშქროდ! გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი! ჰა, როგორ მოეწონება! მე კი, დაბადების დღეზე ვითომდა მისალოცად მისული, ბოლოს და ბოლოს ჩემს ნება-სურვილს ვაუწყებ. მოიარებით, პირდაპირ არა, მაგრამ ისე კი, პირდაპირ ნათქვამი იქნება. მაშინ განიაც დაინახავს, რა გზას დაადგეს დამსახურებული მამა... ასე ვთქვათ... და სხვადასხვა, თუ... მაგრამ რაც არის, არის! თქვენი იდეა უაღრესად ხელსაყრელია. ცხრა საათისთვის გავწიოთ, დრო კიდევ დაგვრჩა.

– სად ცხოვრობს?

– აქედან შორია მიტოვცევას სახლში დგას, დიდ თეატრთან, თითქმის ზედ მოედანზე, ბელეტაჟში... დიდი წვეულება არ ექნება, თუმცა დაბადების დღე აქვს; ადრეც დაიშლებიან...

დღე რა ხანია მიიწურა. თავადი ისევ კაფეში იჯდა, გენერალს უცდიდა და მის გაუთავებელ ანეგდოტებს ისმენდა, რომლიდანაც ვერც ერთი ვერ დაებოლოებინა გენერალს. თავადის

მოსვლის შემდეგ მან კიდევ ერთი ბოთლი მოატანინა, მის დამთავრებას ერთი საათი მოუნდა, მერე კიდევ ერთი მოითხოვა და ისიც ბოლომდე გამოცალა. უნდა ვიფიქროთ, ამ ხანში გენერალმა თითქმის მთელი თავისი თავგადასავლის მოყოლა მოასწრო. ბოლოს, თავადი წამოდგა და უთხრა, მეტი ცდა აღარ შემიძლიაო. გენერალმა ბოლომდე გამოწრუპა ბოთლში ჩარჩენილი, წამოდგა და ბანცალ-ბანცალით გავიდა ოთახიდან. ეს რა მომივიდა, ასე სულელურად როგორ ვენდეო, ვერ ეპატიებინა თავისთვის თავადს. სინამდვილეში, არც ჰქონია მისი ნდობა. ოღონდაც იმ იმედით იყო, იქნება გენერლის წყალობით როგორმე შევიდე ნასტასია ფილიპოვნასთან, თუნდაც ცოტა სასკანდალო გამოვიდესო, მაგრამ აურზაურის ატეხას ერიდებოდა. გენერალი კი ისე იყო უკვე გალეშილი, ენამზეობის საღერღელი აშლოდა და გაუჩერებლივ ქაქანებდა გრძნობამორეული და გულაჩუყებული. გაიძახოდა, ჩემიანების ურიგო ქცევით ოჯახი თავზე მენგრევა და დროა ამას ბოლო მოვუღოო. ამასობაში, როგორც იქნა, ლიტვინაიაზე გააღწიეს. ჰაერში ჯერ კიდევ სითბო ტრიალებდა. გულის გამაწყალებელი თბილი, წვიმიანი ქარი დაზუზუნებდა ქუჩებში, ეტლები ტალახში მიჯაყჯაყებდნენ. გამვლელები – მჭმუნვარე, გაზუნზლული ჯგროო ტროტუარებზე მიეხეტებოდა. შიგადაშიგ მთვრალებიც ერივნენ.

– ხედავთ ამ განათებულ ბელეტაჟებს, – ქაქანებდა გენერალი, – აქ სულ ჩემი ამხანაგები დგანან, მე კი, ყველაზე დამსახურებული და ყველაზე ნაწამები, ფეხით მივჩანჩალებ ახლა დიდი თეატრისაკენ ვიღაც საეჭვო ქალთან! მე, ვისაც ცამეტი ტყვიით დაცხრილული მაქვს მკერდი... არ გჯერათ მე, ვისი გულისთვისაც პიროგოვმა პარიზში ტელეგრაფით აცნობა და ალყაშემორტყმული სევასტოპოლი დროებით დატოვა,[40] ხოლო პარიზელმა გოფმედიკმა ნელატონმა[41] თავისუფალი საშვები რის ვაივაგლახით გამოსწირა მეცნიერების სასახელოდ და ალყაშემორტყმულ სევასტოპოლს ეწვია ჩემ გასასინჯად. უმაღლესმა მთავრობამ დიახაც იცის ეს ამბავი „ოჰ, ეს ის ივოლგინია, ცამეტი ტყვია რომ უზის მკერდშიო!“ აი, რას ამბობენ ჩემზე! ხედავთ, თავადო, ამ სახლს ამ ბელეტაჟში ჩემი ძველი ამხანაგი, გენერალი სოკოლოვიჩი დგას, თავისი უკეთილშობილესი და დიდზე დიდი ოჯახით. აი, ეს ოჯახი, ნევსიკზე კიდევ სამი და მორსკოიზეც ორი – გახლავთ ახლა ჩემი ნაცნობების წრე, ესე იგი პირადად ჩემი. ნინა ალექსანდროვნა დიდი ხანია უკვე დამორჩილდა ბედისწერას. მე კი მაინც არ ვეშვები ძველს... და, ასე ვთქვათ, სულს ვიბრუნებ წინანდელი მეგობრებისა და ხელქვეითების განათლებულ საზოგადოებაში, მე ხომ ისინი აქამდე მაღმერთებენ. ეს გენერალი სოკოლოვიჩი... (თუმცა კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარ მასთან და ანა ფიოდოროვნა არ მინახავს)... იცით, ჩემო კარგო, როცა შენ ვერავის პატიჟებ, უნებურად თვითონაც ამოიკვეთავ ფეხს. მაგრამ... ჰმ... მგონი, არ გჯერათ ჩემი... თუმცა, ვითომ რატომ არ შემიძლია ჩემი საუკეთესო მეგობრისა და სიყრმის ამხანაგის ვაჟი ამ მშვენიერ ოჯახში შევიყვანო გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი! ჰა, როგორ ისმის! იქ შეხვდებით გასაოცარ ქალიშვილს, მერე განა ერთსა და ორს, დედაქალაქის და საზოგადოების მშვენებით სილამაზე თქვით, განათლება, აზრის მიმართულება... ქალთა საკითხი, ლექსები, ყველა ერთად შერწყმული და შეზავებული, საბედნიეროდ, ოთხმოცი ათასი მანეთის მზითევზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც ხელს არ უშლის არავითარ ქალთა თუ სოციალურ საკითხებს... ერთი სიტყვით, აუცილებლად უნდა გაგაცნოთ და მოვალეც ვარ გაგაცნოთ ის ოჯახი. გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი! ჰა, როგორია!

– ახლა ამ წუთს! ხომ არ დაგავიწყდათ... – წამოიწყო თავადმა.

– არაფერიც არ დამვიწყებია, წამომყეთ! აქ, ამ დიდებულ კიბეზე ამოდით. მიკვირს, შვეიცარი რომ არ დგას, მაგრამ... უქმეა და შვეიცარიც იმიტომ წასულა. ეგ ლოთი ჯერაც არ გაუგდიათ. ეგ

სოკოლოვიჩი, რომ იცოდეთ, მთელ თავის ბედნიერებასა და თავის ადგილს მე უნდა მიმადლოდეს, მხოლოდ მე, სხვას არავის, მაგრამ... აგერ მოვსულვართ კიდეც.

თავადი აღარ შეესიტყვა და მორჩილად მიჰყვა გენერალს, არ გავაგულისოო; დიდი იმედი ჰქონდა, რომ გენერალი სოკოლოვიჩი და მისი ოჯახი ნელ-ნელა მირაჟივით გაქრებოდა და არარსებული აღმოჩნდებოდა. ასე რომ არხეინად დაბრუნდებოდნენ უკან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იმედი თანდათან გაუქარწყლდა გენერალი ისე მიუძღოდა კიბეზე, თითქოს მართლაც ჰყოლოდა აქ ნაცნობები, და თან მათემატიკური სიზუსტით სავსე ბიოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ წვრილმანებს ურთავდა გზადაგზა. ბოლს ბელეტაჟში ავიდნენ და ერთი მდიდრული ბინის კარების მარჯვნივ გაჩერდნენ. გენერალი ზარის სახელურს წაეტანა და თავადმაც ის იყო გაქცევა დააპირა, რომ ერთმა უცნაურმა გარემოებამ შეაჩერა და გენერალს უთხრა:

– შემცდარხართ, გენერალო, კარზე კულაკოვი აწერია, თქვენ კი სოკოლოვიჩთან რეკავთ.

– კულაკოვიო... კულაკოვი არაფერსაც არ ნიშნავს. სოკოლოვიჩის ბინა გახლავთ და მეც სოკოლოვიჩთან ვრეკავ; ფეხებზე მკიდია კულაკოვი... აგერ, გაგვიღეს კიდეც.

კარი მართლაც გაიღო. ლაქიამ გამოიხედა და მოახსენა, ბატონები შინ არ ბრძანდებიანო.

– აფსუს, აფსუს, – ღრმა დანანებით გაიმეორა არდალიონ ალექსანდროვიჩმა რამდენჯერმე, – მაშ, გადაეცით, ჩემო კარგო, გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი გეახლენ-თქო თავისი პატივისცემის გამოსახატავად და მეტისმეტად, მეტისმეტად გული დაწყდათ-თქო...

ღია კარში ამ დროს კიდევ ერთმა არსებამ გამოიხედა, რომელიც ეკონომი თუ გუვერნანტი უნდა ყოფილიყო, ასე ორმოციოდე წლისა, თალხ კაბაში გამოწყობილი. გენერალ ივოლგინისა და თავად მიშკინის გვარები რომ გაიგონა, ცნობისმოყვარე და დაეჭვებული სახით მოადგა კარებს.

– მარია ალექსანდროვნა შინ არ გახლავთ, – წარმოსთქვა მან და განსაკუთრებით გენერალს დააკვირდა, – ის და პატარა ქალბატონი ალექსანდრა მიხაილოვნა ბებიასთან წაბრძანდნენ.

– ალექსანდრა მიხაილოვნაც მათ წაჰყოლია, ღმერთო ჩემო, რა სამწუხაროა! ბედი რომ არ ექნება კაცს, სწორედ ეს არის. უმორჩილესად გთხოვთ, ქალბატონო, ჩემი სალამი გადასცეთ, ალექსანდრა მიხაილოვნას კი უთხარით, გაიხსენოს... ერთი სიტყვით, გადაეცით ჩემი გულითადი სურვილი, აღსრულებოდეთ ის, რაც ხუთშაბათ საღამოს შოპენის ბალადის დაკვრისას ინატრეს; ახსოვთ ალბათ... ჩემი გულითადი სურვილი, დიახ! გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი-თქო!

– არ დამავიწყდება, – ახლა უკვე ნდობით უკრავდა თავს ქალიც.

კიბეზე ჩამოსვლისას გენერალი გულს იწყვეტდა და სინანულს გამოთქვამდა, რომ შინ არავინ დახვდათ და თავადმა ესოდენ მომხიბვლელი ხალხი ვეღარ გაიცნო.

– მე, ჩემო კარგო, ცოტა არ იყოს, სულის პოეტი ვარ, არ ვიცი, შემნიშნეთ თუ არა. თუმცა... თუმცა, მგონი, სულაც იქ არ მივსულვართ, – დაასკვნა უეცრივ სრულიად მოულოდნელად, – ახლა გამახსენდა, სოკოლოვიჩები სულ სხვა სახლში დგანან და, მგონი, სულაც მოსკოვში უნდა იყვნენ წასულნი. ჰო, შევცდი, მაგრამ... მაგრამ ეს არაფერია.

– ნეტავ სულ ხომ არ დავკარგო თქვენი იმედი და მარტო ხომ არ გავუდგე გზას? – მწუხარებით შენიშნა თავადმა.

– დაკარგოთ იმედი მარტო მაგრამ რისი გულისთვის, როცა ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს და მთელი ჩემი ოჯახის ბედი ამაზე ჰკიდია არა, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, ცუდად გიცნიათ ივოლგინი. ვისაც „ივოლგინის“ სახელი უხსენებია, იმას „დედაბოძი“

უგულისხმია მუდამ ივოლგინის ისეთი იმედი გქონდეს, როგორც დედაბოძისაო, აი, რას ამბობდნენ ჩემზე ჯერ კიდევ ესკადრიონში, სადაც სამსახური დავიწყე პირველად. ოღონდაც მხოლოდ წუთით უნდა შემომყვეთ ერთ ოჯახში, აგერ გზაზეა, სადაც სულით და გულით ვისვენებ, ეს რამდენიმე წელია, ამდენი მღელვარებისა და უბედურების შემდეგ.

– შინ წასვლა გინდათ?

– არა! მე... მე კაპიტნის ცოლთან, ტერენტიევასთან მინდა შევიარო, ჩემი ყოფილი ხელქვეითის... ასე გასინჯეთ, მეგობრის... კაპიტან ტერენტიევის ქვრივთან... აქ, კაპიტნის ცოლთან მიბრუნდება სულის მხნეობა და აქ ვიოხებ გულს საოჯახო თუ სხვა რამ დარდებისაგან... ჰოდა, რაკი დღეს სწორედ დიდი ზნეობრივი ელდა ვიწვნიე...

– მე მგონი, ისედაც დიდი სისულელე იყო, წეღან რომ შეგაწუხეთ, – ჩაიბურტყუნა თავადმა, – თანაც თქვენ ახლა... კარგად ბრძანდებოდეთ!

– მაგრამ მე არ ძალმიძს, დიახ, არ ძალმიძს თქვენი გაშვება, ჩემო მეგობარო, – შეწრიალდა გენერალი, – ეს ქვრივი, ეს ოჯახის დედა ყოვლად ნაზ სიმებს მიჟღერებს გულში. მასთან სულ ხუთი წუთით შევივლით, ამ ოჯახში მე ცერემონიები არ მჭირდება, თითქმის შინაური ვარ; დავიბან, გამოვეწყობი, როგორც საჭიროა, და მერე ეტლით გავსწიოთ დიდი თეატრისაკენ. დამიჯერეთ, მთელი საღამო ვერ მოგიცილებთ... აი, ამ სახლშია, მოვსულვართ კიდეც... ოჰო, შენც აქ ყოფილხარ, კოლია რაო, მარფა ბორისოვნა შინაა, თუ შენც ეს-ესაა მოხვედი?

– ო, არა, – მიუგო კოლიამ, რომელიც მათ ალაყაფის კარში შეეფეთათ, – რა ხანია აქა ვარ, იპოლიტთან. დღეს უფრო ცუდად არის, დილით იწვა კიდეც. ახლა კარტის მოსატანად ვიყავი წასული დუქანში. მარფა ბორისოვნა გელით. თუმცა, მამილო, ეს რა დღეში ხართ!.. – შენიშნა კოლიამ, როცა გენერლის სიარულს დააკვირდა. – რაღა გაეწყობა, წავიდეთ!

კოლიას ნახვამ გადააწყვეტინა თავადს, ერთი წუთით მარფა ბორისოვნასთანაც აჰყოლოდა გენერალს, ვინაიდან კოლია სჭირდებოდა; გენერალი კი, გადაწყვეტილი ჰქონდა, მიეტოვებინა. აქამდე ვერ ეპატიებინა თავისთვის, გენერლის იმედზე ყოფნა რამ მაფიქრებინაო.

რის ვაივაგლახით ააღწიეს მეოთხე სართულზე უკანა კიბით.

– თავადი გინდათ გააცნოთ? – ჰკითხა კოლიამ გზაში.

– ჰო, ჩემო მეგობარო, მინდა გავაცნო გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი! მაგრამ... მარფა ბორისოვნა რასა... იქმს, ჰმ?..

– იცით, მამილო, გირჩევნიათ, არ მიხვიდეთ! შეგჭამთ! მესამე დღეა არ გაკარებიხართ, ის კი ფულს ელის. ფულს რაღად შეპირდით სულ ასე იცით ხოლმე! ახლა თვითონვე გაუსწორდით!

მეოთხე სართულზე ერთ დაბალ კართან შეჩერდნენ. გენერალი, ეტყობა, შიშმა აიტანა და თავადი წინ გაუშვა.

– მე კი აქ დავრჩები, – ბურტყუნებდა ის, – სიურპრიზი მინდა მოვუწყო...

კოლია პირველი შევიდა. კარებში ერთმა ფერუმარილით შეთხიპნილმა ორმოციოდე წლის ქალმა გამოჰყო თავი, რომელსაც ჯუბა მოესხა, ტუფლები ეცვა, თმა კი ნაწნავებად დაეწნა. ასე რომ, გენერლის სიურპრიზიც მოულოდნელად გაქარწყლდა.

– აგერ, ეს სულმდაბალი და ვერაგი კაციც, განა არა, გული მითქვამდა! – შეჰკივლა ქალმა გენერლის დანახვაზე.

–შევიდეთ, ეს ისე, უბრალოდ, – ბურტყუნებდა გენერალი და ვითომ მიამიტად ხითხითებდა პასუხად.

მაგრამ ისე უბრალოდ არ იყო საქმე. დაბალი, ბნელი დერეფანი რომ გაიარეს და ვიწრო დარბაზში შევიდნენ, სადაც ნახევარი დუჟინი მოწნული სკამი და ორი ბანქოს სათამაშო მაგიდა იდგა, დიასახლისმა მყის ჩვეული, რაღაც დაზეპირებული მოთქმის კილოზე განაგრძო:

– არა გრცხვენია, შე ბარბაროსო და ჩემი ოჯახის ტირანო, შე ბარბაროსო და ურჯულკო! სულით ხორცამდე გამცალე, სისხლი გამომწოვე და ამასაც არ სჯერდები! სანამდე უნდა გითმინო, შე უსირცხვილო და უნამუსო, შენა!

– მარფა ბორისოვნა, მარფა ბორისოვნა! ეს... ეს თავადი მიშკინი გახლავთ. გენერალი ივოლგინი და თავადი მიშკინი, ჰა! – ლუღლუღებდა აცახცახებული და დავთარაბნეული გენერალი.

– დამიჯერეთ, – ახლა თავადს მიუბრუნდა კაპიტნის ცოლი, – ამ უსინდისო კაცმა ჩემი ობლებიც არ დაინდო! ყველაფრიდან გამცალა, ყველაფერი წამართვა, ყველაფერი გამიყიდა და დააგირავა, არაფერი შემარჩინა. იმ შენ თამასუქებს რა უნდა ვუქნა, შე მზაკვარო და უსინდისო კაცო მითხარი, თაღლითო, მიპასუხე, შე გაუმაძღარო რა ვაჭამო ამ ჩემს ობლებს აგერ, მთვრალი მოეთრა, ფეხზე ძლივსა დგას... ისეთი რა შევცოდე ღმერთს, შე სულმდაბალო და უგვანო თაღლითო, მითხარი ერთი მაგრამ გენერალს აღარაფრის თავი არ ჰქონდა.

– მარფა ბორისოვნა, აი, ოცდახუთი მანეთი... სულ ესაა, რაც უკეთილშობილესი მეგობრის შემწეობით შემიძლია. თავადო! უღმერთოდ შევცდი! ასეთია... წუთისოფელი... ახლა კი... მაპატიეთ, ვერა ვარ კარგად, – განაგრძობდა გენერალი, რომელიც შუა ოთახში იდგა და ხან აქეთ, ხან იქით აქიცინებდა თავს. – კარგად ვერა ვარ, მაპატიეთ! ლენოჩკა! ბალიში, ჩემო კარგო!

რვა წლის ლენოჩკამ მყისვე მოურბენინა ბალიში და მუშამბაგადაკრულ, ხმელ, დაგლეჯილ დივანზე დაუდო. გენერალი ჯერ ჩამოჯდა, იმ განზრახვით, კიდევ ბევრი ელაპარაკა და ეთქვა, მაგრამ დივანს შეეხო თუ არა, მაშინვე წაწვა, კედლისკენ გადაბრუნდა და ტკბილ ძლს მიეცა. მარფა ბორისოვნამ დიდის პატივით ბანქოს მაგიდასთან მდგარ სკამზე მიუთითა თავადს, თვითონ პირდაპირ დაუჯდა მწუხარე სახით. მარჯვენა ლოყაზე ხელი შემოიდო, თავადს შეაცქერდა და უსიტყვო ოხვრას მოჰყვა. მისი შვილები, ორი გოგო და ერთი ბიჭი, – ლენოჩკა მათში ყველაზე მოსწრებული იყო, – მაგიდას მოადგნენ, სამთავემ მაგიდაზე ჩამოაწყო ხელები და თავადს შეაშტერდნენ. მეორე ოთახიდან კოლია გამოჩნდა.

– რა მიხარია, აქ რომ გნახეთ, კოლია, – მიუბრუნდა მას თავადი, – ხომ არ დამეხმარებით? აუცილებლად უნდა მივიდე ნასტასია ფილიპოვნასთან. წეღან არდალიონ ალექსანდროვიჩს ვთხოვე, მაგრამ, ხომ ხედავთ, დაიძინა. გამაცილეთ, გეთაყვა, არც ქუჩები ვიცი და არც გზა. თუმცა მისამართი კი მაქვს. დიდ თეატრთან დგას თურმე, მიტოვცევას სახლში.

– ნასტასია ფილიპოვნა თავის დღეში არ უცხოვრია დიდ თეატრთან და თუ გინდათ იცოდეთ, არც მამაჩემი ყოფილა არასოდეს მასთან. საკვირველია, რას გამოელოდით მისგან. ნასტასია ფილიპოვნა ვლადიმირსკაიას ახლოს ცხოვრობს, აქედან ეს უფრო ახლოა. ახლავე გინდათ ათის ნახევარია უკვე. ბატონი ბრძანდებით, წაგიყვანთ. თავადი და კოლია მაშინვე გამოვიდნენ. ვაი, რომ თავადს მეეტლის ფულიც აღარ დარჩა და ფეხით უნდა გადგომოდნენ გზას.

– იპოლიტი მინდოდა თქვენთვის გამეცნო, – უთხრა კოლიამ, – ამ ჯუბიანი ქალის, კაპიტნის ცოლის უფროსი ვაჟია. მეორე ოთახში იყო, ავადაა და მთელი დღე წევს; მაგრამ, იცით, რა უცნაურია და ფხუკიანი. ამ ამბავზე რომ შემოუსწარით, ვიფიქრე, თქვენი არ შერცხვეს-მეთქი... მე მაინც ისე არ მრცხვენია, რაც უნდა იყოს, ჩემი მამაა, მისი კი დედა, მაინც განსხვავებაა; მამაკაცისათვის ეს ამბავი ისე სათაკილოდ არ ითვლება. თუმცა, ეგებ ესეც ცრურწმენა იყოს, ამ შემთხვევაში სქესთა დომინირება. იპოლიტი შესანიშნავი ბიჭია, ოღონდაც ზოგ რამეში ძველის მონაა...

– ჭლექი სჭირსო, ამბობთ, არა?

– დიახ, და რაც მალე მოკვდება, მისთვის უკეთესია. მის ადგილზე რომ ვიყო, აუცილებლად სიკვდილს ვინატრებდი, ოღონდაც თავისი პატარა და-ძმა ეცოდება. საშუალება რომ იყოს და ფული გვქონდეს, მე და ის ცალკე ბინას ვიქირავებდით, ჩვენს ოჯახებს აღარ გავეკარებოდით. ჩვენი ნატვრა ესაა. იცით, წეღან თქვენი ამბავი რომ ვუამბე, გულიც კი მოუვიდა, მითხრა, ვინც სილას შეარჩენს და დუელში არ გამოიწვევს, არამზადააო. თუმცა, საოცრად გაგულისებულია, ამიტომ კამათში აღარ ავყვები ხოლმე. მაშასადამე, ნასტასია ფილიპოვნამ თქვენც დაგპატიჟათ?

– საქმეც ეგაა, რომ არა.

– მერედა, რაღას მიდიხართ? – შესძახა კოლიამ და შუა ტროტუარზე შეჩერდა. – ისიც ასე ჩაცმული, იქ ხომ წვეულებაა.

– ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ შევალ. მიმიღებენ – კარგია, არადა, მაშასადამე, არ გამოვიდა და ესაა. ტანსაცმელს კი ახლა რა ეშველება?

– საქმე გაქვთ და მხოლოდ ისე, pour passer le temps[42] გწადიათ „კეთილშობილ საზოგადოებაში“?

– არა, მართალი გითხრათ... საქმე მაქვს... არ ვიცი, როგორ ვთქვა, ოღონდ...

– ჰო, რა საქმე გაქვთ, ეგ თქვენი ნებაა, ჩემთვის მთავარია, რომ თქვენ იქ მარტო კამელიების, გენერლებისა და მევახშეების ტურფა საზოგადოების ეშხით არ მიდიხართ. ასე რომ იყოს, მაპატიეთ, თავადო და, დაგცინებდით, უფრო მეტიც, შემზიზღდებოდით კიდეც. აქ პატიოსანს ნაკლებად ნახავთ, პატივსაცემიც კი არავინაა. ამიტომ ძალაუნებურად შენც ცხვირი გაქვს აწეული, არადა, ითხოვენ, გინდა თუ არა პატივი გვეციო. ვარია პირველი ითხოვს. არ შეგინიშნავთ, თავადო, ამ ჩვენს საუკუნეში ყველანი რომ ავანტიურისტები არიან! სწორედ ჩვენში, რუსეთში, ამ ჩვენს საყვარელ მამულში. მაინც არ მესმის, რა მოხდა ისეთი მერე რა მაგრად იდგა თითქოს, ახლა კი რა ამას ყველა ამბობს, ამაზე ყველგან წერენ, ყველანი ამხელენ. ჩვენში ყველა მხილებაზეა გადასული. პირველმა მშობლებმა დაიხიეს, წინანდელ მორალს გადაუხვიეს. აგერ, მოსკოვში თურმე მამა ურჩევდა შვილს, ოღონდ ფული იშოვე და არაფერს დაერიდოო;[43] გაზეთშიც კი ეწერა. გინდაც ჩემი გენერალი აიღეთ. აბა, რა კაცი გახდა თუმცა, იცით რა, მე მგონია, ჩემი გენერალი ნამუსიანი კაცია. ღმერთმანი, ასეა! მხოლოდ უწესრიგობისა და ღვინის ბრალია ყველაფერი. ღმერთმანი! მეცოდება. ან ჭკვიანებში რა ყრია ყველა მევახშეა, ყველა! იპოლიტი მევახშეობას ამართლებს, იძახის, ასეც უნდა იყოს, ეკონომიური რყევააო, რაღაც მოქცევა და მიქცევაო, ეშმაკმა დალახვროს მათი თავი. მისგან საოცრად მწყინს ეს, მაგრამ გაბოროტებული კაცია. წარმოიდგინეთ, დედამისი, კაპიტნის ცოლი, გენერალს ფულს ართმევს და მასვე აძლევს მერე პროცენტებით. ამაზე მეტი უნამუსობა იქნება! იცით კი, დედა, ესე იგი დედაჩემი, ნინა ალექსანდროვნა, გენერლის ცოლი, იპოლიტს ფულს, ტანსაცმელს, საცვლებს უგზავნის, ყველაფრით ეხმარება, იპოლიტის მეოხებით ამ ბალღებსაც, რადგან დედას ისინი უპატრონოდ ჰყავს მიგდებული. ვარიაც ხელს უმართავს.

– აბა, რაღას ამბობდით, პატიოსანი და ძლიერი სულის ხალხი არ არის, მხოლოდ მევახშეები არიანო. ხედავთ, ძლიერი სულის ხალხიც ყოფილა, დედათქვენი და ვარია. განა ეს დახმარება, ისიც ამ გარემოებაში, დიდი სულიერი ძალის ნიშანი არაა?

– ვარკას თავის გამოჩენა უნდა და იმიტომ, არ უნდა, დედას ჩამორჩეს. დედა კი მართლაც... დედას მე პატივს ვცემ, დიახ, პატივს ვცემ და ვამართლებ. იპოლიტიც გრძნობს, თუმცა თითქმის სულ გაუბოროტდა გული. თავდაპირველად დასცინოდა და დედაჩემის მხრივ ამას

სულმდაბლობად თვლიდა. მაგრამ ახლა ზოგჯერ თვითონაც გრძნობს. ჰმ! მაშ ეგ სულის სიძლიერედ მიგაჩნიათ დავიხსომებ. განიამ არ იცის, თორემ ატუტუცებთო, იტყოდა.

– განიამ არ იცის? განიამ, მგონი ჯერ ბევრი რამ არ იცის, - წამოსცდა ფიქრებში წასულ თავადს.

– იცით, თავადო, ძალიან მომწონხართ. წეღანდელი ამბავი ვერა და ვერ დამვიწყნია.

– მეც ძალიან მომწონხართ, კოლია.

– გამიგონეთ, აქ როგორ აპირებთ ახლა ცხოვრებას? მალე საქმეს დავადგები, ცოტა ფული გამიჩნდება. მოდით, მე, თქვენ და იპოლიტმა ერთად ვიცხოვროთ, ბინა ვიქირაოთ, გენერალიც მოვა ხოლმე ხანდახან.

-–მაგას რა აჯობებს?! თუმცა, ვნახოთ. ახლა ძალზე... ძალზე აღელვებული ვარ. რაო უკვე მოვედით ამ სახლშია... რა დიდებული სადარბაზო შესასვლელი ჰქონია! შვეიცარიც ჰყოლიათ. აბა, კოლია, არ ვიცი, როგორ იქნება საქმე.

თავადი დაბნეული იდგა.

– ხვალ მიამბეთ! ძალიან კი ნუ დაფრთხებით. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, იმიტომ, რომ მეც თქვენი რწმენისა ვარ ყველაფერში! მშვიდობით. მე ისევ უკან გავბრუნდები და იპოლიტს ვუამბობ. ნუ გეშინია, უეჭველად მიგიღებთ! საოცრად ორიგინალური ქალია. ამ კიბეზეა, პირველ სართულზე, შვეიცარი გიჩვენებთ!

XIII

თავადი გულისფანცქალით მიჰყვებოდა კიბეს და გზადაგზა თავს იმხნევებდა „დიდი-დიდი ცუდად ჩამომართვან და კარი მომიკეტონ, ან შემიშვან და მასხრად ამიგდონ... რა ვუყოთ მერე!“ ეს ამბავი მართლაც ისე არ აფრთხობდა, ოღონდაც „რას იტყვის იქ და რას გააკეთებს“ – ეს აწუხებდა. კიდეც რომ დრო ეხელთა და ნასტასია ფილიპოვნასთვის ეთქვა „ნუ მიჰყვებით მაგ კაცს, თავს ნუ იღუპავთ, მაგას თქვენ კი არა, თქვენი ფულები უყვარს, თავისი პირით თქვა, აგლაია ეპანჩინამაც ეს მითხრა, და მე იმის სათქმელად მოვედიო“, არც ეს იქნებოდა მოსაწონი. თან კიდევ ერთი დიდი, გადაუწყვეტი საკითხიც უტრიალებდა თავში, იმდენად დიდი, თავადს ფიქრიც კი აფრთხობდა იმაზე, მისი დაშვებაც კი შეუძლებლად მიაჩნდა. არც ის იცოდა, როგორ გამოეთქვა, ამის გაფიქრებაზე წითლდებოდა და ცახცახებდა. მაგრამ, შეშფოთებისა და ეჭვების მიუხედავად, მაინც შევიდა და ნასტასია ფილიპოვნა იკითხა.

ნასტასია ფილიპოვნას დიდი ბინა არ ეკავა, მაგრამ მართლაც მდიდრულად ჰქონდა მორთული. პეტერბურგში ყოფნის ამ ხუთი წლის მანძილზე იყო დრო, რა თქმა უნდა, პირველ ხანებში, როცა აფანასი ივანოვიჩი ზედ აკვდებოდა და ადნებოდა. მაშინ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა ქალის სიყვარულისა და განეზრახა უფრო კომფორტითა და ფუფუნებით მოეხიბლა იგი, რადგან იცოდა, რა ადვილად ეჩვევა ადამიანი ფუფუნებასა და რარიგ უჭირს ხოლმე უიმისობა, როცა მის გემოს გაიგებს და ძვალ-რბილში გაუჯდება. ამ შემთხვევაში ტოცკი ძველი, დალოცვილი ადათების ერთგული გახლდათ, და უსაზღვროდ სწამდა ხორციელი სიტკბოების ზემოქმედების უძლეველობა. ნასტასია ფილიპოვნა ფუფუნებაზე უარს არ ამბობდა, უყვარდა კიდეც, ოღონდ სწორედ ეს იყო საოცრად საკვირველი – სულაც არ ემონებოდა მას, თითქოს უიმისოდაც მშვენივრად შეეძლო გაძლება. რამდენჯერმე კიდეც მიახალა პირში და ტოცკიც საკმაოდ უსიამოდ გააკვირვა. თუმცა ნასტასია ფილიპოვნას ბევრი რამ სჩვეოდა ისეთი, რაც აფანასი ივანოვიჩის გაკვირვებასა და შემდეგში კი ზიზღსაც იწვევდა. გარდა იმისა, რომ

დროგამოშვებით, კაცმა არ იცის, რა ჯურის ხალხს იახლოებდა, მაშასადამე, ამის მიდრეკილება ჰქონდა, შიგადაშიგ სხვა ზოგიერთ უცნაურ თვისებებსაც ამჟღავნებდა შეეძლო ისეთი საგნები და საშუალებანი ეხმარა და იმით დაკმაყოფილებულიყო, რის არსებობას რიგიანი და დახვეწილი გემოვნების კაცი, ვგონებ, არც დაუშვებდა. ნასტასია ფილიპოვნას რომ, მაგალითად, უეცრად კეკლუცად გაეკვირვებინა, სოფლის დედაკაცები ჩემსავით ბატისტის საცვლებს რატომ არ ატარებენო, აფანასი ივანოვიჩი დიახაც მეტისმეტად კმაყოფილი დარჩებოდა. თავდაპირველად ნასტასია ფილიპოვნას მთელი აღზრდა სწორედ აქეთ იყო მიმართული ტოცკის პროგრამის მიხედვით, რომელიც ამ ამბებში ფრიად მცოდნე კაცი ბრძანდებოდა. მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, უცნაური გამოდგა. ამისდა მიუხედავად, ნასტასია ფილიპოვნას მაინც კიდევ შერჩენოდა რაღაც ისეთი, რაც შიგადაშიგ თვით აფანასი ივანოვიჩსაც აოცებდა და იტაცებდა უჩვეულო ორიგინალობით, რაღაცნაირი სიძლიერით და ახლაც კი, როცა წინანდელი იმედები ნასტასია ფილიპოვნაზე სავსებით გასცრუებოდა, ზოგჯერ ისევ ახვევდა ხოლმე თავბრუს.

თავადს მოახლე ქალი შემოეგება (ნასტასია ფილიპოვნას მუდამ ქალები ჰყავდა ხოლმე მოსამსახურედ). გაუკვირდა, როცა მისი თხოვნა, ჩემი მოსვლა მოახსენეთო, მოახლემ ყოველგვარი გაოცების გარეშე მოისმინა. არც მის ჭუჭყიან ჩექმებს, არც განიერფარფლებიან ქუდს, არც უსახელო ლაბადას და არც მის შეცბუნებულ სახეს წუთით არ შეუყოყმანებია მოახლე. მოხადა ლაბადა, მიიწვია მოსაცდელში, მოითმინეთო, და მისი მოსვლის საუწყებლად წავიდა. ნასტასია ფილიპოვნასთან მის ნაცნობებსა და ყოველდღიურ სტუმრებს მოეყარათ თავი. წინა წლებთან შედარებით ამ დღეს საკმაოდ ცოტა ხალხიც კი იყო. უპირველეს ყოვლისა და ძირითადად აფანასი ივანოვიჩ ტოცკი და ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინი მობრძანებულიყვნენ; ორივე ფრიად თავაზიანად იქცეოდა, მაგრამ ორივე ცოტა არ იყოს იდუმალ შეშფოთებას აეტანა და ვერც დაემალათ ხეირიანად, რარიგ ელოდნენ განიას თაობაზე დაპირებულ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, განიაც აქ იყო – ძალზე მოჭამული და ჩაფიქრებული, რომელიც „თავაზიანობას“ თითქმის სრულიადაც არ იჩენდა, განზე იდგა მოშორებით, და ხმას არ იღებდა. ვარიას აქ წამოყვანა ვეღარ გაბედა, მაგრამ აღარც ნასტასია ფილიპოვნამ შეახსენა ეს. სამაგიეროდ, მიესალმა თუ არა განიას, მყის თავადთან მომხდარი ამბავი მოაგონა. გენერალს ამის თაობაზე ჯერ არაფერი სმენოდა და ყურები ცქვიტა. მაშინ განიამ მოკლედ, თავდაჭერით, მაგრამ დაუფარავად უამბო ყველაფერი, რაც წეღან მოხდა და ისიც, რომ თავადს უკვე პატიება გამოსთხოვა. თან გულმხურვალედ დააყოლა, ნეტა ვინ მონათლა თავადი იდიოტად, პირადად მე სხვა წარმოდგენისა ვარ და, ჩემი ფიქრით, ეს კაცი ჭკუას არ წააგებსო. ნასტასია ფილიპოვნამ დიდი ყურადღებით და ცნობისმოყვარეობით მოუსმინა განიას. მერე საუბარმა მყის როგოჟინზე გადაინაცვლა, რომელიც ესოდენ მთავარი მონაწილე იყო დილანდელი სცენისა და რომლის ამბავმაც აგრეთვე მეტისმეტად დააინტერესა აფანასი ივანოვიჩი და ივან ფიოდოროვიჩი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთ როგოჟინის ამბავი პტიცინს სცოდნოდა, რომელიც თითქმის საღამოს ცხრა საათამდე დარბოდა მის საქმეებზე. როგოჟინს აუხირებია, გინდა თუ არა დღესვე გამიჩინეთ ასი ათასი მანეთიო. „მართალია, მთვრალი კი იყო, – ესეც დასძინა პტიცინმა, – მაგრამ ასი ათასს, დიდი სიძნელის მიუხედავად, მგონი, უშოვნიან, ოღონდ მთლიანად თუ უშოვნიან დღეს, არ ვიცი. ამ საქმეში ბევრია ჩაბმული, კინდერი, ტრეპალოვი, ბისკუპი; რა პროცენტებსაც არ ეუბნებიან, ყველაფერზე თანახმაა, რა თქმა უნდა, გაცხარებულ გულზე, თანაც მთვრალია და იმიტომ“... – დაასკვნა პტიცინმა. ეს ცნობებიც ინტერესით და ნაწილობრივ კუშტადაც იქნა მოსმენილი; ნასტასია ფილიპოვნა დუმდა, როგორც ჩანს, თავისი აზრის გამოთქმა არ სურდა;

არც განიას დაუძრავს კრინტი. გენერალი ეპანჩინი თითქმის ყველაზე მეტად შფოთავდა თავის გულში მარგალიტი, რომელიც ჯერ კიდევ ამ დილით მიართვა, ქალმა მეტისმეტი ცივი თავაზით ჩამოართვა და რაღაც უცნაურად ჩაიცინა. სტუმრებიდან მარტო ფერდიშჩენკო იყო მხიარულ გუნებაზე და ზოგჯერ ყოვლად უმიზეზოდ ხორხოცებდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ პამპულას როლი თვითონვე დაეჩემებინა. თვით აფანასი ივანოვიჩი, თხრობის დიდოსტატად მიჩნეული და წინათ ამ საღამოების სული და გული, რაღაც უგუნებოდ ბრძანდებოდა და მისთვის უჩვეულო აფორიაქებაც ეტყობოდა. სხვა სტუმრები, თუმცა ისინი არცთუ ბევრნი იყვნენ (ერთი საცოდავი ჩაჩანაკი მასწავლებელი, ღმერთმა იცის, რისთვის მოწვეული, ერთი ვიღაც უცნობი, ჯერ სულ პირტიტველა ყმაწვილი, საოცრად დარცხვენილი და ამიტომ ენაჩაგდებული, ერთი ორმოციოდე წლის თამამი, ნამსახიობარი ქალბატონი და ერთიც მეტისმეტად ლამაზი, მეტისმეტად მოხდენითა და მდიდრულად მოპრანჭული, საოცრად სიტყვაძვირი ახალგაზრდა ქალი) არათუ საუბარს აცოცხლებდნენ, არამედ ზოგჯერ არც იცოდნენ, რაზე ელაპარაკათ.

ამიტომ თავადის გამოჩენა სწორედ მისწრება იყო ყველასთვის. მისმა სახელმა პირველად გაკვირვება და, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩაღიმება გამოიწვია, მით უფრო, როცა ნასტასია ფილიპოვნას გაკვირვებულ სახეზე შეატყვეს, რომ მისი დაპატიჟება ფიქრადაც არ ჰქონია. მაგრამ გაკვირვების მერე ნასტასია ფილიპოვნამ უეცრივ იმდენი სიამოვნება გამოხატა, რომ სტუმრების უმეტესობა მყის მოემზადა, მოულოდნელ სტუმარს ერთი სიცილითა და მხიარულებით შეგებებოდა.

– ეს ვიზიტი მაგის მიამიტობას უფრო უნდა მივაწეროთ, – დაასკვნა ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინმა, – კაცმა რომ თქვას, ვერაფერი წასაქეზებელი საქციელია, მაგრამ, მართალი გითხრათ, მისი ასეთ დროს მობრძანება, თუნდაც ეგზომ ორიგინალური გზით, ურიგო არაა; ყოველ შემთხვევაში, იქნებ გაგვამხიარულოს და გაგვართოს, რამდენადაც მისი ამბავი ვიცი.

– მეტადრე, დაუპატიჟებელი სტუმარი რომაა, – მყის ჩაურთო ფერდიშჩენკომ.

– ვითომ მერე რაო? – მკვახედ მოუჭრა გენერალმა, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა ფერდიშჩენკო.

– ის, რომ შემოსვლის ფასს გადაიხდის.

– ჰმ, თავადი მიშკინი ფერდიშჩენკო არ გეგონოს, – უთხრა გენერალმა, რომელსაც ვერ მოენელებინა, რომ ფერდიშჩენკოს საზოგადოებაში უნდა ეტრიალა და მისთვის გაეყადრებინა თავი.

– ეჰეი, გენერალო, ფერდიშჩენკო ეგრე ხელწამოსაკრავი არაა, – გაიღრიჭა ფერდიშჩენკო, – მე აქ სხვა უფლებანი მაქვს.

– მაინც, რა უფლებანი?

– ამას წინათ უკვე ავუხსენი ამ პატიოსან საზოგადოებას, მაგრამ თქვენი აღმატებულების გულისთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ. მოგეხსენებათ, თქვენო აღმატებულებავ, ღმერთმა ყველას მოსწრებული ენა არგუნა, მე კი არა. ამის სანაცვლოდ მეც ნება ვითხოვე, სიმართლე მივახალო ყველას პირში, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმართლეს ის ლაპარაკობს, ვისაც სიტყვის მარილი აკლია. თანაც მე არავის არაფერს შევარჩენ, ესეც იმიტომ, რომ ენა არ მიჭრის. ყოველნაირ შეურაცხყოფას მორჩილად, უსიტყვოდ ვითმენ, ვიდრე ჩემ შეურაცხმყოფელს ფეხი არ წასცდენია. ხოლო თუ წასცდა, მაშინვე წამოვაკეცავ წყენას და, როგორც ივან პეტროვიჩ პტიცინმა ბრძანა ჩემზე, ტლინკებს ავყრი, რომელიც, რა თქმა უნდა,

თავის დღეში ტლინკებს არ აყრის. ხომ გაგიგიათ კრილოვის იგავი, თქვენო აღმატებულებავ „ლომი და ვირი“ ჰოდა, ეს მე და თქვენ ვართ, ჩვენზე გახლავთ დაწერილი.

– მგონი, ისევ აურიეთ, ფერდიშჩენკო, – აპილპილდა გენერალი.

– გული რაზე მოგდით, თქვენო აღმატებულებავ? – მყის მიაგება ფერდიშჩენკომ, რომლის მიზანი ის იყო, გენერალი გაეცხარებინა და მერე უარესები გაეჭრელებინა, – ნუ ღელავთ, თქვენო აღმატებულებავ, მე ჩემი ყადრი ვიცი რომ მოგახსენეთ, მე და თქვენ კრილოვის იგავის ლომი და ვირი ვართ-მეთქი, ვირის როლს, რა თქმა უნდა, მე ვკისრულობ, თქვენი აღმატებულება კი ლომი ბრძანდება, ვითარცა კრილოვის იგავშია ნათქვამი:

ტყე-ველის რისხვა, ძლიერი ლომი
დაჩაჩანაკდა, დაჰკარგა ძალი.[44]

– მე კი, თქვენო აღმატებულებავ, ვირი გახლავართ.

– მაგ უკანასკნელზე არ შეგედავებით, – წამოსცდა გენერალს, რომელმაც თავს ვეღარ სძლია.

ცხადია, ეს ყოველივე ტლანქად და განზრახ იყო თქმული, მაგრამ ასეც იყო დაკანონებული, რომ ფერდიშჩენკოს ეპამპულავა.

– სწორედ იმიტომაც არ მაგდებენ აქედან, რომ ამისთანები ვილაპარაკო, – აღმოხდა ერთხელ ფერდიშჩენკოს. – აბა, ჩემისთანა კაცი აქ რა შემოსაშვებია განა არ ვიცი. სად გაგონილა, ფერდიშჩენკო აფანასი ივანოვიჩისთანა დახვეწილ ჯენტლმენს მოუსვან გვერდით ძალაუნებურად დასკვნა ერთია იმიტომაც წამომასკუპებენ ხოლმე მასთან, რომ ყოვლად უკადრისი რამ არის. ჰოდა, მართალია, ტლანქად კი გამოუდიოდა, მაგრამ შიგადაშიგ გესლიც ბევრი ერია, ხანდახან მეტისმეტად ბევრიც და ნასტასია ფილიპოვნასაც თითქოს სწორედ ეს მოსწონდა. ვისაც მის ოჯახში სიარული გადაეწყვიტა, ფერდიშჩენკოს საზოგადოებაც უნდა აეტანა. ფერდიშჩენკოს ვარაუდი, სწორედ იმიტომაც გამიღეს კარი, რომ იმთავითვე ჩემი აქ ყოფნა ტროცკისთვის აუტანელ რასმე წარმოადგენსო, შესაძლოა სრული ჭეშმარიტება იყო და სწორადაც აუღო გუმანი. განიამაც თავის მხრივ ბევრი მწარე წუთი იგემა მისი წყალობით და ფერდიშჩენკო ამ მხრივაც ფრიად გამოადგა ნასტასია ფილიპოვნას.

– მაგ თავადსაც ჩემს ჭკუაზე ავამღერებ, – დაასკვნა ფერდიშჩენკომ და ნასტასია ფილიპოვნას გადახედა, რას იტყვისო.

– არა მგონია, ფერდიშჩენკო, მაინცდამაინც თავს ნუ გამოიღებთ, – მკვახედ მოუჭრა ქალმა.

– ოჰო! თუკი აქ წყალობის თვალით უცქერიან, მაშინ მეც სუ...

მაგრამ ნასტასია ფილიპოვნას ყური აღარ უთხოვებია და თავადის შესაგებებლად გაემართა.

– ვწუხდი, რომ წეღან, იმ ორომტრიალში თქვენი დაპატიჟება დამავიწყდა, – უთხრა ნასტასია ფილიპოვნამ თავადს და მოულოდნელად დაუდგა წინ, – ძალზე მიხარია, რომ საშუალება მომეცით, მადლობა მოგახსენოთ და ეგ გადაწყვეტილება მოგიწონოთ.

ნასტასია ფილიპოვნა თვალს არ აცილებდა თავადს, ცდილობდა, მისი საქციელი როგორმე აეხსნა გულში.

იქნებ კი მოეხერხებინა თავადს ქალის თავაზიანი სიტყვების პასუხი, მაგრამ იმდენად მოსტაცა თვალი და თავბრუ დაახვია მისმა გარეგნობამ, რომ ენა ვერ მოაბრუნა. ნასტასია ფილიპოვნამ შეატყო ეს და ესიამოვნა. ამ საღამოს ისე მორთულ-მოკაზმულიყო და ისეთი ლამაზი იყო, კაცს გააბრუებდა. ნასტასია ფილიპოვნამ ხელი გაუყარა თავადს და სტუმრებთან წაიყვანა. სასტუმროს კართან თავადი ერთბაშად შეჩერდა და საოცრად აღელვებულმა უჩურჩულა:

– ყოველმხრივ სრულქმნილი ბრძანდებით! ისიც კი გშვენით, გამხდარი და ფერმკრთალი რომ ხართ... სხვანაირად ვერ წამოგიდგენთ კაცი! ისე გამომწია თქვენკენ გულმა... მაპატიეთ... მე...

– პატიებას ნუ მთხოვთ, – გადაიკისკისა ნასტასია ფილიპოვნამ, – თორემ მთელ უცნაურობას და ორიგინალობას გამიქარწყლებთ. მაშ, მართალი ყოფილა, თქვენზე რომ ამბობენ, უცნაური კაციაო. მაშ, სრულქმნილ არსებად მიგაჩნივართ?

– დიახ.

– გამოცნობის ოსტატი კი ბრძანდებით, მაგრამ ეგ სწორი ვერ გამოგივიდათ. დღესვე მოგაგონებთ მაგას...

ქალმა სტუმრებს წარუდგინა თავადი. ნახევარზე მეტი მას უკვე სცნობდა. ტოცკიმ მყის ორიოდე საამო სიტყვა მიაგება. თითქოს ყველა გამოცოცხლდა, ყველამ გაიცინა და ალაპარაკდა. ნასტასია ფილიპოვნამ თავადი გვერდით მოისვა.

– ვითომდა თავადის მოსვლა რა ისეთი გასაკვირი ამბავია – როხროხებდა ყველაზე მეტად ფერდიშჩენკო, – საქმე ნათელია, საქმე თვითონვე მეტყველებს ყველაფერს!

– საქმე ნათელზე ნათელია და ნათელზე ნათლად მეტყველებს ყველაფერს, – დასძინა აქამდე გარინდებულმა განიამაც, – დღეს თითქმის სულ ვაკვირდებოდი თავადს, მას შემდეგ, რაც ნასტასია ფილიპოვნას სურათი ნახა ივან ფიოდოროვიჩის მაგიდაზე. კარგად მახსოვს, რაც მაშინ გავიფიქრე, რაშიც ახლა სავსებით დარწმუნებული ვარ და რაშიც თავადი, სხვათა შორის, თვითონვე გამომიტყდა, – დაამთავრა განიამ კუშტად, ხუმრობის ნატამალიც კი არ იყო მის ნათქვამში. ასე რომ, ცოტა უცნაურადაც გამოუვიდა.

– მე კი არ გამოგიტყდით, მხოლოდ კითხვაზე გიპასუხეთ, – მიუგო წამოწითლებულმა თავადმა.

– ბარაქალა, ბარაქალა, თავადო! – შეჰყვირა ფერდიშჩენკომ, – ყოველ შემთხვევაში, გულწრფელი თქმაა, ეშმაკურიც და გულწრფელიც!

ყველამ გადაიხარხარა.

– ნეტა რა გაყვირებთ, – ზიზღით გადაულაპარაკა ფერდიშჩენკოს პტიცინმა.

– ასეთ პრუესებს[45] თქვენგან სწორედ არ ველოდი, თავადო, – თქვა ივან ფიოდოროვიჩმა, – იცით, ეგეთები ვის შეეფერება მე კი ფილოსოფოსად ჩაგთვალეთ!

ერთი ამ ჩუმჩუმელას უყურეთ!

– რაკი თავადი ამ მიამიტ ხუმრობაზე უმანკო ქალწულივით გაწითლდა, ჩემის აზრით, თავადი კეთილშობილი ყმაწვილი გახლავთ და ზრახვებიც საქებარი აქვს, – ყოვლად მოულოდნელად წამოილაპარაკა, ან, უფრო სწორად წამოიჩიფჩიფა აქამდე გასუსულმა სამოცდაათი წლის უკბილო ბებერმა მასწავლებელმა, რომლის ხმის ამოღებას ამ საღამოს კაციშვილი არ ელოდა. ამან უფრო აახმაურა იქ მყოფნი. ბერიკაცს ეგონა, ჩემმა ნათქვამმა გააცინაო ხალხი და თვითონაც ახითხითდა, მაგრამ ბოლოს ისეთი ხველება აუვარდა, რომ ნასტასია ფილიპოვნა, რომელსაც მისთანა ორიგინალური ბერიკაცები, ბებრუცუნები და სალოსები რატომღაც ძალიან უყვარდა, მაშინვე მიეფერა, გადაკოცნა და მოახლეს უბრძანა, ჩაი კიდევ მოართვითო, მერე მოსასხამიც მოატანინა თავისთვის და შიგ გაეხვია. ისიც უბრძანა, ბუხარში შეშა შეუძარიო. შემდეგ საათიც ჰკითხა, და თერთმეტის ნახევარიაო, უთხრეს.

– ბატონებო, შამპანურს ხომ არ მიირთმევთ, – ანაზდად მოიპატიჟა ნასტასია ფილიპოვნამ სტუმრები, – მომზადებული მაქვს. ვინძლო უფრო გამხიარულდეთ. გთხოვთ, თავპატიჟს ნუ გაიდებთ.

შამპანურის შეთავაზება, ისიც აგრე დაუდევრად, ყველას ძალზე ეოცა ნასტასია ფილიპოვნას მხრივ. ახსოვდათ, რა საოცარი სიდარბაისლე სუფევდა, ხოლმე მის წინანდელ საღამოებზე. საერთოდ, საღამოს მხიარული, მაგრამ უჩვეულო პირი უჩანდა. ღვინოზე უარი არავის უთქვამს.

ჯერ თვით გენერალი დათანხმდა, მერე თამამი ქალბატონი, ბებერი მასწავლებელი, ფერდიშჩენკო, ბოლოს ამ ახალ განწყობაში და შეძლებისდაგვარად უწყინარი ხუმრობის იერი მიეცა. მარტო განიას არ დაუკარებია პირი ღვინისთვის. ნასტასია ფილიპოვნას უცნაური, ხანდახან მეტად მკვახე, აჩქარებული ქცევა, ისიც, რომ ჭიქა აიღო და გამოაცხადა, ამ საღამოს სამ ჭიქას შევსვამო, მისი ისტერიული, უმიზეზო სიცილი, შიგადაშიგ უეცარი და კუშტი გარინდება და ჩაფიქრება კაცს თავგზას დაუბნევდა. ზოგმა ეს შეცივებას მიაწერა; ბოლოს ისიც შენიშნეს, რომ ქალი თითქოს რაღაცას ელოდა, საათს მალიმალ უყურებდა, მოუთმენლობა და უგულისყურობა მორეოდა.

– ცოტა ხომ არ შეგაცივათ? – ჰკითხა თამამმა ქალბატონმა.

– ცოტა კი არა, კარგა მაგრადაც, მოსასხამი იმიტომაც მოვატანინე, – მიუგო ნასტასია ფილიპოვნამ. ფერი მართლაც დაჰკარგოდა და დროდადრო თითქოს კანკალს იკავებდა.

– ვითომ არა სჯობს, დიასახლისი მოვასვენოთ – წარმოთქვა ტოცკიმ და ივან ფიოდოროვიჩს გადახედა.

– სრულიადაც არა, ბატონებო! ძალიან გთხოვთ, აქ ბრძანდებოდეთ. თქვენი ყოფნა დღეს განსაკუთრებით მჭირდება, – დაჟინებით და მრავალმნიშვნელოვნად გამოაცხადა უეცრივ ნასტასია ფილიპოვნამ. ის ამბავი, რომ ამ საღამოს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, თითქმის უკვე შეეტყო ყველას, ასე რომ ნასტასია ფილიპოვნას სიტყვები მეტისმეტად საგულისხმოდ ეჩვენათ.

გენერალმა და ტოცკიმ ისევ გადახედეს ერთმანეთს. განია მოუსვენრად შეტოკდა.

– ურიგო არ იქნებოდა, რაიმე პეტი-ჟიო[46] გვეთამაშა, – თქვა თამამმა ქალბატონმა.

– ერთი დიდებული ახალი პეტი-ჟიო ვიცი, – მხარი აუბა ფერდიშჩენკომ, – ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ერთხელ გათამაშდა და ისიც არ გამოვიდა.

– რა იყო ასეთი? – ჰკითხა თამამმა ქალბატონმა.

– ერთხელ ნაცნობები შევიყარეთ, დავლიეთ კიდეც. ერთიც ვნახოთ, ვიღაცამ წინადადება შემოიტანა, სუფრას ნუ დავშლით, მოდით, ჩვენ-ჩვენი ამბავი მოვყვეთ, ოღონდ ისეთი, რაც სინდისზე ხელდადებით, ყველაზე უვარგის საქციელად მიგვაჩნია ჩვენს ცხოვრებაშიო. მხოლოდ გულწრფელად კი, მთავარია, გულწრფელად, არ მოვიტყუოთო!

– უცნაური აზრი გახლავთ, – თქვა გენერალმა.

– უცნაური და აგრე, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ სწორედ მაგითია კარგი.

– თან სასაცილო, – დასძინა ტოცკიმაც, – თუმცა გასაგებია, თავისებური ტრაბახი გამოვა ალბათ.

– ვინ იცის, ეგრეც იყო საჭირო, აფანას ივანოვიჩ.

– სასაცილო კი არა, სატირალი იქნება ეგეთი პეტი-ჟიო, – შენიშნა თამამმა ქალბატონმა.

– ყოვლად შეუძლებელი და სულელური რამ არის, – გამოეხმაურა პტიცინი.

– გამოვიდა კი რამე? – იკითხა ნასტასია ფილიპოვნამ.

– სწორედ ეგაა, რომ სამაგლობა გამოვიდა, ყველამ მართლაც მოვყევით ჩვენ-ჩვენი, ბევრმა სიმართლეც თქვა, წარმოიდგინეთ, ზოგი სიამოვნებით მოყვა, მერე კი ყველას შეგვრცხვა, ვეღარ გავუძელით! ისე კი მხიარულად გავატარეთ დრო, თუმცა, რა თქმა უნდა, ვისთვის როგორ.

– იცით, მართლაც კარგი იქნება! – გამოცოცხლდა ნასტასია ფილიპოვნა. – მოდით, ვსინჯოთ, ბატონებო! რატომღაც მხიარულად ვერა ვართ. ყოველი ჩვენგანი რომ დაყაბულდეს, რაიმე ამგვარი მოყვეს... რა თქმა უნდა, ვინც მოინდომებს, თორემ ძალას ხომ არ დავატანთ, იქნებ გავუძლოთ, ჰა ყოველ შემთხვევაში, საოცრად ორიგინალური იქნება...

– გენიალური აზრია! – აჰყვა ფერდიშჩენკოც, – თუმცა მანდილოსნები გამოირიცხებიან. მამაკაცები დავიწყებთ; წილის ყრა მოვაწყოთ, როგორც მაშინ ვქენით, უთუოდ, უთუოდ, ბატონებო! ვისაც არ უნდა, რა თქმა უნდა, არ მოყვება, მაგრამ ეს უპატივცემულობა იქნება! მომეცით თქვენი კენჭები, ბატონებო, აქ ქუდში ჩამიყარეთ, თავადი ამოიღებს. სულ უბრალო ამოცანა გახლავთ, ჩვენი ცხოვრების ყველაზე ცუდი საქციელი მოვყვეთ, – ამაზე იოლი რა უნდა იყოს, ბატონებო! აი, ნახავთ თუ არა! თუ ვისმე დაავიწყდა, მოგონება ჩემზე იყოს!

ეს ამბავი არავის ეპრიანა, ნაწილმა წარბი შეიკრა, სხვებს ცბიერი ღიმი გადაეფინათ სახეზე. ზოგიერთები უარზე იყვნენ, თუმცა არცთუ ძალიან, როგორც, მაგალითად, ივან ფიოდოროვიჩი. რა შენიშნა, ნასტასია ფილიპოვნა ასე გაიტაცა ამ უცნაურმა აზრმაო, ჯიბრში ჩადგომა აღარ ინდომა. ვინაიდან ნასტასია ფილიპოვნა თუ რასმე მოიგუნებებდა და იტყოდა, ასე მინდაო, ვერც ვერავინ გადაათქმევინებდა, გინდაც ჟინიანი და ყოვლად უმაქნისი მოწადინება ყოფილიყო. ახლაც თითქოს ისტერიკამ მოუარაო, აწრიალდა, ავზნიანივით აკისკისდა, მეტადრე, როცა შეშფოთებული ტოცკის შესიტყვება მოისმინა. შავი თვალები წამოენთო, გაცრეცილ ლოყებზე ორი წითელი ლაქა აუღვივდა. ზოგიერთი სტუმრის ცხვირჩამოშვებული თუ ზიზღნარევი გამომეტყველება ეგებ კიდევ უფრო უღვივებდა ამ წადილს; ეგებ სწორედ ამ იდეის ცინიკურობა და ულმობლობა მოსწონდა. ზოგი დარწმუნებულიც იყო, ალბათ რაღაც სხვა ანგარიში აქვს და იმიტომ იჟინებსო. თუმცა მალე ყველა დაყაბულდა ყოველ შემთხვევაში, საინტერესო იყო, ბევრისთვის ძალიანაც საინტერესო. ფერდიშჩენკო ყველაზე მეტს ფუსფუსებდა.

– ვთქვათ, ისეთი ამბავია, რასაც ქალთა საზოგადოებაში ვერ მოვყვები, – მორიდებით იკითხა აქამდე მდუმარე ჭაბუკმა.

– ჰოდა, თქვენც ნუ მოჰყვებით; თითქოს მაგის გარდა ცოდვები ცოტა იყოს, – მიუგო ფერდიშჩენკომ, – ეჰ, ჭაბუკო, ჭაბუკო!

– მე კი არ ვიცი, ჩემი ყველაზე დიდი ცოდვა რომელია, – ჩაერია თამამი ქალბატონი.

– მანდილოსნებს არც ევალებათ მოყოლა, – გაიმეორა ფერდიშჩენკომ, – მაგრამ თუ საკუთარი შთაგონება ათქმევინებთ, მადლიერი დავრჩებით. ხოლო მამაკაცებიდან თუ ვინმემ მაინცდამაინც არ მოინდომა, არც იმას ვაიძულებთ.

– აბა, როგორ დავამტკიცო, რომ მოვიტყუე? – იკითხა განიამ, – ხოლო თუ ტყუილი ვთქვი, თამაშსაც აზრი დაეკარგება. ან ვინ არ მოიტყუებს უთუოდ ყველა მოიტყუებს.

– ჯერ მარტო იმის ყურება რად ღირს, როგორ მოიტყუებს კაცი. მაგრამ შენ ეგ მაინცდამაინც ნუ შეგაშინებს, განეჩკა, უშენოდაც ვიცით შენი ყველაზე ცუდი საქციელი. აბა, ჩაფიქრდით, ბატონებო, – რაღაც უცნაურმა აღტყინებამ აიტანა ფერდიშჩენკო, – ჩაფიქრდით ერთი, რა თვალით შევხედავთ, მაგალითად, ხვალ ერთმანეთს ამ პეტი-ჟიოს შემდეგ!

– ეს სად გაგონილა! ნუთუ სერიოზულად გადაწყვიტეთ, ნასტასია ფილიპოვნა – მედიდურად იკითხა ტოცკიმ.

– მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! – ჩაეცინა ნასტასია ფილიპოვნას.

– ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო ფერდიშჩენკო, აქედან რა პეტი-ჟიო უნდა გამოვიდეს – განაგრძობდა შეწრიალებული ტოცკი, – მერწმუნეთ, ეგეთი რამ თავის დღეში არ გამოვა, აკი თქვენცა თქვით, არც მაშინ გამოვიდაო.

– როგორ თუ არ გამოვიდა?! აკი მოვყევი მაშინ, სამმანეთიანი როგორ მოვიპარე, დიახ, დიახ, მოვყევი!

– ვთქვათ, ეგრე იყო. ოღონდ როგორ დავიჯერო, მართლაც ისე მოჰყევით, რომ ჭეშმარიტებას დაემსგავსა და დაგიჯერათ ვინმემ გავრილა არდალიონოვიჩმა სავსებით სამართლიანად

შენიშნა, ცოტაოდენი სიყალბე და თამაშს აზრი დაეკარგებაო. სიმართლე აქ მხოლოდ შემთხვევით შეიძლება გამოვიდეს, ისიც, თუ კაცს დატრაბახების სურვილი აიტანს, რაც მეტისმეტი უზრდელობაა და რაც აქ წარმოუდგენელი და ყოვლად დაუშვებელი გახლავთ.

– ოჰ, რა დახვეწილი კაცი ბრძანდებით, აფანასი ივანოვიჩ, მეც კი გამაკვირვეთ! – შეჰყვირა ფერდიშჩენკომ. – წარმოიდგინეთ, ბატონებო, აფანასი ივანოვიჩმა რომ მითხრა, ქურდობაზე ისე ვერ მოჰყვებოდით, სიმართლეს დამსგავსებოდაო, დიდი ოსტატობით ჩამიკრა ამით, თქვენ მართლაც არ შეგეძლოთ ქურდობაო (რამეთუ ამის განცხადება საჯაროდ უზრდელობა გახლავთ). თუმცა, ვინ იცის, გულში იქნებ დარწმუნებულია, რომ ფერდიშჩენკო დიახაც მოიპარავდა, მაგრამ, ბატონებო, მოდით, ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ, კენჭი ვყაროთ. თქვენც ხომ ჩადეთ, აფანასი ივანოვიჩ, მაშასადამე, უარს არავინ ამბობს. აბა, თავადო, ამოიღეთ!

თავადმა უხმოდ ჩაჰყო ქუდში ხელი. პირველი კენჭი ფერდიშჩენკოსი გამოდგა, მეორე პტიცინის, მესამე – გენერლის, მეოთხე აფანასი ივანოვიჩის, მეხუთე – მისი, მეექვსე – განიასი და ა.შ. მანდილოსნებს წილი არ უყრიათ.

– ბედი არ გინდა?! – შესძახა ფერდიშჩენკომ. – მე კი მეგონა, პირველად თავადს მოუწევდა, მერე გენერალს. კიდევ მადლობა ღმერთს, ჩემ შემდეგ ივან პეტროვიჩს ერგო, გული აღარ დამწყდება. მე, რა თქმა უნდა, ბატონებო, მოვალე ვარ, ვაჟკაცობის მაგალითი მოგცეთ, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაწუხებს ამ წუთში, რომ პატარა კაცი ვარ და არაფრით გამოვირჩევი; ჩინიც კი ყველაზე პატარა მაქვს. მართლაც, ვისთვის რა საინტერესო უნდა იყოს, ფერდიშჩენკო საძაგლად მოიქცა თუ არა ან რომელია ჩემი ყველაზე ცუდი საქციელი აქ embarras de richesse[47]. იქნებ ისევ იმ ქურდობის ამბავს მოვყვე, რა არის, აფანასი ივანოვიჩი დავარწმუნო, კაცი შეიძლება ქურდი არ იყოს და მაინც იქურდოს.

– თქვენ იმაშიც მარწმუნებთ, ბატონო ფერდიშჩენკო, რომ კაცმა მართლაც შეიძლება სიამოვნება და ნეტარებაც იგრძნოს თავისი ბინძური საქციელის მოყოლით, თუნდაც არავინ ეკითხებოდეს... თუმცა... უკაცრავად გახლავართ, ბატონო ფერდიშჩენკო.

– ჰო, დაივიწყეთ, ფერდიშჩენკო, საშველი დააყენეთ! რაშია საქმე, საოცრად ბევრს ყბედობთ! – მოთმინება დაეკარგა ნასტასია ფილიპოვნას.

ყველას ენიშნა, რომ იმ ისტერიული სიცილის შემდეგ ნასტასია ფილიპოვნას უეცრად გუნება შეეცვალა, მოიღუშა, ყველაფერი აღიზიანებდა. მიუხედავად ამისა, მაინც კერპად იდგა იმ თავის ახირებაზე. აფანასი ივანოვიჩი საოცრად იტანჯებოდა. ბრაზს ჰგვრიდა ივან ფიოდოროვიჩიც, რომელიც, ვითომც აქ არაფერიაო, შამპანურს მიჯდომოდა და ვინ იცის, თავის მხრივ რაიმე ამბის მოყოლას აპირებდა.

XIV

– ენამოსწრებული არ ვუქმნივარ ღმერთს, ნასტასია ფილიპოვნა, და იმიტომაც ვყბედობ ამდენს! – დაიწყო ფერდიშჩენკომ, – აფანასი ივანოვიჩის ან ივან პეტროვიჩის გონებამახვილობა რომ მქონოდა, დღეს უჩუმრად ვიჯდებოდი, როგორც აფანასი ივანოვიჩი და ივან პეტროვიჩი ბრძანდებიან. ნეტა თქვენ რას იტყოდით, თავადო, მე კი მგონია, მაგალითად, რომ ამქვეყნად ქურდი უფრო მეტია, ვინემ არა ქურდი. რა უმწიკვლო კაციც არ უნდა იყოს, თავის ცხოვრებაში ერთხელ მაინც ექნება ეს ცოდვა ჩადენილი. ეს ჩემი შეხედულება გახლავთ, ოღონდ არ

იფიქროთ, რომ ყველა ქურდად მიმაჩნია, თუმცა კი, ღმერთმანი, ძალიანაც მინდა ხანდახან ასე ვიფიქრო. თქვენ როგორ გგონიათ

– ფუჰ, რაებს ჩმახავს, – გაეხმაურა დარია ალექსეევნა, – როგორ იქნება, ყველას რაღაც ჰქონდეს მოპარული; მე თავის დღეში არაფერი მომიპარავს.

– თქვენ არა, დარია ალექსეევნა, მაგრამ რას იტყვის თავადი, რატომ გაწითლდა ერთბაშად?

– მე მგონი, სიმართლეს ამბობთ, ოღონდ მეტისმეტად აჭარბებთ, – თქვა მართლაც გაწითლებულმა თავადმა.

– თქვენ კი არაფერი მოგიპარავთ, თავადო?

– ფუჰ! რა სასაცილოა! გონს მოდით, ფერდიშჩენკო, – ჩაერია გენერალი.

– უბრალოდ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მოყოლის შეგრცხვათ და ახლა თავადიც გინდათ გარიოთ, უთქმელი კაცია და იმიტომ, – მოუჭრა დარია ალექსეევნამ.

– ან მოყევით, ფერდიშჩენკო, ან გაჩუმდით და თქვენთვის დაეტიეთ. ყოველგვარ მოთმინებას დაუკარგავთ კაცს, – მიახალა გაბრაზებულმა ნასტასია ფილიპოვნამ.

– ახლავე, ნასტასია ფილიპოვნა; ოღონდ, თუკი თავადი გამოტყდა, მე კი მაინც იმას ვიჟინებ, რომ თავადი გამოტყდა, მაშინ რას იტყოდა, მაგალითად, სხვა (არავის დავასახელებ), ოდესმე სიმართლის თქმა რომ დაეპირებინა რაც შემეხება მე, ბატონებო, მოსაყოლი თითქმის არაფერი დამრჩა მეტად უბრალო, სულელური და საძაგელი ამბავი გახლავთ. მაგრამ გარწმუნებთ, ქურდი არა ვარ. მეც არ ვიცი, როგორ მოვიპარე. ამ სამი წლის წინათ, ერთ კვირა დღეს სემიონ ივანოვიჩ იშჩენკოს აგარაკზე ვიყავი. სტუმრები ჰყავდათ სადილად დაპატიჟებული. ნასადილევს მარტო მამაკაცები შევრჩით ღვინოს. ვიფიქრე, მარია სემიონოვნას, მასპინძლის გასათხოვარ ქალს, ვთხოვ, ფორტეპიანოზე რამე დაგვიკრას-მეთქი. კუთხის ოთახი რომ გავიარე, მარია ივანოვნას სამუშაო მაგიდაზე მწვანე სამმანეთიანი დავინახე; ეტყობა, რაღაც საოჯახო საქმეზე დასჭირებოდა. ოთახში არავინ იყო. ავიღე ფული და ჯიბეში ჩავიდე, რატომ – მეც არ ვიცი. რამ მომიარა – ვერ გეტყვით, ოღონდ სასწრაფოდ კი გამოვტრიალდი და სუფრას მივუჯექი. ვზივარ ჩემთვის და ველი, რა მოხდება. საკმაოდ აღელვებული გახლდით, ენა არ გამიჩერებია, ანეგდოტები მოვყევი, ვხარხარებდი. მერე მანდილოსნებს მივუჯექი. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მოიძიეს ფული და მოახლეებში მოიკითხეს. ეჭვი მოახლე დარიაზე მიიტანეს. საოცარი ინტერესი და თავგამოდება გამოვიჩინე. მახსოვს, როცა დარიას გაოგნებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა, ჩავაცივდი გირჩევნია, შენ თვითონ აღიარო, მარია ივანოვნას კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, გაპატიებს-მეთქი. ყველას გასაგონად ვეუბნებოდი, ყველა ჩვენ შემოგვყურებდა, მე კი სწორედ ის მგვრიდა საოცარ სიამოვნებას, რომ ვქადაგებდი და ამავე დროს, ფული თვითონ მედო ჯიბეში. ის სამმანეთიანი იმ საღამოსვე რესტორანში დავხარჯე. შევედი და ერთი ბოთლი ლაფიტი მოვითხოვე; თავის დღეში არ მომითხოვია ასე ერთი ბოთლი, მისაყოლებლის გარეშე. მინდოდა, ჩქარა დამეხარჯა. დიდი სინდისის ქენჯნა არც მაშინ და არც მერე არ მიგრძვნია. სხვა დროს ალბათ ამას აღარ ჩავიდენდი; გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, როგორც გენებოთ, არ მაინტერესებს. ეს იყო და ეს.

– არა მგონია, ეგ თქვენი ყველაზე უხამსი საქციელი იყოს, – ზიზღით უთხრა დარია ალექსეევნამ.

– ეგ საქციელი კი არა, ფსიქოლოგიური შემთხვევაა, – შენიშნა აფანასი ივანოვიჩმა.

– მოახლეს რა მოუვიდა? – ჰკითხა ნასტასია ფილიპოვნამ საშინელი ზიზღით.

– მოახლე, რა თქმა უნდა, მეორე დღესვე გააგდეს. იმ სახლში ასეთ ამბებს არავის აპატიებდნენ.

– თქვენ არაფერი თქვით?

– უყურეთ ერთი! აბა მაშ უნდა მივსულიყავი და ჩემი თავი გამეთქვა? – ჩაიხითხითა ფერდიშჩენკომ. ცოტა არ იყოს გაოცებული დარჩა, მისმა მონაყოლმა ყველაზე რომ უსიამო შთაბეჭდილება მოახდინა.

– რა საძაგლობაა! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ.

– ვაჰ! კაცს ეუბნებით, შენი ყველაზე უხამსი საქციელი მოჰყევიო და ამასთან, სთხოვთ, ლამაზი იყოს! ყველაზე უხამსი საქციელი მუდამ ყველაზე ბინძურიცაა, ივან პეტროვიჩიც ამასვე გეტყვის ახლა განა ცოტანი არიან, შეხედავ, თვალს მოგჭრის, კაცურ კაცად მოაქვს თავი, იმიტომ რომ კარეტა აქვს. განა ცოტას აქვს კარეტა.... მერედა, რა საშუალებით...

ერთი სიტყვით, ფერდიშჩენკომ თავს ვეღარ სძლია, ერთბაშად გაბოროტდა, ყველაფერი დაავიწყდა და საზღვარს გადავიდა; სახეც საოცრად დაეღრიჯა. ადვილი შესაძლებელია, ეგონა, რომ მისი მონაყოლი სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდა. ასეთი უზრდელური „იაღლიშები“ და, ტოცკის თქმისა არ იყოს, „თავისებური წატრაბახება“ ხშირად ემართებოდა ფერდიშჩენკოს და დამახასიათებელი იყო მისთვის.

ნასტასია ფილიპოვნას ბრაზით ლამის შეაცახცახა და ფერდიშჩენკოს მრისხანედ გადახედა; ისიც მყისვე დაფრთხა, მეტისმეტი მომივიდაო და ენა ჩაიგდო.

– ხომ არ მოვრჩეთ ამით? – ცბიერად შეაპარა აფანასი ივანოვიჩმა.

– ჩემი რიგია, ოღონდ შეღავათით ვისარგებლებ და არ მოვყვები, - გადაწყვეტით გამოაცხადა პტიცინმა.

– არა გსურთ?

– არ შემიძლია, ნასტასია ფილიპოვნა, თანაც ასეთი პეტი-ჟიო შეუძლებლად მიმაჩნია.

– მგონი თქვენი რიგი უნდა იყოს, გენერალო, – მიუბრუნდა ნასტასია ფილიპოვნა, – თუ თქვენც უარს იტყვით, სამწუხაროდ, ყველაფერი ჩაგვეშლება. მეც ვაპირებდი ერთი ამბის მოყოლას „ჩემი საკუთარი ცხოვრებიდან“, ოღონდაც თქვენსა და აფანასი ივანოვიჩის შემდეგ, რადგან გული უფრო მომეცემოდა, – სიცილით დააყოლა ბოლოს.

– ო, რაკი თქვენც გვპირდებით, – გულმხურვალედ შესძახა გენერალმა, – მზად ვარ, მთელი ცხოვრება გადმოგიშალოთ; გამოგიტყდებით, ჩემი რიგის მოლოდინში უკვე მოვამზადე ერთი ანეგდოტი...

– მის აღმატებულებას სახეზე ეტყობა, რომ განსაკუთრებული ლიტერატურული გემოვნებით და სიამოვნებით დაუმუშავებია თავისი პატარა ანეგდოტი, – გაბედა ჩარევა შეცბუნებულმა ფერდიშჩენკომ და გესლიანად გაიღიმა. ნასტასია ფილიპოვნამ ცერად გადახედა გენერალს და შეფარვით ჩაეღიმა. თუმცა, ეტყობოდა, ნაღველი და წუხილი სულ მეტად და მეტად ერეოდა. აფანასი ივანოვიჩმა რომ გაიგონა, ნასტასია ფილიპოვნაც აპირებსო მოყოლას, უარესად დაფრთხა.

– როგორც ყოველ კაცს, ბატონებო, – დაიწყო გენერალმა, – ზოგი რამ ურიგობა მეც ჩამიდენია, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს პატარა ანეგდოტი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ჩემი ცხოვრებით ყველაზე საძაგელ ანეგდოტად მიმაჩნია. მას აქეთ თითქმის ოცდათხუთმეტმა წელმა განვლო, მაგრამ რომ მომაგონდება, გულში მაინც მწარედ გამკრავს ხოლმე. თუმცა მეტისმეტად სულელური საქმე კია. მაშინ ჯერ კიდევ პრაპორშჩიკი გახლდით და სამხედრო სამსახურის ჭაპანს ვეწეოდი. ყველამ იცის პრაპორშჩიკის ამბავი ძარღვებში სისხლი უდუღს, არაფერი კი არ აბადია. იმხანად ერთი დენშჩიკი ამიჩნდა, სახელად ნიკიფორი, თავს იკლავდა პირდაპირ ჩემი საქმეების მოგვარებაზე, კაპიკს კაპიკზე ადებდა, მიკერავდა, მიხეხავდა და მიკრიალებდა ყველაფერს, თუ სადმე რასმე მოიხელთებდა, ქურდობასაც არ ითაკილებდა, ოღონდ ჩემთვის

შეემატებინა რამე; ერთგულზე ერთგული და პატიოსანი კაცი იყო. მე, ცხადია, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ვექცეოდი. ერთ პატარა ქალაქში საკმაო ხანს მოგვიხდა ყოფნა. ფორშტადტში[48] მიმიჩინეს ბინა, გადამდგარი პორუჩიკის ქვრივის სახლში; ოთხმოცი წლისა თუ დაახლოებით ამ ხნის ბებრუცუნა იქნებოდა. ძველისძველი უხეირო ფიცრული სახლი ედგა, არც მოახლე ჰყავდა იმ გაჭირვებულს. მაგრამ ოდესღაც კი თურმე დიდი ოჯახი ჰქონია და ბლომად ნათესავები ჰხვევია; ზოგი მომკვდარა ამ ხანში, ზოგი სხვაგან გადაბარგებულა, სხვებს დედაბრის არსებობაც დავიწყებიათ. ქმარი ორმოცდახუთი წლის წინათ დაუმარხავს. ამ რამდენიმე წლის წინ მასთან თურმე ერთი დისწულიც ცხოვრობდა, კუზიანი და დიდი როკაპი ვინმე. ერთხელ დედაბრისთვის თითზეც კი უკბენია, მაგრამ ის ქალიც მომკვდარა, ასე რომ, დედაბერი ეს სამი წელი მარტოდმარტო ცხოვრობდა. რას უნდა გავერთე მის სახლში, ცარიელ-ტარიელი იყო, სიკეთეს ვერაფერს გამორჩებოდი. ბოლოს, მამალიც მომპარა. დანამდვილებით დღესაც არ ვიცი, ოღონდ მის გარდა სხვა ვის უნდა ექნა. მამლის თაობაზე კარგა დიდი ჩხუბი მოგვივიდა. ამასობაში ისე მოხდა, რომ ჩემი პირველივე თხოვნით მეორე ბინაში გადამიყვანეს, ქალაქის მეორე ბოლოს მდებარე ფორშტადტში, ბლომად წვრილშვილის პატრონ ვაჭრის ოჯახში; მახსოვს, იმ ვაჭარს დიდი წვერი ჰქონდა. მე და ნიკიფორი სიხარულით გადავბარგდით და აღშფოთებულებმა დავტოვეთ ბებერი. გავიდა სამი დღე. სწავლებიდან რომ მოვბრუნდი, ნიკიფორმა მომახსენა თქვენო მაღალკეთილშობილებავ, სულ ტყუილად დაუტოვეთ იმ დედაბერს ჩვენი თასი, წვნიანი ახლა რით მოგართვათ. რა თქმა უნდა, გამიკვირდა ეგ როგორ მოხდა, რომ ჩვენი თასი დიასახლისთან დარჩა-მეთქი გაოცებულმა ნიკიფორმა ისევ მიპატაკა, რომ გადმოვდიოდით, დიასახლისმა ჩვენი თასი არ მოგვცა, იმ მიზეზით, თითქოს ქოთანი გავუტეხეთ და ამიტომ სანაცვლოდ ჩვენს თასს იტოვებს, თქვენც თითქოს ასე დაგიბარებიათ მისთვისო. ცხადია, მისმა ასეთმა უსინდისობამ მოთმინებიდან გამომიყვანა; სისხლი ამიდუღდა, წამოვხტი და დედაბრისაკენ გავქანდი.. დედაბერთან, ასე ვთქვათ, უკვე გაცოფებული მივედი; ვხედავ, ზის მარტოდმარტო, წინკარის კუთხეში, თითქოს მზეს მოფარებია, ლოყაზე შემოუდვია ხელი. მოგეხსენებათ, მაშინვე ერთი რისხვა დავატეხე. ასეთი და ასეთი ხარ-მეთქი! ერთი სიტყვით, კარგად შევამკე, როგორც რუსებს მოგვდგამს ხოლმე. ვხედავ, რაღაც უცნაური ამბავი ხდება ზის ეს დედაბერი, მიყურებს, თვალები გადმოუკარკლავს, ხმას არ იღებს, რაღაც უცნაურზე უცნაურად მომშტერებია, თითქოს ქანაობს. ბოლოს მეც ენა ჩავიგდე, ჩავაკვირდი, ჩავკითხე, პასუხი არ გამცა. ცოტა ხანს ასე გავჩერდი ბუზები ბზუიან, მზე ჩადის, სიჩუმეა; სრულიად შეცბუნებული გამოვტრიალდი და წამოვედი. სახლამდე არ ვიყავი მისული, მაიორთან გამომიძახეს, მერე ასეულში მომიხდა წასვლა, ასე რომ, შინ საღამოს დავბრუნდი. ნიკიფორმა ეს მომახალა პირველად იცით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ის ჩვენი დიასახლისი მომკვდარაო. – როდის-მეთქი? – ამ საღამოს საათ-ნახევრის წინო. მაშასადამე, მე რომ ვლანძღავდი, სწორედ იმ დროს ლევდა სულს. უნდა მოგახსენოთ, ისე გამაშტერა ამ ამბავმა, გონს ძლივს მოვედი. მერე სულ ამაზე ვფიქრობდი, სიზმარშიც ვნახე. ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ მესამე დღეს საყდარში დავესწარი დასაფლავებას. ერთი სიტყვით, რაც დრო გადიოდა, მეტად და მეტად მაფიქრებდა ეს ამბავი. რომ ვთქვათ, ძალიანო, არა, მაგრამ ხანდახან რომ გავიხსენებდი, ცუდად ვხდებოდი ხოლმე. ბოლოს, იცით, რა დავასკვენი ჯერ ერთი, ქალი იყო, ასე ვთქვათ, ადამიანიშვილი, ჩვენ დროში რომ ამბობენ, ჰუმანური არსება, ცხოვრობდა, დიდხანს ცხოვრობდა, ასე ვთქვათ, ცას გამოეკერა. ერთ დროს შვილებიც ჰყავდა, ქმარიც, ოჯახიც ჰქონდა, ნათესავები ეხვია, ერთი სიტყვით, მის ირგვლივ სიცოცხლე დუღდა, ყველაფერი უღიმოდა და უცბად – გათავდა ყველაფერი,

უკვალოდ გაქრა, დარჩა მარტოდმარტო, როგორც... როგორც ერთი რამ ბუზი, უკუნითი უკუნისამდე შეჩვენებული. ბოლოს მისი აღსასრულიც დადგა. მზის ჩასვლისას, ზაფხულის წყნარ საღამოს სულს ლევს ჩემი დედაბერი – რა თქმა უნდა, ჭკუის სასწავლი მაგალითი გახლავთ. ჰოდა, სწორედ ამ წუთს, ასე ვთქვათ, გამოსათხოვარი ცრემლების მაგივრად, ყმაწვილი, თავზეხელაღებული პრაპორშჩიკი, დოინჯშემოყრილი, დაკარგული თასის გამო რუსულად უკურთხებს და ისე აცილებს ამქვეყნიდან! უეჭველია, დამნაშავე ვარ. მართალია, დიდმა ხანმა განვლო მას აქეთ, მეც შევიცვალე და რა ხანია, უკვე ჩემი საქციელი თითქოს სხვისად მიმაჩნია, მაგრამ სინდისი ისევ მქენჯნის. ასე რომ, გიმეორებთ, მიკვირს კიდეც, მით უმეტეს, თუ დამნაშავე ვარ, ხომ სულ ჩემი ბრალი არაა. რაღა სწორედ ამ დროს მოუნდა სიკვდილი! ცხადია, მხოლოდ იმან შეიძლება გამამართლოს, რომ ეს საქციელი თავისებურად ფსიქოლოგიურია, მაგრამ მაინც ვერ დამიმშვიდდა გული, ვიდრე ამ თხუთმეტიოდე წლის წინ წესად არ შემოვიღე, დავრდომილთა თავშესაფარში ორი სნეული დედაბერი ჩემ ხარჯზე შევინახო, რა არის, ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეები ტკბილად გაატარონ და არაფერი მოაკლდეთ. ვფიქრობ, საამისოდ ფულიც გამოვყო ანდერძში, რომ შემდეგშიც ასე გაგრძელდეს. ეს იყო და ეს. ვიმეორებ, იქნებ ბევრი სხვა ცოდვაც მქონდეს ჩადენილი, მაგრამ სინდისზე ხელდადებით რომ ვთქვათ, ჩემი ცხოვრების მანძილზე ეს ყველაზე უხამსად მიმაჩნია.

– ჰოდა, ყველაზე უხამსი საქციელის ნაცვლად თქვენმა აღმატებულებამ ყველაზე შესანიშნავი საქციელი გვიამბო; მოატყუეს ფერდიშჩენკო და ესაა! – დაასკვნა ფერდიშჩენკომ.

– მართალი გითხრათ, გენერალო, არც მეგონა, თუ კეთილი გული გქონდათ, აფსუს?! – ტუჩი აიბზუა ნასტასია ფილიპოვნამ.

– აფსუსო? ვითომ რატომაო? - შესცინა გენერალმა და ფრიად ნასიამოვნებმა მოწრუპა შამპანური.

ჯერი აფანასი ივანოვიჩზე მიდგა, რომელიც უკვე მომზადებულიყო საამბობლად. ყველა მიხვდა, რომ ივან პეტროვიჩის მსგავსად უარს არ იტყოდა. ამასთან, სხვადასხვა მიზეზის გამო მის მონაყოლს განსაკუთრებული ცნობისწადილით ელოდნენ და, ამავე დროს, შიგადაშიგ ნასტასია ფილიპოვნასაც შეფარვით უჭვრეტდნენ. საოცარი, დიახაც მისი მედიდური გარეგნობის საკადრისი ღირსებით დაიწყო აფანასი ივანოვიჩმა ერთ-ერთი თავისი „საამური ამბავი“, დაიწყო მშვიდი, თავაზიანი კილოთი (ბარემ აქვე ვიტყვით, რომ აფანას ივანოვიჩ ტოცკი წარმოსადეგი, კარგი შესახედავი, ჩასუქებული კაცი იყო, ცოტა მელოტი, ჭაღარაშერეული, ღაჟღაჟა, ფლახვი ლოყებითა და ჩადგმული კბილებით. ტანსაცმელს ხალვათსა და მოხდენილს ატარებდა. გასაოცარი ქათქათა საცვლები ეცვა. თეთრ, ფუნჩულა ხელებს მისას კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. მარჯვენა ხელის სალოკ თითზე ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა). აფანასი ივანოვიჩი რომ ჰყვებოდა, ნასტასია ფილიპოვნა ამ დროს თავისი სახელოს მაქმანს დასცქეროდა და მარცხენა ხელით აწვალებდა, ამიტომ ერთხელაც ვერ მოახერხა მოამბისთვის შეეხედა.

– ყველაზე მეტად ის მიადვილებს ამოცანას, – დაიწყო აფანასი ივანოვიჩმა, – რომ უთუოდ ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი საქციელი უნდა გიამბოთ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კაცი ყოყმანს არ დაიწყებს სინდისი და გული მყის გიკარნახებს, სწორედ რომელ ამბავს მოჰყვე. სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ, რა ცოდვაც მაქვს ჩადენილი ცხოვრებაში, ჩემი ქარაფშუტობითა თუ... თავქარიანობით, ერთი ყველაზე მძიმედ მაწევს გულზე. მას აქეთ დაახლოებით ოცმა წელმა განვლო; იმხანად პლატონ ორდინცევს ვესტუმრე სოფლად. იგი სულ ახალი ამორჩეული იყო თავადაზნაურობის წინამძღოლად და ახალგაზრდა ცოლთან ერთად

ჩამოსულიყო ზამთრის დღესასწაულებზე. ამასობაში ანფისა ალექსეევნას დაბადების დღემაც მოაწია. ჰოდა, ორი ბალი გველოდა. იმხანად დიდ მოდაში და მაღალ საზოგადოებაში ფრიად გახმაურებული იყო დიუმა ფისის[49] მშვენიერი რომანი „La dame aux camelias“[50], პოემა, რომელსაც, ჩემის ფიქრით, არც სიკვდილი და არც მოძველება არ უწერია. პროვინციაში ყველა ქალი აღტაცებული იყო ამ წიგნით, ყოველ შემთხვევაში, ვისაც კი წაეკითხა. მიმზიდველმა ამბავმა, მთავარი გმირის ორიგინალურმა წარმოდგენამ, წარმტაცი სამყაროს დეტალურმა აღწერამ, და ბოლოს, წიგნში გაფანტულმა მომხიბლავმა წვრილმანებმა (ასე მაგალითად, ხან თეთრი, ხან ვარდისფერი კამელიების ტარებამ[51]), ერთი სიტყვით, ამ მშვენიერმა დეტალებმა და ყველაფერმა ერთად, თითქმის ყველას თავბრუ დაახვია. კამელიის ყვავილები საოცრად შემოვიდა მოდაში. ყველა ამ ყვავილებს დაეძებდა. აბა, ერთი მითხარით რამდენი კამელია უნდა იშოვოთ მაზრაში, როცა ყველა კამელიას ეძებს, თუნდაც ბალი იშვიათად იმართებოდეს საწყალი პატარა ვორხოვსკოი იმხანად ანფისა ალექსეევასთან დნებოდა და ჭკნებოდა. თუმცა, ვერ გეტყვით, მათ შორის მართლა იყო რამე თუ არა, ესე იგი შეიძლებოდა ჰქონოდა იმედი თუ არა გიჟივით კი დარბოდა საწყალი, რომ ანფისა ალექსეევნასთვის კამელიები ეშოვნა. როგორც ცნობილი გახდა, გუბერნატორის მეუღლის სტუმარი, პეტერბურგიდან ჩამოსული გრაფინია სოცკაია და სოფია ბესპალოვა ბალზე უთუოდ თეთრი კამელიების თაიგულებით მობრძანდებოდნენ. ჰოდა, ანფისა ალექსეევნამაც განსაკუთრებული ეფექტისათვის წითელი კამელიები მოინდომა. საცოდავ პლატონს ღამის სული ამოხადეს სირბილით; მოგეხსენებათ ქმრის ამბავი, აღუთქვა, თაიგულს გიშოვნიო, მაგრამ – რა მერე? წინა დღეს კატერინა ალექსანდროვნა მიტიშჩევას, რომელიც ანფისა ალექსეევნას ყველაფერში ეცილებოდა, დაესწრო და წაეღო კამელიები, ისინი დანასისხლად იყვნენ ერთმანეთში. რა თქმა უნდა, ანფისა ალექსეევნას ისტერიკა დაემართა, გული წაუვიდა. დაიღუპა პლატონი. გასაგებია, პეტიას რომ როგორმე ამ გაჭირვების დროს თაიგული ეშოვნა სადმე, შესაძლოა ძალიანაც მოეგო ანფისა ალექსეევნას თვალში; ქალის მადლიერებას ასეთ შემთხვევებში საზღვარი არ აქვს ხოლმე. პეტია გიჟივით დარბოდა აქეთ-იქით; მაგრამ შეუძლებელს ეტანებოდა. უეცრივ, საღამოს თერთმეტ საათზე, დაბადების დღისა და ბალის წინა ღამით, პეტიას შევხვდი მარია პეტროვნა ზუბკოვასთან, ორდინცევის მეზობელთან. სახე უბრწყინავდა. რა იყო-მეთქი – ვიშოვე! ევრიკაო! – მითხრა მან. – სწორედ ძალიან გამაკვირვე! სად რა საშუალებით იშოვე-თქო – მითხრეს, ეკშაისკში ერთი გრძელწვერა ვაჭარი ცხოვრობს, გვარად ტრეპალოვი (ეშკაისკი პატარა ქალაქი გახლავთ, სულ ოციოდე ვერსზე, ჩვენს მაზრას არც ეკუთვნის), დიდი მდიდარი ვინმეაო. მოხუცებული ცოლის მეტი არავინ გააჩნია; სამაგიეროდ, იადონებს ზრდიანო. ორთავე ყვავილებზეა გაგიჟებული, კამელიებიც აქვთო. მოიცა, გეთაყვა, ეგ ნაღდი რომ არაა ჯერ, იქნებ არც მოგცეს-მეთქი – დავუჩოქებ, მუხლებში ჩავუვარდები და სანამ არ მომცემს, არ მოვეშვებიო, – როდის წახვალ-მეთქი? – ხვალ ალიონზე, ხუთ საათზეო. – მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს-მეთქი! ძალიან გამეხარდა მის მაგივრად; ორდინცევებთან გამოვბრუნდი, ბოლოს, ორი საათი გახდა უკვე, მაგრამ რაღაც ვერ მოვისვენე. ის იყო დაწოლა დავაპირე, რომ უეცრივ ორიგინალურზე ორიგინალური აზრი დამებადა! ავდექი და სამზარეულოში ფეხაკრეფით გავედი, მეეტლე საველი გავაღვიძე, თხუთმეტ მანეთს დავპირდი, ნახევარ საათში ეტლი შემიბი-მეთქი! ნახევარი საათის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეტლი გარეთ მელოდა. მითხრეს, ანფისა ალექსეევნას შაკიკი აქვს, სიცხე მისცა, აბოდებსო. ჩავჯექი ეტლში და გავსწიე. ხუთ საათზე უკვე ეკშაიკსში გავჩნდი, ფუნდუკში გავჩერდი. ალიონს დავუცადე, შვიდ საათზე კი ტროეპალოვს მივადექი. ასეა და ასე-მეთქი, კამელიები გაქვთ თუ არა მიშველეთ, მამა-შვილურად გეხვეწებით,

გადამარჩინეთ, მუხლმოდრეკით გევედრებით-მეთქი! მაღალი, ბრგე, ჭაღარა, კუშტი მოხუცი იყო – კაცს შეაშინებდა. – აპა-პა! არ მოგცემთო! მე ფეხებში ჩავუვარდი! დიახ, პირდაპირ მის წინ გავიშოტე! – რა იყო, შვილო, რა დაგემართაო? – დაფრთხა კიდეც. – ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელთაა-მეთქი! – შევძახე. წაიღეთ, თუ ასეა, ღმერთმა გიშველოთო! ჰოდა, დავკრიფე და რა დავკრიფე მაშინ წითელი კამელიები! თვალს მოგწყვეტდა პირდაპირ. ისეთი პატარა ორანჟერეა ჰქონდა ოხრავდა და ოხრავდა ბერიკაცი. ასი მანეთი მივაწოდე. – არა, შვილო, სწორედ ძალიან მაწყენინებო. – თუ ეგრეა, პატივცემულო, ეს ასი მანეთი ინებეთ და აქაურ საავადმყოფოს შესწირეთ, შვილო, კეთილი და ღვთის სამადლო საქმეა, თქვენი მზეგრძელობისთვის შევწირავო. ძალიან მომეწონა ეს ბერიკაცი, ასე ვთქვათ, წმინდა წყლის de la vraie souche[52] რუსი კაცი. სიხარულით ცას ვეწიე და მაშინვე უკან გამოვქუსლე; ოღონდ მთავარი გზით არ წამოვედი, რა არის, პეტიას არ შევხვედროდი; ჩამოსვლისთანავე თაიგული ანფისა ალექსეევნას გავუგზავნე, თვალს გაახელდა თუ არა, მაშინვე მიერთმიათ. ალბათ წარმოიდგენთ, რა აღტაცებას, რა მადლიერებას გამოიწვევდა, რა მადლობის ცრემლები დაიფრქვეოდა! პლატონმა, გუშინს აქეთ ცოცხლად დამარხულმა პლატონმა, ცრემლებით დამისველა მკერდი, ვაი, რომ ასეთია ყველა ქმრის ბედი დღიდან... კანონიერი ქორწინების დაარსებისა! სხვა ვერაფრის თქმას გავბედავ. მაგრამ საწყალ პეტიას ამ ამბის შემდეგ ყველა იმედი გადაუწყდა. ჯერ მეგონა, როცა გაიგებს, ალბათ დამკლავს-მეთქი, და კიდეც მოვემზადე დასახვედრად, მაგრამ მოხდა ის, რასაც არაფრით ველოდი. გული წასვლოდა, საღამოს ბოდვა დაეწყო და დილით კი ხურვებად გადაქცეოდა; ბავშვივით ქვითინებდა თურმე, კრუნჩხვები ემართებოდა. ერთი თვის შემდეგ, როგორც კი გამოკეთდა, კავკასიაში ითხოვა გადაყვანა; ერთი სიტყვით, მთელი რომანი გამოვიდა! დამთავრდა იმით, რომ ყირიმში მოკლეს. მაშინ მისი ძმა, სტეპან ვორხოვსკოი, პოლკს მეთაურობდა და თავიც გამოიჩინა იქ. გამოგიტყდებით, კარგა ხანს მქენჯნიდა მაინც სინდისი რისი გულისთვის, რატომ მოვუკალ ასე გული მეც რომ შეყვარებული ვყოფილიყავ, კიდე ჰო, თორემ უბრალო სიცუღლუტით მომივიდა, მხოლოდ უწყინარი გაარშიყების მიზნით, სხვა არაფერი. ეს თაიგული რომ არ გამომეცალა მისთვის ხელიდან, ვინ იცის, დღესაც ცოცხალი და ბედნიერი ყოფილიყო, საქმე კარგად წასვლოდა და თურქებისთვის არ შეეკლა თავი.

აფანას ივანოვიჩმა ისევე დარბაისლურად დაამთავრა, როგორც დაიწყო. ყველამ შეამჩნია, რომ ნასტასია ფილიპოვნას რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში და ტუჩებიც აუკანკალდა. აფანასი ივანოვიჩის ამბის დამთავრებისას ყველა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს.

– მოატყუეს ფერდიშჩენკო! დიახაც მოატყუეს! არა, მოტყუება სწორედ ამას ჰქვია! – შესძახა მტირალა ხმით ფერდიშჩენკომ, რომელიც მიხვდა, რომ არათუ შეეძლო, კიდეც უნდა ჩაერთო სიტყვა.

– ვისი ბრალია, თქვენ თუ საქმეს ვერ ჩახვდით? ჰოდა, ისწავლეთ ჭკვიანი ხალხისაგან! – ნიშნისმოგებით მოუჭრა დარია ალექსეევნამ (ტოცკის ძველმა, ერთგულმა მეგობარმა და ხელის შემწყობმა).

– მართალი ბრძანდებით, აფანასი ივანოვიჩ, პეტი-ჟიო ფრიად მოსაწყენი გამოვიდა, ჰოდა, მოვრჩეთ ბარემ, – დაუდევრად თქვა ნასტასია ფილიპოვნამ, – მეც მოვყვები, რასაც დაგპირდით, და მერე ყველანი ბანქოს ჩავუჯდეთ.

– მაგრამ ჯერ დაპირებულ ანეგდოტს ველით! – გაეხარდა გენერალს.

– თავადო, – მოულოდნელად და მკვახედ მიუბრუნდა ნასტასია ფილიპოვნა თავადს, – აგერ ეს ჩემი ძველი მეგობრები, გენერალი და აფანასი ივანოვიჩი, სულ ჩემი გათხოვების ცდაში არიან. მითხარით ერთი, როგორ ფიქრობთ, გავთხოვდე თუ არა? როგორც მეტყვით, ისე მოვიქცევი.

აფანასი ივანოვიჩს ფერფური წაუვიდა, გენერალი სახტად დარჩა; ყველამ თვალები დააჭყიტა. განია ერთ ადგილს მიეყინა.

– ვის... ვის უნდა გაჰყვეთ? – ჩაწყვეტილი ხმით შეეკითხა თავადი.

– გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინს, – გააგრძელა ნასტასია ფილიპოვნამ იმავე მკვახე, მტკიცე და მკაფიო ხმით.

რამდენიმე წამს დუმილი ჩამოვარდა; თავადს თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა, თითქოს საოცარი ლოდი დასწოლოდა გულზე.

– აარა... არ გაჰყეთ! – წამოიჩურჩულა ბოლოს და სიმწრით მოითქვა სული.

– მაშ, ეგრე იყოს! გავრილა არდალიონოვიჩ! – მბრძანებლური, თითქოს საზეიმო კილოთი მიუბრუნდა ქალი განიას, – გაიგონეთ, რაც გადაწყვიტა თავადმა? ჰოდა, ჩემი პასუხიც ეგ არის. ასე რომ, ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ ამ საქმეს!

– ნასტასია ფილიპოვნა! – ხმა აუკანკალდა აფანასი ივანოვიჩს.

– ნასტასია ფილიპოვნა! – შეშფოთებით შეუძახა გენერალმა.

ყველა შეტოკდა და შეწრიალდა.

- რა დაგემართათ, ბატონებო - თითქოს გაიკვირვა ნასტასია ფილიპოვნამ, - რა იყო

ან რა სახეები გაგიხდათ!

– ხომ... ხომ არ დაგავიწყდათ ნასტასია ფილიპოვნა, - ენის ბორძიკით წაილუღლუღა ტოცკიმ, – რომ პირობა მოგვეცით... სავსებით ნებაყოფლობით, ასე რომ, შეიძლებოდა ცოტა მაინც დაგენდეთ. მე მიჭირს ლაპარაკი... რა თქმა უნდა, ფრიად ვწუხვარ, მაგრამ... ერთი სიტყვით, ახლა, ამ წუთს, ისიც... ისიც ხალხში... და ამ გზით... ამ პეტი-ჟიოთი გადაწყვეტა ესოდენ სერიოზული ამბისა, რაც პატიოსნებასა და გრძნობას შეეხება... რაზეც დამოკიდებულია...

– თქვენი არ მიკვირს, აფანასი ივანოვიჩ; მართლა სულ დაგბნევიათ თავგზა. ჯერ ერთი, რას ნიშნავს, „ხალხშიო“ განა მშვენიერ, ინტიმურ კამპანიაში არა ვართ ანდა „პეტი-ჟიო“ რა შუაშია მე მართლა მინდოდა ჩემი ანეგდოტი მეამბნა, ჰოდა, გიამბეთ კიდეც; რითია ვითომ ცუდი; ან რატომ ამბობთ, არასერიოზულიაო? განა ეს სერიოზული არაა? ხომ გაიგონეთ, თავადს რომ ვუთხარი როგორც მეტყვით, ისე გადავწყვეტ-მეთქი რომ ეთქვა, კიო, მაშინვე დავთანხმდებოდი, მაგრამ არაო, მითხრა და მეც უარი ვთქვი.. მთელი ჩემი სიცოცხლე სასწორზე შევაგდე; ამაზე სერიოზული რა უნდა იყოს?

– მაგრამ აქ რა შუაშია თავადი? ბოლს და ბოლოს, ვინ არის თავადი? – წაილუღლუღა გენერალმა, რომელმაც ველარ შეიკავა აღშფოთება, თავადის ასეთი შეურაცხმყოფელი ავტორიტეტით გამოწვეული.

– თავადი ის არის, რომ მთელ ჩემს ცხოვრებაში პირველი, ჭეშმარიტად ერთგული კაცი ეგ ვნახე და ვიწამე მისი. მან ერთი შეხედვით დაიჯერა ჩემი და მეც მჯერა მისი.

– ისღა დამრჩენია, მადლობა მოვახსენო ნასტასია ფილიპოვნას, რომ ასე... ასე ფაქიზად მომექცა, – თქვა ბოლოს ხმის კანკალით გაფითრებულმა განიამ, რომელსაც ტუჩები ეღრიცებოდა, – ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო... ოღონდ... თავადი... თავადი ამ ამბავში...

– სამოცდათხუთმეტ ათასს ეპოტინება, არა? – გააწყვეტინა ნასტასია ფილიპოვნამ, – ამის თქმა გინდოდათ? ნუ უარყოფთ, უთუოდ ამის თქმა გინდოდათ! აფანასი ივანოვიჩ, დამავიწყდა ესეც

დამემატებინა. ის სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთი უკანვე წაიღეთ და იცოდეთ, მუქთად გაძლევთ თავისუფლებას. კმარა! თქვენც ხომ უნდა ამოისუნთქოთ?! ცხრა წელი და სამი თვე გავიდა! ხვალ ახალი ცხოვრება დაიწყება, დღეს კი ჩემი დაბადების დღეა, დღეს მე ჩემს თავს ვეკუთვნი, პირველად ჩემს სიცოცხლეში! გენერალო, აჰა, თქვენი მარგალიტიც, თქვენს მეუღლეს მიუტანეთ; ხვალიდან კი ამ ბინასაც ვტოვებ საბოლოოდ. აღარც საღამოები იქნება, ბატონებო!

ამ სიტყვებით ნასტასია ფილიპოვნა ერთბაშად წამოდგა და თითქოს წასვლა დააპირა.

– ნასტასია ფილიპოვნა! ნასტასია ფილიპოვნა! – გაისმა ყოველი მხრიდან შეძახილები. ყველა აღელდა და ადგილიდან წამოდგა; ყველა ნასტასია ფილიპოვნას შემოეხვია და შეშფოთებით ისმენდნენ ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აკანკალებული ხმით ნათქვამ გამწარებულ სიტყვებს; ყველა რაღაც შფოთს აეტანა, ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყო, ვერავის ვერაფერი გაეგო. სწორედ ამ წუთს უეცრივ ხმამაღლა, ძლიერად დაიწკრიალა ზარმა, ზუსტად ისე, როგორც ამ დილას განეჩვას ბინაში.

– ააა! აი, დასასრულიც! ძლივს არა?! თორმეტის ნახევარია! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ, – ბატონებო, გთხოვთ, დაბრძანდეთ, დასასრული ახლა იქნება!

ნასტასია ფილიპოვნამ ეს თქვა და პირველი დაჯდა. უცნაური ღიმილი უკრთოდა ბაგეზე. ის უხმოდ იჯდა და, საშინლად აღგზნებული, მოუთმენლად მისჩერებოდა კარებს.

– ეჭვი არაა, როგოჟინი და ასი ათასი იქნება, – ჩაიდუდუნა პტიცინმა თავისთვის.

XV

მოახლე კატია ძალზე შეშინებული შემოვიდა.

– ღმერთმა არ იცის, იქ რა ამბავია, ნასტასია ფილიპოვნა, ათამდე კაცი შემოიჭრა, მთვრალები არიან, აქ შემოსვლა უნდათ, როგოჟინი მოვიდაო, იძახიან, თვითონ იცისო, ამბობენ.

– მართალია, კატია, ახლავე შემოუშვი ყველა.

– ყველა... ყველა ნასტასია ფილიპოვნა? ადამიანის სახე რომ არც ერთს არა აქვს საშინელებაა!

– შემოუშვი, კატია, ნუ გეშინია, ყველა შემოუშვი, თორემ უშენოდაც შემოვლენ. დახე, რა ყაყანი აქვთ წეღანდელივით. ბატონებო, იქნებ გწყინთ, რომ თქვენი თანდასწრებით მინდა ეს ხალხი მივიღო – მიუბრუნდა ის სტუმრებს, – ვწუხვარ და გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ ასეა საჭირო და მეც ძალიან, ძალიან მინდა, რომ ამ დასასრულისას ჩემი მოწმენი ბრძანდებოდეთ, თუმცა, როგორც გენებოთ...

განცვიფრებული სტუმრები კვლავ ერთ ჩურჩულსა და ერთმანეთის გადახედვაში იყვნენ. ჩანდა, რომ, ყოველივე ეს წინასწარ მოფიქრებული და დაწყობილი იყო, და რომ ნასტასია ფილიპოვნას, უკვე ნამდვილად ჭკუაზე შეშლილს, ახლა ვეღარავინ გადაათქმევინებდა რასმე. ყველა საოცარმა ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ამასთან, არც დიდად შეშინებია ვისმე. ქალი მხოლოდ ორი ერია! დარია ალექსეევნა, თამამი და დიახაც ბევრის მნახველი ქალი, რომელსაც აგრერიგად ვერაფერი გააკვირვებდა, და მშვენიერი უცხო ქალბატონო, რომელსაც მთელი ეს საღამო ხმა არ ამოუღია. მაგრამ მშვენიერი მდუმარე უცხო ქალბატონი ვერც გაიგებდა რასმე. იგი ჩამოსული გერმანელი ქალი იყო და რუსული ენისა თითქმის არა გაეგებოდა რა; გარდა ამისა, მგონი, რამდენადაც ლამაზი იყო, იმდენად ჭკუაც არ აწუხებდა. ვითარცა ახალ ხილს, ყველგან სადარბაზოდ პატიჟებდნენ, რა არის მდიდრულად ჩაცმული, სამაგალითოდ თმადავარცხნილი, ლამაზი სურათივით დაესვათ სადმე, სწორედ ისე, როგორც ზოგიერთები თავისი

საღამოებისთვის ნაცნობებიდან სურათს, ვაზას, ქანდაკებასა თუ ეკრანს ჩამოითხოვენ. რაც შეეხება მამაკაცთა წრეს, პტიცინი, მაგალითად, როგოჟინის მეგობრად ითვლებოდა; ფერდიშჩენკოსთვის ეს ამბავი სწორედ მისწრება იყო; განეჩკა ჯერ გონს ვერ მოსულიყო, მაგრამ ყრუ, თუმცა კი შეუკავებელ ავადმყოფურ სურვილს აეტანა, რათა ამ თავის სამარცხვინო ბოძთან ბოლომდე გაეძლო; ბებერ მასწავლებელს საქმის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ლამის ტიროდა და შიშით ცახცახებდა, ნასტასია ფილიპოვნას თავს რაღაც ამბავიაო; ნასტასია ფილიპოვნაზე კი შვილიშვილივით მზე ამოსდიოდა. ასე რომ, უმალ სიკვდილს არჩევდა, ვინემ ასეთ წუთს მიატოვებდა. რაც შეეხება აფანასი ივანოვიჩს, რა თქმა უნდა, ასეთ ამბებში გარევით ჩირქს არ მოიცხებდა, მაგრამ ფრიად დაინტერესებული გახლდათ, თუნდაც საქმეს ესოდენ გიჟური ხასიათიც მიეღო. თანაც ნასტასია ფილიპოვნამ ერთი-ორი ისეთი სიტყვა წამოისროლა მისი მისამართით, რომ საბოლოოდ თუ არ გაარკვევდა, ვერასგზით ვერ წავიდოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ბოლომდე დაეცადა, კრინტი აღარ დაეძრა და მხოლოდ მოთვალთვალედ დარჩენილიყო, რასაც, ცხადია, მისი ღირსებაც მოითხოვდა. მარტოოდენ გენერალ ეპანჩინს, ისედაც განაწყენებულს საჩუქრის ეს-ესაა ეგზომ უბოდიშო, და სასაცილო დაბრუნებით, შეეძლო შეურაცხყოფად მიეღო ეს ექსცენტრული ამბები, როგორიც, მაგალითად, როგოჟინის გამოჩენა იყო. მისი წონის კაცმა ისედაც მეტისმეტი თავმდაბლობა გამოიჩინა, პტიცინსა და ფერდიშჩენკოს რომ მოუჯდა გვერდით. მაგრამ რაც ტრფობის ძალამ ჩაადენინა, ის ბოლოს და ბოლოს მოვალეობის, ვალდებულების, ჩინის, საკუთარი წონისა და, საერთოდ, საკუთარი პატივისცემის გრძნობით იქნებოდა ძლეული. ასე რომ, როგოჟინი და მისი ამფსონები, ყოველ შემთხვევაში, გენერლის იქ ყოფნისას, ყოვლად დაუშვებელი გახლდათ.

– აჰ, გენერალო, – გააწყვეტინა მაშინვე ნასტასია ფილიპოვნამ, როცა ივან ფიოდოროვიჩი ამ განცხადებით მიუბრუნდა, – სულ დამავიწყდა! დამიჯერეთ, თქვენი ამბავი გათვალისწინებული მქონდა. რაკი ასე გწყინთ, არც მე ჩაგაცივდებით და დაგაკავებთ, თუმცა ძალზე კი მსურდა, სწორედ თქვენ ყოფილიყავით ახლა ჩემთან. ყოველ შემთხვევაში, მადლობას მოგახსენებთ გაცნობისა და დიდი ყურადღებისთვის, მაგრამ რაკი გეშინიათ...

– რას ბრძანებთ, ნასტასია ფილიპოვნა, - შესძახა გენერალმა, რაინდული სულგრძელობით ატაცებულმა, – ვის ეუბნებით ამას? მარტო ჩემი ერთგულების დასამტკიცებლად დავრჩები ახლა თქვენთან და თუ, მაგალითად, რაიმე საფრთხე... თანაც, გამოგიტყდებით, დიდად დაინტერესებული ვარ. მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, ვაითუ ხალიჩები გააფუჭონ და რამე დაამტვრიონ... თან, ჩემის აზრით, სულაც არ არიან ეგენი საჭირო, ნასტასია ფილიპოვნა!

– როგოჟინი მობრძანდა! – გამოაცხადა ფერდიშჩენკომ.

– როგორ გგონიათ, აფანასი ივანოვიჩ, – მოასწრო გენერალმა წაჩურჩულება, – ჭკუაზე ხომ არ შეიშალა? ესე იგი, ყოველგვარი ალეგორიების გარეშე, წმინდა მედიცინური თვალსაზრისით, ჰა?

– აკი მოგახსენეთ, ამის მიდრეკილება მუდამ ჰქონდა-მეთქი, – ცბიერად წასჩურჩულა აფანასი ივანოვიჩმაც.

– უქეიფოდაც რომ არის...

როგოჟინის მხლებლებს თითქმის ამდილანდელი ამფსონები შეადგენდა. ოღონდ ერთი ვიღაც ჭკუამჩატე ბერიკაცი მომატებოდათ, რომელიც თავის დროზე რომელიღაც პატარა, ფუქსავატური მამხილებელი გაზეთის რედაქტორი ყოფილიყო და რომელზეც ანეგდოტი დადიოდა, თავისი ოქროს კბილები დააგირავა და ღვინოში გაფლანგაო. კიდევ ერთი გადამდგარი პოდპორუჩიკიც აკიდებოდათ, თავისი ხელობით და დანიშნულებით დილანდელი მუშტი-კრივის ვაჟბატონის მეტოქე და კონკურენტი; როგოჟინის ამფსონებიდან მას არავინ

სცნობდა, ქუჩაში ენახათ ნევის პროსპექტის მზიან მხარეზე, სადაც გამვლელ-გამომვლელს აჩერებდა თურმე და მარლინსკის სტილით[53] შემწეობას სთხოვდა იმ ვერაგული საბაბით, რომ მე თვითონ თავის დროზე თხუთმეტ მანეთზე ნაკლებს არ ვაძლევდიო მთხოვნელებს. ორივე კონკურენტი მყის მტრული გრძნობით განიმსჭვალა ერთმანეთის მიმართ. დილანდელმა მუშტი-კრივის ვაჟბატონმა „მთხოვნელის“ ამფსონებში ჩარიცხვით თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგრამ ბუნებით სიტყვაძვირი მხოლოდ დათვივით ბდღვინავდა და უდიდესი ზიზღით უცქეროდა „მთხოვნელის“ პირფერობასა და ლაქუცს, რომელიც საზოგადოებაში გამოსული, კარგა გამოქექილი ვინმე აღმოჩნდა. პოდპორუჩიკი, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, უფრო სიმარჯვითა და მოქნილობით გაიტანდა, ვინემ ღონით, თანაც მუშტიკრივის ვაჟბატონზე დაბალიც ბრძანდებოდა. მან ფრიად ნაზად და ყოველგვარი კამათის გარეშე, ეს კია საოცარი ტრაბახით, რამდენჯერმე გადაუკრა კიდევ ინგლისური „ბოქსის“ უპირატესობაზე, ერთი სიტყვით, წმინდა წყლის ზაპადნიკად გამოიჩინა თავი. მუშტი-კრივის ვაჟბატონს „ბოქსის“ გაგონებაზე მხოლოდ აგდებით ეღიმებოდა, თავის მხრივ არც იმას გამოუდვია თავი კამათში, ოღონდ ხანდახან უსიტყვოდ და თითქოს შემთხვევით გამოაჩენდა ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამოჩრიდა ერთ ყოვლად ნაციონალურ საგანს – უზარმაზარ, დაძარღვულ, წითურა ბალნით შემოსილ მუშტს და ყველასათვის ნათელი იყო, რომ თუ ეს წმინდა წყლის ნაციონალური საგანი ვისმე მოხვდებოდა, იქვე ლავაშივით გააბრტყელებდა.

როგოჟინის ამფსონებში დილანდელივით კვლავ არც ერთი არ იყო „გახეთქილი მთვრალი“, თვით როგოჟინის მეცადინეობით, რამეთუ მთელი დღე ახსოვდა, დღეს რომ ნასტასია ფილიპოვნასთან უნდა მისულიყო. თვითონაც თითქმის სულ გამოფხიზლდა, სამაგიეროდ, რეტი დაასხა იმ განცდებმა, რაც თავისი ცხოვრების მანძილზე ამ ყველაზე უმსგავსო დღეს გადაიტანა. მხოლოდ ერთი ახსოვდა, ერთი ჩაბეჭდოდა ტვინსა და გულში და ერთზე ფიქრობდა ყოველ წუთსა და წამს. სწორედ ამ ერთის გულისთვის მთელი ეს ხანი, ნაშუადღევის ხუთი საათიდან მოყოლებული თერთმეტამდე, გაუთავებელ ტანჯვასა და შფოთში გაატარა კინდერებისა და ბისკუპების გადამკიდემ, რომლებიც დამთხვეულებივით დარბოდნენ მისი საქმისთვის. ასე იყო თუ ისე, ასი ათასი მანეთი ნაღდი ფული, რაზეც დაცინვითა და სრულიად გაურკვევლად გადაუკრა ნასტასია ფილიპოვნამ, მაინც უშოვეს, ოღონდაც ისეთ პროცენტებზე, რომ თვით ბისკუპი ამის თაობაზე კინდერს სირცხვილით ხმამაღლა ვერ ელაპარაკებოდა. ამდილანდელივით როგოჟინი ახლაც წინ მოუძღოდა თავის ამფსონებს. დანარჩენები, ასე ვთქვათ, გულის კანკალით მოსდევდნენ უკან, თუმცა თავიანთ უპირატესობას დიახაც გრძნობდნენ. მთავარი ის იყო, რომ ნასტასია ფილიპოვნას შიში ჰქონდა რატომღაც. ზოგიერთები კიდეც ფიქრობდნენ, მყისვე „კინწისკვრით გაგვყრიანო“. ამ აზრის იყო, სხვათა შორის, კოხტაპრუწა, არშიყი ზალიოჟევიც. მაგრამ სხვები კი, განსაკუთრებით მუშტი-კრივის ვაჟბატონი, ნასტასია ფილიპოვნას უდიდესი ზიზღითა და სიძულვილითაც უყურებდნენ, რა თქმა უნდა, გულში, ხმამაღლა რას გაბედავდნენ, და მათი ვიზიტი უფრო შემოსევას ჰგავდა. ეს კია, პირველი ორი ოთახის დიდებულმა მორთულობამ, მათთვის არნახულმა და არგაგონილმა ნივთებმა, იშვიათმა ავეჯმა, სურათებმა, ვენერას ვეება ქანდაკებამ მყის პატივისცემით აღავსო ისინი და ლამის დააფრთხო კიდეც. რა თქმა უნდა, შიშის მიუხედავად, როგოჟინს მაინც ფეხდაფეხ, თითო-ოროლად შემოჰყვნენ სასტუმროში. მაგრამ როცა მუშტი-კრივის ვაჟბატონმა, „მთხოვნელმა“ თუ ზოგმა სხვამ სტუმრებში გენერალ ეპანჩინს მოჰკრეს თვალი, პირველ წუთს იმდენად წაუხდათ საქციელი, რომ ნელ-ნელა უკან დაიხიეს და ისევ მეორე ოთახში გალაგდნენ. მარტო ლებედევმა არ გაიტეხა იხტიბარი, როგოჟინს თითქმის მხარდამხარ მიჰყვა, რადგან

იცოდა, რა ძალა აქვს სინამდვილეში მილიონ ოთხასი ათას ნაღდ ფულს და ასი ათასს – აქვე, ხელში. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყოვლის მცოდნე ლებედევის ჩათვლით, ყველას, ცოტა არ იყოს, ეშლებოდა თავიანთი ძლიერების საზღვრებისა თუ მიჯნის შეცნობა და არ იცოდნენ, მართლა ყველაფრის უფლება ჰქონდათ ახლა თუ არა ლებედევი ზოგჯერ მზად იყო დაეფიცა, ყველაფრისო, მაგრამ შიგადაშიგ მოუსვენრობა აიტანდა და ყოველი შემთხვევისათვის გულში მაინც იხსენებდა კანონთა კრებულის ზოგიერთ, მეტწილად გამამხნევებელ მუხლებს.

თანამგზავრებისაგან განსხვავებით, როგოჟინზე სულ საწინააღმდეგო შთაბეჭდილება მოახდინა ნასტასია ფილიპოვნას სასტუმრომ. ფარდა რომ აიწია და ნასტასია ფილიპოვნას მოჰკრა თვალი, ამდილანდელივით სხვა დანარჩენი გაქრა, აღარ არსებობდა მისთვის და ახლა უფრო მეტი სიძლიერით, ვინემ ამ დილას, ფერი წაუვიდა, გული საშინლად უცემდა; გაუბედავად, გაოგნებით მიშტერებოდა რამდენიმე წამს ნასტასია ფილიპოვნას. მერე თითქოს მთლად გონებადაკარგული ლამის ბარბაც-ბარბაცით წავიდა მაგიდისაკენ; გზად პტიცინის სკამს დაეჯახა და ტურფა გერმანელი ქალბატონის საუცხოო ცისფერი კაბის მაქმანიან არშიას დაადგა ტალახიანი ჩექმა; მაგრამ ამაზე არც ბოდიში მოუხდია და არც შეუმჩნევია. მაგიდასთან რომ მივიდა, ზედ ერთი უცნაური საგანი დადო, რომელიც სასტუმროში შემოსვლისას ორივე ხელით მოჰქონდა. ეს საგანი სამი გოჯის სიმაღლისა და ოთხი გოჯის სიგრძის ქაღალდის დიდ დასტას წარმოადგენდა, რომელიც „ბირჟის ვედომოსტში“ მაგრად, მჭიდროდ იყო გახვეული, ხოლო ჯვარედინად ორჯერ სწორედ ისეთი ბაწრით იყო გაკრული, როგორითაც შაქრის თავებს კრავენ ხოლმე. შემდეგ ხელები დაუშვა და ისევ უსიტყვოდ გაჩერდა ადგილზე, თითქოს თავის განაჩენს ელისო. ტანთ ისევე ეცვა, როგორც ამ დილას, ესაა, ახალთახალი, აბრეშუმის ყელსახვევი ეხვია ყელზე, ღია მწვანე და წითელი ფერისა, ზედ ვეება ბრილიანტისთვლიანი ქინძისთავი ებნია, რომელსაც ხოჭოს ფორმა ჰქონდა. მარჯვენა ხელის ჭუჭყიან თითზე კი ბრილიანტის დიდი ბეჭედი წამოეცვა. ლებედევი სამიოდე ნაბიჯით ჩამორჩა მხოლოდ; დანარჩენები, როგორც ვთქვით, ნელ-ნელა შემოლაგდნენ სასტუმროში. ნასტასია ფილიპოვნას მოახლეებმა კატიამ და პაშამაც მოირბინეს და ფარდებიდან განცვიფრებითა და შიშით იჭვრიტებოდნენ.

– ეგ რა არის? – დაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ნასტასია ფილიპოვნამ როგოჟინი და „საგანზე“ თვალით ანიშნა.

– ასი ათასია! – თითქმის ჩურჩულით მიუგო მან.

– ამას უყურე, სიტყვის პატრონი ყოფილა. დაბრძანდით, გეთაყვა, აი, აქ, ამ სკამზე; მერე გეტყვით რაღაცას. ვინ გახლავთ თან ამდილანდელი კამპანია მაშ შემოვიდნენ და დასხდნენ; აგერ იქ, დივანზე შეიძლება, აგერ კიდევ დივანი. აი, აქ ორი სავარძელია... რა იყო, არ უნდათ განა

ზოგიერთებმა მართლაც დაირცხვინეს, მეორე ოთახში გავიდნენ და იქ დასხდნენ მოსაცდელად. ნაწილი დარჩა და რაკი მიიპატიჟეს, ჩამოსხდნენ კიდეც, ოღონდ მაგიდის მოშორებით, უფრო მეტად კუთხე-კუთხე მილაგდნენ; ზოგი ახლაც იმას ცდილობდა, მაინცდამაინც არავის შეჩხიროდა თვალში, სხვებს, რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო, რაღაც არაბუნებრივი სისწრაფით ემატებოდა სიმხნევე. როგოჟინიც ჩამოჯდა მისთვის მიჩენილ სკამზე, მაგრამ მალე წამოხტა და მერე აღარც დამჯდარა. ნელ-ნელა სტუმრებიც გაარჩია და თვალიერება დაუწყო. განიას დანახვაზე გესლიანად ჩაიღიმა და „ამას ვერ უყურებთო“, ჩაიჩურჩულა. გენერალსა და აფანასი ივანოვიჩს მოურიდებლად გადახედა და მაინცდამაინც ყურადღებაც არ მიაქცია. მაგრამ ნასტასია ფილიპნოვნას გვერდით რომ თავადი დაინახა,

საოცრად განცვიფრებულმა დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი, თითქოს ვერ გაერკვია, ამას რაღა უნდოდა აქ. იმასაც შეატყობდა კაცი, დროდადრო თითქოს ბურანში არისო. დღევანდელი გაწამაწიის გარდა, წუხელ მთელი ღამე მატარებელში გაატარა და თითქმის ორი ღამის უძილო იყო.

– ბატონებო, ეს ასი ათასი გახლავთ, აი, ამ ჭუჭყიან დასტაში, – რაღაც გამომწვევად მიმართა იქ მყოფთ ნასტასია ფილიპოვნამ, რომელსაც საშინელი აღგზნება ეტყობოდა. – დილით ამ კაცმა გიჟივით შემომძახა, საღამოს ასი ათასს მოგიტანო, და მეც ველოდი. ჩემი ყიდვა გადაწყვიტა ამ ფულით თვრამეტი ათასიდან დაიწყო, მერე ერთბაშად ორმოცზე ახტა, მერე კი, აგერ, ეს ასიც მოიტანა. შეასრულა კიდეც სიტყვა! ფუჰ, რა ფერი ადევს სახეზე... ეს ყველაფერი ამ დილით განეჩკასთან მოხდა დედამისს ვეწვიე ვიზიტით, ჩემს მომავალ ოჯახს ვეახელი, იქ კი მისმა დაიამ პირში მომახალა ამ უნამუსოს ნუთუ აქედან ვერავინ გაათრევსო! ხოლო თავის ძმას, განეჩკას სახეში შეაფურთხა. გაბედული ვინმე ყოფილა!

– ნასტასია ფილიპოვნა! – საყვედურით წარმოთქვა გენერალმა, რომელიც თავისებურად რამდენადმე უკვე ჩამხვდარიყო საქმეს.

– რა გნებავთ, გენერალო? უზრდელად ხომ არ ვიქცევი მეყო, რაც ვიყოყოჩე! მე რომ ფრანგული თეატრის ლოჟაში ბელეტაჟის უკარება ქალბატონივით ვიჯექი, ამ ხუთი წლის მანძილზე ვინც დამდევდა, ყველას ველურივით გავურბოდი და ამაყი ქალწულივით ვიყურებოდი, ეს ხომ სულ ჩემი სისულელე და სიბრიყვე იყო! აგერ, ხომ ხედავთ, ხუთი წლის უბიწოების შემდეგ მოვიდა კაცი და ასი ათასი დამიწყო წინ, ასი ათასად შემაფასა! განეჩკა, გატყობ, აქამდე ბრაზობ ჩემზე ნუთუ მართლა მიპირებდი შენს ოჯახში შეყვანას? მე, როგოჟინის ხასას! რა გითხრა წელან თავადმა?

– მე ეგ არ მითქვამს, – როგოჟინის ხასა ხართ-მეთქი. თქვენ როგოჟინის ხასა არა ბრძანდებით! – ხმა აუკანკალდა თავადს.

– ნასტასია ფილიპოვნა, გეყოფა, გენაცვა, გეყოფა, საყვარელო, – ველარ მოითმინა დარია ალექსეევნამ, – თუკი ეგრე დაგიმძიმეს ამათ გული, რაღას უყურებ მერე ნუთუ ამისთანა კაცს გინდა გაჰყვე, თუნდაც ასი ათასის გულისთვის?! ასი ათასი, მართალია, პატარა ამბავი არაა! შენც ადექი, ასი ათასი გამოართვი და მერე პანჩური ჰკარი. აი, როგორ უნდა მოექცე მაგათ; ეჰ, მე შენს ადგილზე მაგათ ყველას... რა არის მართლაც და მართლაც!

დარია ალექსეევნას, კეთილსა და ფრიად შთაბეჭდილებიან ქალს, გულიც კი მოუვიდა.

– ნუ ჯავრობ, დარია ალექსეევნა, – ჩაეცინა ნასტასია ფილიპოვნას, – მე ხომ გაბრაზებით არ ვეუბნები, ხომ არ მისაყვედურებია მისთვის მართლაც, ვერ გამიგია, ეს რა სიბრიყვემ ამიტანა, რომ პატიოსან ოჯახში ვაპირებდი შესვლას. დედამისი ვნახე, ხელზე ვაკოცე. ამ დილით კი, მასხარად რომ აგიღე, განეჩკა, შენს სახლში, განზრახ გავაკეთე, მინდოდა უკანასკნელად გამომეცადე სანამდე მიხვიდოდი? მართალი გითხრა, სწორედ გამაკვირვე. ყველაფერს ველოდი, ამას კი არა! ან როგორ შეგეძლო ჩემი თხოვა, როცა იცოდი, რომ აგერ, ლამის ქორწილის წინა დღეს გენერალი ასეთ მარგალიტს მჩუქნის და მეც ვართმევ? ან როგოჟინმა რა ჰქნა შენს სახლში, შენი დედის და დის თვალწინ ყიდვა დამიპირა, შენ კი ამის შემდეგ მაინც ჩემ სათხოვნელად მოხვედი და ლამის დაიაც მოიყვანე. ნუთუ მართალი თქვა როგოჟინმა შენზე, სამი მანეთის გულისთვის ვასილევსკის კუნძულამდე ხოხვით მივაო?

– მივა კიდეც, – დაბეჯითებით წაილაპარაკა როგოჟინმა.

– შიმშილით რომ გძვრებოდეს სული, კიდევ ხო. მაგრამ, როგორც ამბობენ, კარგ ჯამაგირს იღებ! ამ ყველაფერთან ერთად, სირცხვილსა და თავისმოჭრის გარდა, საძულველი ცოლის

შეყვანაც გინდოდა სახლში! (შენ ხომ გძულვარ, ვიცი!) არა, ახლა კი მჯერა, რომ ამისთანა კაცი ფულის გულისთვის მართლაც დაკლავს ვისმე! ახლა ყველა ისეთმა სიხარბემ აიტანა, ისე იტაცებთ ფული, ლამის გაგიჟდნენ, ჯერ რძე არ შეშრობიათ პირზე და უკვე მევახშეობას იწყებენ! ან არადა დაახვევს სამართებელზე აბრეშუმს, დაამაგრებს, ზურგიდან მიეპარება და ცხვარივით დაკლავს თავის ამხანაგს, როგორც ამას წინათ წავიკითხე.[54] ოჰ, რა უნამუსო ყოფილხარ?! მე უნამუსო ვარ, მაგრამ შენ ჩემზე უარესი აღმოჩნდი, – ამ მეთაიგულეზე რომ აღარა ვთქვა...

– რაები მესმის თქვენგან, ნასტასია ფილიპოვნა?! – ხელები გაასავსავა ჭეშმარიტად შეწუხებულმა გენერალმა, – ესოდენ ფაქიზი, ესოდენ დახვეწილი ქალი და შეხეთ ერთი, რა ენა?! რა სტილი?!

– ახლა მე მთვრალი ვარ, გენერალო, – გადაიკისკისა უეცრად ნასტასია ფილიპოვნამ, – ქეიფი მინდა! დღეს ჩემი დღეა, ჩემი დღესასწაული, ჩემი ნაკიანი დღე, დიდი ხანია ამ დღეს ველოდი. დარია ალექსეევნა, შეხედე ამ მეთაიგულეს, ამ Monsieur aux camelias[55], ზის და იცინის ჩვენზე...

– არა, ნასტასია ფილიპოვნა, მე დიდი გულისყურით გისმენთ, – ღირსებით მოუჭრა ტოცკიმ.

– ჰოდა, რისი გულისთვის ვაწამე მთელი ეს ხუთი წელი, რისი გულისთვის არ ვიშორებდი ღირდა კი ამად?! ღმერთს ასეთად გაუჩენია. აქეთ მე ჩამთვლის, ალბათ, დამნაშავედ განა არა, აღმზარდა, გრაფინიასავით შემინახა, რამდენი დამახარჯა, ჯერ კიდევ იქ გამომიძებნა პატიოსანი საქმრო, მერე აქ განეჩკა ამიჩინა. და დამიჯერებ, ეს ხუთი წელი მაგასთან არ მიცხოვრია, ფულს კი ვართმევდი და მეგონა, სწორს ვშვებოდი. სულ ამერია გზა-კვალი! შენ აგერ მეუბნები, თუკი ზიზღსა გგვრის, ასი ათასი გამოართვი და მერე პანჩური ჰკარიო. მართლაც, საზიზღრობაა... განა ამდენ ხანს არ შემეძლო გათხოვება, განეჩკა ვინაა, იმაზე უკეთესებიც იყვნენ, მაგრამ ესეც ხომ სიბილწეა. ან ხუთი წელი ამ ღვარძლს რისი გულისთვის გადავალიე?! დამიჯერებ, ამ ოთხიოდე წლის წინათ ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, რა იქნება, ამ ჩემს აფანასი ივანოვიჩს გავყვე-მეთქი ცოლად? მართლაც, რომ ღვარძლმა მაფიქრებინა, თუმცა მაშინ რა არ მომდიოდა თავში. კიდეც ვაიძულებდი! თვითონ მიტრიალებდა, დამიჯერებ? მართალია, ცრუობდა, მაგრამ მეტისმეტი მსუნაგია და ეს შეაცდენდა. მადლობა ღმერთს, მერე ვიფიქრე რა ღირსია-მეთქი ასეთი ღვარძლის?! ჰოდა, იმდენად შემძაგდა მაშინ ეგ კაცი, კიდეც რომ ეთხოვა ცოლობა, არ გავყვებოდი. მთელი ხუთი წელი ამ პრანჭვაში გავატარე! არა, ისევ ქუჩაში ყოფნა მირჩევნია, ჩემი ადგილი სწორედ იქაა! ან როგოჟინთან ქეიფში მოვკლა დრო, ან არადა ხვალვე ვისმე დავუდგე მრეცხავად! მე ხომ ჩემი არაფერი გამაჩნია; წავალ – ყველაფერს მივუყრი, უკანასკნელ ჭინჭსაც არ შევირჩენ მაგისას, ცარიელ-ტარიელს კი ვინ წამიყვანს! აბა, ერთი განიას ჰკითხე, წამიყვანს განა? ფერდიშჩენკოც კი არ მითხოვს ალბათ!

– ფერდიშჩენკომ, იქნებ არ გითხოვოთ, ნასტასია ფილიპოვნა, მე გულახდილი კაცი გახლავართ, – გააწყვეტინა ფერდიშჩენკომ, – სამაგიეროდ, თავადი გითხოვთ! აგერ რომ სტირით და ბედს უჩივით, თავადს რატომ არ უყურებთ?! მე რა ხანია თვალს ვადევნებ...

ნასტასია ფილიპოვნა ცნობისმოყვარეობით მოუტრიალდა თავადს.

– მართლა?

– მართლა, – წაიჩურჩულა თავადმა.

– ასე ცარიელ-ტარიელს წამიყვან?

– წაგიყვანთ, ნასტასია ფილიპოვნა...

– ესეც ახალი ანეგდოტი! – წაიბურტყუნა გენერალმა. – თუმცა მოსალოდნელიც იყო.

მწუხარე და გამჭვალავი მზერა მიეპყრო თავადს ნასტასია ფილიპოვნასთან, არც ქალი აშორებდა თვალს.

– ერთი ამას უყურეთ?! – უეცრივ ისევ დარია ალექსეევნას მიუტრიალდა ნასტასია ფილიპოვნა, – მართლა წმინდა გულით კი ამბობს, ვიცი მაგის ამბავი. ესეც ახალი მწყალობელი! მაგრამ იქნებ მართლა იძახიან მაგაზე, ცოტა... აკლიაო. ნეტავ რითი აპირებ მერე ცხოვრებას, თუკი ეგრე ხარ ჩემზე შეყვარებული, რომ თავადი კაცი როგოჟინის ხასას მთხოულობ?..

– მე პატიოსან ქალს ვთხოულობ, ნასტასია ფილიპოვნა, როგოჟინის ხასას კი არა.

– ეგ მე ვარ პატიოსანი?

– თქვენ.

– ეგ... რომანებშია! ეგ, გეთაყვა, თავადო, ძველი ლათაიებია, ახლა ქვეყანა დაჭკვიანდა, ეგ სულ სისულელეებია! ან რა დროს შენი ცოლია, როცა იქით გჭირდება ლალა?!

თავადი წამოდგა; ლაპარაკი რომ დაიწყო, ხმა უკანკალებდა, მოკრძალებული ჩანდა, თუმცა ამავე დროს ღრმად დარწმუნებული კაცის ხმა ჰქონდა.

– მართალი ბრძანდებით, ნასტასია ფილიპოვნა, რომ არაფერი ვიცი და არც არაფერი მინახავს, ოღონდ... ოღონდ ისე მიმაჩნია, მე კი არა, თქვენ აქეთ დამდებთ პატივს. მე არაფერს წარმოვადგენ, თქვენ კი ამდენი ტანჯვა ნახეთ და ამ ჯოჯოხეთს წმინდად დააღწიეთ თავი, ეს კი ბევრს ნიშნავს. მაშ რისა გრცხვენიათ და როგოჟინს რატომ გინდათ გაჰყვეთ? აღგზნებული ხართ ახლა და იმიტომ... ბატონ ტოცკის სამოცდათხუთმეტი ათასი უკანვე მიეცით და თქვით, რაც აქაა, ყველაფერს დავტოვებო, ამას კი აქ არავინ ჩაიდენს. მე თქვენ... მიყვარხართ, ნასტასია ფილიპოვნა. თქვენი გულისთვის მოვკვდები, ნასტასია ფილიპოვნა. ხმას არავის ამოვაღებინებ თქვენზე, ცუდს არ ვათქმევინებ... თუ ფული არ გვექნება, მე ვიმუშავებ, ნასტასია ფილიპოვნა...

მის ამ უკანასკნელ სიტყვებზე ფერდიშჩენკომ და ლებედევმა ხითხითი ატეხეს, რაღაცნაირად ამოიოხრა დიდად უკმაყოფილო გენერალმაც. პტიცინსა და ტოცკის ღიმილი შეეპარათ, მაგრამ თავი შეიკავეს. სხვებმა კი გაოცებისაგან მხოლოდ პირი დააღეს.

– მაგრამ, იქნებ, არც სიმდიდრე გვაკლდეს, ნასტასია ფლიპოვნა, – განაგრძობდა თავადი ისევე გაუბედავი ხმით, – თუმცა დანამდვილებით არ ვიცი, სამწუხაროდ, მთელი დღე ვერ მოვახერხე ამ ამბის გარკვევა. შვეიცარიაში მოსკოვიდან წერილი მივიღე ვინმე ბატონ სალაზკინიდან, მატყობინებს, თითქოს ძალზე დიდი მემკვიდრეობის მიღება შემიძლია. აი, ეს წერილი.

თავადმა მართლაც ამოიღო ჯიბიდან წერილი.

– ხომ არ ბოდავს? – წაილუღლუღა გენერალმა, – ნამდვილი საგიჟეთია.

წუთით დუმილი ჩამოვარდა.

– თავადო, მგონი, ბრძანეთ, წერილი სალაზკინმა გამომიგზავნაო? – ჰკითხა პტიცინმა, – თავის წრეში ეგ ძალზე ცნობილი კაცია, განთქმული შუამავალი; ჰოდა, თუკი მართლაც შემოგითვალათ, სავსებით შეგიძლიათ ერწმუნოთ. საბედნიეროდ, მის ხელსა ვცნობ, ამას წინათ მასთან მქონდა საქმე... თუ დამახედებთ, ეგებ შევძლო რაიმე გითხრათ.

თავადმა აკანკალებული ხელით უხმოდ გაუწოდა წერილი.

– ეს რა ამბავია, რა ხდება? – გამოერკვა გენერალი და გიჟივით გადახედა იქ მყოფთ, – ნუთუ მართლაც მემკვიდრეობას იღებს?

ყველა პტიცინს შესცქეროდა, რომელიც წერილს კითხულობდა. ამ ამბავმა სტუმრების ცნობისწადილი უფრო მეტად გააღვივა. ფერდიშჩენკო ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა; როგოჟინი განცვიფრებული იყურებოდა და ხან თავადს შეაშტერდებოდა საოცარი შეშფოთებით, ხან პტიცინს. დარია ალექსეევნა ამ მოლოდინში თითქოს ნემსებზე იჯდა. ლებედევს ვერ გაუძლო გულმა, თავისი კუთხე მიატოვა, პტიცინს ზურგში ამოუდგა და, სამად მოკაკულმა, წერილს დაუწყო ჭვრეტა, თანაც ისეთი სახით, თითქოს ეშინია, თავში არ ჩამცხონო.

XVI

– ნაღდი საქმე გახლავთ, – გამოაცხადა ბოლოს პტიცინმა, წერილი დაკეცა და თავადს დაუბრუნა. – დეიდათქვენის უდავო ანდერძის მიხედვით ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე დიდზე დიდი ქონება გერგებათ.

– ყოვლად შეუძლებელია! – აღმოხდა გენერალს.

ყველამ ისევ განცვიფრებით დააღო პირი.

პტიცინი მობრუნდა და უფრო ივან ფიოდოროვიჩის საყურადღებოდ განმარტა, რომ ამ ხუთი თვის წინათ თავადს დეიდა გარდაეცვალა, რომელსაც პირადად არ იცნობდა და რომელიც თავადის დედის უფროსი და იყო, მესამე გილდიის ვაჭრის, მოსკოველი პაპუშინის ასული; თვით პაპუშინი გაკოტრებულიყო და სიღარიბეში დაელია სული. მაგრამ პაპუშინის უფროსი ძმა, ისიც ახლახან გარდაცვლილი, ცნობილი მდიდარი ვაჭარი ყოფილა. ერთი წლის წინ, იმავე თვეში, ორი ვაჟი მოჰკვდომია, მათ გარდა, სხვა შვილები არ ჰყოლია. ლოგინად ჩავარდნილა და კიდეც მომკვდარა. იგი ქვრივი ყოფილა, ასე რომ, თავადის დეიდის, პაპუშინის ღვიძლი ძმისწულის, ფრიად ღატაკი და უცხოთა კარზე შეხიზნული ქალის გარდა, სხვა მემკვიდრე არ დარჩენია. მემკვიდრეობა რომ მიიღო, ეს დეიდა თურმე თვითონაც მომაკვდავი იყო წყალმანკით, მაგრამ მყისვე დაავალა სალაზკინს, თავადის ადგილ-საცხოვრებელი აღმოეჩინა და ანდერძის დაწერაც მოასწრო. როგორც ჩანს, არც თავადს და არც ექიმს, ვისთანაც ის შვეიცარიაში ცხოვრობდა, აღარ დაუცდიათ ოფიციალური უწყებისთვის, არც ცნობები მოუკითხავთ და თავადმაც, სალაზკინის წერილით ჯიბეში, გადაწყვიტა, თვითონვე გამომგზავრებულიყო.

– მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ, – მიუტრიალდა დასასრულს პტიცინი თვადს, – რომ ეს ყოველივე უდავო და ნაღდი უნდა იყოს, და რასაც სალაზკინი გწერთ თქვენი საქმის უდავობასა და კანონიერებაზე, ისე იგულეთ, თითქოს ჯიბეში ნაღდი ფული გედოთ. მომილოცნია, თავადო! შეიძლება, თქვენც მილიონ ნახევარი მიიღოთ, იქნებ უფრო მეტიც. პაპუშინი ძალზე მდიდარი იყო.

– აფერუმ, გვარში უკანასკნელი თავადო მიშკინ?! – აღრიალდა ფერდიშჩენკო.

– ვაშა! – ნამთვრალევი ხმით წაიხრიწინა ლებედევმა.

– მე კი ამ დილას ოცდახუთი მანეთი ვასესხე გლახაკივით, ჰა-ჰა-ჰა! ფანტასმაგორიაა და მეტი არაფერი! – წაილაპარაკა გაოცებისაგან თითქმის მთლად გაოგნებულმა გენერალმა, – მაშ მომილოცავს, მომილოცავს! – გენერალი წამოდგა და თავადს გადასახვევად მიუახლოვდა. მის კვალდაკვალ სხვებიც წამოიშალნენ და ისინიც თავადს მიეხვივნენ. მეორე ოთახში გაკრეფილებიც ისევ შემოლაგდნენ სასტუმროში. შეიქნა ერთი ყაყანი, შეძახილები, აქა-იქ შამპანურიც მოითხოვეს; ყველა ამოძრავდა და აფუსფუსდა. წუთით ნასტასია ფილიპოვნაც კი დაავიწყდათ თითქოს, აღარავის ახსოვდა, რომ ის იყო მაინც აქ დიასახლისი და მასთან იყვნენ წვეულნი ამ საღამოს. მაგრამ მალე მოაგონდა ყველას, რომ თავადმა ეს-ეს არის ცოლობა სთხოვა ამ ქალს. მაშასადამე, საქმე წინანდელზე სამჯერ უფრო გიჟური და უჩვეულო გამოდიოდა. ღრმად განცვიფრებული ტოცკი მხრებს იჩეჩავდა, თითქმის მარტო ის იჯდა თავის ადგილზე, დანარჩენები მაგიდის ირგვლივ ირეოდნენ. შემდეგში ყველა ამტკიცებდა, ნასტასია ფილიპოვნა სწორედ იმ წუთიდან შეირყა ჭკუაზეო. იგი კვლავ ერთ ადგილზე იჯდა და რამდენიმე ხანს ყველას უცნაური, გაკვირვებული თვალით აცქერდებოდა, თითქოს არ ესმის და ცდილობს მოიაზროს, ეს რა ხდებაო. შემდეგ ერთბაშად თავადისკენ მიბრუნდა, რისხვით შეჰყარა წარბები და დაკვირვებით დააშტერდა. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით; იქნებ იფიქრა, ოინი ხომ არ მომიწყვეს ან ხომ არ დამცინიანო; მაგრამ თავადის სახემ მყისვე გადაარწმუნა ამაში. ნასტასია

ფილიპოვნა ჯერ ჩაფიქრდა, მერე ისევ გაიღიმა, თითქოს თვითონაც არ იცოდა გარკვევით, რაზე...

– მაშასადამე, მართლაც კნეინა ვიქნები?! – თითქოს დაცინვით წაიჩურჩულა თავისთვის, მერე შემთხვევით დარია ალექსეევნას შეხედა და გადაიკისკისა. – რა მოულოდნელად შეტრიალდა საქმე... არ მეგონა, ასე თუ... ბატონებო, რაღას უდგეხართ, გთხოვთ დაბრძანდეთ, მე და თავადი დაგვლოცოთ! ვიღაცამ, მგონი, შამპანური მოითხოვა; ფერდიშჩენკო, წადით, უბრძანეთ მოიტანონ, კატია, პაშა, – თვალი შეასწრო უცბად კარებთან მოახლე ქალებს, – აქ მოდით, არ გაიგონეთ, ვთხოვდები! თავადს მივყვები, მილიონ ნახევრის პატრონს, დიახ, თავად მიშკინს, იგი მთხოულობს.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გენაცვალე, არაა თუ დრო?! ბედი კარზე მოგდგომია და არ გაუშვა! – შესძახა დარია ალექსეევნამ, მომხდარი ამბით დიდად აფორიაქებულმა.

– გვერდით მომიჯექი, თავადო, – განაგრძობდა ნასტასია ფილიპოვნა, – აი, ასე, აგერ ღვინოც მოაქვთ, დაგვლოცეთ, ბატონებო!

– ვაშა! – იღრიალა რამდენიმე ხმამ. სტუმრებიდან ბევრი წაეტანა ღვინოს, მეტწილად როგოჟინის ამფსონები. მართალია, კი ღრიალებდნენ და მზადაც იყვნენ ეღრიალათ, მაგრამ, მთელი ამ უცნაური მდგომარეობისა და გარემოების მიუხედავად, ბევრმა მაინც იგრძნო, რომ სურათი შეიცვალა. ზოგი გაუბედაობას აეტანა და უნდობლად ელოდა, რა მოხდებოდა. სხვებს ჩურჩული გაება, საკვირველი ამაში არაფერია, ვინ არ მოჰყავთ ხოლმე თავადებს ცოლად, ბოშა ქალებსაც მოათრევენო. თვით როგოჟინი ერთ ადგილზე იდგა და, თვალებად ქცეულს, სახე უმოძრაო, შეცბუნებული ღიმილით მოღრეცოდა.

– თავადო, გენაცვა, გონს მოდი! – ჩასჩურჩულა ზარდაცემულმა გენერალმა, რომელიც თავადს ამოსდგომოდა და სახელოზე ექაჩებოდა.

ნასტასია ფილიპოვნამ თვალი წაატანა და გადაიკისკისა.

– არა, გენერალო! ახლა მეც კნეინა გახლავართ, არ გაიგონეთ განა, თავადი არავის დააჩაგვრინებს ჩემს თავს! აფანასი ივანოვიჩ, თქვენც მომილოცეთ; ახლა თქვენს ცოლს ყველგან გვერდით ამოვუსკუპდები; როგორ გგონიათ, ვითომ ხელსაყრელი არ იქნება ასეთი ქმარი მილიონ-ნახევარის პატრონი, თანაც თავადი, თანაც ამბობენ, იდიოტიო, ამას რა სჯობია?! ახლა იწყება, თუ იწყება ნამდვილი ცხოვრება! დაგაგვიანდა, როგოჟინო! მოაცილე აქედან ეგ შენი დასტა, მე თავადს მივყვები ცოლად, შენზე მდიდარი გავხდი!

ახლა კი ჩახვდა როგოჟინი, რაშიც იყო საქმე. აუწერელი ტანჯვა აღებეჭდა სახეზე. ხელები გაასავსავა და კვნესა აღმოხდა.

– ჩამომეცალე! – შეჰყვირა მან თავადს.

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

– შენ ჩამოგეცალოს? – ნიშნისმოგებით მიახალა დარია ალექსეევნამ, – უყურე ერთი ამ ხეპრეს, გადმოალაგა თავისი ფულები და დიდი ამბავი ჰგონია! თავადს ცოლად მიჰყავს, შენ კი რისთვის მობრძანდი?

– მეც წავიყვან! ახლავე, ამ წუთს! სულს არ დავზოგავ მაგის გულისთვის...

– შეხე ამ გალეშილს, კინწისკვრით უნდა გაგაგდოს კაცმა! – აღშფოთებით გაიმეორა დარია ალექსეევნამ.

ხარხარმა უფრო იმატა.

– გესმის, თავადო, – მიუბრუნდა ნასტასია ფილიპოვნა, – როგორ გევაჭრება საცოლეს ეს ხეპრე.

– მთვრალია, თორემ ძალიან უყვარხართ.

– ვითომ არ შეგრცხვება მერე, რომ შენი საცოლე კინაღამ როგოჟინს გაჰყვა?
– აღგზნებული იყავით და იმიტომ, თქვენ ახლაც ავად ხართ და თითქოს გაბოდებთ.
– არც იმის შეგრცხვება, მერე რომ გეტყვიან, შენი ცოლი ტოცკის ხასად უჯდაო?
– არ შემრცხვება... თქვენი ნებით არ ყოფილხართ ტოცკისთან.
– არც არასოდეს დამაყვედრი?
– არ დაგაყვედრით.
– იცოდე, მთელი ცხოვრების პირობას ნუ იძლევი!
– ნასტასია ფილიპოვნა, – ნელი ხმით და გულისტკივილით უთხრა თავადმა, – წეღან გითხარით, თქვენს თანხმობას პატივად მივიჩნევ, და რომ მე კი არა, თქვენ დამდებთ-მეთქი პატივს. ამ სიტყვებზე ჩაიცინეთ, როგორც ყური მოვკარი, სხვებსაც გაეცინათ. მე იქნებ სასაცილოდ გამოვთქვი და სასაცილოც ვიყო, მაგრამ მგონია, რომ... მესმის, რაშია პატივი, და სიმართლე ვთქვი. ახლა თავის დაღუპვა გინდოდათ, სამუდამოდ, ვინაიდან შემდეგ ამას თავის დღეში არ აპატიებდით თავს? თქვენ კი არაფერში მიგიძღვით ბრალი. ყოვლად შეუძლებელია, თქვენი ცხოვრება სულ დაღუპული იყოს. მერე რა, რომ როგოჟინი მოვიდა თქვენთან, გავრილა არდალიონოვიჩი კი მოტყუებას გიპირებდათ სულ ეს რატომ გაკერიათ პირზე გიმეორებთ, რაც თქვენ ჩაიდინეთ, იმას ბევრი არ გააკეთებს, ხოლო როგოჟინის გაყოლას რომ აპირებდით, ავად იყავით და იმიტომ. თქვენ ახლაც ვერა ხართ კარგად, უკეთესია წახვიდეთ და დაწვეთ. ხვალვე ალბათ მოსარეცხედ დაუდგებოდით ვისმე, როგოჟინთან კი არ დარჩებოდით. თქვენ ამაყი ხართ, ნასტასია ფილიპოვნა, და, შესაძლოა, იმდენად უბედური, რომ მართლაც დამნაშავედ მიგაჩნიათ თავი. თქვენ მოვლა გჭირდებათ, ნასტასია ფილიპოვნა, და მე მოგივლით. ამ დილით თქვენს სურათს რომ დავხედე, მეგონა, ნაცნობი სახე დავინახე-მეთქი, მეჩვენა, თითქოს მიხმობდით კიდეც... მე... მე ფილიპოვნა, – დააბოლოვა უეცრივ თავადმა, თითქოს ახლაღა ჩახვდა, რა ხალხის წინაშე ლაპარაკობდა ამას და გაწითლდა.
პტიცინს სირცხვილისაგან თავი დაეხარა და იატაკს ჩასჩერებოდა. ამ იდიოტსაც სცოდნია, რომ პირფერობით უფრო გავა ფონს. კაცია და გუნებაო, – გაიფიქრა გულში ტოცკიმ. თავადმა ისიც შეამჩნია, როგორ აკვესებდა კუთხიდან თვალებს განია, თითქოს მისი მოსპობა უნდოდა.
– აი, პატიოსანი კაციც ამას ჰქვია! – გული აუჩუყდა დარია ალექსეევნას.
– ეჰ, განათლებული, მაგრამ დაღუპული კაცია და! – წაიდუდუნა გენერალმა.
ტოცკიმ ქუდი აიღო და ადგომა დააპირა, რომ შეუმჩნევლად გაპარულიყო. მან და გენერალმა თვალით ანიშნეს ერთმანეთს, გავიდეთო.
– გმადლობთ, თავადო, დღემდე ჩემთვის ამის მსგავსი არაფერი უთქვამთ, – მიუგო ნასტასია ფილიპოვნამ. – ჩემს ყიდვას ყველა ცდილობდა, მაგრამ რიგიან კაცს ჯერ ცოლობა არ უთხოვია. გესმით, აფანასი ივანოვიჩ თავადის ნათქვამი? ნეტავ როგორ მოგეჩვენათ სწორედ რომ არ ეკადრებოდა, არა... როგოჟინ! ჯერ შეიცადე, ნუ წახვალ. თუმცა, ვხედავ, არც აპირებ წასვლას. ეგების მაინც შენ გამოგყვე. საით გინდოდა წაგეყვანე?
– ეკატერინგოფში, – თავისი კუთხიდან მოახსენა ლებედევმა, როგოჟინი ერთი კი შეკრთა და თვალები დააჭყიტა, თითქოს ყურებს არ უჯერისო. ისე იყო გამოლენჩებული, კაცი იფიქრებდა, თავში რაღაც ჩასცხესო.
– რას ამბობ, რას, გენაცვალე?! ჭეშმარიტად რაღაც მოგდის ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? – შეხტა შეშინებული დარია ალექსეევნა.
– აბა მართალი გეგონა? - კისკისით წამოიჭრა დივნიდან ნასტასია ფილიპოვნა, - მაშ ამ ღლაპს დავღუპავდი? ეს ხომ აფანასი ივანოვიჩის ხელობაა? ღლაპები მაგას უყვარს! წამო, როგოჟინ!

მოამზადე ეგ შენი დასტა! მერე რა, რომ ცოლად მიგყავარ, ფული მაინც მომეცი. ეგებ არ გამოგყვე ცოლად. გეგონა მითხოვდი და ფულები შენ დაგრჩებოდა შემცდარხარ! მე თავად გახლავართ უნამუსო! ტოცკის ხასად ვეჯექი, დიახ... თავადო! ახლა შენ აგლაია ეპანჩინა შეგეფერება, ნასტასია ფილიპოვნა კი არა, თორემ ფერდიშჩენკოს თითით საჩვენებელი გახდები! შენ არ გეშინია, მაგრამ მე კი შემეშინდება, რომ დაგლუპე და რომ მერე საყვედურებით ამავსებ! რომ თქვი, პატივს მე კი არა, შენ დამდებო, ეგ ტოცკის ჰკითხე, მაგან უკეთ იცის. იცი თუ არა, განეჩკა, რომ აგლაია ეპანჩინა დაჰკარგე? ვაჭრობა რომ არ დაგეწყო, უთუოდ ცოლად გამოგყვებოდა! აი, ასე ხართ ყველა უნამუსო თუ პატიოსან ქალთან – ანგარიში ერთი გაქვთ! არადა, გებნევათ დავთარი... გენერალს შეხეთ ერთი, პირი როგორ დაუღია...

– სოდომია, სოდომი! – გაიძახოდა გენერალი და მხრებს იჩეჩავდა. დივნიდან ისიც წამომდგარიყო; დანარჩენებიც ფეხზე იდგნენ. ნასტასია ფილიპოვნა თითქოს გახელებულიყო.

– ნუთუ?! – ამოიკვნესა თავადმა ხელების მტვრევით.

– აბა რა გეგონა? იქნებ მეც მაქვს სიამაყე, მერე რა, რომ უნამუსო ვარ?! ამ დილას სრულქმნილი მიწოდე; კაი სრულქმნილია, ღმერთმანი, ოღონდ დაიკვეხოს, მილიონი და კნეინობა გადავთელეო, წუმპეში მიძვრება! აბა, ამის შემდეგ რა ცოლობა უნდა გაგიწიო აფანასი ივანოვიჩ, განა არა, მილიონი ხომ მართლაც ფანჯარაში ვისროლე? მაშ რამ გაფიქრებინათ, რომ განიას ცოლობას, ისიც თქვენი სამოცდათხუთმეტი ათასის გულისთვის, ბედნიერებად მივიჩნევდი? ეგ სამოცდათხუთმეტი ათასი, აფანასი ივანოვიჩ, შენ დაიტოვე! როგოჟინმა გაჯობა ასიც ვერ გაიმეტე! ხოლო განეჩკას მე ვანუგეშებ. ერთი რამ მოვიფიქრე. ახლა კი ქეიფი მსურს, მე ხომ ქუჩის ქალი ვარ?! ათი წელი ციხეში გავატარე, ახლა ჩემი ბედნიერების დღე დადგა! რას უყურებ, როგოჟინ? მოემზადე, წავიდეთ!

– წავიდეთ! – შეჰღრიალა სიხარულისგან ლამის გაგიჟებულმა როგოჟინმა, – ეჰეი, მანდ ვინა ხარ... ყველას ღვინო! უჰ, შენი!..

– ღვინო მოამზადე, დათრობა მინდა. მუსიკა იქნება?

– იქნება, როგორ არ იქნება! არ მიეკარო! – გაშმაგებით იღრიალა როგოჟინმა, რა დაინახა, ნასტასია ფილიპოვნას დარია ალექსეევნა მიუახლოვდა, – ჩემია! სულ ჩემია! ჩემი დედოფალია! მორჩა!

როგოჟინს სიხარულით სული შეგუბებოდა, ნასტასია ფილიპოვნას გარშემო უვლიდა და, არ მიეკაროთო, ყველას უყვიროდა. მისი ამფსონებით აივსო სასტუმრო. ერთნი სვამდნენ, სხვები ყვიროდნენ და ხარხარებდნენ, ყველა აღტყინებული იყო, ყველა თავის ქეიფზე იქცეოდა. ფერდიშჩენკო ახლა მათ მიტმასნებას ცდილობდა. გენერალი და ტოცკი ისევ გასაპარად მომზადებულიყვნენ. განიაც ქუდით ხელში იდგა, მაგრამ ხმას არ იღებდა, თითქოს ვერ მოეწყვიტა თვალი ამ სურათისთვის.

– არ მიეკარო! – ღრიალებდა როგოჟინი.

– რა გაღრიალებს, ნეტა?! – კისკისებდა მისი შემყურე ნასტასია ფილიპოვნა, – ჯერ მე ვარ აქ ისევ მასპინძელი; თუ მომეპრიანა, იქნებ კინწისკვრით გაგაგდო აქედან. ჯერ ხომ ფული არ გამომირთმევია შენთვის, აგერ იქა დევს; მოიტა ყველა, მთელი დასტა! ამ დასტაშია განა ასი ათასი? ფუჰ, რა საზიზღრობაა! რა იყო, დარია ალექსეევნა? განა ეგ უნდა დამეღუპა? (მან თავადზე მიუთითა). რა დროს მაგისი ცოლია, ჯერ ლალა სჭირდება; აი, გენერალი მოუვლის, – შეხე, როგორ დასტრიალებს თავს?! ხედავ, თავადო, შენმა საცოლემ ფული აიღო, იმიტომ, რომ გარყვნილი ქალია, შენ კი ცოლად თხოულობდი! რა გატირებს ნეტა გული გეტკინა, განა იცინე, იცინე, აი, ჩემსავით იცინე, – განაგრძობდა ნასტასია ფილიპოვნა და თვითონაც ორი მსხვილი

ცრემლი გადმოუგორდა ლოყებზე, – დრო ყველაფრის წამალია – გაგივლის! თავს სინანული სჯობია. რატომ ტირის ყველა? – აგერ კატიაც ტირის! რა იყო, კატია, გენაცვალე შენ და პაშას ბევრი დაგიტოვეთ, დაბარებული მაქვს უკვე, ახლა კი მშვიდობით! პატიოსანი ქალი იყავი და მე უნამუსო გიმსახურებდი... ასე სჯობია, თავადო, მართლა სჯობია, იცი, შემდეგ მაინც მომიძულებდი, ბედნიერები არ ვიქნებოდით! ნუ იფიცებ, არ მჯერა! დიდი სისულელე იქნებოდა!.. არა, სჯობს პატიოსნად გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, თორემ მეც ხომ მეოცნებე ვარ, სასიკეთო მაინც არაფერი გამოგვივიდოდა! განა მე თვითონ არ ვოცნებობდი შენზე? შენ მართალი თქვი, დიდი ხანია ვოცნებობდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამის სოფელში ვიყავი და ხუთი წელი მარტოობაში გავატარე; ფიქრებს რომ მივეცემოდი, ოცნება რომ გამიტაცებდა ხანდახან – სულ შენისთანა კეთილი და პატიოსანი, კარგი კაცი წარმომიდგებოდა თვალწინ, ცოტა შენისთანა მოშტეროც, რომელიც უეცრივ მოვიდოდა და მეტყოდა თქვენ უცოდველი ხართ, ნასტასია ფილიპოვნა, მე თქვენ გაღმერთებთო! ჰოდა, ხანდახან ისე გამიტაცებდა ოცნება, ლამის ჭკუიდან გადავდიოდი... ამ დროს კი ეს ჩამოვიდოდა წელიწადში ერთ-ორ თვეს დარჩებოდა, სულსა და გულს წამიბილწავდა, გულს ჩამწყვეტდა, ცეცხლს შემინთებდა, გამათახსირებდა და წავიდოდა, – ათასჯერ მაინც დავაპირე წყალში გადავარდნა, მაგრამ სული ტკბილია და ვერ გავბედე; ახლა კი... მზადა ხარ, როგოჟინ?

– მზადა ვარ. არ მიეკარო!

– მზადა ვართ! – გაისმა რამდენიმე ხმა.

– ზანზალაკებიანი ტროიკები გველის!

ნასტასია ფილიპოვნამ ხელი დასტაცა დასტას.

– განკა, იცი, რა აზრი დამებადა? შენი დასაჩუქრება მინდა, აბა, რად უნდა დაკარგო, ყველაფერი როგოჟინ, სამმანეთიანის გულისთვის? ეგ ვასილევსკის კუნძულამდე ხოხვით მივა?

– მივა!

– მაშ, გამიგონე, განია, მინდა ამ უკანასკნელად ვნახო, რა სულიერი ხარ; სამი თვეა მაწამებ, ახლა ჩემი რიგი დადგა. ხედავ ამ დასტას, შიგ ასი ათასია! აი, ახლა ამას ყველას შენს თვალწინ ბუხარში ვისვრი, ცეცხლში ჩავაგდებ, ყველა მოწმე იქნება! როგორც კი ცეცხლი კარგად მოედება, ბუხარში შეძვერი, ოღონდ უხელთათმანოდ, შიშველი ხელებით, მაჯებიც გადაიწიე, და ცეცხლიდან გამოათრიე დასტა! თუ გამოათრევ, მთელი ეს ასი ათასი შენი იქნება! ცოტა თითები კი დაგეწვება, მაგრამ მერე რა, ასი ათასია. აბა, იფიქრე! ამის გამოტანას რა უნდა! მე კი გიყურებ და შენი ცქერით დავტკბები, ჩემი ფულის გულისთვის რომ ცეცხლს მიეცი თავი. აი, მოწმეებთან გეუბნები – ფული შენ დაგრჩება. არ გამოათრევ და ეგრეც დაიწვება – არავის მივუშვებ. აბა, გამეცალეთ! ყველა გამეცალეთ-მეთქი, ფული ჩემია! როგოჟინი ერთ ღამეში მაძლევს. ხომ ჩემია, როგოჟინ?

– შენია, სიხარულო! შენია, დედოფალო!

– ჰოდა, მაშ გამეცალეთ, რასაც მინდა, იმას ვიზამ! არ გაბედოთ, ხელი არ შემიშალოთ! ფერდიშჩენკო, ცეცხლს შეუკეთე!

– ნასტასია ფილიპოვნა, არ შემიძლია, ხელი არ მომიბრუნდება! – მიუგო გაშეთებულმა ფერდიშჩენკომ.

– ეჰ! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ, მაშას ხელი დასტაცა, მისწი-მოსწია ორი ჩანავლებული მუგუზალი და, როგოც კი ცეცხლი აბრიალდა, დასტა მყის ბუხარში შეაგდო. ოთახში მყოფთ ყვირილი აღმოხდათ. ბევრმა პირჯვარიც გადაიწერა.

– გაგიჟდა, გაგიჟდა! – ყვიროდნენ ირგვლივ.

– ხომ... არ შევკრათ? – უჩურჩულა გენერალმა პტიცინს, – ან ხომ არ გავგზავნოთ კაცი... განა არა, ჭკუიდან შეიშალა, გაგიჟდა, გაგიჟდა ხომ?

– აარა, იქნებ მთლად სიგიჟეც არ იყოს, – წაიჩურჩულა მიტკალივით გადაფითრებულმა და აკანკალებულმა პტიცინმა და ცეცხლმოკიდებულ დასტაზე გაუშტერდა თვალი.

– გიჟია ხომ? გიჟია? - ჩასციებოდა გენერალი ტოცკისაც.

– აკი მოგახსენეთ, კოლორიტული ქალია-მეთქი, – წაილუღლუღა ოდნავ ფერწასულმა აფანასი ივანოვიჩმაც.

– მაგრამ, რაც უნდა იყოს, ასი ათასია მაინც!..

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – ისმოდა აქეთ-იქიდან. ყველა ბუხარს შემოხვეოდა, ყველა სანახავად მიძვრებოდა, ყველას ვახვახი შედგომოდა... ზოგი სკამზეც ამხტარიყო, რომ უკეთ დაენახა. დარია ალექსეევნა მეორე ოთახში გაჭრილიყო და შეშინებული რაღაცას ეჩურჩულებოდა კატიასა და პაშას. ტურფა გერმანელი ქალბატონი გაპარულიყო.

– ჩემო ბატონო! დედოფალო! ყოვლის შემძლეო! – ღრიალებდა ლებედევი, მუხლის თავებზე დახოხავდა ნასტასია ფილიპოვნას წინ და ბუხრისკენ იწვდიდა ხელებს, – ასი ათასია! ასი ათასი! ჩემი თვალით ვნახე, ჩემ თვალწინ შეკრეს! ჩემო ბატონო! ყოვლად მოწყალეო! მიბრძანე, რომ ბუხარში შევვარდე სულ შევძვრები თავიანთფეხიანად, არ დავზოგავ ჩემს ჭაღარა თავს!.. სნეული, დავრდომილი ცოლი მყავს შინ, ცამეტი სული მიზის, ობლები, მამა წინა კვირას დავმარხე, მშივრები ყრიან, ნასტასია ფილიპოვნა! – ღაღადებდა და ბუხრისკენ იწევდა ლებედევი.

– არ გაბედო! – შეჰყვირა ნასტასია ფილიპოვნამ და ხელი ჰკრა, – მომეცალეთ ყველა! განია, რაღას უდგეხარ? ნუ გრცხვენია! მიდი! შენი ბედია!

მაგრამ განიამ ისედაც ბევრი იწვნია ამ დღეს და უკანასკნელი მოულოდნელი განსაცდელისთვის მზად აღარ იყო. ხალხი ორად გაიპო, ნასტასია ფილიპოვნა და ის პირდაპირ აღმოჩნდნენ, სამ ნაბიჯზე. ჰო, ნასტასია ფილიპოვნა ბუხართან იდგა და ანთებულ თვალებს არ აშორებდა მას. გულხელდაკრეფილი განია, რომელსაც ქუდი და ხელთათმანები ხელში ეჭირა, უხმოდ, მდუმარედ მისჩერებოდა ცეცხლს. უგონო ღიმილი დასთამაშებდა მიტკალივით გათეთრებულ სახეზე. მართალია, თვალი ვერ მოეწყვიტა ამ ცეცხლმოდებული დასტისთვის, მაგრამ ეტყობოდა, რაღაც ახალი გრძნობა ჩასახოდა გულში; თითქოს ფიცი მიეცა, ამ წამებისთვის გაეძლო და ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა. რამდენიმე წუთიც, და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ განია დასტას არ გამოიტანდა, არ სურდა გამოტანა.

– იცოდე, დაიწვება და ყველა შენ გაგაწბილებს, – უკიჟინებდა ნასტასია ფილიპოვნა, – მერე ხომ თავს ჩამოიხრჩობ, არ გეხუმრები!

ორ მინავლებულ მუგუზალს შუა თავდაპირველად აბრიალებული ცეცხლი ზედ დავარდნილმა დასტამ ჩააქრო. მაგრამ პატარა ლურჯი ალი მაინც ეჭიდებოდა ძირს მოხვედრილ მუგუზლის ერთ წვერს. ბოლოს ცეცხლის წვრილი, გრძელი ენა დასტასაც მიეპარა, მოედო, ქაღალდის კუთხეებს აჰყვა და უეცრივ მთელი დასტა აბრიალდა, კაშკაშა ალი ზევით ავარდა. ყველას ოხვრა აღმოხდა.

– ჩემო ბატონო! – ისევ გოდებდა ლებედევი და ისევ იწევდა ბუხრისკენ, მაგრამ როგორჟინმა ხელი სტაცა და გამოათრია.

თვითონ როგოჟინს კი ნასტასია ფილიპოვნასთვის ვერ მოეწყვიტა მზერა, სიხარულით ფრინავდა, ნეტარებით თვრებოდა.

– აი, დედოფალიც ამას ჰქვია! – უმეორებდა წამდაუწუმ ყველას, – აი, ჩვენებური ამას ჰქვია! – იძახდა გონსგადასული, – აბა, რომელი ერთი იზამთ ამას, თქვე ჩიაკაცებო, თქვენა, ჰა?

თავადი დაღონებული ადევნებდა თვალს ამ სურათს და სდუმდა.

– ერთი ათასი მომეცით და კბილებით გამოვათრევ! – თქვა ფერდიშჩენკომ.

– მაგას მეც შევძლებდი! – კბილები გააღრჭიალა ყველაზე უკან მდგარმა მუშტი-კრივის ვაჟბატონმა, რომელსაც მთლად წარკვეთოდა სასო, – ეშმაკმა დალახვროს! იწვის, საცაა დაიწვება! – შეჰყვირა მან, ალი რომ დაინახა.

– იწვის, იწვის! – ყვიროდა ყველა ერთხმად და თითქმის ყველა ბუხრისკენ იქაჩებოდა.

– განია, უკანასკნელად გეუბნები, ნუ იპრანჭები!

– შეძვერი! – იღრიალა მთლად გააფთრებულმა ფერდიშჩენკომ და განიას სახელოში ჩააფრინდა, – შეძვერი-მეთქი, შე ბაქიავ, შენა! დაიწვება! ო, წყე-ე-ულო!

განიამ ერთი ღონივრად ჰკრა ხელი ფერდიშჩენკოს, პირი იბრუნა და კარისკენ წავიდა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ შეტორტმანდა და ზღართანი მოადინა ძირს.

– გული წაუვიდა! – აყვირდნენ ყოველი მხრიდან.

– დაიწვება, ბატონო, დაიწვება! – ჰგოდებდა ლებედევი.

– სულ ტყუილად დაიწვება – ღრიალებდნენ აქეთ-იქიდან.

– კატია, პაშა, წყალი მოუტანეთ, სპირტი! – შესძახა ნასტასია ფილიპოვნამ, მერე მაშას ხელი სტაცა და ფულის დასტა ცეცხლიდან გამოათრია.

შემოკრული ქაღალდი თითქმის სულ დამწვარიყო და იფერფლებოდა, მაგრამ ფულს ცეცხლი არ მიჰკარებოდა. სამმაგად შემოხვეულმა გაზეთის ქაღალდმა გადაარჩინა. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

– რაღაც ათასამდე თუ იქნება გაფუჭებული, დანარჩენი გადარჩენილია, – გული აუჩუყდა ლებედევს.

– სულ მისია! მთელი დასტა მისია! გესმით, ბატონებო! – გამოაცხადა ნასტასია ფილიპოვნამ და დასტა განიას დაუდო გვერდით, – არ შეძვრა მაინც, არ წასძლია სულმა! მაშასადამე, თავმოყვარეობა მეტი ჰქონია, ვინემ ფულის სიხარბე. არა უშავს, მობრუნდება, თორემ იქნებ, მართლაც, დაეკლა ვინმე... აგერ, კიდეც მოდის გონს. გესმით, გენერალო, ივან პეტროვიჩ, დარია ალექსეევნა, კატია, პაშა, როგოჟინ! დასტა განიას ეკუთვნის. ეს საკუთრივ მისთვის მიმიცია, იმის საზღაურად... თუმცა რისიც არ უნდა იყოს! ასეც უთხარით. აგერ, მის გვერდით იდოს... როგოჟინ, აბა წამო! მშვიდობით, აფანასი ივანოვიჩ, merci!

როგოჟინის ამფსონები ერთი ღრიანცელით, ბრაგაბრუგით და ყიჟინით მიჰყვნენ გასასვლელისკენ როგოჟინს და ნასტასია ფილიპოვნას. დარბაზში მოახლეებმა ქურქი მიართვეს. მზარეული მარფა სამზარეულოდან მოვარდნილიყო. ნასტასია ფილიპოვნამ ყველანი გადაკოცნა.

– მართლა სამუდამოდ გვტოვებთ, ქალბატონო? ანდა სად მიბრძანდებით? თქვენი დაბადების დღე მაინც არ იყოს! – ეკითხებოდნენ ატირებული მოახლეები და ხელებს უკოცნიდნენ.

– ქუჩაში წავალ, კატია, ხომ გაიგონე, ჩემი ადგილი სწორედ იქაა, არადა მრეცხავად დავდგები! მეყო, რაც აფანასი ივანოვიჩთან ვიგემე! ჩემ მაგივრად თავი დაუკარით, აუგად ნუ მომიხსენებთ...

თავადი თავქუდმოგლეჯილი გაქანდა სადარბაზოს კარისკენ. იქ ზანზალაკებიანი ოთხი ტროიკა იდგა, ყველანი შიგ სხდებოდნენ. გენერალი კიბეზე დაეწია და ხელი სტაცა.

– თავადო, რას სჩადი, გონს მოდი! თავი გაანებე! ხომ ხედავ, რა ქალიცაა! მამაშვილურად გეუბნები...

თავადმა ერთი კი შეხედა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს, ისე გამოგლიჯა ხელი და ქვევით დაეშვა. სადარბაზო კარიდან ის იყო გაგრიალდა ტროიკები. გენერალმა თვალი მოჰკრა, რომ თავადმა პირველივე ეტლი გააჩერა და მეეტლეს დაუყვირა, მაგ ტროიკებს გასდიეო ეკატერინგოფში. შემდეგ გენერლის ტრედანა ცხენი მოადგა სადარბაზო კარს და გენერალიც, ახალი იმედებითა და ანგარიშებით, სახლისაკენ გააგრიალა... გენერალს არც იმ თავისი მარგალიტის წამოღება დავიწყებოდა. ახალი ანგარიშების დაწყობისას ერთი-ორჯერ ნასტასია ფილიპოვნას მაცდური ხატებაც დაუდგა თვალწინ და კიდეც ამოიოხრა.

– აფსუს! მართლაც რომ აფსუს! რა ქალი დაიღუპა... გადარეული! შეშლილი! ახლა თავადს ნასტასია ფილიპოვნა აღარ გამოადგება, მაშ!

მსგავსი ჭკუის სასწავლი და გამოსათხოვარი სიტყვები წარმოითქვა ნასტასია ფილიპოვნასაგან გამოსულ ორ მოსაუბრეს შორისაც, რომლებმაც ცოტაზე ფეხით გავლა ირჩიეს.

– იცით, აფანასი ივანოვიჩ, როგორც ამბობენ, იაპონელებსაც სჩვევიათ ამდაგვარი რაღაც, – ეუბნებოდა ივან პეტროვიჩ პტიცინი, – იქ თურმე შეურაცხყოფილი თავის შეურაცხმყოფელთან მიდის და ეუბნება შენ მე შეურაცხმყავი, ჰოდა, მეც ახლა მოვედი, რომ შენს თვალწინ მუცელი გამოვიფატრო. ამ სიტყვებით მართლაც იფატრავს მუცელს და ალბათ მეტისმეტ სიამოვნებასაც გრძნობს, თითქოს მართლაც სამაგიერო მიუზღო. რა ხასიათი არ შეგხვდება ამქვეყნად, აფანასი ივანოვიჩ.

– გგონიათ, აქაც მსგავსი რამ მოხდა? – ჩაეღიმა აფანასი ივანოვიჩს, – ჰმ! მართალი მოგახსენოთ, მოსწრებულად ბრძანეთ... და მშვენიერი შედარებაც მოიტანეთ. მაგრამ თქვენ თავად ხართ მოწმე, ძვირფასო ივან პეტროვიჩ, რომ მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო; შეუძლებლის გაკეთება კი ჩემს ძალას აღემატება, დამეთანხმებით ალბათ მაგრამ იმაზეც დამეთანხმებით, რომ ამ ქალს უდიდესი ღირსებანიც გააჩნდა... უბრწყინვალესი თვისებანი. წეღან ათას ბრალს რომ მდებდა, ლამის ხმამაღლა შევძახე, ჩემი საუკეთესო გამართლება შენ თვითონვე ხარ-მეთქი, ეს არის, ჩემს თავს არ ვკადრე იმ სოდომის დროს-მეთქი. აბა, ვის არ მოხიბლავდა ზოგჯერ ეს ქალი, ვის არ დააკარგვინებდა თავსა, თუ გნებავთ... ყველაფერსაც ხომ ნახეთ, ამ ხეპრე როგოჟინმა ასი ათასი გადმოულაგა! ვთქვათ, რაც ახლა იქ მოხდა, ეს ყველაფერი ეფემერულია, რომანტიკული, უკადრისი, სამაგიეროდ, როგორი კოლორიტულია, როგორი ორიგინალური, თვითონვე დამეთანხმებით. ღმერთო ჩემო, რას არ შეძლებდა ასეთი ხასიათი და ასეთი სილამაზე! მაგრამ ვაი, რომ ამაო აღმოჩნდა ყოველი ღონისძიება, ასე გასინჯეთ, განათლებაც. ყველაფერი დაიღუპა! გაუთლელი ალმასია-მეთქი, არა ერთხელ მითქვამს...

და აფანასი ივანოვიჩმა ღრმად ამოიოხრა.

ნაწილი მეორე

I

ნასტასია ფილიპოვნასთან გამართულ საღამოზე იმ უცნაური ამბის შემდეგ, რომელიც ჩვენი თხრობის პირველი ნაწილის დასასრულს გიამბეთ, განვლო ორმა დღემ და თავადი საჩქაროდ მოსკოვს გაემგზავრა მოულოდნელი მემკვიდრეობის მისაღებად; იმხანად ხმა გამოვიდა, ჰაიჰარად გამგზავრებას იქნებ სხვა მიზეზებიც უდევს სარჩულადაო. მაგრამ არც ამ ამბავზე, არც იმაზე, რა გადახდა მოსკოვში მყოფ თავადს, ანუ პეტერბურგიდან გამგზავრების ხანებში რა შეემთხვა და რა დაემართა, ბევრი არაფრის თქმა არ შეგვიძლია. თავადი ექვსი თვე იყო წასული, ჰოდა, ვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო მისი ბედი აინტერესებდა, მთელი ამ ხნის მანძილზე ვერც იმათ შეიტყვეს ბევრი რამ. მართალია, თითო-ოროლას რაღაც ხმები კი მოსდიოდა კანტიკუნტად, მაგრამ მუდამ უცნაური და თითქმის ერთიმეორის საწინააღმდეგო იყო. რა თქმა უნდა, თავადის ამბავი, ყველაზე მეტად ეპანჩინების ოჯახში აინტერესებდათ. თავადი ისე გაემგზავრა, მათთან დამშვიდობება ვეღარ მოასწრო. ეს კია, გენერალმა იმხანად ბარე ორჯერ-სამჯერაც ინახულა თავადი და რაღაც სერიოზული ლაპარაკიც კი ჰქონდა მასთან, მაგრამ ამაზე ოჯახში კრინტი არ დაუძრავს. საერთოდ, პირველ ხანებში, ანუ თავადის წასვლიდან თითქმის ერთი თვე, ეპანჩინების სახლში მასზე ლაპარაკს თავს არიდებდნენ. მხოლოდ ლიზავეტა პროკოფიევნამ გამოაცხადა დასაწყისში, – თავადში სასტიკად შევცდიო, ეს იყო და ეს. ორი თუ სამი დღის შემდეგ ისიც დასძინა, – ჩემი დღე და მოსწრება ადამიანების ამოცნობაში ვცდებოდიო, – თუმცა თავადი არ უხსენებია და თითქოს სხვათა შორის თქვა. ბოლოს, ერთი ათი დღის შემდეგ, თავის ქალებზე რაღაცით გაგულისებულმა სენტენციასავით დაასკვნა მეყო ამდენი შეცდომები, მეტს აღარ შევცდებიო. არ შეიძლება ისიც არ აღვნიშნოთ, რომ რაღაც უსიამო განწყობა კარგა ხანს სუფევდა მათ ოჯახში. ყველას თითქოს რაღაც მძიმე, გამოუთქმელი რამ აწვა გულზე, რაღაც დაძაბული მდგომარეობა შექმნილიყო, ყველა ჩხუბის გუნებაზე იყო, ყველას შუბლი შეკვროდა. გენერალს დღედაღამ არ ეცალა, სულ საქმეებს ჩაჰკირკიტებდა. ეგზომ დაკავებული, ეგზომ საქმიანი იშვიათად უნახავთ, – მეტადრე სამსახურში. შინაურები ხომ თვალის მოკვრასაც ძლივს ასწრებდნენ. რაც შეეხება ეპანჩინის ქალებს, ხმამაღლა მათ არაფერი გამოუთქვამთ, ეგებ არც ერთმანეთში ჰქონდათ ბევრი რამ ნალაპარაკევი. ამ ამაყ, ქედმაღალ ქალებს შიგადაშიგ ერთიმეორისაც ეკრძალებოდათ, თუმცა ერთი შეხედვითაც უგებდნენ ერთმანეთს, ასე რომ, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ იყო.

ერთს კი შეამჩნევდა და დაასკვნიდა უცხო თვალი; მათ ოჯახში რომ მოხვედრილიყო ამ ზემოთ ნათქვამი მცირეოდენი მონაცემების მიხედვით თავადს ეპანჩინებზე მაინც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენიაო, თუმცა მხოლოდ ერთხელ იყო და ისიც მოკლე ხნით. იქნებ თავადის ზოგიერთმა ექსცენტრულმა ამბავმა უბრალოდ ცნობისმოყვარეობა აღუძრათ და ეს შთაბეჭდილება იმიტომაც შეექმნათ. ასეა თუ ისე, შთაბეჭდილება კი მოახდინა.

ნელ-ნელა ქალაქში დარხეული ეს მცირეოდენი მითქმა–მოთქმაც მიწყდა და მიიყურსა. მართალია, კი ჰყვებოდნენ, ერთმა ვიღაც მოსულელო თავადმა (გვარი სწორად ვერავის ეთქვა) მოულოდნელად უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო და საფრანგეთიდან ჩამოსული ფრანგის ქალი, პარიზის შატო-დე-ფლერის[56] განთქმული კანკანერი[57] ცოლად შეირთოო. სხვები იმასაც ამბობდნენ, მემკვიდრეობა ვიღაც გენერალს შეხვდა, ჩამოსული ფრანგი ქალი, განთქმული

კანკანერი კი რუსმა ვაჭარმა შეირთო, დიდძალი სიმდიდრის პატრონმა, და თავის ქორწილში გახეთქილმა მთვრალმა, აქაოდა დასატრაბახებლად, უკანასკნელი სალატარიო სესხის შვიდასი ათასი მანეთის ბილეთი სანთელზე დაწვაო. მაგრამ ეს მითქმა-მოთქმაც მალე ჩაკვდა, რასაც სხვადასხვა გარემოებამაც დიდად შეუწყო ხელი. მაგალითად, როგოჟინის მთელი კამპანია, რომელთაგან ბევრს შეეძლო ზოგი რამ ეამბნა, ეკატერინგოფის სადგურზე გამართული საშინელი ღრეობიდან ერთი კვირის შემდეგ, როგოჟინის წინამძღოლობით, მოსკოვს გაემგზავრა. ამ ღრეობას ნასტასია ფილიპოვნაც ესწრებოდა თურმე. ამ საქმით ერთ-ორ დაინტერესებულ პირს ხმები მოსვლოდა, ნასტასია ფილიპოვნა ეკატერინგოფიდან მეორე დღესვე გაიქცა და სადღაც გადაიკარგაო. მერე თითქოს აღმოუჩენიათ მისი გზა–კვალი და მოსკოვში მიუგნიათო. ასე რომ, როგოჟინის მოსკოვს წასვლაც ამ ხმას დაუკავშირეს.

მითქმა-მოთქმა, კერძოდ, გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინსაც შეეხო, თავის წრეში საკმაოდ ცნობილ კაცს, მაგრამ მასაც ისეთი რამ შეემთხვა, რომ მალე შენელდა მასზე დარხეული ხმები და ბოლოს სულაც შეწყდა. ის ძალზე ავად გახდა, ასე რომ, არათუ ხალხში შეეძლო გამოჩენა, სამსახურშიც ვეღარ დადიოდა. ერთი თვის შემდეგ რომ მოიკეთა, რატომღაც სავსებით უარი განაცხადა სააქციონერო საზოგადოებაში სამსახურზე და მისი ადგილი სხვამ დაიკავა. არც გენერალ ეპანჩინის სახლში მიუდგამს ფეხი და იქაც სხვა მოხელემ დაიწყო სიარული. გავრილა არდალიონოვიჩის მტრებს ისიც შეეძლოთ ეფიქრათ, იმ ზომამდეა შერცხვენილი იმით, რაც თავს გადახდა, ქუჩაშიც ვერ გამოდისო. მაგრამ ის, მართლაც, რაღაც ვერ იყო კარგად იპოხონდრია მოეძალა, ფიქრებმა დაიჯაბნა და ყველაფერზე ბრაზობდა. ვარვარა არდალიონოვნა იმავე ზამთარს პტიცინს გაჰყვა ცოლად; მათი ოჯახის ნაცნობ-მეგობრებმა ეს ქორწინება მყის იმ ამბავს მიაწერეს, რომ განიამ ხელი აიღო ოჯახის რჩენაზე, სამსახურს აღარ მიუბრუნდა, თვითონ საჭიროებს მოვლა-პატრონობასო.

იმასაც შევნიშნავთ ბრჭყალებში, რომ არც გავრილა არდალიონოვიჩის სახელი იხსენიებოდა ეპანჩინების ოჯახში, – თითქოს ასეთი კაცი ამქვეყნად არც არსებობდა, არათუ მათსა დადიოდა ოდესმე. ეს კია, მის შესახებ (და ფრიად მალეც) ყველამ შეიტყო ერთი მეტად საგულისხმო ამბავი, სახელდობრ მისთვის იმ უკუღმართ ღამეს, როცა ნასტასია ფილიპოვნასთან ეს უსიამო ამბავი შეემთხვა, შინ მობრუნებული არ დაწოლილა თურმე და სულის სიმწრით ელოდა თავადის მოსვლას. ეკატერინგოფში წასული თავადი დილის ექვს საათზე მობრუნებულა უკან. მაშინ განია თავადის ოთახში შესულა და ის ქაღალდმომწვარი ფულის დასტა დაუდევს მის წინ მაგიდაზე, რაც გულშემოყრილ განიას აჩუქა ნასტასია ფილიპოვნამ. თან დაჟინებით უთხოვია, რა წამს კი შეძლებთ, ეს საჩუქარი ნასტასია ფილიპოვნას დაუბრუნეთო. თავდაპირველად განია თავადის მიმართ ძალზე მტრულად ყოფილა განწყობილი, ამავე დროს სასოწარკვეთილიც, მაგრამ მათ შორის თურმე ისეთი რაღაცები თქმულა, რომ განია ორი საათი კიდევ დარჩენილა თავადთან და ამ ხნის განმავლობაში სულ გულამოსკვნით ქვითინებდა. ამის შემდეგ მეგობრულად დაშორებიან ერთმანეთს.

ეპანჩინების ყურამდე მოღწეული ეს ამბავი, როგორც შემდეგში დადასტურდა, ზუსტზე ზუსტი გამოდგა. რა თქმა უნდა, უცნაურია, ამგვარი ამბები ასე ჩქარა როგორ გახმაურდა ანდა რა გზით გახდა ყველასთვის ცნობილი. მაგალითად, ნასტასია ფილიპოვნასთან მომხდარი ამბავი ეპანჩინების ოჯახში თითქმის მეორე დღესვე შეიტყვეს და ისიც საკმაოდ დაწვრილებით. რაც შეეხება გავრილა არდალიონოვიჩის ამბებს, შეიძლება გვეფიქრა, ვარვარა არდალიონოვნამ მიიტანაო ეპანჩინების ოჯახში. იგი როგორღაც ერთბაშად დაუახლოვდა ეპანჩინის ქალებს და მალე კიდეც გაუშინაურდა მათ, რაც ელიზავეტა პროკოფიევნას დიდად აკვირვებდა. მაგრამ

ვარვარა არდალიონოვნა, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია ეპანჩინებთან ესოდენი დაახლოება, ცხადია, თავის ძმაზე ლაპარაკს არ დაიწყებდა. თავისებური ამპარტავნობა არც იმას აკლდა, მერე რა, რომ ნაცნობ-მეგობრობა იქ გააბა, საიდანაც მისი ძმა თითქმის გამოაგდეს. ეპანჩინის ქალებს წინათაც იცნობდა, ოღონდ ადრე იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვარიას სასტუმროში ვერც ახლა ნახავდა კაცი, იგი უკანა კარიდან მხოლოდ წუთით შემოირბენდა ხოლმე. ლიზავეტა პროკოფიევნას არასოდეს მოსდიოდა იგი თვალში, არც ძველად და არც ახლა, თუმცა ნინა ალექსანდროვნას, ვარვარა არდალიონოვნას დედას, დიდ პატივს სცემდა. გენერლის მეუღლეს კიდეც აკვირვებდა და კიდეც აბრაზებდა ვარიასთან დაახლოება, თავის ქალებს ახირებასა და თავნებობაში ართმევდა, ჩემი ჯიბრით აკეთებენ ყველაფერსო. მაგრამ ვარვარა არდალიონოვნა მაინც დაიარებოდა მათსა გათხოვებამდე და გათხოვების შემდეგაც.

გამოხდა ერთი თვე თავადის წასვლიდან და გენერლის მეუღლემ ბებერ კნეინა ბელოკონსკაიას წერილი მიიღო, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინ გამგზავრებულიყო თავის უფროს გათხოვილ ქალთან მოსკოვში. ამ წერილმა, ეტყობა, რაღაც გავლენა იქონია მასზე. მართალია, არც თავის ქალებთან და არც ივან ფიოდოროვიჩთან არ დასცდენია, რა ეწერა შიგ, მაგრამ ოჯახში ბევრი რამით შენიშნეს, რომ იგი რაღაც განსაკუთრებით აფორიაქებული და აღელვებულიც იყო. თავის ქალებს შიგადაშიგ რაღაც უცნაურად წამოუწყებდა ხოლმე ლაპარაკს, რაღაც სულ უცნაურ საგნებზე; როგორც ჩანს, გულის გადაშლის სურვილი აწუხებდა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა. წერილის მიღების დღეს ყველას დაუყვავა, აგლაია და ადელაიდაც გადაკოცნა, თითქოს რაღაცას ინანიებსო მათ წინაშე, ოღონდ რას, შვილებმა ვერა და ვერ გაარკვიეს. წარმოიდგინეთ, ივან ფიოდოროვიჩსაც კი მოულბა უცბად, თუმცა მთელი ერთი თვე შემწყრალი ჰყავდა. რა თქმა უნდა, მეორე დღესვე სასტიკად გაწყრა თავის გუშინდელ გულჩვილობაზე და სადილობამდე წაეკიდა ყველას, მაგრამ საღამოს ისევ გამოუკეთდა განწყობა. ერთი სიტყვით, მთელი კვირა საკმაოდ კარგ გუნებაზე იდგა, როგორზეც დიდი ხანია აღარ ყოფილა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ მოვიდა ბელოკონსკაიას წერილი. ამჯერად გენერლის მეუღლემ იკადრა დუმილის დარღვევა. დიდის ამბით აუწყა თავისიანებს, რომ „ბელოკონსკაიას დედაბერი“ (სხვანაირად არასოდეს ახსენებდა ზურგს უკან კნეინას) ფრიად სანუგეშო ამბებს იტყობინებაო იმ... „იმ უხიაკზე, ჰო, თავადზე, რაღა!“ თურმე ბებერ კნეინას მოსკოვში მოუძებნია თავადი, გაუკითხია მისი ამბები და რაღაც ძალზე კარგი რამ შეუტყვია; ბოლოს თავადიც სწვევია სტუმრად და თითქმის საოცარი შთაბეჭდილება მოუხდენია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დაუპატიჟებია, ყოველ დილით, პირველიდან ორ საათამდე მოდიო. ისიც თურმე ყოველდღე დაეთრევა და დღემდე თავი არ მოუბეზრებია, – დაასრულა გენერლის მეუღლემ და ისიც დააყოლა, დედაბრის წყალობით თავადი ორ-სამ კარგ ოჯახშიც მიიღესო. „კიდევ კარგი, კუტივით არა ზის და ტუტუცურად არ მორცხვობს!“ როცა თავის ქალებს ეს ამბავი აუწყა, მათ მაშინვე შეამჩნიეს, რომ დედამ იმ წერილიდან რატომღაც ბევრი რამ დაუმალა მათ. იქნებ ვარვარა არდალიონოვნამ ჩააწვეთა ქალებს ამის შესახებ. მან ხომ ყველაფერი იცოდა, რაც პტიცინს მოეხსენებოდა თავადზე. ხოლო პტიცინმა, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი იცოდა. მაგრამ საქმეში ის მეტად სიტყვაძვირი კაცი იყო. თუმცა, ცხადია, ვარიას არაფერს დაუმალავდა. გენერლის მეუღლემაც ამის გამო უფრო ამოიჩემა ვარვარა არდალიონოვნა.

ასე იყო თუ ისე, ნავსი გატყდა და თავადზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდა. ამან კიდევ ერთხელ გამოააშკარავა, რა საოცარი შთაბეჭდილება მოეხდინა და რა უზომოდ დიდი ინტერესი აღეძრა თავადს ეპანჩინების ოჯახში. გენერლის მეუღლეს საკვირველადაც დარჩა, მის ქალებზე რომ ასე იმოქმედა მოსკოვის ამბებმა. ქალებიც გაკვირვებული იყვნენ თავიანთი დედის

საქციელით, რომელმაც ამას წინათ ასეთი ამბით აუწყა მათ „ჩემი დღე და მოსწრება ადამიანებში ვცდებიო“, და ამავე დროს „ყოვლისშემძლე“ ბებერ ბელოკონსკაიასათვის ჩაუბარებია თავადი, მოსკოვში ყურადღება მიაქციეო. რა თქმა უნდა, თანაც ქრისტე ღმერთი უფიცებია ალბათ, ვინაიდან „დედაბერს“ ზოგ შემთხვევაში ძნელად გაანძრევდა კაცი. რა წამს ნავსი გატყდა და სულ სხვა სიომ დაჰკრა, გენერალმაც საჩქაროდ გადმოალაგა თავისი ამბები. თურმე ნუ იტყვით, ისიც საოცრად დაინტერესებული ყოფილა. თუმცა მისი ცნობები მარტოოდენ თავადის „საქმეებს“ შეეხებოდა. თავადის ინტერესებიდან გამომდინარეთ, მას, თავის მხრივ, ვიღაც ორ მეტად საიმედო და გავლენიანი ვაჟბატონისთვის დაუვალებია მოსკოვში, თვალი სჭეროდათ თავადზე და განსაკუთრებით მის ხელმძღვანელ სალაზკინზე. რაც მემკვიდრეობაზე იყო ნათქვამი, „ასე ვთქვათ, მემკვიდრეობის ფაქტზე“, მართალი გამომდგარა, მაგრამ თვით მემკვიდრეობა, ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორც თავში გაავრცელეს. ქონების ამბავი ნაწილობრივ არეულ-დარეული აღმოჩნდა; თურმე ვალებიც სდებია, ვიღაც პრეტენდენტებსაც წამოუყვიათ თავი, თან, ყოველგვარი რჩევა-დარიგების მიუხედავად, თავადი მეტისმეტად უთაურად მოქცეულა. „რა თქმა უნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს“ ახლა, როცა „ჩუმალობიის ნავსი“ გატყდა, გენერალი სიხარულით იტყვის ამას მთელი „სულით და გულით“, ვინაიდან „მართალია, ყმაწვილს კი აკლია“, მაგრამ მაინც ღირსია ამისი. თუმცა სიბრიყვე კი ჩაიდინა. მაგალითად, განსვენებული ვაჭრის კრედიტორები მისულან და სადავო, ყოვლად ბათილი საბუთები წარუდგენიათ. სხვები კი, თავადის ამბავი რომ გაუგიათ, სულაც უსაბუთოდ გამოცხადებულან. ჰოდა, რა გგონიათ მერე თავადს თითქმის ყველა დაუკმაყოფილებია, მიუხედავად მეგობრების განცხადებისა, რომ ამ წიკიბიკო კრედიტორებს არავითარი უფლებანი არ გააჩნიათო. მხოლოდ იმიტომ დაუკმაყოფილებია, რომ, როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ მათგანს მართლაც ზარალი მოსვლია.

გენერლის მეუღლემ ამათზე განაცხადა, ბელოკონსკაიაც დაახლოებით ასე იწერებაო, ისიც დასძინა მკვახედ, დიახაც დიდი სისულელე ჩაუდენია, მაგრამ ბრიყვს როდისაა ჭკუა ეკითხებაო. ოღონდაც სახეზე ეტყობოდა, რომ ამ „ბრიყვის“ საქციელი დიახაც მოსწონდა. ყოველივე ამის შემდეგ ისიც შენიშნა გენერალმა, რომ მისი ცოლი თავადის ამბებს ისე იღებს, თითქოს თავადი მისი ღვიძლი შვილი იყოს და აგლაიასაც რატომღაც საოცრად დაუტკბა. ამის შემხედვარე ივან ფიოდოროვიჩმა რამდენიმე ხნით ფრიად საქმიანი იერი მიიღო.

მაგრამ ეს საამო განწყობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გავიდა ორიოდე კვირა და უცებ კვლავ შეტრიალდა რაღაც. გენერლის მეუღლემ კოპები შეიკრა, გენერალმაც რამდენჯერმე აიჩეჩა მხრები და კვლავ „ჩუმალობიის ნავსს“ დამორჩილდა. საქმე ის იყო, რომ სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ ფარულად ამბავი მოუვიდა, მართალია, მოკლე და ამიტომაც ცოტა გაურკვეველი, თუმცა უტყუარი კი, რომ თავდაპირველად მოსკოვში გაუჩინარებულმა ნასტასია ფილიპოვნამ, როგოჟინის მიერ მერე ისევ მოსკოვშივე აღმოჩენილმა, ისევ სადღაც გადაკარგულმა და მერე ისევ როგოჟინისვე მონახულმა, ბოლოს გადაჭრით სიტყვა მისცა, ცოლად გამოგყვებიო. ორი კვირის შემდეგ კი მისმა აღმატებულებამ უეცრად ცნობა მიიღო, რომ ნასტასია ფილიპოვნა მესამედ გაიქცა, ლამის ქორწინების დღეს და ამჯერად რომელიღაც გუბერნიაში გადაიკარგაო; ამასთან ერთად, მოსკოვიდან გაქრა თავადი მიშკინიც და თავისი საქმეები სალაზკინის ამარა დატოვაო. ქალს გაჰყვა, თუ უკან დაედევნა, არავინ იცის, მაგრამ რაღაც ამბავი კი უნდა იყოსო, – დაასკვნა გენერალმა. ლიზავეტა პროკოფიევნასაც, თავის მხრივ, არასასიამოვნო ცნობები მოსვლოდა. ასე რომ, თავადის წასვლიდან ორი თვის შემდეგ პეტერბურგში მისი ყოველგვარი

ხსენება საბოლოოდ მიწყდა, ხოლო ეპანჩინების ოჯახში „ჩუმალობიის ნავსი“ აღარც გამტყდარა. ეს კია, ვარვარა არდალიონოვნა შიგადაშიგ მაინც ნახულობდა ხოლმე გენერლის ქალებს.

ამ მითქმა-მოთქმისა და ამბების დასასრულ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გაზაფხულის პირზე ეპანჩინების ოჯახში ბევრი რამ ახალი მოხდა, ამიტომ ძნელი არ იყო, თავადი დავიწყებოდათ, მეტადრე რომ, ისიც არაფერს იტყობინებოდა, ან ეგებ არც სურდა შეტყობინება. ზამთრის ხანს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ზაფხულში საზღვარგარეთ გამგზავრებულიყვნენ, ესე იგი ლიზავეტა პროკოფიევნა და მისი ქალები, გენერალს, ცხადია, ამ „ფუქსავატი“ გართობისთვის დრო არ ჰქონდა, არ ეცალა. ამ გადაწყვეტილებას ქალების დაჟინებით დაადგნენ; იმათ ეჭვი აღარ ეპარებოდათ, საზღვარგარეთ იმიტომ არ მივყავართ, რომ დედ-მამა სულ ჩვენი გათხოვების ზრუნვაში და საქმროების ძებნაშიაო. ვინ იცის, ბოლოს მშობლებიც დარწმუნდნენ, რომ საქმროები შეიძლება საზღვარგარეთაც გამოინახოს და რომ ერთი ზაფხულით გამგზავრება არათუ ავნებს რასმე, პირიქით, კიდეც შეიძლება „ხელი შეუწყოს“. ბარე აქვე ვიტყვით, რომ აფანასი ივანოვიჩ ტოცკისა და ეპანჩინების უფროსი ქალის სავარაუდო ქორწილი ჩაიშალა და ფორმალური წინადადება აღარც შემდგარა. მოხდა ეს ყოვლად უმტკივნეულოდ, დიდი ლაპარაკისა და ოჯახური განხეთქილების გარეშე. თავადის გამგზავრების შემდეგ ორივე მხრიდან უცბად შეწყდა ამაზე ლაპარაკი. ნაწილობრივ ეს გარემოებაც იყო ერთ-ერთი მიზეზი ეპანჩინების ოჯახში იმხანად დასადგურებული მძიმე განწყობილებისა. თუმცა, გენერლის მეუღლემ მაშინვე განაცხადა, ორივე ხელით პირჯვარი მაქვს გადასაწერიო. შერისხული გენერალიც გრძნობდა, რომ თავად იყო დამნაშავე, მაგრამ კარგა ხანს მაინც გაბუსული დადიოდა; გული წყდებოდა აფანასი ივანოვიჩზე აფსუს, რა ქონების, რა მოხერხების კაცი იყოო. დიდხანს არ გაუვლია, რომ გენერალმა შეიტყო, აფანასი ივანოვიჩი ერთ ჩამოსულ დიდგვაროვან ფრანგ ქალს, მარკიზასა და ლეგიტიმისტკას გადაეკიდა, ქორწინება მალე მოხდება და აფანასი ივანოვიჩს ჯერ პარიზში, მერე კი სადღაც ბრეტანში წაიყვანენო. „ეჰ, წავიდა მაგის საქმე, ფრანგი ქალი დაღუპავსო“, – გადაწყვიტა გენერალმა.

ეპანჩინები ზაფხულისთვის ემზადებოდნენ გასამგზავრებლად. მაგრამ მოულოდნელად ერთმა გარემოებამ ისევ ახლებურად შეატრიალა ყველაფერი და, გენერლისა და მისი მეუღლის სასიხარულოდ გამგზავრება ისევ გადაიდო. მოსკოვიდან პეტერბურგს ჩამოვიდა ერთი თავადი, გვარად შჩ-ი, საკმაოდ ცნობილი კაცი, ცნობილი ფრიად კარგი მხრივ. ის ეკუთვნოდა იმ ადამიანთა, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი ხანების იმ პატიოსან, თავმდაბალ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც გულწრფელად და შეგნებულად სწადიათ სიკეთის მოტანა. ყოველთვის სადღაც მუშაობენ და ის იშვიათი და ბედნიერი ზნე სჭირთ, რომ სამუშაოს მუდამ პოულობენ. ბაქიბუქობა და თავის გამოჩენა თავადს არ უყვარდა, არც პარტიების გააფთრებულ ჭიდილსა და ამაოსიტყვაობაში ერეოდა, პირველობაზე თავს არ სდებდა. მაგრამ რაც ამ უკანასკნელ ხანებში ხდებოდა, ბევრ რასმე კი ფრიად საფუძვლიანად ჩასწვდომოდა. უწინ სამსახურშიც იყო, მერე საერო საქმიანობასაც ეწეოდა. გარდა ამისა, რამდენიმე რუსული სამეცნიერო საზოგადოების სასარგებლო კორესპონდენტიც გახლდათ. მან და ერთმა მისმა ნაცნობმა ტექნიკოსმა შეკრებილი ცნობებითა და გამოკვლევებით ხელი შეუწყვეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რკინიგზის უფრო სწორი მიმართულებით დაგეგმვას. თავადი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იქნებოდა, „მაღალი საზოგადოებისა“, გარდა ამისა, „კარგა გვარიანი და უდავო“ ქონების პატრონიც, როგორც გენერალი ბრძანებდა. ის გრაფთან, თავის უფროსთან, გასცნობოდა და დაახლოებოდა თავადს ერთი საკმაოდ სერიოზული საქმის თაობაზე. თავადს განსაკუთრებით აინტერესებდა რუსი „საქმოსანი ხალხი“ და მათ გაცნობაზე უარს არასოდეს ამბობდა. ისე მოხდა, რომ თავადი

გენერლის ოჯახსაც გაეცნო. სამიდან შუათანა დამ, ადელაიდა ივანოვნამ, საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გაზაფხულზე თავადმა გაამხილა კიდეც თავისი გულისნადები. ადელაიდას ის ძალზე მოსწონებოდა, თვალში მოსვლოდა ლიზავეტა პროკოფიევნასაც. გენერალი ძალზე გახარებული იყო. რა თქმა უნდა, გამგზავრებაც გადაიდო. ქორწილს გაზაფხულისთვის აპირებდნენ.

თუმცა ისიც შეიძლებოდა, რომ ლიზავეტა პროკოფიევნას თავისთან დარჩენილი ორი ქალით შუა ზაფხულში ან ზაფხულის მიწურულში ერთი-ორი თვით მაინც გაესეირნა ბუდიდან აფრენილ ადელაიდაზე დარდის გასაქარვებლად. მაგრამ აქაც ერთმა ახალმა გარემოებამ იჩინა თავი გაზაფხულის მიწურულს (ადელაიდას ქორწილი რამდენადმე დახანდა და შუა ზაფხულისთვის გადაიდო) თავადმა შჩ-მ ეპანჩინების სახლში ერთი თავისი შორეული ნათესავი და საკმაოდ კარგი ნაცნობი შემოიყვანა, ვინმე ევგენი პავლოვიჩ რ., ასე, ოცდარვა წლის ყმაწვილი კაცი, ფლიგელ-ადიუტანტი, საუცხოო თვალტანადი, „დიდი გვარიშვილი“, ფრიად ენამოსწრებული, ყველაფრით შემკული. „ახლებურად მოაზროვნე“, „მეტად განათლებული“ და პირდაპირ რაღაც ზღაპრული სიმდიდრის პატრონი. რაც შეეხება ამ უკანასკნელ გარემოებას, გენერალი მუდამ დიდ სიფრთხილეს იჩენდა. ჰოდა, გაიკითხ-გამოიკითხა და აღმოჩნდა „მართლაც, რაღაც ამდაგვარი უნდა იყოს, თუმცა მაინც კიდევ შემოწმებაა საჭირო“. ეს ყმაწვილი, „დიდი მომავლის“ მქონე ფლიგელ-ადიუტანტი მოსკოვიდან გამოგზავნილი ბებერ ბელოკონსკაიას წერილშიც დიდად იყო ნაქები. ეს კია, ცოტა საჩოთირო სახელი ჰქონდა დავარდნილი. რამდენიმე სამოჯნურო ამბავი და, როგორც ირწმუნებოდნენ, „დაკოდილი გული“ ედო ცოდვად. აგლაია რომ დაინახა, ეპანჩინების ოჯახის საოცრად ბეჯითი სტუმარი შეიქნა. მართალია, ჯერ არც პირდაპირ და არც გადაკვრით იყო რამე თქმული, მაგრამ დედ-მამამ მაინც გადაწყვიტა, ამ ზაფხულს საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრი ზედმეტიაო. თვით აგლაია, ვინ იცის, სხვა შეხედულების იყო.

ყოველივე ეს თითქმის იმ ხანებში მოხდა, როცა ჩვენი გმირი ხელმეორედ უნდა გამოჩენილიყო მოთხრობის სცენაზე. ამ დროისათვის საწყალი თავადი მიშკინი თითქმის ყველას დავიწყებოდა პეტერბურგში. ახლა რომ უეცრად თავის ნაცნობებში გამოჩენილიყო, ყველას ერთობ გაუკვირდებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ერთ ფაქტს მოგახსენებთ და ამ წინასიტყვაობას ამით მოვრჩებით.

თავადის გამგზავრების შემდეგ კოლია ივოლგინი თავდაპირველად ძველებურად დადიოდა გიმნაზიაში, თავის მეგობარ იპოლიტს ნახულობდა, გენერალზე თვალი ეჭირა და ვარიას ოჯახში ეხმარებოდა, ე.ი. აქეთ-იქით ეგზავნებოდა. მაგრამ მდგმურები მალე წავიდ-წამოვიდნენ ნასტასია ფილიპოვნასთან მომხდარი ამბიდან სამი დღის შემდეგ ფერდიშჩენკო სადღაც გადავიდა და საკმაოდ მალე მისი ასავალ-დასავალი ყველასთვის უცნობი გახდა; ამბობდნენ, ლოთობსო სადღაც, მაგრამ დარწმუნებით არავინ არაფერი იცოდა. თავადიც მოსკოვს გაემგზავრა; ასე რომ, მდგმურების შემოყვანაზე უკვე აღარავინ ფიქრობდა. ვარიას გათხოვების შემდეგ ნინა ალექსანდროვნა და განიაც პტიცინთან გადავიდნენ საცხოვრებლად, იზმაილოვსკის პოლკში, რაც შეეხება გენერალ ივოლგინს, მას სწორედ ამ ხანებში სრულიად მოულოდნელი გარემოება შეემთხვა ის მოვალეთა ციხეში ჩასვეს. ამაში ბრალი მისი გულის მეგობარს, კაპიტნის ცოლს ედო, რომლისთვისაც სხვადასხვა დროს გენერალს ორი ათასის საფასური თამასუქები მიეცა. მისთვის ეს ამბავი პირწმინდა სიურპრიზი გამოდგა და საწყალი გენერალი, საერთოდ რომ ვთქვათ, „დასტურ მსხვერპლად შეეწირა ადამიანის კეთილშობილების გადაჭარბებულ რწმენას“. როცა უდარდელად აწერდა ხელს სესხის

ბარათებსა და თამასუქებს, რას იფიქრებდა, რომ ოდესმე მათი განაღდება მოუხდებოდა. ეგონა, ეს ყასიდადააო. თურმე ყასიდად არ ყოფილა. „ენდე ამას იქით ადამიანებს, კეთილშობილური ნდობა გამოიჩინე“, – იძახდა ხოლმე შეწუხებული, როცა ტარასოვის სახლში[58] ახალ ნაცნობთა შორის ღვინოს უჯდა და ყარსის აღებისა[59] და მკვდრეთით აღმდგარი ჯარისკაცის ანეგდოტებს ჰყვებოდა. თუმცა ჩინებულად კი შეეგუა ყველაფერს. პტიცინი და ვარია ამბობდნენ, სწორედ საამისო ადგილიაო, განიაც სავსებით ეთანხმებოდა ამაში. მარტო საწყალი ნინა ალექსანდროვნა იცრემლებოდა ჩუმ-ჩუმად (შინაურების გასაკვირად) და, მიუხედავად სნეული ჯანისა, შეძლებისამებრ ხშირ-ხშირად აკითხავდა ქმარს იზმაილოვსკის პოლკში.

„გენერლის ამბის შემდეგ“, როგორც კოლიამ მონათლა ეს შემთხვევა, და, საერთოდ, მას აქეთ, რაც ვარია გათხოვდა, კოლია თითქმის სულ წავიდა ხელიდან და იქამდე გაუვიდა თავს, რომ უკანასკნელ ხანებში ღამის სათევადაც იშვიათად მოდიოდა შინ. როგორც ამბობდნენ, ბევრი ახალი ნაცნობი გაეჩინა; ამასთან, მოვალეთა ციხეშიც კარგად გახდა ცნობილი... ნინა ალექსანდროვნა იქ უიმისოდ ვერაფერს ახერხებდა. შინ ახლა სულს აღარ უწუხებდნენ ცნობისმოყვარე შეკითხვებით. ვარია, რომელიც წინათ ასე მკაცრად ექცეოდა, ახლა არც ეკითხებოდა, სად დაწანწალებო მთელი დღე. განია კი, შინაურების გასაკვირად, იმ თავის იპოხონდრიის მიუხედავად, ხშირად ებაასებოდა და ზოგჯერ მეგობრულადაც ექცეოდა, რაც წინათ არასოდეს უქნია. ოცდაშვიდი წლის განია რას გაუყადრებდა თავს თხუთმეტი წლის ძმას, უხეშად ეპყრობოდა, მკაცრად მოექეცითო, შინაურებისაგან მოითხოვდა, და სულ იმას ემუქრებოდა, „ყურებით დაგითრევო“, რასაც კოლია სწორედ „ადამიანის უკიდურეს მოთმინების საზღვრებიდან“ გამოჰყავდა. ახლა კოლია დროდადრო თითქოს კიდეც სჭირდებოდა განიას. ბიჭს ძალიან გაუკვირდა, განიამ რომ მაშინ ფული დააბრუნა, და ამიტომ მზად იყო ბევრი რამ შეენდო ძმისთვის.

გავიდა სამი თვე თავადის გამგზავრებიდან და ივოლგინების ოჯახში ხმამ მოაღწია, კოლია ეპანჩინებს გაეცნო და გენერლის ქალებმა ერთობ კარგად მიიღესო. ვარიამაც უმალ შეიტყო ეს ამბავი. ისიც უნდა ითქვას, რომ კოლია „თავისით“ დაუახლოვდა მათ და არა ვარიას მეოხებით. ნელ-ნელა კიდეც შეუყვარდათ ბიჭი ეპანჩინებთან. გენერლის მეუღლე თავში ძალზე ათვალწუნებით უყურებდა, მაგრამ მალე დაუტკბა და დაუყვავა, „გულღია არის და პირფერობა არ სჩვევიაო“. კოლიას რომ პირფერობა არ სჩვეოდა, ეს სრულ სიმართლეს წარმოადგენდა; ეპანჩინებთან სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად ეჭირა თავი, მერე რა, რომ ხანდახან გენერლის მეუღლეს წიგნებსა და გაზეთებს უკითხავდა, – ხათრიანი და დაუზარელი მუდამაც იყო. თუმცა ერთი-ორჯერ კი მაგრად წაეკიდა ლიზავეტა პროკოფიევნას და კიდეც განუცხადა, დესპოტი ბრძანდებით და თავის დღეში თქვენსა ფეხს არ მოვადგამო. პირველად ჩხუბი „ქალთა საკითხის“ ირგვლივ მოუვიდათ, მეორე კი – წლის რომელ დროს სჯობია ჭივჭავების დაჭერაო. ვინ დაიჯერებს, რომ ჩხუბის მესამე დღეს გენერლის ცოლმა ლაქიის ხელით გამოუგზავნა ბარათი, უთუოდ მოდიო. კოლიას თავპატიჟი არ გაუდია და მაშინვე ეახლა. მარტო აგლაია უყურებდა ხოლმე რატომღაც ალმაცერად და ქედმაღლურად. ჰოდა, სწორედ ის განაცვიფრა კოლიამ. ერთხელ, – წმინდა კვირა იდგა, – კოლიამ აგლაია დაიმარტოხელა და ბარათი მიაწოდა, მხოლოდ ეს უთხრა, დამაბარეს, მარტო თქვენ გადმოგცეთო. აგლაიამ მრისხანედ შეავლო თვალი ამ „თავგასულ ბიჭს“, მაგრამ კოლიამ იქ აღარ მოუცადა და გავიდა. ქალმა ბარათი გახსნა და წაიკითხა

„ოდესღაც პატივი დამდეთ და ნდობის ღირსი გამხადეთ. ვინ იცის, აღარც გახსოვართ ახლა. ნეტავ რატომ გწერთ მეც არ ვიცი; მაგრამ რაღაც ძალამ მაიძულა და საშინლად მომინდა, თავი

მოგაგონოთ და მოგაგონოთ სწორედ თქვენ. რამდენჯერ დამჭირვებიხართ სამთავე, მაგრამ ამ სამიდან მარტო თქვენ მიდექით თვალწინ. ძალიან, ძალიან მჭირდებით. რა უნდა მოგწეროთ ჩემზე, საამბობელი არაფერი მაქვს, არც მინდა; ოღონდაც სულით და გულით მწადია, რომ ბედნიერი იყოთ. ხართ კი ბედნიერი აი, რისი თქმა მინდოდა? მხოლოდ თქვენი ძმა თავ. ლ. მიშკინი“.

ეს მოკლე და საკმაოდ უთავბოლო ბარათი რომ ჩაიკითხა, აგლაიას ერთბაშად აელანძა სახე და ჩაფიქრდა. რას ფიქრობდა, ძნელია ამის თქმა. ეს კია, თავის თავს შეეკითხა „ვაჩვენო თუ არა ვისმეო“ და რატომღაც დაირცხვინა. ბოლოს დამცინავი და რაღაც უცნაური ღიმილით წერილი თავისი მაგიდის უჯრაში ჩააგდო. მეორე დღეს ისევ ამოიღო და ერთ სქელ, მაგარყდიან წიგნში ჩადო (ასე ინახავდა ხოლმე სხვა ქაღალდებსაც, რა არის ადვილად მივაგნოო). მხოლოდ მესამე დღეს დახედა, რა წიგნი იყო და „დონ-კიხოტ ლამანჩელი“[60] შერჩა ხელში. აგლაიამ გულიანად გადაიკისკისა – კაცმა არ იცის, რატომ.

არც ის იცის ვინმემ, აჩვენა თუ არა ეს ბარათი თავის რომელიმე დას. მაგრამ ამ ბარათს რომ კითხულობდა, თავში უცბად გაუელვა ნუთუ ეს თავგასული და ბაქია ბიჭი აირჩია თავადმა კორესპონდენტად და სხვა კორესპონდენტი, ვინ იცის, არცა ჰყავსო ამიტომ საოცარი აგდებით დაუწყო კოლიას დაკითხვა. მაგრამ ფხუკიანმა „ლაწირაკმა“ მის აგდებულ კილოს ამჯერად ყურიც არ ათხოვა; ფრიად მოკლედ და ცივად აუწყა, მართალია, პეტერბურგიდან გამგზავრებისას თავადს ყოველი შემთხვევისათვის ჩემი მუდმივი მისამართი მივეცი და თანაც ვუთხარი, თუ რამ დაგჭირდეთ, არაფერში დაგზარდებით-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით მარტო ეს ერთი დავალება მივიღე მისგან და მარტო ეს ერთი ბარათი გამომიგზავნაო. დასამტკიცებლად მის სახელზე გამოგზავნილი ბარათიც აჩვენა. აგლაიამ არ ითაკილა და ის ბარათიც წაიკითხა. ბარათში ასე ეწერა:

„ჩემო საყვარელო კოლია, ძალიან გთხოვთ თანდართული ბარათი აგლაია ივანოვნას გადასცეთ. კარგად იყავით.

თქვენი მოყვარული თავ. ლ.მიშკინი“.

– მაინც სასაცილოა, შენისთანა ღლაპს რომ ენდო, – წყენით ჩაილაპარაკა აგლაიამ, კოლიას ბარათი დაუბრუნა და ამპარტავნულად ჩაუარა გვერდით.

ეს კი ვეღარ აიტანა კოლიამ განა დღეს არ იყო, განიას საგანგებოდ სთხოვა, შენი ახალთახალი მწვანე შარფი მათხოვეო, თუმცა არ უთქვამს, რისთვის სჭირდებოდა.

კოლია დიდად ნაწყენი დარჩა.

II

ივნისის დასაწყისი იყო. პეტერბურგში ეს ერთი კვირა საოცრად კარგი ამინდი იდგა. ეპანჩინებს დიდებული აგარაკი ჰქონდათ საკუთრივ პავლოვსკში. ლიზავეტა პროკოფიევნას უეცრივ რაღაცამ წამოუარა, მთელი სახლი აყარა და ორი დღის ფაციფუცის შემდეგ აგარაკზე გადაბარგდნენ.

ეპანჩინების გადაბარგებიდან ორი–სამი დღე იქნებოდა გასული, რომ მოსკოვის დილის მატარებელს თავად ლევ ნიკოლაევიჩ მიშკინი ჩამოჰყვა. სადგურზე არავინ დახვედრია. მაგრამ ჩამოდგა თუ არა ვაგონიდან ფეხი, ისე მოეჩვენა, ჩამოსული გზავრების ირგვლივ შემოხვეული ხალხიდან ვიღაცამ თითქო უცნაურად ანთებული მზერა შემომაგებაო. კარგად რომ დააკვირდა,

იფიქრა, მომეჩვენა, არაფერიც არ იყოო, მაგრამ მაინც უსიამოდ გაჰკენწლა გულში. თავადი ისედაც დაღონებული, ჩაფიქრებული და რაღაც შეწუხებული ჩანდა.

მეეტლემ ლიტეინაიას ახლოს ერთ სასტუმროში მიიყვანა. სასტუმრო უვარგისი იყო. თავადმა ორი პატარა, ბნელი, უხეიროდ მოწყობილი ოთახი დაიჭირა, პირი დაიბანა, ჩაიცვა და საჩქაროდ გამოვიდა, თითქოს ვიღაცის ნახვას ეშურება და ეშინია, ვაითუ შინ ვერ მივუსწროო.

ის ხალხი, ვისაც ამ ნახევარი წლის წინათ პეტერბურგში პირველად ჩამოსული თავადი ენახა, ახლა დაასკვნიდა, გარეგნულად უკეთ გამოიყურებაო. მაგრამ საეჭვოა ასე ყოფილიყო. განსხვავება მარტო ტანსაცმელში იყო, რომელიც ჩინებულ მოსკოველ თერძს შეეკერა, ოღონდაც ნაკლი მაინც ჰქონდა. მეტისმეტად მოდაზე გამოეყვანა (რაც მუდამ სჩვევიათ კეთილსინდისიერ, არცთუ დიდად ნიჭიერ თერძებს), ისიც ისეთი კაცისთვის, ვისაც ეს სულ არ ედარდებოდა, ასე რომ, გაქირდვის მოყვარულს კარგა დაკვირვების შემდეგ იქნებ ჩაჰღიმებოდა კიდეც თავადის შეხედვაზე. მაგრამ ღიმილს განა ცოტა რამ მოჰგვრის კაცს?

თავადმა ეტლი დაიჭირა და პესკიზე გაემართა. როჟდესტვენსკის ერთ-ერთ ქუჩაზე მალე მიაგნო პატარა, ფიცრულ სახლს. დიდად გაუკვირდა, როცა ეს პატარა სახლი გარეგნულად ლამაზი, კოპწია და სუფთად მოვლილი გამოდგა. პატარა ბაღჩაში ყვავილებიც ჰყვაოდა. ქუჩის ფანჯრები ღია იყო. იქიდან ვიღაცის გაუთავებელი ქაქანი ისმოდა, თითქოს ყვირილიც. კაცი იფიქრებდა, ვიღაც კითხულობს ან სულაც სიტყვას ამბობსო. ამ ლაპარაკს შიგადაშიგ წკრიალა სიცილის ხმები წყვეტდა. თავადი ეზოში შევიდა, პარმაღზე ავიდა და ბატონი ლებედევი იკითხა.

– აგერ, იქ ბრძანდებიან, – მიუგო ხელებაკაპიწებულმა მზარეულმა ქალმა, რომელმაც კარი გაუღო თავადს, და „სასტუმროზე“ მიუთითა.

სასტუმრო მუქი ცისფერი ქაღალდით იყო გაკრული და სუფთად, ცოტა პრეტენზიულად მორთული, ე.ი. მრგვალი მაგიდა, დივანი და ხუფიანი ბრინჯაოს საათი იდგა, ფანჯრებს შუა დარჩენილ ვიწრო კედელზე სარკე ეკიდა, ჭერში, ბრინჯაოს ძეწკვზე, ძველებური ჭაღი კონწიალობდა. შუა ოთახში თავად ბატონი ლებედევი იდგა, შემოსული თავადისკენ ზურგშექცევით, ჟილეტის ამარა, საზაფხულოდ გაშილიფებული და გულში ხელების ბაგუნით რაღაცაზე გამწარებით ქაქანებდა. მსმენელებად ერთი თხუთმეტი წლის, საკმაოდ მხიარული და ჭკვიანური სახის ბიჭი ჰყავდა, რომელსაც წიგნი ეჭირა ხელში, შემდეგ ოციოდე წლის ყმაწვილი ქალი, თავით ფეხამდე ძაძებში, ხელში ძუძუმწოვარა ბავშვით, ცამეტი წლის გოგონა, ისიც შავებით მოსილი, გულიანად რომ კისკისებდა და პირს საოცრად აფჩენდა. დაბოლოს, ერთი მეტისმეტად უცნაური მსმენელი გაშოტილიყო დივანზე, რომელიც ოციოდე წლის ყმაწვილი იქნებოდა, საკმაოდ ლამაზი, შავგვრემანი; ჰქონდა გრძლად მოზრდილი გრუზა თმა, შავი დიდრონი თვალები, პატარა ქილვაშები და წვერიც დაეყენებინა. სწორედ ეს მსმენელი უნდა ყოფილიყო, ქადაგად დაცემულ ლებედევს რომ ხშირ-ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას და ედავებოდა, დანარჩენი საზოგადოება კი ალბათ ამაზე კვდებოდა სიცილით.

– ლუკიან ტიმოფეიჩ, გესმის, ლუკიან ტიმოფეიჩ! ერთი ამას დამიხედე?! აქეთ მოიხედე-მეთქი, არ გეყურება?.. ოი, თქვენ კი ამოწყდით!

მზარეულ ქალს სიბრაზისაგან სახე წამოუჭარხლდა, მერე ხელი ჩაიქნია და გავიდა. ლებედევმა მოიხედა და თავადი რომ დაინახა, ერთი პირობა ელდანაკრავივით გაშეშდა ადგილზე. მერე პირმოთნე ღიმილით თავადისკენ გამოექანა, მაგრამ თითქოს ისევ შეეკრა ფეხები და ესღა აღმოხდა:

– უბრწყინვალესო თავადო!

შემდეგ, თითქოს კონტენანსის დასამყარებლად, მოტრიალდა და ყოვლად უმიზეზოდ ჯერ ძაძებიან ყმაწვილ ქალს ეცა, ბავშვი რომ ეკავა ხელთ; ქალმა მოულოდნელობისაგან ცოტა უკან დაიხია, შემდეგ იმას თავი ანება და ახლა მეორე ოთახის ზღურბლზე გაჩხირულ ცამეტი წლის გოგონას მივარდა, რომელიც ჯერ კიდევ იღიმებოდა. გოგონა დაცაცხანებამ ისე დააფრთხო, მყის სამზარეულოსკენ მოკურცხლა; ლებედევმა ეს არ იკმარა და ფეხის ბაკუნიც მიაყოლა დასაშინებლად, მაგრამ ამ დროს თავადს შეხედა, რომელიც გაოგნებული იყურებოდა, და თავი იმართლა

– ჰე-ჰე! რიდი და კრძალვა უნდა ჰქონდეს... მაშ!

– ეგ კი ზედმეტი გახლავთ... – დაიწყო თავადმა.

– ახლავე, ახლავე, ახლავე... ქარზე უსწრაფესად! – და ლებედევი ოთახიდან გაიჭრა. თავადმა გაოცებით შეხედა ყმაწვილ ქალს, ბიჭსა და დივანზე გაშოტილ ახალგაზრდას; ისინი იცინოდნენ. თავადსაც გაეცინა.

– ფრაკის ჩასაცმელად წაბრძანდა, – აუხსნა ბიჭმა.

– სამწუხაროა, მე კი იმედი მქონდა... მითხარით, გეთაყვა, ვითომ...

– გგონიათ გადაკრულშია? – გადმოსძახა დივნიდან ხმამ, – სრულებითაც არა! იქნებ სამი-ოთხი ჭიქა ყლურწა, დიდი-დიდი ხუთი, მაგრამ ეს რა სათვალავში ჩასაგდებია, – წესი აქვს ასეთი.

თავადი ის იყო დივნიდან მოლაპარაკეს მიუბრუნდა, რომ ამ დროს სანდომიანმა ყმაწვილმა ქალმა უთხრა

– დილაობით ბევრს არა სვამს. თუ რამ საქმე გაქვთ, ახლავე გირჩევნიათ უთხრათ, საღამოობით კარგა ნასვამი ბრუნდება ხოლმე. თუმცა ახლა სულ ტირის და სახარებას გვიკითხავს, ხუთი კვირა იქნება, რაც დედა დავმარხეთ.

– ალბათ არ იცის, რა გიპასუხოთ, და იმიტომ მოუსვა აქედან, – გაეცინა დივანზე მწოლიარეს, – სანამლეოს ჩამოვალ, რომ მოტყუებას გიპირებთ, მაგრამ არ იცის კი, ანკესზე როგორ წამოგაგოთ.

– სულ ხუთი კვირაა! ხუთი კვირაა! – შემოქაქანდა ოთახში უკვე ფრაკში გამოწყობილი ლებედევი და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოათრია ცრემლების მოსაწმენდად, – ობლები დამრჩა.

– ეგ დაფხრეწილი ფრაკი რამ ჩაგაცმევინათ? – უთხრა ყმაწვილმა ქალმა, – კარსუკან ახალთახალი სერთუკი ვერ დაინახეთ

– სუ, შე ჭრიჭინავ! – დაუტატანა ლებედევმა და ფეხებიც დაუბაკუნა, – სუ-მეთქი.

– რას მაშინებთ, – გაეცინა ქალს, – მე ტანია არა ვარ, არ გავიქცევი. ლუბოჩკა რომ შეშინდეს და გადაფიჩინდეს... რა გაყვირებთ?!

– ა-პა-პა--პა! ენამ არ გიყივლოს... – საოცრად დაფრთხა უცბად ლებედევი, თავისი ქალის მკლავზე ჩაძინებულ ბავშვს მივარდა და შეშინებული სახით რამდენჯერმე გადასწერა პირჯვარი, – უფალო, შენ დაგვიფარე და გვაშორე! ეს თითო ჩემი საკუთარი ასული გახლავთ, ჩემი ლუბოვი, – მიუტრიალდა ის თავადს, – კანონიერ ქორწინებაში ჩემს ახალმიცვალებულ მეუღლე ელენესაგან შეძენილი, რომელიც მშობიაროზას გადაჰყვა. ეს წრიპა კი ჩემი ქალია ვერა, ძაძები აცვია დედაზე... ეს კი, ეს...

– რას ჩაგივარდა ენა – გამოსძახა ყმაწვილმა კაცმა, – განაგრძე, განაგრძე, ნუ გრცხვენია.

– თქვენო ბრწყინვალებავ! – რაღაც გატაცებით შესძახა უეცრად ლებედევმა, – ჟემარინების ოჯახის მკვლელობის ამბავს თუ ადევნებით თვალს გაზეთებში?[61]

– წავიკითხე, – ცოტა არ იყოს განცვიფრებით მიუგო თავადმა.

– ჰოდა, ჟემარინების ოჯახის ჭეშმარიტი მკვლელი ეს გახლავთ, სწორედ ეს!

– რას ბრძანებთ? – გაუკვირდა თავადს.

– ესე იგი, ალეგორიულად რომ ვთქვათ, მომავალი ჟემარინების ოჯახის, თუკი ასეთი აღმოჩნდა, მომავალი მკვლელი. სწორედ სამაგისოდ ემზადება...

ყველას გაეცინა. თავადმა იფიქრა, ლებედევი სულაც იმიტომ იგრიხება და იმანჭება, იცის, რას შევეკითხები, პასუხი კი მოფიქრებული არა აქვს და დროის გაყვანა უნდაო.

– ჯანყის მოსურნეა! შეთქმულებებს აწყობს! – გაჰკიოდა ლებედევი, თითქოს თავის შეკავება აღარ ძალუძსო, – ერთი მითხარით, შემიძლია თუ არა ამისთანა ავყია, ამისთანა, შეიძლება ითქვას, მრუში და შეჩვენებული ჩემს ღვიძლ დისწულად ვიგულო, ჩემი განსვენებული დის ანისიას ერთადერთ ძედ?

– ენა დააყენე, შე ლოთო შენა! დამიჯერებთ, თავადო, ახლა ვექილობა დაგვიწყო, სასამართლო სარჩელებზე დარბის; ენამზეობს და შვილებს შინ სულ მაღალფარდოვანი ენით ელაპარაკება. მომრიგებელ მოსამართლეთა წინაშე ხუთი დღეც იქნება გამობრძანდა და ილაპარაკა. მერედა, ვინ დაიცვა განა ის დედაბერი, რომელიც შველას ემუდარებოდა, რომელიც არამზადა მევახშემ გაძარცვა და მთელი მისი ქონება, ხუთასი მანეთი მიითვისა, არამედ თვით ეს მევახშე, ურიკრიკა ზაიდლერი დაიცვა, შეპირდა, ორმოცდაათ მანეთს მოგცემო და იმიტომ...

– თუ მოვიგე ორმოცდაათს, და თუ წავაგე, მარტო ხუთს, – სულ სხვა კილოთი, თითქოს თავის დღეში არ უყვირიაო, განმარტა უეცრივ ლებედევმა.

– ჰოდა, რა თქმა უნდა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ძველი დრო ხომ აღარაა, მხოლოდ თავი გაიხადა სასაცილოდ. მაგრამ ძალიან კმაყოფილი კი დარჩა მაინც თავისი თავით; არ დაივიწყოთ, უთქვამს, პირუთვნელნო უფალნო მოსამართლენო, რომ თქვენს წინაშე დავრდომილი, უფეხო ბერიკაცი დგასო, რომელსაც პატიოსანი შრომით გააქვს თავი და უკანასკნელ ლუკმას ჰკარგავსო ახლა; მოიგონეთ კანონმდებლის ბრძნული სიტყვები დაე, დამკვიდრდეს მოწყალება სამსჯავროსა შინაო. დამიჯერებთ ყოველ დილას ამ სიტყვას გვიმეორებს, სიტყვა-სიტყვით, როგორც იქ უთქვამს; დღეს უკვე მეხუთედ გვითხრა; აი, სწორედ თქვენი მოსვლის წინ ქაქანებდა, იმ ზომამდეა აღტაცებული, პირდაპირ დნება. ახლა ვიღაცის დაცვას აპირებს კიდევ. მგონი, თავადი მიშკინი ბრძანდებით, არა? კოლიამ მითხრა თქვენზე, იმაზე ჭკვიანი კაცი ჯერ არ შემხვედრიაო...

– არცაა! არცაა! არც შეხვდება! – მყისვე კვერი დაუკრა ლებედევმა.

– ეს, რა თქმა უნდა, ყასიდად ამბობს. ერთს უყვარხართ, მეორე თავს გიქონავთ; მე კი თქვენს მოთაფვლას სულაც არ ვაპირებ, რომ იცოდეთ. მაგრამ იმდენი გაგება კი გექნებათ, რომ მე და ეს განგვსაჯოთ. გინდა, თავადმა განგვსაჯოს? – მიუბრუნდა იგი ბიძამის. – მე კიდეც მიხარია, რომ შემოგვესწარით, თავადო.

– მინდა! – გადაჭრით შესძახა ლებედევმა და უნებლიეთ ისევ გარსშემოკრებილი საზოგადოებისაკენ მიიხედა.

– რაშია საქმე? – წარმოთქვა თავადმა და სახე შეიჭმუხნა.

თავი მართლაც სტკიოდა, იმაშიც დარწმუნდა უკვე, ლებედევი მატყუებს და ჩვენი ლაპარაკის გადადება უხარიაო.

– აი, საქმე რაშია. მე რომ მისი დისწული ვარ, ეს მართალი გითხრათ, თუმცა ყველაფერში სტყუის. კურსი არ დამიმთავრებია, მაგრამ მინდა დავამთავრო და ჩემსას გავიტან კიდეც, ვინაიდან ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. ჯერჯერობით კი, თავი რომ გავიტანო, ერთ ადგილზე ვაპირებ მუშაობას, რკინიგზაზე, ოცდახუთ მანეთს მივიღებ. გამოგიტყდებით იმაშიც, ორჯერ-სამჯერ უკვე გამიმართა ხელი და დამეხმარა. მე ოცდახუთი მანეთი მქონდა და წავაგე. დამიჯერებთ, თავადო, ისეთი არამზადობა, ისეთი გარეწრობა გამოვიჩინე, რომ ეს ფული წავაგე!

– მერე ვისთან წააგო, იმ არამზადას კაცი ფულს გადაუხდის?! – იყვირა ლებედევმა.

– დიახ, არამზადაა, მაგრამ ფული მაინც უნდა გადავუხადო, – განაგრძო ყმაწვილმა. – რომ არამზადაა, მაგაში მეც გეთანხმები და მარტო იმიტომ კი არა, შენ რომ გცემა. ის, თავადო, ერთი გამოგდებული ოფიცერია, გადამდგარი პორუჩიკი, როგოჟინის ძველი ამფსონი, კრივს ასწავლის. როგოჟინმა რომ მიფერთხ-მოფერთხა ეგენი, მას აქეთ ასე დაწანწალებენ. მაგრამ ჩემი ბრალი ისაა, რომ ვიცოდი მისი ამბავი, ვიცოდი არამზადა, თაღლითი და ქურდი რომ იყო და მაინც ჩავუჯექი კარტის სათამაშოდ. უკანასკნელ მანეთს რომ ვაგებდი, გულში ეს მედო თუ წავაგე, ძია ლუკიანს მივადგები, ფეხებში ჩავუვარდები – უარს არ მეტყვის-მეთქი. აი, ამას ჰქვია სულმდაბლობა, შეგნებული სულმდაბლობა!

– დიახ, შეგნებული სულმდაბლობა! – გაიმეორე ლებედევმა.

– მოიცა, მოიცა, ჯერ ადრეა ზეიმი, – წყენით შეუძახა დისწულმა, – გაიხარა რაღა. მე ვეახელი, თავადო, და ყველაფერში გამოვუტყდი; პატიოსნად მოვიქეცი, დაუზოგავად გავილანძღე თავი, როგორც შემეძლო, მოწმეები აგერ ესენი მყვანან. რკინიგზაზე სამსახური რომ დავიწყო, უთუოდ გამოწყობა მჭირდება, აი, რა ძონძებში დავდივარ, ჩემ ჩექმებს შეხეთ! ასე როგორ გამოვცხადდე სამუშაოზე, არ მივიდე დათქმულ დროზე და სხვა დაიჭერს ადგილს, მაშინ ისევ ცაში გამოვეკიდები და როდის-როდის მეღირსება სამუშაო. ახლა ვთხოვ, მარტო თხუთმეტი მანეთი მომცეს, პირობას ვაძლევ, სხვა დროს აღარ შევაწუხო ფულზე და, გარდა ამისა, ამ სამი თვის მანძილზე მთელი ვალი გადავუხადო უკანასკნელ კაპიკამდე. პირს არ გავიტეხ. შემიძლია მთელი თვე პურზე და ბურახზე ვიყო, ვინაიდან ნებისყოფა მაქვს. სამი თვის მანძილზე სამოცდათოთხმეტ მანეთს ავიღებ. რაც წინათ მოუცია, იმასთან ერთად სულ ოცდათხუთმეტი მანეთი მექნება მაგის ვალი, მაშასადამე, გასტუმრებას შევძლებ. თუ უნდა, პროცენტებიც დამინიშნოს, ჯანი გავარდნია! განა არ მიცნობს? ერთი ჰკითხეთ, თავადო წინათ რომ ხელს მიმართავდა, ვუბრუნებდი თუ არა ვალს? მაშ, ახლა რატომ არ მაძლევს იმიტომ, რომ გაბრაზდა, იმ პორუჩიკს რათ მიეცი ფულიო. სხვა მიზეზი არა აქვს! აი, რა კაცია, – არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს!

– რომ ვერ მოვიშორე! წამომიწვა აქ და არ მიდის! – შესძახა ლებედევმა.

– აკი გითხარი, სანამ არ მომცემ, არ წავალ-მეთქი. რად გეღიმებათ, თავადო? მგონი, ფიქრობთ, მართალი არა ვარ, ხომ?

– არ მეღიმება, ოღონდაც, ჩემი აზრით, მთლად მართალი არ უნდა იყოთ, – უნდილად გაეხმაურა თავადი.

– ნუ ეშმაკობთ, ბარემ პირდაპირ მითხარით, მართალი არა ხართ-თქო: ეს „მთლად არა“ რაღაა!

– მაშ, თუ გნებავთ, სულ არ ხართ მართალი.

– თუ მნებავსო, სასაცილოა! ნუთუ გგონიათ, თავად არ ვიცი, რომ ფული მისია, ნებაც მისია და, ჩემის მხრივ, ძალდატანება გამოდის. მაგრამ თქვენ, თავადო... ეს წუთისოფელი არა გცნობიათ. მაგისთანებს შიგადაშიგ ჭკუაზე მოყვანა უნდა, დიახ, ჭკუაზე მოყვანა. მე ხომ სინდისი მაქვს; მე ხომ ზარალში არ ვაგდებ, პროცენტებით დავუბრუნებ. მის წინაშე თავიც დავიმცირე და ამითაც მოვუოხე გული. მეტი რა ჯანდაბა უნდა აბა რისი მაქნისი იქნება, თუ კაცს არაფერში გამოადგა ერთი მიბრძანეთ, თვითონ რაებს სჩადის ჰკითხეთ ერთი, სხვებს რას უშვება, როგორ ატყუებს ხალხს? ეს სახლი რითი შეიძინა? თავს მოვიჭრი, თუ თქვენც არ მოგატყუათ და ისიც არა აქვს დაწყობილი უკვე, შემდეგში როგორ მოგატყუოთ! იღიმებით, არ გჯერათ ჩემი?

– მე მგონი, ეგ თქვენს საქმეს სულაც არ ეხება, – შენიშნა თავადმა.

– მესამე დღეა აქა ვწევარ და რისი მოწმე არ გავხდი! – თავისას გაიძახოდა ყმაწვილი კაცი, თავადს ყურს არ უგდებდა, – წარმოგიდგენიათ, რომ აი, ამ ანგელოზზე, აი, ამ ობოლ ყმაწვილ ქალზე, ჩემს ბიძაშვილზე და საკუთარ შვილზე ეჭვი მიაქვს, ყოველ ღამე მაგის ოთახში სატრფოებს ეძებს! მეც ჩუმ-ჩუმად მომეპარება ხოლმე, აქ, ჩემი დივნის ქვეშ იჭყიტება. ეჭვებმა სულ გადარია. ყველგან ქურდები ელანდება ვინ იცის, რამდენჯერ წამოხტება ხოლმე ღამით, ხან ფანჯრებს მივარდება, კარგად თუა დაკეტილიო, ხან კარებს მოსინჯავს, ღუმელშიც შეიხედავს. ბარემ შვიდჯერ მაინც შეამოწმებს. სასამართლოში არამზადებს იცავს, თვითონ კი ერთი სამჯერ მაინც წამოვარდება ღამით სალოცავად, აგერ აქ, დარბაზში დაიჩოქებს და ნახევარსაათობით სულ შუბლს ახლის იატაკს; ვისი გულისთვის არ ლოცულობს მერე, რას არ მოთქვამს გალეშილ გულზე! ჩემი ყურით გავიგონე, გრაფინია დიუბარის[62] სულიც მოიხსენია. კოლიაც მოწმეა სულ დაკარგა ჭკუა!

– ხომ ხედავთ, ხომ გესმით, თავადო, როგორ მჭრის თავს?! – მართლაც გული მოუვიდა და სისხლი მოაწვა სახეში ლებედევს, – ის კი არ იცის, რომ მე, ლოთსა და უნამუსოს, ყაჩაღსა და ბოროტ სულს მარტო იმიტომ შეიძლება მეპატიოს ცოდვები, რომ, აი, ამ ყიამყრალს პატარაობისას ჩვრებში ვხვევდი, ვარცლში ვაბანავებდი, მე თვითონ მათხოვარი ჩემს გამათხოვრებულ ქვრივ-ოხერ დაია ანისიას მთელ ღამეებს თეთრად ვუთენებდი, ორივეს, ავად რომ იყვნენ, ვუვლიდი, მეეზოვეს ქვემოთ შეშას ვპარავდი, მაგას რას არ ვუმღეროდი, თითებს ვატკაცუნებდი, თუმცა კუჭი შიმშილით მეწვოდა, ჰოდა, კაი რამე კი გამოვზარდე, ახლა დამცინის და მასხარად მიგდებს! ან რა შენი საქმეა, თუ მართლა გრაფინია დიუბარის სულის მოსახსენებლად ერთხელ ოდესმე პირჯვარი გადავიწერე მე, თავადო, ამ ოთხი დღის წინათ ლექსიკონში ჩემს სიცოცხლეში პირველად წავიკითხე მისი ცხოვრების აღწერა. ან იცი კი ვინ იყო დიუბარი? თქვი, იცი თუ არა?

– მაშ, მარტო შენ იცი? – დაცინვით, მაგრამ უხალისოდ წაიდუდუნა ყმაწვილმა.

– ეს გრაფინია იყო, ნაძრახ ცხოვრებას რომ დააღწია თავი და ლამის დედოფალი გახდა, ეს გრაფინია იყო, ვისაც ერთი დიდი დედოფალი საკუთარი ხელით სწერდა წერილში „ma cousine“ -ო, ვისაც კარდინალი, პაპის ნუნცი, ლევე-დიუ-რუაზე[63] (იცი კი, რა არის ლევე-დიუ-რუა) აბრეშუმის წინდებს თავისი ხელით აცმევდა შიშველ ფეხებზე და პატივადაც თვლიდა. მერე და ვინ, მისი უწმინდესობა?! იცი შენ ეს სახეზე გატყობ, არა! ან ის თუ იცი, როგორ მოკვდა მიპასუხე, იცი თუ არა

– აქედან მომწყდი! რას გადამეკიდე.

– ჰოდა, იცი, რა სიკვდილით მოკვდა ასეთი დიდებისა და მეუფეობის შემდეგ პარიზელ პუასარდკების[64] სასეიროდ ჯალათმა სამსონმა გილიოტინაზე ყოვლად უდანაშაულოდ წააგდებინა თავი. შიშით გაოგნებული ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. ხედავს, რომ გილიოტინაზე პანღურით მიათრევენ, ხალხი კი სიცილით იხოცება, – ხედავს და იყვირა „Encore un moment, monsieur le bourreau, encore un moment“, ესე იგი ერთი წუთი მაცალეთ, ბატონო ბურო[65], მხოლოდ ერთი წუთიო. ჰოდა, ამ ერთი წუთის გულისთვის, ვინძლო, შეუნდოს კიდეც მამაზეციერმა, ვინაიდან ადამიანის შვილისგან ამაზე კნინის მოთხოვნა არ გაგონილა. იცი კი, რას ნიშნავს სიტყვა კნინი? ჰოდა, სწორედ ეგაა კნინი. გრაფინიას ეს ღაღადისი, ეს ერთი წუთი რომ წავიკითხე, თითქოს გულზე მარწუხი მომიჭირესო. შენ რა მერე, შე ჭიავ, მე რომ ძილის წინ, ლოცვაში, ეგ დიდად ცოდვილი სული მოვიხსენიე, იქნებ იმიტომაც მოვიხსენიე, რომ ვისმე ალბათ ამ ქვეყნის დასაბამიდან არათუ პირჯვარი გადაუწერია მისი სულის შესანდობლად, თავში არ მოსვლია ეგ ამბავი. ვნახოთ და იმქვეყნად ეამოს, რომ მოიძებნა ერთი მისებრ

ცოდვილი, რომელმაც ერთხელ მაინც ილოცა დედამიწაზე მისი სულის გასანათლებლად ნეტა რას იკრიჭები არა გჯერა განა, ათეისტო. შენ საიდან იცი იქაც სტყუი, ცუდად მოგიკრავს ყური, მე განა მარტო გრაფინია დიუბარისთვის ვილოცე; ასე ვღაღადებდი „განუსვენე, უფალო, სულსა დიდი ცოდვილისა გრაფინია დიუბარისა და სხვათა მისთანათა-თქო“, ეს კი სულ სხვაა. რამეთუ მრავალ არიან ესრეთ ცოდვილნი, წამებულნი და შეჭირვებულნი, ესრეთ ბედის უკუღმართობის მსხვერპლნი, რომელნიც ახლა იქ ბორგავენ, გმინავენ და ელიან; მე ხომ შენთვისაც და შენისთანა ავყია თავხედებისთვისაც ვილოცე, თუ მომაყურე, ეს ვეღარ გაიგონე...

– გეყოფა, გეყოფა, ვისზეც გინდა, იმაზე ილოცე, ჯანდაბას შენი თავი. არ გაგვაყრუა ყვირილით?! – გაჯავრებით გააწყვეტინა დისწულმა. – ეგ ხომ ნაკითხზე ნაკითხი ვინმე გახლავთ, თავადო, არ იცით განა – დაუმატა მან და რაღაც ცალყბად გაიღიმა. – სულ ასეთ წიგნებსა და მემუარებს კითხულობს ახლა.

– ბიძათქვენი მაინც... უგულო კაცი არ ყოფილა, – უგემურად მიუგო თავადმა. ეს ყმაწვილი დიდ ზიზღს გვრიდა უკვე.

– მაგ ქებით სულ არ შეშალოთ ჭკუაზე! ვერა ხედავთ, გულზე ხელი მიიდო უკვე და პირიც მოპრუწა, დადნა კაცი, მართალია, უგულო არაა, ოღონდ თაღლითია და ესაა უბედურება; თანაც ლოთია, ახლა მაინც მთლად მოეშვა, ასეა, კაცი რომ სმას გადაჰყვება, იმიტომაც მოიშალა ასე. შვილები კი უყვარს, რა თქმა უნდა, განსვენებულ ძალუაჩემსაც პატივს სცემდა... მეც ვუყვარვარ და, ღმერთმანი, ანდერძშიც წილი დამიდო....

– არაფერსაც არ დაგიდებ! – გააფთრებით შეჰყვირა ლებედევმა.

– მოიცათ, ლებედევ, – მტკიცედ უთხრა თავადმა და ყმაწვილკაცს ზურგი აქცია, – მე ხომ გამოცდილი მყავხართ და ვიცი, როცა მოინდომებთ, საქმიანი კაცი ხართ... ამჯერად დრო ცოტა მაქვს და თუ... მაპატიეთ, თქვენი სახელი და მამის სახელი დამავიწყდა.

– ტი-ტი-ტიმოფეი.

– და?

– ლუკიანოვიჩი.

ოთახში მყოფთ კვლავ სიცილი აუტყდათ.

– მოიტყუა! – შეჰყვირა ყმაწვილმა, – აქაც მოიტყუა! თავადო, ეგ ტიმოფეი ლუკიანოვიჩი კი არა, ლუკიან ტიმოფეიჩია! აბა, მითხარი ერთი, რისთვის მოიტყუე? განა შენთვის ერთი არაა, გინდა ლუკიანი იყო, გინდ ტიმოფეი, ან თავადს რაში ენაღვლება? ძვალრბილში აქვს გამჯდარი ტყუილები, იმიტომაც სტყუის, გარწმუნებთ!

– ნუთუ მართლა? – მოუთმენლად ჰკითხა თავადმა.

– ლუკიან ტიმოფეიჩი გახლავართ მართლაც, – კვერი დაუკრა დარცხვენილმა ლებედევმა, მორჩილად დახარა თავი და კვლავ გულზე მიიდო ხელი.

– აბა, რაში დაგჭირდათ, ოჰ, ღმერთო ჩემო!

– თავი რომ დამეკნინებინა, იმიტომ, – წაიჩურჩულა ლებედევმა და უფრო მორჩილად, უფრო დაბლა ჩაჰკიდა თავი.

– ეჰ, რა დროს დაკნინებაა! ნეტა ერთი მაცოდინა, სად იქნება ახლა კოლია, – თქვა თავადმა და წასასვლელად მოტრიალდა.

– მე გეტყვით, სადაა კოლია, – თავი გამოიდო ისევ ყმაწვილმა კაცმა.

– აპა-პა-პა! – შეხტა და შებზრიალდა ლებედევი.

– კოლიას აქ ეძინა წუხელ, დილით კი თავისი გენერლის მოსანახავად წავიდა. მაინც ვერ გამიგია, რისთვის გამოიხსენით ციხიდან ეგ კაცი. გენერალი ჯერ გუშინ დაჰპირდა, ღამის

გასათევად აქ მოვალო, მაგრამ არ მობრძანდა. ალბათ სასტუმრ „ვესიში“ გაათია ღამე, აქედან შორი არაა. მაშასადამე, კოლია ან იქ იქნება, ან პავლოვსკში, ეპანჩინებთან. ფული ჰქონდა. გუშინვე აპირებდა წასვლას. ასე რომ, ან „ვესიში“ იპოვით, ან პავლოვსკში.

– პავლოვსკშია, პავლოვსკშია!.. აქეთ წამობრძანდით, თავადო, აქეთ, ბაღში... ყავა მივირთვათ...

ლებედევმა ხელი ჩასჭიდა თავადს და ლამის წაათრია. გაიარეს პატარა ეზო და ჭიშკარში შევიდნენ. იქ მართლაც ძალიან პატარა და ძალიან ლამაზი ბაღი იყო, კარგი ამინდი იდგა, ხეები ამწვანებულიყო. ლებედევმა თავადი მწვანე ხის სკამზე დასვა, მიწაში ჩადგმულ მწვანე მაგიდის წინ და თვითონაც წინ დაჯდა. ერთი წუთის შემდეგ მართლაც მოიტანეს ყავა. თავადს უარი არ უთქვამს. ლებედევი მლიქვნელურად შესციცინებდა თვალებში.

– არ ვიცოდი, ასეთი ოჯახი თუ გქონდათ, – ისე თქვა თავადმა. ეტყობოდა, სულ სხვაზე ფიქრობდა.

–ობ-ლები დამრჩა, – დაიწყო ლებედევმა და სახე დაეღმიჭა, მაგრამ გაჩერდა თავადი უგულისყუროდ უსმენდა და, რა თქმა უნდა, აღარც ახსოვდა, რა შეეკითხა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ლებედევი თვალს არ აშორებდა, რას იტყვისო.

– ჰო, – თითქოს გამოფხიზლდა თავადი, – ხომ იცით, ლებედევ, რაშიცაა ჩვენი საქმე? თქვენი წერილი მივიღე და ჩამოვედი. ბრძანეთ.

ლებედევი აირია, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ენა დაება, სიტყვა ვერ დასძრა. თავადი ელოდა, მერე ნაღვლიანად გაიღიმა.

– მგონი, კარგად მესმის თქვენი სულისკვეთება, ლუკიან ტიმოფეევიჩ ალბათ არ მელოდით. გეგონათ, იმ გადაკარგულიდან თქვენს პირველ ცნობაზე არ დავიძვრებოდი, მომწერეთ იმიტომ, რომ სინდისი მოგეწმინდათ. მე კი ავდექი და ჩამოვედი. კმარა, კმარა, ნუღა მატყუებთ. გეყოთ ორი ბატონის სამსახური. როგოჟინი მესამე კვირაა, აქ არის. ყველაფერი ვიცი. მოასწარით და მიჰყიდეთ უკვე მაშინდელივით თუ არა ქალი? მართალი მითხარით.

– იმ წყეულმა თვითონ გაიგო.

– ნუ ლანძღავთ; რა თქმა უნდა, ცუდად მოგექცათ...

– დაუზოგავად მცემა! – საოცარი სიფიცხით დასძინა ლებედევმა, – მერე მოსკოვში ძაღლი მომისია, ძუკნა მწევარი, რაღაც საოცრება და მთელი ქუჩა მაძუნძულა.

– ბავშვად ხომ არ მთვლით, ლებედევ. მითხარით, მოსკოვში რომ იყო, ნამდვილად დატოვა იგი თუ არა?

– ნამდვილად, ნამდვილად, ისევ ქორწინების დღეს გამოექცა. კაცი წუთებს ითვლიდა, ქალი კი პეტერბურგში გამოიჭრა და პირდაპირ მე მომადგა – მიშველე, გადამარჩინე, ლუკიან, თავადსაც არ უთხრაო... მაგას თქვენი უფრო ეშინია, თავადო, სწორედ ეგაა თავსატეხი!

ლებედევმა ეშმაკურად შუბლზე მიიდო თითი.

– ახლა კი ისევ შეჰყარეთ?

– ბრწყინვალე თავადო, ან ვით... ვით შემეძლო ხელის შეშლა?

– კარგი, კმარა, ყველაფერს თავად შევიტყობ, მხოლოდ ეს მითხარით, სად არის ახლა? იმასთანაა?

– ა-პა-პა! ჯერ ცალკეა. მეო, ამბობს, თავისუფალი ვარო, იცით, თავადო, სულ ამას იჟინებს, მე ჯერ სავსებით თავისუფალი ვარო! ჯერჯერობით პეტერბურგის ქუჩაზე, ჩემი ცოლის დის სახლში დგას, როგორც მოგწერეთ.

– ახლაც იქაა?

– იქაა. თუ პავლოვსკში არაა წასული დარია ალექსეევნას აგარაკზე. მეო, იძახის, სავსებით თავისუფალი ვარო; გუშინ იყო ნიკოლაი არდალიონოვიჩთან და დიდად იკვეხნიდა იმ თავის თავისუფლებას. ავის ნიშანი გახლავთ!

ლებედევი გაიღრიჭა.

– კოლია ხშირად ნახულობს?

– ცერცეტია, თან ვერას გაუგებ, თუმცა დამალულიც არა აქვს რა.

– რა ხანია, იქ არ ყოფილხართ?

– ყოველ ცისმარე დღე, ყოველ ცისმარე დღე.

– მაშასადამე, გუშინაც?

– არა; ოთხი დღის წინ.

– აფსუს, რომ ცოტა გადაკრულში ხართ, ლებედევ! თორემ გკითხავდით რასმე.

– აპა-პა-პა, არც ერთი წვეთი!

ლებედევი თვალებად იქცა.

– მითხარით ერთი, რა გუნებაზე დასტოვეთ?

– ე-ძიებს...

– ეძიებს?!

– თითქოს რაღაცას ეძიებს, თითქოს რაღაც დაჰკარგვია და ვერ უპოვია. მომავალ ქორწინებაზე ფიქრიც კი ზარავს, თუ უხსენე, სწყინს. თავად მასზე ისე არ ფიქრობს, როგორც ფორთოხლის ნაფცქვენზე, თუმცა, როგორ არა, შიშსა და ძრწოლას ჰგვრის. ლაპარაკსაც კრძალავს მასზე, თუ აუცილებელია, მხოლოდ მაშინ ხვდებიან ერთმანეთს... იგი კი დიახაც კარგად გრძნობს ამას! მაგრამ ვაი, რომ ვერ აიცდენს!.. აფორიაქებული გახლავთ, სულ დაცინვაზე უჭირავს თვალი, ორენობს და ღრინავს.

– ორენობს და ღრინავს?

– ღრინავს; ამას წინათ ერთი რაღაც რომ ვუთხარი, კინაღამ თმაში მწვდა. აპოკალიფსი[66] წავუკითხე, გონს რომ მომეყვანა.

– რაო? – ჩაჰკითხა თავადმა, ცუდად ხომ არ მომესმაო.

– აპოკალიფსი, დიახ. მოუსვენარი წარმოდგენის ქალი ბრძანდება, ჰე-ჰე! თანაც შევამჩნიე, სერიოზული, თუნდაც გარეშე თემები მეტისმეტად უყვარს და დიდ პატივადაც თვლის. დიახ. მე კი აპოკალიფსის ახსნაში ძლიერი გახლავართ, თხუთმეტი წელია ჩავკირკიტებ. დამეთანხმა, რომ მესამე, შავი ცხენის ხანაში ვართ. რომლის მჯდომარესა ზედა აქუნდა ხელთა მისთა უღელი, რამეთუ ჩვენს საუკუნეში ხალხი ყველა მხოლოდ თვის უფლებებს ძიობს „ერთი სამაგდანი იფქლი დრაჰკნისა და სამი სამაგდანი ქერი დრაჰკნისა“, თან სულის სილაღე, გულის სიწმინდე, სხეულის სისაღე, განგების ყოველი სიკეთე უნდათ ამასთან შეინარჩუნონ. მაგრამ მარტოოდენ უფლება ამას როდი შეუნარჩუნებთ და მოჰყვება ამას ცხენი მწუანე და იგიცა, რომლის სახელი არს სიკვდილი და ჯოჯოხეთი შეუდგამს... ამაზე ვმსჯელობთ ხოლმე, ერთად რომ შევიყრებით და ძალუმაც სჭრის.

– თავადაც ასე გწამთ? – ჰკითხა თავადმა და რაღაც უცნაურად შეავლო თვალი ლებედევს.

– მწამს და კიდეც ვქადაგებ. რამეთუ შიშველ-ტიტველნი და უქონელი ვართ, ვითარცა ატომნი წუთისოფლის ორომტრიალში. ვინ სცემს პატივს ლებედევს ყოველი კაცი მასხარად იღებს და წიხლსა ჰკრავს. აქ კი, აპოკალიფსს რომ ვქადაგებ, დიდ კაცს ვუტოლდები, რამეთუ ჭკუით არს ყოველი. დიდკაცი შეძრწუნდა წინაშე ჩემსა... სავარძელსა თვისსა მჯდომარე, რომ მისწვდა ჭკუით. მის მაღალ აღმატებულებას, ნილ ალექსეევიჩს, ამ სამი წლის წინ, წმინდა კვირის წინ

ყური მოეკრა, – მაშინ მე მათ დეპარტამენტში ვმსახურობდი, – და პიოტრ ზახარიჩი მომიგზავნა მოციქულად. მარტო რომ დავრჩით მის კაბინეტში, მკითხა „მართალია, შენზე რომ ამბობენ, ანტიქრისტეს პროფესორიაო“ არ დავმალე „ვარ“-თქო. გადავუშალე წიგნი, წავუკითხე და დავაშინე. ჯერ ჩაიცინა, მერე ციფრებმა და მაგალითებმა ცახცახი მოჰგვარა. მთხოვა, დახურე ეგ წიგნი და წადიო. წმინდა კვირას ჯილდოზე წარმადგინა, კვირაცხოვლობას კი ღმერთს სული მიაბარა.

– რას ამბობთ, ლებედევ?

– ნამდვილია. ნასადილევს ეტლიდან გადმოვარდნილა... საფეთქელი მიურტყამს ბოძკინტზე და პატარა ბალღივით იქვე განუტევებია სული. ნამსახურების ნუსხაში ეწერა სამოცდაცამეტი წლის იყოო... ღაჟღაჟა, ჭაღარა, სუნამოს სუნს აფრქვევდა ირგვლივ, მუდამ იღიმებოდა პატარა ბალღივით. პიოტრ ზახარიჩმა მაშინ გაიხსენა ეგ შენ უწინასწარმეტყველეო, მითხრა.

თავადი ასადგომად წამოიწია. ლებედევი განცვიფრდა და ცოტა არ იყოს, შეცბუნდა კიდეც, თავადი რომ წამოდგა.

– გაგგრილებიათ გული, ჰე-ჰე! – მლიქვნელურად შეჰკადრა ეს.

– ვერა ვარ კარგად, თავი დამძიმებული მაქვს, მგზავრობის ბრალი უნდა იყოს, – მიუგო თავადმა და შეიჭმუხნა.

– აგარაკი მოგიხდებოდათ, – მორიდებით შეაპარა ლებედევმა. თავადი ჩაფიქრებული იდგა.

– მეც ამ სამ დღეს კიდევ მოვიცდი და მერე მთელი ჯალაბობით აგარაკზე

გადავბარგდები, ახლადდაბადებულ ბარტყსაც სჭირდება ჰაერი და ამასობაში აქაც ყველაფერს შევაკეთებ. ჩვენც პავლოვსკში წავალთ.

– თქვენც პავლოვსკში? – უეცრად ჰკითხა თავადმა. – რა ამბავია, ყველა რომ პავლოვსკს ეტანება? თქვენც საკუთარი აგარაკი გაქვთ იქ?

– ყველა – არა. მე ივან პეტროვიჩ პტიცინმა დამითმო ერთ–ერთი თავისი იაფად ნაშოვნი აგარაკი. ლამაზი ადგილია, სულ მწვანეშია ჩაფლული, თან იაფიცაა, დიდკაცურიც, მუსიკასაც უკრავენ, ამიტომაც ყველა პავლოვსკს ეტანება. თუმცა მე პატარა ფლიგელში დავდგები, აგარაკი კი...

– გააქირავეთ?

– არა. ჯერ მთლად...

– მე მომაქირავეთ, – შესთავაზა უეცრივ თავადმა.

ლებედევი, როგორც ეტყობოდა, საამისოდ ამზადებდა ნიადაგს. სამიოდე წუთის წინ გაუელვა თავში ამ აზრმა. თუმცა მდგმური აღარ ესაჭიროებოდა; აგარაკის მუშტარმა უკვე მოინახულა და შემოუთვალა კიდეც, შეიძლება დავიჭიროო. ლებედევმა კი დასტურ იცოდა, არათუ „შეიძლება“, უთუოდ დაიჭერდა. მაგრამ ახლა მოულოდნელად გაუელვა, მისი ანგარიშით, ფრიად ნაყოფიერმა აზრმა, წინანდელი მუშტრის საჭოჭმანო პასუხით ესარგებლა და აგარაკი თავადისთვის მიექირავებინა. ერთბაშად წარმოიდგინა, „რა შეხლა-შემოხლა მოჰყვებოდა და ახლებურად შეტრიალდებოდა საქმე“. თავადის წინადადებამ ისე აღაფრთოვანა, ლამის ცას ეწია სიხარულით, ასე რომ, თავადის პირდაპირ კითხვაზე, ფასი რა იქნებაო, ხელებიც კი აიქნია.

– როგორც გნებავდეთ; მე გავიკითხავ, თქვენი არ დაგეკარგებათ.

ისინი უკვე ბაღიდან გამოდიოდნენ.

– მე... მე... თუ მოისურვებდით, დიდად პატივცემულო თავადო, იმ ამბის თაობაზე შემეძლო ერთობ საინტერესო რამ მეცნობებინა, – წაიდუდუნა გახარებულმა ლებედევმა და ცმუკვა-ცმუკვით აედევნა თავადს.

თავადი შედგა.

– დარია ალექსეევნასაც პავლოვსკში აქვს აგარაკი.

– მერე?

– ჩვენთვის ცნობილი პირი კი მისი მეგობარია, ჰოდა, როგორც ეტყობა, პავლოვსკში ხშირ-ხშირად აპირებს ჩასვლას. მიზანი აქვს თავისი.

– მერე?

– აგლაია ივანოვნა...

– გეყოფათ, ლებედევ! – რაღაც უსიამო გრძნობით გააწყვეტინა თავადმა, თითქოს მტკივან ადგილას შეეხენო. – ეგ... ეგ ეგრე არ არის. სჯობს მითხრათ, როდის გადადიხართ ჩემთვის რაც ადრე იქნება, უკეთესია, სასტუმროში ვდგავარ და...

ამ ლაპარაკში ბაღიდან გამოვიდნენ, ეზო გადაჭრეს და პირდაპირ ჭიშკარს მიადგნენ.

– ჰოდა, მაგას რა სჯობს, – გადაწყვიტა ბოლოს ლებედევმა, – სასტუმროდან პირდაპირ ჩემსა გადმოდით დღესვე, ზეგ კი ყველანი პავლოვსკში გავემგზავროთ.

– ვნახოთ, – ჩაფიქრებით უთხრა თავადმა და ჭიშკარში გავიდა.

ლებედევმა თვალი გააყოლა. საკვირველად დაურჩა თავადის ეგზომ უგულისყურობა. წასვლისას დამშვიდობებაც კი დაავიწყდა, თავიც არ დაუქნევია, რაც ლებედევისთვის კარგად ცნობილ თავადის ზრდილობას და გულისხმიერებას სულაც არ შეეფერებოდა.

III

თორმეტი უკვე დაწყებული იყო. თავადმა იცოდა, რომ ეპანჩინების სახლში მარტოოდენ სამსახურის თაობაზე ქალაქში დარჩენილ გენერალს შეისწრებდა და ესეც სათუო იყო. იფიქრა, შეიძლება გენერალმა ახლავე პავლოვსკისაკენ გამაქანოსო, მას კი ერთ ადგილას კიდევ უნდოდა შევლა. ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ ის სახლი მოეძებნა, სადაც მისვლას აპირებდა, თუნდაც ეპანჩინებთან დაგვიანებოდა, და პავლოვსკში გამგზავრებაც ხვალამდე გადაედო.

ეს ვიზიტი ცოტა სარისკო იყო მისთვის, ამიტომაც ფეხები უკან რჩებოდა. იცოდა, ის სახლი გოროხოვიაზე იდგა, სადოვაიას ახლოს. ჰოდა, იფიქრა, ჯერ აქამდე მივალ და მერე გადავწყვეტ, შევიდე თუ არაო.

აი, გოროხოვოიას და სადოვაიას გზაგასაყარსაც მიაღწია, არ ეგონა, ასე საოცრად თუ აღელდებოდა და გული ასე ეტკინებოდა. ერთმა სახლმა შორიდანვე მიიქცია მისი ყურადღება რაღაც უცნაური იერით. თავადს მოაგონდა მერე, გულში რომ თქვა ალბათ ის სახლიაო. საოცარი ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდა, გრძნობდა, რატომღაც უსიამოდ დარჩებოდა, თუ მისი ვარაუდი სწორი გამოდგებოდა. ეს ჩაჟამებული, ვეება, სამსართულიანი სახლი იყო, არქიტექტურის ყოველგვარ ნიშანწყალს მოკლებული, მღვრიე მწვანე ფერისა. პეტერბურგში, სადაც ყოველივე ასე სწრაფად იცვლება, სწორედ ამ ქუჩებში თუ ნახავდა კაცი კიდევ გასული საუკუნის ბოლოს აგებულ ამ ტიპის სახლებს. ამ მკვიდრად ნაგებ შენობებს კედლებიც სქელი აქვთ, სარკმლები ცოტა, მხოლოდ აქა-იქ. ქვემო სართულებში ხარიხებიც კი აკრავს ფანჯრებს, სადაც მეტწილად ზარაფხანებია გამართული. რასკოლნიკს, რომელსაც დუქანი უჭირავს, უთუოდ ბინა ზემოთ აქვს ნაქირავები. შიგნით თუ გარეთ ყველაფერი ჩაჟამებულია, ყველაფერი თითქოს მიმალულია და მიყუჟებული, მაგრამ რატომ გეჩვენება ასე ამ სახლის შეხვედრისას, ძნელია თქმა. ხაზების არქიტექტურულ შეხამებას, ცხადია, თავისი საიდუმლო აქვს. ამდაგვარ

სახლებში თითქმის სულ ვაჭარი ხალხი დგას. „ჩამომავლობით საპატიო მოქალაქის როგოჟინის სახლი“, წაიკითხა თავადმა ალაყაფის კარზე.

ყოყმანს თავი ანება და მინის კარი შეაღო, რომელიც ხმაურით მიიკეტა მის უკან. მერე სადარბაზო კიბეს აუყვა მეორე სართულისაკენ. ქვის უხეშად ნათალ კიბეზე ბნელოდა, კედლები წითლად იყო შეღებილი. იცოდა, რომ როგოჟინს, დედამისსა და ძმას ამ ჩაჟამებული სახლის მთელი მეორე სართული ეკავათ. თავადს მსახურმა გაუღო კარი, ვისთან ბრძანდებითო, არც უკითხავს, ისე წაიყვანა. კარგა ხანს იარეს. გაიარეს ერთი სასტუმრო დარბაზი, „მარმარილოსდაგვარად“ შეღებილი კედლებით, ნაჭერ-ნაჭერი მუხის იატაკით, სადაც ოციანი წლების უხეში, მძიმე ავეჯი იდგა, მერე რაღაც პაწაწკინტელა ოთახები განვლეს, ხან აქეთ მოუხვიეს, ხან იქით, ხან ორი-სამი საფეხური იარეს, ხან იმდენივე ჩაიარეს, ბოლოს ერთ კარს მიუკაკუნეს. კარი პარფენ სემიონოვიჩმა გააღო. თავადის დანახვაზე გადაფითრდა და ადგილზე გაშეშდა, ერთ ხანს ქანდაკებას დაემსგავსა. შეშინებული თვალებით მიშტერებოდა, პირი რაღაც მეტად შეცბუნებული ღიმილით დაღრეჯოდა – თითქოს თავადის მოსვლა რაღაც სასწაული, წარმოუდგენელი რამ იყო. თავადი კი ელოდა რაღაც ამდაგვარს, მაგრამ მაინც განცვიფრებული დარჩა.

– თუ უდროო დროს მოველ, პარფენ, – უთხრა დაბნეულმა, – მაშინ წავალ.

– არა, რატომ?! – გონს მოეგო ბოლოს პარფენი, – მობრძანდი!

ისინი შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მოსკოვში არაერთხელ ყოფილან ერთად, კარგად დიდ ხნობითაც, ამ შეხვედრების რამდენიმე ისეთი წამიც ახსოვდათ, რაც მეტისმეტად ჩარჩენოდათ და ჩაბეჭდოდათ ორთავეს გულში. ახლა კი სამ თვეზე მეტი იქნებოდა, აღარ შეყრილან. კვლავ მიწისფერი ედო როგოჟინს, შიგადაშიგ ოდნავ ისევ უცახცახებდა სახის ნაკვთები. სტუმარი კი შემოიპატიჟა, მაგრამ მაინც საოცრად შეცბუნებული ჩანდა. სანამ სავარძელთან მიიყვანდა და მაგიდასთან დასვამდა, თავადი შემთხვევით მოტრიალდა და როგოჟინის მეტისმეტად უცნაურმა და მძიმე გამოხედვამ იქვე გაახევა. რაღაც მოაგონა ამან – რაღაც მძიმე, საშინელი, ახლახან განცდილი. ამიტომ აღარ დაჯდა და ერთ ხანს როგოჟინს თვალი თვალში გაუყარა. თითქოს რაღაცამ წამიერად გაუკვესა როგოჟინს თვალებში, მერე ჩაიცინა, მაგრამ რაღაც აირია კი.

– ეგრე რად მომაშტერდი? – წაილუღლუღა მან, – დაჯე, რაღა!

თავადი დაჯდა.

– პარფენ, პირდაპირ მითხარი, იცოდი თუ არა, დღეს რომ პეტერბურგში ჩამოვიდოდი?

– რომ ჩამოხვიდოდი, ვიცოდი და, ხედავ, არც შევმცდარვარ, – იქედნურად ჩაეცინა პარფენს, – მაგრამ თუ დღეს, აბა საიდან უნდა მცოდნოდა?

კითხვის ასე უცნაურმა, გაგულისებით შეტრიალებამ თავადი უფრო გააოცა.

– კიდეც რომ გცოდნოდა ჩემი დღეს ჩამოსვლა, გასაგულისებელი რა გაქვს ნეტა? – წაილაპარაკა თავადმა.

– აბა რაღას მეკითხები?

– წეღან, ვაგონიდან რომ ჩამოვდიოდი, სწორედ ისეთივე მზერა დავიჭირე, როგორითაც ახლა მიყურებდი უკნიდან.

– შეხე! ვისი უნდა ყოფილიყო ნეტა? – უნდილად წაიდუდუნა როგოჟინმა. თავადს მოეჩვენა, თითქოს როგოჟინი შეკრთა.

– ვერ გეტყვი; ხალხი იყო და ალბათ მომეჩვენა. რაღაც მოჩვენებები დამჩემდა ამ ბოლო დროს. იცი, ძმაო პარფენ, ახლა თითქმის ისევე ვგრძნობ თავს, როგორც ამ ხუთი წლის წინათ, ზნე რომ მივლიდა ხოლმე.

– ჰო, იქნებ მოგეჩვენა რა ვიცი... – ჩაიბურტყუნა პარფენმა და ვითომ ტკბილად გაიღიმა, მაგრამ არ გამოუვიდა კი, თითქოს ღიმილი გაბზაროდა, ამ გაბზარულის გამთელება უნდოდა და ვერ მოეხერხებინა.

– რა, ისევ საზღვარგარეთ წახვალ? – ჰკითხა მან და უეცრივ ეს მოაყოლა – გახსოვს, მატარებლით რომ მივდიოდით შემოდგომაზე ფსკოვიდან მე და შენ... ლაბადა გეცვა, შტიბლეტებიც, გახსოვს? – აშკარა გაბოროტებით გადაიხარხარა ამჯერად როგოჟინმა, თითქოს გაეხარდა, რითიმე მაინც რომ შეეძლო ამ გაბოროტების გამოხატვა.

– აქ საბოლოოდ დაბინავდი? – ჰკითხა თავადმა და კაბინეტი მოათვალიერა.

– აბა, სად უნდა ვიყო ჩემი სახლი ესაა.

– კარგა ხანია აღარ შევხვედრივართ. შენზე ისეთები გავიგონე, სხვაზე ხომ არ მეუბნებიან-მეთქი, ვიფიქრე.

– ენას ძვალი არა აქვსო, ნათქვამია, – ცივად მოუჭრა როგოჟინმა.

– მაგრამ მთელი ამფსონები რომ შემოიფერთხე. ახლა მამისეულ სახლში ზიხარ ჭკვიანად, ასე არ სჯობია სახლი შენია თუ...

– დედაჩემისაა. ტალანის იქით მისი სადგომია.

– შენი ძმა სად ცხოვრობს?

– ჩემს ძმას, სემიონ სემიონიჩს, ფლიგელი უჭირავს.

– ცოლშვილიანია?

– ქვრივია. რაში გეკითხება?

თავადმა შეხედა და ხმა არ გასცა; ერთბაშად ფიქრმა წაიღო და კითხვა თითქოს არ გაუგია. როგოჟინი აღარ გამოკიდებია, ელოდა, სხვას რას იტყვისო. ერთ ხანს ჩუმად იყვნენ.

– შენი სახლი ასი ნაბიჯიდან ვიცანი, – უთხრა თავადმა.

– ვითომ რატომაო?

– ვერ გეტყვი. მხოლოდ შევხედე და ვთქვი, აქ უთუოდ როგოჟინები ცხოვრობენ-მეთქი. სახლსაც თქვენი იერი მიუღია. მაგრამ რომ მკითხო, საიდან დავასკვენი, – მომკალი და ვერ აგიხსნი. ცხადია, ბოდვაა. მეშინია კიდეც, ასე რად მიფორიაქებს გულს ეს ამბავი. წინათ თავშიც არ მომივიდოდა, რომ შენ ასეთ სახლში იცხოვრებდი, მაგრამ როგორც კი დავინახე, მაშინვე ვიფიქრე სწორედ ასეთი სახლი უნდა ჰქონდეს-მეთქი!

– შეხე! – ცალყბად ჩაეცინა როგოჟინს, ვინაიდან თავადის ბუნდოვან აზრს მთლიანად ვერ ჩასწვდა. – ეს სახლი ჯერ კიდევ ბაბუაჩემმა ააგო, აქ რასკოლნიკები იდგნენ, ხლუდიაკოვები, ახლაც ჩვენსა აქვთ ნაქირავები.

– რა ჩაბნელებულია აქაურობა. რა ბნელში ზიხარ, – უთხრა თავადმა და კაბინეტს თვალი მოავლო.

ის კარგა დიდი ოთახი იყო, მაღალჭერიანი, ბნელი, შიგ სხვადასხვა ჯურის ავეჯი იდგა – მეტწილად დიდი სამუშაო მაგიდები, ბიურო, კარადები; კარადებში დავთრები და რაღაც ქაღალდები ეწყო. წითელი ტარსიკონის განიერი დივანი, როგორც ჩანს, როგოჟინის საწოლსაც წარმოადგენდა. იმ მაგიდაზე, რომელთანაც როგოჟინმა დასვა, თავადმა ორი-სამი წიგნი შენიშნა. სოლოვიოვის „ისტორია“[67] გადაშლილი იყო და შიგ მისანიშნებელიც იდო, კედლებზე ფერგადასულ ვარაყიან ჩარჩოებში რამდენიმე ჩაშავებული, ჩამჭვარტლული, ზეთით ნახატი

სურათი ეკიდა. კაცი ძნელად გაარჩევდა ზედ რასმე. თავადის ყურადღება ერთმა სურათმა მიიქცია, რომელზეც ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი დაეხატათ მთელი ტანით, და რომელსაც გრძელკალთებიანი გერმანული ყაიდის სერთუკი ეცვა, ყელზე კი ორი მედალი ეკიდა; დანაოჭებული, ჩაყვითლებული სახე ჰქონდა, – შეთხელებული ჭაღარა წვერი. ეჭვიანად, გულჩახურულად და დაღვრემით იმზირებოდა.

– მამაშენი ხომ არაა? – ჰკითხა თავადმა.

– მამაჩემი გახლავთ, – უსიამოდ გაიღრიჭა როგოჟინი, თითქოს მის მკვდარ მამაზე რაღაც უბოდიშო ოხუნჯობას მოელოდა.

– ძველ სჯულს მისდევდა?

– არა, ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ ძველი სჯული მართლაც უფრო სწორად მიაჩნდა. რასკოლნიკებსაც დიდ პატივს სცემდა. ეს მისი კაბინეტი იყო. რატომ მკითხე, ძველი სჯულისა თუ იყოო?

– ქორწილს აქ გადაიხდი?

– აქ, – მიუგო როგოჟინმა, რომელიც კინაღამ შეხტა ამ მოულოდნელ შეკითხვაზე.

– მალე აპირებთ?

– განა არ იცი, რომ ჩემზე არ არის დამოკიდებული?

– პარფენ, მე შენი მტერი არ ვარ და არც ხელის შემშლელი არაფერში. ახლაც იმასვე გიმეორებ, რაც წინათ გითხარი ერთხელ, თითქმის სწორედ ამისთანა წუთს. როცა მოსკოვში შენი ქორწილი მზადდებოდა, ხომ იცი, მე არ შემიშლია ხელი. პირველად თვითონვე მოვარდა ჩემთან, ლამის ქორწინების დღეს, შემეხვეწა, „მიშველე, გადამარჩინე იმისგანაო“. მის სიტყვებს გეუბნები. მერე მეც გამექცა, შენ ისევ მიაგენი და ისევ დაქორწინება დააპირე, ჰოდა, ახლა ამბობენ, ისევ აქ გამოიქცა და ჩამოვიდაო. მართალია ეს ლებედევმა ასე მაცნობა და იმიტომაც ჩამოვედი. თქვენი შერიგების ამბავი კი გუშინ შევიტყვე პირველად, შენმა ერთმა ძველმა მეგობარმა მითხრა ვაგონში. თუ გინდა იცოდე, ზალიოჟევმა. მართალი გითხრა, აქეთ რომ მოვდიოდი, განზრახული მქონდა, ბოლოს და ბოლოს დამეყოლიებინა საზღვარგარეთ წასვლაზე, ჯანის მოსამაგრებლად, ვინაიდან ჯანიც შერყეული აქვს და სულიც დაავადებული, მეტადრე გონება. ჩემის აზრით, დიდი მოვლა და მკურნალობა სჭირდება. მე თვითონ არ ვაპირებდი საზღვარგარეთ გაყოლას, ვფიქრობდი, ყველაფერს უჩემოდ მოვაწყობ-მეთქი. ღმერთმანი, მართლა, მაგრამ თუ შერიგებულხართ, მაშინ არც მას დავენახვები თვალით და არც შენთან მოვალ ამას იქით. ხომ იცი, ტყუილს არ გეტყვი, დაფარული არც არაფერი მქონია შენგან. რასაც ვფიქრობდი, გულახდით გეუბნებოდი მუდამ და ვიძახდი, შენს ხელში ის უთუოდ დაიღუპება-მეთქი. არც შენ გელის სიკეთე... იქნებ იმაზე უარესი დღეც დაგადგეს. იმასაც გეტყვი, რომ თქვენი დაცილება ძალიან გამიხარდება. მაგრამ თქვენს დაშორებას და ყველაფრის ჩაშლას არ ვაპირებ. დაწყნარდი და ნუ გაქვს ჩემზე ეჭვი. შენც კარგად მოგეხსენება, თავის დღეში შენი ნამდვილი მეტოქე არ ვყოფილვარ; მაშინაც კი, როცა ჩემთან გამოიქცა. აი, ახლა გაგეცინა; ვიცი, რაზეც გაიცინე. დიახ, ჩვენ იქ ცალ-ცალკე ვცხოვრობდით. სხვადასხვა ქალაქში. შენ ეს დანამდვილებით იცი. აკი წინათაც გითხარი და აგიხსენი, კი არ „მიყვარს“, „მებრალება“-მეთქი. მე მგონი, გითხარი, რასაც ვგრძნობ. მაშინ შენ თქვი, მიგიხვდიო ნათქვამს. ვითომ მართლა მიმიხვდი აი, ახლაც რა სიძულვილით მიცქერი. მე იმიტომ მოვედი, დამშვიდება მინდა შენი, რადგან შენც ძვირფასი ხარ ჩემთვის. იცი, ძალიან მიყვარხარ, პარფენ. ახლა კი წავალ და თავის დღეში აღარ მოვალ. მშვიდობით იყავი.

თავადი წამოდგა.

– დარჩი ცოტა ხანს, – ჩუმად წაილაპარაკა პარფენმა, რომ არც განძრეულა, თავი მარჯვენა ხელზე ჩამოედო, – დიდი ხანია არ მინახიხარ.

თავადი დაჯდა. ისევ დუმილი ჩამოვარდა.

– როცა არ გხედავ, ძალიან მძულხარ ხოლმე, ლევ ნიკოლაევიჩ, სამი თვეა, აღარ შევხვედრივართ და ეს სამი თვე ყოველ წუთს გაბოროტებული ვიყავი შენზე, ღმერთმანი! რომ შემძლებოდა, მოგწამლავდი! ახლა კი სულ რაღაც თხუთმეტი წუთია ჩემთან ზიხარ და გაბოროტებამ უკვე გამიარა, წინანდელივით მიყვარხარ. დარჩი ჩემთან...

– ეგ იმიტომ, რომ თუ ერთად ვართ, მაშინ გჯერა ჩემი, თუ არა და ხელად გეკარგება რწმენა, ისევ ეჭვები გიპყრობს. მამაშენს დამგვანებიხარ! – მეგობრულად შესცინა თავადმა და არ დაიმჩნია, რასაც გრძნობდა.

– ჩემთან რომ ხარ, შენი ხმა მაჯერებს, განა არ ვიცი, ჩვენი შედარება არ შეიძლება, სად შენ, სად მე...

– ეგ რაღად დაუმატე? რად იღიზიანებ თავს, – განცვიფრდა თავადი როგოჟინის ნათქვამზე.

– ეჰ, ძმაო, ჩვენ ვინა გვკითხავს, – მიუგო როგოჟინმა, – ეს უჩვენოდაც გადაწყვეტილია. აგერ ერთნაირადაც არ გვიყვარს, ყველაფერი განსხვავებული გვაქვს,

– განაგრძო მან ნელი ხმით და ცოტა ხანს იყუჩა. – შენ ამბობ, მებრალება და იმად მიყვარსო. მე კი სულაც არ მებრალება. იმასაც ჭირის დღესავით ვძულვარ. ახლა ყოველღამ მესიზმრება, რომ სხვასთან არის და მე დამცინის. ეგრეც არის, ძმაო. მე ჯვრის დასაწერად მომყვება, ჩემზე კი სულაც არ ფიქრობს, არ ვახსოვარ, თითქოს გამონაცვალი ფეხსაცმელი ვიყო მისთვის. დამიჯერებ, ხუთი დღეა არ მინახავს და ვერ გამიბედია მისვლა; ვინძლო მკითხოს რაზე გარჯილხარო?! განა ცოტაჯერ მომჭრა თავი...

– თავი მოგჭრა? რას ამბობ?

– ვითომ არ იცი?! აბა, ვისთან გამექცა ჯვრისწერის დღეს, შენი პირით არა თქვი ახლა.

– შენ ხომ თავად არ გჯერა, რომ...

– განა ოფიცერ ზემტიუჟნიკოვთან არ იყო, ლაფი რომ დამასხა მოსკოვში? დანამდვილებით ვიცი, რომ ლაფი დამასხა, თუმცა თვით დამინიშნა ჯვრისწერის დღე.

– მაგას არ დავიჯერებ! – შეჰყვირა თავადმა.

– ეგრე იყო, ეგრე! – გულდაჯერებით დაუდასტურა როგოჟინმა. – რაო, ვითომ ეგეთი არა ბრძანდება? ეგ, ძმაო, სულ მიქარვებია, ეგეთი არააო. მოჩმახული ამბავია. შენთან ეგეთი არ არის და იქნებ არც ჩაიდინოს ეგეთი რამ, ჩემთან კი სწორედ ეგეთია. ამას ლაპარაკი არ უნდა. უკანასკნელ ვიგინდარასავით მიყურებს. აი იმ კელერის ამბავი, მოკრივე რომაა, დანამდვილებით ვიცი, სულ ტყუილად მოიგონა, ჩემს გასამწარებლად... შენ რა იცი, მოსკოვში რაებს მიწყობდა! მერე რა ფული დამიჯდა, რამდენი დავხარჯე...

– მაშ... რა გულით აპირებ ახლა მის თხოვას!.. მერე რაღას იზამ? – შეძრწუნდა თავადი.

როგოჟინმა მძიმედ, ავად შეხედა თავადს და არაფერი თქვა, მერე ისევ განაგრძო

– ახლა ხუთი დღეა, არა ვყოფილვარ, მეშინია, არ გამომაგდოს. ჩემი თავის ბატონიო, გაიძახის, მე ვარო; მინდა, სულაც გაგაგდებ და საზღვარგარეთ წავალო (ეს თვითონ მითხრა, საზღვარგარეთ წავალო, – ჩაურთო როგოჟინმა, თითქოს გაკვრით და რაღაც უცნაურად ჩახედა თვალებში თავადს); ხანდახან თითქოს ყასიდად მიჯავრდება, ჩემი შეხედვა სიცილს ჰგვრის და იმიტომ. ზოგჯერ კი მართლაც შეიკრავს კოპებს, მოიღუშება, პირში წყალს ჩაიგუბებს; აი, მაგისი მეშინია ხოლმე ყველაზე მეტად. ამას წინათაც ვიფიქრე ხელცარიელი აღარ მივალ-მეთქი, – ჯერ სიცილი დამაყარა, მერე გულიც მოუვიდა. კატკა მოახლეს ერთი ისეთი ჩემი ნაჩუქარი შალი

მისცა, თუმცა ფუფუნებაში კია ნამყოფი, მაგრამ ისეთი იქნებ მაშინაც თვალით არ ენახა. ჯვრისწერაზე ხომ კრინტის დაძვრაც არ შემიძლია. აბა, ასეთი საქმრო სად გინახავს, მისვლისაც ეშინოდეს ჰოდა, ვზივარ აქ, ვუყურებ, მერე მოთმინება გამიწყდება, ავდგები და მალულად მისი სახლის წინ გავივლი, ან არადა, სადმე კუთხეს მოვეფარები ხოლმე. ამას წინათ რაღაც მომეჩვენა, ალიონამდე ვუყარაულე ალაყაფის კართან, – იმას თურმე ფანჯრიდან მოეკრა თვალი და მკითხა რას იზამდი, მართლა რომ მომეტყუებინეო? ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი თავად მოგეხსენება-მეთქი.

– რა მოეხსენება?

– მე რა ვიცი?! – ბოროტად გაიღმიჭა როგოჟინი, – მოსკოვში ბევრჯერ დავუდარაჯდი, მაგრამ ვერავისთან შევისწარი. მაშინ იყო, პირზე დავადექი ერთხელ და ვუთხარი შენ მე ცოლობას დამპირდი, პატიოსან ოჯახში მომყვები, შენ კი იცი, რა ხარ აი, ესა და ეს ხარ-მეთქი.

– ასე პირდაპირ უთხარი?

– ვუთხარი.

– მერე?

– მეო, მითხრა, ამას იქით იქნებ ლაქიადაც არ დაგიყენო, არათუ ცოლად წამოგყვეო. – „თუ ეგრეა, მე სხვა გზა არა მაქვს და არსადაც არ წავალ-მეთქი“. – ახლავე კელერს დავუძახებ და ვეტყვი, კინწისკვრით გაგაგდოს აქედანაო. მეც ვეცი და სულ დავალურჯე.

– მაგას არ ჩაიდენდი! – შეჰყვირა თავადმა.

– გეუბნები, ვცემე-მეთქი, – ჩუმი ხმით დაუდასტურა როგოჟინმა და თვალები წამოენთო, – ერთი დღე და ერთი ღამე არ მიძინია, არც მისვამს, არც მიჭამია, მისი ოთახიდან არ გამოვსულვარ, დავუჩოქე „აქ მოვკვდები და არ წავალ, სანამ არ მაპატიებ-მეთქი. გააყვანინებ ჩემს თავს და წყალში გადავვარდები. უშენოდ ახლა რაღაც ვარ-მეთქი?“ მთელი ის დღე გიჟივით იყო, ხან ტიროდა, ხან დანით მემუქრებოდა, ხან მლანძღავდა და მთათხავდა. ზალიოჟევს, კელერს, ზემტიუჟნიკოვს, ყველას, ყველას დაუძახა, ყველა მოიყვანა ჩემ სანახავად და თავის მოსაჭრელად. „ბატონებო, დღეს ყველანი თეატრში. წავიდეთ, თუ წასვლა არ უნდა, იჯდეს აქ, მე ხომ მიბმული არა ვარ მაგაზე. თქვენ კი, პარფენ სემიონიჩ, ჩაის მოგართმევენ, ვინძლო მშიერი ბრძანდებით“. თეატრიდან მარტო დაბრუნდა ლაჩრები და არამზადები ყოფილანო, თქვა, შენი ეშინიათ და მეც მაშინებენ, ეგ ისე არ მოგშორდება, დაგკლავსო. მე ახლა ჩემს საწოლში შევალ და, იცოდე, კარს არ შევიკეტავ; ნახე, როგორც მეშინია შენი! ნახე და გაიგე! ჩაი დალიეო?! – არა და არც დავლევ-მეთქი. – რომ შეგფეროდეს, კიდევ ჰო, თორემ ეგ ამბავი სულაც არ გიხდებაო. ჰოდა, როგორც თქვა, ისეც მოიქცა, კარი არ ჩაიკეტა, დილით გამოვიდა და სიცილი დამაყარა – ხომ არ გაგიჟებულხარო? – მითხრა, – გინდა შიმშილით სული ამოგბვრესო? – მაპატიეთ-მეთქი. – არ გაპატიებ და არც ცოლად გამოგყვები, გითხარი უკვე. ნუთუ მთელი ღამე ამ სავარძელში გაატარე და არ გიძინიაო? – არა, არ მიძინია-მეთქი. – რა ჭკუის კოლოფი ხარ მაშ არც ჩაის დალევ ისევ და არც ისადილებ – აკი გითხარი, არა, თუ არ მაპატიებ-მეთქი! – რომ იცოდე, როგორ არ გიხდება ეგ ამბები, როგორც ვირს კრიალოსანი. თუ გგონია, შემაშინებ იმით, რომ საჭმელს არ შეჭამ მე რა მენაღვლება, ძალიან არ შემაშინე?! – გაჯავრდა, მაგრამ მალე გადაუარა გაჯავრებამ და ისევ დამიწყო გესლა. გამიკვირდა მაშინ, ასე მალე რომ გაუარა ბრაზმა! სხვის ავს დიდხანს არ ამოირეცხავს ხოლმე გულიდან! მაშინ ვიფიქრე, იმდენად არაფრად მაგდებს, სიძულვილის ღირსადაც არ მივაჩნივარ-თქო! მართალიცაა. – იციო, მკითხა, ვინ არისო რომის?პაპი? – გამიგია-მეთქი. – მსოფლიო ისტორია სულ არ გისწავლიაო, პარფენ სემიონიჩ. – მე არც არაფერი მისწავლია-მეთქი. – მაშ მე მოგცემ წიგნს და წაიკითხე ერთი პაპი იყო, რომელიღაც იმპერატორს

შემოსწყრომია. სამი დღე და ღამე ის იმპერატორი უსმელ-უჭმელი მისი სასახლის წინ იდგა თურმე მუხლმოდრეკილი და ფეხშიშველი, ვინემ პაპმა არ შეუნდო და არ აპატია; როგორ გგონია, იმ იმპერატორმა, სამი დღე-ღამე რომ დაჩოქილი იდგა მისი სასახლის წინ, რა იფიქრა და რა აღთქმა დადო გულში.. მოიცა, მე თვითონ წაგიკითხავო! – წამოხტა და წიგნი მოიტანა. – ეს ლექსებია, მითხრა, და ლექსად წამიკითხა, როგორ დაიფიცა იმპერატორმა, რომ პაპისთვის სამაგიერო გადაეხადა. განა არ მოგწონსო, პარფენ სემიონიჩ? – ეგ შენ მართალი წამიკითხე-თქო. აჰა, – შენც ამბობ, მართალიაო, მაშასადამე, შენც აღთქმას დებ გულში, და ფიქრობ, ჯერ გამომყვეს, მერე წამოვაკეცავ ყველაფერს, მერე ამოვალ მის ოხტშიო?! – არ ვიცი, ეგებ კიდეც ვფიქრობ-მეთქი. – როგორ თუ არ იციო? – არ ვიცი და ეგაა, ახლა მაგის თავი არა მაქვს, მაგაზე არ ვფიქრობ-მეთქი. – აბა, რაზე ფიქრობო? – აი, რომ ადგები, გვერდით ჩამივლი, გიყურებ და თვალს გადევნებ; გაიშრიალებს შენი კაბა და გული ჩამწყდება, გახვალ ოთახიდან და შენს ყოველ სიტყვას ვიგონებ, როგორ თქვი, რა თქვი; მთელი ეს ღამე კი არც არაფერზე მიფიქრია, სულ ყურს გიგდებდი, როგორ ფშვინავდი ძილში, ერთი-ორჯერ შეინძერი-მეთქი... გაეცინა. – იმაზე, რომ მცემე, ვგონებ, სულ არ ფიქრობ და არც გახსოვს, არა? – იქნებ ვფიქრობ, ვერ გეტყვი.- ხოლო თუ არ გაპატიე და არ გამოგყევი? – გითხარი, თავს დავიხრჩობ-მეთქი. - მანამდე იქნებ მე მომკლაო... თქვა და ჩაფიქრდა; მერე გაწყრა, ოთახიდან გავიდა. ერთი საათის შემდეგ შემოვიდა მოღუშულზე მოღუშული. – იცი, პარფენ სემიონოვიჩ, მითხრა, გამოგყვები ცოლად, იმიტომ კი არა, შენი მეშინოდეს, სულ ერთია, ჩემი საქმე მაინც წასულია. უკეთეს სიკვდილს კი სად ვნახავ დაჯექი, ახლავე სადილს მოგიტანენ, ხოლო თუ გამოგყევი, დააყოლა მერე, ერთგული ვიქნები შენი, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს და არ იფიქროო. შემდეგ ცოტა ხანს იყუჩა და მითხრა ლაქია მაინც არ ყოფილხარ; წინათ კი მართლა ლაქია მეგონე. მაშინ იყო, ქორწილის დღე დამინიშნა, ერთი კვირის შემდეგ კი ლებედევთან გამექცა. რომ ჩამოვედი, მითხრა შენზე სულ უარს არ ვამბობ; ოღონდაც ჯერ მაცალე, რამდენსაც ვისურვებ, ჯერ ჩემი თავის ბატონი მე ვარ. ჰოდა, თუ გინდა, შენც დამიცადეო. ასე ვართ ახლა... რას იტყვი ამაზე, ლევ ნიკოლაევიჩ?

– თვითონ როგორ ფიქრობ? – კითხვა შეუბრუნა თავადმა და როგოჟინს დაღვრემით შეხედა.

– ფიქრის თავი მაქვს?! – აღმოხდა მას გულიდან. კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გამოუთქმელმა ნაღველმა სიტყვა გაუხირა ყელში.

თავადი წამოდგა და ისევ წასვლა დააპირა.

– მე მაინც ხელს არ შეგიშლი, – ნელი ხმით ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა, თითქოს რაღაც თავის იდუმალ გულისთქმას უპასუხაო.

– იცი, რას გეტყვი?! – უეცრივ გამოცოცხლდა როგოჟინი და თვალები დააკვესა, – ვერ გამიგია, ასე როგორ მითმობ? განა სულ გადაიყვარე წინათ დარდობდი მაინცა; განა არ გამჩნევდი. აბა კისრისტეხით რაღას გამოქანდი აქ ვითომ გებრალება – (როგოჟინს ბოროტმა ღიმილმა დაუმანჭა სახე) – ჰე-ჰე!

– გგონია, გატყუებ?

–არა, მჯერა შენი, ოღონდაც არაფერი მესმის. ვინ იცის, შენი სიბრალული ჩემს სიყვარულზე უარესი იყოს!

როგოჟინს ბოროტად წამოენთო სახე, თითქოს უნდოდა ახლავე გადმოელაგებინა ყველაფერი.

– შენს სიყვარულს სიძულვილისაგან ვერ გაარჩევს კაცი, – გაეღიმა თავადს, – ხოლო თუ სიყვარული გაგიქრა, ეგებ უარესი ამბავი დატრიალდეს. მე, ძმაო, პარფენ, ერთხელ უკვე გითხარი...

– რომ მოვკლავ, არა?

თავადი შეკრთა.

– რომ შეიძულებ იმ სიძლიერით, რა სიძლიერითაც ახლა გიყვარს, რომ შეიძულებ იმ წამებისთვის, რასაც ახლა იტან. ყველაზე მეტად მაინც ის მიკვირს, კიდევ როგორ მოგდევს ცოლად გუშინ რომ მითხრეს – ყურებს არ დავუჯერე, გულზე რაღაც ლოდი დამაწვა. აკი ორჯერ გითხრა უარი და ორჯერვე გაგექცა. მაშასადამე, გული უგრძნობს!.. ახლა რაღაც უნდა შენგან ვითომ ფული სისულელეა. ფულიც უკვე კარგა ბლომად გაანიავე ალბათ. ვითომ ქმრის შოვნა უნდა და იმიტომ განა სხვას ვერ მონახავდა. შენს თავს ყველა უნდა ერჩივნოს. ვინაიდან შენ მართლაც შეიძლება მოკლა. თვითონაც ალბათ კარგად უწყის ეს. ან თუ ისაა მიზეზი, ეგრე ძლიერად რომ გიყვარს იქნებ ასეც იყოს... გამიგონია, არიან ქალები, სწორედ ამგვარ სიყვარულს რომ არჩევენ... ოღონდ...

თავადი შეჩერდა და ჩაფიქრდა.

– ისევ რად ჩაიღიმე მამაჩემის სურათზე? – ჰკითხა როგოჟინმა, რომელიც თვალებით ჭამდა თავადს, სახეზე აბა რა გამოეხატებაო.

– რად ჩავიღიმე? იცი, რა ვიფიქრე, შენ რომ ახლა ეს არ შეგმთხვეოდა, ეს სიყვარული რომ არ შეგყროდა, ალბათ სულ მამაშენს დაემსგავსებოდი და თანაც სულ მალე. შეიკეტებოდი მასავით ამ სახლში თვინიერ, უენო ცოლთან ერთად და იშვიათად თუ გაიმეტებდი ვისმესთვის სიტყვას, ისიც მკაცრს; არ იწამებდი არც ერთი კაცისას, არც გექნებოდა ამის სურვილი. კუშტი და სიტყვაძვირი ფულის დაგროვებაზე იზრუნებდი მხოლოდ, დიდი-დიდი როდესმე გექო ძველი წიგნები, ან დაინტერესებულიყავი, ორი თითით უნდა პირჯვრის გადაწერა თუ არაო, ისიც, ალბათ, სიბერეში...

– შენ იცინი და იმანაც ზუსტად ეგ სიტყვები მითხრა ამას წინათ, როცა ეს სურათი ნახა! საკვირველია, რა ერთნაირად მღერით ახლა ყველაფერს...

– როგორ, განა შენთან იყო? – ცნობისმოყვარედ ჩაჰკითხა თავადმა.

– იყო. სურათსაც დიდხანს უყურა, ცხონებულის ამბავი მკითხა. – შენც ზუსტად ასეთივე იქნებოდიო, – ჩაეცინა ბოლოს, – შენო, პარფენ სემიანოვიჩ, ისეთი გულისამყოლი, გატაცების კაცი ხარ, სწორედ ციმბირში, კატორღაში ამოყოფდი თავს, ჭკუა რომ არ გქონოდა, ვინაიდან დიდი ჭკვიანი ხარო, მითხრა (ღმერთმანი, ასე მითხრა, დამიჯერებ პირველად გავიგონე მისგან ასეთი რამ!). ამ შენს ახლანდელ სიგიჟეებს მალე დაანებებდი თავსო. ჰოდა, რაკი სულბნელი კაცი ხარ, ფულის შეძენას მიჰყოფდი ხელს და მამაშენივით ამ სახლში გამოიკეტებოდი რასკოლნიკებთან ერთადო; შესაძლოა, ბოლოს მათ რწმენაზეც გადასულიყავი, ფული კი ისე შეგიყვარდებოდა, ორ მილიონს კი არა, ათსაც დააგროვებდი, და იმ შენს ფულის ტომრებზე შიმშილით ამოგხდებოდა სული, იმიტომ რომ გრძნობების კაცი ხარ, ყველაფერში დიდი გატაცება იციო. სწორედ ასე მითხრა, თითქმის ამ სიტყვებით. თავის დღეში ასეთები არ უთქვამს ჩემთვის! ჩემთან ხომ მხოლოდ სისულელეებზე ლაპარაკობს, ან არადა დამცინის. მაშინაც სიცილით დაიწყო და მერე კი სახე მოექუშა. მთელი სახლი დაათვალიერა, თითქოს სულ რაღაცა აშინებდა. აქ მე ყველაფერს შევცვლი, მოვრთავ, ან იქნებ სხვა სახლიც ვიყიდო-მეთქი ქორწილისთვის. – არა, არაო, – თქვა, – ნურაფერსაც ნუ შეცვლი, ასე ვიცხოვროთო. მე დედაშენთან მინდა ვიცხოვრო, შენი ცოლი რომ გავხდებიო. დედაჩემთან რომ წავიყვანე, ღვიძლი შვილივით მიეახლა. დედაჩემი უკვე ორი წელია, თითქოს სრულ გონზე ვერაა (ავადმყოფია), მამაჩემის სიკვდილის შემდეგ კი ბალღივით გახდა, ხმას არ იღებს, კუტივით ზის, ოღონდ ვისაც არ დაინახავს, ყველას თავს უკრავს; სამი დღე რომ მშიერი დატოვო, ვერც მიხვდება. დედაჩემს მარჯვენა ხელი გამოვართვი, პირჯვრის დასაწერად გავუმზადე

დაგვლოცე, დედილო, ჯვარს ვიწერ-მეთქი. ჰოდა, დედაჩემს გრძნობით ეამბორა ხელზე. ალბათ, ბევრი ტანჯვა ნახა დედაშენმაო, მითხრა. აი, ეს წიგნი რომ შენიშნა, მკითხა – „რუსეთის ისტორიას“ კითხულობო (ერთხელ თვითონ მითხრა მოსკოვში რამე ისწავლე მაინც, თუნდაც სოლოვიოვის „რუსეთის ისტორია“ წაიკითხე, არაფერი იციო). ეს კარგი გადაგიწყვეტია, იკითხე. მე სიას ჩამოგიწერ, პირველად რა წიგნები წაიკითხო, გინდაო წინათ თავის დღეში არ ულაპარაკია ჩემთან ასე, კიდეც გამიკვირდა; პირველად ამოვისუნთქე და გავცოცხლდი კაცი.

– ძალზე მიხარია, პარფენ, ძალზე, – გულწრფელად უთხრა თავადმა, – ვინ იცის, იქნება ღმერთმა ერთად შეგყაროთ.

– თავის დღეში ეგ არ მოხდება! – აღმოხდა გულიდან როგოჟინს.

– გამიგონე, პარფენ, თუკი ეგრე გიყვარს, განა არ გინდა მისი პატივისცემა დაიმსახურო? ხოლო თუ გინდა, იმედი რას გადაგიწყვეტია წეღან ხომ გითხარი, ძალიან მიკვირს, რატომ მოგყვება-მეთქი მართალი გითხრა, ვერ ამიხსნია, მაგრამ მაინც მწამს, რომ უმიზეზოდ არ იქნება, რომ უჭკუოდ არ აკეთებს. შენს სიყვარულში დარწმუნებულია; ალბათ შენი სხვა ღირსებებიც სწამს. სხვანაირად როგორ იქნება. რაც ახლა მითხარი, ხომ ამასვე ადასტურებს. ხომ თქვი, სულ სხვა ენით მელაპარაკა, ვინემ ადრე მელაპარაკებოდა და მექცეოდა. ეჭვიანი ხასიათი გაქვს, პარფენ, ყველაფერს იმიტომ აზვიადებ. ცხადია, ისეთი ცუდი წარმოდგენა არ ექნება შენზე, როგორც ამბობ, თორემ შენი ცოლობა ხომ იმას ნიშნავს, ადგეს და შეგნებულად გადავარდეს წყალში ან დანას მიუშვიროს ყელი? ვინ გასწირავს თავს ამაზე ვინ წავა მწარე ღიმილით უსმენდა პარფენი თავადს. ზედ ეტყობოდა, თავში ჩანერგილს უკვე ველარაფერი შეურყევდა.

– როგორ მიყურებ, პარფენ?! – მძიმედ აღმოხდა თავადს.

– წყალში გადავარდეს ან დანას მიუშვიროს ყელი?! – ამოღერღა ბოლოს როგოჟინმა. – ჰე! იქნებ იმიტომაც მომყვება, რომ ჩემთან დანას ელის! განა ამდენ ხანს ვერ მიხვდი, თავადო, რაშია საქმე?

– არ მესმის შენი.

– ჰმ, ეგებ მართლაც არ გესმის, ჰე-ჰე! აკი ამბობენ შენზე, ცოტა... აფრაკადააო. სხვა უყვარს, სხვა, ვერ გაიგე?! როგორც მე მიყვარს ახლა, სწორედ მასაც ისევე უყვარს სხვა. იცი კი მერე, ვინ არის ის სხვა? შენა ხარ! ვითომ აქამდე არ იცოდი?

– მე?!

– ჰო, შენ აი, იმ თავისი დღეობის შემდეგ შეუყვარდი. ოღონდაც ჰგონია, არ შეიძლება ცოლად გამოგყვეს, თავს მოვჭრი და გავაუბედურებო. მე რაცა ვარო, გაიძახის, ყველამ იცისო, აქამდე ამას იჟინებს. განა არა, პირში მომახალა ეს ყველაფერი. შენი დაღუპვა და თავის მოჭრა არ შეიძლება, ჩემი ცოლობა კი თურმე შეიძლება? – აი, რა თვალით მიყურებს, ესეც ინიშნე!

– მაშ რა იყო, შენგან რომ ჩემთან გამოიქცა, ჩემგან კი...

– შენგან კი ჩემთან! ჰე! ვინ გაიგებს მაგის ხუშტურებს! ახლა თითქოს ციებ-ცხელებიანივითაა. ხან მიყვირის, მოგყვები, სიცოცხლე მომძულებია, ჩქარა ქორწილიო! თვითონ ცეცხლს შემიკეთებს, დღეს დამინიშნავს, ხოლო დრო მოაწევს თუ არა, დაფრთხება, ან სხვა გუნებაზე დადგება, ღმერთმა უწყის, განა არ ნახე ხან ტირის, ხან იცინის, ციებიანივით კანკალებს. საკვირველი რა არის, რომ შენც გამოგექცა მაშინ იმიტომ გამოგექცა, მიხვდა, რომ ძალიან უყვარხარ. ველარ გაძლო შენთან. წეღან მითხარი, მაშინ ხომ მაინც მოძებნე მოსკოვშიო. ცდები, თვითონ მოვიდა დღე დანიშნე, მე ყაბულს ვარ! შამპანური მოიტა! ბოშებთან წავიდეთო, გაჰკიოდა!.. მე რომ არა, აქამდე წყალში გადავარდებოდა; მართალს გეუბნები. იქნებ იმიტომაც არ ვარდება, რომ მე მისთვის წყალზე უარესი ვარ. ჯიბრით მომყვება. თუ გამომყვა, ჯიბრით გამომყვება, მართალს გეუბნები.

– მაშ შენ... შენ როგორღა!.. – შესძახა თავადმა და სიტყვა აღარ დაამთავრა. როგოჟინს თავზარდაცემული მიაჩერდა.

– სიტყვა რად არ დაამთავრე, – გაიღრიჯა როგოჟინი, – გინდა გითხრა, აი, ამ წუთს რა იფიქრე; როგორღა უნდა გახდეს ახლა ამისი ცოლი? როგორ შეიძლება ამის დაშვება? ვიცი, რასაც ფიქრობ.

– ამისთვის არ ჩამოვსულვარ, პარფენ, გეუბნები, ეგ არ მქონია ფიქრად...

– ეგებ ამისთვის არ ჩამოსულხარ და არც ეგ გქონია ფიქრად, ოღონდ ახლა უთუოდ მოგივა თავში, ჰე-ჰე! გვეყო, კმარა! ეგრე რად გაგიხდა სახე ნუთუ მართლა არ იცოდი ეს ამბავი?! მაკვირვებ სწორედ!

– ეგ ყველაფერი ეჭვიანობამ გაფიქრებინა, პარფენ, ეგ ავადმყოფობაა, ყოველივეს ასე რომ აზვიადებ... – წაილუღლუღა მეტისმეტად აღელვებულმა თავადმა, – რა იყო?

– გაუშვი ხელი, – უთხრა პარფენმა, ხელიდან გამოგლიჯა დანა, რომელიც თავადს მაგიდიდან აეღო, და თავის ადგილზე, წიგნის გვერდით დადო.

– თითქოს ვიცოდი, თითქოს გული მიგრძნობდა, პეტერბურგში რომ მოვდიოდი... – განაგრძობდა თავადი, – არ მინდოდა ჩამოსვლა! მინდოდა, აქაური ამბავი გადამევიწყებინა, გულიდან ამომეგლიჯა! მაშინ, მშვიდობით... რა იყო, რას სჩადი?

ამ ლაპარაკში გართულ თავადს ისევ აეღო მაგიდიდან დანა, როგოჟინმა ისევ გამოგლიჯა ხელიდან და მაგიდაზე დააგდო. ეს იყო ერთი უბრალო, ირმის ძვლისტარიანი დანა, რომელიც არ იკეცებოდა. პირის სიგრძე სამნახევარი გოჯი ჰქონდა და სიგანეც – შესაფერისი.

რა ნახა, თავადმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, დანა რომ ორჯერ გამოგლიჯეს, გაბოროტებულმა როგოჟინმა სტაცა დანას ხელი, წიგნში ჩააგდო და მერე წიგნიანად მეორე მაგიდაზე ისროლა.

– ფურცლებს ხომ არ სჭრი ამ დანით? – იკითხა სხვათა შორის თავადმა, რომელიცისევ ფიქრს წაეღო.

– ჰო, ფურცლებს...

– ეს ხომ ბაღის დანაა?

– ჰო, ბაღისა. განა ბაღის დანით ფურცლების გაჭრა არ შეიძლება?

– ეგ... სულ ახალი ჩანს.

– მერე რა, რომ ახალი ჩანს განა ახალი დანის ყიდვა არ შემიძლია? – რაღაც გააფთრებით ამოიყვირა ბოლოს როგოჟინმა, რომელსაც ყოველ სიტყვაზე მეტად და მეტად ერეოდა ბრაზი.

თავადი შეკრთა და დაკვირვებით შეხედა როგოჟინს.

– აბა, რაებს ვამბობთ?! – გონს მოეგო და უეცრივ გაეცინა. – მაპატიე, ძმაო, როცა თავი ასე მაქვს დამძიმებული, როგორც ახლა, და ჩემი სენიც... სულ, სულ მეფანტებაგულისყური და სასაცილო ვხვდები. ამისი კითხვა სულაც არ მქონდა ფიქრად... არ მახსოვს, რა მინდოდა, მშვიდობით...

– მანდეთ არა, – უთხრა როგოჟინმა.

– დამავიწყდა!

– აქეთ, აქეთ, წამო, გაგყვები.

IV

გამოიარეს კვლავ ის ოთახები, რომლებიც თავადმა უკვე გამოიარა. როგოჟინი წინ მიუძღოდა, თავადი უკან მისდევდა. დიდ დარბაზში შევიდნენ. ამ დარბაზის კედლებზე რამდენიმე სურათი ეკიდა, თითქმის სულ არქიელების პორტრეტები და პეიზაჟები, რომლებზეც კაცი ვერაფერს გაარჩევდა. შემდეგი ოთახის კარზე ერთი დიდი სურათი მოჩანდა, საკმაოდ უცნაური მოყვანილობის, სიგრძით ორნახევარი არშინი, სიმაღლით კი ექვს გოჯზე მეტი არა. სურათზე მაცხოვარი ეხატა, ეს წუთია ჯვარცმიდან ჩამოღებული. თავადმა ერთი კი შეავლო თვალი, თითქოს ეცნაურაო, მაგრამ არ გაჩერებულა და კარებში გასვლა დააპირა. გულზე რაღაც სიმძიმე დასწოლოდა და საჩქაროდ უნდოდა ამ სახლს გასცლოდა. მაგრამ როგოჟინი უეცრივ სურათის წინ შედგა.

– აი, რაც აქ სურათებია, განსვენებულმა მამაჩემმა ყველა აუქციონებზე იყიდა მანეთად თუ ორ მანეთად. უყვარდა სურათები. ერთმა მცოდნე კაცმა, ისინი რომ დაათვალიერა, თქვა, ყველა უხეიროაო. ამაზე კი, კარზე რომ ჰკიდია, ესეც ორ მანეთადაა ნაყიდი, თქვა, უხეირო არ არისო. ჯერ მამაჩემის სიცოცხლეში ვიღაც კაცმა სამასორმოცდაათი მანეთი აძლია, ხოლო ვაჭარმა საველიევმა, ივან დმიტრიჩმა, ოთხასამდე შესთავაზა, სურათებზე მისდის სული. წინა კვირას კი ჩემ ძმას სემიონ სემიონიჩს ხუთასიც აღუთქვა. მე დავიტოვე.

– ჰო, ეგ... ეგ ჰანს ჰოლბეინის ასლია,[68] – დააკვირდა თავადი სურათს. – მე დიდი მცოდნე არა ვარ, მაგრამ, მგონი, კარგად კი უნდა იყოს გადმოღებული. ეგ სურათი საზღვარგარეთ ვნახე და მას აქეთ ჩამრჩა გულში. მოიცა, სად წახველ?

როგოჟინმა სურათს ერთბაშად აქცია ზურგი და ისევ გზა განაგრძო. რა თქმა უნდა, ასეთი უეცარი გაბრუნება შეიძლება უგულისყურობისა და უცნაურ, გაგულისებულ გუნება-განწყობისათვის მიეწერა კაცს; მაგრამ მაინც ეოცა თავადს საუბრის ეგზომ უეცარი გაწყვეტა, რომელიც მისი წამოწყებულიც არ იყო.

– იცი, ლევ ნიკოლაიჩ, რა ხანია მინდოდა შენთვის მეკითხა, ღმერთი გწამს თუ არა? – ისევ წამოიწყო როგოჟინმა, რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა.

– რა უცნაურად მეკითხები და... მიმზერ?! – შენიშნა უნებლიეთ თავადმა.

– ამ სურათის ცქერა კი მიყვარს, – წაიბუტბუტა მცირე დუმილის შემდეგ როგოჟინმა, თითქოს თავისი შეკითხვა კვლავ გულს გადავარდაო.

– ამ სურათისო?! – შესძახა ერთბაშად თავადმა, რაღაც ფიქრმა გაუელვა მოულოდნელად, – ამ სურათისო?! ამ სურათის შემხედვარეს ვინძლო სულ დაეკარგოს კაცს რწმენა!

– დაეკარგოს ჰქვია, – უეცრივ დაუდასტურა როგოჟინმა.

უკვე გასასვლელ კარს მისდგომოდნენ.

– რას ამბობ? – შეჩერდა უეცრად თავადი, – მე ვიხუმრე, შენ კი რა სერიოზულად მიიღე?! ან რატომ შემეკითხე, ღმერთი გწამს თუ არაო?

– ისე, სიტყვამ მოიტანა. ადრეც ვაპირებდი მეკითხა. ახლა ბევრს აღარ სწამს. ნეტა მართალი თუა (შენ საზღვარგარეთ ნამყოფი კაცი ხარ), – ერთმა მითხრა, თუმცა კაი მთვრალი კი იყო, ყველაზე მეტად ჩვენში, რუსეთში, არა სწამთ ღმერთიო. ჩვენთვის ეს უფრო ადვილიცააო, თქვა, ვინაიდან იმათზე შორს ვართ წასულნიო... როგოჟინს გესლიანად ჩაეღიმა. მერე ერთბაშად კარი გამოაღო, სახელურისთვის ხელი არ გაუშვია, ისე ელოდა, როდის გავაო. თავადს ეოცა, მაგრამ გავიდა. როგოჟინი ბაქანზე გაჰყვა და კარი გამოიხურა. ისე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, თითქოს დავიწყნოდათ, რისთვის გამოვიდნენ და ახლა რა უნდა გააკეთონ.

– მაშ, მშვიდობით იყავ, – უთხრა თავადმა და ხელი გაუწოდა.

– მშვიდობით, – როგოჟინმა სრულიად ანგარიშმიუცემლად მაგრად ჩამოართვა ხელი.

თავადმა კიბეზე ფეხი ჩადგა და მოტრიალდა.

– იცი, რწმენაზე რას გეტყვი, – გაუღიმა როგოჟინს (ეტყობა, გულმა არ უქნა როგოჟინის ამ მდგომარეობაში დატოვება, თანაც რაღაც მოაგონდა და იმან გამოაცოცხლა), – წინა კვირას ოთხი სხვადასხვა შემთხვევის მოწმე გავხდი და ისიც ორი დღის მანძილზე. დილით, ერთ ახლად გაყვანილ რკინიგზაზე ვინმე ს-ს დავემგზავრე, ოთხი საათი ვისაუბრეთ ვაგონში,[69] სწორედ მაშინ გავიცანი. ადრეც ბევრი მსმენოდა მასზე. ამბობდნენ, ათეისტიაო. მართლაც, დიდად ნასწავლი კაცი ყოფილა. მეც გამიხარდა, ნამდვილ ნასწავლს გავესაუბრები-მეთქი. იშვიათი ზრდილი კაცი გამოდგა, ისე მელაპარაკა, თითქოს მისი ტოლი ვყოფილიყავი, მასავით ნასწავლი და მცოდნე. ღმერთი არა სწამს. თუმცა ერთმა კი განმაცვიფრა თითქოს სულ სხვა რაღაცაზე მელაპარაკებოდა მთელი ის დრო. იმიტომ გამიკვირდა, რომ წინათაც, რამდენიც არ შევხვედრილვარ ურწმუნოებს და რამდენი ასეთი წიგნი არ წამიკითხავს, სულ ისე მეჩვენებოდა, თითქოს სრულებით იმაზე არ ლაპარაკობენ და წერენ, რაზეც უნდა ილაპარაკონ და წერონ-მეთქი, თუმცა ერთი შეხედვით კი გეგონება, სწორედ იმ ამბავს ეხებიანო. ასეც ვუთხარი, მაგრამ ვერაფერი გამიგო, ალბათ, გასაგებად ვერ გამოვთქვი... საღამოს რომელიღაც მაზრაში ჩამოვედი და სასტუმროში გავჩერდი. იქ წინა ღამეს მკვლელობა მომხდარიყო[70] და ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე. ორ ხნიერ გლეხს, ჩამოსულებს, ფხიზლებს, ერთმანეთის კარგა ხნის ნაცნობებსა და მეგობრებს, დაულევიათ ჩაი და მერე ერთ სენაკში გადაუწყვეტიათ დაძინება. ერთს ვერცხლის საათი ჰქონია, ყვითელი მძივის ზონარზე ჩამოკიდებული. მეორეს, როგორც ჩანს, ეს საათი მხოლოდ ახლა შეუმჩნევია მისთვის. ამ კაცს თავის დღეში არაფერი მოუპარავს, პატიოსან კაცად იცნობდნენ და გლეხის პირობაზე არც შეძლება აკლდა. მაგრამ იმდენად თვალში მოსვლია ეს საათი, იმდენად ჩავარდნია გულში, რომ ბოლოს ვეღარ მორევია ცთუნებას აუღია დანა, და როცა მისი მეგობარი ზურგით მიბრუნებულა, უკნიდან მიპარვია, თვალები ზეცისკენ აღუპყრია, პირჯვარი გამოუსახავს, უხსენებია ღმერთი და თავისი მეგობარი ერთი დაკვრით დაუკლავს ცხვარივით, საათიც ამოურთმევია.

როგოჟინს სიცილი აუვარდა, გიჟივით ახარხარდა, ასეთი გადაბჟირება იმ წეღანდელი ჟამი განწყობის შემდეგ კაცს სწორედ გააკვირვებდა.

– აი, ეს მომწონს! აი, ეს დიდებულია! – იგუდებოდა სიცილით როგოჟინი, – ერთს ღმერთი სულ არა სწამს, მეორე კი ისეთი ღვთისმოსავია, ლოცვა-ვედრებით ხოცავს ხალხს... არა, ძმაო თავადო, ამისთანა რამეს ვერც მოიგონებს კაცი! ჰა-ჰა-ჰა! არა, ეს რა დიდებულია!..

– მეორე დილას ქალაქში გავიარე, – განაგრძო თავადმა, რა წამს როგოჟინი გაჩერდა, თუმცა სიცილისაგან ბნედიანივით კიდევ ეგრიხებოდა ტუჩები, – დავინახე, მოფიცრულ ტროტუარზე ერთი დაგლეჯილ-დაფლეთილი, გაბურძგნული, მთვრალი ჯარისკაცი მობანცალებს. მოვიდა და მითხრა იყიდე, ბატონო, ვერცხლის ჯვარი, ორ შაურად მოგცემ; წმინდა ვერცხლიაო! ხელში, მართლაც, ჯვარი ეკავა, ცისფერ, კარგა ნახმარ ლენტზე ჩამოკონწიალებული. ეტყობოდა, ეს-ეს არის ჩამოეხსნა ყელიდან. ოღონდაც ერთი შეხედვით შეამჩნევდი, რომ კალისა იყო, კარგა მოზრდილი, რვაკუთხა, ბიზანტიურად ნაჭედი. ამოვიღე ორშაურიანი და მივეცი. ჯვარი კი მაშინვე გულზე დავიკიდე. უნდა გენახა, რა კმაყოფილი დარჩა, სულელი ბატონი რომ მოატყუა. ჰოდა, მაშინვე იმ თავისი ჯვრის დასამღერებლად გასწია, ამას თქმა არ უნდა. მე, მაშინ, ძმაო, საოცრად ძლიერი შთაბეჭდილებებით ვიყავი სავსე რუსეთში ნანახისა და გაგონილის გამო; წინათ თურმე პირუტყვად ვიზრდებოდი, არაფერი ვიცოდი რუსეთის, ფანტასტიკურად მაგონდებოდა საზღვარგარეთ მთელი იმ ხუთი წლის მანძილზე. ჰოდა, წამოვედი და ვფიქრობ

არა, ამ ქრისტეს გამყიდველს ჯერ არ დავძრახავ, ჯერ მოვიცდი. უფალმა ხომ უწყის, მათ გალოთებულ, მათ უძლურ გულებში რა ტრიალებს. ასე, ერთი საათის შემდეგ სასტუმროსკენ წამოვედი და, ვნახოთ, ყმაწვილი დედაკაცი შემომხვდა, ექვსიოდე კვირის ძუძუმწოვარა ბალღით ხელში. ბალღს თურმე პირველად გაეღიმა მისთვის. ვხედავ, ქალმა დიდი მოწიწებით გამოისახა პირჯვარი. „რა იყო-მეთქი, პატარძალო“ (მაშინ მე ყველაფერს ვიძიებდი). აიო, მითხრა, როგორც დედის გული ხაროზს ჩვილის პირველი ღიმილით, ისევე ღმერთს უხარია, როცა ზეციდან გადმოიხედავს და ვინმე ცოდვილს დაინახავს, სულითა და გულით ლოცვად დამდგარსო. მაშ, დედაკაცმა მითხრა, მითხრა აი ამ სიტყვებით, მერე რა ღრმა, რა ჭკვიანური და ჭეშმარიტად მორწმუნე აზრი გამოთქვა. ამაში ქრისტიანობის მთელი არსი გამოიხატა, ანუ ღმერთის ისეთი წარმოდგენა, ვითარცა ჩვენი მშობელი მამის, რომელიც საკუთარი შვილივით შეჰხარის ადამიანს. დიახ, ესაა ქრისტიანობის მთავარი აზრი! მერე ვინა თქვა, ერთმა უბირმა დედაკაცმა! მართალია, დედა კი იყო... და ვინ იცის, იქნებ იმ ჯარისკაცის ცოლიც. ყური მიგდე, პარფენ, წეღან შენ მკითხე და აი, რას გეტყვი რელიგიური გრძნობის არსს ვერა მსჯელობით, ვერა დანაშაულით და ბოროტებით, ვერა ათეიზმით ვერ მიუდგები. აქ რაღაც ისე არ არის და არც არასოდეს იქნება ისე. აქ რაღაც ისეთია, რაზეც ნიადაგ ფეხს აისხლეტენ ათეისტები და მუდამ სხვაზე ილაპარაკებენ, არა იმაზე, რაზეც უნდა ილაპარაკონ. მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ყველაზე აშკარად, ყველაზე უმალ ამას რუსის გულს შეამჩნევ, და აი, ჩემი დასკვნაც, პარფენ! ეს იყო პირველი, რაშიც მე რუსეთში ყოფნისას დავრწმუნდი. საქმე ბევრია ამ ჩვენს რუსულ მიწაზე, მერწმუნე! გაიხსენე, მოსკოვში რომ შევიყრებოდით და ვლაპარაკობდით ხოლმე ერთ დროს... ჰოდა, სულაც არ მინდოდა ახლა აქ დაბრუნება! სულაც არ ვფიქრობდი, რომ ასე შევხვდებოდით! მაგრამ რა გაეწყობა! მშვიდობით, ნახვამდის! ღმერთი იყოს შენი შემწე!

თავადი გატრიალდა და კიბეზე დაეშვა.

– ლევ ნიკოლაევიჩ! – ჩამოსძახა ზემოდან პარფენმა, როცა თავადი შემოსასვლელის ბაქანს მიადგა, – ჯარისკაცისაგან ნაყიდი ჯვარი ზედა გაქვს?

– დიახ, მაქვს.

თავადი ისევ შედგა.

– აბა, ერთი მაჩვენე.

ისევ ახალი უხიაკობა! თავადი ცოტა დაფიქრდა, მერე ზევით ავიდა და თავისი ჯვარი ისე დაანახა როგოჟინს, ყელიდან არ მოუხსნია.

– მომე, – უთხრა როგოჟინმა.

– რად გინდა შენ ხომ... – თავადს არ ეთმობოდა ჯვარი.

– გულზე დავიკიდებ, ჩემსას კი შენ მოგცემ, ატარე.

– ჯვრები გინდა გავცვალოთ ბატონი ბრძანდები, პარფენ, გამიხარდება კიდევაც; დავძმობილდეთ!

თავადმა მოიხსნა კალის ჯვარი, როგოჟინმა – ოქროსი და გაცვალეს. პარფენი ჩუმად იყო, მაგრამ წინანდელი უნდობლობა, წინანდელი მწარე და თითქმის დამცინავი ღიმილი ისევ შერჩენოდა სახეზე, ყოველ შემთხვევაში, შიგადაშიგ ისევ ძალუმად იჩენდა თავს. ძმობილის ეს გუნება მძიმე ლოდად დააწვა გაკვირვებულ თავადს. ბოლოს როგოჟინი უხმოდ სწვდა ხელში და რამდენიმე ხანს ისე იდგა, თითქოს რაღაც უნდა და ვერ გაუბედნიაო. მერე უეცრად მოქაჩა და ძლივს გასაგონად უთხრა – წამომყევიო. გაიარეს პირველი სართულის ბაქანი და იმის მოპირდაპირე კარზე დარეკეს ზარი, საიდანაც ახლახან გამოვიდნენ. კარი გაიღო. მოკუნტულმა, შავკაბიანმა და თავსაფრიანმა დედაბერმა უსიტყვოდ დაუკრა თავი როგოჟინს; მან რაღაც

ჰაიჰარად ჰკითხა, პასუხს არ დაელოდა და თავადი ბინაში შეიყვანა. ჩაბნელებულ ოთახებში ძველებური ავეჯი იდგა, რომლებსაც თეთრი, სუფთა შალითები ეკრა, ყველაფერს კრიალი გაუდიოდა. როგოჟინმა პირდაპირ შეიყვანა თავადი ერთ პატარა ოთახში, რომელიც სასტუმროს წააგავდა. წითელი ხის პრიალა ტიხარს ოთახი ორად გაეყო, ტიხარს გვერდზე კარი ჰქონდა დატანებული, რომლის იქით საწოლი ოთახი უნდა ყოფილიყო. სასტუმროს ერთ კუთხეში, ღუმელთან, საამური სახის პირმრგვალი, ჩია ტანის დედაბერი იჯდა სავარძელში. შესახედად არცთუ ძალიან მოხუცი ჩანდა და საკმაოდ ჯანსაღადაც გამოიყურებოდა, ეს კია, თმა ერთიანად გასთეთრებოდა და იმასაც მაშინვე შეატყობდი, სავსებით გამოთაყვანებული იყო. დედაბერს შავი შალის კაბა ეცვა, შავი დიდი შალი ჰქონდა მოხურული თავზე, შავი ბაფთებით გაწყობილი თეთრი ქათქათა თავსაბურავი ეხურა, ფეხქვეშ პატარა სკამი ედგა. გვერდით კიდევ ერთი სუფთად ჩაცმული დედაბერი ეჯდა, მასზე ხნიერი, ისიც შავებიანი და ისიც თეთრი თავსაბურავით. ალბათ, ამ ოჯახს შემოკედლებული ვინმე იყო. ქალი უჩუმრად ქსოვდა წინდას. როგორც ჩანს, სულ მდუმარედ ისხდნენ.. როგოჟინი და თავადი რომ დაინახა, პირველმა დედაბერმა გაუღიმა და თავი რამდენჯერმე ალერსიანად დაუკანტურა სიამოვნების ნიშნად.

– დედილო, – ხელზე ემთხვია როგოჟინი, – ეს ჩემი დიდი მეგობარია, თავადი ლევ ნიკოლაევიჩ მიშკინი; ჩვენ ჯვრები გავცვალეთ; მოსკოვში ღვიძლი ძმობა გამიწია, ბევრი სიკეთე მიყო. ისე დალოცე, დედილო, როგორც საკუთარი შვილი დაგილოცნია. მოიცა, ბებერო, აი, ეგრე, მე დაგიწყობ თითებს...

მაგრამ სანამ პარფენი ხელს წაავლებდა, მოხუცმა ქალმა მარჯვენა ასწია და სამი თითით სამჯერ გადასახა თავადს პირჯვარი, მერე ერთხელ კიდევ ალერსიანად და ნაზად დაუკანტურა თავი.

– წამო, ლევ ნიკოლაევიჩ, აი, ამისთვის მოგიყვანე...

კიბეზე რომ გამოვიდნენ, ესეც დაუმატა:

– რასაც არ ეუბნებიან, არაფერი ესმის, არც ჩემი ნათქვამი გაუგია, შენ კი დაგლოცა; მაშ, თავად მოესურვა... აბა, მშვიდობით, არც ერთს არ გვცალია.

როგოჟინმა თავისი სადგომის კარი შეაღო.

– მოდი, ერთი მაინც გადაგეხვიო დამშვიდობებისას, შე უხიაკო! – შესძახა თავადმა, ნაზი სიყვარულით შეხედა როგოჟინს და მოსახვევად ხელები გაშალა. ასწია პარფენმაც ხელები, მაგრამ მყისვე ძირს ჩამოუცვივდა. ვერ გაებედნა; პირს იბრუნებდა, რომ თავადისათვის არ ეცქირა. მისი მოხვევა არ უნდოდა.

– შიში ნუ გაქვს! ჯვარი კი წავიღე, მაგრამ საათისათვის არ დაგკლავ, იცოდე! – გაურკვევლად ჩაიბუტბუტა მან და რაღაცა უცნაურად გაიღრიჯა. მერე უეცრივ მთელი სახე შეეცვალა მიწისფერი დაედო, ტუჩები აუკანკალდა, თვალები წამოენთო, ხელები ასწია, თავადი ღონივრად ჩაიკრა გულში და სულშეგუბებულმა უთხრა

– მაშ, შენი იყოს, რაკი ბედს ასე გადაუწყვეტია! შენი იყოს დამითმია!.. როგოჟინი არ დაივიწყო!

მერე შევარდა თავის სადგომში და კარი მოიჯახუნა, უკან არც მოუხედავს.

V

კარგა გვიან, თითქმის სამის ნახევარი იქნებოდა და თავადმა ეპანჩინი შინ ველარ შეისწრო. თავისი სადარბაზო ბარათი დაუტოვა და ახლა სასტუმრო „ვესიში“ გადაწყვიტა წასვლა, კოლიას ვიკითხავო; თუ ვერ ნახავდა, წერილს მაინც დაუტოვებდა. „ვესიში“ უთხრეს, ნიკოლაი არდალიონოვიჩი დილითვე წავიდა, მაგრამ დაიბარა, თუ ვინმემ მიკითხოს, გადაეცით, სამი საათისთვის იქნებ დავბრუნდეო. ხოლო თუ ოთხის ნახევრამდე არ მოვედი – მაშასადამე, პავლოვსკში ვიქნები წასული, გენერალ ეპანჩინის მეუღლესთან და ალბათ, იქვე ვისადილებო. თავადმა დაცდა გადაწყვიტა და ბარემ სადილიც მოატანინა. ოთხის ნახევარი კი არა, ოთხიც შესრულდა, მაგრამ კოლია არსად ჩანდა. თავადი გამოვიდა და ანგარიშმიუცემლად გამოჰყვა ქუჩებს. ზაფხულის პირას ზოგჯერ საუცხოო დღეები სჩვევია ხოლმე პეტერბურგს, – ნათელი, მზიანი და წყნარი. დღესაც თითქოს განგებ ასეთი შესანიშნავი დარი იდგა. ერთხანს თავადი უმიზნოდ დაბორიალობდა, ქალაქს ნაკლებად იცნობდა. ხან გზაჯვარედინზე რომელიმე სახლს შეაჩერდებოდა, ხან მოედნებზე, ხიდებზე შედგებოდა. საშაქარლამოშიც შევიდა დასასვენებლად. ზოგჯერ გამვლელ-გამომვლელებს აშტერდებოდა; მეტწილად კი არც გამვლელებს ამჩნევდა და არც ის გაეგებოდა, სად მიდიოდა. რაღაც საშინლად ტანჯავდა და აწუხებდა, ამავე დროს, მარტო ყოფნაც უნდოდა, რა არის, მტანჯველ დაძაბულობას სრულიად პასიურად მინდობოდა და გამოსავალი ამ მდგომარეობიდან აღარ ეძებნა. ზიზღს ჰგვრიდა სულსა და გულს მოზღვავებული ამდენი საკითხი და მათი გადაჭრა არ უნდოდა. განა მე მიმიძღვის ამაში ბრალი? – ბურტყუნებდა თავისთვის და თითქმის თვითონაც არ უწყოდა, რას ამბობდა. ექვსი საათი იქნებოდა, როცა ცარსკოე სელოს რკინიგზის დებარკადერზე[71] ამოჰყო ანაზდად თავი. მაგრამ ვერც მარტოობას გაუძლო ბოლოს. რაღაც ახალმა მხურვალე გრძნობამ გაიტაცა და მოჟამულ გულში წუთით ნათელი ჩაეღვარა. პავლოვსკის ბილეთი იყიდა და მოუთმენლად დაელოდა მატარებლის გასვლას. მაგრამ, უეჭველია, რაღაც აჩრდილივით ასდევნებოდა, რაც მას ეგებ თავისი ფანტაზია ეგონა და სინამდვილე კი იყო. ვაგონში შესვლა დააპირა თუ არა, ერთბაშად ბილეთი ძირს დააგდო და სადგური შეცბუნებულმა, ჩაფიქრებულმა დატოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე ქუჩაში, თითქოს რაღაც მოაგონდა, თითქოს უეცრივ მოისაზრა რაღაც ძალზე უცნაური, რაც დიდი ხანია აწუხებდა. სრულიად შეგნებულად წაასწრო თავს, რომ დიდი ხანია ერთ რასმე სჩადის, რომ ამ წუთამდე არ შეუმჩნევია. აგერ უკვე რამდენიმე საათია, სასტუმრო „ვესიდან“ მოყოლებული, თუმცა არა, მანამდეც, მიდის, მიდის და უეცრივ მოტრიალდება, თითქოს რაღაცას ეძებს. მერე გულს გადავარდება კარგა ხანს, ერთი ნახევარი საათით და მერე უცებ ისევ მოიხედავს შეშფოთებული და ისევ რაღაცას დაუწყებს ძებნას ირგვლივ.

მაგრამ როგორც კი ეს ავადმყოფური, აქამდე ანგარიშმიუცემელი მოძრაობა შენიშნა თავს, უეცრივ რაღაც მოაგონდა და გულისყური მოსტაცა. მოაგონდა, რომ იმ წამს, როცა თავს შენიშნა, ირგვლივ რაღაცას ვეძებო, ტროტუარზე იდგა ერთი დუქნის სარკმელთან და დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა გამოფენილ საქონელს. იფიქრა, მოდი, ახლავე შევამოწმებ, მართლა ვიდექი თუ არა იმ დუქნის სარკმელთან ამ ხუთიოდე წუთის წინ, ან იქნებ სულაც მომეჩვენა და რაღაც ავურიეო არსებობს თუ არა სინამდვილეში ის დუქანი და ის საქონელი დღეს, მართლაც, საოცრად უქეიფოდ გრძნობს თავს, თითქმის ისევე, როგორც ძველი ავადმყოფობის მოვლისას სჩვეოდა ხოლმე. იცოდა, ზნის მოვლის წინ რა საოცრად ეფანტებოდა გულისყური და თუ თავს ძალას არ დაატანდა, საგნები და სახეები ერთმანეთში ერეოდა. მაგრამ კიდევ ერთი განსაკუთრებული მიზეზიც ჰქონდა და იმიტომაც მოინდომა ასე გულდაგულ

შემოწმება, დუქნის წინ ვიდექი თუ არაო დუქნის სარკმელში გამოფენილ საგნებში ერთი რამ მოხვდა თვალში და კიდეც შეაფასა, სამოცი კაპიკი ეღირებაო ვერცხლით. თავისი უგულისყურობისა და აფორიაქებული გუნების მიუხედავად, კარგად ახსოვდა ეს ამბავი. მაშასადამე, თუკი ის დუქანი არსებობს და თუკი ის ნივთი მართლაც გამოდებულია სხვებთან ერთად, მაშ, სწორედ იმ ნივთის გულისთვის შეჩერებულა. გამოდის, იმ ნივთმა იმდენად დააინტერესა, რომ რკინიგზის სადგურიდან ასეთ შეცბუნებულ გუნებაზე გამოსულს გულისყური მაინც მოსტაცა. მიდიოდა და შეწუხებული იცქირებოდა მარჯვნივ, მოთმინებაგამოლეულს გული დაგადუგით უცემდა. მაგრამ, აი ის დუქანიც, ხომ მიაგნო ბოლოს და ბოლოს! სულ ხუთასიოდე ნაბიჯზე იყო თურმე, როცა დაბრუნება გადაწყვიტა. აგერ ის სამოცკაპიკიანი ნივთიც; რა თქმა უნდა, სამოც კაპიკზე მეტი არ ეღირება! – დაუმოწმა თავს და გაეცინა, მაგრამ სიცილი ისტერიული გამოუვიდა და გული შეეკუმშა. ახლა ნათლად გაიხსენა, როცა აქ, სწორედ ამ სარკმელთან იდგა, ანაზდად მოტრიალდა და წეღანდელივით როგორჟინის მზერა დაიჭირა. რა შეამოწმა, არ შევმცდარვარო (თუმცა შემოწმებამდეც სრულიად დარწმუნებული იყო), დუქანს სასწრაფოდ გასცილდა. ამ ამბებს მოფიქრება სჭირდებოდა უთუოდ და რაც შეიძლება მალე; ახლა ნათელი იყო, რომ არც სადგურზე მოსჩვენებია და რომ მას აშკარად რაღაც შეემთხვა, რაც აფორიაქებულ განწყობასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ რაღაც შინაგანმა, დაუძლეველმა ზიზღის გრძნობამ კვლავ იძალა. აღარ ინდომა ამ ამბების განსჯა, არც მათზე ფიქრი. ახლა გონება სხვაგან გაექცა.

მის ეპილეპტიკურ მდგომარეობაში, თითქმის ბნედის მოვლის წინ (თუკი ბნედა მართლაც მოუვლიდა), როცა უეცრად ნაღველი დაჯაბნიდა, სულს წყვდიადი დაეუფლებოდა და რაღაც სიმძიმილი დააწვებოდა, იყო ისეთი წუთები, როცა მთელი ტვინი თითქოს უეცრივ გაუნათდებოდა და სასიცოცხლო ძალები საოცრად აღეგზნებოდა ხოლმე. ამ ელვისებურ წუთებში სიცოცხლის და თვითშეგნების შეგრძნება ლამის უათკეცდებოდა. გონებასა და გულს რაღაც საოცარი ნათელი მოეფინებოდა ღელვას, ეჭვებს, შფოთს მყის რაღაც ზენაარი სიმშვიდე შესცვლიდა და ეს სიმშვიდე ნათელი, ჰარმონიული სიხარულით, იმედითა და გონიერებით იყო აღსავსე. მაგრამ ის წუთები, ის ელვისებური ნაპერწკლები ჯერ მხოლოდ წინათგრძნობა იყო იმ უკანასკნელი წამისა (წამზე მეტად არასოდეს გაგრძელებულა), რა წამიდანაც ბნედა ეწყებოდა. ეს წამი, ცხადია, აუტანელი იყო. შემდგომ, უკვე კარგადმყოფი, ამ წამს რომ დაუფიქრდებოდა, არაერთხელ უთქვამს გუნებაში ეს ზენაარი თვითშეგრძნებისა და თვითშეგნების, მაშასადამე, „ზენაარი ყოფის“ წამიერი, ელვისებური წუთები, ეს ნაპერწკლები სხვა რა არის, თუ არ ავადმყოფობა და ნორმალური მდგომარეობის დარღვევა; ხოლო თუ ასეა, მაშ, სულაც არ შეიძლება დაერქვას „ზენაარი ყოფა“, პირიქით, ყელაზე მიწიერს უნდა მიეწეროსო. მაგრამ ბოლოს მაინც მეტისმეტად პარადოქსული დასკვნა გამოიტანა „მერე რა, თუნდაც ავადმყოფობა იყოს! მე რაში მენაღვლება, თუ არაბუნებრივი დაძაბვაა, როცა თვით შედეგი მისი, როცა თვით ამ შეგრძნების წუთი, უაღრესად ჰარმონიულს, წარმოუდგენელ სისავსისა და ზომიერების გრძნობას, მარიგებს ყველაფერს და სიცოცხლის უზენაეს სინთეზს აღტკინებული ლოცვით მაზიარებს“ ეს ბუნდოვნად გამოხატული ფიქრები მისთვის სავსებით გასაგები იყო. ხოლო რომ ეს მართლაც „სილამაზე და ლოცვა“, მართლაც, „სიცოცხლის ზენაარი სინთეზი“ გახლდათ, არც ეჭვი ეპარებოდა და არც ეჭვის შეტანა სურდა. ეს ხომ ჰაშიშით, ოპიუმით თუ ღვინით გამოწვეული ზმანებანი არ იყო, რომელიც ჭკუა-გონებას ამდაბლებს, სულსა და გულს რყვნის, არანორმალურად და არარსებული არის ბნედის შემდეგ ამაზე საღად მსჯელობდა. ეს წამები სწორედ რომ თვითშეგნების საოცარ გაძლიერებას წარმოადგენდა მხოლოდ, თუ ამ

მდგომარეობას ერთი სიტყვით გამოხატავდა კაცი, თვითშეგნებისა და ამავე დროს, უაღრესად უშუალო თვითშეგნების. თუ რომ იმ წამს, მაშასადამე, ზნის მოვლამდე სულ უკანასკნელ, შეგნებულ მომენტში ხანდახან მოუსწრია და ნათლად, შეგნებულად უთქვამს გულში დიახ, ამ მომენტისათვის კაცმა შეიძლება სიცოცხლე არ დაიშუროსო! – რა თქმა უნდა, ეს მომენტი დასტურ ღირდა სიცოცხლის ფასად. თუმცაღა ამ თავისი დასკვნის დიალექტიკურ მხარეს მაინცდამაინც ვერ გამოეკიდებოდა ამ „ზენაარი წუთების“ აშკარა შედეგი, იცოდა, რომ გამოთაყვანება, სულიერი წყვდიადი და იდიოტობა იყო. და არც სერიოზულ დავას დაიწყებდა. დასკვნაში, ანუ ამ წუთის შეფასებაში, უეჭველია, შეცდომა იმალებოდა, მაგრამ შეგრძნების სიცხადე, ცოტა არ იყოს, თავგზას უბნევდა. აბა, რა უყოს სინამდვილეს მართლაც ხომ უგრძვნია, მართლაც ხომ მოუსწრია, თვითონვე იმ წამს ეთქვა გულში, რომ ამ წამს განცდილი უსაზღვრო ბედნიერება შეიძლება ერთ სიცოცხლედ ღირდესო. ამ დროს, უთხრა კიდეც ერთხელ როგოჟინს მოსკოვში, ამ დროს ჩემთვის გასაგები ხდება უცნაური გამოთქმა, დრო აღარ არსებობსო[72] ალბათ, ეს სწორედ ისეთი წამია, – დასძინა მერე ღიმილით, – როცა ბნედიანმა მაჰმადმა, ვიდრე წაქცეული დოქიდან წყალი წამოვიდოდა,[73] მოასწრო და ალაჰის მთელ სამკვიდრებელს თვალი მოავლოო. დიახ, მოსკოვში ისა და როგოჟინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და არამარტო ასეთ რამეებზე ლაპარაკობდნენ. „როგოჟინმა წეღან თქვა, მაშინ ჩემი ძმა იყოო; დღეს პირველად წამოსცდა ეს“. ის ახლა საზაფხულო ბაღში ხის ძირას სკამზე იჯდა. შვიდი საათი იქნებოდა. ბაღში კაცის ჭაჭანება არ იყო. ჩამავალ მზეს რაღაც შავად გადაეფარა. ჰაერი ჩამოიხუთა; როგორც ჩანს, გაავდრებას აპირებდა. თავადი აქეთ-იქით იყურებოდა. ყოველ გარეშე საგანს, ყოველ გარეშე მოგონებას მყის მიეწებებოდა ფიქრით და სიამოვნებას პოულობდა ამაში. სულ რაღაც უნდოდა დაევიწყებინა, რაღაც საჭირბოროტო რამ, მაგრამ ირგვლივ მიმოიხედავდა თუ არა, კვლავ ის ბნელი ფიქრი აეკვიატებოდა, რომლის მოცილებას ასე ცდილობდა. ერთი პირობა ისიც კი გაიხსენა, წეღან სასტუმროში სადილობისას, იქაურ მსახურს რომ გამოელაპარაკა ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარ მეტისმეტად უცნაურ მკვლელობაზე, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოეწვია. მაგრამ რა წამს ეს ამბავი გაიხსენა, მყის უცნაური რამ დაემართა. საოცარმა, უძლეველმა სურვილმა, თითქმის ცთუნებამ აიტანა და ერთბაშად მთელი ნებისყოფა წაართვა, სკამიდან წამოდგა და პირდაპირ პეტერბურგის მხარეს გასწია. წეღან, ნევის სანაპიროზე ვიღაც გამვლელს ჰკითხა, პეტერბურგის მხარე საით იქნებაო. გამვლელმა უჩვენა; ოღონდ მაშინ არ წასულა იქით. ისიც იცოდა, დღეს რომ არ ღირდა იქ შევლა. მისამართი ადრევე გაიგო; ლებედევის ნათესავი ქალის სახლს იოლად მონახავდა, მაგრამ დანამდვილებით იცოდა, რომ ქალს შინ ვერ შეისწრებდა. უთუოდ პავლოვსკში იქნება წასული, თორემ, პირობის თანახმად, კოლია „ვესიში“ ამბავს დატოვებდა. მაშასადამე, თუ ახლა იქ მიდიოდა, რა თქმა უნდა, არა ქალის სანახავად. სულ სხვა ავი, მტანჯველი, ცნობისწადილი ეწეოდა იქით. ერთი ახალი, უეცარი აზრი მოუვიდა თავში...

მაგრამ მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ წავიდა და იცოდა, საით წავიდა. ერთი წუთის შემდეგ უკვე ვეღარც ამჩნევდა თავის გზას. ეს „ახალი აზრი“ მყისვე საოცრად შეეზიზღა და თითქმის შეუძლებლად ეჩვენა. თავს ძალას ატანდა და რაც თვალში ხვდებოდა, ყოველივეს აკვირდებოდა, ხან ცაში იყურებოდა, ხან ნევას უმზერდა. ვიღაც ბავშვსაც გამოელაპარაკა გზაში. მგონი, უფრო და უფრო უძლიერდებოდა ეპილეპტიკური მდგომარეობა. თითქოს მართლაც გაავდრებას აპირებდა, სადღაც უკვე დაიგრუხუნა. უფრო და უფრო ჩამოიხუთა ჰაერი... რატომღაც ახლა ლებედევის დისწულზე ფიქრი აეკვიატა, ისე, როგორც მოსაბეზრებელი ჰანგი აეკვიატება ხოლმე ზოგჯერ კაცს, და რატომღაც სულ იმ მკვლელის სახით ედგა თვალწინ,

ლებედევმა თავისი დისწულის გაცნობისას რომ უხსენა. ამ მკვლელის ამბავი დიდი ხანი არაა, რაც წაიკითხა. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ბევრი რამ წაიკითხა და მოისმინა, რაღაც დაჟინებითაც ადევნებდა თვალყურს ასეთ ამბებს. წელან მეტისმეტი ინტერესიც გამოიჩინა, როცა სასტუმროს მსახურს სწორედ ამ ჟემარინების მკვლელობაზე ელაპარაკა. გაახსენდა, მსახურიც რომ დაემოწმა. ის მსახურიც დაუდგა თვალწინ; უჭკუო ბიჭს არ ჰგავდა, დინჯი და ფრთხილი უნდა ყოფილიყო, თუმცა, „ღმერთმა უწყის, როგორია. ახალ ადგილას ახალი ხალხის გამოცნობა ძნელია“. ეს კია, რუსი კაცის ბუნება უკვე მხურვალედ იწამა. ო, ბევრი, ბევრი ახალი რამ გაიგო ამ ექვსი თვის მანძილზე, რასაც თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რაც არასდროს სმენია და არ მოელოდა! მაგრამ სხვისი გული უძირო ჭაა, ჭაა რუსი კაცის გულიც, დიახ, ბევრისთვის უძირო ჭა. აი, ისა და როგოჟინი დაუახლოვდნენ, ძალიანაც დაუახლოვდნენ ერთმანეთს, „ძმებივით“ იყვნენ, – მერე და იცნობს ვითომ როგოჟინს თუმცა ზოგჯერ რა დომხალია, რა აბდაუბდა, რა საძაგლობაა ყოველივე ეს! რა საძაგელი, გაბღენძილი მუწუკია ეს ლებედევის დისწული! მაგრამ რაებს ვამბობ! (კვლავ ფიქრმა წაიღო თავადი) განა მან მოკლა ის ადამიანები, ის ექვსი სული თითქოს მერევა რაღაც... რა საოცარია! თავიც მიბრუის... რა სანდომიანი, საყვარელი სახე აქვს ლებედევის უფროს ქალს, აი, იმას, ბავშვი რომ ეჭირა ხელში, როგორი უმანკო, თითქმის ბალღური გამომეტყველება, და როგორ ბალღივით კისკისებს! საოცარია, რომ თითქმის დაავიწყდა მისი სახე და მხოლოდ ახლა მოიგონა. ლებედევი ფეხებს უბაკუნებს მათ, სიგიჟემდე კი უყვარს ალბათ ყველა ისინი, ისიც ცხადია, როგორც ორჯერ ორი, რომ თავის დისწულსაც აღმერთებს ნამდვილად.

თუმცა დღეს ჩამოსულ კაცს ვინ მისცა ნება, რომ ყველას ასე ხელაღებით სჯის განა ლებედევი არ იყო, დღეს რომ სახტად დატოვა? განა მოელოდა ამას ლებედევისაგან? წინათ განა ასეთ ლებედევს იცნობდა? ლებედევი და დიუბარი – ღმერთო დიდებულო! თუმცა, თუ როგოჟინი მოკლავს, ყოველ შემთხვევაში, ასე სულელურად არ მოკლავს. ასეთი დომხალი არ გამოუვა. საგანგებოდ შეკვეთილი იარაღი[74] და ექვსი კაცი, თითქოს ბოდვაში ამოხოცილი... განა როგოჟინს საგანგებოდ შეკვეთილი იარაღი აქვს.. მას ხომ... არა... საიდან მოიტანა მაინც, რომ როგოჟინი მოკლავს! გააჟრჟოლა უეცრივ თავადს. „განა დანაშაული, განა სიმდაბლე არაა ჩემი მხრივ, რომ ასე ცინიკურად მიმაქვს ეჭვი?!“ – წამოიძახა მან და სირცხვილმა სახე აულანძა, ერთ ადგილზე გაახევა თავადი. მყის გაიხსენა ამდილანდელი პავლოვსკის სადგური, ნიკოლაევსკის სადგური, ისიც, პირში რომ უთხრა როგოჟინს თვალების ამბავი, მოიგონა როგოჟინის ჯვარი, ახლა გულზე რომ ეკიდა, დედამისის ლოცვა-კურთხევა, რომელსაც თვით როგოჟინმა მიჰგვარა, ისიც გიჟივით რომ გადაეხვია უკანასკნელად, ისიც, წელან კიბეზე რომ მიაყვირა, შენი იყოსო – ამის შემდეგ კი ისევ თავს წაასწრო, თითქოს გაუთავებლივ რაღაცას ეძებს, განა სულმდაბლობაზე მეტი არაა?! ან იმ დუქნისკენ წასვლა რა იყო, ან ის ნივთი!.. ღმერთო დიდებულო! ყოველივე ამის შემდეგ კი აუღია თავი და მაინც იქ მიდის, „განსაკუთრებული მიზნითა“ და „განსაკუთრებული აზრით!“ სასოწარკვეთილებამ მოიცვა მთელი მისი არსება, გული შეეკუმშა და ისევ უკან, სასტუმროში დააპირა გაბრუნება. გამოტრიალდა კიდეც; მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კვლავ შედგა, დაფიქრდა და ძველ გზას გაუდგა. აგერ უკვე პეტერბურგის მხარეზეა, იმ სახლთან ახლოს. ახლა წინანდელი მიზანი, „განსაკუთრებული აზრი“ კი არ მიარბენინებს იქ! ან რამ აფიქრებინა ეს! უეჭველია, ძველი სენი ისევ ერევა; იქნებ სულაც დღეს მოუაროს ბნედამ. ამის ბრალია მთელი ეს წყვდიადი, ეს „აზრიც“! ახლა წყვდიადი განიბნა, გაქრა, ბოროტი სული განიდევნა, ეჭვები აღარ უღრღნის გულს, სული ნეტარებს! მერედა რამდენი ხანია, აღარ უნახავს, უსათუოდ კი უნდა ნახოს... ნეტა ახლა შეახვედრა როგოჟინი,

ხელს ჩაჰკიდებს, ერთად წავლენ. გული წმინდა აქვს; განა მართლა როგოჟინის მეტოქეა ხვალ თავისი ფეხით მივა როგოჟინთან და ეტყვის, გუშინ ვიყავი და ვნახეო; როგოჟინმა ხომ უთხრა წეღან, მის სანახავად ჩამოხვედიო კისრისტეხით. იქნებ შინაც დახვდეს, იქნებ არც იყოს პავლოვსკში წასული!

დიახ, ახლა ყველაფერი უნდა გაირკვეს, ერთმანეთს გული უნდა გადაუშალონ, აღარაა საჭირო როგოჟინივით გიჟური განდგომა და ხელის აღება. დე, ყოველივე საკუთარი ნება-სურვილით, სიხარულით და წმინდა გულით მოხდეს. განა როგოჟინს სიწმინდე არ ძალუძს წეღან თქვა, შენებრ არ მიყვარს, არ მეცოდება, არავითარი სიბრალული არა მაქვსო. მართალია, მერე ისიც დაუმატა, ვინძლო შენი სიბრალული ჩემს სიყვარულზე უარესი იყოსო, – მაგრამ თავის თავს ტყუილად სწამებს ცილს. ჰმ, როგოჟინი და წიგნი? – განა ეს უკვე „სიბრალული“, „სიბრალულის“ დასაწყისი არ არის? განა მარტო ამ წიგნის არსებობა არ ადასტურებს, რომ დიახაც ესმის თავისი დამოკიდებულება მისდამი? ან წეღან რაებს მოჰყვა? არა, ამას ვნებაზე უფრო ღრმა ფესვები აქვს. და განა მარტო ვნებას აღუძრავს კაცს ამ ქალის სახე ან რა ვნების აღძვრა შეუძლია ახლა ამ სახეს ის მხოლოდ გულს გაგიტანჯავს, სულს გაგიმწარებს, ის... უეცრივ თავადს მწველი, მტანჯველი მოგონება შემოაწვა. დიახ, მტანჯველი მოგონება. გაახსენდა, რომ რარიგ ეწამებოდა სულ ცოტა ხნის წინათ, როცა პირველად სიგიჟის ნიშნები შეამჩნია ქალს. მაშინ ლამის სასოწარკვეთილებამ აიტანა. ნეტა როგორ მიატოვა მაშინ, როცა როგოჟინთან გაექცა უკან უნდა გაჰკიდებოდა, და არა გულხელდაკრეფილი მჯდარიყო ამბის მოლოდინში. ნუთუ... ნუთუ როგოჟინმა სიგიჟე აქამდე ვერ შეამჩნია.. ჰმ... როგოჟინი სულ სხვა მიზეზებს ხედავს, სიყვარულის მიზეზებს! ან რა გიჟურ ეჭვიანობას აუტანია! ნეტა რისი თქმა უნდოდა წეღან (თავადი უეცრად წამოწითლდა და თითქოს გულმა რაღაც რეჩხი უყო).

თუმცა, რისთვის იხსენებს ამას ორივე მხარე უგუნურად იქცევა. თითქმის არაადამიანობა, გულქვაობა, წარმოუდგენელი რამ იქნებოდა თავადს ეს ქალი ვნებით უყვარდეს! დიახ, დიახ! არა, როგოჟინი ცილს წამებს თავს; მისი გული ყველაფერს დაიტევს, ტანჯვასაც და სიბრალულსაც. როცა მთელ ჭეშმარიტებას შეიტყობს და დარწმუნდება, რა საცოდავი არსებაა ეს ტვინნაღრძობი, ეს ჭკუაზე შეშლილი ქალი – განა არ შეუნდობს, რაც მისგან წამება და ტანჯვა ნახა განა მსახურად არ დაუდგება, ძმად, მეგობრად, კეთილ ანგელოზად არ გაუხდება სიბრალული გონზე მოიყვანს და ჭკუას ასწავლის როგოჟინს. სიბრალული შეადგენს ადამიანთა ყოფის ყველაზე დიდსა და იქნებ ერთადერთ კანონს. ო, რა მიუტევებელი დანაშაული მიუძღვის, რარიგ უსინდისოა როგოჟინის წინაშე! არა, რუსი კაცის სული კი არ არის „უძირო ჭა“, თავად მას აქვს ჭასაებრ ბნელი სული, თუკი ასეთი საშინელება წარმოიდგინა. როგოჟინს მოსკოვში რამდენიმე გულმხურვალე, გულითადი სიტყვა უთხრა და მან უკვე ძმად შერაცხა, თავად კი... მაგრამ ავად არის, გონი ერევა და იმიტომ! ყოველივე გაირკვევა და გადაწყდება!.. რა კუშტად უთხრა წეღან როგოჟინმა, რწმენა მეკარგებაო! ეს კაცი ძალიან უნდა იტანჯებოდეს. ამ სურათის ცქერა მიყვარსო, – თქვა. კი არ უყვარს, ალბათ რაღაც ძალა ეწევა მისკენ. როგოჟინი მარტო გატაცების კაცი არ არის; გული მებრძოლისა აქვს ძალით უნდა დაიბრუნოს დაკარგული რწმენა. ახლა სულის სიმწარით სჭირდება ეს... დიახ! რაღაც უნდა სწამდეს, ვიღაც უნდა სწამდეს! რა უცნაურია მაინც ეს ჰოლბეინის სურათი... აგერ, ეს ქუჩაც! სახლიც ეს უნდა იყოს, სწორედ ასეა, №16 „კოლეჟსკი მდივნის მეუღლის ფილისოვას სახლი – აქაა!“ თავადმა დარეკა და ნასტასია ფილიპოვნა იკითხა.

დიასახლისი გამოეგება, უთხრა ნასტასია ფილიპოვნა დილითვე გაემგზავრა პავლოვსკში დარია ალექსეევნასთან და „იქნებ რამდენიმე დღეც დარჩესო იქ“. ფილისოვა პატარა ტანის ქალი

იყო, ასე ორმოციოდე წლისა, კვიმატი სახე და თვალები ჰქონდა. ეშმაკურად და დაკვირვებითაც იცქირებოდა. თავადის ვინაობა თითქოს განგებ რაღაც იდუმალი სახით იკითხა. თავადმა ჯერ არ უთხრა; მერე კი გამოტრიალდა და დაჟინებით სთხოვა, ნასტასია ფილიპოვნას გადაეცით, ესა და ეს კაცი იყო-თქო. ფილისოვამ მისი ასეთი დაჟინებული თხოვნა დიდი ყურადღებითა და მეტისმეტი იდუმალი სახით მოისმინა, თითქოს ამით ეუბნებოდა არხეინად ბრძანდებოდეთ, ყველაფერს მივხვდიო. ეტყობოდა, თავადის გვარმა მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თავადმა ერთი დაბნეულად შეხედა და თავისი სასტუმროსკენ გატრიალდა. მაგრამ ახლა სულ სხვა სახე ჰქონდა და გუნებაც ისევ შეეცვალა, ამ ერთ წამში ისევ გადაუფითრდა სახე, ისევ მოეშვა, შფოთმა აიტანა და აღელდა. მუხლები აუკანკალდა, გალურჯებულ ტუჩებზე დაბნეული, გაურკვეველი ღიმი დასთამაშებდა მისი „ახალი აზრი“ დადასტურდა და გამართლდა – და კვლავ ირწმუნა თავისი ბოროტი სულის!

მაგრამ ვითომ დადასტურდა კი და გამართლდა? მაშ, რად აიტანა ისევ კანკალმა, რად დაასხა ცივმა ოფლმა, რად შემოაწვა გულზე წყვდიადი და სიცივე იმიტომ ხომ არა, რომ კვლავ ის თვალები დაინახა საზაფხულო ბაღიდან განა იმიტომ არ წამოვიდა, რომ ეს თვალები ენახა! ხომ სწორედ ეს შეადგენდა მის „ახალ აზრს“. დარწმუნება უნდოდა, რომ უთუოდ აქ, სამ სახლთან წააწყდებოდა მათ და იმიტომაც გამოექანა აქეთ გიჟივით. მაშ, რამ გაანადგურა ასე, რამ შეაცბუნა, როცა ახლა მართლაც წააწყდა მათ?! თითქოს არ ელოდა! დიახ, ეს სწორედ ის თვალები იყო (რომ სწორედ ის იყო, უეჭველია), რომლებმაც დილით შემოანათეს ხალხიდან ნიკოლაევსკის სადგურზე, სწორედ ის (ზუსტად ის), წეღან რომ წააწყდა როგოჟინთან, როცა სკამზე ჯდებოდა და შემთხვევით უკან მოიხედა. მაშინ როგოჟინმა იუარა; სახემოღრეცილმა, შემაზრზენი ღიმილით ჰკითხა: ნეტა ვისი თვალები იქნებოდაო თავადი რომ ცარსკოე სელოს რკინიგზის სადგურზე მატარებელში ჯდებოდა, აგლაიასთან წასასვლელად, და კვლავ ამ თვალებს წააწყდა მოულოდნელად, დღეს უკვე მესამედ, – საოცრად მოუნდა როგოჟინთან მისვლა და თქმა, „ვისიც იყო ეს თვალები!“ მაგრამ სადგურიდან უკანმოუხედავად გამოვარდა და გონს მხოლოდ დანების გამყიდველის დუქანთან მოეგო იმ წუთს, როცა ფიქრობდა, ეს ირმისრქისტარიანი ნივთი სამოცი კაპიკი ეღირებაო. მისი ბოროტი სული საბოლოოდ აედევნა და აღარც მოშორებია. ამ ბოროტმა სულმა ჩასჩურჩულა საზაფხულო ბაღში, ცაცხვის ძირში მიკუნჭულს, თუ როგოჟინი ასე გამწარებული გითვალთვალებს დილიდანვე და ფეხდაფეხ დაგდევს, როგორც კი გაიგებს, პავლოვსკში არ მიდიხარ (რაც როგოჟინისთვის საბედისწერო ამბავი იქნებოდა), როგოჟინი უთუოდ აქ წამოვა, პეტერბურგის მხარეს მდებარე სახლთან, და უთუოდ აქ დაგიდარაჯდება შენ, ვინც პატიოსანი სიტყვა მიეცი ამ დილას, „არც ქალს ვნახავ“ და არც „საამისოდ ჩამოვსულვარო პეტერბურგში“. მაშ, რაღად უკვირს, რომ მართლაც აქ წააწყდა როგოჟინს წააწყდა უბედურ კაცს, რომლის სულიერი განწყობა დიახაც გასაგებია. ეს უბედური კაცი ახლა აღარც იმალებოდა. წეღან როგოჟინმა რატომღაც იუარა და იცრუა, მაგრამ ის ხომ სადგურში თითქმის არც ცდილა დამალვას. თავადი უფრო იმალებოდა, ვინემ როგოჟინი. ახლა კი, იმ სახლთან ქუჩის მეორე მხარეზე, ორმოცდაათ ნაბიჯზე გაჩერებულიყო გულხელდაკრეფილი და იცდიდა. არ შეიძლებოდა, არ შეგემჩნიათ, ეგებ განგებაც დამდგარიყო ასე, ვითარცა ბრალმდებელი და მსაჯული ვინმე და არა... და არავინ მაშ, თავადი რად არ მივიდა მასთან, რად შეაქცია ზურგი, თითქოს ვერ დაინახაო, თუმცა კი თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს (დიახ, თვალი თვალში გაუყარეს!). წეღან ხომ თვითონვე უნდოდა ხელიხელჩაკიდებულნი ერთად მისულიყვნენ იქ ხომ თვითონვე გადაწყვიტა, ხვალვე მივალ მასთან და ვეტყვი, გუშინ იქ ვიყავიო ხომ თვითონვე განუდგა იმ თავის ბოროტ სულს და

სიხარულით უცქრივ აევსო გული ანდა ეგებ მართლაც ეტყობოდა როგოჟინის დღევანდელ იერს, სიტყვებს, მოქმედებას, საქციელს, გამოხედვას რაღაც ისეთი, რაც თავადის საშინელ წინათგრძნობასა და მისი ბოროტი სულის აღმაშფოთებელ ნაჩურჩულებს ადასტურებდა რაღაც ისეთი, რასაც კი გრძნობ, მაგრამ ანალიზს ვერ გაუკეთებ, ვერ გამოთქვამ, სათანადო მიზეზებით ვერ გაამართლებ. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც მთლიან, უცილობელ შთაბეჭდილებას ახდენს და შენდა უნებლიედ რწმენად გექცევა მაგრამ რის რწმენად? (ო, რარიგ სტანჯავდა თავადს ამ „დამამცირებელი“ რწმენის, „ამ წინათგრძნობის“ უგვანობა, რარიგ ძრახავდა თავის თავს) აბა, თქვი, თუ გაბედავ, რის რწმენა? – უსაყვედურებდა და ეკითხებოდა თავისთავს გამომწვევად, – ჰო, ჩამოაყალიბე, გაბედე, აშკარად, უყოყმანოდ გამოთქვა ეგ შენი აზრი! ო, რა უსინდისო ვარ! – იმეორებდა აღშფოთებული და სახეალანძული, – რა პირით უნდა ვუყურო ახლა მთელი სიცოცხლე იმ ადამიანს! ო, ეს რა დღე გამითენდა! ღმერთო, ეს რა საშინელებაა!

ამ გრძელსა და წამების გზაზე პეტერბურგის მხრიდან მომავალს წუთით საოცარმა სურვილმა მოუარა, ახლავე როგოჟინთან წასულიყო, დალოდებოდა, სირცხვილის ცრემლებით გადახვეოდა, მერე ყველაფერი ეთქვა და ერთხელ და სამუდამოდ გაეთავებინა ყოველივე. მაგრამ თავადი უკვე თავის სასტუმროსთან იდგა... როგორ არ მოეწონა დილას ეს სასტუმრო, ეს დერეფნები, მთელი ეს შენობა, თავისი ოთახი, იმთავითვე არ მოეწონა. დღეს რამდენჯერმე განსაკუთრებული ზიზღით მოაგონდა, იქ უნდა დავბრუნდეო... „ეს რა მომდის, რა მიზეზიანი ქალივით მჯერა ყოველი წინათგრძნობისა!“ – დასცინა თავს გაგულისებულმა და ალაყაფის კარში გაჩერდა. ისევ აუტანელმა სირცხვილმა, ლამის სასოწარკვეთილებამ აიტანა და ალაყაფის შესასვლელში წუთით გახევდა. ასე სჩვევიათ ხოლმე ზოგჯერ ადამიანებს მოაგონდებათ უეცრივ საშინელი რამ, მეტადრე – სამარცხვინო, და წუთით ერთ ადგილზე გახევდებიან. დიახ, უგულო და ლაჩარი ვარო! – გაიმეორა კუშტად და სწრაფად გადადგა ნაბიჯი, მაგრამ... ისევ შეჩერდა...

ამ ალაყაფში ისედაც ბნელოდა და ახლა მთლად ჩამობნელებულიყო; წვიმის ღრუბელს ჩაენთქა დაისის შუქი. ის იყო თავადი სასტუმროს მიადგა, რომ უეცრივ იჭექა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. როცა თავადმა სწრაფად გადადგა ნაბიჯი წუთიერი ყოყმანის შემდეგ, ის ალაყაფის თავში იმყოფებოდა, ქუჩის მხრიდან. სწორედ ამ დროს ალაყაფის ჩაბნელებულ სიღრმეში, კიბის ასავალთან, ვიღაც კაცმა გაირბინა და უცბად გაუჩინარდა. თავადმა გარკვევით ვერ გაარჩია და, რა თქმა უნდა, ვერც დანამდვილებით იტყოდა, ვინ იყო. თანაც აქ ცოტა ხალხი როდი ტრიალებდა; ეს სასტუმრო იყო და დერეფნებში წარამარა ირეოდნენ ვიღაცები, მაგრამ თავადმა უეცრივ იგრძნო, რომ ეს კაცი უთუოდ როგოჟინია. წუთიც და თავადი ფეხდაფეხ დაედევნა კიბეზე. გული შეეკუმშა. „ახლა კი ყველაფერი გაირკვევა!“ – უცნაური რწმენით წაილაპარაკა თავისთვის.

ის კიბე, რომელსაც თავადი ალაყაფიდან აჰყვა სირბილით, პირველი და მეორე სართულების დერეფნებისკენ ადიოდა, სადაც სასტუმრო ოთახები ჩარიგებულიყო. როგორც ძველად აშენებულ სახლებში, ესეც ქვის ვიწრო, ბნელი კიბე იყო და ქვის განიერ სვეტს უვლიდა გარს. პირველ ასასვლელ ბაქანთან ამ სვეტს ნიშივით შეღრმავებული ჰქონდა, სიგრძით ერთი ნაბიჯი და სიღრმით – ნახევარი. თუმცა ადამიანი შიგ მაინც დაეტეოდა. შედგა თუ არა ბაქანზე ფეხი, თავადმა მაინც გაარჩია ამ სიბნელეში, რომ ნიშში რატომღაც ვიღაც იმალებოდა. ერთი პირობა გადაწყვიტა, ისე ჩავივლი, მარჯვნივ არ გავიხედავო, მაგრამ ერთი ნაბიჯი რომ გადადგა, სულმა წასძლია და მოიხედა.

ის წეღანდელი თვალები, სწორედ ის თვალები შემოეფეთა ერთბაშად. ნიშში მიმალულ კაცსაც უკვე გამოედგა ერთი ნაბიჯი. წამით ორივე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა. უეცრივ თავადი

მხრებში სწვდა ამ კაცს და კიბისკენ სინათლეზე მოაბრუნა. როგოჟინმა დააბრიალა თვალები და ბოროტმა ღიმილმა მოუღრიცა სახე. მერე მარჯვენა ხელი ასწია და რაღაცამ იელვა. თავადს ხელიც არ გაუნძრევია. ახსოვს კი, როგორ შეჰღრიალა

– პარფენ, არ მჯერა!..

მერე თითქოს რაღაც განიხვნა მის წინ ანაზდად უჩვეულო შინაგანი ნათელი მოეფინა მის სულს. ეს ეგებ ნახევარ წამზე მეტი არც გაგრძელებულა. მაგრამ ცხადად ახსოვდა თავისი არაადამიანური ღრიალის პირველი ხმა, რომელიც გულიდან აღმოხდა უნებლიეთ და რომელსაც ვერა ძალით ვერ დაიოკებდა. შემდეგ დაკარგა გონი და სრული წყვდიადი გამეფდა.

თავადს ეპილეფსიამ მოუარა, რაც დიდი ხანია აღარ დამართნია. როგორც ცნობილია, ეპილეფსიის შეტევა, კერძოდ, ბნედა, თვალის დახამხამებაში მოუვლის კაცს. ერთ წამში საოცრად მოეღრიცება სახე, გადაუტრიალდება თვალები, დაეკრუნჩხება მთელი ტანი და სახე საზარლად დაემანჭება. გაუგონარი, არაადამიანური ღრიალი აღმოხდება ხოლმე გულიდან. ასე რომ, ამ ამბის შემსწრე ძნელად დაიჯერებს, რომ სწორედ ეს კაცი ღრიალებს. გეგონებათ, ამ კაცს ვიღაც უზის გვამში და ის ღრიალებსო. ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნიან ბევრნი თავიანთ შთაბეჭდილებას. ბევრს კი ბნედამოვლილი კაცის ყურება აუტანელ თავზარს სცემს, რაღაც მისტიურ შიშს ჰგვრის. უნდა ვიფიქროთ, ამ მოულოდნელმა თავზარმა, რაც ამ წუთის სხვა საშინელ შთაბეჭდილებებს დაერთო, ანაზდად ერთ ადგილზე გააქვავა როგოჟინი და თავადი მოქნეულ დანას გადაარჩინა. შემდეგ, რა დაინახა, თავადი უკან გადაქანდა კიბეზე, გულაღმა დაეცა და თავი ქვის საფეხურს დაახეთქაო, როგოჟინი კისრისტეხით დაეშვა ქვევით, დანარცხებულ თავადს გვერდი აუარა და თითქმის უგონოდ გამოვარდა სასტუმროდან. აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ბნედა იყო. კრუნჩხვებმა და ძიგძიგმა სნეული კიბის ძირში ჩამოაგდო. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ხალხი შეიკრიბა, ვიღაც ძირს აგდიაო. თავადის თავთან სისხლის პატარა გუბემ ყველა საგონებელში ჩააგდო თვითონ გაიტეხა თავი, თუ „ცოდვის ხელი ურევიაო“, მაგრამ ზოგიერთებმა მალე მოისაზრეს, ბნედა მოსვლიაო. ერთმა მსახურმა ამ დილანდელი მდგმური იცნო. დაბოლოს, ერთი ფრიად ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეს ამბავი კარგად დასრულდა.

კოლია ივოლგინი, მართალია, ოთხი საათისთვის „ვესიში“ უნდა მობრუნებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად ადგა და პავლოვსკში გაემგზავრა. უეცრივ, ერთი მოულოდნელი მოსაზრების გამო, გენერალ ეპანჩინის მეუღლესთან სადილად აღარ დარჩა, პეტერბურგში დაბრუნდა და სასტუმროსკენ გამოეშურა. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა იქ მივიდა. მის სახელზე დატოვებული ბარათი რომ წაიკითხა და გაიგო, თავადი ქალაქშიაო, ბარათში დაწერილი მისამართით მისკენ გასწია. სასტუმროში უთხრეს, თავადი გასულიაო. ისიც ბუფეტში შევიდა მოსაცდელად. თან ჩაის მიირთმევდა და თან ორღანს უსმენდა. შემთხვევით ყური მოჰკრა ლაპარაკს, ვიღაცას ბნედამ მოუარაო. თითქოს გულმა უგრძნო, მყის იმ ადგილზე მიიჭრა და თავადი იცნო. მაშინვე საჭირო ზომები იქნა მიღებული. თავადი მის ნომერში გადაიყვანეს; მან თვალი კი გაახილა, მაგრამ სრული გონი დიდხანს არ დაუბრუნდა. გატეხილი თავის გასასინჯად მოწვეულმა ექიმმა საფენი დაადო და განაცხადა, ეს გატეხილობა საშიში არააო. როცა ერთი საათის შემდეგ თავადი საკმაოდ მოსულიერდა და უკვე გაერკვა, რაც ხდებოდა მის ირგვლივ, კოლიამ იგი სასტუმროდან ლებედევთან გადაიყვანა კარეტით. ლებედევი საოცარი გულმხურვალებით შეხვდა ავადმყოფს. მისი გულისთვის დააჩქარა კიდეც აგარაკზე გადაბარგება. მესამე დღეს უკვე ყველანი პავლოვსკში იყვნენ.

VI

ლებედევის აგარაკი პატარა, მაგრამ მყუდრო და ლამაზი იყო. ყველაზე მეტად სახლის ის მხარე მოერთოთ და გაემშვენიერებინათ, რომლის გაქირავებასაც აპირებდნენ. ქუჩისკენ საკმაოდ განიერი ტერასა გამოდიოდა, იქ თურინჯის, ლიმონისა და ჟასმინის ხეები ჩაერიგებინათ დიდრონ, მწვანე გეჯებში. ლებედევის ანგარიშით, ყველაზე მეტად ეს მოსტაცებდა კაცს თვალს. რამდენიმე ასეთი ხე აგარაკზევე დახვდა, ჰოდა, იმდენად მოეწონა, როცა შემთხვევა მიეცა, ფული არ დაიშურა და აუქციონზე გეჯებში ჩადგმული ასეთი ხეები კიდევ შეისყიდა კომპლექტისათვის. იმ დღეს, როცა ხეები აგარაკზე გადაიტანეს და ტერასაზე დადგეს, ლებედევმა რამდენჯერმე ჩამოირბინა ტერასის კიბე, რა არის, თავისი სამფლობელოსთვის ქუჩიდან შეეხედა და მისი ცქერით დამტკბარიყო. თან ყოველ შეხედვაზე თავის მომავალ მუშტარს უფრო და უფრო უმატებდა გუნებაში ქირას. დასუსტებულ, ნაღველმორეულ თავადს, რომელსაც მთელი ტანი სტეხდა და სტკიოდა, აგარაკი ძალზე მოეწონა. მართალია, პავლოვსკში გადაბარგების, ანუ ბნედის დაცემის მესამე დღეს, თავადი გარეგნულად თითქმის ჯანსაღად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც რაღაც სისუსტეს გრძნობდა. ამ სამი დღის განმავლობაში ვინც არ უნდა შემოსულიყო, ყველას ნახვა უხაროდა, კოლია იქნებოდა ეს, რომელიც გვერდიდან არ სცილდებოდა, ლებედევის ოჯახის წევრები (დისწული სადღაც გადაკარგულიყო) თუ თვითონ ლებედევი; გენერალ ივოლგინსაც სიამოვნებით შეხვდა, ჯერ კიდევ ქალაქში რომ ეწვია მოსანახულებლად. საღამო ხანს, როცა პავლოვსკში ჩამოვიდნენ, ტერასაზე ბლომად შეიყარნენ სტუმრები ჯერ განია მოვიდა, რომელიც თავადმა ძლივსღა იცნო, იმდენად შეცვლილიყო და ჩამოფერთხილიყო ამ ხანში. შემდეგ ვარიამ და პტიცინმა მოაკითხეს, ისინიც პავლოვსკელი მოაგარაკენი იყვნენ. რაც შეეხება გენერალ ივოლგინს, ის ხომ თითქმის ლებედევთან ჩასახლებულიყო და სულაც, მგონი, მას წამოჰყვა პავლოვსკში. ლებედევს არ უნდოდა გენერალი თავადთან შეეშვა და გვერდიდან არ იშორებდა; თუმცა მეგობრულად კი ექცეოდა და დიდი ხნის ნაცნობობაც უნდა ჰქონოდათ. ისიც შენიშნა თავადმა, რომ ერთმანეთთან ბაასი უყვარდათ. ხშირად ყვირილსა და დავასაც მოაყოლებდნენ, სულაც, მგონი, მეცნიერული საგნების ირგვლივ. რაც ლებედევს, ეტყობოდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. კაცი იფიქრებდა, ლებედევს გენერლის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო. აგარაკზე გადმოსვლის დღიდან ლებედევი საკუთარი ოჯახის წევრებსაც არიდებდა თავადს აქაოდა, თავადი არ შეაწუხონო, არავის აკარებდა ახლოს, ფეხების ბაკუნით დაიფრენდა ხოლმე თავის ქალებს, ასე გასინჯეთ, ვერასაც კი, პატარა ბავშვით ხელში, თუ ეჭვს აიღებდა, ტერასაზე უნდოდათ გასვლა, სადაც თავადი იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავადი სულ ემუდარებოდა, მოსვლას ნურავის დაუშლითო.

– ჯერ ერთი, თუ ასე ავუშვი, რიდი აღარავისი ექნებათო; თანაც არც მაინცდამაინც მოსაწონია მათი აქ ყოფნა... – ამოღერღა ლებედევმა ბოლოს, როცა თავადი პირზე დაადგა.

– ვითომ რატომ – არწმუნებდა თავადი, – მართალი გითხრათ, მაგ თქვენი თვალთვალითა და ყარაულობით მაწუხებთ მხოლოდ, სხვა არაფერი. რამდენჯერ გითხარით, მარტო მწყინდება-მეთქი, ეგ თქვენი წარამარა ხელების ქნევა და ფეხისწვერებზე სიარული კი უფრო მიწუხებს გულს.

ლებედევი თუ თავისიანებს იქაურობას არ აკარებდა, იმ მიზეზით, ავადმყოფს მოსვენება სჭირდებაო, თვითონ ეს სამი დღე წარამარა თავადთან შერბოდა და გამორბოდა. ჯერ კარს გამოაღებდა, თავს შეჰყოფდა, ოთახს მოათვალიერებდა, ხომ აქ არის ხომ არ გაიქცა და მერე ფეხაკრეფით მიეპარებოდა ხოლმე სავარძელს. ასე რომ, ზოგჯერ თავისი მდგმურისთვის უნებლიეთ გულიც გადაუტრიალებია. გაუთავებელი ჩაკითხვებით, ხომ არაფერი გჭირდებათო,

იქამდე გაუწყალებდა გულს, რომ ბოლოს თავადი სთხოვდა, თავი დამანებეთ, მომასვენეთო. ისიც მაშინვე მორჩილად, უსიტყვოდ გამოტრიალდებოდა ფეხისწვერებზე და კარამდე სულ ხელების ქნევით მიდიოდა, თითქოს ეუბნებოდა, ისე, უბრალოდ მოვედი, ლაპარაკით არ შეგაწუხებთ, აგერ, მივდივარ კიდეც და მეტს აღარ მოვალო. – მაგრამ ათი თუ თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ იქ იყო დარჭობილი. კოლია რომ ასე თავისუფლად შედი-გამოდიოდა თავადთან, ლებედევს დიდად საწყენად რჩებოდა და აღშფოთებდა. კოლიამ ისიც შეამჩნია, ლებედევი ნახევარ საათობით კართან რომ იყო ხოლმე ატუზული, იმის მოსასმენად, რას ლაპარაკობენო, და, რა თქმა უნდა, ეს ამბავი თავადსაც ამცნო.

– თქვენი საკუთრება ხომ არ გგონივართ, ასე რომ ჩამამწყვდიეთ, – უთხრა ერთხელ თავადმა, – აგარაკზე მაინც მინდა ჩემს ნებაზე ვიყო. ვინც მინდა, ის ვისტუმრო და სადაც მინდა, იქ წავიდე.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – ხელები გაასავსავა ლებედევმა.

თავადმა დაკვირვებით შეავლო თვალი.

– ერთი ეს მითხარით, ლუკიან ტიმოფეევიჩ, სასთუმალთან პატარა შკაფი რომ გეკიდათ, აქ გადმოიტანეთ თუ არა?

– არ გადმომიტანია.

– ნუთუ იქ დატოვეთ?

– აბა, კედელს ხომ არ გამოვანგრევდი... მკვიდრად, მკვიდრად ზის, ბატონო, კედელში.

– იქნებ აქაც ისეთივე გიდგათ?

– იმაზე უკეთესიც, ეს აგარაკიც იმიტომ ვიყიდე.

– ჰოო. წეღან ვინ არ შემოუშვით ერთი საათის წინ.

– ეგ... ეგ გენერალი გახლდათ. იმიტომ არ შემოვუშვი, რომ აქ არაფერი ესაქმება. მაგ კაცს, თავადო, დიდ პატივსა ვცემ, ეგ... ეგ დიდი ბუნების კაცია; არა გჯერათ აი, ნახავთ, მაგრამ მაინც... ბრწყინვალე თავადო, გიჯობთ არ შემოუშვათ ხოლმე.

– ერთი მიბრძანეთ, ვითომ რატომ არა? ან ფეხისწვერებზე რაღას დგახართ ახლა, ლებედევ, და მუდამ ისეთი სახით რად მიახლოვდებით, თითქოს რაღაც საიდუმლოება უნდა მითხრათ ყურში?

– სულმდაბალი ვარ, ვგრძნობ, – მოულოდნელად წამოსცდა ლებედევს და გრძნობით ჩაირტყა რამდენიმეჯერ მუშტი მკერდში, – ხოლო რაც შეეხება გენერალს, ვაითუ, თავადო, მეტისმეტი სტუმართმოყვარე გამოდგეს თქვენთვის?

– მეტისმეტი სტუმართმოყვარე?

– დიახ, სტუმართმოყვარე. ის არაფერი, ჩემთან რომ აპირებს ცხოვრებას, ამას კიდევ გაუძლებს კაცი, ოღონდაც დიდი გატაცების ვინმეა, მყისვე ნათესაობას მოგიძებნის. უკვე მერამდენეჯერ მოვიჩხრიკეთ და მოყვრები გამოვდექით. თქვენც დედის მხრივ გარეშე დისწული ბრძანდებით თურმე მისი, გუშინ მელაპარაკებოდა სწორედ. თუ მისი დისწული ხართ, მაშასადამე, ჩვენც ნათესავები გამოვდივართ. ამას კიდევ რა უშავს, დიდი ცოდვა არაა, მაგრამ, იცით, ეს წუთია რაში მარწმუნებდა? მთელი სიცოცხლე, რაც პროპორშჩიკის ჩინი მივიღე, გასული წლის თერთმეტ ივნისამდე, ყოველ ცისმარე დღე ორას სულზე ნაკლები არ მჯდარაო ჩემს სუფრაზე, მაგას რომ დავუჯეროთ, დილიდან საღამომდე გაშლილი ჰქონდა სუფრა, ეს სადილიო, ეს ვახშამიო, ეს ჩაიო, ერთი სიტყვით, დღეში თხუთმეტი საათი ქეიფობდნენ მის სახლში მთელი ოცდაათი წლის მანძილზე, წუთით შესვენება არა ჰქონიათ, სუფრის გამოცვლასაც ძლივს ასწრებდნენ. ერთი მიდიოდა, მეორე მოდიოდაო. უქმეებსა და სამეფო დღესასწაულებზე სამასამდე კაცი იყრიდაო თავს. რუსეთის ათასი წლის თავზე კი შვიდას კაცამდე ჩამომითვალა.

სიგიჟე და ასეთი! მოლაყბეობა კარგი ნიშანი არ არის; ასეთ სტუმართმოყვარეთა სახლში შეშვება საშიშიც კია, ამიტომ ვიფიქრე ვაითუ ეგეთი კაცი ნამეტნავი სტუმართმოყვარე გამოდგეს-მეთქი ჩვენთვის

– მაგრამ, მგონი, სულში კი იძვრენთ და?..

– ძმურად, ძმურად, ბატონო, და ყურად არ ვიღებ, ხუმრობაში ვართმევ; დაე მოყვრები ვიყოთ მე რა – აქეთ პატივად ჩამეთვლება. იმ ორასი სულისა და რუსეთის ათასი წლისთავის მიუხედავად, შესანიშნავ კაცს ვჭვრეტ მაინც. წრფელი გულით გეუბნებით. თავადო, ახლა რომ მითხარით, ვითომც ისე გიახლოვდებით, თითქოს საიდუმლო რამ მაქვს სათქმელი, აკი მართლაც მაქვს საიდუმლო თქვენთვის ცნობილმა პიროვნებამ ეს-ესაა შემატყობინა, რომ დიდად სწადია უჩუმრად გინახულოთ.

– უჩუმრად რატომ? თუნდაც დღესვე ვეახლები იქით.

– როგორ გეკადრებათ, – ხელები გაასავსავა ლებედევმა, – სულაც არ ეშინია იმისი, რაც თქვენ იფიქრეთ. ბარემ ამასაც გეტყვით იცით თუ არა, ის მტარვალი ყოველ ცისმარე დღე თქვენი ამბის საკითხავად რომ მობრძანდება?

– რაღაც ძალიან ხშირად ეძახით მტარვალს და ძალიან მაეჭვებთ ამით.

– ერთი ბეწო ეჭვიც არ უნდა იქონიოთ, ერთი ბეწოც, – შეეცადა ეჭვის გაქარწყლებას ლებედევი, – ის მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ იმ თქვენს ცნობილ პიროვნებას სულ სხვა აფრთხობს, სულ სხვა, და არა ის.

– ჰოდა, თქვით მერე, რა აფრთხობს, – მოთმინების ფიალა აევსო თავადს ლებედევის მანჭვა-გრეხაზე.

– სწორედ ეგაა საიდუმლო, – ჩაიხითხითა ლებედევმა.

– ვისი საიდუმლო?

– თქვენი, ბატონო ჩემო, განა თქვენ არ ამიკრძალეთ, უბრწყინვალესო თავადო, იმის თქმა, რომ... – ლებედევი წუთით ნასიამოვნები შეაჩერდა მოუთმენლობით გატანჯულ თავის მსმენელს და უცებ ამოშაქრა – რომ აგლაია ივანოვნა აფრთხობს.

თავადმა წარბი შეიკრა, წუთით სდუმდა.

– ღმერთმანი, ლებედევ, ამ თქვენს აგარაკს მივატოვებ, – თქვა უეცრივ. – გავრილა არდალიონოვიჩი და პტიცინები სად არიან? თქვენსა ისინიც გადაიბირეთ, ხომ?

– მოვლენ, ახლავე მოვლენ. გენერალიც მათ მოჰყვება ფეხდაფეხ. ყველა კარს გავაღებ და ჩემს ქალებსაც შემოგიყვანთ, ყველას გიხმობთ ახლავე, – შეშინებული ჩურჩულებდა ლებედევი და, ხან ერთ კარს მიაწყდებოდა, ხან მეორეს.

ამ დროს კოლიამ ამოირბინა ტერასაზე. სტუმრები მომყვებიან, ლიზავეტა პროკოფიევნა და მისი სამი ქალიო, – გამოუცხადა თავადს.

– პტიცინები და გავრილა არდალიონოვიჩი შემოვუშვა თუ არა? გენერალი მოვიდეს თუ არა? – შეხტა და შებზრიალდა ამ ცნობით ელდანაცემი ლებედევი.

– ვითომ რატომაც არა? ვისაც ნებავს, ყველა მობრძანდეს! გამიგონეთ, ლებედევ, იმთავითვე რაღაც მცდარად გაგიგიათ ჩემი ამბები, რაღაც ურევთ. ვისთან რა მაქვს დასამალი, – გაეცინა თავადს.

რა ნახა, თავადმა გაიცინაო, კბილები დაკრიჭა ლებედევმაც. ასეთი საოცარი აფორიაქების მიუხედავად, სახეზე ეწერა, რომ მეტისმეტად ნაამებიც იყო. კოლია მართალი გამოდგა. ეპანჩინებს მან რამდენიმე ნაბიჯით გამოასწრო, რომ მათი მოსვლა შეეტყობინებინა. ამგვარად,

სტუმრები უეცრივ ორივე მხრიდან მოადგნენ თავადს – ტერასიდან – ეპანჩინები, სახლიდან კი პტიცინები, განია და გენერალი ივოლგინი.

ეპანჩინებს თავადის ავადმყოფობისა და მისი პავლოვსკში ყოფნის ამბავი ეს–ესაა შეეტყოთ კოლიასაგან. გენერლის მეუღლე აქამდე დიახაც გაკვირვებული და შეცბუნებული იყო. ჯერ კიდევ სამი დღის წინ აუწყა გენერალმა თავისიანებს, თავადს რომ სადარბაზო ბარათი დაეტოვებინა. ამ ბარათმა ლიზავეტა პროკოფიევნა უმალ დაარწმუნა, თავადიც დაუყოვნებლივ ჩამოჰყვება თავის ბარათს პავლოვსკში ჩვენს სანახავადო. ტყუილად არწმუნებდნენ ქალები, კაცმა, რომელმაც მთელი ნახევარი წელი წერილი არ მოიწერა, შეიძლება არც ახლა იჩქაროს, შეიძლება უჩვენოდაც ბევრი სადავიდარაბო გამოუჩნდა პეტერბურგში – ვინ იცის, რა საქმეები აქვსო?! გენერლის მეუღლე ფრიად განარისხა ამ სიტყვებმა, მზად იყო სანაძლეო დაედოთ, თუ დღეს არა, ყოველ შემთხვევაში, ხვალ მაინც აქ გაჩნდება, თუმცაღა ესეც დაგვიანებით იქნებაო. მეორე დღეს მთელი დილა უცადა, ელოდა სადილზეც, შემდეგ – ვახშამზეც. ხოლო როცა კარგა მოსაღამოვდა და თავადი მაინც არ გამოჩნდა, გულზე გახეთქილი ლიზავეტა პროკოფიევნა ყველაფერზე გაწყრა და ყველას წაეკიდა. რა თქმა უნდა, კრინტი არ დაუძრავს, თუ ჩხუბის მიზეზი თავადი იყო. არც მესამე დღეს უხსენებია ვისმე თავადის სახელი. სადილობისას, როცა აგლაიას უნებლიეთ წამოსცდა, maman იმიტომ წყრება, რომ თავადი არ მოდისო, ხოლო გენერალმა დააყოლა ესეც ხომ ჩემი ბრალი არ არისო. ლიზავეტა პროკოფიევნა წამოდგა და განრისხებულმა მიატოვა სუფრა. საღამო ხანს, როგორც იყო, კოლია გამოჩნდა და თავადის ამბები მოიტანა. ლიზავეტა პროკოფიევნამ გამარჯვებულად იგრძნო თავი, მაგრამ კოლიას კი შავი დღე აყარა თუ თვითონ უნდა, დილიდან საღამომდე აქა ზის, თავიდან ვერ მოიშორებ, ახლა კი თუ მობრძანება გაუჭირდა, ამბავი მაინც შემოეთვალაო. თავიდან ვერ მოიშორებო, ეს სიტყვა გულზე მოხვდა კოლიას, მაგრამ აღარ გამოეკიდა და სხვა დროისთვის გადადო. ასეთი საწყენი სიტყვა რომ არა, ეგებ სულაც ეპატიებინა, იმდენად მოეწონა ლიზავეტა პროკოფიევნას აღელვება და შეშფოთება, თავადის ავადმყოფობა რომ გაიგო. ლიზავეტა პროკოფიევნა კარგა ხანს ვერავინ დააჯერა, რომ პეტერბურგში სასწრაფოდ კაცის გაგზავნა და ვიღაც სახელგანთქმული ექიმის ჩამოყვანა პირველივე მატარებლით საჭირო არ არისო. მაგრამ ქალებმა, როგორც იქნა, გადაათქმევინეს თუმცა, როცა დედა სასწრაფოდ მოემზადა ავადმყოფთან წასასვლელად, არც თვითონ ჩამორჩნენ.

– კაცი მომაკვდავია და რა დროს ცერემონიებია?! – ქოთქოთებდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – ჩვენი მეგობარია თუ არა?

– მაგრამ არც არამკითხეობა ვარგა, – წამოსცდა აგლაიას.

– ჰოდა, ნურც მოდიხარ, უკეთესი იქნება; ევგენი პავლიჩი რომ მობრძანდეს, ვინღა დახვდება.

ამ სიტყვების შემდეგ აგლაიას რაღა გააჩერებდა შინ, თუმცა ისედაც აპირებდა წასვლას. ადელაიდამ იქ მყოფ თავად შჩ-ს სთხოვა, წამოგვყევიო და ისიც მყის დაყაბულდა, ხლებოდა ქალებს. ჯერ ადრეც, ეპანჩინებთან ნაცნობობის პირველ ხანებში, თავადის სახელი რომ უხსენეს, მეტისმეტად დაინტერესდა თურმე, არცთუ ისე დიდი ხანი იყო, სადღაც გაეცნო და ერთი-ორი კვირა რომელიღაც ქალაქში ერთად ეცხოვრათ კიდეც ამ სამიოდე თვის წინათ. თავადმა შჩ-მ ბევრი რამ უამბო მათ თავადზე და, საერთოდ, დიდი სიმპათიით იხსენიებდა. ასე რომ, ახლა გულწრფელად უხაროდა ძველი ნაცნობის ნახვა. გენერალი ივან ფიოდოროვიჩი ამჯერად შინ არ გახლდათ. არც ევგენი პავლოვიჩი ჩამოსულიყო. ეპანჩინების სახლიდან ლებედევის აგარაკამდე სამასიოდე ნაბიჯი იქნებოდა. ლიზავეტა პროკოფიევნას, ჯერ ერთი, იმან გაუფუჭა გუნება, რომ თავადთან ამდენი ხალხი დაინახა, მით უმეტეს, ამ სტუმრებში ორი-სამი კაცი ჭირივით

სძულდა. მეორეც იმან, რომ მომაკვდავის მაგიერ სრულიად საღსალამათი, კოხტად ჩაცმული და მოცინარი ყმაწვილი კაცი შემოეგება. ლიზავეტა პროკოფიევნა განცვიფრებამ ადგილზე გაახევა. კოლიასაც ეს უნდოდა. რომ მომაკვდავი არავინ არისო, ეს ლიზავეტა პროკოფიევნასთვის ადრევე შეეძლო ეთქვა, მაგრამ არ უთხრა იმ ეშმაკმა იმიტომ, რომ იცოდა, გენერლის მეუღლეს რა სასაცილო ბრაზი აიტანდა, როცა თავის გულწრფელ მეგობარ თავადს საღსალამათს დაინახავდა და უთუოდ განრისხდებოდა კიდეც. კოლიამ იმდენი გულქვაობა გამოიჩინა, რომ ლიზავეტა პროკოფიევნას გასაგულისებლად ეს ვარაუდი ხმამაღლა გამოთქვა. ისა და ლიზავეტა პროკოფიევნა შიგადაშიგ გაავებით ეკინკლავებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, თუმცა კი დიდი მეგობრობა ჰქონდათ.

– მოიცა, ჩემო კარგო, ნუ ჩქარობ, არ ჩაგიშხამდეს ეგ ზეიმი! – განუცხადა ლიზავეტა პროკოფიევნამ ამაზე და თავადის მირთმეულ სავარძელში ჩაჯდა.

ლებედევმა, პტიცინმა და გენერალმა ივოლგინმა ყმაწვილ ქალებს მსწრაფლ მიართვეს სკამები. აგლაიას გენერალმა მოურბებინა სკამი, ლებედევმა – თავად შჩ-ს, და თან ისე მოიკაკვა წელში, რომ მთელი თავისი უდიდესი მოწიწება ამცნო. ვარია, ჩვეულებისამებრ, აღტაცებული ჩურჩულით მიესალმა გენერლის ქალებს.

– მართლაც მეგონა, მწოლიარე ავადმყოფი დამხვდებოდი, თავადო, შიშით ცოტა გავაზვიადე. ჰოდა, არ მოგატყუებ, გაბადრული სახით რომ დაგინახე, გული მომივიდა, მაგრამ გეფიცები, მხოლოდ ერთი წუთით, ვინემ დავფიქრდებოდი. როცა დავფიქრდები, მუდამ უფრო ჭკუას ვატან ხოლმე საქციელს. მგონი, შენც ეგრე ხარ. სინამდვილეში, ღვიძლი შვილის მორჩენა ამაზე მეტად არ გამიხარდებოდა. თუ არ დამიჯერებ, სირცხვილი შენ და არა მე. ეს ბოროტი ბიჭი კი ამაზე უკეთეს ოინებსაც მიწყობს ხოლმე. თუ არ ვცდები, კალთას აფარებ; ჰოდა, გაფრთხილებ, ერთ მშვენიერ დღეს, მერწმუნე, უარს ვიტყვი მაგის ნაცნობობის პატივზე.

– რა დავაშავე? – ყვიროდა კოლია. – რამდენიც არ უნდა მერწმუნებინეთ, თავადი თითქმის უკვე მორჩენილია-მეთქი, მაინც არ დამიჯერებდით, იმიტომ, რომ მომაკვდავის წარმოდგენა უფრო საინტერესო იყო.

– დიდი ხნით ჩამოხვედი? – მიუტრიალდა თავადს ლიზავეტა პროკოფიევნა.

– მთელი ზაფხული დავრჩები, შესაძლოა, მეტ ხანსაც.

– მარტო ხარ, ცოლი არ გითხოვია?

– არ მითხოვია, – ღიმი მოერია თავადს ლიზავეტა პროკოფიევნას გულუბრყვილო გაკენწვლაზე.

– ნუ იღიმები, ხდება ასე. აგარაკის გამო გეკითხები; ვითომ ჩვენთან რატომ არ ჩამოხვედი? მთელი ფლიგელი ცარიელი გვიდგას, თუმცა ნება შენია. ამასთან დგახარ? ამასთან? – ხმადაბლა დაუმატა და ლებედევისაკენ გააქნია თავი. – ნეტა რას იგრიხება?

ამ დროს ვერაც გამოვიდა ტერასაზე, ჩვეულებისამებრ, ბავშვით ხელში. მის დანახვაზე ლებედევი, რომელსაც საქმე ვერაფერი გამოენახა, თან წასვლაც საშინლად არ უნდოდა და სკამებს შორის დასუნსულობდა, ეცა უცებ ვერას, დაავიწყდა, სად იყო, აუქნია ხელები, აქედან დამეკარგეო და ფეხებიც კი დაუბაკუნა.

– გიჟია? – იკითხა უეცრივ გენერლის მეუღლემ.

– არა, ოღონდ...

– მთვრალია? კაი ნაცნობები კი გყოლია, – მოუჭრა ლიზავეტა პროკოფიევნამ და სხვა სტუმრებსაც გადახედა, – თუმცა ეს რა მშვენიერი გოგონაა! ვისია?

– ვერა ლუკიანოვნა გახლავთ, ლებედევის ქალი.

– ჰოო?! ძალიან მიმზიდველია. გამაცანი ერთი.

მაგრამ ლებედევმა რომ ყური მოჰკრა, ლიზავეტა პროკოფიევნამ ვერა შეაქოო, დაავლო თავის ქალს ხელი და ლიზავეტა პროკოფიევნას მიჰგვარა.

– ობლები დამირჩნენ, ობლები! – ლამის დნებოდა იგი გენერლის მეუღლის წინაშე, – ხელში რომ ჰყავს, ისიც ობოლია, მისი დაია, ჩემი კი – ქალი, სახელად ლუბოვი, უკანონიერეს ქორწინებაში შეძენილი ჩემი ახალმიცვალებული ცოლის ელენასაგან. ამ ექვსიოდე კვირის წინ გადაჰყვა მშობიაროობას, ასე ინება უფალმა... დიახ... ახლა დედობას უწევს, თუმცა მხოლოდ და და სხვა არაფერი... სხვა არაფერი...

– შენ კი, გეთაყვა, სულელი ხარ და მეტი არაფერი, უკაცრავად კი ვარ. ჰოდა, კმარა, მგონია, თვითონაც გესმის, – აღშფოთებით მოუჭრა უეცრივ ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ჭეშმარიტებას ბრძანებთ! – დიდი მოწიწებით მოიდრიკა წელში ლებედევი.

– გამიგონეთ, ბატონო ლებედევ, მართალს ამბობენ თქვენზე, აპოკალიპსს ქადაგებსო? – ჰკითხა აგლაიამ.

– ჭეშმარიტება გახლავთ... თხუთმეტი წელია უკვე.

– გამიგონია. მგონი, გაზეთებში სწერდნენ თქვენზე?

– ჩემზე არა, ეგ სხვა მქადაგებელი იყო, რომელიც გარდაიცვალა, ახლა მეღა დავრჩი, – გაიძახოდა აღფრთოვანებული ლებედევი.

– ძალიან გთხოვთ, როგორმე ამ დღეებში მეც ამიხსნათ რამე, ხომ მეზობლები ვართ. აპოკალიპსის არაფერი გამეგება.

– არ შემიძლია არ გაგაფრთხილოთ, აგლაია ივანოვნა, რომ მისი მხრივ ეს მხოლოდ თაღლითობაა და სხვა არაფერი, მერწმუნეთ, – მყის ჩაურთო გენერალმა ივოლგინმა, რომელიც მთელი ეს ხანი თითქოს ეკლებზე იჯდა და სული მისდიოდა, სანამ ლაპარაკში ჩაერეოდა. მერე აგლაია ივანოვნას გვერდით მიუჯდა და განაგრძო, – ცხადია, აგარაკი რის აგარაკია, თუ კაცი ისე არ მოიქცა და ისე არ გაირთო თავი, როგორც უნდა. აპოკალიპსის ასახსნელად ესოდენ უჩვეულო ინტრუსის[75] მოწვევაც ერთგვარი თავის გართობაა, როგორც სხვა რამ, და ფრიად შესანიშნავი, ჭკვიანური გართობაც, მაგრამ მე... მგონი, გაკვირვებით მიყურებთ, არა პატივი მაქვს გაგეცნოთ, გენერალი ივოლგინი გახლავართ. რამდენჯერ მიტარებიხართ ხელით, აგლაია ივანოვნა...

– ძალიან სასიამოვნოა. ვარვარა არდალიონოვნას და ნინა ალექსანდროვნას ვიცნობ, – წაიდუდუნა აგლაიამ და თავი ძლივს შეიმაგრა, სიცილი არ წასკდომოდა.

თითქოს ძველმა ჩაგუბებულმა ბოღმამ ამოხეთქაო, ლიზავეტა პროკოფიევნას ბრაზი წაეკიდა. გენერალ ივოლგინს ოდესღაც, დიდი ხნის წინათ იცნობდა და თვალის დასანახად ეჯავრებოდა.

– როგორც ყოველთვის, სტყუიხარ, გეთაყვა, შენ ეგ თავის დღეში ხელით არ გიტარებია, – მოუჭრა აღშფოთებით.

– Maman, ღმერთმანი დაგავიწყდათ, როგორ არ ვუტარებივარ, – უეცრივ დაუმოწმა აგლაიამ. – მაშინ ჩვენ ტვერში ვცხოვრობდით. მე ექვსი წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს. ერთხელ მშვილდისარი გამიკეთა და სროლა მასწავლა; ერთი მტრედი მოვკალი კიდეც. გახსოვთ, მტრედი რომ მოვკალით ერთად?

– მე კი მაშინ მუყაოს ჩაჩქანი და ხის დაშნა მაჩუქა, მეც მახსოვს! – შესძახა ადელაიდამ.

– ეგ მეც მახსოვს, – კვერი დაუკრა ალექსანდრამ. – მაშინ დაჭრილ მტრედზე ჩხუბი მოგვივიდათ და სხვადასხვა კუთხეში დაგაყენეს. ადელაიდა იმ თავისი ჩაჩქანითა და დაშნით იდგა.

ხელით მიტარებიხარო, ეს ისე, ლაპარაკის ჩამოსაგდებად თქვა გენერალმა, ისიც მარტოოდენ იმიტომ, რომ ახალგაზრდების გაცნობისას მუდამ ასე იწყებდა ხოლმე საუბარს. მაგრამ თითქოს

განზრახ, ამჯერად მართალი გამოუვიდა და ეს სიმართლე თვითონაც აღარ ახსოვდა. აგლაიამ რა დაუმოწმა, ერთად მოვკალითო მტრედი, ყველაფერი მყის გაუცოცხლდა ხსოვნაში და ყოველი წვრილმანით დაუდგა თვალწინ, როგორც მოხუცებულობის ჟამს მოაგონდება ხოლმე კაცს დიდი ხნის გარდასული ამბები. ძნელი სათქმელია, ამ მოგონებამ რად აუჩუყა გული საცოდავსა და, ჩვეულებისამებრ, ცოტა არ იყოს, გადაკრულში მყოფ გენერალს. ეს კია, საოცრად აუჩვილდა გული და შესძახა

– მახსოვს, ყველაფერი მახსოვს! მაშინ მე შტაბს-კაპიტანი გახლდით. თქვენ კი ერთი ციცქნა, ლამაზი გოგონა. ნინა ალექსანდროვნა... განია... თქვენსა დავიარებოდი ხოლმე. ივან ფიოდოროვიჩი...

– ხედავ, რა დღეში ჩაიგდო თავი?! – გააწყვეტინა გენერლის მეუღლემ, – რაკი ასე იმოქმედა შენზე, მაშ ყველაფერი არ ჩაგიხრჩვია ღვინოში! ცოლი ლამის გადაიყოლე. იმის ნაცვლად, შვილებს გასძღოლოდი, ვალების ციხეში იჯექი. წადი, გეთაყვა, კარს მოეფარე, სადმე კუთხეში მიჯექი, გაიხსენე წინანდელი სისპეტაკე და იტირე, იქნებ ღმერთმა შეგინდოს ცოდვები! გასწი, გასწი, არ გეხუმრები. იმაზე უკეთ არაფერი მოიყვანს კაცს ჭკუაზე, როგორც ძველის მოგონება და მონანიება. მაგრამ ზედმეტი გამოდგა იმის თქმა, არ გეხუმრებიო. როგორც ნიადაგ ლოთ ხალხს სჩვევია, გენერალიც ძლიერ გულჩვილი იყო და, ლოთობას გადაყოლილთა მსგავსად, სვებედნიერი წარსულის მოგონებას ეგრე იოლად ვერ უძლებდა. ამიტომ წამოდგა და ისე მორჩილად წაჩიქჩიქდა კარებისკენ, რომ ლიზავეტა პროკოფიევნას ცოდვით გული აუდუღდა და მყის უკან მიაძახა:

– არდალიონ ალექსანდროვიჩ, დაიცა, გენაცვა! ყველა ცოდვის შვილები ვართ; როცა იგრძნო, სინდისი ნაკლებ გქენჯნის, ადექი და ჩემსა მოდი, დავსხდეთ, წარსული მოვიგონოთ. ვინ იცის, შენზე მეტად ასჯერ ცოდვილი ვიყო; ახლა კი მშვიდობით, წადი, წადი, აქ არაფერი დაგრჩენია... – შეეშინდა ქალს, არ დაბრუნდესო.

კოლია მამას გაედევნა, მაგრამ თავადმა შეაჩერა.

– ჯერ ნუ გაჰყვებით, თორემ ერთი წუთის შემდეგ თავის თავზე მოუვა გული და ეს წუთი უქმად ჩაუვლის.

– სწორია, ნახევარ საათში მიაკითხე, – გადაწყვიტა ლიზავეტა პროკოფიევნამაც.

– აი, რას ნიშნავს, ერთხელ მაინც რომ მართალს იტყვი, შენს ცხოვრებაში, ლამის იტირა! – თავისი ჩააკერა ლებედევმა.

– შენც კაი ვინმე ბრძანდები, გეთაყვა, თუკი რაც შენზე მითხრეს, მართალია, – მყისვე შეუტია ლიზავეტა პროკოფიევნამ.

თავადთან შეყრილ სტუმართა დამოკიდებულება ნელინელ გაირკვა. თავადმა, ცხადია, დააფასა გენერლის მეუღლისა და მისი ქალების ყურადღება და არ დაუმალა, რომ თავისი უქეიფობისა და იმის მიუხედავად, რომ უკვე გვიანი იყო, მათ მობრძანებამდეც ჰქონდა გადაწყვეტილი, დღესვე უთუოდ ხლებოდა მათ. ლიზავეტა პროკოფიევნამ მის სტუმრებს თვალი გადაავლო და უთხრა, არც ახლააო გვიან. პტიცინი ზრდილობიანი და ხათრიანი კაცი იყო, ამიტომ სასწრაფოდ წამოდგა, ლებედევის ფლიგელს მიაშურა და თან ლებედევის წაყვანაც მოინდომა. ლებედევი შეჰპირდა, მალე მოვალო. ამასობაში ვარიამ გენერლის ქალებს ლაპარაკი გაუბა და დარჩა. მამის წასვლა მასა და განიას ფრიად გაეხარდათ. განიაც მალე მიჰყვა პტიცინს. რაც ტერასაზე იყო, მთელი ის ხანი მოკრძალებითა და ღირსებით ეჭირა თავი. არც მაშინ დაბნეულა, როცა ლიზავეტა პროკოფიევნამ ერთი ორჯერ თავით ფეხამდე ამრეზით

შეათვალიერა; მის ძველ ნაცნობებს მართლაც შეიძლებოდა ეფიქრა, ძალზე გამოცვლილაო. აგლაიას ძალზე მოეწონა განიას თავდაჭერა.

– გავრილა არდალიონოვიჩი არ იყო, რომ გავიდა? – იკითხა უეცრივ, როგორც ზოგჯერ სჩვეოდა ხოლმე ხმამაღლა და მკვახედ სხვათა ლაპარაკის გაწყვეტა და კითხვის მიცემა.

– ის იყო, – მიუგო თავადმა.

– ძლივს ვიცანი, ძალზე გამოცვლილა და... უკეთესი გამხდარა.

– სასიამოვნოა, თუ ეგრე ფიქრობთ, – თქვა თავადმა.

– მერე რა ავად იყო, – დაუმატა გახარებულმა ვარიამ.

– ვითომ რით გამხდარა უკეთესი? – გაიკვირვა და გაჯავრდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – საიდან მოიტანე რა მოგეჩვენა უკეთესი?

– „ბეჩავ რაინდზე“[76] უკეთესი მაინც არავინ იქნება! – შესძახა უეცრივ კოლიამ, რომელიც ლიზავეტა პროკოფიევნას ედგა გვერდით.

– მეც ეგრე მგონია, – გაეცინა თავად შჩ-ს.

– ჩემი ფიქრითაც ეგრეა, – გამოაცხადა ადელაიდამ.

– რომელ „ბეჩავ რაინდზე“ ლაპარაკობთ? – იკითხა განცვიფრებულმა გენერლის მეუღლემ და მწყრალად გადახედა ყველას, მაგრამ რომ შეამჩნია, აგლაია აილანძაო, ბრაზით დაატანა – რაღაც სისულელე იქნება ალბათ! ვინ არის „ბეჩავი რაინდი“?

– რა გიკვირთ, ვითომ პირველად ამახინჯებს სხვის სიტყვებს ეგ თქვენი გათამამებული ბიჭი?! – მედიდური აღშფოთებით უთხრა აგლაიამ.

რა გინდა მართლა არ გაბრაზებულიყო აგლაია და რა უწყალოც არ ყოფილიყო ეს გაბრაზება (ბრაზი კი ხშირად ეკიდებოდა), მაინც ისეთი ბავშვური რაღაც იგრძნობოდა მის გულის მოსვლაში, ისეთი მოწაფური სულსწრაფობა გამოსჭვიოდა, უხეიროდ დამალული, რომ კაცი ძნელად შეიკავებდა სიცილს. რა აცინებთ, როგორ მიბედავენ დაცინვასო, უკვირდა და ჯავრობდა ხოლმე ამაზე აგლაია მუდამ. დებს ახლაც აუტყდათ სიცილი, გაეცინა თავად შჩ–ს და რატომღაც წამოწითლებულ ლევ ნიკოლაევიჩსაც მოერია ღიმი. კოლია ხომ ნიშნისმოგებით ხარხარებდა. აგლაიას მართლაც ძალიან მოუვიდა გული და უფრო მეტად დამშვენდა. ეს დამორცხვება და ეს ბრაზი, რად დავირცხვინეო, მეტისმეტად მიმზიდველს ხდიდა.

– განა თქვენი ნათქვამი ცოტაჯერ დაუმახინჯებია, – გაიმეორა ისევ.

– რაც თქვით, მეც ის გავიმეორე! – გამოსძახა კოლიამ. – თქვენ არ იყავით, ამ ერთი თვით წინათ „დონ-კიხოტს“ რომ ფურცლავდით და შესძახეთ, „ბეჩავ რაინდს“ არავინ სჯობიაო. არ ვიცი. მაშინ ვისზე ლაპარაკობდით, დონ-კიხოტზე, ევგენი პავლოვიჩზე თუ ერთ პიროვნებაზე, ეს კია, ვიღაცაზე ლაპარაკობდით და კარგა გრძელი საუბარიც გქონდათ...

– იცი, თავს ნუ გაგივიდა ბოლს და ბოლოს, – გააწყვეტინა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– მარტო მე ხომ არ ვამბობ? – არ ცხრებოდა კოლია, – მაშინ ყველამ ასე თქვა და ახლაც ეს გაიმეორეს თავადმა შჩ-მ, ადელაიდამ თუ სხვებმა, ჩვენც „ბეჩავი რაინდი“ გვირჩევნია. მაშასადამე, „ბეჩავი რაინდი“ უთუოდ არსებობს. ადელაიდა ივანოვნას ბრალია, თორემ „ბეჩავი რაინდის“ ვინაობა, ჩემის აზრით, ყველას დიდი ხანია გვეცოდინებოდა.

– ჩემი რა ბრალია, – კისკისებდა ადელაიდა.

– სურათის დახატვა არ მოისურვეთ და იმიტომ! აგლაია ივანოვნამ არ გთხოვათ მაშინ, „ბეჩავი რაინდი“ დახატეთო, სიუჟეტიც გიამბოთ, თავისი მოგონილი. არც სიუჟეტი გახსოვთ განა არ მოინდომეთ და ესაა...

– აბა რა დამეხატა, ვინ დამეხატა? სიუჟეტის მიხედვით ეს „ბეჩავი რაინდი“ გამოდის თვალს და სახეს, გულსა და სულს რკინის ღობეს აფარებდა. რა სახე გამოვიდოდა ნეტავ რა დამეხატა რკინის ღობე ანონიმი?

– არ მესმის, რის ღობე, რა ღობეო! – თანდათან მეტად ფიცხობდა გენერლის მეუღლე, რომელიც მშვენივრად ჩამხვდარიყო უკვე, ვინ იგულისხმებოდა ამ (ალბათ, კარგა ხნის წინათ შერქმეულ) „ბეჩავ რაინდში“. მაგრამ ყველაზე უფრო კი იმან გახეთქა გულზე, თავადი ლევ ნიკოლაევიჩიც რომ გაწითლდა და ბოლოს ათი წლის ბიჭივით დაირცხვინა. – აღარ მოათავებთ მაგ სისულელეს აღარ იტყვით, ვინაა ეს „ბეჩავი რაინდი“? ისეთი რა საიდუმლოა, გამხელა არ შეიძლებოდეს.

სიცილი მაინც არ ცხრებოდა.

– უბრალოდ, ერთი უცნაური რუსული ლექსია ჩვენში „ბეჩავ რაინდზე“, – საუბრის მისაფუჩეჩებლად ჩაერია ბოლოს თავადი შჩ-ი, – არც თავი აქვს და არც ბოლო. ამ ერთი თვის წინათ, ნასადილევს ყველანი ვიცინოდით და, ჩვეულებისამებრ, ადელაიდა ივანოვნას სურათის სიუჟეტს ვეძებდით. როგორც მოგეხსენებათ, მთელი ოჯახის საზრუნავს დიდი ხანია ადელაიდა ივანოვნასთვის სურათის სიუჟეტის მონახვა შეადგენს. ჰოდა, მაშინ იყო „ბეჩავ რაინდზე“ ჩამოვარდა სიტყვა, ოღონდ ვინ ახსენა პირველად, არ მახსოვს...

– ვინა და აგლაია ივანოვნამ! – შესძახა კოლიამ.

– შესაძლოა ეგრე იყო, ოღონდ არ მახსოვს, – განაგრძო თავადმა. – ზოგმა სასაცილოდ აიგდო, ზოგმა დიდად მოიწონა თავი. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, „ბეჩავი რაინდის“ დასახატად სახე კი იყო საჭირო. ხან ვისზე ვთქვით, ხან ვისზე, მაგრამ ვერავინ შევარჩიეთ და თავი დავანებეთ. არ ვიცი, ნიკოლაი არდალიონოვიჩს რამ მოაგონა ეს ამბავი ან რატომ თქვა რაც იმ დროს სასაცილო და დროული იყო, ახლა არაფერი საინტერესოა.

– ალბათ რაღაც ახალი სისულელე იგულისხმება, სხვისი გასამწარებელი, – მოუჭრა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– სისულელე არა და უღრმესი პატივისცემა კი, – დინჯად და მედიდურად ჩაურთო აგლაიამ უცებ. მას უკვე გამოკეთებოდა გუნება და დარცხვენის ნატამალიც არ ემჩნეოდა. პირიქით, ისიც შეიძლებოდა გეფიქრა, თვითონვე უხარია ახლა, ხუმრობამ რომ ასე შორს შეტოპა და გუნებაც სწორედ მაშინ გამოუკეთდა, როცა თავადს მეტისმეტად აშკარად დაეტყო დარცხვენა და დაბნეულობა.

– ხან გიჟებივით იცინიან, ხან უღრმესი პატივისცემა ებადებათ უეცრად! დამთხვეულები! პატივისცემა ვითომ რატომაო ახლავე მითხარი, საიდან გაგიჩნდა ერთბაშად ეგ უღრმესი პატივისცემა?

– იმიტომ რომ, – ისევე დინჯად და მედიდურად მიაგება პასუხი აგლაიამ დედის ბრაზიან კითხვას, – იმიტომ, რომ ლექსში ისეთი კაცია გამოყვანილი, ვისაც ძალუძს იდეალი იქონიოს, იწამოს და ბრმად შესწიროს კიდეც სიცოცხლე. ჩვენ დროში კი ამას იშვიათად ნახავ. თუ რა შეადგენს „ბეჩავი რაინდის“ იდეალს, ეს ლექსში პირდაპირ არაა თქმული, მაგრამ ეტყობა კი, უმწიკვლო, „უზადო სიტურფის“ ხატება უნდა ყოფილიყო, გამიჯნურებულ რაინდსაც შარფის ნაცვლად ამიტომ კრიალოსანი უკიდია ყელზე. ესეც კია, რაღაც დევიზი იხსენიება კიდევ გაურკვევლად, ასოები ა. ნ. ბ., რომელიც ფარზე ეწერა რაინდს და...

– არა, ა. ნ. დ იყო, – შეუსწორა კოლიამ.

– ა. ნ. ბ.-მეთქი, ასე ვთქვი და ასეც უნდა იყოს, – გაჯავრებით გააწყვეტინა აგლაიამ, – ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ ბეჩავი რაინდისთვის სულ ერთი გახლავთ, ვინ იყო და რას ჩაიდენდა მისი გულის რჩეული. რაკი ერთხელვე აირჩია და მისი „უზადო სიტურფე“ იწამა,

მთელი სიცოცხლე მერე სათაყვანებელ ხატად გაიხადა. მისი ვაჟკაცობაც სწორედ ისაა, რომ შემდეგში, ვთქვათ და მის გულის სატრფოს კიდეც ექურდა, მაინც ხატად უნდა ჰყოლოდა და მისი უზადო სიტურფისთვის ყველას შებმოდა. პოეტს ალბათ ვინმე სპეტაკი, დიდსულოვანი რაინდის სახით შუასაუკუნეების რაინდული სიყვარულის გამოხატვა სურდა. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მხოლოდ იდეალია. ეს გრძნობა კი „ბეჩავ რაინდში“ უკიდურეს წერტილამდე, ასკეტიზმამდეა აყვანილი. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი სიყვარულის ნიჭი ბევრ რასმე ნიშნავს, რომ ასეთი გრძნობები ხასიათის სიღრმეს მოწმობს და, ერთის მხრივ ფრიად საქებურიც გახლავთ, დონ-კიხოტზე რომ არაფერი ვთქვათ. „ბეჩავი რაინდი“ იგივე დონ-კიხოტია, ოღონდ სერიოზული და არა სასაცილო. თავდაპირველად არ მესმოდა და სასაცილოდ ვიგდებდი, ახლა კი, მიყვარს „ბეჩავი რაინდი“ და, რაც მთავარია, მის გმირობას პატივს ვცემ, – დააბოლოვა აგლაიამ, თუმცა მართლა ლაპარაკობდა თუ მასხრობდა, ამის გარჩევა ძნელი იყო.

– ალბათ რეგვენი იყო და რეგვნულადაც იქცეოდა! – გადაწყვიტა გენერლის მეუღლემ. – შენც გადაამლაშე, ჩემო კარგო, მთელი ლექცია წაგვიკითხე ჩემის ფიქრით, არც შეგფერის ეს. ყოველ შემთხვევაში, არავინ მოგიწონებს. რა ლექსია წაგვიკითხე, ალბათ გეცოდინება! მინდა უთუოდ მოვისმინო. მთელი სიცოცხლე ჭირივით მძულდა ლექსები, თითქოს გული მიგრძნობდა. ღვთის გულისათვის, მოითმინე, თავადო, ეტყობა, მე და შენ ასე გვიწერია. – ლიზავეტა პროკოფიევნა ერთობ გაჯავრებული ჩანდა.

თავადმა ლევ ნიკოლაევიჩმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისე იყო დარცხვენილი, სიტყვა ვერ დაძრა. აგლაიას კი სულაც არ დასტყობია დარცხვენა, პირიქით, გახარებულიც ჩანდა, თუმცა ასე გადაამლაშა „ლექციით“. ისევე მედიდურად და დინჯად გამოვიდა იგი შუა ტერასაზე და სავარძელში მჯდომ თავადს დაუდგა წინ, თითქოს ადრევე ჰქონდა ეს განზრახული და მხოლოდ მიპატიჟებას ელოდა. ყველა – თავადი შჩ-ი, დები, დედა გაკვირვებულნი შესცქეროდნენ, თითქმის ყველას უსიამოდ დარჩათ ეს ახალი და, ცოტა არ იყოს, გადამლაშებული ოინი. მაგრამ აგლაიას კი, ეტყობა, ლექსის წაკითხვის ცერემონიის სწორედ ეს აფექტაცია მოსწონდა. ლიზავეტა პროკოფიევნამ ლამის იყო უკანვე გააბრუნა, მაგრამ იმ დროს, როცა აგლაიამ ამ ბალადის კითხვა დაიწყო, ქუჩის მხრიდან ტერასაზე ლაპარაკ-ლაპარაკით ორი ახალი სტუმარი შემოვიდა. ერთი გენერალი ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინი გახლდათ, მეორე – ვიღაც ყმაწვილი კაცი. მათმა შემოსვლამ ცოტაოდენი ჩოჩქოლი გამოიწვია.

VII

ყმაწვილი კაცი, რომელიც გენერალს ახლდა, ასე, ოცდარვა წლის იქნებოდა, მაღალი, ტანადი, მშვენიერი, ჭკვიანური გამომეტყველებით. მისი შავი, დიდრონი თვალები, ცოცხლად და დაცინვით იყურებოდნენ. აგლაიას არც შეუხედია ყმაწვილისთვის, კითხვა განაგრძო; იგი მხოლოდ თავადს უმზერდა და მხოლოდ მას მიმართავდა. თავადისთვის აშკარა იყო, რომ აგლაია ამას რაღაც განსაკუთრებული მიზნით სჩადიოდა. ეს კია, ახალმა სტუმრებმა ცოტაოდენ მაინც იხსნა საჩოთირო მდგომარეობიდან. დაინახა თუ არა ისინი, წამოდგა, თავაზიანად დაუკრა თავი შორიდან გენერალს, ანიშნა, კითხვას ნუ გააწყვეტინებთო, და სავარძლის უკან მიდგა, მარცხენა ხელი სავარძლის ზურგზე ჩამოდო და ბალადის მოსმენა, ასე ვთქვათ, უფრო მოხერხებულ მდგომარეობაში განაგრძო; სავარძელში, ცოტა არ იყოს, „სასაცილოდ“ გრძნობდა თავს. ლიზავეტა პროკოფიევნამაც, თავის მხრივ, ორჯერ აუქნია ხელი შემოსულებს, გაჩერდითო. ისიც უნდა ითქვას, რომ თავადს მეტისმეტად აინტერესებდა გენერალს

მოყოლილი სტუმარი. მიხვდა, ევგენი პავლოვიჩ რადომსკი იქნებაო, რომელზეც ბევრი რამ გაეგონა და არაერთხელ უფიქრია. ოღონდაც მისმა სამოქალაქო ტანსაცმელმა დააბნია რამდენადმე. გაგონილი ჰქონდა, ევგენი პავლოვიჩი სამხედრო კაცი არისო. ლექსის კითხვისას დამცინავი ღიმილი არ მოშორებია ახალ სტუმარს ბაგეზე, თითქოს მასაც მოეკრა ყური „ბეჩავი რაინდის“ ამბისთვის. ვინ იცის, სულაც მისი მოგონილიაო, – გაიფიქრა თავადმა. ახლა სულ სხვა გუნებაზე დამდგარიყო აგლაია. თავდაპირველად ასეთი დიდი ამბითა და აფექტაციით დაწყებული კითხვა შემდეგ ისეთი სერიოზული ტონით შეცვალა, პოეტური ნაწარმოების სული და აზრი ისე გულშიჩამწვდომად განაგრძო, ყოველ სიტყვას ისეთი გამოთქმით, უბრალოებით ამბობდა, რომ დასასრულს არა მარტო ყველა გაიტაცა, ბალადის მაღალი აზრის გადმოცემით თითქოს ნაწილობრივ გაამართლა კიდეც ის დიდი ეფექტურობა, რითაც შუა ტერასაზე გამოვიდა. ახლა მხოლოდ უსაზღვრო და უაღრესად გულუბრყვილო პატივისცემა იგრძნობოდა იმისა, რისი გადმოცემაც ეკისრა. თვალები გაბრწყინებოდა, შთაგონებისა და აღტაცების ოდნავ შესამჩნევმა აღმაფრენამ ორჯერ გადაურბინა მშვენიერ სახეზე. მან წაიკითხა:

ერთი ბეჩავი რაინდი
იყო ქუჩაში, სიტყვამვირი,
სახეზე სულ ეკრა ბინდი,
მაგრამ სულით იყო გმირი.
გონებისთვის შეუცნობმა,
ერთმა რაღაც მოჩვენებამ
მთლად შეიპყრო მისი გრძნობა
და აუნთო გულში გზნება.
და მას მერე დადაგული,
ქალთ აპყრობდა ცერად თვალებს.
სიკვდილამდე განზრახული
ჰქონდა – შორს გასცლოდა ქალებს.
შარფის ნაცვლად მერე კი სულ
კრიალოსანს ატარებდა.
თვალს და სახეს, გულსა და სულს
რკინის ღობეს აფარებდა.
მან, დაჭრილმა ტრფობის ისრით,
და ოცნების მონამ მარად,
A.N.D. საკუთარ სისხლით
წააწერა ფარს ამგვარად.
და მაშინ, რომ პალესტინის
უდაბნოში რაინდები,
შეპყრობილნი ბრძოლის ჟინით,
ქალთ სახელებს ჭექდნენ გზნებით,
Lumen coeli santa Rosa! -
გაჰყვიროდა ის მრისხანე,
და მეხივით ასპარეზზე
ზაფრას სცემდა მუსულმანებს.
როს დაბრუნდა მშობელ მხარეს,
განმარტოვდა კოშკში ისევ
და ცხოვრობდა სულ მწუხარე,
მოკვდა, როგორც გიჟი, ისე.

როცა შემდეგ ამ წუთს იხსენებდა, საგონებელში ჩავარდნილ თავადს დიდხანს აწვალებდა ერთი კითხვა, დიდხანს ვერ გადაეწყვიტა როგორ შეიძლებოდა ესოდენ ჭეშმარიტ, მშვენიერ განცდას ესოდენ აშკარა, ბოროტი დაცინვა შერწყმოდა რომ დასცინოდა, ეს ცხადი იყო. აშკარად მიხვდა და მიზეზიც ჰქონდა საამისო. კითხვისას აგლაიამ ასოები ა.მ.დ. თავისი ნებით ნ.ფ.ბ.-დ შეცვალა. შეცდომით რომ არ მოსვლია და არც მოსჩვენებია, ეჭვი არ იყო (შემდეგში კიდეც დადასტურდა ეს). ასეა თუ ისე, აგლაიას ეს მეტად უკმეხი და ქარაფშუტული ოინი წინასწარ მოფიქრებული უნდა ჰქონოდა. „ბეჩავი რაინდის“ ამბავი ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინ ეკერა ყველას პირზე (და „იცინოდნენ“). მაგრამ რამდენსაც არ იხსენებდა შემდეგში თავადი ამ ამბავს, რწმუნდებოდა, რომ აგლაიამ ეს ასოები ხუმრობაგაშვებით თქვა, არც დაცინვის ნატამალი დამჩნეოდა, არც ხაზგასმით წარმოუთქვამს, რა არის, მათი მალული აზრი უფრო საჩინოდ გაეხადა, პირიქით, ისეთი სიდინჯით, ისეთი გულუბრყვილო და უმანკო უბრალოებით გამოუვიდა, თითქოს სწორედ ეს ასოები ეწერა ბალადაში და ასე იყო წიგნში დაბეჭდილი. რაღაც მწვავედ, უსიამოდ მოხვდა გულში თავადს. ლიზავეტა პროკოფიევნა, ცხადია, ვერაფერს მიხვდა და ვერც გადაკრულს ჩასწვდა. გენერალმა ივან ფიოდოროვიჩმა მხოლოდ ის გაიგო, ლექსს კითხულობენო, დანარჩენებიდან ბევრი მშვენივრად მიხვდა და კიდეც განაცვიფრათ აგლაიას საქციელმა და გაბედულმა განზრახვამ, ოღონდაც არაფერი თქვეს და არ შეიმჩნიეს. მაგრამ ევგენი პავლოვიჩი (თავადი სანაძლეოსაც დადებდა) არათუ მიხვდა, შეეცადა კიდეც გამოეჩინა, მივხვდიო! მეტისმეტად დამცინავად იღიმებოდა.

– ეს რა მშვენიერი ლექსია! – ჭეშმარიტი აღტაცებით შესძახა გენერლის მეუღლემ, – როცა კითხვა დამთავრდა, – ვისი დაწერილია?

– პუშკინისა. maman. ნუ მოგვჭერით თავი! – შესძახა ადელაიდამ.

– ისიც საკვირველია, თქვენ ხელში სულ არ გამოვჩერჩეტდი! – მწარედ გაეხმაურა ლიზავეტა პროკოფიევნა. – სირცხვილო და თავის მოჭრავ! როგორც კი დავბრუნდებით შინ, პუშკინის ეს ლექსი მაშინვე მომინახეთ!

– მგონი, პუშკინი არც უნდა გვქონდეს.

– რაღაც ადამჟამინდელი ორი დაფხრეწილი ტომი გვიგდია, – დაუმატა ალექსანდრამ.

– ახლავე ფიოდორი ან ალექსეი გამიგზავნეთ ქალაქში საყიდლად პირველივე მატარებლით, თუმცა ალექსეი სჯობს. აგლაია, აქ მო! მაკოცე ერთი, მშვენივრად წაიკითხე. მაგრამ თუ გულწრფელად წაიკითხე, – დასძინა თითქმის ჩურჩულით, – მაშინ მებრალები; ხოლო თუ მისი მასხრად აგდება გინდოდა, გულისთქმას ვერ მოგიწონებ, გერჩივნა, სულაც არ წაგეკითხა. გამიგე ახლა კი წადი, ქალბატონო, კიდევ მოგელაპარაკები, სტუმრობა კი გაგვიგრძელდა. ამასობაში თავადი გენერალ ფიოდოროვიჩს მიესალმა. გენერალმა ევგენი პავლოვიჩ რადომსკი გააცნო.

– გზაში შემხვდა, ამ მატარებელს ჩამოჰყვა. რომ გაიგო, აქ მოვდიოდი და ჩვენებიც აქ იყვნენ...

– და თქვენც აქ მობრძანდებოდით, – გააწყვეტინა ევგენი პავლოვიჩმა, – დრო აღარ დავკარგე, რაკი დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს არა მარტო თქვენი გაცნობა, დაახლოებაც. შეუძლოდ ბრძანდებით ეს-ესაა შევიტყვე...

– სრულიად ჯანმრთელად ვარ და ძალიანაც გამიხარდა თქვენი გაცნობა. თავად შჩ-სგან ბევრი მსმენია თქვენზე და ბევრიც გვილაპარაკია, – მიუგო ლევ ნიკოლაევიჩმა და ხელი გაუწოდა.

გაცნობა მოხდა, ხელიც ჩამოართვეს ერთმანეთს, და მერე კი თვალი თვალში გაუყარეს. საუბარმა მყის საერთო ხასიათი მიიღო. თავადმა შენიშნა (მის გაფაციცებულ თვალს ახლა არაფერი ეპარებოდა, ისიც კი, რაც იქნებ არ არსებობდა), რომ ევგენი პავლოვიჩის სამოქალაქო ტანსაცმელმა ყველა რაღაც საოცრად გააოცა და იმ ზომამდეც, რომ სხვა შთაბეჭდილებანი

დროებით მიავიწყდათ. თითქოს ტანსაცმლის გამოცვლა რაღაც დიდ ამბავს ნიშნავდა. ადელაიდა და ალექსანდრა განცვიფრებით ეკითხებოდნენ ევგენი პავლოვიჩს ამაზე. მისი ნათესავი თავადი შჩ-ი დიდად შეწუხებული ჩანდა. გენერალი აღელვებული ლაპარაკობდა. მარტოოდენ აგლაიამ ცნობისმოყვარედ, ოღონდ გულმშვიდად შეავლო თვალი, თითქოს ამოწმებს, რომელი უფრო უხდება, სამხედრო თუ სამოქალაქოო, და მერე მყისვე იბრუნა პირი. არც ლიზავეტა პროკოფიევნას უკითხავს რამე, თუმცა იქნებ, ისიც აეტანა შფოთს. თავადის დაკვირვებით, გენერლის მეუღლე ევგენი პავლოვიჩს დიდად არ სწყალობდა.

– გამაკვირვა და განმაცვიფრა! – გაიძახოდა ივან ფიოდოროვიჩის შეკითხვების პასუხად. – წელან, პეტერბურგში რომ დავინახე, თვალებს არ დავუჯერე. ასე უეცრად რა იყო ვითომ თვითონ არ გაიძახის, სკამების მტვრევა რა საჭიროაო.

საუბრიდან გამოირკვა, რომ ევგენი პავლოვიჩს რა ხანია გამოეთქვა სამსახურიდან გამოსვლის სურვილი. მაგრამ ისე არასერიოზულად ლაპარაკობდა თურმე, არავინ დაუჯერა. სერიოზული საქმეებისაც ხომ ასეთი გამასხრება სჩვეოდა, კაცი ვერაფერს მიუხვდებოდა, მეტადრე თუ თვითონ მოინდომებდა მას.

– მე ხომ დროებით დავანებე თავი, რამდენიმე თვით, დიდი-დიდი ერთი წლით, – ხარხარებდა რადომსკი.

– რამდენადაც თქვენი ამბები ვიცი, არა მგონია, საჭირო ყოფილიყო, – ცხარობდა კვლავ გენერალი.

– მაშ, მამულებს ვინ მოუაროს განა თქვენ თვითონ არ მირჩევდით; თან საზღვარგარეთაც ვაპირებ წასვლას...

საუბარი მალე შეიცვალა; მაგრამ მეტისმეტად უცნაური, ზომიერების საზღვარს გადასული მღელვარება კვლავ იგრძნობოდა და ალბათ რაღაც საგულისხმო იმალებოდა ამაში, თავადის დაკვირვებით.

– მაშ, „ბეჩავი რაინდი“ კვლავ სცენაზეა? – მიუახლოვდა ევგენი პავლოვიჩი აგლაიას.

თავადის განსაცვიფრებლად, აგლაიამ ისეთი გაკვირვებით ახედა რადომსკის, თითქოს აგრძნობინა, ჩვენ შორის „ბეჩავი რაინდზე“ ლაპარაკიც კი დაუშვებელია და არც მესმის, რას მეკითხებითო.

– ახლა გვიანაა, გვიან, ქალაქში პუშკინის საყიდლად კაცის გაგზავნა! – თავგამოდებით ეკამათებოდა კოლია ლიზავეტა პროკოფიევნას, – სამი ათასჯერ გეუბნებით, გვიანაა-მეთქი.

– მართლაც გვიანაა ახლა ქალაქში კაცის გაგზავნა, – აქაც ჩაურთო თავისი ევგენი პავლოვიჩმა და სასწრაფოდ მოსცილდა აგლაიას, – ალბათ, დუქნებიც დაკეტილი იქნება პეტერბურგში, ცხრა დაიწყო უკვე, – დაემოწმა ის და საათი ამოიღო.

– ამდენი ხანია არ გვქონია, არავის მოუკლავს თავი, ხვალამდეც შეიძლება მოვითმინოთ, – ჩაერია ადელაიდაც.

– არც ეკადრება მაღალი წრის ხალხს ლიტერატურით მაინცდამაინც დაინტერესება, – დასძინა კოლიამ, – აბა, ევგენი პავლოვიჩს ჰკითხეთ ერთი. წითელბორბლება ყვითელი შარაბანი უფრო საინტერესო არ არის?..

– ესეც წიგნში ამოიკითხეთ, კოლია – შენიშნა ადელაიდამ.

– სხვანაირად არ შეუძლია, – აჰყვა ევგენი პავლოვიჩიც, – მთელ-მთელ წინადადებებს გააშანშალებს ხოლმე კრიტიკული წერილებიდან. ვიცი ნიკოლაი არდალიონოვიჩის ამბავი, მხოლოდ ამჯერად მწიგნობრული ენით არ ლაპარაკობს. ნიკოლაი არდალიონოვიჩმა ალბათ ჩემს წითელბორბლებთან ყვითელ შარაბანს ჩაუკაკუნა. ოღონდაც დაიგვიანეთ, უკვე გავცვალე.

თავადი ცალი ყურით უსმენდა რადომსკის... ყმაწვილ კაცს, მისი ფიქრით, მშვენივრად ეჭირა თავი, თავმდაბლად და მხიარულად. განსაკუთრებით ის მოეწონა, კოლიას ასე ტოლ-ამხანაგივით რომ ელაპარაკებოდა, თუმცა ის გადაკრულებს არ აკლებდა.

– ეგ რა არის? – მიუბრუნდა ლიზავეტა პროკოფიევნა ლებედევის ქალს ვერას, რომელსაც მშვენიერ ყდაში ჩასმული, კარგა დიდი ფორმატის, თითქმის ახალთახალი წიგნები ეჭირა ხელში და მის წინ გაჩერებულიყო.

– ჩვენი პუშკინია, – უთხრა ვერამ, – მამამ დამავალა, თქვენთვის მომერთმია.

– რას ამბობ? ეგ როგორ იქნება – გაიოცა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– საჩუქრად არა! საჩუქრად არა! ვით შეგკადრებდით! – გამოხტა ქალიშვილის წინ ლებედევი, – თავის ფასში, ბატონო. ეგ ჩვენი საოჯახო, საგვარეულო პუშკინი გახლავთ, ანენკოვის გამოცემული[77], ახლა სანთლით ვერ მოძებნის კაცი, – თავის ფასში ინებეთ, ბატონო. მოწიწებით მომირთმევია, რომ შეიძინოთ და თქვენმა აღმატებულებამ კეთილშობილური ლიტერატურული გრძნობების კეთილშობილური მოუთმენლობა დაიცხროთ.

– ჰო, თუ მომყიდი, მადლობელი დაგრჩები. ნუ გეშინია, შენსას არ დაგიკარგავ; ოღონდაც ნუ იმანჭები, გეთაყვა, შენზე გამიგონია, ნაკითხზე ნაკითხიაო; ჰოდა, ოდესმე დავსხდეთ, ვიმსჯელოთ ერთად, შენ მომიტან სახლში?

– მოწიწებითა და... პატივისცემით მოგართმევთ! – დაიმანჭა საოცრად ნასიამოვნები ლებედევი და თავის ქალს წიგნები გამოსტაცა ხელიდან.

– ოღონდ არ დამიკარგო და მომიტანე, პატივისცემას აღარ დავეძებ. ერთი პირობით კი, – დასძინა გენერლის მეუღლემ და დაკვირვებით შეავლო თვალი, – მოტანით მომიტანე, მაგრამ დღეს შენი სტუმრობის თავი არა მაქვს. ვერა კი გინდა ახლავე გამომიგზავნე, ძალიან მომეწონა.

– იმ ხალხზე რატომ არაფერს ეუბნებით? – მოუტრიალდა ვერა მამას, – ხომ იცით, მაინც შემოვლენ; აგერ, ყვირიან უკვე. ლევ ნიკოლაევიჩ, – უთხრა მან თავადს, რომელსაც უკვე ქუდი აეღო ხელში, – რა ხანია ვიღაცები გელოდებიან, ოთხი კაცია, ჩვენსას იცდიან და ილანძღებიან, მამა არ უშვებს თქვენთან.

– ვინ არიან? – ჰკითხა თავადმა.

– საქმეზე ვართო, იძახიან. მაგრამ თუ ახლავე არ შემოუშვით, ვიცი, გზაში დაგიხვდებიან მაინც. სჯობს, შემოუშვათ, ლევ ნიკოლაევიჩ და ბარემ თავიდან მოიშოროთ. გავრილა არდალიონოვიჩი და პტიცინი ბევრს ეჩიჩინენ, მაგრამ ვერას გახდნენ.

– პავლიშჩევის ვაჟი ვარო! პავლიშჩევისო! არა ღირს, არა! – ხელებს აქნევდა ლებედევი. – ყურიც არ უნდა ათხოვო მაგათ კაცმა; თავის შეწუხება მაგათთვის დიახაც არ გეკადრებათ, ბრწყინვალე თავადო, რა ღირსნი არიან...

– პავლიშჩევის ვაჟიო! ღმერთო ჩემო! – სახტად დარჩა თავადი, – ვიცი... მაგრამ... მაგრამ ეგ საქმე ხომ გავრილა არდალიონოვიჩს მივანდე. ეს-ესაა გავრილა არდალიონოვიჩმა მითხრა...

გავრილა არდალიონოვიჩი უკვე ტერასაზე გამოსულიყო; უკან პტიცინი მოჰყვებოდა. ტერასის მახლობელ ოთახში ღრიანცელი შეიქნა. ამ ღრიანცელში გენერალ ივოლგინის ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ეტყობოდა, სხვების ხმის დაფარვას ცდილობდა. კოლია მყისვე იქით გაქანდა.

– ძალიან საინტერესოა! – გამოაცხადა ევგენი პავლოვიჩმა.

„მაშ იცის, რაშია საქმე!“ – გაიფიქრა თავადმა.

– პავლიშჩევის ვაჟიაო? ან... ან საიდან უნდა იყოს პავლიშჩევის ვაჟი? – კითხულობდა გაოცებული ივან ფიოდოროვიჩი. მაგრამ როცა ტერასაზე მყოფთ თვალი მოავლო, შენიშნა, რომ

მის გარდა ეს ახალი ამბავი ყველამ იცოდა. ყველა მართლაც აღელვებული ჩანდა, ყველა რაღაცას მოელოდა თითქოს. განცვიფრდა კიდეც თავადი, მისმა პირადმა საქმემ ასე რომ დააინტერესა ეს ხალხი.

– ძალიან კარგი იქნება, თუ ახლავე და თვითონვე მოათავებთ მაგ საქმეს, – მიუახლოვდა აგლაია თავადს მეტისმეტი სერიოზული სახით, – ჩვენ კი, თუ შეიძლება, მოწმეებად დავრჩებით. თქვენი ჩირქის მოცხება სურთ, თავადო, და თავი უნდა გაიმართლოთ. წინასწარვე გილოცავთ წარმატებას.

– მეც მინდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მორჩეს ეს უსინდისო პრეტენზია, – შესძახა გენერლის მეუღლემ, – არ დაინდო, თავადო, ლაზათიანად მოსცხე ერთი! პირდაპირ ყურები გამიჭედეს მაგ საქმით, სისხლი გამიშრეს შენი გულისთვის. თან ნახვაც მაინტერესებს მაგათი. აგლაიამ მშვენივრად მოიფიქრა. შემოიყვანე ეგენი, ჩვენ აქ ვიქნებით, თუ გსმენიათ ეს ამბავი, თავადო? – მიუბრუნდა თავად შჩ-ს.

– როგორ არა, თქვენსა მითხრეს. მაგ ყმაწვილების ნახვა მეც ფრიად მაინტერესებს, – მიუგო თავადმა შჩ-მ.

– მაშ, ნიჰილისტები ეგენი არიან?

– არა, ნიჰილისტებს მაგათ ვერ დავუძახებთ, – წინ წამოდგა ლებედევი, მღელვარებისაგან ისიც ლამის ცახცახებდა, – ეგენი სხვანი არიან, სხვა ჯურისა. ჩემმა დისწულმა მითხრა, ნიჰილისტებსაც უკან მოიტოვებენო. ტყუილად გგონიათ, თქვენო აღმატებულებავ, მოწმეებად რომ დარჩეთ, გააწითლოთ. არ გაწითლდებიან. რაც უნდა იყოს, ნიჰილისტებში მცოდნე ხალხი მაინც ურევია შიგადაშიგ, ზოგჯერ ნასწავლიც. ეგენი კი უფრო შორს წავიდნენ, იმიტომ რომ, პირველ ყოვლისა, საქმის ხალხია. ეს რამდენადმე ნიჰილიზმის შედეგიც შეიძლება იყოს, ოღონდ ყურმოკრული და არა უშუალო. არც ჟურნალის ფურცლებზე აცხადებენ თავს, პირდაპირ საქმეზე გადადიან. განა, რომ ვთქვათ, ვინმე პუშკინი უაზრობად მიაჩნიათ, ან რუსეთის დაქუცმაცების აუცილებლობას იჩემებენ, არა, ბატონო. ახლა უკვე პირდაპირ გაჰყვირიან თუ რამ ძალიან გინდა, უფლება გაქვს შეისრულო, არავითარ დაბრკოლებას არ შეუდრკე, თუნდაც რვა კაცის გაჟუჟვა დაგჭირდესო. არა, თავადო, მე მაინც არ გირჩევდით...

მაგრამ თავადი უკვე სტუმრების კარის გასაღებად წასულიყო.

– ალბათ დისწულმა დაგწყვიტათ გული და ცილს იმიტომ სწამებთ, ლებედევ, – ღიმილით მოუბრუნდა ის, – არ დაუჯეროთ, ლიზავეტა პროკოფიევნა. გარწმუნებთ, გორსკები და დანილოვები შემთხვევითი ამბავია, ესენი კი მხოლოდ... სხდებიან... ოღონდაც არ მინდოდა, თქვენი თანდასწრებით რომ... მაპატიეთ, ლიზავეტა პროკოფიევნა, შემოვუშვებ, ნახეთ და მერე გავიყვან. მობრძანდით, ბატონებო!

თავადს ახლა ის უფრო აწუხებდა და სტანჯავდა ვაითუ განზრახ მომიწყვეს ეს საქმე, სწორედ ამ მოწმეების თანდასწრებით, რომ თავი მომეჭრას და არ გავმართლდეო, მაგრამ ეს თავისი „წარმოუდგენელი გულბოროტობა და ეჭვიანობაც“ აღონებდა. ვისმე რომ მისი ფიქრები ამოეკითხა, ალბათ იქვე მოკვდებოდა სირცხვილით. იმ წუთს, როცა კარი გაიღო და მისი ახალი სტუმრები შემოვიდნენ, გულწრფელად სწამდა, ჩემებრ ზნედაცემული ამ ხალხში არავინ არისო.

შემოსული ოთხი ახალი სტუმარი იყო, მეხუთე – გენერალი ივოლგინი, რომელიც საშინლად აღელვებული, ქაქანით მოჰყვებოდა უკან. ეს უთუოდ ჩემ მხარეს დაიჭერსო! – ღიმილით გაიფიქრა თავადმა. კოლიაც იმათ შემოჰყვა და რაღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდა იპოლიტს, რომელიც სტუმრებში ერია. იპოლიტი ცალყბა ღიმილით უსმენდა.

თავადმა სტუმრები აქეთ-იქით ჩამოსვა. მაგრამ ვინც ამ პირტიტველა, უწლოვან ხალხს დაინახავდა, მთელი ეს ამბავი და ამის ირგვლივ შექმნილი აურზაური გასაკვირად დაურჩებოდა. ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინი, ვისაც, მაგალითად, ამ „ახალი საქმის“ არაფერი გაეგებოდა და არა იცოდა რა, დიახაც აღაშფოთა ამ ღლაპების დანახვამ და აღშფოთებას არც დამალავდა, თუ რომ თავისი ცოლის ესოდენ საკვირველ გულფიცხობას არ გაეჩერებინა თავადის ინტერესების მიმართ. მაგრამ ცალკერძ ცნობისმოყვარეობა და ცალკერძ კეთილი გული ეწეოდა დასარჩენად, იქნებ რამეში გამოვადგე ან ჩემმა ავტორიტეტმა მაინც გასჭრასო. მაგრამ როცა შემოსულმა გენერალმა ივოლგინმა შორიდან დაუკრა თავი, ისევ აღშფოთება მოერია, კოპები შეიკრა და გადაწყვიტა, კრინტიც არ დაეძრა.

ამ ოთხ პირტიტველა სტუმარში ერთი უკვე ოცდაათიოდე წლის კაცი იქნებოდა, სწორედ ის გადამდგარი პორუჩიკი როგოჟინის ამფსონთა წრიდან, ვინც კრივის ოსტატი იყო და თავის დროზე მთხოვნელებს თხუთმეტი მანეთით გაიკითხავდა ხოლმე. აშკარა იყო, რომ, ვითარცა ერთგული მეგობარი, სხვებს გულის გასამაგრებლად აჰკიდებოდა და თუ საჭირო იქნებოდა, დახმარებასაც გაუწევდა. დანარჩენთა შორის პირველი ადგილი და პირველი როლი იმას დაესაკუთრებინა, ვინც „პავლიშჩევის ვაჟად“ მონათლულიყო, თუმცა კი ანტიპ ბურდოვსკად გააცნო თავი საზოგადოებას. ყმაწვილ ბურდოვსკის ღარიბულად ეცვა, აჩაჩული სერთუკის სახელოებს ჭუჭყისაგან ბზიალი გაჰქონდა, გაქონილი ჟილეტი ყელამდე შეეკრა, პერანგი, მგონი, არც უნდა სცმოდა, შავი აბრეშუმის ყელსახვევი დაგრეხილი თოკივით ჩამოჰკონწიალებდა, დაუბანელი ხელები და დამუწუკებული სახე ჰქონდა. იგი საშუალოზე მომაღლო ტანის, ხმელ-ხმელი, ოცდაორი წლის ქერა ყმაწვილი იყო. მის სახეს არც ირონიისა და არც რეფლექსების ნიშანწყალი არ ეცხო. პირიქით, ზედ ეწერა, რარიგ გაებღინძა საკუთარი უფლების შეგნებას და ამასთან, ისიც ემჩნეოდა ნიადაგ, რომ რაღაც უცნაური სურვილი ჰქონდა, მუდამ შეურაცხყოფილი დარჩენილიყო და მუდამ შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. მისი გამოხედვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიამიტურ-თავხედური იყო, ლაპარაკი აღელვებული და აჩქარებული ჰქონდა, ენას ისე უკიდებდა, თითქოს სიტყვის გამოთქმა უჭირსო, როგორც ენაბლუსა თუ უცხოელებს სჩვევიათ, თუმცა კი წარმოშობით წმინდა წყლის რუსი გახლდათ. ბურდოვსკის მკითხველებისთვის უკვე ნაცნობი ლებედევის დისწული და კიდევ იპოლიტი მოჰყვებოდნენ. იპოლიტი ასე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილი იყო, მის ჭკვიანურ, ოღონდაც ნიადაგ გაგულისებულ სახეზე სენს საშინელი კვალი დაეტოვებინა. ჩონჩხად ქცეულს ზაფრანის ფერი დასდებოდა. თვალები უპრიალებდა, ლოყებზე ორი წითელი ლაქა უღვიოდა. წამდაუწუმ ახველებდა, ყოველ სიტყვაზე, ყოველ ამოსუნთქვაზე ხიხინებდა. ეტყობა, ჭლექი ძალზე მორეოდა. ორ-სამ კვირაზე მეტს ვერ გაატანსო, ასე იფიქრებდა მისი შემხედვარე. ძალზე დაღლილი ჩანდა და შემოსვლისთანავე სკამზე დაეშვა. დანარჩენებმა შემოსვლისას, ცოტა არ იყოს, ფეხი აითრიეს და თითქოს დაირცხვინეს კიდეც. თუმცა გაბღენძილი იერი არ დაუკარგავთ იმის შიშით, ღირსება არ შეგველახოსო, რაც საკვირველად არ ეხამებოდა იმ ადამიანების რეპუტაციას, რომლებიც საკუთარი ინტერესების გარდა ყოველგვარ დიდკაცურ წესებს, ზრდილობის უსარგებლო ჩვევებსა თუ ამ ქვეყნად ლამის ყველაფერს უარყოფდნენ.

– ანტიპ ბურდოვსკი, – წაიბლუკუნა საჩქაროდ „პავლიშჩევის ვაჟმა“.

– ვლადიმერ დოქტორენკო, – მკაფიოდ და გარკვევით გამოაცხადა ლებედევის დისწულმა, თითქოს ეამაყებაო ეს თავისი დოქტორენკობა.

– კელერი! – ჩაიბურტყუნა გადამდგარმა პორუჩიკმა.

– იპოლიტ ტერენტიევი! – მოულოდნელად წამოიყვირა უკანასკნელმა. ყველანი თავადის პირდაპირ ჩამოსხდნენ, წარდგენის შემდეგ ყველამ მყისვე სახე მოღუშა, მერე გულის მოსაცემად ქუდები ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანეს და სალაპარაკოდ მოემზადნენ. მაგრამ არც ერთს არ ამოუღია ხმა. ისე გამომწვევად სდუმდნენ, თითქოს სახეზე ეწერათ „ვერა, ძმაო, ჭკუაში ვერ მოგვატყუებო!“ ისიც იგრძნობოდა, საკმარისი იყო ვისმე ერთი სიტყვა წამოსცდენოდა, ყველა ერთად აყაყანებულიყო და ერთმანეთისთვის სათქმელი არ დაეცლიათ.

VIII

– ბატონებო, არ მეგონა, თუ მეწვეოდით, – დაიწყო თავადმა, – დღემდე მეც ავად გახლდით. თქვენი საქმე (მიუბრუნდა ანტიპ ბურდოვსკის) ამ ერთი თვის წინ გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინს მივანდე, რაც მაშინვე შემოგითვალეთ. ისე არ გამიგოთ, თითქოს თავს ვარიდებ და პირადად არ მინდა მოგელაპარაკოთ, ოღონდაც თქვენც დამეთანხმებით, რომ ახლა საამისო დრო არ არის... ერთი სიტყვით, სჯობს, სხვა ოთახში გავიდეთ, თუკი დიდხანს არ დამახანებთ... ახლა აქ ჩემი მეგობრებია და მერწმუნეთ...

– მეგობრები... ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ იმას კი გეტყვით, – გააწყვეტინა უეცრივ ლებედევის დისწულმა ფრიად დამრიგებლური კილოთი და არც ხმა აუმაღლებია მაინცდამაინც, – რომ ურიგო არ იქნებოდა, მეტი თავაზიანობა გამოგეჩინათ და ორი საათი არ გეყურყუტებინეთ საფარეშოში...

– რა თქმა უნდა... უნდა გითხრათ, რომ თავადურად გამოგივიდათ! რომ... რომ გენერალი ბრძანებულხართ და ესაა! ოღონდ მე თქვენი ლაქია არ გეგონოთ! მეც... მეც... – ალუღლუღდა ერთბაშად მეტისმეტად აღელვებული ანტიპ ბურდოვსკი, ტუჩები აუცახცახდა, წყენისაგან ხმა აუკანკალდა, პირიდან სულ დორბლები გადმოსცვივდა. თითქოს გასკდა ბოღმითო. თან ისე სხაპასხუპით მიაყარა სიტყვები, კაცი ვერაფერს გაუგებდა.

– მართლაც თავადურად გამოგივიდათ! – წამოიყივლა ხრინწიანი ხმით იპოლიტმა.

– ეს რომ ჩემთვის ექნათ, – წაიბურტყუნა კრივის ოსტატმა, – ანუ პირდაპირ მე, როგორც კეთილშობილ კაცს შემხებოდა, ბურდოვსკის ადგილზე... მე...

– ბატონებო, თქვენი აქ ყოფნა, ღმერთმანი, ეს წუთია შევიტყვე, – გაიმეორა ისევ თავადმა.

– ჩვენ არ გვეშინია, თავადო, თქვენი მეგობრების, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, უფლება გვაქვს და იმიტომ, – კვლავ გამოაცხადა ლებედევის დისწულმა.

– ნება მიბოძეთ, ისიც გკითხოთ, – წამოიკივლა უკვე მეტისმეტად გაფიცხებულმა იპოლიტმა, – რა უფლების ძალით გამოიტანეთ ბურდოვსკის საქმე თქვენი მეგობრების სამსჯავროზე? ეგებ ჩვენ სულაც არ გვეპიტნავება თქვენი მეგობრების მსჯავრი; ვიცით, ვიცით, რასაც ნიშნავს მაგ თქვენი მეგობრების მსჯავრი!..

– მაგრამ, ბატონო, ბურდოვსკი, თუ აქ ლაპარაკი არა გსურთ, – ძლივს მოახერხა ასეთი დასაწყისით საოცრად შეცბუნებულმა თავადმა სიტყვის ჩართვა, – განა არ გითხარით, მეორე ოთახში გავიდეთ-მეთქი, თქვენი მოსვლა კი, კვლავ ვიმეორებ, მხოლოდ ეს წუთია გადმომცეს...

– რა უფლების ძალით, რა უფლების ძალით?! თქვენი მეგობრების... დიახ! – ხელახლა ალუღლუღდა უეცრივ ბურდოვსკი, დაფეთებით მიმოიხედა ირგვლივ და რაც უფრო ერეოდა ეჭვი და ეკარგებოდა საქციელი, უფრო და უფრო ფიცხდებოდა, – რა უფლების ძალით–მეთქი?! – და უეცრივ გაჩუმდა, თითქოს მოსხიპაო სათქმელი, მერე წითელი ძარღვებით დასერილი

გადმოქაჩული ბეცი თვალები დააჭყიტა, მთელი ტანით წინ გადმოიწია და უსიტყვოდ მიაშტერდა თავადს. ახლა კი მართლაც ისე გაოცდა თავადი, რომ თვითონაც ჩაუვარდა ენა და ისიც თვალდაჭყეტილი მიაჩერდა ბურდოვსკის.

– ლევ ნიკოლაევიჩ! აი, ეს წაიკითხე ახლავე, ამ წუთს, სწორედ შენ საქმეს ეხება, – დაუძახა უეცრივ ლიზავეტა პროკოფიევნამ, საჩქაროდ ერთკვირეული იუმორისტული გაზეთი მიაწოდა[78] და თითით აჩვენა წერილზე.

როცა სტუმრები შემოვიდნენ, ლიზავეტა პროკოფიევნას წყალობის მაძიებელი ლებედევი გვერდით ამოუდგა ქალს, ჯიბიდან ეს გაზეთი ამოიღო, მიაწოდა და გახაზულ სვეტზე უსიტყვოდ მიუთითა. წაკითხულმა საოცრად განაცვიფრა და ააღელვა ქალი.

– იქნებ აჯობებდა ჩემთვის წამეკითხა, – ძლივს ამოღერღა ძალზე დარცხვენილმა თავადმა, – მარტო რომ ვიქნებოდი... მერე...

– თუ ასეა, შენ წაიკითხე ხმამაღლა, ხმამაღლა-მეთქი! – მიუტრიალდა ლიზავეტა პროკოფიევნა კოლიას და თავადს ის იყო ხელში აღებული გაზეთი მოუთმენლად გამოგლიჯა. – ისე წაიკითხე, ყველამ გაიგონოს.

ლიზავეტა პროკოფიევნა ფიცხი და გატაცების ქალი ბრძანდებოდა, ბევრ ფიქრს არ დაგიდევდათ, უცბად აშლიდა ყველა აფრას და გაშლილ ზღვაში ამინდის უკითხავად შეცურდებოდა. ივან ფიოდოროვიჩი შეშფოთებით შეტოკდა სკამზე. დანარჩენები განცვიფრებულნი ელოდნენ, რა იქნებაო; კოლიამ გაზეთი გაშალა და ხმამაღლა დაიწყო იმის კითხვა, რაზეც მასთან მყისვე გაჩენილმა ლებედევმა მიუთითა „პროლეტარნი და ნაშიერნი. ეპიზოდი ყოველდღიურ ძარცვა-გლეჯის სურათებიდან! პროგრესი! რეფორმა! სამართლიანობა!“ უცნაური რამ ამბები ხდება ამ ჩვენს ეგრეთ წოდებულ კურთხეულ რუსეთში, ამ ჩვენს რეფორმებისა და საკომპანიო ინიციატივების საუკუნეში, ნაციონალობის საუკუნეში, იმ საუკუნეში, რომ ყოველდღიურად საზღვარგარეთ ასობით მილიონი გადის, რომ წარმოებანი ჰყვავიან, მუშა ხელს კი დამბლა ეცემა და ა.შ. და ა.შ., ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, ბატონებო, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალთ. უცნაური ანეგდოტი დაემართა ჩვენი დრომოჭმული თავად-აზნაურობის ერთ-ერთ ნაშიერს (de profundis[79]), თუმცა იმასაც გააჩნია, ვის ნაშიერს. პაპებმა იყო და მთელი ქონება რულეტს გადააყოლეს, მამები იყო და სახაზინო ფულის ანგარიშში დაუდევარი შეცდომებისათვის, რამეთუ იძულებული იყვნენ იუნკრებად და პორუჩიკებად ემსახურათ, ჩვეულებისამებრ, ციხეში ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს და იქ ძვრებოდათ სული. შვილები არიან და, ჩვენი მოთხრობის გმირის მსგავსად, თუ იდიოტები არა, სისხლის სამართლის დამნაშავენი გამოდიან, თუმცა ნაფიცნი მსაჯულნი ამართლებენ, აქაოდა ჭკუას ისწავლიან და გამოსწორდებიანო. ან არადა ისეთ ანეგდოტებს გამოატყვრენენ, საზოგადოება განცვიფრებაში მოჰყავთ და ისედაც სახელგატეხილ ჩვენ დროს უფრო უტეხენ სახელს. ჩვენი ნაშიერი, ასე ნახევარი წლის წინ საზღვარგარეთულ ყაიდაზე შტიბლეტებსა და უსარჩულო ფარაჯაში გამოწყობილი, სიცივისაგან აკანკალებული ზამთრის პირზე დაბრუნდა რუსეთში შვეიცარიიდან, სადაც თურმე იდიოტობისაგან მკურნალობდნენ (sic!). უნდა ითქვას, ბედი საოცრად სწყალობდა ჩვენს გმირს. თუ მის საინტერესო სენზე არას ვიტყვით, რის სამკურნალოდაც შვეიცარიაში იმყოფებოდა (გაგონილა კი კაცი იდიოტობისაგან მორჩენილიყო), თავისი ამბით დიახაც შეუძლია გაამართლოს ეს ანდაზა „ბედი მომე და სანეხვეზე გადამაგდეო“. თავად განსაჯეთ მამის გარდაცვალების შემდეგ, – მამა კი, როგორც ამბობენ, პორუჩიკი ყოფილა და პატიმრობაში დაულევია სული მთელი ასეულის ჯამაგირის ბანქოში წაგებისა თუ იქნებ ხელქვეითის უმოწყალოდ გაწკეპლვის გამო (ძველი დრო არ დაივიწყოთ, ბატონებო!),

ძუძუმწოვრად დარჩენილი ჩვენი ბარონი სამადლოდ ერთ-ერთ მდიდარ რუს მემამულეს აუყვანია აღსაზრდელად. ეს რუსი მემამულე, – გვარად თუნდაც პ-ი, იმ დალოცვილ დროში ოთხი ათასი ყმა სულის პატრონი (ყმა სულიო – გესმით, ბატონებო, ეს გამოთქმა? მე არ მესმის. ისევ განმარტებით ლექსიკონში უნდა ჩავიხედო, თორემ „ამბავი ცხელიო, დაჯერება ძნელიო“)[80], როგორც ეტყობა, იმ რუს მუქთახორათა და მუქთამჭამელთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც თავიანთი უქმი წუთისოფელი საზღვარგარეთ უტარებიათ, ზაფხულობით სამკურნალო წყლებზე, ზამთრობით კი პარიზის შატო-დე-ფლერში, სადაც თავის დროზე დიდძალი ფული ჩაუტოვებიათ. დასტურ შეიძლება ითქვას, რომ წინანდელი საბატონყმო ხარკის ყოველ შემთხვევაში ერთი მესამედი მაინც პარიზელ შატო-დე-ფლერის პატრონის ხელში მიდიოდა (ბედნიერი ვარო, ამ კაცს ეთქმოდა!). ასე იყო თუ ისე, უდარდელმა პ-მ ობოლი ბატონიშვილი თავადიშვილურად გამოზარდა, ანუ აუყვანა გუვერნიორი კაცები და ქალები (ეჭვს გარეშეა, ლამაზმანები), რომლებიც ბარემ ესეც ვთქვათ, თვითონვე ჩამოჰყავდა პარიზიდან. მაგრამ ვაი რომ, დიდგვაროვანთა უკანასკნელი ნაშიერი იდიოტი გამოდგა. შატო-დე-ფლერის გუვერნანტმა ქალებმა ვერაფერი უშველეს და ოც წლამდე ჩვენს ბატონიშვილს რუსული ლაპარაკიც კი უჭირდა, სხვა ენებზე რომ არა ვთქვათ რა, თუმცა პირველი დიდ ცოდვად შეიძლება არც ჩაითვალოს. ბოლოს რუს ბატონს თავში ერთი ფანტაზია მოუვიდა, – იდიოტი შეიძლება შვეიცარიაში მოიყვანონ ჭკუაზეო, – თუმცა ფანტაზია ლოგიკური გახლდათ მუქთამჭამელსა და პროპრიეტერს, ბუნებრივია, შეეძლო წარმოედგინა, რომ ფულით კაცმა შეიძლება ბაზარზე ჭკუაც იყიდოს, მით უმეტეს შვეიცარიაში. იქ, ვიღაც ცნობილ პროფესორთან, ხუთი წლის მკურნალობის შემდეგ, რაზეც ათასობით ფული დაიხარჯა, იდიოტს, რა თქმა უნდა, ჭკუა არ მოემატა, მაგრამ როგორც ამბობენ, კაცს მაინც დაემსგავსაო, რასაკვირველია, შედარებით. მოულოდნელად პ.-ი გადაბრუნდა და მოკვდა. ანდერძი, რა თქმა უნდა, არ დარჩენია; ჩვეულებისამებრ, საქმეები აიწეწა, უამრავი ფულს დახარბებული მემკვიდრე გამოუჩდა, რომელთაც, ცხადია, არაფრად ენაღვლებოდათ ჩამომავლობითი იდიოტიზმის საქიმოდ შვეიცარიაში სამადლოდ გაგზავნილი გვარის უკანასკნელი ნაშიერი. იდიოტმა ნაშიერმა მაინც მოახერხა პროფესორის გაცურება, არ გაუმხილა თავისი მწყალობლის სიკვდილი და, როგორც ამბობენ, ორი წელი მუქთად ააქიმებინა თავი. მაგრამ პროფესორი თვითონაც კაი გაქნილი ვინმე ბრძანდებოდა, დაფრთხა, ფულს აღარ მიგზავნიანო, უფრო კი თავისი ოცდახუთი წლის მუქთამჭამელის მადამ შეაშინა, ჰოდა, ჩააცვა თავისი ძველი შტიბლეტები, აჩუქა თავისი საზღვარგარეთული ფარაჯა და სამადლოდ მესამე კლასის ვაგონით nach Russland-ს[81] გამოისტუმრა, – თავიდან მოიშორა. იტყვით, ბედმა უმუხთლა ამჯერად ჩვენ გმირს და ზურგი აქციაო. მაგრამ არ დაიჯეროთ ფორტუნა, შიმშილით რომ წყვეტს მთელ გუბერნიებს, თავის წყალობას უხვად აყრის თავზე არისტოკრატ იდიოტს, კრილოვისეული ღრუბლისა არ იყოს, რომელმაც გადახრუკულ ყანას უბრად გადაუარა და მთელი თავისი მადლი ოკეანეს დაანთხია. სწორედ იმ წუთს, როცა ის შვეიცარიიდან პეტერბურგში ჩამოვიდა, მოსკოვს გარდაიცვალა დედამისის ერთადერთი ნათესავი (დედა, ცხადია, ვაჭრის ქალი ჰყავდა), ბებერი, უშვილოდ გადაგებული ვაჭარი, გრძელწვერა რასკოლნიკი, და მთელი მისი ქონება, რამდენიმე მილიონი უდავო, ნაღდი ფული (ნეტავ მე და თქვენ მოგვცა, მკითხველო!) ამ ჩვენს ნაშიერს, ამ ჩვენს ბარონს დარჩა, შვეიცარიაში რომ მკურნალობდა! მაშინ კი სულ სხვაგვარად შეტრიალდა საქმე. ამ ჩვენს შტიბლეტებიან ბარონს, რომელიც ერთ სახელგავარდნილ ხასად ნამყოფ ტურფა ქალს აეკიდა, უცბად მეგობარ-ნაცნობთა მთელი ჯგრო დაეხვია, ნათესავებიც აღმოაჩნდა, მეტადრე კანონიერ ქორწინებას დახარბებული კეთილშობილი ასულნი დაუტრიალდნენ. ამაზე

უკეთესს სად მოძებნიდნენ არისტოკრატი, მილიონერი, იდიოტი – ყველაფერი სიკეთე ერთად, ასეთ ქმარს სანთლით ვერ მონახავ და ვერც გამოიწერ საიდანმე!..

– ეს... ეს რასა ჰგავს, ბატონებო?! – შეჰყვირა უაღრესად აღშფოთებულმა ივან ფიოდოროვიჩმა.

– შეწყვიტეთ, კოლია! – მუდარით შესძახა თავადმა. აქეთ-იქიდან შეძახილები გაისმა.

– წაიკითხეთ, წაიკითხეთ-მეთქი! – მოუჭრა ლიზავეტა პროკოფიევნამ, რომელიც, ეტყობოდა, თავს ძლივს იკავებდა. – თავადო! თუ შეაწყვეტინეთ, იცოდეთ – წავიკიდებით.

მეტი რა ჩარა იყო. ალმურმოდებულმა კოლიამ ისევ განაგრძო მღელვარებით: „მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენი ახლადგამომცხვარი მილიონერი, ასე ვთქვათ, ოცნებით ცაში ფრინავდა, ერთმა სრულიად უცხო გარემოებამ იჩინა თავი. ერთ მშვენიერ დღეს ეწვია მას სტუმარი ვინმე, კაცი მშვიდი, მკაცრი სახისა, სადად, კეთილშობილურად ჩაცმული, პროგრესული ფიქრების ბეჭდით სახეზე და მოკლედ, ზრდილობიანად, ღირსეულად და სამართლიანად აუხსნა თავისი ვიზიტის მიზეზი მას – ცნობილ ვექილს მინდობილი აქვს ერთი ყმაწვილი კაცის საქმე და მისი სახელით მოვიდა ახლა. ეს ყმაწვილი კაცი, არც მეტი, არც ნაკლები განსვენებული პ-ის ვაჟია, თუმცა კი სხვა გვარს ატარებს. ქალების მუსუს პ-ს ყმაწვილკაცობაში ერთი პატიოსანი, საწყალი გოგო შეუცდენია, რომელიც ყმა კი იყო, მაგრამ ევროპულ წესზე აღზრდილი გახლდათ (მოგეხსენებათ, ბარონის უფლებებს იმ დროს წინ რა დაუდგებოდა!). ჰოდა, რა შეამჩნია თავისი მიჯნურობის გარდუვალი შედეგი, სასწრაფოდ მიათხოვა ერთ კეთილშობილურ ხელოსან კაცს, რომელიც კიდეც მსახურობდა სადღაც და რომელსაც ეს ქალი დიდი ხანია უყვარდა. თავდაპირველად ახლად დაქორწინებულთ პ-ი დახმარებას უწევდა; მაგრამ კეთილშობილი ბუნების ქმარმა უარი განაცხადა ამ დახმარებაზე. გავიდა ხანი და პ-ს ნელ-ნელა დაავიწყდა როგორც ეს ქალი, ისე მასთან შეძენილი ვაჟიც. მერე კი, მოგეხსენებათ, გარდაიცვალა და ანდერძი არ დატოვა. მისი ვაჟი, დაბადებული კანონიერ ქორწინებაში, მაგრამ აღზრდილი სხვა გვარზე, ღვიძლი შვილივით შეითვისა კეთილშობილური ხასიათის კაცმა, დედამისის ქმარმა, მაგრამ ვაი რომ ისიც მალე გარდაიცვალა და ყმაწვილი საკუთარი თავის ანაბარა დარჩა, თანაც ფეხებწართმეული სნეული დედაც უნდა ერჩინა მივარდნილ გუბერნიაში. თვითონ ყმაწვილს სატახტო ქალაქში დაედო ბინა, ვაჭრის შვილებს გაკვეთილებს აძლევდა და დღიური კეთილშობილური შრომით გაჰქონდა თავი ჯერ გიმნაზიაში სწავლისას, მერე კი მისთვის სასარგებლო ლექციების მოსმენისას, რამეთუ შორეული რამ მიზანი გააჩნია. მაგრამ იმდენს რას გამორჩებოდა კაცი რუს ვაჭარს შაურიან გაკვეთილებში, რომ სნეული, ფეხებწართმეული დედა შეენახა, რომელმაც ბოლოს კი გაანთავისუფლა შვილი და სული დალია, მაგრამ ამით მაინც მის გაჭირვებას დიდად ვერაფრით უშველა. ახლა საკითხი ეს გახლავთ ნამუსზე რომ მიმდგარიყო საქმე, ნაშიერს რა უნდა გადაეწყვიტა? ცხადია, იმას იფიქრებთ, მკითხველო, რომ ასე ეტყოდა საკუთარ თავს „მთელი სიცოცხლე პ-ის წყალობით მედგა სული. ჩემს აღზრდას, გუვერნანტ ქალებს, შვეიცარიაში იდიოტობისაგან ექიმობას ათასობით მანეთი დაახარჯა. ახლა მე მილიონების პატრონი გავხდი, პ-ის კეთილშობილი სულის ვაჟი კი, ვისაც ბრალი არ უდევს, ესოდენ ქერქეტა და გულმავიწყი მამა რომ ჰყავდა, შიმშილით კვდება შაურიანი გაკვეთილების შემყურე. ის, რაც ჩემზე დაიხარჯა, საცა სამართალია, მას უნდა მოხმარებოდა. ჩემზე დახარჯული ამოდენა თანხა სინამდვილეში მე არ მეკუთვნის. ეს მხოლოდ ბედის ბრმა შეცდომა იყო, ის ფული პ-ის ვაჟს უნდა რგებოდა, მას უნდა მოხმარებოდა და არა მე – ქერქეტი და გულმავიწყ პ-ის ფანტასტიკური ახირების საგანს. მე რომ მთელი არსებით კეთილშობილი, თავაზიანი, სამართლიანი ვყოფილიყავი, ჩემი მემკვიდრეობის ნახევარი მისი ვაჟისთვის უნდა დამეთმო, მაგრამ, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ანგარიშის კაცი ვარ და მშვენივრად მესმის,

რომ იურიდიულად ვერაფერს გამომედავება, ამიტომ ჩემი მილიონების ნახევარს არ მივცემ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მეტისმეტი სულმდაბლობა და უნამუსობა იქნება (ნაშიერს დაავიწყდა, რომ უჭკუობაც) ჩემი მხრივ, არ დავუბრუნო მის შვილს ის ათი ათასები, რაიც პ-მა ჩემი იდიოტობის სამკურნალოდ დახარჯა. ამას მარტო სინდისიერება და სამართლიანობა მოითხოვს! ვინაიდან რა ვიქნებოდი მე, რომ პ-ს ჩემი პატრონობა არ ეკისრა და საკუთარ შვილზე ეზრუნა?“

მაგრამ არა, ბატონებო! ჩვენი ნაშიერები აგრე როდი სჯიან. როგორ არ წარმოუდგინა და დაუხატა ვექილმა ყმაწვილი კაცი, როგორ არ არწმუნა, მის საქმეს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობის გულისთვის მოვკიდე ხელი, თითქმის ყმაწვილის სურვილის წინააღმდეგ, თითქმის ძალისძალადო; როგორ არ უმტკიცა, რომ ამას პატიოსნება, კეთილშობილება, სამართლიანობა და თუნდაც უბრალო ანგარიში მოითხოვს, შვეიცარიული პროფესორის გაზრდილი მაინც უტეხად იდგა თავისაზე. ეს კიდევ არაფერი, ეს კიდევ შეიძლება ეპატიოს კაცს, მაგრამ აი რა გახლავთ დიახაც მიუტევებელი და რასაც ვერავითარი საინტერესო სენი ვერ გაამართლებს თავისი პროფესორის ნახმარი შტიბლეტებიდან ძლივს გამომძვრალმა მილიონერმა ისიც ვერ მოისაზრა, რომ გაკვეთილებით სულამოხდილი კეთილშობილი ბუნების ყმაწვილი მოწყალებასა და გაკითხვას კი არ თხოულობდა, არამედ რაც უფლების ძალით ეკუთვნის, თუნდაც იურიდიულად არც ეკუთვნოდეს, ამასთან, თვითონ კი არ თხოულობს, მეგობრები შუამდგომლობენ მხოლოდ. ჰოდა, მედიდური იერით, ფრიად კმაყოფილი, რომ საშუალება მიეცა, გაქელოს ხალხი თავისი მილიონებით, ჩვენი ნაშიერი ჯიბიდან იღებს ორმოცდაათმანეთიანს და კეთილშობილ ყმაწვილს უგზავნის უსირცხვილო გასაკითხის სახით. არ გჯერათ, ბატონებო? აღშფოთებულნი, შეურაცხყოფილნი ხართ, ლამის გულის წყრომა აღმოგხდეთ?! მაგრამ ვაი, რომ, ასე მოიქცა! ცხადია, ფული მყისვე დაუბრუნეს, ასე ვთქვათ, სახეში მიაყარეს. როგორ მოევლოს ამ საქმეს?! იურიდიულად ვერაფერს შეედავები, ერთადერთი საჯაროდ გამოტანაღა რჩება! ჰოდა, ჩვენც ვაუწყებთ ამ ანეგდოტს საზოგადოებას და თავს ვდებთ, რომ ჭეშმარიტი ამბავი გახლავთ. ამბობენ, ერთ-ერთმა ჩვენმა სახელგანთქმულმა იუმორისტმა ამ ამბის გაგებისას მშვენიერი ეპიგრამა წარმოთქვა, რაიც ღირს არს არათუ ჩვენი საგუბერნიო, არამედ სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიჭიროს ადგილი:

მან შნეიდერის შინელით
დრო გაატარა უქმად,
და შტიბლეტებით დაბრუნდა
ხუთი წლის შემდეგ უკან.
აიღო მილიონი და
მიისაკუთრა ერთად,
ღმერთს ლოცულობდა რუსულად,
თანაც სტუდენტებს ყვლეფდა“.

კოლიამ ბოლომდე რომ ჩაიკითხა, გაზეთი მყის თავადს მიაჩეჩა, ველარაფერი თქვა, კუთხეში აიტუზა, პირით კედლისკენ და სახეზე ხელები აიფარა. შერცხვა, ძალიან შერცხვა ბიჭს, ყრმის ნორჩი, სპეტაკი გული ზომაზე მეტად აღშფოთდა. ეგონა, რაღაც უჩვეულო რამ მოხდა, რომ ყოველივე მოისპო და გათავდა და რომ ამის მიზეზი ლამის თვითონაა, თუნდაც იმიტომ, რომ ხმამაღლა წაიკითხა.

დანარჩენებიც რაღაც ამდაგვარს განიცდიდნენ.

გენერლის ქალები მეტად უხერხულად გრძნობდნენ თავს; ლიზავეტა პროკოფიევნა ძლივს იმაგრებდა მოწოლილ სიბრაზეს და იქნებ მწარედ ნანობდა, ამ საქმეში რად ჩავეჩხირეო,

ამიტომაც ხმას არ იღებდა. თავადს იგივე დაემართა, რაც მოსდით ხოლმე ასეთ შემთხვევაში მეტისმეტად მოკრძალებულ ადამიანებს სხვის საქციელს იმდენად გაეოგნებინა, თავისი სტუმრების მაგიერ ისე შერცხვენოდა, რომ თავი სად წაეღო, აღარ იცოდა. ცოტა არ იყოს შეცბუნებული გამოიყურებოდნენ პტიცინი, ვარია, განია და წარმოიდგინეთ, ლებედევიც კი. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ იპოლიტი და პავლიშჩევის „ვაჟიც“ რაღაც განცვიფრებული ჩანდნენ. არც ლებედევის დისწულს ეტყობოდა დიდი კმაყოფილება. ერთადერთი კრივის ოსტატი იჯდა გულარხეინად და გაბღენძილი სახით, ულვაშებს იგრეხდა, თავი ოდნავ დაეხარა, თითქოს კეთილშობილური თავმდაბლობა და აშკარა საზეიმო განწყობა არ აძლევდა ახედვის ნებას. ეტყობოდა, წერილი მეტისმეტად მოსწონდა.

– ეშმაკმა იცის, რა არის, – წაიბუზღუნა ხმადაბლა ივან ფიოდოროვიჩმა, – თითქოს ორმოცდაათ ლაქიას შეუყრია თავი ამის შესათითხნად და შეუთითხნიათ კიდეც.

– ნ-ნება მიბოძეთ, მოწყალეო ბატონო, რა უფლების ძალით აყენებთ ასეთ შეურაცხყოფას? – მთლად აცახცახდა იპოლიტი.

– ეს, ეს, ესს კეთილშობილი კაცისთვის... თქვენც დამეთანხმებით, გენერალო, თუ კეთილშობილი კაცია, დიახაც, შეურაცხმყოფელია! – წაიბუზღუნა რატომღაც შემკრთალმა კრივის ოსტატმა, ულვაშები გადაიგრიხა და მხრები შეათამაშა.

– ჯერ ერთი, მე თქვენთვის „მოწყალეო ბატონო“ არ გახლავართ, მეორეც, დიახაც არ ვაპირებ თქვენთან ახსნა-განმარტების დაწყებას, – მკვახედ მოუჭრა საოცრად გაფიცხებულმა ივან ფიოდოროვიჩმა, მერე წამოდგა, უსიტყვოდ წავიდა ტერასის გასასვლელისკენ და ლიზავეტა პროკოფიევნაზე დიდად გამწყრალმა, რომელიც, მგონი, ახლაც არ აპირებდა წასვლას, კიბეზე ჩადგა ფეხი და საზოგადოებას ზურგი აქცია.

– ბატონებო, ბატონებო, ბოლოს და ბოლოს მეც მათქმევინეთ, – იძახდა გამწარებული და აფორიაქებული თავადი, – და, თუ შეიძლება ისე ვილაპარაკოთ, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ. წერილზე არაფერს ვიტყვი, ბატონებო, როგორც გენებოთ. მაგრამ წერილში ხომ მტკნარი სიცრუეა, ბატონებო, დაბეჭდილი თავადაც მოგეხსენებათ; სამარცხვინოც კია. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდებოდა, რომელიმე თქვენგანის დაწერილი რომ იყოს.

– ამ წუთამდე არაფერი ვიცოდი მაგ წერილის, – განაცხადა იპოლიტმა, – ეგ წერილი არც მე მომწონს.

– მე კი ვიცოდი, დაწერილი რომ იყო, ოღონდ... – ადუდღუნდა „პავლიშჩევის ვაჟი“.

– როგორ! მაშ ეს თქვენი შეთხზულია? – ცნობისმოყვარეობით შეხედა ბურდოვსკის თავადმა. – ვერ დავიჯერებ!

– არა მგონია, ასეთი შეკითხვების ნება გქონდეთ, – ჩაერია ლაპარაკში ლებედევის დისწული.

– მე მხოლოდ იმან გამაკვირვა, ბატონმა ბურდოვსკიმ როგორ მოახერხა-მეთქი... მაგრამ... მაგრამ ის კი მინდა გკითხოთ, ბატონებო, თუკი ეს საქმე გქონდათ უკვე საქვეყნოდ გამოტანილი, წეღან რაღად იწყინეთ, როცა ჩემი მეგობრების თანდასწრებით ამ საქმეზე წამოვიწყე ლაპარაკი?

– მადლობა ღმერთს! – აღშფოთებით წაიდუდუნა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ის კი დაგავიწყდათ, თავადო, – მოულოდნელად სკამებს შუა გამოძვრა ლებედევი, რომელსაც ველარ მოუთმინა გულმა და რომელიც ციებიანივით კანკალებდა, – ის კი დაგავიწყდათ, რომ მარტოოდენ თქვენმა ნება-სურვილმა და უმაგალითოდ კეთილმა გულმა შემოგაშვებინათ ესენი და მოგასმენინათ მათთვის, რომ არავითარი უფლება არა აქვთ, ასე მოითხოვონ, მით უფრო, რომ ეს საქმე უკვე გავრილა არდალიონოვიჩს მიანდეთ, ისიც მეტისმეტმა გულკეთილობამ ჩაგადენინათ. ასე რომ ახლა, ბრწყინვალე თავადო, თქვენს რჩეულ მეგობართა საზოგადოებას ამ

ვაჟბატონებს ვერ შესწირავთ და შეგიძლიათ ეს ვაჟბატონები, ასე ვთქვათ, კინწისკვრით გააძევოთ აქედან. მე კი ვითარცა სახლის პატრონი, უდიდესი სიამოვნებით...

– სრული ჭეშმარიტებაა! – დასჭექა ოთახის სიღრმიდან გენერალმა ივოლგინმა.

– გეყოფათ, ლებედევ, გეყოფათ... – დაიწყო თავადმა, მაგრამ მისი ხმა აღშფოთებულ შეძახილებში ჩაიძირა.

– უკაცრავად, თავადო, უკაცრავად, ახლა უკვე აღარ ეყოფა! – თითქმის ყველა ჩააჩუმა ლებედევის დისწულმა, – ახლა საქმე უნდა გაიხსნას, ვინაიდან, ეტყობა, ვერა გაიგეთ რა. აქ იურიდიული ხიმანკლები ჩაერივნენ საქმეში და ამ ხიმანკლების საფუძველზე კინწისკვრით გაგდებას გვემუქრებიან! ნუთუ ისეთ ტუტუცებად გვთვლით, თავადო, თავად არ გვესმოდეს, რაოდენ არაიურიდიულია ჩვენი საქმე, რომ თუ იურიდიულად მიუდგა კაცი, ერთ მანეთსაც ვერ მოგთხოვთ კანონით მაგრამ ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ თუ იურიდიული უფლება არ გაგვაჩნია, ადამიანური, ბუნებრივი უფლება ხომ არსებობს, საღი განსჯის უფლება და სინდისის ხმა, და თუ ჩვენი უფლება არც ერთ დამპალ ადამიანურ კოდექსში არ წერია, კეთილშობილი და პატიოსანი, ანუ იგივე საღად მოაზროვნე კაცი, მოვალეა კეთილშობილება და პატიოსნება გამოიჩინოს იმ პუნქტებშიც, რომელიც არც ერთ კოდექსში არაა მოხსენიებული. იმიტომაც არ შეგვეშინდა, კინწისკვრით გაგყვრიან-თქო (როგორც ახლა დაგვემუქრნენ), არ შეგვეშინდა იმიტომ, რომ კი არ ვიხვეწებით, ვითხოვთ, თუმცა საკმაოდ გვიანი ვიზიტი გამოგვივიდა (მაგრამ არც ესაა ჩვენი ბრალი, საფარეშოში თქვენვე გვაყურყუტეთ ამდენ ხანს). ჰოდა, იმიტომ მოვედით ასე უშიშრად, რომ სწორედ საღად მოაზროვნე კაცად მიგიჩნიეთ, ანუ პატიოსნებისა და ნამუსის მქონედ. დიახ, მართალია, ჩვენ თავმოდრეკით არ გეახელით, ვითარცა ნასუფრალისა და მოწყალების მაძიებელნი, და ხვეწნა-მუდარა არ დაგიწყეთ, არამედ თავისუფლად და ამაყად მოგთხოვეთ (გესმით, კი არ შეგეხვეწეთ, არამედ მოგთხოვეთ, კარგად ინიშნეთ!). ჩვენ ღირსეულად და პირდაპირ გისვამთ საკითხს ბურდოვსკის საქმეში თავი მართლად მიგაჩნიათ თუ მტყუანად მიგაჩნიათ თუ არა, რომ პალვიშჩევმა წყალობა გიყოთ და იქნებ სიკვდილსაც გადაგარჩინათ თუ მიგაჩნიათ (რაც აშკარაა), აპირებთ თუ არა, ან სინდისის წინაშე სამართლიანად თვლით თუ არა, თქვენის მხრივ, მილიონების დაპატრონების შემდეგ პავლიშჩევის გაჭირვებულ ვაჟს აუნაზღაუროთ თავისი, გინდაც ბურდოვსკის გვარს ატარებდეს ჰო, თუ არა თუ ჰო, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ გაცხიათ ის, რაც თქვენს ენაზე პატიოსნებასა და ნამუსს ნიშნავს, ჩვენ კი მეტად სიზუსტისათვის საღი აზრი ვუწოდეთ, დაგვაკმაყოფილეთ და საქმესაც მოვრჩეთ. ნუღა მოგვთხოვთ მადლიერებას, რადგან ჩვენთვის კი არ ირჯებით, სამართლიანობისთვის აკეთებთ. ხოლო თუ ჩვენს დაკმაყოფილებას არ მოისურვებთ, ესე იგი არაო, გვიპასუხებთ, ჩვენ ახლავე წავალთ და საქმეც მოთავდება. პირში კი გეტყვით, ამ თქვენი მოწმეების წინაშე, რომ ჭკუით ტლანქი და გრძნობებით დაბალი კაცი ყოფილხართ; რომ ამას იქით პატიოსანი და სინდისიერი კაცის სახელის ტარების უფლება არა გაქვთ, რომ ეს უფლება მეტისმეტად იაფად გინდათ ჩაიგდოთ ხელში. მე მოვათავე მე საკითხი დავაყენე, ახლა თუ სინდისი მოგცემთ ნებას, გაგვყარეთ. თქვენ ეს შეგიძლიათ, ძალა შეგწევთ საამისო. მაგრამ გაიხსენეთ, რომ ჩვენ მაინც მოვითხოვთ და არ გეხვეწებით. მოვითხოვთ და არ გეხვეწებით.

ლებედევის დისწული ფრიად აღგზნებული გაჩუმდა.

– მოვითხოვთ, მოვითხოვთ და არ ვიხვეწებით!.. – ალუღლუღდა ბურდოვსკი და კიბოსავით გაწითლდა.

ლებედევის დისწულის სიტყვებმა საერთო ჩოჩქოლი და დრტვინვაც კი გამოიწვია, მაგრამ ისიც აშკარა იყო, ჩარევას ყველა ერიდებოდა. მარტო ლებედევი იყო თითქოს ციებ-ცხელებით შეპყრობილი (საკვირველია, მაგრამ თავადის მომხრე ლებედევს დისწულის სიტყვამ თითქოს ასიამოვნა და საგვარეულო სიამაყე მოჰგვარა ასეა თუ ისე, რაღაც კმაყოფილი სახით კი გადაავლო თვალი საზოგადოებას).

თავადმა საკმაოდ დინჯად წამოიწყო

– მე ვფიქრობ, ბატონო დოქტორენკო, ის რაც ახლა თქვით, ნახევარი სიმართლეა, იმასაც ვიტყოდი, ნახევარზე მეტი-მეთქი. და რომ თქვენს სიტყვაში რაღაც არ გამოგრჩენოდათ, სავსებით დაგეთანხმებოდით ყველაფერში. რა გამოგრჩათ, ამის თქმა არ შემიძლია და ვერც გამოვთქვამ დანამდვილებით, მაგრამ სრულ ჭეშმარიტებას, რა თქმა უნდა, რაღაც აკლია. ოღონდ სჯობს, საქმეს დავუბრუნდეთ, ბატონებო. მითხარით ერთი, რად გამოაქვეყნეთ ეს წერილი აქ ხომ ყოველი სიტყვა ცილისწამებაა; ასე რომ, ჩემის ფიქრით, ბატონებო, თქვენ სულმდაბლად მოიქეცით.

– ერთი მიბრძანეთ!..

– მოწყალეო ბატონო!..

– ეს... ეს... ეს... – ყოველი მხრიდან გაისმა აღელვებული სტუმრების შეძახილები.

– წერილს რაც შეეხება, – წამოიყივლა იპოლიტმა, – ამ წერილს რაც შეეხება, აკი გითხარით, არც მე და არც სხვები არ ვიწონებთ-მეთქი! ეგ წერილი აი ამ კაცმა დაწერა, – მიუთითა მის გვერდით მჯდომ კრივის ოსტატზე, – მეც გეთანხმებით, გადაამლაშა და იმ უწიგნური ენითაა დაწერილი, როგორც მისებრ გადამდგარ ხალხს სჩვევია. უჭკუო რომაა და თან ასეთების ოსტატი, ამაშიც გეთანხმებით, პირში ვეუბნები ყოველდღე ამას, მაგრამ სანახევროდ მაინც მართალია, რამეთუ საჯაროდ გამოტანის უფლება ყოველ კაცს გააჩნია. მაშასადამე, ბურდოვსკისაც აქვს ამის ნება. თავის სისულელეებზე კი მან თვითონვე აგოს პასუხი. რაც შეეხება იმას, რომ ყველა ჩვენგანის სახელით პროტესტი გამოვთქვი, თქვენი მეგობრები რად ესწრებიან-მეთქი, საჭიროდ მიმაჩნია, მოწყალეო ბატონებო, განგიმარტოთ, რომ პროტესტი მარტო იმიტომ გამოვთქვი, ჩვენი უფლება გვეუწყებინა, თორემ სინამდვილეში კიდეც გვწადია მოწმეების დასწრება. ვიდრე აქ შემოვიდოდით, წეღან ოთხივე შევთანხმდით ამაზე. ვინც არ უნდა იყვნენ ეს მოწმეები, თუნდაც თქვენი მეგობრები, არ შეიძლება ბურდოვსკის უფლებაში ეჭვი შეიტანონ (ვინაიდან, როგორც ეტყობა, მათემატიკურად მტკიცდება), ამიტომ სჯობს კიდეც, რომ ის მოწმეები თქვენი მეგობრები არიან, ჭეშმარიტება უფრო აშკარა გახდება.

– მართალია, ჩვენ ეგრე შევთანხმდით, – კვერი დაუკრა ლებედევის დისწულმა.

– მაშ, წეღან პირველივე სიტყვებიდან ასეთი ღრიანცელი და ალიაქოთი რად ატეხეთ, თუკი ასეც გეწადათ?! – გაიოცა თავადმა.

– რაც შეეხება წერილს, თავადო, – ჩაურთო კრივის ოსტატმა, რომელსაც სული მისდიოდა, ვინემ თვითონაც რასმე იტყოდა (ზედვე ეტყობოდა, ბანოვანთა აქ ყოფნას ფრიად ემოქმედნა მასზე), – წერილს რაც შეეხება, გამოგიტყდებით რომ ავტორი მართლაც მე გახლავართ, თუმცა ჩემმა მეგობარმა ახლა გამიქიაქა იგი, მაგრამ ავადაა და ამიტომ ყველაფერს ვაპატიებ ხოლმე. წერილი მე დავწერე და ჩემი გულწრფელი მეგობრის ჟურნალში დავბეჭდე კორესპონდენციის სახით. ოღონდაც ლექსი ჩემი არაა და მართლაც, ცნობილი იუმორისტის კალამს ეკუთვნის. ბურდოვსკის კი წავუკითხე, ისიც მთლიანად არა და მაშინვე დამეთანხმა, გამოაქვეყნეო. მაგრამ მოგეხსენებათ, იმის ნებართვის გარეშეც შემეძლო გამომექვეყნებინა. საჯაროდ გამოტანის

უფლება ყოველ კაცს გააჩნია, რადგან კეთილშობილური და ქველი საქმე გახლავთ. იმედი მაქვს, თავადო, ამდენად პროგრესული კი ბრძანდებით, რომ ამას არ უარყოფთ.

– არაფერს არ უარვყოფ, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ თქვენი წერილი...

– მკვახედ არის დაწერილი ამის თქმა გსურთ მაგრამ ეს ხომ, ასე ვთქვათ, საზოგადოების სასიკეთოდ გახლავთ, თქვენც დამეთანხმებით. და ბოლოს, განა შეიძლებოდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება? მერე რა, რომ დამნაშავეები გამოიჭყლიტნენ! თავი და თავი საზოგადოების სიკეთე გახლავთ. რაც შეეხება ზოგიერთ შეცდომას, ასე ვთქვათ, ჰიპერბოლებს, იმაშიც დამეთანხმებით ალბათ, რომ მთავარი ინიციატივაა, მთავარი მიზანი და განზრახვაა; მთავარი სასიკეთო მაგალითია, კერძო შემთხვევების გარჩევა კი მერეც შეიძლება. ბოლოს სტილიც არ დაივიწყოთ, ასე ვთქვათ, იუმორისტული ამოცანაა და, ბოლოს, დამეთანხმებით, – ყველა ასე წერს, ჰა-ჰა!

– შემცდარი ბრძანდებით, ბატონებო, დამიჯერეთ, – შესძახა თავადმა, – ეგ წერილი ალბათ იმ ვარაუდით დაბეჭდეთ, რომ მე არაფრის გულისთვის არ დავთანხმდებოდი ბურდოვსკის დაკმაყოფილებას, მაშასადამე, ჩემი შეშინება იფიქრეთ და სამაგიეროს გადახდაც გადაწყვიტეთ. მაგრამ რა იცოდით, იქნებ გადაწყვეტილიც მქონდა ბურდოვსკის დაკმაყოფილება. პირდაპირ გიცხადებთ, აგერ ეს ხალხიც მისმენს, რომ დავაკმაყოფილებ...

– აი, ჭკვიანური და კეთილშობილური სიტყვა ჭკვიანი და კეთილშობილი კაცისა! – გამოაცხადა კრივის ოსტატმა.

– ღმერთო ჩემო! – აღმოხდა ლიზავეტა პროკოფიევნას.

– პირდაპირ აუტანელია! – წაიბურტყუნა გენერალმა.

– დამაცადეთ, ბატონებო, დამაცადეთ, გეტყვით, რასაც ვფიქრობ, – იმუდარებოდა თავადი, – ხუთიოდე კვირის წინ ზ-ში, ბატონო ბურდოვსკი, თქვენი რწმუნებული და შუამავალი ჩებაროვი მომადგა. ძალიან კი შეამკეთ მაგ თქვენ წერილში, ბატონო კელერ, ეგ კაცი, – მიუბრუნდა თავადი კრივის ოსტატს სიცილით, – მაგრამ მე სულაც არ მომეწონა. იმას კი მაშინვე მივხვდი, რომ თავი და თავი ეგ ჩებაროვი იყო და, გამოტეხვით რომ ვთქვა, ეგებ მან შეგაგულიანათ, ბატონო ბურდოვსკი, ამ საქმის წამოწყებაზე, თქვენი მიამიტობა რომ ნახა.

– მაგას რა უფლების ძალით... მე... მე მიამიტი არა ვარ... მაგას... – ალუღლუღდა აღელვებული ბურდოვსკი.

– ან რა უფლება გაქვთ, ეგეთი რამე იფიქროთ და თქვათ, – მედიდურად უთხრა ლებედევის დისწულმა.

– ამაზე მეტი შეურაცხყოფა რა იქნება?! – აჭყვირდა იპოლიტი, – მაგის ფიქრი შეურაცხყოფა გახლავთ, ტყუილია და საქმეს არც ეხება!

– უკაცრავად, ბატონებო, უკაცრავად, – სწრაფად მოიბოდიშა თავადმა, – თუ შეიძლება, მაპატიეთ; ეგ იმიტომ ვთქვი, რომ ვიფიქრე, იქნებ აჯობებდა, გამოტეხვით გვეთქვა ყველაფერი, მაგრამ, როგორც გენებოთ. ჩებაროვს ვუთხარი, რომ პეტერბურგში რაკი არ ვარ-მეთქი, დაუყოვნებლივ ჩემს მეგობარს შევუთვლი, ამ საქმეს მივანდობ და რომ მერე თქვენ გაცნობებდით ამას, ბატონო ბურდოვსკი. პირდაპირ გეტყვით, ბატონებო, ეგ საქმე დიდად თაღლითური მეჩვენა, სწორედ იმიტომ, რომ ჩებაროვი ერია... ოჰ, ნუ იწყენთ, ბატონებო! ღვთის გულისათვის, ნუ იწყენთ! – შესძახა შიშით თავადმა, რა დაინახა, ბურდოვსკი კვლავ გულმოსულად შეწრიალდა და მის მეგობრებსაც შფოთი და პროტესტი შეექმნათ, – პირადად თქვენ როდი გეხებათ, როცა ვამბობ, ეს საქმე თაღლითური მეჩვენა–მეთქი! მე ხომ მაშინ არც ერთს არ გიცნობდით და არც გვარები ვიცოდი თქვენი; მე მხოლოდ ჩებაროვის მიხედვით

ვსჯიდი; მე საერთოდ ვამბობ, რადგან... რომ იცოდეთ, რა საოცრად მატყუებდნენ მას აქეთ, რაც მემკვიდრეობა მივიღე!

– რა გულუბრყვილო ყოფილხართ, თავადო, – დაცინვით შენიშნა ლებედევის დისწულმა.

– თავადი მაინც არ იყოთ, ისიც მილიონერი! ეგებ მართლაც კი გქონდეთ კეთილი და ალალი გული, მაგრამ საერთო კანონს მაინც ვერ ასცდებით, რა თქმა უნდა, – წარმოთქვა იპოლიტმა.

– შეიძლება, ძალიანაც შეიძლება, ბატონებო, – ჩქარობდა თავადი, – თუმცა არ მესმის, რა საერთო კანონზე ამბობთ; მაგრამ მე გავაგრძელებ, ოღონდ ტყუილად მოგდით გული. გეფიცებით, ფიქრადაც არა მაქვს თქვენი შეურაცხყოფა. მართლაც შეიძლება გქონდეთ ალალი გული, მაგრამ საერთო წრფელად, მაშინვე გული მოგდით! ჰო, ჯერ ერთი, საოცრად გამიკვირდა, „პავლიშჩევის ვაჟის“ არსებობა რომ გავიგე, და მერე იმ საშინელ პირობებში, როგორც ჩებაროვმა ამიწერა. პავლიშჩევი ჩემი მწყალობელი და მამაჩემის მეგობარი იყო (ნეტავ რად დაწერეთ, ბატონო კელერ, ეგეთი სიცრუე მამაჩემზე? თავის დღეში ასეულის ფული არ შეუჭამია და არც არავინ გაუწკეპლავს. – ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ. ნეტავ ხელი როგორ მოგიბრუნდათ ასეთ ცილისწამებაზე), ხოლო პავლიშჩევზე რაც დაწერეთ, ეს უკვე პირდაპირ აუტანელია ამ უკეთილშობილეს კაცს ქალების მუსუსსა და თავქარიანს ისე თამამად და დაბეჯითებით ეძახით, თითქოს მართალს ლაპარაკობდეთ, თუმცა იმაზე უწმინდესი კაცი ამ ქვეყნად არ მოიძებნებოდა! ის გახლდათ შესანიშნავი მეცნიერი და სწავლულიც; მეცნიერებაში ბევრი საპატიო ადამიანის კორესპონდენტი იყო და მეცნიერებას ბევრი ფულიც შესწირა. თუ მის გულზე და კეთილ საქმეებზე ვილაპარაკებთ, ო, რა თქმა უნდა, სიმართლე დაწერეთ, რომ მაშინ თითქმის იდიოტი ვიყავი და არა გამეგებოდა რა (თუმცა რუსული ლაპარაკი მაინც შემეძლო), მაგრამ რაც ახლა მახსენდება, იმის დაფასება ხომ შემიძლია...

– ერთი მიბრძანეთ, – გაჰკიოდა იპოლიტი, – მეტისმეტად გულისამაჩუყებლად არ გამოდის ბავშვები კი არა ვართ. თქვენ ხომ პირდაპირ საქმეზე აპირებთ გადასვლას, არ დაივიწყოთ, ათი დაიწყო უკვე.

– ბატონი ბრძანდებით, ბატონი, – მყისვე დაუკრა კვერი თავადმა, – პირველად ეჭვი კი შემეპარა, მაგრამ მერე ვიფიქრე, შეიძლება ვცდები და პავლიშჩევს მართლაც დარჩა შვილი-მეთქი, მაგრამ იმან კი გამაკვირვა საოცრად, ეს შვილი ასე იოლად, მე მინდა ვთქვა, ასე საჯაროდ როგორ აცხადებს თავისი დაბადების საიდუმლოებას და რაც მთავარია, თავს სჭრის-მეთქი დედას. ვინაიდან ჩებაროვი მაშინაც მემუქრებოდა, საჯაროდ გამოვიტანთო მაგ ამბავს...

– რა სისულელეა! – პირში ეცა ლებედევის დისწული.

– რა უფლების ძალით... მაინც რა უფლების ძალით... – შესძახა ბურდოვსკიმ.

– შვილი პასუხს არ აგებს მამის გარყვნილებაზე, დედა კი უდანაშაულოა, – შეჰყვირა იპოლიტმა გაფიცხებით.

– უფრო იმიტომაც უნდა დაენდო, – მორიდებით შენიშნა თავადმა.

ლებედევის დისწულს ბოროტად ჩაეცინა

– თავადო, მარტო გულუბრყვილო კი არა, იქნებ მეტიც გითხრათ კაცმა.

– ან ვინ მოგცათ უფლება!.. – რაღაც არაბუნებრივად დასჭყივლა იპოლიტმა.

– არავინ, არავინ! – უმალ დაემოწმა თავადი, – ამაში, გამოგიტყდებით, მართალი ბრძანდებით, მაგრამ უნებურად მომივიდა. ჰოდა, მაშინვე ვთქვი კიდეც გულში, ჩემმა პირადმა გრძნობებმა საქმეზე გავლენა არ უნდა იქონიოს-მეთქი, ვინაიდან თავს თუ ვალდებულად ვრაცხ, ბატონი ბურდოვსკის მოთხოვნა დავაკმაყოფილო პავლიშჩევის ხსოვნის ხათრით, მაშინ რაც არ უნდა იყოს, ვცემ თუ არა ვცემ პატივს ბატონ ბურდოვსკის, მაინც ჩემი უნდა გავაკეთო-მეთქი. მე

მხოლოდ იმიტომ გითხარით, ბატონებო, რომ მაინც არაბუნებრივად მეჩვენა, რომ შვილი ასე საჯაროდ ამხელდა დედის საიდუმლოებას... ერთი სიტყვით, ამან უფრო დამარწმუნა, რომ ჩებაროვი გაიძვერაა, რომ მან წააქეზა და მოტყუებით დაიყოლია ბატონი ბურდოვსკი ამ თაღლითურ საქმეზე.

– ეს უკვე მეტისმეტია! – აყაყანდნენ მისი სტუმრები, ზოგიერთები ზეზეც წამოცვივდნენ.

– ბატონებო, იმიტომაც გადავწყვიტე, რომ საწყალი ბატონი ბურდოვსკი მიამიტი, უმწეო კაცია, რომელსაც არამზადები ადვილად მოატყუებენ ჭკუაში, მაშასადამე, მე უფრო უნდა დავეხმარო, როგორც პავლიშჩევის ვაჟს-მეთქი. ჯერ ერთი, ბატონი ჩებაროვის გავლენისაგან ვიხსნი, მეორეც – მეგობრობასა და ერთგულებას დავუმტკიცებ და გზაზე დავაყენებ, მესამეც – ათი ათას მანეთს მივცემ ანუ იმდენს, რამდენიც, ჩემის ანგარიშით, პავლიშჩევმა დახარჯა-მეთქი ჩემზე...

– რაო?! ათი ათასზე მეტი არა? – შეჰყვირა იპოლიტმა.

– იცით, თავადო, გეტყობათ, არითმეტიკა მაინცდამაინც არ გემარჯვებათ, ან იქნებ კარგადაც გემარჯვებათ და ტყუილად მოგაქვთ მიამიტად თავი! – შესძახა ლებედევის დისწულმა.

– ათი ათასს არ დავჯერდები, – გამოაცხადა ბურდოვსკიმ.

– ანტიპ! დაჯერდი! – აჩქარებით გადაუჩურჩულა იპოლიტის სკამის ზურგიდან გადმოწეულმა კრივის ოსტატმა. მისი ნაჩურჩულევი თითქმის ყველამ გაიგონა. – დაჯერდი, მერე კი ვნახოთ!

– გა-მიგონეთ, ბატონო მიშკინ, – კიოდა იპოლიტი, – ტუტუცები და ბრიყვები კი არა ვართ, როგორც ალბათ ამ თქვენ სტუმრებსა და ქალბატონებს ჰგონიათ. მერე რა აღშფოთებით გვიყურებენ და დაგვცინიან, მეტადრე აი, ეს ბრწყინვალე ვაჟბატონი (ევგენი პავლოვიჩზე მიუთითა), რომელსაც, ცხადია, პატივი არ მაქვს ვიცნობდე, მაგრამ ზოგი რამ მსმენია მასზე...

– მოიცათ, ბატონებო, მოიცათ, მაინც ვერ გამიგეთ! – აღელვებული მიუტრიალდა მათ თავადი, – ჯერ ერთი, ბატონო კელერ, თქვენს წერილში ჩემი მემკვიდრეობის ამბავი მეტისმეტად გაგიზვიადებიათ მილიონები მე სულაც არ მიმიღია; დიდი-დიდი მერვედი ან მეათედი იყო იმისა, რასაც თქვენ ფიქრობთ; მეორეც, შვეიცარიაში ჩემზე ათი ათასები არავის დაუხარჯავს შნეიდერი წელიწადში ექვსას მანეთს იღებდა, ისიც პირველ სამ წელს; არც ლამაზი გუვერნანტი ქალები ჩამოუყვანია პავლიშჩევს პარიზიდან; ესეც ცილისწამება გახლავთ. ჩემის ფიქრით, ათი ათასზე გაცილებით ნაკლები იქნება ჩემზე დახარჯული, მაგრამ მე მაინც ათი ათასამდე დავამრგვალე. გარდა ამისა, დამეთანხმებით, ბატონი ბურდოვსკი ძალიანაც რომ მყვარებოდა, მეტს მაინც ვერც შევთავაზებდი, თუნდაც იმიტომ, რომ მე ვალს ვუბრუნებ, მოწყალებას კი არ ვაძლევ. არ მესმის, ბატონებო, რით ვერ გაიგეთ ეს! ისიც ვიფიქრე მერე, მეგობრობას გავუწევ და რაც შეიძლება ყველაფერს გავუკეთებ უბედურ და მოტყუებულ ბატონ ბურდოვსკის-მეთქი. ვინაიდან მოტყუებული რომ არ იყოს, ასეთ სიმდაბლეზე, რასაც ბატონი კელერი აქვეყნებს დღევანდელ წერილში დედამისზე, არაფრით არ დათანხმდებოდა... რა იყო, ბატონებო, თქვენ ისევე ბრაზობთ?! თუ ასე გაგრძელდა, ვეღარას გავუგებთ ერთმანეთს! განა მართალი არ გამოვედი?! ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ჩემი ნააზრი მართალია, – აშოშმინებდა გაცხარებული თავადი თავის სტუმრებს და იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ უარესად უკიდებდა ცეცხლს.

– რაში, რაში დარწმუნდით? – გააფთრებით შეუტიეს აქეთ-იქიდან.

– მოიცათ, ბატონებო, უკვე მშვენივრად გავერკვიე ბატონი ბურდოვსკის ხასიათში, ვიცი, რას წარმოადგენს ის... ერთი მიამიტი კაცია, რომელსაც ყველა ატყუებს, ერთი უმწეო ვინმე... ჰოდა, ამიტომაც უფრო უნდა დავინდო, თანაც გავრილა არდალიონოვიჩმა, – ვისაც ეს საქმე მივანდე და ვისაც დიდი ხანია არაფერი შემოუთვლია ჩემთვის, მე ხომ წასული ვიყავი და თანაც სამი

დღე პეტერბურგში ვიავადმყოფე, – გავრილა არდალიონოვიჩმა ახლა, ამ ერთი საათის წინ, როგორც კი მნახა, მითხრა, ჩებაროვის ზრახვები ყოველივე ამოვიცანიო. საბუთებიც აქვს თურმე, რომ ჩებაროვი სწორედ ისეთი კაცია, როგორიც მეგონა. მე ხომ ვიცი, ბატონებო, რომ ბევრი იდიოტად მთვლის. ჩებაროვსაც გაგონილი ჰქონდა, თითქოს ფულებს აქეთ-იქით ვფანტავ, იმიტომაც ეგონა, ადვილად მომატყუებდა ჭკუაში, მით უფრო იცოდა, რა მადლიერი ვიყავი პავლიშჩევისა. მაგრამ რაც მთავარია, – დამაცალეთ, ბატონებო, ბოლომდე მათქმევინეთ! – რაც მთავარია, ახლა უეცრივ ირკვევა, რომ ბატონი ბურდოვსკი პავლიშჩევის ვაჟი სულაც არ არის! სწორედ ამ წუთას მაცნობა ეს გავრილა არდალიონოვიჩმა, მარწმუნებს, ამის უტყუარი საბუთები მაქვსო. რას იტყვით ამაზე?! რაც თქვენ ჩაიდინეთ, ყოველივე ამის შემდეგ ხომ ყოვლად დაუჯერებელია?! გესმით უტყუარი საბუთები მაქვსო! მე მაინც არ მჯერა, გარწმუნებთ, არ მჯერა. კიდევ ეჭვი მაქვს, ვინაიდან გავრილა არდალიონოვიჩმა ყველაფრის თქმა ვეღარ მოასწრო, მაგრამ ჩებაროვის არამზადობა კი ყოველ ეჭვს გარეშეა! მან უბედური ბატონი ბურდოვსკი მოატყუა და შეცდომაში შეგიყვანათ თქვენც, რომლებმაც ასე კეთილშობილურად დაუჭირეთ მხარი თქვენს მეგობარს (მას ხომ ნამდვილად სჭირდება მხარდაჭერა, განა არ ვიცი!), ყველა გაგრიათ ამ გაიძვერულ ამბავში, იმიტომ რომ, ეს ხომ სინამდვილეში თაღლითობა და გაიძვერობა არის?!

– რაო, თაღლითობაო!.. „პავლიშჩევის ვაჟი“ არ არისო ვინ ბედავს ამას!... - საშინლად შეწრიალდნენ ბურდოვსკის ძმაკაცები.

– რა თქმა უნდა, თაღლითობაა! თუ დამტკიცდა, რომ ბურდოვსკი „პავლიშჩევის ვაჟი“ არ არის, მაშინ ხომ ბატონი ბურდოვსკის მოთხოვნა აშკარა გაიძვერობაა (რა თქმა უნდა, თუ სინამდვილე იცოდა!), მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ იცოდა. იმიტომაც მინდა გავამართლო; იმიტომ ვამბობ, საცოდავია-მეთქი თავისი მიამიტი ბუნებით, კაცმა რომ არ დაიცვას, არ შეიძლება-მეთქი. თორემ ამ საქმეში ეგეც გაიძვერა გამოდის! მეც ხომ მჯერა, რომ მაგას არაფერი ესმის! შვეიცარიაში გამგზავრებამდე მეც მაგ დღეში ვიყავი, ასევე გაუგებრად ვლუღლუღებდი, – თქმა მინდოდა და ვერ გამომეთქვა... განა არ ვიცი; განა ვერ გავუგებ და ვუთანაგრძნობ, მეც ხომ თითქმის მაგის დღეში ვარ, მე არ დამეძრახება ამის თქმა! დაბოლოს, მე მაინც არ ვცვლი გადაწყვეტილებას, – მერე რა, რომ „პავლიშჩევის ვაჟი“ ახლა უკვე აღარ არსებობს და ეს ყოველივე მისტიფიკაცია გამოდგა, – პავლიშჩევის ხსოვნის ხათრით მაინც მზადა ვარ, ათი ათასი მანეთი მივცე. ბატონი ბურდოვსკის გამოჩენამდე ისედაც გადაწყვეტილი მქონდა, ეს ათი ათასი სკოლისთვის შემეწირა პავლიშჩევის სახელზე. მაგრამ ახლა სულ ერთია, გინდ სკოლაზე დამიხარჯავს, გინდ ბატონ ბურდოვსკიზე, ვინაიდან ბატონი ბურდოვსკი „პავლიშჩევის ვაჟი“ რომ არც იყოს, მაინც „პავლიშჩევის ვაჟივით“ გამოდის ის ხომ ბოროტად მოატყუეს. მას ხომ გულწრფელად სჯეროდა, პავლიშჩევის ვაჟი ვარო?! ბატონებო, მაშ გავრილა არდალიონოვიჩსაც მოვუსმინოთ, მოვრჩეთ ბარემ ამ ამბავს, ნუ გაჯავრდებით, ნუ აღელდებით, დაბრძანდით! გავრილა არდალიონოვიჩი ახლა ყველაფერს აგვიხსნის, მართალი გითხრათ, მეც საოცრად მწადია ყველა წვრილმანის გაგება. ისიც კი მითხრა, ბატონო ბურდოვსკი, რომ ფსკოვში ჩასულა და დედათქვენი უნახავს, რომელიც ცოცხალი ყოფილა, თუმცა კი წერილში დაგაწერინეს, გარდაიცვალაო... დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით!

თავადი დაჯდა და ზეზე წამოვარდნილი ბურდოვსკის ძმაკაცებიც დასვა. უკანასკნელი ათი თუ ოცი წუთი ისე გაცხარებით ისეთი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, რა არის, სხვები არ შებმოდნენ პირში, რომ მერე სანანებელიც გაუხდა ზოგი წამოცდენილი სიტყვა, რომ არ გაეფიცხებინათ და წონასწორობიდან არ გამოეყვანათ, იქნებ არც ამდენი ელაპარაკა და არც ასე

გულახდით. დაჯდა თუ არა, გულში მწველმა სინანულმა ისარივით გაჰკრა. რამ ათქმევინა, ბურდოვსკისაც ის სენი სჭირსო, რისგანაც მე თვითონ შვეიცარიაში ვმკურნალობდი, ამით ხომ „გული ატკინა“, ან ასე უხეშად, ასე დაურიდებლად როგორ შეაძლია მოწყალებასავით ათი ათასი, მაინც სკოლისთვის მქონდა გადადებულიო, ისიც ხალხში, საჯაროდ. „უნდა დამეცადა და ხვალ ცალკე მეთქვა, – მოაფიქრდა თავადს, – ახლა რაღა ეშველება! ჰო, რა იდიოტი ვარ, მართლა იდიოტი!“ – ლამის დაიწვა სირცხვილით თავადი.

გავრილა არდალიონოვიჩი, რომელიც განზე იდგა და ენისთვის ჯიუტად დაეჭირა კბილი, ახლა, თავადის მოპატიჟებით გვერდით ამოუდგა და მშვიდად, დალაგებით მოჰყვა, რაც გააკეთა თავადის მინდობილ საქმეზე. ლაპარაკი ყველამ შეწყვიტა. ყველა გაფაციცებით უსმენდა, ყველაზე მეტად – ბურდოვსკის ძმაკაცები.

IX

– თქვენ, რა თქმა უნდა, ვერ უარყოფთ, – ჯიქურ მიუტრიალდა გავრილა არდალიონოვიჩი სმენად გადაქცეულ, გაკვირვებისაგან თვალებდაჭყეტილ ბურდოვსკის, რომელიც საოცრად შეშფოთებული ჩანდა, – და ცხადია, არც მოინდომებთ იმის უარყოფას, რომ პატივცემული დედათქვენისა და კოლეჟსკი მდივნის ბატონ ბურდოვსკის, თქვენი მამის, კანონიერი ქორწინებიდან ზუსტად ორი წლის თავზე დაიბადეთ. თქვენი დაბადების წელი ადვილად დასადასტურებელია საბუთებით, ასე რომ, ბატონი კელერის წერილში ამ ფაქტის ესოდენ სათაკილო დამახინჯება, თქვენი და დედათქვენის შეურაცხმყოფელი, მარტოოდენ ბატონ კელერის ფანტაზიის სიცუღლუტეს მიეწერება, რომელსაც ამით ეწადა თქვენი უფლებების აღზევება და თქვენთვის დახმარების გაწევა. ბატონმა კელერმა ბრძანა, რომ ეს წერილი წინასწარ წაგიკითხათ, თუმცა ბოლომდე არა... ეჭვს გარეშეა, ამ ადგილამდე არ წაუკითხავს...

– მართლაც არ წამიკითხავს, – გააწყვეტინა კრივის ოსტატმა, – მხოლოდ ყველა ფაქტი კომპეტენტურმა პირმა გადმომცა და მეც...

– უკაცრავად, ბატონო კელერ, – შეაჩერა გავრილა არდალიონოვიჩმა, – ნება მიბოძეთ, განვაგრძო. მერწმუნეთ, თქვენს წერილზეც მიდგება ჯერი და ეგ განმარტებანი მაშინ მოგვეცით. ახლა კი სჯობს რიგის მიხედვით მივყვეთ. სრულიად შემთხვევით, ჩემი დის, ვარვარა არდალიონოვნა პტიცინის შემწეობით მისმა ახლო ნაცნობმა (ქვრივმა მემამულე ქალმა, ვერა ალექსეევნა ზუბკოვამ), განსვენებული ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევის ერთი წერილი გადმომცა, რომელიც მისთვის მოუწერია ოცდახუთი წლის წინათ საზღვარგარეთიდან. ვერა ალექსეევნას რომ კარგად გავეცანი, მისი რჩევით ბატონ პავლიშჩევის შორეულ ნათესავსა და თავის დროზე დიდ მეგობარს, გადამდგარ პოლკოვნიკ ტიმოფეი ფეოდოროვიჩ ვიაზოვკინსაც მივმართე და კიდევ ორი წერილი მოვიგდე ხელთ, აგრეთვე საზღვარგარეთიდან მოწერილი. ამ სამ წერილში მოყვანილი რიცხვებითა და ფაქტებით მათემატიკურად მტკიცდება, რომ ნიკოლაი ანდრეევიჩი მაშინ საზღვარგარეთ თქვენს დაბადებამდე წლინახევრით ადრე გაემგზავრა, ბატონო ბურდოვსკი (სადაც სამი წელი დაჰყო ზედიზედ). როგორც მოგეხსენებათ, დედათქვენი რუსეთის საზღვრებს თავის დღეში არ გასცილებია... ახლა ამ წერილების კითხვას აღარ მოვყვები. უკვე გვიანია; მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ ყოველი შემთხვევისათვის. მაგრამ თუ თქვენ მოინდომებთ, ბატონო ბურდოვსკი, თუნდაც ხვალ დილას მობრძანდით ჩემთან, მოიყვანეთ თქვენი მოწმეები და ექსპერტები (რამდენიც გნებავთ) ხელნაწერის შესადარებლად. ერთი

წუთითაც არ ვეჭვობ, რომ უთუოდ დარწმუნდებით ჩემ მიერ აღნიშნული ფაქტის სისწორეში. ხოლო თუ ასეა, რა თქმა უნდა, ეს საქმე ჩაშლილი გახლავთ და თავისთავად უნდა შეწყდეს.

ყველა შეჩოჩქოლდა, ყველა აღელდა ისევ. ბურდოვსკი უცბად სკამიდან წამოდგა.

– თუ ასეა, მაშ მოტყუებული ვყოფილვარ, ჩებაროვი აქ არაფერ შუაშია, დიდი ხანია მოტყუებული ვყოფილვარ. არც ექსპერტები მინდა და არც თქვენთან მოსვლა. მე მჯერა, უარს ვამბობ... ათი ათასზე თანახმა არ ვარ... მშვიდობით... ბურდოვსკიმ ქუდი აიღო, სკამი გასწია და წასასვლელად მოემზადა.

– ბატონო ბურდოვსკი, თუ შეიძლება, ხუთი წუთი კიდევ მომითმინთ, – ტკბილად შეაჩერა გავრილა არდალიონოვიჩმა. – ამ საქმის ირგვლივ რამდენიმე ფრიად საყურადღებო ფაქტი აღმოვაჩინე კიდევ და ვფიქრობ, თქვენთვის დიდად საინტერესო უნდა იყოს. ჩემი აზრით, არ შეიძლება არ გაეცნოთ მათ. საქმის მთლიანად გარკვევა, მგონი, სასიამოვნოდ უნდა დაგრჩეთ. ბურდოვსკი უსიტყვოდ დაჯდა, თავი ოდნავ ჩაქინდრა, თითქოს ფიქრებმა წაიღო. მის გასაყოლად წამომხტარი ლებედევის დისწულიც ჩამოჯდა; ამან, მართალია, იხტიბარი არ გაიტეხა, მაგრამ გაწბილებული კი ჩანდა. იპოლიტიც შუბლშეკრული, დაღვრემილი და თითქოს გაკვირვებული იყურებოდა. თუმცა ამ წუთს ისეთი ხველება აუტყდა, რომ ცხვირსახოცი სისხლით დასვარა. კრივის ოსტატი შიშს აეტანა.

– ეჰ, ანტიპ! – მწარედ ამოიგმინა მან, – ამ სამი დღის წინ განა არ გითხარი, იქნებ პავლიშჩევის ვაჟი არც იყოს-მეთქი?!

აქა-იქ თავშეკავებით ჩაიხითხითეს. ორმა-სამმა გადაიხარხარა.

– რაც ახლა ბრძანეთ, ბატონო კელერ, – უმალ მიაყოლა გავრილა არდალიონოვიჩმა, – ძვირფასი ფაქტია. მიუხედავად ამისა, მე სრული უფლება მაქვს, უტყუარი საბუთებით დავამტკიცო, რომ ბატონმა ბურდოვსკიმ, მართალია, მშვენივრად იცოდა თავისი დაბადების წელი, მაგრამ პავლიშჩევის ამ ხანებში საზღვარგარეთ ყოფნის თაობაზე არაფერი მოეხსენებოდა, ბატონ პავლიშჩევს ხომ თავისი ცხოვრების მეტი წილი საზღვარგარეთ ჰქონდა გატარებული, რუსეთში მხოლოდ მცირე ხნით ჩამოდიოდა. თანაც მაშინდელი გამგზავრების ამბავი არც ისეთ მნიშვნელოვან რასმე წარმოადგენდა, რომ ოცი წლის შემდეგ ვისმე ხსომებოდა, თუნდაც პავლიშჩევის ახლობლებს, მით უმეტეს, რა ემახსოვრებოდა ბატონ ბურდოვსკის, რომელიც იმ დროს დაბადებულიც არ იყო. რა თქმა უნდა, ამ ამბების გამოძიება არც ისეთი ძნელი საქმეა. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, ეს ცნობები სავსებით შემთხვევით ჩამივარდა ხელთ და ადვილი შესაძლებელი იყო, არც ჩამვარდნოდა; ბურდოვსკისა და, ასე გასინჯეთ, ჩებაროვისთვისაც კი, ამ ცნობების მოკრეფა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, კიდეც რომ მოფიქრებოდათ, მაგრამ ხომ შეიძლება არც მოფიქრებოდათ...

– ერთი მიბრძანეთ, ბატონო ივოლგინ, – გაგულისებით გააწყვეტინა იპოლიტმა, – რაში გჭირდებათ (მაპატიეთ და) ეს მიეთმოეთი საქმე ხომ გაირკვა, იმ მთავარ ფაქტში თანახმა ვართ, დაგიჯეროთ, მაშ რაღას გასჭიმეთ და გამოსჭიმეთ ეს სამძიმო, შეურაცხმყოფელი ამბავი იქნებ თავი გინდათ მოიწონოთ თქვენი მოხერხებული გამოძიებით და ჩვენ და თავადს ის დაგვანახოთ, რა მშვენიერი გამომძიებელი და მაძებარი ბრძანდებით ან იქნებ გწადიათ, ბურდოვსკის მოუბოდიშოთ და გაამართლოთ, საქმის არა იცოდი რა და იმიტომ გაებაო მაგრამ ეს ხომ კადნიერებაა, მოწყალეო ბატონო?! თქვენი გამართლება და მობოდიშება ბურდოვსკის არაფრად სჭირია, ესეც იცოდეთ! ის ისედაც შეურცხყოფილია, ისედაც მძიმე დღეშია, საჩოთირო მდგომარეობაშია, განა ვერ უნდა მიხვდეთ, ვერ უნდა გაიგოთ...

– გეყოფათ, ბატონო ტერენტიევ, გეყოფათ, – ძლივს მოახერხა სიტყვის ჩართვა გავრილა არდალიონოვიჩმა, – დაწყნარდით, ნუ გაბრაზდებით; მგონი, მეტად შეუძლოდ ბრძანდებით, არა თანაგიგრძნობთ რაკი ასეა, თუ გნებავთ, მე მოვრჩი, ანუ იძულებული ვარ, მოკლედ გადმოგცეთ ის ფაქტები, რომლებიც, ჩემის რწმენით, ზედმეტი არ იქნება, ზუსტად იცოდეთ, – დასძინა ესეც, რაკი იქ მყოფთ მოუთმენელი ჩოჩქოლი შენიშნა, – მე მხოლოდ ის მინდა ვაცნობო ამ საქმეში ყველა დაინტერესებულ პირს, ბატონო ბურდოვსკი, და ამის საბუთებსაც მოვიტან, რომ პავლიშჩევი მარტო იმიტომ ზრუნავდა და ასე კარგად ეპყრობოდა დედათქვენს, რომ დედათქვენი ღვიძლი და გახლდათ იმ ახალგაზრდა შინაყმა ქალისა, ვინც ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევს სიყრმიდანვე უყვარდა და ვისაც უთუოდ ცოლად ითხოვდა, რომ ის ქალი მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო. მე საბუთიც მაქვს, რომ ეს უტყუარი და სწორი საოჯახო ფაქტი ფრიად ცოტა ვინმემ იცოდა და თითქმის აღარავის ახსოვს ახლა. შემდეგ იმასაც დავუმატებდი, რომ დედათქვენი, ათი წლის ასაკში, ბატონმა პავლიშჩევმა აღსაზრდელად წამოიყვანა, ვითარცა ნათესავი, საკმაოდ დიდი მზითვი გამოუყო, და მისმა ამ მზრუნველობამ მეტისმეტი შეშფოთებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია პავლიშჩევის უამრავ ნათესავთა შორის. ისიც კი ეგონათ, თავის აღზრდილს ცოლად შეირთავსო. მაგრამ ქალს გამმიჯნავი მოხელე, ბატონი ბურდოვსკი შეუყვარდა (ეს ზუსტად შემიძლია დავამტკიცო) და ოცი წლის ასაკში ცოლად გაჰყვა. აქ რამდენიმე უტყუარი საბუთი მაქვს შეგროვილი იმის დასამტკიცებლად, რომ მამათქვენმა, ბატონო ბურდოვსკი, დედათქვენის მზითევში თხუთმეტი ათასი მიიღო, სამსახურს თავი დაანება, კომერციულ საქმიანობას მიჰყო ხელი, მაგრამ საქმის კაცი არ იყო და მოატყუეს, ქონება დააკარგვინეს. მერე დარდს ვეღარ გაუძლო, ლოთობას მიჰყო ხელი, რამაც ჯანი შეურყია და ბოლოს, ქორწინების მერვე წელს, უდროოდ გარდაიცვალა. შემდეგ, საკუთრივ დედათქვენის მოწმობით, სულ ულუკმაპუროდ დარჩენილთ მხოლოდ პავლიშჩევის სულგრძელობით გედგათ სული, რომელიც ყოველწლიურად ექვსას მანეთს გაძლევდათ თურმე. შემდეგ იმის საბუთიც არის, რომ ბავშვობაში პავლიშჩევს ძალზე უყვარდით. ამ საბუთებით და კვლავ დედათქვენის მოწმობით, უფრო იმიტომ უყვარდით თურმე, რომ პატარაობაში ენაბლუ, მახინჯი, საცოდავი, ბეჩავი ბავშვი იყავით (პავლიშჩევს კი, როგორც უტყუარმა საბუთებმა დამარწმუნა, მთელი სიცოცხლე რაღაც საოცრად ნაზი სიყვარული ჰქონია ყველა ბუნებით დაჩაგრულისა და დაჯაბნილის მიმართ, განსაკუთრებით ბავშვებისადმი – რაც, ჩემის ფიქრით, ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ჩვენი საქმისათვის). ბოლოს, ისიც შემიძლია დავიკვეხო, რომ ზუსტად გამოვიკვლიე, პავლიშჩევის თქვენდამი საოცარმა სიყვარულმა (პავლიშჩევის წყალობით მიგიღეს თქვენ გიმნაზიაში, სადაც დიდ ზრუნვასაც იჩენდნენ თქვენდამი) როგორ წარმოშვა ნელ-ნელა პავლიშჩევის ნათესავებსა და შინაურებში აზრი, თითქოს მისი შვილი ხართ და მამათქვენი მოტყუებული ქმარია. მაგრამ, რაც მთავარია, ეს აზრი მხოლოდ პავლიშჩევის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაიჯერა და ირწმუნა ყველამ. მაშინ ყველას ანდერძის თაობაზე ჰქონდათ შემდგარი შიში, ფაქტების სათავე კი დავიწყებოდათ და ცნობების მოკითხვაც შეუძლებელ რასმე წარმოადგენდა. უეჭველია, ეს ამბავი თქვენც ჩაგეწვეთათ და სავსებით ირწმუნეთ. პატივცემულ დედათქვენამდეც, რომელიც პირადად გავიცანი, მიუღწევია ამ ხმებს. მაგრამ დღემდე არ იცის (და არც მე გავუმხილე), რომ მისმა ვაჟმაც იწამა ეს ჭორი, მე ვნახე ფსკოვში, ბატონო ბურდოვსკი, დიდადპატივცემული დედათქვენი. იგი ავადმყოფობს და გაჭირვებაში ცხოვრობს, პავლიშჩევის გარდაცვალების შემდეგ მას ხომ ყოველგვარი სახსარი მოესპო. ტირილით მიამბო, რომ თქვენი სიყვარულითა და დახმარებით

უდგას ამ ქვეყნად სული; იგი ბევრს მოელის მომავალში თქვენგან და გულით და სულით სწამს თქვენი წარმატება...

– ეს უკვე აუტანელია! – ველარ მოითმინა და შეჰყვირა ლებედევის დისწულმა. – ვის რაში სჭირია ეგ რომანი?

– გულის ამრევია პირდაპირ! – შეტოკდა იპოლიტი. მაგრამ ბურდოვსკის არა შეუმჩნევია რა და არც განძრეულა.

– ვის რაში სჭირდებაო? – ცბიერად გაიოცა გავრილა არდალიონოვიჩმა და მერე გესლიანად დაასკვნა – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბატონმა ბურდოვსკიმ იქნებ ახლა მაინც დაიჯეროს, რომ პავლიშჩევს მხოლოდ სულგრძელი სიყვარული ამოქმედებდა და არა მამაშვილური გრძნობა. თუნდაც მარტო ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაეგო ბატონ ბურდოვსკის, რომელმაც წერილის წაკითხვის შემდეგ მხარი დაუჭირა ბატონ კელერს. ასე იმიტომ ვამბობ, ბატონო ბურდოვსკი, რომ კეთილშობილ კაცად გთვლით. მეორეც ისა, რომ თურმე არც ჩებაროვის მხრივ ყოფილა რაიმე ძარცვა-გაიძვერობის სურვილი; ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანი ამბავი გახლავთ, ვინაიდან წეღან თავადმა გაცხარებულ გულზე თქვა, ვითომ მეც ამ უბედურ საქმეს ძარცვა-გაიძვერობად ვთვლი. პირიქით, აქ ყველას სწამდა საქმის სიმართლე, ჩებაროვი შეიძლება მართლაც კი იყოს გაიძვერა, მაგრამ ამ საქმეში ის უფრო შუამავლად, საქმის გამჩარხავად გამოდიოდა. იმედი ჰქონდა, როგორც ვექილი, დიდ ფულს მოიგებდა. მისი ანგარიში არა მარტო ჭკვიანური, არამედ ნაღდიც იყო იცოდა, რა იოლად ფანტავდა ფულებს თავადი და რა მადლიერი და პატივისმცემელი არის განსვენებული პავლიშჩევისა; ბოლოს ისიც იცოდა (ეს კი მთავარია), თუ რა რაინდული შეხედულებების გახლავთ თავადი პატიოსნებასა და სინდისიერებაზე. რაც შეეხება ბატონ ბურდოვსკის, ისიც შეიძლება ითქვას, რომ უფრო იმიტომ აჰყვა ჩებაროვსა და თავის ძმაკაცებს, რასაც მისმა ზოგიერთმა შეხედულებამაც შეუწყო ხელი, და უფრო იმიტომაც დაიწყო ეს საქმე, რომ ჭეშმარიტების, პროგრესის, კაცობრიობის სამსახურად მიაჩნდა და არა ფულისთვის. ახლა, ამ ფაქტების შემდეგ, ვფიქრობ, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ბატონი ბურდოვსკი მართალი კაცია, თუმცა კი საქმეს დასაწყისში სულ სხვა პირი უჩანდა. ასე რომ, თავადს თავისუფლად შეუძლია მეგობრული შემწეობა და ის დახმარება აღმოუჩინოს, რაც წეღან ახსენა სკოლებსა და პავლიშჩევზე ლაპარაკისას...

– შეწყვიტეთ, გავრილა არდალიონოვიჩ, შეწყვიტეთ! – შესძახა ჭეშმარიტად შეშინებულმა თავადმა, მაგრამ გვიანღა იყო.

– მე ვთქვი, უკვე სამჯერ ვთქვი, ფული არ მინდა-მეთქი, – გულმოსული აბლუკუნდა ბურდოვსკი. – მე არ ავიღებ... იმიტომ... არ მინდა... შორს!..

და ლამის სირბილით გაიქცა ტერასიდან, მაგრამ ლებედევის დისწულმა ხელი სტაცა და რაღაც უჩურჩულა. ბურდოვსკი სასწრაფოდ მობრუნდა, ჯიბიდან კარგა მოზრდილი, დაუბეჭდავი კონვერტი ამოიღო და თავადის გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე დააგდო.

– აი, თქვენი ფული!.. როგორ გამიბედეთ... როგორ!.. ფული!..

– ის ორას ორმოცდაათი მანეთი, რომელიც გაბედეთ და მოწყალებასავით გამოუგზავნეთ ჩებაროვის ხელით, – განმარტა დოქტორენკომ.

– აკი წერილში სწერია, ორმოცდაათიო! – დაიძახა კოლიამ.

– დავაშავე! ძალიან დავაშავე თქვენთან, ბურდოვსკი, – მიუახლოვდა ბურდოვსკის თავადი, – მაგრამ ეს მოწყალება არ ყოფილა, მერწმუნეთ. მე... წეღანაც დავაშავე (თავადი ძალზე შეწუხებული ჩანდა, დაღლილი და ავადმყოფური იერი დასდებოდა, სიტყვებს თავს ვერ აბამდა), თაღლითობაა-მეთქი რომ ვთქვი... მაგრამ თქვენ არაფერ შუაში ხართ, შევცდი. რომ

ვთქვი... ჩემსავით ავადმყოფი ხარ–თქო. მაგრამ არა, ჩემსავით არ ყოფილხართ, თქვენ... აგერ ასწავლით თურმე, დედას ინახავთ. ისიც ვთქვი, დედას თავი მოჭრაო, მაგრამ თურმე გიყვართ დედა; თვითონვე უთქვამს... მე არ ვიცოდი... გავრილა არდალიონოვიჩმა წეღან ყველაფრის თქმა ვერ მოასწრო... დავაშავე. იმ ათი ათასი მანეთის შემოთავაზებითაც დავაშავე, ასე არ უნდა გამეკეთებინა, ახლა კი... აღარაფერი ეშველება, იმიტომ რომ გეზიზღებით...

– პირდაპირ საგიჟეთია! – შესძახა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– რა თქმა უნდა, საგიჟეთია! – ვეღარ მოითმინა და მკვახედ დასძინა აგლაიამაც, მაგრამ მისი ნათქვამი საერთო ღრიანცელმა შთანთქა; უკვე ყველას ამოედგა ენა, ყველა მსჯელობდა, ვინ დავობდა, ვინ იცინოდა. უაღრესად აღშფოთებული ივან ფიოდოროვიჩ ეპანჩინი ღირსებაშელახული კაცის სახით იდგა და ლიზავეტა პროკოფიევნას ელოდა. ლებედევის დისწულმა უკანასკნელად მაინც ჩაურთო თავისი:

– დიახ, თავადო, კაცმა მართალი უნდა თქვას, მშვენივრად იყენებთ მან... მაგ თქვენს ავადმყოფობას (თავაზიანად რომ ვთქვათ); ისე მოხერხებულად შესძელით მეგობრობისა და ფულის შეთავაზება, რომ კეთილშობილი კაცი ახლა მაგაზე ვერაფრის დიდებით ვერ დაგყაბულდებათ. ეს ან მეტისმეტი მიამიტობაა, ან მეტისმეტი ფხიანობა... თუმცა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

– მოითმინეთ, ბატონებო, – შესძახა გავრილა არდალიონოვიჩმა, რომელსაც ამასობაში ფულის კონვერტი გაეხსნა, – აქ ორას ორმოცდაათი კი არა, მხოლოდ ასი მანეთია. იმიტომ გავხსენი, თავადო, რომ მერე გაუგებრობა არ მომხდარიყო.

– გეყოფათ, გაჩუმდით, – ხელები აუქნია თავადმა გავრილა არდალიონოვიჩს.

– არა, თავადო, არ „ეყოფა“! – მყისვე ჩაეჭიდა ამას ლებედევის დისწული. – დიახაც, შეურაცხყოფას გვაყენებთ მაგ თქვენი „გეყოფათი“. ჩვენ არ ვიმალებით, ჩვენ აშკარად ვაღიარებთ; დიახ, აქ მხოლოდ ასი მანეთია და არა ორას ორმოცდაათი, მაგრამ განა სულერთი არ არის...

– აარა, სულერთი არაა, – ვითომდა მიამიტი გაოცებით ჩააკერა გავრილა არდალიონოვიჩმა.

– სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ; არც ისეთი ტუტუცები ვართ, როგორც თქვენ გგონიათ, ბატონო ვექილო, – შეუღრინა ლებედევის დისწულმა, – ცხადია, ასი მანეთი ორას ორმოცდაათი არ არის და არც სულერთია, მაგრამ თავი და თავი პრინციპია; აქ მთავარი ინიციატივაა, ხოლო ას ორმოცდაათი მანეთი რომ აკლია, დიდი ბედენა არაა. თავი და თავი ის გახლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ბურდოვსკი არ იღებს თქვენს მოწყალებას, სახეში გაყრით ამ ფულს, ამ აზრით კი სულერთია, ასი იქნება თუ ორას ორმოცდაათი. ხომ ნახეთ, ბურდოვსკიმ არც ათი ათასი აიღო; უნამუსო კაცი რომ ყოფილიყო, არც ამ ას მანეთს მოიტანდა! ის ას ორმოცდაათი მანეთი ჩებაროვმა თავადთან მგზავრობის ხარჯებში წაიღო. ჰოდა, იცინეთ, იცინეთ, რომ საქმის ჩარხვა არ შეგვიძლია, რომ უგერგილონი ვართ, ისედაც ხომ არაფერი დაიშურეთ და გაგვამასხრეთ. მაგრამ იმის თქმა არ გაბედოთ, უნამუსოები არიანო. იმ ას ორმოცდაათ მანეთს, მოწყალეო ბატონო, ჩვენ ყველანი ერთად გადავუხდით თავადს; თუნდ მანეთ-მანეთობით, მაგრამ მაინც დავუბრუნებთ უკან სარგებლით. ბურდოვსკი ღატაკია, ბურდოვსკის ვინ მისცა მილიონები, ჩებაროვმა კი გამგზავრების ანგარიში წარმოუდგინა. ჩვენ იმედი გვქონდა, საქმეს მოვიგებდით... მის ადგილზე სხვანაირად ვინ მოიქცეოდა?

– როგორ თუ ვინო? – შესძახა თავადმა შჩ-მ.

– ჭკუაზე შევიშლები და ესაა! – შეჰყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ეს ამბავი, – გაეცინა ევგენი პავლოვიჩს, რომელიც, რა ხანია, თვალს ადევნებდა ყოველივეს, – ამ ცოტა ხნით წინათ ერთ გახმაურებულ დაცვას მაგონებს ვექილმა, რომელი იცავდა კაცს, ვისაც გაძარცვის მიზნით ექვსი კაცი ჰყავდა მოკლული ერთად, საპატიო მიზეზად ამ კლიენტის სიღატაკე მოიყვანა და დაახლოებით ასე დაასრულა „ბუნებრივია, რომ ჩემს გაჭირვებულ კლიენტს თავში ექვსი კაცის მოკვლა მოუვიდა, მის ადგილზე ვის არ მოუვიდოდაო ასეთი რამ აზრად“ რაღაც ამდაგვარი თქვა, ძალზე სასაცილო კი გამოვიდა.

– კმარა! – გამოაცხადა უეცრად ლიზავეტა პროკოფიევნამ, რომელიც სიბრაზისაგან ლამის კანკალებდა, – დროა შეწყვიტოთ ეს აბდაუბდა! – მერე თავი ასწია და მედიდური, გამომწვევი სახით მოუთმენლად მოავლო ანთებული თვალები მთელ კომპანიას. უკვე ვეღარ გაერჩია, ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე. დიდხანს შეკავებულმა და ბოლოს გადმოხეთქილმა ბოღმამ იმ ზღვარს მიაღწია, როცა კაცს დაუყოვნებლივ შეტაკების, ვისიმე დაუყოვნებლივ პირში შებმის მეტი სხვა არა ახსოვს და არა სწადია რა. ვინც ლიზავეტა პროკოფიევნას ხასიათი იცოდა, ყველამ მაშინვე იაზრა, რაღაც უჩვეულო რამ დაემართაო. მეორე დღეს კიდეც უთხრა ივან ფიოდოროვიჩმა თავად შჩ-ს ეგეთები კი სჩვევია, მაგრამ იმ ზომამდე, როგორც გუშინ იყო, იშვიათად, ასე სამ წელიწადში ერთხელ თუ მოუვლის ხოლმე. მაგრამ არამც და არამც მეტჯერ არა! მეტჯერ არაო! – დასძინა ესეც საგულისხმოდ.

– კმარა, ივან ფიოდოროვიჩ! თავი დამანებეთ! – გაჰკიოდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – ახლა რაღად მინდა, მკლავს რომ მიწვდით, წეღან ვერ მოახერხეთ და ვერ გამიყვანეთ თქვენ ქმარი ბრძანდებით, ოჯახის თავი; მე, სულელი, ყურით უნდა გაგეთრიეთ აქედან, თუკი არ დაგიჯერებდით და არ წამოგყვებოდით. საკუთარ ქალებზე მაინც გეზრუნათ! ახლა უთქვენოდაც მოვნახავთ გზას, ეს სირცხვილი მთელი წელიწადი გვეყოფა... მოიცათ, ერთი თავადსაც მოვახსენო მადლობა!.. გმადლობთ, თავადო, ამისთანა გამასპინძლებისთვის! მე აქ არხეინად წამოვიჭიმე, ვიფიქრე, ყმაწვილკაცობას მოვუსმენ-მეთქი... ეს სიმდაბლეა, საზიზღრობა! ქაოსი, უხამსობა, სიზმარშიც ვერ ნახავს კაცი ასეთ რასმე! ნუთუ ბევრნი არიან ეგეთები... ჩუმად, აგლაია! ჩუმად ალექსანდრა! თქვენი საქმე არაა!.. თავი დამანებეთ, ევგენი პავლოვიჩ, გული ნუ გამიწყალეთ!.. მაშ, ჩემო კარგო, შენ იქით უხდი ბოდიშებს მაგათ, – მიუტრიალდა ისევ თავადს, – უკაცრავად, რომ გავბედე და ფული შემოგაძლიეთო... შენ რაღას იკრიჭები, შე ბაქიავ შენა! – მოულოდნელად ეცა ლებედევის დისწულს, – ჩვენ ფულზე უარს ვამბობთო, ჩვენ მოვითხოვთ და არა ვიხვეწებითო! თითქოს არ იცის, რომ ეს იდიოტი ხვალვე მოეთრევა მათთან და თავის მეგობრობას და ფულს შესთავაზებს! ხომ წახვალ წახვალ თუ არა?

– წავალ, – წყნარად, მორჩილად ჩაილაპარაკა თავადმა.

– გაიგონეთ?! განა არა, სწორედ მაგის იმედი გაქვს, – მიუბრუნდა ისევ დოქტორენკოს, – შენ ხომ ეგ ფული ჯიბეში გეგულება და იმიტომაც ხარ ახლა დიდ გულზე, თვალში მტვერს გვაყრი... არა, გენაცვა, ტუტუცები სხვაგან მოძებნე, მე თქვენ ვერაფერს გამომაპარებთ! კარგად ვხედავ თქვენს ოინებს!

– ლიზავეტა პროკოფიევნა! – შესძახა თავადმა.

– წავიდეთ, ლიზავეტა პროკოფიევნა, მეტისმეტად დაგვიხანდა აქ. თავადიც თან წავიყვანოთ, – რაც შეიძლება მშვიდი ღიმილით უთხრა თავადმა შჩ-მ. თითქმის შეშინებული გენერლის ქალები განზე მიმდგარიყვნენ. გენერალიც აშკარად დამფრთხალი ჩანდა. საერთოდ, ყველას განცვიფრება ეტყობოდა. მოშორებით მდგომნი ჩუმჩუმად ქირქილებდნენ და ჩურჩულებდნენ, ლებედევს უაღრესი აღტაცება ეწერა სახეზე.

– უხამსობასა და ქაოსს ყველგან შეხვდებით, ქალბატონო, – წაილაპარაკა ცოტა არ იყოს დაბნეულმა ლებედევის დისწულმა.

– არა, ამგვარს არა, გეთაყვა, რაც ახლა თქვენ მოიმოქმედეთ, ამგვარს არა! – თითქმის ისტერიული ნიშნის მოგებით აიტაცა ლიზავეტა პროკოფიევნამ და მისი დაშოშმინების მოსურნეთ შეუტია – რა გამიჭირეთ საქმე?! არა, თუკი თქვენ თვითონ ამბობთ, ევგენი პავლოვიჩ, დამცველმა თავისი პირით განაცხადა სასამართლოზე, სრულიად ბუნებრივია გაჭირვების გამო ექვსი კაცი დახოცო, მაშ, აღსასრული მოსულა და ესაა. ეგ ჯერ არ გამიგონია. ახლა ამეხილა თვალი! განა ეგ ენაბლუ კი არ დაკლავს ვისმე (მიათითა მან ბურდოვსკიზე, რომელიც მეტისმეტი განცვიფრებით შეჰყურებდა ლიზავეტა პროკოფიევნას). სანაძლეოს დავდებ, რომ დაკლავს! ის შენი ათი ათასი ეგებ არც გამოგართვას, ეგებ სინდისმა არ უქნას, მაგრამ ღამით კი მოვა, ყელს გამოგჭრის და იმ ფულს წაიღებს. მაგას სინდისი არ დაუშლის! ეგ უსინდისობად არ მიაჩნია! ეგ „კეთილშობილი სასოწარკვეთილებაა“, „უარყოფა“, თუ, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა... ფუჰ! ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ქალს ზრდი, ეფოფინები, ის კი უცბად შუა ქუჩაში გაგექცევა, დროშკაზე ახტება[82] დედილო, ამ დღეებში ვიღაც კარლიჩსა და ივანიჩს გავყევი ცოლად, მშვიდობით ბრძანდებოდეთო! და ჰაიდა! თქვენ რომ გკითხოთ კაცმა, ასეც უნდა, კარგიაო, არა ბუნებრივია, პატივისცემის ღირსია, არა ქალთა საკითხია, ხომ აი, ეს ლაწირაკი (მიათითა მან კოლიაზე), აი, ესეც ამ დღეებში მედავებოდა, „ქალთა საკითხი“ სწორედ მაგას ნიშნავსო. კი, ბატონო, დედაშენი სულელია, მაგრამ შენ მაინც ადამიანურად მოექეცი!.. წეღან, რა იყო თავაღერილი რომ შემობრძანდით „არ მოგვეკაროთ, ჩვენ მოვდივართ, ყველაფრის უფლება ჩვენ დაგვითმე, შენ კი კრინტი არ დასძრა. ყოველივე პატივი და დიდება ჩვენ მოგვაგე, ისეთიც, ქვეყნად რომ არ არსებობს, შენ კი უკანასკნელ ლაქიაზე უარესად მოგექცევითო!“ ჭეშმარიტებას ეძიებენ, სამართალს ჩივიან, თვითონ კი ისეთი ცილი დასწამეს კაცს წერილში, ურჯულო არ გიზამს ამას. „მოვითხოვთ და არ ვიხვეწებით, არც იფიქროთ, მადლობა გითხრათ, რამეთუ საკუთარი სინდისის დაკმაყოფილებისთვის აკეთებთო ამას!“ რა მორალია, შენი ჭირიმე შენ თუ მადლობელი არ დარჩები, ასევე შეუძლია გითხრას თავადმაც პასუხად, პავლიშჩევის მადლიერი სულაც არა ვარ, პავლიშჩევიც თავისი სინდისის დასაკმაყოფილებლად სჩადიოდაო ამას. მაგრამ შენ ხომ სწორედ პავლიშჩევისადმი ამ მისი მადლიერების იმედი გქონდა. შენთვის ხომ არ გამოურთმევია ფული, შენი ხომ არა ემართა რა, რისი იმედით იყავი, თუ ამ მადლიერების არა ჰოდა, თვითონ რაღას აცხადებ ამაზე უარს შეშლილები, უგუნურები! საზოგადოებას სიმხეცესა და უადამიანობას უკიჟინებენ, შეცდენილ ქალიშვილს რომ ჰკიცხავსო. მაგრამ თუ საზოგადოებას უადამიანობას უკიჟინებ, მაშასადამე, მიგაჩნია, რომ ქალიშვილს საზოგადოებამ გული ატკინა. ხოლო თუ ატკინა, გაზეთში რაღას გამოაჭენე ამ საზოგადოების წინაშე და ითხოვ, რომ გული არ ტკიოდეს შეშლილები! პატივმოყვარენი! ღმერთი არა სწამთ და ხატი! პატივმოყვარეობა და სიამაყე ეგრერიგად გაგიჯდათ ძვალ-რბილში, რომ ბოლოს ერთმანეთს დასჭამთ, აი, მითქვამს და ნახეთ. ვითომ დომხალი არ ჰქვია ამას, ქაოსი და უგვანობა არაა? ამის შემდეგ კი ეს უგლიმი კაცი კიდევ პატიებას თხოვს ამათ! ბევრნი ხართ ეგეთნი რას იღრიჯებით თავი რომ შევირცხვინე თქვენმა გადამკიდემ რას იზამ, შევირცხვინე და ესაა!.. ან შენ რას იკრიჭები, შე მჯღაბნელო შენა (ეცა უეცრად იპოლიტს)! სული ძლივს გიდგას, სხვებს კი რყვნი და აფუჭებ. ეს ბიჭი შენ გამირყვენი (მიათითა ისევ კოლიაზე); მხოლოდ შენ სახელს აბოდებს, შენ ასწავლე ათეიზმი. ღმერთი არ მწამსო, იძახი, მაგრამ წკეპლა კი არ გაწყენდა ჭკუაზე მოსაყვანად. ჯანდაბას თქვენი თავი!.. მაშ,

ხვალ წახვალ მაგათთან, თავადო ლევ ნიკოლაევიჩ, წახვალ? – გული ყელში მიებჯინა ლიზავეტა პროკოფიევნას.

– წავალ.

– წახვალ და ჩემი სახელი აღარ ახსენო! – ლიზავეტა პროკოფიევნა სწრაფად გატრიალდა კარისკენ, მაგრამ უცბად ისევ შემობრუნდა. – ამ ათეისტთანაც წახვალ? – აჩვენა იპოლიტზე და მერე არაბუნებრივად შეჰკივლა – არა, ნეტა რას მიყურებს და რას იკრიჭება ისევ?! – სულ თავგზა დააკარგვინა იპოლიტის გესლიანმა ღიმილმა გენერლის მეუღლეს და უეცრივ მისკენ გაქანდა.

– ლიზავეტა პროკოფიევნა! ლიზავეტა პროკოფიევნა! – მიაძახეს აქეთ-იქიდან.

– Maman, სირცხვილია! – შესძახა აგლაიამ.

– ნუ სწუხართ, აგლაია ივანოვნა, – მშვიდად უპასუხა იპოლიტმა, რომელსაც ლიზავეტა პროკოფიევნა ღონივრად ჩასჭიდებოდა ხელში და გააფთრებით ჩაჰყურებდა თვალებში, – ნუ სწუხართ, თქვენი Maman დაინახავს, რომ მომაკვდავს არ შეიძლება გაარტყას კაცმა... მე სიამოვნებით აგიხსნით, რამ გამაცინა... თუ ნებას დამრთავთ...

ამ დროს საშინელი ხველა აუტყდა და მთელი ერთი წუთი ვეღარ მოითქვა სული.

– სული ხდება და მაინც ქადაგებს! – შეჰყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ, ხელი უშვა და თავზარდაცემული შეაჩერდა, როგორ იწმენდდა ტუჩებიდან სისხლს იპოლიტი. – ნეტა რა გალაპარაკებს?! შინ უნდა წახვიდე და დაწვე...

– ეგრეც იქნება, – ჩახრინწული ჩურჩულით მიუგო იპოლიტმა, – მივბრუნდები თუ არა, მაშინვე დავწვები... ვიცი, ორი კვირის შემდეგ მოვკვდები... წინა კვირას თავად ბ-მა[83] მითხრა... ასე რომ, თუ ნებას დამრთავთ, ორიოდე სიტყვას გეტყვით გამოსათხოვარს...

– ხომ არ გაგიჟდი? რაებს ჩმახავ! წამლობა გჭირია, რა დროს ლაპარაკია?! წადი, წადი, დაწექი! – შეჰყვირა შეშინებულმა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– რომ დავწვე, ვეღარ ავდგები, – შეჰღიმა იპოლიტმა, – გუშინაც გადავწყვიტე, დავწვები და სანამ სული არ ამომხდება, ვეგდები-მეთქი. მერე ვიფიქრე, არა, ზეგამდე გადავდებ, ვიდრე სიარული შემიძლია-მეთქი... მინდოდა, დღეს ამათ გამოვყოლოდი... ოღონდ ძალზე დავიღალე...

– ჰოდა, დაჯექი, რაღას აყუდებულხარ? აგერ სკამიც, – შეწრიალდა ლიზავეტა პროკოფიევნა და თავისი ხელით მიუდგა სკამი.

– მადლობელი გახლავართ, – წყნარად განაგრძო იპოლიტმა, – თქვენც პირდაპირ დამიჯექით, ვილაპარაკოთ... აუცილებლად ვილაპარაკოთ, ლიზავეტა პროკოფიევნა, ახლა უკვე მე გთხოვთ, – გაუღიმა ისევ იპოლიტმა, – იცით, დღეს უკანასკნელად გავერიე ხალხში, ორი კვირის შემდეგ კი ალბათ მიწაში ვიქნები. მაშასადამე, დღეს უკანასკნელ მშვიდობას ვეტყვი ბუნებასა და ადამიანებს. მართალია, დიდი გულჩვილი არა ვარ, მაგრამ, იცით, ძალიან მიხარია, ეს ყველაფერი პავლოვსკში რომ მოხდა შეფოთლილ ხეს მაინც შევხედავ.

– ახლა რა დროს ამის ლაპარაკია, – მთლად დაფრთხა ლიზავეტა პროკოფიევნა, – სიცხე გაქვს და კანკალებ, წეღან წიოდი და კიოდი, ახლა კი ძლივს ფეთქავ, ძლივს ითქვამ სულს.

– ახლავე მოვსულიერდები. უკანასკნელ სურვილზე უარს რად მეუბნებით?.. იცით, ლიზავეტა პროკოფიევნა, რა ხანია ვნატრობდი თქვენთან შეხვედრას; თქვენზე ბევრი რამ გამიგონია... კოლიასგან; მარტო ეგ შემრჩა ახლა... გამიგია, რომ ძალიან თავისებური და უცნაური ქალი ბრძანდებით, მეც დავრწმუნდი ახლა... იცით, ცოტა მიყვარდით კიდეც.

– ღმერთო ჩემო, მე კი ლამის გავარტყი.

– აგლაია ივანოვნამ შეგაჩერათ; ხომ არ შევმცდარვარ? ეგ ხომ აგლაია ივანოვნაა, თქვენი ქალი იმდენად მშვენიერია, პირველი შეხედვითვე ვიცანი, თუმცა თავის დღეში არ მინახავს. ამ

მზეთუნახავისათვის მაინც მაყურებინეთ სიკვდილის წინ, – რაღაც ცალყბად გაიღიმა იპოლიტმა, – აგერ თავადიც აქაა, თქვენი მეუღლეც, მთელი საზოგადოება. ამ უკანასკნელ სურვილზე რად მეუბნებით უარს?

– სკამი! – იყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ, მაგრამ მყისვე თვითონ სტაცა სკამს ხელი და იპოლიტის წინ დაჯდა, – კოლია, ახლავე გაჰყვები და გააცილებ, ხვალ კი მეც უსიკვდილოდ...

– თუ შეიძლება, თავადს ერთ ჭიქა ჩაის ვთხოვ... ძალზე დავიღალე. იცით რა, ლიზავეტა პროკოფიევნა, მგონი, აპირებდით, თავადი ჩაიზე წაგეყვანათ თქვენსა; მოდით, აქ დარჩით, ერთად გავატაროთ დრო, თავადიც ალბათ ყველას დაგვალევინებს ჩაის. მაპატიეთ, განკარგულებებს რომ ვიძლევი... მაგრამ ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი, თავადიც კეთილია... ჩვენ ყველანი სასაცილომდე კეთილები ვართ...

თავადი აწრიალდა, ლებედევი კისრისტეხით გაიჭრა ოთახიდან, ვერა უკან მიჰყვა.

– ეგეც მართალია, – მკვახედ მოუჭრა გენერლის მეუღლემ, – ილაპარაკე, ოღონდ არ იყვირო და მაინცდამაინც არ შეტოპო. გული ამიჩუყე... ბარემ არა ხარ ღირსი, თავადო, შენთან ჩაი დავლიო, მაგრამ ეგრე იყოს, დავრჩები, ოღონდ პატიებას არავისა ვთხოვ! არავის სისულელეა! თუმცა, თუ გაგლანძღე, მაპატიე, თავადო, ანდა როგორც გენებოს. მე არავის ვაკავებ, – მიუტრიალდა უეცრად საოცარი რისხვით ქმარსა და ქალებს, თითქოს სწორედ ისინი იყვნენ მის წინაშე საშინლად დამნაშავენი, – სახლს მარტოც გავაგნებ...

მაგრამ ლაპარაკი აღარავინ აცალა. ყველანი უმალ გარს შემოეხვივნენ, თავადმა ყველას სთხოვა, ჩაიზე დარჩითო და მოიბოდიშა, აქამდე როგორ ვერ მოვიაზრეო. გენერალმაც კი რაღაც წაიდუდუნა დასამშვიდებლად და ლიზავეტა პროკოფიევნას თავაზით მიუბრუნდა: „ტერასაზე ხომ არ შეგცივათ?“ ის კი არა და, კინაღამ იპოლიტსაც ჰკითხა: „უნივერსიტეტში დიდი ხანია ხართო?“ მაგრამ გადაიფიქრა. ევგენი პავლოვიჩი და თავადი შჩ-ი მყისვე დატკბნენ და თუმცა გაკვირვება კი შერჩენოდათ სახეზე. ერთი სიტყვით, ეტყობოდა, ყველა გაეხარებინა იმ ამბავს, რომ ლიზავეტა პროკოფიევნას კრიზისმა გაუარა. მარტო აგლაიას შეეკრა კოპები და უხმოდ მიმჯდარიყო განზე. დანარჩენებიც დარჩნენ. წასვლას არავინ აპირებდა, ასე გასინჯეთ, გენერალი ივოლგინიც კი. თუმცა გასვლისას ლებედევმა რაღაც გადაულაპარაკა, ალბათ არასასიამოვნო რამ, რადგან გენერალი მყის სადღაც მიიყუჟა, თავადმა ბურდოვსკი და მისი ძმაკაცობაც მიიპატიჟა. არავინ გამორჩენია. ბურდოვსკის ნირწამხდარმა მეგობრებმა ჩაიბურტყუნეს, იპოლიტს მოვუცდითო, მყისვე ტერასის ყველაზე მოშორებულ კუთხეს მიაშურეს და ისევ გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ. ლებედევმა სახელდახელოდ შემოიტანა ჩაი, რომელიც ალბათ თავისთვის გაემზადებინა. საათმა თერთმეტი დარეკა.

X

ვერა ლებედევამ ჩაი ჩამოატარა. იპოლიტმა ოდნავ მოსვა, ფინჯანი მაგიდაზე დადგა. მერე დაბნეულმა და თითქოს დარცხვენილმა მიმოიხედა ირგვლივ.

– ლიზავეტა პროკოფიევნა, შეხეთ ამ ფინჯნებს, – რაღაც უცნაურად აჩქარდა იგი, – ეს ფაიფურის ფინჯნები, ჩინებული ფაიფური უნდა იყოს, ლებედევს მუდამ კარადაში აქვს ჩაკეტილი; თავის დღეში არავის გამოუტანს... მისი ცოლის მზითევია... მაგრამ ახლა ისეა გახარებული, თქვენს პატივსაცემად გამოიტანა...

კიდევ რაღაცის დამატება დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა.

– ეგრეც მეგონა, რომ დაირცხვენდა! – წასჩურჩულა ევგენი პავლოვიჩმა თავადს; – ვითომ საშიში არაა ახლა გაბოროტებულ გულზე ნაღდად ისეთ უხიაკ რასმე ჩაიდენს, ლიზავეტა პროკოფიევნას გაგვიქცევს აქედან.

თავადმა გაკვირვებით შეხედა.

– უხიაკობა არ გაშინებთ – დაუმატა ევგენი პავლოვიჩმა, – წარმოიდგინეთ, არც მე, მართალი გითხრათ, კიდეც გამიხარდება, თუ ჩვენი ძვირფასი ლიზავეტა პროკოფიევნა საკადრისს მიიღებს, ისიც დღესვე, ახლავე. უამისოდ ფეხსაც არ მოვიცვლი. თქვენ, მგონი, შეგაცივათ

– მერე, ხელს ნუ მიშლით. ჰო, უქეიფოდ ვარ, – ხელი აუქნია თავადმა. ყური მოჰკრა, იპოლიტი მასზე რომ ლაპარაკობდა.

– არა გჯერათ? – ისტერიულად იცინოდა იპოლიტი, – არც მიკვირს, თავადი კი მაშინვე დაიჯერებს და არ გაიოცებს.

– გაიგე, თავადო, გაიგე? – მიუტრიალდა ლიზავეტა პროკოფიევნა. ირგვლივ ახარხარდნენ. აწრიალებული ლებედევი წინ მოძვრებოდა და ლიზავეტა პროკოფიევნას ცხვირწინ უტრიალებდა.

– ეს ამბობს, რომ ამ მანჭიას, ამ შენი სახლის პატრონს... იმ ვაჟბატონის წერილი გაუსწორებია, აი, წეღან შენზე რომ წაიკითხეს.

თავადმა გაკვირვებით შეხედა ლებედევს.

– რას გაჩუმებულხარ? – ფეხიც კი დაუტყაპუნა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– მერე რა, – წაილუღლუღა თავადმა და ლებედევს დაკვირვებით შეხედა, – ვატყობ, რომ მაგას გაუსწორებია.

– მართალს ამბობს? – სწრაფად მიუტრიალდა ლიზავეტა პროკოფიევნა ლებედევს.

– სრული ჭეშმარიტებაა, თქვენო აღმატებულებავ! – დაადასტურა ლებედევმა და გულზე ხელი მიიდო.

– თავიც რომ მოსწონს?! – კინაღამ შეხტა ადგილზე გენერლის მეუღლე.

– უსინდისო გახლავართ, უსინდისო! – ლუღლუღებდა ლებედევი, გულში მუშტებს იბრაგუნებდა, თავს ლამის იატაკამდე ხრიდა.

– მერე მე რა, რომ უსინდისო ხარ?! ამას ჰგონია, იტყვის უსინდისო ვარო, და თავს დაიძვრენს! არა გრცხვენია, თავადო, ამისთანა კაცუნებს რომ უყადრებ თავს?! კიდევ გეუბნები, თავის დღეში არ გაპატიებ-მეთქი!

– თავადი კი მაპატიებს! – დაჯერებით გამოაცხადა გრძნობამორეულმა ლებედევმა.

– დიახ, კეთილშობილებამ, ქალბატონო, – წამოიყვირა უეცრივ კელერმა და ლიზავეტა პროკოფიევნასთან მიიჭრა, – ჩემმა კეთილშობილებამ არ გამამხელინა წეღან, ვინ შემისწორა წერილი. სახელგატეხილი ამხანაგი არ მინდოდა გამეცა, თუმცა კი, როგორც თქვენი ყურით მოისმინეთ, კინწისკვრით გაგდებას დაგვემუქრა. ჭეშმარიტების აღსადგენად ვაღიარებ, რომ მართლაც ექვსი მანეთი აღვუთქვი დახმარებისთვის, ოღონდაც სტილის გასწორებაში კი არა, ვითარცა კომპეტენტურ პირს, ჩემთვის უცნობი ფაქტების მოწოდებისთვის. შტიბლეტების, შვეიცარიელ პროფესორთან მისი მადის ამბავი, ან ორას ორმოცდაათის ნაცვლად ორმოცდაათი მანეთის გაგზავნა, ერთი სიტყვით, ფაქტების მთელი ეს დაჯგუფება მაგას ეკუთვნის. ჰოდა, ექვსი მანეთიც მივეცი პირობისამებრ. ოღონდ სტილისთვის ხელი არ დაუკარებია.

– უნდა აღვნიშნო, – გულმა ვეღარ მოუთმინა აღგზნებულ ლებედევს და რაღაცნაირი შემპარავი ხმით გააწყვეტინა, – მე მხოლოდ წერილის პირველი ნაწილი გავასწორე. შუამდე რომ მივედით, უთანხმოება მოგვივიდა, ერთ რაღაცაზე ვერ მოვრიგდით, ამიტომ მეორე ნაწილს აღარ შევეხე.

ასე რომ, რაც უწიგნურობა გახლავთ (უწიგნურობა კი, იცოცხლეთ, ბლომადაა!), მე ნუ მომაწერთ...

ხარხარმა იმძლავრა.

– აი, რა ადარდებს თურმე?! – შეჰყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ერთი ეს მიბრძანეთ, წერილი როდის ჩაასწორეთ? – მიუბრუნდა ევგენი პავლოვიჩი კელერს.

– გუშინ დილას შევხვდით ერთმანეთს და პატიოსანი სიტყვა მივეცით, საიდუმლოება ორივეს შეგვენახა, – მყის მიაგება კელერმა.

– ეს მაშინ, მუხლებზე რომ დახოხავდა შენს წინ და ერთგულებას გეფიცებოდა! არა, ეს რა ხალხი ყოფილა?! თვალით არ დამანახო არც შენი ქალი და არც შენი პუშკინი მინდა!

ლიზავეტა პროკოფიევნა ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ ერთბაშად ახარხარებულ იპოლიტს მიუბრუნდა გაგულისებით:

– რაო, გამასხარებას ხომ არ მიპირებდი, ჩემო კარგო, ჰა?!

– ღმერთმა დამიფაროს! – ცალყბად ჩაეცინა იპოლიტს, – ოღონდაც ძალზე მაოცებს თქვენი უცნაური ხასიათი, ლიზავეტა პროკოფიევნა. გამოგიტყდებით და განზრახ გამოვაძვრინე ლებედევის ამბავი, ვიცოდი, როგორც იმოქმედებდა თქვენზე, მხოლოდ თქვენზე, ვინაიდან თავადი მართლაც აპატიებს და ალბათ უკვე აპატია კიდეც... ვინძლო, პირიც მოწმინდა გუნებაში, ხომ ასეა, თავადო იპოლიტს სული ეგუბებოდა და რაღაც უცნაურად ღელავდა ყოველ სიტყვაზე.

– მერე? – მწყრალად ჩაჰკითხა მისი კილოთი განცვიფრებულმა ლიზავეტა პროკოფიევნამ, – მერე?

– თქვენზე ბევრი რამ მსმენია ამის მსგავსი, დიდად მახარებდა... დიდად გაფასებდით, – განაგრძობდა იპოლიტი, რომელიც ამას კი ლაპარაკობდა, მაგრამ თითქოს სულ სხვა რასმე გულისხმობდა ამ სიტყვებში. მისი ნალაპარაკევი, დამცინავი კილო, საოცარი აღელვება, ეჭვიანი თვალები, დაბნეულობა, ამასთან, ჭლექიანი სახე და უცნაურად მოელვარე თვალები ძალაუნებურად იჯაჭვავდა იქ მყოფთა გულისყურს – მართალი გითხრათ, კი გამიკვირდა, თუმცა, გამოგიტყდებით, და დიდკაცური წესებისა არა ვიცი რა, რომ არათუ იკადრეთ თქვენთვის დიახაც შეუფერებელ ჩვენს კამპანიაში დარჩენა, არამედ... თქვენი ასულებიც დატოვეთ ამ სამარცხვინო საქმის მოსასმენად, თუმცა უკვე ყველაფერი ექნებათ წაკითხული რომანებში. შესაძლოა, მე არ მესმის, აზრიც მებნევა, მაგრამ ასეა თუ ისე, თქვენს მეტი აბა ვინ დარჩებოდა ვიღაც ლაწირაკის თხოვნაზე (დიახ, ლაწირაკისა-მეთქი, ამასაც ვაღიარებ), საღამო მასთან გაეტარებინა და... ყველაფერში მონაწილეობა მიეღო... თუმცა კი... თუმცა... მეორე დღეს სირცხვილით... (იმაშიც გეთანხმებით, რიგიანი ლაპარაკი არ მეხერხება). ეს ყველაფერი მეტისმეტად მომწონს და დიდად ვაფასებ, თუმცა მისი აღმატებულების, თქვენი მეუღლის სახეც კი მეტყველებს, რაოდენ არ სიამოვნებს ეს ყოველივე. ჰი-ჰი! – ჩაიხითხითა სულ დაბნეულმა და უცბად ისეთი ხველა აუტყდა, ორიოდე წუთი ხმის ამოღება ვერ შეძლო.

– დაიხრჩო ნამდვილად! – ცივად, მკვახედ თქვა ლიზავეტა პროკოფიევნამ და გოროზი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, – გეყოს ახლა, ჩემო კარგო ბიჭო, გეყოს!

– ნება მომეცით, მოწყალეო ბატონო, მეც ჩემის მხრივ მოგახსენოთ, – იფეთქა ივან ფიოდოროვიჩმა, – რომ ჩემი ცოლი აქ ჩვენი საერთო მეგობრისა და მეზობლის, თავად ლევ ნიკოლაევიჩის სტუმარია და ყოველ შემთხვევაში თქვენ, ყმაწვილო, არავინ გეკითხებათ ლიზავეტა პროკოფიევნას საქციელის განსჯას, არც იმის გამოცხადებას, რა მაწერია სახეზე. დიახ, დიახ! თუ ჩემი ცოლი აქ დარჩა, – განაგრძობდა ის და ბრაზი ყოველ სიტყვაზე უფრო და

უფრო ეკიდებოდა, – შეიძლება ითქვას, გაოცებამ უფრო დატოვა, ყველასათვის გასაგებმა თანამედროვე ცნობისმოყვარეობამ, – ენახა უცნაური ყმაწვილკაცები. აგერ, მეც დავრჩი, როგორც ქუჩაში ვჩერდები ხოლმე, როცა ასეთ რასმე დავინახავ, რაც... რაც...

– საკვირველებად გეჩვენებათ, – მიაშველა ევგენი პავლოვიჩმა.

– დიახ, ჩინებული და სწორი გამოთქმაა, – გაეხარდა ივან ფიოდოროვიჩს, რომელსაც შედარების მოძებნა, ცოტა არ იყოს, გასჭირვებოდა, – დიახ, სწორედ რაც საკვირველებად მეჩვენება. მაგრამ, ასეა თუ ისე, ის კი მიკვირს და, გრამატიკულად თუ შეიძლება ითქვას, გულს მაწყვეტინებს, რომ იმასაც ვერ მიხვდით, ყმაწვილო, ლიზავეტა პროკოფიევნა ახლა მარტოოდენ თქვენი ავადმყოფობის გამო რომ დარჩა, თუ მართლაც კვდებით, – ასე ვთქვათ, სიბრალულმა დატოვა, თქვენმა საწყალობელმა სიტყვებმა, ბატონო, და რომ ლიზავეტა პროკოფიევნას სახელს, ხასიათსა და წონას ვერა ჭუჭყი ვერ მოეცხება, რაც უნდა მოხდეს... ლიზავეტა პროკოფიევნა! – დააბოლოვა წამოწითლებულმა გენერალმა, – თუ წამოსვლას აპირებთ, მშვიდობა ვუთხრათ ჩვენს კეთილ თავადს და...

– მადლობას მოგახსენებთ, გენერალო, გაკვეთილისთვის, – დინჯად გააწყვეტინა მოულოდნელად იპოლიტმა და ჩაფიქრებით შეხედა გენერალს.

– წავიდეთ, maman, სადამდე უნდა ვიყოთ აქ... – მოუთმენლად და მწყრალად წარმოთქვა აგლაიამ და სკამიდან წამოდგა.

– კიდევ ორი წუთი მაცალე, ივან ფიოდოროვიჩ, გენაცვა, თუ ნებას დამრთავ, – ღირსებით მიუბრუნდა თავის მეუღლეს ლიზავეტა პროკოფიევნა, – მე მგონი, სიცხე აქვს, ბოდავს, თვალებზე ვატყობ; ასე დატოვება არ იქნება. ლევ ნიკოლაევიჩ! – შეიძლება, ამაღამ შენთან გაათიოს, რომ დღეს პეტერბურგში აღარ მოუხდეს წაჩანჩალება Cher prince[84], ხომ არ მოგწყინდათ – რატომღაც მიმართა მან თავად შჩ-ს, – აქ მო, ალექსანდრა, თმა გაისწორე, ჩემო კარგო.

ალექსანდრას თმის გასწორება სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ დედამ მაინც გაუსწორა და აკოცა; ამიტომაც მოიხმო.

– მე მეგონა, თქვენ მაინც გამიგებდით... – წამოიწყო ისევ იპოლიტმა, რომელიც აქამდე ჩაფიქრებული იჯდა. – ჰო! აი, რა მინდოდა მეთქვა აგე ბურდოვსკის გულწრფელად უნდა დედა დაიცვას, ხომ მართალია მაგრამ თითქოს თვითონვე სჭრის თავს. თავადსაც უნდა დაეხმაროს ბურდოვსკის, წმინდა გულით ჰპირდება გულითად მეგობრობასა და ფულს, თქვენში იქნებ მარტო მას არ სძულს ეს კაცი, მაგრამ შეხეთ, რა მტრებივით დგანან ერთმანეთის პირისპირ... ჰა-ჰა-ჰა! ბურდოვსკი ყველას იმიტომ გძულთ, რომ, თქვენის აზრით, დედას ლამაზად და მოხდენილად არ ექცევა, ხომ ასეა ხომ ხომ განა არა, ყველას საშინლად გიყვართ გრძნობების ლამაზი, მოხდენილი გამოხატვა, მხოლოდ ეს გადარდებთ, ასე არ არის რომ მარტო ეს გადარდებთ, დიდი ხანია დავრწმუნდი! მაშ იცოდეთ, იქნებ ბურდოვსკივით არც ერთ თქვენგანს არ უყვარს დედა! თავადო, ვიცი, რომ განეჩკას ხელით ჩუმად გაუგზავნეთ ფული ბურდოვსკის დედას, ჰოდა, სანაძლეოს ჩამოვალ (ჰი-ჰი-ჰი!.. – ისტერიულად ჩაიხითხითა იპოლიტმა) – სანაძლეოს ჩამოვალ, ბურდოვსკი აქეთ დაგდებთ ახლა ბრალს, ულამაზოდ მოიქეცით, დედაჩემს შეურაცხყოფა მიაყენეთო. ღმერთმანი, ეგრეა, ჰა-ჰა-ჰა!

იპოლიტს ისევ შეეგუბა სული და ხველა აუტყდა.

– მორჩი – ყველაფერი თქვი ჰოდა, ახლა წადი და დაიძინე, სიცხე გაქვს, – მოუთმენლად შეაწყვეტინა ლიზავეტა პროკოფიევნამ, რომელიც შეშფოთებულ თვალს არ აცილებდა, – ოჰ, ღმერთო ჩემო, კიდევ ლაპარაკს აპირებს?!

– მგონი, იცინით?! ნეტა რას დამცინით? შეგატყვეთ, რომ სულ მე დამცინით! – გაგულისებით მიუტრიალდა იპოლიტი ევგენი პავლოვიჩს, რომელიც მართლა იცინოდა.

– მე მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა, ბატონო... იპოლიტ... უკაცრავად, გვარი არ მაგონდება...

– ბატონი ტერენტიევი, – შეახსენა თავადმა.

– ჰო, ტერენტიევი, მადლობას მოგახსენებთ, თავადო, წეღან კი თქვეს, მაგრამ დამავიწყდა... ის მინდოდა მეკითხა, ბატონო ტერენტიევ, მართალი მითხრეს, რომ თქვენ თურმე ფიქრობთ, საკმარისია ფანჯრიდან თხუთმეტიოდე წუთი ელაპარაკოთ ხალხს და მყის ყველაფერში დაითანხმოთ და უკან გაიყოლოთ

– შეიძლება ვთქვი... – მიუგო იპოლიტმა ისე, თითქოს იგონებსო, – უთუოდ ვიტყოდი! – დასძინა მერე უეცრად, ისევ გამოცოცხლდა და ევგენი პავლოვიჩს თვალი მტკიცედ გაუსწორა, – მერე რა იყო?

– არაფერი, მე მხოლოდ ცნობისთვის მოგახსენეთ. ევგენი პავლოვიჩი გაჩუმდა, იპოლიტი კვლავ შეჰყურებდა მოლოდინით, რას იტყვისო.

– ჰო, მორჩი უკვე – მიუბრუნდა ევგენი პავლოვიჩს ლიზავეტა პროკოფიევნა, – ჩქარა მოათავე, გეთაყვა, უნდა დავიძინოთ. ან იქნებ ვერ ახერხებ? – ლიზავეტა პროკოფიევნა ფრიად გულმოსული ჩანდა.

– ძალიან მინდა ისიც დავუმატო, – ღიმილით გააგრძელა ევგენი პავლოვიჩმა, – რომ ყოველივე ის, რაც თქვენი ამხანაგებისგან მოვისმინე, ბატონო ტერენტიევ, და რაც ახლა თქვენ მოგვახსენეთ ეგზომ უდავო ნიჭიერებით, ჩემის ფიქრით, იმ თეორიას ამტკიცებს, რომ უფლება იმარჯვებს, უპირველეს ყოვლისა და მიუხედავად ყოვლისა, წარმოიდგინეთ, იმის გამოკვლევის გარეშეც, რაში მდგომარეობს ეს უფლება იქნებ ვცდები?

– რა თქმა უნდა, ცდებით, არც კი მესმის თქვენი... შემდეგ?

ტერასის კუთხეში ბურდღუნი შეიქნა. ლებედევის დისწულმა რაღაც წაიბუზღუნა.

– შემდეგ თითქმის არც არაფერი დამრჩა სათქმელი, – განაგრძობდა ევგენი პავლოვიჩი, – ოღონდაც იმას კი ვიტყოდი, რომ ამის საფუძველზე კაცი შეიძლება პირდაპირ ძალის უფლებაზე გადახტეს, ესე იგი მუშტისა და პირადი სურვილის უფლებაზე, რითიც ხშირად მთავრდება ხოლმე საქმე ამქვეყნად. ხომ შეჩერდა პრუდონი[85] ძალის უფლებაზე. ამერიკის ომში ბევრმა ყველაზე მოწინავე ლიბერალმა პლანტატორების მხარე დაიჭირა, აქაოდა, ზანგები მაინც ზანგებია, თეთრკანიანთა ტომზე დაბლა მდგომნიო, მაშასადამე, ძალის უფლება თეთრკანიანებს ეკუთვნითო...

– შემდეგ?

– მაშასადამე, თქვენ არ უარყოფთ ძალის უფლებას?

– შემდეგ?

– თქვენ მეტად კონსექვენტური[86] ბრძანებულხართ. მხოლოდ იმას კი ვიტყოდი, რომ ძალის უფლებიდან ვეფხვებ-ნიანგების უფლებამდე, ასე გასინჯეთ, დანილოვსა და გორსკამდეც შორს არ არის.

– ვერაფერს გეტყვით; შემდეგ?

იპოლიტი თითქმის არ უგდებდა ყურს ევგენი პავლოვიჩს და თუ შემდეგ, შემდეგო ეუბნებოდა, არა იმიტომ, ცნობისმოყვარეობა ან ყურადღება ამოძრავებდა, ასე იყო დაჩვეული საუბარს და იმიტომ.

– შემდეგ რა, არაფერი... მოვრჩი.

– თუმცა, თქვენზე გული არ მომდის, – სრულიად მოულოდნელად დაასკვნა იპოლიტმა და ანგარიშმიუცემლად ღიმილით გაუწოდა ხელი. ევგენი პავლოვიჩი თავდაპირველად სახტად დარჩა, მაგრამ ისეთი სერიოზული სახით ჩამოართვა ხელი, თითქოს ყაბულსაა, მისგან შენდობა მიიღოსო.

– არ შემიძლია მადლობა არ მოგახსენოთ, – ესეც დააყოლა ორაზროვანი მოწიწებით, – რომ ესოდენ ყურადღება გამოიჩინეთ და ნება დამრთეთ ლაპარაკისა. ჩემი მრავალგზის დაკვირვებიდან, ჩვენი ლიბერალი თავის დღეში ვერ მოითმენს, ვისმე საკუთარი შეხედულება გააჩნდეს და მაშინვე არ გამოლანძღოს თავისი ოპონენტი, ან უარესი რამ არ აუტეხოს...

– სრული სიმართლე ბრძანეთ, – შენიშნა ივან ფიოდოროვიჩმა, მერე ზურგზე ხელები დაიწყო და გაბრაზებული სახით ტერასის გასასვლელს მიაშურა, სადაც ჯავრიან გულზე დაამთქნარა კიდეც.

– აბა, გეყოფა, მოათავე, გეთაყვა, – მიახალა ლიზავეტა პროკოფიევნამ ევგენი პავლოვიჩს, – გული გამიწყალე პირდაპირ...

– წასვლის დროა, – შეწუხებული და დაბნევით მიმოიხედა, – ჩემი ბრალია, მე შეგაჩერეთ; მინდოდა თქვენთვის ყველაფერი მეთქვა... ვიფიქრე, ყველაფერს ვიტყვი-მეთქი... უკანასკნელად... ეს ჩემი ფანტაზია იყო...

შიგადაშიგ თითქოს მართლა აბოდებდა იპოლიტს, მერე უეცრივ მოვიდოდა გონს რამდენიმე წუთით, გაახსენდებოდა, რაც დიდი ხანია ნაფიქრი და დაზეპირებული ჰქონდა თვეობით ლოგინზე მიჯაჭვულსა და საათობით უპატრონოდ მიგდებულს თეთრად გათენებულ ღამეებში, გაახსენდებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა იმას.

– მაშ, მშვიდობით! – მკვახედ წამოისროლა იპოლიტმა, – გგონიათ, ჩემთვის ადვილია, მშვიდობით-მეთქი გითხრათ? ჰა-ჰა! – თვითონაც გულმოსულად ჩაიქირქილა ამ თავის უხერხულ კითხვაზე და თითქოს ბრაზმორეულმა, რომ ვერ ახერხებს იმის თქმას, რაც უნდა, გაგულისებით წამოიძახა – თქვენო აღმატებულებავ! გთხოვთ მობრძანდეთ ჩემს დასაფლავებაზე, თუ პატივს დამდებთ და ღირსად მიმიჩნევთ... თქვენც ბატონებო, გთხოვთ მოჰყვეთ გენერალს!

იპოლიტმა ისევ გადაიხარხარა, მაგრამ ის უკვე ჭკუაზე შეშლილის სიცილი იყო. შეშინებული ლიზავეტა პროკოფიევნა მივარდა და ხელი დაუჭირა. იპოლიტი დააშტერდა და სიცილი თითქოს შეეყინა სახეზე.

– იცით, აქ რატომ ჩამოვედი? რომ ხეები მენახა. აი, ესენი... (მიათითა ბაღის ხეებზე) ხომ არ დამცინებთ? ხომ არაფერია სასაცილო ამაში? – სერიოზულად ჰკითხა ლიზავეტა პროკოფიევნას და უცბად ჩაფიქრდა, წამიც და ისევ ასწია თავი, ვიღაცას დაუწყო ცნობისმოყვარეობით ძებნა. ევგენი პავლოვიჩს ეძებდა, რომელიც იქვე, მარჯვნივ ედგა, წინანდელ ადგილზე, მაგრამ აღარ ახსოვდა. – აჰ, არ წასულხართ?! – როგორც იქნა, მოძებნა იგი, – წეღან სულ დამცინოდით, ფანჯრიდან რომ მინდოდა თხუთმეტიოდე წუთი ხალხთან ლაპარაკი... იცით, მე თვრამეტი წლისა არა ვარ? იმდენ ხანს ვეგდე ბალიშზე, იმდენი მიცქერია ფანჯარაში, იმდენი მიფიქრია... ყველაფერზე... რომ... ხომ იცით, მკვდარს ასაკი არ აქვს. წინა კვირას, როცა ღამით გამომეღვიძა, მაშინ მომივიდა ეს თავში... თქვენ კი, იცით, რა გაფრთხობთ ყველაზე მეტად ჩვენი გულწრფელობა, თუმცაღა ზიზღის თვალით გვიყურებთ. ესეც, მაშინ ვიფიქრე, ბალიშზე რომ ვიწექი იმ ღამეს... ლიზავეტა პროკოფიევნა, გეგონათ, წეღან თქვენი გამასხარავება მინდოდა არა, გამასხარავება კი არა, შექება მსურდა მხოლოდ... კოლიამ მითხრა, თავადმა თურმე ბავშვი გიწოდათ... ეგ კარგია... ჰო, რას ვამბობდი... რაღაც მინდოდა კიდევ...

იპოლიტმა სახეზე ხელები აიფარა და ჩაფიქრდა.

– აი რა წეღან რომ წასვლას აპირებდით, უეცრივ გავიფიქრე ამ ხალხს ხომ ხედავ, ჰოდა, მეტს ველარ ნახავ-თქო! ვერც ხეებს, – მარტო აგურის კედელი აგეყუდება წინ, მეიერის სახლის წითელი კედელი... ჩემი ფანჯრის პირდაპირ... მაშ, უთხარი-თქო მაგათ ეს ყველაფერი... აბა, სცადე და უთხარი; აგერ იმ მზეთუნახავსაც... შენ ხომ მკვდარი ხარ, მკვდრად გააცანი თავი, „მკვდარს ყველაფრის თქმა შეუძლია“... და კნეინა მარია ალექსეევნა არ შეგიწყრება-თქო[87], ჰა-ჰა!.. არ გეცინებათ – უნდოდ გადახედა ყველას. – იცით, ბალიშზე ბევრი რამ მომდიოდა თავში... დავრწმუნდი, რომ ბუნება დიდი დამცინავი ვინმეა... წეღან მითხარით, ათეისტი ხარო, მაგრამ იცით კი, რომ ეს ბუნება... ისევ იცინით მაინც დიდი გულქვა ხალხი ყოფილხართ! – ნაღვლიანი აღშფოთებით წარმოთქვა უეცრივ და მიმოიხედა, – კოლია მე არ გამირყვნია, – დააბოლოვა სულ სხვა კილოზე, თითქოს ესეც ახლა გაახსენდა.

– აქ არავინ არ დაგცინის, არავინ, დაწყნარდი! – იტანჯებოდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – ხვალ ახალი ექიმი განახავს; იმას რაღაც შეშლია დაჯექი, ფეხზე ველარ დგახარ! აბოდებ... აჰ, რა ეშველება ახლა?! – დატრიალებდა იგი იპოლიტს და სავარძელში სვამდა. ლოყაზე ერთი კურცხალი გადმოუგორდა. იპოლიტი ლამის გაოგნებული შეაჩერდა, ხელი ასწია, შიშნეულად შეახო ამ ცრემლს და რაღაც ბალღურად გაიღიმა.

– მე... მე... – წამოიწყო გახარებულმა. – თქვენ არ იცით, მე როგორ... მუდამ ისეთი აღტაცებით მელაპარაკებოდა თქვენზე კოლია... მე მისი აღტაცება მიყვარს. მე ის არ გამირყვნია! მხოლოდ იმას დაწყდება გული. მინდოდა, ყველას დაწყვეტოდა, ყველას, მაგრამ არავინ მყავდა ირგვლივ, არავინ... მინდოდა, რაღაც მომემოქმედნა, მქონდა ამის უფლება... ო, რამდენი რამ მინდოდა! ახლა აღარაფერი მინდა, არც მსურს მინდოდეს, სიტყვა მივეცი ჩემს თავს, აღარაფერი მოვინდომო; დაე, უჩემოდ ეძიონ ჭეშმარიტება! დიახ, ბუნებას დაცინვა უყვარს! მაშ, რისთვის გააჩენს ხოლმე ამ ქვეყნად შესანიშნავ ადამიანებს და მერე სასაცილოდ აიგდებს – დასძინა უეცარი გატაცებით, – განა მან არ მოუვლინა ხალხს ერთადერთი არსება, ვინც სრულყოფილად შერაცხა ყველამ... და მერე მასვე აქადაგებინა ის, რისთვისაც იმდენი სისხლი დაიღვარა, ერთბაშად რომ დაღვრილიყო, ხალხი ალბათ შიგ ამოიხრჩობოდა! ო, კიდევ კარგი, რომ ვკვდები! ალბათ, მეც ვიტყოდი რაღაც საშინელ სიცრუეს, ბუნება ასე მოაწყობდა!.. მე არავინ გამირყვნია... მინდოდა ადამიანების საბედნიეროდ მეცხოვრა, ჭეშმარიტება მომეძია და მეუწყებინა... მივშტერებოდი ფანჯრიდან მეიერის კედელს და ვფიქრობდი, ოღონდ თხუთმეტი წუთი მალაპარაკა და ყველას, ყველას დავარწმუნებ–მეთქი, მაგრამ ერთხელ შემყარა განგებამ... თქვენთან, თუ ხალხთან არა! და რა გამოვიდა არაფერი! მხოლოდ ზიზღის თვალით მიყურებთ! მაშასადამე, არავის ვჭირდები, მაშასადამე, რეგვენი ვყოფილვარ, მაშასადამე, ამ ქვეყნად არ მედგომება! არავინ მომიგონებს! არავინ იტყვის ჩემზე რასმე. მე ვერც კვალი დავტოვე, ვერც ვერაფერი გავაკეთე, ვერავინ ვაზიარე ჩემს რწმენას და შეხედულებებს... ნუ დასცინებთ ბრიყვს! დაივიწყეთ! დაივიწყეთ ყველამ... დაივიწყეთ, თუ შეიძლება, გულქვაობას ნუ გამოიჩენთ! იცით კი, ჭლექი რომ არა, თვითონ მოვიკლავდი თავს... – თითქოს კიდევ უნდოდა ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო, სავარძელში ჩაემხო, სახეზე ხელები აიფარა და ბალღივით აქვითინდა.

– აბა, ახლა რა ვუყო, მითხარით ერთი? – შეჰყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ, მერე მისკენ გაქანდა, თავზე ხელები მოხვია და მაგრად ჩაიკრა გულში. იპოლიტს მთელი ტანი უცახცახებდა ქვითინისაგან. -კარგი, კარგი! ნუ ტირი, გაჩერდი, შენ კეთილი ბიჭი ხარ, ღმერთი შეგინდობს, უგნური ხარ და იმიტომ, კმარა, ვაჟკაცი არა ხარ. მერე თვითონაც შეგრცხვება...

– მე იქ ძმა და დები მყავს, – იძახდა იპოლიტი და თავის წამოწევას ლამობდა, – პატარები არიან, მათ არაფერი გააჩნიათ, უცოდველები... ის ქალი გარყვნის მათ! თქვენ წმინდანი ხართ, თვითონ... თვითონ ბავშვური სულის, – უშველეთ! გამოგლიჯეთ იმ... ის... ვაი სირცხვილო... ო, უშველეთ, დაეხმარეთ, ღმერთი ასწილ გადაგიხდით სიკეთეს, ღვთის გულისათვის, ქრისტეს გულისათვის!..

– ივან ფიოდოროვიჩ, ბოლოს და ბოლოს ამოშაქრეთ, რა ვქნათ ახლა?! – გულმოსულად იყვირა ლიზავეტა პროკოფიევნამ. – მოიღეთ მოწყალება და ამოიღეთ ხმა, ეგრე მედიდურად რომ გაჩუმებულხართ! თუ არას გადაწყვეტთ, იცოდეთ, მე თავად დავრჩები ამაღამ აქ; მეყო, რაც თქვენ ნებაზე მატარეთ და რაც მტანჯეთ! ლიზავეტა პროკოფიევნა ენთუზიაზმით, განრისხებით ეკითხებოდა და დაუყოვნებლივ ელოდა პასუხს. მაგრამ როდისაა ამგვარ შემთხვევებში ვინმე ჩაერიოს, რამე თქვას, რამე იკისროს, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეჰყურებენ, ისიც დიდია, თუ კარგა ხნის შემდეგ გამოთქვამენ თავიანთ აზრს. იქ ხომ ისეთი ხალხიც ერია, რომელთაც სიტყვას ვერავინ დააცდენინებდა, გინდაც დილამდე ყოფილიყვნენ, როგორც, მაგალითად, ვარვარა არდალიონოვნას, რომელიც მთელი საღამო მდუმარედ იჯდა და საოცარი ცნობისმოყვარეობით ისმენდა ყოველივეს. ვინ იცის, მიზეზიც ჰქონდა საამისო...

– ჩემის ფიქრით, – ბრძანა ბოლოს გენერალმა, – აქ მომვლელი ქალი უფროა საჭირო, ჩემო კარგო, საიმედო, ფხიზელი ვინმე, რომ ღამე გაუთიოს. ჩვენი მღელვარება არაფერს უშველის. ყოველ შემთხვევაში, თავადს ვკითხოთ... და ახლავე მივცეთ მოსვენების საშუალება. ხვალ კი ისევ მოვაკითხოთ.

– ახლა თორმეტი საათია, ჩვენ მივდივართ, მოგვყვება თუ რჩება თქვენთან – გაგულისებით მიუტრიალდა დოქტორენკო თავადს.

– თუ გნებავთ, თქვენც დარჩით, – უთხრა თავადმა, – დასაწოლს გამოვნახავთ. – თქვენო აღმატებულებავ, – აღფრთოვანებით მივარდა გენერალს ბატონი კელერი, – თუ ამაღამ საიმედო კაცია საჭირო, მეგობრისათვის თავს არ დავზოგავ. იცით, რა სულის პატრონია! დიდი ხანია მაგის სიდიადე ვიწამე, თქვენო აღმატებულებავ! მე, რა თქმა უნდა, დიდი განათლება არა მაქვს, მაგრამ როცა ეგ მაკრიტიკებს, სულ მარგალიტები სცვივა, მარგალიტები, თქვენო აღმატებულებავ!

გენერალმა სასოწარკვეთით იბრუნა პირი.

– თუ დარჩება, ძალიანაც გამიხარდება, მგზავრობა, ცხადია, გაუჭირდება, – ეუბნებოდა თავადი ლიზავეტა პროკოფიევნას, რომელიც გულმოსული ეკითხებოდა რაღაცას.

– გძინავს, თუ რა ამბავია შენს თავს? თუ არ გინდა, გენაცვა, თქვი და მე გადავიყვან ჩემსა! ღმერთო ჩემო, ესეც ძლივს დგას ფეხზე! ავად ხომ არა ხარ?

ლიზავეტა პროკოფიევნა წეღან არ იყო მართალი, როცა თავადი მომაკვდავი არ დაუხვდა და დაასკვნა, მშვენივრად არისო. ახლახან გადატანილმა ავადმყოფობამ, მასთან დაკავშირებულმა მძიმე მოგონებებმა, ამ საღამოს ალიაქოთმა, „პავლიშჩევის ვაჟის“ ამბავმა, იპოლიტის საქციელმა იმდენად ააღელვა, რომ ისედაც ავადმყოფურად მგრძნობიარე თავადი ლამის ციებცხელებიანივით კანკალებდა. გარდა იმისა, კიდევ სხვა რამ შიში ეხატებოდა თვალებში. მოუსვენრად შეჰყურებდა იპოლიტს, თითქოს კიდევ რაღაცას მოელოდა მისგან.

უეცრად იპოლიტი წამოდგა, გადაფითრებულ, მოქანცულ სახეზე საშინელი სირცხვილი აღბეჭდოდა, ეს სირცხვილი დაეტყო თვალებში, როცა იქ შეკრებილთ სიძულვილითა და შიშით გადახედა და იგივე სირცხვილი გამოეხატა დაბნეულ, ნაძალადევ ღიმილში, რომელიც ტუჩებზე უკრთოდა. მაგრამ თვალები მაშინვე დახარა და ტუჩებზე შერჩენილი ცალყბა ღიმილით

ტერასის გასავალთან მდგარ ბურდოვსკისა და დოქტორენკოსკენ ბარბაც-ბარბაცით წავიდა მათი წაყოლა გადაეწყვიტა.

– აი, ამის მეშინოდა სწორედ! – შეჰყვირა თავადმა. – ასეც ვიცოდი.

გაცოფებული იპოლიტი თავადს მიუბრუნდა, სახეზე თითქოს ყოველი ნაკვთი უცახცახებდა და მეტყველებდა.

– აჰა, ამისი გეშინოდათ, „ასეც იცოდით“, არა მაშ ისიც იცოდეთ, აქ თუ ვინმე მძულს, აქ კი ყველა, ყველა მძულს! – შეჰღრიალა ჩახრინწული ხმით დორბლმორეულმა იპოლიტმა, – თქვენსავით მაინც არავინ მეზიზღება, იეზუიტო, გულნამცეცა კაცო, იდიოტო, ქველმოქმედო მილიონერო! დიდი ხანია მიგიხვდით ყველაფერს და შემძაგდით, არ გიცნობდით და სულით და გულით მძაგდით, თქვენი ამბები რომ მომდიოდა. ეს თქვენ მომიწყვეთ ყველაფერი! თქვენ მიმიყვანეთ ამ ზომამდე! მომაკვდავს სირცხვილი მაჭამეთ, სულმოკლეობა გამომაჩენინეთ! სიცოცხლე რომ მეწეროს, ჩემი ხელით მოგიღებდით ბოლოს! არ მინდა თქვენი წყალობა, არავისიც არ მინდა, გესმით თუ არა, არავისი! ტყუილად ნუ იზეიმებთ, მე მხოლოდ ბოდვა მალაპარაკებდა. წყეულიმც იყავით ყველა!

იპოლიტს სული შეეხუთა.

– ტირილისა შერცხვა! – ჩაუჩურჩულა ლებედევმა ლიზავეტა პროკოფიევნას, – თავადს ვერ უყურებთ, „ასეც ვიცოდიო!“ კოჭებში შეატყო...

ლიზავეტა პროკოფიევნამ ზედაც არ შეხედა ლებედევს. თავაწეული, ამაყად იდგა და ზიზღიანი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა „ამ კაცუნებს“. გენერალმა მხრები აიჩეჩა; ლიზავეტა პროკოფიევნამ ერთი ახედ-დახედა რისხვით თავით-ფეხამდე, ვითომდა ეს რას ნიშნავსო, და მყისვე თავადს მიუბრუნდა.

– მადლობელი გახლავართ, თავადო, ჩვენი ოჯახის ექსცენტრიულო მეგობარო, ასე სასიამოვნოდ გატარებულ საღამოსათვის. იქნებ გულში გიხარიათ, ამ თქვენს პამპულაობაში რომ ჩვენც გაგვრიეთ... კმარა, ჩვენი ოჯახის ძვირფასო მეგობარო, იმაზეც მადლობელი ვართ, რომ თავი მაინც გაგვაცანით! ლიზავეტა პროკოფიევნამ აღშფოთებით გაისწორა მოსასხამი, მაგრამ არ დაიძრა, „იმათ“ წასვლას ელოდებოდა. ამასობაში „იმათ“ ეტლი მოუგრიალდათ, რომლის მოსაყვანად თხუთმეტი წუთის წინ დოქტორენკოს ლებედევის გიმნაზიელი ვაჟი გაეგზავნა. ცოლის კვალდაკვალ გენერალმაც ჩაურთო თავისი სიტყვა

– მართლაც არ მოველოდი, თავადო... იმ ჩვენი ნაცნობ-მეგობრობის შემდეგ... დაბოლოს, ლიზავეტა პროკოფიევნა...

– აბა, ასე როგორ იქნება?! – შესძახა ადელაიდამ, სწრაფად გასრიალდა თავადისაკენ და ხელი გაუწოდა.

თავადმა დაბნეულმა შეჰღიმა. ერთბაშად ზედ ყურთან ვიღაცის ცხელი სუნთქვა იგრძნო.

– თუ ამ ბილწ ხალხს ახლავე არ მიატოვებთ, მთელი ჩემი სიცოცხლე მეძულებით, მთელი სიცოცხლე! – უჩურჩულა სიბრაზისაგან აკანკალებულმა აგლაიამ; მაგრამ ვიდრე თავადი მოტრიალდებოდა, ქალმა უკვე იბრუნა პირი. თუმცა მისატოვებელი არავინ იყო ავადმყოფი იპოლიტი ამასობაში რის ვაივაგლახით ჩაესვათ ეტლში და წაეყვანათ.

– რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ამბავი, ივან ფიოდოროვიჩ როგორ ფიქრობთ რამდენ ხანს უნდა ვითმინო კიდევ ამ ბოროტი ლაწირაკებისაგან?

– მე, ჩემო კარგო... რა თქმა უნდა, მზადა ვარ... თავადო... – ივან ფიოდოროვიჩმა ხელი მაინც გაუწოდა თავადს, მაგრამ ჩამორთმევა აღარ დასცალდა, ლიზავეტა პროკოფიევნა ერთი ყოფით დაეშვა ტერასის კიბეზე და გენერალმაც უკან მისდია. ადელაიდა, მისი საქმრო და ალექსანდრა

გულწრფელად, ტკბილად დაემშვიდობნენ თავადს. არც ევგენი პავლოვიჩი ჩამორჩა მათ. მხიარულად მარტო ის იყურებოდა.

– რაც ვთქვი, ხომ ახდა?! მაგრამ ვაი რომ თქვენც გამოიჭყლიტეთ, ჩემო საბრალო თავადო, – ჩასჩურჩულა საამურზე საამური ღიმილით მან თავადს. აგლაია არ დამშვიდობებია, ისე წავიდა.

მაგრამ ამ საღამოს საოცრებანი ამით არ დამთავრდა. ლიზავეტა პროკოფიევნას ერთი ფრიად მოულოდნელი შეხვედრა ელოდა კიდევ. ვერ მოასწრო გზაზე გამოსვლა, რომელიც გარს უვლიდა პარკს, რომ უეცრივ თავადის აგარაკს ერთმა დიდებულმა ეტლმა ჩაუგრიალა, რომელშიც წყვილი თეთრი ცხენი ება. ეტლში ორი საუცხოოდ ჩაცმული ქალბატონი იჯდა. ეტლმა ჩაიქროლა და ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა მოწყვეტით. ერთ-ერთმა ქალბატონმა სწრაფად მოატრიალა სახე, თითქოს ვიღაც საჭირო ნაცნობს მოჰკრაო თვალი.

– ეს შენა ხარ, ევგენი პავლიჩ?! – გაისმა წკრიალა, მშვენიერი ხმა. ამ ხმამ შეაკრთო თავადი და იქნებ სხვასაც აუძგერა გული. – რარიგ მიხარია, ძლივს არ გნახე?! ქალაქში საგანგებოდ ორი კაცი გამოგიგზავნეს! მთელი დღე შენ გეძებენ!

ევგენი პავლოვიჩი მეხდაცემულივით იდგა კიბეზე. ლიზავეტა პროკოფიევნაც ადგილზე გაჩერდა, მაგრამ ევგენი პავლოვიჩივით ზარი არ დასცემია და არ გაშეშებულა ამ თავხედ დედაკაცს ისეთივე სიამაყით და ზიზღით შეავლო თვალი, როგორც ხუთიოდე წუთის წინ „კაცუნებს“ და მერე ისევ ევგენი პავლოვიჩს მიაშტერდა.

– ახალ ამბავს გეტყვი! – განაგრძობდა წკრიალა ხმა, – კუპფერის თამასუქების შიში ნუღა გაქვს; როგოჟინმა ოცდაათად შეისყიდა, მე დავიყოლიე. სამი თვე მაინც შეგიძლია არხეინად იყო. ბისკუპსა და იმ სხვა ნაძირალებსაც უთუოდ მოვურიგდებით ნაცნობობით! მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. კარგად მენახე, ხვალამდე!

ეტლი დაიძრა და მალე თვალს მიეფარა.

– გიჟია ვიღაც! – შესძახა ბოლოს აღშფოთებისაგან გაწითლებულმა ევგენი პავლოვიჩმა და გაოგნებით მიმოიხედა ირგვლივ, – წარმოდგენაც არა მაქვს, რაზე ლაპარაკობდა! რა თამასუქებიო ვინ არის ნეტავ ეს ქალი?

ლიზავეტა პროკოფიევნამ კიდევ ორიოდ წამს უყურა ევგენი პავლოვიჩს; მერე მსწრაფლ იბრუნა პირი და თავისი აგარაკისკენ გასწია, სხვები უკან მიჰყვნენ. ზუსტად ერთი წუთის შედეგ ევგენი პავლოვიჩი კვლავ თავადთან გაჩნდა ტერასაზე, საოცრად აღელვებული.

– თავადო, მართალი მითხარით, არ იცით, რას ნიშნავს ეს ამბავი?

– არაფერი ვიცი, – მიუგო თავადმა, რომელიც თვითონაც მეტისმეტად დაძაბული ჩანდა.

– არა?

– არა.

– არც მე ვიცი, – გადაიხარხარა მოულოდნელად ევგენი პავლოვიჩმა. – ღმერთმანი, იმ თამასუქებზე თავის დღეში არავისთან მქონია ურთიერთობა, ენდეთ ჩემს სიტყვას!.. რა მოგივიდათ, ცუდად ხომ არა ხართ

– ო, არა, არა, გარწმუნებთ, არა...

XI

მხოლოდ მესამე დღეს მოიღეს წყალობა და მოიბრუნეს გული ეპანჩინებმა. თავადი, მართალია, ბევრში თვითონვე იმტყუნებდა თავს, ჩვეულებისამებრ, და წრფელი გულით ელოდა სასჯელს, მაგრამ თავდაპირველად ღრმად იყო დარწმუნებული, ლიზავეტა პროკოფიევნა არ შეიძლება სერიოზულად გაჯავრებულიყო, უფრო თავის თავზე მოუვიდაო ბრაზი. მაგრამ ესოდენ ხანგრძლივმა შერისხვამ მესამე დღეს საგონებელში ჩააგდო და ცუდ გუნებაზე დააყენა თავადი. ამას სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი, მეტადრე ერთმა ამბავმა. მთელი სამი დღის მანძილზე თავადის ეჭვიანობამ თანდათან იმატა (თავადი ამ ბოლო ხანებში ორ უკიდურესობას საყვედურობდა თავს ან ასე უჩვეულო „სულელური“ ნდობა რად ვიცი და ამავე დროს, „საზიზღარი“ ეჭვიანობაო). ერთი სიტყვით, მესამე დღის ბოლოს ექსცენტრიული ქალის შემთხვევა, რომელიც ეტლიდან ელაპარაკა ევგენი პავლოვიჩს, მის გონებაში წარმოუდგენლად გაიზარდა და გამოუცნობ რამედ დაესახა. დაესახა და საგონებელში ჩააგდო თავადი სწორედ ისაა მიზეზი ამ ახალი „საშინელების“, თუ მხოლოდ... მაგრამ ვისი მიზეზი იყო კიდევ, ამას ვეღარ ამბობდა. რაც შეეხება ნ.ფ.ბ-ს, მისი ფიქრით, ეს მხოლოდ გულუბრყვილო ხუმრობა იყო, ასე გასინჯეთ, ბავშვური ხუმრობა და ამაზე სულ მცირე დაფიქრებაც დიდ სირცხვილად და, ერთის მხრივ, თითქმის უსინდისობად მიაჩნდა.

თუმცა იმ უგვანო „საღამოს“ შემდეგ, როცა მთელი ეს ალიაქოთი თავადს დაბრალდა, მეორე დღეს, დილითვე ეწვივნენ ადელაიდა და თავადი შჩ-ი, რომლებსაც მარტო გამოესეირნათ და „მისი ჯანმრთელობის გასაგებად შემოევლოთ უმთავრესად“. ადელაიდას პარკში ერთი საკვირველი ბებერი, ტოტებგაშლილი ხე შეემჩნია თურმე, გრძელი, დაღვლარჭნილი შტოებით, ახლად ამწვანებული, დაფუტუროებული და დამსკდარი; ჰოდა, აუცილებლად უნდა დახატოს ის ხე! ასე რომ, ნახევარსაათიანი ვიზიტის მანძილზე თითქმის მარტო ამაზე ილაპარაკა. თავადი შჩ-ი, ჩვეულებისამებრ, თავაზიანად, ტკბილად იქცეოდა, თავადს ძველი ამბები გამოჰკითხა, მოაგონა მათი პირველი გაცნობა. გუშინდელზე თითქმის არავის დაუძრავს კრინტი. ბოლოს ადელაიდას ვეღარ გაუძლო გულმა, ჩაიცინა და გამოტყდა, incognito-დ შემოვიარეთო; სხვა ამაზე აღარაფერი თქმულა, თუმცა ამ incognito-თიც იგულისხმებოდა კაცი, რომ მშობლები, ე.ი. უმთავრესად ლიზავეტა პროკოფიევნა, რაღაც განსაკუთრებულად შემომწყრალი ბრძანდებოდა. მაგრამ ადელაიდას და თავად შჩ-ს კრინტიც არ დაუძრავთ არც ლიზავეტა პროკოფიევნაზე, არც აგლაიაზე და, წარმოიდგინეთ, არც ივან ფიოდოროვიჩზე. წასვლა რომ დააპირეს, თავადს არ შეპატიჟებიან. გინახულეთო, ამაზე გადაკვრითაც არაფერი უთქვამთ. პირიქით, ადელაიდას ერთი მეტად საგულისხმო სიტყვა წამოსცდა თავის ერთ აკვარელით ნახატზე რომ უამბობდა, უეცრივ გულით მოიწადინა მისი ჩვენება. „მაგრამ როგორ მოვახერხოთ მოიცათ! დღეს ან კოლიას ხელით გამოგიგზავნით, თუ შემოიარა, ანდა მე და თავადი რომ სასეირნოდ გამოვალთ ხვალ, თვითონვე შემოგიტანთო“, – მონახა ბოლოს გამოსავალი და ძალიან გაეხარდა, რომ ასე მარჯვედ და ყველასათვის მოხერხებულად გადაწყვიტა ეს ამოცანა.

ბოლოს, როცა ის იყო დაემშვიდობა, თავად შჩ-ს თითქოს შემთხვევით მოაგონდა

– აჰ, მართლა, ხომ არ იცით, ჩემო კარგო ლევ ნიკოლაევიჩ, ვინ იყო ის ქალი, გუშინ რომ ეტლიდან ევგენი პავლოვიჩს დაუძახა?

– ნასტასია ფილიპოვნა იყო, განა აქამდე არ გითხრეს, რომ ის იყო მაგრამ ვინ ახლდა, ვერ გეტყვით.

– ვიცი, გამიგონია! – დასძინა თავადმა შჩ-მ. – მაგრამ მისი ყვირილი რაღას ნიშნავდა? გამოგიტყდებით და ჩემთვის ამოუხსნელი რამ გახლავთ... ჩემთვის და სხვებისთვისაც.

თავად შჩ-ს აშკარა გაოცება ეტყობოდა.

– ევგენი პავლოვიჩის რაღაც თამასუქებზე ლაპარაკობდა, – გულუბრყვილოდ მიუგო თავადმა, – რომლებიც ვიღაც მევახშისაგან შეუსყიდია როგოჟინს მისი თხოვნით და რომ როგოჟინი დააცლის ევგენი პავლოვიჩს.

– გავიგონე, გავიგონე, ჩემო ძვირფასო თავადო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი ამბავია?! ევგენი პავლოვიჩს არ შეიძლება თამასუქები ჰქონდეს გაცემული! მისი ქონების პატრონს... მართალია, წინათ კი ჰქონდა ვალები, მისი ქარაფშუტობის წყალობით, და მეც ხელი გავუმართე ერთი-ორჯერ... მაგრამ მისი ქონების პატრონმა თამასუქები მევახშეს მისცეს და მერე ამაზე იწუხოს, ვერ დავიჯერებ! ან ის როგორ შეიძლება, ასე გაშინაურებული იყოს ნასტასია ფილიპოვნასთან და შენობით ელაპარაკებოდეს, – აი, რა ვერ ამიხსნია. იფიცება, არაფერი მესმისო, და სავსებით მჯერა მისი. მაგრამ, ძვირფასო თავადო, იქნებ კიდევ იცოდეთ რამე ესე იგი, იქნებ რაღაც გაიგეთ კიდევ?

– არა, არაფერი ვიცი, მერწმუნეთ, ამ საქმეში ერთი ბეწო ბრალი არ მიმიძღვის.

– ოჰ, როგორი გახდით, თავადო?! დღეს პირდაპირ ვეღარ მიცვნიხართ განა შემიძლია ამისთანა საქმის მონაწილეობა დაგაბრალოთ?.. მართლაც, გუნებაზე ვერ უნდა იყოთ, – გადაეხვია თავადს და გადაკოცნა.

– რა „ამისთანა“ საქმის მონაწილედ? არა მგონია, რაიმე „ამისთანა“ საქმე იყოს აქ.

– უეჭველია, იმ ქალბატონს სურდა, ევგენი პავლოვიჩისთვის რაღაცაში შეეშალა ხელი და მოწმეების წინაშე ისეთი რამე ეწამებინა, რაც არ სჩვევია და არც შეიძლება სჩვეოდეს ევგენი პავლოვიჩს, – საკმაოდ მშრალად მიუგო თავადმა შჩ-მ.

ლევ ნიკოლაევიჩი აირია, მაგრამ მაინც დაკვირვებით გაუყარა თვალი თვალში.

– ვითომ მხოლოდ თამასუქების ამბავი არ იყო როგორც გუშინ თქვა, ისე არ გავიგოთ – რაღაც მოუთმენლად წაილაპარაკა ბოლოს თავადმა. – აბა, თვითონვე თქვით, რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ევგენი პავლოვიჩს ამ ქალთან და მით უმეტეს როგოჟინთან გიმეორებთ, დიდძალი ქონების პატრონია, დანამდვილებით ვიცი; ბიძისგან კიდევ ეკუთვნის მემკვიდრეობა. უბრალოდ, ნასტასია ფილიპოვნამ...

თავადმა შჩ-მ ერთბაშად გაკმინდა ხმა. ალბათ არ უნდოდა თავადთან ნასტასია ფილიპოვნაზე გაეგრძელებინა ლაპარაკი.

– მაშასადამე, ევგენი პავლოვიჩი სცნობია მაინც – ერთი წუთის შემდეგ ჰკითხა უეცრივ ლევ ნიკოლაევიჩმა.

– ჰო, მგონი იცნობდა; ქერქეტაა და იმიტომ! მაგრამ ეს ძველი ამბავი უნდა იყოს, ორი-სამი წლის წინანდელი მაინც. მაშინ ტოცკისაც იცნობდა. ახლა კი მსგავსი არაფერი შეიძლება იყოს; „შენობით“ არაფრით შეიძლება იყვნენ ერთმანეთში! ხომ იცით, ნასტასია ფილიპოვნა პავლოვსკში სულ არ ჩამოსულა; არავის უნახავს. ბევრმა არც იცის მისი ჩამოსვლა. ეტლი ამ სამი დღის წინ შევამჩნიე მხოლოდ.

– დიდებული ეტლი კია! – თქვა ადელაიდამ.

– დიახ, დიდებული ეტლია.

სტუმრები მეგობრულად, შეიძლება ითქვას, და-ძმური გრძნობით გამოეთხოვნენ თავად ლევ ნიკოლაევიჩს და წავიდნენ.

ჩვენი გმირისთვის კი ამ სტუმრობას დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დავუშვათ, თვითონაც ეჭვობდა გუმანით ბევრ რამეს გუშინდელი ღამიდან (იქნებ ადრევეც), მაგრამ მათ სტუმრობამდე ვერ გაებედა თავისი ეჭვების სავსებით გამართლება. ახლა კი აშკარა გახდა

თავადი შჩ-ი, მართალია, ამ ამბავს შეცდომით ხსნიდა, მაგრამ სიმართლეს ახლოს უტრიალებდა და მიმხვდარი იყო, რომ აქ ინტრიგას ჰქონდა ადგილი (თუმცა იქნებ მშვენივრადაც ესმის ყველაფერი, ოღონდაც თქმას ერიდება და ამიტომ განზრახ ხსნის შეცდომითო, – გაიფიქრა თავადმა). აშკარაა, ახლა მასთან შემოვლას (კერძოდ, თავადი შჩ-ს მხრივ) რაიმე ამბის გამორკვევა ედო სარჩულად; თუ ასეა, მაშინ პირდაპირ მას თვლიან ამ ინტრიგის მონაწილედ. გარდა ამისა, თუ ყოველივე ეს მართალია და ნამდვილად ასეთი მნიშვნელობა აქვს, მაშასადამე, იმას რაღაც საშინელი მიზანი დაუსახავს. რა მიზანი რა საშინელებაა, ღმერთო! ან გადაათქმევინებ კი თუ რამე დაიჩემა, ხომ ვერავითარი ძალით ვერ გადაათქმევინებს კაცი! ეს გამოცდილებით იცოდა თავადმა. „გიჟია, გიჟი ნამდვილად!“ ამ დილას სხვა ბევრი გადაუჭრელი ამბებიც მოგროვილიყო, საოცრად ბევრი. ყველა ერთმანეთს დამთხვეოდა და ყველა დაუყოვნებლივ გადაჭრას ითხოვდა. ასე რომ, თავადი ძალიან დაღონებული იყო. კიდევ კარგი, ვერა ლებედევა შემოვიდა, რომელსაც ლუბოჩკა აეტატებინა და ცოტა ამან გაართო. ვერამ რაღაცები უამბო სიცილით და კარგა ხანს ილაპარაკა. შემდეგ მისი პირღია დაია და გიმნაზიელი ძმა შემოვიდნენ. ეს უკანასკნელი ირწმუნებოდა, აპოკალიფსში ნახსენებ „აფსინთის ვარსკვლავს, დაცემულს წყაროთა ზედა წყალთასა“[88], მამაჩემი ევროპაში დაქსაქსულ რკინიგზებად ხსნისო. თავადმა არ დაიჯერა, ლებედევი ასე არ იტყოდაო. ამიტომ გადაწყვიტეს, პირველი შეხვედრისთანავე ეკითხათ, ვერა ლებედევასაგან ისიც შეიტყო თავადმა, რომ კელერი გუშინს აქეთ მათთან ჩასახლებულიყო, როგორც ეტყობოდა, კარგა ხნით, ვინაიდან გენერალ ივოლგინს დაძმობილებოდა და დამეგობრებოდა. თუმცა კი გამოეცხადებინა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი განათლების დასაკომპლექტებლად ვრჩები თქვენსაო. ისიც უნდა ითქვას, რომ ლებედევის შვილები თანდათან უფრო მოსწონდა თავადს. კოლია მთელი დღე არ გამოჩენილა დილაადრიან პეტერბურგს წასულიყო (ლებედევიც ალიონზე გამგზავრებულიყო პეტერბურგს, რაღაც თავისი საქმეების თაობაზე). მაგრამ გავრილა არდალიონოვიჩის მოსვლას კი სულის სიმწარით ელოდა თავადი, დაჰპირებოდა, დღეს უთუოდ შემოგივლიო.

გავრილა არდალიონოვიჩი მხოლოდ ნაშუადღევის შვიდ საათზე მობრძანდა, როცა ის იყო სადილობას მორჩნენ. შეხედა თუ არა, მაშინვე იფიქრა თავადმა, რომ ამ ვაჟბატონს ძირისძიროზამდე ეცოდინებოდა ყველაფერი. ან როგორ არ ეცოდინებოდა, როცა ვარვარა არდალიონოვნასა და მისი ქმრისთანა თანაშემწეები ჰყავდა? განიასა და თავადს რაღაც უცნაური დამოკიდებულება ჰქონდათ. თავადმა, მაგალითად, ბურდოვსკის საქმე მიანდო და განსაკუთრებითაც სთხოვა ამ საქმის მოგვარება. მაგრამ ამ მინდობილობისა და ზოგი რამ წინანდელის გარდა, რამდენიმე ისეთი საგანი იყო, რაზეც თითქოს პირი შეეკრათ ორივეს, არაფერი ეთქვათ. ხანდახან თავადს ისეც ეჩვენებოდა, თითქოს განიას თავის მხრივ დიახაც ეწადა გულწრფელად გულის გადმოშლა. მაგალითად, ახლა, როგორც კი შემოვიდა, თავადს მოეჩვენა, განიას ბეჯითად სჯერა, რომ სწორედ ახლა დადგა ჟამი ჩვენ შორის ნავსის გატეხვისაო (ეს კია, გავრილა არდალიონოვიჩს ეჩქარებოდა; ლებედევთან დაია ელოდა; რაღაც საქმეზე უნდა წასულიყვნენ სასწრაფოდ). მაგრამ განიას თუ მართლა ეგონა, თავადი კითხვებს დამაყრის, ძალაუნებურად გამიმხელს რაღაცას და გულს მეგობრულად გადმომიშლისო, რა თქმა უნდა შემცდარი დარჩა. იმ ოცი წუთის მანძილზე, რაც განია იქ იმყოფებოდა, თავადი ფრიად ჩაფიქრებული და უგულისყურო ჩანდა. ის შეკითხვები, უფრო უკეთ, ის ერთი მთავარი კითხვა, რომელსაც განია მოელოდა, არც შეიძლებოდა თავადს მიეცა მისთვის. მაშინ განიამაც თავშეკავება ირჩია ლაპარაკში. მთელი ოცი წუთის მანძილზე ენა არ გაუჩერებია, იცინოდა, სულ სხვა რაღაცებზე ლაქლაქებდა და იმ მთავარს არც შეხებია. სხვათა შორის, განია იმასაც მოჰყვა,

ნასტასია ფილიპოვნა მხოლოდ ოთხი დღეა, რაც პავლოვსკში ჩამობრძანდა და უკვე ყველას ყურადღებას იპყრობსო. ცხოვრობს სადღაც მეზღვაურთა ქუჩაზე, დარია ალექსეევნას პატარა, უშნო სახლში და ყველაზე შესანიშნავი ეტლი აქვსო პავლოვკსში. ირგვლივ უკვე ახვევია ბებერ და ყმაწვილ მოტრფიალეთა ჯგრო; ეტლს ზოგჯერ ცხენოსნებიც მოაცილებენ. ნასტასია ფილიპოვნა წინანდელივით მეტისმეტ წუნიაობას იჩენს და ყველას როდი უყადრებს თავს. მიუხედავად ამისა, მთელი გუნდი ახვევია და თუ დასჭირდა, დამცველად გამოადგებიანო. მათ შორის ერთი მოაგარაკე, უკვე ფორმალური სასიძო, მისი გულისთვის კიდეც წაეკიდა დანიშნულს, ხოლო ერთმა ბებერმა გენერალმა თითქოს დასწყევლა და შეაჩვენა თავისი ვაჟიო. ნასტასია ფილიპოვნა სეირნობის დროს ერთ ლამაზ, ასე თექვსმეტიოდე წლის გოგონასაც დაატარებს, დარია ალექსეევნას შორეულ ნათესავს. ეს გოგო კარგად მღერის, – ასე რომ საღამოობით მათი სახლი ყურადღებას იქცევს. ნასტასია ფილიპოვნას მეტისმეტად რიგიანად უჭირავს თავი, ძალიან მდიდრულად არ იცვამს, თუმცა საოცარი გემოვნებით კი, და მისი „გემოვნება, სილამაზე და ეტლი“ მთელი ქალების შურის საგანი გამხდარიყო.

– გუშინდელი ექსცენტრული ამბავი, – წამოსცდა განიას, – ცხადია, განზრახ იყო მოწყობილი და, რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასაგდები არაა. შარს ვერაფერში მოსდებ, თუ განზრახ არ დასწამე ცილი, თუმცა ესეც მალე მოხდებაო, – დააბოლოვა განიამ. რომელიც ელოდა, თავადი უთუოდ მკითხავს „გუშინდელ ამბავს განზრახ მოწყობილს რადა თვლი ან რა მოხდება მალეო“ მაგრამ თავადმა არა ჰკითხა რა. საკვირველია, რომ ევგენი პავლოვიჩზეც თვითონ განიამ ჩამოაგდო სიტყვა და ლაპარაკშიც სულ უმიზეზოდ გამოურია. გავრილა არდალიონოვიჩის აზრით, ევგენი პავლოვიჩს ადრე არ სცნობია ნასტასია ფილიპოვნა, ახლაც მხოლოდ სალმით იცნობს, ისიც ამ ოთხი დღის წინათ სეირნობისას ვიღაცას გაუცვნია და არც მის სახლში დაიარება. თამასუქების ამბავი შეიძლება მართალი იყოს (განიამ ეს დანამდვილებით იცის); ევგენი პავლოვიჩი, რა თქმა უნდა, კარგა დიდი ქონების პატრონია, მაგრამ „მამულის ზოგი საქმეები, მართლაც, ცოტა აწეწილი აქვს“. სხვა აღარაფერი უთქვამს ამ საინტერესო საგანზე განიას. ნასტასია ფილიპოვნას გუშინდელ საქციელზეც არ დაუძრავს კრინტი, თუ ზემოთ გაკვრით ნათქვამს არ ვიგულისხმებთ. ბოლოს განიას ვარვარა არდალიონოვნამ მოაკითხა, ერთი წუთით დაჰყო მხოლოდ და გამოაცხადა, თუმცა არც იმას შეჰკითხვია კაცი, რომ ევგენი პავლოვიჩი დღეს პეტერბურგშია, შეიძლება ხვალაც იქ დარჩეს, ჩემი ქმარიც (ივან პეტროვიჩ პტიცინი) პეტერბურგსაა წასული, ისიც ლამის ევგენი პავლოვიჩის საქმეებზე, იქ მართლაც რაღაც ამბავი მომხდარაო. წასვლისას დასძინა, ლიზავეტა პროკოფიევნა დღეს ჯოჯოხეთურ გუნებაზეა, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ აგლაია მთელ ოჯახს წაეკიდა, განა მარტო დედასა და მამას, დებთანაც მოუვიდა ჩხუბი და „რომ ეს კარგს არ მოასწავებსო!“ ეს უკანასკნელი ამბავი (თავადისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანი) სხვათა შორის გამოურია. მერე და-ძმა გამოეთხოვნენ თავადს და წავიდნენ. არც „პავლიშჩევის“ ვაჟის ამბავი უხსენებია განეჩკას, იქნებ ყასიდი თავმდაბლობა გამოიჩინა, იქნებ „თავადის გრძნობები დაინდო“. მაგრამ თავადმა მაინც ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა საქმის გულდაგულ მოთავებისთვის.

დიდად გახარებულმა თავადმა, როგორც იქნა, მეღირსა მარტო დარჩენაო, ტერასა ჩამოიარა, გზა გადაჭრა და პარკში შევიდა. ერთი ნაბიჯის გადადგმა გადაეწყვიტა და იმის მოფიქრება უნდოდა კარგად. ოღონდაც ეს ისეთი „ნაბიჯი“ იყო, რომელსაც მოფიქრება არაფრად სჭირდება, იმას სწორედ დაუფიქრებლად სჩადის კაცი, უბრალოდ, გადაწყვეტს და მორჩა. ერთბაშად საოცარმა სურვილმა მოუარა, ეს ყველაფერი მიეტოვებინა და საიდანაც მოვიდა, იქ გამგზავრებულიყო, სადმე შორს, გადაკარგულში, აი, ამ წუთს, ახლავე და არც არავის

დამშვიდობებოდა. გრძნობდა, თუნდაც რამდენიმე დღე რომ კიდევ დარჩენილიყო აქ, უთუოდ ჩაითრევდა ეს მორევი სამუდამოდ და მერე ვეღარც დაიხსნიდა თავს, მისი წერა შეიქნებოდა. მაგრამ ათი წუთიც არ უფიქრია, მყის გადაწყვიტა, გაქცევა „არ შეიძლება“, სულმოკლეობა იქნებაო, რომ ისეთი ამოცანები უდგას წინ, არ გადაწყვიტოს ან ყოველ შემთხვევაში მათ გადასაწყვეტად ყოველი ღონე არ იხმაროს, ამის უფლება არა აქვს ახლა. ამ ფიქრებით მობრუნდა შინ, თხუთმეტი წუთიც არ უსეირნია, თავს უბედურად გრძნობდა.

ლებედევი კი არა და არ ჩანდა. ასე რომ, საღამოს თავადს კელერი შემოეჭრა. მთვრალი არ იყო, მაგრამ გული კი გადმოუშალა. პირდაპირ განუცხადა, მინდა მთელი ჩემი ცხოვრება გიამბოთ და პავლოვსკშიც ამიტომ დავრჩიო. გაგდებას რა აზრი ჰქონდა, სულ ერთია არ წავიდოდა. კელერი მოემზადა კარგა გრძელი, უთავბოლო საუბრისათვის, მაგრამ დაიწყო თუ არა, მყის ბოლოში გადახტა და გამოუცხადა, იმდენად დავკარგე „ზნეობის ყოველი ნიშანწყალი“ (რამეთუ უზენაესის არა მწამდა რა), წარმოგიდგენიათ, კიდეც ვქურდობდიო.

– გამიგონეთ, კელერ, თქვენს ადგილზე არ გამოვტყდებოდი ამაში, თუ საჭირო არ იქნებოდა, – დაიწყო თავადმა, – თუმცა იქნებ განზრახ იგონებთ და მეუბნებით ამას?

– მხოლოდ თქვენ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩემ განვითარებას შეუწყობს ხელს! სხვას ვის ვეტყოდი! მოვკვდები და საფლავში ჩავიტან ამ საიდუმლოს! მაგრამ რომ იცოდეთ, რა ძნელია ამ ჩვენ საუკუნეში ფულის შოვნა?! ვინ მოგცემს, მიბრძანეთ ერთი ყველა ამას გაიძახის „ოქრო და ბრილიანტები მოიტა გირაოდ და მაშინ მოგცემთო“, სწორედ ის, რაც არ გამაჩნია. წარმოგიდგენიათ ბოლოს გული მომივიდა, ცოტა ხანს გავჩერდი კიდევ. ზურმუხტები რომ მოგიტანო, მომცემთ-მეთქი „ზურმუხტები რომ მოიტანო, მოგცემთო“. – „ჩინებულია-თქო“, – ვუთხარი, ქუდი დავიხურე და გამოვედი, ჯანიც კი გაგვარდნიათ, თქვე არამზადებო-მეთქი! ღმერთმანი!

– ზურმუხტები გქონდათ განა?

– ზურმუხტებს ვინ მომაშავებდა?! ო, თავადო, რა წმინდად და მიამიტად, ასე ვთქვათ, ალალად უცქერით ამ ქვეყანას?!

თავადს ბოლოს იმდენად არ შეეცოდა, რამდენადაც სინდისმა შეაწუხა, გაიფიქრა „კარგი კაცის ხელში იქნებ კიდევ ეშველოს რამე“ საკუთარი გავლენა ზოგიერთი მიზეზის გამო ფრიად უვარგისად მიაჩნდა, განა იმიტომ, ყასიდად რომ იმცირებდა თავს, არა, ცოტა სხვანაირი შეხედულება ჰქონდა საგნებზე და იმიტომ. შემდეგ ნელ-ნელა შეჰყვნენ საუბარს და ძალიანაც გაერთნენ. კელერი საოცარი გულღიაობით ისეთ ამბებს ჰყვებოდა, რომ საკვირველი იყო, ასეთ რამეებში თავისით გამოტეხილიყო კაცი. ყოველ ამბავს თავში უთუოდ დაურთავდა, ვნანობ და გულში „ვტირივარო“, მაგრამ მოყოლისას თითქოს თავიც მოჰქონდა ამ საქციელით და თან ისე სასაცილოდ გამოუდიოდა შიგადაშიგ, რომ ისა და თავადი გიჟებივით ხარხარებდნენ ბოლოს.

– მთავარი ისაა, რაღაც ბალღური მინდობა და საოცარი გულმართლობა გახასიათებთ, – უთხრა დასასრულს თავადმა, – იცით კი, რომ ამით ბევრ რასმე გამოისყიდით?

– დიახ, კეთილშობილი ვარ, რაინდულად კეთილშობილი! – დაუკრა კვერი გულაჩვილებულმა კელერმა, – მაგრამ, იცით, თავადო, მხოლოდ ოცნებაში და ასე ვთქვათ, ზარხოშში, საქმეში თავის დღეში არ გამომდის! რატომ თავად ვერ ამიხსნია.

– გულს ნუ გაიტეხთ. შეიძლება ითქვას, თქვენი ყველაფერი უკვე წვრილად ჩამომიკაკლეთ. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, ვეღარაფერს დაამატებთ, ხომ?

– ვეღარაფერსო?! – რაღაც გულდაწყვეტით წამოსცდა კელერს, – ო, თავადო, ჯერ კიდევ რაოდენ, ასე ვთქვათ, შვეიცარიული თვალსაზრისით უდგებით ადამიანს.

– განა კიდევაა დასამატებელი? – მორიდებით გაიოცა თავადმა, – მაშ რას გამოელოდით ნეტავ ჩემგან, კელერ, ან გული რა მიზნით გადმომიშალეთ?

– თქვენგან? რა მიზნით? ჯერ მარტო თქვენი გულუბრყვილობის ცქერა დაატკბობს კაცს. მერე თქვენთან ყოფნა და საუბარია სასიამოვნო; მე მაინც ხომ ვიცი, რომ უსათნოეს კაცთან მაქვს საქმე... მეორეც... მეორეც... კელერი შეიშმუშნა.

– ეგებ ფულის სესხება გინდათ? – ცოტა არ იყოს მოკრძალებითაც მიეშველა თავადი.

კელერი ლამის შეხტა. მერე სწრაფად, წინანდელი დაკვირვებით პირდაპირ თვალებში შეხედა თავადს და მუშტი ღონივრად დაჰკრა მაგიდას.

– აი, ამით უბნევს ხოლმე ადამიანს დავთრებს! თქვენი არ მიკვირს, თავადო ხან ისეთ მიამიტობას და გულუბრყვილობას იჩენთ, ოქროს ხანა მოგონებაა, იმავე დროს კი უცბად კაცს ისარივით დაატაკებთ შიგ გულში ასეთ ღრმაზე ღრმა ფსიქოლოგიურ დაკვირვებას. იცით, თავადო, ეს ახსნა-განმარტებას საჭიროებს, ვინაიდან მე... ვინაიდან მე დავიბენი და ესაა! ცხადია, ბოლოს და ბოლოს ჩემი მიზანი ფულის სესხება გახლდათ, ოღონდაც ფულზე ისე რიგად კი მკითხეთ, თითქოს ამაში საძრახისს ვერაფერს ხედავთ, თითქოს ასეც უნდა იყოს.

– დიახ... ასეც უნდა იყოს თქვენგან.

– არც აღგაშფოთათ?

– ვითომ... რატომ?

– იცით, თავადო, წუხელ აქ რომ დავრჩი, ჯერ ერთი ფრანგი მთავარეპისკოპოსის ბურდალუს[89] ხათრით (ლებედევთან სამ საათამდე ვსვამდით), მეორე და უმთავრესად (რა ხატზეც გინდა დავიფიცებ, ჭეშმარიტ სიმართლეს მოგახსენებთ!) იმ მიზნით, რომ, ასე ვთქვათ, ჩემი გულის აღსარება მეთქვა და ამით საკუთარი განვითარებისთვის ხელი შემეწყო; ოთხი საათი იყო, რომ ამ ფიქრებში ჩამეძინა, ვტიროდი და ვტიროდი. დამიჯერეთ უკეთილშობილეს კაცს სწორედ იმ წუთში, როცა ბურანში წასულს გულიც მიტიროდა და თვალთაგან წრფელი ცრემლი მდიოდა (რადგან კარგად მახსოვს, ბოლოს ვქვითინებდი!), ერთი ჯოჯოხეთური ფიქრი მომივიდა თავში „რა იქნება, აღსარების მერე ფული ვესესხო-მეთქი“ ამრიგად, აღსარებას, ასე ვთქვათ „ცრემლის ფენეზერფი“[90] მოვუმზადე, რამეთუ ამ ცრემლებით გზა გამელტვო და გულმომბალს ჩემთვის ას ორმოცდაათი მანეთი ჩაგეყაჭათ. როგორ ფიქრობთ, ეს სულმდაბლობა არ არის?

– ეს ხომ მართლა ასე არ იქნებოდა, უბრალოდ, ერთი მეორეს დაემთხვა. განა ცოტაჯერ ხდება, ერთი ფიქრი მეორეს ემთხვეოდეს. მე წარამარა ასე მომდის. თუმცა, ჩემი აზრით, ურიგო კი უნდა იყოს. იცით, კელერ, ყველაზე მეტად ამას ვაყვედრი ხოლმე ჩემს თავს. თითქოს ჩემი ამბავი მიამბეთ ახლა. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, – თავადს ჭეშმარიტად დიდი დაინტერესება ეტყობოდა, – რომ სხვებიც ასე არიან. ასე რომ ბოლოს ჩემს თავსაც მოვუწონე, ვინაიდან საოცრად ძნელია ამ გაორებულ ფიქრებს შეეჭიდო. გამოცდილი მაქვს. ღმერთმა არ იცის, საიდან გამოგიტყვრებიან ხოლმე. მაგრამ თქვენ ეს სულმდაბლობად მონათლეთ! ახლა მეც ისევ დამაფრთხობს ასეთი ფიქრები. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ დაგბრახავთ. თუმცა მთლად სულმდაბლობა არ უნდა იყოს, როგორ გგონიათ იეშმაკეთ და ცრემლის წყალობით გინდოდათ გამოგეცინცლათ ფულები, მაგრამ ისიც ხომ დაიფიცეთ, რომ თქვენს მონანიებას სხვა კეთილშობილი მიზანიც ჰქონდა და არა მარტო ფულის დაცინცვლა. რაც შეეხება ფულს, ის ხომ საქეიფოდ გჭირდებოდათ, ასეა არა იმ აღსარების შემდეგ, ცხადია, ეს სულმოკლეობა გახლავთ. მაგრამ ქეიფებსაც ხომ ერთ წუთში ვერ მოიშლით. განა ასე ადვილია! მაშ რა ვქნათ ჰოდა, სჯობს

ისევ თქვენს სინდისზე შევაგდოთ, არა საოცარი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა თავადი კელერს, აშკარა იყო, გაორებული ფიქრების ამბავი დიდი ხანია აინტერესებდა.

– პირდაპირ არ ესმის, ამის შემდეგ იდიოტს რაღად გეძახიან?! – შესძახა კელერმა.

თავადს ოდნავ წამოეფაკლა სახე.

– ბურდალეუ მქადაგებელიც კი არ დაინდობდა ადამიანს, თქვენ კი დამინდეთ და ადამიანურად განმსჯეთ! მეც თავის დასასჯელად და იმის დასამტკიცებლად, რომ გული ამიჩუყეთ, ასორმოცდაათ მანეთზე უარს ვამბობ, მარტო ოცდახუთიანი მომეცით და მორჩა! მეტი არ მჭირდება, ყოველ შემთხვევაში ორ კვირას მეყოფა. ორ კვირაზე ადრე ფულისთვის არ მოგაკითხავთ. მინდოდა, აგაშკა გამეხარებინა საჩუქრით, მაგრამ ღირსი არაა. ო, ღმერთმა დაგლოცოს, თავადო, გენაცვალე!

ლებედევი ეს-ესაა დაბრუნებულიყო და, როგორც იქნა, ეღირსა შემოსვლა. კელერის ხელში ოცდახუთმანეთიანს რომ მოჰკრა თვალი, სახე დაეღრიჯა. მაგრამ რაკი ფული ხელთ მოიგდო, კელერს აქ რაღა გააჩერებდა და გაუჩინარდა კიდეც. ლებედევი მაშინვე მის ლანძღვას მოჰყვა.

– არა ხართ მართალი, მაგ კაცმა გულწრფელად მოინანია, – უთხრა ბოლოს თავადმა.

– ნეტა მონანიებაში რა ჰყრია! გუშინ მეც ეგრე არ ვიძახდი „უსინდისო ვარ, უსინდისო-მეთქი“. ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი!

– მაშ, ეგ ლიტონი სიტყვები იყო მე კი მეგონა...

– მარტო თქვენ გეტყვით მართალს, სხვას არავის, იმიტომ, რომ თქვენ ადამიანის გულში კითხულობთ სიტყვასა თუ საქმეში, ტყუილსა თუ მართალში ერთნაირად გულწრფელი ვარ ყველაფერში, სიმართლესა და საქმეს ჩემსას სინანული სდევს ხოლმე, გინდ დამიჯერეთ, გინდა არა, თუნდაც დაგიფიცებთ. სიტყვასა და ტყუილს კი ჯოჯოხეთური ფიქრი ახლავს ნიადაგ, როგორმე აქაც გამოვიჭირო კაცი, როგორმე მონანიების ცრემლით დავტყუო რამე! ღმერთმანი, ეგრეა! სხვას ვის ვეტყვი – მასხარად ამიგდებს ან მომაფურთხებს, მაგრამ თქვენ კი, თავადო, თქვენ ადამიანურად განმსჯით!

– აი, ზუსტად ეგ მითხრა კელერმაც! – შესძახა თავადმა, – ორივე თითქოს იკვეხნით ამას! პირდაპირ გამაკვირვეთ რაღა, ოღონდაც ის უფრო გულწრფელია, თქვენ კი სწორედ ხელობად გაგიხდიათ. გეყოფათ, ლებედევ, ნუ იღრიჯებით, ნურც გულზე იდებთ ხელებს. რას მეტყვით თქვენ ტყუილად არ მოხვიდოდით... ლებედევი დაიგრიხა და დაიწმახნა.

– მთელი დღე თქვენს ლოდინში ვიყავი, მინდოდა ერთი რამ მეკითხა ერთხელ მაინც თავიდან ბოლომდე სიმართლე თქვით. გუშინდელი ეტლის ამბავში ურევიხართ თუ არა ლებედევი ისევ დაიწმახნა, ახითხითდა, ხელები მოიფშვნიტა, ბოლოს ცხვირიც დააცემინა ზედიზედ, მაგრამ ხმის ამოღება კი ვერ გადაეწყვიტა.

– გატყობთ, ურევიხართ.

– ნაწილობრივ, მხოლოდ ნაწილობრივ! ჭეშმარიტ სიმართლეს მოგახსენებთ! ჩემი ჩართვა ის იყო მხოლოდ, რომ დროულად ვაცნობე ერთ პიროვნებას, ჩემთან ესა და ეს ხალხია შეყრილი და ესა და ეს ესწრება-მეთქი.

– ვიცი, რომ ვაჟი გაგზავნეთ იქ, წეღან თვითონვე მითხრა, მაგრამ ეს რა ინტრიგა მოაწყვეთ! – შესძახა მოუთმენლად თავადმა.

– ჩემი მოწყობილი არ გახლავთ, არა, – ხელები გაასავსავა ლებედევმა, – სხვებისაა, სხვების, უფრო კი, ასე ვთქვათ, ფანტაზიაა, ვინემ ინტრიგა.

– მაშ, რაშია საქმე, ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ მაინც განა არ გესმით, რომ პირდაპირ მე შემეხება აქ ხომ ევგენი პავლოვიჩს უტეხენ სახელს.

– თავადო! უბრწყინვალესო თავადო! – დაიგრიხა ისევ ლებედევი, – აკი თვითონვე მიკრძალავთ სიმართლის თქმას; განა არ დავაპირე სიმართლე მეთქვა, მერე რამდენჯერ; განა თქვენ არ დამიშალეთ...

თავადი გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

– კეთილი, თქვით, – ძლივს წარმოთქვა მან, ეტყობა, დიდი შინაგანი ჭიდილის შემდეგ.

– აგლაია ივანოვნა... – მყისვე დაიწყო ლებედევმა.

– გაჩუმდით, გაჩუმდით! – გაშმაგებით შეჰყვირა თავადმა და მთლად წამოწითლდა აღშფოთებისა თუ სირცხვილისაგან. – ეგ შეუძლებელი ამბავია, ეგ სისულელეა! ეგ ყველაფერი თქვენი მოჩმახულია, ან თქვენებრ გიჟებისა. მეტი აღარ გამაგონოთ ეს! კარგა გვიან, თერთმეტი საათი იქნებოდა უკვე, რომ კოლია მოვიდა და ქვეყნის ამბები მოიტანა. ამბები ორნაირი ჰქონდა პეტერბურგისა და პავლოვსკის. ჯერ ჰაიჰარად პეტერბურგის ამბებს მოჰყვა (მეტწილად, იპოლიტსა და გუშინდელ შემთხვევაზე), რათა მერე ისევ მობრუნებოდა მათ, და საჩქაროდ პავლოვსკისა მოაყოლა. პეტერბურგიდან სამი საათის წინ ჩამოსულიყო და პირდაპირ ეპანჩინებთან შეევლო.

– იქ რაღაც ჯოჯოხეთი ტრიალებს! ცხადია, თავიდათავი ეტლის ამბავია; მაგრამ უთუოდ კიდევ რაღაც მოხდა, რაც არც მე და არც თქვენ ვიცით. რა თქმა უნდა, არაფერი ვიკითხე, ჯაშუში ხომ არა ვარ. თანაც კარგად მიმიღეს, ისე კარგად, არც მოველოდი; მაგრამ თქვენზე კი, თავადო, კრინტი არავის დაუძრავს! ყველაზე მთავარი და შესანიშნავი ისაა, რომ აგლაია ამ დილას თავისიანებს წაეკიდა თურმე განიას გულისთვის. როგორ იყო, რა იყო, – დაწვრილებით არ ვიცი, მაგრამ განიას გამო კი, წარმოგიდგენიათ! და საშინლად ჩხუბობენ, მაშასადამე, რაღაც დიდი ამბავია. გენერალი გვიან ჩამოვიდა, კოპებშეკრული, ევგენი პავლოვიჩიც თან მოიყვანა, რომელსაც დიდებულად შეხვდნენ. თვითონ ევგენი პავლოვიჩიც გასაოცრად მხიარულ გუნებაზეა, თან თავაზიანი. ყველაზე საყურადღებო ამბავი კი ისაა, რომ ლიზავეტა პროკოფიევნამ გენერლის ქალებიდან ვარვარა არდალიონოვნა უჩუმრად გამოიხმო და ერთხელ და სამუდამოდ დაითხოვა სახლიდან, თუმცა ფრიად ზრდილობიან ფარგლებში. ვარიამ თვითონ მითხრა. ვარია გამოვიდა ლიზავეტა პროკოფიევნასაგან და ქალებს გამოეთხოვა. იმათ კი არც იცოდნენ, რომ ვარია სახლიდან დაითხოვეს და უკანასკნელად ემშვიდობება მათ.

– ვარვარა არდალიონოვნა ხომ ჩემთან შვიდ საათზე იყო – ჰკითხა განცვიფრებულმა თავადმა.

– ჰოდა, რომ გამოაგდეს, რვა იყო დაწყებული. ვარიაც ძალიან მეცოდება და განიაც... მაგრამ სულ რაღაც ხრიკებს აწყობენ მუდამ, უამისოდ არ შეუძლიათ. რას აწყობენ, რას ჩირთიფირთობენ, არც წინათ ვიცოდი და არც ახლა მინდა ვიცოდე. მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემო კეთილო თავადო, განია მაინც გულიანია. რა თქმა უნდა, ბევრ რამეში ჯვარი უნდა დაუსვას კაცმა, მაგრამ ბევრი კი ისეთი კარგი აქვს, გამოჩხრეკა სწორედ ღირს. თავის დღეში ვერ ვაპატიებ თავს, რომ წინათ არ მესმოდა მისი... არ ვიცი, ვარიას ამბის შემდეგ ვიარო თუ არა ისევ იმათსა. მართალია, თავიდანვე დამოუკიდებლად დავიჭირე თავი, მაგრამ მაინც მოფიქრებაა საჭირო.

– ტყუილად გეცოდებათ თქვენი ძმა. აქამდე რაკი მივიდა საქმე, მაშასადამე, გავრილა არდალიონოვიჩი ლიზავეტა პროკოფიევნამ საშიშ კაცად მიიჩნია, მაშასადამე, განიას იმედები მთლად უსაფუძვლო არაა.

– რა იმედები! – გაოცებით შეჰყვირა კოლიამ, – ნეტავ ხომ არ გგონიათ, რომ აგლაია... ეგ შეუძლებელია!

თავადს ხმა არ ამოუღია.

– დიდი სკეპტიკოსი ყოფილხართ, თავადო, – ორიოდე წუთის შემდეგ დასძინა კოლიამ, – ერთი ხანია, მეტისმეტ სკეპტიკოსობას გამჩნევთ; არაფერი არა გწამთ, სულ რაღაცებს ეჭვობთ... სწორად ვიხმარე ამ შემთხვევაში სიტყვა „სკეპტიკოსი“

– მგონი, სწორად, თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვით.

– არა, „სკეპტიკოსობაზე“ უარს ვამბობ, სხვა სახელი მოგინახეთ, სკეპტიკოსი კი არა, ეჭვიანი ხართ! საშინლად ეჭვიანობთ განიასა და ერთ ასულზე! – შეჰყვირა უეცრად კოლიამ, ზეზე წამოიჭრა და ისე გადაიხარხარა, როგორც ალბათ თავის დღეში არ გაუცინია. ხოლო რომ დაინახა, თავადი გაწითლდა, ამან ხომ სულ ჩააბჟირა. ის აზრი, თავადი აგლაიაზე ეჭვიანობსო, საოცრად დაუჯდა გუნებაში. მაგრამ თავადს რომ გულწრფელი წყენა შენიშნა, მაშინვე გაჩერდა. შემდეგ ერთი საათი თუ საათ-ნახევარი კიდევ ისაუბრეს მეტად სერიოზულად, შეფიქრიანება ეტყობოდათ.

მეორე დღეს თავადმა ერთი გადაუდებელი საქმის გამო მთელი დილა პეტერბურგში დაჰყო.

ნაშუადღევის ხუთი საათი იყო, პავლოვსკში რომ გამოემგზავრა. რკინიგზის სადგურზე ივან ფიოდოროვიჩს შეხვდა. გენერალმა სტაცა ხელი, დამფრთხალმა ერთი კი მიმოიხედა ირგვლივ და მერე პირველი კლასის ვაგონში შეათრია, ერთად ვიმგზავროთო. რაღაც დიდ ამბავზე უნდა მოლაპარაკებოდა.

– ჩემზე გული ნუ მოგივა, ძვირფასო თავადო, თუ რამე გაწყენინე, დაივიწყე, გუშინაც შემოგივლიდი, მაგრამ, ვაითუ ლიზავეტა პროკოფიევნას არ მოეწონოს-მეთქი. ჩვენსა... პირდაპირ ჯოჯოხეთია, იდუმალი სფინქსი ჩაგვისახლდა. დავდივარ და ვერაფერი გამიგია. შენ რაც შეგეხება, ვფიქრობ, ჩემზე ნაკლები ბრალი მიგიძღვის, თუმცა შენი მიზეზით კი მოხდა ყველაფერი. ხომ ნახე, თავადო, ფილანტროპობა არაფერი სასიამოვნო ყოფილა. ალბათ, იწვნიე უკვე. ცხადია, კეთილი საქმე მეც მიყვარს და ლიზავეტა პროკოფიევნასაც ვაფასებ, ოღონდაც... კიდევ დიდხანს ილაპარაკა გენერალმა, მაგრამ საოცრად უთავბოლოდ. ეტყობა, მეტისმეტად შეძრწუნებული და შეცბუნებული გახლდათ რაღაც ამბით, რაც მის გონებამდე ვერ დადიოდა.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ შენ აქ არაფერ შუაში ხარ, – ბოლოს უფრო გარკვევით გამოთქვა მან, – მაგრამ ცოტა ხანს მაინც ნუ მოხვალ ჩვენსა, ვინემ ამინდი არ შეიცვლება, მეგობრულად გთხოვ. რაც შეეხება ევგენი პავლიჩს, – საოცარი სიფიცხით აღმოხდა მას, – ეს ყოველივე უაზრო ცილისწამებაა, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი! ამას ინტრიგის სუნი დაჰკრავს, რა არის, ყველაფერი ჩაგვიშალონ და ერთმანეთს წაგვკიდონ. იცი, თავადო, ყურში გეტყვი. ჩვენსა და ევგენი პავლიჩს შორის ჯერ არაფერი გადაწყვეტილა და სიტყვაც არ თქმულა, გესმის მაგრამ შესაძლოა ითქვას, და ძალიან მალეც, დიახ, ძალიან მალეც! ჰოდა, მისდა საზიანოდ აკეთებს ამას! რატომ, რისი გულისთვის – ვერ ამიხსნია! საკვირველი ქალია, ექსცენტრიული, ისე მეშინია მისი, ღამეები არ მძინავს. ან რა ეტლი ჰყავს, რა თეთრი ცხენები უბია შიგ, თვალს მოგჭრის კაცს! შნო და ლაზათიც ასეთი უნდა, როგორც ფრანგები იტყვიან ხოლმე! საიდან, რა გზით ღმერთო შეგცოდე, სამი დღის წინ ევგენი პავლოვიჩზე ვიფიქრე. თურმე ფიქრიც არ შეიძლება. ჰოდა, თუ ფიქრიც არ შეიძლება, რა მიზეზით უნდა ჩაშალოს საქმე აი, რა ვერ ამიხსნია! ევგენი პავლიჩი რომ შეინარჩუნოს მაგრამ ისევ გიმეორებ. აი, პირჯვარს დავიწერ, რომ ევგენი პავლოვიჩი არ იცნობს და რომ თამასუქები სულ მოგონილი ჭორია! ან რა უტიფრად უყვირა ქუჩიდან, შენო! წმინდა წყლის შეთქმულებაა! ცხადია, ყური არ უნდა ათხოვო და ევგენი პავლიჩს ორჯერ მეტი პატივისცემით უნდა მოექცე. ასე გამოვუცხადე ლიზავეტა პროკოფიევნას. ახლა ჩემს ყველაზე დიდ საიდუმლოს გაგიმხელ დასტურ მჯერა, რომ პირადად ჩემზე იძიებს შურს, გახსოვს, ძველი ამბებისთვის, თუმცა ბრალი არაფერში მიმიძღვის, გახსენებისაც კი მრცხვენია. ნეტავ საიდან

გამოტყვრა, სულ გადაკარგული მეგონა. როგოჟინი სად ბრძანდება, მითხარი, გეთაყვა რა ხანია, როგოჟინის ქალბატონი მეგონა უკვე.

ერთი სიტყვით, სულ დავთრები დაბნეოდა გენერალს ის ერთი საათი, რაც გზაში იყვნენ. სულ თვითონ ლაპარაკობდა, საკუთარ შეკითხვებზე თვითონვე პასუხობდა, ხელს წარამარა ართმევდა თავადს და, ყოველ შემთხვევაში, იმაში დაარწმუნა, რომ თავადზე ეჭვიც არ ეპარებოდა. ეს კი ფრიად საგულისხმო იყო თავადისთვის. დასასრულ, გენერალმა ევგენი პავლოვიჩის მკვიდრი ბიძის ამბავი მოაყოლა, პეტერბურგში რომელიღაც კანცელარიის უფროსის „დიდებული ადგილი უჭირავს, სამოცდაათი წლისა იქნება, ვიცი და კარგი ცხოვრების მოყვარულია, ერთი სიტყვით, დიდი ცუღლუტი ბებერი... ჰა! ჰა! ჰა! ვიცი, ნასტასია ფილიპოვნას ამბავი გაგებული ჰქონდა და ერთი პირობა შორიდან კიდევაც უტრიალებდა ხელში ჩასაგდებად. წელან შევუარე; არავის იღებს, შეუძლოდ არისო, მითხრეს. მაგრამ მდიდარზე მდიდარი ვინმეა, გავლენაც დიდი აქვს... ღმერთმა კარგად ამყოფოს და ყველაფერი ისევ ევგენი პავლიჩს დარჩება... დიახ, დიახ... მე კი მაინც მეშინია! არ ვიცი, რისა, მაგრამ მეშინია!.. თითქოს რაღაც იგრძნობა ჰაერში, რაღაც შავად დაფრენს, ხიფათი ახლოვდება. მეც მეშინია, მეშინია!..“

დასასრულ, როგორც ზემოთ ვთქვით, ეპანჩინებსა და თავად ლევ ნიკოლაევიჩს შორის მხოლოდ მესამე დღეს მოხდა ფორმალური შერიგება.

XII

ნაშუადღევის შვიდი საათი იყო, როცა თავადმა პარკში წასვლა დააპირა. უეცრად ლიზავეტა პროკოფიევნა შემოვიდა ტერასაზე.

– ჯერ ერთი, არ გაბედო და არ იფიქრო, ვითომც პატიების სათხოვნელად გეახელ! სისულელეა! ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე.

თავადი სდუმდა.

– ხარ თუ არა დამნაშავე

– თქვენზე მეტად არა. თუმცა, არც ერთს არ დაგვიშავებია განზრახ. სამი დღის წინ მეგონა, დამნაშავე ვარ-მეთქი, ახლა კი გადავწყვიტე, რომ არც ასეა საქმე.

– აი, თურმე რას ფიქრობ! კარგი, კარგი; ახლა მეც მომისმინე, დაჯე, მე ზეზე ყურყუტს არ ვაპირებ.

ორთავენი დასხდნენ.

– მეორეც იმ ბოროტ ლაწირაკებზე კრინტი არ დასძრა! ათი წუთი ვიჯდები და გელაპარაკები. შენთან ამბის გასაგებად მოვსულვარ (შენ კი, ღმერთმა უწყის, რა იფიქრე) ჰოდა, თუ სიტყვა დაგცდენია იმ თავხედ ლაწირაკებზე, იცოდე, ავდგები და წავალ, მერე თვალით არ დამენახო.

– ბატონი ბრძანდებით, – მიუგო თავადმა.

– ერთი ეს მითხარი, გამოუგზავნე თუ არა ამ ორი-ორნახევარი თვის წინათ, წმინდა კვირის დღეებში აგლაიას წერილი

– კი, მოვწერე.

– რა მიზნით რა ეწერა წერილში მაჩვენე წერილი!

ლიზავეტა პროკოფიევნას თვალები წამონთებოდა, მოუთმენლობისაგან ლამის ცახცახებდა.

– წერილი მე არა მაქვს, – გაკვირდა და დაფრთხა თავადი, – თუ კიდევ არსებობს, აგლაია ივანოვნას ექნება.

– თავს ნუ იძვრენ რა მოსწერე?

– თავს არ ვიძვრენ და არც არაფრის მეშინია. ან ვითომ რატომ არ შემეძლო მომეწერა...

– ხმა-კრინტი! მერე თქვი, რაც გინდა. წერილში რა იყო? რატომ გაწითლდი?

თავადი ჩაფიქრდა.

– არ ვიცი, რა გიტრიალებს თავში, ლიზავეტა პროკოფიევნა. იმას კი გამჩნევთ, წერილის ამბავი ძალიან არ მოგწონთ. დამეთანხმეთ, რომ შემეძლო სულაც უარი მეთქვა პასუხზე მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ წერილის ამბავი სულაც არ მაშინებს, არც ვნანობ მის დაწერას და არც ვწითლდები (თავადი ლამის ორჯერ მეტად გაწითლდა), წაგიკითხავ ამ წერილს, ვინაიდან, მგონი, ზეპირად მახსოვს. და თავადმა თითქმის სიტყვა-სიტყვით უთხრა, რაც იყო წერილში.

– რა აბდაუბდაა! შენის აზრით, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს სისულელე? – მკვახედ ჰკითხა ლიზავეტა პროკოფიევნამ. წერილი საოცარი ყურადღებით მოისმინა.

– მეც არ ვიცი მთლიანად; ვიცი, რომ გული წმინდა მქონდა. იქ რომ ვიყავ, შიგადაშიგ საოცარი იმედები აღმეძრებოდა და გული კმაყოფილებით ამევსებოდა ხოლმე.

– რა იმედები?

– ვერ გეტყვით, ოღონდაც ის არა, რაც ალბათ თქვენ გაივლეთ გულში... ერთი სიტყვით, მომავლის იმედები და ის სიხარული, რომ შესაძლოა იქ მთლად გადამთიელი, უცხოელი არ ვიყო-მეთქი. ძალიან მომეწონა უეცრივ ჩემი მამული. ერთ მზიან დღეს ავიღე კალამი და მივწერე წერილი; რატომ მაინცდამაინც მას – არ ვიცი. ზოგჯერ ხომაა, მეგობარი გინდა გვერდით გეგულებოდეს; ეტყოდა, მეც მეგობარი მომინდა... – მცირე დუმილის შემდეგ დასძინა თავადმა.

– შეყვარებული ხარ თუ რა არის?

– აარა. როგორც დას მივწერე; მოვაწერე კიდეც, თქვენი ძმა-მეთქი.

– ჰმ! განზრახ. ვიცი.

– ძალიან მიმძიმს, ლიზავეტა პროკოფიევნა, მაგ კითხვებზე პასუხი გაგცეთ.

– ვიცი, რომ გიმძიმს, მაგრამ მე სულაც არ მედარდება. გამიგონე, მართალი მითხარი, ღმერთი გისმენს, იცოდე სტყუი თუ არა სტყუი?

– არ ვტყუი.

– მართალს მეუბნები, რომ არ გიყვარს?

– მგონი, მართალს.

– შეხე, „მგონიო“! იმ ლაწირაკმა გადასცა?

– ნიკოლაი არდალიონოვიჩს ვთხოვე...

– ლაწირაკმა, ლაწირაკმა-მეთქი! – ფიცხლად გააწყვეტინა ლიზავეტა პროკოფიევნამ, – ნიკოლაი არდალიონოვიჩი კი არა და, ახლა ის მითხარი! ლაწირაკმა–მეთქი!

– ნიკოლაი არდალიონოვიჩმა...

– გეუბნები, ლაწირაკმა-თქო!

– არა, ლაწირაკმა კი არა, ნიკოლაი არდალიონოვიჩმა. – საკმაოდ ნელა, მაგრამ მტკიცედ მიუგო თავადმა.

– ეგრე იყოს, ეგრე, გენაცვა! მაგასაც მოგაგონებ.

ლიზავეტა პროკოფიევნამ წუთით მოითქვა სული და მღელვარება დაიოკა.

– „ბეჩავი რაინდი“ რაღას ნიშნავს?

– არაფერი ვიცი; მაგაში არ ვურევივარ, რამე ოინი იქნება.

– რა სასიამოვნო ამბავია! მაგრამ ნუთუ შენით დაინტერესდა თვითონ არ იყო? „სალოსსა“ და „იდიოტს“ გეძახდა!

– ეგ მაინც არ უნდა გეთქვათ ჩემთვის, – ლამის ჩურჩულით უსაყვედურა თავადმა.

– გული ნუ მოგივა, თავნება, გადარეული, გატუტუცებული გოგოა, – თუ შეიყვარა, უსიკვდილოდ გალანძღავს და მასხარად აიგდებს პირში. მეც ეგეთი ვიყავი. ოღონდ ჯერ ნუ ზეიმობ, ჩემო კარგო, შენი არაა; არც დავიჯერებ და არც დავუშვებ თავის დღეში! იმიტომ გეუბნები, ახლავე იხმარო ჭკუა. ყური მიგდე, დაიფიცე, რომ ის ქალი არ გითხოვია.

– ლიზავეტა პროკოფიევნა, ღმერთი იწამეთ, რას ამბობთ? – ლამის შეხტა გაოცებული თავადი.

– ცოტა გაწყდა, არ ითხოვე, ხომ?

– ცოტა გაწყდა, არ ვითხოვე, – წაიჩურჩულა თავადმა და თავი ჩაჰკიდა.

– მაშ ის გიყვარს, ასე გამოდის? ახლა მისი გულისთვის ჩამოხვედი? მისი გულისთვის, არა?

– იმიტომ არ ჩამოვსულვარ, მეთხოვა.

– ამ ქვეყნად თუ გწამს რამე?

– მწამს.

– დაიფიცე, რომ მის სათხოვნელად არ ჩამოსულხარ.

– ვფიცავარ, რაც გინდათ!

– მჯერა, მაკოცე ძლივს არ მომეშვა გულზე; მაგრამ იცოდე აგლაიას არ უყვარხარ, ჭკუა იხმარე, ცოცხალი თავით არ გაგატან! გაიგონე?

– გავიგონე.

თავადს სახე აელანძა, ლიზავეტა პროკოფიევნას თვალი ვეღარ გაუსწორა.

– ჰოდა, კარგად დაიხსომე. შენს მოსვლას განგებასავით ველოდი (რა ღირსი იყავ ამისა), ღამღამობით ბალიშს ცრემლებით ვალბობდი, – შენს თავზე ნუ მიიწერ, ჩემო კარგო, სხვა დარდი მქონდა, სულ ერთი და იგივე მუდამ. იცი კი, რად გელოდი? სულის სიმწარით მაინც მჯერა, რომ ღმერთმა შენი თავი მეგობრად და ღვიძლ ძმად მომივლინა. ბელოკონსკაიას დედაბრის გარდა არავინ გამაჩნია, ისიც წასულია ახლა, თან აღარც ჭკუა შერჩა, სულ გამოჩურჩუტდა. ახლა პირდაპირ მითხარი, იცი თუ არა, ამ სამი დღის წინ ეტლიდან რატომ ყვიროდა?

– ღმერთმანი, მაგაში არ ვურევივარ და არც არაფერი ვიცი!

– კმარა, მჯერა. ახლა მე სხვანაირად ვფიქრობ, გუშინ დილამდე კი მაინც ევგენი პავლიჩის ბრალი მეგონა ყველაფერი. მთელი დღე და მთელი გუშინდელი დილა. ახლა მეც ვეთანხმები იმათ აშკარაა, გააბრიყვეს და გაამასხარავეს რატომღაც, რაღაც მიზნით (ესეც საჭიროა! არც ამას უდის კაი სუნი!), მაგრამ აგლაია იმას არ გაჰყვება, მე მითქვამს! მერე რა, რომ კარგი კაცია, ასე კი იქნება. აქამდე ხომ ვყოყმანობდი, ახლა კი უსიკვდილოდ გადავწყვიტე „ჯერ მე ჩამაწვინეთ კუბოში და მიწა დამაყარეთ, მერე გაათხოვეთ-მეთქი“, ასეც მოვახსენე ივან ფიოდოროვიჩს დღეს. ხომ ხედავ, როგორ გენდობი, ხედავ?

– ვხედავ და ვაფასებ.

ლიზავეტა პროკოფიევნამ თვალი თვალში გაუყარა თავადს. იქნებ იმის ამოცნობა უნდოდა, ევგენი პავლოვიჩის ამბავმა რა შთაბეჭდილება მოახდინაო.

– გავრილა ივოლგინზე არაფერი იცი?

– ასე ვთქვათ, ვიცი... ბევრი ვიცი.

– იცი თუ არა, რომ აგლაიასთან რაღაც ძაფები გააბა?

– წარმოდგენა არა მაქვს, – განცვიფრდა და შეკრთა კიდეც თავადი, – თქვენ ამბობთ, გავრილა არდალიონოვიჩმა აგლაია ივანოვნასთან ძაფები გააბაო? შეუძლებელია!

– სულ მოკლე ხნის ამბავია. დაიამ მთელი ზამთარი გზა უთხარა ვირთხასავით.

– არა მჯერა, – მცირე ხნის ფიქრისა და ღელვის შემდეგ მტკიცედ გაიმეორა თავადმა, – რომ ყოფილიყო, მეცოდინებოდა უთუოდ.

– როგორ არა, გულში ჩაგეკვრებოდა და ცრემლების ფრქვევით გამოგიტყდებოდა! ეჰ, შე დოყლაპია შენა! ყველა გატყუებს, როგორც... როგორც... ან როგორ ენდობი, არა გრცხვენია მაინც განა ვერ ხედავ, რარიგ გაგაბრიყვა

– კარგად ვიცი, რომ ზოგჯერ მატყუებს ხოლმე, – უნდილად წარმოთქვა ხმადაბლა თავადმა, – თვითონაც იცის, ვამჩნევ... – დასძინა ესეც და აღარ დააბოლოვა.

– იცი და ენდობი?! ეგღა გაკლდა! თუმცა შენგან რა გასაკვირია. ან მე რა მიკვირს მაინც. ღმერთო ჩემო! ამისთანა კაცის მნახველი არა ვარ ჯერ! ფუჰ! იცი კი, ამ განკამ თუ ვარკამ ნასტასია ფილიპოვნას რომ დააკავშირეს...

– ვინ! – შეჰყვირა თავადმა.

– ვინა და აგლაია.

– არა მჯერა! ეგ შეუძლებელია! მაინც, რა მიზნით? – თავადი სკამიდან წამოიჭრა.

– არც მე მჯერა, თუმცა კი საბუთები მაქვს. თავისნება, ფანტასტიური, გიჟი, გადარეული გახლავს! ავი და ავი! ათასი წელი რომ ვიცოცხლო, მაინც ვიტყვი, ავია-მეთქი! ყველანი ეგეთები მყავს, ის ბოთე ალექსანდრაც. მაგრამ ეს კი სულ წამივიდა ხელიდან. თუმცა არც მე მჯერა! ეგებ არ მინდა დავიჯერო და იმიტომ, – დააყოლა თითქოს თავისთვის. – შენ რისთვის არ მოდიოდი? – მიუტრიალდა უცბად თავადს. – ეს სამი დღე რისთვის არ მოდიოდი? – მოუთმენლად შეუძახა მეორედ.

თავადმა მიზეზების ჩამოთვლა დაიწყო, მაგრამ ქალმა აღარ დააცალა.

– ყველა ჩერჩეტად გთვლის და გატყუებს! გუშინ ქალაქში იყავი, სანაძლეოს ჩამოვალ, მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდი იმ არამზადას, ათი ათასი მიიღეო!

– სულაც არა, არც მიფიქრია. ნახვითაც არ მინახავს და არც არამზადაა. წერილი მივიღე მისგან.

– მოიტა წერილი!

თავადმა პორტფელიდან წერილი ამოიღო და ლიზავეტა პროკოფიევნას გაუწოდა. შიგ ეწერა:

„მოწყალეო ბატონო, რა თქმა უნდა, სხვების თვალში უფლება არა მაქვს თავმოყვარეობა ვიქონიო. მათი აზრით, მეტისმეტი არარაობა ვარ საამისოდ. მაგრამ თუ სხვები ასე ფიქრობენ, ვიცი, თქვენ არ იფიქრებთ ამას. დიახაც დავრწმუნდი, მოწყალეო ბატონო, რომ იქნებ სხვებს სჯობდეთ კიდეც. დოქტორენკოს არ ვეთანხმები ამაში. ჩემს დღეში ერთ კაპის არ ავიღებ თქვენგან, მაგრამ დედაჩემს რომ დაეხმარეთ, ვალდებული ვარ, მადლობა მოგახსენოთ, ესეც ჩემი სიჯაბანის გამო. ასეა თუ ისე, მე სხვა თვალით გიყურებთ და საჭიროდ ჩავთვალე თქვენთვის მეცნობებინა. ამას იქით კი ჩვენს შორის საერთო აღარაფერი იქნებათ. ანტიპ ბურდოვსკი“.

„P.S. რაც ორას მანეთს აკლდა, იმ თანხას ნელ-ნელა გადაგიხდით“.

– რა აბდაუბდაა! – არც ღირდა წაკითხვა. რას იკრიჭები?

– გამოტყდით, რომ თქვენც გასიამოვნათ წერილმა.

– რაო! ამ პატივმოყვარეობით მოწამლულ აბდაუბდაზე მეუბნები! განა ვერ ხედავ, რომ პატივმოყვარეობამ და სიამაყემ ყველა ეგენი ჭკუაზე შეშალა

– მართალია, მაგრამ მაინც ხომ ინანიებს, დოქტორენკოს ჩამოსცილდა, ჰოდა, რაც უფრო პატივმოყვარეა, მით უფრო გაუჭირდებოდა მოწერა. ო, რა ბალღი ბრძანდებით, ლიზავეტა პროკოფიევნა!

– ხომ არ გინდა, ბოლოს და ბოლოს, სილა გაგაწნა?

– არა, არ მინდა. გიხარიათ წერილი და მალავთ კი. რატომ გრცხვენიათ გულისთქმისა?! ყველაფერში ასე მოგდგამთ.

– შენი ფეხი აღარ დავინახო ჩემს სახლში, – წამოხტა ლიზავეტა პროკოფიევნა და სიბრაზისაგან ფერი ეცვალა, – ამას იქით შენი ჭაჭანება არ იყოს ჩვენსა!

– სამი დღის შემდეგ თქვენი ფეხით მოხვალთ და დამიძახებთ... აბა, როგორ არა გრცხვენიათ? თქვენი ყველაზე კარგი გრძნობების როგორ უნდა შეგრცხვეთ? თავს იტანჯავთ და მეტი არაფერი.

– სული რომ ამომძვრეს, მაინც არ დაგიძახებ! შენს სახელსაც დავივიწყებ! დავივიწყე კიდეც!

ლიზავეტა პროკოფიევნა ერთის ყოფით გაქანდა გასასვლელისკენ.

– ისედაც ამიკრძალეს თქვენსა მოსვლა! – მიაძახა თავადმა.

– რაო ვინ აგიკრძალა?

თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, მყის მოტრიალდა ლიზავეტა პროკოფიევნა. თავადი შეყოყმანდა პასუხზე; იგრძნო, რომ ზედმეტი წამოროშა, თუმცა კი უნებლიეთ.

– ვინ აგიკრძალა-მეთქი? – გაშმაგებით დაუკივლა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– აგლაია ივანოვნამ ამიკრძალა...

– როდის? ა-მო-იდ-გი ენა-მეთქი!..

– ამ დილას შემომითვალა, არამც და არამც არ გაბედოო მოსვლა.

ლიზავეტა პროკოფიევნა მეხდაცემულივით იდგა, რაღაცას ფიქრობდა.

– რა შემოგითვალა ვისი პირით შემოგითვალა იმ ლაწირაკის? სიტყვიერად? – უეცრივ შესძახა მან ისევ.

– წერილი მივიღე.

– სადაა? აქ მომე ახლავე!

თავადი წუთით ჩაფიქრდა, მერე ჟილეტის ჯიბიდან მაინც ამოიღო ქაღალდის ერთი პატარა ნაგლეჯი. ზედ ეწერა:

„თავადო ლევ ნიკოლაევიჩ, რაც მოხდა, იმის შემდეგ თუ კიდევ ფიქრობთ ჩვენს აგარაკზე მოსვლას და ამით ჩემს გაკვირვებას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვისმე თუ გაეხარდება, ეს მე არ ვიქნები. აგლაია ეპანჩინა“.

ლიზავეტა პროკოფიევნა წუთით რაღაცას ფიქრობდა; მერე უეცრივ ეცა თავადს, ხელებში ჩააფრინდა და გასასვლელისაკენ წაათრია.

– ახლავე წამოდი! ჯიბრზე ამ წუთს წამოდი! – ჰკიოდა უჩვეულო მღელვარებით და მოუთმენლობით ატანილი გენერლის მეუღლე.

– კი მაგრამ, რა დღეში მაგდებთ...

– რა დღეში ამ დოყლაპიას დამიხედეთ! მამაკაცი მაინც არ იყო! ახლა ყველაფერს შევიტყობ, ჩემი თვალით ვნახავ...

– ქუდის დახურვა მაინც მაცალეთ...

– აჰა, შენი უგვანო ქუდი, წამოდი! ფასონიც კი ვერ შეარჩია ხეირიანად!.. ეს... ეს... წეღანდელის გამო... ცხელ გულზე, – ბუტბუტებდა ლიზავეტა პროკოფიევნა, როცა თავადს მიაჩანჩალებდა და ხელს წუთით არ უშვებდა, – წეღან გამოგესარჩლე, ხმამაღლა ვთქვი, რა ბრიყვია, რომ არ მოდის-მეთქი... თორემ ამისთანა აბდაუბდას რა მოაწერინებდა, ამისთანა უკადრის რასმე! სწორედ უკადრისს კეთილშობილ, გაზრდილ, ჭკვიან, დიახ, ჭკვიანი ქალისთვის!.. ჰმ, ალბათ, თვითონაც სკდებოდა გულზე, რომ არ მოდიოდი, ოღონდაც ის ვერ მოიაზრა, იდიოტს ასე არ უნდა

მისწეროს, სიტყვა-სიტყვით გაიგებს. ეგრეც მოხდა. ყურს რად მიგდებ – დაუტატანა თავადს და ენაზე იკბინა, ეს რა დამცდაო, – შენისთანა პამპულა სჭირია სწორედ, დიდი ხანია არ უნახავს, იმიტომაც უნდა შენი მოსვლა! ო, რა მიხარია, ახლა რომ მასხრად აგიგდებს! მეტის ღირსი არც ხარ. მერე რა გამასხარავება იცის, ო, რა გამასხარავება!..

ნაწილი მესამე

I

სულ იმას ჩივიან ჩვენში, პრაქტიკოსი ხალხი არა გვყავსო; პოლიტიკოსები, მაგალითად, მრავლად არიან; გენერლებიც არ გვაკლია; მმართველებსაც მოძებნი, რამდენსაც გინდა და როგორსაც გინდა, – პრაქტიკოსები კი არსად არიანო. ყოველ შემთხვევაში, ყველა ასე ჩივის. იმასაც კი ამბობენ, ზოგიერთ რკინიგზის ხაზზე რიგიან მომსახურეებსაც ვერ ნახავ, რომელიმე საკომპანიო გემზე ოდნავ მაინც ხეირიანი ხალხის გამონახვა ადმინისტრატორებად ყოვლად შეუძლებელ რასმე წარმოადგენსო. ხშირად გაიგონებ, ამა და ამ ადგილზე ახალი რკინიგზა გაიყვანეს და ვაგონები ერთმანეთს დაეჯახა, ან ხიდი ჩაინგრა და მატარებელი ჩაიტანაო. ამა და ამ ადგილზეო, წერენ, ლამის მთელი ზამთარი ჩარჩა მატარებელი დათოვლილ მინდორზე, ხუთი საათის სავალი გზა ჰქონდათ და ხუთი დღე კი იყურყუტესო. ამა და ამ ადგილზეო, ჰყვებიან, ათასობით ფუთი საქონელი ორ-სამ თვეობით ლპება ადგილზე გაგზავნის მოლოდინში, ამა და იმ ადგილზეო კი, ამბობენ (თუმცა ძნელი დასაჯერებელია), ერთმა ადმინისტრატორმა, უფრო სწორად, ზედამხედველმა ვიღაც ვაჭრის ნოქარს საშველი რომ აღარ მისცა, საქონელი გამაგზავნინეო, გაგზავნის ნაცვლად კბილების ჩალეწვით გაუწია ადმინისტრატორობა და მერე ეს თავისი ადმინისტრაციული საქციელი იმით გაამართლა, „გავცხარდი და რა მექნაო“. ჩვენში იმდენი სახელმწიფო დაწესებულებაა, კაცს წარმოდგენისაც შეეშინდება; ყველა მსახურობდა, ყველა მსახურობს და ყველა აპირებს სამსახურს, – მაშ, ვითომ რა დიდი ამბავი უნდა, ამ ხალხისგან საკომპანიო გემების რიგიანი ადმინისტრაცია შეირჩეს ამაზე ზოგჯერ იმდენად უბრალო პასუხს გაძლევენ, არც გჯერა ხოლმე. მართალია, ჩვენში ყველა მსახურობდა თუ მსახურობს და პეპერებიდან მოყოლებული ბადიშებამდე ორასი წელია ამ ჭაპანს ეწევიან, სამაგალითო გერმანულ ყაიდაზე შექმნილს, მაგრამ ეს მომსახურე და იმ ზომამდეც, რომ სულ ცოტა ხნის წინათ განყენებულობა და პრაქტიკული ცოდნის უქონლობა სწორედ ამ მომსახურეთა საუკეთესო რეკომენდაციად და დიდ ღირსებად ითვლებოდა. თუმცა მომსახურე ხალხთან რა გვესაქმება, ჩვენ ხომ, კერძოდ, პრაქტიკოს ხალხზე ვაპირებდით ლაპარაკს. ეჭვი არაა, გაუბედაობა და საკუთარი ინიციატივის სრული უქონლობა ჩვენში მარადჟამ მიაჩნდათ პრაქტიკოსი ადამიანის უმთავრეს და უპირველეს ნიშანთვისებად, მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ. მაგრამ ვითომ მარტო ჩვენ მოგვდგამს ეს ცოდვა – თუკი ასეთ შეხედულებას ცოდვა შეიძლება ეწოდოს ორიგინალობის უქონლობა დედამიწის ზურგზე ადამჟამობიდან მოყოლებული ყველგან ითვლებოდა თავიანი, საქმიანი და პრაქტიკოსი ადამიანის საუკეთესო რეკომენდაციად, ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა ოთხმოცდაცხრამეტი

პროცენტი (ამდენი მაინც) მუდამ ასე ფიქრობდა და მხოლოდ ადამიანთა ერთი პროცენტი მსჯელობდა და მსჯელობს ახლაც სხვანაირად.

გამომგონებლები და გენიოსები თავიანთი საქმიანობის დასაწყისში (ძალიან ხშირად, დასასრულსაც) საზოგადოებაში მუდამ უგუნურებად მიაჩნდათ; ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და ყველას მშვენივრად მოეხსენება. თუ, მაგალითად, ათეული წლების მანძილზე ყველანი თავიანთ ფულს ლომბარდში მიარბენინებდნენ და ოთხ-ოთხ პროცენტობით იქ მილიარდები დააგროვეს, ცხადია, როცა ლომბარდი გაუქმდა და ყველანი საკუთარი ინიციატივის ამარა დარჩნენ, ამ მილიონების მეტი წილი სააქციონერო ციებ-ცხელებას და თაღლითებს უნდა შეეწირა, – რასაც წესიერება და უმწიკვლოებაც კი მოითხოვდა. დიახ, უმწიკვლოებაც; თუ უმწიკვლო გაუბედაობა და ორიგინალობის უქონლობა ჩვენში დღემდე, ყველას აზრით, საქმიანი, რიგიანი კაცის უცილობელი თვისება იყო, უეცარი გადასხვაფერება მეტისმეტი ურიგო და უწესობაც კი იქნებოდა. აბა, მითხარით, რომელ მოსიყვარულე დედას არ გაუსკდება შიშით გული, თუ მისი ვაჟი ან ქალი გაკაფულ გზას გადაუხვევს „არა, შენი ჭირიმე, ორიგინალობას რა თავში ვიხლი, ოღონდ ბედნიერად და უზრუნველად იცხოვროსო“, – ფიქრობს ყოველი დედა, როცა თავის შვილს ურწევს აკვანს. გადიებიც კი ათადან ბაბადან ამას დასტუტუნებენ და დამღერიან აკვანს „ოქროებში ჩაჯდებიო, გენერალი გახდებიო!“ მაშასადამე, გენერლობა ჩვენი გადიებისთვისაც უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენდა და, როგორც ჩანს, არხეინი, ნეტარი ცხოვრების ყველაზე გავრცელებული ნაციონალური ადგილი გახლდათ. განა არა გამოცდის ავად თუ კარგად ჩაბარებისა და ოცდათხუთმეტი წლის სამსახურის შემდეგ ვინ არ მიაღწევდა ჩვენში გენერლობას და ლომბარდში გარკვეულ თანხას არ დააგროვებდა რუს კაცს დიდი თავისტეხა არ სჭირდებოდა, რომ საქმიანი და პრაქტიკოსი ადამიანის სახელი დაემსახურებინა. და ბოლოს, გენერალი რომ არ გამხდარიყავი, ჩვენში მხოლოდ ორიგინალური, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოუსვენარი კაცი უნდა ყოფილიყავი. შეიძლება ეს რამდენადმე გაუგებარიც იყოს. მაგრამ, საერთოდ რომ ვთქვათ, სწორი გახლავთ და ჩვენი საზოგადოებაც სრულიად მართალი ბრძანდებოდა, როცა პრაქტიკული ადამიანის თავისი იდეალი ასე განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ბევრი ზედმეტი ვთქვით; ჩვენს მიზანს მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობი ეპანჩინების ოჯახზე რამდენიმე სიტყვის თქმა შეადგენდა. ამ ოჯახის უფრო გონიერ წევრებს ნიადაგ ერთი, თითქმის მთელი ოჯახისათვის დამახასიათებელი სენი აწამებდათ, პირდაპირ საპირისპირო იმ სათნოებისა, რაზეც ახლა ვმსჯელობდით ზემოთ. მართალია, ფაქტში მთლიანად ვერ ერკვეოდნენ (რამეთუ ძნელი გასარკვევია), მაგრამ შიგადაშიგ მაინც ეჭვი ეპარებოდათ, რომ მათ ოჯახში რატომღაც ყველაფერი ისე არ იყო, როგორც სხვებთან. ყველა ოჯახს უდავიდარაბოდ მისდის საქმე, მათ – არა; ყველა სწორ გზას მიჰყვება, ისინი წამდაუწუმ უხვევენ გზიდან; ყველას მუდამ კეთილზნეობის შიში აწუხებს, მათ – არა. ლიზავეტა პროკოფიევნას, მართალია, მეტისმეტი შიში აიტანდა ხოლმე, მაგრამ მაღალი წრის ხალხისათვის ჩვეული შიში და სიფრთხილე მაინც არ ერქვა, რაც ასე ენატრებოდათ. თუმცა, ეგებ მარტო ლიზავეტა პროკოფიევნა იყო ამ შფოთსა და ფორიაქში. მისი ქალები ჯერ ყმაწვილები იყვნენ, მაგრამ არც გამჭრიახობა აკლდათ და არც ირონია, გენერალიც საკმაოდ გამჭრიახი იყო (თუმცა გვიან-გვიან კი საზრობდა), მაგრამ საჭოჭმანო შემთხვევებში მხოლოდ – ჰმ-ო! – იტყოდა და ყველაფერს ისევ ლიზავეტა პროკოფიევნას მიანდობდა ბოლოს. მაშასადამე, პასუხისმგებლობა მასვე ეკისრა. ისიც არ შეიძლება ითქვას, მაგალითად, თითქოს ამ ოჯახს რაღაც საკუთარი ინიციატივა გააჩნდა, ანდა შეგნებულად იჩენდა მისწრაფებას ორიგინალობისაკენ და ამიტომ უხვევდა გზიდან, რაც ყოვლად უკადრისი რამე იქნებოდა. ო,

არა! სინამდვილეში მსგავსი არაფერი იყო, ანუ შეგნებულად არავის დაესახა ეს მიზნად, მაგრამ ბოლოს მაინც გამოდიოდა, რომ ეპანჩინების დიახაც დარბაისელი ოჯახი მაინც ვერ იყო ისეთი, როგორც დარბაისელ ოჯახს შეეფერება. უკანასკნელ ხანებში ლიზავეტა პროკოფიევნა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავსა და საკუთარ „უკუღმართ ხასიათს“ აბრალებდა ყველაფერს, – ამიტომაც უფრო იტანჯებოდა. წამდაუწუმ „ჩერჩეტს, უწესოს, უხიაკს“ ეძახდა თავს და ეჭვით ეწამებოდა, წარამარა ებნეოდა თავგზა, სრულიად ჩვეულებრივი ამბების შეხლა-შემოხლისას გამოსავალს ვერ პოულობდა და ამიტომაც აზვიადებდა განსაცდელს.

ეპანჩინები, როგორც უკვე მოგახსენეთ ამ ამბის დასაწყისში, საყოველთაო და ჭეშმარიტი პატივისცემით სარგებლობდნენ. გენერალი ივან ფიოდოროვიჩიც კი, კაცი საეჭვო წარმოშობისა, ყველგან უდავოდ დიდი პატივისცემით იყო მიღებული. პატივისცემის ღირსი, ჯერ ერთი, იმიტომ იყო, რომ მდიდარი და „არცთუ უკანასკნელი“ გვამი გახლდათ, მეორეც, ყოვლად რიგიანი ადამიანი იყო, თუმცა ჭკუა დიდად არ აწუხებდა. მაგრამ ცოტაოდენი გონებაჩლუნგობა, მგონი, თითქმის აუცილებელი თვისებაა თუ მოღვაწისა არა, ყოველ შემთხვევაში, ფულის ნამდვილი მხვეჭელის. დასასრულ, გენერალს კარგი თავდაჭერა ჰქონდა, თავმდაბალიც იყო, ენადაცულიც და ამასთან, არც ვისმე დაისვამდა თავზე, განა იმიტომ, რომ გენერალი იყო, უბრალოდ, როგორც პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი. თავი და თავი კი ისაა, რომ კარგა მაგარი პროტექტორები ჰყავდა. რაც შეეხება ლიზავეტა პროკოფიევნას, როგორც ზემოთ ვთქვით, გვარიშვილობაც ჰქონდა, თუმცა ჩვენში გვარიშვილობას მაინცდამაინც არ დაგიდევენ, თუ გავლენიანი ხალხიც არ გიმაგრებს ზურგს. მაგრამ ბოლოს ეს გავლენიანი ხალხიც აღმოუჩნდა. მას ისეთი ხალხი სცემდა პატივს და ისეთმა ხალხმა შეითვისა ბოლოს, ბუნებრივია, მათ კვალდაკვალ სხვებსაც უნდა დაეფასებინათ და კარი გაეხსნათ მისთვის. ეჭვი არაა, საკუთარი ოჯახის ამბავი ასე რომ აწუხებდა, ამის საფუძველი არ ჰქონდა, მიზეზი ყოვლად უმნიშვნელო და საოცრად გაბერილი გახლდათ, მაგრამ თუ ვისმე ცხვირზე ან შუბლზე მეჭეჭი აზის, ასე ჰგონია, ყველა მისი მეჭეჭის საყურებლად და გასაკიცხად არის მოცლილი, თუნდაც ამერიკა ჰქონდეს აღმოჩენილი. ეჭვსგარეშეა ისიც, რომ ლიზავეტა პროკოფიევნა საზოგადოებაში მართლაც „ახირებულ“ ქალად მიაჩნდათ; მაგრამ პატივს რომ სცემდნენ, ეს უდავოა. ლიზავეტა პროკოფიევნას კი ბოლოს და ბოლოს აღარ სჯეროდა, პატივს მცემენო, – და სწორედ ეს იყო მთელი მისი უბედურება. თავისი ქალების შემხედვარეს წამდაუწუმ ეჭვი წამლავდა ცხოვრების მოწყობაში მათ სულ მე ვუშლი ხელს, სასაცილო, უკადრისი და აუტანელი ხასიათი მაქვსო. თუმცა კი ყოველივე ისევ ქალებსა და ივან ფიოდოროვიჩს ბრალდებოდა, სულ იმათ ეჩხუბებოდა და, ამავე დროს, თავდავიწყებით, ლამის სიგიჟემდე უყვარდა ისინი. ყველაზე მეტად ის ეჭვი სტანჯავდა, რომ მისი ქალიშვილებიც მას ემსგავსებოდნენ და ისეთივე „ახირებულნი“ ხდებოდნენ, რომ ასეთი ქალიშვილები საზოგადოებაში არ გამოდიან და არც უნდა გამოდიოდნენ. „ნიჰილისტები მეზრდებიან რაღა!“ – ყოველ წამს იძახდა გუნებაში. უკანასკნელ წელს, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანებში, მეტად და მეტად უჯდებოდა თავში ეს სამწუხარო აზრი. „ჯერ ერთი, რატომ არ თხოვდებიან – ყოველ წამს ეკითხებოდა თავს. – დედა რომ გაამწარონ, – აი, რა აქვთ მთელი სიცოცხლის მიზნად დასახული. რა თქმა უნდა, ასეა, სულ ამ ახალი იდეების, ამ წყეული ქალთა საკითხის ბრალი კია! განა აგლაიამ არ იყო, ამ ნახევარი წლის წინათ რომ კინაღამ შეიკრიჭა თმა და მერე რა თმა (ღმერთო, მე თავის დროზეც არ მქონია ასეთი თმა!) მაკრატელიც კი ეჭირა ხელში და დაჩოქილმა ძლივს გადავათქმევინე!.. ვთქვათ, ის ჯიბრით აკეთებდა ამას, დედის გულის გასახეთქად, იმიტომ, რომ ავი, თავნება და გაყოყოჩებულია, რაც მთავარია, ავი, ავი და ავი! მაგრამ ის გოდორა ალექსანდრაც რომ აჰყვა

თავისი ბუძგა თმის მოსაჭრელად, განა ჯიბრითა და კაპრიზით, შტერივით გულწრფელად – აგლაიას დაერწმუნებინა, უთმოდ უფრო მშვიდად დაიძინებ და თავი აღარ გეტკინებაო! მერე რამდენი, რამდენი მთხოვნელი ჰყავდათ ამ ხუთი წლის მანძილზე რა ჩინებული, რა მშვენიერი ხალხი! მაშ, რაღას უცდიან, რად არ თხოვდებიან იმიტომ, რომ დედა გაამწაროონ – სხვა მიზეზი არ არის! არა და არა!“

მაგრამ აი მისი დედური გულისთვისაც ამობრწყინდა მზე, ერთ ქალს მაინც, ადელაიდას მაინც ჩააბარებდა პატრონს. „ერთს მაინც მოვიშორებ თავიდან“, – იძახდა ლიზავეტა პროკოფიევნა, როცა კი ხმამაღლა თქმა დასჭირდებოდა (გულში გაცილებით უფრო ნაზად ამბობდა). მერე რა კარგად, რა რიგიანად მოეწყო ყველაფერი. საზოგადოებაც პატივისცემით ალაპარაკდა. ცნობილი პიროვნება, თავადი, შეძლებული, კარგი ადამიანი, თან მასაც მოეწონა, ამაზე უკეთესს რას ინატრებდა კაცი მაგრამ ადელაიდას შიში წინათაც არ ჰქონია, თუმცა მისი არტისტული გატაცებანი ზოგჯერ ძალიანაც აკრთობდა ლიზავეტა პროკოფიევნას ეჭვიან გულს. „სამაგიეროდ, მხიარული გუნებისაა, თანაც კეთილგონიერი, მაშასადამე, არც დაიკარგება“, – დაიმშვიდებდა ბოლოს გულს. ყველაზე მეტად აგლაიას შიში ჰქონდა. ისიც უნდა ითქვას, უფროსი ქალის, ალექსანდრას თაობაზე ლიზავეტა პროკოფიევნამ თვითონაც არ იცოდა, შინებოდა თუ არა ხან ეგონა, სულ „დაიღუპა გოგო“, ოცდახუთი წლისაა უკვე და შინაბერად დამირჩაო. „ისიც ასეთი სილამაზის პატრონი!..“ ლიზავეტა პროკოფიევნას არაერთხელ გაუტარებია ტირილში ღამე მისი გულისთვის, მაშინ, როცა ალექსანდრა ივანოვნას არხეინად ეძინა. „მაინც ვინ არის ბოლოს და ბოლოს – ნიჰილისტია თუ უბრალოდ, ბოთე?“

ბოთე რომ არ იყო, ლიზავეტა პროკოფიევნას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა ალექსანდრა ივანოვნას ჭკუას დიდად აფასებდა და ხშირადაც ეკითხებოდა რჩევას. მაგრამ რომ „გლახაკი“ იყო, ამას ლაპარაკი არ უნდოდა „იმდენად არხეინია, ვერ აღაშფოთებ, თუმცა „გლახაკებიც“ არ არიან არხეინები – ფუჰ! სულ ამირიეს თავგზა“. რაღაც უცნაურად შესტკიოდა გული ლიზავეტა პროკოფიევნას ალექსანდრაზე, უფრო მეტად, ვინემ აგლაიაზე, რომელიც ხატად ჰყავდა დასახული. ალექსანდრას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ის მწარე-მწარე სიტყვები (რაშიც უმთავრესად გამოიხატებოდა დედური მზრუნველობა და სიყვარული), ჩაკაკუნება თუ „ღვთის გლახად“ მონათვლა. სულ უბრალო რამეები უკვე გულზე ხეთქავდა და წონასწორობას აკარგვინებდა ლიზავეტა პროკოფიევნას. ალექსანდრა ივანოვნას, მაგალითად, ძილი ძალიან უყვარდა და სიზმრებსაც ბევრს ნახულობდა, მაგრამ ნიადაგ რაღაც საოცრად სულელური, გულუბრყვილო სიზმრები ჰქონდა, – შვიდი წლის ბავშვს რომ შეეფერებოდა; ჰოდა, ამ უმანკო სიზმრებზედაც რატომღაც გული მოსდიოდა ლიზავეტა პროკოფიევნას. ერთხელ ალექსანდრა ივანოვნას ძილში ცხრა დედალი დასიზმრებოდა და დედა-შვილს პირდაპირ ჩხუბი მოუვიდათ ამის თაობაზე, – რატომ კაცმა არ იცის. მხოლოდ ერთხელ იყო, სიზმრად რაღაც ორიგინალური ნახა, – რომელიღაც ბნელ ოთახში ერთი ბერი იდგა და ალექსანდრას შიგ შესვლისა ეშინოდა. აკისკისებულმა დებმა დიდი ამბით სასწრაფოდ აუწყეს ეს სიზმარი ლიზავეტა პროკოფიევნას; მაგრამ დედა კვლავ გაწყრა და სამივე და ჩერჩეტად მონათლა. „ჰმ! სულელივით ააღელვებს, ნაღვლობს კი, ზოგჯერ გული გეტკინება პირდაპირ! ნეტა რა ადარდებს!“ ხანდახან ივან ფიოდოროვიჩსაც შეეკითხებოდა ამას, ჩვეულებისამებრ, ისტერიულად, მწყრალად და პასუხს დაუყოვნებლივ მოითხოვდა. ივან ფიოდოროვიჩი ჩაახველებდა, წარბს შეიკრავდა, მხრებს აიჩეჩდა, ბოლოს ხელებს გაშლიდა და გადაჭრიდა

– ქმარი უნდაო!

– ოღონდაც თქვენისთანა აშოროს ღმერთმა, ივან ფიოდოროვიჩ, – ყუმბარასავით იფეთქებდა ლიზავეტა პროკოფიევნა. – თქვენისთანა განსჯისა და განაჩენის კაცი, ივან ფიოდოროვიჩ, თქვენისთანა გაუთლელზე გაუთლელი, ივან ფიოდოროვიჩ...

ივან ფიოდოროვიჩი მყის თავს უშველიდა, ლიზავეტა პროკოფიევნას კი ეს „აფეთქება“ გულს მოუოხებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, იმავე საღამოს აუცილებლად საოცრად დაუტკბებოდა, ყურადღებასა და პატივს გაუასკეცებდა ივან ფიოდოროვიჩს, „გაუთლელზე გაუთლელ“ ივან ფიოდოროვიჩს, თავის კეთილ, საყვარელ, სათაყვანებელ ივან ფიოდოროვიჩს, ვინაიდან მთელი სიცოცხლე მზე ამოსდიოდა და შეყვარებული იყო თავის ივან ფიოდოროვიჩში, რაც მშვენივრად იცოდა ივან ფიოდოროვიჩმა და უსაზღვროდ აფასებდა კიდეც ამის გამო თავის ლიზავეტა პროკოფიევნას.

მაგრამ ყველაზე მთავარი და მუდმივი საწამებელი აგლაია იყო დედისთვის. „საოცრად ვგავართ ერთმანეთს, სულ ჩემი სურათია ყოველმხრივ, – გულში ამბობდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – თავკერძა, საძაგელი, კერპი! ნიჰილისტი, უჯიათი, დამთხვეული, ავი, ავი და ავი! ო, ღმერთო, რა უბედური იქნება!“

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ამობრწყინებულმა მზემ ყოველივე დააყუჩა და გაანათა წუთით. თითქმის ერთი თვე მოსვენებული იყო ლიზავეტა პროკოფიევნა, აღარაფერზე სწუხდა. ადელაიდას მოახლოებულმა ქორწინებამ აგლაიაზეც აალაპარაკა საზოგადოება. მერე რა მშვენივრად, რა დინჯად, რა ჭკვიანურად და ამაყად ეჭირა თავი ყველგან აგლაიას, ოდნავ ქედმაღლურად, მაგრამ შვენოდა კი! რარიგ დაუტკბა მთელი თვე დედასაც! („მართალია, ამ ევგენი პავლოვიჩსაც დიდი დაკვირვება უნდა კიდევ, კბილის მოსინჯვა, თუმცა თითქოს არც აგლაია სწყალობს სხვებზე მეტად!“). მაინც რა მშვენიერი გოგო წამოიჩიტა, – რა ლამაზია, ღმერთო, რა ლამაზი, დღითიდღე მშვენდება! მაგრამ...

მაგრამ გამოჩნდა ეს საძაგელი თავადი, ეს უბედური იდიოტი და ყველაფერი ისევ აირია, ყველაფერი თავდაყირა დადგა მათთან!

მაინც რა მოხდა ასეთი?

სხვები ალბათ ასეთ რამეს აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ. მაგრამ ლიზავეტა პროკოფიევნა რის ლიზავეტა პროკოფიევნა იქნებოდა, რომ სრულიად ჩვეულებრივი ამბების დომხალში თავისი ნიადაგ მოუსვენარი ბუნების წყალობით რაღაც ისეთი არ გამოეჩხრიკა, რაც ზოგჯერ ავადმყოფური, უცნაური შიშით უვსებდა გულს და ამიტომაც ყველაზე უფრო სცემდა თავზარს. ჰოდა, რა დღეში ჩავარდებოდა, როცა ამ სასაცილო და უსაფუძვლო წუხილით შეპყრობილმა უეცრივ იგრძნო რაღაც თითქოს მართლაც მნიშვნელოვანი, რაღაც თითქოს მისი მუდმივი შიშისა და ეჭვების დამადასტურებელი.

„ან როგორ გამიბედეს და ის წყეული ანონიმური წერილი გამომიგზავნეს იმ უნამუსოს თაობაზე, ვითომც აგლაიასთან გააბა კავშირიო – მთელი გზა ამას ფიქრობდა ლიზავეტა პროკოფიევნა, როცა თავადს მიაჩანჩალებდა, როცა შინ მიიყვანა და მრგვალ მაგიდას მოუსვა, რომელსაც მთელი ოჯახი შემოსხდომოდა. – როგორ გაბედეს ამის გაფიქრებაც სირცხვილი მომკლავდა, რომ ერთი წუთითაც დამეჯერებინა, ან აგლაიასთვის მეჩვენებინა ეს წერილი! რა მასხრად აგვიგდეს ეპანჩინები! სულ კი, სულ კი ივან ფიოდოროვიჩის მიზეზით, სულ კი თქვენი მიზეზით, ივან ფიოდოროვიჩ. ნეტავ ელაგინში რად არ წავედით განა არ ვიძახდი, ელაგინში წავიდეთ-მეთქი! ვინ იცის, ივან ფიოდოროვიჩის ბრალია! იმ უნამუსომ მაგას მოუწყო ეს ოინი გასაპამპულებლად, წინანდელ ამბებთან დაკავშირებით, როცა მარგალიტებს უზიდავდა ძღვნად. წინათაც ხომ მასხრად ჰყავდა აღებული, ატყუებდა... ბოლოს კი მაინც ჩვენ

გამოვეტანეთ, თქვენი ქალები გამოეტანენ, ივან ფიოდორიჩ, თქვენი გასათხოვარი, რჩეული საზოგადოების ქალები, საპატარძლოები.

ისინი იქ იყვნენ, თავისი ყურით მოისმინეს, იმ ლაწირაკების ამბავში გაერივნენ. გაიხარეთ, იქ იყვნენ და მოისმინეს! თავის დღეში არ ვაპატიებ, არ ვაპატიებ ამ თავადს! ან ეს სამი დღე ისტერიკა რად ემართება აგლაიას, ლამის დებს წაეკიდა, ალექსანდრასაც კი, რომელსაც მუდამ ხელებს უკოცნიდა დედასავით – ისეთ პატივს სცემდა ეს სამი დღე რა თავსატეხი გაგვიჩინა ყველას გავრილა ივოლგინი რა შუაშია აქ დღესა და გუშინ რას აუტყდა გავრილა ივოლგინის ქება და მერე კი ტირილი წასკდა ის წყეული „ბეჩავი რაინდიც“ რადაა ნახსენები იმ ანონიმურ წერილში, როცა თავადის წერილები დებსაც არ გაუმხილა ან რა მიზეზით... ან მე დამთხვეულივით რიღასთვის მივეჭერი და აქ წამოვათრიე ღმერთო, გავგიჟდი ალბათ, ეს რა ჩავიდინე! ახალგაზრდა კაცს ჩემი ქალის საიდუმლოებანი გადმოვუშალე, მერე როგორი! ლამის მას რომ ეხება! ღმერთო, კიდევ კარგი, იდიოტია და... და ოჯახის მეგობარი! მაგრამ ნუთუ აგლაია ამ ღვთის გლახამ მოხიბლა! ღმერთო, რაებს ვჩმახავ! ფუჰ! ორიგინალები ვართ... შუშაში უნდა ჩაგსვას კაცმა, პირველი მე, და ათ კაპიკად კარდაკარ გვატაროს საჩვენებლად. არ გაპატიებთ, ივან ფიოდორიჩ, თავის დღეში არ გაპატიებთ! ახლა რატომ აღარ იგდებს მასხრად, აღარ გესლავს აკი დაიქადნა, მასხრად აგიგდებო! შეხე, შეხე, თვალს არ აცილებს, არ მიდის, გატრუნული დგას, თუმცა თვითონვე შეუთვალა, არ მობრძანდეო... ესეც რომ გაფითრებული ზის. ამ წყეულმა ენალაქლაქა ევგენი პავლოვიჩმაც რას გააჭირა საქმე, მარტო თვითონ ქაქანებს. შეხე, შეხე, რა ენად გაკრეფილა, ხმას არავის აღებინებს. ახლავე ყოველივეს გამოვიკვლევდი, ლაპარაკი რომ ჩამომაგდებინა...“

თავადი, მართლაც, გადაფითრებული იჯდა მრგვალ მაგიდასთან, თითქოს საოცარ შიშს აეტანა და ამავე დროს, შიგადაშიგ მისთვისაც გაუგებარი აღტაცება ეუფლებოდა.

ო, რარიგ ეშინოდა იქით, იმ კუთხისკენ გახედვა, საიდანაც წყვილი ნაცნობი შავი თვალი მიშტერებოდა, და ამავე დროს, რარიგ იბნიდებოდა ნეტარებით, რომ ახლა ისევ აქ, მათ შორის ზის, ნაცნობ ხმას გაიგონებს – იმ წერილის შემდეგ, რომელიც გამოუგზავნეს. „ღმერთო, ნეტავ რას მეტყვის!“ თავადს ჯერჯერობით კრინტი არ დაეძრა, დაძაბული უსმენდა „ენად გაკრეფილ“ ევგენი პავლოვიჩს, რომელიც იშვიათად ყოფილა ეგზომ კმაყოფილსა და აღელვებულ გუნებაზე, როგორც ამ საღამოს; უსმენდა, მაგრამ თითქმის არაფერი გაეგებოდა კარგა დიდხანს. ყველას მოეყარა თავი, აქ იყო თავადი შჩ-ც, მხოლოდ ივან ფიოდოროვიჩი აკლდათ, პეტერბურგიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. ჩაის დალევამდე თითქოს მუსიკის მოსასმენად აპირებდნენ წასვლას. ეს საუბარი, როგორც ეტყობოდა, თავადის მოსვლამდე ჩამოეგდოთ. მალე კოლიაც გაჩნდა ტერასაზე; „მაშასადამე, ძველებურად დაიარებაო“, – გუნებაში გაივლო თავადმა.

ეპანჩინებს მდიდრული აგარაკი ედგათ, შვეიცარული სახლის ყაიდის, ყვავილებსა და მწვანეში ჩაფლული. ირგვლივ პატარა, მაგრამ ლამაზი ბაღი ეკრა. როგორც თავადთან, აქაც ყველანი ტერასაზე ისხდნენ, ოღონდ ცოტა უფრო მოზრდილი და უფრო მოხდენილი ტერასა იყო.

საუბრის საგანი, რომელიც გამწარებულ დავას მოჰყოლოდა, ეტყობოდა, ბევრს არ რჩებოდა საამოდ და, თემის გამოცვლა, ცხადია, ყველას ეწადა. მაგრამ ევგენი პავლოვიჩი თითქოს ამიტომაც უფრო გაკერპებულიყო და არად აგდებდა სხვების შთაბეჭდილებას. ლიზავეტა პროკოფიევნას კოპები შეეკრა, თუმცა ყველაფერი არ ესმოდა. კუთხეში მიმჯდარი აგლაია უსმენდა და ჯიუტად დუმდა.

– მოითმინეთ, – ცხარობდა ევგენი პავლოვიჩი, – ლიბერალიზმის საწინააღმდეგოს არც არაფერს ვამბობ. ლიბერალიზმი ცოდვა არ გახლავთ; ეგ ერთი მთელის აუცილებელი

შემადგენელი ნაწილია, რომელიც უამისოდ დაიშლება ან ჩაკვდება; ლიბერალიზმს ისეთივე უფლება აქვს იარსებოს, როგორც ყოვლად კეთილზნიან კონსერვატიზმს, მაგრამ მე რუსულ ლიბერალიზმს ვესხმი თავს, კიდევ და კიდევ გიმეორებთ, იმიტომ ვესხმი, რომ რუსი ლიბერალი რუსი ლიბერალი კი არ არის, არარუსი ლიბერალია. მაჩვენეთ რუსი ლიბერალი და მყისვე თქვენს თვალწინ გადავკოცნი.

– თუკი მოინდომა თქვენი კოცნა, – უთხრა უჩვეულოდ აღელვებულმა ალექსანდრა ივანოვნამ, რომელსაც ლოყებიც კი წამოსწითლებოდა ჩვეულებრივზე მეტად.

„ამას უყურე, – გაიფიქრა ლიზავეტა პროკოფიევნამ, – ძილისა და ჭამის მეტი არაფერი ადარდებს, წელიწადში ერთხელ კი თავს წამოჰყოფს და ისეთს იტყვის, სახტად დარჩები“.

ისიც შენიშნა თავადმა, რომ ალექსანდრა ივანოვნას თითქოს არ მოსწონდა ევგენი პავლოვიჩის მეტისმეტად მხიარული კილო, თითქოს სერიოზულ საგანზე ლაპარაკობს, ცხარობს კიდევაც და ამავე დროს, თითქოს მასხრობსო.

– სწორედ თქვენს შემოსვლამდე ვამტკიცებდი, თავადო, – განაგრძო ევგენი პავლოვიჩმა, – რომ ჩვენში ლიბერალებს დღემდე მხოლოდ ორი ფენა წარმოშობს მემამულეთა (რომელიც უკვე წარსულს ჩაბარდა) და სემინარიელთა ფენა. ჰოდა, რაკი ბოლოს ორივე ეს ფენა ერისგან სრულიად მოწყვეტილ პირწმინდა კასტებად გადაიქცა, თაობიდან თაობამდე კი უფრო უარესდება ეს მდგომარეობა, მაშასადამე, რაც არ გააკეთეს და რასაც არ აკეთებენ, ეროვნული სრულიად არ არის...

– რაო მაშასადამე, რაც გაკეთებულია, არაფერი რუსული არ არის – შეესიტყვა თავადი შჩ-ი.

– რუსული კია, ოღონდ ეროვნული არაა; არც ლიბერალები გვყავს რუსული სულისა და არც კონსერვატორები. იმაშიც ბრძანდებოდეთ დარწმუნებული, რაც მემამულეებმა და სემინარიელებმა გააკეთეს, იქიდან ერი არაფერს მიიჩნევს თავისად არც ახლა და არც მერმისს...

– აი, ეს კარგია! ნეტავ თუ სერიოზულად ამტკიცებთ მაგ პარადოქსს რუს მემამულეზე სწორედაც არ გათქმევინებთ ეგრეთ რასმე; რუსი მემამულე მაინც არ იყოთ, – გაცხარდა თავადი შჩ-ი.

– რუს მემამულეზე მაგ აზრით როდი ვამბობ, როგორც თქვენ გამიგეთ. ფრიად დარბაისელი წოდება გახლავთ, თუნდაც იმიტომ, რომ მე თვითონ ვეკუთვნი; მეტადრე ახლა, როცა უკვე აღარ არსებობს...

– მაშ, ლიტერატურაშიც ეროვნული არაფერი გვქონდა? – გააწყვეტინა ალექსანდრა ივანოვნამ.

– ლიტერატურის მცოდნე არ გახლავართ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ლომონოსოვის, პუშკინისა და გოგოლის გარდა ლიტერატურაშიც რუსული არაფერი ყოფილა.

– ჯერ ერთი, ეგ ცოტა არაა, მეორეც, ერთი მათგანი ხალხიდანაა გამოსული, დანარჩენი ორი კი – მემამულეა, – გაეცინა ადელაიდას.

– ეგრე გახლავთ, ოღონდ ტყუილად ნუ ზეიმობთ. ვინაიდან რუსი მწერლებიდან მხოლოდ ამ სამმა მოახერხა დღესდღეობით ჭეშმარიტად თავისი, საკუთარი რამ ეთქვა, სხვის დაუსესხებლად, სწორედ ამიტომ გახდნენ სამივენი ეროვნული მწერლები. რუსებიდან ვინც მოახერხებს რაიმე ხელშეუვალის, დაუსესხებელის, თავისის თქმას, დაწერასა თუ გაკეთებას, ის აუცილებლად გახდება ეროვნული, თუნდაც რომ რუსულს გაჭირვებით ლაპარაკობდეს. ეს ჩემთვის აქსიომას წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ ლიტერატურაზე არ გვქონია ლაპარაკი, სოციალისტებზე დავიწყეთ. ჰოდა, მეც ვამტკიცებ, რომ ჩვენ ერთი რუსი სოციალისტი არა გვყავს; არა გვყავს და არც გვყოლია, ვინაიდან ყველა ჩვენი სოციალისტი წარმოშობით მემამულე თუ სემინარიელია. ყველა ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი სოციალისტი, გინდ აქ, გინდ

საზღვარგარეთ, მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმობის დროინდელ მემამულეთა წიაღიდან გამოსულ ლიბერალს წარმოადგენს. რა გაცინებთ მომეცით მათი წიგნები, მათი მოძღვრებანი, მათი მემუარები და, თუმცა ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, მაინც დაგიწერთ ყველაზე დაბეჯითებულ ლიტერატურულ კრიტიკას და დღესავით ნათლად დაგიმტკიცებთ, რომ მათი წიგნების, ბროშურების, მემუარების ყოველი სტრიქონი, უპირველეს ყოვლისა, ძველი რუსი მემამულის დაწერილია. მათი ღვარძლი, აღშფოთება, გონებამახვილობა მემამულურია (ფამუსოვების წინადროინდელი), მათი აღტაცება, მათი ცრემლები, ჭეშმარიტი, ეგებ გულწრფელიც, მაინც მემამულის ცრემლებია, მემამულისა ან სემინარიელის... მაინც იცინით თქვენც, თავადო არც თქვენ მეთანხმებით?

მართლაც ყველანი იცინოდნენ, თავადსაც გაეღიმა.

– ასე პირდაპირ ვერ გეტყვით, თანახმა ვართ თუ არა, – უეცრივ ჩამოიცილა ღიმი თავადმა და ცელქობაზე წასწრებულ მოწაფესავით შეკრთა, – მაგრამ გარწმუნებთ, მეტისმეტი სიამოვნებით გისმენთ... – ლამის სული შეუგუბდა თავადს და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. რაც აქ იჯდა, ამ ხნის მანძილზე პირველად ამოიღო ხმა.

ერთი პირობა ირგვლივ მიმოხედვაც დააპირა, მაგრამ ვეღარ გაბედა; ევგენი პავლოვიჩს თვალი შეასწრო და ჩაიღიმა.

– ბატონებო, ერთ ფაქტსაც მოგახსენებთ, – განაგძრო მან ძველებურად, ანუ თითქოს საოცარი გულმხურვალებით და თან დაცინვითაც საკუთარ სიტყვებზე, – იმ ფაქტს, რომლის შემჩნევა და აღმოჩენა პატივი მაქვს საკუთარ თავს მივაწერო, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს, რამეთუ ჯერჯერობით არსად ყოფილა თქმული თუ დაწერილი და რომელშიც გამოიხატება იმ რუსული ლიბერალიზმის მთელი დედაარსი, რაზეც მე მოგახსენებთ. ჯერ ერთი, რას წარმოადგენს ლიბერალიზმი, საერთოდ რომ ვთქვათ, თუ არ არსებული წესების წინააღმდეგ გალაშქრებას (გონივრულსა თუ მცდარს – ეს სხვა საქმეა), ხომ ასეა ჰოდა, ჩემი ფაქტიც იმას მოწმობს, რომ რუსული ლიბერალიზმი მარტო არსებული წესების წინააღმდეგ გალაშქრება კი არაა, მარტო რუსულ წესებს კი არ ესხმის თავს, არამედ თვით რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჩემი ლიბერალი იქამდეც მიდის, რომ თვით რუსეთს უარყოფს, მაშასადამე, საკუთარი დედა სძულს და საკუთარ დედას სცემს. ყოველი უკუღმართული, ყოველი კვიმატური რუსული ფაქტი მას მხოლოდ სიცილსა და ლამის აღტაცებას ჰგვრის. მას სძაგს ხალხის ადათ–ჩვევები, რუსული ისტორია, ყველაფერი. თუ შეიძლება რამე გამართლება მოენახოს, მხოლოდ ის, რომ არ უწყის, რას სჩადის და რუსეთისადმი ეს მისი სიძულვილი ყველაზე ნაყოფიერ ლიბერალიზმად მიაჩნია (ო, ხშირად ნახავთ ჩვენში ისეთ ლიბერალს, რომელსაც ყველა ტაშს უკრავს და რომელიც სინამდვილეში ყველაზე შეუსაბამო, ყველაზე ჩლუნგი და საშიში კონსერვატორია, რაიც თვითონაც არ იცის!). დიდი ხანი არაა, რაც რუსეთის ეს სიძულვილი ზოგიერთ ჩვენს ლიბერალს ლამის მამულის ჭეშმარიტ სიყვარულად მიაჩნდა და ტრაბახობდა, ყველაზე უკეთ ჩვენ გვესმის, რაშიც უნდა მდგომარეობდეს ეს სიყვარულიო. მაგრამ ახლა უფრო გულახდილნი გახდნენ, „მამულის სიყვარულის“ ხსენებისაც რცხვენიათ უკვე, ეს ცნება კი განდევნეს და აღარ ხმარობენ, ვითარცა სავნოსა და ფუჭს. ეს უტყუარი ფაქტი გახლავთ, მე ვიცავ ამას... ოდესმე ხომ უნდა თქმულიყო სრული სიმართლე, უბრალოდ და გულახდით; მაგრამ, ამავე დროს, ეს ისეთი ფაქტია, რომელიც არსად და არასოდეს, ათადან ბაბადან მოყოლებული, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა და არ მომხდარა. მაშასადამე, შემთხვევითი ფაქტია და გეთანხმებით, რომ შესაძლოა, დროთა ვითარებაში წაიშალოს. ისეთი ლიბერალი სად გაგონილა, საკუთარი მამული

ეჯავრებოდეს მაშ რით უნდა აიხსნას ეს ამბავი ჩვენში იმით, რითაც წინათ, – იმით, რომ რუსი ლიბერალი დღესდღეობით რუსი ლიბერალი არაა ჯერ; ჩემის აზრით, მეტი არაფრით.

– რაც ახლა თქვი, ევგენი პავლიჩ, ყველაფერს ხუმრობად ვიღებ, – დინჯად მიუგო თავადმა შჩ-მ.

– მე ყველა ლიბერალი არ მინახავს და ამიტომ განსჯაც არ შემიძლია, – თქვა ალექსანდრა ივანოვნამ, – ოღონდ თქვენმა ნააზრმა კი აღმაშფოთა კერძო შემთხვევა აიღეთ და ზოგადად გამოაცხადეთ, მაშასადამე, ცილიც დასწამეთ.

– კერძო შემთხვევაო ოჰო! სიტყვა ითქვა უკვე, – დასძინა მყის ევგენი პავლოვიჩმა, – თავადო, როგორ გგონიათ, კერძო შემთხვევაა თუ არა

– მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ნაკლებ შევხვედრილვარ და მიტრიალია... ლიბერალებში, მაგრამ, მგონი, რამდენადმე მართალი უნდა იყოთ. იმ რუსულ ლიბერალიზმს, რაზეც თქვენ ბრძანეთ, ნაწილობრივ, მართლაც, სძულს თვით რუსეთი და არა მარტო მისი წესები. რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილობრივ... რა თქმა უნდა, ეს ყველას მიმართ არაფრით არ შეიძლება მართალი იყოს...

თავადი აირია და სიტყვა გაწყვიტა. თავისი მღელვარების მიუხედავად, მეტისმეტად დაინტერესებული იყო საუბრით. ერთი საკვირველი ზნე სჭირდა თავადს საოცარი მიამიტური გულისყურით უსმენდა ხოლმე მუდამ, თუ რაიმე დააინტერესებდა, და საოცარი მიამიტობით აძლევდა პასუხს, თუკი ამ დროს შეეკითხებოდნენ. ეს მიამიტური რწმენა, რომ მოსაუბრე არ ხუმრობს და არ დასცინის, როგორღაც მის სახესა და მიმოხვრაშიც გამოსჭვიოდა. მართალია, ევგენი პავლოვიჩი კარგა ხანია ისე არაფერს ეტყოდა, რაღაც განსაკუთრებული დაცინვა არ ჩაექსოვა შიგ, მაგრამ ახლა კი, თავადის ამ პასუხზე, რატომღაც მეტად სერიოზულად შეხედა, თითქოს არ მოელოდა მისგან ამას.

– ჰოო... აი, რა უცნაურად ფიქრობთ თურმე... – წაილაპარაკა მან, – არა, მართლა სერიოზულად მიპასუხეთ, თავადო?

– განა სერიოზულად არ მკითხეთ? – გაიოცა მან.

ყველას სიცილი აუტყდა.

– მაგას უჯერებთ, – უთხრა ადელაიდამ, – ევგენი პავლიჩი მუდამ ყველას ამასხარავებს! რომ იცოდეთ, ზოგჯერ რას გვიამბობს ხოლმე დინჯზე დინჯი სახით!

– ჩემის ფიქრით, ამ უსიამო საუბრის ჩამოგდება არც ღირდა, – მკვახედ შენიშნა ალექსანდრამ, – ხომ სასეირნოდ გვინდოდა წასვლა...

– და წავიდეთ კიდეც, მშვენიერი საღამოა! – აიტაცა ევგენი პავლოვიჩმა, – მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ამჯერად სრულიად სერიოზულად ვლაპარაკობდი, და რაც მთავარია, თავადი რომ დამეჯერებინა ამაში (მეტისმეტად დამაინტერესეთ, თავადო, გეფიცებით, არც ისეთი ქერქეტა ვარ, როგორც გეჩვენეთ ალბათ, – თუმცა მართლა ქერქეტა კი ვარ!)... თუ ნებას დამრთავთ, ბატონებო, თავადს ერთ შეკითხვას კიდევ მივცემ, მაინტერესებს და იმიტომ, და ამით მოვრჩეთ. ეს კითხვა თითქოს განგებ ამ ორი საათის წინ დამებადა (ხედავთ, თავადო, ზოგჯერ მეც ვფიქრობ სერიოზულ საგნებზე); მე ეს კითხვა გადავწყვიტე, ვნახოთ, თავადი რას იტყვის. ახლა ახსენეს სწორედ „კერძო შემთხვევა“. ეს სიტყვა ჩვენში ფრიად მნიშვნელოვანი გახდა, ხშირად მოგხვდება ყურში. ამას წინებზე ყველას პირზე ეკერა და ყველგან იწერებოდა ექვსი კაცის ის საშინელი მკვლელობის ამბავი,[91] აი, იმ... ახალგაზრდა კაცმა რომ ჩაიდინა და მისი დამცველის უცნაური სიტყვა, რომელმაც განაცხადა, მკვლელი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, ბუნებრივია, იმ ექვსი კაცის დახოცვა მოფიქრებოდაო. სიტყვასიტყვით ასე

არაა, მაგრამ დაახლოებით ეს აზრია, თუ ასე გამოდის. ჩემი პირადი შეხედულებით, ამ უცნაური აზრის თქმისას დამცველი სრულიად დარწმუნებული იყო, ყველაზე ლიბერალური, ყველაზე ჰუმანური და პროგრესული აზრი გამოვთქვი, რისი თქმაც კი შეიძლება ჩვენს დროშიო. ჰოდა, როგორ გგონიათ ასეთი დამახინჯებული შეხედულება, საქმის ასეთი მრუდე და უცნაური გაგება კერძო შემთხვევაა თუ ზოგადი?

ყველამ გადაიხარხარა.

– კერძოა, რა თქმა უნდა, კერძო, – გადაიკისკისეს ალექსანდრამ და ადელაიდამ.

– ნუ გეწყინება, ევგენი პავლიჩ, მაგრამ ეგ შენი ხუმრობა კარგა გაცვეთილი რამაა, – ჩაურთო თავადმა შჩ-მ.

– თქვენ რას იტყოდით, თავადო – ყური აღარ ათხოვა შჩ-ს ევგენი პავლოვიჩმა და თავადს მიუბრუნდა, რადგან თვალი შეასწრო, თავადმა ლევ ნიკოლაევიჩს რა დინჯად, დაკვირვებით შეხედა. – როგორ გგონიათ კერძო შემთხვევაა თუ ზოგადი?

გამოგიტყდებით და, თქვენთვის მოვიგონე ეს კითხვა.

– არა, კერძო არ გახლავთ, – წყნარად, მაგრამ ბეჯითად მიუგო თავადმა.

– რას ბრძანებთ, ლევ ნიკოლაევიჩ, – ცოტა არ იყოს წყენით შესძახა თავადმა შჩ-მ, – განა ვერ ხედავთ, თქვენი გამოჭერა უნდა; მასხრობის გუნებაზეა და სწორედ თქვენ ამოგირჩიათ საკბილოდ.

– მეგონა, ევგენი პავლიჩი სერიოზულად ლაპარაკობდა, – გაწითლდა თავადი და თვალები დახარა.

– ჩემო კარგო თავადო, – განაგრძო თავადმა შჩ-მ, – აბა ერთი გაიხსენეთ, ამ სამი თვის წინათ ერთხელ რაზე გვქონდა ლაპარაკი; სწორედ იმას არ ვამბობდით, რომ ჩვენს ახლახან გახსნილ სასამართლოებში[92] უკვე რამდენ შესანიშნავ და ნიჭიერ დამცველზე შეიძლება მიუთითოს კაცმაო! ან რამდენი შესანიშნავზე შესანიშნავი განაჩენი გამოიტანესო ნაფიცმა მსაჯულებმა რა გახარებული იყავით თქვენ და როგორ მახარებდა მეც ეგ თქვენი სიხარული... განა არ ვთქვით, სწორედაც საამაყოაო... ეს უგერგილო დაცვა კი, ეს უცნაური არგუმენტი, ცხადია, შემთხვევითი ამბავია, ათასში ერთი.

თავადი ლევ ნიკოლაევიჩი დაფიქრდა, მერე ისევე წყნარად, თითქოს მოკრძალებითაც, მაგრამ უდიდესი დაბეჯითებით უპასუხა

– მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ იდეათა და შეხედულებათა დამახინჯება (როგორც ევგენი პავლიჩმა ბრძანა) ძალიან ხშირი შემთხვევაა და, საუბედუროდ, უფრო ზოგადი მოვლენა, ვინემ კერძო. ეს დამახინჯება ასეთი ზოგადი ამბავი რომ არ ყოფილიყო, ეგებ არც ასეთ საშინელ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი...

– საშინელ ბოროტმოქმედებასაო მერწმუნეთ, თავადო, იქნებ ასეთი და ამაზე უარესებიც ყოფილა წინათ და განა მარტო ჩვენში, ყველგან, და მე ვფიქრობ, კიდევ დიდხანს იქნება. ესაა მხოლოდ, წინათ ამდენი საშუალება არ იყო საჯაროდ გამოტანისა; ახლა კი საქვეყნოდ აცხადებენ, გაზეთებშიც წერენ. ამიტომაც გვგონია, მხოლოდ ახლა ხდება ასეთი ავკაცობა. აი, რაშია თქვენი შეცდომა, თავადო, მეტისმეტად მიამიტი შეცდომა, მერწმუნეთ, – დაცინვით გაეღიმა თავად შჩ-ს.

– ვიცი, ბოროტმოქმედება წინათაც ძალიან ბევრი ჩაუდენიათ და ასევე საშინელიც; დიდი ხანი არაა, რაც სატუსაღოში ვიყავი, ზოგიერთ დამნაშავესა და ბრალდებულს გავეცანი. იმაზე საშინელი დამნაშავეები არიან თურმე, ვიდრე ის არის, რომელთაც ათი კაცი ჰყავთ მოკლული და სულაც არ ნანობენ. მაგრამ, აი რა შევამჩნიე ამასთან ყველაზე მოურჯულებელმა,

მოუნანიებელმა მკვლელმაც კი იცის, რომ ის დამნაშავეა, ანუ გულში თვლის, რომ ცუდად მოიქცა, თუმცა არ ნანობს ამას. ვინც არ უნდა იყოს, ყველა ასე გრძნობს. ხოლო ვისზეც ახლა ევგენი პავლიჩმა ჩამოაგდო სიტყვა, ისინი სულაც არ თვლიან დამნაშავეებად თავს და ჰგონიათ, უფლება ჰქონდათ... კარგადაც კი მოიქცნენ, ანუ თითქმის ასე ფიქრობენ. სწორედ ესაა საშინელი განსხვავება. ისიც ინიშნეთ, რომ ეს სულ ყმაწვილი ხალხია, ანუ სწორედ ის ასაკი, რომელიც ყველაზე უმწეოა და ყველაზე ადვილად ექცევა წარყვნილ იდეათა გავლენის ქვეშ.

თავად შჩ-ს დაცინვა აღარ ეტყობოდა და შეცბუნებული უსმენდა თავადს. დადუმდა ალექსანდრა ივანოვნაც, რომელსაც დიდი ხანია სიტყვის ჩართვა უნდოდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებულმა ფიქრმა გააჩერაო. ევგენი პავლოვიჩი ჭეშმარიტი გაკვირვებით შესჩერებოდა თავადს, ამჯერად დაცინვის ნატამალიც არ ემჩნეოდა.

– ნეტავ ასე რამ გაგაკვირვათ, ბატონო ჩემო, – მოულოდნელად ჩაერია ლიზავეტა პროკოფიევნა, – ხომ არ გეგონათ, თქვენზე ბრიყვია და განსჯის თავი არა აქვს?

– რას ბრძანებთ, – თქვა ევგენი პავლოვიჩმა, – ოღონდაც (მაპატიეთ, რომ გეკითხებით) თუ ამას ხედავთ და ამჩნევთ, თავადო, მაშ იმ (ისევ ბოდიშს ვიხდი) უცნაურ საქმეში... აი, ამას წინათ რომ მოხდა... ბურდოვსკისა მგონი, როგორ ვერ შენიშნეთ იდეებისა და ზნეობრივ რწმენათა ასეთივე დამახინჯება? ზუსტად ასეთივე! მაშინ მომეჩვენა, თითქოს სულ ვერ შენიშნეთ!

– იცით რა, ჩემო კარგო, – აპილპილდა ლიზავეტა პროკოფიევნა, – ჩვენ აგერ ყველაფერი შევნიშნეთ, ვსხედვართ აქ და თავი მოგვაქვს მის წინაშე, მაგან კი ერთ-ერთი იმათგანის წერილი მიიღო დღეს, ყველაზე მთავარი რომ იყო, გახსოვს, ალექსანდრა, ფერიმჭამელებიანი სახე რომ ჰქონდა? წერილში, თუმცაღა თავისებურად, პატიებას თხოვს და აუწყებს, რომ იმ ამხანაგს ჩამოსცილდა, რომელიც აგულიანებდა, – გახსოვს, ალექსანდრა? და რომ ახლა თავადის უფრო სწამს. ჰოდა, ჩვენთვის კი ასეთი წერილი ჯერ არავის გამოუგზავნია, თუმცა ცხვირის აბზეკას ვერავინ გვასწავლის.

– იპოლიტი ეს-ესაა ჩვენთან ჩამოვიდა აგარაკზე! – დაიძახა კოლიამ.

– რას ამბობთ! უკვე აქაა? – შეწრიალდა თავადი.

– ის იყო ლიზავეტა პროკოფიევნას გამოჰყევით, რომ ისიც ჩამობრძანდა; მე ჩამოვიყვანე!

– აი, სანაძლეოს დავდებ, – გაწიწმატდა უეცრივ ლიზავეტა პროკოფიევნა, სულ დაავიწყდა, რომ ეს წუთია თავადს აქებდა, – სანაძლეოს დავდებ, რომ ეგ გუშინ სხვენზე ეახლა იმ ღვარძლიან გულპილწს და დაჩოქილი ემუდარა, მაპატიეო, რა არის აქ ჩამოსვლა ეკადრა. გუშინ ხომ იყავი? შენი პირით არ მითხარი წეღან? ასეა თუ არა? ხომ დაუჩოქე?

– სულაც არ დაუჩოქია, – წამოიძახა კოლიამ, – პირიქით, იპოლიტმა გუშინ ხელი გამოსტაცა თავადს და ორჯერ აკოცა, ჩემი თვალით ვნახე, ყოველგვარი ახსნა-განმარტებაც ამით დამთავრდა. მხოლოდ ეს უთხრა თავადმა, აგარაკი მოგიხდებაო. ისიც მაშინვე დათანხმდა გადმოსვლაზე, როგორც კი უკეთ ვიგრძნობო თავს.

– ტყუილად მოჰყევით, კოლია... – წაიბურტყუნა თავადმა, წამოდგა და ქუდს დაავლო ხელი, – აბა, რა მოსაყოლია, მე...

– სად მიხვალ? – შეაჩერა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ნუ სწუხართ, თავადო, – განაგრძო აღგზნებულმა კოლიამ, – ნუ წახვალთ და ნურც შეაშფოთებთ, ნამგზავრია და ჩაეძინა ძალზე გახარებულია; იცით რა, თავადო, ჩემის ფიქრით, დღეს სჯობია არ ნახოთ, ხვალამდე გადადოთ, თორემ ისევ დაირცხვენს. ამ დილით მეუბნებოდა, ნახევარი წელია ასე კარგად არ მიგრძვნია თავიო; ხველებამაც უკლო.

თავადმა თვალი შეასწრო, რომ აგლაიამ ერთბაშად მიატოვა თავისი ადგილი და მაგიდას მიუახლოვდა. შეხედვა ვერ გაუბედა, მაგრამ მთელი არსებით კი გრძნობდა, რომ ქალი მას მისჩერებოდა ამ წუთს, შესაძლოა, რისხვით; შავ თვალებში უთუოდ აღშფოთება უკრთოდა, სახეც ალანძოდა.

– მე კი მგონია, ნიკოლაი არდალიონოვიჩ, რომ ტყუილად გადმოიყვანეთ, თუ იმ ყმაწვილზე ამბობთ, მაშინ რომ იტირა და ყველანი თავის დასაფლავებაზე დაგვპატიჟა, – შენიშნა ევგენი პავლოვიჩმა, – მაშინ ისე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა მეზობელი სახლის კედელზე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უიმისოდ მოიწყენს კიდეც.

– მართალი გითხრა, შარს მოგდებს, წაგეკიდება და წავა უკან, თუ გინდა იცოდე!

ლიზავეტა პროკოფიევნამ ხელსაქმის კალათა მედიდურად მიიწია ახლოს, სულ დაავიწყდა, ყველანი რომ სასეირნოდ აპირებდნენ წასვლას.

– მახსოვს, დიდად კი ტრაბახობდა იმ თავისი კედლით, – ჩაურთო ისევ ევგენი პავლოვიჩმა, – იმ კედლის გარეშე ლამაზად ვერ მოკვდება, ლამაზი სიკვდილი კი ძალიანაც უნდა.

– მერე რა – წაილუღლუღა თავადმა, – არ აპატიებთ და უამისოდაც მოკვდება... ახლა ხეების ხათრით გადმოვიდა.

– ო, ჩემის მხრივ, ყველაფერი მიპატიებია, შეგიძლიათ გადასცეთ.

– ეგრე არ უნდა გაუგოთ, – უნდილად მიუგო თავადმა, რომელიც ისევ ერთ წერტილს დაშტერებოდა იატაკზე და ზევით არ იხედებოდა, – თქვენც თქვენის მხრივ უნდა მიიღოთ მისგან შენდობა.

– მე რა შუაში ვარ? რა დავუშავე ნეტავ?

– თუ არ გესმით, მაშ... მაგრამ ხომ ვიცი, რომ გესმით; მაშინ მას... ყველა უნდოდა დაელოცა და თქვენგანაც ლოცვა-კურთხევა მიეღო, სხვა არაფერი...

– ჩემო კარგო თავადო, – ჩაერია საჩქაროდ დამფრთხალი თავადი შჩ-ი, როცა იქ დამსწრეთ მოავლო თვალი, – სამოთხე ამქვეყნად ძნელად მისაღწევია. თქვენ კი მაინც, ცოტა არ იყოს, სამოთხის იმედი გაქვთ; სამოთხე, თავადო, ძნელი რამ გახლავთ, გაცილებით უფრო ძნელი, ვინემ თქვენს მშვენიერ გულს ჰგონია. მოდი, მოვეშვათ ამას, თორემ შესაძლოა ისევ შეგვრცხვეს ყველას და მაშინ...

– წავიდეთ, მუსიკას მოვუსმინოთ, – მკვახედ წარმოთქვა ლიზავეტა პროკოფიევნამ და გულმოსული წამოდგა.

სხვებიც წამოიშალნენ.

II

თავადმა უცებ ევგენი პავლოვიჩს წაატანა ხელი და უცნაური გულმხურვალებით უთხრა:

– ევგენი პავლოვიჩ, მერწმუნეთ, უკეთილშობილეს, შესანიშნავ ადამიანად მიმაჩნიხართ, მიუხედავად ყველაფრისა, მერწმუნეთ...

სახტად დარჩენილმა ევგენი პავლოვიჩმა უკანაც კი დაიხია. წამიც და სიცილი წასკდებოდა, თავი რომ არ შეეკავებინა. მაგრამ მერე კარგად ჩააკვირდა და შეამჩნია, რომ თავადი არეულ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც უცნაურ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო.

– სანაძლეოს ჩამოვალ, თავადო, – შესძახა მან, – სულ სხვა რამის თქმას აპირებდით და, ვინ იცის, სულაც ჩემთვის არა... რა მოგდით? ცუდად ხართ?

– ვინ იცის, ვინ იცის; ეგ კარგად შენიშნეთ, რომ იქნებ თქვენთვის არ ვაპირებდი თქმას?! – რაღაც უცნაურად, სასაცილოდაც კი გაეღიმა თავადს და ისევ გულმხურვალედ შესძახა – ოღონდაც იმ ჩემს საქციელს ნუ გამახსენებთ! ეს სამი დღე სირცხვილი მკლავდა. ვიცი, ჩემი ბრალია.

– ვითომ რა ჩაიდინეთ ისეთი?

– გამჩნევთ, რომ ჩემ მაგივრად ძალიან გრცხვენიათ, ევგენი პავლიჩ; გაწითლდით კიდეც, რაც თქვენს მშვენიერ გულზე მეტყველებს. მერწმუნეთ, ახლავე წავალ.

– რა დაემართა ბნედამ ხომ არ მოუარა? – შიშით მიუბრუნდა კოლიას ლიზავეტა პროკოფიევნა.

– გულთან არ მიიტანოთ, ლიზავეტა პროკოფიევნა, ეს ბნედა არაა, ახლავე წავალ. ვიცი, მე... ბუნებისგან დაჩაგრული ვარ. ოცდაოთხ წლამდე ვიავადმყოფე. ესეც ავადმყოფის ნალაპარაკევად ჩათვალეთ. ამ წუთას წავალ, ამ წუთას, მერწმუნეთ. მე არ ვწითლდები, არა! აბა, რად უნდა გავწითლდე, სასირცხო რაა? ოღონდ საზოგადოებაში ზედმეტი ვარ... თავმოყვარეობა არ მალაპარაკებს. ეს სამი დღე ვიფიქრე და გადავწყვიტე, როგორც კი შემთხვევა მექნებოდა, გულწრფელად და კეთილშობილურად გამეცხადებინა თქვენთვის. არის ისეთი მაღალი იდეები, რაზეც მე არ შემფერის ლაპარაკი, თორემ უთუოდ ყველას გავაცინებ, თავადმა შჩ-მ სწორედ ეს წუთია შემახსენა... მე წესიერად არაფრის თქმა არ შემიძლია, ზომიერების გრძნობა მაკლია; ჩემი ნათქვამი ნაფიქრს არ შეეფერება, ეს კი ამცირებს ნაფიქრს. ამიტომაც უფლება არა მაქვს... თანაც ეჭვიანიც ვარ, მე... მე დარწმუნებული ვარ, ამ ოჯახში ჩემი წყენინება არავის უნდა, ღირსიც არა ვარ, ისე ვუყვარვარ ყველას, მაგრამ ისიც ვიცი (დანამდვილებით ვიცი), რომ ოცი წლის ავადმყოფობას არ იქნება რამე კვალი არ დაეტოვებინა და ამიტომაც არ შეიძლება სასაცილო არ ვიყო ზოგჯერ... ხომ ასეა?

თავადმა თვალი გადაავლო იქ მყოფთ, თითქოს პასუხს ელოდა. მაგრამ მისმა მოულოდნელმა, ავადმყოფურმა და, ყოველ შემთხვევაში, თითქოს ყოვლად უმიზეზო საქციელმა მძიმედ იმოქმედა ყველაზე და გააოგნა. ამ ამბავს ერთი უცნაური ეპიზოდიც მოჰყვა.

– ნეტავ, რა გალაპარაკებთ ამას? – უცებ შეჰყვირა აგლაიამ, – ისიც ვის ეუბნებით? ვის?! ვის?!

ჩანდა, აგლაია უსაზღვრო აღშფოთებას აეტანა თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცვიოდა. თავადი მუნჯივით, ენაჩავარდნილი იდგა მის წინ; უეცრივ მიწისფერი დაედო.

– აქ არავინ არის მაგ სიტყვების ღირსი! – აღმოხდა აგლაიას, – თქვენს ფრჩხილადაც არავინ ღირს, არც ჭკუით და გულით არის ვინმე თქვენი შესაფერი. ყველას სჯობიხართ კეთილშობილებით, გულკეთილობით, ჭკუით, ყველას, ყველას! იმის ღირსიც არავინაა, რომ დაიხაროს და ეგ ცხვირსახოცი აიღოს, თქვენ რომ დაგივარდათ... მაშ, რაღად იმცირებთ თავს და სხვებზე დაბლა რად აყენებთ? რად დაიმახინჯეთ ასე თავი, რამ დაგიკარგათ სიამაყე?

– ღმერთო, ამას ვინ იფიქრებდა? – ხელები გაასავსავა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ბეჩავ რაინდს გაუმარჯოს! – შესძახა აღტაცებულმა კოლიამ.

– ხმა-კრინტი!.. როგორ მიბედავენ თქვენს სახლში შეურაცხყოფას?! – ახლა ლიზავეტა პროკოფიევნას ეცა აგლაია, რომელიც ისე გამოსულიყო არსებიდან, რას ამბობდა და რას აკეთებდა, აღარ იცოდა. – რად მაწვალებენ და მტანჯავენ! ეს სამი დღე თქვენი მიზეზით რად გამიჭირეს საქმე, თავადო არამც და არამც არ გამოგყვებით ცოლად! იცოდეთ, არამც და არამც, არასოდეს! განა თქვენისთანა სასაცილო კაცს გაჰყვება ვინმე? ერთი სარკეში ჩაიხედეთ, რას ჰგავხართ ახლა? ან რატომ მაბრაზებენ, ცოლად გაჰყვებიო? თქვენც იცით ალბათ, პირი გაქვთ მაგათთან შეკრული!

– თავის დღეში არავის გაუბრაზებია! – წაიბუტბუტა შეშინებულმა ადელაიდამ.

– აზრადაც არავის მოსვლია, ასეთი რამ არავის უთქვამს! – შესძახა ალექსანდრა ივანოვნამ.

– ვინ აჯავრებდა? როდის აჯავრებდა? ვინ გაბედა და უთხრა? აბოდებს თუ რა არის? – ყველას ეკითხებოდა განრისხებული ლიზავეტა პროკოფიევნა.

– ეს სამი დღეა, ყველა, ყველა ამას მეუბნება! თავის დღეში, თავის დღეში არ გავყვები მაგას ცოლად! – შეჰყვირა აგლაიამ, მერე ცრემლები წასკდა, ცხვირსახოცი სახეზე აიფარა და სკამზე დაეცა.

– მოიცა, ჯერ არც უთხო...

– მე არც მითხოვია, აგლაია ივანოვნა, – წამოსცდა უეცრივ თავადს.

– რა-აო? – გააგრძელა უეცრივ გაოცებულმა, აღშფოთებულმა და თავზარდაცემულმა ლიზავეტა პროკოფიევნამ – რა თქვით?

ლიზავეტა პროკოფიევნა თავის ყურებს არ უჯერებდა.

– მე... მე ის მინდოდა მეთქვა, – აცახცახდა თავადი, – ის მინდოდა ამეხსნა აგლაია ივანოვნასთვის... დიდი მოწიწებით ამეხსნა, რომ სულაც არ მიფიქრია მეთხოვა... პატივი დამდეთ და გამომყევით-მეთქი... ოდესმე მაინც... მე აქ არაფერ შუაში ვარ, ღმერთმანი, არაფერ შუაში, აგლაია ივანოვნა, თავის დღეში არ მიფიქრია და არც ვიფიქრებ. აი, ნახავთ თუ არა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! ვიღაც ბოროტმა ადამიანმა დამწამა ცილი! გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, აგლაია ივანოვნა!

თავადი ამ ლაპარაკში აგლაიას მიუახლოვდა. აგლაიამ ცხვირსახოცი მოიშორა, სწრაფდა შეავლო თვალი თავადს, მის დამფრთხალ სახეს, და რომ მოისაზრა, რას ეუბნებოდა, უეცრივ ისე დამცინავად, მხიარულად და თავშეუკავებლად შეჰხარხარა სახეში, რომ პირველმა ადელაიდამ ვერ გაუძლო, განსაკუთრებით, როცა იმანაც შეხედა თავადს. მივარდა დას, გადაეხვია და ისეთივე თავშეუკავებელი, მოწაფესავით მხიარული კისკისი ატეხა, როგორც აგლაიამ. მათ შემყურე თავადსაც უეცრივ გაებადრა სახე და გახარებული, ბედნიერი იმეორებდა:

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

ახლა უკვე ალექსანდრამაც ვერ მოითმინა და გულიანად გადაიკისკისა. სამთავეს კისკისს ბოლო აღარ უჩანდა..

– აი, დამთხვეულები! – წაიბურტყუნა ლიზავეტა პროკოფიევნამ, – ხან გულს გაგიხეთქავენ, ხან კი...

მაგრამ უკვე თავად შჩ-საც გადადებოდა სიცილი, ხარხარებდა ევგენი პავლოვიჩიც, გაუჩერებლივ ხარხარებდა კოლიაც და მათი შემყურე იცინოდა თავადიც.

– სასეირნოდ წავიდეთ, სასეირნოდ! – ყვიროდა ადელაიდა, – ყველანი წავიდეთ და თავადიც უთუოდ წავიყვანოთ; აბა, რატომ უნდა დაგვტოვოთ, ჩემო კარგო. აგლაია, რა საყვარელი კაცია, არა ხომ, დედილო უთუოდ, უთუოდ უნდა ვაკოცო და გადავეხვიო... აგლაიას რაც უთხრა, იმისთვის. maman, ძვირფასო, არ გამიჯავრდეთ, რა! აგლაია! ნუ გეწყინება და შენს თავადს უნდა ვაკოცო! – შესძახა გაცელქებულმა ადელაიდამ, მართლაც მიეჭრა თავადს და შუბლზე აკოცა. თავადმა ხელები დაუკავა, ჯერ ღონივრად მოუჭირა და ადელაიდა კინაღამ ააკივლა, მერე უსაზღვრო სიხარულით შეაცქერდა, უცბად ტუჩებთან მიიტანა მისი ხელი და სამჯერ აკოცა.

– მაშ, წავიდეთ! – იძახდა აგლაიაც, – თავადო, ჩვენ ერთად წავალთ. ხომ შეიძლება, maman, ჩემზე ხელაღებულ საქმროს გავყვე? თქვენ ხომ სამუდამოდ აიღეთ ხელი ჩემზე, თავადო? ეგრე არა, მანდილოსანს ხელს ეგრე არ აძლევენ, განა არ იცით, ხელი როგორ უნდა გაუყაროთ მანდილოსანს? აი, აგრე. ჩვენ ყველაზე წინ წავალთ; გინდათ ყველაზე წინ წავიდეთ, tete-a-tete[93] – ენაგაუჩერებლივ ლაპარაკობდა ის და შიგადაშიგ კვლავ კისკისი წასკდებოდა ხოლმე.

– მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! – გაიძახოდა ლიზავეტა პროკოფიევნა და თვითონაც არ იცოდა, რა უხაროდა.

„დიდი უცნაური ხალხია!“ – იქნებ მეასეჯერ გაიფიქრა თავადმა შჩ-მ, რაც მათ გაეცნო და დაუახლოვდა, მაგრამ... ეს უცნაური ხალხი მას მოსწონდა. თავადი კი, თავადი იქნებ არცთუ ძალიან მოსწონდა; თავადი შჩ-ი ცოტა არ იყოს მოღუშული და თითქოს ჩაფიქრებული მიჰყვებოდა სხვებს სასეირნოდ.

ევგენი პავლოვიჩი კი ფრიად მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა. მთელი გზა ალექსანდრასა და ადელაიდას აცინებდა, რომლებიც იმდენს იცინოდნენ მის მასხრობაზე, რომ ბოლოს ეჭვი შეეპარა, იქნებ სულაც არ მისმენენო. ამის გაფიქრება და გულიანი გადახარხარება ერთი იყო (რას იზამ, ასეთი ბუნება ჰქონდა!) ხომ მხიარულ გუნებაზე იყვნენ დები, მაგრამ წინ მიმავალ აგლაიასა და თავადს მაინც მალიმალ გახედავდნენ ხოლმე; როგორც ჩანს, უმცროს დაიას დიდი საფიქრებელი გაეჩინა მათთვის. თავადი შჩ-ც სულ გარეშე საგნებზე საუბარს ცდილობდა ლიზავეტა პროკოფიევნასთან, მისი გართობის მიზნით, და საშინლად მოაბეზრა თავი.

ლიზავეტა პროკოფიევნას სულ დაბნეოდა თავგზა, შეკითხვებზე ხან სულ სხვას პასუხობდა და ხან სულაც უპასუხოდ ტოვებდა. მაგრამ აგლაია ივანოვნას თავისი გამოცანები ჯერ არ მოეთავებინა და უკანასკნელი თავადს ხვდა წილად. ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, აგლაიამ სწრაფად ჩაულაპარაკა თავის ჯიუტად მდუმარე კავალერს

– მარჯვნივ გაიხედეთ.

თავადმა გაიხედა.

– კარგად დააკვირდით. ხედავთ, აგერ იმ სკამს პარკში, სადაც ის სამი დიდი ხე დგას... მწვანე სკამს

ვხედავო, უთხრა თავადმა.

– მოგწონთ ეგ ადგილი ხანდახან დილაადრიან, შვიდ საათზე მარტო მოვდივარ ხოლმე აქ და ვზივარ, როცა ჩვენებს ჯერ კიდევ სძინავთ.

მშვენიერი ადგილიაო, წაილუღლუღა თავადმა.

– ახლა კი გამშორდით, აღარ მსურს თქვენთან ხელგაყრილი სიარული. თუმცა არა, ერთად წავიდეთ, ოღონდ ხმა არ გამცეთ. ჩემთვის მინდა ვიფიქრო...

მაგრამ გაფრთხილება ზედმეტი იყო, თავადი ალბათ ისედაც არ ამოიღებდა ხმას. გულმა საოცარი დაგადუგი დაუწყო, როცა სკამის ამბავი მოისმინა. მაგრამ მყის გონს მოეგო და შერცხვა ამ სულელური ფიქრისა.

როგორც ცნობილია, და, ყოველ შემთხვევაში, როგორც ყველა ამტკიცებს, პავლოვსკის სადგურში ჩვეულებრივ დღეებში უფრო „რჩეული“ საზოგადოება იყრის ხოლმე თავს, ვინაიდან კვირა თუ უქმე დღეებში ნაირნაირი ჯურის ხალხი აწყდება პავლოვსკს. სადღესასწაულოდ არავინ ირთვება, მაგრამ მოხდენილად აცვია ყველას. მუსიკის მოსმენის მიზნით თავის შეყრა საკმაოდ მიღებული გახლავთ. აქაური ორკესტრი, ჩვენი ბაღების ორკესტრებს შორის ყველაზე საუკეთესო, ახალ ნაწარმოებებს უკრავს. რამდენადმე ოჯახური იერისა და ინტიმურობის მიუხედავად, მაინც დიდი წესრიგი და სიდარბაისლე სუფევს აქ. ნაცნობები, რა თქმა უნდა, მოაგარაკენი, თავს იყრიან, რა არის, თვალს წყალი დაალევინონ. ზოგიერთისთვის ეს ჭეშმარიტ სიამოვნებას შეადგენს და მხოლოდ ამისთვის მოდის; მაგრამ ზოგი კი მართლაც მარტო მუსიკის სიყვარულს მოჰყავს. ჩხუბი თუ აურზაური საოცრად იშვიათი ამბავია, თუმცა საქმის დღეებშიც ხდება ხანდახან. მაგრამ არც უამისობა შეიძლება.

მშვენიერი საღამო იყო და ხალხსაც ბლომად მოეყარა თავი. ორკესტრის ირგვლივ ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა. ჩვენი კომპანია ოდნავ განზე მდგარ სკამებზე მოთავსდა, სადგურის მარცხენა გასასვლელის ახლოს. ხალხმა და მუსიკის ხმამ რამდენადმე გამოაცოცხლა ლიზავეტა პროკოფიევნა და გაართო მისი ქალები;

ნაცნობები შეათვალიერეს. ზოგს შორიდან მიესალმნენ; იმასაც ჰკრეს თვალი, ვინ როგორ იყო მორთული, ისიც შეამჩნიეს, უცნაური ვის რა ეცვა, მერე ერთმანეთს გადაულაპარაკეს და დაცინვით ჩაიღიმეს. ევგენი პავლოვიჩსაც მრავალი ნაცნობი აღმოაჩნდა. აგლაიასა და თავადის ერთად ყოფნამ უკვე მიიქცია ზოგიერთების ყურადღება. დედა-შვილთ მალე მოაკითხეს ნაცნობმა ყმაწვილებმა, ორი თუ სამი სალაპარაკოდ დარჩა; ისინი ევგენი პავლოვიჩის მეგობრები იყვნენ; ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა, ძალზე ლამაზმა, მხიარულმა და მოლაპარაკემ, სასწრაფოდ აგლაიას გაუბა მუსაიფი და თავგამეტებით ცდილობდა მისი ყურადღება მიეპყრო. აგლაიამ დიდი წყალობა გამოიჩინა და ყველაფერზე კისკისებდა. ევგენი პავლოვიჩმა თავადს სთხოვა, ამ ჩემს ამხანაგს გაგაცნობთო; თავადი ძლივს მიხვდა, რას ითხოვდნენ მისგან, თუმცა გაიცნეს კი ერთმანეთი, თავი დაუკრეს და ხელიც ჩამოართვეს. ოფიცერი რაღაცას შეეკითხა თავადს, იმან პასუხი არ გასცა და ისე უცნაურად ჩაიბუტბუტა რაღაც თავისთვის, რომ ოფიცერმა დაკვირვებით შეხედა, მერე ევგენი პავლოვიჩს გადახედა, მოისაზრა, რა მიზნითაც მოეგონებინა იმას ეს ნაცნობობა, ოდნავ ჩაიღიმა და ისევ აგლაიას მიუტრიალდა. აგლაიას ერთბაშად აელეწა სახე, რაც მარტო ევგენი პავლოვიჩმა შენიშნა.

ვერც იმას ამჩნევდა თავადი, რომ აგლაიას სხვები ელაპარაკებოდნენ და ეარშიყებოდნენ. შიგადაშიგ ისიც კი ავიწყდებოდა, მის გვერდით რომ იჯდა. დროდადრო ნატრობდა, აქედან წასულიყო, აქაურობას გასცლოდა, თუნდაც სადმე, უდაბურ, უკაცრიელ ადგილზე ამოეყო თავი, ოღონდაც მარტო დარჩენილიყო თავის ფიქრებთან და არავის სცოდნოდა მისი ადგილსამყოფელი. ან თავის სახლში მაინც იყოს, ტერასაზე, არც ლებედევი და მისი შვილები ადგეს თავზე, დივანზე დაემხოს, ბალიშში ჩარგოს თავი და ერთი დღე, ერთი ღამე და კიდევ ერთი დღე დაჰყოს ასე.

შიგადაშიგ მთებიც წარმოუდგებოდა, განსაკუთრებით ერთი ადგილი იმ მთებში, რომელსაც მუდამ სიამით იხსენებდა და სადაც უყვარდა ხოლმე სიარული იქ ყოფნის ჟამს. იქიდან გადმოჰყურებდა სოფელს, ჩანჩქერის ოდნავ გასარჩევ თეთრ ძაფს, თეთრ ღრუბლებსა და მიტოვებულ ძველ კოშკს. ო, ნეტამც იქ იყოს ისევ ახლა და იფიქროს – ათასი წელიც რომ იფიქროს, არ მოსწყინდება! აქ კი, დაე, ყველამ დაივიწყოს იგი. ო, ასეც არის საჭირო, ასეც სჯობდა, რომ თავის დღეში არავინ გაეცნო და ეს ზმანება მხოლოდ სიზმარი ყოფილიყო. განა სულ ერთი არაა სიზმარი და ცხადი! მერე უეცრივ ისევ აგლაიას შეაშტერდებოდა და მთელი ხუთი წუთი არ აცილებდა თვალს; მაგრამ უცნაურად კი უცქეროდა თითქოს ქალი ორასი ვერსით იყო მისგან დაშორებული, ან თითქოს მის სურათს უმზერდა და არა მას.

– ეგრე რად მიყურებთ, თავადო – ერთბაშად გაწყვიტა მხიარული სიცილი აგლაიამ და თავადს მიუტრიალდა, – მაშინებთ კიდეც; ასე მგონია, საცაა ხელს გამოიწვდით და თითს შემახებთ სახეზე. განა მართლა ასე არ მიყურებს, ევგენი პავლიჩ?

თითქოს გაუკვირდა თავადს აგლაიას სიტყვები, ოღონდაც კარგად ვერ მიხვდა და არც პასუხი გასცა, მაგრამ რა დაინახა, აგლაია და სხვები იცინიანო, თვითონაც დააღო პირი და მოჰყვა ხარხარს. ამან უფრო გაამხიარულა იქ მყოფნი. ოფიცერი, ვის გაცინებასაც, ეტყობა, დიდი ამბავი არ სჭირდებოდა, სიცილით გაიგუდა, აგლაიამ უცბად ბრაზით წაიჩურჩულა თავისთვის:

– იდიოტი!

– ღმერთო ჩემო! განა ასეთ ვისმე... ღმერთო, განა სულ შეიშლება ჭკუაზე! – კბილები გააკრაჭუნა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ისევე მასხრობს, როგორც „ბეჩავ რაინდზე“ იმასხრა, – დარწმუნებით ჩაუჩურჩულა ყურში ალექსანდრამ, – სხვა არაფერი! კვლავ მასხრად იგდებს თავისებურად. ოღონდაც მეტისმეტად შესტოპა უნდა შეაწყვეტინოთ, maman, წეღანაც ხომ იმსახიობა და ყველას გულები დაგვიხეთქა ამ თავისი ონავრობით...

– კიდევ კარგი, რომ ასეთ იდიოტს გადაეყარა, – გადაუჩურჩულა ლიზავეტა პროკოფიევნამაც. ქალის სიტყვებმა მაინც შვება მოჰგვარა.

თავადმა გაიგონა, იდიოტი რომ უწოდეს, და შეკრთა, მაგრამ იდიოტის დაძახებამ როდი შეაკრთო, ეს მყის დაავიწყდა. იქვე, მახლობლად, სადაც ის იჯდა, თუმცა სად, რა ადგილას – ამას ვერ იტყოდა, – ერთი ფერმკრთალი სახე დალანდა ხალხში – შავი, ქოჩორა თმა, ნაცნობი, დიახაც მეტად ნაცნობი ღიმილი და გამოხედვა, – დალანდა და მყის გაუქრა თვალთაგან. ვინ იცის, კიდეც მოეჩვენა; მეხსიერებაში მხოლოდ ცალყბა ღიმილი, თვალები და ღია მწვანე ფრანტული ყელსახვევი ჩარჩა, იმ მოლანდებულ ვაჟბატონს რომ ეკეთა. ვერც იმას იტყოდა დანამდვილებით, ხალხს შეერია ის ვაჟბატონი თუ სადგურში მიიმალა. მაგრამ წუთიც და თავადმა უცბად შეშფოთებით იწყო ირგვლივ თვალის ცეცება; ამ პირველ მოჩვენებას შეიძლება სხვა მოჩვენებაც მოჰყოლოდა და უთუოდ ასეც იქნებოდა. არა, სადგურში წამოსვლისას როგორ არ იფიქრა, რომ შესაძლოა აქ ზოგ ვისმე შეხვდეს მართალია, წეღან არც იცოდა, თუ სადგურში მოდიოდა, ამის თავი არ ჰქონდა. დაკვირვების თავი რომ ჰქონოდა, თხუთმეტი წუთის წინათ იმასაც შეამჩნევდა, რომ აგლაიაც შიგადაშიგ ისევე შეშფოთებით იყურებოდა ირგვლივ, თითქოს რაღაცას დაეძებსო. ახლა, როცა თავადს ასე აშკარად დაეტყო შეშფოთება, აგლაიასაც მოემატა ღელვა და შფოთი. როგორც კი თავადი მოიხედავდა, ქალიც მყისვე მოატრიალებდა თავს; შფოთის მიზეზი მალე ნათელი გახდა.

სადგურის სწორედ იმ გვერდითი კარიდან, რომლის ახლოსაც თავადი და ეპანჩინების მთელი კამპანია ისხდნენ, ერთბაშად ჯგროდ გამოვიდა ხალხი, დაახლოებით ათ კაცამდე. წინ სამი ქალი მოუძღოდათ ორი მათგანი ისეთი განსაცვიფრებელი სილამაზისა იყო, რომ თაყვანისმცემელთა ეს ამალა არავის გაუკვირდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ თაყვანისმცემლებიცა და ქალებიც მუსიკაზე თავშეკრებილი საზოგადოებიდან დიახაც გამოირჩეოდნენ, სულ სხვა ყაიდის ბრძანდებოდნენ. ყველამ მაშინვე შენიშნა ისინი, მაგრამ ბევრმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ ხედავენო. მხოლოდ ახალგაზრდებიდან რამდენიმემ გაიღიმა და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკა. მაგრამ სულ რომ არ შეემჩნიათ, არც ის შეიძლებოდა, ისეთი ხმამაღალი ლაპარაკითა და სიცილით მოდიოდნენ და ისე აშკარად სურდათ ყურადღების მიქცევა; ბევრი შეზარხოშებულიც უნდა ყოფილიყო იმათში, თუმცა კი კოხტად და მოხდენილად ეცვათ. მაგრამ ზოგი ფრიად უცნაური ჩაცმული და უცნაურად წამოჭარხლებული ბრძანდებოდა. რამდენიმე სამხედროც ერია მათში. ხნიერებიც მოჩანდნენ შიგადაშიგ, მდიდრულ, ხალვათსა და კოხტა ტანსაცმელში გამოწკეპილნი, ბეჭდებითა და სამაჯურებით შემკულნი, დიდებული, კუპრივით შავი პარიკებითა და ქილვაშებით; თანაც სახეზე კეთილშობილური და რამდენადმე გოროზი იერი აღბეჭდოდათ, თუმცა ეს იერი ვეღარაფერს შველოდათ და საზოგადოებაში მაინც შავი ჭირივით უფრთხოდნენ მათ. ჩვენს მოაგარაკეთა შორის, თქმა არ უნდა, ბევრ საოცრად დარბაისელსა და კარგი რეპუტაციის ხალხს შეხვდები, მაგრამ, რაც უნდა ფრთხილი იყო, მაინც ყოველთვის ვერ აიცდენ მეზობლის

სახლიდან ჩამოვარდნილ აგურს. სწორედ ეს აგური ემუქრებოდა ახლა მუსიკის მოსასმენად შეყრილ დარბაისელ საზოგადოებას.

სადგურიდან იმ მოედანზე რომ გასულიყავი, სადაც ორკესტრი იჯდა, სამი საფეხური უნდა ჩამოგევლო. სწორედ ამ საფეხურებთან შეჩერდა ის ჯგრო. ვერავინ გაბედა ჩამოსვლა, გარდა ერთი ქალბატონისა. მას მხოლოდ ორმა გამოსდია ამალიდან. ერთი საკმაოდ თავდაჭერილი კაცი ჩანდა, ასე, შუახნისა, ყოველ მხრივ რიგიანი შეხედულების მქონე, ოღონდ ისეთი ვინმე კი, ვისაც არც იქით ჰყავს ნაცნობები და არც აქეთ იცნობს ვინმე. ქალის მეორე მხლებელი ყოვლად საეჭვო პიროვნება გახლდათ. სხვა არავინ გამოჰყოლია ექსცენტრიულ ქალბატონს; თუმცა არც იმას მოუხედავს უკან, მოსდევდა თუ არა ვინმე, კისკისითა და ლაპარაკ-ლაპარაკით ჩამოდიოდა კიბეზე; ქალს დიდი გემოვნებით ეცვა, მაგრამ იმაზე მდიდრულად, ვინემ წესი და რიგი მოითხოვდა. მოედნის მეორე მხარეს, გზის ახლოს, ერთი ეტლი იდგა, ქალმა ორკესტრს ჩაუარა და იქით გაემართა.

სამ თვეზე მეტი იყო თავადს აღარ ენახა იგი. რაც პეტერბურგში ჩამოვიდა, ყოველდღე აპირებდა მასთან მისვლას, მაგრამ, ალბათ, იდუმალი წინათგრძნობა აჩერებდა. ვერაფრით მიხვედრილიყო, რა გრძნობა დარჩებოდა მისი ნახვის მერე, თუმცა კი ხანდახან შიშით ცდილობდა ამის წარმოდგენას. ერთი კი ცხადი იყო – შეხვედრა მძიმე იქნებოდა. ამ ექვსი თვის მანძილზე არაერთხელ მოჰგონებია, რა იგრძნო მაშინ, როცა პირველად დახედა ამ ქალის სახეს სურათზე. ჯერ მარტო სურათმა დაუმძიმა და ჩასწყვიტა გული. პროვინციაში გატარებულმა ერთმა თვემ, როცა თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ქალს, ისე საშინლად იმოქმედა მასზე, რომ სულ ცდილობდა, აღარ გაეხსენებინა ის დრო. ამ ქალის სახის დანახვა მუდამ გულს უწეწკვავდა რატომღაც როგორჟინთან საუბრისას ეს გრძნობა თავადმა უსაზღვრო სიბრალულად მონათლა და მართალიც იყო მაშინაც კი, როცა პირველად დახედა მის სურათს, გული სიბრალულით აევსო. წარუშლელად ჩარჩა და მუდამ თან სდევდა ეს სიბრალული და ახლაც იგივე იგრძნო. ო, არა, ასწილ ძლიერად. მხოლოდ ახლა, მისი უეცარი გამოჩენის წუთს მიხვდა, რომ როგორჟინს მთლად სწორედ ვერ აუწერა თავისი გრძნობა, ვერ აუხსნა, რომ ამ ქალის შეხედვა თავზარს სცემდა! დიახ – თავზარს! და ამასვე გრძნობდა ახლა, ამ წუთს. სჯეროდა და სწამდა, რომ ეს ქალი შეშლილი იყო. გიყვარდეს ქალი ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად და უეცრივ ჯაჭვით დაბმული, რკინის გალიაში იხილო იგი, სადაც ზედამხედველი ჯოხით ადგას თავზე, – აი, დაახლოებით რა შეედრებოდა იმ გრძნობას, რამაც აიტანა ახლა თავადი.

– რა დაგემართათ – ჩასჩურჩულა აგლაიამ და ბავშვივით ხელზე წაეტანა.

თავადმა თავი მოატრიალა, შეხედა მისთვის ამ წუთს გაუგებრად მოელვარე შავ თვალებს, გაღიმება სცადა, მაგრამ ისევ მარჯვნივ წაიღო მზერა, თითქოს მყისვე გადაავიწყდა მისი არსებობა, და ისევ ამ საოცარ მოჩვენებას გაადევნა თვალი. სწორედ ამ წუთს ნასტასია ფილიპოვნამ ჩაუარა სკამებს, რომლებზეც გენერლის ქალები ისხდნენ. ევგენი პავლოვიჩი რაღაცას უყვებოდა გატაცებით ალექსანდრა ივანოვნას, ეტყობოდა, ძალზე სასაცილოსა და საინტერესოს. ახსოვდა თავადს, რომ აგლაიამ უეცრად გაურკვევლად წაიბუტბუტა „როგორ“... და სხვა აღარაფერი დაუმატებია, უმალ თავი შეიკავა, მაგრამ ესეც საკმაო გამოდგა. ნასტასია ფილიპოვნა, რომელიც ისე მიდიოდა, თითქოს განსაკუთრებით ვერავის ამჩნევსო, უეცრივ მათ მხარეს მოტრიალდა და თითქოს ახლაღა ჰკრა თვალი ევგენი პავლოვიჩს.

– ოჰო! თურმე სად ბრძანებულა?! – შესძახა მან და გაჩერდა, – ზოგჯერ ვერა შიკრიკებით ვერ აღმოაჩენ, ზოგჯერ კი განზრახ იქ დაგიხვდება, სადაც არ ელი... მეგონა, იქ იქნებოდი... ბიძაშენთან!

ევგენი პავლოვიჩს სახე აელეწა, გაცეცხლებულმა ერთი კი შეხედა ნასტასია ფილიპოვნას და საჩქაროდ ზურგი აქცია.

– რაო?! განა არ იცი? წარმოგიდგენიათ, არა სცოდნია! თავი მოიკლა! ბიძაშენმა ამ დილას თავი მოიკლა! წეღან, ორ საათზე მითხრეს; ახლა კი ნახევარმა ქალაქმა იცის ამბობენ, სამას ორმოცდაათი ათასი სახაზინო ფული დააკლდაო. სხვები ამბობენ – ხუთასიო. მე კი იმედი მქონდა, ქონებას დაგიტოვებდა. ყველაფერი გაუნიავებია. დიდი გარყვნილი ბებრუცანა კი იყო... აბა, მშვიდობით იყავ, bonne chance![94] ნუთუ არ წახვალ? კაი დროს კი დაანებე სამსახურს თავი, შე ეშმაკო! სტყუიხარ, იცოდი, ადრევე იცოდი იქნებ გუშინაც იცოდი...

ეჭვი არ იყო, უთუოდ რაღაც თავისი მიზანი ჰქონდა ამ ურცხვ ჩაციებას, ახლო ნაცნობობის ამ აფიშირება-გამომზეურებას, თუმცა მსგავსი არაფერი იყო; ევგენი პავლოვიჩმა თავდაპირველად გადაწყვიტა, არად ჩაეგდო ეს ამბავი და თავისი შეურაცხმყოფელი არ შეემჩნია. მაგრამ ნასტასია ფილიპოვნას ნათქვამი, ბიძაშენმა თავი მოიკლაო, ტყვიასავით მოხვდა მიტკალივით გაუთეთრდა სახე და მაცნესკენ შემობრუნდა. სწორედ ამ წუთში ლიზავეტა პროკოფიევნა სწრაფად წამოიჭრა ადგილიდან, ყველანი წამოჰყარა და ლამის სირბილით გაშორდა იქაურობას. დარჩა მხოლოდ თითქოს შეყოყმანებული თავადი ლევ ნიკოლაევიჩი, ისიც ერთი წამით და კიდევ გაოგნებით მდგარი ევგენი პავლოვიჩი. მაგრამ ეპანჩინებს ოციოდე ნაბიჯი არ ჰქონდათ გადადგმული, რომ საშინელი ამბავი დატრიალდა.

ევგენი პავლოვიჩის დიდი მეგობარი ოფიცერი, რომელიც აგლაიას ებაასებოდა, საშინლად აღშფოთდა

– მარტო მათრახით თუ მოიყვან ჭკუაზე ამ უნამუსოს! – თითქმის წამოიყვირა მან (მგონი, ის წინათაც უნდა ყოფილიყო ევგენი პავლოვიჩის კონფიდენტი[95]).

ნასტასია ფილიპოვნა უმალ მისკენ მოტრიალდა. თვალები ნაკვერჩხლებივით გაუხდა. იქვე, ორიოდე ნაბიჯზე მდგარ სულ უცნობ ახალგაზრდა კაცს მივარდა, წვრილი, დაწნული ტროსტი გამოგლიჯა ხელიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ირიბად გადაუჭირა თავის შეურაცხმყოფელს სახეზე. თვალის დახამხამება ვერავინ მოასწრო... ოფიცერი გიჟივით მივარდა ქალს; ნასტასია ფილიპოვნას მისი ამალა შემოფანტოდა. რიგიანი შეხედულების მქონე შუახნის ვაჟბატონი სადღაც გაბურწულიყო, შექეიფიანებული ვაჟბატონი მოშორებით იდგა და სიცილით კვდებოდა. ერთი წუთის შემდეგ, ცხადია, პოლიცია გამოცხადდებოდა, მაგრამ მის მოსვლამდე ნასტასია ფილიპოვნას შავი დღე დაადგებოდა, რომ მოულოდნელი მშველელი არ აღმოჩენოდა თავადი, რომელიც ორიოდე ნაბიჯზე იდგა, სწვდა უკნიდან ოფიცერს და ხელები გაუკავა. ოფიცერმა ხელი გამოგლიჯა და ისე ღონიერად ჰკრა მკერდში, რომ თავადი სამიოდე ნაბიჯზე გადავარდა და სკამს დაასკდა. ამასობაში ნასტასია ფილიპოვნას კიდევ გამოუჩნდა ორი დამცველი. ოფიცერს წინ გამოსჭიმოდა მკითხველისთვის ცნობილი წერილის ავტორი და როგოჟინის ძველი კამპანიის ნამდვილი წევრი კრივის ოსტატი.

– გადამდგარი პორუჩიკი კელერი გახლავართ, კაპიტანო, – ყოყოჩურად გამოეცნაურა იგი, – თუ მუშტი-კრივი გნებავთ, სუსტი სქესის მაგივრად მე მიმსახურეთ; ვხედავ, ინგლისური კრივი გცოდნიათ. ხელს ნუ იკვრევინებით, კაპიტანო; მესმის, სისხლიანი შეურაცხყოფა მოგაყენეს, მაგრამ ამ ხალხში ქალს მუშტებით ვერ გაცემინებთ. როგორც კეთილშობილი კაცი, თუ სხვა მხრივ მოქცევას ირჩევთ, მაშინ, რა თქმა უნდა, გესმით, რისი თქმაც მსურს, კაპიტანო...

მაგრამ კაპიტანი უკვე გონს მოსულიყო და აღარ უსმენდა. იმავე წუთს ხალხის წრეს როგოჟინი გამოეყო, სწრაფად გაუყარა ხელი ნასტასია ფილიპოვნას და თან გაიტაცა, როგოჟინი საშინლად

აღელვებული ჩანდა, მიწისფერი დადებოდა და მთლად ცახცახებდა, მაგრამ წასვლამდე მაინც მოასწრო და ოფიცერს პირში ბოროტად შეჰხარხარა

– ჰე-ჰე! – უთხრა ბაზრულ კილოზე ნიშნის მოგებით, – ხომ მიიღე! ხომ დაგისისხლიანეს სიფათი! ეგეც შენ!

ოფიცერი მიხვდა უკვე, ვისთან ჰქონდა საქმე, და თავაზიანად მოუტრიალდა სკამიდან წამომდგარ თავადს (თუმცა კი სახეზე ცხვირსახოცი მიეფარებინა).

– თავადი მიშკინი ბრძანდებით, არა? ვგონებ, გაგვაცნეს ერთმანეთი.

– ეგ ქალი შეშლილია! მერწმუნეთ, შეშლილია! – აკანკალებული ხმით მიუგო თავადმა და ხელები რატომღაც მისკენ გაიწვდინა.

– ო, რა თქმა უნდა, მაგგვარი ცნობებით ვერ დავიკვეხნი; მაგრამ თქვენი გვარი კი მინდა ვიცოდე.

ოფიცერმა თავი დაუკრა და გაშორდა. არ გასულა ხუთი წამი ამ ამბის უკანასკნელ მონაწილეთა წასვლიდან, რომ პოლიციამაც მოაღწია. თუმცა ეს ალიაქოთი სულ რაღაც ორ წუთს გაგრძელდა. იქ დამსწრეთა ერთი ნაწილი ადგა და წავიდა, მეორენი სხვა ადგილზე გადასხდნენ; მესამენი ფრიად გახარებული დარჩნენ აურზაურით; მეოთხენი აყაყანდნენ და დიდად დაინტერესდნენ. ერთი სიტყვით, საქმე ჩვეულებრივ დამთავრდა. ორკესტრმა ხელახლა დაუკრა. თავადი ეპანჩინებს გაჰყვა უკან. როცა ხელი ჰკრეს და სკამზე დააბერტყეს, მაშინ რომ მოეფიქრებინა ან მოხედვის დრო ჰქონოდა, დაინახავდა, რომ აგლაია მისგან ოციოდ ნაბიჯზე გაჩერებულიყო ამ აურზაურის საცქერლად და ყურს არ უგდებდა დედასა და დებს, რომლებიც შორიდან ეძახდნენ. თავადმა შჩ-მ საჩქაროდ მოირბინა მასთან და წასვლაზე, როგორც იქნა, დაიყოლია. ლიზავეტა პროკოფიევნას კარგად დაამახსოვრდა, რა აღელვებული დაბრუნდა აგლაია, მათი ძახილი ალბათ არც გაუგონია, მაგრამ, როცა ორიოდ წუთის შემდეგ პარკში შევიდნენ, აგლაიამ ჩვეულებისამებრ დაუდევრად, ჟინიანად წაილაპარაკა

– მაინტერესებდა, რით დასრულდებოდა ეს კომედია!

III

სადგურში მომხდარმა ამბავმა თითქმის თავზარი დასცა დედა-შვილთ. შეშინებულმა და აღელვებულმა ლიზავეტა პროკოფიევნამ ლამის მთელი გზა სირბილით გამოიარა. მისი ფიქრითა და წარმოდგენით ამ ამბებმა ბევრი რამ გამოააშკარავა და, დაბნეულობის მიუხედავად, ბევრ რამეზე თავისი მოსაზრება შეუქმნა. მაგრამ სხვებიც მიმხვდარიყვნენ, რაღაც განსაკუთრებული რომ მოხდა და შესაძლოა, კიდევ რაღაც დიდზე-დიდ საიდუმლოებას ახდოდა ფარდა. თავადი შჩ-ს ფიცისა და რწმუნების მიუხედავად, ევგენი პავლოვიჩი „ახლა სააშკარაოზე ბრძანდებოდა გამოყვანილი“, მხილებული, გამჟღავნებული და „ფორმალურად დაჭერილი იმ უნამუსოსთან კავშირში“, ასე ფიქრობდა ლიზავეტა პროკოფიევნა და მისი ორი უფროსი ქალი. ეს კია, ამ დასკვნამ უფრო მეტად არია საქმე და უფრო მეტად თავსატეხი გაუჩინათ. ქალები ნაწილობრივ აღშფოთებული იყვნენ გულში დედის ასე მეტისმეტი შეშინებითა და ასე აშკარა გამოქცევით, მაგრამ შეკითხვებით შეწუხებას ვერ უბედავდნენ. გარდა ამისა, იმასაც ეჭვობდნენ, რომ მათმა პატარა დაიამ, აგლაია ივანოვნამ, შესაძლოა ამ საქმისა გაცილებით მეტი იცოდა, ვინემ სამთავემ ერთად.

თავადი შჩ-ც მოჟამული და ძალზე ჩაფიქრებული ჩანდა. ლიზავეტა პროკოფიევნას მთელი გზა ხმა არ გაუცია მისთვის და არც იმას შეუნიშნავს, მგონი, ეს ამბავი. ადელაიდა ივანოვნა ერთი კი შეეკითხა „რომელ ბიძაზე იყო ლაპარაკი და პეტერბურგში რა ამბავი მოხდა ასეთი“ მაგრამ თავადმა შჩ-მ რაღაც გაურკვევლად წაიბურტყუნა დაძმარებული სახით და ისიც დააყოლა, ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, სისულელეაო. „ეჭვი არც მეპარება!“ მიუგო ადელაიდამ და მერე აღარაფერი უკითხავს. აგლაია კი რატომღაც საოცრად არხეინად იყო და მხოლოდ ეს შენიშნა გზაში, ასე რა მიგვარბენინებსო. ერთხელ მოიხედა უკან და თავადი დაინახა, რომელიც დასაწევად მისდევდა. აგლაიას დაცინვით გაეღიმა ამაზე და მეტი აღარ მოუხედავს უკან.

აგარაკს რომ მიუახლოვდნენ, ივან ფიოდოროვიჩი შემოეგებათ წინ. პეტერბურგიდან ეს-ესაა დაბრუნებულიყო. პირველ ყოვლისა, ევგენი პავლოვიჩი მოიკითხა. მაგრამ ცოლმა მწყრალად და უბრად ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს. თავის ქალებსა და თავად შჩ-ს რომ გადახედა, თვალებზე შეატყო გენერალმა, რომ ოჯახში რაღაც უბედურება ტრიალებდა. თუმცა გენერლის სახეც უჩვეულო მღელვარებას გამოხატავდა. უმალ ხელი გაუყარა თავად შჩ-ს, სახლის წინ შეაჩერა და რამდენიმე სიტყვა ჩუმად წაულაპარაკა. მერე ტერასაზე ავიდნენ და ლიზავეტა პროკოფიევნასკენ გასწიეს; შეშფოთებულ სახეებზე ეწერათ, რომ საგანგებო ამბავი შეეტყოთ. ნელ-ნელა ყველა ლიზავეტა პროკოფიევნას ოთახისკენ გაიკრიფა ზემოთ; ტერასაზე მარტო თავადი დარჩა, რომელიც კუთხეში მიმჯდარიყო და თითქოს რაღაცას ელოდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას. რომ დაინახა, სახლში ასეთი ალიაქოთიაო, წასვლა აღარც მოაფიქრდა. დედამიწის ზურგზე თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა და მზად იყო, მთელი წელი არ მოეცვალა ფეხი. ზემოდან დროდადრო შეშფოთებული ლაპარაკის ხმები ჩამოდიოდა. თვითონაც არ იცოდა, რამდენ ხანს დაჰყო ასე. კარგად ჩამობნელდა, უკვე გვიან იყო. ერთბაშად ტერასაზე აგლაია გამოვიდა; დამშვიდებული ჩანდა, ოღონდაც რამდენადმე ფერმიხდილი იყო, თითქოს გაუკვირდა თავადის დანახვა და გაოცებით გაიღიმა.

– აქ რას აკეთებთ – მიუახლოვდა თავადს.

თავადმა რაღაც დარცხვენით წაილუღლუღა და სკამიდან წამოხტა, მაგრამ როცა აგლაია გვერდით ჩამოუჯდა, ისიც დაჯდა. ქალმა ჯერ დაკვირვებით შეავლო თვალი, მერე ფანჯარაში გაიხედა თითქოს უმიზნოდ და ისევ შეხედა. „ეცინება და ალბათ თავს იკავებს, – გაიფიქრა თავადმა, – თუმცა არა, მაშინ გაიცინებდა“.

– ჩაი ხომ არ გნებავთ, ვეტყვი და მოგართმევენ, – მცირე დუმილის შემდეგ უთხრა აგლაიამ.

– აარა... არ ვიცი...

– ამას რა ცოდნა უნდა! აჰ, იცით რა? ვთქვათ, ვინმემ დუელში გამოგიწვიათ, რას იზამდით წეღანაც მინდოდა მეკითხა.

– მე... მე დუელში არავინ გამომიწვევს.

– მაგრამ რომ გამოგიწვიონ შეგეშინდებათ

– მგონი... შემეშინდება.

– მართლა? მაშ ლაჩარი ხართ?

– აარა; მგონი, არა. ლაჩარი გარბის, ხოლო ვისაც ეშინია და მაინც არ გარბის, ის ლაჩარი არ არის, – მცირე ფიქრის შემდეგ შეჰღიმა თავადმა.

– თქვენ არ გაიქცევით?

– მე მგონი, არა, – ახლა კი სიცილი ვეღარ შეიკავა თავადმა.

– მე ხომ ქალი ვარ, მაგრამ არაფრით არ გავიქცეოდი, – აიმრიზა აგლაია, – თუმცა, როგორც ყოველთვის, თქვენ იპრანჭებით და დამცინით, თავსაც იფასებთ. ერთი ეს მითხარით

ჩვეულებრივ, თორმეტი ნაბიჯიდან ისვრიან ზოგი ათიდან, არა? მაშასადამე, თუ არ მოკლეს კაცი, დაჭრიან მაინც.

– დუელის დროს, მგონი, ტყვია იშვიათად ხვდება მიზანს.

– იშვიათადო განა პუშკინი არ მოკლეს

– ეგ ალბათ შემთხვევის ბრალი იყო.

– სულაც არა; სამკვდრო-სასიცოცხლო დუელი ჰქონდათ და მოკლეს კიდეც.

– ტყვია ისე დაბლა იყო მოხვედრილი, დანტესი უთუოდ უფრო ზემოთ უმიზნებდა, თავში ან მკერდში; ასე დაბლა არავინ უმიზნებს. მაშასადამე, უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ პუშკინს ტყვია შემთხვევით მოხვდა, კომპეტენტური ხალხიც ასე ამბობს.

– მე კი ერთხელ ერთ ჯარისკაცს ველაპარაკე და ასე მითხრა, წესდების მიხედვით, საგანგებოდ გვაქვს ნაბრძანები, როცა სასროლად დავიფანტებით, ნახევარ ტანს დავუმიზნოთ, ასეც ყოფილა ნათქვამი „ნახევარ ტანსო“. მაშასადამე, არც თავში და არც მკერდში. შემდეგ ერთ ოფიცერსაც ვკითხე და მითხრა, მართალია, ზუსტად ასეაო.

– დიახ, მართალია, შორი მანძილიდან ისვრიან და იმიტომ.

– თქვენ ისვრით?

– თავის დღეში არ მისროლია.

– არც დამბაჩის დატენა იცით?

– არა. მესმის კი, როგორც უნდა, ოღონდ თავის დღეში არ დამიტენია.

– მაშასადამე, არ იცით, ამას გამოცდილება უნდა! აბა, ყური მიგდეთ და დაიხსომეთ: ჯერ ერთი, კარგი თოფის წამალი იყიდეთ დამბაჩისათვის, სველი არ იყოს (ამბობენ, სველი არ ვარგა, ძალზე მშრალი უნდაო), თანაც წვრილად დაფხვნილია თურმე საჭირო. იქ ჰკითხეთ, ოღონდ ის არ იყიდოთ, ზარბაზნებისათვის რომ ხმარობენ. ტყვიებსო, მითხრეს, თვითონ ადნობენ. დამბაჩები გაქვთ?

– არა მაქვს და არც მჭირდება, – აუტყდა სიცილი თავადს.

– რა სისულელეა! აუცილებლად იყიდეთ ამბობენ, ფრანგული და ინგლისური ყველას სჯობია. შემდეგ ერთი ანდა ორი სათითურის ოდენა თოფისწამალს აიღებთ და შიგ ჩაყრით. რაც ბლომად იქნება, უკეთესიაო. ქეჩა ჩააყოლეთ (ამბობენ, რატომღაც ქეჩააო საჭირო), ქეჩას სადმე იშოვით, ან ლეიბზე იქნება, ან კარს აქვს ხოლმე ზოგჯერ აკრული. ქეჩის მერე ტყვია ჩადეთ, – გესმით, ჯერ თოფისწამალი და მერე ტყვია, თორემ ვერ გაისვრით. რა გაცინებთ? მე მინდა, დღეში რამდენიმეჯერ ივარჯიშოთ და უთუოდ ისწავლოთ სროლა. შემისრულებთ ამას?

თავადს გაუკვირდა, რომ აგლაია ასე სერიოზულად ელაპარაკებოდა ახლა, რომ მის სიცილზე გული მოუვიდა და ფეხები დაუბაკუნა. იმასაც გრძნობდა, რომ საჭირო იყო რაღაც გაერკვია, რაღაც ეკითხა – ყოველ შემთხვევაში, დამბაჩის დატენვაზე უფრო სერიოზული. მაგრამ ყველაფერი გამოუფრინდა თავიდან, მარტო ის ახსოვდა, ვინ ეჯდა წინ, ვის უყურებდა და რაზეც არ უნდა ელაპარაკა აგლაიას, ამ წუთს მისთვის თითქმის სულერთი იყო.

ამასობაში ზემოდან ივან ფიოდოროვიჩი ჩამოვიდა; მოღუშული, შეფიქრიანებული იერი ჰქონდა, სადღაც მიეშურებოდა.

– აჰ, შენა ხარ, ლევ ნიკოლაევიჩ... სად მიდიხარ? – თუმცა თავადს ადგილიდან დაძვრა არც უფიქრია, – წამოდი, რაღაც უნდა გითხრა.

– ნახვამდის, – ხელი გაუწოდა აგლაიამ თავადს.

ტერასაზე უკვე საკმაოდ ბნელოდა და თავადმა ქალის სახე კარგად ვერ გაარჩია. წუთიც და ისა და გენერალი აგარაკიდან გამოვიდნენ. თავადს ერთბაშად აელეწა სახე და მარჯვენა ხელი მაგრად მომუშტა.

გამოირკვა, რომ ერთი გზა ჰქონდათ. ივან ფიოდოროვიჩი სადღაც მიიჩქაროდა ამ შუაღამისას, ვიღაცას რაღაცაზე უნდა მოლაპარაკებოდა. გზაში მოულოდნელად შეშფოთებული და საკმაოდ უთავბოლო ლაპარაკი გაუბა თავადს, ლიზავეტა პროკოფიევნას მალიმალ ახსენებდა. თავადს რომ მეტი დაკვირვება გამოეჩინა, უთუოდ მიხვდებოდა, რომ გენერალსაც თავის მხრივ უნდოდა რაღაც დაეტყუებინა მისთვის, უფრო სწორად, პირდაპირი და გულახდილი კითხვა მიეცა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა. თავადი იმდენად უგულისყუროდ უსმენდა, რომ გენერლის ნალაპარაკევიდან, მისდა სამარცხვინოდ, ერთი სიტყვაც ვერ გაიგო. მაგრამ, როცა გენერალი წინ დაუდგა და გამწარებით ჩაჰკითხა, მაშინ კი იძულებული გახდა, გამოტყდომოდა, არაფერი გამიგიაო.

გენერალმა მხრები აიჩეჩა

– რა უცნაურები გახდით ყველანი. იმას გეუბნებოდი, ლიზავეტა პროკოფიევნას აზრები და შიში ვერ გამიგია-მეთქი. ისტერიკამ მოუარა, ტირის და იძახის, თავი მოგვჭრეს და შეგვარცხვინესო. ვინ რა გზით ვისთან, როდის და რისთვის მართალი გითხრა, დამნაშავე ვარ (ჩემი პირით ვაღიარებ), დიდი დამნაშავე, მაგრამ იმ... იმ აფორიაქებული ქალის ქვებუდანობა, ბოლოს და ბოლოს პოლიციის დახმარებით შეიძლება აილაგმოს. სწორედ დღეს ვაპირებ ვიღაც-ვიღაცები მოვინახულო და გავაფრთხილო. ყველაფერი შეიძლება მშვიდობიანად, წყნარად, ასე ვთქვათ, ტკბილადაც მოგვარდეს ნაცნობობითა და ყოველგვარი აურზაურის გარეშე. იმასაც ვფიქრობ, რომ მომავალში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს; ამას გარდა, ბევრი რამ აუხსნელი გახლავთ; ინტრიგაც ურევია ამაში; მაგრამ თუ აქ არაფერი იციან, ვერც იქ ახსნიან გარკვევით რასმე. თუ მე არ გამიგია, შენ არ გაგიგია, იმას არ გაუგია, მეხუთესაც არაფერი სმენია, ერთი მითხარი, მაშ ვინ გაიგო შენის ფიქრით, რით უნდა აიხსნას, ეს, თუ არა იმით, რომ საქმე ნახევრად მირაჟია, არარსებული, როგორც, მაგალითად, მთვარის შუქი... ან სხვა რამ ამგვარი.

– შეშლილია, – წაიბურტყუნა თავადმა, წეღანდელი ამბები გაახსენდა და გული შეეკუმშა.

– მეც მანდა ვარ, ეგ მეც მიფიქრია და არხეინად დამიძინია, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ აქ უფრო სწორად ფიქრობენ და შეშლილობისა აღარ მჯერა. კი, ბატონო, შფოთიანი ქალია, მაგრამ ამასთან ჭკუა არ აკლია, გიჟი ხომ არაფრით შეიძლება ეწოდოს. დღევანდელი მისი საქციელი, აი, კაპიტონ ალექსეიჩზე რომ თქვა, დიახაც მოწმობს ამას. მისი მხრივ, ეს დიდი თაღლითობაა, ან ყოველ შემთხვევაში იეზუიტური საქციელი მაინც, ჩადენილი რაღაც მიზნით.

– ვინ კაპიტონ ალექსეიჩზე?

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ლევ ნიკოლაევიჩ, არც მისმენ თურმე, კაპიტონ ალექსეიჩის ამბავს არ მოჰყვა ეს საუბარი? ისეთი თავზარი დამეცა, ახლაც მიკანკალებს ხელ-ფეხი. ქალაქში ამიტომაც შემაგვიანდა. ევგენი პავლიჩის ბიძამ, კაპიტონ ალექსეიჩმა რადომსკიმ...

– რას ამბობთ! – შეჰყვირა თავადმა.

– ამ დილით, ალიონზე, შვიდ საათზე თავი მოიკლა, მაშ, ამ დარბაისელმა, სამოცდაათი წლის ბერიკაცმა, ეპიკურეელმა, – სწორედ ისე, როგორც იმან თქვა, – სახაზინო ფულის გამო, კარგა ბლომად ჰკლებია!

– მან საიდან...

– გაიგო, არა? ჰა-ჰა! განა არა, გამოჩნდა თუ არა, მთელი შტაბი შემოიკრიბა ირგვლივ. იცი, რა ხალხი დაიარება მასთან და ვინ ეძიებს ამ „საპატიო ნაცნობობას“? ბუნებრივია, ამ დილას

ვიღაცამ ჩააწვეთა, ვინაიდან უკვე მთელმა პეტერბურგმა იცის, აქ კი ნახევარ პავლოვსკს მაინც ექნება გაგებული, თუ მთელს არა. მერე რა მოსწრებულად გადაუკრა თურმე მუნდირის თაობაზე, როგორც გადმომცეს, ესე იგი ევგენი პავლიჩისათვის რომ უთქვამს, დროზე მოასწარი სამსახურიდან გამოსვლაო! რა ჯოჯოხეთური ნართაულია! არა, ეს შეშლილის ამბავი არ გახლავთ. ცხადია, ვერ დავიჯერებ, რომ ევგენი პავლიჩმა წინასწარ იცოდა კატასტროფის ამბავი, ესე იგი, ამა და ამ რიცხვში, შვიდ საათზე და ასე შემდეგ. მაგრამ შეიძლება კი ეგრძნო რაღაც. არა, ყველას რა იმედი გვქონდა მაინც, თავად შჩ-ს ჩათვლით, ევგენი პავლიჩს ქონებას დაუტოვებსო! საშინელებაა! საშინელება! დამიჯერე, ევგენი პავლიჩს მე არაფერში ვადანაშაულებ, ამას წინასწარ გეუბნები, მაგრამ მაინც საეჭვო არის. თავადი შჩ-ი მეტისმეტად შეცბუნებულია. რაღაც უცნაურად კი წაეწყო ყველაფერი.

– ევგენი პავლიჩის საქციელში საეჭვო რა არის ვითომ?

– არაფერი! დიდად კეთილშობილურად ეჭირა თავი. მე არც მითქვამს რამე. თავისი ქონება, ვფიქრობ, ხელუხლებელი აქვს. ლიზავეტა პროკოფიევნას, ცხადია, გაგონებაც არ უნდა... მაგრამ თავი და თავი – ეს ოჯახური კატასტროფები, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს აყალმაყალი, არც ვიცი, რა დავარქვა... შენ, ჭეშმარიტად რომ ვთქვათ, ჩვენი ოჯახის მეგობარი ხარ, ლევ ნიკოლაიჩ, ჰოდა, წარმოიდგინე, თურმე ევგენი პავლიჩს, თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვი, ამ ერთი თვის წინათ აგლაიასთვის ცოლობა უთხოვია და იმას უარი უთქვამს.

– მაგას ვერ დავიჯერებ! – ფიცხად შესძახა თავადმა.

– როგორ, შენც იცი რამე? – შეხტა გაოცებული გენერალი და ერთ ადგილზე გაშეშდა, – იცით, ჩემო ძვირფასო, იქნებ სულ ტყუილად გამოგიტყდი და არც იყო ლამაზი ჩემი მხრივ, მაგრამ ეს ხომ იმიტომ, რომ შენ, შენ... შეიძლება ითქვას, ისეთი კაცი ხარ, რამე ხომ არ იცი განსაკუთრებული?

– ევგენი პავლიჩზე მე... არაფერი ვიცი, – წაიდუდუნა თავადმა.

– არც მე ვიცი!.. მე, ძმაო, მიწაში დასამარებასა და დამარხვას მიპირებენ, იმას კი არავინ კითხულობს, რაოდენ მძიმეა ეს ჩემთვის და ავიტან თუ არა ამას. რომ იცოდე, ახლა რა დღე დამათიეს! ღვიძლი შვილივით გეუბნები. რაც მთავარია, აგლაია თითქოს მასხრად იგდებს დედას. ის ამბავი, რომ აგლაიამ ევგენი პავლიჩს უარი უთხრა ამ ერთი თვის წინ და საკმაოდ ფორმალური ახსნა-განმარტებაც ჰქონიათ, დებმა გაამხილეს, ჩვენ ასე გვგონია და დანამდვილებით ასეც უნდა იყოსო. მაგრამ აგლაია ხომ ისეთი თავნება და ფანტასტიკური არსებაა, ენა ვერ იტყვის! დიდი კეთილშობილება, დიდი ბრწყინვალე ჭკუა და გული – ეს ყველაფერი აქვს, მაგრამ ჟინიანია და ამასთან, ქილიკაც – ერთი სიტყვით, ქაჯია ნამდვილი. ახლა მის ფანტაზიებს არ იკითხავ. ეს წუთია, დედა და დები, ყველა მასხრად აიგდო, თავადი შჩ-ც არ დაინდო. ჩემზე ხომ, ნუ იტყვი, ჩემზე სულ იცინის, მაგრამ მე, იცი, მიყვარს, ისიც მიყვარს, რომ დამცინის, – და მაგ ჭინკასაც ამისთვის განსაკუთრებით ვუყვარვარ, მგონი, სხვებზე მეტადაც. სანაძლეოს დავდებ, შენც გაგკრა ალბათ კბილი. იმ წეღანდელი აურზაურის შემდეგ ისეთი სახით გეჯდა ახლა გვერდით, მამა აბრამის ბატკანი გეგონებოდა.

თავადი საშინლად გაწითლდა და მარჯვენა ხელი მომუშტა, მაგრამ კრინტი არ დაძრა.

– ჩემო კეთილო, ჩემო საყვარელო ლევ ნიკოლაიჩ! – გულმხურვალედ შესძახა უცბად გენერალმა, – მე... და ლიზავეტა პროკოფიევნას (თუმცა ისევ დაგიწყო ახლა ლანძღვა და მეც მიმაყოლა, არ ვიცი, კი რატომ) მაინც გვიყვარხარ, გვიყვარხარ წრფელი გულითა და პატივსა გცემთ, მიუხედავად ყველაფრისა, ანუ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა. მაგრამ შენც დამეთანხმები, ჩემო კეთილო, რა უცნაური და რა საწყენი იყო ჩვენთვის, როცა ამ ჭინკამ (უნდა

გენახა, რა ზიზღით ისმენდა წეღან ჩვენს შეკითხვებს, ჩემსას მით უმეტეს, – ეშმაკმა დალახვროს და ოჯახის თავის კვალობაზე სიმკაცრის გამოჩენა დავაპირე, გამოვსულელდი და ესაა), როცა ამ ჭინკამ უეცრივ დაცინვით გვაუწყა, მაგ „შეშლილმაო“ (ასე თქვა პირდაპირ, მიკვირს, შენ ნათქვამს რომ დაემთხვა „ამდენ ხანს როგორ ვერ მიხვდით, რომ შეშლილიაო“?) „თავში ჩაიდო, რაც არ უნდა დაუჯდეს, თავად ლევ ნიკოლაიჩს მიმათხოვოს და ამიტომ ცდილობს ევგენი პავლიჩსაც ჩვენი სახლიდან ფეხი ამოაკვეთინოსო“... მხოლოდ ესა თქვა, სხვა არაფერი, გადაიკისკისა, კარი მოგვიჯახუნა და გავარდა. თქვენ ორს შორის და... და... გამიგონე, ჩემო კარგო თავადო, ვიცი, ფხუკიანი კაცი არა ხარ, ავ-კარგის გარჩევა შეგიძლია, როგორც შეგამჩნიე, მაგრამ... მაგრამ გული ნუ მოგივა ღმერთმანი, მასხრად გიგდებს, ბალღურად მოსდის, ამიტომაც ნუ გეწყინება მისგან, მაგრამ ნამდვილად ასეა. არაფერი გაივლო გულში, – უბრალოდ, შენცა და ჩვენც ყველას გვამასხრებს უსაქმურობისაგან. მაშ, მშვიდობით იყავ! ხომ იცი, რასაც ვგრძნობთ შენდამი რასაც გულწრფელად ვგრძნობთ არც შეიცვლება ეს არასოდეს და არაფერში... ოღონდ... მე აქეთ მაქვს გზა ნახვამდის! იშვიათად ყოფილა, ასე ცუდად მეგრძნოს თავი, როგორც ამბობენ ხოლმე, ჩემს კალაპოტში ვერა ვარ... აგარაკიც ამას ჰქვია!

გზის გასაყარზე მარტო დარჩენილმა თავადმა ერთი კი მიმოიხედა ირგვლივ, მერე სწრაფად გადაჭრა ქუჩა, რომელიღაც აგარაკის განათებულ ფანჯარას მიადგა, პატარა ქაღალდი, ივან ფიოდოროვიჩთან ლაპარაკისას რომ მარჯვენა ხელში ჩაეკუჭა, გაშალა და სუსტ სინათლეზე ძლივს წაიკითხა:

„ხვალ, დილის შვიდ საათზე პარკში ვიქნები მწვანე სკამზე და თქვენ დაგელოდებით. გადავწყვიტე, ერთ მეტისმეტად დიდ საქმეზე მოგელაპარაკოთ, რომელიც პირდაპირ თქვენ გეხებათ.

P.S. იმედია, ამ წერილს არავის აჩვენებთ. მრცხვენია, ამას რომ გწერთ, მაგრამ მერე ვიფიქრე, ღირსია-მეთქი. თქვენს სასაცილო ხასიათზე მევე ვწითლდები.

PP. SS. ის მწვანე სკამი გუშინ დაგანახეთ. სირცხვილი თქვენ! ესეც დამაწერინეთ“.

ეს ჰაიჰარად დაწერილი და დაკეცილი ბარათი, როგორც ეტყობა, აგლაიას ტერასაზე გამოსვლის წინ მოემზადებინა. ენით უთქმელმა მღელვარებამ, ლამის შიშმა აიტანა თავადი, ისევ ჩაბღუჯა წერილი ხელში და საჩქაროდ გაეცალა ფანჯარასა და შუქს დამფრთხალი ქურდივით; გაეცალა და უეცრივ ერთ ვაჟბატონს დაეჯახა, რომელიც პირდაპირ მის ზურგს უკან აღმოჩნდა.

– მე თვალს გადევნებთ, თავადო, – უთხრა ამ ვაჟბატონმა.

– ეს თქვენა ხართ, კელერ – შესძახა განცვიფრებულმა თავადმა.

– დაგეძებთ, თავადო. ეპანჩინების აგარაკთან გელოდით, ცხადია, ვერ შემოვიდოდი. გენერალსა და თქვენ უკან მოგყვებოდით. მიმსახურეთ, თავადო. მზადა ვარ თავი შეგწიროთ და თუ საჭირო იქნება, მოვკვდე კიდეც.

– ვითომ... რატომ?

– ალბათ დუელში გამოგიწვევენ. მაგ პორუჩიკ მოლოვცოვს ვიცნობ, თუმცა პირადად არა... ვიცი, შეურაცხყოფას არ გადაყლაპავს. ჩვენისთანა ხალხს, ე.ი. მე და როგოჟინს, ცხადია, ვიგინდარებად გვთვლის, შესაძლოა არც ცდება. ასე რომ, პასუხს მარტო თქვენ მოგთხოვენ, ბოთლების საფასურს, ასე ვთქვათ, თქვენ მოგკითხავენ. თქვენი ამბავი გამოიკითხა, ჩემი ყურით მოვისმინე, ხვალ უთუოდ მისი მეგობარი გეახლებათ, იქნებ ახლაც გიცდით უკვე. თუ იმდენ პატივს დამდებთ და სეკუნდანტად ამირჩევთ, თქვენი გულისთვის ყველაფერზე მზადა ვარ, გინდაც სალდათად მიკრან თავი. იმიტომაც გეძებდით, თავადო.

– თქვენც დუელზე მელაპარაკებით! – უცბად სიცილი წასკდა თავადს. კელერი სახტად დარჩა. ვინემ თავისი სეკუნდანტობა არ შესთავაზა, სული კინაღამ წაუვიდა, ამიტომაც ეწყინა თავადის გულიანი ხარხარი.

– ხომ არ დაგავიწყდათ, თავადო, ხელები რომ გაუკავეთ, ისიც ხალხში! კეთილშობილი კაცი ამას არ შეგარჩენთ.

– იმან კი გულში მკრა ხელი! – სიცილით შეჰყვირა თავადმა, – სადუელო არაფერია! ბოდიშს მოვუხდი და მორჩა. ხოლო თუ მაინც დუელი იქნება საჭირო, ბატონი ბრძანდებით! დეე, მესროლოს, კიდეც მინდა. ჰა-ჰა! ახლა დამბაჩის დატენაც ვიცი! დამბაჩის დატენა თუ იცით, კელერ ჯერ თოფისწამალი უნდა იყიდო, სადამბაჩე, სველი არ უნდა იყოს და არც ისეთი მსხვილი, როგორც ზარბაზნებისთვისაა საჭირო; მერე თოფისწამალი უნდა ჩაყარო, მერე ქეჩა უნდა მოაძრო სადმე კარს, მერე კი ტყვია ჩადო, არა ჯერ ტყვია და მერე თოფისწამალი, თორემ არ გაისვრის. გესმით, კელერ? თორემ არ გაისვრის. ჰა-ჰა! ამას რა სჯობია, მეგობარო კელერ აჰ, კელერ, იცით კი, რომ ახლა უნდა გადაგეხვიოთ და გადაგკოცნოთ. ჰა-ჰა-ჰა! წელან ისე უცბად საიდან გაჩნდით მის წინ? შემომიარეთ ამ დღეებში, შამპანური დავლიოთ. ყველანი გამოვთვრეთ! იცით კი, თორმეტი ბოთლი შამპანური რომ მიწყვია ლებედევის სარდაფში ამ სამი დღის წინ მომყიდა ლებედევმა „შემთხვევით“, ჩემი გადმოსვლის მეორე დღეს, მეც ვიყიდე! ყველას დავუძახებ! ამ ღამეს დაგეძინებათ

– როგორც ყოველთვის, თავადო.

– მაშ, ტკბილი სიზმრები მისურვებია! ჰა-ჰა!

თავადმა გზა გადაჭრა და პარკში გაუჩინარდა. შეცბუნებული და ჩაფიქრებული კელერი მარტო დარჩა. ასეთ უცნაურ გუნებაზე თავის დღეში არ ენახა თავადი და ვერც წარმოიდგენდა, თუ ნახავდა.

„ალბათ ციებ-ცხელება შეჰყრია, ნერვიული კაცია და იმიტომ. ყველაფერმა იმოქმედა. მაგრამ, ცხადია, არ დაფრთხება. სწორედ ეგეთები არ ფრთხებიან, ღმერთმანი! – ფიქრობდა თავისთვის კელერი. – ჰმ, შამპანურიო! კარგი ამბავია. თორმეტი ბოთლი, მაშასადამე, დუჟინი; არა უშავს, გვარიანი გარნიზონი ჰქონია. სანამლეოს ჩამოვალ, რომ ლებედევს ეს შამპანური გირაოში ექნება დარჩენილი. ჰმ... მაინც კაი კაცი ჩანს ეს თავადი; ღმერთმანი, მაგისთანა ხალხი მიყვარს; თუმცა დროს რაღას ვკარგავ... თუ შამპანური ჰქონია, სწორედ ახლაა მისწრება...“

თავადი მართლაც ციებ-ცხელება შეყრილს ჰგავდა.

კარგა ხანს იბორიალა მან ჩაბნელებულ პარკში, მერე ერთ ხეივანში „მოეგო გონს“, ახსოვდა, რომ ამ ხეივანში ბარე ოცდაათჯერ თუ ორმოცჯერ გაიარა წინ და უკან, სკამიდან ერთ ბებერ მაღალ ხემდე, რომელიც თვალში მოგხვდებოდა. მაგრამ რაზე ფიქრობდა თითქმის ეს ერთი საათი, რომც მოენდომებინა, ვერასგზით ვერ გაიხსენებდა. თუმცა ერთ ფიქრზე კი დაიჭირა თავი და უცბად სიცილი წასკდა. სიცილის გუნებაზე იყო, თორემ სასაცილო რა ჰქონდა. იფიქრა, იქნებ მარტო კელერს არ მოუვიდა თავში ეს აზრი, შეიძლება დუელში გამიწვიონო. მაშასადამე, არც დამბაჩის დატენის ისტორია იქნებოდა შემთხვევითი ამბავი...

– ვაჰ! – ახლა სხვა აზრმა გაუელვა თავში და გაჩერდა, – წელან ტერასაზე რომ ჩამოვიდა, საოცრად გაუკვირდა, კუთხეში რომ დამინახა – სიცილი დამაყარა... ისიც მკითხა, ჩაი თუ გინდაო; ხელში კი ეს წერილი ეკავა, მაშასადამე, დანამდვილებით იცოდა, ტერასაზე რომ ვიჯექი, აბა, რაღაზე გაიკვირვა ჰა-ჰა-ჰა!

მერე ჯიბიდან მსწრაფლ ამოიღო წერილი და აკოცა, მაგრამ მაშინათვე შედგა და ჩაფიქრდა.

„რა უცნაური ამბავია! რა უცნაური!“ – წაილაპარაკა ერთი წუთის შემდეგ რაღაც დაღონებით; დიდი სიხარულის წუთებში მუდამ სევდა მოერეოდა ხოლმე, რატომ, თვითონაც არ იცოდა. მერე დაკვირვებით მიმოიხედა ირგვლივ და გაოცდა, აქ რამ მომიყვანაო. ძალზე დაღლილი იყო, სკამზე ჩამოჯდა. საოცარი სიჩუმე მეფობდა ირგვლივ. სადგურში აღარ ისმოდა მუსიკა, არც პარკში იყო ალბათ ვინმე. რა თქმა უნდა, თორმეტის ნახევარზე ადრე არ იქნებოდა. წყნარი, თბილი, ნათელი ღამე იდგა

– როგორც ივნისის დასაწყისში იცის ხოლმე პეტერბურგში, მაგრამ დაბურული, დაჩრდილული პარკი და ხეივანი, სადაც ის იჯდა, თითქმის სულ ჩაბნელებული იყო. ამ წუთს რომ ვინმეს ეთქვა მისთვის, შეყვარებული, გაგიჟებით შეყვარებული ხარო, ჯერ გაუკვირდებოდა და მერე აღშფოთებითაც უარყოფდა მას. ხოლო ისიც რომ ეთქვა, აგლაიას წერილი სატრფიალო წერილია, სატრფიალო პაემანზე გიწვევსო, იმ კაცის მაგიერ სირცხვილით დაიწვებოდა და იქნებ დუელშიც გამოეწვია. იმდენად გულწრფელად სწამდა, რომ არ შეიძლება აგლაიას უყვარდეს იგი, ან თვითონ მას უყვარდეს აგლაია, რომ წარმოუდგენელი რამ არის „იმისთანა კაცის“ სიყვარული, როგორიც თვითონაა. თუ აგლაიას მხრივ რამე იყო, მისი აზრით, მხოლოდ ცელქობა და მეტი არაფერი, არც გულზე ხვდებოდა ეს ამბავი. სულ სხვას მიეჯაჭვა მისი გულისყური და სულ სხვა რამ აფიქრებდა. აღელვებული გენერლის სიტყვები, ყველას მასხარად გვიგდებს, ყველაზე მეტად კი შენაო, მართლაც დაიჯერა და არც სწყენია. მისი ფიქრით, ასეც უნდა ყოფილიყო. მთავარი ისაა, რომ ხვალ ისევ ნახავს, დილაადრიან, მწვანე სკამზე დაუჯდება გვერდით, ისევ მოისმენს დამბაჩის დატენის ამბავს და ცქერით გაძღება. სხვას არც ნატრობდა. რა უნდა უთხრას, ან რა დიდი საქმე აქვს ისეთი, მას რომ ეხება – ერთი-ორჯერ ამანაც გაუელვა თავში. ისიც სჯეროდა, რომ მართლაც იყო „დიდი საქმე“, რისი გულისთვისაც იბარებდნენ. მაგრამ თითქმის სულ არ ადარდებდა ეს დიდი საქმე და არც იმტვრევდა ამაზე თავს. ხეივნის სილაზე ხრაშახრუში გაისმა და თავადმაც თავი ასწია. ამ სიბნელეში კაცის სახის გარჩევა ძნელი იყო, მაგრამ რომ ის კაცი სკამს მოადგა და მის მახლობლად ჩამოჯდა, თავადი სწრაფად მიიხრჩდა მისკენ, თითქმის მიეკრა და როგოჟინის ფერწასული სახე გაარჩია.

– ვიცოდი, აქ სადმე იტრიალებდი, დიდი ძებნა არც დამჭირვებია, – კბილებში გამოსცრა როგოჟინმა.

ეს პირველი შეხვედრა იყო სასტუმროს დერეფანში მომხდარი ამბის შემდეგ. როგოჟინის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა თავადს, რამდენიმე ხანს ვერ მოიკრიბა გონი, მტანჯველმა გრძნობამ კვლავ გაიღვიძა მის გულში. როგოჟინიც, ეტყობა, მიხვდა, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა თავდაპირველად თითქოს ისიც აირია და განგებ ლაპარაკობდა ასე მოურიდებლად, მაგრამ რომ ეს განგებ არ იყო და არც დარცხვენით მოსდიოდა, მალე შეატყო თავადმა. თუ უხერხულობის კვალი აჩნდა მის ლაპარაკს და საქციელს, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად; გული ამ კაცს არ შეიძლება გადასხვაფერებოდა.

– აქ როგორ მომაგენი? – ჰკითხა თავადმა, რომ რამე ეთქვა.

– კელერმა მითხრა (შენთანაც ვიყავი სახლში), „პარკში წავიდაო“. ეგრეც იქნება-მეთქი, ვიფიქრე.

– რა „იქნებაო“? – შეშფოთებით ჩაეჭიდა თავადი ამ წამოცდენილ სიტყვას.

როგოჟინს ჩაეცინა, მაგრამ არა უპასუხა რა.

– შენი წერილი მივიღე, ლევ ნიკოლაიჩ; ნეტავ რას იწუხებ თავს. მოგცლია ერთი!.. ახლა იმან გამომგზავნა შენთან; უთუოდ მოვიდესო რაღაც უნდა გითხრას. დღესვე მოვიდესო, დამაბარა.

– ხვალ მივალ. ახლა შინ მივდივარ; ჩემთან... წამოხვალ?
– რა დამრჩენია ყველაფერი გითხარი, მშვიდობით.
– მაშ არ წამოხვალ? – ნელი ხმით ჰკითხა თავადმა.
– უცნაური ვინმე ხარ, ლევ ნიკოლაიჩ, პირდაპირ კაცს გააკვირვებ.
როგოჟინმა იქედნურად ჩაიცინა.
– ვითომ რატომ? ეგრე რამ გაგიბოროტა ჩემზე გული? – ნაღვლიანად და ფიცხად დასძინა თავადმა. – ახლა ხომ დარწმუნდი, რომ რასაც ფიქრობდი, სულ ტყუილია. თუმცა ასე მეგონა, ჩემზე კვლავ გაბოროტებული იქნებოდი. და იცი რატომ ჩემი მოკვლა რომ გინდოდა, იმიტომ, ღვარძლმაც იმიტომ არ გაგიარა. იცოდე, მარტო ის პარფენ როგოჟინი მახსოვს, ვისაც ჯვარი გავუცვალე და დავუმმობილდი; გუშინაც მოგწერე, ეგ რაღაც ბოდვა დაივიწყე და ამაზე აღარ წამომიწყო-მეთქი ლაპარაკი. რა გან-გან გიჭირავს თავი ან ხელს რად მიმალავ იცოდე, რაც მაშინ მოხდა, მხოლოდ ბოდვად მიმაჩნია სულ ზეპირად ვიცი ახლა იმდღევანდელი შენი ამბავი. რაც შენ წარმოიდგინე, არც არსებული და არც შეიძლება არსებობდეს. მაშ, ჩვენ შორის ღვარძლს რა უნდა?
– შენ რა ღვარძლი შეგიძლია! – ისევ გაეცინა როგოჟინს თავადის მხურვალე სიტყვებზე. ის მართლაც განზე გამდგარიყო, ორი ნაბიჯის მოშორებით და ხელები დაემალა.
– ახლა აღარც მომესვლება შენთანა, ლევ ნიკოლაიჩ, – მძიმედ დასძინა ბოლოს.
– იმდენად გმულვარ, ხომ?
– არ მიყვარხარ და რატომ უნდა მოვიდე შენთან, ლევ ნიკოლაიჩ ეჰ, რაღა ბალღი და რაღა შენ, თავადო, – სათამაშოს მოინდომებ და ხელდახელ უნდა გაგიჩინონ. საქმისა კი არა გესმის რა. წერილშიაც იგივეს მწერ. გგონია, არ მჯერა შენი ყოველი სიტყვის მჯერა, ვიცი, არც წინათ მატყუებდი და არც შემდეგში მომატყუებ; მე კი მაინც არ მიყვარხარ და არა. აგერ მწერ, ყველაფერი დავივიწყე, მარტო ჩემი ძმადნაფიცი როგოჟინი მახსოვს და არა ის როგოჟინი, ვინც დანა მომიღერა მოსაკლავადო. მერე და შენ რა იცი, რა მაქვს გულში! (როგოჟინს ისევ ჩაეცინა) იქნებ მე სულაც არ ვნანობ, შენ კი მითვლი, ძმურად მიპატიებიაო. ეგებ, იმ საღამოს სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, ეგ კი...
– აღარც გახსოვდა! – ჩამოართვა სიტყვა თავადმა, – ვიცი, ვიცი! სანაძლეოსაც ჩამოვალ, რომ იქიდან პირდაპირ მატარებელს დააჯექი და პავლოვსკში მუსიკის მოსასმენად გაჩნდი, დღევანდელივით მაშინაც ფარულად უმზერდი და უთვალთვალებდი. სულაც არ მიკვირს! მაშინ რომ იმ დღეში არ ყოფილიყავ, იმ ერთ ფიქრს არ დაემონე, იქნებ დანაც არ მოგეღერა ჩემთვის. შეგხედე თუ არა, მთელი ის დილა გული მითქვამდა უკვე ამას; იცი კი, როგორ იყავი მაშინ ჯვრები რომ გავცვალეთ იქნებ სწორედ მაშინ გამკრა ამ ფიქრმა. დედაშენთან რად შემიყვანე გეგონა, ეგ შეგაჩერებდა თუმცა არა მგონია, რომ გეფიქროს, მხოლოდ ჩემსავით გაგკრა გულში... მაშინ ჩვენ ერთნაირად ვიგრძენით ეს. შენ რომ ჩემზე ხელი არ აგემართა (კიდევ კარგი, ღმერთმა გვიხსნა), ახლა რა პირით უნდა შემეხედა შენთვის მე ხომ ეჭვი მქონდა მაინც შენზე, ცოდვაც ერთი გვადევს ამიტომ! (ნუ იჭმუხნები! რა გაცინებს ნეტა?) „არ ვნანობო“! კიდეც რომ გდომებოდა, იქნებ ვერც გენანა, არ გიყვარვარ და იმიტომ. ანგელოზივით უცოდველი რომ ვიყო შენთან, მაინც გეძულები, ვიდრემდე გეგონება, რომ შენ კი არა, მე ვუყვარვარ. მაშასადამე, ეგ ეჭვიანობის ბრალია. იცი, ეს ერთი კვირაა რას ვფიქრობ, პარფენ, გეტყვი ამასაც ახლა იქნებ ყველაზე მეტად შენ უყვარდე. იქნებ, რაც უფრო გაწამებს, უფრო მეტად უყვარხარ. არ გეტყვის, მაგრამ დანახვა უნდა ამას. ბოლოს და ბოლოს, ცოლად მაინც რატომ მოგყვება? ოდესმე თავისი პირით გამოგიტყდება ამაში. ზოგიერთი ქალი სწორედ ასეთ სიყვარულს დაეძებს, ეგეც მაგ

ბუნებისაა! შენს ხასიათსა და შენს სიყვარულს საგონებელში უნდა ჩაეგდო! იცი, ქალს შეუძლია გულქვაობითა და დაცინვით ამოგხადოს სული, ისე, რომ სინდისმაც არ შეაწუხოს, იმიტომ რომ გიყურებს და გულში ფიქრობს „ახლა რომ ვაწამებ და ვამწარებ, სამაგიეროდ, მერე სიყვარულად ვუზღავო...“

– რაო, თავადო, – გადაიხარხარა როგოჟინმა თავადის სიტყვებზე. – ეგეთს ხომ არ გადაეყარე შენ თვითონ? რაღაც-რაღაცებს კი მოვკარი ყური შენზე, ნეტა თუ მართალია?

– რაო, რას მოჰკარი ყური? – შეკრთა ანაზდად თავადი.

როგოჟინი ხარხარებდა. თავადის ნალაპარაკევმა თითქოს დააინტერესა და ასიამოვნა. მისმა ასეთმა გატაცებით საუბარმა ძალზე გააოცა და გაამხნევა იგი.

– ყურიც მოვკარი და ჩემი თვალითაც ვხედავ ახლა, რომ მართალია, – დასძინა ესეც, – აბა როდესმე ეგრე გილაპარაკნია თითქოს სხვა კაცი იყო. ეგ ამბავი რომ არ გამეგონა შენზე, არც აქ მოვიდოდი; ისიც პარკში, ამ შუაღამისას.

– არ მესმის, რას ლაპარაკობ, პარფენ სემიონიჩ.

– იმან დიდი ხანია ამიხსნა შენი ამბავი, წეღან კი საკუთარი თვალებით დაგინახე მუსიკის დროს, რა სახით უჯექი მას გვერდით. გუშინ და დღეს სულ მეფიცებოდა, ვითომც აგლაია ივანოვნაში ჩამწვარი ხარ. ჩემთვის, თავადო, სულ ერთია, არც მეხება ეგ ამბავი. თუ შენ ის აღარ გიყვარს, იმას მაინც უყვარხარ. ხომ იცი, უთუოდ უნდა მასზე დაგწეროს ჯვარი, სიტყვა დადო ასეთი, ჰე-ჰე! მითხრა „უამისოდ არ გამოგყვები, რა წამს ისინი ეკლესიაში წავლენ, ჩვენც მაშინ წავალთო“. რა მიზეზია, არ მესმის და ვერც გამიგია: ან უსაზღვროდ უყვარხარ, ან... მაგრამ თუ უყვარხარ, სხვაზე რად გწერს ჯვარს? იძახის „მინდა ბედნიერი იყოსო“, მაშასადამე, უყვარხარ.

– გითხარი და მოგწერე კიდეც, ეგ... თავის ჭკუაზე ვერ არის-მეთქი, – უთხრა თავადმა.

როგოჟინის სიტყვებმა გული ჩაწყვიტა.

– ღმერთმა უწყის! ამაში შესაძლოა სცდები... თუმცა, როგორც კი მუსიკიდან მივიყვანე, დღე დამინიშნა სამი კვირის მერე, იქნებ უფრო ადრეც, უსიკვდილოდ ჯვარს დავიწერთო; ფიცი დასდო, ხატი ჩამოიღო, აკოცა. მაშასადამე, ახლა, თავადო, შენზეა დამოკიდებული, ჰე-ჰე!

– ეგ სულ გიჟის ბოდვაა! რაც ჩემზე თქვი, თავის დღეში არ მოხდება, თავის დღეში! ხვალ მოვალ თქვენთან...

– აბა, გიჟს რა უგავს – ჩაურთო როგოჟინმა, – სხვებისთვის გიჟი არ არის, მარტო შენთვის როგორაა გიჟი? მაშ, წერილებს როგორღა წერს იქ? გიჟი რომ იყოს, მის წერილებს არ შეეტყობოდა?

– რა წერილებს? – დაფრთხა თავადი.

– იქ, იმას სწერს, ისიც კითხულობს. განა არ იცი? მაშ გაიგებ, ალბათ თვითონ გაჩვენებს.

– ამას არ დავიჯერებ! – შეჰყვირა თავადმა.

– ეე! როგორც გატყობ, ლევ ნიკოლაიჩ, გამოცდილება გაკლია, ახლახან აგიდგამს ფეხი ამ გზაზე, ცოტა დაიცა საკუთარ პოლიციას გაიჩენ, დღედაღამ დარაჯად დაუდგები, ყოველი ნაბიჯი გეცოდინება მისი, თუკი...

– გაჩერდი და არც არასოდეს მელაპარაკო ამაზე! – შეჰყვირა თავადმა. – ყური მიგდე, პარფენ, სწორედ შენს მოსვლამდე აქ დავდიოდი და უცბად სიცილი ამიტყდა, არ ვიცი რატომ, ოღონდ მიზეზი ის არის, რომ გამახსენდა, ხვალ თითქოს განზრახ, ჩემი დაბადების დღეა. ახლა საცაა თორმეტი დაჰკრავს. წამო, ჩემსა შევხვდეთ დილას! ღვინო მაქვს, დავლიოთ, მისურვე რამე, თუმცა თვითონაც არ ვიცი, რა უნდა მისურვო. მაგრამ მინდა კი, რომ სწორედ შენ დამლოცო. მეც

სრულ ბედნიერებას გისურვებ. თუ არა და ეგ ჯვარი უკან მომეცი! ხომ არ დაგიბრუნებია მეორე დღეს. ხომ ისევ ზედა გაქვს ახლაც ზედა გაქვს?

– მაქვს, – წაილაპარაკა როგოჟინმა.

– ჰოდა, წავიდეთ. უშენოდ არ მინდა ახალ ცხოვრებას შევხვდე, ვინაიდან ჩემი ახალი ცხოვრება იწყება. არ იცი, პარფენ, რომ დღეს ჩემი ახალი ცხოვრება დაიწყო?

– ახლა ჩემი თვალით ვხედავ და ვიცი, ასეც მოვახსენებ. ატაცებული ხარ, ლევ ნიკოლაევიჩ!

IV

საოცრად გაუკვირდა თავადს, როცა როგოჟინთან ერთად თავის აგარაკს მიუახლოვდა და გაჩახჩახებულ ტერასაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაინახა. მხიარულ კამპანიას ერთი ხარხარი და ღრიანცელი ჰქონდა, მგონი, დაობდნენ კიდეც ხმის ჩახლეჩამდე. პირველივე შეხედვით იფიქრებდი, გახურებული დროსტარებააო. რომ ყველა შამპანურს სვამდა, ეს მართლაც ნახა თავადმა ტერასაზე ასვლისას, და როგორც ჩანს, დიდი ხანია სვამდნენ უკვე, ვინაიდან ბევრი მათგანი კარგა შეჭიკჭიკებული გახლდათ. სტუმრებიდან ყველა მისი ნაცნობი იყო, მაგრამ მაინც საკვირველ ამბავს წარმოადგენდა, ერთად როგორ შეყრილიყვნენ დაპატიჟებულებივით, თუმცა კი თავადს არავინ დაეპატიჟნა და თავისი დაბადების დღე თვითონაც შემთხვევით გაახსენდა.

– გეტყობა, ვიღაცასთან დაგცდა, შამპანურზე დაგპატიჟებთო, და ეგენიც კისრისტეხით მოცვივდნენ, – წაიბუტბუტა როგოჟინმა ტერასაზე ასვლისას, – ეგ ამბავი კი ვიცი; მაგათ ერთი დაუსტვინე და... – ღვარძლიანად დააყოლა ესეც, ალბათ თავისი არცთუ დიდი ხნის წარსული გაახსენდა.

თავადს ერთი ყვირილითა და დალოცვებით შემოეგებნენ, ზოგი ზომაზე მეტად გაჰკიოდა, სხვებს უფრო დინჯად ეჭირათ თავი, მაგრამ მილოცვას კი ყველა ეშურებოდა, რაკი დაბადების დღე გაეგოთ მისი და ყველა თავის რიგს ელოდა.

ზოგიერთი პიროვნების აქ ყოფნამ თავადს ცნობისმოყვარეობა აღუძრა, მაგალითად, ბურდოვსკისი, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ამ კამპანიაში უეცრივ ევგენი პავლოვიჩიც აღმოაჩინა, ლამის თვალებს არ უჯერებდა და ლამის გული გადაუტრიალა მისმა დანახვამ.

ამასობაში სახეაჭინჟღილებულმა და აღფრთოვანებულმა ლებედევმაც მოირბინა და ახსნა-განმარტებას მოჰყვა. უკვე კარგა გამობრუჟული გახლდათ. მისი რატრატიდან გამოირკვა, რომ ყველას თავმოყრის მიზეზი ბუნებრივი და შემთხვევითი იყო. პირველად, საღამოხანისთვის, იპოლიტი მოსულიყო. რაკი თავს უკეთ გრძნობდა, მოეწადინებია, თავადს ტერასაზე დალოდებოდა და დივანზე მოკალათებულა. მერე ლებედევი გამოსულა მასთან, შემდეგ მთელი მისი ოჯახი, ესე იგი, გენერალი ივოლგინი და ქალიშვილები, ბურდოვსკი იპოლიტს მოჰყოლოდა. განია და პტიცინი დიდი ხანი არაა, რაც მოსულან, გზად შემოევლოთ (მათი მოსვლა სადგურზე მომხდარ ამბავს ემთხვეოდა). შემდეგ კელერიც გამოჩენილა, უთქვამს, თავადის დაბადების დღეაო და შამპანური მოუთხოვია. ევგენი პავლოვიჩი ნახევარი საათის წინ მობრძანებულა. შამპანურის გამოტანასა და ზეიმის მოწყობაზე კოლიასაც გამოუდვია თავი. ლებედევს მაშინვე გამოუტანია ღვინო.

– მხოლოდ ჩემი საკუთარი, საკუთარი! – ეტუტუნებოდა იგი თავადს, – ჩემს ხარჯზე, ბატონო, სადიდებლად და მოსალოცად, სუფრაც გაიშლება, საუზმეც იქნება, ჩემი ქალი ტრიალებს. მაგრამ რომ იცოდეთ, თავადო, რა თემაზეა ახლა დავა! გახსოვთ ჰამლეტის „ყოფნა არყოფნა“ თანამედროვე თემაა, თანამედროვე! კითხვა-პასუხები... ბატონი ტერენტიევიც დიდად გაერთო... ამბობს, არ მეძინებაო და რა ვქნა! შამპანური მარტო ერთი ყლუპი მოსვა, არ აწყენს... ახლოს მობრძანდით, თავადო, და გადაწყვიტეთ! თქვენ გელოდით, ყველა მხოლოდ თქვენს სვებედნიერ ჭკუას ველოდით...

ვერა ლებედევიც იკვლევდა გზას სტუმრებში და ალერსიანად უღიმოდა თავადს. პირველად მას გაუწოდა თავადმა ხელი; ქალს სიამოვნებისაგან სახე წამოუწითლდა, უსურვა „ამ დღიდან ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთო“. შემდეგ კისრისტეხით გავარდა სამზარეულოში, სადაც საუზმეს ამზადებდა; თავადის მოსვლამდეც რამდენჯერმე გამოსულიყო ტერასაზე – მხოლოდ ერთი წუთით, საქმეს ხომ ვერ მიატოვებდა – და დიდი გულისყურით უსმენდა, რა გაცხარებით დაობდნენ შეზარხოშებული სტუმრები ყოვლად განყენებულსა და მისთვის გაუგებარ საგნებზე. მის პატარა პირღია დაიას მეორე ოთახში სკივრის თავზე ჩასძინებოდა, ძმა კი, ლებედევის ბიჭი, კოლიასა და იპოლიტს ამოდგომოდა გვერდში. მის აღფრთოვანებულ სახეზე ეწერა, რა ნეტარებითაც უსმენდა საუბარს და, თუნდაც ათი საათი კიდევ გაგრძელებულიყო, არ მოსწყინდებოდა სმენა.

– თქვენს მოსვლას განსაკუთრებით ველოდი, საოცრად მიხარია, ასე ბედნიერი რომ დაბრუნდით, – უთხრა იპოლიტმა, როცა ვერას შემდეგ მასთან მივიდა თავადი და ხელი ჩამოართვა.

– საიდან იცით, „ასე ბედნიერი“ რომ ვარ?

– სახეზე გაწერიათ. იმ ბატონებსაც მიესალმეთ და ჩქარა მოგვიჯექით აქ. განსაკუთრებით ველოდი თქვენს მოსვლას, – ხაზგასმით დააყოლა მან. თავადის შეკითხვაზე „ხომ არ გავნებთ, გვიანობამდე რომ ზიხართო“ – უთხრა, თვითონაც მიკვირს, სამი დღის წინათ სიკვდილს რომ ვაპირებდი, თავის დღეში ასე კარგად არ მიგრძვნია თავი, როგორც ამ საღამოსო.

ბურდოვკსი ზეზე წამოიჭრა და წაილუღლუღა, მე ისე მხოლოდ... იპოლიტს „მოვყევიო“, მეც მოხარული ვარ; წერილში „სისულელე მოგწერეთ“, ახლა კი „მიხარია, სხვა არაფერიო“... მაგრამ აღარ გააგრძელა, თავადს ღონივრად ჩამოართვა ხელი და დაჯდა.

ყველაზე ბოლოს ევგენი პავლოვიჩს მიადგა თავადი. იმან მყისვე ხელი გაუყარა.

– ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთან, – ჩაულაპარაკა ხმადაბლა, – ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე. წუთით აქეთ მობრძანდით.

– ორი სიტყვა მინდა გითხრათ, – ახლა სხვა ხმამ წასჩურჩულა თავადს მეორე ყურში და სხვამ გაუყარა ხელი მეორე მხრიდან. გაოცებულმა თავადმა ერთი თმააბურძგვნილი, წამოჟინჟღილებული კაცი დაინახა, თვალს რომ უპაჭუნებდა და უცინოდა. მყისვე იცნო ფერდიშჩენკო. კაცმა არ იცის, იქ საიდან გაჩენილიყო.

– გახსოვთ ფერდიშჩენკო – ჰკითხა მან.

– აქ საიდან გაჩნდით – შესძახა თავადმა.

– ძალიან ნანობს, ძალიან, – გამოქანდა მათკენ კელერი, – დამალული იყო, არ უნდოდა თქვენთან გამოჩენა, იმ კუთხეში იყო დამალული. ძალიან ნანობს, თავადო, თავს დამნაშავედ გრძნობს.

– კი მაგრამ, რა დანაშაული აქვს?

– ეს წუთია შევხვდი, თავადო, შევხვდი და აქ მოვიყვანე; ჩემს მეგობრებში იშვიათი კაცია. მაგრამ ნანობს კი.

– ძალზე მოხარული ვარ, ბატონებო, დაბრძანდით იქ, იმათთან, მე ახლავე მოვალ, – ძლივს გამოუსხლტა თავადი და ევგენი პავლოვიჩისკენ გაეშურა.

– ნახევარი საათია, გიცდით, თავადო, და სიამოვნებით გავატარე ეს დრო, საინტერესო ხალხი გწვევიათ, – შენიშნა მან. – იცით რა, ძვირფასო ლევ ნიკოლაევიჩ, კურმიშევთან ყველაფერი მოვაგვარე და დასაწყნარებლად შემოგიარეთ. აღარაფერზე იდარდოთ, ფრიად გონივრულად მიუდგა საკითხს, მით უმეტეს, ჩემი აზრით, თვითონ უფროა დამნაშავე.

– ვინ კურმიშევი?

– აი, წეღან რომ ხელები დაუკავეთ... ისე გაცოფებული იყო, ხვალ კაცი უნდა გამოეგზავნა თქვენთან.

– რა სისულელეა!

– რა თქმა უნდა, სისულელეა და სისულელითაც დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენში ეს ხალხი...

– სხვა საქმემ ხომ არ მოგიყვანათ კიდევ, ევგენი პავლიჩ?

– ო, ცხადია, სხვა საქმემაც, – გაეცინა ევგენი პავლიჩს, – ხვალ უთენია უნდა წავიდე იმ უბედური საქმის თაობაზე (აი, ბიძაჩემის საქმეზე) პეტერბურგში; წარმოიდგინეთ ყველაფერი მართალი ყოფილა და ჩემ გარდა ყველას სცოდნია. ისე შემაძრწუნა ამ ამბავმა, იქ ვეღარ მოვასწარი შევლა (ეპანჩინებთან); არც ხვალ ვიქნები აქ, პეტერბურგში დავრჩები, გესმით იქნებ ეს სამი დღე ვერც ჩამოვიდე, – ერთი სიტყვით, წამიცდა ფეხი. ვერ ვიტყვი, რომ უსაზღვროდ დიდი საქმე მაქვს, მაგრამ მაინც ვარჩიე, ზოგი რამ გულახდილად გამერკვია თქვენთან, არც სხვა დროისთვის გადამედო, წასვლამდე უნდა გითხრათ. ახლა თუ ნებას დამრთავთ, ცოტა ხანს დავჯდები და მოვიცდი, ვიდრე სტუმრები დაიშლებიან; ან სად უნდა წავიდე, აღელვებული ვარ და მაინც ვერ დავიძინებ. დაბოლოს, იმასაც გეტყვით პირდაპირ, რომ თქვენი დამეგობრება მწადია, ჩემო საყვარელო თავადო, თუმცა კი უსინდისობაა, ასე აშკარად ავკიდო კაცს. სამაგალითო კაცი ხართ, ესე იგი, ყოველ ფეხის გადადგმაზე არ სტყუით, იქნებ საერთოდ არც გჩვევიათ ტყუილი, მე კი ამ ჩემს საქმეში მეგობარი და მრჩეველი მჭირდება, ახლა მეც გაუბედურებულებში ვწერივარ, ასე ვთქვათ... – ევგენი პავლოვიჩმა კვლავ სიცილი მოაყოლა.

თავადი წუთით ჩაფიქრდა.

– ვაი, რომ ეგენი დიდხანს კიდევ არ დაიშლებიან. იცით, სჯობია ახლავე ბაღში ჩავიდეთ; მაგათ ბოდიშს მოვუხდი და მომიცდიან.

– აპა-პა, არ მინდა ეჭვი აიღონ, ვითომც სასწრაფო სალაპარაკო გვაქვს, არ მინდა გარკვეული მიზეზების გამო. აქ ისეთი ხალხი ესწრება, ვისაც ფრიად აინტერესებს ჩვენი დამოკიდებულება, – იცით ეს, თავადო გაცილებით უკეთესი იქნება, თუ დაინახავენ, რომ მხოლოდ კარგი განწყობა გვაქვს ერთმანეთში და არა სასწრაფო საქმე, გამიგეთ ორი საათის შემდეგ დაიშლებიან; მე ოც წუთს წაგართმევთ მხოლოდ, დიდი-დიდი, ნახევარ საათს...

– ბატონი ბრძანდებით, მოხარული ვარ, რომ მეწვიეთ. დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემთან მეგობრობის სურვილზე. უკაცრავად, დღეს ძალზე არეული ვარ; იცით, არამც და არამც არ შემიძლია რატომღაც ყურადღება მოვიკრიბო.

– გატყობთ, გატყობთ, – წაიბუტბუტა ევგენი პავლოვიჩმა და ოდნავ ჩაიცინა. ამ საღამოს თითქმის ყველაფერი აცინებდა.

– რას მატყუებთ? – შეწრიალდა თავადი.

ევგენი პავლოვიჩმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და სიცილით განაგრძო:

– მაშ, ეჭვი არ შეგსვლიათ, ჩემო კარგო თავადო, რომ თქვენი მოტყუების სურვილმა მომიყვანა აქ და თან ისე, სხვათა შორის, რაღაცის დაცინცვლაც მინდა?

– რომ დასაცინცლად ხართ მოსული, ამას ეჭვი რად უნდა, – გაეცინა თავადსაც. – შესაძლებელია, ცოტა მოტყუებაც გინდოდათ ჩემი. მერე რა, მე თქვენი არ მეშინია; ჩემთვის ახლა რატომღაც სულერთია ყველაფერი, დამიჯერებთ ჰოდა... ჰოდა, რაკი მაინც მწამს, რომ ჩინებული ადამიანი ბრძანდებით, მგონი, ბოლოს დავმეგობრდეთ კიდეც. ძალიან მომეწონეთ კი, ევგენი პავლიჩ, ძალიან... მეტად რიგიანი ადამიანი ხართ, ჩემის ფიქრით!

– ყოველ შემთხვევაში, თქვენთან საამო ყოფილა საქმის დაჭერა, რა საქმეც არ უნდა იყოს, – დაასკვნა ევგენი პავლიჩმა, – წავიდეთ, თქვენ სადღეგრძელოდ ერთ ჭიქას შევსვამ; ძალზე კმაყოფილი ვარ, რომ აგეკიდეთ. ეს ბატონი იპოლიტი, – შეჩერდა ის უეცრივ, – თქვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად?

– დიახ.

– ვფიქრობ, ახლა არ მოკვდება, ხომ?

– რაზე ამბობთ?

– არაფერი, ისე; ნახევარი საათი დავყავი მაგასთან...

იპოლიტი მალიმალ იყურებოდა იმ მხარეს, საითაც თავადი და ევგენი პავლიჩი განაპირებულიყვნენ. გაეხარდა და გამოცოცხლდა, როცა ისინი მაგიდას მოუახლოვდნენ. მოუსვენრობა და აღელვება ეტყობოდა. შუბლზე ოფლი ასხამდა. ანთებულ თვალებს რაღაც შეშფოთებით და მოუთმენლად აცეცებდა, უმიზნოდ გადაჰქონდა მზერა საგნიდან საგანზე, სტუმრიდან სტუმარზე. საერთო ყაყანში აქამდე კი ერეოდა გულდაგულ, მაგრამ ეს აღტყინება უფრო მის აღგზნებულ მდგომარეობას მიეწერებოდა; საუბრის შინაარსს მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევდა; რაღაც უთავბოლოდ დაობდა, დამცინავად და დაუდევრად; ჯერ თვითონ წამოიწყებდა ავადმყოფური სიფიცხით ლაპარაკს და თვითონვე შუაზე წყვეტდა. თავადს გაუკვირდა და ეწყინა, რომ უთხრეს, იპოლიტმა ამ საღამოს შამპანურის ორი სავსე ჭიქა დალია და წინ მესამე უდგასო. მაგრამ ეს მერე გაიგო. ამჟამად კი ჩაკვირვების თავი არ ჰქონდა.

– იცით, საოცრად მიხარია, რომ სწორედ დღესაა თქვენი დაბადების დღე! – შესძახა იპოლიტმა.

– რატომ

–შეიტყობთ; ჩქარა მომიჯექით; ჯერ იმიტომაც, რომ ეს... თქვენი ხალხია შეყრილი. ასეც ვფიქრობდი, შეიყრებიან-მეთქი. პირველად გამიმართლა ანგარიშმა! აფსუს, არ ვიცოდი თქვენი დაბადების დღე რომ იყო, თორემ საჩუქარს ჩამოგიტანდით... ჰა-ჰა! თუმცა იქნებ მოგიტანეთ საჩუქარი! ბევრი უკლია გათენებას?

– გათენებამდე ორი საათიც არ იქნება დარჩენილი, – საათს დახედა პტიცინმა.

– გათენება რად გინდა გარეთ ისედაც წაიკითხავს კაცი წიგნს! – შენიშნა ერთმა.

– იმიტომ, რომ მზის პატარა კიდე მაინც მინდა დავინახო. როგორ გგონიათ, თავადო, მზის სადღეგრძელოს შესმა თუ შეიძლება?

იპოლიტის ეს კითხვები მკვახე და უბოდიშო იყო, ბრძანებასავით გაისმოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონაც ვერ ამჩნევდა ამას.

– კი, ბატონო, შევსვათ; მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მოგესვენათ, იპოლიტ, ჰა?

– რას ჩამაცივდით ამ ძილით; პირდაპირ ლალად გამიხდით, თავადო! როგორც კი მზე გამოჩნდება და ცაზე „ამღერდება“ (ვის ლექსშია „ცაზე ამღერდა მზეო“[96] უაზრობაა, მაგრამ კაი კია!), მაშინ ჩვენც დავწვებით და დავიძინებთ. ლებედევ! მზე ხომ წყაროა ცხოვრებისა რას ნიშნავს „წყარო ცხოვრებისა“ აპოკალიფსში „აფსინთის ვარსკვლავზე“ თუ გაგიგონიათ, თავადო?

– გამიგია, ლებედევი მაგ „აფსინთის ვარსკვავს“ რკინიგზის ქსელებად თვლის ევროპაში.

– არა, მომითმინეთ, ეგრე არ შეიძლება! – შეჰყვირა ლებედევმა და ისეთი სახით წამოიჭრა და ხელები აიქნია, თითქოს უნდა, ესაა ატეხილი საერთო სიცილი შეაჩეროს, – მომითმინეთ! ამ ბატონებს... ყველანი ეს ბატონები ხომ გარკვეულ პუნქტებში აი რანი არიან... – მიუტრიალდა უეცრად ის თავადს და უბოდიშოდ ორჯერ დაუკაკუნა მაგიდას. ხარხარმა იმძლავრა.

ლებედევი ამ საღამოსაც ჩვეულებისამებრ გადაკრულში იყო, მაგრამ ამჯერად თითქოს ზომაზე მეტად აეღელვებინა და გაეღიზიანებინა წეღანდელ ხანგრძლივ „სამეცნიერო“ დავას, ასეთ შემთხვევებში კი თავის ოპონენტებს უსაზღვრო და უაღრესი ზიზღის თვალით უმზერდა.

– ეგრე არ გახლავთ! ამ ნახევარი საათის წინ, თავადო, შევთანხმდით, ერთმანეთს დავაცალოთ ლაპარაკი, არც სიცილი დავაყაროთ. ჩვენ-ჩვენი სათქმელი თავისუფლად ვთქვათ და მერე შეგვედავონ ათეისტები, თუკი ამის სურვილი ექნებათ; თავმჯდომარედ გენერალი დავსვათ, დიახ! თორემ რა გამოვა ასე ხომ ყოველ კაცს აურევ დავთარს, რა დიდ იდეაზედაც არ უნდა ილაპარაკოს...

– ჰოდა, ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, არავინ არ გირევთ დავთარს!

– ეგ „აფსინთის ვარსკვლავი“ რაღაა? – იკითხა ერთმა.

– წარმოდგენა არა მაქვს! – მიუგო გენერალმა ივოლგინმა და მედიდურად დაიკავა ისევ თავმჯდომარის ადგილი.

– საოცრად მიყვარს, თავადო, ასეთი დავა და ცხარე კამათი, ცხადია, მეცნიერული თუა, – ებუტბუტებოდა თავადს დიდად კმაყოფილი კელერი და მოუთმენლად ცქმუტავდა სკამზე. – მეცნიერული და პოლიტიკური, – ახლა მის გვერდით მჯდარ ევგენი პავლოვიჩს მიუტრიალდა იგი. – იცით, საოცრად მიტაცებს გაზეთებში ინგლისის პარლამენტის ამბები, მათი მსჯელობანი კი არა (მე პოლიტიკოსი არ გახლავართ), არამედ ის, როგორ მიმართავენ ერთმანეთს, როგორ უჭირავთ, ასე ვთქვათ, თავი „ჩემს პირდაპირ მჯდომმა კეთილშობილმა ვიკონტმაო“. „კეთილშობილმა ოპონენტმა, ვინც მთელი ევროპა განაცვიფრა თავისი წინადადებითო“, – ეს გამოთქმები, თავისუფალი ხალხის მთელი ეს პარლამენტარიზმი – აი, რა იტაცებს ჩვენს ძმას! მოხიბლული ვარ, თავადო. სულის სიღრმეში მუდამ არტისტი გახლდით, თავს გეფიცებით, ევგენი პავლიჩ.

– მერე რაო, ვითომ, – ცხარობდა მეორე კუთხეში განია, – მაშ თქვენის აზრით რკინიგზები დაწყევლილია, კაცობრიობის დასაღუპად დედამიწაზე მოვლენილი ჭირია, „წყარო ცხოვრებისა“ ამტუტებულია გავრილა არდალიონოვიჩი იშვიათ მხიარულსა და ლამის მოზეიმე გუნებაზე იყო ამ საღამოს, როგორც ეს თავადს მოეჩვენა. ლებედევს, მართალია, ეხუმრებოდა, მაგრამ მალე თვითონაც გაფიცხდა.

– მარტო რკინიგზები არა, ბატონო, – ესიტყვებოდა ლებედევი, რომელიც თითქოს ბრაზობდა და წარმოუდგენელ სიამოვნებასაც გრძნობდა, – მარტო რკინიგზები არ ამღვრევენ წყაროებს ცხოვრებისას, არამედ ეს ყველაფერი ერთიანად. ამ ჩვენი უკანასკნელი საუკუნეების განწყობა მთლიანად აღებული, მეცნიერული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა, მართლაც დაწყევლილი იყოს.

– მართლა დაწყევლილია თუ მხოლოდ შესაძლოა ამ შემთხვევაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, – იკითხა ევგენი პავლიჩმა.

– დაწყევლილია, მართლა დაწყევლილი, – დაემოწმა გაცხარებული ლებედევი.

– ნუ ჩქარობთ, ლებედევ, დილაობით უფრო კეთილი ხართ ხოლმე, – ღიმილით შენიშნა პტიცინმა.

–სამაგიეროდ, საღამოობით უფრო გულახდილი! საღამოობით უფრო გულწრფელი და გულახდილი! – უმალ შემოტრიალდა მისკენ ლებედევი, – უფრო ალალი და გარკვეული, უფრო პატიოსანი და დარბაისელი. ამით შეიძლება მოგვერდი მომდოთ, მაგრამ მიმიფურთხებია ამისთვის; ახლა ყველას გიწვევთ, ყველა ათეისტს, აბა, ხედავთ, გესმით, მეცნიერნო, მეწარმენო, ასოციაციების, გასამრჯელოსა თუ სხვათა და სხვათა ხალხო რითი-მეთქი? კრედიტით? კრედიტი რა არის? სადამდე მიგიყვანთ ეგ კრედიტი?

– ეს რა ცნობისმოყვარეობას შეუჭამიხართ! – შენიშნა ევგენი პავლოვიჩმა.

– ჩემის აზრით, ვისაც ეს საკითხი არ აწუხებს, ის მაღალი წრის შენაპანია[97] და მეტი არაფერი.

– საყოველთაო სოლიდარობასა და ინტერესთა წონასწორობამდე მაინც მიგვიყვანს, – ჩაურთო პტიცინმა.

– მხოლოდ და მხოლოდ! ზნეობა არაა საჭირო, პირადი ეგოიზმისა და მატერიალური აუცილებლობის დაკმაყოფილება კმარა, სხვა არაფერი, ხომ საყოველთაო მშვიდობა, საყოველთაო ბედნიერება, ისიც იმიტომ, რომ აუცილებლობა მოითხოვს! სწორად გაგიგეთ თუ არა, მოწყალეო ბატონო ჩემო?

– განა საყოველთაო აუცილებლობა არ გახლავთ ცხოვრება, ჭამა-სმა, ხოლო სრული მეცნიერული მრწამსი, რომ ამ აუცილებლობას საყოველთაო ასოციაციისა და ინტერესთა სოლიდარობის გარეშე ვერ დაიკმაყოფილებ, მგონი, საკმაოდ ღონიერი აზრია, რათა კაცობრიობის მომავალი საუკუნეები დასაყრდენ წერტილად და „წყაროდ ცხოვრებისად“ გამოდგეს, – შენიშნა უკვე მართლაც გაცხარებულმა განიამ.

– ჭამა-სმის აუცილებლობა, ანუ მხოლოდ მარტოდენ თავის გადარჩენის გრძნობა...

– განა თავის გადარჩენის გრძნობა საკმარისი არ არის უკვე? თავის გადარჩენის გრძნობა ხომ კაცობრიობის ნორმალური კანონია...

– ვინ მოგახსენათ? – შესძახა უეცრივ ევგენი პავლოვიჩმა, – მართალია, კანონია, მაგრამ იმდენად ნორმალური, რამდენადაც განადგურების და მგონი თვითგანადგურების კანონიც. განა მხოლოდ თავის გადარჩენა შეადგენს კაცობრიობის ნორმალურ კანონს?

– ოჰო! – წამოიყვირა იპოლიტმა, სწრაფად მოტრიალდა ევგენი პავლოვიჩისკენ და გიჟური ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა. მაგრამ რომ დაინახა, იცინისო, თვითონაც გაიცინა, გვერდით მდგარ კოლიას ჯლიქვი გაჰკრა და ისე ჰკითხა, რომელი საათიაო, თვითონვე დახედა კოლიას ვერცხლის საათის ისარს. მერე თითქოს ყველაფერი დაავიწყდაო, დივანზე გაიჭიმა, თავქვეშ ხელები ამოიდო და ჭერს მიაშტერდა. ნახევარი წუთის შემდეგ ისევ მაგიდასთან იჯდა და ლებედევის გაცხარებულ ლაქლაქს უგდებდა ყურს.

– ვერაგული და ქილიკური აზრი გახლავთ, გესლით სავსე, – აიტაცა ლებედევმა ევგენი პავლოვიჩის პარადოქსი, – მოწინააღმდეგე რომ გააცხაროთ! მაგრამ სწორი აზრი კია! ალბათ არც იცით, დიდგვაროვანო ქილიკოსო და კავალერისტო (თუმცა ნიჭს ვერ წაგართმევთ კაცი!), რაოდენ ღრმა აზრი გამოთქვით, რაოდენ სწორი! დიახაც, თვითგანადგურებისა და თვითგადარჩენის კანონი ერთნაირად ძლიერად მოქმედებს კაცთა მოდგმაზე! ეშმაკი ერთნაირად ბატონობს კაცობრიობაზე და არ ვიცით, ვიდრემდე იბატონებს. იცინით ეშმაკის არ გჯერათ ეშმაკის უარყოფა ფრანგების მონაგონია, მათი ჭკუამჩატობის ნაყოფი. იცით კი, ვინ არის ეშმაკი იცით, რა ჰქვია სახელად თქვენ დასცინით მას, ვისი სახელიც არ იცით, დასცინით მის გარეგნობას, მსგავსად ვოლტერისა, მის ჩლიქებს, კუდსა და რქებს, რაც თვითონვე მიაწერეთ; რამეთუ ბოროტი სული დიადი და მრისხანე სულია, და არა აქვს მას არც ჩლიქნი, არც რქანი, თქვენივე მოგონილი, მაგრამ ახლა საქმე ეს არაა!

– საიდან იცით, რომ ახლა საქმე ეს არაა? – შესძახა უეცრად იპოლიტმა და ისტერიულად გადაიხარხარა.

– მოსწრებული და ნართაული თქმაა! – მოუწონა ლებედევმა, – მაგრამ მაინც საქმე ეს არაა. ჩვენ იმას ვარკვევდით, რომ არ იკლო „წყარომ ცხოვრებისამ“, რაკი მომძლავრდა...

– რკინიგზები? – დაუყვირა კოლიამ.

– რკინიგზები არა, ჩემო გულფიცხო ყრმაო, არამედ მთელი ის მიმართულება, რის, ასე ვთქვათ, სურათად, მხატვრულ გამოსახვად რკინიგზები შეიძლება გამოდგეს. გრიალ-გრიალით, რახრახით მიქრიან და მიისწრაფიანო, როგორც ამბობენ, კაცობრიობის საბედნიეროდ! „მეტისმეტი დგანდგარი და სამრეწველო სწრაფვა შეუდგა კაცობრიობას, სულიერი სიმშვიდე დაიკარგაო“, – ჩივის ერთი ამა ქვეყნიდან გადამდგარი მოაზროვნე. „მერე რა, ამ ფორნების რახრახს მშიერი კაცობრიობისთვის პური მოაქვს და ეს რახრახი ეგებ სულიერ სიმშვიდესაც სჯობდესო“, – ნიშნისმოგებით პასუხობს მას მეორე, ქვეყნიერებამოვლილი მოაზროვნე და ამპარტავნულად აქცევს ზურგს. რა ვქნა, არ მჯერა მე, ფლიდ ლებედევს, ამ ფორნების, კაცობრიობისთვის პური რომ მოაქვს! რამეთუ კაცობრიობისთვის პურის მომტან ფორნებს მეტისმეტად გულგრილად შეუძლიათ დააკლონ ეს ნეტარება კაცობრიობის მეტ ნაწილს, თუ რომ ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია, რისი მაგალითიც უკვე იყო...

– ფორნები დააკლებენ მეტისმეტად გულგრილად – იკითხა ვიღაცამ.

– რისი მაგალითიც უკვე იყო-მეთქი, – გაიმეორა ლებედევმა და შეკითხვას ყური არ ათხოვა. – რისი მაგალითიც მალთუსი[98] იყო, კაცობრიობის მეგობარი. მაგრამ კაცობრიობის მეგობარს თუ ზნეობის საფუძვლები შერყეული აქვს, ის კაცობრიობის კაციჭამია გახლავთ, თუ მის პატივმოყვარეობაზე არას ვიტყვით; რამეთუ კაცობრიობის ამ უამრავ მეგობართა შორის რომელიმეს რომ პატივმოყვარეობა შეულახო, ის მყისვე წვრილმანი შურისგებით ატანილი, ოთხივ მხრივ ცეცხლს წაუკიდებს ამ დედამიწას, – ისევე, როგორც ყველა ჩვენგანი, ისევე, როგორც მე, ყველაზე უფლიდესი კაცი, ვინაიდან პირველმა იქნებ მე მივიტანო შეშა და მერე იქაურობას უკანმოუხედავად გავეცალო. მაგრამ საქმე არც ესაა!

– ბოლოს და ბოლოს, რაშია მაინც?

– არ გააწყალა გული!

– საქმე შემდეგი ანეკდოტი გახლავთ გარდასული საუკუნეებისა, ვინაიდან იძულებული ვარ ანეკდოტი გიამბოთ წარსულ საუკუნეთა. ჩვენს დროში, ჩვენს მამულში, რომელიც, იმედი მაქვს, ჩემებრ გიყვართ, ბატონებო, რადგან ჩემი მხრივ მზადა ვარ სისხლის უკანასკნელი წვეთიც კი გავიღო მისი გულისთვის...

– შემდეგ, შემდეგ!

– ჩვენს მამულში, ისევე როგორც ევროპაში, საყოველთაო საშინელი შიმშილობა ატყდება ხოლმე თავს კაცობრიობას; რამდენადაც გამოთვლა შეიძლება და რამდენადაც მე მახსოვს, ეს ხდება საუკუნის მეოთხედში ერთხელ, ამაზე ხშირად უკვე არა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველ ოცდახუთ წელიწადში ერთხელ. რიცხვის სიზუსტეზე თავს არ დავდებ, მაგრამ თუ შევადარებთ, დიახაც იშვიათი გამოდის.

– რას შევადარებთ?

– მეთორმეტე საუკუნესა და მის მეზობელ საუკუნეებს, გინდ მანამდე, გინდ შემდეგ. რამეთუ მაშინ, როგორც მწერლები წერენ და ამტკიცებენ, საყოველთაო შიმშილობა კაცობრიობას ორ თუ სამ წელიწადში ერთხელ მაინც ატყდებოდა თავს. ამ პირობებში ადამიანი, წარმოიდგინეთ, ატროპოფაგიასაც მისდევდა, თუმცა კი ფარულად. ერთმა ასეთმა მუქთახორამ, სიბერემ რომ

უწია, თავისივე პირით აღიარა, ისე რომ ძალა არავის დაუტანებია, ჩემს ხანგრძლივ, უკმარ წუთისოფელში ფარულად გამოვასალმე სიცოცხლეს და შევჭამე სამოცი ბერი და რამდენიმე ქორფა ბავშვი, ასე ექვსამდეო, მაგრამ არამც და არამც მეტი არა, ანუ წარმოუდგენლად ცოტა შესანსლულ სასულიერო პირებთან შედარებით. მოწიფულ ერისკაცებისთვის ამ მიზნით, როგორც გამოირკვა, ხელი თავის დღეში არ უხლია.

– ეს ყოვლად შეუძლებელია! – წამოიძახა შეურაცხყოფილმა თავმჯდომარემ ანუ გენერალმა, – მე და მაგას, ბატონებო, ხშირად გვაქვს ხოლმე მსჯელობა და დავა სულ ამგვარ საკითხებზე, მაგრამ მეტწილად აი, ასეთი აბდაუბდა მოჰყავს ხოლმე საბუთად, პირდაპირ გული შეგიწუხდება! სიმართლის ნატამალი არაა მაგის სიტყვებში!

– გენერალო, ყარსის აღება გაიხსენე! ბატონებო, თქვენ კი იცოდეთ, რომ ჩემი ანეკდოტი წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა. იმასაც დავუმატებ ჩემის მხრივ, რომ ყოველი სინამდვილე თითქმის მუდამ წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, თუმცა თავისი გარდუვალი კანონები კი გააჩნია და, რაც უფრო ნამდვილია, ზოგჯერ მით უფრო დაუჯერებელიც.

– განა შეიძლება კი სამოცი ბერის შეჭმა – ხორხოცებდნენ ირგვლივ.

– ერთად ხომ არ შეუჭამია, ვინძლო თხუთმეტი თუ ოცი წელი მოუნდა, ეს კი სავსებით გასაგები და ბუნებრივია...

– ბუნებრივიც კი?

– დიახ, ბუნებრივიც! – პედანტური სიკერპით იცავდა თავს ლებედევი, – გარდა ამისა, კათოლიკე ბერი თავისი ბუნებით ხარბი და ცნობისმოყვარეა. მას ადვილად შეიტყუებს კაცი ტყესა თუ სადმე მოფარებულ ადგილში და იქ ზემოთქმულის მიხედვით მოექცევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ გედავებით, რომ შეჭმულ ადამიანთა რიცხვი მართლაც მეტისმეტად დიდია, პირდაპირ ღორმუცელობა გახლავთ.

– ეგებ ეს ამბავი მართალიც იყოს, ბატონებო, – მოულოდნელად ჩაერია თავადი, რომელიც აქამდე ჩუმად უსმენდა მოდავეთ და ლაპარაკში არ ერეოდა, მაგრამ სხვებთან ერთად ისიც ხშირად იცინოდა. სტუმრების მხიარულება და ყაყანი, ეტყობა, საოცრად სიამოვნებდა და არც ის სწყინდა, ღვინოს რომ ასე ეტანებოდნენ. მთელი საღამო იქნებ კრინტიც არ დაეძრა, მაგრამ რატომღაც მოეგუნება ლაპარაკი და ისეთი მეტისმეტი სერიოზულობით წამოიწყო, რომ ყველამ ერთბაშად ცნობისმოყვარედ მოატრიალა მისკენ თავი.

– მე, ბატონებო, კერძოდ, იმაზე მოგახსენებთ, რომ იმ დროს მართლაც ხშირი იყო შიმშილობა. ისტორიისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ეგ კი მეც მსმენია. თუმცა ასეც უნდა ყოფილიყო. როცა შვეიცარიის მთებში მოვხვდი, საოცრად გამაკვირვა ძველი რაინდული ციხე-კოშკების ნანგრევებმა. ისინი მთის კალთებზე, ციცაბოებზე იყო აშენებული, ყოველ შემთხვევაში, ნახევარი ვერსის სიმაღლე ციცაბოზე (ბილიკებით კი რამდენიმე ვერსი უნდა გევლო). ციხე-კოშკების ამბავი ხომ ყველას მოგეხსენებათ ქვების მთას წარმოადგენდნენ. საშინელი, წარმოუდგენელი სამუშაო გახლავთ. იმ საცოდავი ვასალების გარდა, აბა ვინ ააშენებდა მას. თან ათასნაირი ხარკიც უნდა ეხადათ და სამღვდელოებაც შეენახათ. როგორ გაეტანათ თავი ან მიწა როგორ დაემუშავებინათ მაშინ ისინი ხომ ცოტანი იყვნენ, ალბათ შიმშილით იხოცებოდნენ, საჭმელი თითქმის არაფერი გააჩნდათ. ხანდახან კიდეც მიფიქრია ნეტავ როგორ არ ამოწყდა ეს ხალხი, ანდა რამე არ დაემართა, როგორ გაძლო და აიტანა-მეთქი ეს გაჭირვება! კაციჭამიები რომ იყვნენ და ძალიან ბლომადაც, ამაში ლებედევი უთუოდ მართალია; ოღონდ ის არ ვიცი, სწორედ ბერები რად გაურია აქ და რა უნდოდა ამით ეთქვა

– ალბათ ის, რომ მეთორმეტე საუკუნეში მარტო ბერების ჭამა თუ შეიძლებოდა, ვინაიდან მარტო ბერები იყვნენ მსუქნები, – შენიშნა გავრილა არდალიონოვიჩმა.

– დიდებულზე დიდებული და სწორი აზრია! – შესძახა ლებედევმა. – რამეთუ ერისკაცებისთვის მას თითი არ დაუკარებია. სამოც ბერზე ერთი ერისკაციც არ მოდის, რაც თავზარდამცემი აზრი გახლავთ, ისტორიული და ბოლოს სტატისტიკურიც კი. სწორედ ასეთი ფაქტებით ხელახლა ქმნის ისტორიას მცოდნე კაცი. რამეთუ ცხადსა ხდის, რომ იმდროინდელ კაცობრიობაზე სამოცჯერ უფრო ბედნიერად და ლაღად ცხოვრობდა სამღვდელოება და იქნებ სამოცჯერ უფრო მეტად იყო დანარჩენ კაცობრიობაზე ჩათუნთულებული.

– ამლაშებთ, ამლაშებთ, ლებედევ! – ხარხარებდნენ ირგვლივ.

– გეთანხმებით, რომ ისტორიული აზრია, მაგრამ საბოლოოდ რისი თქმა გინდათ? – განაგრძო ისევ თავადმა (მის სერიოზულ კითხვაში მასხრად აგდების თუ დაცინვის ნატამალი არ იგრძნობოდა, თუმცა სხვები კი აშკარად დასცინოდნენ ლებედევს. ასე რომ, მთელ კამპანიასთან შედარებით ძალაუნებურად სასაცილო გამოდიოდა ეს მისი კილო; კიდევ ცოტაც და უკვე ისიც გახდებოდა მასხრობის საგანი, მაგრამ იგი ამას ვერ ამჩნევდა).

– ვერა ხედავთ, შეშლილი რომაა – თავადისკენ გადმოიხარა ევგენი პავლოვიჩი. – წელან მითხრეს აქ, ვექილობაზეა შეშლილი და სავექილო სიტყვებზე აპირებს გამოცდის დაჭერასო. ჩინებულ პაროდიას გამოველი.

– რა და უზარმაზარი დასკვნა მინდა გამოვიტანო, – გრგვინავდა ამასობაში ლებედევი. – მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მოდით და გავარჩიოთ დამნაშავის ფსიქოლოგიური და იურიდიული მდგომარეობა. ჩვენ ვხედავთ, რომ დამნაშავეს, ანუ, ასე ვთქვათ, ჩემს კლიენტს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საჭმელს ვერ შოულობდა, საინტერესო კარიერის მანძილზე მაინც რამდენიმეჯერ აღძვრია სურვილი მოენანიებია ეს თავისი საქციელი და სამღვდელოების შეჭმაზე უარი ეთქვა. ამას ჩვენ ნათლად გვიმტკიცებს ფაქტები ნათქვამია, რომ ხუთი თუ ექვსი ჩვილი შემოეჭამაო. ეს შედარებით მცირე რიცხვია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ფრიად მნიშვნელოვანი. როგორც ეტყობა, საშინელი სინდისის ქენჯნით შეპყრობილმა (რამეთუ ჩემი კლიენტი – მორწმუნე, სინდისიერი კაცია, რასაც დავამტკიცებ), თავისი ცოდვების შეძლებისდაგვარად შემსუბუქების მიზნით, სცადა და ბერული საჭელი ექვსჯერ შეცვალა საერისკაცოთი. ეს რომ ცდა იყო, ისევ და ისევ უეჭველია; ვინაიდან ეს რომ გასტრონომიული ვარიაციის მიზნით ჩაედინა, ექვსი რიცხვი მეტისმეტად კნინი იქნებოდა. ვითომ რატომ ექვსი და არა ოცდაათი? (მე ნახევარს ვიღებ). მაგრამ თუ ეს მხოლოდ ცდა იყო, რაც მკრეხელობისა და სამღვდელოების შეურაცხყოფის შიშმა ჩაადენინა, მაშინ ექვსი რიცხვი ფრიად გასაგები ხდება; რამეთუ ექვსი ცდა სინდისის ქენჯნის დასამშვიდებლად ფრიად საკმარისი გახლავთ, ვინაიდან დაკმაყოფილებას ვერ მოუტანდა. ჯერ ერთი, ჩემი ფიქრით, იმიტომ, რომ ჩვილი მეტისმეტად პატარაა, ანუ დიდი ლუკმა არ გახლავთ. ჰოდა, გარკვეული დროის მანძილზე პატარა ერისკაცები სამჯერ თუ ხუთჯერ მეტიც კი დასჭირდებოდა, ვინემ სამღვდელოება. ასე რომ, თუ ცოდვა ერთი მხრივ დაპატარავდებოდა, საბოლოო ჯამში მეორეს მხრივ გაიზრდებოდა თუ ხარისხით არა, რაოდენობით მაინც. ასე რომ ვმსჯელობ, ბატონებო, ცხადია, მეთორმეტე საუკუნის დამნაშავის გულში ამონაკითხი მალაპარაკებს. რაც შემეხება მე, მეცხრამეტე საუკუნის კაცს, შესაძლოა სულ სხვა გადამეწყვიტა, ბატონებო, მეტადრე თქვენ არ შეგფერით, გენერალო. მეორეც, ჩვილი, ჩემის ფიქრით, არცთუ გასაძღომია, იქნებ მეტისმეტი ტკბილი და გულისამრევიც იყოს, ასე რომ, ვერც დააკმაყოფილებს კაცს და მარტო სინდისის ქენჯნას აღუძრავს. აქედან დასკვნა, ფინალი, ბატონებო, ფინალი, რომელიც შეიცავს მაშინდელი თუ

ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი საკითხის გადაჭრას! დამნაშავე ბოლოს და ბოლოს მიდის და სამღვდელოების წინაშე ამხელს საკუთარ თავს, თვითონვე აჭერინებს მთავრობას თავს. საკითხავია, რა საწამებელი ელოდა იმას მაშინ, დაბორბვლა, დაწვა თუ დაშანთვა? ვინ აიძულა, საკუთარი თავი დაესმინა? რა იქნებოდა, უბრალოდ, სამოცზე გაჩერებულიყო და სულის ამოხდომამდე არ გაემხილა საიდუმლოება? რა იქნებოდა, უბრალოდ, ხელი აეღო ბერებზე და განდეგილად, მონანიებაში გაეტარებინა დარჩენილი წუთისოფელი ან თვითონ შემდგარიყო ბერად? ჰოდა, თურმე რა ირკვევა ბოლოს! მაშასადამე, რაღაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა დაწვა, დაშანთვასა და ოცი წლის ჩვეულებაზე! მაშასადამე, ყველა უბედურებაზე, მოუსავლიანობაზე, წამებაზე, ჭირზე, კეთრზე ძლიერი აღმოჩნდა ერთი აზრი, დათრგუნა მთელი ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ვერც გაუძლებდა კაცობრიობა იმ შემადუღებელ, გულის მამოძრავებელ და წყარო ცხოვრებისაგს გამანაყოფიერებელი აზრის გარეშე! აბა მაჩვენეთ ერთი მსგავსი სიძლიერის რამ ამ ჩვენს მანკიერებათა და რკინიგზათა საუკუნეში... ანუ, უნდა მეთქვა, გემთა და რკინიგზათა საუკუნეში, მაგრამ ვამბობ მანკიერებათა და რკინიგზათა საუკუნეში, ვინაიდან მთვრალი ვარ, მაგრამ სამართლიანი! დამისახელეთ კაცობრიობის შემადუღებელი ერთი ისეთი აზრი ახლა, რომელიც იმ საუკუნეებთან შედარებით გინდაც ორჯერ ნაკლები ძალისა იყოს. ან გაბედეთ და მითხარით ბოლოს, რომ არ იკლო, არ აიმღვრა ამ „ვარსკვლავზე“ წყარო ცხოვრებისა, ან დაბორკა ამ ქსელმა ადამიანები. ნუ მაშინებთ თქვენი კეთილდღეობით, სიმდიდრით, ნურც შიმშილობის იშვიათობით და მიმოსვლის სისწრაფით! სიმდიდრე მეტი გვაქვს, ძალა კი ნაკლები; შემადუღებელი აზრი აღარ არის; ყველაფერი მოფამფალდა, ყველაფერი გაიხრწნა, ჩვენ ყველა, ყველა გავიხრწენით! მაგრამ კმარა, ახლა ეს არაა მთავარი, რას მეტყვით, დიდად პატივცემულო თავადო, ხომ არ გავცე განკარგულება და სტუმრებისთვის მომზადებული საუზმე გავშალო?

ლებედევის ამ სიტყვებით ჭეშმარიტ აღშფოთებამდე მისული ზოგიერთი მსმენელი (უნდა ითქვას, რომ ბოთლები მთელი ეს ხანი შეუჩერებლივ იხსნებოდა) მყის დაშოშმინდა, რა გაიგეს, საუზმე გაიშლებაო. თვით ლებედევი ასეთ დასკვნას „საქმის მარჯვე, ვექილურ შემოტრიალებას“ ეძახდა. შეიქნა ისევ მხიარული სიცილი, სტუმრები გამოცოცხლდნენ; ყველანი წამოიშალნენ, გაიარ-გამოიარეს, მუხლი გამართეს. მარტო კელერი დარჩა უკმაყოფილო ლებედევის სიტყვით და საოცარ აღელვებას შეეპყრო.

– განათლებას აქიაქებს, მეთორმეტე საუკუნის ურჯულკობას გვიქადაგებს, იმანჭება და იგრიხება, თითქოს თვითონ წმინდა სული იყოს. ერთი მიბრძანეთ, მაშ რით შეიძინა ეს სახლი? – ეკითხებოდა ყოველ კაცს.

– მე ვიცნობდი აპოკალიფსის ერთ ჭეშმარიტ განმმარტებელს, ცხონებულ გრიგორ სემიონოვიჩ ბურმისტროვს, – მეორე კუთხეში ქადაგებდა გენერალი სხვა მსმენელებში, რომელთა შორის პტიცინიც ერია და რომელსაც გენერალი ღილში ჩაფრენოდა, – აი, ის იყო, რაც იყო, აი ის დაგიშანთავდა გულს. პირველ ყოვლისა, სათვალეს წამოიცვამდა, მერე ძველისძველ, შავ ტყავში ჩასმულ დიდ წიგნს გადაშლიდა. თეთრ წვერი მკერდზე ეფინა, ორი მედალიც ეკიდა, ქველმოქმედებაში მიღებული. რომ დაიწყებდა გოროზად კითხვას, გენერლები წელში იკაკვებოდნენ, მანდილოსნებს გული მისდიოდათ, მაშ! ამან კი საუზმეს გავშლიო, დაასკვნა! ამის შემდეგ რა უნდა მოჰკითხო!

პტიცინი ღიმილით უსმენდა გენერალს, თითქოს წასვლა უნდოდა და ვერც გადაეწყვიტა, ანდა თითქოს წარამარა ავიწყდებოდა ეს თავისი განზრახვა. განიამაც სტუმრების აშლამდე მიატოვა სმა და ჭიქა განზე გადგა; რაღაც ავმა ფიქრებმა გადაურბინა სახეზე. სტუმრები რომ აიშალნენ, ის როგოჟინთან მივიდა და გვერდით მოუჯდა, თითქოს დიდი მეგობრები არიანო. როგოჟინმაც

თავდაპირველად რამდენჯერმე დააპირა უჩუმრად გაპარვა. ახლა კი უმოძრაოდ იჯდა, თავი ჩაექინდრა და თითქოს იმასაც დავიწყებოდა, რომ წასვლა უნდოდა. მთელი საღამო ერთი წვეთი ღვინო არ დაულევია და ძალზე ჩაფიქრებული ჩანდა. მხოლოდ ხანდახან წამოსწევდა თავს და სტუმრებს სათითაოდ გადახედავდა. ისიც შეიძლება გეფიქრა, აქ რაღაცას მოელის, მისთვის მეტად მნიშვნელოვანს და ამიტომ გადაიფიქრა წასვლაო.

თავადმაც ორი თუ სამი ჭიქა დალია და კარგ გუნებაზე დადგა. წამოდგომა რომ დააპირა, ევგენი პავლოვიჩის თვალებს წააწყდა, გაახსენდა, სალაპარაკო რომ ჰქონდათ და გულღიად შეჰღიმა. ევგენი პავლოვიჩმა თავი დაუქნია და უეცრად იპოლიტზე ანიშნა, რომელსაც დივანზე ჩასძინებოდა.

– ერთი მითხარით, თავადო, ეს ლაწირაკი რად შემოგიძვრათ? – მის ხმაში ისეთი დაუფარავი ღვარძლი გაისმა, რომ თავადი გაოცდა, – სანაძლეოს ჩამოვალ, სასიკეთოს არაფერს ფიქრობს!

– რაღაც ისე შეგატყვეთ, ევგენი პავლოვიჩ, ეს ყმაწვილი დღეს მეტისმეტად გაინტერესებთ, მართალია?

– არც ის დაგავიწყდეთ, რომ ჩემი დარდებიც საკმარისი მაქვს, მე კი ამ საზიზღარი სახისთვის თვალი ვერ მომიწყვეტია მთელი საღამო. მიკვირს პირდაპირ ჩემი თავისა!

– ლამაზი სახე აქვს...

– ერთი შეხეთ, შეხეთ! – შესძახა ევგენი პავლოვიჩმა და თავადს მკლავში წასწვდა, – შეხეთ ერთი!..

თავადმა კვლავ გაოცებით შეათვალიერა ევგენი პავლოვიჩი.

V

ლებედევის დისერტაციის დასასრულს იპოლიტს დივანზე ჩასძინებოდა, ახლა კი თითქოს ვიღაცამ გვერდში წაჰკრაო, ერთბაშად გაახილა თვალი, შემკრთალმა წამოიწია, ირგვლივ მიმოიხედა და ფერი ეცვალა. რაღაც შეშინებული აცეცებდა თვალებს; მაგრამ როცა ყველაფერი მოაგონდა, ლამის შეძრწუნებაც გამოეხატა სახეზე.

– რაო, უკვე მიდიან? დამთავრდა? ყველაფერი დამთავრდა? მზე ამოვიდა? – შეშფოთებით წაატანა ხელი თავადს, – რომელი საათია? ღვთის გულისათვის, რომელი საათია ჩამძინებია. დიდხანს მეძინა – ეკითხებოდა სასოწარკვეთით, თითქოს ძილში რაღაც ისეთი გამოეპარა, რაზეც მთელი მისი სიცოცხლე ეკიდა.

– შვიდი თუ რვა წუთი გეძინათ, – მიუგო ევგენი პავლოვიჩმა.

იპოლიტმა ხარბად შეხედა და რამდენიმე წამს ანგარიშობდა გონებაში.

– აა... მეტი არა?! მაშასადამე, მე...

ერთი ღრმად ამოისუნთქა, თითქოს დიდი ლოდი მოიშორაო, მიხვდა, რომ ჯერ ყველაფერი „არ მორჩა“, რომ ალიონი არ დამდგარა, სტუმრები მხოლოდ საუზმის მოლოდინში წამოშლილიყვნენ და მხოლოდ ლებედევს გაეთავებინა ყბედობა. ჰოდა, გაეღიმა, ორი წითელი ლაქაც აუთამაშდა ლოყებზე, როგორც ჭლექიანებს სჩვევიათ.

– თქვენ კი წუთებიც დაგითვლიათ, რამდენი მეძინა, ევგენი პავლიჩ, – დაცინვით უთხრა, – შეგატყვეთ, მთელი საღამო თვალს არ მაშორებდით... ოჰო, როგოჟინიც აქაა! ეს წუთია სიზმარში ვნახე, – წაუჩურჩულა წარბშეჭმუხნილმა თავადს და მაგიდასთან მჯდარ როგოჟინზე ანიშნა, – ორატორი ლებედევი სადაა? – გადახტა ისევ სხვაზე, – მაშ ლებედევმა დაამთავრა? რაზე

ლაპარაკობდა? მართალი გითქვამთ, თავადო, ქვეყანას „სილამაზე“ იხსნისო? ბატონებო, – ხმამაღლა დაიძახა, – თავადი ამტკიცებს, ქვეყანას „სილამაზე“ იხსნისო! მე კი ვამტკიცებ, შეყვარებულია და ეგეთი გიჟმაჟური აზრები იმიტომ მოსდის თავში. ბატონებო, თავადი შეყვარებულია; როგორც კი შემოვიდა წეღან, მაშინვე დავრწმუნდი. ნუ წითლდებით, თავადო, თორემ შემეცოდებით. როგორი სილამაზე იხსნის ქვეყანას? კოლიამ მიამბო ეგ ამბავი... ერთგული ქრისტიანი ხართ? კოლიამ მითხრა, თურმე ქრისტიანად მოგაქვთ თავი.

თავადმა დაკვირვებით შეათვალიერა, პასუხი არ გაუცია.

– არ მპასუხობთ? ხომ არ გგონიათ, ძალიან მიყვარხართ? – მიახალა უეცრივ იპოლიტმა.

– არა მგონია. ვიცი, არ გიყვარვართ.

– რაო! გუშინდლის შემდეგ კიდევ იტყვით? გუშინ წრფელი არ ვიყავი თქვენთან?

– გუშინაც ვიცოდი, რომ არ გიყვარდით.

– იმიტომ ხომ არა, თქვენი მშურს? მუდამ ეგრე გეგონათ და ახლაც ეგ გგონიათ, თუმცა... თუმცა, ნეტავ რად გეუბნებით? შამპანური მინდა კიდევ დავლიო; აბა, დამისხით, კელერ.

– მეტს ნუღარ დალევთ, იპოლიტ, არ მოგცემთ...

თავადმა ჭიქა გადაუდგა.

– მართალი ბრძანდებით... – მყის დამორჩილდა იპოლიტი და თითქოს ჩაფიქრდა, – შეიძლება ისიც თქვან მერე... თუმცა რაში მენაღვლება, რას იტყვიან! ხომ მართალია, ხომ დაე, მერე რაც უნდა ის ილაპარაკონ, არა, თავადო რაში გვეკითხება ჩვენ, რა იქნება მერე... თუმცა ნამძინარევზე რაებს ვბოდავ. რა საშინელი სიზმარი ვნახე, ახლაღა მომაგონდა... მართალია, არ მიყვარხართ, მაგრამ ეგრეთ სიზმრებს მაინც არ გისურვებდით, თავადო. კაცი თუ არ გიყვარს, ცუდს რაღას ემართლები, არა ნეტავ რას ჩაგაცივდით და აღარ გასვენებთ შეკითხვებით! ხელი მომეცით; ერთი მაგრად უნდა ჩამოგართვათ, აი, ასე... მართლა მომეცით ხელი? მაშასადამე, იცით, რომ წრფელი გულით ჩამოგართმევთ? ჰო, მეტს აღარ დავლევ. რომელი საათია? არა, ნუ მეტყვით, ვიცი რომელიცაა. დროა უკვე! სწორედ დროა. რა, იმ კუთხეში საუზმეს შლიან მაშ, ეს მაგიდა თავისუფალია! ჩინებულია! ბატონებო, მე... ბატონები კი ყურს არ მიგდებენ... მინდა ერთი წერილი წავიკითხო, თავადო; საუზმე, რასაკვირველია, უფრო საინტერესოა, მაგრამ...

მოულოდნელად პიჯაკის უბის ჯიბიდან იპოლიტმა დიდი, საკანცელარიო ზომის პაკეტი ამოაძვრინა, დიდი, წითელი ბეჭდით დაბეჭდილი, და მაგიდაზე წინ დაიდო. ამ მოულოდნელმა ამბავმა საამისოდ შეუმზადებელ, ანუ, უფრო უკეთ, არასაამისოდ შემზადებულ საზოგადოებაში დიდი ეფექტი გამოიწვია. ევგენი პავლოვიჩი სკამზეც კი შეხტა; განია უმალ მაგიდისკენ მიჩოჩდა. როგოჟინი ერთი კი დაიღრიჯა ზიზღით, მაგრამ იმანაც იქით გაიწია, თითქოს მიხვდა საქმის ვითარებას. შორიახლოს მდგარი ლებედევი ცნობისმოყვარე თვალებით მიუახლოვდა, პაკეტს დააცქერდა, რა უნდა იყოსო.

– ეგ რა არის? – შეშფოთებით ჰკითხა თავადმა.

– როგორც კი მზე ამოიწვერება, მაშინვე დავწვები, თავადო, ხომ გითხარით, გეფიცებით, დავწვები! – შესძახა იპოლიტმა, – ნეტა... თუ გგონიათ, ამ წერილის გახსნაც არ შემიძლია? – დაუმატა ესეც და რაღაც გამომწვევად მოავლო ყველას თვალი. ისიც შენიშნა თავადმა, რომ მთელი ტანი უცახცახებდა.

– ეგ არავის გვიფიქრია, – ყველას მაგივრად მიუგო თავადმა, – რატომ გგონიათ, ვინმემ იფიქრა ან... ან ეგ რა უცნაური აზრი დაგებადათ? რა უნდა წაგვიკითხოთ, იპოლიტ?

– წაგვიკითხოსო? ნეტავ ახლა რაღამ მოუარა? – კითხულობდნენ აქეთ-იქიდან.

ყველანი იპოლიტს შემოეხვივნენ, ზოგს ლუკმის გადაყლაპვაც ვერ მოესწრო. ყველას ანდამატივით იზიდავდა ეს წითელბეჭდიანი პაკეტი.

– გუშინ რომ დაგპირდით, თქვენთან გადმოვალ-მეთქი, თავადო, დავჯექი მერე და დავწერე. მთელი დღე ვწერე, მთელი წუხანდელი ღამე და ამ დილას მოვრჩი; ალიონზე კი სიზმარი ვნახე...

– არა სჯობს, ხვალისთვის გადაგვედო? – გაუბედავად შეაწყვეტინა თავადმა.

– ხვალ „ჟამი არღა იყოო“! – ისტერიულად ჩაეცინა იპოლიტს, – თუმცა ნუ გეშინიათ, ორმოც წუთში, დიდი-დიდი ერთ საათში მოვრჩები... ვერა ხედავთ, ყველა როგორ დაინტერესდა, ყველა დამეხვია; ამ ბეჭედს დაშტერებიან, აბა, ერთი არ დამებეჭდა წერილი, ნახავდით, რა ეფექტიც იქნებოდა! ჰა-ჰა! რა ჯადო აქვს იდუმალებას!.. გავხსნა თუ არა, ბატონებო – წამოენთო იპოლიტს თვალები და კვლავ უცნაურად ჩაიქირქილა. – საიდუმლოება! საიდუმლოება! გახსოვთ, თავადო, ვინ აუწყა „ჟამი არღა იყოო?“ აუწყა ეს აპოკალიფსში ანგელოზმა, ძლიერმა და დიდმა.

– გირჩევნიათ არ წაიკითხოთ! – ისეთი შეშფოთებით შეჰყვირა ევგენი პავლოვიჩმა, რომ ბევრს გაუკვირდა.

– არ წაიკითხოთ! – წამოიძახა თავადმაც და პაკეტს ხელი დაადო.

– რა დროს კითხვაა ამ საუზმის დროს, – შენიშნა ვიღაცამ.

– წერილიაო? ჟურნალში აქვეყნებს? – იკითხა მეორემ.

– მოსაწყენი რომ იყოს? – დასძინა მესამემ.

– რა იყო, რა მოხდა? – იძიებდნენ დანარჩენები.

თავადის შეშინებულმა მოძრაობამ თითქოს იპოლიტიც დააფრთხო.

– მაშ... არ წავიკითხო? – რაღაც შიშნეულად ჩასჩურჩულა თავადს და გალურჯებულ ტუჩებზე ღიმი აეგრიხა, – არ წავიკითხო? – წაიდუდუნა მან და ყველას სათითაოდ გადაავლო თვალი, თითქოს წინანდელივით ყველა უნდა თავისი არამკითხე გულახდილობის მოწმედ გაიხადოსო, – გეშინიათ? – მიუტრიალდა ისევ თავადს.

– რისა? – ჰკითხა თავადმა და უფრო მეტად გადაჰკრა ფერმა.

– აბაზიანი თუ აქვს ვისმე, ოცი კაპიკი? – უცბად სკამიდან წამოიჭრა იპოლიტი, – ან ხურდა ფული?

– აჰა! – მიაწოდა სასწრაფოდ ლებედევმა. გულში ეჭვმა გაჰკრა, ეს ავადმყოფი კაცი ხომ არ შეიშალაო.

– ვერა ლუკიანოვნა, – უმალ მოიხმო იპოლიტმა, – მოდით, მაგიდაზე აისროლეთ ეს ფული. თუ აღმა დაეცა, წავიკითხავ!

ვერამ შიშით დახედა ფულს, მერე იპოლიტს გადახედა, მერე მამას. შემდეგ თავი ასწია და ფული აისროლა. აბაზიანი აღმა დაჯდა.

– მაშ, უნდა წავიკითხო! – წაიჩურჩულა იპოლიტმა. სიკვდილის განაჩენი რომ გამოეცხადებინათ, ალბათ ამაზე მეტად არ წაუვიდოდა ფერი და ამაზე მეტად არ განადგურდებოდა, – ეს რა ვქენი, რა – ნახევარი წუთის დუმილის შემდეგ შეაძაგძაგა მას, – ნუთუ ახლა მე კენჭი ვყარე? – ისეთივე გულახდილობით მოატარა ირგვლივ თვალი. – ეს ხომ საკვირველი ფსიქოლოგიური თვისებაა! – შესძახა უეცრივ და გულწრფელი გაოცებით მიუტრიალდა თავადს. – ეს... ეს წარმოუდგენელი თვისებაა, თავადო! – დაუდასტურა გამოცოცხლებულმა და თითქოს გამოფხიზლებულმა, – ჩაიწერეთ, თავადო, არ დაივიწყოთ, თქვენ ხომ, მგონი, სიკვდილით დასჯაზე აგროვებთ მასალებს... გადმომცეს, ჰა-ჰა! ო, ღმერთო, რა აბდაუბდაა! – იპოლიტი დივანზე დაჯდა, მაგიდას იდაყვები ჩამოადო და თავზე შემოიჭდო

ხელები. – ვაი სირცხვილო!.. თუმცა ფეხებზე მკიდია სირცხვილი, – თითქმის მაშინვე წამოსწია თავი და უცებ გადაწყვიტა, – ბატონებო, ბატონებო, პაკეტს ვხსნი, თუმცა, მე... მე ძალას არავის ვატან, ვისაც არ უნდა, ნუ მისმენს.

აღელვებისგან აცახცახებული ხელებით გახსნა იპოლიტმა პაკეტი, რამდენიმე წვრილად ნაწერი საფოსტო ქაღალდის ფურცელი ამოიღო, წინ დაიდო და ხელით გაასწორა.

– ეგ რა არის? რა არის? რა უნდა წაიკითხოს? – მოღუშვით ბუტბუტებდნენ ზოგიერთები; სხვები ჩუმად იყვნენ, მაგრამ ყველა კი დაჯდა და ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა. ეგებ მართლა რაღაც არაჩვეულებრივს ელოდნენ. ვერა მამის სკამს ჩაეჭიდა და შიშით ლამის ტიროდა; თითქმის ასეთსავე შიშს აეტანა კოლიაც, ლებედევი ის იყო დაჯდა, მაგრამ უცბად წამოიწია, სანთლებს ხელი დაავლო და იპოლიტს მიუჩოჩა ახლოს.

– ბატონებო, ეს... ახლავე ნახავთ რაც არის, – დაუმატა რატომღაც იპოლიტმა და უცბად შეუდგა კითხვას – „ჩემი აუცილებელი ახსნა-განმარტება“! ეპიგრაფი „Apres moi le deluge“…[99] ფუჰ, ეშმაკმა დალახვროს! – შესძახა უეცრივ, თითქოს პირი დაეწვაო, – ნუთუ სერიოზულად წავუმძღვარე ასეთი სულელური ეპიგრაფი?.. გამიგონეთ, ბატონებო!.. გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი ბოლოს და ბოლოს იქნებ საოცარი სისულელეა! ოღონდაც ზოგიერთი ჩემი მოსაზრება მაქვს... თუ გგონიათ, რომ აქ... რაიმე საიდუმლოება იყოს... ან აკრძალული... ერთი სიტყვით...

– წინასიტყვაობა რა საჭიროა, – გააწყვეტინა განიამ.

– მოჰყვა კუდის ქნევას! – დაუმატა ვიღაცამ.

– ბევრს ყბედობს, – ჩააკერა თავისი აქამდე მდუმარე როგოჟინმა.

იპოლიტმა ანაზდად როგოჟინს შეხედა და თვალი თვალში გაუყარა. როგოჟინი ღვარძლიანად გაიკრიჭა და ეს უცნაური სიტყვები მძიმედ დააყოლა

– ასე არ კეთდება, ყმაწვილო, ეგ საქმე, ასე არა...

ცხადია, ვერავინ მიხვდა, რა უნდოდა ეთქვა ამით როგოჟინს, მაგრამ მისმა სიტყვებმა საკმაოდ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე; ყველას რაღაც ერთმა ფიქრმა გაჰკრა ანაზდად. იპოლიტი ხომ ისე აცახცახა, რომ თავადმა ხელიც კი მიაშველა. ალბათ, შეჰყვირებდა კიდეც, რომ უეცრივ ხმა არ ჩასწყდომოდა. მთელი ერთი წუთი ხმა ვერ ამოიღო და როგოჟინს თვალი ვერ მოაცილა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და სულშეგუბებულმა წარმოთქვა:

– მაშ, თქვენ... თქვენ იყავით... თქვენ?

– რა ვიყავი? რა მე? – მიუგო გაოცებულმა როგოჟინმა. იპოლიტი წამოენთო და გაშმაგებულმა მკვახედ შეუყვირა:

– თქვენ არ იყავით, წინა კვირას ღამის ორ საათზე რომ მოხვედით ჩემთან. სწორედ იმ დილას მე გინახულეთ სახლში, დიახ, თქვენ! გამოტყდით!

– წინა კვირას, ღამითო მართლა ჭკუაზე ხომ არ გადახვედი, ჯეელო?

„ჯეელმა“ ერთი წუთი ისევ იყუჩა, საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო, თითქოს რაღაცას ისაზრებსო; მაგრამ გაცრეცილ, კვლავინდებურად შიშისგან დაგრეხილ ტუჩებზე უეცრივ რაღაც ცბიერულმა, ნიშნის მომგებმა ღიმმა გადაურბინა.

– თქვენ იყავით! – გაიმეორა ბოლოს დაბეჯითებული ჩურჩულით. – თქვენ მოხვედით და მთელი საათი და მეტიც ფანჯარასთან უხმოდ იჯექით, ნაშუაღამევის პირველსა თუ ორ საათზე, მერე, მესამე საათი რომ დაიწყო, ადექით და წადით... ეგ თქვენ იყავით, თქვენ! რისთვის შემაშინეთ, რა მიზნით მოხვედით, რად დამტანჯეთ, ვერ გეტყვით, მაგრამ თქვენ კი იყავით!

იპოლიტს უსაზღვრო სიძულვილმა გაუელვა თვალებში, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სხეული უკანკალებდა.

– ახლავე შეიტყობთ ყველაფერს, ბატონებო, მე... მე... ყური მიგდეთ...

იპოლიტი ისევ ეცა თავის ქაღალდებს, ქაღალდები კი ხელიდან უცურდებოდა და ეფანტებოდა, ისიც აწყობდა, მაგრამ ხელები უცახცახებდა და ველარ უყრიდა თავს.

როგორც იქნა კითხვა დაიწყო. მოულოდნელი სტატიის ავტორი ასე ხუთიოდე წუთს არეულად კითხულობდა, რადგან სული ეგუბებოდა, მაგრამ მალე მოღონიერდა და წაკითხულის აზრს გასაგებად გადმოსცემდა. შიგადაშიგ მხოლოდ საკმაოდ მაგარი ხველა აწყვეტინებდა. სტატიის შუამდე რომ ჩავიდა, ხმა ჩაეხრინწა; კითხვის დროს მეტად და მეტად ეუფლებოდა საოცარი აღელვება და ბოლოს უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მისი მსმენელნიც მძიმე შთაბეჭდილებას შეეპყრო. აი, მთლიანად ეს სტატია:

„ჩემი აუცილებელი ახსნა-განმარტება:

„Apres moi le delugel“.

„გუშინ დილით თავადი იყო ჩემთან; სხვათა შორის, დამიყოლია, რომ მის აგარაკზე გადავსულიყავი. ეგრეც ვიცოდი, რომ უთუოდ ამას დამიჟინებდა, დარწმუნებული ვიყავი, პირში მომახლიდა, აგარაკზე „ხალხია, ხეები და სიკვდილი არ გაგიძნელდებაო“, მაგრამ დღეს სიკვდილი არ უხსენებია, თქვა, „ეს დღეები იქ არ გაგიძნელდებაო“, თუმცა ჩემი მდგომარეობის კაცისთვის ეს თითქმის ერთი და იგივეა. ვკითხე, ასე წარამარა რად მიხსენებს „ხეებს“ და რას გადამეკიდა ამ „ხეებით“. რარიგ გავვოცდი, როცა მითხრა, იმ საღამოს შენ თვითონ არა თქვი, პავლოვსკში იმიტომ ჩამოვედი, უკანასკნელად შევხედო ხეებსო. როცა ვუთხარი, სულ ერთი არაა, სად მოვკვდები, გინდ ხეების ძირას, გინდ ფანჯარასთან იმ ჩემი აგურების ცქერაში, ორი კვირის გულისთვის ღირს კი ამდენი ლოლიობა-მეთქი, ამაზეც მაშინვე დამეთანხმა. მაგრამ მისი აზრით, ხეების სიმწვანე და სუფთა ჰაერი აუცილებლად რაღაც ფიზიკურ ცვლილებას მოახდენს ჩემზე, მღელვარებას დამიოკებს და სიზმრებს შემიცვლის, იქნებ შვებაც კი მომცეს. გამეცინა, რა მატერიალისტივით ლაპარაკობთ-მეთქი. იმანაც ღიმილით მომაგო, მუდამაც მატერიალისტი ვიყავიო. ის არასოდეს არ ტყუის, და ეს სიტყვები უთუოდ რაღაცას ნიშნავს. რა კარგი ღიმილი აქვს; ახლა უფრო დავაკვირდი. ვერ ვიტყვი, რომ ხუთი თვის სიძულვილი მისდამი ამ ბოლო თვეში სავსებით გამინელდა. ვინ იცის, იქნებ პავლოვსკში სულაც მის სანახავად ჩამოვედი. მაგრამ... რად დავტოვე ნეტა ჩემი ოთახი? კაცს თავის კუთხეში უნდა ამოძვრეს სული. თუ რომ საბოლოო გადაწყვეტილება არა მქონოდა მიღებული და სიკვდილის დაცდა მეფიქრა, ცხადია, ჩემს ოთახს არაფრის დიდებით არ დავტოვებდი და პავლოვსკში მასთან არ გადავიდოდი, რათა იქ დამელია სული.

უნდა ვიჩქარო და ეს „ახსნა-განმარტება“ აუცილებლად ხვალამდე დავამთავრო.

მაშასადამე, გადაკითხვის და გასწორების დრო არ დამრჩება; ხვალ გადავიკითხავ, როცა თავადს და იმ ორ-სამ მოწმეს წავუკითხავ, რომლებიც, იმედია, იქ დამხვდებიან. ვინაიდან აქ ერთი სიტყვა სიცრუე არ არის, ყველაფერი წმინდა წყლის სიმართლეა, უკანასკნელად ნათქვამი საზეიმო სიმართლე, ამიტომ მაინტერესებს, თვითონ ჩემზეც რა შთაბეჭდილებას მოახდენს იმ საათსა და წუთს, როცა გადავიკითხავ. თუმცა ტყუილად დავწერე ეს სიტყვები „უკანასკნელად ნათქვამი საზეიმო სიმართლე-მეთქი“; ორი კვირის გულისთვის ისედაც ვინ იტყვის ტყუილს, ვინაიდან რა ფასი აქვს ორი კვირის სიცოცხლეს; ეს კი საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ მხოლოდ სიმართლეს დავწერ (NB. არ დამავიწყდეს მართლა ხომ გიჟი არა ვარ ამ წუთს, ანუ დროდადრო ხომ არ ვაფრენ დარწმუნებით მითხრეს, ჭლექიანები უკანასკნელ სტადიაში

დროდადრო ჭკუაზე იშლებიანო. ხვალ შევამოწმებ ამას, მსმენელებზე კითხვის დროს მოხდენილი შთაბეჭდილებით. ეს საკითხი უთუოდ ზუსტად უნდა გადავჭრა, თორემ ვერაფერს მოვიმოქმედებ).

მე მგონი, საშინელი სისულელე დავწერე ახლა, მაგრამ როგორც ვთქვი, გასასწორებლად არ მცალია. გარდა ამისა, სიტყვას ვაძლევ თავს, განზრახ ერთი სტრიქონიც არ გავასწორო ამ ხელნაწერში, კიდეც რომ ყოველ ხუთ სტრიქონში საწინააღმდეგო შევნიშნო. ხვალ კითხვისას მინდა შევამოწმო, სწორია თუ არა ჩემი ლოღიკური აზრის მდინარება; ვამჩნევ თუ არა ჩემს შეცდომებს და, მაშასადამე, სიმართლეა თუ მხოლოდ ბოდვა, რაც ამ ოთახში ექვსი თვის მანძილზე ვიფიქრე. ამ ორი თვის წინ რომ ჩემი ოთახი მიმეტოვებინა და მეიერის კედელს გამოვთხოვებოდი, დარწმუნებული ვარ, გული დამწყდებოდა. ახლა კი არაფერს განვიცდი, თუმცაღა ხვალ ვტოვებ ოთახსა და კედელს სამუდამოდ! მაშასადამე, ჩემმა გადაწყვეტილებამ, რომ ორი კვირა არც დანანებად ღირს და არც განცდებად, სძლია ჩემს ბუნებას და შეუძლია უკვე ჩემს გრძნობებს უკარნახოს. მაგრამ მართალი კია, რომ ჩემი ბუნება ახლა მთლიანად დაძლეულია საწამებლად რომ წამიყვანონ. ახლა, ხომ ყვირილს ავტეხ, ხომ არ ვიტყვი, რა მაყვირებს, მაინც ორი კვირის სიცოცხლე დამრჩენია-მეთქი.

მაგრამ განა მართლა ორ კვირაზე მეტს არ ვიცოცხლებ მაშინ პავლოვსკში სიცრუე ვთქვი. ბ-ნს არაფერი უთქვამს ჩემთვის და საერთოდ თავის დღეში არ ვუნახივარ; ერთი კვირის წინ სტუდენტი კისლოროდოვი[100] მომგვარეს; თავისი შეხედულებებით ის მატერიალისტი, ათეისტი და ნიჰილისტია, სწორედ იმიტომ მოვაყვანინე იგი. კაცი მჭირდებოდა, ვინც ბოლოს და ბოლოს ყოვლად უბოდიშოდ და დაურიდებლად მეტყოდა სიმართლეს. ასეც მოიქცა. განა მარტო უბოდიშოდ, ეტყობა, სიამოვნებითაც მომახალა პირში, რაც, ჩემი აზრით, ზედმეტი იყო, ერთ თვეზე მეტს ვერ იცოცხლებო; თუ პირობები კარგი მექნა, შესაძლოა, ცოტა მეტ ხანსაც გავძლო, მაგრამ ისიც შეიძლება, უფრო ადრე ამომძვრეს სული. მისი აზრით, იქნებ უეცრადაც მოვკვდე, მაგალითად, ხვალ ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. ამ სამი დღის წინ კოლომნაში ერთი ახალგაზრდა ქალი, ჩემსავით ჭლექიანი და ჩემს მდგომარეობაში მყოფი, ბაზარზე აპირებდა თურმე სანოვაგის საყიდლად წასვლას, მაგრამ უცბად ცუდად უგრძვნია თავი, დივანზე დაწოლილა, ერთი ამოუსუნთქავს და გათავებულა. უნდა გენახათ, რა დაუდევრად მიამბო ეს კისლოროდოვმა, რა ყოყლოჩინობა ისმოდა მის კილოში, თითქოს დიდ პატივს მდებდა და მაგრძნობინებდა, შენც ჩემებრ ყველაფერზე მაღლა მდგომი, ყოვლის უარმყოფელი არსება ხარ და სიკვდილი, ცხადია, არაფრად მიგაჩნიაო. ასეა თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება; ერთი თვე და მორჩა ყველაფერი! რომ ამაში არ შემცდარა, სავსებით დარწმუნებული ვარ. ძალზე გამიკვირდა, თავადი რომ მიმიხვდა წეღან, „ცუდ სიზმრებს“ ხედავო; სიტყვასიტყვით ასე მითხრა, პავლოვსკში „მღელვარება და სიზმრები“ შეგეცვლებაო. რაღა სიზმრები ახსენა ან ექიმია, ანდა მართლაც საოცარი ჭკუის კაცი და ბევრი რამის გამოცნობა შეუძლია (მაგრამ რომ მაინც „იდიოტია“, ამას ეჭვი არ უნდა). მისი მოსვლის წინ თითქოსდა განგებ ერთი საოცარი სიზმარი ვნახე (თუმცა ახლა ასობით ვხედავ ასეთ სიზმრებს). ჩამძინებოდა, – მის მოსვლამდე ერთი საათით ადრე იყო, – ვხედავ, ერთ ოთახში ვარ, ოღონდ ჩემს ოთახზე დიდი და მაღალი, უკეთესი მორთული და ნათელი იქნებოდა, კარადა, კომოდი, დივანი და ჩემი საწოლი იდგა, დიდი და განიერი, რომელზეც მწვანე აბრეშუმის დალიანდაგებული საბანი ეფარა. უცბად ოთახში ერთი საშინელი ურჩხული დავინახე. თითქოს მორიელი იყო, მაგრამ მორიელზე საშინელი და საზიზღარი, მგონი, უფრო იმიტომაც, რომ ბუნებაში მსგავსს ვერაფერს ნახავ. ეს მორიელი განზრახ ჩემი გულისთვის გაჩენილიყო და სწორედ ეს შეადგენდა თითქოს მთელ

საიდუმლოებას. მე ის მშვენივრად გავარჩიე, ყავისფერი და ქიცვიანი იყო, ოთხიოდე გოჯის სიგრძისა, თავთან ორი თითის სიმსხოზე უმსხვილდებოდა ტანი ამ შემზარავ ქვემძრომს, კუდთან კი თანდათან უვიწროვდებოდა, ასე რომ ბოლოში კუდი გოჯის მეათედზე მეტი სისქისა არ ექნებოდა. თავთან ერთი გოჯის დაცილებით ორი თათი გამოზრდოდა, სიგრძით ორი გოჯი; ზემოდან რომ დახედავდი, ეს ცხოველი სამკაპად წარმოგიდგებოდა. თავი კარგად ვერ დავინახე, მხოლოდ ორ მოკლე ულვაშს მოვკარი თვალი, ყავისფერ ნემსებივით გამოჩხერილს. ასეთივე ორი ულვაში მოუჩანდა კუდისა და თათების ბოლოებზე, მაშასადამე, რვა ულვაში გამოდიოდა. ოთახში სწრაფად დარბოდა ეს მორიელი, თათებსა და კუდს ეყრდნობოდა სირბილის დროს და ტანიცა და თათებიც გასაოცარი სისწრაფით ეკლაკნებოდა პატარა გველებივით. პირდაპირ შეგაზრზენდა მისი ცქერა. საშინლად მეშინოდა, არ მიკბინოს-მეთქი. მითხრეს, შხამიანიაო. მაგრამ უფრო კი ის ფიქრი მტანჯავდა, ვინ შემომიგზავნა ოთახში, რა უნდათ ჩემგან და რა საიდუმლოება არის-მეთქი ამაში ის საზიზღარი ხან კომოდის და ხან კარადის ქვეშ იმალებოდა, ყოველ კუთხე-კუნჭულ დაძვრებოდა. დავჯექი და ფეხები ავიკეცე სკამზე. უცბად ირიბად გადმოჭრა ოთახი და სადღაც ჩემი სკამის ახლოს დაიმალა. შიშით მიმოვიხედე ირგვლივ, მაგრამ ფეხაკეცილი ვიჯექი და იმედი მქონდა, სკამზე ვერ ამოძვრება-მეთქი. უცბად უკნიდან, ჩემ ზემოთ რაღაც ტკაცანი და შრიალი გავიგონე; მოვიხედე და რას ვხედავ, ის საზიზღარი კედელზე არ მიხოხავს, აგერ კიდეც გამისწორდა და კუდით კიდეც მეხება თმაზე, კუდს კი საოცარი სისწრაფით ატრიალებს და კლაკნის. წამოვხტი და ისიც უმალ გაქრა. ლოგინს შიშით ვერ გავეკარე, ბალიშქვეშ არ შემომძვრეს-მეთქი. ოთახში დედაჩემი და რომელიღაც მისი ნაცნობი შემოვიდნენ. ქვემძრომის დაჭერა მოინდომეს, მაგრამ ჩემსავით შიში არ ეტყობოდათ, არ იცოდნენ, რაში იყო საქმე და იმიტომ. ერთიც ვნახოთ, მორიელი ისევ გამოძვრა. ამჯერად ნელა მოხოხავდა, თითქოს რაღაც განზრახვა ჰქონდა, ნელ-ნელა კარისკენ მიიკლაკნებოდა, რაც კიდევ უფრო საზიზღარი სანახავი იყო. მაშინ დედაჩემმა კარი გამოხსნა და ნორმას დაუძახა, ჩვენს ძაღლს, – ის ვეება, შავი, ბანჯგვლიანი ტერნიოფი იყო; ხუთი წლის წინათ მოკვდა. ნორმა ოთახში შემოვარდა, ქვემძრომი რომ დაინახა, გაშეშებული დაადგა თავზე. მორიელი გაჩერდა, მაგრამ კლაკვნით ისევ იკლაკნებოდა და თათებსადა კუდს კვლავ იატაკზე ასხმარტალებდა. თუ არ ვცდები, ცხოველებს მისტიკური შიშის გრძნობა არ გააჩნიათ, მაგრამ მე კი მომეჩვენა, რომ იმ წუთს ნორმა რაღაც უცნაურმა, თითქმის მისტიკურმა შიშმა აიტანა, რომ იმანაც ჩემსავით იგრძნო ამ ცხოველში რაღაც საბედისწერო, იდუმალი. ძაღლმა ნელინელ უკან დაიხია, ქვემძრომი კი ნელა და ფრთხილად მიცოცავდა მისკენ, თითქოს საცაა მიახტება და უკბენსო. შიშის მიუხედავად, ნორმა საოცარი გააფთრებით დაჰყურებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ერთბაშად ნორმამ დაკრიჭა კბილები, დააღო წითელი ხახა, უმარჯვა, მოემზადა და უეცრივ დააცხრა ქვემძრომს. მორიელი, ეტყობა, გამოუსხლტა, რადგან ნორმამ მეორედ სტაცა პირი და ორჯერ მოიქნია ყბა გადასაყლაპად. მორიელის ქიცვმა ძაღლის კბილებში ტკაცატკუცი დაიწყო. გარეთ დარჩენილი კუდი და თათები საშინელი სისწრაფით იკლაკნებოდა. უეცრივ ნორმამ ერთი საცოდავად დაიწკავწკავა ქვემძრომს თურმე მოესწრო და ენაზე ეკბინა. ტკივილისაგან აყმუვლებულმა ნორმამ ხახა დააღო. თვალი შევასწარი, რომ შუაზე გადაღრღნილი ქვემძრომი კიდევ იკლაკნებოდა შიგ და თეთრი წვენი გადმოსდიოდა სხეულიდან, როგორც გაჭყლეტილ შავ ტარაკანს... ამ დროს გამომელვიძა და თავადიც შემოვიდა“.

– ბატონებო, – გაწყვიტა კითხვა იპოლიტმა, თითქოს შერცხვა კიდეც, – აღარ გადამიკითხავს, მაგრამ მგონი, მართლაც, ბევრი ზედმეტი მომსვლია. ეს სიზმარი...

– არც უმაგისობაა, – სწრაფდა ჩაურთო განიამ.

– მეც გეთანხმებით, რომ აქ პირადული ბევრია, კერძოდ ჩემზე...

იპოლიტს მოღლილი, დასუსტებული სახე ჰქონდა, შუბლიდან ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს.

– დიახ, საკუთარი თავი ფრიად გაინტერესებთ, – წაისისინა ლებედევმა.

– ბატონებო, ისევ გეტყვით, ძალას არავის ვატან; ვისაც არ უნდა, შეუძლია მიბრძანდეს.

– სხვისი სახლიდან... გვყრის, – ოდნავ გასაგონად წაიდუდუნა როგოჟინმა.

– ყველანი რომ მართლაც ავდგეთ და წავიდეთ? – მოულოდნელად თქვა ფერდიშჩენკომ, რომელსაც აქამდე ხმის ამოღება ვერ გაებედა.

იპოლიტმა ერთბაშად დახარა თავი და ხელნაწერს წაეპოტინა, მაგრამ მაშინვე აიღო თავი, თვალები წამოენთო, ლოყებზე წითელი ლაქები დააჩნდა, ჯიქურ შეხედა ფერდიშჩენკოს და უთხრა:

– თქვენ სულ არ გიყვარვართ!

შეიქმნა ხორხოცი, თუმცა ბევრს არ გასცინებია. იპოლიტს ალმურმა აჰკრა. თავადმა უთხრა:

– იპოლიტ, დახურეთ ეგ ნაწერი და მე მომეცით. თქვენ კი აქ, ჩემს ოთახში დაწექით და დაიძინეთ. დღესაც ვილაპარაკოთ დაძინებამდე და ხვალაც. იმ პირობით კი, რომ მერე ამ ფურცლებს აღარასოდეს გადაშლით. კარგი?

– ეგ როგორ შეიძლება? – გაკვირვებით შეხედა იპოლიტმა, – ბატონებო! – ისევ გამოცოცხლდა იგი, – სისულელე მომივიდა, თავის დაჭერა ვერ მოვახერხე, მეტად აღარ შევწყვეტ კითხვას. ვისაც უნდა მოსმენა, მოისმინოს...

მერე სწრაფად მოსვა ჭიქიდან წყალი, მაგიდას დაეყრდნო, რა არის სახე დაემალა, და ჯიუტად განაგრძო კითხვა. სირცხვილმა მალე გაურა...

„ის აზრი (განაგრძო კითხვა), რომ რამდენიმე კვირის გულისთვის სიცოცხლე არ ღირს, მგონი, ამ ერთი თვის წინათ დამებადა პირველად, მაშინ ოთხი კვირა კიდევ მქონდა დარჩენილი. მაგრამ სავსებით მხოლოდ ამ სამი დღის წინ გამიჯდა თავში, როცა იმ საღამოს პავლოვსკიდან დავბრუნდი. ამ აზრმა მთელი არსებით პირველად თავადის ტერასაზე შემიპყრო, სწორედ იმ წამს, როცა უკანასკნელად ვცადე ჩემი ბედი, მოვინდომე ხალხში გარევა, ხეების ნახვა (დე, ჩემი ნათქვამი იყოს), როცა გაფიცხებული ვამტკიცებდი, „ჩემი მოყვასის“, ბურდოვსკის მოთხოვნა სწორია-მეთქი, და ვოცნებობდი, რომ ყველანი უცბად ხელებს გაშლიდნენ, გულში ჩამიკრავდნენ, პატიებას მთხოვდნენ და მეც ჩემი მხრივ შენდობას გამოვთხოვდი.

ერთი სიტყვით, როცა ასე ბრიყვულად მოვიქეცი, სწორედ მაშინ დამებადა ეს „უკანასკნელი გადაწყვეტილება“. მიკვირს პირდაპირ, მთელი ექვსი თვე რამ გამაძლებინა ამ „გადაწყვეტილების“ გარეშე! ხომ ვიცოდი, რომ ჭლექი მჭირდა და არაფერი მეშველებოდა. ხომ თავს არ ვიტყუებდი და ყველაფერი ნათლად მესმოდა. მესმოდა, მაგრამ მით უფრო მეტად მწყუროდა სიცოცხლე, მით უფრო მეტად ვებღაუჭებოდი, მიუხედავად ყველაფრისა, მინდოდა მეცოცხლა. გეთანხმებით, რომ მაშინ გაბოროტებული ვიყავი ამ ჩემს უწყალო, გაუკითხავ ბედის განაჩენზე, რომელსაც ბუზივით გასრესა მოეპრიანებინა ჩემი. კაცმა არ იცის, რატომ; მაგრამ რად არ დავჯერდი მარტო გაბოროტებას რად მოვინდომე ისევ სიცოცხლე, როცა ვიცოდი, ჩემთვის ეს შეუძლებელი იყო; რად ვცადე ბედი, როცა ვიცოდი, ამ ცდას ჩემთვის აზრი არ ჰქონდა როცა წიგნების კითხვაც აღარ შემეძლო და თავი ვანებე კითხვას: რისთვის უნდა მეკითხა, რისთვის უნდა მესწავლა, განა ექვსი თვისთვის ღირდა წვალება? ამ ფიქრმა არაერთხელ გამაგდებინა წიგნი ხელიდან. დიახ, მეიერის კედელს ბევრი რამ შეუძლია თქვას! ბევრი რამ წავაწერე ზედ. იმ

ბინძური კედლის ყოველი ლაქა ზეპირად ვიცი, წყეული კედელი! და მაინც პავლოვსკის ყველა ხეს მირჩევნია, ანუ უნდა მერჩივნოს, რომ ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი არ იყოს ახლა.

მაგონდება, რა ხარბი ინტერესით ვადევნებდი თვალს იმათ ცხოვრებას, ჩემს დღეში ასეთი ინტერესი არა მქონია. რა მოუთმენლად ველოდი, რა წყევლა-კრულვით ვხვდებოდი ხოლმე ზოგჯერ კოლიას, როცა სენი ლოგინად ჩამაგდებდა და გარეთ გასვლა აღარ შემეძლო. ყოველ წვრილმანს ისე ჩავსდევდი, ყოველი ჭირი ისე მაინტერესებდა, რომ ჭორიკანაც გავხდი, მგონი, მე, მაგალითად, ვერ გამეგო, ამდენი ხნის სიცოცხლე უდევთ წინ და როგორ ვერ ახერხებს ეს ხალხი გამდიდრებას-მეთქი (თუმცა ახლაც ვერ გამიგია). ერთ ღარიბ კაცს ვიცნობდი, მერე მიამბეს, შიმშილმა მოკლაო. მახსოვს, როგორ მომივიდა გული, როცა ეს მითხრეს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო მისი გაცოცხლება, მგონი, ხელმეორედ მოვკლავდი. ხანდახან მთელი კვირები კარგად ვგრძნობდი თავს, ქუჩაში გამოსვლაც შემეძლო, მაგრამ ბოლოს ისე შემძულდა ეს გარეთ სიარული, მთელი დღეები განზრახ ვიჯექი ჩაკეტილი. ვერა და ვერ ამეტანა ეს აწრიალებული, ნიადაგ შეწუხებული, მოშხამული, აფორიაქებული ადამიანები, ტროტუარზე რომ გარბი-გამორბოდნენ წინ და უკან, რისი გულისთვის ჩამოსტირით ნიადაგ სახე, რისი ეშინიათ, რა აწრიალებთ, რამ მოჟამათ და გააბოროტათ ასე (იმიტომ რომ ყველანი ბოროტები, ბოროტებია) ვისი ბრალია, რომ ამ უბედურებს ცხოვრება ვერ მოუწყვიათ, თუმცა სამოცი წლის სიცოცხლე კი არგუნათ ბედმა რად მოაკვლევინა ზარნიცინმა შიმშილს თავი, როცა სამოცი წელი კიდევ შეეძლო ეცოცხლა ყველა გჩრის იმ თავის ძონძებს, ნაჯაფარ ხელებს, გაცოფებული გიყვირის „ვირივით ვშრომობთ, წელს ვიწყვეტთ, ძაღლივით მშივრები კი ვყრივართ; არაფერი გვაბადია! სხვები არ მუშაობენ, არ შრომობენ და მდიდრები არიანო!“ (ყველას ეს აკერია პირზე!) ასევე დარბის და დილიდან საღამომდე ასევე ჯახირობს ერთი გაუბედურებული „კეთილშობილი გვარის“ კაცუნა, ივან ფომიჩ სურიკოვი, რომელსაც ჩვენ ზემოთ უჭირავს ბინა, მუდამ იდაყვები აქვს გამოყრილი, მუდამ ღილები აქვს დაწყვეტილი, ვის სად ეგზავნება, ვინ რას ავალებს, დილიდან საღამომდე გზაზეა გაკრული. თუ გამოელაპარაკები, ჩივის და წუწუნებს „არაფერი მაბადია, ღატაკი და მათხოვარი ვარ, ცოლი მომიკვდა, იმიტომ რომ წამლებისთვის ფული არ გამაჩნდა, ზამთარში ბავშვი გამეყინა; უფროსი ქალი ვიღაცას დაუჯდა ხასადო...“ არა, თავის დღეში არ შემცოდებიან ეს სულელები, არც ახლა და არც წინათ, – სიამაყით ვამბობ ამას! რატომ არ არის როტშილდი ვისი ბრალია, რომ როტშილდივით მილიონები არ დაიგროვა, რომ იმპერიალებისა და ნაპოლეონდორების იმ სიმაღლე მთა არ უდგას, როგორც ბალაგანების წინ არის ხოლმე ყველიერში! რაკი ცოცხალია, მაშასადამე, ყველაფერი მის ხელთაა! ვისი ბრალია, თუკი ეს ვერ შეუგნია?

ო, ახლა ჩემთვის უკვე სულ ერთია, ახლა უკვე გაბოროტებისთვის არ მცალია, მაგრამ მაშინ კი, გიმეორებთ, მაშინ კი პირდაპირ კბილებით ვღრღნიდი ღამღამობით ჩემს ბალიშს და საბანს ვგლეჯდი გაცოფებული. ო, როგორ ვოცნებობდი მაშინ, როგორ ვნატრობდი, განზრახ ვნატრობდი, რომ მე, თვრამეტი წლის ბიჭი, თითქმის შიშველ-ტიტველი ქუჩაში გავეგდეთ და ამ უზარმაზარ ქალაქში სულ მარტო, უბინაო, უმუშევარი, ულუკმაპუროდ, უნათესავოდ და უნაცნობოდ დავეტოვებინეთ, მშიერი და ნაცემ-ნაგვემი (მით უკეთესი!), ოღონდ კი ჯანი მქონოდა. აი, მაშინ კი დავამტკიცებდი...

რას დავამტკიცებდი?

ნეტა თუ გგონიათ, რომ თვითონ არ ვიცი, როგორ დავიმცირე ისედაც თავი ამ ჩემი „ახსნა-განმარტებით!“ აბა, რომელი ერთი არ მომნათლავს ცხოვრების უცოდინარ ლაწირაკად, ვის გაახსენდება, რომ უკვე თვრამეტი წლისა აღარ ვარ, ვის გაახსენდება, რომ ისეთი სიცოცხლე,

როგორც მე ეს ექვსი თვე მქონდა, სიბერემდე მოყრას ნიშნავს! მაგრამ დე იქირქილონ და თქვან, ეგ სულ ზღაპრებიაო. მე მართლაც, ვყვებოდი ჩემთვის ზღაპრებს, როცა ღამ-ღამობით ძილი არ მეკარებოდა. ახლა ყველა ისინი მაგონდებიან.

მაგრამ ნუთუ ხელახლა უნდა მოვყვე ის ზღაპრები, ახლა, როცა ჩემთვისაც განვლო ზღაპრების ხანამ მერე და ვის მოვუყვე! მე ხომ მაშინ ვირთობდი ამ ზღაპრებით თავს, როცა ბერძნული გრამატიკის სწავლაც არ შემეძლო. ერთხელაც პირველ გვერდზევე გავიფიქრე „სინტაქსამდე ვერ მოვასწრებ ჩასვლას, რომ მოვკვდები-მეთქი“, და წიგნი მაგიდის ქვეშ შევაგდე. ის ახლაც იქ აგდია; მატრიონას ავუკრძალე, ხელი არ ახლო-მეთქი.

ვისაც ეს ჩემი „ახსნა-განმარტება“ ჩაუვარდება ხელთ, მოთმინება ეყოფა და წაიკითხავს, ის მე შეშლილად, გიმნაზისტად ანდა უფრო სწორად, სიკვდილმისჯილად ჩამთვლის, რომელმაც, ბუნებრივია, წარმოიდგინა, რომ მის გარდა არავინ აფასებს სიცოცხლეს, ბედოვლათურად ანიავებს წუთისოფლის დღეებს. ზანტად, უსინდისოდ ეკიდება მათ და, მაშასადამე, არცაა მისი ღირსი! მერე რა მე ვიტყვი, რომ ჩემი მკითხველი შემცდარი იქნება და რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე სასიკვდილო განაჩენს გავლენა არ მოუხდენია. აბა, ჰკითხეთ, ჰკითხეთ ერთი იმათ ყველას სათითაოდ, რა მიაჩნიათ ბედნიერებად ო, მერწმუნეთ, კოლუმბმა მაშინ კი არ იგრძნო ბედნიერება, როცა ამერიკა აღმოაჩინა, არამედ მაშინ, როცა მის აღმოსაჩენად ესწრაფებოდა; მერწმუნეთ, ყველაზე დიდი ბედნიერება ალბათ მაშინ განიცადა, როცა ახალი ქვეყნის აღმოჩენამდე სამი დღით ადრე სასოწარკვეთილი ეკიპაჟი აუჯანყდა და კინაღამ უკან, ევროპაში არ გამოაბრუნებინა ხომალდი! ახალი ქვეყანა აქ არაფერ შუაშია, თუნდაც ჯანდაბის გზა ჰქონია. კოლუმბი ხომ ისე მოკვდა, თითქმის არც უნახავს ის და არც იცოდა, სინამდვილეში რა აღმოაჩინა თავი და თავი ცხოვრებაა, მხოლოდ ცხოვრება, – განუწყვეტელი, მარადიული სწრაფვა აღმოჩენისა და არა აღმოჩენანი! მაგრამ რაებს ვამბობ! რაც მე ახლა ვთქვი, ამას ალბათ ზოგად ფრაზებად ჩამითვლიან, დაბალი კლასის მოწაფის შესაფერისად, ვისთვისაც თემად „მზის ამოსვლა“ მიუციათ, ან არადა იტყვიან, იქნებ კი უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მიუხედავად სურვილისა, ვერ მოახერხაო... ესეც კია, რომ რაც უნდა გენიალური, ახალი, ანდა სერიოზული აზრი მოგივიდეს თავში, მაინც რჩება მუდამ ისეთი რამ, რასაც სხვა ადამიანებს ვერასგზით ვერ გადასცემ, თუნდაც მთელი ტომები დაწერო და ოცდათხუთმეტი წელი იქადაგო, მუდამ არის რაღაც ისეთი, რაც არაფრის დიდებით არ დათანხმდება შენი ტვინიდან გამოსვლას და მუდამ შენთან დარჩება, ისეც წახვალ ამ ქვეყნიდან, რომ შენს უმთავრეს იდეას ვერავის გადასცემ. მაგრამ თუ მეც მოვახერხე ახლა ყოველივე იმის გადმოცემა, რაც ამ ექვსი თვის მანძილზე მტანჯავდა, იმას ხომ მაინც გამიგებენ, რომ ჩემი უკანასკნელი „გადაწყვეტილების“ მიღება მეტისმეტად ძვირად დამიჯდა. აი, სწორედ ეს მიმაჩნდა მე აუცილებლად, ჩემთვის გარკვეული მიზეზების გამო, ამ ჩემი „ახსნა-განმარტებით“ მემცნო ყველასთვის. მაგრამ ვაგრძელებ ისევ“.

VI

„ტყუილს ვერ ვიტყვი სინამდვილე მეც მდებდა ანკესს ამ ექვსი თვის მანძილზე და ზოგჯერ იმ ზომამდე მიტაცებდა, მავიწყდებოდა ჩემი განაჩენი, უფრო სწორად, ვცდილობდი აღარ მეფიქრა ამაზე და საქმეს ვაკეთებდი. ბარემ ჩემს მაშინდელ მდგომარეობაზეც ვიტყვი. როცა რვა თვის წინათ უკვე ძალიან ავად შევიქენ, ყველგან ამოვიკვეთე ფეხი და ჩემი ყოფილი ამხანაგები

მივატოვე. რაკი ისედაც საკმაოდ უჟმური ვიყავ, ამხანაგებმა ადვილად გადამივიწყეს. რა თქმა უნდა, უამისოდაც არ მოიკლავდნენ ჩემთვის თავს. შინ, ანუ „ოჯახში“ არავინ მაწუხებდა. ხუთიოდე თვის წინ ერთხელ და სამუდამოდ გამოვიკეტე ოთახი და ჩემიანებს სავსებით გამოვეყავი. ჩემი სიტყვა მუდამ კანონი იყო, ვერავინ გაბედავდა ჩემთან შემოსვლას, თუ არა გარკვეულ საათებში ოთახის დასალაგებლად ან სადილის შემოსატანად. ჩემს ბრძანებას დედა კანკალით ისმენდა და, როცა ხანდახან შემოვუშვებდი, ვერც მაშინ მიბედავდა ხოლმე წუწუნს. ჩემი გულისთვის ბევრჯერ შემოელახა ბავშვები, ნუ ხმაურობთ და ნუ აწუხებთო, მე ხომ ხშირად ვუჩიოდი მათ ღრიანცელსა და ხმაურს. წარმომიდგენია, რა სიყვარული ექნებათ ჩემი! „ერთგულ კოლიასაც“, როგორც მე შევარქვი, მგონი, გვარიანად ჩავუმწარე სიცოცხლე. უკანასკნელ ხანს ისიც მაწვალებდა ან რაა გასაკვირი, ადამიანები ხომ ერთმანეთის საწვალებლად გაუჩენია ღმერთს, მაგრამ შევნიშნე კი, რომ ჩემს ფხუკიანობას ისეთი სახით ითმენს, თითქოს წინასწარ სიტყვა მისცა თავს, ავადმყოფია და დავინდობო. ბუნებრივია, რომ ესეც მაბრაზებდა; მაგრამ, მგონი, თავადს ბაძავს ახლა „ქრისტიანულ მოთმინებაში“, რაც, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ყმაწვილისა და გულფიცხ ბიჭს, ცხადია, ყველას მიბაძვა სწადია; მაგრამ ხანდახან იმასაც ვფიქრობ, დროა უკვე საკუთარი ჭკუით იცხოვროს. მე ის ძალიან მიყვარს. ვამწარებდი ჩვენს ზევით მცხოვრებ სურიკოვსაც, რომელიც დილიდან საღამომდე ვიღაც-ვიღაცების დავალებაზე დაწანწალებდა; მე იმას ნიადაგ ვუმტკიცებდი, შენი ბრალია, ღატაკი რომ ხარ-მეთქი. ბოლოს იმდენად დავაშინე, აღარც მოდის ჩემთან. სურიკოვი თვინიერზე თვინიერი კაცია (NB. ამბობენ, თვინიერება რაღაც საშინელი ძალააო, ერთი თავადს უნდა ვკითხო, ეს მისი სიტყვებია); მაგრამ ერთხელ, როცა მარტის თვეში მასთან ავედი, რათა „მოყინული“ ბავშვი მენახა, უნებურად გამეცინა მისი შვილის ცხედართან, რადგან მე ისევ დავუწყე ახსნა „შენი ბრალია-მეთქი“. ამ თვინიერ კაცუნას უეცრივ ტუჩები აუკანკალდა, ერთი ხელი მხარში წამავლო, მეორეთი კარზე მიმითითა და თითქმის ჩურჩულით ჩამილაპარაკა „გამეცალეთო!“ გამოვედი, მაგრამ ძალიან კი მომეწონა მისი საქციელი, მომეწონა იმ წუთშივე, რა წუთშიც გამომაგდო. ოღონდ მისი სიტყვები რომ გამახსენდებოდა, კარგა ხნის შემდეგაც რაღაც მძიმედ დამაწვებოდა გულზე და უცნაური, ზიზღნარევი სიბრალული ამიტანდა ხოლმე, რაც სულაც არ მინდოდა მეგრძნო. ხომ ისეთი შეურაცხყოფა მივაყენე (განა არ ვიცი, შეურაცხყოფა რომ მივაყენე, თუმცა უნებლიეთ), მაგრამ იმ წუთშიც ვერ შეძლო ამ კაცმა გაბრაზება! ფიცს დავდებ, რომ ტუჩები იმ წუთს სიბრაზემ არ აუკანკალა ხელი რომ მტაცა და ის თავისი შესანიშნავი „გამეცალეთო!“ მითხრა, სულაც ბრაზით არ მოსვლია. ღირსეულად კი დაიჭირა თავი, მეტისმეტადაც, რაც სულაც არ უხდებოდა (მართალი რომ ვთქვათ, სასაცილოც კი იყო), მაგრამ არ გაბრაზებულა, არა! ვინ იცის, უბრალოდ შემიზიზღა უეცრად. მას შემდეგ ორ-სამჯერ შემხვდა კიბეზე და ქუდი მომიხადა, რაც თავის დღეში არ უქნია, მაგრამ წინანდელივით აღარ შეჩერებულა, აწურულმა ჩამიარა გვერდით. მაგრამ თუ ზიზღით მიცქერდა, ესეც თავისდაუნებურად გამოდიოდა ესეც „თვინიერი ზიზღი“ იყო. ანდა იქნებ მხოლოდ შიშით მიხდიდა ქუდს, მე ხომ მისი მევალის ვაჟი ვიყავი, მას მუდამ დედაჩემის ფული ემართა და ვალებიდან ვერ ამოდიოდა. ეს უფრო ახლოა ჭკუასთან. ერთი პირობა მინდოდა შემეჩერებინა, ამეხსნა მისთვის, დანამდვილებით ვიცი, ათი წუთის შემდეგ პატიებას მთხოვდა, მაგრამ მერე გადავწყვიტე თავი დამენებებია.

ამ ხანში, ე.ი. დაახლოებით იმ დროს, როცა სურიკოვს ბავშვი „მოეყინა“, ასე მარტის შუა რიცხვებში, რატომღაც უეცრივ გაცილებით უკეთ ვიგრძენი თავი. მთელი ორი კვირა კარგად ვიყავი და გარეთ გამოსვლაც დავიწყე, მეტწილად შებინდებისას. მიყვარდა მარტის შემოღამება, როცა ყინვა ცოტა მოუჭერს ხოლმე და გაზს აანთებენ; ზოგჯერ კარგა შორსაც მივდიოდი.

ერთხელ, შესტილავოჩნზე ვიღაც კაცმა გამისწრო წინ, „კეთილშობილი“ უნდა ყოფილიყო, სიბნელეში სახე კარგად ვერ გავარჩიე; რაღაც ქაღალდში შეხვეული მიჰქონდა, მოკლე, უშნო პალტო ეცვა, – სეზონს რომ არ შეეფერებოდა ისეთი თხელი. ფარანს გაუსწორდა თუ არა, ჩემგან ათიოდე ნაბიჯზე, შევნიშნე, ჯიბიდან რაღაც გადმოუვარდა. უმალ მივვარდი ასაღებად – და სულზე მივასწარ, რადგან ვიღაც გრძელხიფთანიანი კაცი მოიჭრა ამასობაში. მაგრამ რომ დაინახა, უკვე მე მეჭირა ხელში, აღარ შემეცილა, ალმაცერად დამხედა და ჩამიარა. ის საგანი ტანსიკონის ძველებური, დატენილი დიდი საფულე გამოდგა; დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ, ფულის გარდა შიგ ყველაფერი იქნებოდა. საფულის პატრონს უკვე ორმოც ნაბიჯზე გაესწრო. მალე გამვლელებში დამეკარგა. ძახილით გავეკიდე; მაგრამ „ჰეის!“ გარდა აბა რა უნდა დამეძახა. ასე რომ, არც მომხედა. უეცრივ მარცხნივ, ერთი სახლის ალაყაფში შეუხვია. ალაყაფთან რომ მივირბინე, სადაც ძალზე ბნელოდა, უკვე აღარავინ დამხვდა. უზარმაზარი სახლი იყო, ასეთ უზარმაზარ სახლებს აფერისტები აგებენ ხოლმე, პატარ-პატარა ბინებისათვის. ამგვარ სახლებში ზოგჯერ ასამდე ბინას დაითვლის კაცი. ალაყაფი რომ გავირბინე, მომეჩვენა, თითქოს მარჯვნივ, უზარმაზარი ეზოს სიღრმეში, ვიღაც კაცი მიდიოდა, თუმცა სიბნელეში ძლივს კი გავარჩიე. კუთხეს რომ მივაღწიე, კიბის შესასვლელი დამხვდა; ვიწრო, საოცრად ჩამურტლული კიბე იყო, გაუნათებელი; მაგრამ გავიგონე კი, რომ მაღლა ვიღაც არბოდა კიბეზე. მეც უკან გავყევი, ვიფიქრე, სანამ კარს გაუხსნიან, მეც დავეწევი-მეთქი. ასეც მოხდა. მოკლე-მოკლე კიბეებს ბოლო აღარ უჩანდა და პირდაპირ სული შემეხუთა. კარი მეხუთე სართულზე გაიღო და დაიკეტა. ამას მესამე სართულზე მივხვდი. ვიდრე მე იქ ავირბენდი, ვიდრე სულს მოვითქვამდი და ზარს მოვძებნიდი, რამდენიმე წუთი გავიდა. კარი ვიღაც დედაკაცმა გამიღო, პაწაწკინტელა სამზარეულოში სამოვარს აჩაღებდა; ჩემი კითხვები უხმოდ მოისმინა, ცხადია, ვერაფერი გაიგო, და უხმოდვე შემიღო მეორე ოთახის კარი. ისიც პატარა ოთახი იყო, საოცრად დაბალჭერიანი, ყოვლად უხეირო, მხოლოდ აუცილებელი ავეჯით მორთული; განიერ, ვეება, ფარდებჩამოფარებულ საწოლზე „ტერენტიჩი“ იწვა (ასე მიმართა დედაკაცმა), მთვრალი უნდა ყოფილიყო. მაგიდაზე რკინის სანათურში საცაა ჩაიწვებოდა სანთელი. იქვე იდგა თითქმის გამოცლილი ნახევარკვარტიანი. ტერენტიჩმა რაღაც შემომზმუილა და ახლა მეორე კარზე მანიშნა ხელით, არც წამომდგარა. ის დედაკაციც გასულიყო. სხვა რა გზა მქონდა, ის კარი უნდა შემეღო. ასეც მოვიქეცი და მეორე ოთახში შევედი.

ის ოთახი პირველზე უფრო ვიწრო და პატარა გამოდგა. სად მივბრუნებულიყავი, აღარ ვიცოდი; ვიწრო, ერთსაწოლიან ლოგინს თითქმის მთელი ოთახი დაეკავებინა. სხვა ავეჯიდან მხოლოდ სამი უბრალო სკამი იდგა და ზედ ძონძები ეკიდა. მუშამბიანი ძველი ტახტის წინ უბრალო, სამზარეულოს მაგიდა იყო, ასე რომ, მაგიდასა და ლოგინს შუა გასასვლელი ადგილი არც რჩებოდა. მაგიდაზე ქონის სანთელი პარპალებდა ისეთსავე რკინის სანათურში, როგორც წინა ოთახში. ლოგინზე პაწია ბალღი ღნაოდა, ხმის მიხედვით სამ კვირაზე მეტის არ იქნებოდა; სნეული, გაცრეცილი ქალი საფენს უცვლიდა, მგონი, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. შილიფად ეცვა და, ვინ იცის, ლოგინობიდან ახალი წამომდგარი იყო. ბალღი ღნავილს არ ათავებდა, მიმჭკნარი ძუძუ უნდოდა ალბათ. დივანზე სამი წლის გოგონას ეძინა და, მგონი, ფრაკი ეხურა. მაგიდასთან ვიღაც კაცი იდგა, გაცვეთილზე გაცვეთილი სერთუკი ეცვა (პალტო უკვე გაეხადა და ლოგინზე დაეგდო), ლურჯი ქაღალდის შეკვრას ხსნიდა, სადაც ორი გირვანქა პური და ორი პატარა ძეხვი იდო. მაგიდაზე კიდევ ჩაიდანი იდგა და შავი პურის ნაჭრები ეყარა. ლოგინის ქვეშ დაუკეტავი ჩემოდნის კუთხე მოჩანდა, ძონძებიანი ფუთა გამოჩრილიყო. ერთი სიტყვით, საშინელი უწესრიგობა სუფევდა. ის კაციცა და ის ქალიც ერთი შეხედვით რიგიანი ხალხი

მეჩვენა, მაგრამ გაჭირვებას ისეთ დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაეგდოთ, როცა უწესრიგობასთან ბრძოლის თავი კაცს აღარა აქვს და გამწარებულს რაღაც ჯიბრიან სიამოვნებასაც ანიჭებს ეს სიბინძურე. მე რომ შევედი, ის კაცი თავის მოტანილ სანოვაგეს ხსნიდა და რაღაცას გაცხარებით უყვებოდა ცოლს, რომელიც ბავშვს ხვევდა და თან წუწუნებდა. ეტყობა, გასახარელს არაფერს ეუბნებოდა ჩვეულებისამებრ. ამ ვაჟბატონის შავგვრემანი, ხმელ-ხმელი სახე, შავი ქილვაშებითა და სუფთად გაპარსული ნიკაპით, საკმაოდ რიგიანი, სასიამოვნოც კი მეჩვენა. ასე ოცდარვა წლისა იქნებოდა. პირქუში გამომეტყველება და გამოხედვა ჰქონდა. ისიც ეტყობოდა, ავადმყოფურად ამაყი უნდა ყოფილიყო და წონასწორობას ადვილად კარგავდა. ჩემ შესვლაზე უცნაური სცენა გაიმართა.

არის ხალხი, ვისაც გაფხუკიანება და გაბრაზება მეტისმეტ სიამოვნებას ანიჭებს, მეტადრე თუ გაბრაზებამ საზღვარს გადააცილა (ეს კი ერთ წამში ხდება). ამ წუთს, მგონი, კიდეც სიამოვნებთ, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს, მერე კი საოცრად ნანობენ ამ გაფიცხებას. რა თქმა უნდა, თუ ჭკუა აქვთ და იმის გარჩევა შეუძლიათ, რომ ათჯერ მეტად გაფხუკიანდნენ, ვინემ ღირდა. ეს ვაჟბატონი რამდენიმე ხანს განცვიფრებული მომშტერებოდა, ცოლიც შეშინებული მიყურებდა, თითქოს მათ სახლში სტუმრის მისვლა დიდ საკვირველებას წარმოადგენდა. ორი სიტყვის წაბურტყუნებაც ვერ მოვასწარი, რომ უეცრივ გაცოფებული მეცა. ალბათ, იმან უფრო გაახელა, რომ ასე მოურიდებლად შევეჭერი და მთელი მისი უგვანო ყოფა დავინახე. ეს კი, ეტყობა, ძალზე ეთაკილებოდა. თანაც რიგიანი ჩაცმული ვიყავი. ისიც ცხადია, თავისი უბედურებით გაგულისებულს, გაეხარდა, ვისმეზე რომ შეეძლო ჯავრის ამოყრა. ერთი პირობა კიდეც ვიფიქრე, მუშტებით მომვარდება-მეთქი; სახეზე ისე ადაფითრდა, როგორც ქალებს სჩვევიათ ხოლმე ისტერიკის მოვლისას და ცოლიც საოცრად შეაშინა.

– როგორ გაბედეთ ასე შემოსვლა გაეთრიეთ! – გაჰყვიროდა ის აკანკალებული და სიტყვების გამოთქმაც უჭირდა. უცბად ხელში თავისი საფულე შემნიშნა.

– მგონი, თქვენ დაგივარდათ, – რაც შეიძლება მშვიდად და ცივად ვუთხარი (ასეც ეკადრებოდა).

ეს რომ ვუთხარი, შეშინებული გაჩერდა და ერთ ხანს გაოგნებული მიყურებდა. მერე სასწრაფოდ ჯიბე მოისინჯა, თავზარდაცემულმა პირი დააღო და შუბლში იკრა ხელი.

– ღმერთო! სად იპოვეთ? რანაირად?

მოკლედ და კიდევ უფრო ცივად მოვუყევი, როგორ ავიღე საფულე, როგორ გამოვეკიდე ძახილით, როგორ მივხვდი, სად ცხოვრობდა და სიბნელეში როგორ დავედევნე კიბეზე.

– ო, ღმერთო ჩემო! – შესძახა მან და ცოლს მიუბრუნდა, – შიგ მთელი ჩვენი საბუთებია, ჩემი უკანასკნელი იარაღები, ყველაფერი... ო, მოწყალეო ბატონო, იცით კი, რა სიკეთე მიყავით? ხომ დავიღუპებოდი!

ამასობაში მე კარის სახელურს წავეტანე, რა არის პასუხის გაუცემლად წავსულიყავი; მაგრამ სული მეხუთებოდა და მღელვარებისაგან უეცრად ისეთი საშინელი ხველა ამიტყდა, კინაღამ წავიქეცი; დავინახე, როგორ აწრიალდა ის ვაჟბატონი ჩემთვის ცარიელი სკამის მოსანახად, ბოლოს ერთ სკამს დაავლო ხელი, ძონძები იატაკზე ჩამოყარა, საჩქაროდ მომირბენინა და დიდი სიფრთხილით დამსვა. მაგრამ ხველა ვერ დავიწყნარე, სამი წუთი კიდევ მახრჩობდა. როცა მოვსულიერდი, ის უკვე ჩემ წინ იჯდა მეორე სკამზე. ალბათ ძონძები იქიდანაც იატაკზე დაეფერთხა, და დაკვირვებით შემომყურებდა.

– მგონი... რაღაცას უჩივით, არა – დამიწყო ისეთი კილოთი, როგორც ექიმებს სჩვევიათ ხოლმე ავადმყოფების გასინჯვისას. – მე თვითონ... მკურნალი ვარ (ექიმიო, არ უთქვამს), – და ხელით მანიშნა, ხედავთ, რა დღეში ვარო. – გატყობთ, რომ...

– ჭლექი მჭირს, – მოკლედ მოვუჭერი და წამოვდექი.

ისიც მაშინვე წამოხტა.

– იქნებ, აზვიადებთ... წამლები რომ მიიღოთ...

ექიმი ძალზე დაბნეული იყურებოდა, ეტყობოდა, გონს ვერ მოსულიყო საფულე მარცხენა ხელში ეკავა.

– ო, ნუ შეწუხდებით, – გავაწყვეტინე და კარის სახელურს წავავლე ხელი, – წინა კვირას ბ-ნმა გამსინჯა (აქაც ბ-ნი ჩავაკერე), ასე რომ ჩემი ამბავი გადაწყვეტილია. უკაცრავად...

მინდოდა წავსულიყავი და ეს ჩემი საქციელწამხდარი, მადლიერი და სირცხვილით განადგურებული ექიმი დამეტოვებინა, მაგრამ წყეულმა ხველებამ ისევ შემომიტია. ექიმმა დამიჟინა, უნდა დაჯდეთ და დაისვენოთო. მერე ცოლს მიუბრუნდა. იმანაც თავის მხრივ რამდენიმე სამადლობელი და გულთბილი სიტყვა მითხრა, თუმცა ისე შერცხვა, რომ ჩაყვითლებულ, გამხმარ ლოყებზე სიწითლემ გადაუარა. დავრჩი, მაგრამ ისეთი სახე მქონდა, ყოველ წამს ვაგრძნობინებდი, შეწუხებისა მერიდება-მეთქი (ახიც იყო მასზე). ჩემი ექიმი, როგორც შევნიშნე, ბოლოს სულ დატანჯა სინანულმა.

– თუკი რამ შემიძლია... – დაიწყო, მაგრამ მაშინვე გაწყვიტა სიტყვა და სხვაზე გადახტა, – რა მადლიერი ვარ თქვენი და რა დამნაშავე თქვენს წინაშე... მე... აგერ ხომ ხედავთ... – და ისევ მიმოიხედა, – ამჟამად რა დღეში ვარ...

– ო, გასაგებია; ალბათ ადგილი დაკარგეთ და გამოსარკვევად ჩამოხვედით, ახალ ადგილს ეძებთ?

– საიდან გაიგეთ? – მკითხა გაოცებულმა.

– როგორც კი შეგხედეთ, მაშინვე მივხვდი, – ჩემდა უნებლიეთ დაცინვით ვუპასუხე, – პროვინციებიდან აქ ბლომად ჩამოდიან მაგ იმედით, დარჩებიან, ხლაფორთობენ და ასეთსავე დღეში არიან.

ექიმმა ერთბაშად მოხსნა გუდა. ტუჩები უკანკალებდა, როცა თავის გაჭირვებაზე შემომჩიოდა და თავის ამბავს მიამბობდა. მართალი გითხრათ, გამიტაცა და თითქმის ერთი საათი დავყავი მასთან. მიამბო, რაც გადახდენია თავს, თუმცა საოცარი მის ამბავში არაფერი იყო. ერთ-ერთ გუბერნიაში ექიმად მუშაობდა თურმე, სახელმწიფო ადგილზე. მერე რაღაც ინტრიგები გაუბამთ და მისი ცოლიც გაურევიათ შიგ. ექიმს უთაკილებია ეს ამბავი, გაფიცხებულა; საგუბერნიო მთავრობას მისი მტრების მხარე დაუჭერია. მერე ის იყო, უჩივლეს და ადგილი დააკარგვინეს. ისიც უკანასკნელი კაპიკებით პეტერბურგს გამოემგზავრა საქმის გასარკვევად. რა თქმა უნდა, პეტერბურგში დიდ ხანს არავინ ათხოვა ყური, მერე მოუსმინეს, მერე უარი უთხრეს, მერე ისევ დაპირებით მიიტყუეს, მერე მკაცრად დაუხვდნენ, ახსნა-განმარტების წერილიც დააწერინეს, ბოლოს უარი თქვეს მისი დაწერილის მიღებაზე, თხოვნა შემოიტანეო, – ერთი სიტყვით, მეხუთე თვეა დაარბენინებენ. ყველაფერი შემოეჭამა. ცოლის უკანასკნელი კაბები დააგირავა, ამასობაში ბავშვი დაებადათ „დღეს კი საბოლოო უარი განმიცხადეს გაგზავნილ თხოვნაზე, მე კი პურის ფულიც არ გამაჩნია, ცოლმა მოილოგინა. მე, მე...“

ექიმი წამოხტა და პირი იბრუნა. ცოლი კუთხეში იცრემლებოდა, ბავშვმა ღნავილი ატეხა. უბის წიგნაკი ამოვიღე და ყველაფერი შიგ ჩავიწერე. ჩაწერა რომ დავამთავრე და ავდექი, დავინახე, ექიმი ჩემ წინ იდგა და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შემომყურებდა.

– თქვენი გვარი ჩავიწერე, ისიც, სად მსახურობდით, თქვენი გუბერნატორის გვარიც, თვე და რიცხვი. ერთი ამხანაგი მყავს, სკოლაში ერთად ვსწავლობდით, გვარად ბახმუტოვია, ბიძამისი პიოტრ მატვეევიჩ ბახმუტოვი სტატსკი სოვეტნიკია და დირექტორად მსახურობს...

– პიოტრ მატვეევიჩ ბახმუტოვი! – შეჰყვირა ჩემმა ექიმმა და ლამის აცახცახებდა, – სწორედ მაგაზეა დამოკიდებული თითქმის ყველაფერი.

მართლაც, მშვენივრად მოეწყო და მოგვარდა ექიმის საქმე, როგორც რომანებში ხდება ხოლმე, ჩემი შემწეობით ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა. ჩემი დიდი იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ, ვუთხარი იმ საცოდავებს, ერთი ღარიბი გიმნაზიელი ვარ (განგებ მოვისაწყლე თავი, კურსი რა ხანია დამთავრებული მქონდა და გიმნაზიელად აღარ ვითვლებოდი), არც ჩემი გვარის ცოდნაა თქვენთვის საჭირო, მაგრამ ახლავე წავალ ვასილევსკის კუნძულზე ჩემს ამხანაგ ბახმუტოვთან-მეთქი. დანამდვილებით ვიცი, ბიძამისი ნამდვილი სტატსკი სოვეტნაკია, უცოლშვილო და თავის ძმისწულზე ამოსდის მზე და მთვარე, ძალიან უყვარს, რამეთუ გვარის გამგრძელებლად მიაჩნია, – „ჰოდა, შესაძლოა, ჩემმა ამხანაგმა რამე მოგვიხერხოს ბიძამისთან-მეთქი...“ – ოღონდაც ნება მომცენ, მის აღმატებულებას ავუხსნა ჩემი ამბავი! ოღონდაც მეღირსოს პირადად ავუხსნა! – შესძახა თვალებანთებულმა და ციებცხელებიანივით აკანკალდა. მეღირსოსო, სწორედ ასე თქვა. მე კიდევ ერთხელ გავუმეორე, უთუოდ ვერაფერს მოვახერხებ, შეიძლება ყველაფერი სისულელე აღმოჩნდეს-მეთქი. ასე რომ, თუ ხვალ დილას აღარ მოვიდე, საქმე წაგებულად ჩათვალეთ და იმედი აღარ გქონდეთ-მეთქი. დიდის პატივით გამომაცილეს, თავის ჭკუაზე აღარ იყვნენ. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მათი სახეები და გამომეტყველება. ჩავჯექი ეტლში და მყის ვასილევსკის კუნძულებისაკენ გავსწიე.

ბახმუტოვს მუდამ მტრულად ვეკიდებოდი გიმნაზიაში. მე მას არისტოკრატი შევარქვი. მუდამ მშვენივრად ეცვა, საკუთარი ეტლით დადიოდა, მაგრამ არ ბაქიბუქობდა. კარგი ამხანაგობაც იცოდა, მუდამ საოცრად მხიარულ გუნებაზე იყო, შიგადაშიგ ფრიად ენამოსწრებული, თუმცა დიდ ჭკუას ვერ დაიტრაბახებდა, მიუხედავად იმისა, რომ კლასში მუდამ პირველი მოწაფე იყო. მე კი თავის დღეში არაფერში ვყოფილვარ პირველი. ამხანაგებს ყველას უყვარდა, ერთი მე ვიყავი მუდამ ამრეზით. ამ წლების მანძილზე რამდენჯერმე დააპირა ჩემთან დაახლოება; მაგრამ ახლოსაც არ გავიკარე. ერთი წელია, აღარ მენახა. უნივერსიტეტში სწავლობდა. ცხრა საათზე მივედი მასთან (დიდი ცერემონიებით შემიშვეს, ჯერ მოახსენეს, ესა და ეს მოვიდაო). თავდაპირველად გაკვირვებით შემხვდა, თითქოს არც ესიამოვნა, მაგრამ მალე კარგ გუნებაზე დადგა, შემომხედა და გადაიხარხარა.

– ნეტავ რამ მოგაფიქრათ ჩემთან მოსვლა, ტერენტიევ – შემომძახა მოურიდებლად.

ეს მოურიდებელი, შიგადაშიგგ კადნიერი მიმართვაც ისე საამისოდ გამოსდიოდა, არავის რჩებოდა საწყენად. მომწონდა კიდეც და თან მძულდა ეს მისი თვისება. – ეგ რა მოგსვლიათ, – შესძახა შიშით, – ავად ხომ არა ხართ! ხველებამ ისევ შემომიტია, სკამზე დავეცი და ძლივს მოვიბრუნე სული.

– ნუ სწუხართ, ჭლექი მჭირს. ერთი რამ მინდა გთხოვოთ.

ბახმუტოვი განცვიფრებული დაჯდა. უმალ გადმოვულაგე ექიმის მთელი ისტორია, ვუთხარი, რაკი ბიძაზე ასეთი დიდი გავლენა გაქვთ, იქნებ რამე გაახერხოთ-მეთქი.

– უთუოდ გავახერხებ, ხვალვე დავეცემი თავზე ბიძაჩემს; მოხარულიც ვიქნები, მერე რა კარგად მიამბეთ ყველაფერი... მაგრამ ჩემთან მოსვლა მაინც რომ გაფიქრებინათ?

– ბიძათქვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, თანაც ჩვენ მუდამ მტრები ვიყავით, ბახმუტოვ, ჰოდა, რაკი კეთილშობილი კაცი ბრძანდებით, ვიფიქრე, მტერს უარს არ ეტყვის-მეთქი, – დავუმატე ირონიით.

– როგორც ნაპოლეონმა მიმართა ინგლისს![101] – გადაიხარხარა მან. – გავაკეთებ ყველაფერს გავაკეთებ! თუ გინდათ, ახლავე წავალ! – საჩქაროდ დააყოლა ესეც, როცა დაინახა, რა დინჯად და გოროზად წამოვდექი ზეზე.

მართლაც, მშვენივრად მოგვარდა საქმე. თვე-ნახევარიც არ გასულა, რომ ჩვენმა ექიმმა ისევ დაიწყო სამსახური, ახლა უკვე სხვა გუბერნიაში, მიიღო გზის ფული, შემწეობაც. ეჭვი მაქვს, რომ ბახმუტოვმა, რომელმაც მოუხშირა ექიმთან სიარულს (მე კი პირიქით, განზრახ აღარ დავდიოდი იქ და ექიმი რომ შემოირბენდა, ფრიად ცივად ვხვდებოდი), – დაიყოლია, ფული სესხად აეღო მისგან. ამ ექვსი კვირის მანძილზე ერთი-ორჯერ კიდევ შევხვდი ბახმუტოვს. მესამედ ექიმის გაცილების დღეს ვნახე. ბახმუტოვმა თავის სახლში მოუწყო გამოსათხოვარი სადილი, შამპანური გამოატანინა. ექიმის ცოლიც მოიწვია, თუმცა იმან მალე დაგვტოვა ბავშვის გამო. მაისის დამდეგი იყო, წყნარი საღამო იდგა, მზის უშველებელი ბურთი ყურეში ეშვებოდა. ბახმუტოვმა გამომაცილა, ნიკოლსკის ხიდზე გადმოვედით. ორივე ნასვამი ვიყავით. ბახმუტოვი ველარ მალავდა აღტაცებას, რომ საქმე კარგად დამთავრდა, მადლობას მიხდიდა, არ ვიცი რატომ; მეუბნებოდა, კეთილი საქმე რომ გავაკეთე, ნასიამოვნები ვარო; მარწმუნებდა, შენი დამსახურებააო. ტყუილად გვიქადაგებენ ახლა, ცალკეული კაცის სიკეთე არაფერს ნიშნავსო. ლაპარაკის საღერღელი მეც ამეშალა.

– ვინც უარყოფს ცალკეული კაცის „სიკეთეს“, – დავიწყე მე, – ის უარყოფს ადამიანის ბუნებას, აბუჩად იგდებს მის პიროვნულ ღირსებას. მაგრამ „საზოგადო სიკეთის“ ორგანიზაცია და პიროვნული თავისუფლების საკითხი – ორი სხვადასხვა რამ გახლავთ და ერთიმეორეს არ გამორიცხავს. ცალკეული სიკეთე არასოდეს მოისპობა, რამეთუ ის პიროვნების მოთხოვნილებას წარმოადგენს, რომელიც ერთი ადამიანის მეორეზე უშუალო გავლენიდან გამომდინარეობს. მოსკოვში ერთი ბებერი „გენერალი“ ცხოვრობდა,[102] ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკი. გვარი გერმანული ჰქონდა. მთელი თავისი ცხოვრება ციხეებსა და საპატიმროებში დაეხეტებოდა. ციმბირს გაყენებულმა ყოველმა პარტიამ წინასწარ იცოდა, რომ ვორობიოვის მთებზემათ უთუოდ „ბებერი გენერალი“ ეწვეოდათ. დიდი სერიოზულობითა და ღვთისნიერებით აკეთებდა ის თავის საქმეს; მოვიდოდა, ჩამოუვლიდა გადასახლებულთა რიგებს, გაუჩერდებოდა თითოეულს, გამოჰკითხავდა რა უჭირდა, ჭკუის სწავლება თუ დარიგდება არავისი იცოდა, ყველას „გენაცვალეს“ ეუბნებოდა, დაურიგებდა ფულს, გამოუგზავნიდა, რაც სჭირდებოდათ, – ფეხსახვევებს, ჩასაფენებს, ხან ტილოს, ხანდახან სულის საცხონებელ პატარ-პატარა წიგნებსაც მოაყოლებდა და წერა-კითხვის მცოდნეთ ჩამოურიგებდა. დარწმუნებული იყო, გზაში წაიკითხავენ და, ვინც კითხვა არ იცის, იმათაც გააცნობენო. დანაშაულზე იშვიათად ჰკითხავდა ვისმე, თუ მაინცდამაინც დამნაშავე თვითონ არ მოისურვებდა თქმას. ყველა დამნაშავეს ერთნაირად ექცეოდა, არავის ანსხვავებდა, საკუთარი ძმებივით ელაპარაკებოდა და იმათაც ბოლოს მამასავით მიიჩნიეს. გადასახლებულთა შორის თუ ბავშვიან ქალს შეამჩნევდა, მივიდოდა, ბავშვს მიუალერსებდა, თითებს გაუტკაცუნებდა, რა არის, გაეცინებინა. ასე აკეთებდა წლების მანძილზე, ვიდრე ცოცხალი იყო; ბოლოს უკვე მთელი რუსეთი და მთელი ციმბირი იცნობდა, ესე იგი, ყველა გადასახლებული. ერთმა ციმბირში ნამყოფმა კაცმა მიამბო, მე თვითონ მოწმე ვიყავი, ყველაზე მოურჯულებელი დამნაშავეებიც როგორ იგონებდნენ გენერალსო. უნდა ვთქვა კი, რომ პატიმრების მონახულებისას გენერალს ოც კაპიკზე მეტი

იშვიათად გაუცია სულზე. ესეც არის, დიდი აღტაცებით არ იხსენიებდნენ. დიდი-დიდი რომელიმე „უბედური“, ვისაც სულ ცოტა თორმეტი კაცი და ექვსიოდე ბავშვი ჰყავდა მოკლული, უბრალოდ, იმიტომ, რომ ასე მოეპრიანა (ამბობენ, ასეთებიც იყვნენო), ოც წელიწადში ერთხელ უეცრად ამოიხვნეშებდა და იტყოდა „ნეტა სადაა ახლა ბებერი გენერალი, ცოცხალი თუაო“ იტყოდა და, ვინ იცის, ჩაიცინებდა კიდეც, ეს იყო და ეს. მაგრამ რა იცით, რა ჩაუთესა სულში სამარადჟამოდ ამ „ბებერმა გენერალმა“, რომელიც ოცი წლის მანძილზე არ დაავიწყდა რა იცით, ბახმუტოვ, რა მნიშვნელობა ექნება ერთი პიროვნების მეორესთან ამ ზიარებას ნაზიარებთა ბედ-იღბალში.. ეს ხომ მთელი ცხოვრებაა, მისი უამრავი განშტოებანი, რასაც ჩვენ ვერ ვაწვდენთ თვალს. ყველაზე გამჭრიახ მოჭადრაკეს მხოლოდ რამდენიმე სვლა შეუძლია იანგარიშოს წინასწარ. რომელიღაც ფრანგ მოჭადრაკეს თურმე ათი სვლის გაანგარიშება შეეძლო და გაზეთებში, როგორც სასწაულს, იხსენიებდნენ. აქ კი რამდენი სვლა გვაქვს და რამდენი არ ვიცით კიდევ რაღაცას რომ დათესავთ, „მოწყალებას“ რომ გაიღებთ, სიკეთეს რომ იზამთ, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, თქვენი ბუნებიდან რაღაცას უზიარებთ სხვას და ისიც გიზიარებთ რაღაცას თავისას; ერთიმეორეს ეზიარებით; კიდევ ცოტაც და საზღაურად მიიღებთ ცოდნას, ყოვლად მოულოდნელ რასმე აღმოაჩენთ. საბოლოოდ კი ამ თქვენ საქმეს უთუოდ მიიჩნევთ მეცნიერებად, სიცოცხლის მისწრაფებად გექცევათ და მთელ ცხოვრებასაც ალბათ შეგივსებთ. მეორე მხრივ, ეგ თქვენი დათესილი აზრები, რაც იქნებ არც კი გახსოვთ, ხორცს შეისხამს და აღმოცენდება; თქვენგან ნაზიარები კი სხვას გადაეცემა. ჰოდა, რა იცით, რა წილი გედებათ კაცობრიობის მომავალ ბედ-იღბალში ხოლო თუ ცოდნა და ამ საქმეს შეწირული მთელი ცხოვრება ბოლოს იქამდე აგამაღლებთ, რომ შეძლებთ უზარმაზარი თესლი ჩაყაროთ, ამ ქვეყანას მემკვიდრეობად დაუტოვოთ უზარმაზარი აზრი, მაშინ... მაშინ მე ბევრი ვილაპარაკე.

– სადაა სამართალი, რაღა თქვენ მოგისწრაფათ სიცოცხლე! – აღმოხდა ბახმუტოვს საყვედურათ.

ამ ლაპარაკის დროს ხიდზე ვიდექით და მოაჯირს დაყრდნობილი ნევას დავცქეროდით.

– იცით, რა მომაფიქრდა ახლა? – ვთქვი და უფრო გადავიწიე მოაჯირიდან.

– წყალში გადავარდნა ხომ არა? – დაფეთდა ბახმუტოვი. ვინ იცის, ჩემს სახეზე ამოიკითხა ეს.

– არა, ჯერჯერობით მხოლოდ ეს გავიფიქრე აგერ ახლა ორი-სამი, დიდი-დიდი ოთხი თვის სიცოცხლე მიწერია. მაგრამ ვთქვათ და ორი თვე დამრჩა მხოლოდ. ჰოდა, ძალიან მოვინდომე მაშინ ისეთი კეთილი საქმის გაკეთება, რომელსაც სირბილი, დავიდარაბა სჭირდება, აი, ჩვენი ექიმის ამბის მსგავსად. მაშინ ხომ უარი უნდა ვთქვა ამ საქმეზე, ვინაიდან ვეღარ მოვასწრებ, და სხვა, უფრო პატარა „კეთილი საქმე“ გამოვნახო, რისი თავიც მექნება (თუკი სიკეთის ასეთი ჟინი ამიტანს). როგორ გგონიათ, სასაცილო აზრი არაა!

საწყალი ბახმუტოვი ძალზე ააღელვა ჩემმა ამბავმა; სახლამდე მიმაცილა, მაგრამ იმდენი გულისხმიერება კი გამოიჩინა, რომ გზაში ნუგეშის ცემა არ დამიწყო, თითქმის ხმა არ ამოუღია, ისე მომყვებოდა გვერდით. დამშვიდობებისას მაგრად ჩამომართვა ხელი და მთხოვა, თუ ნებას დამრთავთ, გინახულებთო. მე ვუპასუხე თუ „სანუგეშოდ“ მოხვალთ (ვინაიდან რომც არაფერი ეთქვა, ის მაინც ნუგეშის საცემად მოვიდოდა), ყოველთვის იმას მომაგონებთ, რომ უნდა მოვკვდე-მეთქი. ბახმუტოვმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ დამეთანხმა კი. ასე რომ, საკმაოდ თავაზიანად დავშორდით ერთმანეთს, რასაც არ ველოდი.

ამ საღამოს და იმ ღამეს იყო, ჩემი „უკანასკნელი გადაწყვეტილების“ პირველი თესლი რომ ჩაიყარა. ხარბად ჩავეჭიდე ამ ახალ აზრს, გაფაციცებით ვარჩევდი მის ყოველ ხლართს, ყოველნაირად ვსჯიდი (მთელი ღამე არ მიძინია). ჰოდა, რაც უფრო ღრმად ჩავყევი, რაც უფრო

ჩამიჯდა თავში, უფრო და უფრო ამიტანა შიშმა და აღარც მომშორებია. ხანდახან ამ ჩემი გამუდმებული შიშის გრძნობას რომ ჩავუფიქრდებოდი, სისხლი გამეყინებოდა ხოლმე ძარღვებში და თავზარი დამეცემოდა ეს შიში ხომ იმას ნიშნავდა, რომ „უკანასკნელი გადაწყვეტილება“ ფრიად სერიოზულად გამჯდომოდა თავში და უთუოდ თავისას გაიტანდა. მაგრამ საამისოდ გამბედაობა არ მყოფნიდა. სამი კვირის შემდეგ კი ფრიად უცნაური შემთხვევის წყალობით გამბედაობაც გამიჩნდა.

ამ ჩემს ახსნა-განმარტებაში ყველა ციფრი და რიცხვი მომყავს. რა თქმა უნდა, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ექნება შემდეგში, მაგრამ ახლა კი მინდა (სწორედ ამ წუთში), რომ ვინც ჩემ საქციელს განსჯის მერე, ნათლად ნახოს, რა ლოგიკურ დასკვნათა ჯაჭვის შედეგია ეს ჩემი „უკანასკნელი გადაწყვეტილება“. წეღან დავწერე, რომ ჩემს უკანასკნელ გადაწყვეტილებამდე ლოგიკურ დასკვნას არ მივუყვანივარ, არამედ რაღაც უცნაურმა ამბავმა მომცა ბიძგი, რომელსაც შესაძლოა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქმის ვითარებასთან. ათიოდე დღის წინ როგოჟინი მეწვია, რაღაც თავის საქმის თაობაზე, რა საქმე იყო, არ ვიტყვი. როგოჟინი თვალით არასოდეს მენახა, მაგრამ ბევრი კი მსმენია მასზე. ვუთხარი, რაც აინტერესებდა და მალე წავიდა. რაკი მარტო ამისთვის იყო მოსული, ჩვენი ნაცნობობაც ამით უნდა ამოწურულიყო. მაგრამ ამ კაცმა ძალიან დამაინტერესა და მთელი დღე რაღაც უცნაურ ფიქრებში ვიყავი. ჰოდა, გადავწყვიტე, მეორე დღეს მე თვითონ ვწვეოდი მას, სამაგიერო ვიზიტი გამეკეთებინა. როგოჟინს, ეტყობა, ჩემი მისვლა არ ეპრიანა და „თავაზიანად“ გადამიკრა, ნაცნობობის გაგრძელება არაფერი საჭიროაო. მაგრამ ეს ვიზიტი ჩემთვის ფრიად საინტერესო გამოდგა. ალბათ მისთვისაც. ჩვენ იმდენად სხვადასხვა ბუნებისა ვართ, არ შეიძლება ორთავეს არ გვეგრძნო ის, მეტადრე მე. დღეები დათვლილია, ის კი მთელი არსებით ეწაფება ცხოვრებას, წუთიერ სიტკბოებას, „უკანასკნელი“ შედეგები, ციფრები თუ სხვა რამ უბედურება არ ადარდებს, თუკი იმ... იმ ამბავს არ ეხება, რაზეც ტვინნაღრძობი გახლავთ; დაე, შემინდოს ეს სიტყვები ბატონმა როგოჟინმა, ვითარცა უხეირო ლიტერატორს, ვინც თავისი აზრის გამოთქმა ვერ მოახერხა. თავისი უკმეხობის მიუხედავად, ჩემის აზრით, ჭკვიანი კაცია და ბევრს რასმე შეუძლია ჩაწვდეს, თუმცა კი გარეშე საგნები ნაკლებ აინტერესებს. მე არაფერი გადამიკრავს ჩემს „უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე“, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, მიმიხვდა ამას ლაპარაკში. თუმცა საოცრად სიტყვაძუნწია და არაფერი უთქვამს. წამოსვლისას გადავუკარი, რომ ჩვენს შორის არსებული განსხვავებისა თუ საწინააღმდეგო ხასიათების მიუხედავად, – les extremites se touchent[103] (ავუხსენი, რუსულად რასაც ნიშნავს). მგონი, თვითონაც არც ისე შორს არის ამ ჩემი „უკანასკნელი გადაწყვეტილებიდან“. ამის პასუხად ერთი უგემურად დაიღრიჯა, ადგა, თავისი ხელით მომიძებნა ქუდი, თითქოს მართლა ვაპირებდი წასვლას, და ისე გამომისტუმრა თავისი ჩაჟამული სახლიდან, ვითომც დიდი ზრდილობით მაცილებსო. მისმა სახლმა, მართალი გითხრათ, გამაოცა; სასაფლაო მომაგონა, თუმცა თვითონ კი მოსწონს. ან რაა გასაკვირი, იმდენად სავსე ცხოვრება აქვს, იმდენად გართულია, ზიზილ-პიპილოები აღარ სჭირდება.

როგოჟინთან დარბაზობამ ძალზე დამღალა. გარდა ამისა, დილიდანაც ვერ ვიყავი კარგად; საღამოს სულ გამომეცალა ღონე და ჩავწექი. შიგადაშიგ ვგრძნობდი, როგორ მიმატებდა სიცხე და ზოგჯერ მაბოდებდა კიდეც. კოლიამ თერთმეტ საათამდე დაჰყო ჩემთან. ყველაფერი მახსოვს, რაზე მელაპარაკა და რაზე ვსაუბრობდით. მაგრამ როცა წამით თვალები მიმეხუჭებოდა, სულ ივან ფომიჩი მედგა თვალწინ, ვითომც მილიონობით ფული მიეღო, აღარ იცოდა, სად დაემალა, შიშით კანკალებდა, ვაითუ მომპარონო, ბოლოს მათი მიწაში ჩაფვლა გადაწყვიტა. მე კი ვურჩიე, ამდენი ოქროს მიწაში ჩაფვლას ის ჯობია, „მოყინული ბავშვი“

ამოიღო საფლავიდან და ოქროს კუბო გაუკეთო-თქო. სურიკოვს ამ ჩემს დამცინავ რჩევაზე ვითომც მადლიერი ცრემლები მოადგა და მყისვე შეუდგა სამზადისს. მე კი ვითომც მივაფურთხე და წამოვედი. რომ გამოვფხიზლდი, კოლია მარწმუნებდა, არ გეძინა, სულ სურიკოვზე მელაპარაკებოდიო. შიგადაშიგ საოცარი ნაღველი დამეუფლებოდა და ფორიაქი ამიტანდა ხოლმე. კოლია შეშფოთებული წავიდა. კარის დასაკეტად რომ ავდექი, ერთბაშად ის სურათი გამახსენდა,[104] რომელიც წეღან როგოჟინთან ვნახე და რომელიც მისი სახლის ყველაზე ჩაჟამებულ დარბაზში ეკიდა კარზე. თვითონვე მაჩვენა. მგონი, ხუთიოდე წუთიც კი ვიდექი მის წინ. მხატვრობის მხრივ დიდი არაფერი შვილია, მაგრამ მე კი რაღაც უცნაურად ამაფორიაქა.

იმ სურათზე ქრისტე ეს-ესაა ჩამოხსნეს ჯვარცმიდან. ჩემის ფიქრით, მხატვრები რატომღაც დაეჩვივნენ, რომ ჯვარზე გაკრულ თუ ჩამოღებულ ქრისტეს უთუოდ ლამაზი სახე დაუხატონ და არაადამიანური ტანჯვა-წამების დროსაც შეუნარჩუნონ ეს სილამაზე. როგოჟინის სურათში კი ამ სილამაზის ნატამალიც არაა. ეს მართლაც იმ კაცის გვამია, ვინც ჯვარზე გაკვრამდე აუტანლად აწამეს, დაჭრეს, გვემეს ყარაულებმა, ხალხმა, როცა ჯვარი აჰქონდა ზურგით და ამ ჯვრის ქვეშ დაეცა, და ბოლოს, ექვსი საათი (ყოველ შემთხვევაში, მე ასე გამოვითვალე) კიდევ ჯვარზე იყო გაკრული. მართალია, სახე მას ეს წუთია ჯვრიდან ჩამოღებული კაცისა აქვს, ანუ სიცოცხლე და სითბო კიდევ იგრძნობა, ჯერ მთლიანად არ გაცივებულა, მისი სახე ახლაც ტანჯვას გამოხატავს (მხატვარს მშვენივრად დაუჭერია ეს), სამაგიეროდ, სახეს სილამაზის ნიშანწყალი არ გააჩნია; აქ გაშიშვლებული ბუნებაა, ჭეშმარიტად ასეთი უნდა იყოს კაცის გვამი ამისთანა ტანჯვა-წამების შემდეგ. მე ვიცი, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაადგინა, ქრისტე ნამდვილად ეწამა და არა იგავურადო. ასე რომ, ჯვარზე გაკრული მისი სხეული ბუნების კანონს უნდა დამორჩილებოდა. სურათზე სახე სულ გასიებული, საზარლად ჩალურჯებული და დასისხლიანებული აქვს ცემისაგან; ღიად დარჩენილი დიდრონი თვალები გადატრიალებია, თეთრი გარსი შუშასავით უკრიალებს. მაგრამ როცა ამ ნაწამები კაცის გვამს უცქერი, ერთი უცნაური კითხვა გებადება თუ ასეთი გვამი (ეს კი უთუოდ ასეთი უნდა ყოფილიყო) ყველა მისმა მოწაფემ ნახა, მისმა მომავალმა მოციქულებმა, ნახეს ქალებმაც, რომელნიც უვლიდნენ და ჯვარცმასთან იდგნენ, ნახა ყველა იმან, ვისაც მისი სწამდა და ვინც მას აღმერთებდა, როგორ დაიჯერეს ნეტავ, რომ ასეთი წამებული აღსდგებოდა უნებლიეთ, გებადება ისეთი ფიქრი, რომ, თუკი სიკვდილი ასე საშინელია და ბუნების კანონიც ასეთი ძლიერი, როგორ შეიძლება ვინმემ დასძლიოს იგი, როცა იმანაც კი ვერ სძლია, ვინც სიცოცხლეში ბუნებას ამარცხებდა, ვისაც ბუნება ემორჩილებოდა, ვინც რქვა „ტალითა კუმი“[105] – და ქალწული აღსდგა, „ლაზარე გამოვედ გარე“ და მკვდარი გამოვიდა უცქერ ამ სურათს და ბუნება გეჩვენება რაღაც უშველებელ, რაღაც გულქვა პირუტყვად, ან უფრო სწორად, გაცილებით უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუმც უცნაური კია, – რაღაც უზარმაზარ, უახლესი სისტემის მანქანად, რომელმაც უაზროდ, უგრძნობლად და გაუკითხავად ჩაითრია, გასრისა და ჩანთქა უდიადესი, ფასდაუდებელი არსება – ის არსება, ვის მტვრად არც ღირდა მთელი ბუნება და მისი კანონები, მთელი ეს ქვეყანა, რომელიც შესაძლოა სულაც იმიტომ გაჩნდა, რომ ეს არსება მოვლენილიყო! უცქერ ამ სურათს და უნებლიეთ გრძნობ, რომ ეს მარადიული ძალა, რომელსაც ყოველივე და ყველაფერი ემორჩილება, რა ბრმა, უტიფარი და უაზროა. სურათზე არ ჩანს ისინი, ვინც გარს ეხვია მიცვალებულს, მაგრამ გრძნობ კი, რაოდენ საშინელი ნაღველი უნდა განეცადათ და შეძრწუნებული ყოფილიყვნენ იმ ღამეს, როცა მთელი იმედები და თითქმის რწმენაც დაემსხვრათ. ალბათ, საშინლად ზარდაცემულნი წამოვიდნენ იქიდან, მაგრამ წამოჰყვათ კი თან

აზრი დიადი, უზარმაზარი, რის ამოძირკვასაც ვეღარა ძალა ვერ შეძლებდა იმათი გულიდან. მათ მასწავლებელს რომ ენახა თავისი თავი ჯვარზე ასვლამდე, განა ასე ეცმებოდა ჯვარს და ასე მოკვდებოდა უცქერ ამ სურათს და უნებლიეთ ეს კითხვა მოგდის თავში.

ეს ფიქრები არ მაძლევდნენ მოსვენებას, მელანდებოდნენ კიდეც ძილ-ღვიძილში, კოლიას წასვლიდან მთელი საათ-ნახევრის მანძილზე. ვითომ შეიძლება მოგელანდოს ის, რასაც სახე არა აქვს მაგრამ დროდადრო კი ეს უსაზღვრო ძალა, ეს გაუკითხავი, ბნელი, უტყვი არსება რაღაც უცნაური, წარმოუდგენელი სახით მეჩვენებოდა თითქოს. ისიც მახსოვს, ვითომ ვიღაცამ, რომელსაც სანთელი ეკავა, ჩამკიდა ხელი, წამიყვანა და რაღაც უზარმაზარი, საზიზღარი ღრიანკალი მაჩვენა. მარწმუნებდა, ეს სწორედ ის ძნელი, გაუკითხავი და ყოვლისშემძლე არსებააო. სასაცილოდ ამიგდო, ჩემი აღშფოთება რომ დაინახა. ჩემს ოთახში, ხატის წინ ღამღამობით მუდამ ენთო ლამპარი. მქრქალი და სუსტი სინათლე ჰქონდა, მაგრამ ოთახში ყველაფერს გაარჩევდი და ლამპრის ქვეშ კითხვაც შეიძლებოდა. მგონი, პირველი საათი იქნებოდა დაწყებული. არ მეძინა, თვალგახელილი ვიწექი. უცებ ჩემი ოთახის კარი გაიღო და როგოჟინი შემოვიდა.

შემოვიდა, მიხურა კარი, უხმოდ შემომხედა და ფეხაკრეფით გაემართა იმ კუთხისაკენ, სადაც ლამპრის ქვეშ სკამი იდგა. ძალზე გაოცებული ვუცქეროდი, რას იზამს-მეთქი. როგოჟინი მაგიდას დაეყრდნო და უხმოდ შემომაშტერდა. ასე გაიარა ორმა-სამმა წუთმა. მისმა დუმილმა, მახსოვს, ძალზე გამანაწყენა და გამაბრაზა. რატომ არაფერს მეუბნება-მეთქი ისიც მახსოვს, რომ მაინცდამაინც არ გამიკვირდა მისი ასე გვიან სტუმრობა. პირიქით, დილას პირდაპირ არ ვუთხარი ჩემი აზრი, მაგრამ ვიცი, რომ მიმიხვდა; ამ აზრისათვის კი, ცხადია, ღირდა კიდევ ერთხელ მოსვლა, რაც უნდა გვიან ყოფილიყო. ასეც ვფიქრობდი, რომ ამისთვის მოვიდაო. დილას, ცოტა არ იყოს, მტრულად დავშორდით, ისიც მახსოვს, ერთიორჯერ დაცინვით გადმომკრა თვალი. ახლაც ეს დაცინვა ამოვიკითხე მის თვალებში და სწორედ ამან გამანაწყენა. რომ ეს მართლაც როგოჟინი იყო და არა მოლანდება თუ ბოდვა, თავდაპირველად ეჭვი არ შემპარვია.

ის კი იჯდა და დამცინავად მიყურებდა. გაბრაზებულმა ვიბრუნე გვერდი, ბალიშს დავეყრდნე და გადავწყვიტე ჯიბრზე არ ამომეღო ხმა, გინდაც მთელი საღამო. რატომღაც გულით მინდოდა, მას წამოეწყო ლაპარაკი. ასე გაიარა, მგონი, ოციოდე წუთმა. მაგრამ ერთბაშად გულში გამკრა, ვაითუ როგოჟინი არაა და მხოლოდ მელანდება-მეთქი არც ჩემს ავადმყოფობაში, არც წინათ მოჩვენებები არასოდეს მქონია; მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, პატარაობაშიც და ახლაც, ერთხელაც რომ რამე მომელანდოს, იქვე მოვკვდები-მეთქი, თუმც მოჩვენებების არაფერი მწამს. ეს კია, ამ ფიქრმა – ეს მოლანდებაა და არა როგოჟინი, მახსოვს, სულაც არ შემაშინა. უფრო მეტიც, ამ ამბავმა კიდეც გამაბრაზა. ისიც საოცარია, რომ იმ საკითხის გადაწყვეტამ, როგოჟინია თუ მოლანდება, რატომღაც სულ არ დამაინტერესა, თუმცა თითქოს უნდა დავეინტერესებინე. მგონი, მაშინ სულ სხვა რამ მაფიქრებდა. მაგალითად, უფრო ის მაკვირვებდა, როგოჟინს წელან რომ საშინაო ხალათი და ფლოსტები ეცვა, ახლა ფრაკი, თეთრი ჟილეტი რად ჩაუცვამს და თეთრი ჰალსტუხი რად გაუკეთებია-მეთქი შიგადაშიგ ეს ფიქრიც გამიკრთებოდა თუ ეს მოლანდებაა და მისი არ მეშინია, რატომ არ ვდგები და არ მივდივარ, ჩემი თვალით რომ დავრწმუნდე-მეთქი? თუმცა იქნებ მეშინოდა და ვერ გამებედა. მაგრამ რა წამს თავში გამიელვა, მეშინია-მეთქი, სხეული გამეყინა, ზურგში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა და მუხლები ამიკანკალდა. სწორედ იმ წუთს, თითქოს შიშს მიმიხვდაო, როგოჟინმა მკლავი გაშალა, რომელსაც ეყრდნობოდა. გასწორდა და პირი გააღო, თითქოს სიცილს აპირებსო. თვალებში

ჯიქურ შემომხედა. გავცოფდი ისე, ლამის მივვარდი და დავეტაკე, მაგრამ რაკი დაფიცებული მქონდა, არამც და არამც პირველს არ ამომეღო ხმა, ლოგინიდან არ წამოვმდგარვარ, მით უფრო, რომ დარწმუნებულიც არ ვიყავი ჯერ, ნამდვილად როგოჟინი იყო თუ არა ზუსტად არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე; ვერც იმას ვიტყვი დანამდვილებით, დროდადრო ბურანში ვიყავი თუ არა ეს კია, ბოლოს როგოჟინი წამოდგა, ისევე ნელა, დაკვირვებით შემავლო თვალი, როგორც შემოსვლისას, მაგრამ აღარ გაუღიმია, ფეხაკრეფით მივიდა კართან, გამოაღო, მიიხურა და წავიდა. მე არ ავმდგარვარ; არ მახსოვს, კიდევ რამდენ ხანს დავყავ ასე თვალღიამ და ფიქრებში წასულმა. ღმერთმა უწყის, რაზე ვფიქრობდი. ისიც არ მახსოვს, როდის წამიღო ძილმა. მეორე დღეს კარზე კაკუნმა გამომაღვიძა, ათი იქნებოდა დაწყებული. მე შეთანხმებული ვიყავი, რომ თუ ათ საათამდე კარს არ გავაღებდი და არ დავიძახებდი, ჩაი მომიტანეთ-მეთქი, მატრიონას თვითონ უნდა დაეკაკუნებინა ჩემთვის. კარი რომ გავაღე, იმ წამსვე ეს ვიფიქრე. როგორ შემოვიდოდა როგოჟინი, თუკი კარი დაკეტილი იყო-მეთქი გამოვიკითხე და დავრწმუნდი, ცოცხალი როგოჟინი ვერას დიდებით ვერ შემოვიდოდა, ვინაიდან ჩვენი კარები ღამღამობით ბოქლომით იკეტებოდა. აი, ეს დაწვრილებით აღწერილი უცნაური შემთხვევა იყო მიზეზი ჩემი სრული „გადაწყვეტისა“. მაშასადამე, საბოლოო გადაწყვეტას ლოგიკურმა რწმენამ კი არ შეუწყო ხელი, არამედ ზიზღმა. არ შეიძლება იცოცხლოს კაცმა, როცა ცხოვრება ესოდენ უცნაურ, ესოდენ შეურაცხმყოფელ ფორმებს იღებს. ამ მოჩვენებამ დამცირებულად მაგრძნობინა თავი. მე არ ძალმიძს ბნელ ძალას დავემორჩილო, ღრიანკალის სახით რომ მევლინება. და მხოლოდ მაშინ მომეშვა გულზე, როცა უკვე ბინდბუნდში ვიგრძენი, რომ სრული გადაწყვეტილების უკანასკნელი მომენტი დამდგარიყო. ეს მხოლოდ პირველი მომენტი გახლდათ; სხვა მომენტისთვის მე პავლოვსკში გავემგზავრე, მაგრამ ეს უკვე საკმაოდ მაქვს განმარტებული“.

VII

„მე პატარა ჯიბის დამბაჩა მქონდა. ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის წლებში ვიყიდე იგი, იმ სასაცილო ასაკში, როცა დუელებისა და ყაჩაღების ისტორიები გიტაცებს, როცა თვალწინ გეხატება, როგორ გამოგიწვევენ შენც დუელში და რა კეთილშობილურად გაიჭიმები დამბაჩის წინ. რომელ ყუთშიც ის ეგდო, იქ ორი ტყვია ვნახე და თოფის წამალიც ვიპოვე, – სამჯერ გასროლას რომ ეყოფოდა. ყოვლად საძაგელი დამბაჩაა, განზე მიაქვს და მხოლოდ თხუთმეტიოდე ნაბიჯზე თუ უწვდენს; მაგრამ თუ საფეთქელზე მიიდებ, ცხადია, ტვინს გაგასხმევინებს.

მე გადავწყვიტე, მოვკვდე პავლოვსკში მზის ამოსვლისას, მაგრამ რომ არავინ შევაწუხო, ბაღში ჩავიდე და ისე. ჩემი „ახსნა-განმარტება“ ყველაფერს აუხსნის პოლიციას. ფსიქოლოგიის მოტრფიალეებმა თუ სხვათა და სხვათა, რა დასკვნაც სურთ, ის გამოიტანონ. მაგრამ არ მინდოდა კი ეს ჩემი ნაწერი გამოქვეყნებული ყოფილიყო. თავადს ვთხოვ, ერთი ცალი თავისთან დაიტოვოს, მეორე კი აგლაია ივანოვნა ეპანჩინას გადასცეს. ასეთი გახლავთ ჩემი ნება-სურვილი. ჩემს ჩონჩხს კი სამედიცინო აკადემიას ვუანდერძებ მეცნიერებისთვის გამოსაყენებლად. ჩემს მსაჯულებად მე არავის ვცნობ და ვიცი, რომ ახლა არავის აქვს ჩემი განსჯის უფლება. ამ ცოტა ხნის წინ ერთი რაღაც მომაფიქრდა და ბევრი ვიცინე ვთქვათ და მართლა მომეგუნება ახლა, ვინმე მოვკლა, თუნდა ათი კაცი ერთად, ან ვთქვათ, რამე არგაგონილი უმსგავსობა ჩავიდინო, რა

ხათაბალაში ჩაცვივდებიან ალბათ მოსამართლენი. ჯერ იმიტომ, რომ ორ-სამ კვირაზე მეტი სიცოცხლე არ მიწერია და მეორეც, რომ მათ ხელთ არაა უკვე ტანჯვა-წამება ალბათ, კომფორტულად ამომძვრებოდა სული მათ ჰოსპიტალში, სითბოში და მზრუნველი ექიმის ხელში. იქნებ უფრო კომფორტულად და თბილად, ვინემ ჩემს სახლში. ვერ გამიგია, ჩემისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხს რად არ მოსდის, თუნდაც ხუმრობით, ეს აზრი თავში თუმც იქნებ მოსდით კიდეც; ხუმარა ხალხი ჩვენშიც ბევრია. მაგრამ თუ მე თვითონ არა ვცნობ მსაჯულთ, მაინც ვიცი, რომ გასამართლება არ ამცდება, როცა ყრუ და უტყვი მოპასუხე ვიქნები უკვე. არ მინდა ისე წავიდე, საპასუხო სიტყვა არ დავტოვო, – ძალით ამოგლეჯილი კი არა, ჩემის ნებით ნათქვამი, – განა იმიტომ თავი გავიმართლო, – ო, არა! შენდობას არავის ვთხოვ და არც არაფერი მაქვს შესანდობი, – არამედ იმიტომ, რომ მე თვითონ მინდა ასე. მაგრამ ესეც არ იყოს, ვის რა უფლების ძალით, რა საბუთით შეუძლია შემედავოს ამ ჩემს დარჩენილ ორ-სამ კვირაზე რომელ სასამართლოს ეკითხება ეს ის არ კმარა, რომ მისჯილი ვარ, ვის რაში სჭირდება მაინცდამაინც განაჩენის უკანასკნელ დღემდე მივატანო სული ნუთუ მართლაც ვისმე სჭირდება ეს ვითომ ზნეობის სამაგალითოდ კიდევ ჰო, რომ მე ჯან-ღონით სავსე კაცი ვიკლავდე თავს, ვისი სიცოცხლეც „შესაძლოა მოყვასს მისსა გამოდგომოდეს“ და ა.შ. მაშინ ზნეობას კიდევ შეეძლო ესაყვედურა ჩემთვის, ძველი რუტინის თანახმად, უკითხავად რომ გადავწყვიტე ჩემი სიცოცხლის საკითხი თუ კიდევ სხვა რამ. მაგრამ ახლა, როცა განაჩენი უკვე გამოტანილია და დროც დანიშნული, რომელ ზნეობას სჭირდება კიდევ შენი სიცოცხლის გარდა შენი უკანასკნელი ხროტინის მოსმენა უკანასკნელი ამოსუნთქვისას, როცა თავადი დაგადგება თავთ, ნუგეშისცემას დაგიწყებს და ბოლოს ქრისტიანული საბუთებით იმ ყოვლად ბედნიერ ფიქრამდეც მივა, მართლაც სჯობს, რომ კვდებიო (მისთანა ქრისტიანები მუდამ ამ დასკვნამდე მიდიან ასე აქვთ აჩემებული). ან რას გადამკიდებიან იმ თავისი სასაცილო „პავლოვსკის ხეებით“ ჩემი უკანასკნელი წუთების დატკბობა სურთ ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ, რაც მეტად მივეცემი თავდავიწყებას, რაც მეტად გამიტაცებს სიცოცხლისა და სიყვარულის ეს უკანასკნელი ზმანება, რომლითაც ცდილობენ დამიჩრდილონ მეიერის კედელი თავისი გულახდილი და გულუბრყვილო მინაწერით, მით მეტად გამაუბედურებენ. რა ჯანდაბად მინდა ეგ თქვენი ბუნება, ეგ თქვენი პავლოვსკის ბაღი, ეგ აისი თუ დაისი, ეგ თქვენი ცა და თქვენი ყოვლად კმაყოფილი სახეები, როცა სიცოცხლის ამ უსასრულო ნადიმმა მარტო მე მიმიჩნია ზედმეტად რა შავქვად მინდა ეგ სილამაზე, როცა ყოველ წუთსა და ყოველ წამს უნდა ვიცოდე და იძულებული ვარ ვიცოდე, რომ აგერ, ეს პაწაწკინტელა ბუზიც კი, რომელიც მზეში დაბზუის, ისიც ამ ნადიმისა და ქოროს მონაწილეა, იცის თავისი ადგილი, უყვარს და ბედნიერია, მარტო მე ვარ მოწყვეტილი უდღეური ნაყოფი და მხოლოდ სულმოკლეობა მახუჭინებდა ამაზე თვალს! ო, განა არ ვიცი, როგორ უნდოდა თავადსა თუ სხვებს იმ ზომამდე მივეყვანე, რომ ამ „ღვარძლიანი“ სიტყვების ნაცვლად მორალის საზეიმოდ მეც მილვუას ცნობილი კლასიკური ტაეპი თვინიერად მემღერა:

O, puissent voir votre beaute sacree,
Tant d’amis sourds a mes adieux!
Qu’ils meurent pleins de jours,
Que ltur mort soit pleuree,
Qutun ami leur ferme les yeux![106]

მაგრამ იცოდეთ, გულუბრყვილო ადამიანებო, რომ ამ თვინიერ ფრანგულ ტაეპშიც, ქვეყნიერების ამ აკადემიურ ლოცვა-კურთხევაშიც იმდენი ფარული შხამია ჩაქსოვილი, იმდენი

შეურიგებელი, რითმებში ჩამტკბარი ღვარძლია, რომ, ვინ იცის, თავად პოეტიც მოტყუვდა, ეს ღვარძლი გულჩვილობად მიიჩნია და ამით დალია სული; უფალმა განუსვენოს! ისიც იცოდეთ, რომ არარაობისა და უძლურების შეგნების სიმწარესაც აქვს თავისი ზღვარი, რასაც ადამიანი ვერ გადააბიჯებს და რაშიც ბოლოს უდიდეს ნეტარებას პოულობს... ჰო, რა თქმა უნდა, მორჩილება ამ აზრით უდიდესი ძალაა, ვერ უარვყოფ, – თუმცა იმ აზრით არა, რა აზრითაც რელიგიას მიაჩნია.

რელიგია! საუკუნო ცხოვრება მე შესაძლებლად მიმაჩნია, ეგებ, მუდამაც მიმაჩნდა. დაე, უზენაესი ძალის ნება-სურვილით ენთოს ცნობიერების ლამპარი, დაე, ცნობიერებას აეხილა თვალი და ეთქვა „მე ვარ!“ დაე ამ უზენაეს ძალას მერე ერთბაშად გადაეწყვიტოს იმის მოსპობა, იმიტომ, რომ იქ ასეა ამა და ამისთვის საჭიროო, ან თუნდაც ამის აუხსნელად, დაე ასე იყოს, მე ეს ყველაფერი შესაძლებლად მიმაჩნია, მაგრამ მაინც კიდევ საკითხავი მუდამ ეს არის რისთვის სჭირდება ამასთან ჩემი მორჩილება ნუთუ არ შეიძლება დიდება აღარ შევასხა ნუთუ იქ მართლაც ვინმე განაწყენდება, თუ ორ კვირას აღარ დავიცდი არ მჯერა მე ეს; განა უფრო სწორი არ იქნება ის ვიფიქროთ, რომ ჩემი უბადრუკი სიცოცხლე, ატომის სიცოცხლე, უბრალოდ, საჭირო გახდა რაღაც საყოველთაო ერთიანი ჰარმონიის შესავსებად, რაღაც პლიუსისა და მინუსისათვის, რაღაც კონტრასტისათვის და სხვა და სხვა, ისევე, როგორც ყოველდღე ეწირება მსხვერპლად უამრავი სულდგმული, რომელთა სიკვდილის გარეშე დანარჩენი ქვეყანა ვერ იბოგინებს (ისიც უნდა შევნიშნო, რომ ეს ვერაფერი სულგრძელი აზრია თავისთავად). მაგრამ დაე ასე იყოს! თანახმა ვარ, რომ სხვანაირად, ანუ ერთმანეთის ამ გაუთავებელი დაჭმის გარეშე ქვეყნიერების მოწყობა შეუძლებელია. იმასაც ვუშვებ, რომ ამ მოწყობის არაფერი მესმის; მაგრამ, სამაგიეროდ, აი, რა ვიცი დანამდვილებით რაკი მომცეს მე ცნობიერება და შემამეცნებინეს, რომ „მე ვარ“, რა ჩემი საქმეა, თუ ეს ქვეყანა შეცდომებზეა აგებული და სხვანაირად ვერ იარსებებს მაშ ვის რა ეთქმის ამის შემდეგ ჩემზე როგორც გნებავთ, მაგრამ ეს შეუძლებელი და უსამართლოა.

და მაინც, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, ვერასდროს ვერ შევძელი იმის წარმოდგენა, რომ იმქვეყნიური ცხოვრება და განგება არ არსებობს. უეჭველია, რომ არსებობს, ჩვენ კი არაფერი გვესმის იმ ცხოვრებისა და მისი კანონების. მაგრამ თუ ასე ძნელი და ყოვლად შეუძლებელია ამის გაგება, ნუთუ პასუხი უნდა ვაგო იმაზე, რომ მიუწვდომელს ვერ ჩავწვდი მართალია, ისინი ამბობენ და მათთან ერთად, ცხადია, თავადიც, რომ სწორედ აქაა საჭირო მორჩილება, რომ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე უნდა მოდრკე და თვინიერად დამორჩილდე, რომ თვინიერების გამო უთუოდ დაჯილდოვდებიო იმ ქვეყანაზე. ჩვენ მეტისმეტად ვაკნინებთ განგების ძალას და ჩვენს წარმოდგენებს ვაწერთ მას, რამეთუ არ გვესმის მისი და ჯავრი მოგვდის. მაგრამ მაინც გავიმეორებ, თუ მისი გაგება შეუძლებელია, მაშინ ძნელია პასუხი აგო იმაზე, რისი გაგების ნიჭიც ადამიანისთვის არ მიუციათ. ხოლო თუ ასეა, როგორ უნდა გამკიცხონ იმაზე, რომ ვერ შევძელი განგების ჭეშმარიტი ნებისა და კანონების ჩაწვდომა. არა, ისა სჯობს, რელიგიას მოვეშვათ. და საერთოდ კმარა. როცა ამ სტრიქონებამდე ჩავალ, ალბათ ამოვა მზე და „ამღერდება ცაზე“, გადმოიფრქვევა უზარმაზარი, აურაცხელი ძალა მთელ მზისქვეშეთზე. დაე, ასე იყოს! მე მოვკვდები ამ ძალისა და სიცოცხლის წყაროს შემყურე და არ მოვისურვებ ამ სიცოცხლეს! ჩემს ხელთ რომ იყოს დაბადება-არდაბადება, უთუოდ უარს ვიტყოდი ასეთ დამამცირებელ პირობებში არსებობაზე. მაგრამ ჩემი თავის გამგებელი ხომ მე ვარ, სიკვდილი ხომ ჩემს ხელთაა, თუმცა დათვლილ დღეებს ვაბარებ მარტო. ვერაფერი დიდი გამგებლობაა და ვერაფერი დიდი ამბოხი. უკანასკნელი განმარტება მე სულაც იმიტომ არ ვკვდები, რომ ამ სამი კვირის გადატანა არ შემიძლია ო, საამისო ძალა მეყოფოდა, საკმარის

ნუგეშს მომცემდა იმის შეგნება, რომ დაჩაგრული ვარ. მაგრამ მე ფრანგი პოეტი არა ვარ და ასეთ ნუგეშს არ ვსაჭიროებ. დაბოლოს, ცთუნებაც იყო. ბუნებამ იმდენად შემიზღუდა საქმიანობის ასპარეზი ამ სამი კვირის განაჩენით, რომ, ვინ იცის, ერთადერთი საქმიანობა, რაც ამქვეყნად დამრჩა, თვითმკვლელობაა, რომლის დაწყება და დამთავრება კიდევ შემიძლია. მერე რა, ეგებ სწორედაც მინდა ეს ჩემი უკანასკნელი შესაძლებლობა გამოვიყენო პროტესტი ზოგჯერ პატარა საქმე როდია...“

იპოლიტი გაჩუმდა, „ახსნა-განმარტება“ დამთავრებული იყო...

როცა ნერვიული კაცი გაშმაგდება და წონასწორობას დაკარგავს, რაც გულში აქვს, ცინიკურად გადმოანთხევს ყველაფერს, მაშინ უკვე აღარავისა და აღარაფრის ერიდება, კიდეც უხარია, თუ აურზაურს და ალიაქოთს ატეხს, იქით ეცემა ხალხს, ვინაიდან გულში მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ერთი წუთის შემდეგ სამრეკლოდან გადმოვხტები და ყველა გაუგებრობას ამით გადავჭრიო. ამ მდგომარეობას ჩვეულებრივ ფიზიკური სისუსტეც იწვევს. თითქმის არაბუნებრივმა დაძაბვამ, აქამდე რომ იპოლიტს ძალას უნარჩუნებდა, უკანასკნელ ზღვარს მიაღწია. ეს თვრამეტი წლის, სენისაგან დაუძლურებული ბიჭი ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლივით სუსტი ჩანდა. მაგრამ როგორც კი მოავლო თავის მსმენელებს თვალი – ამ უკანასკნელი საათის მანძილზე პირველად – მყისვე მედიდური, შეურაცხმყოფელი ბრაზი გამოეხატა სახეზე, თითქოს იქით იწვევსო მსმენელებს. მაგრამ მსმენელებიც აღშფოთებული ჩანდნენ. უკმაყოფილო ყაყანით წამოიშალნენ მაგიდიდან. დაღლილობის, ღვინისა და დაძაბულობის წყალობით ყველაფერი დომხალივით აერიათ თავში და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო შეებილწათ შთაბეჭდილება. თითქოს სკამიდან წამოაგდესო, იპოლიტი ზეზე წამოიჭრა.

– მზე ამოსულა! – შეჰყვირა და ისე მიუთითა ხეების გაცისკროვნებულ კენწეროებზე თავადს, თითქოს სასწაული დაენახოს, – მზე ამოსულა!

– მაშ, არ უნდა ამოსულიყო? – შენიშნა ფერდიშჩენკომ.

– ისევ დაგვხუთავს მთელი დღე, – გულგრილად და უკმაყოფილოდ წაიდუდუნა განიამ, რომელსაც ქუდი ეჭირა ხელში, მერე გაიზმორა და დაამთქნარა, – ვაითუ ერთი თვე გაგრძელდეს ეს პაპანაქება!.. მოდიხართ თუ არა, პტიცინ?

იპოლიტი გაშტერებული უგდებდა ყურს. ერთბაშად გადაფითრდა და მთელი სხეული აუცახცახდა.

– მაგ გულგრილობით ჩემი დამცირება გინდათ, მაგრამ უშნოდ გამოგდით! – ჯიქურ შეხედა იპოლიტმა განიას, – არამზადა ხართ!

– ეშმაკმა დალახვროს, ასე გაშიშვლება გაგონილა! – შეღრიალა ფერდიშჩენკომ, – ეს რა ფენომენალური სისუსტეა!

– ბრიყვია და მეტი არაფერი, – თქვა განიამ.

იპოლიტმა თავი შეიმაგრა და ხმის კანკალით დაიწყო

– მესმის, ბატონებო, ეგ შურისძიება უნდა გამომეწვია... ვწუხვარ, რომ ამ ბოდვით (ხელნაწერზე მიუთითა) სული ამოგხადეთ, თუმცა მთლად რომ ამომეხედა, მგონი, აჯობებდა... (სულელურად გაეღიმა მას); დაგტანჯეთ, ევგენი პავლიჩ? – ახლა მას მიახტა კითხვით, – დაგტანჯეთ თუ არა თქვით!

– ცოტა გაჭიანურებული კია, თუმცა...

– ბარემ თქვით ყველაფერი! ერთხელ მაინც სიმართლე თქვით თქვენს სიცოცხლეში! – ბრძანებით უყვიროდა აცახცახებული იპოლიტი.

– ო, ჩემთვის სავსებით სულერთია! თუ შეიძლება, თავი გამანებეთ, – ზიზღით აქცია ზურგი ევგენი პავლოვიჩმა.

– ღამე მშვიდობისა, თავადო, – მივიდა თავადთან პტიცინი.

– რაღას უყურებთ, ახლავე მოიკლავს თავს! – შეჰკივლა შეშინებულმა ვერამ, იპოლიტს მივარდა და ხელები დაუკავა, – აკი თქვა, მზე რომ ამოვა, თავს მოვიკლავო. რაღას უყურებთ!

– არ მოიკლავს! – ნიშნისმოგებით წაიბურტყუნა რამდენიმე ხმამ, მათ შორის განიამაც.

– ბატონებო, ფრთხილად! – შეჰყვირა კოლიამ და იმანაც დაუჭირა ხელი იპოლიტს, – ერთი სახეზე შეხედეთ! თავადო, თქვენ მაინც რას ფიქრობთ!

იპოლიტს ვერა, კოლია, კელერი და ბურდოვსკი დაეხვივნენ; ოთხთავე ხელებში ჩასჭიდებოდა.

– უფლება აქვს... დიახ, უფლება... – ბურტყუნებდა ბურდოვსკი, თუმცა იმასაც დაბნეოდა თავგზა.

– რას მიბრძანებთ, თავადო, როგორ მოვიქცე? – ეცა თავადს შეზარხოშებული ლებედევი, რომელიც თავის გაბრაზებას აღარც მალავდა.

– რა უნდა გიბრძანოთ?

– ასე როგორ იქნება, ბატონო, მასპინძელი მე ვარ აქ, თუმცა არც თქვენი წყენინება მინდა. ვთქვათ, მასპინძელი თქვენც ბრძანდებით, მაგრამ ჩემს საკუთარ სახლში რომ ეს მოხდეს... არ მინდა. დიახ, არ მინდა.

– არ გაისვრის. თავს იგდებს ბიჭი და მეტი არაფერი! – რიხით დასჭექა მოულოდნელად აღშფოთებულმა გენერალმა.

– ყოჩაღ, გენერალო! – შესძახა ფერდიშჩენკომ.

– ვიცი, რომ არ გაისვრის, გენერალო, დიდად პატივცემულო გენერალო, მაგრამ მაინც... მასპინძელი ხომ მე ვარ.

– გამიგონეთ, ბატონო ტერენტიევ, – დაილაპარაკა უეცრად პტიცინმა, თავადს გამოეთხოვა და ახლა იპოლიტს გაუწოდა ხელი, – მაგ რვეულში, მგონი, თქვენს ჩონჩხზე ამბობდით, აკადემიას ვუანდერძებო თქვენს ჩონჩხს, საკუთარს, მაშასადამე, თქვენს ძვლებს უანდერძებთ, არა?

– დიახ, ჩემს ძვლებს...

– ჰოო. თორემ კაცი შეიძლება შეცდეს ამბობენ, ეგეთი შემთხვევაც ყოფილაო.

– რატომ აღიზიანებთ? – შეჰყვირა უეცრივ თავადმა.

– ლამის ატირდეს, – დასძინა ფერდიშჩენკომ.

მაგრამ იპოლიტი სულაც არ ფიქრობდა ტირილის, ეს კია, წასასვლელად გაიწია. გაიწია და ოთხივე, ვინც ირგვლივ ეხვია, ერთად ჩააფრინდა ხელებში. ატყდა ხორხოცი.

– ამის იმედზეც იყო, ხელებში ჩამაფრინდებიანო, იმიტომაც წაიკითხა რვეული, – შენიშნა როგოჟინმა. – მშვიდობით, თავადო. ვაჰ, რამდენ ხანს ვიჯექი, ძვლები ამტკივდა.

– თუ მართლა თავის მოკვლა გინდოდათ, ტერენტიევ, – გაეცინა ევგენი პავლიჩს, – ამისთანა ქათინაურების შემდეგ თქვენს ადგილზე ჯიბრით არ მოვიკლავდი თავს; გულზე გავხეთქავდი ყველას.

იპოლიტი მყის მისკენ მოტრიალდა.

– სული მიუდით დაინახონ, როგორ მოვიკლავ თავს! – ისეთი კილო ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ეჩხუბებაო.

– გული სწყდებათ, რომ ვერ ნახავენ.

– თქვენც გგონიათ, ვერ ნახავენ?

– მე არ გაქეზებთ; პირიქით, მგონია, რომ მართლაც შეიძლება მოიკლათ თავი. მხოლოდ ნუ ჯავრობთ... – ისე ჩამარცვლა ევგენი პავლოვიჩმა, თითქოს ჭკუას არიგებსო.

– ახლა კი ვხედავ, რა საშინელი შეცდომა იყო ამ რვეულის წაკითხვა! – წაილაპარაკა იპოლიტმა და ისეთი ნდობით მიაჩერდა უეცრივ ევგენი პავლოვიჩს, თითქოს მისი მეგობარი ყოფილიყო და მეგობრულ რჩევას თხოვდა.

– სასაცილო მდგომარეობა კია, ოღონდაც... ვერაფერს გირჩევთ, – გაეღიმა ევგენი პავლოვიჩს.

იპოლიტმა ჯიქურ შეხედა თვალებში, ხმა არ ამოუღია. თითქოს დროდადრო გონი ერეოდა.

– არა, ერთი მიბრძანეთ, ეს რა წესია კიდევ, – წარმოთქვა ლებედევმა, – „პარკში მოვიკლავ თავს, არავის შევაწუხებო!“ მაგას ჰგონია, კიბეზე რომ ჩავა და სამი ნაბიჯს გადადგამს ბაღში, არავის შეაწუხებს.

– ბატონებო... – წამოიწყო თავადმა.

– არა, არა, დიდად პატივცემულო თავადო, – გაშმაგებით ეცა პირში ლებედევი, – თქვენ თვითონ ხომ ხედავთ, რომ ეს ხუმრობა აღარაა, ყოველ შემთხვევაში, თქვენი სტუმრების ნახევარი მაინც ამავე აზრისაა და დარწმუნებულნი არიან, იმის შემდეგ, რაც აქ ილაპარაკა, უპატიოსნობა იქნება, თავი არ მოიკლას, მაგრამ მასპინძელი მე ვარ და მოწმეების თანდასწრებით ვაცხადებ, რომ გთხოვთ, ხელი შემიწყოთ!

– რა გავაკეთო, ლებედევ! მზადა ვარ ხელი შეგიწყოთ.

– აი, რა, ბატონო ჩემო ჯერ ერთი, ახლავე მომცეს ის დამბაჩა, რითაც ასე მოაქვს თავი ჩვენთან, მომცეს მთელი თავისი პრეპარატებით. თუ მომცა, მაშინ ნებას მივცემ ამაღამ აქ დარჩეს, რაკი ავად არის, ოღონდაც იმ პირობით, რომ მე თვალს არ მოვაშორებ. მაგრამ ხვალ კი სადაც უნდა იქ წაბრძანდეს; თქვენთან უკაცრავად, თავადო! თუკი იარაღი არ მომცა, მაშინ დაუყოვნებლივ ერთ ხელს მე ჩავკიდებ, მეორეს გენერალი და მყისვე პოლიციაში გავგზავნი კაცს შესატყობინებლად. მაშინ უკვე პოლიციამ იტეხოს თავი. ბატონი ფერდიშჩენკო ჩემი ხათრით წავა და შეატყობინებს. ატყდა ერთი ხმაური და ღრიანცელი. ლებედევი ქოთქოთებდა. ფერდიშჩენკო პოლიციაში წასასვლელად მიიწევდა. განია გააფთრებით ამტკიცებდა, თავს არავინ მოიკლავსო. ევგენი პავლოვიჩი დუმდა.

– თავადო, სამრეკლოდან თუ ჩამომხტარხართ როდისმე? – ჩასჩურჩულა უეცრივ ყურში იპოლიტმა.

– არა... – მიამიტად მიუგო თავადმა.

– ნუთუ გეგონათ, ამ სიძულვილს არ მოველოდი! – ჩასჩურჩულა კვლავ თვალებანთებულმა იპოლიტმა და ისე შეაჩერდა, თითქოს მართლაც პასუხს მოელოდა მისგან. – კმარა! – ერთბაშად შეუტია დამსწრეთ, – ჩემი ბრალია ყველაფერი! ლებედევ, აჰა გასაღები (მან პორტმონე ამოიღო, იქიდან ფოლადის რგოლი ამოაძვრინა სამი თუ ოთხი პატარა გასაღებით), აი, ეს შუა გასაღებია... კოლია გაჩვენებთ... კოლია! კოლია სადაა? – დაიძახა მან, თუმცა კოლიას კი უყურებდა და ვერ ხედავდა, – ჰო... ის გიჩვენებთ; წეღან ჩვენ ერთად ჩავალაგეთ საკი. გაჰყევით, კოლია; თავადის კაბინეტში, მაგიდის ქვეშ... ჩემი საკი დევს... აი, ამ გასაღებით გახსენით, ძირს, კოლოფში... ჩემი დამბაჩა და თოფისწამალია. წეღან თავისი ხელით ჩადო, ბატონო ლებედევ, იცის, სადაც არის და გიჩვენებთ; მაგრამ იმ პირობით კი, ხვალ, დილაადრიან, პეტერბურგში რომ წავალ, დამბაჩას უკან დამიბრუნებთ. გესმით? თავადის ხათრით ვაკეთებ, თქვენთვის კი არა.

– ეგრე არ სჯობია! – გამოსტაცა გასაღები ლებედევმა, ერთი გესლიანად გაიღიმა და მეორე ოთახში გავარდა.

კოლია შედგა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლებედევმა ძალით გაიტაცა. იპოლიტი ახარხარებულ სტუმრებს უმზერდა. თავადმა შეამჩნია, რომ კბილები შემცივნებულივით უკაწკაწებდა.

– ო, რა არამზადები არიან ყველანი! – ისევ წაუჩურჩულა გააფთრებით იპოლიტმა.

თავადს რატომღა სულ ყურში უჩურჩულებდა.

– მოეშვით; ძალზე სუსტად ხართ...

– ახლავე, ახლავე... ახლავე წავალ...

ერთბაშად თავადს გადაეხვია.

– იქნებ გგონიათ, შევიშალე? – შეხედა მას და უცნაურად გაიცინა.

– არა, მაგრამ...

– ახლავე, ახლავე, გაჩუმდით; ნურაფერს მეტყვით; მოიცათ... მინდა თვალებში შეგხედოთ... ეგრე იდექით, მე გიყურებთ... ადამიანს მინდა გამოვეთხოვო.

ათიოდე წამს იპოლიტი გაუნძრევლად იდგა და უსიტყვოდ შესჩერებოდა თავადს, ფერი სულ დაჰკარგოდა, საფეთქლებზე ოფლს გამოეჟონა. ისე უცნაურად ჩაბღაუჭებოდა, თითქოს ხელის გაშვების ეშინიაო.

– იპოლიტ, იპოლიტ... რა მოგდით – შეჰყვირა თავადმა.

– ახლავე... კმარა... დავწვები. მხოლოდ მზის სადღეგრძელოდ ერთ ყლუპს მოვსვამ... ასე მინდა, გამიშვით!

მერე სწრაფად აიტაცა მაგიდიდან ჭიქა, თავადს დაუსხლტა და მყის ტერასის ჩასასვლელთან გაჩნდა. თავადი უკან გაეკიდა, მაგრამ თითქოს განზრახ, სწორედ ამ წუთს ევგენი პავლოვიჩმა გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად. წამიც და, ტერასაზე ერთობლივი ყვირილი გაისმა. შემდეგ საოცარი ალიაქოთი და წრიალი შეიქნა.

აი, რა მოხდა.

იპოლიტი ჩასასვლელს მიადგა და იქ გაჩერდა. მარცხენა ხელში ჭიქა ეკავა, მარჯვენა კი პალტოს მარჯვენა ჯიბეში ჩაეყო. კელერი ირწმუნებოდა მერე, იპოლიტს ადრევე მარჯვენა ჯიბეში ჰქონდა ხელი, მაშინაც კი, როცა თავადს ელაპარაკებოდა და მარცხენათი მხარსა და საყელოში ებღაუჭებოდაო. სწორედ ჯიბეში ჩაყოფილმა ამ ხელმა დამაეჭვა პირველადო. ასე იყო თუ ისე, შიში მასაც შეპარვოდა და იმიტომ გამოკიდებოდა იპოლიტს, მაგრამ ვერც იმან მიუსწრო. ესღა დაინახა, რომ იპოლიტის მარჯვენა ხელში ერთბაშად რაღაცამ იელვა და იმავე წუთს პატარა ჯიბის დამბაჩა მის საფეთქელთან გაჩნდა. კელერი ხელში ეცა, მაგრამ იპოლიტმა იმავ წუთს ჩახმახი დასცა. რაღაცამ მკვახედ, მშრალად დაიტკაცუნა, მაგრამ ტყვია არ გავარდა. როცა კელერმა იპოლიტს ხელი შემოხვია, იპოლიტი მის ხელებში ლამის გონდაკარგული გადაესვენა, ვინ იცის, მართლაც ეგონა, მკვდარი ვარო. დამბაჩა უკვე კელერს ეკავა. იპოლიტს ხელი სტაცეს, სკამი მიუტანეს და ზედ დასვეს. ყველა ირგვლივ შემოხვეოდა, ყველა ყვიროდა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ. ყველას გაეგონა ჩახმახის ტკაცუნი, კაცს კი ცოცხალს ხედავდნენ, გაფხაჭნილიც არსად ჩანდა. თვითონ იპოლიტსაც არ ესმოდა, რა ხდებოდა და უაზროდ შეჰყურებდა ყველას. ამ დროს ლებედევი და კოლიაც შემოცვივდნენ.

– დამბაჩამ უმტყუნა? – კითხულობდნენ ირგვლივ.

– იქნებ არც იყო დატენილი? – იაზრეს სხვებმა.

– დატენილია! – გამოაცხადა კელერმა დამბაჩის გასინჯვის შემდეგ, – ოღონდ...

– უმტყუნა?

– ფისტონი სულ არ ყოფილა, – დააბოლოვა კელერმა.

ძნელია იმის აღწერა, რა საცოდავი ამბავი მოჰყვა ამას. თავდაპირველი და ერთობლივი შიში მალე შესცვალა სიცილმა; ზოგიერთები ნიშნისმოგებით ხარხარებდნენ. იპოლიტი ისტერიულად ქვითინებდა, ხელებს იმტვრევდა, სათითაოდ ყველასთან მირბოდა, ფერდიშჩენკოსაც კი მიეჭრა, ორივე ხელით ჩაეჭიდა და ეფიცებოდა, რომ დაავიწყდა, სულ უცაბედად დაავიწყდა და არა განგებ ფისტონის ჩადება, რომ ეს ფისტონები ყველა ჟილეტის ჯიბეში უდევს, ათიოდე ცალი (ყველას დაანახა ირგვლივ), რომ ადრე იმიტომ არ ჩადო, ეშინოდა, ვაითუ უცბად გამივარდესო ჯიბეში, ფიქრობდა, როცა საჭირო იქნება, მაშინაც მოვასწრებ ჩადებას და, უცბად დამავიწყდაო. ეცა თავადსაც, ევგენი პავლოვიჩსაც, ემუდარებოდა კელერს, დამბაჩა დამიბრუნეო, ახლავე ყველას დავუმტკიცებო, რომ ჩემი სახელი და პატიოსნება... რომ სამუდამოდ მომეჭრა თავიო!..

დასასრულს მართლაც გონდაკარგული დაეცა. ის თავადის კაბინეტში გაიტანეს. ამ ამბებმა ლებედევიც გამოაფხიზლა, დაუყოვნებლივ კაცი გაგზავნა ექიმის მოსაყვანად, მისი ქალი, ვაჟი, ბურდოვსკი და გენერალი კი სნეულის საწოლთან დარჩნენ. გრძნობადაკარგული იპოლიტი როცა გაიყვანეს, კელერი შუა ოთახში დადგა და დამარცვლით, მკაფიოდ, ჭეშმარიტი ზეშთაგონებით გამოაცხადა:

– ბატონებო, თუ რომელიმე თქვენგანმა ჩემთან ერთხელ კიდევ ხმამაღლა ეჭვი გამოთქვა, ფისტონი განზრახ არ იყო ჩადებული და მტკიცება დაიწყო, ამ უბედურმა ყმაწვილმა მხოლოდ კომედია გაითამაშაო, – ამ კაცს ჩემთან ექნება საქმე!

მაგრამ პასუხი არავინ გასცა, სტუმრები საჩქაროდ დაიშალნენ. პტიცინი, განია და როგოჟინი ერთად გავიდნენ.

თავადს ძალზე გაუკვირდა, ევგენი პავლოვიჩმა რომ განზრახვა შეცვალა და ახსნა-განმარტების გარეშე დააპირა წასვლა.

– განა ჩემთან ლაპარაკი არ გინდოდათ, ყველანი რომ წავიდოდნენ? – ჰკითხა ევგენი პავლოვიჩს.

– მინდოდა, – უთხრა ევგენი პავლოვიჩმა, მერე ერთბაშად დაჯდა და თავადიც გვერდით მოისვა, – მაგრამ ახლა დროებით გადავიფიქრე. გამოგიტყდებით და ცოტა არ იყოს, შეცბუნებული ვარ, მგონი, თქვენც ასევე. აკი გამიმართლა ეჭვმა. გარდა ამისა, რაც მე მინდა გითხრათ, ის ჩემთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია და თქვენთვისაც ასევე. იცით რა, თავადო, ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მინდა პატიოსნად მოვიქცე, ანუ დაფარული არაფერი მქონდეს, ჩემის აზრით კი ახლა, ამ წუთს, სულ პატიოსნად მოქცევას ვერ შევძლებ და, მგონი, ვერც თქვენ, ალბათ... ჰოდა... ერთი სიტყვით, მერე ვილაპარაკოთ. იქნებ უფრო ნათელი გახდეს საქმე ჩემთვისაც და თქვენთვისაც ამ სამ დღეში, ვიდრემდე პეტერბურგიდან არ ჩამოვალ.

ევგენი პავლოვიჩი ისევ წამოდგა ზეზე, ან წეღან რაღად ჯდებოდა. ისიც მოეჩვენა თავადს, რომ ევგენი პავლოვიჩი უკმაყოფილო და გაგულისებული იყო და მტრული თვალით უყურებდა, თუმცა ისე არა, როგორც წეღან.

– ალბათ ახლა სნეულს მიაკითხავთ?

– დიახ... მეშინია, – წაილაპარაკა თავადმა.

– ნუ გეშინიათ, ვინ იცის, ექვსი კვირა კიდევ იცოცხლოს, ან იქნებ სულაც აქ მოიკეთოს. ისე კი, ხვალვე თუ გაისტუმრებთ, აჯობებს.

– ვაითუ მეც ბიძგი მივეცი, რომ... არაფერი ვუთხარი; ვაითუ იფიქრა, მეც არ მჯერა, თავს მოიკლავს-მეთქი? როგორ გგონიათ, ევგენი პავლიჩ?

– დიდი კეთილი გული გქონიათ, კიდევ რომ მასზე ზრუნავთ. გამიგონია, მაგრამ ჯერ არ მინახავს სინამდვილეში, კაცს იმიტომ მოეკლას თავი, შემაქონო, ან იმიტომ, არ შემაქესო. რაც მთავარია, ასეთ აშკარა სულმოკლეობას და სიძაბუნეს არ დავიჯერებდი! თქვენ კი მაინც გააგდეთ ხვალვე, მე მირჩევია.

– გგონიათ, კიდევ შეეცდება თავის მოკვლას?

– ახლა აღარ მოიკლავს. მაგრამ უფრთხილდით კი ამ ჩვენს შინნაზარდ ლასენერებს![107] კიდევ გეტყვით, რომ ამ უნიჭო, სულწასულ და გულხარბ არარაობისთვის ბოროტმოქმედება ფრიად ჩვეულებრივი თავშესაფარია.

– ვითომ ლასენერია?

– შინაარსი ერთი აქვთ, თუმცა ამპლუა კი, შესაძლოა, სხვადასხვა. აი, ნახეთ, თუ ამ ვაჟბატონმა ათი კაცი არ დაკლას, მხოლოდ იმიტომ, რომ „გაიხუმროს“, როგორც წეღან თქვა თავის ახსნა-განმარტებაში. ეს მისი სიტყვები ახლა ძილს დამიფრთხობს.

– ეგ თქვენი შიში იქნება გაზვიადებულიც იყოს.

– გასაოცარი ვინმე ხართ, თავადო; არ გჯერათ განა, რომ ახლა ათი კაცის მოკვლა შეუძლია?

– ვერაფერს გეტყვით, ეგ ყველაფერი ძალზე უცნაურია; მაგრამ...

– თუმცა, როგორც გენებოთ, როგორც გენებოთ! – გაგულისებით დაასკვნა ევგენი პავლოვიჩმა, – თანაც თქვენი სიმამაცის ამბავი რომ ვიცი; ოღონდაც იმ ათი კაცის რიცხვში არ მოხვდეთ.

– მაგრამ იქნებ არც არავინ მოკლას, – თქვა თავადმა და ჩაფიქრებით მიაშტერდა ევგენი პავლოვიჩს.

ევგენი პავლოვიჩმა ბოროტად ჩაიცინა.

– ნახვამდის, თავადო, დროა უკვე! შენიშნეთ კი, რომ თავისი „აღსარების“ ასლი აგლაია ივანოვნას უანდერძა?

– დიახ, შევნიშნე და ჩამაფიქრა ამან.

– მაშ, მაშ, ათი კაცის მოკვლის შემთხვევისთვის, – ისევ ჩაეცინა ევგენი პავლოვიჩს და წავიდა.

ერთი საათის შემდეგ, უკვე ოთხი იქნებოდა დაწყებული, რომ თავადი ბაღში ჩავიდა. ერთი პირობა შინ დააპირა დაძინება, მაგრამ ისე ძლიერად უცემდა გული, ვერ შეძლო, თუმცა იქ უკვე ყველაფერი რიგზე იყო, ავადმყოფს ჩასძინებოდა, ექიმიც მოვიდა და თქვა, საშიში არაფერიაო. ლებედევი, კოლია, ბურდოვსკი ავადმყოფის ოთახში დაწვნენ, რიგრიგობით უნდა ემორიგათ; მაშასადამე, საშიში არაფერი იყო.

მაგრამ თავადის მღელვარება ყოველ წუთს მატულობდა. ბაღში დაეხეტებოდა და უგულისყუროდ იყურებოდა აქეთ-იქით. რარიგ გაკვირვებული შედგა, როცა სადგურის წინ, მოედანზე გამოვიდა და ცარიელი სკამების რიგი და ორკესტრის პიუპიტრები დაინახა. დიდად შეაცბუნა და შეზარა ამ ადგილის ნახვამ. უკან გამობრუნდა და პირდაპირ გამოჰყვა იმ გზას, საიდანაც გუშინ ეპანჩინებთან ერთად სადგურში მივიდა. იმ მწვანე სკამს რომ მიაღწია, სადაც პაემანი დაუნიშნეს, ჩამოჯდა და უცბად ხმამაღლა გაიცინა. მაგრამ მაშინვე ძალზე აღშფოთდა საკუთარ თავზე.

გული მაინც ნაღველით ავსებოდა. უნდოდა აქედან სადმე წასულიყო... მაგრამ სად, თვითონაც არ იცოდა. ზემოთ, ხეზე ჩიტი ჭიკჭიკებდა. ახლა მას დაუწყო ძებნა ფოთლებში. უცბად ჩიტი ხიდან აფრთხიალდა. იმავ წუთს რატომღაც ის „ბუზი“ გაახსენდა „მზის მცხუნვარე სხივებში“, რომელზეც იპოლიტი წერდა, „იმანაც იცის თავისი ადგილი, ისიც საერთო ქოროს მონაწილეა, მარტო მე ვარ მოწყვეტილი უდღეური ნაყოფიო“. ეს ფრაზა წეღანაც ყურს მოხვდა, და ახლაც გაახსენდა. უცბად ერთი დიდი ხნის დავიწყებული მოგონება აღეძრა და ყველაფერი გაუნათა. ეს

მოხდა შვეიცარიაში, მკურნალობის პირველ წელს, მგონი, პირველსავე თვეებში. მაშინ თითქმის ისევ იდიოტივით იყო, ლაპარაკიც არ შეეძლო ხეირიანად. ხანდახან იმასაც ვერ იგებდა, რას მოითხოვდნენ მისგან. ერთხელ მთებში წავიდა. კაშკაშა, მზიანი დღე იდგა. დიდხანს იბორიალა იქ, რაღაც ფიქრი სტანჯავდა, მაგრამ ხორცი ვერ შეესხა მისთვის. ზემოთ ცა კაშკაშებდა, ძირს ტბა მოჩანდა, გარშემო ნათელი, უკიდეგანო ცის კიდური გადაჭიმულიყო. დიდხანს უცქერდა და იტანჯებოდა. ახლა მოაგონდა, როგორ იწვდიდა ხელებს იმ კაშკაშა, უსასრულო ცისკენ და ტიროდა. ტანჯავდა ფიქრი, რომ ის აქ ყოველივე ამისთვის უცხოა. რა ნადიმია ასეთი, რა ღრეობაა გაუთავებელი, რომელიც დიდი ხანია იზიდავს, იზიდავს ბავშვობიდან მოყოლებული და მაინც ვერა და ვერ ეზიარა. ყოველ ცისმარე დღე ამოდის ეს ბრწყინვალე მზე, ყოველ ცისმარე დღე ჩანჩქერზე ლივლივებს ცისარტყელა, ყოველ საღამოს ყველაზე მაღალი თოვლიანი მთა იქ, შორს, ცისკიდურზე ძოწისფრად იწვის; ყოველი „პაწაწკინტელა ბუზი, რომელიც მზის სხივში დაბზუის, ისიც კი იმ ნადიმისა და ქოროს მონაწილეა, იცის თავისი ადგილი, უყვარს იგი და ბედნიერია“. ყოველი ბალახი იზრდება და ბედნიერია! ყველას თავისი გზა აქვს, ყველამ იცი თავისი სავალი, სიმღერით მიდი-მოდის, მარტო მან არ იცის არაფერი, არაფერი ესმის, არც ხალხისა და არც ხმების, ყველასთვის უცხო, მოწყვეტილი უდღეური ნაყოფია. ო, რა თქმა უნდა, მაშინ ამ სიტყვებს ვერ იტყოდა და ამ კითხვას ვერ გამოთქვამდა; იტანჯებოდა ყრუდ, უენოდ; მაგრამ ახლა კი ეგონა, რომ მაშინაც ამას ამბობდა, სწორედ ამ სიტყვებს. ეს „პაწია ბუზიც“ იპოლიტმა მისი მაშინდელი სიტყვებიდან და ცრემლებიდან აიღო. დარწმუნებული იყო ამაში და რატომღაც გული უმძერდა...

სკამზე ჩასთვლიმა, მაგრამ არც ძილი ჰქონდა დამშვიდებული. ვიდრე დაიძინებდა, მოაგონდა, იპოლიტი ათ კაცს მოკლავსო, და ამ სულელურ ნათქვამზე გაეცინა. ირგვლივ საოცარი, უშფოთველი სიწყნარე იდგა, მხოლოდ ფოთოლთ შრიალი ისმოდა, რის გამოც უფრო მეტად იგრძნობოდა ეს სიწყნარე და მარტოობა. ბევრი სიზმარი ნახა და სულ მშფოთვარე; ამიტომაც კრთოდა ძილში. ბოლოს ქალი გამოეცხადა. იცოდა, ვინც იყო, იცოდა და იტანჯებოდა. რა დროსაც არ უნდა ეკითხათ, იტყოდა მის ვინაობას. მაგრამ საოცარია, რომ ახლა თითქოს ის სახე არ ჰქონდა, როგორსაც იცნობდა, და არც მას უნდოდა იმ ქალად ეცნო. ისეთი სინანული და ძრწოლა ეწერა სახეზე, თითქოს ეს-ესაა საშინელი რამ ჩაედინა. გაცრეცილ ლოყაზე ცრემლი უთრთოდა; ანიშნა მოდიო და თან ტუჩებზე მიიდო თითი, თითქოს აფრთხილებს, ფეხაკრეფით გამომყევიო. გული შეეკუმშა. არაფრის დიდებით არ უნდოდა, დამნაშავედ ეცნო. მაგრამ გრძნობდა კი, რომ ამ წუთას რაღაც საშინელება მოხდებოდა და მთელ სიცოცხლეს ჩაუმწარებდა. ქალს თითქოს რაღაც სურდა ეჩვენებინა, რაღაც იქვე შორიახლოს, ბაღში. წამოდგა და გაყოლა დააპირა, მაგრამ უეცრად მხიარული კისკისი ჩაესმა. ვიღაცის ხელი უეცრივ მის ხელში გაჩნდა; სტაცა, ჩაიჭირა ეს ხელი მაგრად და გაეღვიძა. თავზე აგლაია წამოდგომოდა; ხმამაღლა კისკისებდა.

VIII

კისკისებდა, მაგრამ აღშფოთებულიც იყო.

– ძინავს! გეძინათ! – იძახდა ზიზღნარევი გაოცებით.

– თქვენა ხართ! – წაილუღლუღა თავადმა, რომელიც მთლად ვერ მოსულიყო გონს და გაკვირვებით შესცქეროდა. – აჰ, ჰო! პაემანია... ჩამძინებია.

– გნახეთ.

– თქვენს მეტს არავის გავუღვიძებივარ? თქვენს მეტი არავინ ყოფილა აქ? მეგონა, სხვა ქალი იყო...

– სხვა ქალიო...

თავადი სულ გამოერკვა.

– სიზმარი ყოფილა, – დაფიქრებით ჩაილაპარაკა. – საოცარია, რომ ამ წუთს ვნახე ეს სიზმარი... – დაბრძანდით, – ხელი მოჰკიდა ქალს და დასვა, თვითონაც გვერდით დაუჯდა. ფიქრმა წაიღო. არც აგლაია იწყებდა ლაპარაკს, ეს კია, დაკვირვებით ათვალიერებდა თავადს. ისიც უცქერდა, მაგრამ შიგადაშიგ ისე, თითქოს ხედავდა და ვერც ხედავდა. აგლაიას სიწითლე მოერია.

– აჰ, იცით! – შეკრთა თავადი, – იპოლიტმა ტყვია დაირტყა!

– როდის? თქვენსა? – შეეკითხა ქალი, მაგრამ დიდად არ შეუცხადებია, – წუხელ საღამოს ხომ ცოცხალი იყო? ამის შემდეგ მაინც რამ დაგაძინათ აქ? – შეჰყვირა და უეცრივ გამოცოცხლდა.

– მაგრამ რომ არ მომკვდარა, ტყვია არ გავარდა.

აგლაიას დაჟინებით თავადმა მაშინვე დაწვრილებით უამბო წუხანდელი ამბავი. მერე, მერეო, აღარ ითმენდა ქალი, მაგრამ თვითონვე აწყვეტინებდა წამდაუწუმ სულ სხვა კითხვებით. ისიც დიდი ცნობისმოყვარეობით მოისმინა, რა ეთქვა ევგენი პავლოვიჩს და რამდენჯერმე გაამეორებინა.

– კმარა, მაგისთვის არ გვცალია, – დაასკვნა აგლაიამ ბოლოს, – ერთი საათი დრო გვაქვს მარტო, რვა საათზე უთუოდ შინ უნდა მივიდე, თორემ გაიგებენ, აქ რომ ვიყავი. მე ხომ საქმეზე მოვედი; ბევრი მაქვს სათქმელი. ოღონდ ახლა სულ დამიბნიეთ თავგზა. იპოლიტზე იმას ვიტყვი, რომ ეგრეც უნდა მოსვლოდა, დამბაჩა არ გავარდნოდა, სწორედ ზედგამოჭრილია მაგაზე. მაგრამ გჯერათ კი, რომ მართლა აპირებდა თავის მოკვლას და არ თვალთმაქცობდა?

– არა. არა.

– ეგ უფრო დასაჯერებელია. მართლა დაწერა, რომ „აღსარება“ ჩემთვის მოგეტანათ? მერე რატომ არ მომიტანეთ?

– ხომ არ მომკვდარა. უნდა ვკითხო.

– აუცილებლად მომიტანეთ, კითხვა რად უნდა. ვფიქრობ, ძალზე ესიამოვნება, ალბათ იმიტომაც დაიხალა ტყვია, რომ აღსარება წამეკითხა. თუ შეიძლება, ნუ გაიცინებთ ამ სიტყვებზე, ლევ ნიკოლაიჩ, ადვილი შესაძლებელია, ასე იყო.

– არ გავიცინებ, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, ნაწილობრივ შეიძლება მასეც იყოს.

– დარწმუნებული ხართ? ნუთუ თქვენც აგრე ფიქრობთ? – საოცრად გაიკვირვა ქალმა.

აგლაია ზედიზედ აყრიდა შეკითხვებს, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, მაგრამ შიგადაშიგ ებნეოდა სათქმელი და ხშირად არც ამთავრებდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა; ერთი სიტყვით, უჩვეულოდ აფორიაქებული ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უშიშრად და რაღაც გამომწვევად ეჭირა თავი. ვინ იცის, ცოტა დამფრთხალიც იყო. უბრალო, საშინაო კაბა ეცვა, რომელიც მეტად შვენოდა. მალიმალ კრთებოდა და სიწითლე ეძალებოდა. სკამის ძგიდეზე იჯდა. უნდა გენახათ, როგორ გაუკვირდა, თავადი რომ დაეთანხმა, იპოლიტმა იქნებ იმიტომაც იხალა ტყვია, რომ მისი „აღსარება“ თქვენ წაგეკითხათო.

– ალბათ ისიც უნდოდა, ჩვენ შეგვექო...

– შეგექოთ

– აბა, როგორ გითხრათ, მიჭირს ახსნა, მაგრამ ალბათ უნდოდა, ყველა დავხვეოდით და გვეთქვა, რომ ძალიან გვიყვარს და პატივს ვცემთ, შევხვეწნოდით, თავი არ მოეკლა. ძალიანაც

შეიძლება, რომ უფრო თქვენ ჰყავდით მხედველობაში, ვინაიდან ასეთ წუთს გაახსენდით... თუმცა შეიძლება, თვითონაც არ იცოდა, თუ თქვენ გგულისხმობდათ.

– სულ არაფერი მესმის გულისხმობდა და არ იცოდა, რომ გგულისხმობდაო. თუმცა, მგონი, გაგიგეთ იცით, ცამეტი წლის რომ ვიყავი, მეც ბარე ოცდაათჯერ გადავწყვიტე თავის მოწამვლა და დედ-მამისთვის წერილში ყველაფრის დაწერა. წარმოდგენილი მქონდა, როგორ ვიწვებოდი კუბოში, როგორ დამიტირებდნენ ყველანი, ინანებდნენ, მკაცრად რად ვექცეოდითო... რატომ გაიღიმეთ ისევ, – წარბი შეიკრა აგლაიამ, – ნეტავ რაზე ოცნებობთ, მარტო რომ ხართ ვინ იცის, ფელდმარშლად წარმოგიდგენიათ თავი და ნაპოლეონს ამარცხებთ.

– ღმერთმანი, სწორედ მაგას ვფიქრობ, მეტადრე ძილის წინ, – გაეცინა თავადს, – ოღონდაც ნაპოლეონს კი არა, ავსტრიელებს ვამარცხებ ხოლმე.

– სულაც არ გეხუმრებით, ლევ ნიკოლაიჩ. იპოლიტს თვითონ მოვინახულებ; გთხოვთ, გააფრთხილოთ. ისე კი, მგონია, რომ ძალიან ცუდად იქცევით, არ შეიძლება ეგრე უხეშად გაუგოთ კაცს და ეგრე განსაჯოთ. სულ არ გქონიათ გული. მარტო სიმართლეს უყურებთ, მაშასადამე, უსამართლოდ სჯით.

თავადი დაფიქრდა.

– არ უნდა იყოთ მართალი, მე ხომ არ ვძრახავ ასეთი ფიქრებისთვის, ბოლოს და ბოლოს ყველა ასე ფიქრობს. იქნებ არც ფიქრობდა ამას, უბრალოდ, უნდოდა ასე მომხდარიყო... უნდოდა, უკანასკნელად ენახა ადამიანები, მათი პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა; ეს ხომ მოსაწონია, ოღონდაც არ გამოუვიდა. ერთი, რომ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, მერე სხვა ამბებმა! ესეცაა, ზოგს ყველაფერი კარგად გამოუდის, ზოგს არა...

– თქვენ თავს გულისხმობთ? – შენიშნა აგლაიამ.

– დიახ, ჩემ თავს, – მიუგო თავადმა. არც შეუმჩნევია, რა ღვარძლი ერია ამ სიტყვებში.

– თქვენს ადგილზე სწორედ არ დამეძინებოდა. მაშასადამე, სადაც არ მიდებთ თავს, ყველგან დაიძინებთ. არ ვარგა, არა.

– მე ხომ მთელი ღამე არ მიძინია, თანაც ბევრი ვიარე, მუსიკაზე ვიყავი...

– რა მუსიკაზე?

– სადაც გუშინ უკრავდნენ, მერე აქ მოვედი, დავჯექი, ფიქრებს გავყევი და ჩამეძინა.

– აი, თურმე რაში ყოფილა საქმე? ეგ ცოტა გამართლებთ... მუსიკაზე რამ წაგიყვანათ

– ვერ გეტყვით, ისე...

– კარგი, კარგი, მერე იყოს. სულ მაწყვეტინებთ, ან რა ჩემი საქმეა, მუსიკაზე რომ წახვედით ვინ ქალი დაგესიზმრათ

– ეგ... ეგ... არ გინახავთ და...

– მესმის, კარგადაც მესმის. თქვენ ის ძალიან... მაინც როგორ დაგესიზმრათ, რა სახით? თუმცა არ მაინტერესებს, – მოუჭრა უეცრად გულმოსულმა, – ნუ მაწყვეტინებთ.

აგლაიამ ცოტა იყუჩა, თითქოს გამბედაობას იკრებსო, ანდა ბრაზს იკავებსო.

– იცით, რისთვის დაგიბარეთ? ჩემი მეგობარი იყავით-მეთქი, მინდოდა მეთქვა. ეგრე რად მომაშტერდით? – გაწყრა აგლაია და ისე საშინლად წამოწითლდა, თავადი მართლაც დაკვირვებით შეაცქერდა. რაც მეტად წითლდებოდა აგლაია, თითქოს მეტად მოსდიოდა გული საკუთარ თავზე და მეტი რისხვით აბრიალებდა თვალებს. მაგრამ თავის გულისმოსვლას იმავ წუთს, მუდამ მოსაუბრეს გადაატეხდა თავზე, გინდაც დამნაშავე არ ყოფილიყო, და მაშინვე ჩხუბს დაუწყებდა. იცოდა, თავისი უკარება ხასიათის ამბავი და ამიტომ იშვიათად ერეოდა საუბარში. დებზე უფრო სიტყვაძვირი იყო, ხანდახან მეტისმეტადაც. მაგრამ თუ საუბარს ვერ

აიცდენდა და გაჩუმება უხერხული იყო, როგორც ახლა, ქედმაღლურად და რაღაც გამომწვევადაც დაიწყებდა ლაპარაკს. იმასაც გრძნობდა წინასწარ, როდის მოერეოდა სიწითლე.

– ეგებ ამ ჩემს წინადადებაზე არ ხართ თანახმა იფიქრეთ – შეავლო თვალი თავადს.

– ო, არა, მინდა, ოღონდ საჭიროდ არ მიმაჩნია... ანუ არ მეგონა, თუ ამის თქმა საჭირო იყო, – აირია თავადი.

– მაშ, რა გეგონათ აქ ვითომ რად დაგიბარეთ რა იფიქრეთ ან იქნებ თქვენც პატარა სულელად მიგაჩნივართ, როგორც შინ მთვლიან....

– არ ვიცოდი, თუ სულელად გთვლიდნენ, მე... მე ეგრე არ გიყურებთ.

– არა ერთობ ჭკვიანურია თქვენის მხრივ. მერე რა ჭკვიანურად გამოთქვით.

– ჩემის ფიქრით, ზოგჯერ ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით, – გააგრძელა თავადმა, – წეღან ერთი ძალიან ჭკვიანური სიტყვა მითხარით, „მარტო სიმართლეს უყურებთ, მაშასადამე, უსამართლოდ სჯითო“. დავიხსომებ და მოვიფიქრებ.

აგლაიას სიამოვნებისაგან სახე წამოუწითლდა. მაშინვე დაეტყობოდა ხოლმე, რა სწყინდა და რა უხაროდა. გაიხარა თავადმაც და სიხარულის სიცილი აუტყდა.

– ჰოდა, ყური მიგდეთ, – დაიწყო ისევ აგლაიამ, – რამდენი ხანია მინდოდა ყველაფერი მეამბნა თქვენთვის. ის წერილი რომ მომწერეთ, მას აქეთ მინდოდა, უფრო ადრეც... ნახევარი უკვე გუშინ გითხარით პატიოსანზე პატიოსან და მართალზე მართალ ადამიანად გთვლით, ყველაზე პატიოსანი და მართალი გულის მქონედ. თუ თქვენზე იმას იძახიან, ცოტა ჭკუაზე... ვერ არისო... ხანდახან ეს სწორი არაა; მე ასე გადავწყვიტე და ბევრიც ვიდავე. თუ ტვინი გაქვთ დაავადებული (თქვენ, რა თქმა უნდა, ამაზე გული არ მოგივათ, მე ხომ მაღალი გაგებით ვამბობ), სამაგიეროდ, მთავარი ჭკუით ყველას სჯობიხართ, თქვენისთანა იმათ არც დაესიზმრებათ. ვინაიდან ჭკუა ორია მთავარი და არამთავარი. ხომ ასეა?

– იქნებ მაგრეც არის, – ძლივს წაილუღლუღა თავადმა. გული საშინლად უკანკალებდა და უძგერდა.

– ასეც ვიცოდი, რომ გამიგებდით, – მედიდურად განაგრძო აგლაიამ, – თავად შჩ-სა და ევგენი პავლოვიჩს მაგ ორი ჭკუის არაფერი ესმით. არც ალექსანდრას, maman-მა კი გაიგო.

– თქვენ ძალიან ჰგავხართ ლიზავეტა პროკოფიევნას.

– მართლა ამბობთ? – გაუკვირდა აგლაიას.

– ღმერთს გეფიცებით.

– მადლობელი ვარ, – ჩაფიქრდა აგლაია, ძალზე მიხარია, რომ maman-ს ვგავარ. მაშასადამე, mama-ს დიდ პატივს სცემთ? – მიამიტად დააყოლა აგლაიამ.

– ძალიან, ძალიან მიხარია, ეგრე პირდაპირ რომ გამიგეთ.

– მეც მიხარია, ვინაიდან შემჩნეული მაქვს, ხანდახან რომ... დასცინიან. მაგრამ ყური მიგდეთ, რა უნდა გითხრათ ბევრი ვიფიქრე და ბოლოს თქვენ აგირჩიეთ. არ მინდა, შინ დამცინონ, არ მინდა, პატარა სულელად ჩამთვალონ, არ მინდა, გამაჯავრონ... ყველაფერ ამას მაშინვე მივხვდი და იმიტომაც ცივი უარი ვუთხარი ევგენი პავლიჩს, არ მინდა, ყოველ წამს ჩემს გათხოვებაზე იყოს ლაპარაკი და ჩემს გათხოვებას ცდილობდნენ... მინდა... ჰო, ერთი სიტყვით, მინდა სახლიდან გავიქცე და თქვენ აგირჩიეთ, რომ დამეხმაროთ ამ საქმეში.

– სახლიდან გაიქცეთ! – შეჰყვირა თავადმა.

– დიახ, დიახ, სახლიდან გავიქცე! – შესძახა ქალმა და აპილპილდა, – არ მინდა, არ მინდა-მეთქი, რომ წამდაუწუმ მაწითლებდნენ, გინდა თავად შჩ-ს, ევგენი პავლოვიჩისა თუ სხვათა წინაშე, ამიტომაც თქვენ აგირჩიეთ. მინდა, ყველაფერზე გელაპარაკოთ, თუნდაც ყველაზე

უმთავრესზე, როცა კი მომინდება; თქვენც არ უნდა დამიმალოთ არაფერი. ერთ კაცს მაინც ველაპარაკო ისე, როგორც ჩემს საკუთარ თავს. ახლა ის დამიწყეს, ვითომც თქვენ გელით და მიყვარხართ. ჯერ ჩამოსულიც არ იყავით, წერილები არც მიჩვენებია. ახლა კი ყველა ამას ჩამძახის. მინდა გაბედული ვიყო და არაფრის მეშინოდეს. მაგათი მეჯლისები სულაც არ მეხალისება. დიდი ხანია სახლიდან გაქცევა მინდა, ოცი წელია გამოკეტილი ვყავარ, სულ ჩემი გათხოვების ცდაში არიან; მე კი მინდა ხალხს სიკეთე მოვუტანო. თოთხმეტი წლისამ დავაპირე სახლიდან გაქცევა, თუმცა ჭკუა სად მქონდა მაშინ. ახლა უკვე ყველაფერი აწონ-დაწონილი მაქვს, თქვენღა გელოდით, საზღვარგარეთის ამბები გამომეკითხა, ერთი გოთური ტაძარი რა არის, არ მინახავს ჯერ. წავალ რომში, ყველა მეცნიერულ კაბინეტს დავათვალიერებ, პარიზში ვისწავლი; ეს უკანასკნელი წელი სულ ვმეცადინეობ და ვსწავლობ, კარგა ბლომა წიგნები წავიკითხე; აკრძალულიც კი. ალექსანდრას და ადელაიდას ყველაფრის კითხვა შეუძლიათ, მე კი მიშლიან, მითვალთვალებენ. დებთან საჩხუბარი რა მაქვს, ოღონდ დედაჩემს და მამაჩემს დიდი ხანია გამოვუცხადე, ჩემი სოციალური მდგომარეობა უნდა შევცვალო-მეთქი. გადავწყვიტე, მასწავლებლობა დავიწყო, თქვენი იმედი მაქვს, აკი თქვით, ბავშვები მიყვარსო! ხომ შეიძლება ერთად ვიმასწავლებლოთ, ახლა თუ არა, შემდეგში მაინც? ერთად მოვუტანოთ ხალხს სიკეთე; სულ არ მეპიტნავება გენერლის ქალობა... ერთი მითხარით, ძალიან ნასწავლი ხართ?

– ვაი, რომ არა...

– აფსუს, მე კი მეგონა... ან რატომ მეგონა? მაგრამ აგირჩიეთ და მაინც უნდა მიწინამძღვროთ.

– ეგ სისულელეა, აგლაია ივანოვნა.

– მინდა, სახლიდან მინდა-მეთქი გაქცევა! – შეჰყვირა ქალმა და თვალები ისევ აენთო, – არ დამეთანხმებით და მაშინ გავრილა არდალიონოვიჩს გავყვები ცოლად. აბა, საზიზღარ ქალად რად უნდა ჩამთვალონ შინ და, ღმერთმა იცის, რა შემწამონ.

თავადი ლამის სკამიდან გადმოვარდა.

– გონზე ხართ? რას გწამებენ, ვინ გწამებთ?

– ყველანი, დედა, დები, მამა, თავადი შჩ-ი, ის თქვენი საზიზღარი კოლიაც! პირში თუ არ მეუბნებიან, გულში მაინც ამას ფიქრობენ. განა არა, ყველაფერი გადმოვულაგე დედაჩემსა და მამაჩემს. maman მთელი დღე ავად იყო; მეორე დღეს ალექსანდრამ და მამამ მითხრეს, არც გესმის, რაც ტარტარებო. იქვე მოვუჭერი, უკვე ყველაფერი ვიცი, ყველა სიტყვა-მეთქი; პატარა ხომ არ გგონივართ, ამ ორი წლის უკან განზრახ წავიკითხე პოლ-დე-კოკის ორი რომანი, რომ ყველაფერი გამეგო-მეთქი. ეს რომ maman-მა გაიგონა, კინაღამ გული წაუვიდა.

ერთმა უცნაურმა ფიქრმა გაუელვა თავადს თავში, მერე დაკვირვებით შეხედა აგლაიას და გაეღიმა.

ნუთუ ეს ის ქედმაღალი არსებაა, რომელმაც გავრილა არდალიონოვიჩის წერილი წაუკითხა ოდესღაც ისე ამაყად და ამპარტავნულად. ნუთუ ამ გულზვიადსა და გოროზ ტურფა ქალში მაინც ისეთი ბავშვი იმალება, რომელსაც იქნებ დღესაც არ ესმის ყველა სიტყვის მნიშვნელობა.

– სულ შინ იჯექით, აგლაია ივანოვნა? ესე იგი, სკოლაში სადმე არ გივლიათ, ან ინსტიტუტში არ გისწავლიათ?

– თავის დღეში არსად არ მივლია სულ შინ ვიჯექი; სულ ჩაკეტილში ვყავდით, ალბათ ასეც გამათხოვებენ. ნეტავ რა გაცინებთ? ისევ გატყობთ, თქვენც დამცინით და იმათი მხარე გიჭირავთ, – რისხვით შეჰყარა აგლაიამ წარბები, – ნუ გამაჯავრებთ, ისედაც არ ვიცი, რა მემართება... ვინ იცის, აქ იმ რწმენით მოდიოდით, რომ შეყვარებული ვარ თქვენში და პაემანი დაგინიშნეთ, – გაგულისებით მოუჭრა ქალმა.

– გუშინ მართლაც კი ვშიშობდი, – როყიოდ დასცდა თავადს (ძალზე შემცბარი იყურებოდა), – დღეს კი დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ...

– რაო! – შეჰყვირა აგლაიამ და პაწია ქვედა ბაგე აუკანკალდა, – შიშობდით, რომ მე... ან როგორ გამიბედეთ, ვითომც მე... ღმერთო ჩემო! იქნებ იმასაც ეჭვობდით, რომ აქ ამიტომ გიხმეთ, მახეში გამებით და იძულებული გამხდარიყავით, ცოლად შეგერთეთ...

– არა გრცხვენიათ, აგლაია ივანოვნა? მაგ უმანკო, უბიწო გულში ეგ ბინძური აზრი როგორ გაივლეთ? სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თვითონ არ გჯერათ თქვენი ნათქვამის და არც გესმით, რას ამბობთ?

აგლაიას ჯიუტად დაეხარა თავი, თითქოს თვითონაც შეშინებოდა, ეს რა ვთქვიო.

– სულაც არ მრცხვენია, – წაიბუტბუტა მან, – საიდან იცით, უბიწო გული რომ მაქვს? როგორ გამიბედეთ და ის სამიჯნურო ბარათი გამომიგზავნეთ მაშინ?

– სამიჯნურო ბარათიო, ჩემი ბარათი იყო სამიჯნურო! იმაზე მოწიწებული ბარათი სად გაგონილა, ის ბარათი ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში აღმოხდა ჩემს გულს. მაშინ სანთელივით წარმომიდექით წინ... და მე...

– კარგით, კარგით, – გააწყვეტინა უეცრივ აგლაიამ დიდი სინანულით და ლამის შეშინებული კილოთი, მერე გადაიხარა და ხელიც კი შეახო მხარზე, იმის ნიშნად, ნუ გამიბრაზდებითო, თუმცა თვალი ვერ გაუმართა მაინც. – კარგით, – დასძინა საოცრად დარცხვენილმა, – ვგრძნობ, რა ბრიყვული ნათქვამი მომივიდა. ისიც იმიტომ... გამოცდა მინდოდა თქვენი. ჩათვალეთ ისე, ვითომც არაფერი მითქვამს. თუ რამ გაწყენინეთ, მაპატიეთ. ოღონდ სახეში ნუ მიცქერით, იქით გაიხედეთ. ძალიან ბინძური აზრიაო, მითხარით. იცით, განგებ გითხარით, მინდოდა გულში მოგხვედროდათ. ზოგჯერ თვითონაც მაშინებს ის, რისი თქმაც მინდა, მაგრამ ვამბობ კი მაინც. ეგ ბარათი ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში დავწერეო, თქვით. ვიცი, რა წუთშიც იყო, – ჩუმად ჩაილაპარაკა მან, თავი ზევით არ აუღია.

– ოჰ, ყველაფერი რომ იცოდეთ!

– ყველაფერი ვიცი! – ისევ აღელდა აგლაია, – მაშინ მთელი თვე იმ საზიზღარ დედაკაცთან ცხოვრობდით ერთ ბინაში, ვისთან ერთადაც გაიქეცით...

აგლაია ამ სიტყვებზე კი არ გაწითლდა, სულ გადაფითრდა, მერე წამოდგა. თითქოს დაავიწყდა, სად იმყოფებოდა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და დაჯდა. პაწია ბაგე კარგა ხანს უთრთოდა ისევ. სიჩუმე წუთით გაგრძელდა. შემცბარმა თავადმა აღარ იცოდა, რისთვის მიეწერა ეს მოულოდნელი საქციელი.

– სულაც არ მიყვარხართ, – მოუჭრა აგლაიამ.

თავადმა ხმა არ გასცა. წუთით ისევ იყუჩეს.

– მე გავრილა არდალიონოვიჩი მიყვარს... – სულმოუთქმელად ჩაილაპარაკა აგლაიამ ოდნავ გასაგონად და თავი უფრო დაბლა დახარა.

– არ ამბობთ მართალს, – თითქმის ჩურჩულითვე წაილაპარაკა თავადმა.

– მაშ, ვტყუი არა? მართალი გახლავთ; ამ სამ დღის წინ სიტყვა მივეცი, სწორედ ამ სკამზე.

თავადი შეშინდა და წამით ჩაფიქრდა.

– მართალს არ ამბობთ, – გაიმეორა დაბეჯითებით, – ეგ ყველაფერი მოიგონეთ.

– მანცვიფრებს თქვენი ზრდილობა. მაშ, იცოდეთ, რომ ის გამოსწორდა, მე მას სიცოცხლეს ვურჩევნივარ. იმის დასამტკიცებლად, რომ სიცოცხლეს ვურჩევნივარ, ჩემს წინ ხელი დაიწვა.

– ხელი დაიწვა?

– დიახ. ხელი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩემთვის სულ ერთია.

თავადი კვლავ გაჩუმდა. აგლაია არ ხუმრობდა, გაბრაზება ეტყობოდა.

– მაშ სანთელი ჰქონია წამოღებული, რაკი აქ მოხდა ეგ ამბავი სხვანაირად როგორ ვიფიქრო?..

– დიახ... სანთელი. დაუჯერებელი ვითომ რა არის?

– მთელი იყო თუ ნახევარი

– ჰო... არა... ნახევარი სანთელი... ნამწვი... გინდ მთელი ყოფილიყო, სულერთი არაა! თავი დამანებეთ! ასანთიც წამოღებული ჰქონდა, რაკი ეგრე გსურთ. სანთელი აანთო და მთელი ნახევარი საათი გააჩერა თითი ცეცხლზე; ვითომ რატომ არ შეიძლება?

– გუშინ ვნახე და თითებზე არაფერი ეტყობოდა.

აგლაიამ ერთბაშად ბავშვივით გადაიკისკისა.

– იცით, რატომ მოვიტყუე ახლა? – მოუბრუნდა თავადს ბალღური მიამიტობით, ბაგე ისევ უთრთოდა სიცილით, – იმიტომ, რომ შემჩნეული მაქვს, როცა სტყუი, თუკი რაღაც არაჩვეულებრივს, რაღაც ექსცენტრიულს, ერთი სიტყვით, მეტისმეტად დაუჯერებელ რასმე მარჯვედ ჩაურთავ, ტყუილი უფრო მართალი გამოდის. ოღონდ მე უხეიროდ გამომივიდა, ვერ მოვახერხე და იმიტომ...

წამიც და აგლაიას ისევ შეეკრა წარბები, თითქოს გონს მოვიდა და დინჯად, დაღონებით შეაცქერდა თავადს.

– მე რომ მაშინ „ბეჩავი რაინდი“ წაგიკითხეთ, ამით შექებაც მინდოდა თქვენი, შერცხვენაც და იმის ნიშნებიც, რომ ყველაფერი ვიცი...

– არ ხართ მართალი და არც ჩემთან, და არც იმ... უბედურთან, რომელიც ახლა საშინლად მოიხსენით, აგლაია.

– იმიტომ მოვიხსენიე ასე, რომ ყველაფერი ვიცი! ვიცი, რომ ამ ექვსი თვის წინათ ყველას თანდასწრებით ცოლობა სთხოვეთ, ნუ მაწყვეტინებთ, ხომ ხედავთ, კომენტარებს არ ვაკეთებ. ამის შემდეგ როგოჟინთან გაგექცათ; მერე თქვენ და ის ერთ რომელიღაც სოფელში თუ ქალაქში ცხოვრობდით ერთად და ისევ გაიქცა ვიღაცასთან (აგლაია საშინლად წამოწითლდა). მერე ისევ როგოჟინთან დაბრუნდა, რომელსაც გიჟივით... უყვარს ის. მერე, როგორც კი გაიგეთ პეტერბურგში დაბრუნდაო, აქ გამოსდიეთ, იმიტომ, რომ თქვენც კაი ჭკვიანი ბრძანდებით. გუშინღამ მის დასაცავად გამოიდეთ თავი. ახლა კი ძილში ნახეთ... ხომ ხედავთ, ყველაფერი ვიცი; განა მისი გულისთვის არ ჩამოხვედით აქ?

– დიახ, მისი გულისთვის, – ჩაილაპარაკა თავადმა და ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი. ვერც შეამჩნია, რა ანთებული მზერა ესროლა აგლაიამ. – ჩამოვედი იმის გასაგებად... არ მჯერა, რომ როგოჟინის ხელში ბედნიერი იყოს, თუმცა... ერთი სიტყვით, არ ვიცი, რა შემიძლია გავუკეთო და რით ვუშველო, მაგრამ ჩამოვედი კი.

თავადი შეკრთა და აგლაიას შეხედა. ის ზიზღით შეჰყურებდა.

– თუკი ისიც არ იცით, რისთვის ჩამოხვედით, მაშ ძალიან გიყვართ, – აღმოხდა ბოლოს აგლაიას.

– არა, არ მიყვარს. ო, რომ იცოდეთ, რა თავზარს მცემს იმ დღეების მოგონება, რომელიც მასთან გავატარე.

თავადს შეაძაგძაგა კიდეც.

– მითხარით ყველაფერი.

– ისეთი არაფერია, რისი მოსმენაც თქვენ არ შეგეძლოთ. ვერ გეტყვით, რატომ მინდოდა სწორედ თქვენთვის მეამბნა ყველაფერი, მხოლოდ თქვენთვის, იქნებ მართლაც ძალიან მიყვარდით და იმიტომ. იმ უბედურს ღრმად სწამს, რომ იმაზე ხელიდან წასული, იმაზე

გარყვნილი არსება ამ ქვეყნად არ არსებობს. ო, ნუ გაჰკილავთ, ქვას ნუ ესვრით! ისედაც მეტისმეტად აწამებს ეს დაუმსახურებელი სირცხვილი! ღმერთო ჩემო, ან რაშია დამნაშავე?! ყოველ წამს გააფთრებით გაჰყვირის, დამნაშავე არა ვარ, ადამიანების მსხვერპლი ვარ, გარყვნილისა და ვერაგის მსხვერპლიო; მაგრამ რაც არ უნდა თქვას, იცოდეთ, პირველი თვითონ არ სჯერა საკუთარი ნათქვამის, სინდისი ეუბნება, პირიქით, დამნაშავე... შენა ხარო... მე რომ ამ ბნელი ფიქრების გაფანტვას შევეცდებოდი, უარესად იტანჯებოდა. ო, ვინემ ის საშინელი დღეები მემახსოვრება, გული არასდროს გამიმთელდება! თითქოს ხანჯალი დამიტრიალეს შიგ. იცით რატომ გამექცა მაშინ მხოლოდ იმიტომ, რომ დაემტკიცებინა ჩემთვის, აი, რა საზიზღარი ვარო. მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, რომ იქნებ არც თვითონ იცოდა, რომ მხოლოდ ჩემთვის უნდოდა ამის დამტკიცება. გაიქცა იმიტომ, რომ უნდოდა უთუოდ სამარცხვინო რამ ჩაედინა და მერე თავისი თავისთვის ეთქვა „აი, ისევ მოიჭერი თავი, მაშასადამე, საზიზღარი არსება ხარო“!-ო, იქნებ ვერც გამიგოთ ეს, აგლაია! იცით კი, რომ სირცხვილის ეს წარამარა გახსენება იქნებ რაღაც საშინელ, არაბუნებრივ სიამოვნებას აგრძნობინებს, თითქოს ნიშნს უგებს ვიღაცას. ხანდახან იმდენს ვეჩიჩინებოდი, თვალში გამოვახედებდი; მაგრამ მაშინვე ისევ აღშფოთდებოდა და ბოლოს მევე მაყვედრიდა გამწარებული, თავი მაღლა მოგაქვსო (რაც, აზრადაც არ მომსვლია). რომ ვუთხარი ერთხელ, ჯვარი დავიწეროთ-მეთქი, პირში მომახალა, ქედმაღლური სიბრალული არავისგან მჭირდება, არც ხსნა და არც „თავის გაყადრებაო“. გუშინ თქვენც ნახეთ; ნუთუ გგონიათ, რომ ბედნიერია იმ წრეში, რომ მისი საკადრისი წრეა? თქვენ არ იცით, რა განათლებულია და რა შეუძლია გაიგოს. ხანდახან პირდაპირ მაოცებდა!

– იქაც ასე უქადაგებდით?

– ო, არა, – ჩაფიქრებით განაგრძო თავადმა, შეკითხვის კილო არც შეუმჩნევია, – თითქმის სულ გაჩუმებული ვიყავი. ხშირად კი მინდოდა მელაპარაკა, მაგრამ, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა მეთქვა. იცით, ზოგჯერ სჯობია, სულაც გაჩუმდე. დიახ, მე მიყვარდა, ძალიან მიყვარდა... მაგრამ მერე... მერე ყველაფერს მიმიხვდა.

– რას მიგიხვდათ?

– რომ მხოლოდ მებრალება, რომ... უკვე აღარ მიყვარს.

– საიდან იცით, იქნებ მართლაც შეუყვარდა ის... ვაჟბატონი, ვისაც გაჰყვა?

– არა, ყველაფერი ვიცი; მასხრად აიგდო და მეტი არაფერი.

– თქვენ კი არასდროს აუგდიხართ?

– აა-რა. ღვარძლი თუ მოუვლიდა, მაშინ. ო, მაშინ საოცრად მაყვედრიდა გაბრაზებული და თვითონვე იტანჯებოდა! მაგრამ... მერე... ოჰ, ოღონდაც, იმ დღეებს ნუ გამახსენებთ, ნუ!

თავადმა ხელები აიფარა სახეზე.

– იცით კი, რომ თითქმის ყოველდღე მწერს წერილებს?

– მაშ, მართალი ყოფილა! – შეშფოთებით აღმოხდა თავადს. – გავიგე კი, მაგრამ არ დავიჯერე, არ მინდოდა დამეჯერა.

– ვისგან გაიგეთ? – დაფრთხა და აცახცახდა აგლაია.

– როგოჟინმა მითხრა გუშინ, თუმც მთლად გარკვევით არა.

– გუშინ გუშინ დილას გუშინ რა დროს მუსიკის წინ თუ შემდეგ?

– შემდეგ, საღამოს, თორმეტი საათი იქნებოდა.

– ჰოო, თუ როგოჟინმა... იცით მერე, რასა მწერს ამ წერილებში?

– არაფერი გამიკვირდება. თავის ჭკუაზე არ არის.

– აი, ეს წერილები (აგლაიამ ჯიბიდან სამი წერილი ამოიღო ცალ-ცალკე კონვერტში და თავადს წინ დაუყარა). აგერ უკვე ერთი კვირაა მემუდარება, მიჩიჩინებს, მაცდუნებს, რომ ცოლად გამოგყვეთ. ეგ... მართლაც ჭკვიანია, თუმცა შეშლილი კია, ჩემზე გაცილებით ჭკვიანი რომაა, ეგ მართალი თქვით... მწერს, შეყვარებული ვარ შენშიო, ყოველდღე ვეძებ შემთხვევას, შორიდან მაინც დაგინახოო. მწერს, რომ თქვენ გიყვარვართ, იცის, დიდი ხანია შეამჩნია ეს ამბავი, რომ ლაპარაკიც გქონიათ თურმე ჩემზე, უნდა, რომ ბედნიერი იყოს; დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მე შემიძლია თქვენი გაბედნიერება... ისე გიჟურად... უცნაურად მწერს... არავისთვის მიჩვენებია, თქვენ გელოდით; იცით, რას ნიშნავს ეს ამბავი? ვერ ხვდებით?

– ეგ სიგიჟეა; მისი შეშლილობის დამადასტურებელი, – წაილაპარაკა თავადმა და ტუჩები აუთრთოლდა.

– ნეტავ ხომ არ ტირით?

– არა, აგლაია, არ ვტირი, – შეხედა ქალს თავადმა.

– მაშ, რა ვქნა რას მირჩევთ? აბა, მისი წერილები როგორ მივიღო!

– ო, გემუდარებით, თავი დაანებეთ! – შეჰყვირა თავადმა, – რა თქვენი საქმეა ეს ჯოჯოხეთი! ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ აღარ გამოგიგზავნოთ წერილები.

– მაშ, უგულო კაცი ყოფილხარ! – შესძახა აგლაიამ. – განა ვერ ხედავთ, რომ მე კი არა, თქვენ, თქვენ უყვარხართ მხოლოდ! ყველაფერი თუ შეამჩნიეთ, ეს როგორღა გამოგეპარათ? გესმით, რას ნიშნავს ეს წერილები? რასა და ეჭვიანობას; ეჭვიანობაზე მეტს! გგონიათ, მართლა გაჰყვება როგოჟინს, როგორც აქ იწერება? მეორე დღესვე თავს მოიკლავს, როგორც კი ჯვარს დავიწერთ!

თავადს გააჟრჟოლა; სუნთქვა შეეკრა, გაოცებით შეაცქერდა აგლაიას, დაინახა, რომ მის წინ ბავშვი კი არა, უკვე ქალია.

– ღმერთია მოწამე, აგლაია, მისი გულის დასამშვიდებლად და გასაბედნიერებლად სიცოცხლეს არ დავიშურებდი, მაგრამ... მე უკვე აღარ ძალმიძს მისი სიყვარული და თვითონაც იცის ეს!

– მაშ გაწირეთ თავი, არ შეგფერით თუ?! ხომ უდიდესი ქველმოქმედი ბრძანდებით! და ნურც „აგლაიას“ მეძახით... წელანაც ეგრე დამიძახეთ „აგლაიაო“... სიცოცხლე უნდა დაუბრუნოთ, მოვალე ხართ, დაუბრუნოთ, უნდა გაჰყვეთ ისევ, რომ გული დაუამოთ და დაუმშვიდოთ. თანაც ხომ გიყვართ?

– არ შემიძლია თავი გავწირო, თუმცა ერთხელ კი ვცადე და... იქნებ ახლაც ვცადო?! მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემთან დაიღუპება, ამიტომ გავანებე თავი. დღეს შვიდ საათზე უნდა მივსულიყავი მასთან, მაგრამ იქნებ აღარც წავიდე. ამაყია და ამ ჩემს სიყვარულს თავის დღეში არ მაპატიებს, – ორთავე დავიღუპებით! ეს არაბუნებრივია, მაგრამ აქ ყველაფერი არაბუნებრივია. მეუბნებით, უყვარხარო, მაგრამ განა ეს სიყვარულია? რაც მე გადავიტანე, იმის შემდეგ კიდევ შეიძლება სიყვარული დაერქვას? არა, აქ სხვაა, ოღონდ სიყვარული არა!

– როგორ გაფითრდით! – შენიშნა უეცრად აგლაიამ.

– არა უშავს; ძილი მაკლია, მოვეშვი, მე... ჩვენ მართლაც ვილაპარაკეთ თქვენზე, აგლაია, მაშინ.

– მაშ, მართალია? მართლა ელაპარაკეთ ჩემზე? ან ერთი ნახვით როგორ შეგიყვარდით?

– მეც არ ვიცი. ჩემს მაშინდელ წყვდიადში იქნებ ვოცნებობდი, მელანდებოდა ახალი აისი. არ ვიცი, რატომ ვიფიქრე პირველად თქვენზე. მაშინ მართალი მოგწერეთ, არ ვიცი-მეთქი. მაშინდელმა საშინელმა მდგომარეობამ აღმიძრა ალბათ ეს ოცნება... მერე მეცადინეობას მოვკიდე ხელი; სამი წელი არ ჩამოვიდოდი აქ...

– მაშ, მისი გულისთვის ჩამოხვედით? – ხმა აუთრთოლდა აგლაიას.

– დიახ, მისთვის.

მძიმე დუმილი ორიოდ წუთს გაგრძელდა. აგლაია წამოდგა და აკანკალებული ხმით დაიწყო:

– თუკი ამბობთ და თუკი გწამთ, რომ ეგ... დედაკაცი შეშლილია, მე რაში მეხება მისი გიჟური ფანტაზიები... გთხოვთ, ლევ ნიკოლაიჩ, ეს სამი წერილი წაიღოთ და ჩემი სახელით მიუგდოთ!! ხოლო თუ კიდევ ერთხელ გაბედა, – მოულოდნელად ხმას აუწია აგლაიამ, – ერთი სტრიქონი კიდევ მომწერა, უთხარით, რომ მამაჩემს ვეტყვი და საგიჟეთში წააბრძანებენ...

თავადი წამოხტა, შეშინებული უყურებდა აგლაიას ამ მოულოდნელ გააფთრებას, და უცბად თითქოს თვალი აეხილა.

– ეგრე არ ფიქრობ... ეგ ტყუილია – ბუტბუტებდა იგი.

– მართალია! მართალია! – ლამის ჰკიოდა აგლაია.

– რაა მართალი? რაა მართალი? – გაისმა შეშინებული ხმა.

მათ წინ ლიზავეტა პროკოფიევნა იდგა.

– რა და გავრილა არდალიონოვიჩს მივყვები! რა და გავრილა არდალიონოვიჩი მიყვარს, ხვალვე სახლიდან მივრბივარ და ცოლად მივყვები! – მივარდა მას აგლაია. – გაიგონეთ? დაიკმაყოფილეთ ცნობისწადილი? საკმარისია?

აგლაია სახლისკენ გაიქცა.

– არა, გეთაყვა, ახლა სადღა მიდიხარ, – შეაჩერა ლიზავეტა პროკოფიევნამ თავადი, – სიკეთე ქენი და ჩემთან წამობრძანდი, გამარკვიე, რაშია საქმე... ეს რა სატანჯველი გამიჩნდა, ისედაც მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი...

თავადი უკან მიჰყვა.

IX

შევიდა თუ არა სახლში, ლიზავეტა პროკოფიევნა პირველსავე ოთახში გაჩერდა; მუხლებმა უმტყუნა და ნაბიჯი ვეღარ გადადგა, კუშეტკაზე დაეშვა, არც გახსენებია, თავადსაც შეპატიჟებოდა, დაბრძანდიო. ამ საკმაოდ დიდი დარბაზის შუაში მრგვალი მაგიდა იდგა, ბუხარიც იყო, ფანჯრებთან ეტაჟერებზე აუარება ყვავილები ჩანდა, უკანა კედლის მეორე მინებიანი კარი ბაღში გადიოდა. ადელაიდა და ალექსანდრა მაშინვე შემოვიდნენ და გაოცებულები შეაცქერდნენ თავადსა და დედას. გენერლის ქალები აგარაკზე, ჩვეულებრივ, ცხრა საათისთვის დგებოდნენ ხოლმე. მხოლოდ აგლაია იყო, უკანასკნელი ორი-სამი დღე სხვებზე რამდენადმე ადრე დგებოდა და ბაღში ჩადიოდა სასეირნოდ, მაგრამ შვიდზე მაინც არა, რვაზე თუ იმაზე უფრო გვიან. ლიზავეტა პროკოფიევნამ მართლაც თეთრად გაათენა ის ღამე, ათასნაირი ფიქრი აწუხებდა. რვა საათი იყო, რომ წამოდგა, ისიც იმიტომ, რომ აგლაია ბაღში ენახა, ეგონა, უკვე ამდგარი იქნებაო. მაგრამ ვერც ბაღში და ვერც საწოლ ოთახში აღმოაჩინა თავისი ქალი. მაშინ კი მართლა გადაუტრიალდა გული და ქალები დააღვიძა. მოახლისგან შეიტყვეს, აგლაია ივანოვნა შვიდ საათზე ჩავიდა ბაღშიო. გენერლის ქალებს ჩაეცინათ თავიანთი ფანტასტიკური დის ახალ ახირებაზე, დედას უთხრეს, აგლაია იქნებ გაჯავრდეს კიდეც, თუ ბაღში დაუწყეთ ძებნაო, ალბათ ახლა იმ თავის მწვანე სკამზე ზის წიგნით ხელში, რომელზეც ამ სამი დღის წინ ლაპარაკობდა და რომლის გამოც ლამის თავად შჩ-ს წაეკიდა, როცა ამ უკანასკნელმა სკამის ადგილმდებარეობა დიდად არ მოიწონაო. ხოლო პაემანს რომ წაადგა თავზე და თავისი ქალის უცნაური სიტყვები გაიგონა, ლიზავეტა პროკოფიევნას საკმაო მიზეზთა გამო თავში დაცეცხლა. მაგრამ ახლა კი, როცა თავადი შინ მოიყვანა, შეეშინდა, ეს რა

ვქენიო: „ვითომ რატომ არ შეიძლება აგლაია ბაღში შეხვედროდა თავადს და დალაპარაკებოდა, თუნდაც წინასწარ შეთანხმებული ყოფილიყვნენ შეხვედრაზე“

– ოღონდაც არ გეგონოს, გენაცვა, – შეიმაგრა ბოლოს თავი ლიზავეტა პროკოფიევნამ, – აქ იმიტომ წამოგათრიე, დაკითხვა მინდოდეს შენი. მე, ჩემო კარგო, წუხანდლის შემდეგ იქნებ დიდხანს არც გამეკარებინე ახლოს...

ლიზავეტა პროკოფიევნას სიტყვა გაუწყდა.

– მაგრამ იმის გაგება კი ძალიან გინდათ, დღეს როგორ შევხვდი აგლაია ივანოვნას, არა – ფრიად მშვიდად დააბოლოვა თავადმა.

– დიახაც მინდა! – მყისვე აპილპილდა ლიზავეტა პროკოფიევნა. – არ მეშინია და პირდაპირ გეტყვი, ვინაიდან არა მგონია ვინმესთვის საწყენი იყოს...

– რა ბრძანებაა, წყენა რა შუაშია, ბუნებრივია, დედა ბრძანდებით და გინდათ გაიგოთ. მე და აგლაია ივანოვნა დღეს მწვანე სკამთან ზუსტად დილის შვიდ საათზე შევიყარეთ, გუშინდელი მისი მოწვევის შედეგად. წუხელ ბარათით მაცნობა, რომ ჩემი ნახვა სურს ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად. ჰოდა, შევხვდით და მთელი საათი ვილაპარაკეთ პირადად აგლაია ივანოვნას საქმეებზე; სხვა არაფერი.

– ცხადია, სხვა არაფერი, გეთაყვა, ეჭვიც არ მეპარება, – ღირსებით წარმოთქვა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ჩინებულია, თავადო! – უეცრივ ოთახში შემოვიდა აგლაია, – სულით და გულით გმადლობთ, რომ არ იფიქრეთ, თავს დავიმცირებდი და ტყუილს ვიკადრებდი. დაკმაყოფილებული ბრძანდებით, maman, თუ დაკითხვას კვლავ გააგრძელებთ?

– კარგად იცი, შენთან აქამდე გასაწითლებელი არა მქონია რა... თუმცა იქნებ კიდეც გაგხარებოდა ჩემი გაწითლება, – შთამაგონებლად მიუგო ლიზავეტა პროკოფიევნამ. – მშვიდობით, თავადო; მაპატიეთ შეწუხებისთვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მუდამ თქვენი პატივისმცემელი ვიქნები.

თავადმა დედასა და ქალებს თავი დაუკრა და ხმაამოუღებლივ გავიდა. ალექსანდრასა და ადელაიდას გაეღიმათ და რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს. ლიზავეტა პროკოფიევნამ გოროზად გადახედა მათ.

– იცით, maman, – უთხრა ადელაიდამ, – თავადზე გაგვეცინა, რა ღირსეულად დაგვიკრა თავი ხან როგორი ჩოლფოთი ვინმეა, ახლა კი უცებ... ევგენი პავლიჩივით მოხდენილად დაგვემშვიდობა.

– გულისხმიერებასა და ღირსებას გული ასწავლის და არა ცეკვის მასწავლებელი, – სენტენციურად დაასკვნა ლიზავეტა პროკოფიევნამ და თავის სამყოფში გასწია ზევით, აგლაიასკენ არც გაუხედავს.

ცხრა საათი იქნებოდა, თავადი შინ რომ დაბრუნდა. ტერასაზე მარტო ვერა ლუკიანოვნა და მოახლე დახვდა. წუხანდელი ალიაქოთის შემდეგ იქაურობას ალაგებდნენ.

– მადლობა ღმერთს, თქვენს დაბრუნებამდე მოვრჩით! – გაეხარდა ვერას.

– გამარჯობათ! რაღაც თავი მიბრუის, ცუდად მეძინა; წავიძინებდი ახლა.

– გუშინდელივით ტერასაზე დაიძინებთ? ბატონი ბრძანდებით. ყველას ვეტყვი, არ გაგაღვიძონ. მამილო სადღაც წავიდა.

მოახლე გავიდა; ვერამაც დააპირა გასვლა, მაგრამ გადაიფიქრა და თავადს შეწუხებული მიუახლოვდა.

– თავადო, შეიბრალეთ ის საცოდავი, დღეს ნუღარ გააგდებთ.

– რას ამბობთ, როგორც თვითონ ისურვებს.

– ახლა წყნარად იქნება და... ნურც სასტიკად მოექცევით...

– ო, რისი გულისთვის?

– და... ნურც დასცინებთ; თავი და თავი ესაა.

– არც მიფიქრია!

– რა სულელი ვარ, თქვენისთანა კაცს რომ ამას ვეუბნები, – გაწითლდა ვერა, – მართალია, დაღლილი კი ხართ, – გაეცინა მერე და წასასვლელად პირი იბრუნა, – მაგრამ რა... კარგი, ბედნიერი თვალები გაქვთ ამ წუთს.

– ნუთუ მართლა? – მკვირცხლად იკითხა თავადმა და აღტაცებით გაიცინა.

მაგრამ ყმაწვილივით მიამიტმა და პირდაპირმა ვერამ რატომღაც დაირცხვინა, უფრო მეტად გაწითლდა და სიცილით დატოვა ოთახი.

„რა კარგი... გოგოა“, – გაივლო გუნებაში თავადმა და მყისვე სხვა ფიქრმა წაიღო.

ტერასის კუთხეში კუშეტკა იდგა, მის წინ პატარა მაგიდა, თავადი იმ კუშეტკაზე ჩამოჯდა, სახეზე ხელები აიფარა და ათიოდე წუთს ასე იჯდა; ერთბაშად შიშით ჩაიყო ჯიბეში ხელი და სამი წერილი ამოიღო. კარი ისევ გაიღო და კოლია შემოვიდა. თავადმა წერილები ისევ ჯიბეში ჩაიდო, გაეხარდა, მათი წაკითხვა აღარ მოუხდებოდა.

– ვაჰ, რა ამბებია! – კუშეტკაზე ჩამოჯდა კოლია და, როგორც მისთანა ხალხს სჩვევია, პირდაპირ დაიწყო, – რა თვალით უყურებთ ახლა იპოლიტს? პატივს აღარ სცემთ?

– ვითომ რატომ... მაგრამ დაღლილი ვარ, კოლია... თან რა საჭიროა ისევ თავიდან დაწყება... თუმცა, რასა იქმს?

– სძინავს, ორს საათს კიდევ არ გაიღვიძებს. მესმის, არ დაგიძინიათ, პარკში იყავით... ცხადია, იღელვეთ... მაშ არადა!

– საიდან იცით, რომ არ მეძინა და ბაღში ვიყავი?

– ეს წუთია ვერამ მითხრა. შემეხვეწა, არ შეხვიდეო. ვერ მოვითმინე და წუთით შემოვირბინე. ორი საათიც იქნება, მის ლოგინთან ვმორიგეობ; ახლა კოსტია ლებედევი მივუსვი. ბურდოვსკი წავიდა. ჰოდა, დაწექით, თავადო. ღამე... არა, დღე მშვიდობისა! ოღონდ, იცით, გაოცებული ვარ!

– რა გასაკვირია... ეს ყველაფერი...

– არა, თავადო, არა, „აღსარებამ“ გამაოცა. ყველაზე მეტად იმ ადგილმა, სადაც განგების ძალაზე და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე წერს. იქ ერთი გი-გან-ტური აზრია!

თავადმა ალერსიანად გადახედა კოლიას. რა თქმა უნდა, იმიტომაც მოვიდა, ამ გიგანტურ აზრზე ენა მოექავა.

– თავი და თავი მარტო აზრი კი არა, მთელი ვითარებაა! ეს რომ ვოლტერს, რუსოს, პრუდონს დაეწერა, წავიკითხავდი, ყურად ვიღებდი, ოღონდ ამდენად არ გამაკვირვებდა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ამას ამბობს კაცი, ვინც დანამდვილებით იცის, ათიოდე წუთის სიცოცხლეღა დარჩენია – ამაზე მეტი სიამაყე იქნება! ამაზე მეტად ღირსების შეგნება და დამოუკიდებლობა გაგონილა! ეს ხომ პირდაპირ კადნიერება გახლავთ... არა, ეს სულის გიგანტური სიძლიერეა! განა სულმდაბლობა და არაბუნებრივი არაა, ამის შემდეგ ადგე და ამტკიცო, ფისტონის ჩადება განგებ დაივიწყა! იცით. გუშინ იეშმაკა და მოიტყუა. მე სულაც არ დავხმარებივარ საკის ჩაწყობაში, დამბაჩა თვალითაც არ მინახავს, თვითონ ჩაალაგა ყველაფერი. მართალი გითხრათ, უეცრად დავიბენი კიდეც. ვერამ მითხრა თქვენზე, აქ სტოვებსო; გეფიცებით, საშიში აღარაფერია, მით უმეტეს, წუთითაც არ ვტოვებთ.

– წუხელ ვინ იყავით მასთან

– მე, კოსტია ლებედევი და ბურდოვსკი; კელერი ცოტა ხანს იყო; მერე ლებედევთან გავიდა დასაძინებლად, ჩვენთან სად უნდა დაწოლილიყო. ფერდიშჩენკოსაც ლებედევთან ეძინა, შვიდ საათზე წავიდა. გენერალი ხომ ისედაც სულ ლებედევთანაა, ახლახან წავიდა... ლებედევი შეიძლება აქ შემოვიდეს, გეძებდათ, ორჯერ გიკითხათ, არ ვიცი კი, რატომ. შემოვუშვა თუ არა, თუ თქვენ დაწოლას აპირებთ მეც წავალ და დავიძინებ. ჰო, ერთი რამ უნდა გითხრათ; წეღან გენერალმა საგონებელში ჩამაგდო; ბურდოვსკიმ შვიდ საათზე გამაღვიძა სამორიგეოდ, მგონი, ექვსიც იყო. ერთი წუთით გავედი. უცბად გენერალი შემეფეთა, ისეთი მთვრალი იყო, ვერ მიცნო წინ ამესვეტა; რომ გამოერკვა, მეცა „სნეული რასა იქს ახლა მისი ამბის შესატყობად მოვდიოდიო...“ მოვახსენე – ასე და ასეა-მეთქი. „ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ უმთავრესად იმიტომ ავდექი და წამოვედი, გამეფრთხილებინე, საფუძველი მაქვს ვიფიქრო, ბატონ ფერდიშჩენკოსთან ყველაფრის თქმა არ შეიძლება და... თავი უნდა შევიკავოთო“, გესმით, თავადო?

– მართლა თუმცა... ჩვენთვის სულ ერთია.

– ცხადია, სულ ერთია, ჩვენ ხომ მასონები არა ვართ! კიდეც გამიკვირდა, გენერალი რომ განგებ ამდგარიყო და ამისთვის გაღვიძებას მიპირებდა.

– თქვენ თქვით, ფერდიშჩენკო წავიდაო?

– შვიდ საათზე; ერთი წუთით შემომიარა; მორიგე ვიყავი! მითხრა, ვილკინთან მივდივარ, იქ გამოვიძინებო. ის ვილკინი ერთი ლოთიფოთი ვინმეა. აბა წავედი! აგერ ლუკიან ტიმოფეიჩიც... თავადს დაძინება უნდა, ლუკიან ტიმოფეიჩ, ტროიკა შეაბრუნეთ!

– მხოლოდ ერთი წუთით, დიდად პატივცემულო თავადო, ჩემის აზრით, ფრიად საგულისხმო ამბის თაობაზე, – ხაზგასმით წარმოთქვა ლებედევმა და მედიდურად დაიქნია თავი. ეტყობა, ახლახან მობრუნებულიყო, თავის ბინაში შესვლა ვერც მოესწრო და ქუდი ხელში ეკავა. დაფიქრებული ჩანდა, რაღაც უჩვეულო ღირსებით ეჭირა თავი. თავადმა მიიპატიჟა, დაბრძანდითო.

– ორჯერ გიკითხივართ, არა ვინ იცის, წუხანდელი ამბავი მოსვენებას არ გაძლევთ...

– გგონიათ, წუხანდელი ამბავი, თავადო? არა, ბატონო ჩემო; წუხელ არეულ-დარეული მქონდა ფიქრები... მაგრამ დღეს არ ვაპირებ თქვენს ვარაუდებთან კონტრეკარირებას[108].

– კონტრეკა... როგორა თქვით?

– კონტრეკარირებას-მეთქი; ფრანგული სიტყვა გახლავთ, სხვა მრავალთან ერთად რუსულ ენაში დამკვიდრებული; თუმცა თავს მაინცდამაინც არ გამოვიდებ.

– დღეს რა მედიდურება და დარბაისლობა შეგყრიათ, ლებედევ, რა სიტყვებს ხარჯავთ, – ჩაეცინა თავადს.

– ნიკოლაი არდალიონოვიჩ! – ლამის მუდარით მიუტრიალდა ლებედევი კოლიას, – რამეთუ თავადს იმ საქმის თაობაზე უნდა ველაპარაკო, რაც...

– რაც, ცხადია, მე არ მეხება და ჩემი საქმე არ არის, ნახვამდის, თავადო! – მყისვე გაეცალა იქაურობას კოლია.

– მიყვარს ამ ბიჭის საზრიანობა, – წარმოთქვა ლებედევმა და თვალი გააყოლა. – საოცრად ცქვიტი ყმაწვილია, ოღონდ თავის მობეზრება იცის. დიდზე დიდი უბედურება დამატყდა, დიდად პატივცემულო თავადო, წუხელის თუ ამ დილას, ალიონზე... ჯერ ვერ დამიდგენია, დანამდვილებით რა დროს.

– რა მოხდა?

– ოთხასი მანეთი დამეკარგა ჯიბიდან, დიდად პატივცემულო, თავადო, მომნათლეს კაცი, – გაიღრიჯა ლებედევი.

– ოთხასი მანეთი სამწუხაროა.

– მეტადრე ისეთი ღატაკი კაცისთვის, ვინც პატიოსანი შრომით ჭამს პურს.

– რასაკვირველია, რასაკვირველია; როგორ მოხდა?

– ეჰ, ღვინომ დამღუპა. ვითარცა განგებას, მოგაშურეთ, დიდად პატივცემულო თავადო. ოთხასი მანეთი ფული ვერცხლზე გუშინ ნაშუადღევს ხუთ საათზე მივიღე ერთი მოვალისაგან და მატარებელს გამოვყევი. საფულე ჯიბეში მქონდა. ვიცმუნდირი რომ გავიხადე და სერთუკი ჩავიცვი, ფული სერთუკში გადავიტანე, რამეთუ თან მქონოდა, საღამოს ვაპირებდი ერთი კაცისთვის მიმეცა, მთხოვა.. შუამავალი უნდა მოსულიყო.

– ლუკიან ტიმოფეიჩ, მართალია, ვითომ გაზეთში გამოგიცხადებიათ, ოქროსა და ვერცხლის ნივთებში ფულს ვაძლევ გირაოთიო?

– შუამავლის მეშვეობით; ჩემი საკუთარი გვარი და მისამართი არსად აღმინიშნავს; ჩემისთანა პატარა ქონების პატრონისათვის, მეტადრე ოჯახის გადიდებას თუ მივიღებთ მხედველობაში, დამეთანხმებით, რომ პატიოსნური ვახში...

– დიახ, დიახ, მე მხოლოდ გარკვევა მინდოდა; უკაცრავად, შეგაწყვეტინეთ.

– შუამავალი არ მოვიდა. ამასობაში ის უბედურიც ჩამოიყვანეს; უკვე ნასადილევი გახლდით, მოგეხსენებათ, ცოტა შეზარხოშებულიც; სტუმრებიც მოვიდნენ, დალიეთ ჩაი და... ჩემდა საუბედუროდ, კიდეც შევთვერი. მერე კელერიც მოვიდა, უკვე გვიან, თქვენი დღესასწაულის დღე გვამცნო და ისიც, რომ შამპანურის გამოტანა გებრძანებინათ; მაშინ კი, ძვირფასო და დიდად პატივცემულო თავადო, მეც მაქვს გული (ვინძლო თქვენც შემნიშნეთ, ვიმსახურებ და იმიტომ) მაქვს გული, თუ მგრძნობიარე არა, მადლიერი მაინც, რითაც ვამაყობ, გადავწყვიტე ეს ძველმანი გამეხადა და წეღანდელი ვიცმუნდირი ჩამეცვა, ასეც მოვიქეცი და ალბათ შემამჩნიეთ კიდეც, თავადო, ვინაიდან მთელი საღამო ვიცმუნდირში მხედავდით. ტანსაცმელი რომ გამოვიცვალე, სერთუკში საფულე დამავიწყდა. ჭეშმარიტად, ვისი დასჯაც უნდა ღმერთს, იმას გონებასაც დაუბნელებს. მხოლოდ დღეს, რვა საათზე რომ გამეღვიძა, გიჟივით წამოვხტი და პირველად სერთუკს ვეცი, – ჰოდა, ცარიელი ჯიბეღა შემრჩა! საფულე უკვალოდ გაქრა.

– ოჰ, რა არასასიამოვნო ამბავია!

– სწორედ არასასიამოვნო; ჭეშმარიტი ტაქტითაც მოუძებნეთ ახლა შესაფერი სიტყვა, – ცოტა არ იყოს, ვერაგულად დასძინა ლებედევმა.

– მაგრამ მაინც... – ჩაფიქრდა და შეშფოთდა მერე თავადი, – ეს ხომ სერიოზული ამბავია.

– სწორედ სერიოზული, – კიდევ მეორე შესაფერი სიტყვა თავადო, ამის აღსანიშნავად.

– კარგით ერთი, ლუკიან ტიმოფეიჩ, რა დროს მოძებნაზეა ლაპარაკი? სიტყვას რა მნიშვნელობა აქვს... როგორ გგონიათ, სიმთვრალეში ჯიბიდან არ ამოგივარდებოდათ?

– შეიძლება. ყველაფერი შეიძლება, როცა მთვრალი ხარ, როგორც გულწრფელად თქვით, ფრიად პატივცემულო თავადო! მაგრამ აბა, თავად განსაჯეთ თუ ჯიბიდან გადმომვარდა სერთუკის გამოცვლისას, გადმოვარდნილი საგანი იქვე იატაკზე უნდა ეგდოს. ჰოდა, სადაა საგანი?

– უჯრაში ხომ არ ჩადეთ სადმე?

– ყველგან დავძებნე, ყველაფერი გადავქექე, მიუხედავად იმისა, კარგად მახსოვს, არც არსად შემინახავს, არც უჯრა გამიღია.

– კარადაში ნახეთ?

– პირველ ყოვლისა, და დღესაც არაერთგზის და ორგზის... ან როგორ უნდა შემენახა კარადაში, ჭეშმარიტად პატივცემულო თავადო?

– გამოგიტყდებით და, ეგ ამბავი ძალიან მაწუხებს, ლებედევ. მაშასადამე, ვინმემ იატაკზე ნახა?

– ან ჯიბიდან ამოიღო! ორი ალტერნატივა, ბატონო ჩემო.

– ძალიან მაშფოთებს ეგ ამბავი, ვინაიდან... საკითხავია – ვინ?

– უეჭველია, თავი და თავი საკითხი ეგ არის. საკვირველად ზუსტად მიაგნებთ ხოლმე სიტყვებსა და აზრებს ვითარების დასადგენად, უბრწყინვალესო თავადო.

– ოჰ, ლუკიან ტიმოფეიჩ, დაცინვას მოეშვით, აქ...

– დაცინვასო! – შეჰყვირა ლებედევმა და ხელები გაასავსავა.

– ჰო, ჰო, კარგი, მე კი არა მწყინს, საქმე სულ სხვაა... სხვა რამ მაწუხებს. ვისზე გაქვთ ეჭვი?

– ფრიად ძნელი და... რთული საკითხია! მოახლეს ვერ დავაბრალებ, სამზარეულოში იჯდა. ვერც საკუთარ შვილებს...

– ცხადია...

– მაშასადამე, სტუმრებიდან იქნება ვინმე.

– ვითომ დასაშვებია?

– ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია, მაგრამ უთუოდ ეგრე იქნება. ისიც დასაშვებად მიმაჩნია და დარწმუნებულიც ვარ, თუ მართლა მოიპარა ვინმემ, მაშინ კი არა, საღამოს, როცა ხალხი ირეოდა, არამედ ღამით ანდა გამთენიისას, იმან, ვინც ღამე აქ გაათია.

– ღმერთო ჩემო!

– ბურდოვსკისა და ნიკოლაი არდალიონოვიჩს, ცხადია, არა ვთვლი; ჩემთან არც შემოსულან.

– თუნდაც რომ შემოსულიყვნენ! ვინ გაათია თქვენსა ღამე

– ჩემის ჩათვლით ოთხნი ვიყავით, გვერდიგვერდ ოთახებში მე, გენერალი, კელერი და ბატონი ფერდიშჩენკო. მაშასადამე, ჩვენ ოთხიდან რომელიმემ.

– ანუ სამიდან; ვისზე ფიქრობთ

– სამართალმა და წესმა მიმათვლევინა თავი, თავადო, თორემ ჩემს თავს მევე ხომ არ გავქურდავდი, თუმცა ასეთებიც მომხდარა ქვეყნად...

– უჰ, ლებედევ, გული ნუ გამიწყალეთ! – მოუთმენლად შეჰყვირა თავადმა, – რას აჯანჯლებთ, საქმეზე ვილაპარაკოთ...

– მაშასადამე, სამნი რჩებიან; პირველ ყოვლისა, ბატონი კელერი, მოგეხსენებათ, რა უპირო, ლოთი და, ზოგიერთ შემთხვევაში, ლიბერალიცაა, ესე იგი, სხვისი ჯიბის მიმართ. სხვა მხრივ, ასე ვთქვათ, უფრო ძველი რაინდობის მიმდევარია, ვინემ ლიბერალი. ჯერ აქ, ავადმყოფის ოთახში ეძინა, შუაღამისას კი ჩვენთან გადმობარგდა, აქაოდა იატაკზე წოლამ გვერდები მატკინაო..

– ეჭვი იმაზე გაქვთ?

– მქონდა. დილით რვა საათზე გიჟივით რომ წამოვვარდი და შუბლზე ვიტკიცე ხელი, მყისვე გენერალი გავაღვიძე, უმანკო ძილით ეძინა. ფერდიშჩენკოს უცნაურმა გაუჩინარებამ ეჭვი აღგვიძრა; მაშინათვე გადავწყვიტეთ ორთავემ კელერის გაჩხრეკა, რომელიც ლურსმანივით უძრავად ეგდო... ყველაფერი გავუჩხრიკეთ, ჯიბეში გროში არ ჰქონდა, გროში კი არა და ყველა ჯიბე გახვრეტოდა. მარტო ბინძურზე ბინძური ლურჯი კუბოკრული ბამბის ცხვირსახოცი და ერთი სამიჯნურო ბარათი ვუპოვეთ, ვიღაც მოახლის მოწერილი. ფულს თხოვდა და ემუქრებოდა. კიდევ თქვენთვის ცნობილი ფელეტონის ნაგლეჯები. გენერალმა დაასკვნა, ამის ჩადენილი არააო. უფრო დასაზუსტებლად თვითონაც გავაღვიძეთ, ძლივს გავახელინეთ თვალი;

პირი დააღო, ღვინო ჯერ არ გამონელებოდა, ყოვლად აჯამური გამომეტყველება ჰქონდა, რეგვენულიც კი. არა, ეგ არ იქნება!

– ოჰ, როგორ მიხარია! – შვებით ამოისუნთქა თავადმა, – მაინც ვშიშობდი მაგაზე!

– შიშობდით? მაშ საფუძველი გქონდათ სამაგისო? – თვალები მოჭუტა ლებედევმა.

– არა, არა, ისე ვთქვი, – სიტყვა გაწყვიტა თავადმა, – სისულელე ვთქვი, ვშიშობდიო... ძალიან გთხოვთ, ლებედევ, არავის უთხრათ...

– ვაჰ, თავადო, თავადო! თქვენი სიტყვები ჩემს გულში... ჩემი გულის სიღრმეშია დამარხული, დიახ!.. – აღტაცებით წაილაპარაკა ლებედევმა და ქუდი გულზე მიიკრა.

– კარგი, კარგი!... მაშ, ვითომ ფერდიშჩენკოა? ფერდიშჩენკოზე გაქვთ ეჭვი?

– აბა, სხვა ვისზე შეიძლება მქონდეს – ჩუმად წაილაპარაკა ლებედევმა და თავადი თვალებით გახვრიტა.

– ცხადია... სხვა ვინ... ანუ, საბუთები არის?

– არის. ჯერ ერთი, მისი შვიდ საათზე გაპარვა, თუმცა შვიდზე უფრო ადრეც.

– ვიცი, კოლიამ მითხრა, მასთან შესულა და უთქვამს, ჩემს მეგობართან... გვარი დამავიწყდა, მივდივარო გამოსაძინებლადო...

– ვილკინთან. მაშ ნიკოლაი არდალიონოვიჩი უკვე გელაპარაკათ?

– ქურდობაზე არაფერი უთქვამს.

– არც იცის, ჯერჯერობით არავისთვის გამიმხელია. მაშასადამე, ვილკინთან წავიდა; თითქოს საკვირველი არაფერია, რომ ერთი ლოთი მეორესთან მიდის, თუნდაც ალიონზე და თუნდაც უსაბაბოდ. მაგრამ აი აქ მჟღავნდება საეჭვო კვალი მიდის და მისამართს სტოვებს... ახლა კარგად დამიგდეთ ყური, თავადო, იბადება კითხვა მისამართს რატომ ტოვებს.. რატომ შედის განზრახ ნიკოლაი არდალიონოვიჩთან, გზას იგრძელებს და ამცნობს „გამოსაძინებლად ვილკინთან მივდივარო“ ნეტავ ვის რაში აინტერესებს მისი წასვლა, თუნდაც ვილკინთან რად ამცნო არა, ეს ოსტატური ხერხია, ქურდის მზაკვრობა! ეს ნიშნავს „აი, ჩემს კვალს განზრახ არ ვმალავ, აბა, სადაური ქურდი ვარ განა ქურდი ამცნობს ვისმე, სად მიდისო“ გადაჭარბებული სიფრთხილე ეჭვის ასაცდენად და, ასე ვთქვათ, კვალის წასაშლელად... გამიგეთ, დიდად პატივცემულო თავადო?

– ძალიან კარგადაც გაგიგეთ, მერედა ეს საკმარისია?

– მეორე საბუთი კვალი ყალბი გახლდათ, მითითებული მისამართი კი – არასწორი.

ერთი საათის შემდეგ, ანუ რვა საათზე, მე უკვე ვილკინის კარზე ვაკაკუნებდი; ის აქვე, მეხუთე ქუჩაზე ცხოვრობს, ვიცნობ კიდეც. ფერდიშჩენკო იქ არ აღმოჩნდა. ეს კი შევიტყვე რის გაჭირვებით ყრუჩუნა მოახლისაგან, რომ ერთი საათის წინ ვიღაც მართლაც აბრახუნებდა, კარგა ღონივრად, ზარიც კი ჩამოაგდო თურმე, მაგრამ მოახლეს კარი არ გაუღია, ბატონი ვილკინის გაღვიძებას მორიდებოდა, ან, ვინ იცის, ადგომა დაეზარა, ასეც ხდება ხოლმე.

– სულ ესაა თქვენი საბუთები არ კმარა.

– მაშ ვისზე ვიფიქროთ, თავადო, ვისზე – ხმა დაითაფლა ლებედევმა და რაღაც ცბიერული გამოკრთა მის ღიმილში.

– კიდევ ერთხელ დაგეძებნათ ოთახში და უჯრებში! – უთხრა თავადმა მცირეოდენი ჩაფიქრების შემდეგ შეწუხებული სახით.

– დავძებნე, ბატონო! – ამოიოხრა ლებედევმა.

– ჰმ!.. ნეტავ მაინც რაში გჭირდებოდა იმ სერთუკის გამოცვლა! – შესძახა თავადმა და გაჯავრებით დაჰკრა მუშტი მაგიდას.

– ერთ ძველისძველ კომედიაშიც ასე ეკითხებიან. ჩემო უგულმოწყალესო თავადო, მეტისმეტად ახლოს მიგაქვთ გულთან ის ჩემი უბედურება! არა ვარ ამის ღირსი; ანუ მარტო მე არა... მაგრამ იქნებ დამნაშავის გულისთვისაც სწუხართ... იმ არარაობა ბატონ ფერდიშჩენკოსთვის?

– დიახ, დიახ, მართლაც საწუხარი გამიჩინეთ, – უკმაყოფილოდ გააწყვეტინა თავადმა. – ჰოდა, რა გაქვთ გადაწყვეტილი, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ ეს ფერდიშჩენკოა?

– თავადო, დიდად პატივცემულო თავადო, აბა, სხვა ვინ? – იკლაკნებოდა ლებედევი, – რამეთუ სხვა ეჭვის მისატანი არავინ არის და, ასე ვთქვათ, ბატონი ფერდიშჩენკოს გარდა ეჭვის მიტანა არავისზე შეიძლება. ეს ხომ, ასე ვთქვათ, კიდევ ერთი საბუთია ბატონი ფერდიშჩენკოს წინააღმდეგ, უკვე მესამე საბუთი! ვინაიდან, კიდევ ვიტყვი, სხვა ვინ აბა, ბატონ ბურდოვსკის ხომ არ დავაბრალებ, ჰი-ჰი-ჰი!

– რა სისულელეა, ეგღა გაკლიათ!

– ან გენერალს ხომ არა, ბოლოს და ბოლოს, ჰი-ჰი-ჰი!

– რას ბოდავთ ნეტავ – თითქმის გაბრაზდა თავადი და მოუთმენლად შეტრიალდა ადგილზე.

– ბოდვა, აბა არა! ჰე-ჰე-ჰე! მერე რა გამაცინა ამ კაცმა, ანუ გენერალმა! წეღან ახალ ნაკვალევზე ვილკინთან მივდიოდით... ისიც უნდა გითხრათ, როცა ფულის დაკარგვის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, გენერალი გავაღვიძე, ის ჩემზე მეტად შეძრწუნდა, ფერი ეცვალა, გაწითლდა და გაყვითლდა, ბოლოს ისეთმა კეთილშობილურმა აღშფოთებამ მოიცვა, რომ მეც გამაკვირვა. უპატიოსნესი კაცია, დიახ! წარამარა კი ცრუობს, რას იზამ, სუსტი ბუნებისაა, მაგრამ მაღალი გრძნობებიც აქვს, თუმცა არცთუ დიდად საზრიანია და არც მისი მიამიტობაა სანდო. ერთხელ კიდეც გითხარით, დიდად პატივცემულო თავადო, რომ არათუ გული მიმიწევს მისკენ, მიყვარს კიდეც. ერთბაშად შუა ქუჩაზე გაჩერდა, სერთუკი გაიხსნა და მკერდი გამომიშვირა „გამჩხრიკე, კელერი ხომ გაჩხრიკე, მე რატომ არ მჩხრეკო საცა სამართალია, ასე უნდა გააკეთო!“ ხელ-ფეხი უკანკალებდა, ფერი სულ წაუვიდა, განრისხებული ჩანდა. გამეცინა და ვუთხარი „იცი, რას გეტყვი, გენერალო, ვისმე რომ შენზე ეგ ეთქვა ჩემთვის, ჩემი ხელითვე მოვიკვეთდი თავს და ლანგრით მივართმევდი შენზე ეჭვის გამომთქმელს. ამ თავს ხომ ხედავ, აი, ამ ჩემს საკუთარ თავს ვდებ შენს პატიოსნებაზე და არა მარტო თავს ვდებ, ცეცხლშიც შევვარდები ამის დასამტკიცებლად. აი, როგორ მწამს-მეთქი შენი!“ მომვარდა შუა ქუჩაში, გადამეხვია, თვალებზე ცრემლი მოადგა, მთელი ტანი აუკანკალდა. ისე ჩამიკრა გულში, სული ძლივს მოვითქვი „შენ მყავხარ ერთადერთი მეგობარი, შენს მეტი არავინ დამრჩა ამ ჩემს უბედურებაშიო“. დიდი გრძნობების კაცია! ცხადია, გზაში იქვე ანეკდოტიც მოაყოლა ერთხელ, სიყმაწვილეში მეც დამაბრალეს ხუთასი ათასი მანეთის მოპარვა, მაგრამ მეორე დღეს ცეცხლში შევვარდი და ის გრაფი გამოვათრიე ცეცხლმოდებული სახლიდან, ვინც ჩემზე ჭვი შეიტანა, და ნინა ალექსანდროვნაც გადავარჩინე, რომელიც მაშინ გაუთხოვარი იყო... გრაფი გადამეხვია, მე და ნინა ალექსანდროვნამ კი ამ შემთხვევის წყალობით დავიწერეთ ჯვარი. მეორე დღეს გადაბუგული სახლის ნანგრევებში ნახეს კოლოფი და დაკარგული ფულიო. ინგლისური საკეტი ჰქონდა ამ რკინის კოლოფს, იატაკში ჩავარდნილა როგორღაც და ვერ შეუმჩნევიათ, ხანძრის მეოხებით მოინახაო... მტკნარი სიცრუეა, მაგრამ ნინა ალექსანდროვნას ხსენებაზე ფშლუკუნი აუტყდა. დიდი კეთილშობილი ქალი გახლავთ ნინა ალექსანდროვნა, მერე რა რომ გაჯავრებულია ჩემზე.

– იცნობთ?

– თითქმის არა, მაგრამ სულით და გულით მწადია მისი გაცნობა, თუნდაც იმიტომ, თავი ვიმართლო. ნინა ალექსანდროვნას ჰგონია, რომ მის ქმარს ახლა მე ვათრობ და ვრყვნი. მაგრამ კი

არ ვრყვნი, უფრო ჭკუაზე მომყავს, იქნებ მის დამღუპველ ამფსონებსაც ვაშორებ. თანაც მეგობარი გახლავთ ჩემი და გამოგიტყდებით, ახლა, მით უმეტეს, არ მივატოვებ. ესე იგი, საცა ის წავა, მეც იქ წავყვები, ვინაიდან გული თუ არ აუჩუყე, ისე ვერაფერს გახდები მასთან. ახლა თითქმის აღარც დადის იმ თავის კაპიტნის ქვრივთან, თუმცა ერთი სული კი აქვს, წავიდეს, ზოგჯერ ოხრავს კიდეც იმის გამო, განსაკუთრებით დილაობით, ჩექმებს რომ იცვამს. არ ვიცი, რატომ მაინცდამაინც ამ დროს. ვაი რომ ფული არა აქვს, უფულოდ კი იმასთან ვერ გამოჩნდება. ფული ხომ არ უთხოვია თქვენთვის, დიდად პატივცემულო თავადო

– არა, არ უთხოვია.

– რცხვენია. აპირებდა კი მეც გამომიტყდა, რომ თქვენს შეწუხებას აპირებს, მაგრამ ერიდება, ვინაიდან რაც ერთხელ ხელი გაუმართეთ და გარდა ამისა, ჰგონია, არ მისცემთ; ვითარცა მეგობარს, გამიზიარა ეს ამბავი.

– თქვენ თუ აძლევთ ხოლმე?

– ვაჰ, თავადო! დიდად პატივცემულო თავადო! ფული რას მიქვია, ამ კაცისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ... თუმცა გადამლაშება რა საჭიროა, – სიცოცხლეს არა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ციებას თუ რამე მუწუკს ან ხველებას, – ღმერთმანი, ყველაფერს შევიყრი მაგის გულისთვის, თუკი აუცილებელი იქნება, რამეთუ დიდბუნებოვან, თუმცა დაღუპულ ადამიანად ვრაცხ! დიახ. ფული რას მიქვია!

– მაშ აძლევთ ხომ?

– არაა; ფული არ მიმიცია, იცის კიდეც, რომ არ მივცემ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, დათმენას შევაჩვიო და გამოვასწორო. ახლა პეტერბურგში წასასვლელად ამეკიდა. პეტერბურგში ხომ იმიტომ მივდივარ, ფერდიშჩენკოს კვალს მივდიო. დანამდვილებით ვიცი, იქ იქნება. ჩემი გენერალი ბდღვინავს, მაგრამ რას ბდღვინავს!

ეჭვი მაქვს, პეტერბურგში კაპიტნის ქვრივის მოსანახულებლად გამეპარება. მართალი გითხრათ, განზრახ გავუშვებ, შევთანხმდით კიდეც, ჩავალთ თუ არა, სხვადასხვა მხარეს წავიდეთ, ბატონი ფერდიშჩენკოს უფრო ადვილად დასაჭერად. ჰოდა, გავუშვებ და მერე უეცრად წავადგები თავს კაპიტნის ქვრივთან, – მხოლოდ იმიტომ, რომ შევარცხვინო, როგორც ცოლშვილის პატრონი, და, საერთოდ, როგორც ადამიანი.

– ოღონდაც აყალმაყალს ნუ ასტეხთ, ლებედევ, ღვთის გულისათვის, აყალმაყალს ერიდეთ, – ხმადაბლა ჩაულაპარაკა ფრიად შეშფოთებულმა თავადმა.

– ო, არა, მხოლოდ და მხოლოდ მინდა შევარცხვინო და ვნახო ერთი, რა სახეს მიიღებს, ვინაიდან სახე ბევრს მეტყველებს, დიდად პატივცემულო თავადო, მეტადრე ასეთი კაცისა! ვაჰ, თავადო! მართალია, დიდ უბედურებაში გავეხვიე, მაგრამ ახლაც კი არ შემიძლია ამ კაცზე არ ვიფიქრო და მისი ზნეობის გამოსწორებაზე არ ვიზრუნო. ერთი დიდი სახვეწარი მაქვს თქვენთან, დიდად პატივცემულო თავადო, გამოგიტყდებით, და ამან უფრო მომიყვანა აქ იმათ ოჯახს უკვე იცნობთ და ცხოვრობდით კიდეც მათთან; ჰოდა, თუ რომ, ჩემო უგულმოწყალესო თავადო, ხელს შემიწყობთ და დამეხმარებით ამ საქმეში, მხოლოდ და მხოლოდ გენერლისა და მისი ბედნიერების გულისთვის...

ლებედევმა ხელებიც კი მიიკრა გულზე, თითქოს ემუდარებაო.

– რა ვქნა? როგორ დაგეხმაროთ მერწმუნეთ, სულითა და გულით მინდა გაგიგოთ, ლებედევ.

– სწორედ მაგ რწმენამ მომიყვანა აქ! ნინა ალექსანდროვნას მეოხებით შეიძლება გვემოქმედა; თვალი გვჭეროდა და, ასე ვთქვათ, გვეთვალთვალა გამუდმებით მისი აღმატებულებისათვის

ოჯახურ გარემოში. საუბედუროდ, მე არ ვიცნობ... ამასთან, ნიკოლაი არდალიონოვიჩიც, ვინც ასე ვთქვათ, ყმაწვილური სულითა და გულით გაღმერთებთ, შეიძლება დაგვხმარებოდა...

– აა-რა... ნინა ალექსანდროვნას გარევა ამ საქმეში... ღმერთმა დაგვიფაროს! ან კოლიასი... თუმცა იქნებ მე ვერ გაგიგეთ, ლებედევ.

– გასაგები სულაც არაფერია! – შეხტა სკამზე ლებედევი, – მხოლოდ და მხოლოდ გრძნობები და სინაზე – აი, ჩვენი ავადმყოფის წამალი. ხომ ნებას მომცემთ, თავადო, ავადმყოფად შევრაცხო იგი?

– ეგ თქვენს გულისხმიერებასა და ჭკუას მოწმობს.

– მეტი სიცხადისათვის მაგალითს მოგიყვანთ, პრაქტიკიდან აღებულს. იცით, ეგ რა კაცია; ახლა იმ კაპიტნის ქვრივის დარდი კლავს, ვისაც უფულოდ ვერ გამოეცხადება და ვისთანაც მე მინდა დღეს წავასწრო, მისდა საკეთილდღეოდ. მაგრამ, ვთქვათ, კაპიტნის ქვრივი აქ არაფერ შუაშია, მაგის ხასიათი რომ ვიცი, ნამდვილი დანაშაულიც რომ ჩაიდინოს, ერთი სიტყვით, ერთობ უპატიოსნო რამ გააკეთოს (თუმცა სულაც არა აქვს მაგის მოხერხება), მაშინაც კი, ვიტყოდი, კეთილშობილური მგრძნობიარობით ყველაფერს გახდები მასთან, ვინაიდან დიდი გულჩვილი კაცია! მერწმუნეთ, ხუთ დღესაც ვერ მოითმენს, თვითონვე წამოსცდება, ცრემლებს დააფრქვევს და ყველაფერში გამოტყდება – მეტადრე თუ მარჯვედ და კეთილშობილურად ვიმოქმედეთ, ოჯახმა და თქვენ თვალი მიატანეთ მის ყოველ, ასე ვთქვათ, ქცევასა და ნაბიჯს... ო, გულმოწყალე თავადო! – წამოხტა ლებედევი, თითქოს რაღაცით შთაგონებული, – მე ხომ არც ვამტკიცებ, რომ უთუოდ მან... მე, ასე ვთქვათ, მთელ ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებ მისთვის, თუმცა დამეთანხმეთ, რომ თავშეუკავებლობა, ლოთობა, კაპიტნის ქვრივი, ეს ყველაფერი ერთად ყოველივეზე მოაწერინებს ხელს.

– რასაკვირველია, თუ ეს მიზანი გაქვთ, ყოველთვის დაგეხმარებით, – თქვა თავადმა და წამოდგა, – მაგრამ გამოგიტყდებით, ლებედევ, და საშინლად ამაფორიაქეთ. მითხარით, თქვენ ისევ... ერთი სიტყვით, აკი თქვენი პირით თქვით, ბატონ ფერდიშჩენკოზე მაქვს ეჭვიო?

– აბა სხვა ვინ იზამდა! სხვა ვინ იზამდა, უგულწრფელესო თავადო – კვლავ გრძნობამორევით გაიღიმა ლებედევმა და გულზე მიიკრა ხელი.

თავადი მოიღუშა და წამოდგა.

– იცით, ლუკიან ტიმოფეიჩ, საშინელებაა ასეთ საქმეში შეცდომა. ცუდი არ მინდა ვთქვა... მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სულაც ეგ ფერდიშჩენკო იყოს!.. მე მინდა ვთქვა, რომ იქნებ ეგ უფრო იყოს ამის ჩამდენი, ვინემ... ვინემ სხვა.

ლებედევმა თვალი და ყური ცქვიტა.

– იცით, – უფრო და უფრო ერეოდა სათქმელი და უფრო და უფრო იღუშებოდა თავადი, წინ და უკან ბოლთას სცემდა და ლებედევს თვალს არიდებდა, – მე გადმომცეს... მითხრეს ბატონ ფერდიშჩენკოზე, თითქოს ყველაფრის გარდა ისეთი კაციცაა, რომელთანაც თავის შეკავება და ენაზე კბილის დაჭერაა საჭირო... გესმით? ზედმეტი არაფერი არ უნდა დაგცდესო. იმიტომ ვამბობ, რომ ვინძლო ეგ უფრო იყოს-მეთქი ამის ჩამდენი, ვინემ სხვა... შეცდომა არ მოგვივიდეს, – აი, რაა თავი და თავი, გამიგეთ?

– ვინ გაცნობათ ეგ ამბავი ბატონ ფერდიშჩენკოზე? – შეხტა და შეწრიალდა ლებედევი.

– ისე, ყურში ჩამაწვეთეს; თუმცა არ მჯერა... ძალიან მწყინს, რომ იძულებული გავხდიდა გითხარით, გარწმუნებთ, თვითონაც არ მჯერა... უაზრობაა და მეტი არაფერი... ფუჰ, რა სისულელე ჩავიდინე.

– იცით, თავადო, – ლამის აცახცახდა ლებედევი, – ეგ საგულისხმო ამბავია, მეტისმეტად საგულისხმო ახლა, ესეც იგი, ბატონ ფერდიშჩენკოს ამბავი კი არა, არამედ ის, როგორ მოაღწია ამან თქვენს ყურამდე, – ლებედევი ლაპარაკობდა და თან უკან დასდევდა თავადს, ნაბიჯს უწყობდა, – იცით, თავადო, მაშ, მეც გეტყვით წეღან, როცა იმ ვილკინთან მივდიოდით და გენერალმა ხანძრის ამბავი მიამბო, რა თქმა უნდა, რისხვით ატანილმა, უცბად სწორედ ეგ ამბავი გადმომკრა ბატონ ფერდიშჩენკოზე, მაგრამ ისე არეულ-დარეულად, რომ ძალაუნებურად ჩავეკითხე და სავსებით დავრწმუნდი, ეს ცნობა მხოლოდ და მხოლოდ მისი აღმატებულების შთაგონების ნაყოფია-მეთქი... ასე ვთქვათ, მისი გულკეთილობის ნაყოფი. რამეთუ ტყუილსაც იმიტომ ამბობს, გრძნობებს ვერ იოკებს. აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ თუ მოიტყუა, რაშიც ეჭვი არ მეპარება, თქვენ საიდან უნდა შეგეტყოთ ეს ამბავი გამიგეთ, თავადო, ეს რომ მისი წუთიერი შთაგონების ამბავი იყოს, მაშინ ვის უნდა გადმოეცა თქვენთვის ეგ საგულისხმო გახლავთ და... ასე ვთქვათ...

– ეს წუთია კოლიამ მითხრა, მისთვის კი წეღან მამას უთქვამს, რომელსაც ექვსზე თუ შვიდის რაღაც წუთებზე შეხვედრია დერეფანში საქმისთვის გამოსულს.

თავადმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

– ჰე-ჰე, კვალიც ამას ჰქვია, – ხელებს იფშვნეტდა და უხმოდ ქირქილებდა ლებედევი, – ეგრეც ვფიქრობდი! ეს იმას ნიშნავს, რომ მისმა აღმატებულებამ განზრახ შეწყვიტა თავისი უმანკო ძილი, ისიც ექვს საათზე, რა არის საყვარელი ძე გაეღვიძებინა და ბატონ ფერდიშჩენკოს მეზობლობის საშიშროება ემცნო! ვაჰ, რა საშიში კაცი ყოფილა ფერდიშჩენკო და რა მშობლიური შფოთი შეჰპარვია მის აღმატებულებას, ჰი-ჰი-ჰი!

– გამიგონეთ, ლებედევ, – შეცბა თავადი, – გამიგონეთ, წყნარად იმოქმედეთ! აყალმაყალს ნუ ასტეხთ! თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ლებედევ, გემუდარებით... რაკი ასეა, გეფიცებით, დაგეხმარებით, ოღონდაც არავინ გაიგოს, არავინ!

– მერწმუნეთ, უგულმოწყალესო, უწრფელესო და უკეთილშობილესო თავადო, – შესძახა ლებედევმა ჭეშმარიტი ზეშთაგონებით, – მერწმუნეთ, ყოველივე ეს ჩემს პატიოსან გულში ჩაიმარხება! ჩუმად მივსდიოთ კვალს ერთად! ჩუმად მივსდიოთ! მე კი ჩემს სიცოცხლეს... უბრწყინვალესო თავადო, მართალია, სულმდაბალი ვარ, მაგრამ სულმდაბალს კი არა და არამზადასაც რომ ჰკითხოთ, შენებრ არამზადასთან გირჩევნია საქმე იქონიო თუ თქვენებრ უკეთილშობილეს კაცთან, უგულწრფელესო თავადო, იცით, რას გეტყვით, უკეთილშობილესთანო; აი, რა ძალა აქვს კეთილშობილებასა და სათნოებას! ნახვამდის, დიდად პატივცემულო თავადო! ჩუმად მივსდიოთ... ჩუმად.

X

როგორც იყო, მიხვდა თავადი, რად ეყინებოდა სისხლი, როცა ამ სამ წერილს მოჰკიდებდა ხელს და მათი წაკითხვა საღამომდე რად მიიტანა. როცა ამ დილას აფორიაქებულს ტახტზე მიეძინა, ისევ ის საშინელი სიზმარი ნახა და ისევ ის „დამნაშავე ქალი“ გამოეცხადა, თუმცა იმ სამი წერილიდან, შიშით, ჯერ არც ერთი წაეკითხა. კვლავ შესცქეროდა, და უბრწყინავდა გრძელ წამწამებზე ცრემლი. კვლავ უხმობდა, წამომყევიო, კვლავ წეღანდელივით გამოეღვიძა და ტანჯვით მოიგონა მისი სახე. კი უნდოდა ახლავე ამდგარიყო და მასთან წასულიყო, მაგრამ ვერ შეძლო; ბოლოს თითქმის სასოწარკვეთილმა გაშალა წერილები და კითხვას მოჰყვა. ეს

წერილებიც სიზმარს ჰგავდა. ხანდახან დაგესიზმრება უცნაური რამ, შეუძლებელი და არაბუნებრივი; გაგეღვიძება, გაგახსენდება ნათლად და გაგიკვირდება მისი უცნაურობა უპირველეს ყოვლისა ის გახსოვს, რომ მთელი სიზმრის განმავლობაში ჭკუას ატანდი ყოველ შენს საქციელს; გაგახსენდება ისიც, რომ მეტისმეტად ეშმაკურად და ლოგიკურად იქცეოდი ამ კარგა გრძელი სიზმრის მანძილზე, როცა მკვლელები გეხვივნენ ირგვლივ, როცა გატყუებდნენ, თავიანთ ზრახვას გიმალავდნენ და მეგობრულ პირს გიჩვენებდნენ, თუმცა იარაღი კი უკვე მომარჯვებული ჰქონდათ და ნიშანსღა ელოდნენ. გაგონდებათ, რა ეშმაკურად მოატყუეთ ისინი ბოლოს და დაემალეთ; მერე კი მიხვდი, შესანიშნავად იცოდნენ თურმე, რომ ატყუებდი, იცოდნენ, სად დაიმალე, ოღონდაც სახეს არ გიჩვენებდნენ. ცხადად გახსენდება ისიც, რომ შემდეგ ხელახლა იეშმაკე და ხელახლა მოატყუე. მაგრამ რა მიზეზია, რომ მშვენივრად ურიგდები შენი სიზმრის ამ უაზრობას და შეუსაბამობას ერთ-ერთი მკვლელი შენს თვალწინ ჯერ ქალად იქცა, მერე პატარა, ვერაგ ქონდრისკაცად, შენ კი ეჭვიც არ შეგპარვია, იოტის ოდენაც არ გაგკვირვებია ეს ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულიც იყავი, გონივრულად და ეშმაკურადაც იქცეოდი და არც ლოგიკა გაკლდა ან რა მიზეზია, რომ გამოღვიძებული და სიზმრიდან გამორკვეული, მაინც გრძნობ, ხანდახან საოცარი ძალითაც, რომ სიზმართან ერთად რაღაც ამოუხსნელი რამ დაგრჩა ისევ გაგეღიმება ამ შენი სიზმრის უაზრობაზე და ამასთან, გრძნობ კი, რომ უაზრობათა ეს ხლართი რაღაც აზრს შეიცავს, რაღაც მართალ აზრს, რაღაც შენს ნამდვილ ცხოვრებასთან დაკავშირებულს, იმას, რაც გულში მუდამ გედო. თითქოსდა გამცნეს რაღაც ახალი, გიწინასწარმეტყველეს ის, რასაც უკვე გიგრძნობდა ტანი. შთაბეჭდილება ძლიერი გრჩება – სასიხარულო თუ მტანჯველი, მაგრამ რაში მდგომარეობს იგი, ან რა გამცნეს, ამის არც გარკვევა და არც გახსენება არ შეგიძლია. სწორედ იგივე დაემართა თავადს ამ წერილების წაკითხვის შემდეგ. მაგრამ მათ წაკითხვამდეც იგრძნო თავადმა, რომ უკვე მათი არსებობა და ამ არსებობის შესაძლებლობა არის კოშმარი. რამ გააბედვინა და რამ მიაწერინა წერილები, ეკითხებოდა თავს, როცა საღამოს მარტო დაეხეტებოდა (ხოლო სად დაეხეტებოდა, ხანდახან ესეც არ ახსოვდა). ან როგორ დაებადა თავში ასეთი გიჟური ოცნება თუმცა ოცნება უკვე ახდა. საოცარი ისაა, რომ ამ წერილების წაკითხვისას თვითონაც თითქმის სჯეროდა ამ ოცნების ახდენის შესაძლებლობა, მისი სიმართლე. დიახ, ცხადია, ეს სიზმარი იყო, კოშმარი და სიგიჟე; მაგრამ, იმავე დროს, რაღაც ისეთს შეიცავდა, რაც სატანჯველ სინამდვილეს და მტკივნეულ სიმართლეს წარმოადგენდა და რაც ამართლებდა სიზმარს, კოშმარსა და სიგიჟესაც. რამდენიმე საათი ზედიზედ თითქოს აბოდებდა ეს წერილები, წარამარა იხსენებდა ნაწყვეტებს, ჩერდებოდა, უფიქრდებოდა მათ. შიგადაშიგ იმასაც ეუბნებოდა გული, წინასწარ გრძნობდი და იცოდი ეს ამბავიო, ისიც კი ეგონა, რომ ეს ყველაფერი უკვე წაკითხული ჰქონდა ოდესღაც, დიდი, დიდი ხნის წინ, და რაც მას მერე აწუხებდა, რაზეც ნაღვლობდა და რისაც ეშინოდა. ყოველივე ეს ამ წერილებში იყო თავმოყრილი.

„ამ წერილს რომ გაშლით (ასე იწყებოდა პირველი უსტარი), უწინარეს ყოვლისა, გვარს დახედეთ ქვემოთ. ის ყველაფერს გეტყვით და აგიხსნით. ასე რომ, მე თავის გამართლება და ახსნა-განმარტება აღარ დამჭირდება. ოდნავ მაინც რომ თქვენი ტოლი ვიყო, კიდევ შეიძლება ეს კადნიერება გულს მოგხვედროდათ, მაგრამ სად მე და სად თქვენ ჩვენ ისე სხვადასხვანი ვართ, მე თქვენთვის იმდენად არარაობას წარმოვადგენ, რომც მომენდომებინა, თქვენს შეურაცხყოფას ვერ შევძლებდი“.

შემდეგ სხვა ადგილას ასე ეწერა

„ნუ ჩათვლით ამ სიტყვებს სნეული ტვინის სნეულ აღტაცებად, მაგრამ ჩემთვის სრულქმნილი არსება ხართ! მე გნახეთ, მე ყოველდღე გხედავთ. მე არ გსჯით ჩემს გულში, არც გონებას უკარნახებია თქვენი სრულქმნილება; უბრალოდ, ვიწამე. მაგრამ ერთში კი ვცოდავ თქვენს წინაშე შემიყვარდით. სრულქმნილების შეყვარება სად გაგონილა; სრულქმნილებას მხოლოდ უნდა უჭვრიტო, ვითარცა სრულქმნილს; ხომ მართალია მე კი მაინც შემიყვარდით, მერე რა, რომ სიყვარული ათანაბრებს ადამიანებს. შიში არ გქონდეთ, მე არ გაგიტოლებთ თავს, გულის იდუმალ კუნჭულშიაც კი. „შიში არ გქონდეთ-თქო“, მოგწერეთ; მაგრამ განა თქვენ შიში შეიძლება გქონდეთ რომ შეიძლებოდეს, თქვენს ფეხის ნატერფალს დავკოცნიდი. ო, მე არ გიტოლებთ თავს... გვარს დახედეთ, ჩქარა დახედეთ გვარს!“

„მაგრამ ვამჩნევ (წერდა ის სხვაგან), რომ თქვენ და ის შეგაერთეთ, ის კი აღარ მიკითხავს, გიყვართ თუ არა იგი მას მხოლოდ ერთი ნახვით შეუყვარდით; ის „სინათლის სხივს“ გიწოდებდათ, მისი საკუთარი სიტყვებია, ჩემი ყურით გაგონილი. მაგრამ უსიტყვოდაც მივხვდი, რომ მისთვის „სინათლის სხივი“ ხართ. მთელი ერთი თვე დავყავი მის გვერდით და მაშინ მივხვდი, რომ თქვენც გიყვართ, თქვენ და ის ჩემთვის ერთნი ხართ“.

„რას ნიშნავს ეს (წერდა ის კიდევ), გუშინ ჩაგიარეთ და თითქოს გაწითლდით ამას არ დავიჯერებ, ალბათ თვალმა მომატყუა. უგარყვნილეს ბუნაგში რომ შეგიყვანოთ კაცმა და გაშიშვლებული ცოდვა დაგანახოთ, მაინც არ უნდა გაწითლდეთ; თქვენ არამც და არამც არ შეიძლება შეურაცხყოფამ აღგაშფოთოთ. შეგიძლიათ ყველა ფლიდი და სულმდაბალი გმაგდეთ და გმულდეთ, მაგრამ საკუთარი თავის გამო არა, სხვების მაგიერ, ვისაც ისინი ჩაგრავენ. თქვენ ვერავინ დაგჩაგრავთ. იცით, მე მგონია, რომ თქვენ კიდეც უნდა გიყვარდეთ. ჩემთვისაც ისა ხართ, რაც მისთვის სული ნათელი; ანგელოზს არ ძალუძს არც სიყვარული და არც სიძულვილი. ხშირად მიკითხავს ჩემი თავისთვის განა შეიძლება ყველა გიყვარდეს, ყველა ადამიანი, ყველა შენი მოყვასი რა თქმა უნდა, არა და არც ბუნებრივი იქნება ეს. კაცობრიობის განყენებულ სიყვარულში თითქოს მუდამ საკუთარი თავი გიყვარს. მაგრამ ეს ჩვენთვის არ შეიძლება, თქვენ კი სულ სხვა ხართ განა შესაძლოა არ გიყვარდეთ ვინმე, როცა თქვენი შესადარი არავინაა, როცა ვერავითარი წყენა, ვერა აღშფოთება ვერ შეგწვდებათ მხოლოდ თქვენ ძალგიძთ უეგოიზმო სიყვარული, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეიყვაროთ ვინმე საკუთარი თავისთვის კი არა, მისივე გულისთვის. ვაგლახ, რა მწარე იქნებოდა ჩემთვის იმის შეტყობა, რომ ჩემს გამო სირცხვილსა თუ რისხვას განიცდით! მაშინ კი დაიღუპეთ, მაშინ კი ჩემამდე დაეცით...

გუშინ რომ შეგხვდით, შინ მოვედ და ერთი სურათი წარმოვიდგინე. მხატვრები ქრისტეს სულ სახარების მიხედვით ხატავენ, მე კი სხვანაირად გამოვსახავდი დავხატავდი მარტოდ მყოფს – ხანდახან მოწაფეებიც ხომ სტოვებდნენ მას. მხოლოდ პატარა ბავშვს დავტოვებდი მასთან, მის გვერდით მოთამაშეს. ვინ იცის, ეტიტინებოდა რაღაცას თავის ბალღურ ენაზე. ქრისტე უსმენდა, მერე კი ფიქრებმა წაიღო. ხელი უნებურად ბალღის ქერა თავზე შერჩა. შორს, დასალიერისკენ გაიყურება. მის თვალებში იხატება აზრი დიადი, ვითარცა ეს ქვეყანა. დაღონებული ჩანს, გაჩუმებული. ბალღი მას მუხლებზე ეყრდნობა, ხელი ლოყაზე შემოუდვია, თავი აუწევია და მიშტერებია ჩაფიქრებული, როგორც ეს ზოგჯერ ბავშვებმა იციან. მზე ჩადის... აი ჩემი სურათი! თქვენ უმანკო ხართ და თქვენი სრულქმნილებაც მაგ უმანკოებაშია. მარტო ეს დაიხსომეთ! თქვენ რა, მე თუ ასე გაშმაგებით მიყვარხართ ახლა უკვე ჩემი ხართ და მთელი სიცოცხლე თქვენთან ვიქნები... მე მალე მოვკვდები“.

და ბოლოს, სულ უკანასკნელ წერილში ასე ეწერა

– „ღვთის გულისათვის, ჩემზე ნურაფერს გაიფიქრებთ; არ იფიქროთ, რომ თავს ვიმცირებ ამ წერილებით, ან იმ არსებათ ვეკუთვნი, ვისაც ნეტარებას ანიჭებს თუნდაც სიამაყით თავის დამცირება. არა, მე სხვა რამ მაქვს ნუგეშად; მაგრამ მიჭირს ამისი ახსნა. თქვენ კი არა და ჩემს თავსაც ვერ ავუხსნი ნათლად, თუმცაღა ვიტანჯები ამისგან. ვიცი, სიამაყემაც რომ ამიტანოს, ვერც მაშინ დავიმცირებ თავს. ხოლო წმინდა გულით თავის დამცირება არ შემიძლია. მაშასადამე, თავს სულაც არ ვიმცირებ. რად მინდა თქვენი შეერთება თქვენთვის თუ ჩემთვის ცხადია, ჩემთვის, ეს გადაწყვეტს ჩემთვის ყველაფერს, დიდი ხანია ასე მაქვს დათქმული გულში... როგორც მითხრეს, თქვენს დას, ადელაიდას, მაშინ ჩემს სურათზე უთქვამს, ასეთი სილამაზე ქვეყნიერებას გადაატრიალებსო. ოღონდ მე უარი ვთქვი ამ ქვეყნიერებაზე; გეცინებათ არა ამ სიტყვებზე, ვინაიდან მხედავთ მაქმანებითა და ბრილიანტებით მორთულს, ლოთებისა და არამზადების წრეში ამას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, მე თითქმის აღარ ვარსებობ და ვიცი ეს; ღმერთმა უწყის, რისი სული მიდგას. ამას მეუბნება ყოველ ცისმარე დღე ორი საშინელი თვალი, გამუდმებით რომ მომჩერებია, მაშინაც კი, როცა ვერ ვხედავ მათ. ეს თვალები ახლა სდუმან (ახლა ნიადაგ სდუმან), მაგრამ ვიცი, რასაც იდუმალ მეტყველებენ. სახლი მისი ჩაჟამებული და ჩაბნელებულია და იქაც საიდუმლო მარხია. ფიქრი არ უნდა, უჯრაში სამართებელი აქვს შენახული, იმ მოსკოველი მკვლელივით აბრეშუმშემოხვეული, ისიც დედამისთან ერთად ცხოვრობდა თურმე და იმასაც აბრეშუმი ჰქონდა დახვეული სამართებელზე, რომ ერთი ვინმესთვის ყელი გამოეჭრა. რაც მათთან ვიყავ, მთელი ის ხანი ასე მეგონა, თითქოს სადმე იატაკქვეშ მკვდარია-მეთქი ჩამარხული, ადრე, მამამისის ხელით მოკლული, იმ მოსკოველივით ისიც მუშამბაში გახვეული და ირგვლივ შემოწყობილი ჟდანოვის სითხიანი შუშებით, კუთხესაც კი გაჩვენებდით, სად. იგი ერთთავად სდუმს; მაგრამ ხომ ვიცი, იმდენად ვუყვარვარ, არ შეიძლება სიძულვილი არ აღძვროდა ჩემი. თქვენი და ჩემი ქორწილი ერთად მოხდება, ასე გვაქვს დათქმული. მისგან დამალული არა მაქვს რა. ალბათ მოვკლავდი შიშით... მაგრამ ვიცი, თვითონ დამასწრებს... ახლა გაიცინა, მითხრა, რაებს ბოდავო; იცის, რომ თქვენ გწერთ“.

ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი ნაბოდვარი იყო ამ წერილებში. მეორე წერილი ორ კარგა მოზრდილ საფოსტო ქაღალდზე იყო აჭრელებული.

გუშინდელივით კარგა დიდხანს იბორიალა ამ ბნელ ბაღში თავადმა და ბოლოს გზაზე გამოვიდა. ქათქათა, ნათელი ღამე ჩვეულებრივზე უფრო გაქათქათებული ეჩვენა; „განა ასე ადრეა!“ – გაიფიქრა მან (საათის წამოღება დავიწყებოდა). საიდანღაც თითქოს შორეული მუსიკის ხმა მისწვდა. „სადგურშია, ალბათ, – გაიფიქრა ისევ, – ცხადია, დღეს არ წავიდოდნენ“... იფიქრა და უცბად დაინახა, რომ მათ აგარაკთან დგას. განა არ იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს უცილობლად აქ ამოჰყოფდა თავს. გულის კანკალით ააბიჯა ტერასაზე. არავინ გამოეგება, ტერასა ცარიელი იყო. ერთ ხანს შეიცადა და მერე დარბაზის კარი შეაღო. „ამ კარს თავის დღეში არ კეტავენო“, – გაუელვა თავში. მაგრამ დარბაზიც ცარიელი დახვდა, შიგ თითქმის ბნელოდა. შემცბარი გაჩერდა შუა ოთახში. ერთბაშად კარი გაიღო და ალექსანდრა ივანოვნა შემოვიდა სანთლით ხელში. თავადის დანახვამ განაცვიფრა და ისე დაუდგა წინ, თითქოს ეკითხება, რაზე გარჯილხართო. როგორც ეტყობა, გავლით შემოსულიყო, ერთი კარიდან მეორეში გასასვლელად, სულაც არ ეგონა, აქ თუ ვინმე დახვდებოდა.

– აქ საიდან მოხვდით – დაილაპარაკა ბოლოს.

– მე... შემოვიარე...

– დედა ცოტა შეუძლოდაა, აგლაიაც. ადელაიდა დაწოლას აპირებს, მეც მინდა დავწვე. მთელი საღამო მარტოკები ვიყავით. მამა და თავადი პეტერბურგში არიან.

– მოვედი, იმიტომ... თქვენთან... ახლა...
– იცით, რომელი საათია?
– აა-რა...
– პირველის ნახევარია, ჩვენ კი მუდამ პირველზე ვიძინებთ.
– აჰ, მე მეგონა, ათის ნახევარია-მეთქი.
– არა უშავს! – გაიცინა ქალმა. – წეღან რად არ მოხვედით? შეიძლება გიცდიდნენ კიდეც.
– მე... მე ვიფიქრე... – ლუღლუღებდა თავადი და წასასვლელად იწევდა.
– ნახვამდის! რამდენს ვაცინებ ხვალ ჩვენებს.
თავადი თავისი აგარაკისკენ გაემართა. გზა პარკის გასწრივ უხვევდა. გულს დაგადუგი გაჰქონდა. ფიქრები ერეოდა, ირგვლივ ყველაფერი სიზმარეულივით იყო. და როგორც წეღან, როცა ორჯერ წაიღო ძილმა და ორჯერვე ერთი და იგივე მოჩვენებამ გააღვიძა, ერთბაშად იგივე მოჩვენება წარმოუდგა. იგივე ქალი გამოვიდა ბაღიდან და წინ დაუდგა, თითქოს ელოდაო. თავადი შეკრთა და გაჩერდა; ქალმა ხელი სტაცა და ღონივრად მოუჭირა. „არა, მოჩვენება არ უნდა იყოს!“ განშორების შემდეგ დღეს პირველად შეხვდნენ ასე პირისპირ ერთმანეთს. ქალი რაღაცას ეუბნებოდა, ის კი უხმოდ მისჩერებოდა. გული აუვსო, გული აუკვნესა ტკივილმა. ო, ვერ იქნა, ვერ დაივიწყა მერე ეს შეხვედრა და ნიადაგ ერთნაირად სტკიოდა გული ყოველ გახსენებაზე. შუა ქუჩაშივე მოიყარა მის წინ ქალმა მუხლი გაშმაგებულმა. როცა შეშინებულმა კაცმა უკან დაიხია, იგი ხელებზე საკოცნელად წაეპოტინა. როგორც წეღან, სიზმარში, ახლაც ცრემლები უკიაფებდა გრძელ წამწამებზე.
– ადექი, ადექი! – ეუბნებოდა შეშინებული ჩურჩულით და თან აყენებდა, – ჩქარა ადექი!
– ბედნიერი ხარ? ბედნიერი? – ეკითხებოდა ქალი. – მარტო ეს მითხარი, ბედნიერი ხარ ახლა? დღეს, ამ წუთს მასთან იყავი? რა გითხრა?
ქალი არ დგებოდა და არც მისი ესმოდა რამე; კითხვებს ისე აყრიდა, თითქოს უკან მოსდევდა ვიღაც.
– ხვალვე მივდივარ, როგორც მიბრძანე. მე აღარ... მე ხომ უკანასკნელად გხედავ, უკანასკნელად! ახლა მართლაც რომ უკანასკნელად!
– დაწყნარდი, ადექი! – ეუბნებოდა თავადი სასოწარკვეთილი.
ქალი ხელებში ჩაფრენოდა და ხარბად შეჰყურებდა.
– მშვიდობით! – ესღა თქვა ბოლოს, წამოდგა და სწრაფად გაშორდა, თითქმის გაიქცა.
თავადმა დაინახა, როგორ გაჩნდა უცბად მის გვერდით როგოჟინი, ხელი გაუყარა და წაიყვანა.
– დამიცადე, თავადო, – გამოსძახა როგოჟინმა, – ხუთი წუთის შემდეგ მოვბრუნდები ცოტა ხნით.
მართლაც ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა; თავადი იმავე ადგილზე დახვდა.
– ეტლში ჩავსვი, ათი საათიდან აგერ იმ კუთხეში იცდიდა კალიასკა. ასეც იცოდა, მთელი საღამო იმასთან იქნებოდი. რაც ამას წინათ მომწერე, სიტყვა-სიტყვით გადავეცი. წერილებს აღარ მისწერს, პირობა დადო; აქედანაც ხვალვე წავა, შენი სურვილის თანახმად, უკანასკნელად უნდოდა შენი ნახვა, თუმცა უარი კი განუცხადე; აი აქ გელოდით, აგერ, იმ სკამზე.
– თვითონ წამოგიყვანა?
– მაშ არა და! – გაიღმიჭა როგოჟინი, – რაც ვიცოდი, ის ვნახე. წერილები წაიკითხე ალბათ?
– განა შენ მართლა კითხულობდი? – შეძრწუნდა თავადი.
– მაშ, რა გგონია, ყოველ წერილს მაჩვენებდა ხოლმე. სამართებელზე თუ გახსოვს, ჰე-ჰე!
– გიჟია, გიჟი! – შესძახა თავადმა ხელების მტვრევით.

– ვინ იცის, ეგებ არც იყოს გიჟი, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა როგოჟინმა.

თავადმა არა უპასუხა რა.

– აბა, მშვიდობით, – უთხრა როგოჟინმა, – ხვალ ხომ მეც მივდივარ; აუგად ნუ გამიხსენებ! – და მერე სწრაფად მოტრიალდა, – შენ კი, ძმაო, პასუხი რად არ მიეცი? „შენ მაინც თუ ხარ ბედნიერიო?“

– არა, არა, არა! – შეჰყვირა თავადმა უსაზღვრო მწუხარებით.

– ეგღა გაკლდა, „კიო“ გეთქვა, – ბოროტად გაიცინა როგოჟინმა და უკანმოუხედავად გააბიჯა.

ნაწილი მეოთხე

I

განვლო ერთმა კვირამ ჩვენი მოთხრობის ორი გმირის მწვანე სკამზე შეხვედრის დღიდან. ერთ მზიან დილას, ასე თერთმეტის ნახევარზე, ზოგიერთი ნაცნობის მოსანახულებლად გამოსული ვარვარა არდალიონოვნა შინ მეტად ჩაფიქრებულ, მჭმუნვარე გუნებაზე დაბრუნდა.

არიან ადამიანები, რომელთა მთლიანი დასურათება, მათი ტიპიური და სახასიათო ბუნების ერთბაშად გადმოცემა ძნელი საქმეა. ესენი ის ადამიანებია, ვისაც ჩვეულებისამებრ, „ჩვეულებრივ“ ადამიანებად, „უმრავლესობად“ ნათლავენ და ვინც ყოველი საზოგადოების მართლაც დიდ ნაწილს შეადგენს. თავიანთ რომანებსა და მოთხრობებში მწერლები უმეტესად ცდილობენ, რომ ტიპები საზოგადოების წიაღიდან აიღონ და მხატვრულ სახეებად წარმოგვიდგინონ. ამ ტიპებს საოცრად იშვიათად შეხვდება კაცი სინამდვილეში მთლიანად გამოკვეთილი და მიუხედავად ამისა თითქმის ნამდვილზე უფრო ნამდვილნი არიან. პოდკოლიოსინი თავისი ტიპიური სახით იქნებ გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ზღაპარს დიახაც არ წარმოადგენს. გოგოლის პოდკოლიოსინის გაცნობის შემდეგ რამდენმა ჭკვიანმა კაცმა აღმოაჩინა, რომ ათობით თუ ასობით მათი კარგი ნაცნობ-მეგობარი საშინლად ჰგავს პოდკოლიოსინს. გოგოლამდეც იცოდნენ, რომ მათი მეგობრები ისეთები იყვნენ, როგორც პოდკოლიოსინი, ოღონდაც ის არ იცოდნენ, თუ სწორედ ასე ერქვათ.

ცხოვრებაში დიახაც იშვიათად ხდება, სასიძომ ქორწილის წინ ფანჯრიდან ისკუპოს, რამეთუ სხვა მოსაზრებების გარდა, ეს არცთუ მოსახერხებელია. მაგრამ რამდენი სასიძოა, ღირსეული და ჭკვიანიც, რომელიც ჯვრის წერის წინ მზადაა თავი პოდკოლიოსინად აღიაროს გულის სიღრმეში. არც ყველა ქმარი გაიძახის ყოველ ნაბიჯზე „Tu l’as vouiu, George Dandin“[109] მაგრამ, ღმერთო, განა მილიონჯერ თუ ბილიონჯერ არ აღმოხდენიათ ეს ამოძახილი დედამიწის ზურგზე თაფლობის თვის თუ იქნებ ქორწილის მეორე დღესაც ქმრებს.

ამგვარად, აღარ შევყვებით უფრო სერიოზულ განმარტებებს და იმასღა ვიტყვით მხოლოდ, რომ სინამდვილე ადამიანთა ტიპიურობას თითქოსდა წყლით აზავებს, ასე რომ ყველა ეს ჟორჟ დანდენები და პოდკოლიოსინები ცხოვრებაში მართლაც ყოველ ცისმარე დღე გვიტრიალებენ თვალწინ რამდენადმე გაუფერულებული სახით. დაბოლოს, ჭეშმარიტების სისრულისათვის, იმასაც დავძენთ, რომ პირწავარდნილი ჟორჟ დანდენი, როგორიც მოლიერს ჰყავს შექმნილი, თუმც იშვიათად, მაგრამ მართლაც შეიძლება შეხვდეს კაცს ცხოვრებაში, და ამით მოვრჩებით ამ ჩვენს მსჯელობას, რამეთუ იგი ჟურნალის კრიტიკას დაემსგავსა. მიუხედავად ამისა, საკითხავი მაინც ეს რჩება რა უყოს მწერალმა ორდინარულ, სრულიად „ჩვეულებრივ“ ადამიანებს, როგორ აუწეროს ის მკითხველთ, რომ ოდნავ მაინც საინტერესო გახადოს სულ გვერდი აუაროს მათ, არც

ეს შეიძლება, ვინაიდან სწორედ ორდინარული ადამიანები წარმოადგენენ ცხოვრების ორომტრიალში აუცილებელ რგოლს; მაშასადამე, გვერდის ავლით სიმართლეს დაარღვევ. არადა, აავსო რომანები ტიპებით ან თუნდაც უბრალო ინტერესის გულისთვის, უცნაური და უჩვეულო ადამიანებით, ეს არც სიმართლესთან იქნება ახლოს და ვგონებ, არც საინტერესო გამოვა. ჩვენის ფიქრით, მწერალი უნდა შეეცადოს ორდინარულ ადამიანებშიც მოიძიოს საინტერესო და ჭკუის სასწავლო რამ. როცა, მაგალითად, ზოგიერთ ორდინარულ პირთა მთელ არსს სწორედ მათი მუდმივი უცვლელი ორდინარობა შეიცავს, ან კიდევ უკეთესი, როცა ამ პირთა თავგამეტებული ცდების მიუხედავად, თავი დააღწიონ ჩვეულებრივობისა და რუტინის კალაპოტს, ბოლოს მაინც ნიადაგ მხოლოდ რუტინად რჩებიან, მაშინ ასეთი ადამიანები თავის მხრივ რამდენადმე ტიპიურობასაც იძენენ, - ვითარცა ორდინარი, ვისაც არაფრის დიდებით არ უნდა დარჩეს ისეთი, როგორც გამოჩენილა და თავს იკლავს ორიგინალობასა და დამოუკიდებლობაზე, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებლობისათვის არავითარი ნიშან-თვისება არ გააჩნია.

„ჩვეულებრივსა“ და „ორდინარულ“ ადამიანთა ამ თანრიგს ეკუთვნის ჩვენი მოთხრობის ზოგიერთი გმირიც, მკითხველისათვის (გამოვტყდები და) აქამდე ნაკლებად ახსნილ-განმარტებული. ასეთი გახლავთ ვარვარა არდალიონოვნა-პტიცინი, მისი მეუღლე ბატონი პტიცინი და მისი ძმა გავრილა არდალიონოვიჩი.

მართლაც, იმაზე გულდასაწყვეტი არაფერია, როცა, ვთქვათ, მდიდარიცა ხარ, კარგი გვარიშვილიც, გვარიანი შესახედაობისაც, არც განათლება გაკლია, არც ჭკუა, არცთუ კეთილი გული და, ამავე დროს, ნიჭი არაფრისა გცხია, არაფრით გამოირჩევი, უხიაკსაც არავინ გიწოდებს, საკუთარი აზრი არ გაგაჩნია, ერთი სიტყვით, ხარ ის, „რაც ყველა“. სიმდიდრე გაქვს, ოღონდ არა როტშილდის; კარგი გვარი, მაგრამ არა გამოჩენილი; შესახედაობა გვარიანი, მაგრამ დიდი არაფრის გამომხატველი; განათლება მშვენიერი, მაგრამ არ იცი, რაში გამოიყენო; ჭკუა მოუცია ღმერთს, მაგრამ საკუთარი „აზრები“ – არა, გული გაქვს, მაგრამ დიდსულოვნება – არა, ა.შ. და ა.შ.

ყოველი მხრივ. ასეთი ადამიანები საოცრად ბლომადაა ამ ქვეყნად, იმაზე მეტი, ვინემ გვგონია. როგორც ყველა, ისინიც ორ თანრიგად იყოფიან ერთნი საშუალო ჭკუისანი არიან, მეორე „უფრო ჭკვიანნი“. პირველები უფრო ბედნიერნი გახლავან. საშუალო ჭკუის „ჩვეულებრივი“ ადამიანისათვის, მაგალითად, იმაზე იოლი არაფერია, თავი არაჩვეულებრივ, ორიგინალურ კაცად წარმოიდგინოს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე დატკბეს ამით. რა წამს ჩვენი ქალიშვილებიდან ზოგიერთმა თმა შეიკრიჭა, ლურჯი სათვალე წამოიცვა ცხვირზე და ნიჰილისტად მოინათლა, უმალ იწამეს, რომ სათვალეების წამოცმისთანავე საკუთარი „აზრებიც“ გაუჩნდათ. საკმარისია, ამა თუ იმ ადამიანს ერთი ბეწოთი მაინც მოეცხოს რომელიმე ზოგადსაკაცობრიო და პატიოსანი შეგრძნების ნიშატი, რომ დაუყოვნებლივ განიმსჭვალოს რწმენით, თითქოს მასავით არავინ გრძნობს უკვე, რომ საერთო განვითარებაში ის მოწინავე კაცს წარმოადგენს. საკმარისია, ამა თუ იმ ადამიანმა ზეპირად მოჰკრას ყური რაიმე აზრს ან რომელიმე წიგნის ერთი ფურცელი წაიკითხოს, რასაც თავი და ბოლო არ გააჩნია, რომ მაშინვე ირწმუნოს, თითქოს ეს „მისი საკუთარი აზრებია“ და საკუთარი ტვინის ნაყოფი. მიამიტობის უსირცხვილობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ საკვირველებამდე აღწევს ამ შემთხვევაში; ამბავი ესე დაუჯერებელია, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე კი გვხვდება. ეს მიამიტობის უსირცხვილობა, ბრიყვის ეს თავის თავში და თავის ნიჭში დარწმუნება დიდებულად აქვს ასახული გოგოლს პორუჩიკ პიროგოვის განსაცვიფრებელ ტიპში. პიროგოვს ეჭვიც არ ეპარება

იმაში, რომ გენიოსია და გენიოსზე მეტიც. იმდენად არ ეპარება, რომ ერთხელაც არ ეკითხება თავის თავს, მართალი თუ ვარო; თუმცა კითხვები მისთვის არც არსებობს. დიდი მწერალი ბოლოს იძულებული შეიქნა, თავისი მკითხველის შეურაცხყოფილი ზნეობრივი გრძნობის დასაკმაყოფილებლად კიდეც გაეწკეპლა იგი, მაგრამ რომ დაინახა, ამ დიდბუნებოვანმა კაცმა გაწკეპლვის შემდეგ მხოლოდ მხები შეიბერტყა და ძალღონის აღსადგენად ცხრაფურცელა ღვეზელი შესანსლა, განცვიფრებულმა ხელები გაშალა და ასე მიატოვა თავისი მკითხველნი. მე მუდამ ვწუხდი, რომ გოგოლმა დიდი პიროგოვი ასე პატარა ჩინის კაცად წარმოგვიდგინა. ვინაიდან პიროგოვი იმდენად თვითკმაყოფილი ვინმე გახლავთ, რომ მისთვის სულ ადვილია, თავი, მაგალითად, წლების მანძილზე „დამსახურების გამო“ ეპოლეტებით დაჯინჯილებულ გასაოცარ სარდლად წარმოიდგინოს. ასე გასინჯეთ, წარმოიდგინოს კი არა და ეჭვიც არ შეეპაროს გენერლის ჩინი მიანიჭეს კაცს და ვითომ სარდლობას რაღა უკლია მერე რამდენ ამისთანას მოსდის საშინელი ფიასკო ბრძოლის ველზე მერე რამდენი პიროგოვი ყოფილა ჩვენს ლიტერატორთა, სწავლულთა, პროპაგანდისტთა შორის. ვამბობ „ყოფილა“ -მეთქი, მაგრამ განა ახლაც არ არის...

ჩვენი მოთხრობის მოქმედი გმირი გავრილა არდალიონოვიჩ ივოლგინი სხვა, „უფრო ჭკვიანთა“ თანრიგს განეკუთვნებოდა, თუმცა თავით ფეხამდე ორიგინალობის სურვილით იყო მოწამლული. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ შევნიშნეთ, ეს თანრიგი პირველზე გაცილებით უბედურია. საქმეც ისაა, რომ ჭკვიანმა „ჩვეულებრივმა“ ადამიანმა თუნდაც წუთით (გინდ მთელი სიცოცხლე) თავი გენიოსად და ორიგინალურზე ორიგინალურად წარმოიდგინოს, გულის სიღრმეში ეჭვის პატარა ჭია მაინც უფუთფუთებს, და ამ ჭიას ხანდახან ჭკვიანი კაცი სრულ სასოწარკვეთამდე მიჰყავს. ხოლო თუ ბედს დამორჩილდა, გულში ჩამარხული პატივმოყვარეობა ერთიანად წამლავს და შხამავს. თუმცა ჩვენ მაინც უკიდურესობაში გადავვარდით.

მეტწილად ამ ჭკვიანთა თანრიგის ხალხის ბედ-იღბალი არცთუ ისე ტრაგიკულია. დიდი-დიდი სიცოცხლის მიწურულს ნაღველი გაუსივდეთ და ღვიძლი გაუფუჭდეთ. ესაა და ეს. მაგრამ ვიდრე დამორჩილდებიან და ქედს მოიდრეკენ, ეს ადამიანები მაინც ერთობ დიდხანს მიეთმოეთებენ, სიყმაწვილიდან მოყოლებული ქედმოდრეკის ასაკამდე და ისიც მხოლოდ ორიგინალობის წყურვილით. ასე გასინჯეთ, უცნაური შემთხვევებიც ხდება ორიგინალობის სურვილი ზოგ პატიოსან კაცს თაღლითობასაც კი ჩაადენინებს; ისიც ხდება, რომ ამ უბედურთაგანი ზოგი არათუ პატიოსანი, კეთილიც კია, თავისი ოჯახის იმედი და სასოება, განა მარტო თავისიანების, უცხოების შემნახავი და მარჩენალიც, მაგრამ რა მერე მთელი თავისი წუთისოფელი მოსვენება მაინც არა აქვს! სულაც არ ამშვიდებს და ანუგეშებს ის ამბავი, რომ ასე კაცურად მოიხადა თავისი ვალი; პირიქით, სწორედ ეს ხეთქავს გულზე „აი, რას მივლიე ჩემი სიცოცხლე, აი, რამ შემიკრა ხელ-ფეხი, რამ შემიშალა ხელი, რომ თოფის წამალი ვერ აღმოვაჩინე! ეს რომ არა, ვინძლო უთუოდ თოფის წამალი ან ამერიკა აღმომეჩინა - გადაწყვეტით ვერ ვიტყვი რა, მაგრამ რაღაც კი აღმომეჩინაო!“ სწორედ ესაა ამ ვაჟბატონებში ყველაზე მეტად დამახასიათებელი, რომ მთელი სიცოცხლე მართლაც ვერ გადაუწყვეტიათ, კერძოდ, რისი აღმოჩენა უნდათ ასე და კერძოდ, რისი აღმოჩენისათვის იკლავენ თავს თოფისწამლისა თუ ამერიკის მაგრამ რაც აღმოჩენისათვის ტანჯვა და დარდი უგემიათ, მართლაც რომ კოლუმბისა და გალილეის წილად იკმარებდა.

გავრილა არდალიონოვიჩი სწორედ ამგვარად იწყებდა; მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იწყებდა. კიდევ კარგა ხანს მოელოდა მას მიეთმოეთობა. წარამარა თავისი უნიჭობის ღრმა

შეგრძნებამ და, ამავე დროს, თავის დამოუკიდებლობაში დარწმუნების უძლეველმა სურვილმა ძლიერ დაუკოდა გული, მგონი სულაც სიყრმის ხანიდან. ამ ყმაწვილ კაცს შურიანი და ფიცხი სურვილები სჩვეოდა, გაღიზიანებული ნერვები თითქოს დედის მუცლიდან დაჰყოლოდა. სურვილთა სიფიცხე მათი სიძლიერის დასტურად მიაჩნდა. თავის გამოჩენის მხურვალე წადილი ზოგჯერ უგუნურზე უგუნურ ნახტომს აკეთებინებდა, მაგრამ როცა საქმე უგუნურ ნახტომზე მიდგებოდა, ჩვენს გმირს ნიადაგ ჰყოფნიდა ჭკუა, ეს ნახტომი არ გაეკეთებინა. და სწორედ ეს უკლავდა გულს. იქნებ შემთხვევა რომ ჰქონოდა, უკიდურესი სიმდაბლეც ეკისრა, ოღონდაც თავისი საწადელისთვის მიეღწია. მაგრამ თითქოს ჯიბრზე, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ასეთი სიმდაბლისათვის მეტისმეტად ნამუსიანი აღმოჩნდებოდა ხოლმე (ეს კია, პატარა სიმდაბლეზე უარს არასოდეს ამბობდა). თავისი ოჯახის გაღატაკება და დაქვეითება ზიზღით და სიძულვილით უვსებდა გულს. წარმოიდგინეთ, დედასაც კი ქედმაღლურად ექცეოდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ დედის რეპუტაცია და ხასიათი შეადგენდა დღესდღეობით მისი კარიერის დასაყრდენს. ეპანჩინთან რომ დაიწყო სამსახური, მყის ასე უთხრა თავს „თუ გაიძვერობაა, ბარემ ბოლომდე იგაიძვერე, ოღონდაც კი მოიგოო“. და თითქმის ვერასოდეს ახერხებდა ამას. ან რამ აფიქრებინა, რომ აუცილებლად უნდა ეგაიძვერა აგლაიასი მაშინ უბრალოდ შეეშინდა, მაგრამ მაინც არ მიანება თავი და ყოველი შემთხვევისათვის აჭიანურებდა საქმეს, თუმცა სერიოზულად არასოდეს სჯეროდა, რომ გენერლის ქალი თავს გაუყადრებდა. შემდეგ, ნასტასია ფილიპოვნას ისტორიაში, ხელდახელ წარმოიდგინა, ყველაფრის თავი და თავი ფულიაო. „თუ გაიძვერობაა, ბარემ გაიძვერობა იყოსო“, ყოველდღე ამას იმეორებდა გულში კმაყოფილებით, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შიშითაც „თუ გაიძვერობაა, ბარემ ბოლომდე იგაიძვერე, - ამხნევებდა წარამარა თავს, - რუტინა ასეთ შემთხვევებში დაფრთხება, ჩვენ კი არ დავფრთხებითო!“ აგლაია რომ დაკარგა და შექმნილმა ვითარებამ წელში გატეხა, სავსებით დაეცა სულით და, მართლაც, დაუბრუნა თავადს ის ფული, რომელიც შეშლილმა ქალმა მიუგდო და რომელიც ამ ქალს ასევე შეშლილმა კაცმა მოუტანა. ათი ათასჯერ ინანა მერე ამ ფულის დაბრუნება, თუმცა კი გაუთავებლივ ამაყობდა ამით. ის მართლაც ტიროდა სამი დღე, ვინემ თავადი პეტერბურგში იყო, მაგრამ ამ სამი დღის მანძილზე კიდეც მოასწრო და შეიძულა იგი, რამეთუ მეტისმეტი სიბრალულით უყურებდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ფულს „ბევრი არ დააბრუნებდა“. მაგრამ თავის თავთან კეთილშობილური გამოტეხა, მთელი ნაღველის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ წარამარა შელახული პატივმოყვარეობააო, საოცრად ტანჯავდა და აწამებდა. კარგა ხნის შემდეგ მიხვდა და დარწმუნდა, როგორ სერიოზულად შეიძლებოდა შეტრიალებულიყო მისი საქმე აგლაიასთანა უმანკო და უცნაურ არსებასთან. სინანულმა ლამის გული შეუჭამა; სამსახურს თავი ანება და ნაღველსა და უსასოობას მიეცა. მშობლებიანად პტიცინის კმაყოფაზე მყოფი, პტიცინს აშკარად ზიზღის თვალით უცქეროდა და არც მალავდა ამას, მერე რა, რომ ამავე დროს მის რჩევას უყურადღებოდ არ სტოვებდა და იმდენი ჭკუაც ჰქონდა, თითქმის მუდამ ეკითხა რჩევა. გავრილა არდალიონოვიჩს, მაგალითად, ბრაზს ისიც ჰგვრიდა, პტიცინი რომ როტშილდობას არ ეპოტინებოდა და მიზნად არ ისახავდა. „თუკი მევახშე ხარ, ბარემ ბოლომდე მისდიე, ხალხს სული ამოართვი, ფულები სჭედე, გახდი უდრეკი, გახდი იუდეველთა მეფეო!“ პტიცინი თავმდაბალი და ჩუმი კაცი იყო; გაიღიმებდა ამაზე და მეტი არაფერი, მაგრამ ერთხელ კი საჭიროდ სცნო განიას გამოპასუხებოდა და ღირსეული პასუხიც გასცა. დაუმტკიცა, რომ უპატიოსნობას არას სჩადის და ტყუილად ეძახის ურიას; რომ მისი ბრალი არ არის, სინამდვილეში მხოლოდ აგენტია „ასეთ“ საქმეებში და ბოლოს მისი წესიერების წყალობით უკვე

ფრიად კარგი მხრივ იცნობს ჩინებულზე ჩინებული ხალხი და ასპარეზიც ნელინელ უფართოვდება. „როტშილდი არ გავხდები და არც მჭირდება, - დაატანა სიცილით, - ლიტეინაიაზე კი უსათუოდ სახლის პატრონი გავხდები, შესაძლოა, ორი სახლისაც და ამით მოვრჩეო“. - „ვინ იცის, იქნებ სამისაცო!“ – ფიქრობდა გულში, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს უთქვამს ნაფიქრი და გულში იმარხავდა ოცნებას. ბუნებას უყვარს ასეთი ადამიანები და უფერებს მათ; პტიცინი სამით კი არა, იქნებ ოთხი სახლითაც დააჯილდოვოს, სწორედ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე ჩახვდა, როტშილდი ვერ გავხდებიო. სამაგიეროდ, ოთხ სახლზე მეტს ბუნება აღარ გაიმეტებს და პტიცინთან ამით გაათავებს საქმეს. სულ სხვა ყაიდის არსება გახლდათ გავრილა არდალიონოვიჩის დაია. სურვილები არც იმას აკლდა, ოღონდაც უფრო ჯიუტური ეთქმოდა, ვინემ ფიცხი. კეთილგონიერებაც საკმაო ჰქონდა, როცა საქმე უკანასკნელ საზღვრამდე მიაღწევდა, მაგრამ არც ამ საზღვრამდე რჩებოდა უმისოდ. მართალია, ისიც იმ „ჩვეულებრივ“ ადამიანთა რიცხვს მიეწერებოდა, ვისაც ორიგინალობა ნატვრად ქცეოდა, სამაგიეროდ, ფრიად მალე მიხვდა და შეიგნო, რომ განსაკუთრებული ორიგინალობის ნატამალი არ გააჩნია და არც დიდხანს უდარდია ამაზე - ვინც იცის, ეგებ თავისებური სიამაყის გამოც. თავისი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ერთობ გაბედულად გადადგა, როცა პტიცინს გაჰყვა ცოლად; მაგრამ რომ გაჰყვა, სულაც არ უთქვამს თავისთვის „თუ გაიძვეროზაა, გაიძვეროზა იყოს, ოღონდაც მიზანს მივაღწიოო“, რის თქმასაც არ დააყოვნებდა გავრილა არდალიონოვიჩი ამგვარ შემთხვევაში (ლამის კიდეც უთხრა დას პირში, როცა უფროსი ძმის კვალობაზე მისი გადაწყვეტილება მოიწონა). პირიქით ვარვარა არდალიონოვნა მხოლოდ მაშინ გაჰყვა ცოლად, როცა საფუძვლიანად დარწმუნდა, რომ მისი მომავალი ქმარი თავმდაბალი, საამო, თითქმის განათლებული კაცია და დიდ სიმდაბლეს თავის დღეში არ იკადრებს. პატარ-პატარა სიმდაბლეებზე ვარვარა არდალიონოვნას არაფერი გამოუკითხავს, რადგან წვრილმანებად მიაჩნდა. ამ წვრილმანებს კი სად არ ნახავს კაცი იდეალს ხომ არ გამოეკიდებოდა მართლაც და მართლაც! თან ისიც იცოდა, რომ ამ გათხოვების წყალობით მის დედას, მამასა და ძმებს კუთხე ექნებოდათ. ძმა გაუბედურებულ დღეში რომ ნახა, წინანდელი ოჯახური უსიამოვნების მიუხედავად, დახმარება მოუნდომა. ხანდახან პტიცინი განიას სამსახურში დაუპირებდა გაგდებას, ცხადია, მეგობრული გრძნობით. „აგერ შენ გენერლებსა და გენერლობას ათვალწუნებით უყურებ, - ეტყოდა ხოლმე ხუმრობით, - ჰოდა, ნახავ კი, რომ „ისინიც“ ბოლოს თავის მხრივ გენერლობით დაამთავრებენ; მოესწრები და ნახავ“. ნეტავ საიდან მოიტანეს, რომ გენერლებსა და გენერლობას ცხვირს ვუბზეკო – სარკასტულად ფიქრობდა გულში განია. ძმის დახმარების მიზნით ვარვარა არდალიონოვნამ გადაწყვიტა, თავისი სამოქმედო არე გაეფართოებინა და ეპანჩინების ოჯახში შეძვრა, რასაც პატარაობის წლების მოგონებებმაც დიდად შეუწყო ხელი. ისა და მისი ძამია ბავშვობაში ეპანჩინებთან ერთად თამაშობდნენ. აქვე შევნიშნავთ, ვარვარა არდალიონოვნა რომ რაღაც უჩვეულო, ფუჭ ოცნებას ყოფილიყო აყოლილი და ეპანჩინებთან ამ მიზნით გაეჩვია ფეხი, მაშინ ვინძლო მყისვე გამოთიშოდა იმ თანრიგის ხალხს, ვისაც თვითონვე მიაკუთვნა თავი. მაგრამ იგი ფუჭ ოცნებას სულაც არ მისდევდა; მისი მხრივ აქ საკმაოდ საფუძვლიან ანგარიშსაც ჰქონდა ადგილი იმედებს იგი ამ ოჯახის ხასიათზე ამყარებდა. აგლაიას ბუნებას კი გაფაციცებით სწავლობდა. ამოცანად დაესახა, ორივე, აგლაია და ძმა ერთმანეთისკენ შემოებრუნებინა კვლავაც. ვინ იცის, ზოგ რაღაცას იქნებ მართლაც მიაღწია. ვინ იცის, შეცდომაც ბევრი დაუშვა, თუნდაც ის, რომ თავისი ძმის იმედი ჰქონდა და იმას გამოელოდა, რაც განიას არასოდეს არ შეეძლო გაეკეთებინა. ეს კია, ეპანჩინებთან საკმაოდ ოსტატურად მოქმედებდა მთელი კვირები ისე გავიდოდა, ძმის სახელი არ წამოსცდებოდა,

მუდამ ერთობ გულახდილი და გულწრფელი იყო, თავი უბრალოდ, მაგრამ ღირსებით ეჭირა. რაც შეეხება სინდისს, სინდისის ქენჯნის არასოდეს შეშინებია და არც არაფერს საყვედურობდა თავს. სწორედ ეს მატებდა ძალას. მხოლოდ იმას ამჩნევდა ხანდახან თავს, რომ ღვარძლი მასაც ერევა თითქოს, რომ მასშიც ბლომად ბუდობს თავმოყვარეობა და შელახული პატივმოყვარეობა; იყო წუთები, როცა განსაკუთრებით გრძნობდა ამას, ეპანჩინებიდან წამოსული კი თითქმის ყოველთვის.

ჰოდა, ახლაც მათგან ბრუნდებოდა, როგორც უკვე ვთქვით, მჭმუნვარედ ჩაფიქრებული. ამ მჭმუნვარე, ჩაფიქრებულ განწყობაში კი შიგადაშიგ მწარე დაცინვაც იგრძნობოდა. პავლოვსკში პტიცინს ერთი უშნო, მაგრამ დიდი ხის სახლი ეჭირა, რომელიც მტვრიან ქუჩაზე იდგა და რომელიც მალე მთლიანად მისი საკუთრება შეიქნებოდა. ასე რომ, უკვე იმის თადარიგს იჭერდა, თავის მხრივ ახლა სხვისთვის მიეყიდა. პარმაღზე რომ ააბიჯა, ვარვარა არდალიონოვნას ზემო სართულიდან საოცარი ღრიანცელის ხმა ჩამოესმა და გაარჩია, რომ ეს მისი ძამია და მამა ღრიალებდნენ. დარბაზში განია დაუხვდა, რომელიც წინ და უკან დარბოდა გაცოფებული და ფერდაკარგული, ლამის თმებს იგლეჯდა. ამის დანახვაზე ვარვარა არდალიონოვნას სახე მოეღრიცა და დაღლილი სახით დაეშვა დივანზე, ქუდი არც მოუხდია. მშვენივრად იცოდა, კიდევ ერთი წუთით რომ დუმილი გაეგრძელებინა და ძმისთვის არ ეკითხა, ასე რამ აგაწრიალაო, უთუოდ გაუბრაზდებოდა. ამიტომ სასწრაფოდ ჰკითხა:

– თავისას არ იშლის მაინც?

– არ იშლის კი არა და, ეშმაკმა იცის, რას სჩადის! – შეჰყვირა განიამ. – გახელდა ბებერი... დედა ტირის. ღმერთმანი, ვარია, შენ როგორც გინდა და მე კი სახლიდან გავაგდებ, ან... ან მე თვითონ წავალ აქედან, – დააყოლა მერე, რა გაახსენდა ალბათ, რომ სხვისი სახლიდან ხალხის გაყრა არ შეიძლებოდა.

– მოთმინება უნდა იქონიო, - წაიბუტბუტა ვარიამ.

– ვის მოვუთმინო? რა მოვითმინო – ცეცხლი მოეკიდა განიას, – მისი სისაძაგლენი არა, შენ რაც გინდა თქვი და ასე არ შეიძლება, არ შეიძლება, არ შეიძლება და არ შეიძლება! ან ეს რა წესია, თვითონ დააშავო და თვითონვე იყო დიდ გულზე.

„თვალში არ მომდის ჭიშკარი, ახლავე დაანგრიეო!“ ეგრე რად ზიხარ რა ფერი გადევს

– რა და ჩვეულებრივი, – უკმაყოფილოდ მიუგო ვარიამ.

განია დას ჩააკვირდა.

– იქ იყავი? – ჰკითხა უეცრივ.

– იქ.

– მოიცა, ისევ ყვირიან! რა თავის მოჭრაა, მერე და რა დროს!

– ვითომ რა დროა ისეთი არაფერი ისეთი დრო არ არის.

განია კიდევ უფრო ჩააშტერდა დას.

– გაიგე რამე – ჰკითხა მან.

– ყოველ შემთხვევაში, მოულოდნელი არაფერი. გავიგე, რომ ეს ყველაფერი მართალია. ჩემი ქმარი ორთავეზე ჭკვიანი გამოდგა; როგორც თავშივე თქვა, ისე მოხდა. სადაა?

– შინ არ არის. რა მოხდა?

– თავადი ფორმალური საქმროა, გადაწყვეტილი საქმეა. უფროსმა ქალებმა მითხრეს. აგლაია თანახმაა. აღარც მალავენ უკვე (აქამდე ხომ ყველაფერს ჩქმალავდნენ). ადელაიდას ქორწილს ისევ გადადებენ, რა არის ორივე ქორწილი ერთად გადაიხადონ, ერთ დღეს, – პოეზიაა პირდაპირ! ლექსსა ჰგავს. ტყუილად რომ დარბიხარ ოთახში, ადექი და ლექსი გააშანშალე

ჯვრისწერაზე. დღეს საღამოს ბელოკონსკაია ეწვევათ; სწორედ დროზე ჩამოუსწროთ; სტუმრები ეყოლებათ. ბელოკონსკაიას წარუდგენენ, თუმცა იცნობს უკვე; ალბათ გამოაცხადებენ. ოღონდაც იმის შიში აქვთ, სტუმრებთან რომ შემოვა, რამე არ წააქციოს და გატეხოს, ან თავად არ გაიშხლართოს. მისგან მოსალოდნელია.

განიამ დიდი ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ დის გასაკვირად, ამ ამბავს თითქოს არც თუ ისე დაუცია მისთვის მეხი.

– ჰო, ეგ ცხადიც იყო, – ჩაფიქრების შემდეგ თქვა განიამ, – მაშ, მორჩა ყველაფერი! – დასძინა რაღაცნაირი ღიმილით და დას ეშმაკურად ჩააკვირდა სახეში. ბოლთის ცემა არ შეუწყვეტია, ოღონდაც უფრო შეუნელა ნაბიჯს.

– კიდევ კარგი, ფილოსოფიურად რომ შეხვდი; მართალი გითხრა, მიხარია, – უთხრა ვარიამ.

– ლოდი მოგვშორდა, შენ მაინც, ყოველ შემთხვევაში.

– მგონი, წრფელი გულით გემსახურებოდი, განუსჯელად და თავმოუბეზრებლად; არც ის მიკითხავს, რა ბედს ეძებდი აგლაიასთან.

– განა ბედს ვეძებდი?

– თუ შეიძლება, ფილოსოფოსობას ნუ დამიწყებ! რა თქმა უნდა, ასეა. მორჩა და ჩვენც ვიკმაროთ გატუტუცება. გამოგიტყდები და მაგ საქმისათვის სერიოზულად არც არასოდეს შემიხედავს. „ყოველი შემთხვევისათვის“ მოვკიდე ხელი, მისი სასაცილო ხასიათის იმედი მქონდა, უფრო კი შენი გართობა მინდოდა; ოთხმოცდაათი პროცენტი წაგება გვეჭირა. აქამდე არ ვიცი, რა გედო გულში და რისი მიღწევა გსურდა.

– ახლა დამიწყებთ შენ და შენი ქმარი ჩიჩინს, სამსახურში წადიო; ლექციებს გამიბამთ სიჯიუტესა და ნებისყოფაზე, ცოტას იკმარიდე, ბევრი თუ გინდაო და სხვა და სხვა, ზეპირად ვიცი, - გადაიხარხარა განიამ.

„რაღაც ახალი უდევს გუნებაში!“ – გაიფიქრა ვარიამ.

– რაო, მშობლებს უხარიათ? - ჰკითხა ერთბაშად განიამ.

– აა-რა მგონია. თუმცა თავად იცი. ივან ფიოდოროვიჩი კმაყოფილია; დედას ეშინია, წინათაც ზიზღს გვრიდა მისი სიძეობა. არც გასაკვირია.

– მაგაზე არ გეკითხები; მაგის სიძეობა რომ შეუძლებელი და წარმოუდგენელია, მაგას რა ლაპარაკი უნდა. ახლანდელზე გეკითხები, როგორაა საქმე-მეთქი ფორმალური თანხმობა მისცა?

– დღემდე არ უთქვამს „არაო“, ესაა და ეს მაგრამ მისგან სხვა რაა მოსალოდნელი. ხომ იცი, რა უგუნურობამდე მორცხვი და პრუნწკიაა. პატარაობაში კარადაში შეძვრებოდა ხოლმე, ორ-სამ საათს ყურყუტებდა იქ, ოღონდაც სტუმრებთან არ გამოეყვანათ.

გაიზარდა და ახლაც ისეთივე დარჩა. იცი, რატომღაც მგონია, რომ იქ მართლაც რაღაც სერიოზული ამბავია, წარმოიდგინე, მის მხრივაც კი. თავადსო, ამბობენ, დილიდან საღამომდე ყბად იღებს, რა არის არაფერი შეიმჩნიოს, მაგრამ ყოველდღე ალბათ მაინც ახერხებს რაღაც უთხრას უჩუმრად, ვინაიდან ცაში აფრენილივით დადის, გაბრწყინებული სახით... ამბობენ, სასაცილო სანახავიაო. იმათვე მითხრეს. ისიც მომეჩვენა, რომ მეც გამამასხრეს თვალდათვალ უფროსმა დებმა. განიას ბოლოს სახე მოეღუშა; ვინ იცის, ვარია განგებაც არ ეშვებოდა ამ თემას, იმის გასარკვევად, რა ედო ძმას ნამდვილად გულში. მაგრამ ზემოთ ისევ შეიქნა ყვირილი.

– გავაგდებ! – შეჰღრიალა განიამ, თითქოს გაეხარდა, ჯავრის ამოყრის მიზეზი რომ ნახა.

– ეგეც წავა და გუშინდელივით ყველგან მოგვჭრის თავს.

– რაო, გუშინდელივითო? რას ნიშნავს გუშინდელივით განა ეგ... – საშინლად დაფეთდა უეცრივ განია.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ არ იცოდ? - ენაზე იკბინა ვარიამ.

– რაო... მაშ მართალია, გუშინ რომ იქ იყო? – შეჰყვირა განიამ და სირცხვილმა და სიბრაზემ სახე აუწვა, – ღმერთო, შენ ხომ იმათგან მოდიხარ? შემიტყვე რამე ყოფილა? ბებერი ყოფილა თუ არა?

განია კარისკენ გაქანდა. ვარია უკან დაედევნა და ორივე ხელი ჩაავლო.

– რას სჩადი? აბა, სად მიდიხარ? უფრო უარესს იზამს, ყველას დაუვლის!..

– რა უქნია იქ? რა უთქვამს?

– თვითონაც ვერაფერი მითხრეს და იმასაც ვერაფერი გაუგეს. მხოლოდ ყველანი დაუფეთებია. ივან ფიოდოროვიჩი უკითხავს – ის შინ არ ყოფილა. ლიზავეტა პროკოფიევნა მოუთხოვია. ჯერ ადგილზე შეხვეწნია სამსახურში მოწყობაზე, მერე ჩვენზე დაუწყია ჩივილი, ჩემზე, ჩემს ქმარზე, მეტადრე შენზე... ბევრი რამ უყბედია.

– ვერ გაიგე, რა უყბედია? – ისტერიულად ცახცახებდა განია.

– აბა, საიდან! თვითონაც არ ესმოდა ალბათ, რას ამბობდა, ან იქნებ არც მითხრეს ყველაფერი.

განიამ თავში წაივლო ხელები და ფანჯარას მივარდა. ვარია მეორე ფანჯარასთან დაჯდა.

– სასაცილო ვინმეა აგლაია, – წამოილაპარაკა უეცრად, – შემაჩერა და მითხრა „თქვენს მშობლებს ჩემი განსაკუთრებული პატივისცემა გადაეცით; ამ დღეებში უთუოდ მოვინახულებ მამათქვენსო“.

– დაცინვით ხომ არა? დაცინვით ხომ არა?

– სწორედ ეგაა, რომ არა; იმიტომაც გამიკვირდა.

– როგორ გგონია, ბებრის ამბავი იცის?

– იმათსა რომ არ იციან, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ეგ კარგი მითხარი აგლაიამ შეიძლება იცის. მარტო იმან იცის, ვინაიდან დებიც განცვიფრებული დარჩნენ, როცა ასე სერიოზულად დამაბარა მოკითხვა მამასთან. ვითომ რატომ მაინცდამაინც მამასთან თუ იცის, ალბათ თავადმა უთხრა!..

– დიდი ეშმაკობა არ უნდა ამის გამოცნობას, ვინ უთხრა. ქურდი! ეგღა გვაკლდა, ჩვენს ოჯახი ქურდიც რომ ყოფილიყო, ისიც „ოჯახის თავი“!

– ნუ სულელობ! – შეუყვირა ვარიამ, მართლაც გულმოსულმა, – სიმთვრალის ამბავია, მეტი არაფერი. მერე ვისი მოგონილია? ლებედევის, თავადის... თვითონაც კარგი ვინმეები მყვანან; ჭკუის კოლოფები, სულაც არაფრად ვაგდებ მაგ ამბავს.

– მამა ქურდი და ლოთი, – ღვარძლით განაგრძობდა განია, – მე მათხოვარი, სიძე მევახშე, – კაი დასახარბებელი კი ჰქონდა აგლაიას! იფ, რა ლამაზი სურათია!

– ეგ შენი მევახშე სიძე...

– მარჩენს, ხომ? ნუ გერიდება, თქვი.

– რას ბრაზობ? – გონს მოეგო ვარია. – არაფერიც არ გაგეგება, თითქოს მოწაფე ბიჭი იყო. გგონია, ეგ ყველაფერი აგლაიას თვალში რამეს დაგაკლებდა არ გცნობია მისი ბუნება; უპირველეს საქმროს ზურგს შეაქცევს და ვინმე სტუდენტს სხვენზე გაეკიდება სიამოვნებით, რომ იქ შიმშილით მოკვდეს, აი, მისი ოცნება! ვერ იქნა და ვერ გაიგე, მის თვალში რა ფასი გექნებოდა, ჩვენი მდგომარეობა რომ მტკიცედ და ამაყად გადაეტანა. იმიტომაც მოსდო თავადმა ანკესი, რომ, ჯერ ერთი, სულაც არ ცდილობდა მის წამოგებას, მეორეც, რომ ყველას თვალში იდიოტია. იცი, ახლა რა ახარებს? ყველაზე უფრო რომ მისიანებს გულს გაუხეთქავს თავადის ამბით. ე-ეჰ, არაფერი თქვენ არ გესმით!

– მაგასაც ვნახავთ, გვესმის თუ არა, – ორაზროვნად ჩაიდუდუნა განიამ, – მაგრამ ის კი მაინც არ მინდოდა, ბებრის ამბავი გაეგო. მეგონა, თავადი თავს შეიკავებდა, არ უამბობდა. ლებედევიც ხომ მან გააჩერა; არც ჩემთვის უნდოდა ყველაფრის თქმა, როცა ჩავაცივდი...

– მაშასადამე, ხომ ხედავ, უიმისოდაც გაიგეს ყველაფერი. ახლა მაინც რა გენაღვლება რისი იმედი გაქვს რამე იმედი ყოფილიყო, ეს ამბავი უფრო წამებულის გვირგვინს დაგადგამდა მის თვალში.

– ამ რომანიულობის მიუხედავად, აყალმაყალისა მაინც შეეშინდებოდა. ყველაფერი გარკვეულ საზღვრამდე, ყველა გარკვეულ საზღვრამდე, ყველანი ეგეთები ხართ.

– აგლაიას შეეშინდებოდა – გაცეცხლდა ვარია და ზიზღით შეხედა ძმას, – რა სულმდაბალი კაცი ხარ!! არაფრის ღირსი თქვენ არა ხართ. ვთქვათ, სასაცილო და ახირებული ხასიათი აქვს, მაგრამ კეთილშობილებით ჩვენ ყველას ათასჯერ გვაჯობებს.

– კარგი, კარგი, გული ნუ მოგდის, – თვითკმაყოფილებით წაიდუდუნა ისევ განიამ.

– მარტო დედაჩემი მებრალება, – განაგრძო ვარიამ, – მეშინია, მამის ამბავი მის ყურამდე არ მივიდეს, ძალიან მეშინია!

– ალბათ მიუვიდა კიდეც, – შენიშნა განიამ.

ვარია საჩქაროდ წამოდგა, რომ ნინა ალექსანდროვნასთან წასულიყო ზევით, მაგრამ შეჩერდა და განიას დააკვირდა.

– ნეტა ვინ ეტყოდა?

– ვინა და იპოლიტი. ვფიქრობ, პირველი მაგისი სიამოვნება, რა წამს აქ გადმოვიდა, დედაჩემისთვის ამ ამბის მოხსენება იყო.

– კი მაგრამ, საიდან ეცოდინება თავადმა და ლებედევმა ხომ გადაწყვიტეს, არავისთვის ეთქვათ, კოლიამაც კი არაფერი იცის.

– იპოლიტზე ამბობს მაგას? თვითონ გაიგო. ვერ წარმოიდგენ, რა ეშმაკი ვინმეა, რა ჭორიკანა, როგორ მოყნოსავს ყოველნაირ ცუდ ამბავს და აყალმაყალს. გინდ დამიჯერე, გინდა არა, მე კი მწამს, რომ აგლაია უკვე ხელში ჰყავს ჩაჭერილი! ახლა თუ არა, მერე ჩაიჭერს. როგოჟინიც დაუკავშირდა უკვე. ნეტა თავადი როგორ ვერ ამჩნევს! რომ იცოდე, როგორ უნდა ახლა ჩემს ოხტში ამოვიდეს! პირადი მტერი ვგონივარ. მაგას დიდი ხანია მივუხვდი, მაგრამ რა მიზეზია ან რას გამოელის, ვერ გამიგია; დღეს თუ ხვალ სულს გააცხებს! მაგრამ ვერ მივართვი; აი ნახავ, მე თუ არ ამოვიდე იქით მაგის ოხტში!

– ნეტა რად გადმოიტყუე, თუ ეგრე გბუღს? ან ღირს კი მაგის ოხტში ამოსვლა?

– შენ არ მირჩიე, გადმოიტყუეო.

– ვიფიქრე, გამოგვადგება-მეთქი. იცი კი, რომ ახლა თვითონვეა აგლაიაში შეყვარებული და წერილიც მისწერა? იქ გამომკითხეს მაგის ამბები... ლამის ლიზავეტა პროკოფიევნასაც არ მისწერა.

– მაგ მხრივ საშიში არაა! – ბოროტად გადაიხარხარა განიამ, – თუმცა არც ეგრე უნდა იყოს საქმე. შეყვარებული რომაა, ეგ შეიძლება მართალია, ლაწირაკია და ამიტომ!

მაგრამ.... ანონიმური წერილების მიწერას დედაბრისთვის არ იკადრებდა, ეგ ისეთი გულპილწი, თვითკმაყოფილი კნინი სულისა არის! დარწმუნებული ვარ, ნაღდად ვიცი, რომ მის წინ ინტრიგანად გამომიყვანა, მაგით დაიწყო. გამოგიტყდები და თავში ბრიყვივით დავუყაჭე ყველაფერი; ვიფიქრე, თავადზე შურისძიებისთვის ჩემს მხარეს დაიჭერს-მეთქი. დიდი გაიძვერა ვინმეა! ო, ახლა სავსებით ამოვიცანი. ქურდობაზე კი დედამისისგან გაიგებდა, კაპიტნის ქვრივისგან. ბერიკაცმა ხომ კაპიტნის ქვრივის გამო ჩაიდინა ეგ, თუ ჩაიდინა. არც აცივა, არც

აცხელა და პირდაპირ მომახალა, „გენერალი“ დედაჩემს ოთხას მანეთს შეჰპირდაო, პირდაპირ ასე მითხრა, ყოვლად უცერემონიოდ. მაშინ კი მივხვდი ყველაფერს. მერე რა ნეტარებით შემომციცინებდა თვალებში. დედასაც ალბათ მხოლოდ და მხოლოდო იმიტომ უთხრა, გული გაეხეთქა მისთვის და ამით ესიამოვნა. აბა, რატომ არ კვდება, ერთი მითხარი აკი პირობა დადო, სამი კვირის მერე მოვკვდებიო, აქ კი მოიკეთა კიდეც, ხველაც შეუწყდა. წუხელ თვითონვე მითხრა, უკვე მეორე დღეა, სისხლიან ნახველს აღარ ვიღებო.

– შენც ადექი და გააგდე სახლიდან.

– კი არ მძულს, მეზიზღება, – ამაყად წარმოთქვა განიამ. – ჰო, თუნდაც მძულს, ეგრე იყოს! – შეჰყვირა უეცრივ საოცარი გააფთრებით, - პირშიც ვეტყვი ამას, როცა სიკვდილს დააპირებს იმ თავის ბალიშზე! ნეტა ერთი მისი „აღსარება“ წაგაკითხა. ღმერთო, რა მიამიტური უსირცხვილობაა! პორუჩიკი პიროგოვია პირდაპირ, ტრაგიკული ნოზდრიოვი, უმთავრესად კი ლაწირაკი! ო, რა სიამოვნებით გავწკეპლავდი მაშინ, მარტო იმიტომ, რომ განმეცვიფრებინა. ახლა ყველას გვიხდის სამაგიეროს, რაკი მაშინ არაფერი გამოუვიდა... მაგრამ რა ამბავია იქ? ისევ აყალმაყალი შეიქნა! ბოლოს და ბოლოს, რასა ჰგავს ეს ბოლოს და ბოლოს ვეღარ ავიტან. პტიცინ! – დაუყვირა ოთახში შემოსულ პტიცინს, – რასა ჰგავს ეს, სანამდე მივა ჩვენი საქმე? ეგ... ეგ... – მაგრამ ღრიანცელის ხმა თანდათან მოახლოვდა, კარი უეცრივ გაიღო და განრისხებული, წამოჭარხლებული, შეძრწუნებული და არსებიდან გამოსული მოხუცი ივოლგინიც პტიცინს მიეჭრა. გენერალს ნინა ალექსანდროვნა, კოლია და ყველაზე ბოლოს იპოლიტი შემოჰყვა.

II

უკვე ხუთი დღე იყო, რაც იპოლიტი პტიცინთან გადმობარგდა. ეს ამბავი როგორღაც ბუნებრივად მოხდა, იპოლიტსა და თავადს შელაპარაკება არ მოსვლიათ, არც რაიმე უთანხმოება ჰქონიათ. წაჩხუბება კი არა და, ერთი შეხედვით, მეგობრულადაც დაშორდნენ ერთმანეთს. გავრილა არდალიონოვიჩი ხომ ისე მტრულად იყო განწყობილი იმ საღამოს იპოლიტის მიმართ, მაგრამ მერე თავისი ფეხით ეწვია სანახავად. ეს კია, მხოლოდ მესამე დღეს, როგორც ჩანს, რაღაც მოულოდნელი ზრახვით აღძრული. რატომღაც როგორჟინმაც დაიწყო ავადმყოფთან სიარული. პირველ ხანებში თავადს ისე მიაჩნდა, რომ „საცოდავი ბიჭისთვის“ უკეთესი იქნება, თუ სხვაგან გადასახლდებაო. მაგრამ გადასვლის დღეებში იპოლიტმა უკვე დაიწყო ლაპარაკი, პტიცინთან გადავდივარ, „რომელმაც იმდენი სიკეთე გამოიჩინა, კუთხე მომცაო“, ის კი ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ განიასთან გადადის, თუმცა განიას დაჟინებით მიიღეს ამ სახლში. განიამ ეს მაშინვე შეამჩნია და გულში ჩაიხვია. დას რომ უთხრა, ავადმყოფმა მოიკეთაო, ესეც სიმართლე იყო. იპოლიტი მართლაც წინანდელზე რამდენადმე უკეთ გამოიყურებოდა, რასაც ერთი შეხედვით შეამჩნევდა კაცი. ოთახში დინჯად შემოაბიჯა, სახეზე დამცინავი და ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა. ნინა ალექსანდროვნა მეტად შეშინებული შემოვიდა (ამ ნახევარ წელიწადში შესამჩნევად გამოცვლილიყო და შეფერთხილიყო. ვარია რომ გაათხოვა და მასთან საცხოვრებლად გადმოვიდა, მას აქეთ თითქმის აღარც ერეოდა თავის შვილების საქმეში). კოლიას შეცბუნება და გაოგნება ეტყობოდა „გენერლის გაგიჟებაში“, როგორც თვითონ ამბობდა, ბევრი რამ არ ესმოდა, ცხადია, მათი ოჯახის ამ ახალი აყალმაყალის მთავარი მიზეზი არ იცოდა და იმიტომ. მაგრამ ნათლად კი ხედავდა, რომ მამამისი ყოველ წამსა და ყველგან ისეთ აყალმაყალს ქმნიდა, ისე უცბად იცვალა ნირი, რომ თითქოს სულ სხვა კაცი გახდა. ისიც

აფიქრებდა, რომ ამ უკანასკნელი სამი დღის მანძილზე ბერიკაცმა ლოთობაც აიკრძალა სავსებით. იცოდა, რომ ლებედევსა და თავადს ჩამოცილდა და კიდეც წაეჩხუბა. კოლია ეს წუთია მობრუნებულიყო და საკუთარი ფულით ნაყიდი ნახევარი შტოფი არაყი მოეტანა.

– ჰო, დედიკო, ჰო, – არწმუნებდა ჯერ კიდევ ზემოთ ნინა ალექსანდროვნას, – ისევ სჯობია, დალიოს. აგერ სამი დღე არ მიჰკარებია; მაშასადამე, დარდმა შეჭამა ალბათ. ჰო, აგრე აჯობებს; ვალების ციხეშიც დამქონდა მაგისთვის...

გენერალმა კარი ყურთამდე გამოაღო და ზღურბლზე გადმოდგა; აღშფოთებისაგან მთელი ტანი უკანკალებდა.

– მოწყალეო ბატონო! – დასჭექა პტიცინის მისამართით, – თუ რომ მართლა გადაწყვეტილი გაქვთ ამ ცინგლიან ათეისტს შესწიროთ დარბაისელი ჭაღაროსანი, მამათქვენი, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ცოლის მამა, თავისი ხელმწიფის ღირსეული მსახური, ამიერიდან ჩემი ფეხი აღარ გაიჭაჭანებს თქვენსა. ამოირჩიეთ, ბატონო, ამოირჩიეთ ახლავე ან მე... ან ეს... ხრახნი! დიახ, ხრახნი! შემთხვევით ვთქვი, მაგრამ ხრახნი კი გახლავთ! ვინაიდან ხრახნივით მიბურღავს სულს, ყოველგვარი პატივისცემის გარეშე... ხრახნივით!

– ბურაოსავით ხომ არა? – ჩააკერა იპოლიტმა.

– ბურაო არა, რამეთუ მე გენერალი ვარ და არა შენი ბოთლი. მე წარჩინების ნიშნები მაქვს, დიახ, წარჩინების... შენ კი არა გაბადია რა. ან ეგ, ან მე! გადაწყვიტეთ, ბატონო, ამ წუთსავე, ახლავე! – შეჰყვირა ისევ გააფთრებულმა პტიცინის მისამართით. ამასობაში კოლიამ სკამი მოუტანა და თითქმის არაქათგამოცლილი გენერალი ზედ დაებერტყა.

– სჯობია დაიძინოთ, – წაიბურტყუნა გაშეთებულმა პტიცინმა.

– რომ იქადნება კიდეც! – წაულაპარაკა განიამ ხმადაბლა დას.

– დაიძინოთო! – შეჰყვირა გენერალმა, – მე მთვრალი არ გახლავართ, მოწყალეო ბატონო, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ. როგორც ვხედავ, – წამოდგა ისევ, – აქ ყველა ჩემი წინააღმდეგია, ყველა და ყველაფერი. კმარა! მივდივარ... მაგრამ ისიც იცოდეთ, მოწყალეო ბატონო, ისიც იცოდეთ...

გენერალს აღარ დაამთავრებინეს და ისევ დასვეს, დამშვიდდიო, შეეხვეწნენ. გაცოფებული განია კუთხეში მიდგა. ნინა ალექსანდროვნა კანკალებდა და ტიროდა.

– ნეტავ რა დავუშავე? რას მიჩივის? – შესძახა იპოლიტმა და გაიღრიჭა.

– როგორ არ დაგიშავებიათ – შენიშნა უეცრივ ნინა ალექსანდროვნამ, – თქვენ მაინც უნდა გრცხვენოდეთ ბერიკაცის ასე... არაადამიანური წვალება... მეტადრე თქვენს ადგილზე.

– ჯერ ერთი, რა ისეთი ადგილი მაქვს, ქალბატონო! მე დიდ პატივს გცემთ, სწორედ თქვენ, პირადად, მაგრამ...

– ხრახნია, ხრახნი! – გაჰკიოდა გენერალი, – სულსა და გულს მიბურღავს! უნდა, რომ ათეიზმი ვიწამო! იცოდე, შე ლაწირაკო, ჯერ შენ გამომძვრალი არც კი იყავი, როცა მე უკვე პატივსა და დიდებაში ვიყავი. შენ კი ერთი წელში გაწყვეტილი, გასრესილი, ხველებით დამხრჩვალი, შურიანი ჭია ხარ... და ღვარძლსა და ურწმუნოებაში გძვრება სული... ნეტავ რისი გულისთვის გადმოგათრია მაინც გავრილამ ყველა ჩემი წინააღმდეგია, საკუთარი შვილიდან დაწყებული...

– კარგია ერთი, ტრაგედია ნუ გაგვიმართეთ! – დაუყვირა განიამ, – ის გერჩივნათ, მთელ ქალაქში არ მოგეჭრათ ჩვენთვის თავი!

– რაო, ლაწირაკო, მე გჭრი თავს, შენ გჭრი თავის მოჭრა კი არა, პატივს თუ დაგდებ იქით!

გენერალი სკამიდან წამოხტა და ვეღარც დასვეს უკანვე. მაგრამ გავრილა არდალიონოვიჩსაც, ეტყობა, ბოღმა მოერია.

– როგორ არა, პატივი! – ღვარძლით შეჰყვირა მან.

– რაო? – იჭექა გენერალმა და გაფითრებულმა ნაბიჯი გადადგა მისკენ.

– არ მათქმევინოთ თორემ... – შეჰღრიალა უეცრივ განიამ და აღარ დაამთავრა. ორივე ზომაზე მეტად შეძრწუნებული გაჩერებულიყო ერთმანეთის პირისპირ, მეტადრე განია.

– განია, რას სჩადი! – დაუყვირა ნინა ალექსანდროვნამ და განიას მივარდა გასაჩერებლად.

– ყველა გამოტუტუცდა! – აღშფოთებით მოუჭრა ვარიამ, – გეყოფათ, დედა, – და დედას ხელი სტაცა.

– დედაჩემის ხათრით დაგინდობ მარტო, – ტრაგიკულად წამოისროლა განიამ.

– თქვი ბარემ! – ღრიალებდა მთლად გაგიჟებული გენერალი, – თქვი, თუ არ გინდა, მამამ შეგაჩვენოს... თქვი.

– ოჰო, რა შემაშინეთ თქვენი შეჩვენებით! ნეტა რისი ბრალია, ეს მერვე დღე რომ ჭკუაზე არა ხართ მერვე დღე, ხედავთ, გამოთვლილი მაქვს... იცოდეთ, მოთმინებიდან არ გამომიყვანოთ ყველაფერს ვიტყვი... ეპანჩინებთან გუშინ რას მიეთრეოდით მოხუცი მაინც არ იყოთ, ჭაღაროსანი, ოჯახის მამა! ამას დამიხედეთ ერთი!

– განია, გაჩუმდი! – დაუყვირა კოლიამ, – გაჩუმდი, შე სულელო.

– მაინც რით შეურაცხყავით ნეტავ – დაეჩემებინა იპოლიტს, მის კილოში თითქოს ისევ დაცინვა გამოსჭვიოდა, - ხრახნს რად მეძახის, არ გაიგონეთ თვითონვე გამომიწვია; ის იყო მოვიდა და ვიღაც კაპიტან ეროპეგოვზე გამიბა ლაპარაკი. მე სულაც არა მსურს თქვენი ამფსონობა, გენერალო.. თავად მოგეხსენებათ, წინათაც გერიდებოდით. თვითონვე განსაჯეთ, რაში მეკითხება ის კაპიტანი ეროპეგოვი კაპიტან ეროპეგოვისთვის კი არ გადმოვსულვარ აქ. მე მხოლოდ პირში ვუთხარი ჩემი აზრი, ეგ კაპიტანი ეროპეგოვი შესაძლებელია სულაც არ არსებობდა-მეთქი. ამიტომ ატეხა ერთი ვაი-უშველებელი.

- რასაკვირველია, არ არსებობდა! - მოუჭრა განიამ.

გენერალი გაოგნებული იდგა და უაზროდ აცეცებდა თვალებს. შიგ გულში მოხვდა შვილის სიტყვები. პირველ წუთს თითქოს ენა ვერ მოიბრუნა. ხოლო როცა იპოლიტმა გადაიხარხარა განიას პასუხზე და დაუყვირა „ხომ გაიგონეთ, საკუთარმა ვაჟმაც რა თქვა, კაპიტანი ეროპეგოვი არ არსებობდაო“, მთლად დაბნეულმა ბერიკაცმა ესღა ამოილუღლუღა:

– კაპიტონ ეროპაგოვი და არა კაპიტანი... კაპიტონი... გადამდგარი პოლკოვნიკი, კაპიტონი... ეროპეგოვი.

– არც კაპიტონი ყოფილა! – მთლად გაცეცხლდა განია.

– ვ-ვითომ რად არ ყოფილა? – ამოღერღა გენერალმა და სახეში სისხლი მოაწვა.

– გეყოფათ, გეყოფათ! – აწყნარებდნენ პტიცინი და ვარია.

– განია, გაჩუმდი! – ისევ დაუყვირა კოლიამ.

ამ გამოქომაგებამ თითქოს გამოაფხიზლა გენერალი.

– როგორ არ ყოფილა? რატომ არ ყოფილა? – მიახტა ვაჟს.

– იმიტომ, რომ არ ყოფილა. არ ყოფილა და მეტი არაფერი და არც შეიძლება ყოფილიყო! ესეც თქვენ. თავი დამანებეთ-მეთქი, მითქვამს.

– შვილიც ამას ჰქვია... საკუთარი შვილი, ვინც მე... ო, ღმერთო! ეროპეგოვი, ეროშკა ეროპეგოვი არ ყოფილაო!

– აი, ხომ ხედავთ, ხან ეროშკა, ხან კაპიტოშკაო! – ჩაურთო იპოლიტმა.

– კაპიტოშკა, ბატონო, კაპიტოშკა და არა ეროშკა! კაპიტონ, კაპიტან ალექსეევიჩი, ფუჰ, კაპიტონი... გადამდგარი პოდპოლკოვნიკი... ცოლად მარია... მარია პეტროვნა სუ... სუ... ჩემი მეგობარი და ამხანაგი... სუტუგოვა ჰყავდა... ჯერ კიდევ იუნკრები რომ ვიყავით, იმდროიდან. მისი გულისთვის სისხლი... მე ავეფარე... მოჰკლეს მერე. კაპიტოშკა ეროპეგოვი არ არსებობდაო! არ არსებობდაო! – გაჰყვიროდა გამწარებული გენერალი, მაგრამ, ეტყობოდა, სულ სხვას მოეწვა მისთვის კუჭი. სხვა დროს იქნებ კაპიტონ ეროპეგოვის არ ყოფნაზე უფრო საწყენიც გადაეყლაპა, ეყვირა, ეჩხუბა, ერთი ალიაქოთი აეტეხა და ბოლოს მაინც თავის ოთახში ასულიყო დასაძინებლად. მაგრამ ახლა, რა საოცარია ადამიანის გული, და ახლა სწორედ ეს შეურაცხყოფა, ეროპეგოვში დაეჭვება გამოდგა უკანასკნელი წვეთი. ბებერი გენერალი წამოჭარხლდა, ხელები აღაპყრო და დაიღრიალა – კმარა! შემიჩვენებიხარ... შორს ამ სახლიდან! ნიკოლაი, ჩემი საკი წამოიღე, მივდივარ... შორს!

საოცრად განრისხებულმა გენერალმა საჩქაროდ დატოვა ოთახი. ნინა ალექსანდროვნა, კოლია და პტიცინი უკან გამოედევნენ.

– აი, რა ჰქენი! – უთხრა ვარიამ ძმას, – ახლა ვინ იცის, ისევ იქ წაეხეტოს. ეს რა თავის მოჭრაა, რა თავის მოჭრა!

– მაშ, ნუ მოიპარავს! – შეჰკივლა განიამ და სიბრაზემ ლამის დაახრჩო. მაგრამ უეცრივ იპოლიტის მზერას წააწყდა და ლამის აცახცახდა. – თქვენ კი, მოწყალეო ბატონო, – დაუყვირა მას, – არ უნდა დაგვიწყებოდათ, რომ სხვის სახლში ხართ და... არ უნდა გაგეჯავრებინათ ბებერი, რომელსაც ისედაც ჭკუა დააკლდა... იპოლიტს სახე დაეღმიჭა, მაგრამ მყის თავი შეიკავა.

– მაგაში ვერ დაგეთანხმებით, მამათქვენს რომ ჭკუა დააკლდა, – მშვიდად შენიშნა ეს, – პირიქით, მგონი, კიდეც მოემატა ამ უკანასკნელ ხანს, ღმერთმანი, არ გჯერათ ისეთი ფრთხილი, ეჭვიანი გახდა, სულ რაღაცას იძიებს, ყოველ სიტყვას სწონის... იმ კაპიტოშკაზე ხომ განზრახ ჩამომიგდო სიტყვა. წარმოგიდგენიათ, მარწმუნებდა...

– ფეხებზე მკიდია, რაში გარწმუნებდათ, გთხოვთ, ეშმაკობა და თავის დაძვრენა აქ არ დამიწყოთ, ბატონო! – შესჭყივლა განიამ. – თუ თქვენც იცით, რა მიზეზითაა ბებერი ამ დღეში (ალბათ იცით, ეს ხუთი დღე ისე ჯაშუშობთ), არ უნდა გეკადრებინათ იმ უბედურის გაგულისება და არც დედაჩემი უნდა გეწვალებინათ საქმის გაბერვით, ვინაიდან სულელური საქმეა, სიმთვრალის ბრალია, სხვა არაფერი, არც დამტკიცებულია ჯერ და არც მე არაფრად ვაგდებ... მაგრამ ადამიანის მოშხამვას და ჯაშუშობას არაფერი გირჩევნიათ, იმიტომ, რომ...

– ხრახნი ვარ, – ჩაეცინა იპოლიტს.

– იმიტომ, რომ საძაგელი ხართ, ნახევარი საათი სული ამოჰხადეთ ხალხს, დაშინება გინდოდათ, თავს მოვიკლავ დაუტენავი დამბაჩითო, ასე უწამუსოდ კი მოგვატყუეთ, თვალთმაქცო თავისმკვლელო, ორფეხა... გამსკდარო ნაღველო. სახლში გისტუმრეთ, გაგასუქეთ, ხველაც შეგიწყდათ, სამაგიეროს კი რითი მიხდით...

– თუ შეიძლება, ორი სიტყვა მათქმევინეთ, მე ვარვარა არდალიონოვნას სახლში ვიმყოფები და არა თქვენსა. თქვენ კი არ მისტუმრეთ, ჩემის აზრით, თქვენ თვითონაც ბატონ პტიცინის სტუმარი ხართ. ოთხი დღის წინათ დედაჩემს ვთხოვე პავლოვსკში ბინა დაეჭირა ჩემთვის და თვითონაც გადმოსულიყო, ვინაიდან აქ მართლაც უკეთ ვგრძნობ თავს, თუმცა სულაც არ გავსუქებულვარ და მაინც მახველებს. დედამ გუშინ შემომითვალა, ბინა მზადააო, ასე რომ, მინდა გაცნობოთ, წუხელ მივიღე გადაწყვეტილება და დღესვე ჩემს ბინაში გადავდივარ, თქვენ დედასა და დაიას კი მადლობას მოვახსენებ. უკაცრავად, გაგაწყვეტინეთ; მგონი, კიდევ ბევრი გინდოდათ გეთქვათ.

– ო, თუ ასეა... – აცახცახდა განია.

– ხოლო თუ ასეა, ნება მიბოძეთ, დავჯდე, – დაუმატა იპოლიტმა და არხეინად წამოიჭიმა იმ სკამზე, სადაც გენერალი იჯდა, – რაც უნდა იყოს, ავადმყოფი კაცი ვარ; აბა, ახლა გისმენთ, მით უმეტეს, ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარი და, იქნებ, უკანასკნელი შეხვედრაც იყოს.

განიას ერთბაშად შერცხვა.

– მერწმუნეთ, თავს ისე არ დავიმცირებ, ანგარიშის სწორება დაგიწყოთ, თუკი თქვენ...

– ეგ ქედმაღლობა არაფრად გჭირდებათ, – გააწყვეტინა იპოლიტმა, – ჩემის მხრივ აქ გადმოსვლის პირველსავე დღეს სიტყვა დავდე, არ დამეკლო სიამოვნება და ყოველივე გადმომეშალა თქვენთვის, არაფერი დამეფარა, როცა დავემშვიდობებით ერთმანეთს. ჰოდა, სწორედ ახლა ვაპირებ ამას, ცხადია, თქვენს შემდეგ.

– მე კი გთხოვთ, ეს ოთახი დატოვოთ.

– გირჩევნიათ, ყველაფერი გადმოალაგოთ, ხომ ვიცი, მერე ინანებთ, რად არ ვთქვი ბოლომდეო.

– გეყოფათ, იპოლიტ, როგორ არა გრცხვენიათ, ძალიან გთხოვთ, გაჩერდეთ! – უთხრა ვარიამ.

– რაკი ქალი მთხოვს, რა გაეწყობა, – გაეცინა იპოლიტს და წამოდგა, – კეთილი, ვარვარა არდალიონოვნა, თქვენი ხათრით შევამოკლებ, მხოლოდ შევამოკლებ, ვინაიდან მე და თქვენ ძამიას შორის აუცილებელია ზოგი რამის გარკვევა, მე კი ვერაფრის დიდებით ვერ წავალ ისე, გაუგებარი დავტოვო რამე.

– ჭორიკანა ხართ და მეტი არაფერი, – შესძახა განიამ, – იმიტომაც არ გინდათ გაუჭორავად წასვლა.

– ხომ ხედავთ, თავი მაინც ვერ შეიკავეთ, – აუღელვებლად შენიშნა იპოლიტმა. – მართლა ინანებთ, თუ ყველაფერი არ გადმოალაგეთ. ერთხელ კიდევ დამითმია სიტყვა. მოგიცდით.

გავრილა არდალიონოვიჩი დუმდა და ზიზღით უცქერდა.

– არ გნებავთ. ხასიათის გამოჩენა გადაგიწყვეტიათ. თქვენი ნებაა. ჩემი მხრივ, რაც შეიძლება მოკლედ ვიტყვი. ორჯერ თუ სამჯერ დამაყვედრეს დღეს, სტუმრად მიგიღეთო; მართალი არ ბრძანდებით. აქ რომ მომიპატიჟეთ, იქით მიგებდით მახეს, იმ იმედით, თავადზე შურს ვიძიებდი. იმასაც ყური მოჰკარით, რომ აგლაია ივანოვნამ თანაგრძნობა გამოიჩინა და ჩემი „აღსარება“ წაიკითხა. რაკი გეგონათ, არ ვიცი კი რატომ, რომ თქვენ ინტერესებს დავიცავდი, იმედი აღგეძრათ, იქნებ ჩემში დამხმარე გეპოვნათ. უფრო წვრილად აღარ გამოვუდგები ამ ამბავს! არც თქვენი გამოტეხვა მინდა თუ დასტური; დაე თქვენმა სინდისმა განგსაჯოთ, ისიც კმარა, რომ ერთმანეთისა მშვენივრად გვესმის.

– ღმერთმა არ იცის, უბრალო საქმიდან რა შეჰქმენით! – შესძახა ვარიამ.

– განა არ გითხარით „ჭორიკანა და ლაწირაკია-მეთქი“, – წარმოთქვა განიამ.

– უკაცრავად, ვარვარა არდალიონოვნა, მე განვაგრძობ. ცხადია, არც თავადის სიყვარული შემიძლია და არც მისი პატივისცემა; მაგრამ კეთილი კაცი რომაა, ლაპარაკი არ უნდა, თუმცა კი... სასაცილოა. ის რომ შევიძულო, საამისო მიზეზიც კი არა მაქვს; როცა თქვენი ძამია მის წინააღმდეგ მაქეზებდა, თავი მოვიკატუნე, სწორედ იმ ანგარიშით, რომ ბოლოს მეცინა. ვიცოდი, თქვენი ძმა რომ ყველაფერს დამიყაჭავდა და დიდადაც შეცდებოდა. ასეც მოხდა... ახლა მზადა ვარ დავინდო, მაგრამ მხოლოდ თქვენი ხათრით, ვარვარა არდალიონოვნა. რაკი ის აგიხსენით, რომ ჩემი მახეში გაბმა არც ისე ადვილი გახლავთ, ბარემ იმასაც აგიხსნით, რად მინდოდა ასე თქვენი ძმის გატუტუცება. მაშ იცოდეთ, რომ ეს მხოლოდ სიძულვილმა ჩამადენინა, გულახდით გამოგიტყდებით. სიკვდილის წინ (ვინაიდან მაინც მოვკვდები, თუმცა კი, თქვენი თქმით, მოვსუქდი კიდეც), სიკვდილის წინ ვიგრძენი, რომ სამოთხეში გაცილებით გულდამშვიდებით

შევიდოდი, თუკი ერთს მაინც გავატუტუცებდი იმ უთვალავი ჯურის ხალხიდან, რომელიც მთელი ჩემი სიცოცხლე მძულდა და რომელთა ესოდენ თვალსაჩინო წარმომადგენელი თქვენი დიდად პატივცემული ძამია ბრძანდება. მარტო იმიტომ მძულხართ, გავრილა არდალიონოვიჩ, – იქნებ კი გასაკვირად დაგრჩეთ, – მარტო იმიტომ, რომ ყველაზე უსირცხვილო, ყველაზე თვითკმაყოფილი, ყველაზე უხამსი და ბილწი ორდინარობის ხორცშესხმული განსახიერება ბრძანდებით! იმ ყოყლოჩინა ორდინარობისა, ეჭვი რომ არაფერში ეპარება, ოლიმპიურად დამშვიდებული რომაა; რუტინაზე რუტინა რომაა, თავის დღეში ერთი საკუთარი აზრი არ აღგეძრებათ არც თავში და არც გულში. მაგრამ შურით კი ხართ გატენილი; მტკიცედ გწამთ, რომ უდიდეს გენიად დაბადებულხართ, მაგრამ ეჭვი მაინც გეწვევათ ხოლმე ზოგ-ზოგჯერ უბედურ წუთებში, ბრაზით სკდებით და შურით იხრჩობით. ო, ჰორიზონტზე ჯერ კიდევ გაქვთ შავი წერტილები; ისინიც გაქრება, როცა საბოლოოდ გამოთაყვანდებით, რასაც ბევრი ცდა არ დასჭირდება; მაგრამ წინ მაინც კარგა გზა გიდევთ გასავლელი, გზა მრავალფერი, სამხიარულო-თქო, ვერ ვიტყვი და მიხარია, რომ ვერ ვიტყვი. ისიც წინასწარ დამითქვამს, რომ თქვენთვის ცნობილ არსებას ვერ მიწვდებით...

– ეს პირდაპირ აუტანელია! – შეჰყვირა ვარიამ. – მორჩებით თუ არა, საზიზღარო ავგულავ?

ფერდაკარგული განია კანკალებდა და დუმდა. იპოლიტი შეჩერდა, ჯერ მას გაუყარა თვალი უდიდესი სიამოვნებით, მერე ვარიას გადახედა, ჩაიცინა, თავი დაუკრა და გავიდა. კრინტი აღარ დაუძრავს.

გავრილა არდალიონოვიჩს ჭეშმარიტად შეეძლო თავის ბედსა და უკუღმართობაზე დაეჩივლა. რამდენიმე ხანს ვარიამ ვერც გამოლაპარაკება გაუბედა და ვერც შეხედვა, როცა განია მის გვერდით წინ და უკან დაალაჯებდა. ბოლოს ფანჯარასთან მივიდა და ზურგით დადგა. ვარიას რუსული ანდაზა გაახსენდა „ჯოხს ორი ბოლო აქვსო“.

ზემოდან ისევ ხმაური მოისმა.

– მიდიხარ? – მოტრიალდა უეცრივ განია, რა გაიგონა, ვარია ადგაო. – მოიცა, ერთი ამას დახედე.

მერე მივიდა და ბარათივით დაკეცილი პატარა ქაღალდი დაუგდო სკამზე.

– ღმერთო ჩემო! – შეჰკივლა ვარიამ და ხელი ხელს შემოჰკრა.

წერილში შვიდად შვიდი სტრიქონი იყო:

„გავრილა არდალიონოვიჩ! რაკი დავრწმუნდი, ჩემთვის სიკეთე გსურთ, გადავწყვიტე ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში რჩევა გკითხოთ. მინდა ხვალ დილით, ზუსტად შვიდ საათზე შეგხვდეთ მწვანე სკამთან, ჩვენი აგარაკიდან შორს არაა. ვარვარა ადლადიონოვნამ, რომელიც უთუოდ უნდა იახლოთ, მშვენივრად იცის ის ადგილი. ა. ე.“

– მოდი ახლა და დაუჯერე რამე! – ხელები გაშალა ვარვარა არდალიონოვნამ.

აბა, რა ეტრაბახებოდა ამ წუთას განიას, მაგრამ შეეძლო კი, არ გამოეხატა სიხარული, მეტადრე იპოლიტის იმ დამამცირებელი წინასწარმეტყველების შემდეგ. სახე კმაყოფილების ღიმილმა გაუბრწყინა, ვარიაც გაიბადრა.

– მერე რა დღეს, როცა ნიშნობა უნდა გამოაცხადონ! მოდი ახლა და დაუჯერე რამე!

– როგორ გგონია, ხვალ რაზე მელაპარაკება? – ჰკითხა განიამ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თავი და თავი ისაა, ექვსი თვის შემდეგ პირველად მოისურვა შენი ნახვა. გამიგონე განია იქ რაც არ უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა შეტრიალდეს საქმე, იცოდე, ეს საგულისხმოა! მეტისმეტად საგულისხმო! ბაქიაობა არ დაიწყო შენებურად, ისევ მარცხი არ მოგივიდეს, მაგრამ არც დაიხიო, იცოდე! ვითომ არ მიხვდებოდა, ეს ექვსი თვე რად

დავწანწალებდი იქ წარმოიდგინე კი სიტყვა არ დასცდენია დღეს ჩემთან, არა დაიმჩნია რა, მე ხომ უჩუმრად მივედი იქ, დედაბერმა არც იცოდა ჩემი მისვლა, თორემ გამომაგდებდა ალბათ. შენი გულისთვის წავედი ამ რისკზე, რაც არ უნდა დამჯდომოდა, მინდოდა გამეგო...

ზემოთ ისევ ყვირილი და ხმაური შეიქნა; რამდენიმე კაცი კიბეზე ჩამოდიოდა.

– ახლა არაფრის დიდებით არ შეიძლება ამის დაშვება! – აწრიალდა შეშინებული ვარია, – აყალმაყალის მსგავსი არაფერი არ უნდა მოხდეს! გასწი, პატიება სთხოვე.

მაგრამ ოჯახის მამა უკვე ქუჩაში იყო. კოლია უკან მისდევდა საკით. ატირებული ნინა ალექსანდროვნა პარმაღზე იდგა; უკან გამოკიდება უნდოდა, მაგრამ პტიცინი არ უშვებდა.

– უარესად აგულიანებთ, – ეუბნებოდა ის, – აბა, სად წავა, ნახევარი საათის შემდეგ უკანვე მოიყვანენ, კოლიას უკვე ველაპარაკე; დააცათ, გული მოიფხანოს.

– აბა, რას ყოყოჩობთ, სად მიდიხართ! – გადმოსძახა ფანჯრიდან განიამ, – წასასვლელი რომ არსადა გაქვთ!

– დაბრუნდით, მამილო! – დაუყვირა ვარიამ, – მეზობლებს ესმით.

გენერალი შედგა, მოტრიალდა, ხელი აღაპყრო და შესძახა:

– წყეულიმც იყოს ეს სახლი!

– უთუოდ თეატრი უნდა გამართოს! – ჩაიბუზღუნა განიამ და ფანჯარა მიაჯახუნა.

მეზობლები, მართლაც, უსმენდნენ. ვარია ოთახიდან გავარდა.

მისი გასვლისთანავე განიამ მაგიდიდან წერილი აიღო; აკოცა, ენა დააწკლაპუნა და ერთი შეიკუნტრუშა.

III

სხვა დროს გენერლის ეს აყალმაყალი ალბათ უშედეგოდ დამთავრდებოდა. წინათაც წამოუვლიდა ამგვარი ხუშტურები, თუმცა საკმაოდ იშვიათად, ვინაიდან, საერთო ჯამში, მეტად თვინიერი და თითქმის სათნო კაცი იყო. ერთი ასჯერაც შეეცადა ამ უკანასკნელ წლებში, თავის უბედურ ხასიათს შებრძოლებოდა. გაახსენდებოდა ანაზდად, რომ „ოჯახის მამაა“, ცოლს შეურიგდებოდა, გულწრფელ ცრემლებს დააფრქვევდა. ნინა ალექსანდროვნას პატივს სცემდა და აღმერთებდა, ვინაიდან ასე უხმოდ უთმენდა ყველაფერს და ეგზომ გაპამპულებული, დამცირებული ქმარი მაინც უყვარდა. მაგრამ ვაი, რომ საკუთარ ბუნებასთან ეს სულგრძელი ჭიდილი ხანმოკლე იყო. გენერალს, თავისებურად მეტისმეტად „ფიცხი“ გრძნობების კაცს, ჩვეულებრივ, დიდხანს ვერ უძლებდა გული, თავის ოჯახში მშვიდად ეცხოვრა და ბოლოს ამბოხით ამთავრებდა თუმცა, ვინ იცის, იმ წუთსვე ნანობდა ამას. მაგრამ რა ექნა, თუკი გული არ უძლებდა! წაეჩხუბებოდა ყველას, მოჰყვებოდა ყოყლოჩინა, მაღალფარდოვან ლაპარაკს, მოითხოვდა ყველას უსაზღვრო, წარმოუდგენელი პატივი ეცა მისთვის და ბოლოს სახლიდან გადაიხვეწებოდა ხოლმე, ზოგჯერ კარგა დიდი ხნითაც. უკანასკნელი ორი წელი თავისი ოჯახის ამბები ზოგადად ან ყურმოკვრით იცოდა მხოლოდ, დაწვრილებით კი აღარ ჩასდევდა, ვინაიდან აღარც ენაღვლებოდა.

მაგრამ ამჯერად „გენერლის აყალმაყალში“ რაღაც უჩვეულო რამ იგრძნობოდა. თითქოს ყველამ რაღაც იცოდა და ყველას ეშინოდა, რაღაც ეთქვა. გენერალი თავის ოჯახს, ანუ ნინა ალექსანდროვნას მხოლოდ ამ სამი დღის წინათ გამოეცხადა „ფორმალურად“, მაგრამ თუ წინათ მუდამ ქედმოდრეკით და მონანიებით სჩვეოდა „გამოცხადება“, ახლა გაგულისებული ეწვია.

სულ ენად იყო გაკრეფილი, აფორიაქება ეტყობოდა, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდა, მაშინვე გაცხარებულ ლაპარაკს გაუბამდა, მაგრამ ისეთ მოულოდნელ და სხვადასხვა საგნებზე, რომ კაცი ვერ გაუგებდა, რა აწუხებდა სინამდვილეში. დროდადრო მხიარული იყო, მაგრამ უფრო მეტად ფიქრები სჯაბნიდა, ხოლო რა ფიქრები, თვითონაც არ იცოდა. ეპანჩინებზე, თავადზე და ლებედევზე უეცრივ წამოიწყებდა ლაპარაკს, მერე უცბადვე შეწყვეტდა და პირში წყალს ჩაიგუბებდა, ხოლო თუ რასმე შეეკითხებოდნენ, ლენჩივით გაიღიმებდა და ვერც ამჩნევდა, რომ იღიმებოდა. უკანასკნელი ღამე ოხვრა-კვნესით გაათენა. დატანჯული ნინა ალექსანდროვნა მთელი ღამე რატომღაც ცხელ-ცხელ საფენებს ადებდა. მხოლოდ გათენებისას ჩასთვლიმა, ოთხი საათი ეძინა და მეტისმეტად არეულ, იპოხონდრიულ გუნებაზე გამოეღვიძა. რაც იპოლიტთან ჩხუბითა და „სახლის დაწყევლით“ დამთავრდა. ისიც შენიშნეს, რომ ეს სამი დღე პატივმოყვარეობის გრძნობა წამდაუწუმ ეძალებოდა. ამის შედეგად ყველაფერი საოცრად სწყინდა. კოლია დაჟინებით არწმუნებდა დედას, ან ღვინის წყურვილი კლავს ან ლებედევის უნახაობა ადარდებს, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ძალზე შეეთვისაო. მაგრამ სამი დღის წინ ლებედევს უეცრად წაეჩხუბა და საშინლად გაცოფებული დაშორდა. თავადისთვისაც რაღაც სცენა გაემართა. კოლიამ თავადს სთხოვა, ამ ამბავში გაერკვია და ბოლოს ეჭვი შეეპარა, ისიც რაღაცას მიმალავსო. თუ იპოლიტსა და ნინა ალექსანდროვნას რაღაც განსაკუთრებული ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანეთში, როგორც ეს განიას მიაჩნდა უცილობლად, მაშინ საკვირველია, რომ ამ გულპილწმა ვაჟბატონმა, ვისაც განიამ ასე აშკარად ჭორიკანა უწოდა, კოლიასაც არ აუხილა თვალი. მაგრამ იქნებ ის არც ისეთი „ლაწირაკი“ იყო, როგორც განიას გამოჰყავდა დასთან საუბარში და სხვაგვარი გულპილწობა სჩვეოდა. ისიც საეჭვოა, თავისი დაკვირვების რაიმე შედეგი ნინა ალექსანდროვნასთვის მხოლოდ და მხოლოდ „მისი გულის გახეთქვის“ მიზნით ეთქვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა მოქმედების მიზეზები, ჩვეულებრივ, ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ჩვენ მუდამ ვხსნით ხოლმე ბოლოს, და იშვიათად შეიძლება მათი გარკვევით მოხაზვა. მოამბისთვის ზოგჯერ იმას არაფერი სჯობს, ამბავთა მსვლელობის უბრალო გადმოცემა იკმაროს. ჩვენც ამ გზას დავადგებით გენერლის თავზე დამტყდარი კატასტროფის გარკვევისას; რამეთუ ჩვენი მეცადინეობის მიუხედავად, მაინც იძულებული ვართ, ჩვენი მოთხრობის ამ მეორეხარისხოვან გმირსაც რამდენადმე მეტი ყურადღება და ადგილი დავუთმოთ, ვინემ ნავარაუდევი გვქონდა.

ამბავთა მსვლელობა კი ასეთი რიგით მისდევდა ერთმანეთს:

როცა პეტერბურგში ფერდიშჩენკოს საძებნელად გამგზავრებული ლებედევი იმავე დღეს დაბრუნდა გენერალთან ერთად, თავადისთვის განსაკუთრებული არაფერი უცნობებია. თუ რომ იმ ხანად თავადი მისთვის უფრო მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებებით არ ყოფილიყო მეტისმეტად დაკავებული, არ გამოეპარებოდა, რომ არც შემდგომ ორ დღეს მოუხსენებია მისთვის ლებედევს რამე, პირიქით, თითქოს გაურბოდა და პირს არიდებდა რატომღაც. ბოლოს კი მიაქცია თავადმა ამას ყურადღება და გაუკვირდა კიდეც, რომ იმ ორ დღეს, როცა შემთხვევით ლებედევს შეხვდებოდა, ამ უკანასკნელს საოცრად გაბრწყინებული სახე ჰქონდა და თითქმის მუდამ გენერალთან ერთად იყო. ორი მეგობარი უკვე წუთითაც ვეღარ სძლებდა უერთმანეთოდ. თავადს ზოგჯერ ზემოდან ხმამაღალი და გაცხარებული ლაპარაკი, ხარხარი და მხიარული კამათი ჩამოესმოდა; ერთხელ, კარგა გვიან ღამით, უეცრივ სამხედრო-ვაკხური სიმღერის მოულოდნელი ხმები გაიგონა და მაშინვე იცნო გენერლის ჩახრინწული ბანი. მაგრამ სიმღერა უეცრივ შეწყდა. შემდეგ ერთი საათი კიდევ ისმოდა შეზარხოშებულთა მეტად აღტყინებული საუბარი. ეტყობოდა, ზემოთ მოქეიფე მეგობრები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ერთი კიდეც

ატირდა ბოლოს. შემდეგ ამას უეცრივ მაგარი ჩხუბი მოჰყვა; რაც ასევე სწრაფად და მალე დამთავრდა. მთელი ეს ხანი კოლია რაღაც განსაკუთრებით შეწუხებული ჩანდა. თავადი მეტწილად შინ არ იყო ხოლმე და ხანდახან ძალიან გვიანაც ბრუნდებოდა; მუდამ ახვედრებდნენ ამბავს, კოლია მთელი დღე გეძებდათ და გკითხულობდათო, მაგრამ შეხვედრების დროს კოლია განსაკუთრებულს არაფერს ეუბნებოდა, გარდა იმისა, რომ გადაჭრით „უკმაყოფილო“ იყო გენერლითა და მისი ახლანდელი მოქმედებით. „აქვე მახლობელ სამიკიტნოში დაეთრევიან, თვრებიან, შუა ქუჩაში ეხვევიან, ლანძღავენ და აგულიანებენ ერთმანეთს და ვერა და ვერ დაშორებულანო“... როცა თავადმა შენიშნა, წინათაც ლამის ყოველდღე იგივე მეორდებოდაო, კოლიამ პასუხი ვერ მოუძებნა ამაზე და ვერც ის აუხსნა, კერძოდ, რა აწუხებდა ახლა.

მეორე დილას, ვაკხური სიმღერის და ჩხუბის შემდეგ, ასე, თერთმეტ საათზე თავადი გარეთ გასვლას აპირებდა. უეცრივ წინ რაღაცით მეტისმეტად აღელვებული და შეძრწუნებული გენერალი აესვეტა.

– დიდი ხანია თქვენთან შეხვედრის პატივსა და მიზეზს ვეძებდი, დიდად პატივცემულო ლევ ნიკოლაევიჩ, დიდი, დიდი ხანია, – წაიბურდღუნა მან და ისე ღონივრად ჩამოართვა ხელი თავადს, ლამის მოამტვრია.

თავადმა, დაბრძანდითო, სთხოვა.

– არა, არ დავჯდები, თანაც არ დაგაყოვნებთ, შემდეგისთვის იყოს. მგონი, შემიძლია მოგილოცოთ თქვენი... გულის წადილის... შე... შესრულება.

– რა გულის წადილის? – აირია თავადი. როგორც ყველა მისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხს, მასაც ეგონა, ვერავინ ვერაფერს ხედავს, ამჩნევს და ხვდებაო.

– არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო! თქვენს უნაზეს გრძნობებს არ შევეხები. თავადაც გამოცდილი მაქვს და ვიცი, როცა უცხო... ასე ვთქვათ, არამკითხე... ანდაზა რომაა. იქ ეჩრება, საცა არ ეკითხებიან. ამას ყოველ დილით განვიცდი. მე სხვა საქმეზე გეახელით, დიდ საქმეზე, ძალზე დიდ საქმეზე, თავადო.

თავადმა კიდევ გაუმეორა, დაბრძანდითო, და თვითონაც დაჯდა.

– ჰო, ერთი წუთით მხოლოდ... მე რჩევის საკითხავად მოვსულვარ. მე, ცხადია, პრაქტიკული მიზნები ცხოვრებაში არ გამაჩნია, მაგრამ ჩემი თავის პატივისცემა და... საქმის სიყვარული, რასაც აბუჩად ეკიდება რუსი კაცი, ზოგადად რომ ვთქვათ...

მაიძულებს საკუთარი თავი, ჩემი ცოლი, ჩემი შვილები... ერთი სიტყვით, მე რჩევა მინდა, თავადო.

თავადი გულმხურვალედ დაეთანხმა ამაში.

– ოჰ, ეგ სისულელეა, – სწრაფად შეაწყვეტინა გენერალმა, – თავი და თავი ეს კი არაა, სხვაზე მინდა გელაპარაკოთ, სხვაზე და მნიშვნელოვანზე. იცით, ლევ ნიკოლაევიჩ, გადავწყვიტე ამეხსნა თქვენთვის, რომლის გულწრფელ დახვედრასა და კეთილშობილურ გრძნობებში ისე... ვარ დარწმუნებული, ვითარცა... ვითარცა... არ გიკვირთ ჩემი სიტყვები, თავადო?

გაკვირვებით არა და, მეტისმეტი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით კი ადევნებდა თვალს თავადი თავის სტუმარს. ბერიკაცი რამდენადმე ფერწასული ჩანდა, ტუჩები შიგადაშიგ უკანკალებდა, ხელები ერთ ადგილზე მოსვენებით ვერ გაეჩერებინა. ხომ რამდენიმე წუთს იჯდა, მაგრამ ამასობაში უკვე ორჯერ წამოდგა უეცრად და ისევ უეცრად დაჯდა, ეტყობოდა, ანგარიშს ვერ აძლევდა თავის საქციელს. მაგიდაზე წიგნები ეწყო. ლაპარაკში ჯერ ერთ წიგნს დაავლო ხელი, გადაშლილ გვერდს დახედა, მყისვე ისევ დახურა და უკანვე დადო, მერე მეორეს, ოღონდ ის აღარ გადაუშლია, მარჯვენა ხელში დაიკავა და ჰაერში წამდაუწუმ აქნევდა.

– კმარა! – შესძახა უეცრივ, – ვამჩნევ, დიდად შეგაწყინეთ თავი.

– რას ბრძანებთ, სულაც არა, პირიქით, ყურს გიგდებთ და მინდა გავიგო...

– თავადო! მე მსურს საპატივცემულო მდგომარეობაში ჩავიყენო თავი... მსურს ჩემს თავსა... და ჩემს უფლებებს პატივს ვცემდე.

– ვისაც ასეთი სურვილი აქვს, უკვე ღირსია ყოველგვარი პატივისცემის.

თავადი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს გაცვეთილი ფრაზა მშვენიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა. რატომღაც ქვეშეცნეულად მიხვდა, რომ ამისთანა არაფრისმთქმელი, მაგრამ ლამაზი სიტყვებით შეიძლებოდა ისეთი კაცის მონადირება და დაშოშმინება, მეტადრე ასეთ მდგომარეობაში, როგორშიც გენერალი იყო. ყოველ შემთხვევაში, გულმოხებული უნდა გაეშვა და სწორედ ეს შეადგენდა მის მიზანს.

წინადადებამ აამა, გული აუჩვილა გენერალს და ძალზეც მოეწონა უეცრივ გრძნობები მოერია, მყის კილო იცვალა და გრძელ-გრძელ აღტაცებულ ახსნა-განმარტებებს მოჰყვა. მაგრამ როგორც არ ატანდა ძალას თავს თავადი, როგორც არ უკვირდებოდა მის სიტყვებს, ვერ იქნა და ვერაფერი გაუგო. გენერალი ათიოდე წუთს ლაპარაკობდა გაცხარებით და ჩქარ-ჩქარა, თითქოს ვეღარ ასწრებდა მოჯარული ფიქრების გამოთქმას. ბოლოს ცრემლებიც კი აუკიაფდა თვალებში, მაგრამ მისი წინადადებანი მაინც უთავბოლო იყო. გულის სიღრმიდან გადმოხეთქა ამ სიტყვებმა და ფიქრებმა და აღარ აცდიდნენ გენერალს, დაელაგებინა.

– კმარა! გამიგეთ და მეც დავმშვიდდი, – დაასკვნა ერთბაშად გენერალმა და წამოდგა, – თქვენისთანა გულის კაცმა არ შეიძლება ტანჯულს არ გაუგოს. თქვენ მეტისმეტად კეთილშობილი ბრძანდებით, თავადო! ვერავინ შეგედრებათ, მაგრამ ყმაწვილი ხართ და დამილოცნიხართ. ბოლოს და ბოლოს, იმად გეახელით, დრო დამინიშნოთ დიდ საქმეზე მოსალაპარაკებლად, ჩემი ერთადერთი იმედი ეგ არის. მე მხოლოდ მეგობრობას და გულს ვეძიებ, თავადო; ჩემს გულისთქმას ვერასოდეს მოვერიე.

– განა ახლა არ შეიძლება მე მზად ვარ მოგისმინოთ...

– არა, თავადო, არა! – ფიცხად შეაწყვეტინა გენერალმა, – ახლა არა! ახლა ეს ოცნებაა! ეს მეტისმეტად დიდი, დიდი საქმეა! ამ საუბრის ჟამი ბედის საბოლოო გადაწყვეტის ჟამი იქნება. ეს ჩემი ჟამი იქნება და არ ვისურვებდი, რომ ამ წმიდათაწმიდა წუთს პირველ შემოხეტებულ ლირფს შეეწყვიტა იგი, ისეთ ლირფს, – უეცრივ თავადისკენ გადაიხარა გენერალი უცნაური, იდუმალი და თითქმის შეშინებული ჩურჩულით, – ისეთ ლირფს, ვინც ღირსიც არაა თქვენი ფეხის... ქუსლი იყოს, საყვარელო თავადო! ო, ჩემი-თქო არ ვამბობ! კარგად დაიხსომეთ, ჩემიო არ მითქვამს. საკმაო პატივს კი ვცემ თავს, რომ მიუკიბ-მოუკიბავად ვთქვა ეს; მაგრამ ვიცი, მხოლოდ თქვენ გამიგებთ, რომ იქნებ ღირსების მეტისმეტი სიამაყე გამოვიჩინე, როცა ამ შემთხვევაში ჩემი ქუსლი უარვყავი. თქვენს გარდა სხვა ვერავინ გამიგებს, ის კი ყველაზე ნაკლებ. იმას არაფერი ესმის, თავადო; სრულიად, სრულიად არაფერი! გული უნდა ჰქონდეს, კაცს, რომ გაიგოს!

თავადი ცოტას გაწყდა, არ დაფრთხა ბოლოს. გენერალს მეორე დღის ამავე საათზე დაუნიშნა პაემანი. ისიც გამხნევებული, ერთობ დანუგეშებული და თითქმის დამშვიდებული გავიდა. საღამოს, შვიდ საათზე, თავადმა ლებედევს შეუთვალა, ერთი წუთით შემოსულიყო.

ლებედევი საოცარი სისწრაფით ეახლა, კარებიდანვე დაიწყო „მესმის და ვაფასებ მაგ პატივსო!“ ოდნავადაც არ ეტყობოდა, რომ ეს სამი დღე თითქოს ემალებოდა და თავს არიდებდა თავადს. სკამის კიდეზე რომ ჩამოჯდა, მანჭვა-გრეხას მოჰყვა, თვალებში კვიმატურად შესციცინებდა, ხელებს იფშვნეტდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მიამიტურად ელოდა, რომ რაღაც დიდ ამბავს

ეტყოდნენ, დიდი ხნის ნალოდინებსა და საყოველთაოდ ცნობილს. თავადი შეიშმუშნა. მისთვის აშკარა იყო, რომ ყველა თითქოს რაღაცას გამოელის მისგან, ყველა ისე შესცქერის, თითქოს რაღაც სურთ მიულოცონ გადაკრულად, ღიმილითა და თვალის პაჭუნით. კელერმა უკვე სამჯერ შემოირბინა მასთან თითო წუთით, ეტყობოდა, იმასაც უნდოდა მოლოცვა. ყოველ მოსვლაზე აღფრთოვანებით, გაურკვევლად იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ არ ამთავრებდა და სწრაფად გაეცლებოდა ხოლმე (ამ ბოლო ხანებში სადღაც მაგრა თვრებოდა და რომელიღაც საბილიარდოს აყრუებდა ქაქანით). კოლიამაც კი, იმ თავისი დარდის მიუხედავად, ერთი-ორჯერ გაურკვეველ რაღაცაზე ჩამოუგდო სიტყვა. პირდაპირ და ცოტა არ იყოს გულმოსულად ჰკითხა თავადმა ლებედევს, გენერლის ახლანდელ მდგომარეობაზე რას ფიქრობ და ასე რამ შეგაშფოთაო რამდენიმე სიტყვით გადასცა წეღანდელი სცენა.

– ყველას თავისი დარდი აქვს, თავადო, მეტადრე ამ ჩვენს უცნაურსა და აფორიაქებულ საუკუნეში; დიახ, ბატონო, – რამდენადმე მშრალად მიუგო ლებედევმა და ისეთი ნაწყენი სახით დადუმდა, როგორც იმედებგაცრუებული კაცი.

– რა ფილოსოფოსობის გუნებაზე ხართ! – ჩაეცინა თავადს.

– ფილოსოფია საჭირო გახლავთ, ბატონო, ძალიანაც საჭირო ამ ჩვენს საუკუნეში, პრაქტიკული მიზნით. მაგრამ მას უგულებელჰყოფენ, დიახ, უგულებელჰყოფენ.

ჩემის მხრივ კი, აი, რას მოგახსენებთ, დიდად პატივცემულო თავადო. მართალია, შიგადაშიგ პატივსა მდებდით და ნდობას მიცხადებდით ზოგიერთ თქვენთვის ცნობილ საკითხში, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე... იმ საკითხის მიღმა კი – არა. ეს მე მესმის და არ ვჩივი.

– თითქოს გულმოსული ხართ რაღაცაზე, ლებედევ?

– არამც და არამც, დიდად პატივცემულო და სხივმოსილო თავადო, არამც და არამც! – აღტაცებით შეჰყვირა ლებედევმა და გულზე ხელი მიიდო, – პირიქით, მყისვე ჩავწვდი და ვიაზრე, რომ არც ჩემი წონით საზოგადოებაში, არც გონებისა და გულის განათლებით, არც დაგროვილი სიმდიდრით, არც ჩემი წინანდელი საქციელით თუ ცოდნით – თქვენს საპატიო ნდობას არ ვიმსახურებ. თუმცა კი დიდად საიმედო იქნებოდა ეს ჩემთვის... - ახლა შემიძლია მხოლოდ გემსახუროთ, ვითარცა მონა და დაქირავებული კაცი, სხვა მხრივ არა... გული არ მომდის, მხოლოდ მწყდება, ბატონო, მწყდება.

– ლუკიან ტიმოფეიჩ, იწამეთ ღმერთი!

– სხვა მხრივ არა! ასეა ახლაც, ამ შემთხვევაში! თქვენ რომ გხვდებოდით და თქვენს გრძნობებს და ფიქრთ თვალს ვადევნებდი, ჩემთვის ვამბობდი მეგობრული გრძნობების გაზიარების ღირსი არა ვარ, მაგრამ ვითარცა სახლის პატრონმა იქნებ მივიღო-მეთქი თავის დროზე, ასე ვთქვათ, განკარგულება ან დიდი-დიდი გაფრთხილება ზოგიერთ მომავალ და მოსალოდნელ ცვლილებათა გამო.

და ლებედევი ისევ კვიმატურად ჩააშტერდა თავადს, რომელიც განცვიფრებული შეჰყურებდა. კიდევ იმედი ჰქონდა ლებედევს, რომ ცნობისმოყვარეობას დაუკმაყოფილებდნენ.

– სწორედ არაფერი მესმის, - შესძახა თავადმა ლამის რისხვით და უცბად გულწრფელად გადაიხარხარა, – არა, რა საშინელი ინტრიგანი ყოფილხართ!

უმალ გაიცინა ლებედევმაც, გაუბრწყინდა თვალები და დაეტყო, რომ იმედები ისევ გაუცოცხლდა და გაუორკეცდა კიდეც.

– იცით, რას გეტყვით, ლუკიან ტიმოფეიჩ გული კი ნუ მოგივათ, მაგრამ პირდაპირ მაკვირვებს ეგ თქვენი მიამიტობა, თუმცა მარტო თქვენი კი არა! ისე მიამიტურად გამოელით ჩემგან

რაღაცას, სწორედ ახლა, ამ წუთს, პირდაპირ მრცხვენია, რომ ვერაფრით გაგახარებთ; ღმერთს გეფიცებით, სათქმელი არაფერი მაქვს!

თავადს ისევ გაეცინა.

ლებედევი წელში გაიმართა. ცნობისმოყვარეობა, მართლაც, მეტისმეტად მიამიტსა და აბეზარს ხდიდა ხანდახან, მაგრამ, ამასთან, საკმაოდ ეშმაკი და გაქნილი კაცი იყო, ზოგ შემთხვევაში მეტისმეტი ცბიერული დუმილიც იცოდა. ლამის მტრად გადაეკიდა თავადს, როცა იმან ახლოსაც არ გაიკარა და მესაიდუმლედ არ გაიხადა. მაგრამ თავადს ხომ ეს ზიზღით არ მოსდიოდა, მისი ცნობისმოყვარეობის თემა მეტად ფაქიზი იყო და ამიტომ. თავისი ზოგიერთი ნაოცნებარი აქამდე, სულაც რამდენიმე დღის წინათ, თავადს უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა. მაგრამ ლუკიან ტიმოფეიჩი კი ამ უარს პირად ზიზღსა და უნდობლობაში ართმევდა, გულგასიებული გაეცლებოდა ხოლმე და არა მარტო კოლიასა და კელერს, საკუთარ ქალს, ვერა ლუკიანოვნასაც ეჭვიანობდა თავადთან. ვინ იცის, სწორედ ამ წუთს გულწრფელად ეწადა, თავადისთვის ფრიად საინტერესო ამბავი ეცნობებინა, მაგრამ ჯიუტად დაიდო ენაზე კლიტე და არაფერი უთხრა.

– მაშ რით შემიძლია გემსახუროთ, დიდად პატივცემულო თავადო, რაკი თქვენი სურვილით მიხმეთ ახლა? – მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა ლებედევმა.

– რა და გენერლის ამბავი მინდოდა მეკითხა, – შეკრთა თავადი, რომელიც ასევე ჩაფიქრებულიყო, – ისიც მაინტერესებდა, დანაკარგისა რა ჰქენით...

– რა დანაკარგზე მეუბნებით, ჩემო ბატონო?

– ვითომ არ იცით, რაზე! ოჰ, ლუკიან ტიმოფეიჩ, რას მსახიობობთ ყველაფერში, ღმერთო ჩემო! ფული, ფული, ოთხასი მანეთი რომ დაკარგეთ მაშინ საფულიანად, პეტერბურგში გამგზავრების წინ რომ მოხვედით დილაადრიან და მიამბეთ, - ახლა მაინც ვერ მიხვდით?

– აჰ, ამ ოთხას მანეთზე მეუბნებით! – ისე გააჭიანურა ლებედევმა, თითქოს მხოლოდ ეს წუთია ჩახვდაო, – მადლობას მოგახსენებთ, თავადო, რომ გულწრფელად გაწუხებთ ჩემი ამბავი; ჩემთვის ეს ფრიად საამაყოა, ოღონდაც... ფული ვიპოვე, ბატონო, ჩემო, კარგა ხანია ვიპოვე.

– იპოვეთ?! მადლობა ღმერთს!

– ეგ წამოძახილი თქვენს კეთილშობილებას მოწმობს, რამეთუ ღატაკსა და წვრილი ობლების პატრონისათვის, ვისაც რის ვაინაჩრობით გააქვს თავი, ოთხასი მანეთი არცთუ ისე პატარა ამბავია...

– მაგაზე არ მითქვამს! რა თქმა უნდა, რომ იპოვეთ, ეგეც მახარებს, - სწრაფად გამოასწორა თავადმა, – მაგრამ... მაინც როგორ იპოვეთ?

– სულ უბრალოდ, ბატონო, სკამის ქვეშ ვიპოვე, რომელზეც სერთუკი ეკიდა, როგორც ჩანს, საფულე ჯიბიდან იატაკზე გადმოვარდნილა.

– სკამის ქვეშ? ეგ შეუძლებელია, თქვენ არ მითხარით, ყველა კუნჭული გადავქექეო; ეგ მთავარი ადგილი როგორღა გამოგრჩებოდათ?

– საქმეც ეგაა, რომ არ გამომრჩა! ვაი, რომ ძალიან კარგად მახსოვს, არ გამომრჩა! სულ მუხლის თავებზე ვიხოხე, ხელები ვაფათურე, სკამიც გადავდგი, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე ვხედავ, არაფერია, აი, როგორც ჩემს ხელის გულზე, მაგრამ მაინც ვაფათურე ხელები. როცა გულით გინდა რამე მონახო, მუდამ ასეთი სულმოკლეობა აგიტანს ხოლმე... თუ საკმაოდ მნიშვნელოვანი და გულდასაწყვეტი რამ დაგეკარგა... ხედავ არაფერია, მაგრამ თხუთმეტჯერ მაინც მოუბრუნდები სანახავად.

– ჰო, იქნებ ეგრეც იყოს, ოღონდ მაინც ვერ გამიგია, ეს როგორღა მოხდა? – წაიდუდუნა გაოგნებულმა თავადმა, – აკი თქვით, წინათ არ იყო, იმ ადგილზე ვძებნეო, ახლა კი უეცრად გაჩნდა?

– ახლა კი უეცრად გაჩნდა, ბატონო.

თავადმა რაღაც უცნაურად შეხედა ლებედევს.

– გენერალმა რაო? – ჰკითხა ანაზდად.

– როგორ რაო? – ისევ ვერ მიუხვდა ლებედევი.

– აჰ, ღმერთო ჩემო! მე გეკითხებით, გენერალმა რა თქვა-მეთქი, როცა სკამის ქვეშ საფულე ნახეთ? წინათ ხომ ერთად ეძებდით.

– დიახ, ერთად. მაგრამ ამჯერად, გამოგიტყდებით და დადუმება ვარჩიე, არ განვუცხადე, რომ საფულე უკვე ვნახე.

– ვითომ რატომ? ფულს არ აკლია?

– საფულე გავხსენი; მანეთიც არ აკლია.

– ნეტავ ჩემთვის მაინც გეთქვათ, – ჩაფიქრებით შენიშნა თავადმა.

– მომერიდა თქვენი შეწუხება, თავადო, პირადი და ასე ვთქვათ, საგანგებო შთაბეჭდილებანი ისედაც არ გაკლდათ; გარდა ამისა, ისეთი სახე მივიღე თავად, ვითომც არაფერი მენახოს. საფულე გავხსენი, გავსინჯე, მერე დავხურე და ისევ სკამის ქვეშ დავდევი.

– ნეტა რატომ?

– ისე. მაინტერესებდა, შემდეგ რა იქნება-მეთქი, – ჩაიხითხითა უეცრად ლებედევმა და ხელები მოიფშვნიტა.

– მაშ ეს სამი დღე იქა დევს?

– ო, არა; მარტო ერთი ღამე იდო. იცით, მინდოდა, რომ გენერალსაც ეპოვა. ვინაიდან, მე თუ მომხვდა, ვითომ გენერალს რად არ უნდა მოხვედროდა თვალში, ასე ვთქვათ, სკამქვეშ გამოსაჩენად დაგდებული საგანი. რამდენჯერმე ავწიე სკამი და გადავდგი, ასე რომ, საფულე უკვე აშკარად ჩანდა, მაგრამ გენერალი ვერა და ვერ ამჩნევდა მაინც. ჰოდა, ერთი დღე და ღამე იქ იდო. ეტყობა, დიდი უგულისყურობა შეჰყრია ახლა, ვერაფერს გაუგებ; მელაპარაკება, მიყვება რაღაცას, იცინის, ხარხარებს, მერე უცბად შემომწყრება, არ ვიცი, რატომ. ბოლოს, ოთახიდან გამოსვლისას კარი განზრახ ღია დავაგდე; ერთი პირობა კი შეყოყმანდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, ალბათ საფულის შეეშინდა, ამდენი ფული რომ იყო შიგ, მაგრამ მერე უცბად საშინლად გაბრაზდა და არაფერი მითხრა. ორი ნაბიჯიც არ გაგვევლო, ქუჩაში მიმატოვა და სხვა მხარეს წავიდა. საღამოსღა შევხვდით სამიკიტნოში ერთმანეთს.

– კი, მაგრამ ბოლოს ხომ აიღეთ სკამის ქვეშ საფულე?

– არა, ბატონო, იმ საღამოსვე გაქრა იქიდან.

– ახლა სადაა?

– აი აქ, – გაეცინა ლებედევს, სკამიდან წამოიმართა და თავადს საამურად შესციცინა, – ერთბაშად აქ გაჩნდა, ჩემი სერთუკის კალთაში. აი, ინებეთ და თვითონ გასინჯეთ. სერთუკის მარცხენა კალთა წინიდან მართლაც შესამჩნევად იყო გამობერილი, ხელის დადებით მყისვე გამოიცნობდა კაცი, რომ შიგ ტყავის საფულე ეგდო, გახეული ჯიბიდან ჩავარდნილი.

– ამოვიღე და დავათვალიერე, ყველაფერი ხელუხლებლად დამხვდა, დიახ. მერე ისევ შიგ ჩავუშვი, გუშინ დილიდან მოყოლებული ასე დავდივარ, კალთით დავათრევ, ლამის ფეხებზე მირტყამს.

– და ვითომ ვერ ამჩნევთ?

– ვითომ ვერ ვამჩნევთ, – ჰი-ჰი! ისიც წარმოიდგინეთ, დიდად პატივცემულო თავადო, თუმცა აბა რა თქვენი ყურადღების ღირსია, ჯიბე თავის დღეში გახეული არ მქონია, უცბად კი ერთ ღამეში ისეთი ნახვრეტი გამიჩნდა! კარგად დავაკვირდი და თითქოს ჯაყვით გაუჭრია ვიღაცას; დაიჯერებთ ამას?

– მერე და გენერალმა... რაო?

– გუშინს აქეთ შემომწყრალია, საშინლად უკმაყოფილო ჩანს; ხან პირფერობამდე მხიარულსა და ვაკხურ გუნებაზეა, ხან ატირებას არაფერი აკლია, ხან კი ისე გამირისხდება, ლამის სული გამეპაროს შიშით. ღმერთმანი, მე ხომ სამხედრო კაცი არა ვარ, თავადო. გუშინ სამიკიტნოში ვსხედვართ, ერთიც ვნახოთ, ეს კალთა გამომეწია, ზვინად აიმართა; თვალს აპარებს მისკენ და ბრაზობს. თვალებს დიდი ხანია უკვე ვეღარ მისწორებს თუ ძალზე შეზარხოშებული ან გრძნობამორეული არაა. მაგრამ გუშინ ერთი-ორჯერ ისე შემომხედა, ბალანი ამეშალა. თუმცა საფულის ნახვას ხვალ ვაპირებ, ხვალამდე კი ამ საღამოს ერთი კიდევ წავიქეიფებ მასთან.

– აბა, რატომ აწვალებთ ასე? – შესძახა თავადმა.

– არ ვაწვალებ, არა, თავადო, – მხურვალედ დაატანა ლებედევმა, – მე წრფელი გულით მიყვარს ეგ კაცი და... პატივსა ვცემ. გინდა დამიჯერეთ, გინდ არა, ახლა უფრო ძვირფასი გახდა ჩემთვის; უფრო მეტად ვაფასებ! ლებედევმა ისე გულწრფელად და სერიოზულად წარმოთქვა ეს სიტყვები, თავადი აღშფოთდა კიდეც.

– გიყვართ და ასე კი აწვალებთ! განა ვერა გრძნობთ, როცა ასე დასანახად დაგიდოთ დაკარგული ფული, ჯერ სკამის ქვეშ და მერე კალთაში, ამით პირდაპირ გაგრძნობინათ, რომ ეშმაკობას არ აპირებს თქვენთან და მიამიტურად გთხოვათ, მაპატიეო, გესმით მაპატიეო! მაშასადამე, თქვენი გულისხმიერების იმედი აქვს; მაშასადამე, სჯერა, რომ მისი მეგობარი ხართ. თქვენ კი ასე ამცირებთ ამ... ამ უპატიოსნეს კაცს!

– უპატიოსნესს, თავადო, უპატიოსნესს! – აიტაცა ლებედევმა და თვალები აუელვარდა, – მარტო თქვენ თუ შეგეძლოთ, თავადო, ასეთი მართალი სიტყვა გეთქვათ! ამიტომაც ვარ თქვენი მონა-მორჩილი და გაღმერთებთ კიდეც, თუმცა კი სულით ხორცამდე გამხრწნა ჩემმა ცოდვებმა! მორჩა! ახლავე ვპოულობ საფულეს, ახლავე, და არა ხვალ; აგერ, თქვენ თვალწინ ამომაქვს; აგერ ისიც. აგერ მთელი ფულიც; აგერ, აიღეთ უკეთილშობილესი თავადო, და ხვალამდე შემინახეთ. ხვალ ან ზეგ გამოგართმევთ; იცით, თავადო, ეჭვი არ მეპარება, რომ დაკარგვის პირველ ღამეს ეს საფულე სადმე ჩემს ბაღჩაში ქვის ქვეშ იდო მთელი ღამე; როგორ გგონიათ?

– იცოდეთ, პირდაპირ არ მიახალოთ, საფულე ვნახეო. ნახავს, კალთაში აღარ გიგდიათ და თვითონვე მიხვდება.

– ვითომ ვითომ არა სჯობს, ვიპოვე-მეთქი ვუთხრა და თავი მოვიკატუნო, აქამდე ვერ მივხვდი-თქო

– აა-რა, – ჩაფიქრდა თავადი, – აა-რა, ახლა უკვე გვიანაა, უფრო საშიშია; მართლა ნუ ეტყვით, სჯობია! მას კი ტკბილად მოექეცით, ოღონდაც... არ გადაამლაშოთ და... იცით...

– ვიცი, თავადო, ვიცი, ანუ ვიცი, რომ მგონი, ვერ აღვასრულო, რამეთუ აქ თქვენისთანა გული უნდა ჰქონდეს კაცს. თანაც მე ბღიზიანი და ფხუკიანი გახლავართ, ის კი მეტისმეტად ქედმაღლურად მექცევა ხოლმე შიგადაშიგ; ხან ფშლუკუნებს და მეხვევა, ხან მამცირებს და აბუჩად მიგდებს; ჰოდა, მეც ავდგები ხოლმე და კალთას მივუშვერ, ჰი-ჰი! ნახვამდის, თავადო, როგორც ჩანს, გაყოვნებთ და ხელს გიშლით, ასე ვთქვათ, საინტერესოზე საინტერესო გრძნობებში...

– ოღონდაც, ღვთის გულისათვის, არავისთან დაგცდეთ!

– ჩუმად მივსდიოთ, ჩუმად!

ეს საქმე დამთავრებული იყო, მაგრამ თავადი წინანდელზე მეტად შემცბარი დარჩა. გენერალთან ხვალინდელ შეხვედრას მოუთმენლად ელოდა.

IV

შეხვედრა თორმეტზე იყო დანიშნული. მოულოდნელად თავადს შეაგვიანდა. გენერალი უკვე შინ დაუხვდა. თავადმა მაშინვე შეატყო სტუმარს უკმაყოფილება, ალბათ, რომ ალოდინა, ამიტომ. თავადმა ბოდიში მოუხადა და სასწრაფოდ დაჯდა. მაგრამ რაღაც უცნაურ კრძალვას აეტანა, თითქოს მისი სტუმარი ფაიფურისა ყოფილიყო და ეშინოდა, არ შემომატყდესო. წინათ ეს კრძალვა არასოდეს უგრძვნია გენერლის მიმართ, არც უფიქრია ამაზე. ისიც მალე შენიშნა თავადმა, რომ გუშინდელი აფორიაქებისა და არეულობის ნაცვლად მის სტუმარს რაღაც საოცარი თავშეკავება ეტყობოდა; თითქოს რაღაც საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა ეს უფრო გარეგნული სიმშვიდე იყო. მაგრამ ასეა თუ ისე, გენერალს კეთილშობილურად, თავისუფლად ეჭირა თავი და არც საკუთარ ღირსებას ივიწყებდა. ასე გასინჯეთ, თავდაპირველად თითქოს ოდნავ მედიდურადაც იქცეოდა, სწორედ ისე, როგორც ზოგიერთ ამაყ, მაგრამ უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანს სჩვევია ხოლმე. მის ტკბილ საუბარს ოდნავ სევდიანი კილო დაჰკრავდა.

– აი, თქვენი წიგნი, ამ წინებზე რომ წავიღე, – მრავლის მეტყველად გაიქნია გენერალმა თავი მაგიდაზე დადებული წიგნისკენ, – მადლობას მოგახსენებთ.

– აი, მაშ წაიკითხეთ ეგ სტატია, გენერალო მოგეწონათ საინტერესოა არა – გაეხარდა თავადს, რომ გარეშე საგანზე ლაპარაკის საშუალება მიეცა.

– საინტერესო კია, ოღონდაც უხეშად გახლავთ დაწერილი, და, რა თქმა უნდა, სისულელეა. ვინ იცის, ყოველ ნაბიჯზე ტყუის.

გენერალი რიხით ლაპარაკობდა და სიტყვებსაც ოდნავ აჭიანურებდა.

– მერე და, რა მიამიტურია, მოხუცი ჯარისკაცის ნაამბობი[110] მოსკოვში ფრანგების შემოსვლის შესახებ. ზოგიერთი რამ პირდაპირ მშვენივრად არის დაწერილი, თანაც მომსწრეთა ყოველნაირი მოგონება ძვირფასი გახლავთ, ვინც არ უნდა იყოს ის მომსწრე. ხომ მართალია?

– მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავ, არ დავბეჭდავდი; რაც შეეხება, საერთოდ, მომსწრეთა მოგონებებს, უსირცხვილო მატყუარას უფრო დაუჯერებენ, თუ ენა უჭრის, ვინემ ღირსეულსა და დამსახურებულ კაცს. მე ვიცი თორმეტი წლის ზოგიერთი ჩანაწერი, რომლებიც... მე გადავწყვიტე, თავადო, ლებედევის სახლი დავტოვო. გენერალმა მრავლისმეტყველად გადახედა თავადს.

– ბინა ხომ გაქვთ პავლოვსკში... თქვენს ქალთან... – წაილაპარაკა თავადმა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. გაახსენდა, რომ გენერალი საგანგებო საქმეზე რჩევის საკითხავად იყო მოსული.

– დიახ, ჩემს ცოლთან; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემს... ჩემი ქალის სახლში...

– უკაცრავად, მე...

– ლებედევის სახლს, ძვირფასო თავადო, იმიტომ ვტოვებ, რომ ამ კაცთან გავწყვიტე ყველაფერი. გავწყვიტე წუხელ, თუმცა ადრევეც უნდა მექნა ეს. მე მინდა, პატივით მომექცნენ, თავადო, მომექცნენ ის ადამიანებიც, ვისაც, ასე ვთქვათ, ჩემი გული ვაჩუქე. თავადო, მე ხშირად

ვჩუქნი ხოლმე გულს და თითქმის მუდამ მოტყუებული ვრჩები. ეს კაცი ღირსი არ გახლავთ ჩემი საჩუქრის.

– დაწყობილი კაცი მართლაც ვერ არის, – თავშეკავებით შენიშნა თავადმა, – და ზოგი რამ ისეთიც სჩვევია... მაგრამ გულითადობა მაინც არ აკლია შიგადაშიგ და თან, ეშმაკური, საყურადღებო ჭკუაც აქვს.

ამ ზრდილმა, ნატიფმა სიტყვებმა და მოწიწებულმა კილომ, ეტყობა, გული მოუფონა გენერალს, თუმცა ხანდახან მაინც უნდობლად შეავლებდა ხოლმე თავადს თვალს. მაგრამ თავადი ისე ბუნებრივად, წრფელად ლაპარაკობდა, ეჭვის მიტანა შეუძლებელი იყო.

– რომ კარგი თვისებებიც გააჩნია, – დასძინა გენერალმა, – პირველმა მე განვაცხადე ეს და ლამის ჩემი მეგობრობა შევთავაზე ამ ინდივიდუმს. მაგრამ მისი სახლი და მისი მასპინძლობა მე არაფერში მჭირდება, რამეთუ საკუთარი ოჯახი მაქვს. მე ჩემს ცოდვებს არ ვამართლებ, თავშეუკავებელი გახლავართ. ვინ იცის, რამდენჯერ მისვამს მასთან ერთად ღვინო, რასაც მწარედ ვნანობ ახლა. მაგრამ განა მარტო ღვინის სიყვარულით გადავეკიდე (აპატიეთ, თავადო, გაგულისებულ კაცს ასეთი უხეში გულახდილობა), განა მარტო ღვინის სიყვარულით მე სწორედ მაგ თვისებებმა მომხიბლა, თავადო, რაც თქვენა ბრძანეთ. ოღონდ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, წარმოიდგინეთ, თვისებებსაც; როცა ეგ კაცი უეცრად პირში თავხედურად დამიწყებს რწმუნებას, თითქოს მან თორმეტ წელში, პატარა ბალღი რომ იყო, მარცხენა ფეხი დაჰკარგა და ვაგანკოვის სასაფლაოზე დამარხა მოსკოვში, განა ეს საზღვარს გადაცილება, უპატივცემულობა, თავხედობა არ არის!

– იქნებ იხუმრა მხოლოდ.

– მესმის, ბატონო. უწყინარი ხუმრობა, ტლანქიც რომ იყოს, ადამიანის გულს არ შეურაცხყოფს. ზოგს, თუ გნებავთ, მეგობრობა ათქმევინებს ხოლმე ტყუილს, რა არის მოსაუბრეს აამოს; მაგრამ თუ ამაში უპატივცემულობა გამოსჭვივის, თუ იქნებ სწორედ ამდაგვარი უპატივცემულობით უნდა იმის ჩვენება, რომ შენთან კავშირი უმძიმს, მაშინ კეთილშობილ კაცს რა დარჩენია, თუ არა ზურგი აქციოს და ეს კავშირი გაწყვიტოს, მის შეურაცხმყოფელს კი მის ჭეშმარიტ ადგილზე მიუთითოს. გენერალს ამ სიტყვებზე სახე წამოუწითლდა.

– მაგრამ ლებედევს თორმეტ წელში რა უნდოდა; საამისოდ ძალიან ახალგაზრდაა; სასაცილოა, პირდაპირ.

– ჯერ ერთი, ეგ; მაგრამ, ვთქვათ და იმ წლებში დაიბადა. ოღონდ იმაში როგორ მარწმუნებს ასე ურცხვად, რომ ფრანგმა შასიორმა ზარბაზანი დაუმიზნა და ფეხი მოაწყვიტა სეირის გულისთვის, რომ ფეხი შინ წაიღო, მერე ვაგანკოვის სასაფლაოზე დამარხა, ძეგლიც დაუდგა, ერთ მხარეს წააწერა „აქ კოლეჟსკი სეკრეტარის ლებედევის ფეხი მარხიაო“, მეორეზე კი „განისვენე, ტკბილო ნეშტო, ვინემ სიხარულის დილა გაგითენდებაო“; და რომ ბოლოს ყოველწლიურად პანაშვიდს უხდის (გაგიგონიათ მსგავსი მკრეხელობა), და ამისათვის ყოველ წელიწადს მიემგზავრება მოსკოვში. ამის დასამტკიცებლად მოსკოვში მეპატიჟება, სასაფლაოსაც გაჩვენებ და იმ ფრანგულ ზარბაზანსაცო, რომელიც ჩვენებს ჩავარდნიათ თურმე დავლად და კრემლში ინახება. მარწმუნებს, ალაყაფის კარიდან მეთერთმეტე, ძველებური ყაიდის ფრანგული ფალკონეტი რომაა, ისააო.

– ორთავე ფეხი კი საღი აბია! ყველა ვხედავთ, – გაეცინა თავადს, – მერწმუნეთ, უწყინარი ხუმრობაა და გული ნუ მოგივათ.

– მაგრამ, ნება მიბოძეთ, მეც გავიგო, ბატონო. ფეხს რომ ყველა ხედავს, ეს, ვთქვათ, კიდევ არაფერს ამტკიცებს; მარწმუნებს, ჩერნოსვიტოვის ფეხიაო...

– ჰოო, ჩერნოსვიტოვის ფეხით, ამბობენ, ცეკვაც შეიძლებაო.

– დიახ, ვიცი; ჩერნოსვიტოვმა ეს ფეხი რომ გამოიგონა, პირველ ყოვლისა, ჩემთან მოირბინა და მაჩვენა. მაგრამ ჩერნოსვიტოვის ფეხი გაცილებით გვიანაა გამოგონებული... იმაშიც კი მარწმუნებს, რომ არც ჩემმა განსვენებულმა ცოლმა იცოდა მთელი ჩემი ცოლქმრობის მანძილზე, თუ ხის ფეხი მქონდაო. ეს რომ აღარ დავუჯერე, მითხრა თუკი შენ თორმეტ წელში ნაპოლეონის კამერ-პაჟი იყავი, ნება მიბოძე, ჩემი ფეხი ვაგანკოვზე დავმარხოო.

– განა თქვენ... – დაიწყო თავადმა, მაგრამ შერცხვა და აღარ დაასრულა.

გენერალმა დიახაც მედიდურად და თითქმის დაცინვით გადმოხედა თავადს.

– დაასრულეთ სათქმელი, თავადო, დაასრულეთ, გული არ მომივა, თქვით ყველაფერი. თქვით, რომ სასაცილოდ მიგაჩნიათ ასეთი დამცირებული... ასეთი უმაქნისი კაცი პირადი მოწმე იყოს... დიადი ამბების. იმას ჯერ არაფერი... უტარტარებია თქვენთან

– არა, თუ ლებედევს გულისხმობთ, არა უთქვამს რა ჩემთვის.

– ჰმ, პირიქით მეგონა. გუშინ სწორედ არქივის მაგ.. უცნაური წერილის გამო მოგვივიდა წალაპარაკება. ვთქვი, უაზრობაა-მეთქი, და, რაკი მე თავად პირადი მოწმე გახლდით... გამჩნევთ, გეღიმებათ, თავადო

– აა-რა, მე...

– შეხედულება ახალგაზრდული მაქვს, – ტკეპნიდა სიტყვებს გენერალი, – მაგრამ ხნით კი მეტისა ვარ, ვინემ ვჩანვარ. თორმეტ წელში ათი თუ თერთმეტისა ვიქნებოდი. ჩემი წლები მეც არ ვიცი ხეირიანად. ნამსახურების ნუსხაში ნაკლები მიწერია; სულო ცოდვილო, და ხანი მეც არა ერთხელ დამიკლია.

– დამიჯერეთ, გენერალო, სულაც არ მიკვირს, რომ თორმეტ წელში მოსკოვში ბრძანდებოდით და... სხვა მომსწრეებივით, რა თქმა უნდა... თქვენც შეგიძლიათ გვაუწყოთ რამე. ერთ-ერთი ჩვენი მეავტობიოგრაფე[111] სწორედ იმით იწყებს თავის წიგნს, რომ თორმეტ წელში ძუძუთა ბავშვს ფრანგი ჯარისკაცები აჭმევდნენ თურმე პურს მოსკოვში.

– აი, ხომ ხედავთ, – მოულბა კილო გენერალს, – ჩემი ამბავი, ცხადია, მთლად ჩვეულებრივი არ არის, მაგრამ არც უჩვეულოა. სიმართლე ხშირად დაუჯერებლად გვეჩვენება. რასაკვირველია, ყურს უცნაურად ხვდება, კამერ-პაჟიო, მაგრამ ათი წლის ბავშვის თავზე გადამხდარი ამბავი, იქნებ, სწორედ მისი ასაკით აიხსნება. თხუთმეტი წლისას არამც და არამც ეს არ დაემართებოდა, ვინაიდან თხუთმეტი წლისა ძველ ბასმანაიაზე მდგარი ჩვენი ხის სახლიდან დედაჩემს არ გავექცეოდი ნაპოლეონის მოსკოვში შემოსვლის დღეს. დედაჩემს მოსკოვიდან წასვლა დააგვიანდა და შიშის კანკალი ჰქონდა შემდგარი. თხუთმეტი წლისა მეც დავფრთხებოდი, ათი წლისას კი არაფრის არ შემეშინდა, სასახლის კიბესთან დახვეული ხალხი გავარღვიე და ზედ პარმაღს მივადექი, როცა ნაპოლეონი ცხენიდან ჩამოდიოდა.

– ეგ რა კარგად თქვით, უეჭველია, სწორედ ათი წლისას არ შეგეშინდება არაფრის... – კვერი დაუკრა თავადმა და თან ეშინოდა, არ გავწითლდეო.

– უეჭველია, დიახ, ყველაფერი ისე უბრალოდ და ბუნებრივად მოხდა, როგორც სინამდვილეში შეიძლება მოხდეს მხოლოდ; მაგრამ რომანისტს რომ მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის, რა ზღაპრებსა და დაუჯერებელ რასმე არ მოჩმახავდა.

– ო, მართალი ბრძანდებით! – შესძახა თავადმა, – ეგ მეც მაოცებდა, და წარმოიდგინეთ, ამას წინათაც ვფიქრობდი მაგაზე. ერთი ჭეშმარიტი მკვლელობა ვიცი, საათის გულისთვის ჩადენილი, ახლა უკვე გაზეთებში წერენ ამაზე. მწერალს რომ დაეწერა ეს?

– ხალხის ცხოვრების მცოდნეები და კრიტიკოსები მყისვე ერთ ყიჟინას დასცემდნენ, ეგ შეუძლებელი ამბავიაო. მაგრამ გაზეთში როცა წაიკითხავ, იგრძნობ, რომ სწორედ ამ ამბებით სწავლობ რუსულ სინამდვილეს. ეგ მშვენივრად შენიშნეთ, გენერალო! – მხურვალედ შესძახა თავადმა, საოცრად გახარებულმა, რომ გაწითლებას გადარჩა.

– ხომ კი? ხომ კი! – შეჰყვირა გენერალმა და ნასიამოვნებს თვალები გაუბრწყინდა. – პატარა ბიჭი, ბალღი, რომელმაც ჯერ შიში არ იცის, ხალხის წრეში მიიპარება, რა არის ბრწყინვალება, მუნდირები, ამალა და ბოლოს ის დიდი ადამიანი ნახოს, ვისზეც ყურები გამოუჭედეს. იმიტომ, რომ მაშინ ყველას რამდენიმე წლის მანძილზე მხოლოდ მისი სახელი ეკერა პირზე. კიდით-კიდემდე მისი სახელი გრგვინავდა და მეც, ასე ვთქვათ, დედის რძესთან ერთად შევიწოვე. ნაპოლეონმა ორ ნაბიჯზე ჩამიარა და ჩემს მზერას შეეფეთა. მე ბატონიშვილურად ვიყავ გამოწყობილი, კარგად მაცმევდნენ. მოგეხსენებათ, მთელ ამ ბრბოში გამოვირჩეოდი...

– უეჭველია, უთუოდ განაცვიფრებდა და დაუდასტურებდა იმ ამბავს, რომ ყველა არ გაქცეულა, თავად-აზნაურების ოჯახებიც დარჩენილან.

– დიახ! დიახ! თავადების გადმობირება უნდოდა! შემავლო თავისი არწივისებური მზერა და, ეტყობა, ჩემმა თვალებმაც დააკვესეს პასუხად. „Voila un garson bien eveille! Qui est ton pere“[112] აღელვებისაგან ლამის სულშეგუბებულმა ხელად მივაგებე: „თავისი მამულის მიწაზე დაცემული გენერლის შვილი-მეთქი“. – „Le fils d’un boyardset dun brave par-dessus le marchel J’aime les boyards. M’ai mestu, petit“[113] ამ სასწრაფოდ დასმულ კითხვაზე არც მე დავუყოვნე პასუხი „რუსი კაცის გული მამულის მტერშიც შეიცნობს და გამოარჩევს დიდ ადამიანს-მეთქი“. ცხადია, ამ სიტყვებით არ მითქვამს... მე ხომ ბავშვი ვიყავი, მაგრამ აზრი უთუოდ ეს გახლდათ! ნაპოლეონი გაოცებული დარჩა, ჩაფიქრდა და მერე თავის ამალას მიუტრიალდა „მომწონს ამ ბიჭის სიამაყე! მაგრამ თუ ყველა რუსი ამ ბიჭივით ფიქრობს, მაშინ...“ აღარ დაამთავრა და სასახლეში შევიდა. მყისვე მეც ამალას შევერიე და უკან გავსდიე. ამალაში უკვე გზას მითმობდნენ, ფავორიტად მრაცხდნენ. მაგრამ ეს არაფერი... მახსოვს მხოლოდ, რომ პირველ დარბაზში იმპერატორი ერთბაშად ეკატერინე დედოფლის სურათთან შედგა, დიდხანს უყურა ჩაფიქრებულმა და ბოლოს წარმოთქვა „ეს დიდი ადამიანი იყოო!“ – და ჩაუარა. ორი დღის შემდეგ ყველა მიცნობდა უკვე კრემლში და „Le petit boyard“-ს მეძახდნენ. შინ მხოლოდ დასაძინებლად მივდიოდი. ჩვენები ლამის ჭკუაზე შეიშალნენ. გავიდა კიდევ ორი დღე და ნაპოლეონის კამერ-პაჟი, ბარონ დე ბაზანკური[114] გარდაიცვალა, ლაშქრობა ვერ აიტანა. ნაპოლეონს თურმე მე გავახსენდი. ჰოდა, მტაცეს ხელი, წამიყვანეს, არაფერი აუხსნიათ, ისე გამასინჯეს განსვენებულის მუნდირი, თორმეტი წლის ბიჭი იყო თურმე, და იმპერატორს მიმგვარეს მუნდირში გამოწყობილი. როცა მან თავი დააქნია, მხოლოდ მაშინ მაუწყეს, რომ წყალობა მეღირსა და მისი უდიდებულესობის კამერ-პაჟად დავინიშნე. ძალიან გავიხარე, რადგან მართლაც დიდ სიმპათიას ვგრძნობდი მისდამი, და ვგრძნობდი უკვე კარგა ხანია... ისიც მოგეხსენებათ, ბრწყინვალე მუნდირი ბავშვისთვის რას ნიშნავს... ჩემი ფრაკი მუქი მწვანე იყო, გრძელი და ვიწრო, კალთებიანი; ოქროს ღილებით ჩაწიკწიკებული, სახელოებზე ოქრომკედით ნაკერი წითელი გასაწყობი მქონდა გადმოკეცილი, მაღალი, გადახსნილი საყელო და ფრაკის კალთებიც ოქრომკედით იყო ნაკერი; დომბის ტყავის შემოტმასნილი შარვალი, თეთრი აბრეშუმის ჟილეტი, აბრეშუმის წინდები, აბზინდებიანი ფეხსაცმელები შეადგენდა ამასთან ჩემს მორთულობას. ხოლო თუ იმპერატორი ცხენით გაისეირნებდა და მეც ვახლდი ამალას, ტყავის მაღალი ბოტფორტები მეცვა. მართალია, მდგომარეობა ვერაფერი ბრწყინვალე იყო და უკვე იგრძნობოდა, რა გასაჭირიც დაატყდებოდათ თავს, მაგრამ ეტიკეტი კი მაინც

შეძლებისდაგვარად იყო დაცული და მით მეტი პუნქტუალობით, რაც მეტად იგრძნობოდა ეს მოსალოდნელი უბედურებანი.

– ჰო, რასაკვირველია... – წაიდუდუნა ნირწამხდარმა თავადმა, – თქვენი მოგონება ფრიად... ფრიად საინტერესო იქნებოდა.

გენერალი, რა თქმა უნდა, იმასვე იმეორებდა, რაც გუშინ ლებედევისთვის ეამბნა, მაშასადამე, სათქმელი არ შეეშლებოდა. მაგრამ ამ სიტყვებზე კი უნდობლად ჰკიდა თვალი თავადს.

– ჩემი მოგონებანი დავწერო – დაატანა ორჯერ მეტი სიამაყით, – ეგ დიდად არ მხიბლავს, თავადო! თუ გნებავთ იცოდეთ, მოგონებანი უკვე დაწერილი მაქვს, მაგრამ... პიუპიტრში მიწყვია. დაე, როცა მიწას დამაყრიან თვალებზე, მაშინ იხილოს ქვეყანამ იგი; ეჭვი არაა, სხვა ენებზეც ითარგმნება, განა იმიტომ, დიდი ლიტერატურული ღირსებისა იყოს, არა, მხოლოდ და მხოლოდ იმ უზარმაზარი ამბების მნიშვნელობის გამო, რისი ცოცხალი მოწმეც გახლდით პატარა ბავშვი. ჰოდა, მით უმეტეს ბავშვი რომ ვიყავ, იმიტომ შევაღწიე ყველაზე „დიდი ადამიანის“ ინტიმურ, ასე ვთქვათ, საწოლში! ღამღამობით მესმოდა ამ „უბედური ბუმბერაზის“ კვნესა და ოხვრა, ვინაიდან ბავშვთან კვნესას და ტირილს არ დაერიდებოდა, თუმცა ვიცოდი კი უკვე, რომ მისი ტანჯვის მიზეზი იმპერატორ ალექსანდრეს დუმილი იყო.

– ის ხომ წერილებს უგზავნიდა... ზავს სთავაზობდა... – მორიდებით ჩაურთო თავადმა.

– განა ჩვენ ვიცით, კერძოდ, რას სთავაზობდა წერილებში, მაგრამ ყოველდღე, ყოველ საათს კი სწერდა და წერილს წერილზე უგზავნიდა! საშინლად შფოთავდა. ერთ ღამეს, მარტო რომ ვიყავით, ატირებული მივვარდი (ო, მე მიყვარდა იგი!) „პატიება სთხოვეთ-მეთქი იმპერატორ ალექსანდრეს!“ - შევძახე. ანუ ასე უნდა მეთქვა „შეურიგდით-მეთქი იმ იმპერატორ ალექსანდრეს“, მაგრამ ვითარცა ბავშვმა, გულუბრყვილოდ გამოვთქვი ჩემი აზრი. „ო, ჩემო პატარავ! – მითხრა მან, ოთახში ბოლთას სცემდა, – ჩემო პატარავ! – თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ უკვე ათი წლისა ვიყავი. ჩემთან საუბარი, წარმოიდგინეთ, უყვარდა ხოლმე. – ო, ჩემო პატარავ, მე მზად ვარ, ფეხები დავუკოცნო იმპერატორ ალექსანდრეს, სამაგიეროდ, პრუსიის მეფეს, სამაგიეროდ, ავსტრიის იმპერატორს, ო, იმათ სიძულვილს ვერასოდეს მოვიშლი... შენ პოლიტიკაში არაფერი გესმის!“ და თითქოს ახლაღა გაახსენდა, ვისთან ლაპარაკობდა, სიტყვა გაწყვიტა. მაგრამ თვალებიდან კიდევ დიდხანს სცვიოდა რისხვის ნაპერწკლები. ჰოდა, მე რომ ეს ფაქტები ავწერო – მე ხომ არაერთხელ ვყოფილვარ უდიდესი ფაქტების მოწმე, ისინი რომ გამოვაქვეყნო, ახლა, რაც რომ კრიტიკოსებია, ლიტერატურული მკვეხარები, შურიანები, პარტიები თუ... აა-რა ბატონო, ნურას უკაცრავად!

– პარტიებზე, რა თქმა უნდა, სწორად შენიშნეთ და მეც გეთანხმებით, – წამიერი დუმილის შემდეგ წყნარად მიუგო თავადმა, – აგერ, ამ ცოტა ხნის წინათ შარასის წიგნი წავიკითხე ვატერლოოს კამპანიის ირგვლივ.[115] როგორც ეტყობა, სერიოზული წიგნია, სპეციალისტებიც ირწმუნებიან, საქმის დიდი ცოდნითაა დაწერილიო. მაგრამ ყოველ გვერდზე კი ჩანს, რა სიამოვნებას ჰგვრის ნაპოლეონის დამცირება. და თუ შესაძლებელი იქნებოდა სხვა კამპანიებშიც ნაპოლეონის ნიჭში ეჭვის შეტანა და შედავება, შარასს ალბათ ეს მეტისმეტ სიხარულს მიანიჭებდა. ასეთ სერიოზულ ნაშრომში კი ეს მოსაწონი არაა, ვინაიდან პარტიული სულისკვეთება იგრძნობა. დიდად დაკავებული იყავით მაშინ... იმპერატორის სამსახურით გენერალი სიხარულით ცას ეწია. თავადის სერიოზულმა, გულუბრყვილო შენიშვნამ უნდობლობის ნიშან-წყალი გაუქარწყლა.

– შარასიო, თქვით! ო, მაგან მეც აღმაშფოთა! მაშინვე მივწერე წერილი, მაგრამ... არ მახსოვს ახლა... მეკითხებით, სამსახურით თუ იყავი დაკავებულიო ა, არა! მე კამერ-პაჟი მიწოდეს, მაგრამ

მაშინაც კი სერიოზულად არ ვუყურებდი ამ საქმეს. თანაც ნაპოლეონს მალე გაუქარწყლდა იმედი რუსების დაახლოების, რა თქმა უნდა, მეც რაში გავახსენდებოდი, თუ რომ... თუ რომ პირადად არ შევყვარებოდი, დიახ, ახლა გაბედულად ვამბობ ამას. მე კი... მე კი გული მიმიწევდა მისკენ. მაინცდამაინც სამსახური არ მეკითხებოდა. ხანდახან სასახლეში უნდა გამოვცხადებულიყავი და... იმპერატორს სასეირნოდ ვხლებოდი ცხენით, მეტი არაფერი. გვარიანი ცხენოსანი გახლდით. ის სადილის წინ მიბრძანდებოდა სასეირნოდ. ამალაში, ჩვეულებრივ, ვახლდით დავუ[116], მე, მამელუკი რუსტანი...

– კონსტანი, – რატომღაც უეცრივ დაცდა თავადს.

– აა-რა, კონსტანი მაშინ იქ არ იყო; წერილით გაგზავნეს მაშინ... დედოფალ ჟოზეფინასთან[117]; მაგრამ მის მაგივრად ორი შიკრიკი, რამდენიმე პოლონელი ულანი... აი, ესენი შეადგენდნენ მთელ ამალას, რა თქმა უნდა, გენერლებისა და მარშლების გარდა, რომლებიც ნაპოლეონს თან მიჰყავდა იქაური მიდამოების, ჯარების განლაგების დათვალიერების მიზნით და რჩევის საკითხავად... ყველაზე ხშირად, როგორც ახლა მახსოვს, დავუ დაჰყვებოდა ხოლმე გოლიათური აღნაგობის, ჩასუქებული, აუღელვებელი კაცი იყო, სათვალეს ატარებდა, უცნაური გამოხედვა ჰქონდა. ყველაზე ხშირად მას ეკითხებოდა რჩევას იმპერატორი, მის ჭკუას აფასებდა. მახსოვს, ერთხელ რამდენიმე დღე ბჭობდნენ; დავუ დილა-საღამოს მოდიოდა, ხშირად დავობდნენ კიდეც; ბოლოს, ნაპოლეონი თითქოს დაიყოლიაო. კაბინეტში მარტო ორნი იყვნენ, მე მესამე, მაგრამ, მგონი, ვერც მამჩნევდნენ. უეცრივ ნაპოლეონმა შემთხვევით მკრა თვალი, უცნაურმა აზრმა გაუკვესა თვალებში. „ბალღო! – მკითხა ერთბაშად, – როგორ გგონია თუ მართლმადიდებლობას ვიწამებ და თქვენს მონებს გავათავისუფლებ, გამომყვებიან თუ არა რუსები“ – „არასოდეს!“ – შევყვირე მე აღშფოთებულმა. ნაპოლეონი სახტად დარჩა. „ამ ბალღის პატრიოტიზმით გაბრწყინებულ თვალებში მე მთელი რუსი ხალხის აზრი ამოვიკითხე, – თქვა მან. – კმარა, და დავუ! ეს სულ ფანტაზიებია! თქვენი მეორე პროექტი მომახსენეთ!“

– მაგრამ მაგ პროექტსაც დიდი ჭკუის ძალა ეტყობოდა! – თქვა თავადმა, რომელსაც დაინტერესება დაემჩნა, – მაშ, მაგ პროექტს თქვენ დავუს მიაწერთ?

– ყოველ შემთხვევაში, ერთად ბჭობდნენ. რა თქმა უნდა, ნაპოლეონისეული ჭკუა გამოსჭვივის, არწივისებური გამჭრიახობა, მაგრამ მეორე პროექტიც კაი მოფიქრება იყო... სწორედ ის ცნობილი „conseil du lion“[118] როგორც ნაპოლეონმა უწოდა დავუს ამ რჩევას. ამ პროექტის მიხედვით მთელი ჯარით კრემლში უნდა გამაგრებულიყვნენ, ბარაკები აეგოთ, გარშემო სანგრები ამოეთხარათ და ჩამჯდარიყვნენ, ზარბაზნები დაედგათ, რაც შეიძლება მეტი ცხენები დაეხოცათ და დაემარილებინათ; შეძლებისდაგვარად მეტი პური ეშოვათ ან თარეშით წაეგლიჯათ და გაზაფხულამდე აქ დაეყოთ; გაზაფხულზე კი რუსთა ჯარები გაერღვიათ. ამ პროექტმა მეტისმეტად გაიტაცა ნაპოლეონი. ჩვენ ყოველდღე ვუვლიდით გარს კრემლის კედლებს, ის უთითებდა, სად დაენგრიათ, სად აეშენებინათ, სად ლუნეტი, სად რაველინი მოეთავსებინათ, სად ბლოკჰაუზების რიგი წაეწყოთ, – ერთი თვალის გადავლება და ბრძანება მზად იყო! ბოლოს, ყველაფერი გადაწყდა. დავუ საბოლოო გადაწყვეტილებაზე ჩასციებოდა. ისევ მარტონი შეიყარნენ, მე მესამე ვარ. ნაპოლეონი გულხელდაკრეფილი ისევ ოთახში ბოლთას სცემს. მე თვალს არ ვაშორებ მის სახეს, გულს სულ დაგადუგი გააქვს „მივდივარ“, – თქვა დავუმ. „სად“ – ჰკითხა ნაპოლეონმა. „ცხენების დასამარილებლად“, – უთხრა დავუმ. ნაპოლეონი შეკრთა. ბედ-იღბლის ამბავი წყდებოდა. უეცრად მე მომიტრიალდა „ბალღო! ჩვენს განზრახვაზე შენ რას იტყვი“ ცხადია, მკითხა ისე, როგორც უდიდესი ჭკუის კაცი უკანასკნელ წუთს ალჩუს შეაგდებს ხოლმე. ნაპოლეონის ნაცვლად დავუს მივუბრუნდი და თითქოს ზემადლით

შთაგონებულმა ვუთხარი „დროზე მოუსვით აქედან, გენერალო!“ პროექტი ჩაშლილი იყო. დავუმ მხრები აიჩეჩა და გასვლისას ჩუმად ჩაილაპარაკა „Bah ll devient supestitieux!“[119] მეორე დღეს კი კრემლის დატოვება ბრძანეს.

– ეგ ყველაფერი მეტისმეტად საინტერესოა, – წაილაპარაკა თავადმა საოცრად ჩუმად, – თუკი ყველაფერი ეგრე იყო... ანუ იმის თქმა მინდა... – დაეშურა ის გამოსწორებას.

– ვაგლახ, თავადო! – შესძახა თავისი ნაამბობით იმდენად აღტაცებულმა გენერალმა, რომ უკვე ველარაფერი გააჩერებდა, – თქვენ ამბობთ „თუ ეგრე იყოო!“ მაგრამ უფრო მეტიც იყო, გარწმუნებთ, გაცილებით მეტიც! ყველა ესენი მხოლოდ უბადრუკი ფაქტებია, პოლიტიკური. მაგრამ გიმეორებთ, რომ მე მოწმე გახლდით ამ დიდი კაცის ღამით ტირილისა და კვნესის; ეს კი ჩემ გარდა არავის უნახავს. ბოლოს, მართალია, აღარ ტიროდა. ცრემლი არ ჰქონდა, მაგრამ კვნესოდა კი, სახე უფრო და უფრო უშავდებოდა, თითქოს მარადისობის შავი ჩრდილი უკვე გადაჰფენოდა. ზოგჯერ ღამღამობით მთელ საათებს მარტო ვატარებდით ხოლმე ერთად, უსიტყვოდ – მეორე ოთახში მამელუკი რუსტანი ხვრინავდა; საოცარი მაგარი ძილი იცოდა ამ კაცმა. „სამაგიეროდ, ჩემი და დინასტიის ერთგულიაო“, - იტყოდა ხოლმე მასზე ნაპოლეონი. ერთხელ საოცრად ამიკვნესდა გული და უეცრივ ცრემლი შემნიშნა თვალზე; გრძნობამორეულმა შემომხედა „შენ გეცოდები! - შესძახა მან, - შენ, ბალღო, და იქნებ კიდევ მეორე ბალღს, ჩემ ვაჟს le roi de Rome-ს[120] დავენანო. სხვებს ყველას ვძულვარ, ძმები პირველი მიღალატებენ გასაჭირში!“ მე ქვითინი წამსკდა და მისკენ გავექანე. მაშინ კი ველარც იმან შეიკავა თავი; გადავეხვიეთ და ჩვენი ცრემლები ერთმანეთს შეერია; „დედოფალ ჟოზეფინას მისწერეთ წერილი, დედოფალ ჟოზეფინას!“ – შევქვითინე მე. ნაპოლეონი შეკრთა, ჩაფიქრდა და მითხრა „შენ მომაგონე ის მესამე, მოყვარული გული; მადლობელი ვარ, მეგობაროო!“ იქვე დაჯდა და ის წერილი მისწერა ჟოზეფინას, რომელიც მეორე დღესვე გაატანა კონსტანს.

– მშვენივრად მოქცეულხართ, – უთხრა თავადმა, – ავი ფიქრებით შეპყრობილს რომ კეთილი გრძნობა აღუძარით.

– სწორედაც, თავადო, მერე რა მშვენივრად განმარტეთ, საკუთარი გულის თანახმად! – აღტაცებით შესძახა გენერალმა და, ჰოი, საოცრებავ, ჭეშმარიტი ცრემლები აუკიაფდა თვალებში, – დიახ, თავადო, ეგ დიადი სურათი გახლდათ! იცით კი, რომ ცოტას გაწყდა, პარიზში არ გავყევი და, რა თქმა უნდა, „მცხუნვარე კუნძულის ტყვეობა“ მასთან ერთად არ გავიზიარე. მაგრამ ვაგლახ! ჩვენი გზები გაიყარა, ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. ის მცხუნვარე კუნძულზე გადაასახლეს, სადაც საშინელი მწუხარების ჟამს, ვინ იცის, არაერთხელ მოაგონდა საწყალი ბიჭის ცრემლები, ვინც მოსკოვში ეხვეოდა და ვინაც შეუნდო მას ყველაფერი. მე კი კადეტთა კორპუსში მიკრეს თავი, სადაც წვრთნით ამომხადეს სული, სადაც ამხანაგთა სიტლანქე ვიგემე მხოლოდ და... ვაჰმე, ყველაფერი ოხრად წავიდა! „დედას არ მინდა მოგწყვიტო და იმიტომ არ მიმყავხარო, – მითხრა მან რეტირადის დღეს, – მაგრამ მინდა კი, რაღაც გაგიკეთო“. ის უკვე ცხენზე ჯდებოდა. „ჩამიწერეთ რამე ჩემი დის ალბომში სამახსოვროდ-მეთქი“, – შევბედე მორიდებით, ვინაიდან ძალზე დაძმარებული და მოღუშული ჩანდა. ის მობრუნდა, კალამი მოიკითხა, ალბომი გამომართვა. „რამდენი წლისააო შენი და“ – და კალამი მოიმარჯვა. „სამი წლისაა-მეთქი“. „Petite fille alors“[121] და ალბომში სწრაფად ჩაწერა:

„Ne mentez jamais!

Napoleon votre ami sincere[122]“.

რა რჩევა-დარიგება, გახლავთ, თავადო, არა და ისიც რა წუთს!

– დიახ, ფრიად მნიშვნელოვანია.

– ეს ნაწერი ოქროს ჩარჩოში ჩასმული მთელი სიცოცხლე სასტუმროში ეკიდა ჩემს დას, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე, ვიდრე მშობიაროზას გადაჰყვებოდა! ახლა სადაა – არ ვიცი... მაგრამ... აჰ, ღმერთო ჩემო! უკვე ორი საათია! როგორ დაგაგვიანეთ, თავადო! არ მეპატიება.

გენერალი სკამიდან წამოდგა.

– ო, პირიქით! – წაილულღლუღა თავადმა, – ისე გამართეთ და... თანაც... ისე საინტერესო იყო; დიდი მადლობელი ვარ თქვენი!

– თავადო! – წარმოთქვა გენერალმა, კვლავ ლამის დაუმტვრია ჩამორთმევის დროს თითები და ისეთი ანთებული თვალით შეაშტერდა, თითქოს უეცრივ მოეგო გონს და რაღაც მოულოდნელმა აზრმა რეტი დაასხაო, – თავადო! იმდენად კეთილი, იმდენად მიამიტი კაცი ბრძანდებით, რომ ხანდახან მენანებით კიდეც. პირდაპირ გული ამიჩუყეთ. ო, ღმერთმა გაკურთხოთ! დაე, მთელი ცხოვრება, ახლა თუ მერე, არ მოგკლებოდეთ... სიყვარული. ჩემი ცხოვრება კი გათავებულია! ო, მაპატიეთ, მაპატიეთ!

გენერალმა სახეზე ხელები აიფარა და სწრაფად გავიდა. რომ გულწრფელად აღელდა, თავადს ეჭვი არ შეჰპარვია, ისიც იგრძნო, ბერიკაცი აღტაცებული დარჩა თავისი წარმატებით. იმასაც მიხვდა, რომ გენერალი იმ ცრუპენტელათა თანრიგს განეკუთვნებოდა, რომლებიც, მართალია, თავდავიწყებამდე მიჰყავს ტყუილების ტრფიალს, მაგრამ აღტაცების უმაღლეს მწვერვალზე მაინც ეჭვის ჭია უფუთფუთებთ გულში, შენი არავის სჯერა და არც შეიძლება დაგიჯერონო. ახლა აღელვებული იყო ბერიკაცი, მაგრამ მერე შეიძლება გონს მოსულიყო, უზომოდ შერცხვენოდა, ეჭვი

შეეტანა თავადის სიბრალულში და სწყენოდა ეს. „ვითომ უფრო არ დავაშავე, რომ ასეთ აღმაფრენამდე მივიყვანეო“ წუხდა თავადი, მაგრამ უცბად თავი ვერ შეიკავა და ისეთი გულიანი ხარხარი აუტყდა, ათიოდე წუთი ვეღარ გაჩერდა. მერე ინანა, რად გავიცინეო. მაგრამ სანანებელი რა ჰქონდა, გენერალი უსაზღვროდ ებრალებოდა.

აკი გაუმართლდა თავადს წინათგრძნობა. იმ საღამოსვე უცნაური წერილი მოუვიდა, მოკლედ, მაგრამ მტკიცედ დაწერილი. გენერალი იუწყებოდა, რომ თავადთანაც სწყვეტს სამუდამოდ კავშირს, რომ პატივს სცემს და მადლიერია მისი, მაგრამ არც მისგან მიიღებს „თანაგრძნობის ნიშნებს, რომელიც ისედაც უბედურ კაცს ამცირებსო“. თავადმა შეიტყო, რომ გენერალი ნინა ალექსანდროვნასთან ჩაიკეტა, და გულზე მოეშვა. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, გენერალს ლიზავეტა პროკოფიევნასთანაც აუტეხია რაღაც უბედური ამბავი. დაწვრილებით აქ ვერაფერს გაცნობებთ, მაგრამ მოკლედ კი ვიტყვით ამ შეხვედრის შინაარსს გენერალს ლიზავეტა პროკოფიევნა ჯერ შეუშინებია, ხოლო განიაზე მწარე-მწარე გადაკვრებით კი აღშფოთებამდე მიუყვანია. ასე რომ ბოლოს გარეთაც გამოაბრძანეს. აი, რა მიზეზით იყო იმ ღამეს და იმ დილას ისეთ გუნებაზე გენერალი. ბოლოს კი მთლად გადაირია და ლამის გიჟივით გამოიჭრა ქუჩაში.

კოლია მთლად კიდევ მაინც ვერ ჩამხვდარიყო საქმეს და იმედი ჰქონდა, სიმკაცრით გააწყობდა რასმე.

– აბა, ახლა საით წავეხეტოთ, თქვენის ფიქრით, გენერალო? – უთხრა მან, – თავადთან არ გინდათ, ლებედევთან ნაჩხუბარი ხართ, ფული არა გაქვთ, მე ხომ არა მაქვს და არა. ვუყაროთ ახლა კაკალი ამ შუა ქუჩაში.

– მაგ... მაგ კალამბურით, – წაიდუდუნა გენერალმა, – ოფიცერთა წრეში... აღტაცება გამოვიწვიე... ორმოცდაოთხში... ათას... რვაას... ორმოცდაოთხში, დიახ!.. აღარ მახსოვს... ო, ნუ გამახსენებ, ნუ გამახსენებ! „ო, სად წამიხველ, ჩემო სიყრმევ, ჩემო ნორჩობის ხანავ!“ ვინ... ვინ შესძახა ეს, კოლია?

– გოგოლს აქვს „მკვდარ სულებში“, მამილო, – მიუგო კოლიამ და დამფრთხალმა გადახედა მამას.

– მკვდარი სულები! ვაგლახ, რომ მკვდარი სულები! როცა დამასაფლავებ, კოლია, საფლავზე ასე წამიწერე „აქ მკვდარი სული წევს!“-თქო.

ფეხდაფეხ დამდევს სირცხვილი!

– ეს ვინა თქვა, კოლია?

– არ ვიცი, მამილო.

– ეროპეგოვი არ ყოფილაო! ეროშკა ეროპეგოვიო!.. – შეჰყვირა გააფთრებულმა გენერალმა და შედგა, – მერე ვინ მითხრა, საკუთარმა შვილმა! ეროპეგოვი, რომელმაც თერთმეტი თვე ძმის მაგივრობა გამიწია, რომლის გულისთვის მე დუელში... ჩვენმა კაპიტანმა, თავადმა ვიგორეცკიმ სუფრაზე უთხრა „გრიშა, ეგ შენი ანა სად ჩაიგდე, ერთი ეს მითხარიო“ – „სადა და ჩემი მამულის ველებზე, აი, სად ჩავიგდეო!“ „ყოჩაღ, გრიშა-მეთქი!“ – დავუძახე. ჰოდა, დუელი გაიმართა, მერე კი ჯვარი დაიწერა. მარია პეტროვნა სუ... სუტუგინაზე და ბრძოლის ველზე მოჰკლეს... ტყვია ჯერ მე მომხვდა, მაგრამ ჯვარზე ამისხლტა და შიგ შუბლში ეძგერა მას. „თავის დღეში არ დაგივიწყებო!“ – შეჰყვირა და იქვე დაეცა. მე... მე პატიოსნად ვმსახურობდი, კოლია; მე კეთილშობილურად ვიხდიდი ჩემს ვალს, მაგრამ სირცხვილი – „ფეხდაფეხ დამდევს სირცხვილი!“ შენ და ნინა მოხვალთ ხოლმე ჩემს საფლავზე... „საწყალი ნინა“, ასე ვეძახდი წინათ, დიდი ხნის წინათ, პირველ ხანებში. და ძალიანაც მოსწონდა... ნინა, ნინა! ეს რა ბედში ჩაგაგდე! რისი გულისთვის გიყვარვარ კიდევ, ჩემო ანგელოზო! დედაშენი ანგელოზია, კოლია, გესმის, ანგელოზი!

– ვიცი, მამილო, გენაცვალე, წამოდით, მამილო, დედასთან დავბრუნდეთ!! უკან მოგდევდა! რას გაჩერებულხართ თითქოს არ გესმით... აბა, რა გატირებთ ნეტავ კოლია თვითონაც ტიროდა და მამას ხელებს უკოცნიდა.

– მე, მე მიკოცნი ხელებს!

– ჰო, თქვენ, თქვენ. აბა, რა გიკვირთ აბა, რა გაღრიალებთ ნეტავ ამ შუა ქუჩაში, გენერალი მაინც არ გერქვათ, სამხედრო კაცი, წამო, წავიდეთ!

– ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო ბიჭო, რომ თავმოჭრილს პატივისცემას არ აკლებდი, – დიახ! თავმოჭრილ ბებერ მამაშენს... დაე შენც მოგცეს ღმერთმა ეგეთი ბიჭი. le roi de Rome… ო, „წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს, ეს სახლი!“

– მართლა და მართლა რაშია საქმე – ადუღდა უცებ კოლია. – რა მოხდა ისეთი რატომ არ გინდათ ახლა შინ დაბრუნება რამ შეგშალათ ჭკუაზე

– აგიხსნით, აგიხსნით... ყველაფერს გეტყვით; ნუ ყვირი, გაიგონებენ. le roi de Rome… ო, გული მიკვნესის, დარდი მაწვება!

სად არის, ძიძავ, შენი საფლავი!

– ეს ვინა თქვა, კოლია

– არ ვიცი, არა, ვინა თქვა! სახლში წავიდეთ ახლავე, ახლავე! განკას, თუ გინდათ, მიგიბერტყავთ... აბა, სად მიდიხართ ისევ?

მაგრამ გენერალი ერთ, იქვე მდგარი სახლის პარმაღისკენ ექაჩებოდა შვილს.

– მანდ რა გინდათ!.. ეგ ხომ სხვისი პარმაღია!

გენერალი პარმაღზე ჩამოჯდა და კოლიას მაინც თავისკენ ეწეოდა.

– დაიხარე! დაიხარე-მეთქი! – ლუღლუღებდა იგი, – მე ყველაფერს გეტყვი... სირცხვილო... დაიხარე-მეთქი... ყური, ყური მომე; ყურში გეტყვი...

– რა მოგდით! – საშინლად შეშინდა კოლია, მაგრამ ყური მაინც მიუშვირა.

– Ie roi de Rome… – წაიჩურჩულა გენერალმა, იმასაც თითქოს მთელი ტანი უცახცახებდა.

– რაო.. რას ჩააცივდით მაგ Ie roi de Rome-ს? რა იყო?

– მე... მე... – კვლავ აჩურჩულდა გენერალი და სულ უფრო და უფრო ძლიერ ებღაუჭებოდა „თავისი ბიჭის“ მხარს, – მე... მინდა... მე შენ... ყველაფერს, მარია, მარია... პეტროვნა, სუ-სუ-სუ...

კოლიამ მხარი გამოგლიჯა, თავად ჩააფრინდა გენერალს მხრებში და გიჟივით შეაშტერდა სახეში. ბერიკაცს სახე წამოუჭარხლდა, ტუჩები ჩაულურჯდა, დროდადრო კანკალი გადაურბენდა სახეზე. უეცრივ გადმოიხარა და კოლიას ნელ-ნელა გადმოესვენა ხელებზე.

– დამბლა დაეცა! – შესძრა ქუჩა კოლიას კივილმა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

V

მართალი რომ ვთქვათ, ვარვარა არდალიონოვნას ცნობა, თავადი აგლაია ეპანჩინას თხოულობსო, რამდენადმე გაზვიადებული იყო. იქნებ, ქალურმა ალღომ მიახვედრა, როგორ შეტრიალდებოდა საქმე ახლო მომავალში; იქნებ იმედების გაცრუებით გულდაწყვეტილმა (თუმცა მართალი რომ ითქვას, თვითონაც დიდად არ სჯეროდა ამისი) უფრო გაუზვიადა ძმას ეს ამბავი, რათა მეტი შხამი ჩაეწვეთებინა მისთვის. ისიც ხომ ადამიანი იყო, მერე რა, რომ ძმა გულწრფელად უყვარდა და ებრალებოდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, თავის მეგობარ ეპანჩინის ქალებისაგან ასეთ ზუსტ ცნობებს ვერ მიიღებდა; გადაუკრეს კი მხოლოდ, ჩამოუნაკლულეს, ხან გაუჩუმდნენ, ხან ქარაგმულად უთხრეს. ისიც შესაძლოა, აგლაიას დებმა განზრახაც თქვეს ზედმეტი, რა არის ვარვარა არდალიონოვნასათვის იქით დაეცდინათ რამე. ბოლოს არც უიმისობა იყო ალბათ, რომ ცოტა გაღიზიანებაც მოეგუნებათ თავიანთი თუნდაც ბავშვობის წლების მეგობრისა, ისინიც ხომ ქალები იყვნენ, თანაც არ შეიძლება მის ზრახვებს ამ ხნის მანძილზე ცოტაოდენ მაინც არ ჩამხვდარიყვნენ.

მეორეს მხრივ, თავადიც სავსებით მართალი იყო, ლებედევს რომ არწმუნებდა, სათქმელი არაფერი მაქვს და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ჩემს თავსო, მაგრამ იქნებ ისიც ცდებოდა. მართლაც, რაღაც ძალზე უცნაური ამბავი გამოდიოდა. თითქოს არაფერი მომხდარიყო და, ამავე დროს, თითქოს ძალზე ბევრი რამაც მოხდა. სწორედ ამ უკანასკნელს ჩახვდა ვარვარა არდალიონოვნა თავისი უტყუარი ქალური ალღოთი. მაგრამ როგორ მოხდა და რა იყო მიზეზი იმისა, რომ ეპანჩინების ოჯახში ყველას ერთი აზრი შეექმნა და ერთი ფიქრი დაეუფლათ უცბად, აგლაიას თავს რაღაც დიდი ამბავია და მისი ბედ-იღბალი წყდებაო, – დალაგებით ამის გადმოცემა ძალიან ძნელია.

მაგრამ როგორც კი ამ ფიქრმა გაუელვა თავში, ისიც ყველას ერთად, მყისვე ყველამ ერთად გადაწყვიტა, დიდი ხანია უკვე მაგას ვფიქრობდით და ველოდით; ჯერ კიდევ „ბეჩავი რაინდის“ ამბიდან ან იქნებ უფრო ადრეც ცხადი იყო ყველაფერი, ოღონდაც ამ სისულელის დაჯერება არც მაშინ გვინდოდაო. ასე ირწმუნებოდნენ დები. რა თქმა უნდა, ლიზავეტა პროკოფიევნამაც ყველაზე ადრე იგრძნო ეს, ყველაზე ადრე გაიგო და დიდი ხანია, „გულიც შემოკვნესოდა“, მაგრამ დიდი ხანი იყო თუ არა – ეს კია, თავადზე ფიქრი ერთბაშად რატომღაც არ ეჭაშნიკა, უფრო იმიტომ, რომ თავგზას უბნევდა. აქ ისეთი საკითხი იყო, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაეწყვიტა; მაგრამ არათუ მისი გადაწყვეტა შეეძლო საწყალ ლიზავეტა პროკოფიევნას, რამდენსაც არ იმტვრევდა თავს, ამ საკითხის ნათლად დასმასაც ვერ ახერხებდა. განა ადვილი

იყო იმის გადაწყვიტა „მისაღებია თუ არა თავადი მოსაწონია თუ არა ეს ყველაფერი თუ არაა მოსაწონი (რაც უეჭველად ასეა), კერძოდ, რა არ არის მოსაწონი ხოლო თუ მოსაწონია (ესეც შესაძლებელია), მაინც კიდევ რითია მოსაწონი“ თვით ოჯახის მამა, ივან ფიოდოროვიჩი, ცხადია, თავდაპირველად სახტად დარჩა, მაგრამ მერე კი უეცრივ გამოტყდა, რომ „ღმერთმანი, რაღაც ამის მსგავსი მეც მეჩვენებოდა, არ ვიჯერებდი, მაგრამ შიგადაშიგ მაინც მეჩვენებოდაო!“ ცოლის განრისხებულ შემოხედვაზე მყისვე ჩაიგდო მუცელში ენა, მაგრამ ეს დილით, საღამოს კი, როცა ცოლთან მარტო დარჩა და იძულებული შეიქნა, ისევ ამოეღო ხმა, უეცრივ თითქოს გული მოეცაო, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აზრები გამოთქვა „სინამდვილეში განა რაა ისეთი..“ (მცირე დუმილი) „რასაკვირველია, უცნაური ამბავი კია, თუ მართალი აღმოჩნდა, ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ“... (კვლავ დუმილი) „მაგრამ, მეორეს მხრივ, პირდაპირ რომ შევხედოთ საქმეს, თავადი ხომ, ღმერთმანი, უშესანიშნავესი ყმაწვილია... და ბოლოს ჩვენს გვარსაც ატარებს, ეს ყოველივე კი, ასე ვთქვათ, საზოგადოების თვალში გვარის შეწევნად გამოგვივა, დამცირებულ მდგომარეობაში მყოფის, ანუ ამ თვალსაზრისით, ანუ... ცხადია, საზოგადოების; საზოგადოებას კი მაინც ანგარიში უნდა გავუწიოთ. თან თავადს არც შეძლება აკლია, თუნდაც რომ დიდი არაფერი იყოს. აქვს კიდევ... კიდევ...“ (ხანგრძლივი დუმილი და გენერალს საბოლოოდ ჩაუწყდა ხმა). მეუღლის მოსმენის შემდეგ ლიზავეტა პროკოფიევნა ყოველგვარ საზღვარს გადავიდა.

მისი აზრით, რაც მოხდა, ყველაფერი „მიუტევებელი სისულელე და დანაშაულიც კია, ფანტასტიკური სურათი, ბრიყვული და შეუსაბამო!“ ჯერ ის რად ღირს, რომ „ეს უბედური თავადი – სნეული იდიოტია, მეორეც – ჩერჩეტი, საზოგადოების არაფერი გაეგება და არც ადგილი გააჩნია საზოგადოებაში ვის უჩვენებ, სად გამოაჩენ ერთი შეუწყნარებელი დემოკრატი ვინმეა. პატარა ჩინიც კი არ გააჩნია, – ან... ან... ბელოკონსკაია რას იტყვის ან განა ასეთ ქმარზე ვოცნებობდით და ასეთი ქმარი გვინდოდა აგლაიასათვის?“ უკანასკნელი საბუთი, ცხადია, ყველაზე მთავარი იყო. დედის გულს აკრთობდა ეს ფიქრი, ცეცხლს უკიდებდა და ატირებდა, თუმცა, ამავე დროს, ამ გულის სიღრმეშივე რაღაც იდუმალი ხმა ეჩურჩულებოდა „ვითომ რით არაა თავადი ისეთი კაცი, როგორიც გინდოდათო?“ სწორედ ეს საკუთარი გულის ჭიდილი უკარგავდა ყველაზე მეტად მოსვენებას ლიზავეტა პროკოფიევნას. აგლაიას დებს რატომღაც გუნებაში დაუჯდათ თავადის ამბავი; წარმოიდგინეთ, არცთუ ისე უცნაურად ეჩვენათ; ერთი სიტყვით, სულაც შეიძლება მისი მხარე დაეჭირათ ერთბაშად. მაგრამ ორთავემ მაინც გაჩუმება არჩია. ერთხელ და სამუდამოდ შემჩნეული იყო ოჯახში, რაც უფრო მეტ სიკერპესა და სიჯიუტეს გამოიჩენდა ხოლმე რომელიმე საერთო და ოჯახის სადავო საკითხში ელიზავეტა პროკოფიევნა, მით მეტად უნდა ენიშნა ყველას, რომ ვინძლო უკვე თანახმაც იყო ამ ამბისა გულში. მაგრამ ალექსანდრა ივანოვნას სულ გაჩუმება მაინც არ შეეძლო. დიდი ხანია დედას ის თავის მრჩევლად აერჩია და ახლა წარამარა იბარებდა, რა აზრისა ხარო, და რაც მთავარია, ჩაციებოდა „მაინც როგორ მოხდა ეს ყველაფერი რატომ ვერავინ შეამჩნია რატომ არაფერი თქვეს მაშინ რას ნიშნავდა ის სამაგელი „ბეჩავი რაინდი“ რატომ მარტო ლიზავეტა პროკოფიევნამ უნდა იმტვრიოს ყველას მაგივრად თავი, ყველაფერი შენიშნოს და სხვა და სხვა. ალექსანდრა ივანოვნამ თავდაპირველად სიფრთხილე გამოიჩინა და მხოლოდ ის შენიშნა, რომ მამაჩემის აზრი, საზოგადოების თვალში ფრიად დამაკმაყოფილებლად შეიძლება გამოჩნდეს ეპანჩინების ერთ-ერთი ქალისთვის თავად მიშკინის ქმრად არჩევა, საკმაოდ სწორედ მიმაჩნიაო. მაგრამ მერე, როცა ლაპარაკს შეჰყვნენ, ისიც დაუმატა, თავადი სულაც არაა „მოსულელო“, და არც არასოდეს ყოფილა, ხოლო წონას და მნიშვნელობას რაც შეეხება – ღმერთმა უწყის, რამდენიმე წლის

შემდეგ რიგიანი კაცის წონა და მნიშვნელობა რით განისაზღვრება ჩვენთან, რუსეთში წინანდელივით სამსახურებრივი წარჩინებებითა თუ სხვა რამითო ამაზე დედამ მყისვე მოუჭრა, რომ ალექსანდრა „თავისუფლად მოაზროვნე, ახალ იდეებს აჰყოლია და ეს ყველაფერი მათი წყეული ქალთა საკითხის ბრალიაო“. ნახევარი საათის შემდეგ კი ქალაქში გაემგზავრა ბელოკონსკაიას მოსანახულებლად, რომელიც თითქოს განგებ ჩამოსულიყო იმ ხანად პეტერბურგში და მალე ისევ უკან მიემგზავრებოდა. ბელოკონსკაია აგლაიას ნათლია იყო.

„ბებრუცანა“ ბელოკონსკაიამ მოისმინა ლიზავეტა პროკოფიევნას აღგზნებული და სასოწარკვეთილი აღსარება და თავგზააბნეული ოჯახის დედის ცრემლებმა გული სულაც არ აუჩუყა. პირიქით, დაცინვითაც შეხედა. ის ბუნებით საშინელი დესპოტი იყო ძველისძველ მეგობრობაშიც კი არ სწამდა თანასწორობა, ხოლო ლიზავეტა პროკოფიევნას ხომ მუდამ თავის protegee-დ თვლიდა, როგორც ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ, და ვერა და ვერ შერიგებოდა მის დამოუკიდებელ ხასიათსა და სიკერპეს. ისიც შენიშნა, სხვათა შორის, რომ „ჩვეულებისამებრ მეტისმეტი სისწრაფით გადაწყვიტეს ყველაფერი და ბუზი სპილოდ აქციეს, რომ რამდენიც არ ჩაუკვირდა, იმის დამადასტურებელი ვერაფერი ნახა, რაიმე სერიოზული ამბავი მომხდარიყო; რომ სჯობს, მოიცადონ, ვიდრე საქმე უფრო არ გაირკვევა, რომ თავადი, მისი შეხედულებით, რიგიანი ყმაწვილია, თუმცა ავადმყოფი და უცნაური კია და არცთუ დიდ რასმე წარმოადგენს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ასე აშკარად ჰყავს საყვარელი. ლიზავეტა პროკოფიევნა მიუხვდა, ბელოკონსკაია რომ ცოტა გულმოსული იყო მის მიერ რეკომენდებულ ევგენი პავლოვიჩის მარცხით. პავლოვსკში გულგასიებული დაბრუნდა და მყისვე ყველას მოხვდა, განსაკუთრებით იმაზე, რომ „დაგიჟდნენ და ესაა“, რომ მარტო მათ ოჯახში ხდება ასე, სხვაგან არსად; ასეთი აჩქარება რაღა იყო რა მოხდა ისეთი რამდენიც არ ვუკვირდები საქმეს, ისეთს ვერაფერს ვამჩნევ, რომ მართლაც რაღაც მომხდარიყო! მოიცათ, ჯერ გაირკვეს კარგად! დიდი ამბავი, ივან ფიოდოროვიჩს თუ მოეჩვენა. ბუზი სპილოდ ხომ არ უნდა ვაქციოთ და სხვა და სხვა.

მაშასადამე, უნდა დამშვიდებულიყვნენ, გულგრილად შეეხედათ საქმისათვის და მოთმინება მოეკრიბათ. მაგრამ, ვაი, რომ სიმშვიდე ათ წუთსაც არ ეყო. გულგრილობის სურვილს პირველი ლახვარი იმ ამბებმა ჩასცა, რაც დედის გამგზავრების წინ მომხდარიყო (ლიზავეტა პროკოფიევნა იმ ამბის მეორე დილას გაემგზავრა, როცა თავადი წინა ღამეს ათი საათის ნაცვლად პირველზე ეწვიათ). დედის მოუთმენელ კითხვებზე დებმა დაწვრილებით უამბეს ყველაფერი, პირველ ყოვლისა, რომ „ისეთი თითქოს არაფერი მომხდარა მის არ ყოფნაში“, თავადი ეწვიათ, აგლაია დიდხანს არ გამოვიდა, ასე დაახლოებით ნახევარი საათი, მერე გამოვიდა და მყისვე შესთავაზა თავადს, ჭადრაკი ვითამაშოთო. თავადს პირველი სვლებიც არ სცოდნია და აგლაიამ მაშინვე მოუგო. ამ ამბავმა ძალზე გაამხიარულა, როგორ არ იცითო, შეარცხვინა და ისე მასხარად აიგდო, რომ თავადის მნახველს გული ეტკინებოდა. მერე თულფობიის თამაში დაუწყიათ. მაგრამ თავადი თულფობიის ისეთი მოთამაშე ყოფილა, პირდაპირ... პირდაპირ პროფესორი. ოსტატურად თამაშობდა თურმე; ბევრი ითაღლითა აგლაიამ, კარტებს ცვლიდა, იპარავდა კიდეც მის თვალის წინ, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, ხუთჯერ წააგო ზედიზედ. აგლაია საოცრად გახელდა, საზღვარსაც კი გადავიდა, ისეთი მწარე-მწარე და კადნიერი სიტყვები უთხრა თავადს, რომ იმას ბოლოს სიცილი შეაცივდა პირზე. ხოლო როცა აგლაიამ ისიც უთხრა, რომ „ამ ოთახში ფეხის დამდგმელი არაა, ვიდრე ის აქ იჯდება და რომ მისი მხრივ უსინდისობაც კია მათთან სიარული, ისიც ღამღამობით, პირველ საათზე, იმ ამბების შემდეგ, რაც მოხდაო“, თავადს ფერი ეცვალა. შემდეგ კარი მიიჯახუნა და გავიდა. თავადი მათი დანუგეშების

მიუხედავად გულმკვდარი წავიდა. უეცრივ, თხუთმეტი წუთის წასული იქნებოდა თავადი, აგლაიამ ტერასაზე ჩამოირბინა ზემოდან, ჩამოირბინა ისეთი სისწრაფით, რომ ცრემლების მოწმენდაც ვერ მოასწრო. თვალები ნამტირალევი ჰქონდა; მიზეზი კოლიას მოსვლა იყო, რომელმაც ზღარბი მოიყვანა. ყველანი ზღარბს შემოეხვივნენ. რომ ჰკითხეს, ზღარბი საიდან გაჩნდაო, კოლიამ უპასუხა, ჩემი არ არის, მე და ჩემი ამხანაგი გიმნაზიელი კოსტია ლებედევი ერთად მოვდიოდით, ახლა ქუჩაში მიცდის, ნაჯახი უჭირავს ხელში და შემოსვლისა რცხვენიაო. ერთი გლეხი შეგვხვდა და ზღარბი და ნაჯახი იმისგან ვიყიდეთო. გლეხს ზღარბი გასაყიდად მოჰყავდა და ორმოცდაათი კაპიკი გამოგვართვა, ნაჯახის გაყიდვაზე კი ჩვენ შევუჩნდით, რადგან სწორედ რომ გვჭირდებოდა და თანაც ჩინებული ნაჯახი არისო. უეცრივ აგლაია კოლიას ჩააცივდა, გინდა თუ არა ახლავე მომყიდე ზღარბი, აღარ იცოდა, რა ექნა, „გენაცვალეც“ კი უთხრა კოლიას. კოლია დიდხანს იდგა უარზე, ბოლოს გულმა ვეღარ გაუძლო და კოსტია ლებედევს დაუძახა, რომელიც, მართლაც, ნაჯახით შემოვიდა და ძალზე დაირცხვინა. მაგრამ აღმოჩნდა კი, რომ ზღარბი სულაც არ ყოფილა მათი, ვიღაც მესამე ბიჭს, პეტროვს ეკუთვნოდა თურმე; იმ პეტროვს ფული მიუცია მათთვის, რომ რომელიღაც მეოთხე ბიჭისგან შლოსერის „ისტორია“ ეყიდათ,[123] რომელსაც ეს ბიჭი ხელსაყრელ ფასში ყიდდა, ვინაიდან ფული სჭირდებოდა. ისინიც შლოსერის „ისტორიის“ საყიდლად წამოსულან, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლეს და ზღარბი იყიდეს, ასე რომ ზღარბიცა და ნაჯახიც, მაშასადამე, იმ მესამე ბიჭს ეკუთვნოდა. სწორედ მასთან მიაქვთ ახლა შლოსერის ისტორიის სანაცვლოდ. მაგრამ აგლაია ისე ჩააცივდა ბიჭებს, რომ ბოლოს გადაწყვიტეს და ზღარბი მიყიდეს. როგორც კი მოიგდო ხელთ ზღარბი, აგლაიამ ის კოლიას დახმარებით მყის დაწნულ კალათში ჩადო, ხელსახოცი გადააფარა და კოლიას შეეხვეწა, პირდაპირ თავადისთვის მიეტანა ახლავე მისი სახელით, სხვაგან არსად შეევლო, და ისიც ეთქვა, რომ „უღრმესი პატივისცემის ნიშნად“ მიეღო. კოლია სიხარულით დათანხმდა და სიტყვაც მისცა, მივუტანო, ოღონდაც იმაზე ჩააცივდა „ზღარბი რას ნიშნავს და მაგ საჩუქრით რა გნებავთ გამოხატოთო“ აგლაიამ უთხრა, შენი საქმე არ არისო. კოლიამ კი უპასუხა, დარწმუნებული ვარ, ალეგორიაა და რაღაცას ნიშნავსო. აგლაია გაწყრა და მოუჭრა, ლაწირაკი ხარ და მეტი არაფერიო. კოლიამ მაშინვე მიახალა, ქალი რომ არ იყო და ჩემს შეხედულებებს პატივს არ ვცემდე, ახლავე დაგიმტკიცებდი, ამგვარ შეურაცხყოფაზე რა პასუხი შემიძლიაო. ბოლოს იმით დამთავრდა, რომ კოლიამ მაინც სიხარულით წაიღო ზღარბი, კოსტია ლებედევიც უკან გაეკიდა; აგლაიამ რომ დაინახა, კოლია მეტისმეტად აქანებდა კალათს, ვეღარ მოითმინა და ტერასიდან გადმოსძახა „კოლია, გენაცვალე, ძალიან გთხოვ, არ გადმოგივარდესო!“ – თითქოს სულაც არ უჩხუბიათ ამ ერთი წუთის წინ. კოლიამაც მხიარულად უპასუხა „არ გადმომივარდება, აგლაია ივანოვნა, არხეინად ბრძანდებოდეთ!“ – და ისევ კისრისტეხით გავარდა. აგლაიამ ერთი გულიანად კი გადაიხარხარა და ფრიად კმაყოფილი გაიქცა თავის ოთახში, მთელი ის დღე ძალიან მხიარულ გუნებაზე იყოო.

ამ ამბავმა სულ რეტი დაასხა ლიზავეტა პროკოფიევნას. თითქოს რა იყო აქ ისეთი მაგრამ განწყობა კი ისეთი შეექმნა და უაღრესად შეაშფოთა კიდეც; ყველაზე მეტად – ზღარბის ამბავმა. რას ნიშნავს ზღარბი რას გამოხატავს რა იგულისხმება რისი ნიშანია რა ტელეგრამაა ვითომ საწყალმა ივან ფიოდოროვიჩმა, ამ დაკითხვას რომ შემთხვევით დაესწრო, სულ გააფუჭა საქმე თავისი პასუხით. მისი აზრით, ტელეგრამა აქ არაფერ შუაში იყო, რომ ზღარბი – „უბრალოდ ზღარბია და მეტი არაფერი, – დიდი-დიდი მეგობრულ განწყობას, წყენის დავიწყებას და შერიგებას ნიშნავდეს კიდევ, ერთი სიტყვით, ანცობაა, ოღონდაც უმანკო და მისატევებელიო!“ ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ გენერალი დიახაც მიმხვდარიყო სიმართლეს. აგლაიასაგან

გამასხრებული და გამოგდებული თავადი ნახევარი საათის მობრუნებული იყო შინ, სასოწარკვეთილი და მოშხამული, რომ უეცრივ კოლია მოვიდა და ზღარბი მოუტანა. თავადს მყისვე ზეცა გაეხსნა, გაცოცხლდა კაცი და კოლიას გამოკითხვა დაუწყო, ყოველ მის სიტყვას ჩაჰკირკიტებდა, ათჯერ მაინც გაამეორებინა პასუხი, ბავშვივით იცინოდა და ყოველ წამს ხელს ართმევდა გაცინებული და გასხივოსნებული თვალებით შემყურე ბიჭებს. მაშასადამე, აგლაიამ აპატია, მაშასადამე, საღამოსვე შეუძლია მათთან მისვლა, ეს კი, არათუ მთავარი, ყველაფერი იყო მისთვის.

– რა ბავშვები ვართ მაინც, კოლია!.. და... რა კარგია, რომ ბავშვები ვართ! – აღტაცებით დამთვრალმა შესძახა ბოლოს.

– მოკლედ რომ ვთქვათ, შეყვარებულია თქვენში, თავადო, მორჩა და გათავდა! – ავტორიტეტულად მიუგო კოლიამ.

თავადს სახე აელანძა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს. კოლიაც მხოლოდ ხარხარებდა და ტაშს უკრავდა; წუთიც და თავადსაც გაეცინა, მერე კი მთელი დღე ყოველ ხუთ წუთში ერთხელ დახედავდა ხოლმე საათს, ბევრი დრო თუ გავიდა და თუ ბევრი დრო დარჩა საღამომდეო.

განწყობამ მაინც თავისი ქნა ლიზავეტა პროკოფიევნამ ვეღარ სძლია ბოლოს თავს და ისტერიულ წუთს აჰყვა. მყისვე დაიბარა აგლაია, მეუღლისა და ქალების დაშლის მიუხედავად, რა არის, საბოლოო კითხვა დაესვა მისთვის და გარკვეული, საბოლოო პასუხი მიეღო. „ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ ყველაფერი და ეს ლოდი მოვიშოროთ, რომ მერე სიტყვაც არ ითქვას ამაზეო!“ თორემ საღამომდე ვერ გავატანო, – განაცხადა ესეც. მაშინ კი მიხვდნენ ყველანი, როგორ აერ-დაერიათ საქმეები. აგლაიამ თვალთმაქცურად გაიკვირვა, ვითომ აღშფოთდა, კისკისი ატეხა, თავადიცა და მისიანებიც მასხრად აიგდო – ეს იყო და ეს, სხვას ვერაფერს მიაღწიეს. ლიზავეტა პროკოფიევნა ლოგინად ჩაწვა და მხოლოდ საღამოს ჩაიზე გამოვიდა, როცა თავადის მოსვლის დრო იყო. თავადის ვიზიტს ის გულის კანკალით ელოდა და მის გამოჩენაზე ლამის ისტერიკა მოუვიდა.

მაგრამ არც თავადი იყო კაი დღეში, გაუბედავად, ლამის ბორძიკით შემოვიდა, ყველას თვალებში შესციცინებდა უცნაური ღიმილით და ყველას თითქოს რაღაცას ეკითხებოდა, ვინაიდან აგლაია არც ახლა დახვდა ოთახში და ამან გული გადაუქანა. უცხოებიდან იმ საღამოს არავინ იყო, მხოლოდ შინაურებს მოეყარათ თავი. თავადი შჩ-ი ჯერ კიდევ პეტერბურგში იმყოფებოდა, ევგენი პავლოვიჩის ბიძის საქმის თაობაზე. „ნეტავ ის მაინც ყოფილიყო და რაღაც ეთქვა“, სწუხდა ლიზავეტა პროკოფიევნა. ივან ფიოდოროვიჩი მეტისმეტი შეფიქრიანებული სახით იჯდა; დებსაც დარბაისლური იერი მიეღოთ და თითქოს ჯიბრზე ჩაეგუბებინათ პირში წყალი. ლიზავეტა პროკოფიევნამ აღარ იცოდა, როგორ წამოეწყო ლაპარაკი. ბოლოს ერთბაშად ენერგიულად მიალანძღა რკინიგზა და თავადს გამომწვევად შეხედა. ვაგლახ! აგლაია არ ჩანდა და თავადიც კაცად აღარ ვარგოდა. დაბნეულმა ის იყო ამოღერღა, გზის შეკეთება დიახაც ურიგო არ იქნებოდა, რომ ადელაიდას უეცრივ კისკისი წასკდა და თავადსაც ისევ წაუხდა ნირი. სწორედ ამ დროს დინჯად და მედიდურად შემოაბიჯა აგლაიამ, ცერემონიულად მიესალმა თავადს და დიდის ამბით დაიკავა მრგვალ მაგიდასთან ყველაზე გამოსაჩენი ადგილი. მერე კითხვის თვალით მიაჩერდა თავადს. მიხვდნენ იქ მყოფნი, რომ მათი საგონებელში ჩაგდების ყოველი მიზეზი ახლა უნდა ამოხსნილიყო.

– ჩემი ზღარბი თუ მოგიტანეს? – მტკიცედ, ბრაზით ჰკითხა მან.

– მომიტანეს, – მიუგო წამოწითლებულმა და სუნთქვაშეკრულმა თავადმა.

– ახლავე აგვიხსენით, რა იფიქრეთ ამ ამბავზე თუ გსურთ დედაჩემისა და მთელი ჩემი ოჯახის სიმშვიდე.

– გამიგონე, აგლაია... – შეწრიალდა უეცრივ გენერალი.

– ეს უკვე მეტისმეტია! – უეცრივ რაღაცის შეეშინდა ლიზავეტა პროკოფიევნას.

– მეტისმეტი სულაც არ გახლავთ, maman, – მკაცრად მიაგება მაშინვე ქალმა. – დღეს თავადს ზღარბი გავუგზავნე და მინდა გავიგო, რას ფიქრობს. რას მეტყვით, თავადო?

– რაზე მეკითხებით, აგლაია ივანოვნა?

– რაზე და ზღარბზე.

– ანუ... ჩემის ფიქრით, აგლაია ივანოვნა, გინდათ გაიგოთ, როგორ მივიღე... ზღარბი... ან უკეთ რომ ვთქვათ, რა თვალით შევხედე... ამ ზღარბის... გამოგზავნას, ანუ... ასეთ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ... ერთი სიტყვით...

თავადს სული შეეგუბა და დადუმდა.

– ბევრი ვერაფერი თქვით, – ხუთი წუთი შეიცადა აგლაიამ. – კარგი, ზღარბს მოვეშვათ; მაგრამ მაინც მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ამდენ გაუგებრობას ბოლოს მოვუღებ. ერთი მიბრძანეთ და თქვენის პირით გამაგებინეთ მთხოულობთ თუ არა?

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – აღმოხდა ლიზავეტა პროკოფიევნას.

თავადი შეკრთა და უკან დაიხია. ივან ფიოდოროვიჩი ადგილზე გახევდა; დებმა წარბები შეიკრეს.

– ნუ მოიტყუებთ, თავადო, სიმართლე თქვით. თქვენის მიზეზით საშველს აღარ მაძლევენ უცნაური დაკითხვებით; აქვს კი ამ დაკითხვებს რაიმე საფუძველი აბა, გისმენთ!

– მე თქვენი ხელი არ მითხოვია, აგლაია ივანოვნა, – წარმოთქვა უეცრივ გამოცოცხლებულმა თავადმა, – მაგრამ... თქვენც მოგეხსენებათ, რარიგ მიყვარხართ, რარიგ მწამს თქვენი... ამ წუთსაც კი...

– მე გეკითხებით... გინდათ თუ არა ჩემი თხოვნა?

– მინდა, – სუნთქვა შეეკრა თავადს.

პასუხმა ყველა ააწრიალა.

– ეგრე არ იქნება, ჩემო კარგო, – წარმოთქვა ივან ფიოდოროვიჩმა, დიდის მღელვარებით. – ეგ... ეგ ყოვლად შეუძლებელია, თუკი ეგრეა, გლაშა... უკაცრავად, თავადო, უკაცრავად, ჩემო ძვირფასო!.. ლიზავეტა პროკოფიევნა! – უხმო საშველად თავის ცოლს, – ჩაკვირვებაა... საჭირო...

– მე უარს ვამბობ, უარს! – ხელები აიქნია ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– Maman, მეც მათქმევინეთ, თუ შეიძლება; მეც ხომ რაღაცას ვნიშნავ ამ საქმეში. ამ საგანგებო წუთს ჩემი ბედი წყდება (სწორედ ასე გამოთქვა აგლაიამ) და მე თვითონ მინდა გავარკვიო. ისიც მიხარია, რომ ყველანი აქა ხართ... ნება მიბოძეთ გკითხოთ, თავადო, თუ „ასეთი ზრახვები აღგძვრიათ“, რა გგონიათ, კერძოდ, რით გამაბედნიერებთ?

– ღმერთმანი, არ ვიცი, აგლაია ივანოვნა, რა გიპასუხოთ; აქ... აქ რა უნდა თქვას კაცმა ან... საჭირო კია?

– მგონი გრცხვენიათ და სუნთქვა გეკვრით. ცოტა დაისვენეთ და ღონე მოიკრიბეთ; წყალი დალიეთ; თუმცა ახლავე ჩაის მოგართმევენ.

– მაგრამ ეს დიდად მნიშვნელოვანი ამბავია; ბავშვები ხომ არ ვართ, უნდა საღად შევხედოთ ყველაფერს... თუ შეიძლება ამიხსენით, ახლა, რა შეძლების პატრონი ხართ?

– კმარა, კმარა, აგლაია. გონს მოდი! ეგრე არ იქნება, არა... – შეშინებული ბუტბუტებდა ივან ფიოდოროვიჩი.

– სირცხვილო! – ხმამაღლა წაიჩურჩულა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– ჭკუაზე შეიშალა! – ასევე ხმამაღლა დაიჩურჩულა ალექსანდრამ.

– შეძლება... ანუ ფული? – განცვიფრდა თავადი.

– დიახ.

– მე... მე ას ოცდათხუთმეტი ათასი მექნება ახლა, – წაილუღლუღა თავადმა და სახეზე ალმურმა აჰკრა.

– მეტი არა? – დაუფარავად გაიკვირვა აგლაიამ, ოდნავადაც არ გაწითლებულა, – თუმცა არა უშავს, მეტადრე, თუ ეკონომიას გავწევთ... სამსახურს აპირებთ?

– შინა მასწავლებელზე გამოცდა მინდოდა დამეჭირა.

– მშვენიერია; ცხადია, ესეც შეგვმატებს სახსარს. კამერ-იუნკეროზას არ აპირებთ?

– კამერ-იუნკეროზას აზრადაც არ მომსვლია, თუმცაღა...

ახლა კი ვეღარ მოითმინეს აგლაიას დებმა და სიცილი წასკდათ. ადელაიდამ რა ხანია შეამჩნია აგლაიას აცმუკებულ სახეზე, რომ სიცილს ძლივს იკავებდა, თუმცა კი ჯერჯეროზით მთელ ძალას ატანდა თავის შესამაგრებლად. აგლაიამ ერთი გადახედა რისხვით თავის აკისკისებულ დებს, მაგრამ წუთიც და თვითონაც გიჟური, ლამის ისტორიული ხარხარი წასკდა; ბოლოს წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

– ასეც ვიცოდი, რომ მასხროზა იყო და მეტი არაფერი! – შეჰყვირა ადელაიდამ, – ზღარბი რომ გაუგზავნა, მაშინვე მივხვდი.

– არა, ამას კი აღარ გავაბედინებ, აღარ! – უცბად ბრაზი წაეკიდა ლიზავეტა პროკოფიევნას და აგლაიას გამოედევნა. დებიც უკან მიჰყვნენ. მარტო თავადი და ოჯახის მამა შერჩნენ ერთმანეთს.

– ეს... ეს... წარმოიდგენდი კი ამის მსგავსს რასმე, ლევ ნიკოლაიჩ? – მკვახედ შეჰყვირა გენერალმა, რომელმაც, ეტყობა, თვითონაც არ იცოდა, რისი თქმა უნდოდა, – არა, ხუმრობა გაშვებით, მითხარით ერთი?

– აგლაია ივანოვნა, ვატყობ მასხრად მიგდებს, – დაღონებით მიუგო თავადმა.

– მოიცა, ძმაო, მე წავალ, შენ კი აქ დაიცადე... იმიტომ... შენ მაინც ამიხსენი, ლევ ნიკოლაიჩ, შენ მაინც როგორ მოხდა, და რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, მთლიანად აღებული შენც დამეთანხმები, ძმაო, – მე ხომ მამა ვარ; რაც უნდა იყოს, მამა ვარ მაინც, არაფერი კი არ მესმის; შენ მაინც გამარკვიე!

– მე აგლაია ივანოვნა მიყვარს; მან ეს იცის... ვფიქრობ, დიდი ხანია იცის.

გენერალმა მხრები აიჩეჩა.

– საოცარია, საოცარი... ძალიან გიყვარს?

– ძალიან.

– მიკვირს, მიკვირს ეგ ყველაფერი. ან ეგეთი სიურპრიზი და ელდა... იცი, ჩემო კარგო, შეძლებაზე არაფერს გეტყვი (თუმცა კი უფრო მეტი მეგონა გქონდა), მაგრამ... ჩემი ქალის ბედნიერება... დაბოლოს... შეგიძლია კი, ასე ვთქვათ, მისი... მისი გაბედნიერება და თანაც... თანაც... ეს რაა ოინბაზობა თუ სიმართლე მისი მხრივ? ანუ შენი მხრივ კი არა, მისი მხრივ?

კარს მიღმა ალექსანდრა ივანოვნას ხმა გაისმა. მამას იბარებდნენ.

– აქ მომიცადე, ძმაო! მომიცადე და მოიფიქრე, მე ახლავე... – ჩაულაპარაკა აჩქარებით და თითქმის შეშინებული გაქანდა ალექსანდრას დაძახებაზე.

ცოლი და ქალიშვილი ჩახვეულები დაუხვდა გენერალს, ორთავეს ღვარად სდიოდათ ცრემლები – ბედნიერების, გულაჩუყების და შერიგების. აგლაია ხელებს, ლოყებს, ტუჩებს უკოცნიდა დედას; ორივე მხურვალედ ეკვროდა ერთმანეთს.

– აი, შეხედე, ივან ფიოდოროვიჩ, აი, სად ჩანს მისი სული! – თქვა ლიზავეტა პროკოფიევნამ.

აგლაიამ მოსწყვიტა ბედნიერი, ცრემლიანი სახე დედის მკერდს. შეხედა მამას, ერთი გადაიკისკისა, მერე ყელზე მოეხვია, მაგრად ჩაეკრა და რამდენიმეჯერ აკოცა. შემდეგ ისევ დედას მიეჭრა, მის მკერდში ჩამალა სახე, რომ აღარავისთვის დაენახვებინა უკვე, და მყისვე ტირილი ამოუშვა. ლიზავეტა პროკოფიევნამ თავისი მოსასხამის ბოლოები გადააფარა...

– აბა, რას გვიშვრები, რას, შე გულქვა შენა, ამის შემდეგ! – ახლა უკვე გახარებულმა წარმოთქვა ეს, თითქოს გულზე ლოდი მოეშვა უეცრად.

– გულქვა! დიახ, გულქვა! – უეცრივ აჰყვა აგლაია. – საძაგელი! გატოტოჩებული! მამასაც გადაეცით. აჰ, მამა ხომ აქაა. მამა, აქა ხართ? გესმით! – ცრემლნარევი სიცილით უთხრა მან.

– ჩემო კარგო, ჩემო სათაყვანებელო ხატო! – ხელებს უკოცნიდა ბედნიერებისაგან გაბადრული გენერალი (აგლაია გაუნძრევლად იდგა). – მაშ, გიყვარს ის ყმაწვილი?

– აჰ, არა! ვერც ვიტან... იმ თქვენს ყმაწვილს, ვერც ვიტან! – უცბად წამოპილპილდა აგლაია და თავი ასწია, – ხოლო თუ კიდევ ერთხელ გაგიბედიათ, მამა. მე არ ვხუმრობ, გესმით, არ ვხუმრობ!

აგლაია მართლაც არ ხუმრობდა. სახეზე ალმური მოედო, თვალები წამოეწითო. მამას ხმა ჩაუწყდა და დაფრთხა, მაგრამ ლიზავეტა პროკოფიევნამ ანიშნა, – „ნუღარაფერს ეკითხებიო“ და გენერალიც გაჩუმდა.

– თუ ასეა, ჩემო ანგელოზო, შენი ნებაა, როგორც გინდა, ის იქ მარტო გვიცდის; ხომ არ გადავუკრათ თავაზიანად, წაბრძანდი-მეთქი.

გენერალმა თავის მხრივ თვალი ჩაუკრა ლიზავეტა პროკოფიევნას.

– არა, არა, ეგ სულ ზედმეტი იქნება. მეტადრე თუ „თავაზიანად“ აპირებთ. ჯერ თქვენ გადით, მე ახლავე გამოგყვებით. იმ... ყმაწვილს მინდა პატივება ვთხოვო, რომ ვაწყენინე.

– და ძალიანაც აწყენინე, – სერიოზულად დაუმოწმა ივან ფიოდოროვიჩმა.

– მაშინ... მაშინ სჯობს, ყველანი აქ დარჩეთ, მე მარტო გავალ, თქვენ კი მალე შემომყევით, ამ წუთშივე; ასე აჯობებს.

აგლაია კართან მივიდა, მაგრამ უეცრად შემობრუნდა.

– გამეცინება! სიცილით მოვკვდები! – დაღონებით განაცხადა მან.

მაგრამ იმავ წუთს გატრიალდა და თავადთან გაიქცა.

– რას ნიშნავს ეს, როგორ გგონიათ? – სწრაფად გადაულაპარაკა ივან ფიოდოროვიჩმა.

– თქმისაც მეშინია, – სწრაფადვე მიუგო ლიზავეტა პროკოფიევნამ. – ჩემის აზრით, ნათელია.

– ჩემის აზრითაც აშკარაზე აშკარაა, უყვარს.

– უყვარს ცოტაა, შეყვარებულია! – ხმა გამოიღო ალექსანდრა ივანოვნამ, – ოღონდაც ვინ უყვარს, საკითხავია?

– ღმერთმა გააბედნიეროს, თუკი მისი ბედი ყოფილა! – სასოებით გადაიწერა პირჯვარი ლიზავეტა პროკოფიევნამ.

– მაშასადამე, ბედია, – დაუკრა კვერი გენერალმა, – ბედს ვერსად გაექცევი!

ყველა სასტუმროსკენ გაემართა. იქ კი ისევ სიურპრიზი ელოდათ.

აგლაიას არათუ გაეცინა, თავადს რომ მიუახლოვდა, რისიც ასე ეშინოდა, ლამის მოკრძალებითაც კი უთხრა:

– შეუნდეთ სულელ, საძაგელ, გატოტოჩებულ ქალს (ხელი გამოართვა მან თავადს) და მერწმუნეთ, რომ ყველანი უსაზღვრო პატივსა გცემთ. თუ რომ გავბედე და ეგ თქვენი მშვენიერი... კეთილი გულუბრყვილობა სამასხროდ ვაქციე, მომიტევეთ, როგორც ბავშვს, ეს სისულელე, რასაც, ცხადია, შედეგი არ ექნება...

უკანასკნელ სიტყვებს აგლაიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. მამა, დედა, დები ყველანი შეესწრნენ ამ ამბავს, ყველამ ნახეს და მოისმინეს და ყველა სახტად დატოვა მისმა სიტყვებმა „ამ სისულელეს შედეგი არ ექნებაო“, ყველაზე მეტად კი აგლაიას სერიოზულმა კილომ გააოცა, როცა ამ სისულელეზე ლაპარაკობდა. ყველამ ერთმანეთს გადახედა განცვიფრებით; მაგრამ თავადი, ვგონებ, ვერც მიმხვდარიყო ამ სიტყვების აზრს და ცაში ფრინავდა სიხარულით.

– მაგას რად ამბობთ, – ლუღლუღებდა იგი, – რადა მთხოვთ... პატიებას... კინაღამ ისიც არ დააყოლა, ღირსი არა ვარ, პატიება მთხოვოთო. ვინ იცის, კიდეც შეამჩნია ეს ხაზგასმული სიტყვები, „ამ სისულელეს შედეგი არ ექნებაო“, მაგრამ თავისი უცნაური ბუნების წყალობით იქნებ კიდეც გაახარა ამ ნათქვამმა. ფიქრი არ უნდა, რომ სხვა ნეტარება არც უნდოდა, ოღონდ აგლაიას ნახვა შეძლებოდა, მასთან ლაპარაკი, მასთან ყოფნა, მასთან სეირნობა არ დაეშალათ, ვინ იცის, მარტო ეს ეკმარა და ამით დაკმაყოფილებულიყო მთელი სიცოცხლე! (აი სწორედ ამ კმაყოფილების ეშინოდა, მგონი, ლიზავეტა პროკოფიევნას გულში; უკვე მიმხვდარიყო მის ხასიათს; ბევრი რამ აშინებდა გუნებაში, მაგრამ ვერ გამოეთქვა).

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამოცოცხლდა და გული მოეცა იმ საღამოს თავადს. ისეთ მხიარულ გუნებაზე დადგა, მარტო მისი შეხედვა გაგამხიარულებდა კაცსო, – ასე ამბობდნენ შემდეგ აგლაიას დები. მთელი საღამო ენა არ გაუჩერებია, რაც არ უქნია იმ დილის შემდეგ, როცა ამ ნახევარი წლის წინ პირველად გაეცნო ეპანჩინებს. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ განზრახ არიდებდა ხოლმე თავს ლაპარაკს. სულ ცოტა ხნის წინ, ყველას თანდასწრებით, გამოუტყდა კიდეც თავად შჩ-ს, სჯობია თავი შევიკავო და გავჩუმდე, ვინაიდან უფლება არა მაქვს, აზრი დავამცირო ჩემი გადმოცემითო. თითქმის მარტო ის ლაპარაკობდა იმ საღამოს, ბევრი რამ მოჰყვა; სიხარულით და დაწვრილებით იძლეოდა კითხვებზე გარკვეულ პასუხს. მაგრამ მის სიტყვებს თავაზიანი მუსაიფის არაფერი ეცხო. სულ სერიოზულ, ასე გასინჯეთ, შიგადაშიგ თავსამტვრევ რამეებზე ლაპარაკობდა, რამდენიმე თავისი შეხედულებაც გამოთქვა, საკუთარი დაკვირვებანი, რომელიც ჯერ არავისთვის გაეზიარებინა და, ასე კარგად რომ არ ყოფილიყო გადმოცემული, როგორც შემდეგში შეთანხმდნენ მისი მსმენელები, ალბათ სასაცილოც გამოვიდოდა. გენერალს, მართალია, კი უყვარდა სერიოზული სასაუბრო თემები, მაგრამ მანაც და ლიზავეტა პროკოფიევნამაც თავისთვის შენიშნეს, მეტისმეტი სწავლულობა გამოიჩინაო. ასე რომ საღამოს დასასრულს კიდეც დაღონდნენ. თავადი ბოლოს იმდენად შეჰყვა საუბარს, რამდენიმე სასაცილოზე სასაცილო ანეკდოტი მოჰყვა, რაზეც პირველი თვითონვე იცინოდა, სხვებს კი უფრო მისი აღტაცებული სიცილი აცინებდათ, ვინემ მისი ანეკდოტები. რაც შეეხება აგლაიას, მთელი საღამო თითქმის ხმა არ ამოუღია; სამაგიეროდ, თავადს გაფაციცებით უსმენდა, თუმცა უფრო უყურებდა.

– მისჩერებია და მერე როგორ, თვალს ვერ აცილებს; ყოველ მის სიტყვას დაკანკალებს, ძირს არ აგდებს, – ეუბნებოდა შემდეგ ლიზავეტა პროკოფიევნა თავის მეუღლეს, – მაგრამ აბა უთხარი, გიყვარსო, შავ დღეს დაგაყრის!

– რას იზამ, ბედია! – მხრებს იჩეჩავდა გენერალი. ისე მოეწონა ეს სიტყვა, რომ მერეც რამდენჯერმე გაიმეორა. იმასაც დავუმატებთ, რომ ვითარცა საქმიან კაცს, არც მას მოსდიოდა თვალში ბევრი რამ, რაც მთავარია, საქმის გაურკვევლობა; მაგრამ ჯერჯერობით მანაც დუმილი არჩია და... და ლიზავეტა პროკოფიევნასთვის თვალებში ცქერა.

დიდხანს არ გაჰყვა გენერლის ოჯახს მხიარული განწყობა. მეორე დღეს ისევ წაეჩხუბა აგლაია თავადს და ასევე გაგრძელდა შემდეგაც. მთელი საათობით მასხარად იგდებდა და ლამის პამპულად გამოჰყავდა. მართალია, შიგადაშიგ ხან ერთი და ხან ორი საათი ისხდნენ ხოლმე,

ეპანჩინების ბაღის ფანჩატურში, მაგრამ როგორც შენიშნეს, ამ ხანში თავადი თითქმის მუდამ ან გაზეთებს უკითხავდა აგლაიას, ან რაიმე წიგნს.

– იცით რა, – გააწყვეტინა ერთხელ აგლაიამ გაზეთის კითხვა, – გატყობთ, საოცრად გაუნათლებელი ბრძანდებით; კაცმა რომ გკითხოთ, ესა და ეს ვინ იყო, რა წელს რა მოხდა, რომელი ტრაქტატით, არაფერი იცით. საცოდავი ვინმე ხართ.

– ხომ გითხარით, სწავლა დიდი არა მაქვს-მეთქი, – მიუგო თავადმა.

– მაშ რა გაქვთ რა პატივი უნდა გცეთ ამის შემდეგ განაგრძეთ კითხვა თუმცა არა, არ გინდათ.

იმავე საღამოს აგლაიას უცნაურმა საქციელმა კვლავ საგონებელში ჩააგდო ყველა. თავადი შჩ-ი ჩამობრუნდა პეტერბურგიდან. აგლაია ძალზე გულითადად შეხვდა, ევგენი პავლოვიჩზე ბევრი რამ გამოჰკითხა (თავადი ლევ ნიკოლაევიჩი ჯერ არ იყო მოსული). თავადმა შჩ-მაც გაბედა და სიტყვა გადაუკრა „მალე ალბათ ახალი ცვლილება მოგიხდებათ ოჯახშიო“, ლიზავეტა პროკოფიევნას გადაკვრით ნათქვამზე, ადელაიდას ქორწილი შეიძლება ისევ გადავდოთ და ორივე ქორწილი ერთად გადავიხადოთო, წარმოდგენაც კი ძნელია, როგორ გაჯავრდა აგლაია ამ „სულელურ ზრახვებზე“, სხვათა შორის, ისიც წამოსცდა, „სულაც არ ვაპირებ ვიღაც-ვიღაცების საყვარლების შეცვლასო“.

ამ სიტყვებმა ყველა შეაძრწუნა, განსაკუთრებით, მშობლები. ლიზავეტა პროკოფიევნა ქმარს საიდუმლოდ ეთათბირა და დაუჟინა, თავადს გადაწყვეტით უნდა მოლაპარაკება ნასტასია ფილიპოვნას თაობაზეო.

ივან ფიოდოროვიჩი იფიცებოდა, ეს მხოლოდ „ბავშვური საქციელია“, აგლაიას მორცხვობით გამოწვეული; და თუ თავად შჩ-ს ქორწილი არ ეხსენებინა, არც ეს ამბავი მოხდებოდა, ვინაიდან აგლაიამ თვითონაც იცის და დანამდვილებით იცის, რომ ეს მხოლოდ ჭორებია და რომ ნასტასია ფილიპოვნა როგორც მიჰყვებაო; თავადი არაფერ შუაშია, არაფერი კავშირი არა აქვს მასთან და თუ სიმართლეზე მიდგა საქმე, არც არასოდეს ჰქონიაო. თავადს კი მაინც არაფერი აშფოთებდა და ნეტარების ზღვაში ცურავდა. ო, რა თქმა უნდა, ისიც ამჩნევდა, რა პირქუშად და მოუთმენლად გადმოხედავდა ზოგჯერ აგლაია, მაგრამ სხვა რამისა უფრო სწამდა და ავი ფიქრი თავისთავად უქრებოდა. რაკი ერთხელვე იწამა, უკვე ვეღარაფერი შეურყევდა ამ რწმენას. იქნებ, მეტისმეტად დამშვიდებულიც იყო; ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა იპოლიტსაც, როცა ერთხელ შემთხვევით შეხვდა პარკში.

– განა მართალი არ გითხარით მაშინ, შეყვარებული ხართ-მეთქი, – გააჩერა იპოლიტმა თავადი. თავადმა ხელი გაუწოდა და მოულოცა, „მშვენივრად გამოიყურებითო“.

ავადმყოფი მართლაც ყოჩაღად გამოიყურებოდა, როგორც სჩვევიათ ხოლმე ზოგჯერ ჭლექიანებს.

სწორედ იმიტომაც შეაჩერა იპოლიტმა თავადი, რომ რაღაც მწარე ეთქვა მისთვის, რაკი ბედნიერი სახე დაუნახა, მაგრამ მაშინვე თავის ამბებზე გადახტა, და დიდხანს ჩიოდა და წუწუნებდა უთავბოლოდ.

– არც დამიჯერებთ, რა ბღიზიანი, წვრილმანი, ეგოისტი, პატივმოყვარე და ორდინარული ხალხია ეგენი, – დაასკვნა ბოლოს; – იცით, ალბათ იმ პირობით გადამიყვანეს, რომ მალე მოვმკვდარიყავი, ახლა კი გულზე სკდებიან, რომ არ ვკვდები, პირიქით, უკეთაც შევიქენ. კომედიაა პირდაპირ! სანაძლეოს ჩამოვალ, არ გჯერათ ჩემი!

თავადი არ შეესიტყვა.

– ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ისევ ხომ არ გადმოვიდე თქვენსა, – დაუდევრად დააყოლა იპოლიტმა, – მაშ თქვენ ფიქრობთ, იმ განზრახვით არ გადავუყვანივართ, რომ მალე ამომძრომოდა სული?

– მე მგონი, უფრო სხვა განზრახვა ჰქონდათ, როცა მიგიპატიჟეს.

– ერიჰა! არც ისე გულუბრყვილო ყოფილხართ, როგორც გახასიათებენ! ახლა დრო არაა, თორემ ზოგ რასმე გაგიმხელდით მაგ განეჩკასა და მის იმედებზე. თქვენ ძირს გითხრიან, თავადო, უნამუსოდ გითხრიან ძირს... მწყინს კიდეც, რომ ასე არხეინად ბრძანდებით. მაგრამ ვაგლახ, სხვანაირად არ შეგიძლიათ!

– მერე ეგ რა საწყენია! – გაეცინა თავადს, – თქვენის აზრით, უფრო ბედნიერს გამხდიდა ეჭვები?

– მირჩევნია, უბედური ვიყო და ყველაფერი ვიცოდი, ვინემ ბედნიერი და... გაბრიყვებული. მგონი, სულაც არ გჯერათ, რომ იმ... იმ მხრიდან მეტოქეობას გიპირებენ?

– ეგ თქვენი სიტყვები მეტოქეობაზე, ცოტა არ იყოს, ცინიკურია, იპოლიტ; სამწუხაროა, რომ უფლება არ მაქვს, გიპასუხოთ. რაც შეეხება გავრილა არდალიონოვიჩს, როგორ გგონიათ, შეუძლია გულმშვიდად იყოს იმის შემდეგ, რაც მან დაკარგა, თუკი მისი ამბები ნაწილობრივ მაინც იცით; მე მგონი, ამ თვალსაზრისით უფრო სჯობია შევხედოთ; ის კიდევ შეიცვლის ნირს. ჯერ დიდი გზა უდევს წინ, ცხოვრება ბევრ რასმე ასწავლის... თუმცა... თუმცა, – უცბად აირია თავადი, – რაც შეეხება ძირის გამოთხრას... მე არც კი მესმის, რისი თქმა გინდათ; სჯობს ამ ლაპარაკს მოვეშვათ, იპოლიტ.

– ბატონი ბრძანდებით, მოვეშვათ. თან როგორ იქნება, თქვენ და კეთილშობილება არ გამოიჩინოთ?! დიახ, თავადო, როცა თითს დაატაკებთ, მაშინღა დაიჯერებთ, ჰა-ჰა! ძალიან გეზიზღებით ახლა?

– რატომ? იმიტომ რომ ჩვენზე მეტი იტანჯეთ და იტანჯებით?

– არა, იმიტომ რომ ამ ტანჯვის ღირსი არა ვარ.

– ვინც მეტი იტანჯა, მაშასადამე, ღირსიცაა მეტი ტანჯვის. აგლაია ივანოვნამ „აღსარება“ რომ წაიკითხა, თქვენი ნახვა გადაწყვიტა, მაგრამ...

– მაგრამ გადადო... ნება არ მისცეს, მესმის, მესმის, მესმის... – გააწყვეტინა იპოლიტმა, თითქოს უნდა საუბრის საგანი შეცვალოსო. – ჰო, იცით, მე მითხრეს, რომ ეს აბდაუბდა თურმე თქვენ წაუკითხეთ მას. ჭეშმარიტად, ბოდვის დროსაა დაწერილი.

არა, მაინც რაოდენ ბავშვური პატივმოყვარე და გულღვარძლიანი უნდა იყოს კაცი, გულქვა-მეთქი, არ ვიტყვი (ჩემთვის დამამცირებელი იქნება), რომ ამ „აღსარებისთვის“ გამკიცხოს და ჩემს წინააღმდეგ იარაღად გამოიყენოს! ნუ გეშინიათ, თქვენზე არ ვამბობ.

– იცით, იპოლიტ, მწყინს, რომ მაგ რვეულზე ხელს იღებთ. გულწრფელადაა დაწერილი და მისი ყველაზე სასაცილო მხარეები, ისინი კი არცთუ ისე ცოტაა (იპოლიტს სახე დაემანჭა), ტანჯვითაა გამოსყიდული, ვინაიდან ასეთი რამეების აღიარება მართლა ტანჯვა და... დიდ ვაჟკაცობასაც მოითხოვს ადამიანისაგან. რაც არ უნდა იყოს, კეთილშობილური აზრი გამოძრავებდათ, თანდათან უფრო ვრწმუნდები ამაში, ღმერთს გეფიცებით. არ იფიქროთ, რომ განსჯა მსურდეს თქვენი. უბრალოდ, ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა, გული მტკივა, რომ მაშინ არაფერი ვთქვი...

იპოლიტს სახე წამოენთო. ჯერ იფიქრა, თვალთმაქცობს და ჩემი ანკესზე წამოგება უნდაო, მაგრამ რომ ჩააკვირდა, მიხვდა, თავადი გულწრფელად ლაპარაკობდა და სახე გაეხსნა.

– და მაინც სიკვდილს ვერ აიცდენ! – წაილაპარაკა და კინაღამ დაამატა „ისიც ჩემისთანა კაციო!“ – ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიწვრილებს გულს ეგ თქვენი განეჩკა; იცით, ახლა რა მოიგონა, ვინც შენი რვეული მოისმინა, იქნებ იმათში სამი-ოთხი შენზე ადრეც მოკვდესო! ჰო, როგორ მოგწონთ! იმას ჰგონია, ძალიან მანუგეშებს, ჰა-ჰა! ჯერ ერთი, არავინ არ მომკვდარა; მერე, კიდეც რომ მოკვდეს, ეს ჩემთვის ვითომ რა ნუგეშია! თავისი არშინით ზომავს; თუმცა ეს რაა, ახლა კიდევ უფრო შორს მიდის. პირდაპირ იგინება, ამბობს, რიგიანი კაცი ასეთ შემთხვევაში უხმოდ მოკვდებოდაო და შენი მხრივ ეს ყველაფერი მხოლოდ ეგოიზმს მოწმობსო! როგორ მოგწონთ, ჰა! არა, როგორი ეგოისტია! ან უფრო სწორად, რა სქელტყავა ეგოიზმია მათი მხრივ, რასაც სრულებითაც ვერ ამჩნევენ საკუთარ თავს!.. წაგიკითხავთ, თავადო, ვინმე სტეპან გლებოვის[124] სიკვდილის ამბავი, მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა გუშინ შემთხვევით წავიკითხე...

– რომელი სტეპან გლებოვის?

– რომელიც პეტრეს დროს ძელზე გასვეს.

– ოჰ! ღმერთო ჩემო, ვიცი! თხუთმეტი საათი იყო ძელზე გასმული იმ ყინვაში ქურქიანად, მერე რა მოთმინებით დალია სული; დიახ, წაკითხული მაქვს... რაზე მკითხეთ?

– ზოგს რა იღბალი აქვს სიკვდილში, ჩვენთვის კი ესეც არ გაიმეტა ღმერთმა! იქნებ გგონიათ, გლებოვივით ვერ მოვახერხებდი სიკვდილს?

– სულაც არა, – აირია თავადი, – მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ... ესე იგი, ის კი არა, რომ გლებოვივით ვერ მოკვდებოდით, თქვენ... უფრო...

– ვხვდები ოსტერმანივით[125] და არა გლებოვივით, – ამის თქმა გინდოდათ, არა?

– რომელი ოსტერმანი? – გაიოცა თავადმა.

– ოსტერმანი, დიპლომატი ოსტერმანი, პეტრეს დროინდელი, – წაილუღლუღა ცოტა არ იყოს არეულმა იპოლიტმა.

მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა.

– ო, არა! მაგის თქმა არ მინდოდა, – გააგრძელა თავადმა დუმილის შემდეგ, – მე მგონი... ოსტერმანი თავის დღეში არ იქნებოდათ.

იპოლიტს სახე მოეღუშა.

– თუმცა, იცით, რატომ ვამტკიცებ ამას, – უცბად დააყოლა თავადმა თავისი ნათქვამის გამოსასწორებლად, – იმიტომ, რომ მაშინდელი ხალხი (გეფიცებით, მუდამ მაკვირვებდა ეს ამბავი) თითქოს სულ სხვა მოდგმისა იყო, ვიდრე ჩვენ, ჩვენს საუკუნეში, ღმერთმანი, თითქოს სხვა მოდგმისა... მაშინ ხალხი როგორღაც ერთი იდეით იყო შეკრული, ახლა კი უფრო ნერვიული, განვითარებული გახდა, უფრო სენსიტიური, თითქოს ორი, სამი იდეა უდევთ საფუძვლად... ახლანდელი ადამიანი უფრო ფართო გაქანებისაა, – და, ღმერთმანი, სწორედ ეს უშლის ხელს ისეთივე შეკრული იყოს, როგორც იმ საუკუნეებში... მე... მე ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ...

– მესმის; წეღან თქვენი გულუბრყვილობით არ დამეთანხმეთ, ახლა კი ამის სანაცვლოდ ჩემი დანუგეშება გინდათ, ჰა-ჰა! პირწმინდა ბავშვი ხართ, თავადო. ვამჩნევ, რომ ისე მექცევით... თითქოს ფაიფურის ჭურჭელი ვიყო... არაფერია, არაფერი, გული არ მომდის. ყოველ შემთხვევაში, მეტად სასაცილო საუბარი გამოგვივიდა; ხანდახან პირწმინდა ბავშვი ხართ, თავადო. იცით, მე იქნებ ოსტერმანზე უკეთესი ვინმეც მინდა ვიყო. ოსტერმანობისთვის სულაც არ ღირს მეორედ მოსვლა ამქვეყნად... თუმცა, ვატყობ, ჩქარა უნდა მოვკვდე, თორემ მე თვითონ.. თავი დამანებეთ. ნახვამდის! მაშ, კარგი, აბა, მითხარით, თქვენის აზრით როგორ უნდა მოვკვდე?.. რომ ჩემი სიკვდილი, ასე ვთქვათ, უფრო მადლიანი გამოვიდეს აბა, მითხარით!

– გაიარეთ და შეგვინდეთ ბედნიერება! – ნელა წარმოთქვა თავადმა.

– ჰა-ჰა-ჰა! ეგრეც მეგონა! უთუოდ რაღაც მაგდაგვარს ველოდი! თუმცა... თუმცა... ჰო- ჰო! რა ენამზიანი ხალხი ბრძანდებით! ნახვამდის, ნახვამდის!

VI

ვარვარა არდალიონოვნამ სრული სიმართლე უთხრა ძმას, ეპანჩინების აგარაკზე წვეულებას აპირებენ და ბელოკონსკაიას მოელიანო. სტუმრები სწორედ იმავე საღამოს უნდა შეკრებილიყვნენ; მაგრამ ეს ამბავიც რამდენადმე გაუზვიადა. მართალია, ეს საქმე მეტისმეტად ნაჩქარევად იქნა გადაწყვეტილი და არც ამდენი ღელვა იყო საჭირო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ ოჯახში „ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც სხვაგან“. ყველაფრის მიზეზი ლიზავეტა პროკოფიევნას სულსწრაფობა იყო, რომელმაც „ველარ გაუძლო ამდენ ეჭვსა და გაურკვევლობას“. მშობლებს გულის ფრიალი ჰქონდათ ატეხილი საყვარელი ქალის ბედ-იღბლის გამო. თანაც ბელოკონსკაია, მართლაც, მალე აპირებდა გამგზავრებას; მისი პროტექცია კი დიახაც ბევრს ნიშნავდა საზოგადოებაში. ჰოდა, რაკი ფიქრობდნენ, თავადს მფარველობას გაუწევსო, მშობლებს იმის იმედი ჰქონდათ, აგლაიას საქმროს „საზოგადოება“ პირდაპირ ყოვლისშემძლე „დედაბრის“ ხელიდან ჩაიბარებსო, მაშასადამე, თუკი რამე უცნაური იქნება ამაში, ასეთი მფარველის წყალობით ნაკლებ უცნაური გამოჩნდებაო. საქმე სწორედ ის იყო, რომ დედ-მამას ვერა და ვერ გადაეწყვიტა თვითონ არის თუ არა ამ საქმეში რამე უცნაური და თუ არის, მაინც რამდენადო ან იქნებ სულაც არაა უცნაურიო ავტორიტეტული და კომპეტენტური ხალხის მეგობრული, გულახდილი აზრი სწორედ ახლა გამოადგებოდათ, როცა აგლაიას გადამკიდე ჯერ კიდევ საბოლოოდ არაფერი იყო გადაწყვეტილი. ყოველ შემთხვევაში ადრე თუ გვიან, თავადი საზოგადოებაში უნდა გამოეყვანათ, საზოგადოებაზე კი მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. მოკლედ, განზრახული იყო მისი „ჩვენება“. საღამო შინაურული უნდა ყოფილიყო, მხოლოდ „ახლობლებს“ მოელოდნენ, ისიც სულ რამდენიმე კაცს. ბელოკონსკაიას გარდა, კიდევ ერთი ქალბატონი უნდა მოსულიყო, ფრიად გავლენიანი დიდკაცის ცოლი. ყმაწვილკაცებიდან ლამის მარტო ევგენი პავლოვიჩზე ამყარებდნენ იმედებს, რომელიც ბელოკონსკაიას უნდა ხლებოდა.

საღამომდე თითქმის სამი დღით ადრე შეიტყო თავადმა, ბელოკონსკაია რომ უნდა მოსულიყო წვეულების ამბავი კი მხოლოდ წინა საღამოს გაიგო. რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია, რა მოუსვენრობას აეტანა ოჯახის წევრები, ხოლო გადაკრულ-გადმოკრულებით იმასაც მიხვდა, ეშინიათ, რა შთაბეჭდილებას მოვახდენო. ეპანჩინები კი დარწმუნებული იყვნენ, რომ თავისი მიამიტობით თავადი ვერც მიხვდებოდა, რარიგ აშფოთებდა ყველას მისი ამბავი. ამიტომ მის შემყურეთ გული უღონდებოდათ. ის, მართლაც, დიდად არაფრად აგდებდა ამ ამბავს. სულ სხვა რამეს დაეკავებინა მისი გონება და სულ სხვა უკლავდა გულს! აგლაია თანდათან უფრო ჟინიანი ხდებოდა, თანდათან უფრო უფუჭდებოდა გუნება. რა გაიგო, ევგენი პავლოვიჩსაც მოელიანო, დიდად გაიხარა თავადმა, თქვა, დიდი ხანია მისი ნახვა მინდოდაო. ეს მისი სიტყვები რატომღაც არავის ეჭაშნიკა. აგლაიამ გაბრაზებულმა დატოვა ოთახი. მხოლოდ მოგვიანებით, ასე თორმეტ საათზე, როცა თავადი უკვე წასვლას აპირებდა, დაიმარტოხელა და გაცილებისას რამდენიმე სიტყვა უთხრა:

– ხვალ მთელი დღე რომ არ მოხვიდოდეთ ჩვენსა, კარგს იზამთ, საღამოს მოდით, სტუმრების მოსვლისას. თქვენ იცით, რომ სტუმრები გვეყოლება?

აგლაიას სიტყვებს მოუთმენლობა და უკმეხობა ეტყობოდა. მან პირველად წამოიწყო იმ „წვეულებაზე“ ლაპარაკი. სტუმრებზე ფიქრი მისთვისაც თითქმის აუტანელი იყო, რაც ყველამ შენიშნა. ვინ იცის, გულითაც უნდოდა დედ-მამას წაჰკიდებოდა ამის თაობაზე, მაგრამ სიამაყე და მორცხვობა არ აძლევდა ნებას ეთქვა რამე მაშინვე მიუხვდა თავადი, რომ აგლაიასაც მის გამო ეშინოდა (ოღონდაც არ ტყდებოდა) და ანაზდად თვითონაც დაფრთხა.

– დიახ, მოწვეული ვარ.

აგლაიას, ეტყობა, უმძიმდა გაგრძელება.

– შეიძლება კი სერიოზულად გელაპარაკოთ კაცი ერთხელ მაინც თქვენს სიცოცხლეში? – უეცრად ბრაზი წაეკიდა აგლაიას და თავი ვეღარ შეიკავა.

– როგორ არა, გისმენთ; მოხარულიც ვარ, - ბუტბუტებდა თავადი.

აგლაიამ წუთით იყუჩა და მერე დაუფარავი ზიზღით დაიწყო:

– აღარ გამოვედავე ჩვენებს, ხანდახან ვერაფერს შეაგნებინებ. ჭირივით მეჯავრებოდა ყოველთვის ეს წესები, maman, რომ ამოიჩემებს ხოლმე ზოგჯერ. მამაჩემზე აღარაფერს ვამბობ, იმას რა მოეკითხება. Maman, ცხადია, კეთილშობილი ქალია; აბა, ერთი უკადრისი რამე გაუბედეთ და ნახავთ. აი იმ... სამაგელს კი ფეხქვეშ ეგება! მარტო ბელოკონსკაიაზე არ ვამბობ სამაგელი დედაბერია და ხასიათიც სამაგელი აქვს, ოღონდ ჭკვიანია და ყველა ხელში ჰყავს ჩაჭერილი, – ამას ვერ წაართმევ! ო, რა სიმდაბლეა! არა, მაშ სასაცილო არ არის მუდამ საშუალო წრის ხალხი ვიყავით, მუდამ და ახლა კი იმ მაღალ წრეს რას ვეპოტინებით ჩემი დებიც რომ აჰყვნენ. თავად შჩ-ს ბრალია ყველაფერი, ყველანი მაგან ააფორიაქა. თქვენ რატომ გიხარიათ, რომ ევგენი პავლოვიჩი იქნება?

– გამიგონეთ, აგლაია, მგონი, ძალიან გეშინიათ, ხვალ არ ჩავიჭრე იმ საზოგადოებაში.

– მე? მე მეშინია? – სახე წამოეწითო აგლაიას, – ვითომ მე რად უნდა მეშინოდეს, გინდაც რომ... სულ მოიჭრათ თავი? მე რა? ან რა სიტყვებს ხმარობთ? რას ნიშნავს „ჩაჭრა“? ყოვლად უგვანო სიტყვაა.

– სკოლაში იციან.

– დიახ, სკოლაში! და სამაგელი სიტყვაა! როგორც გატყობთ, ხვალ სულ ასეთი სიტყვებით აპირებთ ლაპარაკს. იქნებ ამგვარი სიტყვები კიდევ მოიძიოთ შინ თქვენს ლექსიკონში? ვიშ, რა ეფექტს მოახდენთ?! აფსუს, რომ კარგად გეხერხებათ, მგონი, ოთახში შემოსვლა. ნეტავ სად ისწავლეთ მოახერხებთ კი ჩაის ფინჯანი ჩამოართვათ და დალიოთ, როცა ყველანი მოგაშტერდებიან?

– მგონი, მოვახერხებ.

– აფსუს; თორემ რამდენს ვიცინებდი. ან ჩინური ლარნაკი მაინც გატეხეთ სასტუმროში! ძვირფასი რამაა გეხვეწებით, გატეხეთ; ნაჩუქარია და დედაჩემი ჭკუაზე შეიშლება, სტუმრებთან ატირდება, ისე უყვარს. ხელი გაიქნიეთ, როგორც გჩვევიათ, მოახვედრეთ და გატეხეთ. განზრახ მის გვერდით დაჯექით.

– პირიქით, რაც შეიძლება შორს გავეცლები. მადლობელი ვარ, რომ გამაფრთხილეთ.

– მაშასადამე, წინასწარ გეშინიათ, რომ ხელების ქნევას დაიწყებთ. სანამლეოს ჩამოვალ, რომ რაიმე „თემაზე“ წამოიწყებთ ლაპარაკს, სერიოზულ, მეცნიერულ და ამაღლებულ თემაზე, ხომ ჰო-ჰო, რა ლამაზი გამოვა!

– ცხადია, თუ უადგილოდ იქნა... ჭკვიანური საქციელი არ გამომივა.

– გამიგონეთ, ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, – ვეღარ მოითმინა აგლაიამ, – თუ რომ სიკვდილით დასჯაზე, რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობასა და მსგავს რამეზე დაგიწყიათ

ლაპარაკი ან „ამ ქვეყანას სილამაზე იხსნისო“, მაშინ.. მაშინ კი გამეხარდება და ბევრს ვიცინებ, ოღონდ... ახლავე გაფრთხილებთ მერე თვალით არ დამენახოთ! გესმით სერიოზულად გეუბნებით! ამჯერად უკვე სერიოზულად!

ქალის მუქარა მართლაც სერიოზული იყო, მართლაც, რაღაც უცნაური ხმით თქვა და რაღაც უცნაურად აუელვარდა თვალები. ეს არასოდეს შეუმჩნევია წინათ თავადს და, რა თქმა უნდა, არც ხუმრობას ჰგავდა.

– თქვენ ის გააკეთეთ, რომ ხვალ უთუოდ „ავლაპარაკდები“ და... იქნებ... ლარნაკიც გავტეხო. აქამდე შიში არაფრისა მქონდა, ახლა კი ყველაფრის მეშინია. უთუოდ ჩავიჭრები.

– ჰოდა, ხმას ნუ ამოიღებთ და ჩუმად იჯექით.

– ვერ შევძლებ! დარწმუნებული ვარ, შიში ამალაპარაკებს და შიში გამატეხინებს ლარნაკს. ვინ იცის, გაპრიალებულ იატაკზე დავეცე, ან რაიმე ამნაირი შემემთხვეს, განა არ მომსვლია. მთელი ღამე ალბათ სიზმრად გადამექცევა. რატომ მითხარით!

აგლაიამ მოღუშვით შეხედა.

– იცით რა? ხვალ სულაც არ მოვალ! ავადმყოფობას მოვიმიზეზებ. მორჩა და გათავდა! – გადაჭრა ბოლოს თავადმა.

აგლაია სიბრაზისაგან გაფითრდა, ფეხიც კი დააბაკუნა.

– ღმერთო ჩემო! ასეთი რამ გაგონილა?! არ მოვალო, როცა განზრახ მაგისთვის... ოჰ, ღმერთო! რა უბედურებაა თქვენისთანა... შეუგნებელთან ლაპარაკი!

– მოვალ, მოვალ! – სწრაფად გააწყვეტინა თავადმა, – პატიოსან სიტყვასაც გაძლევ, რომ მთელი საღამო კრინტს არ დავძრავ, ეგრე მოვიქცევი.

– და მშვენივრადაც მოიქცევით. „თავს ავადმყოფად გავასაღებ“, ახლა რომ თქვით, ნეტავ საიდან სესხულობთ ამ გამოთქმებს? ან რა გალაპარაკებთ ჩემთან ამ სიტყვებს? ჩემი გაჯავრება გინდათ.

– უკაცრავად, ესეც სკოლაში იციან. მეტს აღარ ვიტყვი. კარგად მესმის, რომ... რომ ჩემ გამო შიში გალაპარაკებთ... (ნუ გამირისხდებით, რა!) და საშინლად მიხარია. არ დაიჯერებთ, რაოდენ მაშინებს ახლა და რაოდენ მახარებს თქვენი სიტყვები. მაგრამ, მერწმუნეთ, ეს შიში წვრილმანი და სულელური ამბავია. ღმერთმანი, აგლაია! სიხარული კი დამრჩება. საშინლად მომწონს, რომ ასეთი ბავშვი ხართ, ასეთი კარგი და კეთილი! ოჰ, რა მშვენიერი ხართ ზოგჯერ, აგლაია!

აგლაია, რა თქმა უნდა, უნდა გაებრაზებინა ამ სიტყვებს, მაგრამ ერთბაშად სულ სხვა გრძნობა დაეუფლა მის სულს წამიერად.

– ხომ არ დამაყვედრებთ ამ უხეშ სიტყვებს... როდისმე... შემდეგ – უეცრივ ჰკითხა მან.

– რას ამბობთ, რას! ან რად წამოწითლდით ისევ! აი, ისევ კუშტად მიმზერთ! მეტისმეტად კუშტად მიმზერთ ხოლმე ხანდისხან, აგლაია. წინათ არასოდეს იცოდით ასე. ვიცი, რა მიზეზია...

– გაჩუმდით, გაჩუმდით!

– არა, სჯობს გითხრათ. რა ხანია მინდოდა მეთქვა; ერთხელ უკვე გითხარით, მაგრამ... ეტყობა, კარგად ვერ აგიხსენით, ვინაიდან არ დამიჯერეთ. ჩვენ შორის მაინც ერთი არსება დგას...

– გაჩუმდით, გაჩუმდით! – უეცრივ გააწყვეტინა აგლაიამ, ხელი ხელში სტაცა და ლამის თავზარდაცემული შეაცქერდა. მაგრამ ამ დროს დაუძახეს და ისიც გახარებული გაიქცა.

თავადს მთელი ღამე აციებდა. საოცარია, ეს რამდენიმე ღამე ზედიზედ აციებდა. ამჯერად, ნახევრად ბურანში მყოფს, თავში გაუელვა ერთიც ვნახოთ და ხვალ, იმ ხალხში ზნემ მომიაროსო? ცხადლივ ხომ მოსვლია ზნე? სისხლი ეყინებოდა ამის გაფიქრებაზე, მთელი ღამე რაღაც უცნაური არნახული საზოგადოება ელანდებოდა, რაღაც უცნაურ ხალხში ტრიალებდა.

რაც მთავარია, „ლაპარაკად გადაქცეულიყო“; იცოდა, რომ არ უნდა ელაპარაკა და მაინც ლაპარაკობდა გაუჩერებლივ, რაღაცაში აჯერებდა მათ. ევგენი პავლოვიჩი და იპოლიტიც ერივნენ იმ სტუმრებში და მეტისმეტად დაძმაკაცებული ჩანდნენ.

ცხრა საათი იქნებოდა, როცა გაეღვიძა. თავი სტკიოდა, ფიქრები ერეოდა, უცნაური შთაბეჭდილებანი აჰყოლოდა. რატომღაც საოცრად მოუნდა როგოჟინის ნახვა და მასთან ლაპარაკი, თუმცა თვითონაც არ იცოდა რაზე. შემდეგ რატომღაც იპოლიტთანაც გადაწყვიტა ერთი პირობა წასვლა. რაღაც არეულ გუნებაზე იყო, იმდენად არეულზე, რომ იმ დილანდელმა ამბებმა თუმცა კი საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, მაგრამ არც იმდენად.

ჯერ იყო და ლებედევი ეწვია ასე ათის რაღაც წუთებზე, თითქმის სავსებით გალექებული. რაიმეს შემჩნევის თავი ამ ბოლო ხანებში თავადს არ ჰქონდა, მაგრამ თვალში მაინც ეცა, რომ გენერალ ივოლგინის მათი სახლიდან გადაბარგების შემდეგ, ეს სამი დღე ლებედევმა სულ აიღო თავზე ხელი. ჩაზინზლული და ჩაბინძურებული დადიოდა, ჰალსტუხი სულ გვერდზე ჰქონდა მოქცეული, სერთუკის საყელო ჩამოხეოდა. ეზოს ამ კუთხეშიც ისმოდა, რა ყოფას აწევდა თავისიანებს. ვერა ერთხელ შემოვიდა და თვალცრემლიანმა უამბო რაღაც. ამ დილასაც უცნაური ლაპარაკი წამოუწყო ლებედევმა, მუშტებს სულ გულში იბაგუნებდა, რაღაცას ინანიებდა...

– ვიწვნიე, ბატონო... ვიწვნიე ღალატისა და ფლიდობის მისაგებელი... სილა ვიწვნიე, ბატონო! – დაასკვნა ბოლოს ტრაგიკულად.

– სილაო! მერე ვისგან.. – ისიც ასე დილაადრიან?

– დილაადრიანო – სარკასტულად დაიჯღანა ლებედევი, – დრო აქ რა შუაშია... თუნდაც ფიზიკური მისაგებლისთვის... ოღონდაც ფიზიკური კი არა, ზნეობრივი სილა მტკიცეს!

ლებედევი უბოდიშოდ ჩამოჯდა და თავისი ამბები მოჰყვა, ძალიან უთავბოლოდ ლაპარაკობდა. თავადი ჯერ დაიღრიჯა და წასვლა დააპირა, მაგრამ რამდენიმე სიტყვამ გაკვირვებისაგან ადგილზე გაახევა... საოცარ ამბებს ჰყვებოდა ბატონი ლებედევი.

პირველად თითქოს რაღაც წერილზე ბუტბუტებდა, მერე აგლაია ივანოვნა ახსენა... შემდეგ თავადს მოადგა მწარე-მწარე საყვედურებით, გულის მოკვლასა და შეურაცხყოფას აბრალებდა ვინაიდან ჯერ ღირსი გახადა თავისი ნდობის ერთ-ერთი „პერსონაჟის“ (ნასტასია ფილიპოვნას) საქმეში, მერე კი უეცრივ უხეშად მოიშორა და გაპანღურებული გამოაგდო, პასუხის ღირსადაც არა სცნო უკანასკნელად „მისი უწყინარი კითხვა მოსალოდნელ ცვლილებათა თაობაზე ოჯახში“. გულაჩუყებით, როგორც ლოთებს სჩვევიათ ხოლმე, გამოტყდა ლებედევი, რომ ეს კი ველარ აიტანა, მეტადრე, რომ ბევრი რამ იცოდა, ერთობ ბევრი, ჯერ როგოჟინის მეოხებით, მერე თვით ნასტასია ფილიპოვნასა და მისი მეგობარი ქალისაგან, შემდეგ ვარვარა არდალიონოვნას შემწეობით და... და ბოლოს პირადად აგლაია ივანოვნასაგანაც, წარმოიდგინეთ, ვერას საშუალებით, ჩემი საყვარელი მამისერთა ქალის, ვერას საშუალებით... დიახ... თუმცა რომელი მამისერთა, სამი მყავს. როგორ ჰგონია, ვინ აცნობა დიდად საიდუმლოდ ლიზავეტა პროკოფიევნას წერილობით ყველაფერი, ჰე-ჰე! ვინ სწერდა პერსონაჟ ნასტასია ფილიპოვნას, დამოკიდებულებისა და... მოქმედების შესახებ, ჰი-ჰი-ჰი! ვინ, ვინ გახლავთ ეს ანონიმი?

– ნუთუ თქვენ? – შეჰყვირა თავადმა.

– დიახ, მე, – ღირსებით მიუგო ლოთმა, – დღეს კი ცხრის ნახევარზე, ამ ნახევარი საათის... არა, ბატონო, სამი მეოთხედი საათის წინ ვამცნე უკეთილშობილეს დედას, რომ ერთი... საყურადღებო ამბავი მაქვს გადასაცემი. მოახლის ხელით შევუგზავნე ბარათი, უკანა კარებიდან მიმიღო.

– ლიზავეტა პროკოფიევნა ნახეთ ახლა? – არ დაუჯერა ყურებს თავადმა.

– ვნახე და სილაც ვიწვნიე... ზნეობრივი. წერილი უკან გადმომიგდო, ასე ვთქვათ, თავში მახალა, არც წაიკითხა... მე კი კინწისკვრით გამომაგდო გარეთ... ოღონდაც. ასე ვთქვათ, ზნეობრივად და არა ფიზიკურად... თუმცა თითქმის ფიზიკურადაც, ცოტა დააკლდა!

– რა წერილი მოგახალათ წაუკითხავად?

– განა... ჰე-ჰე-ჰე! განა არაფერი მითქვამს თქვენთვის მე კი მეგონა, გითხარით უკვე... ერთი ასეთი წერილი მივიღე, ბატონო, გადასაცემად...

– ვისგან ვისთან?

მაგრამ ლებედევის „ახსნა-განმარტებებიდან“ კაცი ძნელად გაიგებდა რასმე. თავადმა როგორც იყო მოისაზრა, რომ წერილი დილაადრიან მოახლის ხელით გამოეგზავნა ვერა ლებედევასთან, ვისაც ის დანიშნულების მიხედვით უკვე ცნობილი პერსონაჟისთვის იმავე პირისგან... (რამეთუ ერთ-ერთ მათგანს მე „პირს“ ვარქმევ, მეორეს კი მხოლოდ „პერსონაჟს“ დასამცირებლად და გასარჩევად, რამეთუ დიდი სხვაობა გახლავთ უმანკო და ფრიად კეთილშობილ გენერლის ასულსა და... კამელიას შორის, დიახ). მაშასადამე, წერილი ამ „პირისაგან“ გახლდათ, ვისი სახელიც ა-თი იწყება. – ეგ როგორ იქნება ისიც ნასტასია ფილიპოვნას სახელზე სისულელეა! – შეჰყვირა თავადმა.

– დიახ, იყო, თუ მისაზე არა, როგოჟინის სახელზე მაინც, ვითომ რა განსხვავებაა! წარმოიდგინეთ, ერთხელ ბატონ ტერენტიევის სახელზეც იყო იმ პირისაგან, ვისი სახელიც ა-ზე იწყება, – თვალი ჩაუკრა ლებედევმა და გაიჭყანა.

ლებედევი ხან რას მიედებოდა და ხან რას, ავიწყდებოდა, ერთი წუთის წინ რაზე ლაპარაკობდა, ამიტომ თავადმა გაჩუმება არჩია, რა არის დაეცლია ყველაფრის დაფქვა. მაგრამ ის მაინც ვერ გაარკვია კარგად სწორედ მას უგზავნიდნენ წერილებს გადასაცემად, თუ ვერას მეშვეობით ხდებოდა თუ მას უგზავნიდნენ, ის რატომღა თქვა, „გინდ როგოჟინის, გინდ ნასტასია ფილიპოვნას სახელზე, რა განსხვავებააო“ მაშასადამე, უფრო სწორი იქნება იფიქროს, რომ წერილები მისი ხელიდან არ გადიოდა, თუკი წერილების ამბავი მართალი იყო. მაგრამ თუ ასეა, საიდან ჩაუვარდა ეს წერილი ხელში შესაძლოა, ვერას მოჰპარა... და რაღაც განზრახვით წაუღო ლიზავეტა პროკოფიევნას. საბოლოოდ ამ აზრს დაადგა თავადი და შეძრწუნებულმა ესღა შესძახა:

– გაგიჟებულხართ და ესაა!

– არც იმდენად, დიდად პატივცემულო თავადო, – აიმრიზა ლებედევი, – მართალია, ერთი პიროვნება თქვენთვის მინდოდა გადმომეცა, პირადად თქვენთვის, თქვენი გულის მოსაგებად... მაგრამ მერე ვარჩიე უკეთილშობილესი დედისთვის მემცნო ყველაფერი, ვინაიდან ერთხელ ადრევე ვამცნე ანონიმური წერილით; ჰოდა, როცა წეღან ბარათი შევუგზავნე წინასწარ, მიმიღეთ-მეთქი, რვა საათსა და ოც წუთზე, მაშინაც ასე მოვაწერე „თქვენი საიდუმლო კორესპონდენტი-თქო“; მაშინათვე შემიყვანეს, იმ წამსვე, წარმოიდგინეთ, დიდზე დიდი სისწრაფით, უკანა კარიდან... უკეთილშობილეს დედასთან.

– მერე?..

– მერე ხომ იცით, ცოტას გაწყდა არ მცემა, ასე რომ, შეიძლება კიდეც ჩავთვალოთ, რომ თითქმის მცემა. წერილი კი თავში მახალა. მართალია, კი უნდოდა დატოვება, კარგად შევატყვე, მაგრამ გადაიფიქრა „თუკი შენისთანას ანდო გადასაცემად, მაშ გადაეციო“... ეწყინა კიდეც. რაკი ჩემთან არ შერცხვა ამის თქმა, მაშასადამე, ეწყინა. ფიცხი ხასიათის გახლავთ!

- წერილი სადაა ახლა?

– მე მაქვს ისევ, აგრე, ბატონო.

და თავადს აგლაიას წერილი გადასცა, გავრილა არდალიონოვიჩისთვის მიწერილი. სწორედ ის წერილი, რომელიც ამავე დილას ორი საათის შემდეგ ასეთი ზარზეიმით აჩვენა მან თავის დაიას.

– ეს წერილი თქვენთან არ უნდა დარჩეს.

– თქვენ, თქვენ მოგართვით, ბატონო, – მხურვალედ მიაძახა ლებედევმა, – ახლა ისევ თქვენი მონა ვარ სულითა და გულით, თქვენი მორჩილი, წუთიერი ღალატის შემდეგ! გული დასაჯეთ, ოღონდ წვერი დაინდეთ, წვერიო, როგორც ბრძანა თომას მორუსმა[126] ინგლისსა და დიდ ბრიტანეთში, დიახ. Mea culpa, mea culpa[127], როგორც ბრძანებს რომის პაპა... ანუ რომის პაპი, მაგრამ მე მას პაპას ვეძახი.

– ეს წერილი ახლავე უნდა იქნას გადაცემული, – აწრიალდა თავადი, – მე გადავცემ.

– ვითომ არა სჯობს, ზრდილზე ზრდილო თავადო, არა სჯობს, ვითომ... აი, ესა ვქნათ! ლებედევი უცნაურად დაიჭყანა, მერე თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, ერთ ადგილზე დატრიალდა, თვალები ეშმაკურად მოჭუტა და თითებით რაღაც ანიშნა.

– რაო, რას ამბობთ? – რისხვით შეუტია თავადმა.

– წინასწარ რომ გაგეხსნათ, ბატონო! – წაიჩურჩულა ლებედევმა გრძნობა-მორევითა და თითქოს კონფიდენციალურად.

თავადი ისე გაშმაგებული წამოუხტა, რომ ლებედევმა გაქცევა დააპირა. მაგრამ კარს რომ მიაღწია, შეჩერდა, ვინ იცის, ისევ წყალობა მოიღოსო.

– ეჰ, ლებედევ! როგორ შეიძლება ასე დაეცეს კაცი და სინდისისაგან გაირეცხოს, როგორც თქვენ – მწუხარედ აღმოხდა თავადს. ლებედევს სახე გაუბრწყინდა.

– სულმდაბალი ვარ, სულმდაბალი! – მყისვე მიუახლოვდა და ცრემლმომდგარმა მკერდში დაიშინა ხელები.

– ეს ხომ საძაგლობაა!

– დიახაც საძაგლობაა, მართალს ბრძანებთ, ბატონო ჩემო!

– ან ეს რა ჩვეულება გაქვთ, ასე... უცნაურად რად იქცევით ეს ხომ... ჯაშუშობაა! ან ის ანონიმური წერილი რამ მიგაწერინათ და რამ აგაფორიაქებინათ... უკეთილშობილესი და უპატიოსნესი ქალი ვითომ რატომ არ შეუძლია აგლაია ივანოვნას, ბოლოს და ბოლოს, ვისაც უნდა, იმას მისწეროს წერილი საჩივლელად ხომ არ მიხვედით დღეს? რას გამოელოდით მაინც? რამ გაკისრებინათ ეს ჯაშუშობა?

– მარტოოდენ ცნობისმოყვარეობამ და... კიდევ კეთილშობილი გულის მოგების სურვილმა, დიახ! – ლუღლუღებდა ლებედევი, – ახლა კი მთელი სულით და გულით თქვენი ვარ. კვლავ თქვენი! გინდათ რომ ჩამომახრჩოთ?!

– ამ ყოფით გამოეცხადეთ ლიზავეტა პროკოფიევნას? – ზიზღით ჩაჰკითხა თავადმა.

– არა, ბატონო... უფრო ფხიზელი გახლდით... და უფრო რიგიანი იერიც მქონდა; რომ დამამცირეს კაცი, მერე ჩავვარდი ამ... ყოფაში, დიახ.

– კარგი, კარგი, გამშორდით ახლა.

სტუმრის წასვლას მხოლოდ მაშინ დაადგა საშველი, როცა თავადმა რამდენიმეჯერ გაუმეორა ეს თხოვნა. ლებედევი კართან მივიდა, მაგრამ ისევ გამოტრიალდა, ფეხაკრეფით გამოიარა შუა ოთახამდე და ხელებით დაუწყო ისევ ჩვენება, წერილი გახსენითო. სიტყვიერი რჩევა ვეღარ გაბედა. შემდეგ ნაზად ჩაიღიმა და გავიდა. მეტისმეტად ემძიმა თავადს ყოველივე ამის მოსმენა. ყოველივე ეს აშკარას ხდიდა ერთ მნიშვნელოვანსა და საგანგებო ფაქტს რომ აგლაია დიდ შფოთსა და ყოყმანში იყო, რომ ძალზე იტანჯებოდა რატომღაც („ეჭვიანობს და იმიტომ“, –

წაიჩურჩულა თავისთვის თავადმა). ისიც ცხადია, რომ ავი ხალხიც უმღვრევდა გუნებას, ხოლო რად ენდობოდა იმათ, ეს კი საკვირველი იყო. რა თქმა უნდა, ამ გამოუცდელ, მაგრამ ფიცხსა და ამაყ პატარა თავში რაღაც გეგმები ეწყობოდა, ვინ იცის, დამღუპველი და... და ყოვლად წარმოუდგენელი. თავადი მეტისმეტად შეშინებული იყო და აღარ იცოდა, რა გადაეწყვიტა. გრძნობდა კი, რაღაც ზომები უნდა მიეღო უთუოდ. მერე ერთი კიდევ დახედა დაბეჭდილი წერილის მისამართს ო, აქ საეჭვო და საშფოთი არაფერი ჰქონდა, ვინაიდან სწამდა აგლაიასი; მოსვენებას სულ სხვა რამ უკარგავდა ამ წერილში! გავრილა არდალიონოვიჩის ნდობა არ ჰქონდა. მაინც გადაწყვიტა, პირადად გადაეცა მისთვის წერილი და ამ განზრახვით გამოვიდა გარეთ, მაგრამ გზაში გადაიფიქრა. პტიცინის სახლს რომ მიუახლოვდა, თითქოს ბედად კოლია შემოეყარა და მას დაავალა თავადმა, შენს ძმას მიუტანე, ვითომ აგლაია ივანოვნამ გამოგატანაო. კოლიამ აღარაფერი ჰკითხა და გადასცა კიდეც. განიას კი წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ წერილმა ამდენ ხელში გამოიარა. თავადი შინ მიბრუნდა, ვერა ლუკიანოვნას დაუძახა, უამბო, რაც საჭირო იყო და დაამშვიდა ქალი, რომელიც აქამდე ეძებდა თურმე წერილს და ტიროდა. რა გაიგო, წერილი მამამ წაიღოო, ვერას თავზარი დაეცა (შემდეგ შეიტყო მხოლოდ თავადმა, რომ როგოჟინისა და აგლაია ივანოვნასთვის არაერთხელ გაუწევია თურმე საიდუმლო სამსახური; თავში აზრადაც ამ მოსვლია, ეს თუ თავადისთვის საზიანო იქნებოდა).

ამ ამბებმა საბოლოოდ მოშალა თავადი. ასე რომ, როცა ორი საათის შემდეგ კოლიას გამოგზავნილი კაცი მოვარდა მასთან და გენერლის ავადმყოფობა ამცნო, პირველ წუთს ვერ მოისაზრა, რაში იყო საქმე. მაგრამ ამ ამბავმა მაინც გამოაფხიზლა და ფიქრი სხვა რამეზე გადაატანინა. თითქმის საღამომდე დაჰყო ნინა ალექსანდროვნასთან (ავადმყოფი, ცხადია, აქ გადმოიყვანეს). შველით რას უშველიდა, მაგრამ ხომ არის ხალხი, ვისი ნახვაც გაჭირვების წუთებში გულს მოგიფონებს ხოლმე. კოლია საოცრად შეძრწუნებული იყო, ისტერიულად ტიროდა, მაგრამ ყოველ წუთს კი გარბი-გამორბოდა ჯერ ექიმის მოსაყვანად გავარდა და სამი მოიყვანა ერთად, მერე აფთიაქში გაიჭრა, მერე - სადალაქოში. გენერალი მოასულიერეს, მაგრამ გონზე მაინც ვერ მოიყვანეს; „ყოველ შემთხვევაში, პაციენტი საშიშ მდგომარეობაშიაო“, ბრძანებდნენ ექიმები. ვარია და ნინა ალექსანდროვნა ავადმყოფს არ სცილდებოდნენ; განია დარცხვენილი და შემცბარი იყურებოდა, მაგრამ ზევით მაინც არ ადიოდა და ავადმყოფის ნახვისა ეშინოდა კიდეც. სულ ხელებს იმტვრევდა. თავადს არეულად ელაპარაკა, ამის თქმა ძლივს მოახერხა, „ეს რა უბედურება მოხდა და ისიც რა დროსო!“ რა დროს გულისხმობდა, მგონი, ამას კარგად მიუხვდა თავადი. იპოლიტი აღარ დახვედრია თავადს პტიცინებთან. საღამოს ლებედევიც მოვარდა, რომელსაც დილანდელი „ახსნა-განმარტების“ შემდეგ მკვდარივით სძინებოდა თურმე. ახლა თითქმის სულ გამონელებოდა ღვინო და ავადმყოფს ღვიძლ ძმასავით გულწრფელად დასტიროდა თავზე. ჩემი ბრალიაო, ჩიოდა ხმამაღლა, თუმცა რა ბრალი იყო, ამას აღარ ამბობდა. ნინა ალექსანდროვნას სული შეუწუხა წარამარა მტკიცებით, რომ „ყველაფრის მიზეზი მე ვარ და სხვა არავინ... მხოლოდ და მხოლოდ უწყინარმა ცნობისმოყვარეობამ ჩამადენინაო... და რომ „ცხონებული“ (რატომღაც ასე იხსენიებდა დაჩემებით ჯერ კიდევ ცოცხალ გენერალს, გენიალური კაცი იყოო!“ ისე ამოეჩემებინა ეს გენიალობა, თითქოს ამას რაღაც სასწაული უნდა მოეხდინა ამ წუთს. ნინა ალექსანდროვნამ მისი გულწრფელი ცრემლები რომ ნახა, ბოლოს ყოველგვარი ყვედრების გარეშე თითქმის ტკბილადაც კი უთხრა „კარგით, კარგით, გეყოფათ, ნუ ტირით, ნუ, ღმერთი შეგინდობთ!“ ლებედევი ისე განაცვიფრა ამ სიტყვებმა და ამ კილომ, რომ მთელი საღამო აღარ უნდოდა ნინა ალექსანდროვნას მოშორებოდა (დანარჩენი დღეები, გენერლის სიკვდილამდე, დილიდან

საღამომდე თითქმის სულ იქ ტრიალებდა). იმ დღეს ორჯერ მოაკითხა ნინა ალექსანდროვნას ლიზავეტა პროკოფიევნას გამოგზავნილმა კაცმა ავადმყოფის მდგომარეობის გასაგებად. საღამოს კი, როცა ცხრა საათზე თავადმა ეპანჩინების სასტუმროში შედგა ფეხი, სადაც უკვე სტუმრებს მოეყარათ თავი, ლიზავეტა პროკოფიევნამ მყისვე ავადმყოფის ამბები გამოჰკითხა. გულშემატკივრად და დაწვრილებით, ხოლო როცა ბელოკონსკაიამ იკითხა „ვინაა ეგ ავადმყოფი, ან ნინა ალექსანდროვნა ვინ არისო“ ლიზავეტა პროკოფიევნამ ჩინებული პასუხი გასცა, რაც თავადს ძალზე მოეწონა. როგორც მერე აგლაიას დები ამბობდნენ, თვითონაც მშვენივრად ელაპარაკა ლიზავეტა პროკოფიევნას „ზედმეტი არაფერი უთქვამს, არც ზედმეტი ჟესტი გაუკეთებია; მორიდებით, წყნარად და ღირსეულად ეჭირა თავი, შემოსვლითაც მშვენივრად შემოვიდა; ჩინებულადაც ეცვა“, და არა თუ „ფეხი წაუცდა მოპრიალებულ იატაკზე“, როგორც წინა დღეს შიშობდა, არამედ, როგორც ჩანს, ყველას მოაწონა თავიო. თავადმა იქაურობას მოავლო თუ არა თვალი, მაშინვე შენიშნა, მთელი ეს საკრებულო სულაც არ იყო ისეთი დამაფრთხობელი, როგორც გუშინ აშინებდა აგლაია, და არც იმ კოშმარებს ჰგავდა, მთელი ღამე რომ ესიზმრებოდა. თავის სიცოცხლეში პირველად იხილა ერთი ნაწილი იმისა, რასაც ეგზომ საშინელი სახელი „მაღალი წრე“ ჰქვია. ზოგიერთი თავისი მიდრეკილებისა და მისწრაფებათა გამო დიდი ხანია სურვილი ჰქონდა ადამიანთა ამ მოჯადოებულ წრეში შეეღწია და ამიტომაც დიდად იყო დაინტერესებული პირველი შთაბეჭდილებით. ეს პირველი შთაბეჭდილება კი, წარმოიდგინეთ და, მომხიბვლელიც აღმოჩნდა. ერთბაშად ისე მოეჩვენა, რომ ამ ადამიანებს თითქოს დაბადებიდანვე ეწერათ, ერთად ყოფილიყვნენ; რომ ეპანჩინებს არავითარი „წვეულება“ არა აქვთ ამ საღამოს და არც სტუმრები ჰყავთ, რომ ყველანი მხოლოდ „შინაურები“ არიან, თვითონაც თითქოს მათი დიდი ხნის ერთგული მეგობარი და თანამოაზრეა და ახლა ხანმოკლე განშორების შემდეგ კვლავ შეხვდა მათ. თითქმის მომაჯადოებელი იყო მათი მოხდენილი ქცევა, სისადავე და გულწრფელობა. განა იფიქრებდა კი, რომ მთელი ეს გულწრფელობა და კეთილშობილება, სხარტი სიტყვა-პასუხი და საკუთარი ღირსების ამაყი შეგრძნება იქნებ დიდებული გარეგნული სამკაულია და სხვა არაფერი. სტუმრების უმრავლესობა რიხიანი შეხედულების მიუხედავად, საკმაოდ ქარაფშუტა ხალხს წარმოადგენდა, თუმცა თვითკმაყოფილებით გაბრუებულებმა თვითონაც არ უწყოდნენ, რომ ბევრი კარგი, რაც მათ გააჩნდათ - მარტოოდენ გარეგნული სამკაულია, მათ მიერ მემკვიდრეობით შეუგნებლად ათვისებული. პირველი შთაბეჭდილებით მოხიბლულსა და მოჯადოებულ თავადს ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია. მან დაინახა, მაგალითად, რომ აი, ამ მოხუცებულმა დიდკაცმა, რომელიც ბაბუადაც კი ერგება, ბაასი გაწყვიტა და მას, გამოუცდელ ყმაწვილს უსმენს, და არათუ უსმენს, როგორც ეტყობა, აფასებს კიდეც მის აზრს, ტკბილად ეპყრობა, გულწრფელ სიკეთეს იჩენს, მიუხედავად იმისა, რომ უცხოები არიან და დღეს პირველად ნახეს ერთმანეთი. ვინ იცის, თავადის შთაბეჭდილებიან გულზე ეგებ ყველაზე მეტად ამ ნატიფმა ზრდილობამ იმოქმედა. ვინ იცის, წინასწარვე იყო მეტისმეტად განწყობილი კარგი შთაბეჭდილებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ, მართალია, ეს ადამიანები ამ „ოჯახის“ მეგობრებად ითვლებოდნენ და ერთმანეთშიც კარგი განწყობა ჰქონდათ, მაგრამ არც ისეთი მეგობრები იყვნენ ამ ოჯახისა თუ ერთმანეთისა, როგორიც ეს თავადს ეჩვენა ერთი შეხედვით. აქ იყო ხალხი, ვინც ეპანჩინებს არასოდეს გაუტოლებდა თავს. ერივნენ ისეთებიც, რომელთაც დასანახავად სძულდათ ერთმანეთი; ბელოკონსკაიას ბებერი კნეინა მთელი სიცოცხლე „ზიზღის თვალით“ უცქერდა „მოხუცი დიდკაცის“ ცოლს, იმას კი თავის მხრივ სულაც არ ეხატებოდა გულზე ლიზავეტა პროკოფიევნა. ამ ქალის მეუღლე, „წარჩინებული გვამი“, რომელიც ეპანჩინებს ჯერ კიდევ

ახალგაზრდობიდანვე სწყალობდა და დღეს აქ ყველაზე უფრო საპატიო სტუმარი იყო, იმდენად დიდ პიროვნებას წარმოადგენდა ივან ფიოდოროვიჩის თვალში, რომ მის დანახვაზე გენერალს წამსვე მოწიწება და შიში ეუფლებოდა და გულწრფელად შეიზიზღებდა კიდეც თავს, რომ თუნდაც ერთი წუთით თავის ტოლად წარმოედგინა და არა ოლიმპოს იუპიტერად. აქ იყო ხალხი, ვისაც წლობით არ ენახა ერთმანეთი და ვინც, თუ ზიზღით არა, ყოვლად გულგრილად მაინც იყვნენ განწყობილნი ერთმანეთისადმი, მაგრამ დღეს კი ისე შეხვდნენ, თითქოს გუშინ გაატარეს დრო ერთად გულითად და საამურ კომპანიაში. თუმცა სტუმრები არცთუ ბევრნი იყვნენ. ბელოკონსკაიას, მოხუცი დიდკაცის, ამ მართლაც „წარჩინებული გვამისა“, და მისი ცოლის გარდა კიდევ ერთი მეტად დარბაისელი სამხედრო გენერალიც ბრძანდებოდა, ბარონი თუ გრაფი, გვარით გერმანელი, კაცი მეტისმეტად სიტყვაძვირი, სახელმწიფო საქმეთა საოცარი მცოდნისა და ლამის განსწავლული ადამიანის რეპუტაციის მქონე, – ერთ-ერთი იმ ოლიმპიელ ადმინისტრატორთაგანი, რომლებმაც ყველაფერი იციან „გარდა თვით რუსეთისა“, რომლებიც ხუთ წელიწადში ერთხელ „საოცარ ბრძნულ“ აზრს გადმოისვრიან, მაგრამ ისეთს კი, რაც მერე უთუოდ სალაპარაკო ხდება და საგანგებო წრის ყურამდეც აღწევს; ის ეკუთვნოდა იმ დიდ ადგილიან მოხელეთა რიცხვს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მეტისმეტად ხანგრძლივი სამსახურის შემდეგ დიდ დაფასებაში და წარჩინებაში სძვრებათ სული, მუდამ მშვენიერი ადგილები უკავიათ, ფულიც ბლომად აქვთ, თუმცა დიდ საგმირო საქმეებზე, თავს არ იკლავენ და, ცოტა არ იყოს, ამრეზითაც უცქერენ ამგვარ საქმეებს. ეს გენერალი ივან ფიოდოროვიჩის უშუალო უფროსს წარმოადგენდა სამსახურში, რომელსაც მადლიერი, ფიცხი გულისა და განსაკუთრებული თავმოყვარეობის წყალობით ისიც თავის კეთილისმყოფელად მიაჩნდა; თუმცა ეს უკანასკნელი სულაც არ რაცხდა თავს ივან ფიოდოროვიჩის კეთილისმყოფელად, ყოვლად გულგრილად ექცეოდა, სიამოვნებით იმსახურებდა და თუ რომ სხვა მოსაზრებებს მოეთხოვა, მყისვე შეცვლიდა კიდეც ვინმე სხვა მოხელით, თუნდაც ეს მოსაზრებანი დიდად მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო. აქ გახლდათ კიდევ ერთი ხნიერი, წარჩინებული ბატონი, მგონი, ლიზავეტა პროკოფიევნას ნათესავი, თუმცა ეს მთლად სწორი არ უნდა ყოფილიყო. ამ ბატონს კარგი ჩინი და წოდება ჰქონდა, მდიდარი და კაი გვარიშვილი იყო, ჩასკვნილი და ჩინებული ჯანის პატრონი, დიდი მოლაპარაკე და, ასე გასინჯეთ, უკმაყოფილო კაცის რეპუტაციის მქონე (თუმცა ამ სიტყვის, ასე ვთქვათ, ყოვლად ნებადართული გაგებით). იმასაც ამბობდნენ, ღვარძლიანი კაციაო (მაგრამ ესეც რომ საამოდ გამოსდიოდა), თანაც ინგლისელ არისტოკრატთა ზნე და ინგლისური გემოვნებაც მოსდგამდა (მაგალითად, რაც სისხლიან როსტბიფს, ცხენების აკაზმულობას, ლაქიებს და სხვათ შეეხებოდა). ის „მოხუცი წარჩინებული გვამის“ დიდი მეგობარი იყო, ართობდა და ელაპარაკებოდა მას. გარდა ამისა, ლიზავეტა პროკოფიევნას რატომღაც ერთი უცნაური ფიქრი ჩასჯდომოდა თავში, რომ ამ ხნიერმა ბატონმა (ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა და ნაწილობრივ ქალთა სქესის მოტრფიალემ) იქნებ ალექსანდრა გამიბედნიეროს, მისი ცოლობა მთხოვოსო. ამ ყოვლად მაღალსა და დარბაისელი საზოგადოების ფენას უფრო ახალგაზრდა სტუმართა ფენა მოსდევდა, თუმცა ბრწყინვალება და სინატიფე არც იმათ აკლდათ. თავად შჩ-სა და ევგენი პავლოვიჩის გარდა, ამ ფენას თავისი მომხიბლაობით ცნობილი თავადი N-იც მიეწერებოდა, რომელსაც თავის დროზე არა ერთი და ორი ქალი მოუხიბლავს და შეუცდენია მთელ ევროპაში. ახლა უკვე ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, თუმცა შეძლებაც კარგი ჰქონდა, ოღონდაც ცოტა კი შემოჰფანტოდა და ცხოვრების მეტ ნაწილს, ჩვეულებისდა მიხედვით, საზღვარგარეთ ატარებდა. აქ იყო კიდევ ისეთი ხალხიც, ვინც თითქოს მესამე, განსაკუთრებულ ფენას ქმნიდა, ვინც თავისთავად საზოგადოების „ნაკრძალ წრეს“ დიახაც არ

მიეკუთვნებოდა, მაგრამ ეპანჩინებივით მათაც ზოგჯერ რაღაც მანქანებით ამ „ნაკრძალ“ წრეში შეხვდებოდით. ეპანჩინებს წესად შემოეღოთ, გარკვეული ტაქტის წყალობით, თავიანთ წვეულებებზე მაღალი ფენის ხალხი უფრო დაბალ, „საშუალო ფენის“ რჩეულ წარმომადგენლებში აერიათ. ეპანჩინებს დიახაც უწონებდნენ ამ ამბავს, მათზე იძახდნენ, ესმით თავიანთი ყადრი და ტაქტიც აქვთო, რაც საამაყოდ რჩებოდათ ეპანჩინებს. ამ საშუალო წრის ხალხის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ საღამოზე ერთი ტექნიკოს-პოლკოვნიკი იყო, დარბაისელი კაცი და თავად შჩ-ს ფრიად ახლო მეგობარი, რომელმაც შემოიყვანა ის ეპანჩინების ოჯახში. პოლკოვნიკი საზოგადოებაში სიტყვაძვირი კაცი გახლდათ, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე დიდი ბეჭედი ეკეთა, როგორც ეტყობოდა, ნაწყალობები. კიდევ იყო ერთი ლიტერატორი პოეტი, გვარით გერმანელი, მაგრამ პოეტობით კი რუსი, თანაც რიგიანი შესახედაობის, ასე რომ, კარგ საზოგადოებაში მისი დაპატიჟება არავის შერცხვებოდა. გარეგნობა ღმერთს კარგი მიეცა, თუმცა რატომღაც უსიამო კი, ხნით ასე ოცდათვრამეტის იქნებოდა, საუცხოოდ ჩაცმულ-დახურული. წარმოდგებოდა უაღრესად ბურჟუაზიულ, მაგრამ უაღრესად დარბაისელი გერმანული ოჯახიდან, ბედის წყალობას იოლად არ უშვებდა ხოლმე ხელიდან. იმდენი ქნა, გავლენიანი ხალხის მფარველობა მოიპოვა და მათი კეთილი განწყობაც შეინარჩუნა. ოდესღაც ლექსად გადმოეთარგმნა რომელიღაც დიდი გერმანელი პოეტის ცნობილი ნაწარმოები, რომელიც მიეძღვნა ვისაც ჯერ არს. ისიც მოახერხა, სახელგანთქმული, მაგრამ გარდაცვლილი რუსი პოეტის მეგობრობით მოეწონებინა თავი (მთელ რიგს შეხვდებოდით ასეთი მწერლებისას, რომელთაც მეტისმეტად უყვართ საჯაროდ გაასაღონ თავი დიდი, მაგრამ გარდაცვლილ მწერალთა მეგობრად). არცთუ დიდი ხანია, რაც ეპანჩინების ოჯახში შეეყვანა იგი „მოხუცი დიდკაცის“ ცოლს. ამ ქალბატონს ლიტერატორებისა და მეცნიერების მწყალობლის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მან, მართლაც, მოუხერხა პენსია ერთ-ორ მწერალს მაღალი თანამდებობის პირთა საშუალებით, რომლებთანაც დიდი წონა ჰქონდა. წონა კი თავისებურად, მართლაც, დიდი ჰქონდა. ეს ორმოცდახუთი წლის ქალბატონი (მაშასადამე, ფრიად ახალგაზრდა ცოლი მისი ქმრისთანა ბებერი კაცისათვის) თავის დროზე განთქმული ლამაზმანი გახლდათ და ბევრ სხვა ორმოცდახუთი წლის ქალის დარად ახლაც მეტისმეტად უყვარდა კოპწიაობა; ჭკუით დიდად ვერ დაიტრაბახებდა და მისი ლიტერატურული განსწავლულობაც საეჭვო იყო. მაგრამ ლიტერატორების მფარველობა ისეთივე მანიად ქცეოდა, როგორც კოპწიად ჩაცმა-დახურვა. ამ ქალს უძღვნიდნენ ბევრ ნაწარმოებს და თარგმანს, ორმა-სამმა მწერალმა, მისი თანხმობით, თავიანთი წერილები გამოაქვეყნეს, მისდამი მიწერილი, მეტისმეტად მნიშვნელოვან საგნებზე... აი ეს საზოგადოება მიიღო სწორედ თავადმა ხალას ჭეშმარიტებად, ბაჯაღლო ოქროდ. ესეც კია, რომ თითქოს განგებ, ეს ხალხიც ამ საღამოს უბედნიერეს გუნებაზე ბრძანდებოდა, საკუთარი თავით ფრიად კმაყოფილი. ყველამ სათითაოდ იცოდა, რომ ეპანჩინებს დიდი პატივი დასდეს თავიანთი მობრძანებით. ვაგლახ, რომ თავადს გუმანშიც არ ჰქონდა ასეთი ეშმაკობანი. გუმანში არ ჰქონდა, მაგალითად, რომ თუკი ეპანჩინები ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას დააპირებდნენ, როგორიც მათი ქალის ბედ-იღბლის გადაწყვეტა იყო, სწორედაც ვერ გაბედავდნენ თავადი ლევ ნიკოლაევიჩი მოხუცი დიდკაცისთვის, მათი ოჯახის აღიარებულ მწყალობლისთვის, არ ეჩვენებინათ. მართალია, თავის მხრივ, ბებერი დიდკაცი ყოვლად გულგრილად შეხვდებოდა, ეპანჩინების თავზე თუნდაც წისქვილის ქვა დატრიალებულიყო, მაგრამ ქალი რომ მისი რჩევის გარეშე და, ასე ვთქვათ, ჭკუის დაუკითხავად გაეთხოვებინათ, ძალიანად განაწყენდებოდა. თავადი N-ი, ეს საამური, ეს უდაოდ ენასხარტი და ეგზომ გულწრფელი კაცი, ბეჯითზე ბეჯითად იყო

დარწმუნებული, რომ იგი ამ საღამოს ეპანჩინების დარბაზში ამობრწყინებული მზე გახლდათ. მიამიტურად, კეთილშობილურად სჯეროდა, რომ ეპანჩინები მასზე წარმოუდგენლად დაბლა იყვნენ და ამიტომაც ექცეოდა ასე დარდიმანდულად და გულთბილად სწორედ ამ ეპანჩინებს. მშვენივრად იცოდა, რომ ამ საღამოს უთუოდ რაღაც ამბავი უნდა ეამბნა საზოგადოების დასატყვევებლად, და, ცოტა არ იყოს, გატაცებითაც ემზადებოდა საამისოდ. შემდეგ, როცა ლევ ნიკოლაევიჩმა მისი ნაამბობი მოისმინა, გულში სცნო, რომ თავის დღეში არ მოუსმენია ჰუმორით ასე შეზავებული, ასე მხიარული და გულუბრყვილო ამბავი, რაც ამაღელვებელიც კი იყო და ისეთი დონ-ჟუანის პირიდან, როგორიც თავადი N-ი ბრძანდებოდა. მაგრამ ნეტა სცოდნოდა, რაოდენ ძველი და გაცვეთილი იყო უკვე ეს ამბავი, რაოდენ დაზეპირებული, მოძულებული და მობეზრებული ჰქონდათ ყველა სასტუმროში და მარტო საწყალ ეპანჩინებთან გასაღდა ისევ ახალ ამბად, ბრწყინვალე ადამიანის უეცარ, გულწრფელ და ბრწყინვალე მოგონებად! მაგრამ სხვაზე რა გვაქვს სათქმელი, როცა იმ გერმანელ მოპოეტო კაცუნასაც ლამის დიდ პატივად მიაჩნდა ამ ოჯახში თავისი მობრძანება, თუმცა საოცარი არ შეუმჩნევია საქმის უკანა პირი და სარჩული. სწორედ ეს უბედურება ვერ გაითვალისწინა აგლაიამ. კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა ამ საღამოს აგლაიას, ისეთი ტურფა სანახავი იყო. გენერლის სამივე ქალი საუცხოოდ ჩაცმულები იყვნენ, თუმცა გადამეტებული არაფერი ეტყობოდათ, თმაც განსაკუთრებულად დაევარცხნათ. აგლაია ევგენი პავლოვიჩს ეჯდა გვერდით და საოცარი გულითადობით ემუსაიფებოდა. ევგენი პავლოვიჩსაც, ცოტა არ იყოს, უფრო დარბაისლურად ეჭირა თავი, ვინემ სხვა დროს, ვინ იცის, იმ დიდკაცთა რიდით და ხათრით. ეს კია, საზოგადოებაში დიდი ხანია იცნობდნენ, იქ უკვე თავისიანად უყურებდნენ, მერე რა, რომ ახალგაზრდა იყო. იმ საღამოს ეპანჩინებთან რომ მოვიდა, ქუდზე შავი კრეპი ეკეთა. ბელოკონსკაიამ მოუწონა მაგ მდგომარეობაში სხვა ძმისწულს ვინძლო კრეპი არ გაეკეთებინა ეგეთ ბიძაზეო. კმაყოფილი დარჩა ლიზავეტა პროკოფიევნაც, თუმცა კი საერთოდ მეტისმეტად შეწუხებული ჩანდა რატომღაც. თავადმა ისიც შენიშნა, აგლაიამ რომ ერთი-ორჯერ დაკვირვებით გამოხედა და, მგონი, კმაყოფილი დარჩა მისი ქცევით. ნელინელ საოცრად ბედნიერ გუნებაზე დადგა თავადი. რა ფუჭ, წარმოუდგენელ და სასაცილო სიზმრად ეჩვენებოდა ახლა ამდილანდელი „ფანტასტიური“ ფიქრები და შიში (ლებედევთან საუბრის შედეგად აღძრული), როცა მოულოდნელად მოაგონდებოდა ისინი (ისედაც ამ დილიდან მოყოლებული მისი პირველი, თუმცა კი შეუგნებელი სწრაფვა და სურვილი ის იყო – რამე ეღონა და ეს სიზმარი არა და არ ერწმუნა!). ბევრს არ ლაპარაკობდა, თუ რასმე შეეკითხებოდნენ, პასუხს გასცემდა მხოლოდ, ბოლოს კი სულაც დადუმდა, იჯდა, ისმენდა და, როგორც ეტყობა, ნეტარების ზღვაში ცურავდა. ნელინელ რაღაც შთაგონების მსგავსად დაუგროვდა მასაც გულში, საკმარისი იყო სულ მცირე საბაბი და იფეთქებდა... ლაპარაკში კი სულ შემთხვევით ჩაება, ისიც პასუხის გაცემა მოუხდა და იმიტომ, განსაკუთრებული მიზანი თითქოს არც ჰქონია...

VII

თავადი რომ ევგენი პავლოვიჩსა და თავად N-თან მხიარულად მომასლაათე აგლაიას ცქერით ტკბებოდა, მეორე კუთხეში ხნიერი ბატონი – ანგლომანი „დიდკაცს“ ართობდა და რაღაცას გატაცებით უყვებოდა. უეცრივ ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევის სახელი ახსენა. თავადმა მსწრაფლ იქით მიატრიალა სახე და სმენად იქცა.

ლაპარაკი ახლანდელ წესებსა და ...ვ-ის გუბერნიაში საბატონო მამულების საქმეებში რაღაც არეულობაზე ჩამოვარდნილიყო, ანგლომანის ნაამბობი, როგორც ეტყობა, სასაცილოც იყო, ვინაიდან ბერიკაცს ბოლოს ხითხითი აუტყდა მოამბის ღვარძლიან გაცხარებაზე. ის უყვებოდა, თუ რატომ გახდა სწორედ ამ ახლანდელი წესების წყალობით იძულებული, რომ ...ვ-ის გუბერნიაში ერთი თავისი დიდებული მამული გაეყიდა თითქმის ნახევარ ფასში, თუმცა კი ფული განსაკუთრებით არ უჭირდა, და ამავე დროს მეორე გაეხრებული, ზარალიანი და თანაც სადავო მამული შეენარჩუნებინა და იქით დაემატებინა კიდეც ფული. უყვებოდა ამას დალაგებით, სიტყვებს რაღაცნაირად ტკეპნიდა და ხმოვან ბგერებს ნაზ მახვილს უსვამდა. „პავლიშჩევისეულ მამულზეც რომ კიდევ დავა არ შემხვედროდა, ავდექი და გამოვიქეცი. ერთი-ორი ასეთი მემკვიდრეობა კიდევ და ალბათ გავკოტრდები კაცი. თუმცა მე იქ სამი ათასი დესეტინა მშვენიერი ადგილ-მამული მერგებოდა!“

– იცი... ივან პეტროვიჩი განსვენებული ნიკოლაი ანდრეევიჩ პავლიშჩევის ნათესავი გახლავს... მგონი, ნათესავებს დაეძებდი, – უეცრივ გვერდით ამოუდგა თავადს ივან ფიოდოროვიჩი და ხმადაბლა ჩაულაპარაკა, რაკი შენიშნა, თავადი დიდად მიიზიდა საუბარმაო. ივან ფიოდოროვიჩი აქამდე თავის უფროსს – გენერალს ართობდა, მაგრამ ლევ ნიკოლაევიჩის განსაკუთრებული განმარტოება დიდი ხანია თვალში მოხვდა და მოსვენება დაუკარგა; გადაწყვიტა როგორმე საუბარში ჩაეთრია და ამგვარად მეორედ გაეცნო და წარედგინა იგი „წარჩინებულ გვამთათვის“.

– მშობლები რომ გარდაეცვალა, ლევ ნიკოლაევიჩი ნიკოლაი ანდრეიჩ პავლიშჩევმა გამოზარდა, – შეაპარა მან, როცა ივან პეტროვიჩის მზერა დაიჭირა.

– ძალიან სასიამოვნოა, – შენიშვნა ივან პეტროვიჩმა, – და ძალზე კარგადაც მახსოვს. წეღან რომ ივან ფიოდოროვიჩმა გაგვაცნო, მაშინვე გიცანით, მართალი გითხრათ, დიდად არ გამოცვლილხართ, თუმცა პატარაობაში კი გნახეთ, ათი თუ თერთმეტისა იქნებოდით. რაღაც ისეთი შეგრჩენიათ სახეში, რომ მომაგონდით...

– პატარაობაში მნახეთ? – რაღაც უჩვეულოდ გაიოცა თავადმა.

– ო, ძალზე დიდი ხნის წინათ იყო, – განაგრძობდა ივან პეტროვიჩი, – ზლატოვერხოვოში, ჩემს ბიძაშვილ ქალებთან ცხოვრობდით მაშინ... საკმაოდ ხშირი სტუმარი ვიყავ ზლატოვერხოვოში. არ გახსოვართ თუმცა შეიძლება არ გახსოვდეთ... მაშინ... მაშინ, მგონი, ავად იყავით, ერთხელ კიდეც გამაკვირვა თქვენმა ამბავმა...

– არაფერი მახსოვს! – ფიცხად დაემოწმა თავადი.

კიდევ რამდენიმე სიტყვა, ივან პეტროვიჩის მხრივ ფრიად გულმშვიდად, თავადის მხრივ კი საოცრად აღელვებით წარმოთქმული, და გამოირკვა, რომ ის ორი შინაბერა ხნიერი ქალბატონი, განსვენებული პავლიშჩევის ნათესავები, რომლებიც მის ზლატოვერხოვოს მამულში ცხოვრობდნენ და რომლებსაც თავადი აღსაზრდელად ჰყავდათ ჩაბარებული, ივან პეტროვიჩის ნათესავებიც იყვნენ. სხვებივით ვერც ივან პეტროვიჩმა ახსნა თითქმის, რა იყო მიზეზი, რომ პავლიშჩევი ასე ზრუნავდა თავის პატარა შვილობილ თავადზე. „არც გამხსენებია მაშინ ამის გამოკითხვაო“; მაგრამ მეხსიერება კი მაინც ჩინებული აღმოჩნდა, ვინაიდან ისიც გაიხსენა, თავის პატარა აღსაზრდელს რა მკაცრად ეპყრობოდა თურმე მისი უფროსი კუზინა, მარფა ნიკიტიშნა, „იმდენად, რომ ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე თქვენი გულისთვის აღზრდის სისტემის თაობაზე. აბა, სნეული ბავშვის როზგებით ცემა, თავადაც მოგეხსენებათ, ვის გაუგია“, და პირიქით... რა სინაზით ექცეოდა საწყალ ბიჭს უმცროსი კუზინა ნატალია ნიკიტიშნა... „ახლა ორივე უკვე ვ-ის გუბერნიაში ცხოვრობს, – გააგრძელა შემდეგ, – ოღონდაც არ ვიცი, ცოცხლები

არიან თუ არა იმ გუბერნიაში პავლიშჩევის გარდაცვალების შემდეგ პატარა, ფრიად რიგიანი მამული ერგოთ. მარფა ნიკიტიშნა, მგონი, მონოზვნად აღკვეცას აპირებდა; თუმცა დანამდვილებით არ ვიცი, იქნებ სხვაზე მითხრეს და ამერია... ხო, ამას წინ ერთი ექიმის ცოლზე მიამბეს...“

გაბრწყინებული და აწყლიანებული თვალებით ისმენდა ამას თავადი. უჩვეულო გულმხურვალებით აუწყა თავის მხრივ, რომ არაფრის დიდებით არ ვაპატიებ თავს, ექვსი თვე გუბერნიაში ვმოგზაურობდი და დრო კი ვერ შევარჩიე, ჩემი ყოფილი აღმზრდელები მომენახულებინაო. „ყოველ დღე ვაპირებდი წასვლას და ხან რა გამომიჩნდა და ხარ რა, მაგრამ ახლა კი აღთქმას ვიძლევი... უთუოდ.. ვ-ის გუბერნიაში წავიდე... მაშ ნატალია ნიკიტიშნას იცნობდით? რა საუცხოო, რა წმინდანი ადამიანია, მაგრამ მარფა ნიკიტიშნას რაც შეეხება... უკაცრავად და, მგონი, სცდებით მის შეფასებაში! თან, როგორც მე ვიყავი მაშინ (ჰი-ჰი!), არ დამიჯერებთ და მე ხომ მაშინ წმინდა წყლის იდიოტი ვიყავი (ჰა-ჰა!), თუმცა... თქვენც გყავართ მაშინ ნანახი და... ნეტა რატომ არ მახსოვხართ მაშ თქვენ... აჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ნიკოლაი ანდრეიჩ პავლიშჩევის ნათესავი ბრძანდებით?“

– გა-რწმუ-ნებთ, – გაეღიმა ივან პეტროვიჩს და თვალი შეავლო თავადს.

– ო, განა იმ აზრით ვთქვი, რომ... ვეჭვობ ან განა შეიძლება დაეჭვება (ჰე-ჰე!)... თუნდაც იოტისოდენად.. ანუ თუნდაც იოტისოდენადაც კი! (ჰე-ჰე!) იმიტომ ვთქვი, რომ განსვენებული ნიკოლაი ანდრეიჩი სწორედ რომ დიდებული კაცი იყო! დიდსულოვანზე დიდსულოვანი. ხომ დამერწმუნებით!

სული კი არ შეუგუბდა თავადს, ასე ვთქვათ, „თავისი კაი გული მოებრჯინა ყელში“, როგორც ადელაიდამ უთხრა მეორე დილას თავის საქმროს თავად შჩ-ს.

– აჰ, ღმერთო ჩემო! – გაეცინა ივან პეტროვიჩს, – ვითომ რატომ არ შეიძლება თუნდაც დიდ-სუ-ლო-ვანი კაცის ნათესავი ვიყო?

– ოჰ, ღმერთო ჩემო, – შეცბა თავადი, რომელსაც უფრო და უფრო ერეოდა აღფრთოვანება და სიტყვებს სხაპასხუპით აყრიდა, – ისევ სისულელე არ წამომცდა, მაგრამ ასეც უნდა მომხდარიყო! მე... მე ხომ... თუმცა ისევ რას მივედ-მოვედები! ან რა სახსენებელი ვარ, ახლა, როცა ასეთ ამბებზეა, ასეთ დიდ ამბებზეა ლაპარაკი! თანაც ისეთ დიდსულოვანზე დიდსულოვანი კაცის გვერდით, იმიტომ რომ, ღმერთმანი, დიდსულოვანზე დიდსულოვანი კაცი იყო, ხომ მართალია ხომ მართალია მთელი ტანი უცახცახებდა თავადს, რამ ააღელვა ერთბაშად ასე, რამ აუშალა გრძნობები და აღაფრთოვანა, ყოვლად უმიზეზოდ და უსაბაბოდ, – ამის გადაწყვეტა ძნელი იყო. რას იზამ, ასეთი გუნება შეექმნა, ის კი არა და, ლამის უმხურვალეს და უგულითადეს მადლიერებას გრძნობდა ვიღაცისადმი რაღაცის გამო – იქნებ ივან პეტროვიჩისადმი, ან სულაც ყველა სტუმრის მიმართ... მეტისმეტმა „ბედნიერებამ“ კი აიტანა. ივან პეტროვიჩი ბოლოს სულ უფრო და უფრო აკვირდებოდა; ერთობ დიდი ინტერესით ათვალიერებდა მოხუცი „დიდკაციც“. ბელოკონსკაია მწყრალად მიაჩერდა თავადს და პირი მოკუმა. თავადმა N-მა, ევგენი პავლოვიჩმა, თავადმა შჩ-მ, გენერლის ქალებმა საუბარი შეწყვიტეს და ყური მიუგდეს. აგლაია თითქოს შეშინებული ჩანდა, ლიზავეტა პროკოფიევნა კი, უბრალოდ, დაფრთხა და ესაა. საკვირველი გახლდათ დედა-შვილების ამბავი ჯერ თვითონ აირჩიეს და გადაწყვიტეს, უკეთესი იქნება, თუ მთელი საღამო უბრად იჯდებაო. მაგრამ კუთხეში ეულად მიმჯდარი და თავისი ბედით ფრიად კმაყოფილი რომ დაინახეს, ესეც არ მოეწონათ. ალექსანდრამ კიდეც დააპირა მასთან მისვლა და ოთახის მეორე ბოლოში მყოფ მათ კომპანიას, ესე იგი ბელოკონსკაიას

გვერდით მჯდარ თავად N-ის კომპანიას, შეერთებოდა. მაგრამ თვითონვე რომ დაიწყო თავადმა ლაპარაკი, მაშინ უფრო მეტმა შფოთმა აიტანა ეპანჩინები.

– რომ უჩინებულესი კაცი იყო, ეგ მართალი ბრძანეთ, – ხაზგასმით და უკვე ღიმგარეშე წარმოთქვა ივან პეტროვიჩმა, – დიახ, დიახ... მშვენიერი კაცი იყო! მშვენიერი და ღირსეული, – დასძინა დუმილის შემდეგ, – ღირსი, ასე ვთქვათ, ყოველნაირი პატივისცემის, – დაუმატა უფრო მეტი მედიდურობით მესამე შეჩერების შემდეგ, – და... და დიახაც დიდად სასიამოვნოა თქვენი მხრივ ასე...

– ეგ პავლიშჩევი არ იყო, რაღაც... უცნაური ამბავი რომ მოუხდა... აბატ... აბატ... დამავიწყდა ამ აბატის გვარი, რაღაცას კი ამბობდნენ მაშინ, – თითქოს იხსენებსო, წარმოთქვა „დიდკაცმა“.

– აბატი გურო, იეზუიტი, – შეახსენა ივან პეტროვიჩმა, – ჰოო, ესეც თქვენი ჩინებულზე ჩინებული და ღირსეული ხალხი! არც გვარიშვილობა აკლდა, არც ქონება, კამერჰერიც იყო... და სამსახური რომ გაეგრძელებინა... მაგრამ არა, ერთბაშად სამსახურსაც ანება თავი, ყველაფერს ზურგი აქცია, რათა კათოლიკობა მიეღო და იეზუიტი გამხდარიყო. ეს ყველაფერი კი ლამის საქვეყნოდ გააკეთა, ლამის აღტაცებითაც კი. კარგია, რომ დროზე მოკვდა... დიახ; მაშინ ყველა იძახდა... თავადს თავზარი დაეცა.

– პავლიშჩევმა... პავლიშჩევმა? მიიღო კათოლიკობა? – შეძრწუნებით შესძახა, – ეგ ყოვლად შეუძლებელია!

– მაშ, „ყოვლად შეუძლებელი“! – დინჯად წაიდუდუნა ივან პეტროვიჩმა, – ეგ ცოტა მეტი მოგვიდათ, ჩემო კარგო თავადო... თუმც განსვენებულს ისეთ პატივს სცემდით... მართლაც, უსათნოესი კაცი იყო, ჩემის აზრით, უფრო ამიტომაც ჩაიგდო ხელში იმ თაღლითმა გურომ. ერთი ჩემი იკითხეთ, რამდენი დავიდარაბა და სირბილი დამჭირდა მაგ საქმის თაობაზე... სწორედ მაგ გუროს წყალობით! წარმოგიდგენიათ, – მიუტრიალდა უეცრივ ბერიკაცს, – ანდერძზე პრეტენზიების წამოყენება დააპირეს. ჰოდა, ფრიად ენერგიული ზომების მიღება მომიხდა... ჭკუაზე მოსაყვანად... რამეთუ ოსტატურად იციან საქმის მოკვარახჭინება! გასაოცარი ხალხია! მადლობა ღმერთს, რომ მოსკოვში მოხდა ეგ ამბავი, მაშინვე გრაფთან გავქანდი და... და ჭკუაზე მოვიყვანეთ...

– არ დაიჯერებთ, რაოდენ მაწყენინეთ და გამაოცეთ მაგ ამბით! – შესძახა ისევ თავადმა.

– სამწუხაროდ, თუმცა, მართალი რომ ვთქვა, სისულელე იყო და სისულელითვე დამთავრდებოდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ. შარშან ზაფხულს, – მიუბრუნდა ისევ ბერიკაცს, – ამბობენ, გრაფინია კ-ც რომელიღაც კათოლიკურ მონასტერში აღიკვეცაო საზღვარგარეთ; ერთი თუ ხელში ჩაიგდეს იმ... გაიძვერებმა... განსაკუთრებით საზღვარგარეთ... ჩვენები, მერე მათ ბრჭყალებს ვეღარ აღწევენ თავს.

– მგონი, ეგ... ეგ ჩვენი მოქანცულობის ბრალია, – ავტორიტეტულად ჩაიჩიფჩიფა ბერიკაცმა, – ჰო, ქადაგება იმათ... მშვენიერი იციან, თავისებური... და კაცის დაშინებაც შეუძლიათ. ოცდათორმეტ წელში მეც დამაშინეს ვენაში, მერწმუნეთ; ოღონდაც ხელთ ვერ ჩამიგდეს, გავექეცი, ჰა-ჰა!

– როგორც მსმენია, ჩემო ბატონო, შენ ტურფა გრაფინია ლევიცკაიას გასდიე ვენიდან პარიზში, სამსახური მიატოვე და არა იეზუიტები, – ჩაურთო ბელოკონსკაიამ.

– ჰოდა, მაინც ასე გამოდის, რომ იეზუიტს გავექეცი, იეზუიტს! – აჰყვა ბერიკაცი და საამო მოგონებაზე ჩაიხითხითა, – როგორც გატყობთ, დიდი მორწმუნე ყოფილხართ, ყმაწვილკაცებს ახლა ეს ნაკლებ სჩვევიათ, – ალერსით მიუტრიალდა მერე ლევ ნიკოლაევიჩს, რომელიც

გაოგნებული და პირდაღებული უსმენდა. ეტყობა, მისი უფრო ახლო გაცნობა სურდა ბერიკაცს; ზოგ-ზოგი მიზეზის გამო დაინტერესებულიყო თავადით.

– პავლიშჩევი დიდი ნათელი გონებისა და ჭეშმარიტი ქრისტიანი გახლდათ, – წარმოთქვა უეცრივ თავადმა, – იმ არაქრისტიანულ სჯულს როგორ იწამებდა კათოლიკობა ხომ იგივე არაქრისტიანული სჯულია! – დაუმატა ესეც და ანთებული თვალები მოავლო იქ მყოფთ.

– ოჰ, ეგ კი მეტისმეტია, – წაიდუდუნა ბერიკაცმა და გაკვირვებით გადახედა ივან ფიოდოროვიჩს.

– კათოლიკობა არაქრისტიანული სჯულიაო – სკამზე შეტრიალდა ივან პეტროვიჩი, – მაშ, თქვენი აზრით, რა სჯულია?

– არაქრისტიანული სჯულია, ეს ერთი! – საოცარი აღელვებით და ცოტა უკმეხად წამოიწყო ისევ თავადმა, – მეორეც, რომის კათოლიციზმი ათეიზმზე უარესი გახლავთ, აი, ჩემი აზრი! დიახ, ჩემი აზრი! ათეიზმი მხოლოდ ნულს გვიქადაგებს, კათოლიციზმი კი უფრო შორს მიდის წარყვნილ ქრისტეს გვიქადაგებს, მის მიერვე ცილდაწამებულსა და შეგინებულს, სულ სხვა, საწინააღმდეგო ქრისტეს! ის ანტიქრისტეს გვიქადაგებს, გეფიცებით, გარწმუნებთ! ეს ჩემი პირადი, ჩემი დიდი ხნის რწმენაა, რამაც მევე დამტანჯა... რომის კათოლიციზმს სწამს, რომ მთელი მსოფლიოს სახელმწიფო ძალაუფლების გარეშე ეკლესია ვერ მოიკიდებს ფეხს დედამიწაზე და გაჰყვირის კიდეც Non possumus![128] ჩემი აზრით, რომის კათოლიციზმის სარწმუნოება კი არა, დიახაც დასავლეთ რომის იმპერიის გაგრძელებაა, ამიტომაც სარწმუნოებიდან დაწყებული ყველაფერს უმორჩილებს ამ აზრს. პაპმა იგდო ხელთ ქვეყანა, ამქვეყნიური ტახტი და მახვილს მოჰკიდა ხელი; მას აქეთ გრძელდება ასე, ოღონდაც მახვილს გაიძვერობა, სიცრუე, ფანატიზმი, ცრუმორწმუნეობა, ბოროტება დაემატა, ხალხის უწმინდესი, ალალი, გულუბრყვილო, მხურვალე გრძნობები სათამაშოდ გაიხადეს, ყოველივე ფულს ანაცვალეს ამქვეყნიური უწმინდური ძალაუფლებისთვის. მაშ ეს ანტიქრისტეს მოძღვრება არაა! განა შეიძლება ათეიზმი არ ეშვათ მათ ათეიზმი მათგან იშვა, სწორედ რომის კათოლიციზმისაგან ათეიზმი, პირველ ყოვლისა, მათგან დაიწყო განა შეეძლოთ საკუთარი თავი ეწამათ ათეიზმს მათდამი ზიზღმა მოუმაგრა ძირი; იგი მათი სიცრუისა და მათი სულიერი უძლურების ნაყოფია! ათეიზმიო! ჯერჯერობით ჩვენში მხოლოდ განსაკუთრებულ ფენას აღარ სწამს, ნიადაგგამოცლილთ, როგორც ევგენი პავლოვიჩმა თქვა დიდებულად ამას წინათ. იქ, ევროპაში კი, უკვე ხალხის აურაცხელ მასას დაეკარგა რწმენა. ადრე უვიცობისა და ტყუილის მიზეზით, ახლა კი ფანატიზმის, ეკლესიისა და ქრისტიანობის სიძულვილის წყალობით!

თავადი გაჩერდა და სული მოითქვა, ისეთი გასაოცარი სისწრაფით ლაპარაკობდა. სახეზე ფერი არ ედო. სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს; ბერიკაცს ბოლოს დაუფარავად გაეცინა. თავად N-ს ლორნეტი მოემარჯვებინა და თავადს დაშტერებით სინჯავდა. გერმანელი პოეტუკა თავისი კუთხიდან გამომძვრალიყო და ბოროტი ღიმილით მომდგარიყო მაგიდის ახლო.

– ერთობ აჭარბებთ, – ცოტა არ იყოს მოწყენის კილოთი გააგრძელა სიტყვა ივან პეტროვიჩმა, თითქოს კიდეც რცხვენია რაღაცისო, – იმათ ეკლესიაშიც მოიძებნება დიახაც საპატივცემულო და სათნოებით აღჭურვილი წარმომადგენელნი...

– ეკლესიის ცალკეულ წარმომადგენლებზე არც არასოდეს მითქვამს რამე. მე რომის კათოლიციზმის არსზე ვამბობდი, რომზე ვამბობდი. განა შეიძლება ეკლესია სავსებით მოისპოს ეს მე არასოდეს მითქვამს!

– გეთანხმებით, მაგრამ ეგ ყოველივე უკვე ცნობილია და არცაა... სალაპარაკო, ეგ ღვთისმეტყველების საქმეა...

– ო, არა, არა! მარტო ღვთისმეტყველებისა არა, მერწმუნეთ, არა! ეს გაცილებით უფრო მეტად გვეხება ჩვენ, ვინემ თქვენ გგონიათ. სწორედ ეგაა ჩვენი შეცდომა, რომ ჯერ კიდევ ვერ გვიგრძვნია, ეს რომ მხოლოდ ღვთისმეტყველების საქმე არ არის! სოციალიზმიც ხომ კათოლიციზმის და კათოლიკური არსის ნაყოფია! როგორც მისი ძმა ათეიზმი, ისიც სასოწარკვეთილებამ წარმოშვა, კათოლიციზმის საპირისპიროდ, რა არის, თავისით შეეცვალა რელიგიის დაკარგული ზნეობრივი ძალა, რა არის მოწყურებული კაცობრიობისთვის სულიერი წყურვილი მოეკლა და ქრისტეს მეოხებით კი არა, იგივე ძალადობით ეხსნა იგი! ესეც თავისუფლება გახლავთ, ძალადობით მოპოვებული, ესეც გაერთიანებაა მახვილისა და სისხლის საშუალებით! „არ იწამო ღმერთი, არ იქონიო საკუთრება, არ იქონიო შენი მე, fraternite ou la mort!“[129] ნათქვამია, საქმენი მათი გიმხილებენ მათ! ნუ გგონიათ, რომ ასე უბრალო და უვნებელი იყოს ეს ჩვენთვის; ო, ჩვენ გამკლავება გვჭირდება და რაც შეიძლება მალე! დასავლეთის საპირისპიროდ უნდა აღმობრწყინდეს ჩვენი ქრისტე, ვინც ჩვენ შევინარჩუნეთ და ვისაც ისინი არ იცნობენ! იეზუიტების ანკესს მონურად კი არ უნდა წამოვეგოთ, ჩვენი რუსული ცივილიზაცია უნდა მივაგებოთ, უნდა დავუდგეთ წინ, და ნურც იმას იტყვიან ჩვენში, მათი ქადაგება მშვენიერიაო, როგორც ახლა ბრძანა ვიღაცამ...

– უკაცრავად, უკაცრავად, – საოცრად შეშფოთდა ივან პეტროვიჩი, თვალები დააცეცა და თითქოს დაფრთხაო კიდეც, – ეგ თქვენი აზრები, რა თქმა უნდა, მოსაწონია და პატრიოტიზმით აღსავსე, მაგრამ უაღრესად გადაჭარბებულია და... სჯობს მოვეშვათ მაგას...

– არა, გადაჭარბებული სულაც არაა, პირიქით; დაკნინებულია; დიახ, დაკნინებული, ვინაიდან მე ვერ გამოვთქვი, თუმცა...

– უ-კა-ცრავად!

დადუმებული თავადი სკამზე გამართული იჯდა და ანთებული თვალები უმოძრაოდ მიეშტერებინა ივან პეტროვიჩისათვის.

– მე მგონი, მეტისმეტად მოგხვდათ გულზე თქვენი კეთილისმყოფელის ამბავი, – ალერსიანად და აუღელვებლად შენიშნა ბერიკაცმა, – აგზნებული ხართ... ეგებ ეს მარტოობის ბრალიც იყოს. აი, როცა ხალხში გაერევით, საზოგადოება კი, იმედი მაქვს, სიხარულით შეხვდება თქვენისთანა შესანიშნავ ყმაწვილს, მაშინ, ცხადია, ეგ აღგზნება დაგიცხრებათ და ნახავთ, რომ უფრო უბრალოდაა საქმე!.. თანაც ეგეთი იშვიათი შემთხვევები... ჩემის აზრით, ნაწილობრივ ჩვენი მოყირჭებისა და ნაწილობრივ... მოწყენის ბრალია!

– სწორედ, სწორედ ეგრეა, – შეჰყვირა თავადმა, – დიდებული აზრი გახლავთ! „სწორედ მოწყენის ბრალია, ჩვენი მოწყენის ბრალი“, და არა გულმოყირჭების, პირიქით, მიზეზი ჩვენი მოწყურებაა და არა გულმოყირჭება, ამაში თქვენ შეცდით! და განა უბრალო მოწყურება, არამედ გახელებამდე, გაგიჟებამდე მოწყურება! და.... და ნურც იფიქრებთ, რომ ეგ პატარა საქმე იყოს, მხოლოდ სასაცილო და მეტი არაფერი; უკაცრავად კი ვარ, მაგრამ წინასწარ განჭვრეტის უნარიც უნდა გვქონდეს! ჩვენები როგორც კი ფონს გავლენ და როგორც კი დარწმუნდებიან, ნაპირზე ვართო, სიხარულის ისეთი რეტი დაესხმებათ, რომ მეტი არ შეიძლება; ვითომ რაა მიზეზი აგერ თქვენ პავლიშჩევის ამბავი გიკვირთ, ყველაფერს მის სიგიჟესა და კეთილ გულს მიაწერთ, მაგრამ ასე არ გახლავთ! ჩვენ კი არა და მთელ ევროპას უკვირს ამგვარ შემთხვევებში ჩვენი, რუსული სიშმაგე ჩვენში თუ ვინმემ კათოლიკობა იწამა, უთუოდ იეზუიტიც გახდება, ისიც ყველაზე ქვებუდანი; თუ ათეისტი გახდა, უთუოდ ძალადობით მოითხოვს რწმენის აღმოფხვრას, მაშასადამე, მახვილით! რისი ბრალია, რისგან წარმოსდგება ერთბაშად ასეთი სიშმაგე ნუთუ არ იცით იმიტომ, რომ მან სამშობლო ჰპოვა, რომელიც აქ ვერ ნახა, და გაიხარა;

ნაპირი, მიწა ნახა და საკოცნელად დაეწაფა! განა მარტო პატივმოყვარეობამ, მარტო საძრახისმა პატივმოყვარე გრძნობებმა წარმოშვა რუსი ათეისტები და რუსი იეზუიტები, არამედ სულიერმა გამწარებამ, სულიერმა წყურვილმა, ზენაარი საქმის, მყარი ნაპირის, სამშობლოს გულის შემჭმელმა ნატვრამ, ვინაიდან აღარ სწამთ სამშობლოსი, რამეთუ არც არასოდეს ჰქონიათ იგი! მერე და რა იოლია რუსი კაცისთვის ათეისტობა, უფრო იოლი, ვინემ სხვა დანარჩენებისთვის დედამიწის ზურგზე! ჩვენები განა უბრალოდ ათეისტები ხდებიან, არა, უთუოდ უნდა იწამონ ათეიზმი, ვითარცა ახალი რწმენა, და სულაც ვერ ამჩნევენ, რომ იწამეს ნული. აი, რარიგ მოწყურებულნი ვართ! „ვისაც ძირი არა აქვს, იმას არც ღვთისა სწამსო“. ჩემი სიტყვები არ გეგონოთ. ერთმა ძველი სჯულის მიმდევარმა ვაჭარმა მითხრა, ჩემი მგზავრობის ხანს რომ შევხვდი. თუმცა სულ ასე არ უთქვამს, მან მითხრა „ვინც თავისი მშობელი მიწა დაგმო, იმან თავისი ღმერთიც დაგმოო“. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში უგანათლებულესი ხალხი თვითგვემასაც კი მიმართავდა... თუმცა ამ შემთხვევაში თვითმგვემლობა რითაა უარესი ნიჰილიზმზე, იეზუიტიზმზე და ათეიზმზე ვინ იცის, შინაარსით იმაზე ღრმაც იყოს! მაგრამ ნაღველსა და ნატვრას აი სადამდე მიჰყავდა კაცი!.. დაანახეთ კოლუმბის მოწყურებულ თანამგზავრებს „ახალი ქვეყნის“ ნაპირი, დაანახეთ რუს კაცს რუსული „ქვეყანა“, მიეცით საშუალება, აღმოაჩინოს ეს ოქრო, ეს განძი, მისგან მიწაში ჩაფლული! აჩვენეთ მას მომავალში მთელი კაცობრიობის განახლება და მკვდრეთით აღდგომა ვინძლო მხოლოდ ერთი რუსული აზრის, რუსული ღმერთისა და ქრისტეს მეოხებით და ნახავთ, რა გოლიათი ბუმბერაზი, ალალი, ბრძენი და სათნო აღიმართება განცვიფრებული მსოფლიოს წინაშე, განცვიფრებულისა და შეშინებულის, ვინაიდან ჩვენგან ისინი მხოლოდ მახვილს, მახვილსა და ძალმომრეობას გამოელიან, ვინაიდან, საკუთარი თავის მაგალითით, ჩვენც ბარბაროსებად გვსახავენ. ასეა დღემდე, რაც ხანი მიდის, უფრო მეტად! რაც...

მაგრამ ერთმა უეცარმა ამბავმა ყოვლად მოულოდნელად შეწყვიტა ორატორის სიტყვა.

სწორედ რომ საშიშსა და უცნაურ რაღაცას მოასწავებდა ეგზომ მოულოდნელად და ყოვლად უსაბაბოდ აპილპილებული ყმაწვილი კაცის ასე ქადაგად დაცემა, აგზნებული, აფორიაქებული სიტყვებისა და აღფრთოვანებული აზრების ეს მოჯარება. სასტუმროში მყოფი ხალხიდან ვინც თავადს იცნობდა, შიშნეული განცვიფრებით (ზოგიერთები კი სირცხვილითაც) მისჩერებოდნენ მას, ვინაიდან მის მუდმივ, მოკრძალებულ თავდაჭერას, ზოგ შემთხვევებში იშვიათსა და განსაკუთრებულ ტაქტს და წესიერების ინსტინქტურ შეგრძნებას სულაც არ შეეფერებოდა ეს მისი დღევანდელი საქციელი. უკვირდათ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა იყო მაინც მიზეზი მართლაც ხომ პავლიშჩევის ამბავი არ იქნებოდა. ქალთა კრებულმა გადაწყვიტა, ალბათ შეიშალაო. ბელოკონსკაია მერე გამოტყდა, „კიდევ წუთი და გავიქცეოდიო“; „ბერიკაცები“ თითქმის დააბნია გაოცების პირველმა წუთმა; ივან ფიოდოროვიჩის უფროსი გენერალი უკმაყოფილოდ და მწყრალად იმზირებოდა თავისი ადგილიდან. ტექნიკოს-პოლკოვნიკი სავსებით გაქვავებული იჯდა. გერმანელ პოეტუკას ფერიც კი წასვლოდა, მაგრამ ყალბი ღიმილი კვლავ შერჩენოდა სახეზე და სხვებს გასცქეროდა სხვები რას იტყვიანო თუმცა მთელი ეს ამბავი და ეს „სკანდალი“ ვინძლო ერთი წუთიც და ყოვლად ჩვეულებრივად და ბუნებრივად დამთავრებულიყო. ივან ფიოდოროვიჩი, მეტისმეტად განცვიფრებული, ყველაზე ადრე ჩახვდა საქმის ვითარებას. რამდენჯერმე შეეცადა თავადის შეჩერებას; რომ არაფერი გამოუვიდა, მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილებით მიუახლოვდა ნელინელ, წუთიც და თუ საჭირო იქნებოდა, ეგებ გადაეწყვიტა კიდეც თავადის მეგობრულად გაყვანა, იმ მიზეზით, ავად ბრძანდებითო, რაც

იქნებ მართალიც იყო და რაც დიახაც სჯეროდა გულში ივან ფიოდოროვიჩს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა.

როგორც კი თავადმა სასტუმროში შემოდგა ფეხი, იმ ჩინური ლარნაკიდან, რითაც ასე დააშინა აგლაიამ, შორს დაიჭირა თავი. განა ვინ დაიჯერებს, რომ აგლაიას გუშინდელი სიტყვების შემდეგ რაღაც საკვირველი და წარმოუდგენელი წინათგრძნობა გაუჯდა გულში, რომ უთუოდ და ისიც ხვალ გასტეხს ამ ლარნაკს, როგორც არ უნდა ერიდოს მაგრამ ასე კი იყო. იმ საღამოს სხვა ძლიერმა, მაგრამ ნათელმა შთაბეჭდილებებმა აუვსო გული, რაზეც უკვე მოგახსენეთ, და ეს წინათგრძნობა გადაავიწყდა. პავლიშჩევის სახელს რომ ყური მოჰკრა და ივან ფიოდოროვიჩმა მეორედ წარუდგინა ივან პეტროვიჩს, თავადი მაგიდის ახლოს მიჯდა და პირდაპირ იმ სავარძელში მოიკალათა, რომლის გვერდით მშვენიერი ვეება ჩინური ლარნაკი იდგა კვარცხლბეკზე, თითქმის მისი ნიდაყვის ოდნავ უკან.

ჰოდა, უკანასკნელი სიტყვები რომ წარმოთქვა, ანაზდად წამოდგა ადგილიდან, შემთხვევით მოიქნია ხელი, მხარი რაღაცნაირად შეარხია და... ყველას ერთობლივი ყვირილი აღმოხდა! ლარნაკი შეტოკდა, ჯერ თითქოს შეყოყმანდა რომელიმე ბერიკაცს ხომ არ დავეცე თავშიო, მერე უცრად საპირისპირო მხარეს გადაქანდა, სადაც გერმანელი პოეტუკა იდგა, რომელმაც ძლივს მოასწრო თავზარდაცემულმა გვერდზე გახტომა, და იატაკს დაენარცხა. გაისმა ზრიალი, ყვირილი, ძვირფასი ნატეხები ხალიჩას მოეფინა, შიში და გაოცება ყველას დაეუფლა - მაგრამ რაც თავადმა განიცადა, იმას ან ვინ აღწერს, ან რა საჭიროა აღწერა! ერთი უცნაური ამბავი კი არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის შეგრძნება, რამაც ყველაზე მეტად შეაძრწუნა ამ წუთს და რაც ყველაზე ნათლად აღიქვა სხვა არეულსა და უცნაურ გრძნობათა დომხალში, არც სირცხვილი იყო, არც მომხდარ აურზაურზე წუხილი, არც შიში, არც მოულოდნელობა, არამედ ის, რომ ნაწინასწარმეტყველევი აუხდა! ვერც იმას იტყოდა, რად მოსტაცა ამ აზრმა გულისყური; გრძნობდა მხოლოდ, რომ გულის სიღრმემდე შესძრა და ლამის მისტიურმა შიშმა აიტანა. კიდევ წამი და თითქოს ყველაფერი განიხვნა მის წინ, საშინელების ნაცვლად შუქი და სიხარული, აღტაცება დაისადგურა; სული შეეხუთა... მაგრამ იმ წამში ჩაიარა. მადლობა ღმერთს, ის არ დამართნია! მერე სული მოითქვა და ირგვლივ მიმოიხედა.

დიდხანს ვერ მიხვდა, რა ალიაქოთი შემდგარიყო მის ირგვლივ, რა ფუსფუსი ატეხილიყო, არა, კი მიხვდა და ხედავდა ყველაფერს, მაგრამ რაღაც მარტოსულივით იდგა, ყველაფრისაგან გამორიცხული, თითქოს ზღაპრული უჩინმაჩინის ქუდით შემოპარულიყო ოთახში და უცხო, მაგრამ საინტერესო ხალხის ყოფას უცქერდა. უყურებდა, როგორ კრეფდნენ ნატეხებს, ესმოდა აჩქარებული საუბრის ხმები, ხედავდა ფერდაკარგულ აგლაიას, რომელიც უცნაურად, ძალზე უცნაურად უმზერდა; სულაც არ ემჩნეოდა არც სიძულვილი და არც რისხვა. შეშინებული, მაგრამ ისეთი საყვარელი მზერა ჰქონდა, სხვებს კი ისე უბრიალებდა თვალებს... გულმა უეცრივ ტკბილად შემოჰკვნესა. ბოლოს ისიც საშინლად გაუკვირდა, რომ ყველანი დასხდნენ და, თითქოს აქაც არაფერიაო, სიცილი დაიწყეს! კიდევ წუთი და სიცილმა იმატა ახლა უკვე მისი გახევებული და დამუნჯებული სახე გამხდარიყო სიცილის მიზეზად, მაგრამ ეს გულითადი და მხიარული სიცილი იყო; ბევრმა ლაპარაკი გაუბა, მერე რა ტკბილად; ყველაზე მეტად ლიზავეტა პროკოფიევნამ გამოიდო თავი, ღიმილით ეუბნებოდა რაღაც ძალიან, ძალიან კეთილს. ერთბაშად ისიც იგრძნო, ივან ფიოდოროვიჩმა რომ მეგობრულად წაუთათუნა მხარზე; იცინოდა ივან პეტროვიჩიც. მაგრამ ყველაზე კარგი, საყვარელი და მიმზიდველი სანახავი ბერიკაცი იყო; ხელი ხელზე წაავლო თავადს, ოდნავ მოუჭირა, მეორე ხელისგულიც ოდნავ წამოუთათუნა ზედ, და როგორც პატარა ბავშვს, ისე ურჩევდა, დაწყნარდი და დამშვიდდიო, რაც საშინლად

მოეწონა თავადს. ბოლოს კი ახლოს მოისვა. ნეტარებით შეჰყურებდა მის სახეს თავადი და რატომღაც სიტყვა ვერ ამოელო, ისე შეკვროდა სუნთქვა, ისე მოსწონდა ბერიკაცის სახე.

– მაშ, მართლაც მაპატიეთ? – წამოილუღლუღა როგორც იქნა, – თქვენც... ლიზავეტა პროკოფიევნა?

სიცილმა იმატა; თავადს ცრემლი მოადგა, თვალებს არ უჯერებდა, ისე იყო მოხიბლული.

– რა თქმა უნდა, მშვენიერი ლარნაკი იყო, თხუთმეტი, დიახ... თხუთმეტი წელი მაინც იქნება, რაც აქ მახსოვს... – წამოიწყო ივან პეტროვიჩმა.

– დიდი ამბავი! კაცი კვდება, თორემ ეგ თიხის ქოთანი რაღას მიქვია, – ხმამაღლა წარმოთქვა ლიზავეტა პროკოფიევნამ, – განა ეგრე შეგაშინა, ლევ ნიკოლაევიჩ? – ჰკითხა შემცბარმა, – კარგია ერთი, გენაცვა; მართლაც არ შემაშინო.

– სხვასაც მაპატიებთ? ლარნაკის გარდა სხვასაც შემინდობთ? – ისევ წამოიწია თავადი, მაგრამ ბერიკაცმა ისევ დაუჭირა ხელი და არ გაუშვა.

– C'est tres curieux et c'est tres serieux![130] გადაუჩურჩულა მაგიდის მეორე მხარეს ივან პეტროვიჩს ბერიკაცმა, მაგრამ ისე კი, რომ თავადიც გაიგონებდა.

– მაშ არავისთვის მიწყენინებია აქ? ვერ წარმოიდგენთ, რარიგ გამახარეთ ამით! მაგრამ ასეც უნდა ყოფილიყო! როგორ შეიძლებოდა აქ ვისმესთვის მეწყენინებინა? ვფიქრობ, ამის თქმითაც შეურაცხყოფას გაყენებთ.

– დაწყნარდით, ჩემო კარგო, მეტისმეტი მოგდით. არც სამადლობელი გაქვთ რამე; მშვენიერი გრძნობა კია, მაგრამ მეტისმეტი არაფერი ვარგა.

– მადლობას არ მოგახსენებთ, ოღონდაც... ვტკბები, რომ გიყურებთ, ბედნიერი ვარ, რომ გიცქერთ; იქნებ, სისულელეს ვროშავ. მაგრამ მინდა ვილაპარაკო, მინდა აგიხსნათ... თუნდაც იმიტომ, საკუთარ თავს ვცე პატივი.

აგზნებულად ლაპარაკობდა და იქცეოდა თავადი. ვინ იცის, სულ სხვა უნდოდა ეთქვა და სულ სხვა კი გამოსდიოდა. თვალებით ეკითხებოდა ყველას ვილაპარაკო თუ არაო უცბად ბელოკონსკაია შეეფეთა თვალში.

– ილაპარაკე, ილაპარაკე, ჩემო კარგო, – უთხრა ქალმა, – ოღონდაც არ დაიხრჩო, წეღანაც ქაქანით დაიწყე და აი, რა გამოგივიდა; ლაპარაკისა კი ნუ გერიდება ამ ბატონებს შენისთანა ობროდები და უცნაურები იმდენი უნახავთ, რომ ახლა გააკვირვო! ესაა, ლარნაკი გატეხე და დაგვაფეთე ხალხი.

თავადმა ღიმილით მოუსმინა და უცბად ბერიკაცს მიუტრიალდა:

– განა თქვენ არ გადაარჩინეთ ამ სამი თვის წინათ სტუდენტი პოდკუმოვი და ჩინოვნიკი შვაბრინი გადასახლებას?

ბერიკაცს ფერმაც კი გადაჰკრა სახეზე, ესღა ჩაიბურტყუნა, კარგი იქნება, დამშვიდდებოდეთო.

– განა თქვენზე არ მითხრეს, – ახლა ივან პეტროვიჩს მიუბრუნდა თავადი, – გუბერნიაში თავის უკვე გააზატებულ გლეხებს, რომლებმაც ბევრი უსიამოვნება შეახვედრეს, უსასყიდლოდ დაუთმო ხე-ტყე ასაშენებლად, როცა სახლ-კარი გადაეწვათო

– ო, ეგ მართლაც გადაუჭარბებიათ, - წაიდუდუნა ივან პეტროვიჩმა, თუმცა ეამა კი ამის გაგონება და წელში გაიჭიმა. მაგრამ ამჯერად სრულიად მართალი იყო, როცა „გადაუჭარბებიათო“, ბრძანა თავადის ყურამდე არასწორად დარხეულ ხმას მიეღწია.

– განა თქვენ არ ბრძანდებოდით, კნეინავ, – ერთბაშად ბელოკონსკაიას მოუბრუნდა თავადი ნათელი ღიმილით, – ამ ნახევარი წლის წინათ ლიზავეტა პროკოფიევნას წერილით რომ

გეახელით, ღვიძლი შვილივით მიმიღეთ და როგორც ღვიძლ შვილს, მართლაც, ერთი ისეთი რჩევა მომეცით, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. გახსოვთ კი?

– ნეტა რას იჭაჭები? – გაჯავრებით წაილაპარაკა ბელოკონსკაიამ, – კეთილი კაცი კი ხარ, ოღონდაც სასაცილო ორი გროშის საღირალზე ისეთ დიდ მადლობას იხდი, თითქოს სიცოცხლე გაჩუქესო. გგონია, კარგია კარგი კი არა და საზიზღრობაა. ბელოკონსკაიას ლამის მართლაც მოუვიდა გული, მაგრამ უცბად სიცილი მოერია და ეს სიცილი კეთილი იყო. სახე გაეხსნა ლიზავეტა პროკოფიევნასაც. გაიბადრა ივან ფიოდოროვიჩიც.

– აკი ვიძახდი, ლევ ნიკოლაევიჩი ისეთი კაცია... ისეთი-მეთქი... ერთი სიტყვით, ასე რომ არ იხრჩობოდეს, როგორც კნეინამ შენიშნა... – ბუტბუტებდა გახარებული გენერალი, რომელსაც ბელოკონსკაიას სიტყვები გულზე მოხვედროდა. მხოლოდ აგლაია იყურებოდა რატომღაც დაღონებული; მაგრამ სახეზე კი კვლავ ცეცხლი ეკიდა, ვინ იცის, აღშფოთების ცეცხლიც.

– მართლაც, რა საყვარელი კაცია, – ისევ გადაულაპარაკა ბერიკაცმა ივან პეტროვიჩს.

– მოვდიოდი და გული მიკვნესოდა, – მეტი და მეტი აღელვება ეტყობოდა თავადს, უფრო სხაპასხუპით ლაპარაკობდა, უფრო მეტად და მეტად უცნაური აღფრთოვანებით გამოსდიოდა, – მეშინოდა... მეშინოდა თქვენი და ჩემი თავისაც, მეტადრე ჩემი თავისა. პეტერბურგში რომ ჩამოვდიოდი, გადავწყვიტე, უთუოდ ჩვენი გამოჩენილი, ჩვენი უფროსი ძველისძველი გვარიშვილნი მენახა, რომელთაც თვითონ ვეკუთვნი, გვარიშვილობით უპირველესთა რიცხვს მივეთვლები. მე ხომ ისეთივე თავადებში ვზივარ ახლა, როგორც თვითონ ვარ, ასეა არა მსურდა გამეგო და უნდა გამეგო თქვენი ავ-კარგი; დიახ, უნდა!.. იმდენი კარგი არა, რამდენიც ცუდი გამიგია მუდამ თქვენზე, წვრილმანი და თავკერძა ინტერესის ხალხიაო, ჩამორჩენილი, პატარა განათლებისო, სასაცილო ჩვევები აქვთო, - მერე რამდენს წერენ და ლაპარაკობენ თქვენზე! მოვდიოდი დღეს და ცალკე ცნობისმოყვარეობა, ცალკე ძრწოლა მიტანდა ჩემი თვალით უნდა მენახა და პირადად დავრწმუნებულიყავი მართლა აღარ ვარგა რუსი ხალხის ეს ზედა ფენა, მართლა მოჭამა თავისი დრო, გამოფიტა საუკუნეთა მანძილზე ცხოვრებამ და სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენია, თუ მაინც წვრილმან, შურიან ბრძოლაში ჩაბმულა იმ ხალხთან... ვისაც ეკუთვნის მომავალი, ხელს უშლის და იმას კი ვერ ამჩნევს, რომ სასიკვდილოდ განწირულია მართალი გითხრათ, დიდად არც წინათ მჯეროდა ამ ხმების, აბა მაღალი წრე როდის გვყოლია. თუ სამეფო კარის ხალხს არ ჩავთვლით, მუნდირის მიხედვით წარჩინებულთ ან... შემთხვევით ამაღლებულთ, ახლა კი ესეც მოისპო, განა ასე არ არის?

– არა, სულ მაგრე არ არის, – გესლიანად ჩაეღიმა ივან პეტროვიჩს.

– აბრახუნდა რაღა ისევ! – ვეღარ მოითმინა და წაილაპარაკა ბელოკონსკაიამ.

– Laissez le dire[131]. სულ მთლად კანკალებს, - ხმადაბლა გააფრთხილა ისევ ბერიკაცმა.

თავადს უკვე აღარავისი ეყურებოდა.

– ჰოდა, რა ვნახე მერე ვნახე შნოიანი, გულმართალი, ჭკვიანი ადამიანები; ბერიკაცი, რომელმაც ჩემისთანა ღლაპს დაუყვავა და მოუსმინა; გამგები, სულგრძელი ადამიანები, გულით რუსნი და კეთილნი, თითქმის ისეთივე სიკეთისა და გულითადობის, როგორებიც იქ შემხვდნენ, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან იმათ. წარმოიდგინეთ, რარიგ გაკვირვებული და გახარებული დავრჩი! ო, ნება მიბოძეთ, ვთქვა ყველაფერი! ბევრჯერ მსმენია და მეც ერთობ მჯეროდა, რომ მაღალ წრეში ყველაფერი მანერულია, მიხრწნილი ფორმაა, შინაარსი კი მკვდარია უკვე; მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩვენში ასე არ იქნება; სხვაგან სადმე შეიძლება იყოს, ოღონდ ჩვენში არა. ყველანი იეზუიტები და თვალთმაქცები როგორ იქნებით წეღან მოვისმინე თავად N-ის ნაამბობი განა ეს გულუბრყვილო, ზეშთაგონებული ჰუმორი არაა, განა ჭეშმარიტ

სიკეთეს არ მოწმობს? შეიძლება კი ასეთი სიტყვები იმისთანა კაცს ამოუვიდეს პირიდან, ვისაც... გული და ნიჭი დაშრეტია განა მკვდარი ადამიანები მომექცეოდნენ თქვენსავით? მაშ რაა ეს, თუ არ... თუ არ მომავლისა და იმედების საწინდარი? ვინ თქვა, ასეთი ადამიანები ვერაფერს ჩახვდებიან და ცხოვრებას ჩამორჩებიანო?

– დაწყნარდით, ჩემო კარგო, კიდევ გთხოვთ. სხვა დროს ვილაპარაკოთ ამაზე და სიამოვნებითაც მოგისმენთ... – ჩაეცინა „დიდკაცს“.

ივან პეტროვიჩმა ჩაახველა და სავარძელში გვერდი იცვალა. ივან ფიოდოროვიჩი ადგილზე აწრიალდა. მისი უფროსი გენერალი დიდკაცის ცოლს ემუსაიფებოდა და თავადს ზედაც არ უყურებდა დიდკაცის ცოლი კი შიგადაშიგ მიაყურებდა და თვალს გამოაპარებდა ხოლმე თავადისკენ.

– არა, არა, ბარემ ყველაფერს ვიტყვი! – ხელახლა მოერია სიფიცხე თავადს და ბერიკაცს დიდი ნდობით და კონფიდენციალურადაც მიუტრიალდა, – აგლაია ივანოვნამ გუშინ ლაპარაკი ამიკრძალა, თემებიც კი დამისახელა, ამაზე და ამაზე არ ილაპარაკოო იცის, რომ სასაცილოდ გამომდის! ოცდამეშვიდე წელში გადავდექი, მაგრამ ვიცი, ბავშვივით რომ ვარ. ან რა უფლება მაქვს, ჩემი აზრი გამოვთქვა, განა არა ვთქვი ადრევე. მარტო როგოჟინს ველაპარაკებოდი გულახდილად მოსკოვში. ერთად გადავიკითხეთ მაშინ მთელი პუშკინი; პუშკინის სახელიც კი არ სცოდნია... ვიცი, სასაცილო რომ ვარ, ამიტომაც სულ მეშინია, აზრი და მთავარი იდეა არ გავაბიაბურო ამით. საქციელი მე არ მივარგა, მუდამ საპირისპიროს ვაკეთებ, ეს კი ხალხს აცინებს და იდეას ამცირებს. არც ზომიერების გრძნობა გამაჩნია, ეს კი მთავარია; წარმოიდგინეთ, ყველაზე მთავარი... ვიცი, სჯობს ჩემთვის ვიჯდე და ჩუმად ვიყო. თუკი პირში წყალს ჩავიგუბებ, მაშინ ძალიანაც გონიერი ვჩანვარ, თანაც ვზივარ და ვფიქრობ ჩემთვის. ახლა კი უნდა ვილაპარაკო. ისე კარგად მიყურებთ, ისეთი კარგი სახე გაქვთ, ლაპარაკი მომინდა! აგლაია ივანოვნას გუშინ სიტყვა მივეცი, მთელი საღამო ხმას არ ამოვიღებ-მეთქი.

– Vraiment?[132] – გაეღიმა ბერიკაცს.

– მხოლოდ ზოგჯერ კი ვფიქრობ, რომ სწორი არა ვარ; განა გულწრფელობა იმდენს არ ფასობს, რამდენსაც საქციელი?

– ზოგჯერ კი.

– არა, ყველაფერი უნდა აგიხსნათ, ყველაფერი! დიახ! იქნებ უტოპისტი გგონივართ ან იდეოლოგი ოხ, არა, ღმერთმანი, ყოვლად უბრალო აზრები მაქვს... არ გჯერათ გეღიმებათ იცით, რა საზიზღარი ვარ ზოგჯერ, რწმენა მეკარგება და იმიტომ. წეღან მოვდიოდი და ვფიქრობდი „აბა, რა უნდა ვუთხრა იმათ რა სიტყვა გამოვუძებნო ისეთი, რომ რაღაც მაინც გავაგებინო-მეთქი ჩემი“ მეშინოდა, მაგრამ თქვენს გამო უფრო მეტი შიში მქონდა, საოცრად, საოცრად დიდი შიში! შიში კი რად უნდა მქონოდა, განა სამარცხვინო არაა ეს შიში მერე რა, რომ ერთ მოწინავეზე აუარება ჩამორჩენილი და უკეთური მოდის ეგ მახარებს სწორედ, რომ დავრწმუნდი, აუარება კი არა და ყველა ცოცხალ მასალას წარმოადგენთ. ან რა სასირცხოა, სასაცილონი თუ ვართ! ჩვენ ხომ მართლაც სასაცილო, ქარაფშუტა ხალხი ვართ, ცუდი ჩვევების პატრონი, არაფერი გვახარებს, არც თვალი გვიჭრის, არც გაგება გვაქვს, ყველა ერთმანეთს ვგავართ ამაში, თქვენც, მეც, ისინიც! ხომ არ გწყინთ, პირში რომ გეუბნებით, სასაცილო ხართ-მეთქი! ხოლო თუ არ გწყინთ, მაშ განა მასალა არა ხართ? იცით, ჩემის აზრით, სასაცილო კაცობა ზოგჯერ უკეთესიც კია უფრო იოლად შევუნდობთ ერთმანეთს და უფრო იოლად მოვიდრეკთ ქედს; ვის შეუძლია ერთბაშად ჩაწვდეს ყველაფერს, სრულყოფილი ვინ დაბადებულა სრულყოფილი რომ გახდე, ჯერ ბევრი რამ არ უნდა გესმოდეს! მალე გაგება კი, ვინძლო, ცუდად გაგებას ნიშნავს. ამას თქვენ გეუბნებით, ვინც

ამდენის გაგება და... არ გაგება შესძელით. ახლა აღარ მაქვს თქვენი შიში; ხომ არ გამიწყრებით, ჩემისთანა ღლაპი რომ გელაპარაკებით ამას იცინით, ივან პეტროვიჩ გგონიათ, მათი შიში მქონდა, იმათი ვექილი, დემოკრატი, თანასწორობის ორატორი ვარ – თავადს ისტერიულად გაეცინა (აღფრთოვანებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი წამისწამ ეძალებოდა). – მე თქვენი შიში მაქვს, ყველა თქვენგანის, ყველა ჩვენგანის. მეც ხომ ძველი თავადიშვილი ვარ და თავადიშვილებში ვიმყოფები ახლა. მე მხოლოდ ჩვენი გადარჩენის სურვილი მალაპარაკებს, რომ ჩვენი წოდება ამაოდ არ გაქრეს, ისე არ დაუბნელდეს გონი, ვერაფერს ჩახვდეს, ყველაფერი ლანძღოს და ყველაფერი წააგოს. რისთვისღა გავქრეთ და რისთვისღა დავუთმოთ სხვებს ადგილი, როცა შეგვიძლია მოწინავეობა და პირველობა შევინარჩუნოთ მოწინავენი ვიყოთ და პირველობაც ხელში გვექნება. მსახურნი გავხდეთ და მამასახლისნიც შევიქნებით.

ესა თქვა და სავარძლიდან წამოსადგომად წამოიწია. მაგრამ ბერიკაცი ხელს არ უშვებდა, მისი საქციელი უფრო და უფრო შიშს უღვიძებდა.

– გამიგონეთ! ვიცი, ლიტონი სიტყვა არაფერს ნიშნავს სჯობს, კაცმა მაგალითი მისცეს, რაღაც გააკეთოს... მე დავიწყე კიდეც... ვინა თქვა, ადამიანი უბედური შეიძლება იყოსო რა ბედენაა ჩემი დარდი და გაჭირვება, თუკი ბედნიერი შემიძლია ვიყო იცით, ვერ გამიგია, რა გულით უნდა ჩაუარო ხეს, შეხედო და ბედნიერება არ იგრძნო ელაპარაკო კაცს, გიყვარდეს იგი და ამან არ გაგაბედნიეროს! ვაი, რომ გამოთქმა არ მეხერხება... რამდენი მშვენიერი საგანი კი გვხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რაიც ყველაზე გზადაკარგულ ადამიანსაც თვალს მოსტაცებს შეხეთ ბავშვს, შეხეთ დალოცვილ განთიადს, ბალახს, როგორ იზრდება იგი, თვალებს, რომ გიცქერიან და უყვარხართ...

თავადი კარგა ხანია უკვე ზეზე იდგა და ლაპარაკობდა. ბერიკაცი შეშინებული შეჰყურებდა. ლიზავეტა პროკოფიევნამ ყველაზე ადრე იაზრა, ხელები გაასავსავა და „ღმერთო ჩემო!“ შეჰკივლა. აგლაია მსწრაფლ თავადთან გაჩნდა, დროზე მიეშველა და გადაისვენა იგი ხელებზე, მწუხარებისგან დამანჭული სახით მოისმინა შეძრწუნებულმა, არაადამიანური ღრიალი „სულისა, რომელი აძრწოლებდა და დასცა იგი“. უბედური ავადმყოფი ხალიჩაზე იწვა. ვიღაცას უკვე თავქვეშ ბალიში ამოედო მისთვის.

ამას არავინ ელოდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ თავად N-მა, ევგენი პავლოვიჩმა და ბერიკაცმა, ერთი პირობა, სცადეს სტუმართა გამხიარულება, მაგრამ კიდევ ნახევარი საათი და ყველანი დაიშალნენ. თანაგრძნობის სიტყვები, ჭმუნვა და ურვა ბლომად იქნა გამოთქმული და დახარჯული, აზრიც სხვადასხვა გამოითქვა. „ყმაწვილი სლავიანოფილი თუ რაღაც ამდაგვარი ყოფილა, თუმცა საშიში არ უნდა იყოსო“, – ბრძანა, სხვათა შორის, ივან პეტროვიჩმა. ბერიკაცს არა უთქვამს რა. ესეც კია, რომ მეორე თუ მესამე დღეს ყველას ცოტა არ იყოს გული მოუვიდა; ივან პეტროვიჩმა იწყინა კიდეც, მაგრამ დიდად არა. უფროსი გენერალი რამდენიმე ხანი ოდნავ ცივადაც ეპყრობოდა ივან ფიოდოროვიჩს. ეპანჩინების ოჯახის „მწყალობელმა“ დიდკაცმაც თავის მხრივ ერთი-ორი სიტყვა წაულუღლუღა ოჯახის მამას ჭკუის დარიგების მიზნით, თუმცა ეს კი თქვა, აგლაიას ბედი ფრიად მაინტერესებსო და ამით დიახაც აამა. ის მართლაც თავისთავად გულკეთილი კაცი იყო. მაგრამ თავადის მიმართ მისი ცნობისმოყვარეობის ერთ-ერთი მიზეზი თავადისა და ნასტასია ფილიპოვნას ადრინდელი ისტორია იყო, რაც ყურმოკრულად გაეგონა და იმდენად აინტერესებდა, გამოკითხვასაც კი აპირებდა.

ბელოკონსკაია წვეულებიდან რომ მიდიოდა, ასე დაუბარა ლიზავეტა პროკოფიევნას:

– აბა, რა გითხრა, კარგიცაა და ცუდიც. თუ ჩემი აზრი გინდა, უფრო ცუდია. ხომ ნახე თვითონ, ავადმყოფია!

ლიზავეტა პროკოფიევნამაც გუნებაში გადაწყვიტა, „მისი სიძეობა შეუძლებელიაო“ და სიტყვაც მისცა ღამით თავს, „ვინემ პირში სული მიდგას, აგლაია თავადს არ გაჰყვებაო“. დილით ამ გადაწყვეტილებით ადგა, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, იმავე დღე, პირველ საათზე, საუზმეს რომ უსხდნენ, თავისვე გადაწყვეტილების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა.

როცა დებმა დიდი სიფრთხილით აგლაიას ერთი კითხვა შეაპარეს, მან ერთბაშად ცივად, მაგრამ დიდგულად მოუჭრა

– არც სიტყვა მიმიცია მისთვის და არც არასოდეს ჩამითვლია საქმროდ. ჩემთვის ისეთივე უცხოა, როგორც ყოველი კაცი.

ლიზავეტა პროკოფიევნას ცეცხლი მოეკიდა გულზე.

– ამას კი არ მოველოდი შენგან, – უთხრა მწარედ, – მაგისი ქმრობა რომ წარმოუდგენელი ამბავია, მეც ვიცი და მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა! მაგრამ შენგან ამ სიტყვებს არ მოველოდი. მე თუ მკითხავ, გუშინდელ სტუმრებს ყველას გავყრიდი და იმას დავტოვებდი, აი რა კაცია!..

მაგრამ მყის ენაზე იკბინა და თავისივე ნათქვამის თვითონვე შეეშინდა. ო, რომ სცოდნოდა, რა უსამართლობას იჩენდა ამ წუთს თავისი ქალისადმი! აგლაიას უკვე ყველაფერი გადაეწყვიტა; ისიც თავის ჟამს ელოდა, რაც ყველაფერს გამოარკვევდა, და ყოველი გადაკრული, ყოველი უხეში შეხება ამიტომ ღრმად უსერავდა და უფლეთდა გულს.

VIII

ეს დილა თავადსაც ავი წინათგრძნობებით გაუთენდა ვინ იცის, ავად იყო და იმიტომ, მაგრამ ყველაზე მეტად რაღაც უსაგნო სევდა ტანჯავდა. მართალია, ის მძიმე, გულისმომკვლელი ფაქტებიც კმაროდა საამისოდ, მაგრამ სევდა მაინც სჭარბობდა იმას, რაც ახსოვდა და აწუხებდა. გრძნობდა, თავისით ვერ დაძლევდა ამ ჭმუნვას, გული უთქვამდა, რომ დღესვე რაღაც განსაკუთრებული რამ შეემთხვეოდა, რაც საბოლოოდ გადაწყვეტდა ყველაფერს და ნელ-ნელა გაუჯდა კიდეც ეს მოლოდინი. წუხელ ბნედას იოლად გადაურჩა. მხოლოდ იპოქონდრია, ოდნავ დამძიმებული თავი და სახსრების ტკივილი დაუტოვა, სხვა არაფერი. თავი საკმაოდ ნათლად უმუშავებდა, თუმცა სულიერად კი ავად იყო. კარგა მოგვიანებით წამოდგა, წუხანდელი საღამო უმალ ცოცხლად დაუდგა თვალწინ. ისიც ახსოვდა ბუნდოვნად, როგორ მოიყვანეს შინ ბნედის მოვლის ნახევარის საათის შემდეგ. გაიგო, რომ ეპანჩინებს თურმე კაცი გამოეგზავნათ უკვე მისი ამბის საკითხავად. თორმეტის ნახევარზე ახლა სხვა ეახლა იმათგან და ამ ამბავმა გული მოუფონა. ყველაზე ადრე ვერა ლებედევამ მოაკითხა, ხომ არაფერი გჭირდებათო. თავადის დანახვაზე უეცრად ტირილი მოერია, მაგრამ თავადმა მაშინვე დააწყნარა და გააცინა. ყმაწვილი ქალის ეგზომ დიდი თანაგრძნობა რატომღაც გულს მოხვდა თავადს, ხელი გამოსტაცა და ეამბორა. ვერა წამოწითლდა, ხელი გამოგლიჯა და შეშინებულმა შესძახა:

– ო, რას სჩადით, რას!

ვერა მალე წავიდა, თუმცა რაღაც უცნაური შეკრთომა ეტყობოდა. ის კი მოასწრო და უამბო, რომ მამამისი დილაადრიან გაქცეულა „განსვენებულთან“, როგორც ის ეძახდა გენერალს, იმის გასაგებად, წუხელ ხომ არ მომკვდარაო. ამბობენ, მალე მოკვდებაო. თორმეტ საათზე ლებედევიც მობრუნდა შინ და თავადს გამოეცხადა, თუმცა „ერთი წუთით, ძვირფასი ჯანმრთელობის გასაგებადო“ და ა.შ. თავის „კარადასაც“ მიაკითხა. სულ ოხრავდა და წუწუნებდა. ესეც კია,

რამდენიმეჯერ წუხანდელი ამბის გამოკითხვაც სცადა, თუმცა აშკარა იყო, უკვე დაწვრილებით შეეტყო ყველაფერი... თავადმა მალე გაისტუმრა იგი. ლებედევის მერე კოლიამ შემოირბინა, იმანაც ერთი წუთით; იმას მართლაც ეჩქარებოდა, მეტად დაღონებული ჩანდა. პირზე დაადგა თავადს და დაჟინებით მოსთხოვა, რომ ყველაფერი ეთქვა, რასაც აქამდე უმალავდნენ, სულ ერთია, გუშინ თითქმის ყველაფერი შევიტყვეო. ბიჭი თავის ჭკუაზე ვერ იყო. თავადმაც არა დაუმალა რა, ფრთხილად უამბო, როგორც მოხდა ყველაფერი. საწყალ ბიჭს თითქოს მეხი დაეცა, სიტყვაც ვერ დასძრა, ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. იგრძნო თავადმა, რომ ეს ლახვარი სამუდამო კვალს დასტოვებდა ყმაწვილის გულში და გარდატეხას მოახდენდა მის ცხოვრებაში. ამიტომ ისევ დაუმატა, ჩემის აზრით, მოხუცის სასიკვდილოდ მოქცევის მიზეზი იქნებ ამ საქციელით გამოწვეული თავზარია და იქნებ არც ყველას განეცადა ასეო. კოლიას თვალები წამოეგზნო ამის გაგონებაზე.

– ო, რა საზიზღრები არიან განკა, ვარია და პტიცინი! წაჩხუბებით არ წავეჩხუბები, მაგრამ ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარა! ოჰ, თავადო, გუშინს აქეთ რამდენი რამ ახალი განვიცადე, ჩემთვის კარგი გაკვეთილია! დედაჩემიც ამას იქით ჩემს საპატრონოდ მიმაჩნია; მართალია, ვარიასთან არაფერი აკლია, მაგრამ ეს მაინც სხვაა. მერე გაახსენდა, შინ რომ უცდიდნენ, და ზეზე წამოხტა. საჩქაროდ ჰკითხა თავადს, თავს როგორ გრძნობთო, და პასუხი რომ მოისმინა, უეცრად ეს დაამატა:

– სხვას ხომ არაფერს მეტყვით გავიგე, გუშინ... (თუმცა, რა ნება მაქვს, გკითხოთ), ოღონდ ოდესმე თუ ერთგული კაცი დაგჭირდეთ, მე გამიხსენეთ. მგონი, ბედმა არც ერთს არ გაგვიმართლა, მაგრამ... არა, არა, არ გეკითხებით...

მარტო დარჩენილი თავადი კვლავ წაიღო ფიქრებმა. ყველანი რაღაც ავს დასჩხავიან, ყველას რაღაც დასკვნა გამოეტანა უკვე. ისეთი თვალით უცქერიან, თითქოს რაღაც იციან, რაზეც თვითონ ბაიბურშიც არაა. ლებედევი კითხვებით არ ასვენებს, კოლიამ პირდაპირ გადაუკრა, ვერა იცრემლება. „ეს რა ავადმყოფურად ეჭვიანი გავხდი“, – ჩაიქნია ბოლოს გაჯავრებულმა ხელი. მაგრამ, როცა ეპანჩინები ეწვივნენ სანახავად, ასე, საათის ორზე, „მარტო ერთი წუთით“, სახე გაუნათდა. მართლაც რომ ერთი წუთით მოვიდნენ. ლიზავეტა პროკოფიევნა საუზმეს რომ მორჩა, ასე განაცხადა, ახლავე ყველა სასეირნოდ მივდივართო. განაცხადა ბრძანების კილოთი, მოკლედ, ცივად და არც ახსნა-განმარტება მოუყოლებია. ყველა წამოვიდა, ანუ დედა, შვილები და თავადი შჩ-ი. ლიზავეტა პროკოფიევნამ გეზი სულ იმის საპირისპირო აიღო, საითაც ყოველდღე მიემართებოდნენ სასეირნოდ. კი მიხვდა ყველა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ კრინტი არავინ დასძრა, რომ დედა უფრო არ გაეგულისებინათ. იგი ყველაზე წინ მიდიოდა და უკან არც იხედებოდა, თითქოს საყვედურებსა და შესიტყვებას არიდებს თავსო. ადელაიდამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და თქვა, თუ სასეირნოდ მივდივართ, ასე რა მიგვარბენინებს, დედას ვეღარ ვეწევითო.

– იცი რა, – მოტრიალდა უეცრივ ლიზავეტა პროკოფიევნა, – მისი სახლი აგერ აქაა. რაც არ უნდა იფიქროს აგლაიამ და რაც არ უნდა მოხდეს მერე, ის ჩვენთვის უცხო არაა, მეტადრე ახლა, გაუბედურებული და ავადმყოფი. ყოველ შემთხვევაში, მე შევალ სანახავად, ვისაც უნდა მომყვეს, ვისაც არა – ღმერთმა უშველოს, გზა ხსნილია.

რა თქმა უნდა, ყველანი უკან მიჰყვნენ. თავადმა კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში, ლარნაკისა და გუშინდელი სკანდალის გამო.

– ეგ არაფერია, – მიუგო ლიზავეტა პროკოფიევნამ, – ლარნაკი სულაც არ მედარდება, ცოდო შენა ხარ. მაშასადამე, შენც ამჩნევ ახლა, რომ სკანდალი გამოვიდა აი, რას ნიშნავს „მეორე

დილასო...“, მაგრამ ესეც არაფერი. ახლა ყველამ დაინახა, რომ შენ ვერაფერს მოგკითხავს კაცი. აბა, ნახვამდის. თუ შეგიძლია, ცოტა გაიარ-გამოიარე და ისევ დაწექი – ჩემი რჩევაა. თუ სურვილი გექნეს, ძველებურად შემოგვიარე; ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე, რაც არ უნდა იყოს, შენ მაინც ჩვენი ოჯახის მეგობრად დარჩები, ყოველ შემთხვევაში, ჩემი. ჩემს თავზე პასუხს მაინც ვაგებ...

დედის ამ გამოწვევას ყველანი გამოეხმაურნენ, ყველამ დაამოწმა მისი სიტყვები და წავიდნენ, მაგრამ ის კი აღარ იფიქრა ლიზავეტა პროკოფიევნამ, რაოდენ გულქვაობა იყო მისი მხრივ თავადის ასე ჰაიჰარად გამხნევება. რომ უთხრა, „ძველებურად“ შემოგვიარე და ისიც დაუმატა, „ჩემს თავზე პასუხს მაინც ვაგებო“, ეს მისი სიტყვებიც რაღაც ავის მომასწავებელი იყო. თავადმა აგლაიას სახე მოიგონა. მართალია, შემოსვლისას რაღაც უცნაურად გაუღიმა და წასვლისასაც ასევე, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მაშინაც კი, როცა ყველამ მეგობრობა შეჰფიცა, თუმცა კი ერთი-ორჯერ დაკვირვებით შეავლო თვალი. თანაც ჩვეულებრივზე გაცრეცილი ჩანდა, თითქოს იმ ღამით ცუდად ეძინა. ამ საღამოსვე შევუვლიო „ძველებურად“, გადაწყვიტა თავადმა და მოუთმენლად გახედა საათს. ეპანჩინების წასვლიდან სამ წუთსაც არ გაუვლია, რომ ვერა შემოვიდა.

– ლევან ნიკოლაევიჩ, ეს წუთია აგლაია ივანოვნამ თქვენთან სიტყვა დამაბარა ჩუმად.

თავადს შეაცახცახა კიდეც.

– წერილი მოგცა?

– არა, ზეპირად; ისიც ძლივს მოასწრო. ძალიან შემოგეხვეწათ. მთელი დღე კარში არ გახვიდეთო, საღამოს შვიდსა თუ, მგონი, ცხრა საათამდე, კარგად ვერ გავარჩიე.

– მერე რისთვის? რას ნიშნავს?

– ვერაფერს გეტყვით; გულდაგულ კი დამაბარა.

– ასეც გითხრა „გულდაგულო“?

– არა, პირდაპირ არ უთქვამს ძლივს მოასწრო პირის მობრუნება და თქმა. კიდევ კარგი, მაშინვე იქ გავჩნდი. მაგრამ სახეზეც ეტყობოდა, გულდაგულ ბრძანა თუ არა. ისე შემომხედა, გული გამიჩერდა...

კიდევ რამდენიმე კითხვა, თუმცა ბევრი არაფრის გამომრკვეველი, და თავადი უფრო აიტანა შფოთმა. მარტო რომ დარჩა, ტახტზე მიწვდა და ფიქრებს მიეცა. „ვინ იცის, ცხრა საათამდე ვიღაც ეყოლებათ სტუმრად და ჩემი ეშინია, სტუმრებთან ისევ არ ავურიოო“, - ბოლოს მოიფიქრა ეს და დაღამების მოუთმენელ მოლოდინში მალიმალ გახედავდა ხოლმე საათს. მაგრამ ამ გამოცანის პასუხი დაღამებამდე ადრე მიიღო, ისიც ახალი ვიზიტის სახით, ისიც ახალი, გამტანჯველი გამოცანის სახით.

ეპანჩინების წასვლის ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ იპოლიტმა მოაკითხა. ისე იყო არაქათგამოცლილი და დაღლილი, სიტყვა არ უთქვამს, თითქმის გონმიხდილი მიესვენა სავარძელში და მაშინვე აუტანელი ხველა აუტყდა. იმდენი ახველა, ვიდრე სისხლი არ წამოაღებინა. თვალები უპრიალებდა, ლოყებზე ორი წითელი ლაქა დამჩნეოდა. თავადმა რაღაც წაიდუდუნა, მაგრამ იპოლიტმა პასუხი არ გასცა, ხელი აუქნია, ნუ დამელაპარაკებითო. როგორც იყო, მოითქვა სული.

– მივდივარ! – ძლივს ამოღერღა ბოლოს ჩახლეჩილი ხმით.

– თუ გნებავთ, გაგაცილებთ, – წამოიწია თავადი, მაგრამ რა გაახსენდა წეღანდელი დანაბარები, არსად წახვიდეთო, სიტყვა გაუწყდა.

იპოლიტს გაეცინა.

– თქვენგან კი არა, – განაგრძო ქშინვით, თითქოს ყელში უღიტინებდა რაღაც, – პირიქით, საჭიროდ მივიჩნიე თქვენთან მოსვლა, საქმე მაქვს და იმიტომ... თორემ არ შეგაწუხებდით. იმ ქვეყნად მივდივარ, ამჯერად დანამდვილებით. კაპუტ! თავს არ გაცოდებთ, მერწმუნეთ... დღეს კიდევაც დავწექი, ათ საათზე, რა არის იმ დრომდე აღარც ავმდგარიყავ, მაგრამ ხედავთ, გადავიფიქრე და თქვენთან წამოვედი. მაშასადამე, საჭირო იყო.

– ვწუხვარ, აგრე რომ გხედავთ; ნეტავ კი შემოგეთვალათ და მე თვითონ მოვიდოდი, ტყუილად რად გაისარჯეთ.

– ჰოდა, კმარა ამაზე. შეწუხდით, მაშასადამე, დიდკაცური ზრდილობა გამოიჩინეთ და საკმარისია... ჰო, უკაცრავად თქვენ როგორღა ბრძანდებით?

– არა მიშავს რა. გუშინ ცოტა...

– შევიტყვე. საწყალი ჩინური ლარნაკი! აფსუს, იქ რომ არ ვიყავ! საქმეზე გეახელით. ჯერ ერთი, დღეს ბედნიერება მქონდა, გავრილა არდალიონოვიჩი მენახა, აგლაია ივანოვნასთან პაემანზე გამოცხადებული მწვანე სკამის წინ. არ მეგონა, თუ ასეთი სულელური სახე შეიძლებოდა ჰქონოდა კაცს. ეს ამბავი აგლაია ივანოვნასაც მოვახსენე გავრილა არდალიონოვიჩის წასვლის შემდეგ... მგონი, აღარაფერი გიკვირთ, თავადო, – დასძინა ეს და თავადის აუღელვებელ სახეს ეჭვით მიაჩერდა, – ამბობენ, ეს დიდი ჭკუის ნიშანიაო, ჩემის აზრით, ასევე შეიძლება დიდ უჭკუობასაც მოწმობდეს... თუმცა თქვენ არ გგულისხმობთ, უკაცრავად, დღეს ბედი არ მწყალობს გამოთქმებში.

– გუშინვე ვიცოდი, რომ გავრილა არდალიონოვიჩმა... - სიტყვა გაეხირა შეცბუნებულ თავადს, თუმცა იპოლიტს ჯავრი მოუვიდა, რად არ გაუკვირდაო.

– იცოდით! საკვირველებაა პირდაპირ! თუმცა ნურც მიამბობთ... პაემანს არ დასწრებიხართ?

– რაკი იქ იყავით, ნახავდით, რომ არა.

– ეჰ, ხომ შეიძლება სადმე ბუჩქს ამოფარებულიყავით. თუმცა, ასეა თუ ისე, მოხარული ვარ, ცხადია, თქვენ მაგიერ, თორემ კიდეც ვიფიქრე, გავრილა არდალიონოვიჩი ამჯობინეს-მეთქი!

– ამაზე გთხოვთ, ნუღარაფერს მეტყვით, იპოლიტ, ისიც ასეთი კილოთი.

– მით უფრო, ყველაფერი გცოდნიათ უკვე.

– სცდებით. თითქმის არაფერი ვიცი, აგლაია ივანოვნამ დანამდვილებით იცის, რომ არაფერი ვიცი. მაგ პაემანის ამბავიც კი არ ვიცოდი... ამბობთ, პაემანი იყოო? იყო და იყოს, ჰოდა, შევწყვიტოთ ამაზე...

– ეგ რა გამოდის, ხან ვიცოდიო, ხან არ ვიცოდიო „იყოს და შევწყვიტოთო“ ამბობთ იცით, რას გეტყვით, ეგრე მიმნდობიც ნუ იქნებით! მეტადრე, თუ არაფერი იცით. ეგ ნდობა არცოდნის ბრალია. იცით კი, იმ და-ძმას რა აქვს განზრახული? იქნებ ეჭვი გაქვთ მაინც... კარგი, კარგი შევწყვიტოთ... - დასძინა მან, რა დაინახა თავადმა ხელი მოუთმენლად გააქნიაო, – მე ჩემი პირადი საქმეც მაქვს და ეს მინდა... აგიხსნათ. ეშმაკმა დალახვროს, ახსნა-განმარტების გარეშე ვერ მომკვდარხარ კაცი; საშინელებაა პირდაპირ, რამდენი ახსნა-განმარტებაა საჭირო. მომისმენთ?

– თქვით, გისმენთ.

– და მაინც ვცვლი ჩემს მოსაზრებას და განეჩკადან ვიწყებ. წარმოიდგინეთ, დღეს მეც დანიშნული მქონდა მწვანე სკამთან მისვლა. თუმცა, ტყუილი არ მინდა ვთქვა პაემანზე მისვლა მე დავიჟინე, საშველი არ მივეცი, საიდუმლოს გაგიმხელთ-მეთქი. ვერ გეტყვით, მეტისმეტად ნაადრევად მომიხდა თუ არა მისვლა (მგონი, მართლაც ნაადრევად მომიხდა), ეს კია, როგორც კი აგლაია ივანოვნას გვერდით გამოვიჭიმე, ერთიც ვნახოთ, გავრილა არდალიონოვიჩი და ვარვარა

არდალიონოვნა არ მობრძანდებიან ხელიხელგაყრილნი, თითქოს მოსეირნობენ. ჩემს დანახვაზე, მგონი, პირკატა ეცათ. ამას კი არ ელოდნენ, მგონი, შერცხვათ კიდეც. აგლაია ივანოვნა წამოენთო და გინდა დამიჯერეთ, გინდ არა, ცოტა დაიბნა კიდეც, იქნებ მე რომ ვიყავი, იმიტომ, ან უბრალოდ, გავრილა არდალიონოვიჩის ნახვამ დააბნია, მისი მშვენიერება ვის არ დააბნევს, ერთი სიტყვით, მთლად წამოენთო და ერთ წამში დაამთავრა საქმე ფრიად სასაცილოდ წამოდგა, გავრილა არდალიონოვიჩის სალამსა და ვარვარა არდალიონოვნას ცუღლუტურ ღიმილს სალმითვე უპასუხა და უცბად მოჭრა „იმად დაგიბარეთ, პირადად მეთქვა, რარიგ მასიამოვნა თქვენმა გულწრფელმა და მეგობრულმა გრძნობებმა, და თუ დამჭირდა, მერწმუნეთ...“ მერე თავი დაუკრა და ორთავე გაისტუმრა, – არ ვიცი, გაბრიყვებულნი წავიდნენ, თუ გამარჯვებულნი. განეჩკა, ყოველ შემთხვევაში, გაბრიყვებული დარჩა; ვერაფერს მიხვდა და კიბოსავით გაწითლდა (ზოგჯერ საოცარი გამომეტყველება აქვს ხოლმე!), მაგრამ საჩქაროდ გავეცალოთ, აგლაია ივანოვნასგან ესეც ბევრიაო, და ძმაც წააჩანჩალა. ძმაზე მეტი ჭკუა აქვს. ასე რომ დარწმუნებული ვარ, ახლა ზეიმობს გულში. მე კი აგლაია ივანოვნას იმიტომ ვეახლე იქ, ნასტასია ფილიპოვნასთან შეხვედრაზე მომელაპარაკნა.

– ნასტასია ფილიპოვნასთან! – შეჰყვირა თავადმა.

– დიახ! მგონი, აღელდით ცოტა და გაკვირვება დაგეტყოთ მიხარია, რომ გინდათ ადამიანს დაემსგავსოთ. ამიტომაც გაგაცინებთ ერთი. აი, თურმე რას ნიშნავს დიდბუნებოვან ქალწულთა სამსახური დღეს სილა ვიგემე!

– ზნეობრივი? – უნებურად წამოსცდა თავადს.

– დიახ, ფიზიკური არა. მე მგონი, ჩემისთანა კაცის გარტყმას არავინ იკადრებს, ქალიც კი არ გამარტყამს ახლა; განეჩკაც კი არ მომიქნევს ხელს! თუმცა გუშინ ერთი პირობა კი მეგონა, დამეტაკება-მეთქი... სანაძლეოს ჩამოვალ, თუ არ გამოვიცნო, ახლა რას ფიქრობთ „ვინძლო ცემა არა და ძილში კი ბალიშით ან სველი ჩვრით ღირსია გაგუდო კაცმაო“, – სახეზე გაწერიათ, რომ ამას ფიქრობთ.

– თავის დღეში ეგ არ მიფიქრია! – ზიზღით წაილაპარაკა თავადმა.

– აბა, რა ვიცი, წუხელ კი დამესიზმრა, – თითქოს სველი ჩვრით... ერთმა კაცმა გამგუდა... გინდათ, გითხრათ ვინ წარმოიდგინეთ? – როგოჟინმა! როგორ გგონიათ, კაცის გაგუდვა ჩვრით თუ შეიძლება?

– არ ვიცი.

– გამიგონია, კიო. კარგით, მოვეშვათ ამას. აბა, მითხარით ერთი, სადაური ჭორიკანა ვარ რად გამლანძღა დღეს და ჭორიკანა რად მიწოდა მერე როდის, ყველაფერი რომ დამაფქვევინა და კიდეც გამამეორებინა... მაგრამ ასე მოსდგამთ ქალებს! მისი გულისთვის არ იყო, რომ როგოჟინს დავუკავშირდი, ამ საინტერესო პიროვნებას; მისი ინტერესების გამო არ მოვუწყე ნასტასია ფილიპოვნასთან პირისპირ შეხვედრა. იმიტომ ხომ არა, რომ თავმოყვარეობა შევუბღალე, როცა გადავუკარი, ნასტასია ფილიპოვნას „ნასუფრალს“ დახარბდით-მეთქი! განა მაგის ინტერესების გულისთვის არ ჩავჩიჩინებდი მთელი ეს ხანი ამას, უარს არ ვიტყვი, ორი წერილი მივწერე ამ თვალსაზრისით, დღეს კი პაემანიც მოვუხერხე... წეღან იქიდანვე დავუწყე, რომ დამამცირებელია მისთვის... თან „ნასუფრალი“ ჩემი ნათქვამი როდია, სხვისია; ყოველ შემთხვევაში, განეჩკასთან სულ ასე იძახიან; აკი თვითონაც დამიკრა კვერი. მაშ ჭორიკანა რაღას გამოვყავარ გატყობთ, გატყობთ, ჩემს შეხედვაზე გეცინებათ, სანაძლეოს ჩამოვალ, სულელური ლექსი მოგაგონდათ ალბათ იქნებ სიცოცხლის დაისზე მაინც მზემ გამიღიმოს სიყვარულისა.[133]

– ჰა-ჰა-ჰა! – ისტერიული სიცილი აუვარდა უცებ იპოლიტს და ხველა აუტყდა, – ისიც დაიხსომეთ. – წაიხრიწინა ხველებით დამხრჩვალმა, – განეჩკა რა კაცია „ნასუფრალზე“ ენა აქვს გაგდებული, თვითონ კი ახლა რითი უნდა ისარგებლოს!

თავადი დიდხანს დუმდა, ისე იყო თავზარდაცემული.

– თქვენა თქვით, ნასტასია ფილიპოვნას უნდა შეხვდესო? – ამოილუღლუღა ბოლოს.

– ეჰეი, ნუთუ მართლა არ იცოდით, რომ დღეს აგლაია ივანოვნას და ნასტასია ფილიპოვნას პაემანი შედგება, რომ ნასტასია ფილიპოვნა საამისოდ განგებ გამოიწერეს პეტერბურგიდან როგოჟინის მეშვეობით, აგლაია ივანოვნას მოპატიჟებით და ჩემი მეცადინეობით, და ახლა ისა და როგოჟინი თქვენგან არც ისე შორს, თავის ძველ ბინაში, ქალბატონ დარია ალექსეევნასთან იმყოფებიან... ფრიად საეჭვო ქალბატონთან, თავის მეგობართან, და იქ, იმ საეჭვო სახლში წაბრძანდება დღეს აგლაია ივანოვნა, რა არის, ნასტასია ფილიპოვნას მეგობრულად მოელაპარაკოს და სხვადასხვა საკითხი გადაწყვიტონ. არითმეტიკაში ივარჯიშონ. არ იცოდით დაიფიცეთ, რომ არ იცოდით

– ვერ დავიჯერებ!

– ჰო, კარგია, თუ ვერ დაიჯერებთ; თუმცა საიდან უნდა გცოდნოდათ. ესეც კია, აქ ბუზის გაფრენას ვერავის გამოაპარებ – ადგილია ისეთი! მე კი გაგაფრთხილეთ და ახლა მადლობა თქვენზეა. ნახვამდის – ალბათ საიქიოში შევხვდებით ერთმანეთს! ჰო, კიდევ აი, რა მინდოდა მეთქვა მართალია, უნამუსოდ კი ვიქცეოდი თქვენთან შიგადაშიგ, იმიტომ რომ... აბა, მე ჩემი რად უნდა დამეკარგა თქვენს სახეიროდ ხომ არა ჩემი „აღსარება“ მე ხომ მას მივუძღვენი (არ იცოდით განა). მერე არ იკითხავთ, როგორ მიიღო! ჰე-ჰე! მაგრამ მის წინაშე კი უნამუსობა არაფერი ჩამიდენია, მის წინ ბრალი არაფერში მიმიძღვის; იმან კი ასე შემარცხვინა და გამაბრიყვა... თუმცა არც თქვენთან დამიშავებია რამე, თუკი „ნასუფრალი“ და ამისდაგვარი რაღაცები ვახსენე, სამაგიეროდ ახლა პაემანის დღეს, საათსა და მისამართს გაუწყებთ, ყველაფერს გიმჟღავნებთ... ჯავრიან გულზე, და არა იმიტომ, სულგრძელი ვიყო. მშვიდობით, ენაბლუსავით თუ ჭლექიანივით გავაგრძელე ყბედობა; იცოდეთ, ზომები მიიღეთ, არ დააყოვნოთ, თუკი ღირსი ხართ ადამიანის სახელისა. პაემანი დღეს საღამოს იქნება, ამას წყალი არ გაუვა.

იპოლიტი კარისკენ წავიდა, მაგრამ თავადის დაძახებამ კარებთან მოუსწრო და შეაჩერა.

– მაშასადამე, აგლაია ივანოვნა, თქვენის თქმით, ნასტასია ფილიპოვნას ეახლება დღეს? – ჰკითხა თავადმა. ლოყები და შუბლი წითლად აუფორაჯდა.

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ ეგრე იქნება, – მოატრიალა თავი იპოლიტმა, – თუმცა სხვანაირად არც მოხერხდება. ნასტასია ფილიპოვნა ხომ არ მივა მასთან არც განეჩკასთან შეიძლება; შინ ლამის მიცვალებული უსვენია. ხომ იცით, გენერალი რა დღეშია!

– ეგ ერთი მიზეზიც კმარა! – დაუკრა კვერი თავადმა. – მაგრამ სახლიდან როგორ გამოვა, კიდეც რომ მოინდომოს თქვენ არ იცით იქაური წესები მარტო ვერაფრით ვერ მოახერხებს ნასტასია ფილიპოვნასთან წასვლას; სისულელეა!

– იცით, თავადო ფანჯრიდან კაცი არ ხტება, მაგრამ ხანძარი რომ გაჩნდეს, იქნებ უპირველესმა ჯენტლმენმა და მანდილოსანმა ისკუპოს ფანჯრიდან. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ასე რომ ჩვენი პატარა ქალბატონი ნასტასია ფილიპოვნასთან წაცუნცულდება. ვითომ იმ თქვენს პატარა ქალბატონებს არსად უშვებენ

– არა, ეგ არ მითქვამს...

– თუ ეგ არა, მაშ დიდი ამბავი არ უნდა კიბიდან ჩამოდგას ფეხი, გზას გაჰყვეს და მერე გინდაც აღარ დაბრუნდეს შინ. განა არ ხდება, რომ უკან დასახევ გზას არ იტოვებს კაცი და შინ არ ბრუნდება ეს ცხოვრება ხომ მარტო საუზმე-სადილებსა და თავად შჩ-ებისგან არ შედგება. აგლაია ივანოვნას, ვგონებ, აზიზ ქალად, თუ პანსიონის მოწაფედ უყურებთ; ვუთხარი კიდეც ეს; როგორც მახსოვს, დამეთანხმა. ასე, შვიდსა თუ რვაზე ელოდეთ... თქვენს ადგილზე იქ დასაყარაულებლად გავგზავნიდი ვისმე; რა წამს კიბიდან ჩამოვა, იმ წამსვე შეგატყობინოთ. გინდათ, კოლია გაგზავნეთ; ჯაშუშობას არ ითაკილებს, დამიჯერეთ, თქვენი გულისთვის მაინც... რამეთუ ეს ყველაფერი პირობითი გახლავთ... ჰა-ჰა!

თავადი მარტო დარჩა. კიდეც რომ ეკადრებინა, საჯაშუშოდ კაცის გაგზავნა აღარ იყო საჭირო. აგლაიას შემონათვალმა, არსად წახვიდეთო, თითქმის ყველაფერი გამოარკვია: ალბათ წასაყვანად გამოუვლის... ან იქნებ ის არ უნდა, თავადი უეცრად იქ მივიდეს და ამიტომ შემოუთვალა, შინ იყავიო... არც ეს იყო გამორიცხული. თავბრუ ესხმოდა; ასე ეგონა, ოთახი ტრიალებსო. დივანზე მიწვა და თვალი დახუჭა. ასეა თუ ისე, დღეს გაირკვევა და გადაწყდება ყველაფერი. არა, აზიზ ქალად ანდა პანსიონის მოწაფედ სულაც არ მიაჩნია აგლაია. ახლა კი გრძნობდა, რომ დიდი ხანია უკვე შიში ჰქონდა, რაღაც ამდაგვარი მოხდებაო. ნეტა რად უნდა იმ ქალის ნახვა? ტანში ჟრუანტელი უვლიდა თავადს; ისევ ციებ-ცხელება ერეოდა.

არა, არა, ბალღად არ თვლიდა აგლაიას! ამ ბოლო დროს თავზარს სცემდა მისი ზოგიერთი შეხედულება, ზოგი მისი ნათქვამი. ხანდისხან ისე ეგონა, თითქოს მეტისმეტად თავშეკავებული იყო, და გაახსენდა, ესეც რომ აშინებდა ეს დღეები. მართალია, ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა, მძიმე ფიქრები განედევნა, მაგრამ დიდი ხანია აწვალებდა ის ამბავი, რა იმალებოდა ამ სულში თუმცა სჯეროდა კი მისი.

ჰოდა, დღეს გადაწყდება და გამჟღავნდება ყველაფერი. ღმერთო, რა საშინელებაა! მაინც ისევ „ეს ქალი!“ რატომ უთქვამდა მუდამ გული, რომ სწორედ უკანასკნელ წუთს გაჩნდება ის ქალი და შენს ბედს დამპალ ძაფივით გაწყვეტსო მართალია, ახლა ნახევრად ბურანშია, მაგრამ დაიფიცებს კი, რომ მუდამ ამას უთქვამდა გული. თუკი ამ ბოლო ხანს მის დავიწყებას ცდილობდა, ეს მარტო შიშით მოსდიოდა. მაშ უყვარს თუ სძულს ეს ქალი დღეს აღარ შეჰკითხვია თავს სინდისი წმინდა ჰქონდა. კარგად იცოდა, ვინც უყვარდა... იმდენად ამ ორის შეხვედრა, მათი პაემანის მიზეზი და უცნაურობა არ აშინებდა, რამდენადაც თვით ნასტასია ფილიპოვნა სცემდა თავზარს.

რამდენიმე დღის შემდეგ მოიგონა კიდეც, რომ იმ აღგზნებულ საათებში თითქმის სულ მისი თვალები, მისი გამოხედვა ედგა თვალწინ. მისი სიტყვები, რაღაც უცნაური სიტყვები ჩასწიოდა ყურში – თუმცა ამ აღგზნებული გულისშემჭმელი საათებიდან ბევრი ვერაფერი მოიგონა შემდეგში. ისიც ბუნდოვნად აგონდებოდა, რომ ვერამ სადილი შემოუტანა და ისადილა, მაგრამ ეძინა თუ არა, ეს აღარ ახსოვდა. იცოდა მხოლოდ, რომ აზროვნების უნარი მარტო იმ წუთში დაუბრუნდა, როცა აგლაიამ ტერასაზე შემოაბიჯა. ისიც წამოხტა და შუა ოთახში შეეგება რვის თხუთმეტი წუთი იქნებოდა. აგლაია მარტო იყო, სადად ეცვა, თხელი ბურნუსი ჰაიჰარად მოეგდო. წელანდელივით ახლაც გაცრეცილი ჩანდა, ოღონდ თვალები უბრწყინავდა ცივად; ასეთი თვალები არასოდეს ჰქონია აგლაიას. ქალმა დაკვირვებით შეავლო თვალი და ნელი ხმით, თითქოს მშვიდად უთხრა:

– გამოწყობილხართ უკვე, ქუდიც ხელში გიჭირავთ; მაშასადამე, გაგაფრთხილეს. ვიცი, ვინც; იპოლიტმა, ხომ?

– დიახ... - წაილუღლუღა თითქმის ცოცხალმკვდარმა თავადმა.

– მაშ, წავიდეთ ხომ იცით, დღეს უთუოდ უნდა გამყვეთ. მგონი, შეძლებთ წამოსვლას?

– შევძლებ, მაგრამ... შეიძლება კი?

თქვა და იმ წამსვე გაწყვიტა სიტყვა, მეტი ვეღარაფერი მოახერხა. ამ თავაღებული ქალის შეჩერება ერთხელ სცადა მარტო, მერე კი ყურმოჭრილ მონასავით გასდია უკან. მართალია, ფიქრები ერეოდა, მაგრამ იმდენი მაინც მოისაზრა, რომ ქალი უმისოდაც წავიდოდა იქ, მაშასადამე, ასეა თუ ისე, მაინც უნდა გაჰყოლოდა. გრძნობდა, რომ ურყევი იყო მისი გადაწყვეტილება და რომ მის ძალას აღემატებოდა ამ გიჟური გულისწადილის შეჩერება. მთელი გზა თითქმის უბრად გაიარეს. აგლაიას თურმე მშვენივრად სცოდნოდა გზა. როცა თავადმა უფრო შორი მოსახვევით წასვლა არჩია, ვინაიდან იქ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, და უთხრა, აქეთ წავიდეთო, აგლაიამ ჯერ თითქოს ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ, მერე კი მოკლედ მოუჭრა „სულერთიაო!“ აი, დარია ალექსეევნას სახლი (ეს დიდი, ძველი, ფიცრული სახლი იყო). პარმაღიდან ერთი ფაშფაშა, გამოპრანჭული ქალი და ყმაწვილი გოგო ჩამოვიდნენ. იქვე გაჩერებულ დიდებულ ეტლში ჩასხდნენ, კისკისითა და ლაპარაკით, მათკენ არც გამოუხედავთ, თითქოს ვერ შეამჩნიესო. რა წამს ეტლი წავიდა, კარი უმალვე გაიღო მეორედ, დადარაჯებულმა როგოჟინმა თავადი და აგლაია შეუშვა და კარი ჩარაზა.

– მთელ სახლში ჩვენ ოთხნი ვართ მხოლოდ, – შენიშნა ხმამაღლა და უცნაურადაც შეავლო თვალი თავადს.

ნასტასია ფილიპოვნაც პირველსავე ოთახში დაუხვდათ, ისიც უბრალოდ, სულ შავებში გამოწყობილი. შესაგებებლად კი წამოდგა, მაგრამ არ გაუღიმია და არც ხელი ჩამოურთმევია თავადისთვის.

ნასტასია ფილიპოვნამ მყის აგლაიას მიაპყრო მოუსვენარი, დაკვირვებული მზერა. ქალები ერთმანეთის შორიახლოს დასხდნენ, აგლაია ოთახის ერთ კუთხეში დივანზე, ნასტასია ფილიპოვნა ფანჯარასთან. თავადი და როგოჟინი ფეხზე დარჩნენ, დაბრძანდითო, არც არავის შეუთავაზებია მათთვის. თავადმა კვლავ გაოცებითა და თითქოს მწუხარედ გადახედა როგოჟინს, მაგრამ იგი კვლავ წელანდელივით იღიმებოდა. სიჩუმე რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

ბოლოს რაღაც ავმა გრძნობამ გადაჰკრა ნასტასია ფილიპოვნას სახეზე; ჯიუტად, მტკიცედ და თითქმის სიძულვილით მიაშტერდა სტუმარ ქალს. აგლაია აირია, მაგრამ არ შემკრთალა. შემოსვლისას ერთი კი შეხედა თავის მეტოქეს და ახლა ჯერჯერობით თვალებდახრილი, თითქოს დაფიქრებული იჯდა. ერთი-ორჯერ თითქოს შემთხვევით იქაურობას მოავლო თვალი. სახეზე აშკარა ზიზღი ემჩნეოდა, თითქოს ეშინოდა, ჭუჭყი არ მოსცხებოდა. ანგარიშმიუცემლად ისწორებდა კაბას, ერთხელაც მოუსვენრად შეიცვალა ადგილი, დივნის კუთხეში მიიწია. ალბათ, ვერც გრძნობდა, რას აკეთებდა, მაგრამ ეს უფრო საწყენს ხდიდა მის საქციელს. ბოლოს თვალი თვალში გაუყარა ნასტასია ფილიპოვნას და მყისვე ყველაფერი ამოიკითხა, რაც ღვიოდა მეტოქის გაბოროტებულ თვალებში. ქალმა გაუგო ქალს. აგლაია შეკრთა.

– რასაკვირველია, იცით, რატომაც მოგიწვიეთ, – წარმოთქვა ბოლოს ძალზე წყნარად, მაგრამ ამ მოკლე წინადადებაზეც ერთი-ორჯერ შედგა.

– არ ვიცი, – ცივად და მოკლედ მოსხიპა ნასტასია ფილიპოვნამ.

აგლაიას სახე აელანძა. ვინ იცის, ერთბაშად საშინლად ეუცხოვა და დაუჯერებლად ეჩვენა, რომ „ამ დედაკაცის“ სახლში ზის ახლა და მის პასუხს ელის. ნასტასია ფილიპოვნას ხმის პირველსავე გაგონებაზე თითქოს ტანში შეაძაგძაგა. თქმა არ უნდა, რომ „იმ დედაკაცმა“ მშვენივრად შეატყო ყველაფერი.

– ძალიან კარგად იცით... მაგრამ განზრახ იკატუნებთ თავს, არ ვიციო, – თითქმის წაიჩურჩულა აგლაიამ და კუშტად დააცქერდა იატაკს.

– ვითომ რატომაო – ოდნავ ჩაეცინა ნასტასია ფილიპოვნას.

– თქვენს სახლში ვარ და ამით სარგებლობთ, – სასაცილოდ და უხერხულად გააგრძელა აგლაიამ.

– ეს თქვენი ბრალია და არა ჩემი! – ერთბაშად იფეთქა ნასტასია ფილიპოვნამ, – მე ხომ არ მომიწვევიხართ, თქვენი თხოვნითა ვარ ახლა აქ, თუმცა აქამდე არ ვიცი, რა მიზნით?

აგლაიამ ამაყად ასწია თავი.

– ენა დაიმოკლეთ; მაგ თქვენი იარაღით არ მოვსულვარ შესაბმელად...

– ოჰო! მაშ მაინც „შებმა“ გნებავთ და იმიტომ მობრძანდით! წარმოიდგინეთ, მე კი მეგონა, რომ უფრო... გონებამახვილი იქნებოდით...

ორივე დაუფარავი სიძულვილით მისჩერებოდა ახლა ერთმანეთს. არც ისე დიდი ხნის წინ ერთი ამათგანი მეორეს სწერდა წერილებს და მერე რა წერილებს! პირველმა შეხვედრამ და პირველმა სიტყვებმა კი ყოველივე წყალს გაატანა. მაგრამ აქ მყოფთ ოთხი კაციდან ეს, ვგონებ, არც ერთს არ გაჰკვირვებია. გუშინ რომ ეს ეთქვათ თავადისთვის, დაიჯერებდა კი არა, სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა, ახლა კი იდგა, უცქერდა და უსმენდა ისე, თითქოს გული დიდი ხანია უგრძნობდა ამას. აუხდა და ცხადად ექცა ყველაზე ფანტასტიკური სიზმარი. ამ ქალებიდან ახლა ერთს ისე ეზიზღებოდა მეორე და ისე უნდოდა ეს ზიზღი ეგრძნობინებინა მისთვის (სულაც იქნებ ამ განზრახვით მოსულიყო, როგორც როგოჟინმა თქვა მეორე დღეს), რომ რაც არ უნდა ჰქონოდა წინასწარ დათქმული გულში ამ ფანტასტიკური ხასიათის, ტვინწაღრძობ, სულით დაავადებულ ქალს, მეტოქის ამ შხამიან, წმინდა ქალურ ზიზღს მაინც ვერ გადაყლაპავდა. რომ ნასტასია ფილიპოვნას თვითონ სიტყვა არ დასცდებოდა წერილებზე, ეს კარგად იცოდა თავადმა. ქალის წამონთებული თვალებით მიხვდა, რაც უღირდა ახლა ის წერილები; ნახევარ სიცოცხლეს გაიღებდა თავადი, ოღონდაც არც აგლაიას ეხსენებინა ისინი ახლა.

მაგრამ აგლაიამ უცებ გაიმაგრა გული და თავს მოერია.

– კარგად ვერ გამიგეთ... საჩხუბრად არ მოვსულვარ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მიყვარხართ, მე... იმიტომ მოვედი, ადამიანურად მელაპარაკა. რომ მოგიწვიეთ, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რა მეთქვა, ამ გადაწყვეტას არც გადავუხვევ, გინდაც ვერ გამიგოთ. მით უარესი თქვენთვის და არა ჩემთვის. მინდოდა იმის პასუხი მეთქვა, რაზეც მწერდით, მეთქვა პირში, ვინაიდან ასე უფრო მაწყობდა. მაშ მოისმინეთ ჩემი პასუხი იმ თქვენს წერილებზე თავადი ლევ ნიკოლაევიჩის სიბრალული მე პირველსავე დღეს დამებადა, რა დღესაც გავიცანი, მაგრამ როცა გავიგე, რა მოხდა იმ თქვენს საღამოზე, უფრო შემეცოდა იმიტომ, რომ ასეთი მიამიტი გული აქვს, რომ მიამიტურად დაიჯერა, თითქოს ბედნიერებას ჰპოვებდა თქვენთან... თქვენისთანა ბუნების ქალთან. მართლაც, ასე მოხდა თქვენ ვერ შეიყვარეთ იმიტომ, რომ მეტისმეტად ამაყი ხართ... არა, ამაყი კი არა, ამპარტავანი... თუმცა არც ეს სიგიჟემდე... თავმოყვარე, ამას თქვენი წერილებიც მოწმობს ჩემდამი. ვერ შეიყვარეთ იმიტომ, რომ მიამიტია, ვინ იცის, გულში გეზიზღებოდათ და დასცინოდით კიდეც. თქვენ სიყვარული არ შეგიძლიათ, თქვენ მხოლოდ თქვენს სირცხვილზე და ნთავმოჭრაზე ფიქრობთ გაუთავებლივ. ეს სირცხვილი რომ არა, ვინ იცის, უფრო უბედური ყოფილიყავით... (აგლაია უდიდესი სიამოვნებით ისროდა ამ სიტყვებს, რომლებიც დიდი ხნის მოფიქრებული ჰქონდა, მოფიქრებული ჯერ კიდევ მაშინ, როცა სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა შეხვედრას, თან გესლით სავსე თვალებით შეჰყურებდა, როგორ

ემანჭებოდა სახე აღელვებისაგან ნასტასია ფილიპოვნას). გახსოვთ, მაშინ რომ წერილი მომწერა, როგორც მითხრა, თურმე წაკითხულიც გაქვთ ის წერილი. ჰოდა, იმ წერილით მივხვდი ყველაფერს, სწორადაც მივხვდი. ამას წინათ თვითონვე დამიდასტურა, რასაც ახლა გეუბნებით, სიტყვასიტყვით ასე თქვა. წერილის მერე ველოდი, რა მოხდებოდა, მივხვდი, რომ აქ ჩამოხვიდოდით, ვინაიდან თქვენ არ შეგიძლიათ უპეტერბურგოთ, თქვენისთანა ახალგაზრდასა და ლამაზს პროვინციაში რა გააძლებინებდა... თუმცა არც ესაა ჩემი სიტყვები, – საშინლად გაწითლდა აგლაია, ეს სიწითლე აღარც მოშორებია ბოლომდე, – შემდეგ ისევ ვნახე თავადი და მის მაგიერ ძალზე მეტკინა გული; ნუ გაიცინებთ; თუ გაიცინებთ, მაშ ამის გაგების ღირსიც არ ყოფილხართ...

– ხომ ხედავთ, არ ვიცინი, – დაღვრემით, დინჯად წაილაპარაკა ნასტასია ფილიპოვნამ.

– თუმცა მე რა, რამდენიც გნებავთ იცინეთ. გამოვკითხე ყველაფერი და ასე მითხრა, რომ დიდი ხანია უკვე აღარ უყვარხართ, გახსენებაც კი ტანჯავს თქვენი, მაგრამ ებრალებით და ყოველი თქვენი გახსენება „ხანჯალს უტრიალებს“ გულში. ისიც უნდა გითხრათ რომ ჩემს სიცოცხლეში კაცი არ მინახავს მისებრ კეთილშობილად მიამიტი და მიმდობი. მისი სიტყვების შემდეგ მივხვდი, ყველა მოატყუებს, და ვინც მოატყუებს, ყველას შეუნდობს. ამიტომაც შემიყვარდა იგი...

ეს თქვა და წამით შედგა აგლაია, თითქო თვითონაც გაუკვირდა, ეს რამ მათქმევინაო. მაგრამ უმალ უსაზღვრო სიამაყით აევსო თვალები; ეტყობოდა, უკვე აღარ ენაღვლებოდა, გინდაც ამ „დედაკაცს“ სიცილი დაეყარა ამ უნებლიეთ წამოცდენილ გულისნადებზე.

– მე ყველაფერი ვთქვი, ალბათ მიხვდით უკვე, თქვენგან რა მინდა.

– იქნებ მივხვდი; მაგრამ სჯობს თქვენვე თქვათ, – წყნარად მიუგო ნასტასია ფილიპოვნამ.

აგლაიას ბრაზი წაეკიდა სახეზე. მტკიცედ, გარკვევით თქვა:

– მაშ გამაგებინეთ, რატომ ერევით მის ჩემდამი გრძნობებში რატომ მომწერეთ ის წერილები რა უფლების ძალით იძახით წარამარა, რომ გიყვართ იგი. განა თქვენ თვითონ არ მიატოვეთ და გაექეცით ასე სამარცხვინოდ?

– მიყვარს-მეთქი, მე არც მისთვის და არც თქვენთვის არ მითქვამს, – გაჭირვებით წამოილაპარაკა ნასტასია ფილიპოვნამ, – ისიც მართალია, რომ გავექეცი... – დააყოლა ძლივს გასაგონად.

– რაო, „არც მისთვის, არც ჩემთვის“ გითქვამთ? - შეჰყვირა აგლაიამ, – მაშ თქვენი წერილები რას მოწმობს? ვინ გთხოვათ ჩვენი მაჭანკლობა, რაში დაგჭირდათ ეგ მუდარა, ცოლად გაჰყევიო განა ეს თქმა არაა რა გინდათ რისთვის გადაგვეკიდეთ? ჯერ მეგონა მაგ ჩარევით გინდოდათ, რომ შემზიზღებოდა და მიმეტოვებინა, მერე კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე გეგონათ, რომ მაგ თქვენი მანჭვა-გრეხით უდიდეს გმირობას სჩადიოდით... აბა, საიდან შეგეძლოთ მაგის სიყვარული, როცა ეს სიამპარტავნე ქვეყანას გირჩევნიათ? რატომ არ ადექით და უბრალოდ არ გაგვეცალეთ, იმის მაგივრად, სასაცილო წერილები გეგზავნათ ჩემთვის? რად არ მიჰყვებით ამ კეთილშობილ კაცს, ვისაც ასე უყვარხართ და ვინც ასეთ პატივსა გდებთ, რომ ცოლობას გთხოვთ? ცხადია, რატომაც: როგორჟინს რომ გაჰყვეთ, ვინღა იყოს მერე შეურაცხყოფილი? ხომ იმაზე მეტი პატივი დაგედოთ, რისი ღირსიც ხართ! განა არა თქვა ევგენი პავლოვიჩმა თქვენზე მეტისმეტად ბევრი პოემა აქვს წაკითხული და „მეტისმეტად განათლებულია თავის... მდგომარეობისთვისო“, რომ წიგნის ქალი ხართ და ხელაზიზი; დაუმატეთ თქვენი პატივმოყვარეობა და ყველა მიზეზიც ახსნილი იქნება...

– ხელაზიზი თქვენ კი არა ხართ?

ვინ იფიქრებდა, თუ ასე სწრაფად გაშიშვლდებოდა ყველაფერი, ასე მოულოდნელად შეტრიალდებოდა საქმე, მოულოდნელად-მეთქი იმიტომ, რომ პავლოვსკს ჩამოსულ ნასტასია ფილიპოვნას კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა, თუმცა ცუდს უფრო მოელოდა.

აგლაია წამიერად ისე გაიტაცა გულისთქმამ, რომ თავს ვეღარ სძლია და შურისგებაზე უარი ვერა თქვა. ნასტასია ფილიპოვნა პირდაპირ გააოცა აგლაიას ამ საქციელმა, უყურებდა და თვალებს არ უჯერებდა, ამიტომაც თავდაპირველად პასუხი ვერ მოახერხა. იქნებ ევგენი პავლოვიჩის თქმისა არ იყოს, მართლა ბლომად წაეკითხა პოემები, იქნება უბრალოდ შეშლილი იყო, როგორც თავადს სწამდა, მაგრამ ასეა თუ ისე, ამ ქალს – შიგადაშიგ ესოდენ ცინიკურსა და უტიფარი საქციელისას, – მართლაც, უფრო მეტი კდემამოსილება, სინაზე და მიამიტობა სჩვეოდა, ვინემ გარეგნულად ჩანდა. უეჭველია, ბევრი რამ წიგნებიდან ჰქონდა შეთვისებული, მეოცნებეც იყო, გულჩახურული და ფანტასტიკური ბუნებისა, მაგრამ ღრმა და ძლიერი განცდები სჩვეოდა... ეს იცოდა თავადმა და სახეზე გულისტკივილი გამოეხატა. აგლაიამ შეამჩნია ეს და სიძულვილისაგან შეაცახცახა.

– როგორ მიბედავთ ამას – ენით უთქმელი სიამაყით მიუგო ნასტასია ფილიპოვნას.

– ხომ არ მოგეჩვენათ? – გაოცდა ნასტასია ფილიპოვნა, – ნეტა რა გაგიბედეთ?

– პატიოსანი ქალობა თუ გსურდათ, რად არ მიატოვეთ მაშინ ის თქვენი გამაუბედურებელი ტოცკი უბრალოდ... თეატრალური სცენების გარეშე? – ადგა და მიახალა აგლაიამ.

– ნეტა რა იცით ჩემი მდგომარეობის, რომ განსჯას ბედავთ? – შეკრთა და საშინლად გაფითრდა ნასტასია ფილიპოვნა.

– ის ვიცი, რომ მაშინ მუშაობა კი არ დაიწყეთ, მდიდარ როგოჟინს გასდიეთ, რა არის, ცოდვილ ანგელოზად მოგეჩვენებინათ თავი. ახლა კი მესმის, ამ ცოდვილი ანგელოზის გამო, რომ ტოცკიმ ლამის ტყვია იხალა შუბლში!

– გეყოფათ! – ზიზღითა და თითქოს გულისტკივილით წარმოთქვა ნასტასია ფილიპოვნამ, – ისევე გესმით ჩემი, როგორც... როგორც დარია ალექსეევნას მოახლეს, რომელმაც ამას წინათ თავის საქმროს მომრიგებელ მოსამართლესთან უჩივლა. ის უკეთ გაგიგებდათ...

– ეტყობა, პატიოსანი ქალია და თავისი შრომით ირჩენს თავს. ეგეთ ზიზღს რათა გგვრით მოახლე?

– შრომა კი არა და თქვენ მგვრით ზიზღს, თქვენი შრომაზე ლაპარაკი.

– პატიოსანი ქალი მრეცხაობასაც არ ითაკილებდა.

ქალები ზეზე წამოცვივდნენ და გადაფითრებულნი შეაცქერდნენ ერთმანეთს.

– აგლაია, შეჩერდით, მართალი არა ხართ, – შესძახა თავზარდაცემულმა თავადმა.

ღიმილი ჩამორეცხოდა როგოჟინსაც, მაგრამ ტუჩმოკუმული და ხელებდაჭდობილი უსმენდა. ნასტასია ფილიპოვნა ბრაზით ცახცახებდა.

– ერთი ამ პატარა ქალბატონს დამიხედეთ! მე რომ ანგელოზი მეგონა! გუვერნანტი ქალი არ მოგყოლიათ, განა, აგლაია ივანოვნა?.. გინდათ... გინდათ პირში გითხრათ დაუფარავად, რისთვის მობრძანდით ჩემთან? გეშინიათ და იმიტომ.

– თქვენი მეშინია? – მიამიტურმა და ამპარტავნულმა გაოცებამ სულ დააკარგვინა თავი აგლაიას, ეს რა გამიბედესო.

– რა თქმა უნდა, ჩემი! ჩემი გეშინიათ, რაკი აქ მობრძანება იკადრეთ. ვისიც გეშინია, იმას აბუჩად ვერ აიგდებ! მე კი რა პატივს გცემდით, აი ამ წუთამდეც კი! იცით, რატომ გეშინიათ ჩემი და რა არის ახლა თქვენი მთავარი მიზანი? საკუთარი თვალით შეგემოწმებინათ, მე უფრო ვუყვარვარ თუ თქვენ, საშინლად ეჭვიანობთ და იმიტომ...

– მან მითხრა თქვენზე, მძულსო!.. – ძლივს წაიდუდუნა აგლაიამ.

– შესაძლოა; იქნებ არცა ვარ მაგისი ღირსი, ოღონდ... ოღონდ სტყუიხართ კი, მგონი! არ შეიძლება მე მაგას ვძულდე, ეგ მაგას ვერ იტყოდა! თუმცა მზადა ვარ გაპატიოთ... ისიც თქვენი მდგომარეობის გამო... ოღონდ უკეთესი კი მეგონეთ; უფრო ჭკვიანი, უფრო ლამაზიც, ღმერთმანი!.. მაშ წაიყვანეთ ეგ თქვენი ხვითო... აგერ ხედავთ, შემოგციცინებთ, გონს ვერ მოსულა, წაიყვანეთ, მაგრამ, ერთი პირობით ახლავე გამეცალეთ აქედან! ამ წუთს!..

ნასტასია ფილიპოვნა სავარძელში ჩაემხო და ტირილი წასკდა. მაგრამ უმალ სხვა გრძნობამ იელვა მის თვალებში; დაშტერებით, ჯიქურ შეხედა აგლაიას და ზე წამოიჭრა.

– მაგრამ გინდა ახლავე... ახლავე ვუბრძანებ, გესმის ვუბრძანებ და მყის მიგატოვებს, სამუდამოდ ჩემთან დარჩება, ცოლად მითხოვს, შენ კი მარტო გაძუნძულდები შინ! გინდა? გინდა? – შესძახა გიჟივით ნასტასია ფილიპოვნამ და ვინ იცის, თვითონაც არ სჯეროდა, რომ ეს სიტყვები მისი პირიდან ამოვიდა.

შეშინებული აგლაია კარებს ეცა, მაგრამ იქვე შეჩერდა მიჯაჭვულივით და სმენად იქცა.

– გინდა, როგოჟინი გავაგდო აქედან? ხომ არ გეგონა, როგოჟინზე უკვე ჯვარი დავიწერე შენი სიამოვნების გულისთვის აი, ახლა შენს გასაგონად დავუყვირებ „გამეცალე, როგოჟინ!“ თავადს კი ვეტყვი „არ გახსოვს, რას დამპირდი?“ ღმერთო დიდებულო! ნეტავ რისთვის დავიმცირე თავი ამათ წინაშე განა შენ არ მეფიცებოდი, თავადო, რაც არ უნდა მოხდეს, უკან გამოგყვებიო, თავის დღეში არ მიგატოვებო; შენ არ მეუბნებოდი, მიყვარხარო, ყველაფერი შემინდვიაო, პატივ... პატივ... ჰო, შენ ამასაც მეუბნებოდი! მე კი გაგექეცი, ოღონდაც ხელ-ფეხი არ შემეკრა შენთვის, ახლა კი მორჩა აღარ მინდა! რად მომექცა კახპა ქალივით ჩემი კახპობა როგოჟინს ჰკითხე, ის გეტყვის! ახლა კი, როცა თავი მომჭრა, ისიც შენს თვალწინ, განა შენც მომაქცევ ზურგს და მაგას ხელგაყრილს გაიყვან აქედან? მაშ, წყეულიმც ყოფილხართ ამას იქით, ვინაიდან მარტო შენი მწამდა. წადი, როგოჟინ, გამეცალე, შენ არ მჭირდები! – გაჰკიოდა უკვე გონებადაკარგული, სახემოღრეცილი ქალი, რომლის გამშრალი ტუჩები ძლივს ისროდნენ ამ სიტყვებს, და რომელსაც ეტყობოდა, თვითონაც არ სჯეროდა იოტისოდენად ამ თავისი ბაქიბუქობისა, მაგრამ ერთი წამით მაინც უნდოდა ამ წუთის გაგრძელება და თავის მოტყუება. იქნებ წუთი და გულიც გახეთქოდა იქვე გააფთრებულ ქალს. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენა თავადს. – აი, შეხედე! – დაუყვირა ბოლოს აგლაიას და თავადზე მიუთითა, – თუ ახლა ჩემთან არ მოვიდა და შენ არ მიგატოვა, მაშ შენი იყოს, დამითმია, მე არ მჭირდება!..

ნასტასია ფილიპოვნა და აგლაია შეშლილებივით მიაჩერდნენ თავადს. მაგრამ იმან იქნებ ვერც გაიგო ამ გამოწვევის მთელი ძალა, დანამდვილებით შეიძლება ასეც ითქვას. ის მხოლოდ ხედავდა სასოწარკვეთილ, გაგიჟებულ სახეს, რომელმაც, როგორც აგლაიას გამოუტყდა ერთხელ, „გულში ხანჯალი დაუტრიალა სამუდამოდ“. ჰოდა, ვეღარ გაუძლო ამ სურათს და მუდარით, საყვედურით ანიშნა ნასტასია ფილიპოვნაზე;

– ეგ როგორ შეიძლება! ეგ... ეგ ხომ უბედურია!

ამის თქმაღა მოასწრო, ვინაიდან აგლაიას საშინელმა გამოხედვამ უმალ ენა ჩააგდებინა. იმდენი ტანჯვა და, ამავე დროს, ისეთი უზომო სიძულვილი გამოეხატა თვალებში, რომ თავადმა ხელები აიქნია, შეჰყვირა და უკან გაეკიდა, მაგრამ გვიანღა იყო! აგლაიამ ეს წამიერი ყოყმანიც კი ვერ აპატია, სახეზე ხელები აიფარა, „ოჰ, ღმერთო ჩემო!“ შესძახა და ოთახიდან გავარდა. როგოჟინი უკან მიჰყვა, რათა კარი გაეხსნა მისთვის.

გასდია თავადმაც, მაგრამ ზღურბლზევე უკნიდან ხელები მოხვიეს. ნასტასია ფილიპოვნას გულმოკლული, მოქცეული სახე ჯიქურ მისჩერებოდა, გალურჯებული ტუჩები კი ჩურჩულით ეკითხებოდნენ:

– იმას, იმას მისდევ? – და გულწასული მიელუშა ხელებზე. თავადმა ასწია, ოთახში შეიტანა, სავარძელზე მიაწვინა და გამოლენჩებული დაუდგა წინ. მაგიდაზე ჭიქა წყალი იდგა. შემობრუნებულმა როგოჟინმა სტაცა ჭიქას ხელი და სახეში მიასხურა; ქალმა თვალი გაახილა, ერთ წუთს გონს ვერ მოვიდა; მერე უეცრივ მოიხედა, შეკრთა, შეჰკივლა და თავადს მივარდა.

– ჩემი ხარ! ჩემი! – ყვიროდა იგი, – მაშ, წავიდა ამაყი ქალბატონი ჰა-ჰა-ჰა! – იცინოდა ისტერიულად, – ჰა-ჰა-ჰა! მე კი იმ ქალბატონს ვუთმობდი! რისთვის? რატომ შე გიჟო ჩემო თავო! გამეცალე, როგოჟინ, ჰა-ჰა-ჰა!

როგოჟინმა ერთი დაკვირვებით შეხედა მათ, მერე უსიტყვოდ აიღო ქუდი და გავიდა. ათი წუთის შემდეგ თავადი ნასტასია ფილიპოვნას ეჯდა გვერდით, პატარა ბავშვივით ეფერებოდა თავზე და სახეზე, ხარხარებდა, როცა ის იცინოდა და მზად იყო მასთან ერთად ეღვარა ცრემლები. ხმაამოუღებლივ, გულდასმით ისმენდა მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აღფრთოვანებულ და არეულ ტიტინს, თუმცა აღარაფერი გაეგებოდა; ჩუმად იღიმებოდა და რაწამს შეამჩნევდა, ისევ დარდსა და ტირილს, საყვედურებსა და ჩივილს უნდა მოჰყვესო, მყის ისევ თავზე გადაუსვამდა ხელს, ლოყებზე ნაზად მოეფერებოდა და ბავშვივით უყვავებდა.

IX

გამოხდა ორი კვირა ბოლო თავში მოთხრობილი ამბიდან, ჩვენი მოთხრობის გმირთა მდგომარეობა კი იმდენად შეიცვალა, თუ საგანგებო ახსნა-განმარტება არა, გაგრძელება ფრიად გაგვიჭირდება. მაგრამ იმასაც ვგრძნობთ, რომ ფაქტების უბრალო გადმოცემა უნდა ვიკმაროთ და შეძლებისდაგვარად არც დიდ ახსნა-განმარტებას გამოვეკიდოთ ერთი ყოვლად უბრალო მიზეზის გამო რამეთუ ბევრ შემთხვევაში მომხდარი ამბის ახსნა თავადაც გვიძნელდება. ასეთი წინასიტყვაობა ვინძლო ფრიადგაუგებრად ეჩვენოს მკითხველს შეიძლება კი იმის მოყოლა, რაშიც ვერ ერკვევი და რაზეც საკუთარი აზრი ვერ შეგიქმნია რომ კიდევ უფრო ყალბ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, სჯობს ისევ მაგალითით ავხსნათ და გულმოწყალე მკითხველიც მიგვიხვდეს ეგებ, სახელდობრ, რა გვიჭირს, მით უმეტეს, ეს მაგალითი გადახვევა კი არა, პირდაპირი და უშუალო გაგრძელება იქნება მოთხრობისა.

ორი კვირის შემდეგ, ანუ უკეთ ივლისის დამდეგს, ამ ორი კვირის მანძილზე ჩვენი გმირის ისტორია, განსაკუთრებით კი ამ ისტორიის ბოლო შემთხვევა ერთ უცნაურ, ფრიად თავშესაქცევ, თითქმის წარმოუდგენელ და, ამავე დროს, თითქმის თვალსაჩინო ანეგდოტად იქცა და ნელინელ მოედო ლებედევის, პტიცინის, დარია ალექსეევნას, ეპანჩინების აგარაკების მეზობლად მდებარე ქუჩებს, მოკლედ რომ ვთქვათ, თითქმის მთელ ქალაქსა და მის შემოგარენსაც. თითქმის მთელ საზოგადოებას, ადგილობრივ მცხოვრებლებს, მოაგარაკეთ თუ მუსიკის სასმენად ჩამოსულთ სალაპარაკოდ ჰქონდათ ქცეული, ნაირ-ნაირი ვარიაციებით, რომ ერთმა თავადმა ერთ პატიოსანსა და განთქმულ ოჯახში დიდი აურზაურის შემდეგ როგორ თქვა უარი ამ ოჯახის ერთ-ერთი ასულის შერთვაზე, რომელიც უკვე მის საცოლედ ითვლებოდა, შეიყვარა ერთი ვიღაც ცნობილი ლორეტკა, ზურგი აქცია ძველ ნაცნობებს, არ დაერიდა არაფერს, არც მუქარას, არც საზოგადოების ერთობლივ აღშფოთებას და აპირებს კიდეც ამ დღეებში იმ

სახელგატეხილ დედაკაცზე ჯვარის დაწერას, ისიც აქვე, პავლოვსკში, ყოვლად აშკარად, საქვეყნოდ, თავაწეული და არც ვისმე თვალებში ყურებისა რცხვენია. ანეგდოტი იმდენი სკანდალებით იყო შემკული, იმდენი სახელიანი და გავლენიანი ხალხი გარეულიყო შიგ, ისე ნაირ-ნაირად, ფანტასტიკურად გადმოსცემდნენ, ისეთი საიდუმლოებით იყო სავსე, თანაც უდავოდ, ნათელი ფაქტებით წარმოდგენილი, რომ საყოველთაო ინტერესი და მითქმა-მოთქმა, ცხადია, მისატევებელი გახლდათ. ყველაზე ჭკუამახვილი, ეშმაკური და, ამავე დროს, დასაჯერებელი განმარტება რამდენიმე სერიოზულ ჭორიკანას ეკუთვნოდა, იმ ბრძენ ადამიანთა წარმომადგენელთ, მუდამ და ყოველთვის რომ ეშურებიან ყოველ საზოგადოებაში მომხდარი ამბავი, უწინარეს ყოვლისა, სხვებისათვის ნათელჰყონ და საკუთარ მოწოდებასა და ხშირად სიამესაც ამაში ჰპოვებენ. მათი განმარტებით, ერთი კარგი გვარის მქონე ყმაწვილი კაცი, წოდებით თავადი, თითქმის მდიდარი, ცოტა მოსულელო, მაგრამ დემოკრატი და ბატონი ტურგენევის მიერ აღმოჩენილ ნიჰილიზმზე შეშლილი,[134] რუსულის გაჭირვებით მოლაპარაკე, გაუმიჯნურდა გენერალ ეპანჩინის ქალს და იმდენი ქნა, რომ გენერლის ოჯახმა იგი სასიძოდ მიიღო. მაგრამ იმ ფრანგი სემინარისტისა არ იყოს, ვისზეც ახლახან იყო დაბეჭდილი ანეგდოტი და ვინაც განზრახ აკურთხებინა თავი მღვდლად, იქით მოიკლა თავი კურთხევაზე; ყველა საეკლესიო წესი, თაყვანისცემა, მთხვევა, ფიცი თუ სხვა აღასრულა, მარტო იმიტომ, რომ მეორე დღეს საქვეყნოდ ეუწყებინა თავისი ეპისკოპოსისათვის, რაკი ღმერთი არა მწამს, უპატიოსნოდ მიმაჩნია ხალხის მოტყუება და მისი პურის მუქთად ჭამა, ამიტომ უარს ვაცხადებ გუშინ მონიჭებულ ღირსებაზე, ამ წერილს კი ლიბერალურ გაზეთებში ვაქვეყნებო, – ჰოდა, ამ ათეისტისა არ იყოს, თავადმაც თითქოს თავის მხრივ ითითლიბაზა. ჰყვებოდნენ, ვითომც განზრახ დაელოდა, ვინემ მისი საცოლის მშობლებმა საზეიმო წვეულება არ გამართეს, სადაც ის ბევრ წარჩინებულ კაცს წარუდგინეს, მერე კი საჯაროდ, ყველას თანდასწრებით, აღიარა თავისი აზრები და შეხედულებანი, მიგილანძღათ დარბაისელი ჩინოსანნი, ამ ხალხში შეურაცხმყოფელი უარი დაურტყა თავის საცოლეს, გაუძალიანდა მსახურებს, რომლებსაც მისი გაყვანა უნდოდათ და ამ ბღლარძუნში მშვენიერი ჩინური ლარნაკი მიამსხვრიაო. თანამედროვე ჩვევათა დახასიათების მიზნით იმასაც დასძენდნენ, რომ ამ ჭკუასუსტ ყმაწვილ კაცს მართლაც უყვარდა თურმე თავისი საცოლე, გენერლის ქალი, მაგრამ უარი უთხრა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნიჰილიზმის დასამტკიცებლად, იმიტომ, რომ ამ ამბით აყალმაყალი გამოეწვია და გზაარეულ ქალზე საქვეყნოდ ჯვარის დაწერით დაემტკიცებინა, რომ მისთვის გზაარეული თუ პატიოსანი ქალები არ არსებობენ, არსებობს მხოლოდ თავისუფალი ქალი, რომ არაფერი სწამს საზოგადოებრივი თუ წოდებრივი დაყოფის, სწამს მხოლოდ ერთი „ქალთა საკითხი“, რომ, ბოლოს, გზაარეული ქალი მის თვალში უფრო მაღლაც დგას, ვინემ გზააურეველი. ეს განმარტება ფრიად დასაჯერებლად მიიჩნია და ირწმუნა კიდეც მოაგარაკეთა დიდმა ნაწილმა, მეტადრე, რომ ყოველდღიური ფაქტებით დასტურდებოდა. მაგრამ, ვაი, რომ ბევრი რამ მაინც აუხსნელი რჩებოდა. როგორც ჰყვებოდნენ, საწყალ ქალს თურმე ისე უყვარდა თავისი საქმრო, ზოგის სიტყვით „შემცთენელი“, რომ მიტოვების მეორე დღეს მიაკითხა მას, როცა ის თავის საყვარელთან იჯდაო; სხვები ირწმუნებოდნენ, პირიქით, ქალი მოტყუებით მიიყვანა, მხოლოდ და მხოლოდ ამავე ნიჰილიზმის გამო, იმიტომ რომ თავი მოეჭრა და შეერცხვინა იგიო. ასე იყო თუ ისე, მომხდარი ამბით გამოწვეული ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა, მით უფრო რომ ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა იმაში, რომ ეს სამარცხვინო ჯვრისწერა მართლაც შედგებოდა. ამგვარად, ჩვენთვის რომ ეკითხათ არა ამ ამბის ნიჰილისტური იერის შესახებ, არამედ უბრალოდ იმის ახსნა, რამდენად აკმაყოფილებს ეს მომავალი ჯვრისწერა თავადის ჭეშმარიტ

სურვილებს, ან კერძოდ, რაში მდგომარეობს ამჟამად ეს სურვილები, ან როგორ განისაზღვრება ჩვენი გმირის სულიერი მდგომარეობა ამ მომენტში თუ სხვა და სხვა, გამოვტყდებით და დიდად გაგვიჭირდებოდა პასუხის გაცემა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯვრისწერის დღე მართლაც დანიშნული იყო და თვით თავადმა დაავალა ლებედევს, კელერს და ლებედევის რომელიღაც ნაცნობს, რომელიც ამ შემთხვევისათვის გააცნო ლებედევმა თავადს, ამ საქმის ირგვლივ ყოველგვარი საზრუნავი და სახლაფორთო ეკისრათ, საეკლესიო თუ საოჯახო; რომ ფული არაფერში დაეშურათ, რომ ჯვრისწერას ნასტასია ფილიპოვნა აჩქარებდა და იჟინებდა, რომ თავადის ეჯიბად კელერი იყო დანიშნული, მისივე გულმხურვალე თხოვნით, ნასტასია ფილიპოვნას ეჯიბად კი – ბურდოვსკი, რომელიც ამ ამბავს აღფრთოვანებით შეხვდა, და რომ ჯვრისწერა ივლისის დასაწყისში იყო გადაწყვეტილი. მაგრამ ამ საკმაოდ ზუსტ გარემოებათა გარდა, ჩვენ კიდევ ზოგიერთი ფაქტი გვაქვს შეტყობილი, რომლებიც ფრიად გვიბნევენ თავგზას, რამეთუ ზემოთ მოხსენიებულ ამბებს ეწინააღმდეგება. დიდად ვეჭვობთ, მაგალითად, რომ, როცა ლებედევს თუ სხვებს დაავალა ქორწილზე ზრუნვა, თავადს ლამის იმავე დღეს დაავიწყდა, რომ ცერემონმეისტერიც ჰყავს, ეჯიბებიც, რომ ქორწილი დღე-დღეზე ელის, და თუ ამ თადარიგის დაჭერას დაეშურა და სხვებს აჰკიდა ეს დავიდარაბა, მარტო იმიტომ, თვითონ აღარ ეფიქრა ამაზე და, ვინ იცის, კიდეც დავიწყებისთვის მიეცა. მაშ, რაზე ფიქრობდა, თუკი ასეა, რა უნდა ხსომებოდა და რისკენ ილტვოდა არც იმაში შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ ძალა მისთვის არავის დაუტანებია ამ საქმეში (მაგალითად, ნასტასია ფილიპოვნას). რომ ჯვრისწერა მართლაც ნასტასია ფილიპოვნას სურვილით იყო დაჩქარებული და ჯვრისწერის ამბავიც მისი მოგონილი იყო და არა თავადის, მაგრამ ამაზე ხომ ის თავისი ნებით დათანხმდა; ასე გასინჯეთ, რაღაც უგულისყუროდ, თითქოს ერთი რაღაც ყოვლად უბრალო რამ ეთხოვათ მისთვის. ამგვარი უცნაური ფაქტები ბლომად იყრის თავს ჩვენს წინაშე, მაგრამ არათუ ნათელს ჰფენენ, ჩვენის აზრით, უფრო ბუნდოვანსა და გაურკვეველს ხდიან კიდეც საქმის ვითარებას, რამდენიც არ უნდა მოვიტანოთ ისინი; მაგრამ მიუხედავად ამისა, კიდევ ერთ მაგალითს წარმოგიდგენთ. ჩვენთვის დასტურ ცნობილია, რომ ამ ორი კვირის მანძილზე თავადი დღედაღამ ნასტასია ფილიპოვნასთან იყო; ნასტასია ფილიპოვნა უიმისოდ არც სასეირნოდ დადიოდა და არც მუსიკის მოსასმენად; რომ თუ ერთი საათი არ ნახავდა ნასტასია ფილიპოვნას, მყისვე შეშფოთება აიტანდა ხოლმე (მაშასადამე, როგორც ჩანს, გულწრფელად უყვარდა იგი); რომ რაზეც არ უნდა ელაპარაკნა ქალს, საათობით უსმენდა ხოლმე წყნარი, სათნო ღიმილით, თავად კი ხმას არ იღებდა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამავე დღეებში, რამდენჯერმე, ასე გასინჯეთ, კარგა ბევრჯერაც უცბად ეპანჩინებისკენ გასწევდა, რასაც არც უმალავდა ნასტასია ფილიპოვნას და რაც ქალს ლამის სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ჩვენ ვიცით, რომ ვინემ ეპანჩინები პავლოვსკში იყვნენ, თავადს სახლში არ უშვებდნენ და აგლაია ივანოვნას ნახვაზე მუდამ უარს უთვლიდნენ. თავადიც ხმაამოუღებლივ გაბრუნდებოდა უკან, რა არის მეორე დღეს ისევ მიდგომოდა კარს, თითქოს გუშინდელი უარი აღარც ახსოვსო, და, რა თქმა უნდა, ახალ უარს იღებდა. ისიც შევიტყვეთ, რომ ერთი საათიც არ იყო გასული ნასტასია ფილიპოვნასაგან აგლაია ივანოვნას გამოქცევის შემდეგ, რომ თავადი უკვე ეპანჩინებთან იყო, ცხადია, იმ იმედით, აგლაია იქ დაუხვდებოდა. მისმა გამოჩენამ ეპანჩინების სახლში დიდი დაბნეულობა და შიში გამოიწვია, ვინაიდან აგლაია ჯერ არ იყო დაბრუნებული და პირველად თავადის პირით შეიტყვეს, რომ იგი აგლაიას გაჰყოლოდა ნასტასია ფილიპოვნასთან. როგორც ჰყვებოდნენ, ლიზავეტა პროკოფიევნა, მისი ქალები და წარმოიდგინეთ, თავადი შჩ-ც მეტად დაუნდობლად, ავად მოპყრობიან თავადს. მაშინ იყო, რომ ნაცნობობასა და მეგობრობაზე უარი უთქვამს მწარე-მწარე სიტყვებით,

განსაკუთრებით, როცა ვარვარა არდალიონოვნა გამოეცხადა თურმე ლიზავეტა პროკოფიევნას და აუწყა, აგლაია ივანოვნა ერთი საათია უკვე ჩვენსა იმყოფება, საშინლად აფორიაქებულია და შინ დაბრუნებას, მგონი, არც აპირებსო. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ყველაზე მეტად დააფრთხო ლიზავეტა პროკოფიევნა და ასეც უნდა ყოფილიყო. ნასტასია ფილიპოვნასაგან წამოსული აგლაია, მართლაც, უწინამც სიკვდილს ირჩევდა, ვიდრე თავისიანებს დაენახვებოდა ახლა და ამიტომ ნინა ალექსანდროვნას მიაშურა. ვარვარა არდალიონოვნამ კი მაშინვე თავი ვალდებულად ჩათვალა, ეს ყოველივე დაუყოვნებლივ ლიზავეტა პროკოფიევნასთვის ემცნო. დედა-შვილები იმწამსვე ნინა ალექსანდროვნასთან გაცვივდნენ, იმათ ოჯახის მამა, ივან ფიოდოროვიჩიც მიჰყვა, ეს წუთია შინ დაბრუნებული. უკან კი ლევ ნიკოლაევიჩი მიჩანჩალებდა, მიუხედავად იმისა, რომ სახლიდან დაითხოვეს და მწარე-მწარე სიტყვები აგემეს. მაგრამ ვარვარა არდალიონოვნას განკარგულებით, აგლაიას არც იქ მიაკარეს იგი. საქმე იმით დამთავრდა, რომ როცა აგლაიამ დედა და დები დაინახა, რომლებიც თავზე დასტიროდნენ და არ საყვედურობდნენ, გულში ჩაეკრა იმათ და მაშინათვე გამოჰყვა შინ. ხმა გამოვიდა, თუმცა არც მთლად ზუსტი, გავრილა არდალიონოვიჩს ამჯერადაც უმტყუნა ბედმაო; რომ ვინემ ვარვარა არდალიონოვნა ლიზავეტა პროკოფიევნასთან გაიქცეოდა, დრო იხელთა და მარტოდ დარჩენილ აგლაიას თავის სიყვარულში გამოუტყდაო; რომ აგლაიამ, მართალია, ატირებულმა და გულაკვნესებულმა, უეცრივ პირში შეჰხარხარა და ერთი უცნაური კითხვა მისცა აი, ამ წუთას სიყვარულის დასამტკიცებლად სანთელზე თითს თუ დაიწვავო გავრილა არდალიონოვიჩი, როგორც ამბობდნენ, ისე გააშტერა ამ წინადადებამ, იმდენად დაიბნა და ენა ჩაუვარდა, ისეთი დიდი გაოცება გამოეხატა სახეზე, რომ აგლაიას თურმე ისტერიული კისკისი წასკდა მის შემხედვარეს და ზემოთ, ნინა ალექსანდროვნასთან გაიქცა, სადაც დაუხვდა კიდეც მშობლებს. ეს ანეგდოტი თავადმა მეორე დღესვე შეიტყო იპოლიტისაგან, რომელიც ლოგინიდან, მართალია, ვერ დგებოდა, მაგრამ განზრახ კი დაიბარა თავადი, რათა ეს ამბავი ემცნო. ხოლო იპოლიტმა რა გზით შეიტყო, ეს აღარ ვიცით. როცა თავადმაც მოისმინა თურმე სანთელისა და თითის ამბავი, ისე გადაიხარხარა, რომ იპოლიტი სახტად დატოვა; მერე კი მთელი ტანი აუკანკალდა და ტირილი წასკდა... საერთოდ, ეს დღეები ძალიან შეშფოთებული და საოცრად დაბნეული ჩანდა და საშინლად იტანჯებოდა. იპოლიტი პირდაპირ იძახდა, თავის ჭკუაზე ვერ უნდა იყოსო; მაგრამ ამის დასტურ თქმა ჯერ კიდევ არამც და არამც არ შეიძლებოდა.

როცა ამ ფაქტს ვამცნობთ მკითხველს, მათ განმარტებაზე კი ხელს ვიღებთ, სულაც იმიტომ არა, ჩვენი გმირი მკითხველის თვალში გავამართლოთ. კიდევ მეტი, დიახაც მზადა ვართ ჩვენც გავიზიაროთ ის აღშფოთება, რაც მან, წარმოიდგინეთ და, თავის მეგობრებშიც გამოიწვია. ერთ ხანს აღშფოთების თვალით უცქერდა ვერა ლებედევაც, აღშფოთებული იყო თვით კოლია; ვინემ ეჯიბად აირჩევდნენ, თავისი აღშფოთება არ დაუმალავს კელერსაც, რომ არაფერი ვთქვათ ლებედევზე, რომელსაც ინტრიგებიც კი გააბმევინა თავადის წინააღმდეგ ამ დიახაც გულწრფელმა აღშფოთებამ. მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს. საერთოდ კი, სავსებით და უაღრესად ვიზიარებთ იმ ზოგიერთ, ფრიად მკვახე და, წარმოიდგინეთ, ფსიქოლოგიურად ღრმა სიტყვებს, რომელიც ევგენი პავლოვიჩმა დაურიდებლად და უბოდიშოდ გადმოულაგა თავადს მეგობრულ საუბარში ნასტასია ფილიპოვნასთან მომხდარი ამბის მეექვსე თუ მეშვიდე დღეს. ბარემ აქვე შევნიშნავთ, რომ არა მარტო ეპანჩინებმა, მათი ოჯახის ახლო თუ შორეულმა ნაცნობებმაც საჭიროდ ჩათვალეს, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ თავადთან. თავადმა შჩ-მ, მაგალითად, როცა თავადს შეხვდა, პირი მოარიდა და არ მიესალმა. მაგრამ ევგენი პავლოვიჩი სულაც არ

შეუშინდა სახელის გატეხვას და შინ ეწვია თავადს, თუმცა ეპანჩინების კვლავ ყოველდღიური სტუმარი შეიქნა, სადაც ახლა გაცილებით მეტი გულთბილობით ხვდებოდნენ. ეწვია იმის მეორე დღეს, როცა ეპანჩინების მთელი ოჯახი პავლოვსკიდან გაემგზავრა. რა თქმა უნდა, მისვლისას უკვე იცოდა, რა ხმები იყო დარხეული საზოგადოებაში, ნაწილობრივ იქნებ მისი ხელისშეწყობითაც. თავადმა დიდად გაიხარა მისი მოსვლით და მაშინვე ეპანჩინებზე ჩამოუგდო სიტყვა; ამნაირმა გულმართლობამ და საქმეზე პირდაპირ გადასვლამ ევგენი პავლოვიჩსაც თავისუფლად ამოადგმევინა ენა, და თვითონაც მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკა.

ეპანჩინების გამგზავრების ამბავი თავადს თურმე არც სცოდნოდა. რომ გაიგო, თავზარი დაეცა და გაფითრდა. ერთი წუთის მერე კი, შემცბარმა და ჩაფიქრებულმა, თავი გადააქნია და გამოტყდა, „ასეც უნდა მომხდარიყო“, და მსწრაფლ ესეც დააყოლა „სად წავიდნენო?“ ევგენი პავლოვიჩი ამასობაში თვალს არ აცილებდა თავადს. მისმა მდგომარეობამ, სხაპასხუპით მიყრილმა კითხვებმა, ამ კითხვების გულუბრყვილობამ, შეცბუნებამ, ამავე დროს, რაღაც უცნაურმა გულახდილობამ, შფოთმა და აღგზნებამ დიდად გააკვირვა იგი. თუმცა ყველაფერი თავაზიანად და დაწვრილებით გადმოულაგა თავადს, რომელსაც ბევრი რამ არ სცოდნოდა და ევგენი პავლოვიჩი პირველ მაცნეს წარმოადგენდა მისთვის იმ ოჯახიდან. მან დაუდასტურა, რომ აგლაია მართლაც ავად გამხდარიყო და სამი ღამე ზედიზედ არ სძინებია სიცხიანს; ახლა უკეთ შეიქნა და საშიში აღარაფერი აქვს. მაგრამ ნერვიულ და ისტერიულ მდგომარეობაში კი არისო... „კიდევ კარგი, ოჯახში სრული სიმშვიდე სუფევს! წარსულის ამბებზე არათუ აგლაიასთან, ერთმანეთშიც კი ცდილობენ არაფერი წამოსცდეთ. მშობლებმა უკვე მოილაპარაკეს საზღვარგარეთ გამგზავრებაზე შემოდგომის ხანს, როგორც კი ადელაიდას ქორწილი მოხდებაო; აგლაიას რომ პირველად გადაუკრეს სიტყვა ამაზე, ხმაამოუღებლივ მოისმინაო“; იქნებ ევგენი პავლოვიჩიც გაემგზავროს საზღვარგარეთ. ეგებ თავადმა შჩ-მაც მოახერხოს ორიოდე თვით ადელაიდასთან ერთად წამოსვლა, თუ საქმეებმა არ შეუშალა ხელი. თვით გენერალი აქ დარჩება. ახლა ყველანი კოლმინოში გაემგზავრებიან, პეტერბურგიდან ოციოდ ვერსზე, სადაც მამული აქვთ და კარგა დიდი საბატონო სახლი უდგათო. ბელოკონსკაია ჯერ არ წასულა მოსკოვს, მგონი, განზრახაც დარჩაო. ლიზავეტა პროკოფიევნას დაეჟინებინა პავლოვსკიდან წასვლა იმის შემდეგ, რაც მოხდა. ევგენი პავლოვიჩი თურმე ყოველ დღე აუწყებდა, რა ხმებიც დადიოდა ქალაქში. ელაგინის აგარაკზეც არ მიეჩნიათ შესაძლებლად გადასვლა.

– და არც სტყუოდნენ, – დააყოლა ევგენი პავლოვიჩმა, – თქვენც დამეთანხმებით, რომ ვერავინ აიტანდა ამას... მეტადრე, როცა ყველაფერი იცოდნენ, რაც თქვენსა ხდებოდა ყოველ საათსა და წამს, ისიც დაუმატეთ, რომ ყოველდღე იქ დაიარებოდით უარის მიუხედავად...

– დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ, აგლაია ივანოვნას ნახვა მინდოდა... – კვლავ თავი დაუქნია თავადმა.

– აჰ, ჩემო კარგო თავადო, – აღმოხდიდა უეცრივ ევგენი პავლოვიჩს დაღონებით, – ნეტავ როგორ დაუშვით... ის, რაც მოხდა? რასაკვირველია, რასაკვირველია, ამას არ ელოდით... იმაშიც გეთანხმებით, რომ უთუოდ დაიბნეოდით და... მართლაც ვერ შეაჩერებდით გაგიჟებულ ქალს, ამას ვერ შეძლებდით! მაგრამ ის ხომ მაინც უნდა დაგენახათ, რაოდენ სერიოზული და ძლიერი გრძნობა ჰქონდა... ამ ქალს. მან არ ისურვა, სხვა ჰყოლოდა მოზიარედ, თქვენ კი... თქვენ კი მიატოვეთ და გული მოუკალით ასეთ საუნჯეს!

– დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ; დიახ, ჩემი ბრალია, – ისევ წამოიწყო საოცარი ნაღველით თავადმა, – იცით კი, რომ მარტო აგლაია, მარტო ის უყურებდა ამ თვალით ნასტასია ფილიპოვნას... სხვა ასე არავინ თვლიდა.

– სწორედ იმიტომაა ეს ყველაფერი აღმაშფოთებელი, რომ სერიოზული აქ არც არაფერი იყო! – შესძახა გულისთქმას აყოლილმა ევგენი პავლოვიჩმა, – უკაცრავად, თავადო, მაგრამ მე... ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე ამაზე; ვიცი, რაც მოხდა წინათ, ამ ნახევარი წლის წინათ, ყველაფერი ვიცი და... ეს ყველაფერი არასერიოზული იყო! ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ გატაცება იყო, სურათი, ფანტაზია, კვამლი, და მხოლოდ გამოუცდელი ყმაწვილი ქალის დამფრთხალ ეჭვს შეეძლო სერიოზულად მიეღო!

ახლა კი მისცა ევგენი პავლოვიჩმა თავს ნება და ყოვლად უცერემონიოდ გადმოუნთხია თავადს მთელი თავისი აღშფოთება. ჭკვიანურად, ნათლად და კიდევ გეტყვით, საოცრად ფსიქოლოგიურად გადმოუშალა თავადს საკუთრივ მისი დამოკიდებულება ნასტასია ფილიპოვნასთან. ენა ყოველთვის უჭრიდა ევგენი პავლოვიჩს, ახლა კი პირდაპირ ოქროპირობა გამოიჩინა. „თავშივე სიცრუით დაიწყეთ, – აუწყა მან, – და სიცრუით დაწყებული სიცრუითვე უნდა დამთავრებულიყო. ასეთია ბუნების კანონი. მე არ ვეთანხმები და აღშფოთებული ვარ, როცა, ვთქვათ და, იდიოტად გნათლავთ ვინმე, საამისოდ საკმაოდ კარგად გიჭრით ჭკუა; მაგრამ დამეთანხმებით, რომ უცნაური ხართ და სხვებს არ ჰგავხართ. ჩემის ფიქრით, რაც კი მოხდა, ყველაფრის ძირს, პირველ ყოვლისა, ასე ვთქვათ, თქვენი თანდაყოლილი გამოუცდელობა შეადგენს (კარგად ინიშნეთ, თავადო, თანდაყოლილი-მეთქი), მერე თქვენი მეტისმეტი გულუბრყვილობა, შემდეგ ისიც, რომ საოცრად გაკლიათ ზომიერების გრძნობა (თქვენც ხომ რამდენჯერმე გამოტყდით ამაში) – და ბოლოს, ჭკუით ნაკარნახევ შეხედულებათა მოზღვავებული მასა, რაც მაგ საოცარი პატიოსნების წყალობით დღემდე ჭეშმარიტ, ბუნებრივ და წრფელ შეხედულებებად მიგაჩნიათ. დამეთანხმეთ, თავადო, რომ ნასტასია ფილიპოვნასადმი თქვენს დამოკიდებულებას თავშივე რაღაც პირობით დემოკრატიული დაედო (ამას სიმოკლისთვის ვამბობ), ასე ვთქვათ, „ქალთა საკითხის“ ეშხმა მოგხიბლათ (რომ უფრო მოკლედ ვთქვა). მე ხომ ზუსტად ვიცი ნასტასია ფილიპოვნასთან მომხდარი მთელი ის უცნაური სკანდალური სცენა, როცა როგოჟინმა ფული მოუტანა. გნებავთ, საკუთარ თავს დაწვრილებით გაგირჩევთ, თითქოს სარკეში ჩაგახედებთ, ვინაიდან ზუსტად ვიცი, რაში იყო საქმე და რა მიზეზით შემოტრიალდა ასე! ყმაწვილი იყავით და შვეიცარიაში სამშობლო გენატრებოდათ, რუსეთისაკენ მოისწრაფოდით, რაც უცნობ, მაგრამ აღთქმის ქვეყნად გესახებოდათ. რუსეთზე ბევრი წიგნი გქონდათ წაკითხული, იქნებ შესანიშნავი წიგნებიც, მაგრამ თქვენთვის კი მავნე; აქ ჩამოდით საქმის წყურვილით ატანილი და, ასე ვთქვათ, საქმეს დაეხარბეთ! ჰოდა, იმავე დღეს სევდიანი და გულის შემძრავი ამბავი გიამბეს შეურაცხყოფილი ქალისა, მერე ვის, კაცს ბუნებით რაინდს, კაცს უბიწოს და გიამბეს ქალზე! იმავე დღესვე ნახეთ ის ქალი; მოგაჯადოვათ მისმა სილამაზემ, ფანტასტიკურმა, დემონურმა სილამაზემ (მეც გეთანხმებით, რომ ძალზე ლამაზია). ამას დაუმატეთ ნერვები, თქვენი ბნედა, ძარღვების ამწეწი ჩვენი პეტერბურგის ადრიანი გაზაფხული; დაუმატეთ მთელი ის დღე თქვენთვის უცხო, თითქმის ფანტასტიკურ ქალაქში, მოულოდნელ შეხვედრათა დღე, ყოვლად უცნაური სინამდვილის დღე, ეპანჩინების სამი ტურფა ქალის ნახვის დღე, მათ შორის აგლაიასი; დაუმატეთ დაღლილობა, თავბრუს ხვევა; ნასტასია ფილიპოვნასთან სტუმრობა, მისი სტუმრები და... რა გგონიათ, რა დღეში ჩაგაგდებდათ ეს ყოველივე, რა დაგემართებოდათ?

– ჰო, ჰო, ჰო, – თავს აქნევდა თავადი და უკვე სიწითლე ერეოდა, – ჰო, თითქმის ეგრე იყო; იცით, მართლაც, წინა ღამეს თითქმის თვალი არ მომიხუჭავს ვაგონში, არც იმის წინ და ძალიანაც აშლილი ვიყავი...

– რა თქმა უნდა, აბა მე რას ვამბობ – მეტად და მეტად ფიცხობდა ევგენი პავლოვიჩი, – ცხადია, რომ, ასე ვთქვათ, აღტყინებული მყისვე ჩაეჭიდეთ შესაძლებლობას, საჯაროდ გამოგეცხადებინათ დიდსულოვანი აზრი, რომ თქვენ, გვარიშვილობით თავადი და წმინდა კაცი უპატიოსნოდ არა თვლით ქალს, გაუბედურებულს გათახსირებული დიდგვაროვანი ვაჟბატონის მიზეზით. ო, ღმერთო, ეს ხომ გასაგებია! მაგრამ საქმე ეს კი არაა, ჩემო საყვარელო თავადო, საქმე ისაა, რამდენად სიმართლეს და ჭეშმარიტებას შეიცავდა ეგ თქვენი გრძნობა, თქვენი ბუნებიდან გამოდიოდა თუ მხოლოდ ჭკუისაგან წარმოსდგებოდა რა გგონიათ ეკლესიამ რომ შეუნდო ცოდვები ქალს, ეგეთსავე ქალს, განა ის უთხრა, კარგი ჩაგიდენია, ყოველივე სიკეთისა და პატივისცემის ღირსი ხარო განა საღმა გონებამ არ გიკარნახათ სამიოდე თვის შემდეგ, რაშიც იყო საქმე დაე, ახლა უმანკო იყოს, - მე არას ვიტყვი, არ მინდა და იმიტომ, – მაგრამ მთელი მისი თავგადასავალი განა გაამართლებს მის ასეთ სიამაყეს, ასეთ ურცხვ, ასეთ ხარბ ეგოიზმს უკაცრავად, თავადო, სიტყვამ გამიტაცა, მაგრამ...

– ჰო, შეიძლება ეგრეც იყოს; შეიძლება მართალი იყოთ... – ალუღლუღდა ისევ თავადი, – ის მართლაც ძალზე გაგულისებულია, მართალს ბრძანებთ, მაგრამ...

– შებრალების ღირსიაო, ხომ ამის თქმა გნებავთ, ჩემო კეთილო თავადო? მაგრამ შეიძლებოდა კი მისი შებრალებისა და სიამოვნების გულისთვის მეორე, უმანკო და კეთილშობილი ყმაწვილი ქალის დამცირება იმ ზვიად, იმ საძულველ თვალებში? მაშ სადამდე მიგიყვანთ ამის მერე შებრალება ეს წარმოუდგენელი გადამლაშებაა! ვის გაუგონია, გიყვარდეს ქალი და ასე დაამცირო მისი მეტოქის წინაშე, მიატოვო სხვისი გულისთვის, ისიც იმ სხვისი თანდასწრებით, მას შემდეგ, როდესაც უკვე პატიოსნურად სთხოვეთ ხელი... აკი სთხოვეთ ხელი, მისი მშობლების და დების წინაშე! უკაცრავად და ამას იქით ვინ დაგიძახებთ პატიოსან კაცს, თავადო განა... განა არ მოატყუეთ ეს ღმერთივით ქალი, როცა ეფიცებოდით, მიყვარხარო?

– ჰო, მართალი ხართ, აჰ, ვიცი, რომ დამნაშავე ვარ! – გამოუთქმელი ნაღველით აღმოხდა თავადს.

– განა ეგ კმარა? – აღშფოთებით შეჰყვირა ევგენი პავლოვიჩმა, – განა საკმარისია მხოლოდ, „დამნაშავე ვარო!“ იძახოთ. დამნაშავე ხართ და თქვენსას მაინც არ იშლით! გულმა რა გითხრათ მაშინ, მაგ თქვენმა „ქრისტიანულმა“ გულმა! განა არ ნახეთ მაშინ, რა სახე ედო იმ წუთს ვითომ რა, იმაზე ნაკლებ იტანჯებოდა, იმ თქვენს გამთიშველზე ნახეთ და ეგ როგორ დაუშვით? როგორ?

– მე... მე არც დამიშვია... – წაიდუდუნა უბედურმა თავადმა.

– მაშ ვინ?

– ღმერთმანი, მე არა. აქამდეც არ ვიცი, როგორ მოხდა... მე – მე მაშინ აგლაია ივანოვნას დავედევნე, ნასტასია ფილიპოვნას კი გული წაუვიდა; მერე კი აგლაია ივანოვნას აღარ მიმაკარეს.

– სულ ერთია! აგლაიას უნდა დადევნებოდით, როგორც არ უნდა წასვლოდა მეორეს გული!

– ჰო... ჰო... ეგრე უნდა მექნა... მაგრამ ის ხომ მოკვდებოდა! თავს მოიკლავდა, არ იცით მისი ამბავი... აგლაია ივანოვნას კი, სულ ერთია, მერე ავუხსნიდი ყველაფერს და... იცით, ევგენი პავლიჩ, გატყობთ, ყველაფერი არ იცით. მითხარით, აგლაია ივანოვნას რისთვის არ მაჩვენებენ მე ყველაფერს ავუხსნიდი. იცით იმათ მაშინ სულ სხვაზე მოუვიდათ ლაპარაკი, სულ სხვა რამეზე, იმიტომაც ასე მოხდა... ამას ვერაფრით აგიხსნით, მაგრამ აგლაიასთვის იქნებ ამეხსნა... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მეუბნებით, რა სახე ედო, იქიდან რომ გამოვიდაო... ოჰ,

ღმერთო, განა არ მახსოვს! წავიდეთ, წავიდეთ! - საჩქაროდ წამოხტა ის ადგილიდან და ევგენი პავლოვიჩს სახელოში სწვდა.

– სად?

– აგლაია ივანოვნასთან, ამ წუთს წავიდეთ...

– აკი გითხარით, პავლოვკსში აღარაა-მეთქი, ან რათ გინდათ წასვლა?

– ის გამიგებს, ყველაფერს გამიგებს! – ლუღლუღებდა თავადი და სასოებით იჭდობდა გულზე ხელებს, – გამიგებს, რომ ეს სულ სხვაა, სულ, სულ სხვა!

– სულ სხვაო მაგრამ ჯვარს ხომ იწერთ? მაშასადამე, თქვენსას არ იშლით... ხომ იწერთ ჯვარს?

– ჰო... ვიწერ; დიახ, ვიწერ!

– მაშ სულ სხვა საიდანაა?

– ო, არა, არა! ეს სულერთია, მე რომ ჯვარს ვიწერ, ეს არაფერს ნიშნავს!

– რაო, სულერთია და არაფერს ნიშნავსო! განა პატარა ამბავია საყვარელ ქალს თხოულობთ, მისი გაბედნიერება გსურთ, აგლაია ივანოვნა ხედავს ამას და იცის. მაშ სულერთი საიდან გამოდის?

– გა-გაბედნიერება მინდა ო, არა! მე, უბრალოდ, ჯვარს ვიწერ მხოლოდ; იმას ასე უნდა და იმიტომ; ან რა მერე, რომ ჯვარს ვიწერ მე... ოჰ, ეს სულერთია! ოღონდაც აუცილებლად მოკვდებოდა. ახლა დავრწმუნდი, რომ როგოჟინის ცოლობა სიგიჟე იქნებოდა! ახლა ყველაფერს ჩავხვდი, რასაც წინათ ვერ ვხვდებოდი. იცით, პირისპირ რომ იდგნენ, ნასტასია ფილიპოვნას სახეს ვერ გავუძელ. თქვენ არ იცით, ევგენი პავლიჩ (ხმას დაუწია თავადმა), ეს არავისთვის გამიმხელია, არასოდეს, აგლაისთვისაც კი, მაგრამ ნასტასია ფილიპოვნას სახეს ვერ ვუძლებ, ვერა... წეღან მართალი მითხარით ნასტასია ფილიპოვნასთან გამართულ საღამოზე; მაგრამ ერთი რამ კი დაგავიწყდათ, მე რომ მის სახეს ვხედავდი! ჯერ იმ დილით ვერ ავიტანე სურათზე მისი სახე... აგერ ვერას, ლებედევის ქალს, სულ სხვა თვალები აქვს; მე, მე მისი სახისა მეშინია! – დასძინა რაღაც საოცარი შიშით.

– გეშინიათ?

– ჰო; ის გიჟია! – წაიჩურჩულა თავადმა და გაფითრდა.

– დანამდვილებით იცით? – საოცარი დაინტერესებით ჩაჰკითხა ევგენი პავლოვიჩმა.

– დანამდვილებით; ახლა უკვე დანამდვილებით; ახლა, ამ დღეებში, დანამდვილებით შევიტყვე!

– მერე და თავი არ გეცოდებათ? – შიშით შეჰყვირა ევგენი პავლოვიჩმა. – მაშ რაღაც შიშის გამო იწერთ ჯვარს პირდაპირ არაფერი მესმის... ვინძლო არც გიყვართ იქნებ?

– ო, არა, მთელი სულითა და გულით მიყვარს! ის ხომ... ბალღია; პირწმინდა ბალღი! ო, თქვენ არაფერი იცით.

– და ამავე დროს აგლაია ივანოვნას ეფიცებოდით სიყვარულს?

– დიახ, დიახ!

– მაშასადამე, ორივეს ეტრფით?

– დიახ, დიახ!

– რას ბრძანებთ, თავადო, გონს მოდით!

– უაგლაიოდ მე... უთუოდ უნდა ვნახო! მე... ძილში მოვკვდები მალე; მეგონა, წუხელ ვერ გავათენებდი. ო, აგლაიამ რომ იცოდეს ყველაფერი... ყველაფერი! რატომ არ შეგვიძლია ხოლმე ვიცოდეთ ყველაფერი სხვაზე, როცა ის სხვა დამნაშავეა!.. თუმცა არ ვიცი, რას ვამბობ, თავგზა ამერია; საოცარი მეხი დამეცით... ნუთუ ახლაც ის სახე ადევს, როგორც მაშინ, როცა ოთახიდან

გავარდა. ო, დამნაშავე ვარ, დამნაშავე! ალბათ ჩემი ბრალია ყველაფერი... ჯერ კიდევ არ ვიცი, რა მაინც, მაგრამ ბრალი ჩემია... ვერ აგიხსნით ამას, ევგენი პავლიჩ. სიტყვები არ მყოფნის, მაგრამ... აგლაია ივანოვნა გამიგებს! ო, მუდამ მწამდა, რომ გამიგებს.

– ვერა, თავადო, ვერ გაგიგებთ! აგლაია ივანოვნა ქალია, ადამიანი და უყვარდით ისე, როგორც ადამიანს შეუძლია სიყვარული და არა... არა განყენებულ სულს. იცით კი, ჩემო საბრალო თავადო. სწორი თუ გნებავთ, არც ერთი და არც მეორე არ გყვარებიათ თავის დღეში!

– არ ვიცი... ეგებ, ეგებ ასეც იყოს; ბევრში მართალი ხართ. ევგენი პავლიჩ. საოცრად ჭკვიანი ბრძანდებით, ევგენი პავლიჩ, აჰ, ისევ ამტკივდა თავი. წამომყეთ რა მასთან! იწამეთ ღმერთი, იწამეთ!

– ხომ გეუბნებით, პავლოვსკში არაა-მეთქი, კოლმინოშია!

– მაშ კოლმინოში წამომყეთ, ახლავე, ამ წუთს!

– ეგ შე-უძლებელია! – დამარცვლით თქვა ევგენი პავლიჩმა და წამოდგა.

– გამიგონეთ, წერილს დავწერ; წერილი გადაეცით!

– ვერა, თავადო, ვერა! მაგას ვერ შეგისრულებთ, არ შემიძლია!

ასე გაშორდნენ ერთმანეთს. წავიდა ევგენი პავლოვიჩი და თან უცნაური აზრები გაიყოლია მისი ფიქრით, მთლად სრულ ჭკუაზე არც თავადი უნდა ყოფილიყო. ან რას ნიშნავს ეს სახე, რომლისაც ეშინია და რომელიც ასე უყვარს! ამავე დროს უაგლაიოდ იქნებ მართლაც მოკვდეს, აგლაიამ კი შეიძლება ვერც ვერასოდეს შეიტყოს, რაოდენ უყვარს თავადს იგი ჰა-ჰა! ამ ორის სიყვარული როგორ იქნება ვითომ სხვადასხვანაირად უყვარს საინტერესოა... საწყალი იდიოტი! რა ეშველება ახლა?

X

თავადი არც ჯვრისწერამდე მომკვდარა და არც „ძილში“ გაჰპარვია სული, როგორც ევგენი პავლოვიჩს უთხრა. ვინ იცის, ეგებ მართლაც ცუდად ეძინა და ცუდ სიზმრებს ხედავდა; მაგრამ დღისით, ხალხში, კეთილი და, ასე გასინჯეთ, კმაყოფილი სახე უჩანდა, ოღონდ ხანდახან თუ დასჯაბნიდა ფიქრები, ისიც მარტოობისას. ჯვრისწერას დიდად ეშურებოდნენ და იგი ევგენი პავლოვიჩის ვიზიტიდან ერთი კვირის შემდეგ მოხდა. ასე რომ უერთგულესი მეგობრებიც ვერაფერს უშველიდნენ ამ უბედურსა და დამთხვეულ კაცს. ხმები დაირხა, თითქოს ევგენი პავლოვიჩის ვიზიტში ნაწილობრივ გენერალ ივან ფიოდოროვიჩსა და მის მეუღლე ლიზავეტა პროკოფიევნას ედოთ წილიო. მაგრამ კიდეც რომ მოენდომებინათ თავისი კეთილი გულით ამ უბედურის გადარჩენა უფსკრულის პირისგან, ცხადია, ამ ერთ სუსტ ცდას უნდა დასჯერებოდნენ; არც მათ მდგომარეობას, არც იქნებ მათ გულითად განწყობას (რაც ბუნებრივია) უფრო სერიოზული ზომები არ შეეფერებოდა. როგორც მოგახსენეთ, თავადს მის ირგვლივ მყოფნიც კი განუდგნენ ნაწილობრივ. თუმცა ვერა ლებედევა მარტო თავის ოთახში იღვრებოდა ცრემლებად და წინანდელზე იშვიათად აკითხავდა ახლა თავადს. კოლიას იმ ხანებში საამისოდ აღარ ეცალა, მამა ჰყავდა დასასაფლავებელი; ბერიკაცს რვა დღის შემდეგ გაუმეორა დამბლამ. თავადმა გულით გაიზიარა ოჯახის მწუხარება, პირველ დღეებში საათობით უჯდა ხოლმე ნინა ალექსანდროვნას; გამოსვენებაზეც იყო და საყდარშიც გაჰყვა. ბევრმა შენიშნა, რომ თავადის შესვლა-გამოსვლა უნებლიე ჩურჩულს იწვევდა საყდარში დამსწრეთა შორის. იგივე ხდებოდა ქუჩებსა თუ ბაღში. ფეხით მოსეირნე თუ ეტლით

ჩაქროლილ თავადის დანახვაზე ერთი მითქმა-მოთქმა შეიქნებოდა ხოლმე, მის გვარს იძახდნენ, უთითებდნენ, ნასტასია ფილიპოვნას ახსენებდნენ. დაკრძალვაზეც ძებნეს ნასტასია ფილიპოვნა, მაგრამ ის დაკრძალვას არ დასწრებია. არც კაპიტანის ქვრივი უნახავს დასაფლავებაზე ვისმე, რადგან ლებედევმა დროზე მოასწრო მისი მოთოკვა. წესის აგებამ საოცრად ძლიერი და ავადმყოფური შთაბეჭდილება მოახდინა თავადზე; ეკლესიაშივე ჩაუჩურჩულა ლებედევს, ამ უკანასკნელის რაღაც შეკითხვაზე, პირველად ვესწრები მართლმადიდებელ წესის აგებას და მარტო ბავშვობაში მაგონდება კიდევ წესის აგება რომელიღაც სოფლის საყდარშიო.

– დიახ, უყურებ და არ გჯერა, რომ ის კაცი წევს კუბოში, ვინც სულ ახლახან თავმჯდომარედ ავირჩიეთ, არ გახსოვთ განა – ჩუმად უთხრა ლებედევმა თავადმა, – ვის ეძებთ?

– არაფერი, ისე მომეჩვენა...

– როგოჟინს ხომ არა?

– განა აქაა?

– საყდარში გახლავს.

– იმიტომაც არა, მისი თვალები დავლანდე, – წაიდუდუნა შემცბარმა თავადმა, – მერე... რა უნდა? მოიწვიეს?

– არ იცნობდნენ და ვინ მოიწვევდა. აქ ვის არ ნახავ, ხალხის ამბავი ხომ იცით. ნეტა რამ გაგაკვირვათ ახლა ხშირად ვნახულობ, ერთი-ორჯერ მაინც შემხვდა ამ ბოლო კვირას პავლოვსკში.

– მე ერთხელაც არ მინახავს... იმ დღის აქეთ, – წაილუღლუღა თავადმა.

არც ნასტასია ფილიპოვნას დასცდენია, ნახა თუ არა „იმ დღეს აქეთ“ როგოჟინი. თავადმა გადაწყვიტა, როგოჟინი რაღაც განზრახვით მარიდებს თავსო. მთელი ეს დღე თავადი ძალზე ჩაფიქრებული ჩანდა. ნასტასია ფილიპოვნა კი ის დღე და ის საღამო უჩვეულოდ მხიარული იყო. მამის სიცოცხლეშივე თავადთან შერიგებულმა კოლიამ ურჩია, რომ ეჯიბებად კელერი და ბურდოვსკი მოეწვია (ვინაიდან ამ საქმის გადადება არ შეიძლებოდა). თავს იდო, კელერი რიგიანად მოიქცევა და იქნებ „გამოგადგეთ“, ბურდოვსკის წესიერებასა და მოკრძალებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. ნინა ალექსანდროვნამ და ლებედევმა არაერთხელ ჩაულაპარაკეს თავადს, თუ ჯვრისწერა გადაწყვეტილი ამბავია, რაღა მაინცდამაინც პავლოვსკში აპირებთ, ისიც ამ გახურებულ სააგარაკო სეზონში, ასე საჯაროდ განა არა სჯობს, პეტერბურგში დაიწეროთ ჯვარი, და არცთუ საყდარში, არამედ სახლშიო მშვენივრად ესმოდა თავადს, რით იყო ეს შიში ნაკარნახევი; მაგრამ მოკლედ და უბრალოდ გასცა პასუხი, ნასტასია ფილიპოვნას ასე სურსო.

კელერი იმის მეორე დღეს ეახლა თავადს, როცა თავისი ეჯიბობის ამბავი შეატყობინეს. რა წამს თავადი დაინახა, აღარ შემოვიდა, კარებში გაიჩაჩხა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ასწია და ფიცივით შესძახა:

– არა ვსვამ, არა!

შემდეგ მივიდა თავადთან და ღონივრად ჩამოართვა ორივე ხელი. უთხრა, თავდაპირველად რომ შევიტყვე ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მტრულად შევხვდი და საბილიარდოშიც გამოვაცხადე, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, ვითარცა ჭეშმარიტი მეგობარი ვიმედოვნებდი და ვოცნებობდი, პრინცესა დე როგანზე ნაკლებს არ შეირთავდითო, მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, თქვენ თორმეტჯერ უფრო კეთილშობილურად სჯით, ვინემ ყველა ისინი! რამეთუ ეძიებთ არა სიმდიდრესა და ბრწყინვალებას და არცთუ პატივს, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტებას! დიდებულ ადამიანთა სიმპათიები საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ, თქვენ კი იმდენად დიდი განათლება გაქვთ, არ შეიძლება, ასე ვთქვათ, დიდბუნებოვანი არ იყოთ! „მაგრამ ნაძირალა

ხალხი სხვანაირად სჯის; ქალაქში, ოჯახებში, შეკრებილობებზე, აგარაკებზე, მუსიკაზე, სამიკიტნოში, საბილიარდოებში მხოლოდ ამ მომავალ ჯვრისწერაზე ყაყანებენ. ყური მოვკარი, რომ თქვენს ფანჯრებთან შარივარის[135] მოწყობას აპირებენ, ისიც, ასე ვთქვათ, პირველსავე ღამეს! თუ რომ, თავადო, პატიოსანი კაცი და მისი დამბაჩა დაგჭირდეთ, თქვენთვის მზადა ვარ, თავი გავწირო, და ვიდრემდე თქვენ თაფლის სარეცელს მოშორდებოდეთ, ექვსჯერ გავიდე დუელში!“ ისიც ურჩია, იმდენი სეირის მნახველი შეიძლება მოაწყდეს სახლს საყდრიდან დაბრუნების შემდეგ, ურიგო არ იქნება, თუ სახანძრო მილს მოვამზადებთ ეზოში; მაგრამ ლებედევი უარზე დადგა „სახანძრო მილი რომ დაინახონ, სახლი ხომ დამილეწესო“.

– ეგ ლებედევი ჩუმჩუმელობს და თქვენს საწინააღმდეგოდ დაძვრება, თავადო, ღმერთს გეფიცებით! წარმოგიდგენიათ, გიჟად უნდა გამოგაცხადონ და სახელმწიფო მეურვეობა დაგინიშნონ, ფული და თავისუფლება წაგართვან, ანუ ის ორი რამ, რითაც ყოველი კაცი ოთხფეხისაგან განირჩევა! დანამდვილებით მაქვს გაგებული! ჭეშმარიტი სიმართლე გახლავთ!

ახლაღა გაახსენდა თავადს, რომ ადრევეც მოეკრა ყური რაღაც ამდაგვარისთვის, მაგრამ გულთან ახლოს არ მიიტანა. ახლაც მხოლოდ გაიცინა და მაშინვე დავიწყებას მისცა კელერის ნათქვამი. ლებედევი ერთ ხანს მართლაც ძალზე აწრიალებული იყო; გეგმები იმას თითქოს ზეშთაგონებით ებადებოდა, მეტისმეტი სიფიცხით კი იმდენად გაართულებდა და დახლართავდა, რომ პირვანდელ ჩანაფიქრს კარგა დასცილდებოდა; ამიტომაც ბევრ რამეში ეცარებოდა ხელი. ამიტომ იყო, რომ ჯვრისწერის დღეს ეახლა თავადს ცოდვების მოსანანიებლად (ეს ჩვევა კი ჰქონდა, ცოდვები მუდამ იმის წინაშე მოენანიებინა, ვის წინააღმდეგაც ინტრიგებს ხლართავდა, მეტადრე თუ არაფერი გამოუვიდოდა) და აუწყა, ტალეირანად[136] ვარ გაჩენილი და ღმერთმა არ იცის, მარტო ლებედევად რატომ დავშთიო. შემდეგ გადმოუშალა მთელი თავისი კარტები და თავადი დიდად დააინტერესა. მისი თქმით, უწინარეს ყოვლისა, წარჩინებულ გვამთა მფარველობას დაუწყო ძებნა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში დაეყრდნობოდა. ამიტომაც გენერალ ივან ფიოდოროვიჩს ეახლა. გენერალი ივან ფიოდოროვიჩი შეცბუნებული დარჩა, ძალიან კი მინდა „მაგ ყმაწვილის“ სიკეთე, მაგრამ „ჩემი ჩარევა ყოვლად ულამაზო იქნებაო“. ლიზავეტა პროკოფიევნამ ხომ ახლოსაც არ გაიკარა. ევგენი პავლოვიჩმა და თავადმა შჩ-მ მხოლოდ ხელები აუქნიეს. ლებედევმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ერთ ფრიად მცოდნე იურისტს ელაპარაკა, დარბაისელ მოხუცსა და მის დიდ მეგობარს, თითქმის კეთილისმყოფელს. იმ იურისტმა დაასკვნა, რომ ეს საქმე კი მოგვარდებოდა, თუკი ჭკუაზე შერყევისა და სრული შეშლილობის მოწმეებს მოიყვანდა, და რაც მთავარია, წარჩინებულ გვამთა მფარველობის იმედი ექნებოდა. ლებედევმა არც ახლა დაჰყარა ფარხმალი და ერთხელ ექიმი მოჰგვარა თავადს, ისიც სააგარაკოდ ჩამოსული დარბაისელი მოხუცი, რომელსაც ანას ორდენი ჰქონდა. მოჰგვარა იმიტომ, რომ იმას, ასე ვთქვათ, ნიადაგი მოესინჯა, გაცნობოდა თავადს და ჯერჯერობით არაოფიციალურად, ასე ვთქვათ, მეგობრულად ეცნობებინა დასკვნა. თავადს მოაგონდა ექიმის ეს ვიზიტი; მოაგონდა, ჯერ წინა დღეს რომ სული შეუწუხა ლებედევმა, შეუძლოდ უნდა იყოთო. როცა თავადმა გადაჭრით უარი სტკიცა სამედიცინო დახმარებაზე, ადგა და უცბად ექიმი მოაყენა კარზე, იმ მიზეზით, ეს-ესაა ბატონ ტერენტიევთან ვიყავით, ძალიან ცუდადაა და ექიმმა უნდა რაღაც გკითხოთ ავადმყოფზეო. თავადმა მოუწონა ლებედევს ეს საქციელი და გულითადად შეხვდა ექიმს. ლაპარაკი მაშინვე იპოლიტზე ჩამოვარდა. ექიმმა სთხოვა თვითმკვლელობის ის სცენა, თუ შეიძლება, დაწვრილებით მიამბეთო. თავადმა სავსებით მოხიბლა ექიმი თავისი მონაყოლითა და განმარტებებით. შემდეგ პეტერბურგის ჰავაზე იმუსაიფეს, თვით თავადის სენზე, მერე

შვეიცარიაზე, შნეიდერზე. შნეიდერის მკურნალობის სისტემის გადმოცემით და მისი ამბებით იმდენად დააინტერესა თავადმა ექიმი, რომ იგი ორი საათი იჯდა და თავადის ჩინებულ სიგარებს აბოლებდა. ლებედევმა თავის მხრივ მშვენიერი სასმელი შემოატანინა ვერას. ოჯახის პატრონმა ექიმმა კი ისეთი ქათინაურებით შეამკო ვერა, რომ ყმაწვილი ქალის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. თავადი და ექიმი მეგობრულად დასცილდნენ ერთმანეთს. გზაში ექიმმა უთხრა ლებედევს, თუ რომ ყველა ასეთ ადამიანს მეურვე დავუწესეთ, ნეტა მეურვეები ვინღა უნდა იყვნენო, მაშინ ლებედევმა ტრაგიკულად უამბო ჯვრისწერის ამბავი. ექიმი ეშმაკური და ცბიერი სახით აქნევდა თავს, ბოლოს შენიშნა, ჯერ ეს ერთი, „ეშმაკმა იცის, ვინ ვის თხოულობსო“, მეორეც, როგორც მას სმენია, „ის ტურფა არსება მართლაც ისეთი არაჩვეულებრივი სილამაზისაა, რომ შეძლებულ კაცს მარტო ეს დაახვევს თავბრუს, მაგრამ, გარდა ამისა, ქონებაც მოჰყვება თურმე ტოცკისა და როგოჟინის მეოხებით, თვალ-მარგალიტი, შალები, ავეჯეული, ასე რომ მომავალი ჯვრისწერა ძვირფასი თავადის მხრივ არათუ ამჟღავნებს მის, ასე ვთქვათ, რაღაც განსაკუთრებულ ჭკუასუსტობას, არამედ დიდ ეშმაკურ ჭკუას და ანგარიშიანობას მოწმობს. მაშასადამე, ხელს უწყობს საწინააღმდეგოსა და თავადისთვის ფრიად საამო დასკვნასო“... ამ აზრმა შეაფიქრიანა ლებედევი და ბოლოს თვითონაც ირწმუნა.

„ამიერიდან, – უთხრა თავადს, – ჩემგან ერთგულების მეტს ვერას იხილავთ, თქვენთვის თავსაც არ დავიშურებ, ამიტომაც გეახელითო“.

ამ ბოლო დღეებში იპოლიტიც ართობდა თავადს; ხშირ-ხშირად უგზავნიდა კაცს და თავისთან იბარებდა. მათი პატარა აგარაკი იქვე, შორიახლოს იდგა. იპოლიტის უმცროს და-ძმას თუნდ იმიტომაც უხაროდათ აგარაკზე ყოფნა, რომ ავადმყოფს ბაღში მაინც გაექცეოდნენ. საწყალ კაპიტნის ქვრივს კი საშველი არ ჰქონდა, პირდაპირ შეწირული ჰყავდა ვაჟს; თავადი იყო მათი გამშველებელი და შემრიგებელი მუდამდღე, ასე რომ ავადმყოფი ახლაც „თავის ლალას“ უწოდებდა; თუმცა იმავე დროს თითქოს აბუჩად იგდებდა ამის გამო. კოლიაზედაც დიდად შემწყრალი იყო იპოლიტი, აღარ დადისო ჩემთან, ვინაიდან კოლია ჯერ მომაკვდავ მამას ადგა თავს და მერე კი დაქვრივებულ დედას არ შორდებოდა. ბოლოს თავადისა და ნასტასია ფილიპოვნას მოახლოებულ ჯვრისწერას დაადგა კბილი და იმდენი ქნა, შეურაცხჰყო და წონასწორობა დააკარგვინა თავადს, ასე რომ სანახავადაც აღარ მიდიოდა. ორი დღის შემდეგ დილაადრიან კაპიტნის ქვრივი მოადგა და ტირილით შესთხოვა, წამობრძანდით, თორემ შემჭამაო. ისიც დაუმატა, რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთო. თავადი გაჰყვა. იპოლიტს შერიგება ნდომებოდა. ჯერ ატირდა, შემდეგ ამ ცრემლებმა, რა თქმა უნდა, უფრო გააბოროტა, მაგრამ გაბოროტების გამჟღავნებისა კი შეეშინდა. მეტად სუსტად იყო, ეტყობოდა, დიდხანს ვერ გაატანდა. საიდუმლო არაფერი ჰქონდა, მხოლოდ საოცრად კი შეეხვეწა, აღელვებით სულშეხუთულმა (იქნებ, სულაც ნაძალადევი აღელვებით), როგოჟინს უფრთხილდითო. „ეგ ისეთი კაცი არ გეგონოთ, თავისი დაკარგოს; ეგ, თავადო, ჩვენ არა გვგავს; თუ გადაწყვიტა რამე, ხელი არ აუკანკალდებაო“... და სხვა და სხვა. თავადმა უფრო დაწვრილებით გამოჰკითხა, რომ რაიმე ფაქტი ეთქმევინებინა. მაგრამ პირადი შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებათა გარდა სხვა ფაქტები იპოლიტს არ აღმოაჩნდა. ბოლოს, იმდენი ქნა იპოლიტმა, რომ თავადი დააფრთხო და საოცრად ნასიამოვნები დარჩა ამით. თავდაპირველად საგანგებო კითხვები დაუსვა თავადს, რაზეც იმან პასუხი არ გასცა. მერე ურჩია „საზღვარგარეთ მაინც გაიქეცით; რუსი მღვდლები ყველგანაა, იქაც დაგწერენ ჯვარსო“. ამაზეც მხოლოდ გაეღიმა თავადს. ბოლოს კი ესეც დაურთო „მე მარტო აგლაია ივანოვნას ამბავი მაშინებს. როგოჟინმა იცის, როგორ გიყვართ იგი; სიყვარული სიყვარულის წილ; თქვენ ნასტასია ფილიპოვნა

წაართვით, ის აგლაია ივანოვნას მოგიკლავთ; მართალია, თქვენი აღარაა, მაგრამ ლახვარივით მაინც მოგხვდებათო“. იპოლიტმა თავისას მიაღწია და თავადი გულგახეთქილი გაისტუმრა.

ეს გაფრთხილება, როგოჟინი საშიში კაციაო, ქორწინების წინა დღეს მოხდა. იმ საღამოს უკანასკნელად ნახა თავადმა ნასტასია ფილიპოვნა ჯვრისწერამდე. მაგრამ ვერც ნასტასია ფილიპოვნამ დაუმშვიდა გული. პირიქით, ამ უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტად აგდებდა საგონებელში. ადრე, ანუ რამდენიმე დღის წინათ როგორ არ ცდილობდა ნასტასია ფილიპოვნა მის გამხიარულებას. თავადის დაღონებული სახე შიშს ჰგვრიდა. ხან უმღეროდა, უფრო ხშირად კი სასაცილო ამბებს უამბობდა, რაც კი ახსოვდა. თავადი მუდამ განზრახ იცინოდა გულიანად, თუმცა ზოგჯერ მართლაც აცინებდა ხოლმე ის ბრწყინვალე და ნათელი ჭკუა, რაც ნასტასია ფილიპოვნას მონაყოლში იგრძნობოდა, როცა ამბავი გაიტაცებდა, გატაცება კი ხშირად იცოდა. რომ დაინახავდა, თავადი იცინის, ასეთი კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეო, სიხარულით ცას ეწეოდა ქალი და სიამაყე ეუფლებოდა. მაგრამ ამ ბოლოს ხანს უფრო და უფრო ეძალებოდა ნაღვლიანი ფიქრები. თავადს რომ ნასტასია ფილიპოვნაზე თავისი აზრი არ ჰქონოდა უკვე შექმნილი, ცხადია, მისი საქციელი გამოცანად დარჩებოდა. მაგრამ გულწრფელად სწამდა, ამ ქალის სულით აღდგენა კიდევ შეიძლებოდა. სრული სიმართლე უთხრა ევგენი პავლოვიჩს, ნასტასია ფილიპოვნა გულწრფელად, მთელი არსებით მიყვარსო. მისი სიყვარული მართლაც ბეჩავი, სნეული ბავშვისადმი სიყვარულს უფრო ჰგავდა, რომლის ღვთის ანაბარა მიტოვება დაუშვებელი ცოდვა იქნებოდა. ამ თავის გრძნობებზე კრინტიც არავისთან დასცდენია და არც უყვარდა ლაპარაკი. მასა და ნასტასია ფილიპოვნას არასოდეს ულაპარაკიათ გრძნობებზე, ჩვეულებრივ, მხიარულად ბაასობდნენ და ამ ბაასში ყველას შეეძლო ჩარევა. შემდეგ ჰყვებოდა დარია ალექსეევნა, მთელი ის დღეები პირდაპირ მსიამოვნებდა და მახარებდა მათი ცქერაო.

სწორედ ამ შეხედულებამ ნასტასია ფილიპოვნას სულიერსა და გონებრივ მდგომარეობაზე იხსნა თავადი ბევრ თავსამტვრევ ფიქრთაგან. ნასტასია ფილიპოვნა ამ სამიოდე თვეში სულ შეცვლილიყო. უკვე აღარ აფიქრებდა თავადს, რატომ გაექცა ნასტასია ფილიპოვნა მაშინ წყევლა-კრულვით, ცრემლებითა და საყვედურებით ჯვრისწერის წინ, ახლა კი თვითონვე აჩქარებდა ქორწინებას „მაშასადამე, მაშინდელივით აღარ ეშინია ჩემი გაუბედურებისაო“, – ფიქრობდა იგი. საკუთარ თავში ეს უეცარი დარწმუნება, მისი ფიქრით, მთლად ბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო ნასტასია ფილიპოვნასთვის. არც მარტოოდენ აგლაიასადმი სიძულვილს შეიძლება წარმოეშვა ეს დარწმუნება ნასტასია ფილიპოვნას უფრო ღრმა განცდები სჩვეოდა. ან იქნებ, მართლა როგოჟინის შიში იყო მიზეზი ერთი სიტყვით, აქ შეიძლება ყველა ამ მიზეზს მოეხდინა გავლენა სხვა დანარჩენთან ერთად. მაგრამ თავადისთვის კი ცხადზე უცხადესი იყო, რომ ამის მიზეზი სწორედ ისაა, რასაც დიდი ხანია ეჭვობს, რომ საბრალო, სნეულმა სულმა ვერ აიტანა ეს ყოველივე. მაგრამ, ვაი რომ არც ეს მოსაზრებები ჰგვრიდა სულიერ სიმშვიდეს. ზოგჯერ თითქოს იმასაც ცდილობდა, საერთოდ აღარაფერზე ეფიქრა. ჯვრისწერას, მგონი, მართლაც ისე უყურებდა, როგორც ყოვლად უმნიშვნელო ფორმალობას, იმდენად ჩალის ფასად უღირდა საკუთარი ბედ-იღბალი. რაც შეეხება კამათსა და ლაპარაკს, როგორიც მაგალითად ევგენი პავლოვიჩთან მოუხდა, ასეთ შემთხვევაში ვერც გადაჭრით პასუხს მისცემდა ვისმე და არც კომპეტენტურად თვლიდა თავს. ამიტომაც იყო, ამგვარ ლაპარაკს ერიდებოდა ხოლმე. მაგრამ რომ ნასტასია ფილიპოვნამ მშვენივრად იცოდა, რა იყო თავადისთვის აგლაია, ეს არ გამოჰპარვია თავადს. მართალია, არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ხომ ხედავდა, „რა სახე“ დაედებოდა ხოლმე, როცა ეპანჩინებთან წასასვლელად გამზადებულს შეისწრებდა. ეპანჩინების გადაბარგების ამბავმა ქალს პირდაპირ სახე გაუნათა. დიდი მიხვედრისა და შემჩნევის თავი

თავადს სად ჰქონდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს გულში მაინც შიში ეპარებოდა, ნასტასია ფილიპოვნამ რამე სკანდალი არ მოაწყოს აგლაიას პავლოვსკიდან გასაქცევადო. მათი ქორწილის ირგვლივ მთელი ეს მითქმა-მოთქმა და ყაყანი, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ნასტასია ფილიპოვნას ხელშეწყობითაც იყო შექმნილი, რა არის თავისი მეტოქე გაემწარებინა. რაკი ეპანჩინების ქუჩაში ნახვა გაძნელდა, ნასტასია ფილიპოვნამ ერთხელ თავადი ჩაისვა ეტლში და ბრძანა, მათი აგარაკის ფანჯრებთან ჩაგვატარეთო. თავადს ამ სიურპრიზმა მეხი დასცა, ჩვეულებისამებრ, მაშინღა ჩახვდა საქმეს, როცა უკვე აღარაფერი ეშველებოდა და ეტლმა უკვე იმათ ფანჯრებს ჩაუქროლა. ნასტასია ფილიპოვნას არაფერი უთხრა, ოღონდაც იმის შემდეგ ორი დღე ავად იყო. ეს იყო და ეს, ქალს აღარ გაუმეორებია ამდაგვარი რამ. ჯვრისწერის უკანასკნელ დღეებში ნასტასია ფილიპოვნას ძალზე მოერია ფიქრები, ბოლოს, მართალია, კი სძლევდა ხოლმე დარდს და ისევ იმხიარულებდა თავს, მაგრამ ის სიკასკასე, ის უზრუნველი სიმხიარულე კი აღარ ემჩნეოდა, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ. თავადმა გაუორკეცა ყურადღება. უკვირდა, ნასტასია ფილიპოვნა რომ არასოდეს ახსენებდა როგოჟინის სახელს. მხოლოდ ერთხელ, ჯვრისწერამდე ხუთი დღით ადრე ერთბაშად დარია ალექსეევნას გამოგზავნილი კაცი მოადგა, სასწრაფოდ მოდით, ნასტასია ფილიპოვნა ძალზე ცუდადააო. მართლაც, სულ შეშლილივით დაუხვდა ქალი კიოდა, კანკალებდა, გაჰყვიროდა, როგოჟინი ჩვენი სახლის ბაღშია დამალული, ეს წუთია დავინახე, ამაღამ მომკლავს... დანას ჩამცემსო! მთელი დღე ვერა და ვერ დაამშვიდეს. იმავე საღამოს თავადმა ერთი წუთით შეუარა იპოლიტს. იქ რაღაც თავის საქმეებზე ქალაქში წასულმა და ეს წუთია დაბრუნებულმა კაპიტნის ქვრივმა უამბო, რომ დღეს პეტერბურგში როგოჟინმა შემომიარა ბინაზე და პავლოვსკის ამბავი მკითხაო. როცა თავადმა ჰკითხა, რა დროს იყო როგოჟინიო, კაპიტნის ქვრივმა თითქმის ის საათი დაუსახელა, რა საათზეც დაენახა იგი თავის ბაღში ნასტასია ფილიპოვნას. ასე რომ ეს ამბავი მირაჟი გამოდგა. ნასტასია ფილიპოვნა თავისი ფეხით მიადგა კაპიტნის ქვრივს ამ ამბის დაწვრილებით გამოსაკითხავად და საოცრად დაუმშვიდდა გული.

ჯვრისწერის წინა ღამეს აღტყინებული დატოვა თავადმა ნასტასია ფილიპოვნა პეტერბურგიდან ხვალინდელი სამოსელი გამოეგზავნა მკერავ ქალს, საქორწინო კაბა, თავსაბური, თუ სხვა რამ სამკაული. რას იფიქრებდა თავადი, რომ ნასტასია ფილიპოვნას ასე ააღელვებდა ეს სამოსელი; რა თქმა უნდა, ყველაფერი შეუქო და შექებით უფრო გაახალისა ქალი. ნასტასია ფილიპოვნას წამოსცდა ამ აღელვების მიზეზი თურმე გაეგონა, ქალაქში რა აღშფოთებაც სუფევდა და ვიღაც თავზეხელაღებული ყმაწვილები შარივარის მოწყობას რომ უპირებდნენ, მუსიკითა და ლამის ამ ამბისთვის საგანგებოდ შეთხზული ლექსებით, და რომ ამ ამბავს ლამის მოწონების თვალით უცქერდა დანარჩენი საზოგადოება. ჰოდა, ამიტომაც მოინდომა ახლა, უფრო ამაყად გამოჩენილიყო, ყველა დაეჩრდილა გემოვნებითა და მდიდრული ჩაცმულობით, – „დაე, მიყიჟინონ და მისტვინონ, თუკი გაბედავენო!“ თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცვიოდა ამის გაფიქრებაზე. მაგრამ ნასტასია ფილიპოვნას სხვა იდუმალი ოცნებაც ჰქონდა, რაც ხმამაღლა არ გამოუთქვამს იქნებ აგლაია ან ყოველ შემთხვევაში მისი გამოგზავნილი კაცი დასწრებოდა საყდარში ჯვრისწერას, ბრბოში ინკოგნიტოდ გარეული, დაენახა ყველაფერი, და ისიც იმიტომ ემზადებოდა ასე. ამ ფიქრებით დაემშვიდობა თავადს, დაახლოებით საღამოს თერთმეტ საათზე. მაგრამ ნაშუაღამევს არ დაეკრა, რომ თავადს დარია ალექსეევნასგან მოაკითხეს, – „ჩქარა წამობრძანდით, ძალიან ცუდადააო“. თავადს სადედოფლო თავის საწოლ ოთახში დაუხვდა ჩაკეტილი, სასოწარკვეთილი და ლამის შეშლილი. კარგა ხანს ვერაფერი გააგებინეს ჩაკეტილი კარიდან; ბოლოს მაინც გააღო, მარტო თავადი შეუშვა, ისევ

ჩაკეტა კარი და მის წინ მუხლებზე დაეცა (ყოველ შემთხვევაში, ასე გადმოსცემდა მერე დარია ალექსეევნა, რომელსაც მოესწრო შეჭყეტა).

– რას ჩავდივარ! რას! შენ მაინც რად გღუპავ! – იძახდა თურმე ქალი და ფეხებზე ეხვეოდა.

თითქმის ერთი საათი დაჰყო თავადმა მასთან, რაზე ილაპარაკეს, არ ვიცით და ვერაფერს ვიტყვით. დარია ალექსეევნას გადმოცემით, ერთი საათის შემდეგ მშვიდობიანად და ბედნიერად დასცილდნენ თურმე ერთმანეთს. იმ დღეს თავადს კიდევ ერთხელ გამოეგზავნა კაცი ამბის საკითხავად, მაგრამ ნასტასია ფილიპოვნას უკვე ეძინა. დილას, ქალის გაღვიძებამდე, კიდევ ორი კაცი მიუგზავნა დარია ალექსეევნას. მხოლოდ მესამე გამოგზავნილს დააბარეს „ნასტასია ფილიპოვნას ახლა მთელი ჯგრო ახვევია პეტერბურგელ მკერავი ქალებისა და დალაქებისა, გუშინდელი მღელვარების კვალიც არ ემჩნევა, ახლა ისეა გართული, როგორც შეიძლება იყოს გართული ჯვრისწერის წინ მისებრ ტურფა ქალი, და რომ ახლა, სწორედ ამ წუთს საგანგებო კონგრესი მიმდინარეობს, სახელდობრ, რომელი ბრილიანტით მოირთოს და როგორ მოირთოსო“ თავადიც სავსებით დამშვიდდა.

აი, როგორ გადმოგვცემენ ამ ჯვრისწერის ანეგდოტს ამ ამბის მცოდნე ხალხი და, მგონი, არც უნდა სტყუოდნენ.

ჯვრისწერა საღამოს რვა საათზე იყო დანიშნული. ნასტასია ფილიპოვნა თურმე უკვე შვიდზე იყო მზად. ექვსი საათიდან ლებედევის აგარაკის ირგვლივ ნელინელ მოიყარა თავი ლაზღანდარათა ჯგრომ, მაგრამ უფრო მეტი დარია ალექსეევნას სახლს დახვეოდა. შვიდი საათისთვის უკვე საყდარიც გაიჭედა. ვერა ლებედევასა და კოლიას ცალკე თავადის გამო უკანკალებდათ გული და ცალკე შინ ჰქონდათ აუარება საქმე, თავადის სადგომს ამზადებდნენ ხალხის დასახვედრად და გასამასპინძლებლად. ესეცაა, რომ ჯვრისწერის შემდეგ დიდი სტუმრობა არ იყო განზრახული; იმათ გარდა, ვინც აუცილებლად უნდა დასწრებოდა ჯვრისწერას, ლებედევმა მოიწვია პტიცინები, განია, ანას ორდენიანი ექიმი, დარია ალექსეევნა. თავადმა რომ გამოჰკითხა ლებედევს, ნეტავ იმ ექიმის მოწვევა მაინც რამ გაფიქრებინათ, „თითქმის სულ უცხო კაცისო“, ლებედევმა დიდი კმაყოფილებით უთხრა „კაცს ორდენი უკეთია გულზე, დარბაისელი ვინმეა, უფრო დაგვამშვენებსო“, და თავადიც გულიანად გააცინა. რიგიანად გამოიყურებოდნენ ფრაკებში გამოწკეპილი, ხელთათმან წამოცმული კელერი და ბურდოვსკი. ოღონდაც კელერი შიგადაშიგ აშკარად ამჟღავნებდა ჩხუბის განწყობას და სახლის ირგვლივ შეყრილ ლაზღანდარებს ფრიად ავი თვალით უცქერდა, რაც, ცოტა არ იყოს, აკრთობდა თავადს და მის იმედზე მყოფთ. რვის ნახევარზე, როგორც იყო, კარეტაში ჩაჯდა თავადი და საყდრისკენ გასწია. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ განგებ არ ინდომა მან დადგენილ ადათ-წესთაგან რაიმე გამოეტოვებინა. ყოველივე საჯაროდ, აშკარად, და „როგორც ჯერ არს“, ისე უნდა მომხდარიყო. საყდარში ძლივს გააღწია თავადმა, იმდენი ხალხი შეგროვილიყო. მის დანახვაზე სასეიროდ მოსულ საზოგადოებაში ჩურჩული და შეძახილები გაისმა. კელერი წინ მიუძღოდა და მარჯვნივ და მარცხნივ რისხვით აბრიალებდა თვალებს. თავადი დროებით საკურთხეველში მიიმალა. კელერი კი სადედოფლოს მოსაყვანად გაბრუნდა. დარია ალექსეევნას პარმაღთან არა მარტო ორჯერ თუ სამჯერ მეტი ხალხი შეყრილიყო, ვიდრე თავადთან იყო, არამედ სამჯერ უფრო თავსგასულებიც. კიბეზე ამავალ კელერს ისეთი შეძახილები მოესმა, გულმა აღარ მოუთმინა და ხალხისკენ კიდეც მოტრიალდა საკადრისი პასუხის გასაცემად, მაგრამ იღბლად ბურდოვსკიმ და ამასობაში პარმაღზე გამოჭრილმა დარია ალექსეევნამ შეუშალეს ხელი, აქეთ-იქიდან ჩაეჭიდნენ და გაქაჩული შეათრიეს შინ. გულგასიებული კელერი ჩქარობდა. ნასტასია ფილიპოვნა წამოდგა, ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში „ცალყბა“ ღიმილით,

როგორც მერე კელერი ჰყვებოდა, შენიშნა, „რა მკვდრისფერი მადევსო“, მოწიწებით მოიყარა მუხლი ხატის წინ და პარმაღზე გაბრძანდა. მის გამოსვლას ღრიანცელით შეხვდა ხალხი. მართალია, პირველად სიცილი, ტაშისკვრა და ლამის სტვენაც აუტეხეს, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ აქა-იქ ხმებიც გაისმა:

– ვაჰ, რა ტურფა ვინმე ყოფილა! – იძახდნენ ხალხში.

– პირველი ეგ არაა და უკანასკნელი!

– გვირგვინი ყველაფერს დაფარავს, თქვე ტუტუცებო!

– არა, მოდი და მოძებნე სხვა ასეთი ტურფა, ვაშა! – ღრიალებდნენ ახლოს მდგომნი.

– ნამდვილი კნეინა არაა! ამისთანა კნეინა მომცა და მერე გინდ მომკლა! – იყვირა რომელიღაც კანცელარიის მოხელემ, – „ნეტავ შენთან გავათენო, მერე სულიც გამძრობია!..“

დასტურ მიტკალივით გათეთრებული გამობრძანდა ნასტასია ფილიპოვნა; მაგრამ დიდრონი შავი თვალები ნაკვერჩხალივით უღვიოდა და სწორედ ამ თვალებს ვერ გაუძლო ხალხმა; აღშფოთება აღტაცებულმა შეძახილებმა შეცვალა. უკვე გამოაღეს კარეტის კარები, უკვე ხელი მიაწოდა კელერმა სადედოფლოს, რომ უეცრივ ქალმა შეჰკივლა და კიბიდან პირდაპირ ხალხში გადაეშვა. მისი თანმხლებნი განცვიფრებისაგან ადგილზე გახევდნენ, ხალხმა უტია, გაირღვა და კიბიდან ხუთ-ექვს ნაბიჯზე ერთბაშად როგოჟინი გამოჩნდა. სწორედ მისი მზერა დაიჭირა ნასტასია ფილიპოვნამ. გიჟივით მივარდა და ორივე ხელებში ჩააფრინდა.

– მიშველე! აქედან წამიყვანე! სადაც გინდა, ოღონდ ამ წუთსავე!

როგოჟინმა თითქმის ხელში აიტაცა ქალი და ასე ატატებული მიიყვანა კარეტასთან. შემდეგ მყის იძრო ასმანეთიანი და მეეტლეს მიაწოდა.

– ჩქარა რკინიგზაზე! თუ მატარებელს მიასწრებ, ასმანეთიანს კიდევ გაირტყამ!

მერე ჩაუხტა ნასტასია ფილიპოვნას კარეტაში და კარები მიიხურა. მეეტლეს ბევრი არ უფიქრია და ცხენებს გადაუჭირა. კელერი ყველაფერს მოულოდნელობას აწერდა შემდეგ „კიდევ ერთი წუთი და რაღაცას მოვიფიქრებდი, ამას არ დავუშვებდიო!“ – უხსნიდა იგი ყველას. კიდეც დაიჭირეს მან და ბურდოვსკიმ იქვე ახლოს გაჩენილი ეტლი, კიდეც ჩასხდნენ დასადევნებლად, მაგრამ გზაშივე გადაიფიქრა „ასე თუ ისე, გვიანაა! ძალით ხომ ვერ მოაბრუნებ!“

– არც თავადი მოინდომებს! – გადაწყვიტა შეძრწუნებულმა ბურდოვსკიმ. როგოჟინმა და ნასტასია ფილიპოვნამ წუთი წუთზე მიუსწრეს მატარებელს. კარეტიდან ჩამოსულმა როგოჟინმა მატარებელში ჩაჯდომამდე იქვე ჩავლილ ყმაწვილი ქალის გაჩერებაც კი მოასწრო, რომელსაც ძველი, მაგრამ საკმაოდ რიგიანი მანტილია ეცვა და თავზე ფულიარის მოსახვევი ეხვია.

– ეს ორმოცდაათი მანეთი ინებეთ და ეგ თქვენი მანტილია გვიბოძეთ! – გაუწოდა ფული ყმაწვილ ქალს. მაგრამ ვიდრე ის განცვიფრებას იგრძნობდა, ვიდრე მოისაზრებდა, რა უნდოდა მისგან ამ კაცს, უკვე ხელში ჩაუტენეს ორმოცდაათ მანეთიანი. მანტილია და მოსახვევი მოხსნეს და ისინი მხრებზე და თავზე მოასხა როგოჟინმა ნასტასია ფილიპოვნას. ქალის დიდებული მორთულობა თვალში შეეჩხირებოდა ყველას და ვაგონში მყოფთა ყურადღებას მიიპყრობდა. მხოლოდ მერე ჩახვდა ყმაწვილი ქალი, რად გამოართვეს მისი ძველი, თითქმის კაპიკის საღირალი ძონძი და ამდენი ფული რად მისცეს.

გასაოცარი სისწრაფით მიაღწია ამ ამბავმა საყდარს. თავადისკენ მიმავალ კელერს აუარება სრულიად უცხო ხალხი ეხვეოდა და ამბავს ჰკითხავდა. იდგა ერთი ყაყანი და გნიასი, აკანტურებდნენ თავებს, ისმოდა ხითხითი და ხორხოცი; საყდრიდან არავინ იცვლიდა ფეხს, ელოდნენ, ნეფე რას იზამს ამ ამბის შეტყობაზეო. თავადს ფერი ეცვალა, მაგრამ წყნარად კი შეხვდა ამ ცნობას, ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა „მეშინოდა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე

მოხდებოდაო“... მერე ცოტა იყუჩა და ესეც დასძინა „თუმცა... რა გასაკვირია... ისეთ მდგომარეობაში იყოო...“ თვით კელერმაც კი „უმაგალითო ფილოსოფიად“ მონათლა შემდეგ ასეთი შეფასება. თავადი საყდრიდან თითქოს მშვიდად, მხნედ გამოვიდა; ყოველ შემთხვევაში, ბევრმა შენიშნა და შემდეგში ასე ყვებოდნენ ამ ამბავს. ეტყობა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სახლამდე მიაღწევდა და მარტო დარჩებოდა. მაგრამ ვინ დააცალა. ოთახში ფეხდაფეხ შემოჰყვა რამდენიმე მოწვეულთაგანი, სხვათა შორის პტიცინი, გავრილა არდალიონოვიჩი და მათთან ერთად ექიმი, წასვლა არც იმას უფიქრია. გარდა ამისა, მთელი სახლისთვის ალყა შემოერტყათ სეირის მაყურებელთ. ტერასაზევე მოჰკრა ყური თავადმა, როგორ ეკამათებოდნენ კელერი და ლებედევი ვიღაც უცხო, შესახედავად მოხელე კაცებს, რომელნიც ჯიქურ ეტანებოდნენ ტერასას. თავადი მოდავეებს მიუახლოვდა, იკითხა, რაშიაო საქმე, მერე თავაზიანად ჩამოიცილა გზიდან ლებედევი და კელერი, ზრდილობიანად მიუტრიალდა ერთ უკვე ჭაღარით მოსილ, ჩაფსკვნილ ვაჟბატონს, რომელიც მოთავედ ედგა კიბის საფეხურზე მდგომ რამდენიმე სხვა შემოსვლის მსურველს და სთხოვა, პატივი დამდეთ და მეწვიეთო. ერთი პირობა ვაჟბატონმა დაირცხვინა, მაგრამ მაინც გაჰყვა; მას მეორე, მესამე აეკიდა. მთელი ბრბოდან ასე შვიდი-რვა კაცი გამოიძებნა სტუმრობის მოწადინე და შემოვიდნენ კიდეც თავხედური იერით. მოხალისე მეტი აღარ გამოჩენილა. მალე თვით ბრბოშიც დაუწყეს გაკიცხვა ამ მეტიჩრებს. შემოსულებს სკამები მოართვეს, საუბარი გაუბეს, ჩაიც გამოუტანეს, ერთი სიტყვით, მეტად რიგიანად და წესიერად დაუხვდნენ, ასე რომ შემოსულები ცოტა არ იყოს განცვიფრდნენ. რა თქმა უნდა, რამდენიმე ცდა იყო საუბრის გამოცოცხლების და „სათანადო“ თემაზე გადატანის, რამდენიმე მოურიდებელი კითხვაც დაისვა, რამდენიმე „მზაკვრული“ შენიშვნაც იქნა მიცემული. ოღონდაც ისე უბრალო, ისე გულღია, და ამავე დროს, ისეთი ღირსებით იყო სავსე თავადის პასუხები, რომ მოურიდებელი კითხვები თავისთავად მიწყდა. საუბარმა თანდათან თითქმის დარბაისლური ხასიათი მიიღო. ერთმა ვაჟბატონმა, რაღაც სიტყვის პასუხად, ერთბაშად საოცრად აღშფოთებულმა დაიფიცა, რომ არამც და არამც არ გაყიდის მამულს, რაც არ უნდა მოხდეს; რომ პირიქით, დაიცდის და დაელოდება, რომ „სჯობს რაიმე საქმე გეჭიროს ხელში, ვიდრე ფულიო“, – „აი, მოწყალეო ბატონო, რა შეადგენს ჩემს ეკონომიურ სისტემას, თუ გსურთ იცოდეთო“. რაკი თავადის მისამართით ამბობდა, მანაც გულმხურვალედ მოუწონა ეს აზრი, თუმცა კი ლებედევი ყურში უჩურჩულებდა, ამ ვაჟბატონს არაფერი აბადია და საკუთარი მამული არც დასიზმრებიაო. გავიდა ერთი საათი, ჩაი შეისვა და სტუმრებსაც, ბოლოს, შერცხვათ მეტ ხანს დარჩენის. ექიმი და ჭაღარა ვაჟბატონი გულმხურვალედ გამოეთხოვნენ თავადს; სხვებიც ასევე გულმხურვალედ და ერთის ყოფით დაემშვიდობნენ. უსურვეს ყოველი სიკეთე. დაახლოებით ისიც გამოთქვეს, „სადარდებელი აქ არაფერია, ვინ იცის, უკეთესიც არის, ასე რომ მოხდაო“ და სხვ. მართალია, ზოგ-ზოგებმა ერთი პირობა შამპანურის მოთხოვნაც სცადეს მაგრამ ხნიერმა სტუმრებმა შეაჩერეს უმცროსები. ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, კელერი დაიხარა და ლებედევს ყურში უთხრა „მე და შენ ერთ უბედურებას ავტეხდით, მუშტებს დავატრიალებდით, თავს მოვიჭრიდით და ალბათ პოლიციაშიც წაგვაბრძანებდნენ; ამან კი, შეხე, მეგობრები გაიჩინა, მერე და როგორი; მაგ ხალხს მე ვიცნობო!“ ლებედევმა, უკვე საკმაოდ „გამობრუჟულმა“, ამოიოხრა და თქვა „დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთაგან და გამოუცხადე ეს ჩვილთა, – ამას ადრევეც ვამბობდი მაგაზე, ახლა კი დავუმატებ, რომ თვით ჩვილი იხსნა უფალმა და მისმა მოციქულებმა პირისაგან უფსკრულისა!“

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა მარტო დარჩა თავადი. თავი სტკიოდა. ყველაზე ბოლოს კოლია წავიდა, რადგან საქორწინო ტანსაცმლის გამოცვლაში მიეშველა და საშინაო

გადააცმევინა. ისინი გულმხურვალედ დასცილდნენ ერთმანეთს. კოლიას კრინტი არ დაუძრავს მომხდარ ამბავზე, ოღონდ შეჰპირდა, ხვალ ადრიანად მოვალო. მანვე დაამოწმა მერე, რომ თავადს არაფერი უცნობებია მისთვის ამ უკანასკნელ გამოთხოვებისას, მაშასადამე, მასაც არ გაუმხილა თავისი ზრახვანი. მალე თითქმის მთელი სახლი დაიცალა ბურდოვსკი იპოლიტთან წავიდა. კელერმა და ლებედევმა სადღაც გასწიეს. მარტო ვერა ლებედევა დაფუსფუსებდა ერთ ხანს ოთახებში, რა არის საზეიმოდ მორთული ბინისთვის ჩვეულებრივი იერი მიეცა. წასვლისას თავადთან შეიხედა. იგი მაგიდას მისჯდომოდა, ნიდაყვები დაეყრდნო და ხელები თავზე შემოეჭდო. ქალი ნელა მიუახლოვდა და მხარზე შეახო ხელი. თავადმა განცვიფრებით ახედა, თითქოს იგონებს და ვერ მოიგონაო. მერე რომ მოიგონა და მოისაზრა ყოველივე, საოცარი ღელვა დაეტყო. თუმცა ეს ღელვა მხოლოდ საოცარი, მხურვალე თხოვნით გამოხატა, ხვალ დილას, შვიდ საათზე, პირველი მატარებლის გასვლის დროს კარზე მომიკაკუნეთო. ვერა შეჰპირდა. ისიც შესთხოვა თავადმა მხურვალედ, ამ ამბავს ნურავის ეტყვითო. ქალმა ესეც აღუთქვა. ბოლოს, როცა მესამედ გამოხსნა კარი, თავადმა მესამედ შეაჩერა, ხელები ჩამოართვა, დაუკოცნა, მერე შუბლზე აკოცა და რაღაც „უცნაური“ სახით ჩაილაპარაკა... „ხვალამდეო!“ ყოველ შემთხვევაში, ასე ჰყვებოდა მერე ვერა. ქალი წამოვიდა, მაგრამ შიში კი გამოჰყვა. დილით, პირობის თანახმად, დაუკაკუნა და აუწყა. პეტერბურგის მატარებელი თხუთმეტ წუთში გავაო. მისი სიტყვით, თავადი მხნედ გამოიყურებოდა როცა კარი გაუხსნა, თურმე გაუღიმა კიდეც. ღამე თითქმის არ გაუხდია ტანთ, მაგრამ ეძინა კი. უთხრა, შეიძლება დღესვე ჩამოვბრუნდეო. როგორც ჩანს, მარტო ვერასთვის სცნო შესაძლებლად და საჭიროდ ეთქვა იმ წუთს, ქალაქში მივდივარო.

XI

ერთი საათის შემდეგ თავადი უკვე პეტერბურგში იყო, ათი რომ დაიწყო, როგოჟინის კარზე რეკავდა ზარს. სადარბაზოდან შევიდა და ამიტომ კარგა ხანს არავინ გამოხედა. ბოლოს როგოჟინის მოხუცი დედის სამყოფში გაიხსნა კარი და ბებრუცუნა, მონაზონივით მორთულმა მოახლემ გამოიჭყიტა.

– პარფენ სემიონოვიჩი შინ არ გახლავთ, – უთხრა კარებში, – ვინ გნებავთ?

– პარფენ სემიონოვიჩი.

– შინ არ ბრძანდება, ბატონო.

მოახლე დიდი ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდა თავადს.

– იმას მაინც ვერ მეტყვით, შინ თუ ეძინა? ან... მარტო დაბრუნდა თუ არა გუშინ?

მოახლე სდუმდა და თვალს არ აშორებდა.

– წუხელ ნასტასია ფილიპოვნა ხომ არ მოჰყოლია?

– თქვენს სახელს ვერ მიბრძანებთ?

– თავადი ლევ ნიკოლაევიჩ მიშკინი გახლავართ. კარგად ვცნობთ ერთმანეთს.

– არ არის შინ.

მოახლემ თვალები დახარა.

– ნასტასია ფილიპოვნა?

– მაგაზე ვერაფერს გეტყვით.

– მოიცათ, მოიცათ, როდის მობრუნდება?

– ვერც მაგას გეტყვით.

კარი მიიხურა.

თავადმა გადაწყვიტა, ერთ საათში ისევ შემოევლო. ეზოში შეიხედა და მეეზოვეს მოჰკრა თვალი.

– პარფენ სემიონოვიჩი შინაა?

– შინ გახლავთ.

– მაშ ეს წუთია რაღად მითხრეს, შინ არააო?

– იმათსა გითხრეს?

– არა, დედამისის მოახლემ მითხრა, პარფენ სემიონოვიჩისაგან კი არვინ გამომხედა ზარზე.

– გასული იქნება, – გადაწყვიტა მეეზოვემ, – განა დაიბარებს ხოლმე. ხანდისხან გასაღებიც თან მიაქვს, სამ-ოთხ დღეობით გამოკეტილი რჩება ბინა.

– ნამდვილად იცი, რომ გუშინ შინ იყო?

– ვიცი. როცა სადარბაზოდან შედის ხოლმე ზოგჯერ, მაშინ ვერ ვნახულობ.

– ნასტასია ფილიპოვნა ხომ არ მოჰყოლია გუშინ?

– ეგ აღარ ვიცი. არც ისე ხშირად გვწყალობს; რომ მოსულიყო, გვეცოდინებოდა.

თავადი ერთ ხანს ჩაფიქრებული სცემდა ბოლთას ტროტუარზე. როგოჟინის ბინის ფანჯრები დაკეტილი იყო. დედის სამყოფში კი ყველა დაეღოთ; მზიანი, ცხელი დღე იდგა. თავადი მოპირდაპირე ტროტუარზე გადავიდა და ახლა იქიდან გახედა ფანჯრებს დაეხურათ კი არა და თეთრი ფარდებიც ჩამოეშვათ. ასე იდგა ერთ წუთს. უცბად ისე მოეჩვენა, თითქოს ერთი ფარდის ყური აიწია და იქიდან როგოჟინმა გამოიხედა, გამოიხედა და უმალ მიიმალა. ცოტა ხანს კიდევ შეიცადა თავადმა და მერე გადაწყვიტა, ხელმეორედ დავრეკავო. მაგრამ გადაიფიქრა და ერთი საათით გადადო „ვინ იცის, მომეჩვენა და სხვა არაფერიო...“

ახლა იზმაილოვის პოლკში ეჩქარებოდა წასვლა, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ბინა ეკავა ნასტასია ფილიპოვნას. იცოდა, როცა მისი თხოვნით ამ სამი კვირის წინ პავლოვსკიდან გადმოვიდა იგი, იზმაილოვის პოლკში დაიჭირა ერთ თავის კარგ ნაცნობთან ბინა, რომელიც ოჯახის პატრონი, დარბაისელი ქალი იყო, მასწავლებლის ქვრივი ამით არჩენდა ოჯახს. ადვილი შესაძლებელია, რომ პავლოვსკში დაბრუნებულმა ნასტასია ფილიპოვნამ ბინა მაინც თავის სახელზე დაიტოვა; ყოველ შემთხვევაში, ღამეს ალბათ იქ გაათევდა, და როგოჟინი, რა თქმა უნდა, გუშინ იქ მიიყვანდა. თავადმა ეტლი დაიჭირა. გზაში მოაფიქრდა, რომ ძებნა აქედანვე უნდა დაეწყო, დაუჯერებელია, წუხელ პირდაპირ როგოჟინთან წასულიყო. თუ რომ წინათაც იშვიათად სწყალობდა, ახლა ვითომ რად გაჩერდებოდა როგოჟინთან ასე იმშვიდებდა თავს თავადი და ცოცხალმკვდარმა მიაღწია იზმაილოვის პოლკს. მაგრამ რა თავზარი დაეცა, როცა მასწავლებლის ქვრივთან უთხრეს, ნასტასია ფილიპოვნა არც გუშინ და არც დღეს თვალით არ გვინახავსო. ეს კი არა და, მისი მოსვლა ყველას სასწაულად დაურჩა. მასწავლებლის ქვრივის მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი - გოგონები, ყველა ერთმანეთის მომდევნო თხუთმეტი წლიდან შვიდ წლამდე - დედას ფეხდაფეხ გამოჰყვნენ, ირგვლივ შემოეხვივნენ და პირდაღებული შეაჩერდნენ. გამოვიდა მათი ჭნაკა, ჩაყვითლებული დეიდა, შავი მოსახვევით თავზე, და ბოლოს ოჯახის ბებიაც, სათვალეებიანი მოხუცი ქალი. მასწავლებლის ქვრივი დიდად შეეხვეწა თავადს, შემოსულიყო და დამჯდარიყო. თავადი ასეც მოიქცა. უმალ მიხვდა, რომ მშვენივრად იციან, ვინც არის, იციან, გუშინ რომ მისი ქორწილი უნდა ყოფილიყო, და ახლა ცნობისმოყვარეობა ჰკლავთ ქორწილის ამბები გამოჰკითხონ, ისიც, თუ რად კითხულობს იმ ქალის ამბავს, რომელიც მის გვერდით უნდა ყოფილიყო ახლა პავლოვსკში, მაგრამ ერიდებათ

ამის კითხვა. ჰოდა, მოკლედ მოუყვა, რაც ჯვრისწერაზე მოხდა. ყველა გაოცდა, შეიქნა ერთი ვაი-ვუის შემახილები, ასე რომ, თითქმის დანარჩენიც უამბო, რა თქმა უნდა, მხოლოდ მთავარი, ბოლოს ბრძენთა ბრძენ და აღელვებულ მანდილოსანთა კრებამ გადაწყვიტა, უთუოდ და უპირველესად როგოჟინი უნდა ნახოთ და მისგან შეიტყობთ, რაც მოხდაო. თუკი ის შინ არ იქნება (რაც დანამდვილებით უნდა შეიტყოს), ან თუ არაფერს ეტყვის, მაშინ სჯობს, სემიონოვის პოლკში წავიდეს, სადაც ნასტასია ფილიპოვნას ნაცნობი გერმანელი ქალი ცხოვრობს დედასთან ერთად; ვინ იცის, აღელვებულმა ნასტასია ფილიპოვნამ იქ გაათია ღამე, რაკი დამალვა უნდოდა. თავადი ცოცხალმკვდარივით წამოდგა ზეზე; მერე ჰყვებოდნენ ქალები, – საშინლად გადაფითრდაო. მართლაც, ფეხები ლამის ეკეცებოდა. ბოლოს ამ საშინელ ყაყანში ძლივს გაარჩია, რომ მისი ბინის მისამართს ეკითხებოდნენ ქალაქში. მისამართი არ აღმოაჩნდა; მაშინ ურჩიეს, სადმე სასტუმროში დაეჭირა ოთახი. თავადი ჩაფიქრდა და ძველი სასტუმროს მისამართი დატოვა, სადაც ამ ხუთიოდე კვირის წინ ზნემ მოუარა. შემდეგ ისევ როგოჟინისკენ გასწია. ამჯერად არა მარტო როგოჟინის კარი არ გაუხსნეს, მისი მოხუცი დედის ბინიდანაც არავინ გამოხედა. თავადმა მეეზოვეს ჩააკითხა და ძლივძლივობით აღმოაჩინა ეზოში; მეეზოვეს რაღაც საქმე ჰქონდა, პასუხის მიცემა კი არა, თითქმის შეხედვაც არ უნდოდა. მაგრამ ის კი დაუდასტურა, პარფენ სემიონოვიჩი „დილაადრიან გავიდა სახლიდან, პავლოვსკში გაემგზავრა და დღეს შინ არ დაბრუნდებაო“.

– დავუცდი, იქნებ საღამოს მობრუნდეს.

– იქნებ ერთი კვირაც არ მობრუნდეს, მისას ვინ რას გაიგებს.

– მაშ, ღამე აქ გაათია მაინც?

– გათევით კი გაათია...

ეს ყოველივე საეჭვო იყო და კარგი სუნი არ უდიოდა. ამ დროიდან შუალედში ძალიანაც შეიძლება ახალი ინსტრუქციები მიეღო მეეზოვეს წეღან რამდენი ილაყბა, ახლა კი ლაპარაკიც აღარ უნდოდა. თავადმა გადაწყვიტა, ორიოდე საათის შემდეგ შემოევლო ისევ და, თუ საჭირო იქნებოდა, სახლთანაც დადარაჯებოდა. ახლა ერთი იმედიღა ჰქონდა, ეგებ გერმანელ ქალთან აღმოეჩინა და სემიონოვის პოლკისკენ გააჭენა ეტლი.

გერმანელ ქალთან ვერც მიუხვდნენ, რას ამბობდა. თითო-ოროლა გამორეული სიტყვით იმასაც მიხვდა, რომ ლამაზ გერმანელ ქალს ორიოდე კვირის წინ რაღაც კინკლაობა მოსვლია ნასტასია ფილიპოვნასთან. ასე რომ, ეს დღეები მის შესახებ არაფერი შეუტყვია და, როგორც თავგამოდებით ცდილობდა ეგრძნობინებინა, არც სურდა შეეტყო, „გინდაც, რაც ქვეყანაზე თავადებია, ყველას გაჰყოლიაო“. თავადი სასწრაფოდ გასცილდა იქაურობას. ისიც იფიქრა, შეიძლება მაშინდელივით მოსკოვს წავიდა ნასტასია ფილიპოვნა და როგოჟინიც, რასაკვირველია, თან გაჰყვა. „ნეტავ რამე კვალისთვის მაინც მიმაგნებინა!“ მაგრამ გაახსენდა, სასტუმროში რომ ბინა ჰქონდა დასაჭერი და საჩქაროდ ლიტეინაიაზე გასწია. იქ მაშინვე მისცეს ნომერი. მსახურმა ჰკითხა, საუზმეს ხომ არ ინებებთო. თავადმა უგულისყუროდ უთხრა თანხმობა და, როცა გამოერკვა, საოცრად გული მოუვიდა საკუთარ თავზე, საუზმეზე ნახევარი საათი რამ დამაკარგვინაო. მხოლოდ მერე იაზრა, რომ შეეძლო არ ესაუზმა. რაღაც უცნაურმა გრძნობამ აიტანა იმ ჩაბნელებულ, ჩახუთულ დერეფანში, რაღაც ფიქრს აძალებდა ეს გრძნობა გამწარებით. მაგრამ რა ფიქრი იყო, ვერ გაარკვია. სასტუმროდან ჭკუაარეული გამოვიდა; რეტი ესხმოდა. საით წავიდეს ახლა თავადი კვლავ როგოჟინისკენ გაქანდა.

როგოჟინი ჯერ არ მობრუნებულიყო; კარი არავინ გაუღო; მერე მოხუც როგოჟინის ქალთან დარეკა. იქიდან გამოხედეს და ამცნეს, პარფენ სემიონოვიჩი არ გახლავთ და ეგებ სამი დღე არც

დაბრუნდესო. იმანაც შეაკრთო თავადი, რომ კვლავ ისეთივე დიდი ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ. ვერც მეეზოვე აღმოაჩინა ამჯერად. წეღანდელივით მეორე ტროტუარზე გადავიდა და იმ თაკარა სიცხეში ნახევარი საათი მაინც იბორიალა წინ და უკან. ახლა უკვე აღარ შეტოკებულა ფარდა; ფანჯარა არავის გაუღია, თეთრი ფარდები უმოძრაოდ ეკიდა. ალბათ წეღანაც მომეჩვენაო, საბოლოოდ გადაწყვიტა თავადმა. იმ ჭუჭყიან ფანჯრებში ძნელად გაარჩევდა კაცი რასმე, თუნდაც რომ ვისმე გამოეჭყიტა. ამ ფიქრით დაიმედებული თავადი იზმაილოვის პოლკში გაეშურა მასწავლებლის ქვრივთან.

იქ უკვე ელოდნენ. მასწავლებლის ქვრივი სამ-ოთხ ადგილზე ყოფილიყო, როგოჟინთანაც შეევლო; ვერც ავი გაეგო, ვერც კარგი. თავადმა უხმოდ მოისმინა ეს ყველაფერი, ოთახში შევიდა, დივანზე დაჯდა და ისეთი თვალით შეაცქერდა ყველას, თითქოს არ ესმის, რას ელაპარაკებიანო. საოცარია ხან თითქოს მის თვალს არაფერი ეპარებოდა, ხან კი ერთბაშად ყოვლად უგულისყურო ხდებოდა. მთელმა ოჯახმა განაცხადა მერე, იმ დღეს საკვირველად უცნაურად იქცეოდა, ასე რომ „თითქოს მაშინაც იგრძნობოდა ყველაფერიო“. ბოლოს წამოდგა და ითხოვა, ნასტასია ფილიპოვნას ბინა მაჩვენეთო. ის ორი, დიდი, ნათელი, მაღალჭერიანი ოთახი გამოდგა, ფრიად რიგიანი ავეჯით მორთული და ფასიც კარგი უნდა ჰქონოდა. ეს მანდილოსნები ყვებოდნენ მერე, თავადმა ყოველი ნივთი გასინჯა ოთახებში, პატარა მაგიდაზე გადაშლილი წიგნი დაინახა საკითხავ ბიბლიოთეკიდან, ფრანგული რომანი „Madame Bovary“[137], გადაშლილ გვერდზე გადაეკეცა. შეეხვეწა, ეს წიგნი გამატანეთო და, თუმცა უთხრეს, ბიბლიოთეკის არის და ვერ გაგატანთო, მაინც ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ღია ფანჯარასთან დაჯდა. ცარცით აჭრელებული ბანქოს მაგიდა რომ დაინახა, იკითხა ვინ თამაშობდაო ქალებმა უამბეს, რომ ნასტასია ფილიპოვნა და როგოჟინი მუდამღამ დურაკობიას, პრეფერანსს, მელნიკობიას, ვისტს, თულფობიას თამაშობდნენო. კარტის თამაში მარტო ამ ბოლო ხანს დაიწყეს, რაც პავლოვსკიდან პეტერბურგში გადმოვიდაო. ნასტასია ფილიპოვნა სულ ჩიოდა, მომწყინდა, როგოჟინი მთელი საღამოები მუნჯივით ზის, ვერაფერზე დაელაპარაკებიო, და ხშირადაც ტიროდა თურმე. უცბად მეორე საღამოს როგოჟინმა ჯიბიდან კარტი ამოიღო. მაშინ კი გაეცინა ნასტასია ფილიპოვნას და თამაში გამართესო. რომ თამაშობდნენ, ის კარტი სადააო - იკითხა თავადმა. კარტი არ აღმოჩნდა. როგოჟინს თურმე ახალ-ახალი კარტი მოჰქონდა ყოველდღე და უკანვე მიჰქონდა.

ქალებმა ურჩიეს თავადს, როგოჟინს კიდევ მიაკითხეთ და მაგრად დაუკაკუნეთ, ოღონდ საღამოთი, ახლა არაო „ვინ იცის, შინ დაგიხვდეთო“. მასწავლებლის ქვრივი ამასობაში პავლოვსკში წავიდოდა დარია ალექსეევნასთან, იქ ხომ არაფერი იციანო საღამოსვე დაბრუნდებოდა უკან. ასე რომ, კარგი იქნებოდა, საღამოს ათი საათისთვის შემოევლო ხვალინდელ დღეზე შესათანხმებლად მაინც. თავადს საბოლოოდ წარეკვეთა სასო, მიუხედავად ქალების ნუგეშისა და იმედისა. გამოუთქმელი ნაღველით ატანილი ფეხით დაადგა სასტუმროს გზას. ზაფხული იდგა და მტვრიანი, ჩახუთული პეტერბურგი სულს უხუთავდა. მიაბიჯებდა დაღვრემილ, გამომთვრალ ხალხში, უმიზნოდ აკვირდებოდა სახეებს, იქნებ იმაზე მეტი გზაც გაიარა, ვინემ საჭირო იყო. თითქმის შეღამებულზე დაბრუნდა ნომერში. გადაწყვიტა, ცოტას დავისვენებ და ისევ როგოჟინთან წავალ, როგორც მირჩიესო. ჩამოჯდა დივანზე, იდაყვები მაგიდაზე ჩამოალაგა და ფიქრებს მიეცა.

ღმერთმა იცის, რამდენ ხანს იყო ასე და ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა. ბევრი რამ აფრთხობდა, საშინლად აფრთხობდა და ეს გრძნობა საწამებლად გადაქცეოდა. მოაგონდა ვერა ლებედევა; მერე მოაფიქრდა, რომ ლებედევმა იქნებ უფრო იცის ამ საქმისა, ხოლო თუ არ იცის, ჩემზე იოლად და მალე გაარკვევსო. შემდეგ იპოლიტი გაახსენდა, ის ამბავიც, რომ როგოჟინი

იპოლიტისას იყო. მერე თვით როგოჟინიც დაუდგა თვალწინ ამას წინათ წესის აგებაზე რომ მოჰკრა თვალი, მერე პარკში, მერე უეცრივ ის სურათი, აი აქ ტალანში რომ უდარაჯებდა დანით ხელში. მისი თვალები ედგა უფრო თვალწინ, სიბნელიდან რომ გამოჰყურებდნენ მაშინ. თავადს გააჟრჟოლა, წეღანდელი ფიქრი ახლა ერთბაშად გაუნათდა თავში.

თუკი როგოჟინი პეტერბურგშია, აეკვიატა ეს ფიქრი, კიდეც რომ დროებით დაიმალოს და არ გამოჩნდეს, ბოლოს მაინც მომაკითხავს, კარგი თუ ავი განზრახვით, ვინ იცის, იმ განზრახვითაც, როგორც მაშინ. ყოველ შემთხვევაში, თუ როგოჟინს რატომღაც დასჭირდა შენი ნახვა, სხვაგან სად მოგებნის თუ არა აქ, ისევ ამ ტალანში. მისამართი არ იცის, მაშასადამე, შეიძლება იფიქროს, რომ ძველებურად ამ სასტუმროში გაჩერდი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მოგაკითხავს... თუ ძალიან დასჭირდაო. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ძალიან არ დასჭირდება ამას ფიქრობდა თავადი და რატომღაც ჭკუაში უჯდებოდა ეს ფიქრი. ოღონდაც რაც უნდა ბევრი ეფიქრა, იმაზე მაინც ვერ გასცემდა პასუხს „ვითომ რატომ დასჭირდება მისი ნახვა ასე უეცრად როგოჟინს და რატომ არ შეიძლება მათი გზები საბოლოოდ არ შეიყაროს“ მაგრამ ფიქრი კი ლოდივით აწვა „თუ ულხინს, არ მოვა, – კვლავ მისდევდა ფიქრს თავადი, - თუ გაუჭირდა, მაშინ უფრო მომაკითხავს; ახლა კი ნამდვილად უჭირს...“ მაშ რაკი ასე სწამდა, აქვე უნდა დალოდებოდა, ამ თავის ნომერში. მაგრამ ველარ გაუძლო ამ ფიქრს, წამოხტა, ქუდს დაავლო ხელი და ტალანში გამოიჭრა. ტალანში თითქმის უკვე ბნელოდა. „იქნებ ამ კუთხიდან გამოვიდეს ახლა და კიბეზე გამაჩეროს“ – თავში გაუკრთა, იმ ადგილს რომ გაუარა. მაგრამ იქიდან არავინ გამოსულა. შემდეგ გაიარა გადახურული ჭიშკარი და ტროტუარზე გავიდა. გაუკვირდა, რამდენი ხალხი ირევაო ქუჩაში; მზის ჩასვლისას ყველა გარეთ გამოფენილიყო (პეტერბურგში ხომ ასე იციან არდადეგების ხანს). გოროხოვაიასკენ აიღო გეზი თავადმა. სასტუმროდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე პირველსავე ჯვარედინ ქუჩაზე ვიღაცამ უეცრად იდაყვზე წაავლო ხელი და ხმადაბლა ჩაულაპარაკა ყურში

– ლევ ნიკოლაევიჩ, ძმაო, უკან გამომყე, საქმე მაქვს.

როგოჟინი იყო.

გახარებულმა თავადმა ლუღლუღით დაიწყო ლაპარაკი. სიტყვებს არ ამთავრებდა, უთხრა, ეს წუთია სასტუმროს დერეფანში მეგონა გნახავდიო.

– ვიყავი კიდეც იქ, – მოულოდნელად მიაგება როგოჟინმა, – გამომყე.

თავადს გაუკვირდა პასუხი, მაგრამ ეს გაკვირვება, ყოველ შემთხვევაში, ორიოდე წუთის შემდეგ იგრძნო, როცა მოისაზრა, რა უთხრეს. მაგრამ რომ მოისაზრა, დაფრთხა და როგოჟინს თვალი დააშტერა. როგოჟინს თითქმის ნახევარ ნაბიჯზე გაუსწრო, წინ იცქირებოდა, გამვლელებს ზედაც არ უყურებდა და ანგარიშმიუცემლად უთმობდა ყველას გზას...

– მაშ, ნომერში რად არ მომაკითხე, თუ სასტუმროში იყავი? – ჰკითხა უეცრივ თავადმა.

როგოჟინი შედგა, სახეში ჩახედა, წუთით დაფიქრდა, თითქოს ვერ გაიგო, რა ჰკითხესო, და ესა თქვა:

– იცი რა, ლევ ნიკოლაევიჩ, მოდი, შენ პირდაპირ გაჰყევი გზას სახლამდე, ხომ მე კი იმ მხარეზე გადავალ. თვალი გეჭიროს, ერთად არ გვნახონ...

როგოჟინი მართლაც გადავიდა მეორე მხარეზე, გამოხედა, თავადი მოდის თუ არაო. რომ დაინახა, ის ერთ ადგილზე დგას და თვალდაჭყეტილი იცქირება, გოროხოვაიასკენ აუქნია ხელი და გზას მიჰყვა. თან მალიმალ იხედებოდა უკან და ანიშნებდა, გამომყეო. რომ ნახა, თავადი მიუხვდა და აქეთ ტროტუარზე არ გადმოვიდა, კმაყოფილი დარჩა. ალბათ ვიღაცას დაეძებს, მეორე მხარესაც იმიტომ გადავიდა, არ გამომეპაროსო, ოღონდ რად არ მითხრა, ვის ეძებს - ფიქრობდა თავადი. ასე გაიარეს ხუთასი ნაბიჯი. ერთბაშად თავადს რატომღაც ფეხები

აუკანკალდა; როგოჟინი ახლა იშვიათად, მაგრამ მაინც იხედებოდა მისკენ. თავადმა ველარ მოითმინა და ხელი დაუქნია, მოდიო. იმანაც უმალ გადმოჭრა ქუჩა.

– ნასტასია ფილიპოვნა შენთანაა?

– ჩემთანაა.

– მე...

– მაშ რატომ არ...

თავადს ენა დაება და ველარ დაამთავრა. გული ისე უძგერდა, ხმის ამოღება უჭირდა. როგოჟინი უჩუმრად იდგა მის წინ და წეღანდელივით დაფიქრებული მისჩერებოდა.

– აბა, წავედი, – მოემზადა ისევ გადასასვლელად, – შენ შენთვის იარე... ქუჩაში სჯობს, ცალ-ცალკე ვიყოთ... სხვადასხვა მხარეს... მერე მიხვდები...

ბოლოს ორი სხვადასხვა ტროტუარიდან გოროხოვაიაზე შეუხვიეს და როგოჟინის სახლს მიუახლოვდნენ. თავადს კვლავ უმტყუნა მუხლებმა და ნაბიჯებს ძლივსღა ადგამდა. საღამოს ათი საათი იქნებოდა, როგოჟინის მოხუცი დედის ფანჯრები წეღანდელივით დაღებული იყო, როგოჟინისა კი ჩახურული. ბინდ-ბუნდში თითქოს უფრო გარკვევით მოჩანდა ჩამოშვებული თეთრი ფარდები. თავადი მეორე ტროტუარიდან მიუახლოვდა სახლს. როგოჟინს უკვე პარმაღზე აებიჯებინა და ხელს უქნევდა. თავადმა გადმოჭრა ქუჩა და პარმაღზე ავიდა.

– მეეზოვემაც არ იცის, თუ შინ დავბრუნდი. წეღან დავუბარე, პავლოვსკში ვიქნები-მეთქი. დედაჩემთანაც ასე ვთქვი, – წაიჩურჩულა ეშმაკური და თითქმის კმაყოფილი ღიმილით, – შევალთ და კაციშვილი ვერას გაიგებს.

ხელში უკვე გასაღები ეკავა. კიბეზე ასვლისას მოტრიალდა და თითით დაემუქრა თავადს, ფეხაკრეფით იარეო. მერე უხმაუროდ გააღო თავისი ბინის კარი, თავადი შეუშვა, ფეხაკრეფით შეჰყვა, კარი ისევ ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

– წამომყე, – წასჩურჩულა.

ჩურჩული როგოჟინმა ჯერ ლიტეინაიას ქუჩაზე დაიწყო. გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ რაღაც ღრმა შინაგანი ფორიაქი ეტყობოდა. კაბინეტის წინ მდებარე დარბაზში შესვლისას როგოჟინი ფანჯარას მიადგა და იდუმლად მოიხმო თავადი:

– აი, წეღან რომ დამირეკე, მაშინვე მივხვდი, შენ იქნებოდი ცერებზე მივადექი კარს და გავიგონე, პაფნუტიევნას რომ ელაპარაკებოდი. ჯერ გამთენიისას მყავდა გაფრთხილებული; ვინც არ უნდა ყოფილიყო, გინდ შენ, გინდ სხვა, კარი არამც და არამც არ გაეღო. მეტადრე თუ შენ მიკითხავდი, გვარიც ვუთხარი შენი. მერე რომ გახვედი, ვიფიქრე ვინ იცის, ახლა იქა დგას, მითვალთვალებს ან ქუჩაში მიყარაულებს-მეთქი. ამ ფანჯარასთან მოვედი, ფარდის ყური გადავწიე, ვნახოთ, იქ დგახარ და მომჩერებიხარ... აი, როგორ იყო.

– ნასტასია ფილიპოვნა სადღაა? - გაგუდული ხმით ამოილაპარაკა თავადმა.

– აქ, – ნელა წარმოთქვა როგოჟინმა, თითქოს წამით შეაგვიანა პასუხი.

– აბა სად?

როგოჟინმა ახედა თავადს და თვალი გაუშტერდა

– წამო...

მძიმე და დინჯი იყო როგოჟინის ჩურჩული, წეღანდელივით რაღაც უცნაური დაფიქრება ემჩნეოდა. ფარდის ამბავიც ისე მოჰყვა, თითქოს მონაყოლის მთელი ექსპანსიურობის მიუხედავად, სულ სხვა რაღაცის თქმას აპირებდა. კაბინეტი შეცვლილი ეჩვენა თავადს მწვანე შტოფის აბრეშუმის ფარდა გაებათ მთელი ოთახის გაყოლებაზე, ფარდის ბოლოებში შესასვლელი იყო დატოვებული. ის ფარდა კაბინეტიდან აცალკევებდა როგოჟინის საწოლს.

ახლა მძიმე ფარდა ჩამოშვებული იყო და შესასვლელიც დახურული. ოთახში ძალზე ბნელოდა. პეტერბურგის „თეთრ“ ღამეებს უკვე სიბნელე შეჰპარვოდა. კიდევ კარგი, სავსე მთვარე ანათებდა, თორემ როგოჟინის ჩაჟამებულ, ფარდებჩამოშვებულ ოთახებში კაცი ვერაფერს დაინახავდა. მართალია, სახის გარჩევა კი შეიძლებოდა, მაგრამ არც მაინცდამაინც გარკვევით. ჩვეულებისამებრ, ჩამკრთალი ფერი ედო როგოჟინს. თვალები აპრიალებოდა და ჩაციებით მიშტერებოდა თავადს, მაგრამ რაღაც უმოძრაოდ კი.

– სანთელს არ აანთებ? – ჰკითხა თავადმა.

– არა, არ გინდა, – მოჰკიდა როგოჟინმა თავადს ხელი და სკამზე დასვა. თვითონ პირისპირ ჩამოუჯდა და სკამი ისე მოუჩოჩა, ლამის მუხლები შეახო. მათ შუა, ოდნავ გვერდზე პატარა მრგვალი მაგიდა იდგა. – დაჯე, ცოტახანს ვისხდეთ აქ! – თითქოს შეეხვეწა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. – ეგრეც ვიცოდი, იმავე სასტუმროში გაჩერდებოდი. – ასე სჩვევიათ ხოლმე ხანდახან, როცა დიდი სალაპარაკო უდევთ წინ და გარეშე წვრილმანებით კი დაიწყებენ, რაც საქმეს პირდაპირ სულ არ ეხება. – როგორც კი ტალანში შემოვედი, ვიფიქრე, იქნებ ზის ახლა და მიცდის, როგორც მე ველი, აი ამ წუთს

– ვიყავი, -–ძლივს ამოღერღა თავადმა, ისეთი დაგადუგი გაჰქონდა გულს.

– ეგეც ვიფიქრე, ისიც ვიფიქრე, სალაპარაკო არ გახდეს-მეთქი... მერე გადავწყვიტე აქ მოვიყვან და ღამე დავტოვებ, ამ ღამეს ერთად გავატარებთ-მეთქი.

თავადი ერთბაშად წამოდგა, მთელი ტანი უკანკალებდა.

– ნასტასია ფილიპოვნა სად არის, როგოჟინ? – ჰკითხა ჩურჩულით. როგოჟინიც ადგა.

– იქ, – ჩურჩულითვე უთხრა და თავი ფარდისკენ გადააქნია.

– სძინავს? – გააგრძელა ჩურჩულით თავადმა.

როგოჟინმა წელანდელივით თვალი თვალში გაუყარა.

– კარგი, შევიდეთ, ოღონდაც... თუმცა რაც იყოს, იყოს!

ფარდა ასწია, მერე შეჩერდა და ისევ თავად მოხედა.

– შემო! – თავით ანიშნა, ჯერ შენ გაიარეო. თავადმა გაიარა.

– სიბნელე ყოფილა.

– ნუ გეშინია, დაინახავ! – ჩაიდუდუნა როგოჟინმა.

– საწოლს ძლივს ვხედავ...

– შენც ახლო მიდი, – ხმადაბლა ურჩია როგოჟინმა.

გადადგა ნაბიჯი თავადმა, მერე კიდევ, კიდევ და შედგა. ერთი-ორი წუთი ასე იდგა და აკვირდებოდა. კრინტი არც ერთს დაუძრავს. ისე უცემდა თავადს გული, ეგონა, ოთახის სამარისებურ სიჩუმეში ისმისო. თვალი უკვე მიაჩვია სიბნელეს და საწოლს კარგად ხედავდა. საწოლზე ვიღაცას ეძინა, უმოძრაოდ იწვა. არაფერი შრიალებდა და არც სუნთქვის ხმა ისმოდა. მძინარეს თეთრი ზეწარი ეფარა, თავიც არ უჩანდა, თუმცა გაშოტილი სხეული კი ბუნდოვნად ინაკვთებოდა. მძინარის ფეხებთან, იქვე მდგარ სავარძლებსა და იატაკზე მდიდრული თეთრი აბრეშუმის კაბა, ყვავილები, ბაფთები ეყარა. სასთუმალთან, პატარა მაგიდაზე, დაუდევრად მიგდებულ ბრიალიანტებს გაჰქონდა ბრჭყვიალა. ფერხთით რაღაც მაქმანიანი ნაჭერი იყო მიკუნჭული და ამ ქათქათა მაქმანებზე ზეწრიდან გამოყოფილი შიშველი ფეხის წვერი მოჩანდა, თითქოს მარმარილოდან ნაქანდაკევი და საოცრად უმოძრაო. უყურებდა თავადი და გრძნობდა, რაც მეტს უყურებდა, მეტი სამარისებური სიჩუმე დგებოდა ოთახში. უეცრივ გამოღვიძებულმა ბუზმა ზუზუნით გადაუქროლა საწოლს და სასთუმალთან მიყუჩდა. თავადს შეაძაგძაგა.

– გავიდეთ, – ხელი შეახო როგოჟინმა.

გამოვიდნენ და კვლავ იმავე სკამებზე ჩამოსხდნენ, კვლავ ერთმანეთის პირისპირ. ცახცახმა უფრო მეტად აიტანა თავადი. როგოჟინს თვალს არ აშორებდა.

– გატყობ, ცახცახებ, ლევ ნიკოლაევიჩ, – დაარღვია ბოლოს სიჩუმე როგოჟინმა, – აი, ისე, როგორც უქეიფობისას იცი ხოლმე; გახსოვს, მოსკოვში რომ იყავი ბნედის წინ რომ დაგემართა. აღარ ვიცი, ახლა რა გიყო პირდაპირ...

ღონე დაძაბა თავადმა, რომ გაერკვია, რას ეუბნებოდნენ, თვალებით კი ისევ ეკითხებოდა...

– შენ ქენი? – წაილაპარაკა ბოლოს და ფარდისკენ ანიშნა.

– მე... – წაიჩურჩულა როგოჟინმა და თავი დახარა.

ხუთი წუთი დუმილი იდგა.

– იცი, – გააგრძელა ერთბაშად როგოჟინმა, თითქოს ლაპარაკი არც შეუწყვეტიაო, – აქ ავად რომ შეიქნე, ბნედამ მოგიაროს და იყვირო, ვინძლო ქუჩას ანდა ეზოში გაიგონოს ვინმემ და მიხვდეს, ღამეს ათევენო, დაგვიბრახუნებენ და შემოვლენ... იმათ ჰგონიათ, მე შინ არა ვარ. სანთელიც მიტომ არ ავანთე, ქუჩიდან ან ეზოდან არ დაგვინახონ-მეთქი. ვინაიდან, როცა მივდივარ, გასაღებიც თან მიმაქვს, უჩემოდ კი სამ-ოთხ დღეობით ვერავინ შემოვა, ასე მაქვს დაწესებული. ჰოდა, რომ არ გაგვიგონ, თუ აქ გვძინავს...

– მოიცა, წეღან მე ხომ მეეზოვესა და იმ ბებერ ქალს ვკითხე ნასტასია ფილიპოვნა ღამე აქ არ ყოფილა-მეთქი? მაშასადამე, უკვე იციან.

– ვიცი, რომ ჰკითხე. პაფნუტიევნას ვუთხარი, ნასტასია ფილიპოვნამ გუშინ შემომიარა და გუშინვე პავლოვსკში წავიდა, ათი წუთი იყო მხოლოდ ჩემსა-მეთქი. არც იციან, რომ ღამე აქ დარჩა - კაციშვილმა არ იცის. გუშინ ჩვენც ასევე ფეხაკრეფით შემოვედით, როგორც მე და შენ. გზაშივე ვიფიქრე, ჩუმად შემოსვლას არ ინდომებს- მეთქი, გაგიგონია! ჩურჩულით შემოვიდა. ფეხისწვერებზე, კაბა შემოიკრიფა და ხელში დაიჭირა, არ იშრიალოსო. თითი დამიქნია კიბეზე, სულ შენი შიში ჰქონდა. მატარებელში გიჟივით იყო, სულ ეშინოდა. თვითონ მოინდომა, ღამეს შენთან გავათევო, პირველად მასწავლებლის ქვრივთან მინდოდა მიმეყვანა, – გაგიგონია!.. „იქ დილა უთენია მომწახავს, შენ კი დამმალე და როგორც ინათებს, მოსკოვს წავიდეთო“, მერე ორიოლისკენ მოინდომა სადღაც, დაწვა და მაინც ამას გაიძახოდა, ორიოლშიო...

– მოიცა, ახლა რა უნდა ქნა, პარფენ, რას ფიქრობ?

– აი, შენი მეფიქრება, რომ კანკალებ. ისე კი ღამეს აქ გავათევდით ერთად. სხვა ლოგინი აქ არ მიდგას, მაგრამ ვიფიქრე, ორივე ტახტიდან ბალიშებს გადმოვიტან და აქ, ფარდასთან დავიგებთ-თქო გვერდიგვერდ, ერთად რომ ვიყოთ, იმიტომ რომ თუ შემოვლენ და მოათვალიერებენ, მაშინვე დაინახავენ და გაიტანენ. მერე მე დამკითხავენ, ვეტყვი, მე ვქენი-მეთქი და მაშინვე წამიყვანენ. ამიტომ სჯობს, ისევ აქ იწვეს, ჩვენს გვერდით, მე და შენს გვერდით...

– ჰო, ჰო! – თავს უქნევდა თავადი.

– მაშასადამე, არც გამოვყტდეთ და არც გავატანოთ.

– არამც და არამც! – გადაწყვიტა თავადმა, – არამც და არამც!

– ეგრე გადავწყვიტე, არამც და არამც, ძმაო, და არც ვისმე მივცეთ! ღამე აქ გავათიოთ წყნარად. დღისით მეც მხოლოდ ერთი საათით გავედი შინიდან, ისიც დილას, თორემ სულ მასთან ვიყავი, მერე კი საღამოს შენს მოსაყვანად გამოვედი. იმისიც მეშინია კიდეც, ცხელა და სუნი არ აუვიდეს. გცემს სუნი?

– იქნებ მცემს, არ ვიცი. დილისთვის უთუოდ აუვა.

– მუშამბა დავაფარე, კაი ამერიკული მუშამბა, მუშამბის ზემოთ კი ზეწარი და ოთხი შუშა ჟდანოვის სითხე შემოვუწყვე გახსნილი, ახლაც იქ უდევს.

– როგორც... მოსკოვში, არა?

– იმიტომ, ძმაო, სუნი არ აუვიდეს. ხომ იცი, როგორ წევს... დილას, რომ ინათებს, დახედე. რაო, ადგომაც აღარ შეგიძლია - შიშნეული გაოცებით შეეკითხა როგოჟინი, როცა ნახა, თავადს ისე აკანკალებს, წამოდგომაც არ შეუძლია.

– ფეხები არ მემორჩილება, – წაილუღლუღა თავადმა, – შიშისგან ალბათ... გამივლის შიში და ავდგები...

– მოიცა, აბა ჯერ ლოგინს გავშლი და დაწექი ბარემ... მეც მოგიწვები... და ყური ვუგდოთ... იმიტომ, ძმაო, მეც არ ვიცი... ჯერ ყველაფერი მაინც არ ვიცი, წინასწარვე გეუბნები, ახლავე რომ იცოდე...

ამ გაურკვეველი ბუტბუტით შეუდგა როგოჟინი ლოგინების გაშლას. ვინ იცის, ლოგინების ამბავი დილითვე ჰქონდა მოფიქრებული. წუხელ თვითონ ტახტზე ეძინა. მაგრამ ორი კაცი ტახტზე ვერ დაეტეოდა. ხოლო რაკი გუში ამოეჭრა, უთუოდ გვერდიგვერდ გაეშალა ლოგინები, რის ვაივაგლახით გადმოათრია მთელი ოთახის სიგრძეზე ზედ ფარდის შესასვლელთან სხვადასხვა ზომის ბალიშები ორივე დივნიდან. როგორც იყო, მოაწყო საწოლი. მერე ნაზად, აღტყინებით დასწვდა თავადს, წამოაყენა და ლოგინთან მიიყვანა; თურმე თავადსაც შეძლებოდა სიარული; მაშასადამე, „შიშს გაევლო“. თუმცა კანკალით მაინც კანკალებდა. როგოჟინმა თავადი მარცხნივ დააწვინა, უკეთეს ბალიშებზე, თვითონ მარჯვნივ მოუწვა, ტანგაუხდელად, ხელები თავქვეშ ამოიდო და ისევ დაიწყო:

– იმიტომ, ძმაო, რომ ახლა ცხელა, ხომ იცი, სუნის ამბავი... ფანჯრების გახსნისა მეშინია; დედაჩემს კი აქვს ქოთნის ყვავილები ბლომად, მშვენიერი სუნი ასდით; მინდოდა გამომეტანა, მაგრამ პაფნუტიევნა მიხვდება. დიდი ცნობისმოყვარე ვინმეა.

– ჰო, ცნობისმოყვარეა, – კვერი დაუკრა თავადმა.

– ვითომ თაიგულები ვიყიდო და ყვავილები შემოვულაგო ირგვლივ მაგრამ რომ ცოდოა, ძმაო, ყვავილებში!

– გამიგონე... – ჰკითხა თავადმა, მაგრამ თითქოს ერეოდა სიტყვები, თითქოს იგონებდა, რა უნდა ეკითხა და მაშინვე კი ავიწყდებოდა, – გამიგონე, რითი მაინც იმ დანით?

– იმ დანით.

– მოიცა! კიდევ ის უნდა გკითხო, პარფენ... მე ბევრს გკითხავ კიდევ... მაგრამ ჯერ ის მითხარი მაინც, პირველად, სულ პირველად, რომ ვიცოდე ჩემი ჯვრისწერის დღეს, გვირგვინის დადგმისას, იქვე, კარიბჭეზე უპირებდი თუ არა დანის ჩაცემას კი თუ არა?

– ვერ გეტყვი, ვუპირებდი თუ არა... – ცივად მოუჭრა როგოჟინმა, თითქოს ცოტა არ იყოს, გაუკვირდა შეკითხვა და ვერც ჩახვდა.

– პავლოვსკში დანა თავის დღეში არ წამოგიღია?

– თავის დღეში არა. იმ დანაზე კი აი, რას გეტყვი. იცი, ლევ ნიკოლაევიჩ, – იყუჩა და მერე დასძინა მან, – უჯრაში მქონდა ჩაკეტილი და მხოლოდ ამ დილას ამოვიღე, ვინაიდან დილით მოხდა ეს, ოთხი რომ დაიწყო. წიგნში მქონდა ჩადებული მთელი ეს ხანი... ჰოდა... იცი, რა მიკვირს კიდევ დანა თითქო გოჯნახევარზე, თითქმის ორ გოჯზე შევიდა... მარცხენა ძუძუში... სისხლი კი მარტო ნახევარი სუფრის კოვზი გადმოიღვარა პერანგზე მეტი არა...

– ეგ, ეგ, ეგ, – თავადი საშინლად აღელვებული წამოიწია, – ეგ, ვიცი, წამიკითხავს... მაგას სისხლის ჩაქცევა ჰქვია... ხანდისხან წვეთიც არ გამოვა. ეგ, როცა შიგ გულში მოხვდება...

– დაიცა, არ გესმის? – სწრაფად გააწყვეტინა როგოჟინმა და შეშინებული წამოჯდა, – არ გესმის განა?

– არა! – ისევე სწრაფად, შიშნეულად წარმოთქვა თავადმა და როგოჟინს მიაჩერდა.

– დადის ვიღაც! გეყურება დარბაზში...

ორივემ მიაყურადა.

– მესმის, – დაბეჯითებით წაიჩურჩულა თავადმა.

– დადის ხომ?

– დადის.

– კარი არ ჩავკეტოთ?

– ჩავკეტოთ...

ჩაკეტეს კარი და ისევ დაწვნენ. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.

– აჰ, ჰო! – უცებ აჩურჩულდა ისევ თავადი აღელვებითა და სწრაფად, თითქოს ფიქრის ძაფი კვლავ დაიჭირა და ძალზე ეშინია, არ დაკარგოსო, კიდეც შეხტა თითქოს ლოგინზე, – ჰო... რა მინდოდა... ის კარტები! კარტები... მითხრეს, კარტს ეთამაშებოდაო?

– ვეთამაშებოდი, – მცირე დაყოვნების შემდეგ მიუგო როგოჟინმა.

– მერე კარტი სადა გაქვს?

– აქა... – უფრო შეაგვიანა პასუხი როგოჟინმა, – აგერა...

როგოჟინმა ქაღალდში შეხვეული კარტი ამოიღო ჯიბიდან და თავადს მისცა. თავადმა თითქოს რაღაც შიშით ჩამოართვა. გული რაღაც ახალმა, სევდიანმა და უსიხარულო გრძნობამ გაუწურა, ერთბაშად მიხვდა, რომ იმას არ ლაპარაკობს, რაც სათქმელი აქვს და არც იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოს. რომ ეს კარტები, რომელიც ახლა ხელში უჭირავს და რომელმაც ასე გაახარა, ახლა ვეღარაფერს, ვეღარაფერს უშველის. ზეზე წამოახტუნა ამ ფიქრმა და ხელები გაასავსავა. როგოჟინი გაშეშებული იწვა. მისი ადგომა თითქოს არც გაუგია და არც შეუმჩნევია; მხოლოდ თვალები უპრიალებდა სიბნელეში და უმოძრაოდ გაშტერებოდა. თავადი სკამზე ჩამოჯდა და შიშით მიაჩერდა როგოჟინს. გავიდა ნახევარი საათი; უცბად როგოჟინს თითქოს სულ დაავიწყდა, რომ ჩურჩულით უნდა ელაპარაკა, და ხარხარით წამოიძახა:

– ...არ გახსოვს, იმ ოფიცერს როგორ შემოჰკრა მათრახი, მუსიკაზე, ჰა-ჰა-ჰა! მერე კადეტი... კადეტი... მივარდა...

სულ სხვა შიშმა წამოახტუნა სკამიდან თავადი, როცა როგოჟინი მიჩუმდა (მან უცბად გაწყვიტა ლაპარაკი) თავადი ნელა დაიხარა მისკენ, გვერდით მოუჯდა, გულაძგერებული, აჩქარებით სუნთქავდა და ისე ათვალიერებდა. როგოჟინს არც გამოუხედავს მისკენ, თითქოს აღარც ახსოვდა მისი აქ ყოფნა. თავადი უცქერდა და ელოდა, რას იზამსო; დრო გადიოდა, ინათა კიდეც. როგოჟინი შიგადაშიგ უეცრად წამოიწყებდა ხოლმე ბურტყუნს, ხან წამოიყვირებდა და გადაიხარხარებდა; მაშინ თავადი აკანკალებულ ხელს წყნარად უსვამდა თავზე, თმაზე, ლოყებზე... მეტი აბა რა შეეძლო! კანკალმა ისევ აიტანა, თითქოს ფეხებიც წაერთვა უცებ. რაღაც სულ სხვა გრძნობა უწურავდა უსაზღვრო ნაღველით გულს. ამასობაში კარგა ინათა; ბოლოს ისიც ბალიშზე მიწვა, ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი. როგოჟინის გაცრეცილ, უმოძრაო სახეს მიაკრა ლოყა; ცრემლები ღვარად სდიოდა თვალთაგან და როგოჟინს ლოყებზე ჩამოსდიოდა, მაგრამ ვინძლო აღარც თვითონ გაეგებოდა უკვე ამ თავის ცრემლების და აღარ გრძნობდა, რომ ტიროდა...

ყოველ შემთხვევაში, როცა კარგა ბლომა ხანი გამოხდა, როცა კარი გაიღო და ხალხი შემოვიდა, მკვლელი სრულიად უგონოდ დახვდათ, ხურვებით გათანგული. თავადი უძრავად იჯდა

გვერდით ბალიშებზე და ავადმყოფის ყოველ ამოყვირებაზე თუ ბოდვაზე აკანკალებულ ხელს საჩქაროდ გადაუსვამდა თმასა და ლოყებზე, თითქოს ეფერებოდა და აშოშმინებდა. მაგრამ რასაც არ ეკითხებოდნენ, უკვე აღარაფერი გაეგებოდა და ვერც ირგვლივ შემოხვეულ ხალხს სცნობდა.

XII. დასასრული

პავლოვსკში სასწრაფოდ ჩამოგრიალებული მასწავლებლის ქვრივი პირდაპირ დარია ალექსეევნას მიადგა. გუშინდელი ამბებით ისედაც შეწუხებულ ქალს უაღრესად გაუხეთქა გული ქვრივის ნაამბობმა. ორივე ქალბატონს უმალ გადაეწყვიტა, ლებედევს დაკავშირებოდნენ, რომელიც, როგორც თავადის მეგობარი და სახლის პატრონი, დიდად აღელვებული იყო. ვერა ლებედევამ ყველაფერი უამბო მათ, რაც იცოდა. ლებედევის რჩევით, სამთავემ გადაწყვიტა პეტერბურგში გამგზავრება, რა არის, დროზე ჩაესწროთ და ხელი შეეშალათ იმისთვის, „რაც ძალიანაც მოსალოდნელი იყო“. ამგვარად, მეორე დილასვე, ასე თერთმეტი საათისთვის როგოჟინის ბინა გახსნილ იქნა პოლიციის, ლებედევის, ამ ქალბატონებისა და როგოჟინის ძმა სემიონ სემიონოვიჩ როგოჟინის თანდასწრებით, რომელსაც ფლიგელში ჰქონდა ბინა. ამ საქმეში ყველაზე მეტად მეეზოვის ჩვენება დაეხმარათ, რომელმაც თქვა, რომ პარფენ სემიონოვიჩი და მისი სტუმარი გუშინღამ დავინახე, პარმაღზე მიიპარებოდნენო. ამ ჩვენების შემდეგ ვიღას დარჩებოდა საყოყმანოდ იმ კარის შემტვრევა, რომელიც კანონის ძალამ ვერ გახსნა.

როგოჟინმა ჯერ ორი თვე ტვინის ანთებას გაუძლო, მერე კი გამოძიებასა და სასამართლოს. ყველაფერში პირდაპირი, ზუსტი და დამაკმაყოფილებელი ჩვენება მისცა. რის შედეგადაც თავადს მაშინვე მოეხსნა ყოველგვარი ბრალდება. როცა მისმა მარჯვე, ენამჭევრმა ვექილმა ნათლად და ლოგიკურად დაამტკიცა, ჩადენილი მკვლელობა ტვინის ანთების შედეგი გახლავთო, რაც ბრალდებულს მკვლელობამდე გაცილებით ადრე დაეწყო სხვადასხვა უსიამოვნებათა მიზეზით, როგოჟინს საწინააღმდეგო არა განუცხადებია რა. მაგრამ თავის მხრივ არც არაფერი დაუმატებია ამ აზრის დასამტკიცებლად და კვლავ გარკვეულად და ზუსტად დაადასტურა და გაიხსენა მომხდარი ამბის ყოველი წვრილმანი. მას შესამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით, მსჯავრი დასდეს და ციმბირის კატორღაში უკრეს თავი თხუთმეტი წლით. განაჩენი პირქუშად, უსიტყვოდ და „დაფიქრებით“ მოისმინა. მთელი მისი უზარმაზარი ქონება, იმ ფრიად მცირე ნაწილის გარდა, რაც ქეიფებს გადააყოლა თავში, მის ძამია სემიონ სემიონიჩს დარჩა, ამ უკანასკნელის დიდად გასახარად. როგოჟინის მოხუც დედას კვლავ სული უდგას ამქვეყნად, ხანდახან თითქოს აგონდება თავისი საყვარელი პარფენი, მაგრამ ბუნდოვნად კი ღმერთმა შეიბრალა და იხსნა იგი იმ საშინელების აღქმიდან, რაც მის უბედურ სახლს დაატყდა.

ლებედევი, კელერი, განია, პტიცინი თუ ჩვენი მოთხრობის სხვა გმირები ძველებურად მიაჩანჩალებენ წუთისოფელს, ნაკლებ შეიცვალნენ და სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს მათზე. იპოლიტს საოცარ ტანჯვაში ამოხდა სული ნასტასია ფილიპოვნას სიკვდილის ორიოდე კვირის შემდეგ, იმაზე ადრე, ვიდრე ელოდა.

კოლიას დიდი თავზარი დასცა მომხდარმა ამბავმა და საბოლოოდ დააახლოვა დედას. ნინა ალექსანდროვნა დიდად წუხდა, თავის ასაკთან შედარებით ძალზე დაფიქრებული გამოიყურებაო. ვინ იცის, კარგი კაციც დადგეს ოდესმე. სხვათა შორის, ნაწილობრივ მისი ცდის

შედეგად მოეწყო თავადის შემდგომი ბედიც იმ პირთა შორის, ვისაც ამ უკანასკნელ ხანს გაეცნო, დიდი ხანია გამორჩეული ჰყავდა მას ევგენი პავლოვიჩ რადომსკი; თავისი ფეხით მიადგა მას, წვრილად უამბო, რაც თვითონ იცოდა მომხდარი ამბის ირგვლივ და ისიც უთხრა, რა დღეში იმყოფებოდა ამჟამად თავადი. არც შემცდარა ევგენი პავლოვიჩმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო საცოდავი „იდიოტის“ ბედში, მისი თავგამოდებისა და ზრუნვის წყალობით თავადი კვლავ საზღვარგარეთ მოხვდა შნეიდერის შვეიცარულ დაწესებულებაში. ევგენი პავლოვიჩი თვითონაც საზღვარგარეთ გაემგზავრა. ევროპაში კარგა ხანს აპირებს დარჩენას, რამეთუ თავის თავს დაუფარავად „სრულიად ზედმეტ კაცს“ ეძახის რუსეთში. იგი საკმაოდ ხშირად, რამდენიმე თვეში ერთხელ მაინც ნახულობს თავის სნეულ მეგობარს შნეიდერთან; მაგრამ შნეიდერს უფრო და უფრო ეღუშება სახე და იჭვნეულად აქნევს თავს, ამბობს, აზროვნების ორგანოები სრულიად დაზიანებული აქვსო ჯერ გადაჭრით არ ამბობს, განკურნება შეუძლებელიაო, მაგრამ სამწუხარო გადაკრულებს კი არ იშლის. ევგენი პავლოვიჩს გულთან ფრიად ახლოს მიაქვს ეს ამბავი, გული კი რომ არ აკლია, იმითაც მტკიცდება, რომ კოლიასაგან წერილები მოსდის და შიგადაშიგ თვითონაც პასუხს უგზავნის. მაგრამ, გარდა ამისა, მისი ხასიათის ერთი უცნაური თვისებაც გახდა ცნობილი; ჰოდა, რაკი მშვენი თვისება გახლავთ, დავეშურებით და მოგახსენებთ კიდეც შნეიდერის დაწესებულების ყოველი მონახულების შემდეგ ევგენი პავლოვიჩი კოლიას გარდა კიდევ ერთ ადამიანს უგზავნის წერილს პეტერბურგში და დაწვრილებით, სიმპათიურად აცნობს თავადის მდგომარეობას იმჟამად. ერთგულების ყოვლად მოწიწებული გრძნობის გარდა, ამ წერილებში შიგადაშიგ უკვე თავს იჩენს (და უფრო ხშირადაც) ევგენი პავლოვიჩის შეხედულებანი, აზრები და განცდები – ერთი სიტყვით, მეგობრულ,ახლობლურ გრძნობათა მსგავსი რამ. ეს ადამიანი, ვისთანაც ევგენი პავლოვიჩს მიწერ-მოწერა აქვს (მერე რა, რომ საკმაოდ იშვიათი) და ვინც მისი ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა, ვერა ლებედევა გახლავთ. ზუსტად ვერ შევიტყვეთ, როგორ გაიბა ამგვარი დამოკიდებულება, გაიბა კი, ცხადია, კვლავ თავადთან დაკავშირებით. ვერა ლებედევა ხომ იმდენად შეაწუხა ამ ამბავმა, რომ ავადაც გახდა. მაგრამ რა გარემოებაში დამყარდა ეს ნაცნობ-მეგობრობა და დაწვრილებით რა მოხდა, – ეს ჩვენ არ ვიცით. ამ წერილების ამბავი უფრო იმ მიზნით ვახსენეთ, რომ ზოგიერთ მათგანში ეპანჩინების ოჯახის, განსაკუთრებით კი აგლაია ივანოვნას ამბავია მოხსენიებული. პარიზიდან მოწერილ ერთ საკმაოდ უთავბოლო წერილში ევგენი პავლოვიჩი იტყობინებოდა, რომ აგლაია უეცრივ ცოლად გაჰყვა ერთ პოლონელ ემიგრანტ გრაფს, რომელიც სულ მოკლე ხანში თავდავიწყებით შეჰყვარებოდა, გაჰყვა მშობლების ნება-სურვილის წინააღმდეგ, რომელთაც თანხმობაც კი მისცეს ბოლოს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, ასე რომ არ ექნათ, რაღაც დიდი სკანდალი ემუქრებოდათ. ნახევარი წლის სიჩუმის შემდეგ ასეთივე გრძელი და დაწვრილებითი წერილი მოსწერა ევგენი პავლოვიჩმა იმ თავის კორესპონდენტ ქალს და აცნობა, რომ ამ ბოლო ხანს შვეიცარიაში ჩასვლისას პროფესორ შნეიდერთან ეპანჩინების მთელ ოჯახს შევხვდიო (ცხადია, ივან ფიოდოროვიჩის გამოკლებით, რომელიც საქმეების გამო პეტერბურგში დარჩენილა). იმათ თავადი შჩ-ც ხლებიათ. შეხვედრა უცნაური გამოდგა თურმე ევგენი პავლოვიჩს ყველა რაღაც აღტაცებითაც კი შეხვდა. ადელაიდამ და ალექსანდრამ რატომღაც მადლობაც უთხრეს „უბედურ თავადზე ასეთი ანგელოზური ზრუნვისათვის“. გაუბედურებული, დასნეულებული თავადის დანახვაზე ლიზავეტა პროკოფიევნა ატირებულა თურმე. როგორც ჩანს, ყველაფერი შეუნდეს და აპატიეს უკვე. თავად შჩ-ს რამდენიმე ჭკვიანური და მშვენიერი ჭეშმარიტება გამოუთქვამს. ევგენი პავლოვიჩის ფიქრით, ისა და ადელაიდა ჯერ მთლიანად ვერ შეწყობილან, მაგრამ ისეთი პირი კი უჩანს, რომ ფიცხი გრძნობების ადელაიდა

თავისი ნებითა და მთელი გულით დაჰყვესო, ვგონებ თავად შჩ-ს ჭკუასა და გამოცდილებას. ამასთან, იმ გაკვეთილსაც საშინლად ემოქმედა ქალზე, რაც ოჯახს ეწვნია, მეტადრე აგლაიასა და ემიგრანტ გრაფის უკანასკნელ ამბავს რისიც ასე ეშინოდა და რაც ასე აფრთხობდა ოჯახს, როცა აგლაიას იმ გრაფს აძლევდნენ, ნახევარ წალიწადში აუხდათ კიდეც და თან ისეთი სიურპრიზებიც დაერთო, რასაც ვერც წარმოიდგენდნენ. იმ გრაფს თურმე გრაფობისა არაფერი სცხებოდა, ხოლო თუ ემიგრანტი იყო, ისიც რაღაც ბნელი და საეჭვო ისტორიის წყალობით. აგლაია ამ კაცს მოუხიბლავს და გაუტაცნია მამულისთვის დატანჯული გულის საოცარი კეთილშობილებით, გაუტაცნია იმდენად, რომ გათხოვებამდე ქალი პოლონეთის აღდგენის რომელიღაც საზღვარგარეთული კომიტეტის წევრი გამხდარა. გარდა ამისა, ვიღაც განთქმულ პატერს იმდენად დაუმონებია მისი ჭკუა და გონება, რომ თავის რჯულზე მოუქცევია. გრაფის ის კოლოსალური ქონება, რაზეც მას ლიზავეტა პროკოფიევნასა და თავად შჩ-სთვის თითქმის უტყუარი ცნობები წარუდგენია, თურმე სულ ზღაპარი ყოფილა. კიდევ მეტი, ქორწინების შემდეგ რაღაც ნახევარ წელში გრაფსა და მის მეგობარ განთქმულ მოძღვარს აგლაია სავსებით წაუჩხუბებია თავის ოჯახთან და შინაურებს აგერ, რამდენიმე თვეა თვალით აღარ უნახავთ ქალი...

ერთი სიტყვით, საამბობელი დიახაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ლიზავეტა პროკოფიევნა, მისი ქალები და თავადი შჩ-ც იმდენად იყვნენ დამფრთხალი ამ „ტერორით“, ევგენი პავლოვიჩთან საუბარში ბევრ რამეზე პირში წყალი ჩაიგუბეს, თუმცა კი იცოდნენ, რომ ისედაც მშვენივრად უწყოდა მან აგლაია ივანოვნას უკანასკნელ გატაცებათა ისტორია. საწყალ ლიზავეტა პროკოფიევნას რუსეთი თურმე ძალზე ენატრებოდა. იმდენად, რომ ევგენი პავლოვიჩის მოწმობით, ღვარძლიანად და მიკერძოებით გაუკრიტიკებია ყოველივე უცხოური „ხეირიანად გამომცხვარ პურსაც კი ვერ შეჭამ აქ, თაგვებივით ზამთრობით სარდაფებში იყინებიან, - ჩიოდა ის, – კიდევ კარგი, ეს საცოდავი მაინც დავიტირე რუსულადო“, - დასძინა თურმე და აღელვებულმა მიათითა თავადზე, რომელმაც ვეღარც კი იცნო იგი. „გვეყოს ამდენი გატაცება, დროა ჭკუას მოვეგოთ. ყოველივე ეს, მთელი საზღვარგარეთი, მთელი თქვენი ევროპა მხოლოდ ფანტაზიაა, და ყველა ჩვენგანი ამ საზღვარგარეთით მხოლოდ ფანტაზიას წარმოვადგენთ... აი, დაიხსომე, თუ ჩემი სიტყვა მართალი არ გამოდგაო!“ – დააყოლა თურმე გაგულისებით ევგენი პავლოვიჩთან დამშვიდობებისას.

სქოლიო

[1] ეიდკუნენი – პრუსიისა და რუსეთის მაშინდელ საზღვარზე პრუსიის რკინიგზის სადგური.

[2] გვ. 8. ფრანკირება – წერილზე დაზღვევის ფულის წინასწარ გადახდა.

[3] ...კარამზინის ისტორიაში შეგიძლიათ ნახოთ და ნახავთ კიდეც. – მიშკინების გვარი ნამდვილად გვხვდება ნ.მ.კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“.

[4] მეკომური გლეხები – ბატონყმობის დროს სახელმწიფო გლეხის ერთ-ერთი კატეგორია, რომლებიც პატარა-პატარა მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ (ჩვეულებრივ, ერთ კომლად ერთიანდებოდნენ). მათ უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ყმები. მეკომური გლეხები წარმოშობით მოსამსახურე ხალხის დაბალ ფენას ეკუთვნოდნენ, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფო საზღვრებზე სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ.

[5] თთუენი (ყოველთვიური საკითხავი) – ძველი რუსული საეკლესიო მქადაგებელი ლიტერატურის კრებულები, რომლებშიც თვეებისა და რიცხვების მიხედვით აღწერილი იყო წმინდანთა ცხოვრებანი, სწავლებანი, თქმულებანი დღესასწაულებზე და სხვ.

[6] ულიქნო ერთგულად – იგულისხმება ა.ა. არაკჩეევის ღერბის დევიზი („ულიქნო ერთგული“). იხ. პუშკინის ეპიგრამა „არაკჩეევზე“.

[7] ახლა ბევრს რასმე ლაპარაკობენ აქაურ სასამართლოებზე. – 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად, ძველი წოდებრივი სასამართლოები შეიცვალა ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებებით. რეფორმამდელთან შედარებით, ახალ სასამართლოებში საქმეებს იხილავდნენ ღია კარებში ნაფიც მსაჯულთა და დამცველთა მონაწილეობით. სასამართლო სხდომათა ანგარიშები გაზეთებში იბეჭდებოდა. ა.დოსტოევსკაიას ცნობით, „1867 წლის ზამთარში თეოდორ მიხეილის ძე ძალიან დაინტერესებული ყოფილა ნაფიც მსაჯულთა საქმიანობით. ხანდახან აღტაცებულიც იყო მათი სამართლიანი და გონივრული განაჩენით და ყოველთვის მიზიარებდა გაზეთებიდან ამოკითხულ საინტერესო ამბებს სასამართლოს ცხოვრებიდან“. დოსტოევსკის ინტერესი რეფორმის შემდგომდროინდელი სასამართლოსადმი ფართოდ არის ასახული რომანში.

[8] ჩვენში ისევ გადავარდნილა სიკვდილით დასჯა. – რუსეთში სიკვდილით დასჯა ფორმალურად შეცვლილ იქნა 1753-1754 წლებში, მაგრამ შემდეგ, ისევ მალე შემოღებულ იქნა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა სახელმწიფო, სამხედრო და სხვ. დანაშაულებათა გამო. XIX ს. 60-იან წლებში, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ. სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე დოსტოევსკი საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა, 1866 წლის 3 სექტემბერს პეტერბურგში სმოლენსკის ველზე ჩამოხრჩობილ იქნა კარაკოზოვი. ამრიგად, როცა ამბობს, რუსეთში სიკვდილით დასჯა არ არის და იმოწმებს იმას, თითქოს თავადმა სიკვდილით დასჯა მხოლოდ საზღვარგარეთ ნახა. დოსტოევსკის (რომელსაც 1849 წელს პეტრაშეველთა საქმის გამო სიკვდილით დასჯა ჰქონდა გამოტანილი). ალბათ, უნდოდა ცენზურისაგან გადაერჩინა რომანის ის გვერდები, რომელზეც გამოთქმულია თავადის მსჯელობა სიკვდილით დასჯის შესახებ.

[9] დიახ, საფრანგეთში, ლიონში ვნახე – საფრანგეთში სისხლის სამართლის დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა XIX საუკუნის ბოლომდე საჯაროდ ხდებოდა.

[10] იქნებ იყოს ისეთი კაცი, ვისაც განაჩენი გამოუტანეს, დატანჯეს, გააწამეს და მერე უთხრეს „წადი, გვიპატიებიაო“. - დოსტოევსკი აქ, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკობს თავის თავზე და სხვა პეტრაშეველებზე, რომელთაც შეწყნარების შესახებ გამოეცხადათ იმის შემდეგ, როცა მათ უკვე მოისმინეს განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ და მზად იყვნენ დასახვრეტად.

დოსტოევსკიმ გაზეთებიდან გაიგო, რომ მსგავსი ბარბაროსული წამება განიცადეს სხვა სიკვდილმისჯილებმაც.

[11] პატარა ნაპოლეონისებური წვერი დაეყენებინა. – იგულისხმება ნაპოლეონ III, იმ დროს საფრანგეთის იმპერატორი.

[12] წინამძღვარი პაფნუტი (XIV ს.). – კოსტრომის გუბერნიის ჩუხლომსკის მაზრაში მდ. ვიგაზე ზემო სავანის დამაარსებელი.

[13] მ.პ.პოგოდინის გამოცემა. – დოსტოევსკი გულისხმობს ისტორიკოს მ.პ.პოგოდინის მიერ გამოცემულ ალბომს - „სლავიანო-რუსული ძველი დამწერლობის ნიმუშები“, რომელშიც ძველ რუსულ ხელნაწერთა ორმოცდაოთხი ნიმუშია წარმოდგენილი მხატვარ კ.ი.ტრომონინის მიერ ლითოგრაფირებული.

[14] ვირი კეთილი და სასარგებლო სულიერია. – ეს სიტყვები, შესაძლოა, წარმოადგენენ ავტოპაროდიას მოზგლიაკოვის მოთხრობის „ძიას სიზმრის“ სიტყვებზე („მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ შესაძლოა ვირიც კეთილშობილ ადამიანად იქცეს“).

[15] აღწერილია დიდი ხანია აღმოსავლეთი და დასავლეთი – მ.ი.ლერმონტოვის ლექსის „ჟურნალისტი, მკითხველი და მწერალი“ (1840) არაზუსტი ციტირება.

[16] ეს კაცი ერთხელ, სხვებთან ერთად ეშაფოტზე აიყვანეს – დოსტოევსკი გვიამბობს თავის განცდებზე. რაც მან 1849 წლის 22 დეკემბერს, პეტრაშეველთა სიკვდილით დასჯის წუთებში განიცადა. ა.გ.დოსტოევსკაია ამ ნაწყვეტის შესახებ წერს „თეოდორ მიხაილოვიჩისათვის მეტისმეტად მძიმე იყო იმის მოგონება, რაც მან განიცადა პეტრაშეველთა საქმეზე განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს და ის იშვიათად ლაპარაკობდა ამ თემაზე. ამავე დროს ერთი სამჯერ მომიხდა ამ ამბის მოსმენა და თითქმის იმავე სახით, როგორც ის გადმოცემულია რომან „იდიოტში“.

[17] ოცდაშვიდი წლის საღ-სალამათი, ჯანღონით სავსე კაცი ესალმებოდა სიცოცხლეს. – დოსტოევსკი 1849 წელს თითქმის იმავე ხნის იყო - ოცდარვა წლის.

[18] ბაზელში ამას წინათ ერთი ასეთი სურათი ვნახე. -–დოსტოევსკი იყო ბაზელში 1867 წლის აგვისტოში. მას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ჰანს ფრისის (1450-1520) სურათი „იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა“ (1514), რომელიც ბაზელის სამხატვრო მუზეუმში ინახება. სურათზე გამოხატულია იოანეს სახე იმ მომენტში, როცა მის თავზე აღმართულია მახვილი.

[19] კომი (ფრანგ.) საქონლის დამადასტურებელი აგენტი

[20] მიყვარხარ, მარი!(ფრანგ.)

[21] გამარჯობა, ჩვენო კეთილო მარი! (ფრანგ.)

[22] მარი, გვიყვარხართ! (ფრანგ.)

[23] ლეონი მიდის, ლეონი სამუდამოდ მიდის (ფრანგ.)

[24] ჰოლბეინის მადონას მაგონებთ. დრეზდენში რომ მინახავს. – მხედველობაში აქვს დიდი გერმანელი მხატვრის ჰანს ჰოლბეინი-უმცროსის (1497-1543) „მადონა ბიურგემეისტერ იაკობ მეიერის ოჯახთან ერთად“ (1525-1526). დრეზდენის გალერეაში დოსტოევსკიმ ნახა ამ სურათის ასლი, რომლის ორიგინალი ინახება დარმშტატსკის მუზეუმში. XIX საუკუნის 70-ან წლებამდე ნიდერლანდი მხატვრის მიერ გადაღებული დრეზდენის ასლი შეცდომით ითვლებოდა თვით ჰოლბეინის ნაწარმოებად.

[25] ოტელ-გარნი (ფრანგ.hotel-garni) – გასაქირავებელი ოთახები.

[26] ძვირფასო ბაბეტ (ფრანგ.)

[27] ყურად იღეთ (ფრანგ.)

[28] გაოცებული, თავზარდაცემული (ფრანგ.)

[29] ნოვოზემლიანსკის ქვეითი პოლკი. – გენერლის ნაამბობის ფანტასტიკურობა ხაზგასმულია იმით, რომ პოლკის დასახელება გრიბოედოვისაგან აქვს ნასესხები.

[30] ჩემი მეუღლე სცდება (ფრანგ.)

[31] რომ შეცდნენ (ფრანგ.)

[32] თუნდაც მართალი არ იყოს (იტალ.)

[33] ათოსი, პართოსი და არამისი – სამი მეგობარი მუშკეტერის სახელებია. ა.დიუმა- მამის რომანის („სამი მუშკეტერის“ გმირები (1844)

[34] „დამოუკიდებლობა“ (ფრანგ.), Independanc – მხედველობაში აქვს ბელგიური გაზეთი Independence Belge („ბელგიის დამოუკიდებლობა“), რომელიც ბრიუსელში გამოდიოდა 1830-1937 წლებში. გაზეთი ფართოდ აშუქებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. როგორც ა.გ.დოსტოევსკაიას დღიურიდან ჩანს, მისი მეუღლე 1867-1868 წლებში კითხულობდა გაზეთ Independence Belge.

[35] ეს რაღაც ახალსა ჰგავს (ფრანგ.)

[36] ერთსულოვნება

[37]...წკენტის ვალეტად... ვალეტი – პირფერი, უზრდელი; კატორღის (რევოლუციამდელ რუსეთში კატორღამისჯილ) პატიმრებს ხალათის ზურგზე რომბისებური ყვითელი დანაკერები ჰქონდათ).

[38] აგერ ივოლგინი, მეუფე ჰურიათა. – განია გულისხმობს იმ წარწერას, რომელიც, სახარების მიხედვით, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს თავს ზემოთ გაუკეთეს („ესე არს იესო იუდეველთა მეუფე“); მაგრამ გამოთქმაში იუდეველთა მეუფე ის გულისხმობს ბირჟის მეუფე, როტშილდი.

[39] იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის! (ფრანგ.)

[40]...პიროგოვმა... ალყაშემორტყმული სევასტოპოლი დროებით დატოვა. - დიდი რუსი ქირურგი ნიკოლოზ ივანეს ძე პიროგოვი (1810-1881). 1854-1855 წლებში მონაწილეობას იღებდა სევასტოპოლის დაცვაში, სადაც ხელმძღვანელობდა დაჭრილთა სამედიცინო დახმარებას. 1855 წლის ივნისში პიროგოვი აღშფოთებული გაემგზავრა ყირიმიდან პეტერბურგს. მის აღშფოთებას უმაღლესი სარდლობის მოქმედება იწვევდა. მას სურვილი ჰქონდა, რაიმე ცვლილება მოეხდინა, რომელიც ქვეყანაში მოსალოდნელი იყო ნიკოლოზ I სიკვდილის შემდეგ.

[41] ნელატონ ავგუსტი (1807-1873) ცნობილი ფრანგი ქირურგი, პარიზის სამედიცინო აკადემიის წევრი.

[42] დროსტარება (ფრანგ.)

[43] აგერ, მოსკოვში, თურმე მამა ურჩევდა შვილს, ოღონდ ფული იშოვე და არაფერს დაერიდოო. – დოსტოევსკი კოლიას ალაპარაკებს 1866-1868 წლებში გახმაურებული სასამართლო საქმის – დანილოვის ამბავს. დანილოვის სახელი რომანის ფურცლებზე რამდენჯერმე არის აღნიშნული. ამ პროცესის გმირმა - ცხრამეტი წლის სტუდენტმა – 1866 წლის იანვარში მოსკოვში ჩაიდინა მკვლელობა ჩარჩი პოპოვისა და მისი მოსამსახურის ნორდმანის გაძარცვის მიზნით. დანილოვის საქმემ განსაკუთრებით დააინტერესა დოსტოევსკი იმიტომ, რომ მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ მსგავსებას დანილოვის დანაშაულსა და „დანაშაული და სასჯელის“ სიუჟეტს შორის. 1867 წლის თებერვალში დანილოვს მიუსაჯეს 9 წლით კატორღაში მუშაობა. 1867 წლის ნოემბრის დასაწყისში დანილოვთან ერთად ციხეში იმყოფებოდა პატიმარი გლაზკოვი. დანილოვი ცდილობდა დაეთანხმებინა იგი, თავის თავზე დაებრალებინა პოპოვის მკვლელობა, მაგრამ მან მისცა ჩვენება, რომ დანილოვმა მისივე

ნაამბობით, მარტო კი არ ჩაიდინა მკვლელობა, არამედ მისი მამის მონაწილეობითა და თანხმობით, რომ მამამ შვილს ურჩია, „არ მოერიდოს არაფერს და მისივე ბედნიერებისათვის (მომავალი ქორწინებისათვის.) აუცილებლად იშოვოს ფული თუნდაც დანაშაულის გზით“. გლაზკოვის ამ ჩვენებებზე - დანილოვის საქმის გამო – ლაპარაკობს კოლია. დოსტოევსკი სრულიად დაუსაბუთებლად ცდილობდა აეხსნა დანილოვის დანაშაული (როგორც მეორე მკვლელის, რომლის დანაშაული რომანში მსჯელობის საგნად იქცა, – გორსკის) „დამღუპველად“ თითქოსდა დემოკრატიულ იდეათა გავლენით. არავითარი მონაცემები ამისათვის მათ სასამართლო საქმეებში, რასაკვირველია, არ მოიპოვება.

[44] ტყე-ველის რისხვა, ძლიერი ლომი – ი.ა. კრილოვის იგავ-არაკის „დაბერდა ლომის“ სტრიქონები არ არის ზუსტად მოყვანილი.

[45] გმირობა (ფრანგ.)

[46] პეტი-ჟიო (ფრანგ.Petit jeu) – სალონური თამაში.

[47] არჩევანი დიდია და ამიტომაც საძნელო (ფრანგ.)

[48] ფორშტადტი (vorstadt -გერმ.) – გარეუბანი

[49] დიუმა – შვილის

[50] La dame aux camelias – ქალი კამელიებით. ფრანგი მწერლის ა.დიუმა-შვილის რომანი, რომელიც გადაკეთებულ იქნა იმავე სახელწოდების დრამად (1852). დიუმას რომანს გამოჩენისთანავე დიდი წარმატება ხვდა და მსოფლიო პოპულარობა მოუპოვა მწერალს. დოსტოევსკი თუმცა აღიარებდა დიუმა-შვილის ნიჭს, მაგრამ მის რომანებს უარყოფითად ეკიდებოდა. დოსტოევსკი წერდა, რომ დიუმას რომანებსა და ფრანგულ ვოდევილებში უამრავი უწმაწური, ცინიკურად გაშიშვლებული უხეშობააო. მიაწერდა რა ტოცკის დიუმას რომანის განსაკუთრებულ სიყვარულს, რომლის გმირი ხასაა, საკუთარი სურვილით უარყოფს სიყვარულს, რომ ლაქა არ მოსცხოს შეყვარებულის კეთილშობილ ოჯახს. დოსტოევსკი რომანის ქვეტექსტით პარალელს ავლებს დიუმას რომანის გმირსა და ნასტასია ფილიპოვნას შორის.

[51] იქვე. ასე, მაგალითად, ხან თეთრი, ხან ვარდისფერი კამელიების ტარებამ... – დიუმას გმირი ქალი, მარგარიტა გოტიე სასეირნოდ გამოდიოდა სხვადასხვა ფერის თაიგულით, ზოგ დღეებში თეთრი, ზოგჯერ კიდევ წითელი კამელიებით. მარგარიტას გარდაცვალების შემდეგ მისი შეყვარებული ადევნებს თვალს, რომ საფლავზე კამელიები შეიცვალოს იმავე წესის თანახმად.

[52] მკვიდრი

[53] მარლინსკის სტილით. – მარლინსკი დეკაბრისტი მწერლის ა.ა.ბესტუჟევის ფსევდონიმია (1797-1837). დაღვლარჭნილი სტილისათვის მას ბ.გ.ბელინსკი აკრიტიკებდა.

[54] ან არა და დაახვევს სამართებელზე აბრეშუმს, დაამაგრებს, ზურგიდან მიეპარება და ცხვარივით დაკლავს თავის ამხანაგს. როგორც ამას წინათ წავიკითხე. – ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ დოსტოევსკი იმ პერიოდში, როცა „იდიოტის“ სიუჟეტზე ფიქრობდა, დაინტერესდა მოსკოველი ვაჭრის მაზურინის საქმით, რომელმაც 1866 წელს მოკლა იუველირი კალმიკოვი. ეს საქმე ირჩეოდა 1867 წელს ნოემბერში და გავლენა იქონია როგოჟინის სახის ჩამოყალიბებასა და მისი დანაშაულის ზოგიერთი დეტალის შემოქმედებითი დამუშავებისას. მაზურინმა, ჩამომავლობით საპატიო მოქალაქის ვაჟიშვილმა, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობად მიიღო ორ მილიონამდე ფული, რომლის გაფლანგვა მკვლელობის ჩადენამდე მოასწრო. მიიწვია თავისთან კალმიკოვი, რომელსაც ეჭვადაც კი არ ჰქონდა გულში მსგავსი რამ, მაზურინი უკნიდან მიეპარა და დაჭრა დანით, რომელიც საწერ მაგიდაში ჰქონდა. მკვლელობის

ჩადენის შემდეგ დამნაშავის ბინაში ნაპოვნი იქნა სისხლიანი სამზარეულო დანა. როგორც მაზურინი აღნიშნავდა დაკითხვაზე, ეს დანა მას ჰქონია მკვლელობამდე კარგა ხნით ადრე, სამეურნეო მიზნებისათვის. მოკლული იუველირის კალმიკოვის ცხედარს გადაფარებული ჰქონდა „ამერიკული მუშამბა“ და მის ახლო იდგა ოთხი ქვესადგარი „ჟდანოვის სითხით“ (ასე უწოდებდნენ სითხეს მისი გამომგონებლის ი.ნ.ჟდანოვის პატივსაცემად. - სითხე იხმარება დეზინფექციისა და მყრალი სუნის გასაქარვებლად). მკვლელობის ჩადენის შემდეგ კალმიკოვის ცხედარი რამდენიმე თვე იმყოფებოდა დაკეტილ დუქანში, მაზურინის სახლში, სადაც მაზურინისა და დედამისის გარდა კაცის ჭაჭანება არ იყო. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებით ისარგებლა დოსტოევსკიმ და გამოიყენა რომანში.

[55] კამელიების ვაჟბატონს

[56] შატო-დე-ფლერი („ყვავილების სასახლე“) – პარიზში გასართობი დაწესებულება.

[57] მოცეკვავე (ფრანგ.)

[58] ტარასოვის სახლი. – ამ სახლში მოთავსებული იყო პეტერბურგის ვალების ციხე.

[59] ყარსის აღების ამბავს... – ლაპარაკია 1855 წელს ივნის-ნოემბრის ყირიმის ომში ყარსის ალყის ამბავზე (თურქეთის ციხე-სიმაგრე).

[60] დონ-კიხოტ ლამანჩელი. - დოსტოევსკი თაყვანს სცემდა სერვანტესის უდიდეს ნაწარმოებს. იგი წერდა ჯერჯერობით არ არსებობს მსოფლიოში ამაზე უფრო ღრმა და ძლიერი ნაწარმოები. ეს არის ადამიანთა აზროვნების უკანასკნელი და უდიდესი სიტყვა, ეს არის ყველაზე მწარე ირონია, რომელიც შეუძლია გამოთქვას ადამიანმა.

[61] ჟემარინების ოჯახის მკვლელობის ამბავს თუ ადევნებთ თვალს გაზეთში – ვაჭარი ჟემარინის ცოლის, დედის, თერთმეტი წლის ვაჟის, ნათესავი ქალის, მზარეულისა და მეეზოვის – სულ ექვსი სული – მკვლელობა მოხდა ტამბოვში 1868 წლის 1 მარტს. მკვლელი - თვრამეტი წლის გიმნაზისტი ვიტოლდ გორსკი (მისი სახელი და მკვლელობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არაერთხელ არის მოხსენიებული რომანში) დოსტოევსკის დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან მას თვლიდა იმ ახალგაზრდობის წარმომადგენლად, რომელზეც 60-იანი წლების „ნიჰილისტურ“ თეორიებს, მწერლის აზრით, უარყოფითი გავლენა ჰქონდა; თითქოს ხელს უწყობდა მტკიცე მორალური წესების რღვევას. დოსტოევსკი ცდებოდა. თუმცა გორსკის პოლონური წარმოშობის გამო ჟემარინი ამტკიცებდა, რომ „დანაშაული ჩადენილია გორსკის მიერ პოლიტიკური მიზნით“, რადგან იგი „იზრდებოდა“ პოლონელების გავლენის ქვეშ. ჟემარინმა ვერაფრით დაასაბუთა ეს ბრალდება. და სასამართლომ უარყო მის მიერ წამოყენებული ვერსია.

[62] მარი-განა დიუბარი (1743-1793), გრაფის მეუღლე, ლუდოვიკო XV ფავორიტი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით 1793 წლის 8 დეკემბერს. შემდგომში აღნიშნული ფაქტები დიუბარის ცხოვრებიდან დოსტოევსკის ნასესხები აქვს მისივე „ჩანაწერებიდან“.

[63] დილის შემოსვლის ცერემონია (ფრანგ.)

[64] ვაჭრუკანა დედაკაცი (ფრანგ.)

[65] ჯალათი (ფრანგ.) „ერთი წუთი მაცალეთ, ბატონო ბურო, მხოლოდ ერთი წუთი!“ – დიუბარის სიკვდილის წინ წარმოთქმული ეს სიტყვები ავტორს მოჰყავს შენიშვნიდან, პლიუშარის „ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ტ. XVII-დან.

[66] აპოკალიფსი – ახალი აღთქმის სულ ბოლო წიგნი, რომელშიც აღწერილია ქვეყნის დაქცევის საშინელი მსჯავრის წინასწარმეტყველებანი. V თავიდან დაწყებული „ზამთრის

შენიშვნები ზაფხულის შთაბეჭდილებებზე“. - დოსტოევსკის არაერთხელ უსარგებლია აპოკალიფსის სახეებით, როცა ბურჟუაზიულ ცივილიზაციას აკრიტიკებდა. სიტყვები „მესმა მესამისა მის ცხოველისაჲ, რომელი იტყოდა მოველ და იხილე. და აჰა ცხენი შავი და მჯდომარესა მასზედა აქუნდა .... ჴელთა მისთა უღელი“. „სამაგდანი იფქლი დრაჰკნის, და სამი სამაგდანი ქერი დრაჰკნის“ და სხვა გამოთქმები, რომელიც ლებედევს მოჰყავს, წარმოადგენენ ციტატებს აპოკალიფსიდან. „იდიოტზე“ მუშაობის პერიოდში მწერალი გაეცნო აპოკალიფსის პოეტურ თარგმანს, რომელიც გააკეთა ა.ნ.მაიკოვმა და თვლის მას ბრწყინვალე თარგმანად. მაიკოვის თარგმანის კითხვამ გაუძლიერა ინტერესი დოსტოევსკის ამ წიგნის სიმბოლურ სახეებთან.

[67] სოლოვიოვის „ისტორია“. – ს.მ.სოლოვიოვის „რუსეთის ისტორიის“ გამოცემა დაიწყო 1851 წელს. 1867 წელს გამოცემული იყო სოლოვიოვის შრომის ჩვიდმეტი ტომი, ნ.ნ.სტრახოვის აზრით, სოლოვიოვის ისტორია ეკუთვნის იმ წიგნების რიცხვს, რომელიც დოსტოევსკიმ თან წაიღო საზღვარგარეთ 1867 წელს. ს.მ.სოლოვიოვის „რუსეთის ისტორიის“ პირველი ტომი დოსტოევსკის ბიბლიოთეკაში ჰქონდა და შემდეგ წლებშიც ნ.ლ.ოზმიდოვისადმი მიწერილ წერილში 1880 წლის 18 აგვისტოს სოლოვიოვის ისტორია მოხსენიებული იყო იმ წიგნების სიაში, რომელსაც დოსტოევსკი ურჩევდა წასაკითხად ოზმიდოვის ქალიშვილს.

[68]...ჰო, ეგ... ეგ ჰანს ჰოლბეინის ასლია... – დოსტოევსკის მხედველობაში აქვს უმცროსი ჰანს ჰოლბეინის სურათი „იესო ქრისტე კუბოში“ (1521), რომელიც მწერალმა ნახა 1867 წელს ბაზელში. ამ სურათის აღწერას იძლევა რომანში იპოლიტი. როგორც მწერლის მეუღლე გადმოგვცემს, ჰოლბეინის სურათმა განაცვიფრა მწერალი... „მან ასე მითხრა „ასეთი სურათისაგან რწმენა შეიძლება დაეკარგოს კაცს“. შემდეგაც, ცხოვრებაში, თეოდორ მიხეილის ძე ხშირად იგონებდა იმ საოცარ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მასზე ამ სურათმა მოახდინა.

[69]...ვინმეს ს.-ს. დავემგზავრე, ოთხი საათი ვისაუბრეთ ვაგონში... - შესაძლოა როცა ასახელებს როგოჟინის თანამოსაუბრეს ს-დ, დოსტოევსკის მხედველობაში ჰყავს ჭაბუკობის დროის ერთ-ერთი ახლო მეგობარი, პეტრაშეველი ნ.ა.სპეშნევი (1821-1882), რომლის შეხედულებები მატერიალისტური და ათეისტური ხასიათის იყო.

[70] იქ წინა ღამეს მკვლელობა მომხდარიყო და ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე. – თავის ჩანაწერებში დოსტოევსკი მიუთითებდა მიშკინის ამ ნაამბობის წყაროზე იხ. 1867 წლის 5 ნოემბრის „მოსკოვის უწყებანი“ იაროსლავის გუბერნიის სოფელ მიშკინოს გლეხის ბალაბანოვის მიერ მდაბიო სუსლოვის მკვლელობის საქმე. „ღმერთო, შემიწყალე“, – ამ სიტყვებით მან ყელი გამოჭრა საათისათვის სუსლოვს იმ დროს, როცა ის სამოვარს აჩაღებდა. დოსტოევსკის მიერ აღნიშნული გაზეთის „მოსკოვის უწყებანის“ იმ ნომერში არ არის გამოქვეყნებული ცნობა ამ მკვლელობის შესახებ. როგორც ვ.ს.დოსტოევსკაია - ლიუბიმოვამ აღნიშნა, ეს შემთხვევა, რომელზეც ლაპარაკობს დოსტოევსკი, მოხდა პეტერბურგში და ამბავიც გამოქვეყნებული იყო 1867 წლის 30 ოქტომბერს გაზეთ „გოლოსში“. ბალაბანოვის საქმიდან გამოირკვა, რომ მკვლელობა და ქურდობა მას გაჭირვებამ ჩაადენინა, რადგან მიწის მცირე ნაკვეთი ჰქონდა და უნდოდა სოფელში დარჩენილ თავის ოჯახს დახმარებოდა. დოსტოევსკიმ შეცვალა დანაშაულის პირობები და შეეცადა, წინა პლანზე წამოეწია მკვლელის მორალურ-რელიგიური მდგომარეობა.

[71] სადგურზე(ფრანგ.)

[72]...დრო აღარ არსებობსო. – ეს სიტყვები აპოკალიფსიდან არის ამოღებული.

[73]...როცა ბნედიანმა მაჰმადმა ვიდრე წაქცეული დოქიდან წყალი წამოვიდოდა. – მაჰმადი რელიგიური წინასწარმეტყველი, რომელიც ისლამის დამაარსებლად ითვლება, გადმოცემებით, მაჰმადს ეპილეფსია ჰქონდა. ბნედებს თან ახლდა მოჩვენებები და ჰალუცინაციები. დოსტოევსკის ბიბლიოთეკაში ჰქონდა ყურანის ფრანგული თარგმანი.

[74] საგანგებოდ შეკვეთილი იარაღით... – თავადის ეს აზრები აგრეთვე დაკავშირებულია ჟემარინის მკვლელობის დაწვრილებით ამბებთან. როგორც დაკითხვაზე გამოირკვა, გორსკიმ, რომელიც ემზადებოდა მკვლელობისათვის, წინასწარ იშოვა პისტოლეტი და შესაკეთებლად ზეინკალს წაუღო. ამას გარდა, სპეციალურად გაკეთებული ნახატის მიხედვით შეუკვეთა მჭედელს კოსტანის მსგავსი ინსტრუმენტი და აუხსნა, რომ ეს ინსტრუმენტი მას სავარჯიშოდ ჭირდებოდა.

[75] ცრუმარქვია (ფრანგ.)

[76] ერთი ბეჩავი რაინდი... – დოსტოევსკის მოჰყავს ეს ციტატა პუშკინის ლექსიდან (პ.ვ.ანენკოვის რედაქციით გამოცემული პუშკინის თხზულებანი).

[77] ...პუშკინი გახლავთ, ანენკოვის გამოცემული. – მხედველობაში აქვს პ.ვ.ანენკოვის რედაქციით გამოცემული პოეტის ნაწარმოებები, რომელიც გამოიცა 1855-1857 წწ. შვიდ ტომად და წარმოადგენს პუშკინის ნაწარმოებთა გამოცემის პირველ ცდას მისი ხელნაწერების საფუძველზე.

[78] ერთკვირეული იუმორისტული გაზეთი მიაწოდა... – იგულისხმება სატირული ჟურნალი „ისკრა“, რომელიც იცემოდა პეტერბურგში 1859-1873 წლებში პოეტ ვ.ს. კუროჩკინის და კარიკატურისტ ნ.ა.სტეპანოვის რედაქციით (ეს უკანასკნელი მონაწილეობდა „ისკრაში“ 1864 წ.). „ისკრა“, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა რეაქციისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ. როგორც დაადგინა ვ.ს.დოსტოევსკაია-ლიუბიმოვამ. სტატიის პირველი ნაწილი, რომელიც მიეძღვნა თავადს თავისი შინაარსითა და სტილისტური ხერხებით წარმოადგენს ჟურნალ „ისკრის“ „ჩვენ გვწერენ“ განყოფილებაში მოთავსებული სტატიების პაროდიას. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ჟურნალის წამყვანი მუშაკი გ.სტოპანოვსკი.

[79] დე პროფუნდის – კათოლიკური სულის მოსახსენიებელი ლოცვის დასაწყისი.

[80] ამბავი ცხელიო. დაჯერება ძნელიო. ა.ს.გრიბოედოვის ნაწარმოებიდან „ვაი ჭკუისაგან“. როგორც დაადგინა ვ.ს.დოსტოევსკაია-ლიუბიმოვამ, რომანში მოყვანილი „ეპიგრამა“ წარმოადგენს „საბავშვო ზღაპარი ლექსად“ ნაწყვეტის, „თავდაჯერებული ფედიას“ პაროდიას, რომელიც დაიბეჭდა „სვისტოკში“ 1863 წელს. ავტორი ამ ნაწყვეტისა, რომელიც დოსტოევსკიზე ეპიგრამას წარმოადგენს, იყო მ.ე.სალტიკოვ-შჩედრინი, რომელსაც დოსტოევსკი აწერს მიშკინზე ეპიგრამის ავტოროობასაც.

[81] რუსეთში (გერმ.)

[82] ქალს ზრდი, ეფოფინები ის კი უცბად შუა ქუჩაში გაგექცევა, დროშკაზე ახტება... – ვერა პალოვნას გამოთხოვების სცენა დედასთან ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთ“

[83] სერგეი პეტროვიჩი ბოტკინი (1832-1889) – ცნობილი რუსი ექიმი-თერაპევტი.

[84] ძვირფასო თავადო

[85] პრუდონი პიერ-ჟოზეფი (1809-1865) – ფრანგი წვრილბურჟუაზიული ეკონომისტი და სოციოლოგი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პრუდონის ნაწარმოებებით დაინტერესებული იყვნენ ბელინსკისა და პეტრაშეველთა წრეებში. მ.ვ.პეტრაშევს

ბიბლიოთეკაში ჰქონდა პრუდონის 15 ნაწარმოები. ერთ-ერთი მათგანი („La cerebration du dimanche“ 1839) აღმოჩენილ იქნა დოსტოევსკისთან მისი დაპატიმრების დროს 1849 წელს.

[86] თანმიმდევრული (ფრანგ.)

[87] კნეინა მარი ალექსევნა არ შეგიწყრება-თქო... – იგულისხმება ფამუსოვის მონოლოგის ბოლო სიტყვები გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

[88] „აფსინთის ვარსკვლავს დაცემულს წყაროთა ზედა წყალთასა“. – აპოკალიფსში ასეა მოხსენიებული ვარსკვლავი, რომელიც ქვეყნის დაქცევის მოახლოებისას ჩამოვარდება მიწაზე და „გარდაიქცა მესამედი წყალთა - აფსინთად“. „მრავალი კაცთაგანი მოსწყდეს წყალთა მიერ რამეთუ დამწარდეს“, ლებედევი ისე ხსნის ამ მისტიკურ ამბავს, როგორც მატერიალური კულტურის სიმბოლოს, რომელიც ადამიანს მტრობს.

[89] ფრანგი მთავარეპისკოპოსის ბურდალუს ხათრით... – ბურდალუ ლუი (1632- 1704) იეზუიტი, კათოლიკური წინასწარმეტყველი. კელერი ირონიულად სარგებლობს ბურდალუს სახელით, რომელიც ორაზროვნად აქვს ნახმარი (ბურდა და ბორდო – ფრანგული სუფრის ღვინის ჯიში).

[90] ფენეზერფი – გამოთქმა, ფრანგული სამზარეულოს ერთ-ერთი კერძის დასახელების პაროდიაა.

[91]...ექვსი კაცის ის საშინელი მკვლელობის ამბავი. – დოსტოევსკის მხედველობაში აქვს დამცველი გორსკის შემდეგი სიტყვები „ჩვენ ვხედავთ თვრამეტი წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სურვილი აქვს იცოცხლოს და მოუტანოს სარგებლობა საზოგადოებას. მაგრამ ამისათვის საჭიროა მომზადება, და მოსამზადებლად კი საჭიროა მატერიალური საშუალებები, რომელიც დამნაშავეს არ გააჩნია... სავსებით ბუნებრივია, რომ მას დაებადა გეგმა, რა გზითაც არ უნდა იყოს, იშოვოს რამე, რომ სარგებლობა მოუტანოს ოჯახს და საკუთარ თავს. გამოსავალი მონახა – ჩაიდინოს დანაშაული. არა მგონია იყოს ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც აზრად არ მოუვა, თავისი მიზნის მისაღწევად ყოველგვარ ხერხს მიმართოს, თუნდაც იმას, რომ დანაშაული ჩაიდინოს“.

[92] ჩვენს ახლახან გახსნილ სასამართლოებში უკვე რამდენ შესანიშნავ და ნიჭიერ დამცველზე შეიძლება მიუთითოს კაცმაო. – 60-70-იანი წლების ლიბერალური ადვოკატურის პოლემიკა წარმოადგენს მწერლის დღიურის ერთ-ერთ ძირითად თემას. მხატვრული სრულყოფა ამ პოლემიკამ ჰპოვა „ძმებ კარამაზოვებში“ ადვოკატ ფეტიუკოვიჩისა და დამცველ დიმიტრი კარამაზოვის სახეების შექმნისას.

[93] განმარტებით

[94] გამარჯვებას გისურვებ

[95] მესაიდუმლე

[96] ვის ლექსშია „ცაზე ამღერდა მზეო“ – დოსტოევსკის მხედველობაში აქვს სიტყვები, რომლითაც იწყება გოეთეს ფაუსტი.

[97] უქნარა (ფრანგ.)

[98] მალთუსი თომას რობერტი (1766-1834) ინგლისელი მღვდელი, რეაქციონერი, ბურჟუაზიულ-ეკონომისტი, მალთუსიანობის ფუძემდებელი. ცდილობს რა, რომ გაამართლოს სოციალური უთანასწორობა, მალთუსი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის დროს სიღატაკე გამოწვეულია ხალხმრავლობით და რომ მასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მშობიარობის ხელოვნური შემცირება მოსახლეობის დაბალ ფენაში. მალთუსის

შეხედულებით ანტიმეცნიერული და ღრმა რეაქციული ხასიათი მარქსმა დაამტკიცა „კაპიტალსა“ და „ზედმეტი ღირებულების თეორიაში“.

[99] „ჩემს შემდეგ გინდ წარღვნა ყოფილა“

[100] კისლოროდოვი – ამ პერსონაჟის გვარს ირონიული მნიშვნელობა აქვს. დოსტოევსკი გულისხმობს მათ ათეისტურ, მატერიალისტურ რწმენას.

[101] როგორც ნაპოლეონმა მიმართა ინგლისს! – ვატერლოოსთან დამარცხებისა და ტახტიდან ხელმეორედ გადადგომის შემდეგ ნაპოლეონს 1815 წელს გადაწყვეტილი ჰქონდა ამერიკაში გაქცევა. მაგრამ ინგლისური ესკადრის მიერ როშფორდის პორტის ბლოკადის შემდეგ იძულებული იყო, მოლაპარაკება ეწარმოებინა თავის მტრებთან - ინგლისელებთან და გაგზავნილ იქნა წმ. ელენეს კუნძულზე.

[102] მოსკოვში ერთი ბებერი „გენერალი“ ცხოვრობდა... – დოსტოევსკი აქ ლაპარაკობს ექიმ გააზზე - მოსკოვის ციხეთა საავადმყოფოების მთავარ ექიმზე. ფიოდორ პეტრეს ძე გააზმა (1780-1853) ბევრი გააკეთა დაპატიმრებულთა და გადასახლებულთათვის მათი მძიმე პირობების შესამსუბუქებლად, რომელიც არსებობდა ნიკოლოზ I-ის დროს. ის უსასყიდლოდ ეხმარებოდა პატიმრებს. უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს, რომლებსაც თავის სახსრებს უყოფდა. ამით გააზმა მოსახლეობაში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. დოსტოევსკიმ გააზის ამბები კატორღაში ყოფნისას მოისმინა და ძალიან დაინტერესდა ამ პიროვნებით. ამაზე მეტყველებს მისი ჩანაწერები. „დანაშაული და სასჯელისათვის“ და სხვ.

[103] Les extremites se tiuchent – საწინააღმდეგო ხასიათები მიიზიდებიან. (ფრანგ.).– იდიომატური გამოთქმა. ლ.ს. მერსიეს წიგნიდან „პარიზის სურათები“.

[104] ერთბაშად ის სურათი გამახსენდა... – დოსტოევსკის მხედველობაში აქვს ჰანს ჰოლბეინი-უმცროსის სურათი „იესო ქრისტე კუბოში“.

[105] „ტალითა კუმი“ (ქალწულო აღსდექ) „ლაზარე გამოვედ გარე“, – სიტყვები, რომლითაც იესო ქრისტე სახარებაში მკვდრებს აღადგენს, გააცოცხლებს.

[106] მაშ ჭვრიტონ წმინდა სიტურფე შენი
იმ მეგობრებმა, ვინც ჩემს სიკვდილს არარად თვლიან,
დაე სიკვდილმა გზის დასასრულს უწიოთ მხოლოდ,
და ჩაჰყვეთ ცრემლი საფლავშიაც და
მეგობარმა დაუხუჭოს იმათ თვალები.

მილვუას ცნობილი კლასიკური ტაეპი... – დოსტოევსკის მიერ მოყვანილი ციტატა ეკუთვნის არა ფრანგ პოეტ-ელეგიკოსს მილვუას (1782-1816), არამედ პოეტ ჟილბერს (1751-1780); დოსტოევსკის ეს სტროფი (ჟილბერის ლექსიდან „რამდენიმე ფსალმუნის მიბაძვით დაწერილი ოდა“ 1780) მოჰყავს დედნიდან მცირე გადახვევით.

[107] ლასენერი პიერ-ფრანსუა (1800-1836) პარიზის 30-იანი წლების სისხლის სამართლის გახმაურებული პროცესის გმირი; მკვლელი, რომელიც გამოირჩეოდა საოცარი სისასტიკით; მისი დასჯის შემდეგ გამოცემულ იქნა მისი ნახევრად აპოკრიფული „წერილები“ და „საუბრები“ (1836). ლასენერის სახელი მოხსენიებულია აგრეთვე „დანაშაული და სასჯელის“ და „მოზარდის“ ხელნაწერებში. ლასენერის პროცესის აღწერა დოსტოევსკის წინასიტყვაობით მოთავსებული იყო ჟურნალ „ვრემიაში“ 1861, #2.

[108] შემოდავება (ფრანგ.)

[109] „შენ ეს გინდოდა, ჟორჟ დანდენო!“ (ფრანგ.)

[110] ...მერედა რა მიამიტურია მოხუცი ჯარისკაცის ნაამბობი... – როგორც გენერლის სიტყვებიდან ჩანს, სტატია, რომელიც თავადმა გენერალს წასაკითხად მისცა, დაბეჭდილი იყო „არქივში“, ანუ ჟურნალ „რუსულ არქივში“. დოსტოევსკის, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს სტატია („მოსკოვის ნოვოდევიჩის მონასტერი 1812 წელს“) თვითმხილველის, მსახურ სიმონ კლიმაჩის ნაამბობი.

[111] ერთ-ერთი ჩვენი მეავტობიოგრაფე. – იგულისხმება ა. გერცენი.

[112] რა ყოჩაღი ბიჭია! ვისი შვილი ხარ (ფრანგ.)

[113] თავადის შვილი და ისიც გულადი კაცისა. მიყვარს თავადები. შენ გიყვარვარ, ბიჭუნავ

[114] ჟან-ბატისტ ბაზანკური, – ფრანგი გენერალი. ნაპოლეონ I ლაშქრობათა მონაწილე.

[115] ...შარასის წიგნი წავიკითხე ვატერლოოს კამპანიის ირგვლივ. – შარას ჟან-ბატისტ-ადოლფი (1810-18650), ფრანგი ლიბერალ-ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე და სამხედრო ისტორიკოსი. მისი ანტიბონაპარტისტული წიგნი „Hustoire de la campagne de 1815. Waterloo“. Par le lieutenant-colonel Charras („1815 წლის ვატერლოოს კამპანიის ისტორია“) - დოსტოევსკიმ წაიკითხა 1867 წელს ბადენში და ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში.

[116] დავუ ლუი (1770-1823) – ნაპოლეონ I ქეშიკი და გამორჩეული პიროვნება.

[117] დედოფალი ჟოზეფინა (1763-1814) - ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი ცოლი, რომელსაც გაშორდა 1809 წელს.

[118] „ლომის რჩევა“(ფრანგ.)

[119] ვაჰ, უკვე ცრუმორწმუნე ხდება! (ფრანგ.)

[120] ჩემს ვაჟს le roi de Rome… რომის მეფე (ფრანგ.). – თავის ვაჟიშვილს ჟოზეფ-ფრანსუა-შარლს, რომელიც 1811 წელს დაიბადა, ნაპოლეონმა უბოძა „რომის იმპერატორის“ ტიტული.

[121] „სულ პატარა გოგონა ყოფილა“ (ფრანგ.)

[122] „ტყუილი არასოდეს თქვათ! ნაპოლეონი, თქვენი გულწრფელი მეგობარი.“

[123]...შლოსერის ისტორია ეყიდათ. – ფრიდრიხ შლოსერი (1776-1861) გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი. მისმა „მსოფლიო ისტორიამ“ (1844-1856) რუსულ ენაზე გამოსვლა იწყო 1868 წ. დოსტოევსკი რომ შლოსერის ისტორიას კითხულობდა. ამაზე მეტყველებს ა.ფ.ბაზუნოვის წიგნის მაღაზიის ანგარიში, რომელიც დოსტოევსკის გაეგზავნა.

[124] გლებოვი სტეფან ბოგდანის ძე (1672-1718). პეტრე I პირველი ცოლის, ევდოკია ლოპუხინის საყვარელი. 1817 წელს სასტიკად აწამეს და შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს. 1718 წლის 15 მარტს წითელ მოედანზე ძელზე გასვეს და თოთხმეტი საათის შემდეგ გარდაიცვალა. დოსტოევსკიმ გლებოვის ხვედრის შესახებ გაიგო ნ.მ.უსტრაილოვის (1859) „პეტრე დიდის მეფობის ისტორიის“ VI ტომიდან.

[125] ანდრეი ივანეს ძე ოსტერმანი (ჰენრიხ-იოჰანი, 1680-1747). – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

[126] გული დასაჯეთ, ოღონდ წვერი დაინდეთ, წვერიო, როგორც ბრძანა თომას მორუსმა... – თომას მორი (1478-1535), დიდი ინგლისელი ჰუმანისტი, უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დასჯილ იქნა ინგლისის მეფის ჰენრიხ VIII-ის მიერ, როგორც რეფორმაციის მოწინააღმდეგე. სიკვდილის წინ მორმა სთხოვა ჯალათს, ხელი არ ეხლო მისი წვერებისათვის, რადგანაც მას „ოდნავადაც ბრალი არ ედო სახელმწიფო დანაშაულში“.

[127] Mea cupla, mea cupla… შევცოდე, შევცოდეო (ლათ.) – ლათინური ფორმულა კათოლიკური ჟამგულანიდან, რომელიც გამოხატავს დანაშაულის მონანიებას.

[128] Non possumus არ ძაგლვიძსო! (ლათ.) – პასუხი, რომელსაც „აპოსტოლთა სამოციქულო წიგნში“ მიაკუთვნებენ პეტრესა და იოანეს. მათთვის მწიგნობრებს უნდოდათ აეკრძალათ ქადაგება. ამ სიტყვებს ხმარობენ პაპთა ეპისტოლეებში ტრადიციული ფორმულების სახით.

[129] ძმობა ან სიკვდილი (ფრანგ.)

[130] ეს ძალზე საინტერესო და ძალზე სერიოზულია! (ფრანგ.)

[131] დააცალეთ თქვას (ფრანგ.)

[132] მართლა (ფრანგ.)

[133] იქნებ სიცოცხლის დაისზე მაინც მზემ გამიღიმოს სიყვარულისა. – ა.ს. პუშკინის ლექსიდან „ელეგია“.

[134]...ბატონ ტურგენევის მიერ აღმოჩენილ ნიჰილიზმზე შეშლილი.... – იგულისხმება ტურგენევის რომანი „მამები და შვილები“ (1862), რომელსაც დიდად აფასებდა დოსტოევსკი.

[135] შარივარი (ფრანგ.). ხმაურით გამოწვეული ობსტრუქცია, რომელიც ეწყობა იმ პიროვნების სახლის წინ, საზოგადოების უკმაყოფილება რომ გამოიწვია.

[136] შარლ მორის ტალეირანი (1754-1838) – ფრანგი დიპლომატი. ტალეირანის სახელი საზოგადო სახელად იქცა, რაც გამოხატავს მოხერხებულსა და მოურიდებელ დიპლომატს.

[137] Madame Bovary („მადამ ბოვარი“ 1857) გ.ფლობერის რომანი (1821-1880). დოსტოევსკი კითხულობდა მას 1867 წელს ტურგენევის რეკომენდაციით. 1880 წელს ვ.მიკულიჩთან საუბარში ის დიდ შეფასებას აძლევდა „მადამ ბოვარის“

© 2008-2016 4Love.Ge